შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი SP-22-365)
წამყვანი ორგანიზაცია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო რედაქტორი – სტივენ ჯონსი
პროექტის ხელმძღვანელი – მალხაზ მაცაბერიძე
პროექტის კოორდინატორი – თამარ ორჯონიკიძე

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (grant number – SP-22-365)

Research advisor – Stephen F. Jones

მალხაზ მაცაბერიძე. საბჭოთა კავშირი. კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა. თბილისი, გამომცემლობა, „უნივერსალი", 2023, – 438 გვ.

ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის ძირითადი ეტაპები; კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური და პოლიტიკური ცვლილებები. ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის კრიზისი და დაშლის გარდუვალობა. ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

© მ. მაცაბერიძე, 2023

გამომცემლობა „უნივერსალი", 2023

თბილისი, 0186, ბ. პოლიტიკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-556-3

სარჩევი

შესავალი 17

ნაწილი პირველი.
ბოლშევიკები: გზა ხელისუფლებისკენ

თავი I. ბოლშევიზმი როგორც იდეოლოგია და პრაქტიკა 21

1.1. სახელმწიფო სოციალიზმის იდეა 21
1.2. ბოლშევიზმის როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმდინარეობის დახასიათება 22
1.3. ბოლშევიზმის დაბადება 22
1.4. ბოლშევიკების მოსვლა ხელისუფლების სათავეში 24
1.5. საბჭოთა წყობილება 25
1.6. „წითელი ტერორი" ციფრებსა და ფაქტებში 27

თავი II. ბოლშევიკები და „ეროვნული საკითხი" 29

2.1. ეროვნული საკითხის მარქსისტული ხედვა 29
2.2. ბოლშევიკების დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი 29
2.3. ეროვნული საკითხის „ბოლშევიკური" გადაწყვეტა: 1918- 1921 წლები 30
2.4. სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვება და საბჭოთა სისტემის ტერიტორიული გაფართოება 31

ნაწილი მეორე.
საბჭოთა კავშირის შექმნა

თავი III. საბჭოთა კავშირი როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური პროექტი 34

3.1. ბოლშევიკები „იმპერიულ" და „ადგილობრივ" ნაციონალიზმს შორის 34
3.2. საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" გეგმა 35
3.3. „ავტონომიზაციის" გეგმის განხილვა საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობის მიერ 37
3.4. ვ. ლენინის გეგმა „სუვერენული რესპუბლიკების" კავშირის შექმნის შესახებ 39

3.5. საბჭოების პირველი საკავშირო ყრილობა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირება 43
3.6. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღება 45
3.7. ცვლილებები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (1920-იანი წლები) 47
3.8. საბჭოთა იერარქიული ფედერალიზმი 49

თავი IV. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის შექმნა 51

4.1. რაში სჭირდებოდათ მოსკოველ ბოლშევიკებს ამიერკავკასიის ფედერაცია 51
4.2. როგორ იქმნებოდა ამიერკავკასიის საბჭოური ფედერაცია 51
4.3. ბოლშევიკური არგუმენტები ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად....53
4.4. ვინ იყვნენ და რა უნდოდათ „ნაციონალ-უკლონისტებს" 54
4.5. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ 57
4.6. „ქართული ინციდენტის" მოსკოვური რეზონანსი 58
4.7. რას აკეთებდნენ „ნაციონალ-უკლონისტები" 62
4.8. ცილისწამება და ფიზიკური ანგარიშსწორება „ნაციონალ-უკლონისტებთან" 63

თავი V. მსოფლიო რევოლუციის ამაო მოლოდინი 66

5.1. მსოფლიო რევოლუციის იდეა 66
5.2. „რევოლუცია სულ მალე დაიწყება..." 67
5.3. კომინტერნი – მსოფლიო რევოლუციის ინსტრუმენტი 68
5.4. მსოფლიო რევოლუციის დაწყების მცდელობა – ევროპა, 1919 წელი....70
5.5. „რევოლუციური შემობრუნება" აზიისაკენ 72
5.6. პოლონეთის გავლით გერმანიისკენ გაჭრის მცდელობა (1920 წელი) 72
5.7. „მსოფლიო რევოლუციის" წარმატება კავკასიაში....75
5.8. ევროპაში სოციალისტური რევოლუციის „მომზადების" მცდელობა (1922 წელი) 76
5.9. გერმანია, 1923 წელი 77
5.10. ბულგარეთი, 1923 და 1925 წლები 78
5.11. ესტონეთი, 1924 წელი 78
5.12. მსოფლიო რევოლუციის ნაცვლად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმაზე გადასვლა 79

ნაწილი მესამე.
ბოლშევიკური იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრიზისი

თავი VI. „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკა 80

6.1. „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკის არსი 80
6.2. მრეწველობის ნაციონალიზება 81
6.3. სასურსათო გაწერა 81
6.4. მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება 83
6.5. ვაჭრობის შეზღუდვა 83
6.6. ხელფასის ნატურალიზაცია 84
6.7. შრომის მილიტარიზაცია 84
6.8. ყოფა „სამხედრო კომუნიზმის“ დროს 86
6.9. „სამხედრო კომუნიზმი“ და ბოლშევიკური იდეოლოგია 87
6.10. „სამხედრო კომუნიზმის“ სისტემის კრიზისი 89
6.11. შიდაპარტიული დისკუსიები „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში 89

თავი VII. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა 91

7.1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1921 წლის დასაწყისისთვის 91
7.2. პოლიტიკური კრიზისი 1921 წლის დამდეგს 91
7.3. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა 92
7.4. ბოლშევიკების კიდევ ერთი უკანდახევა: ვაჭრობის დაშვება და
ფინანსური რეფორმა 95
7.5. სოფლის მეურნეობის აღდგენა 96
7.6. მრეწველობის ნანილობრივი დენაციონალიზაცია 98
7.7. არმიის რეფორმა 99
7.8. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და სასამართლო სისტემა 99
7.9. ცხოვრება ნეპ-ის პირობებში 100
7.10. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ეტაპები 102

თავი VIII. გასაბჭოებული საქართველო „ახალი ეკონომიკური
პოლიტიკის“ მარწუხებში 104

8.1. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა რუსული შაბლონით 104
8.2. ბოლშევიკური „აგრარული რევოლუცია“ საქართველოში 105
8.3. მრეწველობის „სოციალისტური“ გარდაქმნა 106
8.4. დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობის შეზღუდვა 107

ნაწილი მეოთხე.
„ლენინის ანდერძი“ და ლენინის მემკვიდრეები

თავი IX. ლენინის ავადმყოფობა და სიკვდილი 108

9.1. ლენინის ავადმყოფობა 108
9.2. ლენინის ავადმყოფობა და სტალინი 110
9.3. ლენინის გარდაცვალება და დაკრძალვა 110

თავი X. ლენინის „ანდერძი“ 114

10.1. რას ეწოდება ლენინის „ანდერძი“ 114
10.2. საბჭოთა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის გეგმა 114
10.3. ლენინის მიერ ბოლშევიკი ლიდერების დახასიათება 115
10.4. ლენინის შემდეგ: ბოლშევიკ ლიდერთა ოთხი ჯგუფი 118
10.5. რკპ (ბ) XIII ყრილობა: პარტიის ნება ლენინის „ნების“ წინააღმდეგ 120

თავი XI. იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბრძოლა 1920-იან წლებში 122

11.1. შიდაპარტიული ბრძოლები ლენინის მმართველობის დროს 122
11.2. შიდაპარტიული ბრძოლის მიზეზები ლენინის გარდაცვალების შემდეგ 123
11.3. ლენინის შემდეგ: „ტრიუმვირატის“ ჩამოყალიბება 124
11.4. „ მემარცხენეებისა“ და „მემარჯვენეების“ განსხვავებული მიდგომები 125
11.5. „მუშათა ოპოზიცია“ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ 125
11.6. ტროცკიზმის იდეური „მხილება“ და დამარცხება 126
11.7. ტროცკის ჩამოცილება არმიისაგან 127
11.8. სტალინიზმის დაბადება – ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი 128
11.9. როდის დაემატა „მარქსიზმს“ „ლენინიზმი“ 129
11.10. „ახალი ოპოზიცია“ და სტალინ-ბუხარინის კავშირი 132
11.11. გაერთიანებული „ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი“ 134
11.12. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისი და უთანხმოება სტალინ-ბუხარინს შორის 136
11.13. გადამწყვეტი შეტაკება სტალინისა და ბუხარინის მომხრეებს შორის 138

თავი XII. რამ განაპირობა სტალინის გამარჯვება 139

12.1. 1920-იანი წლების შიდაპარტიული ბრძოლის ზოგადი დახასიათება 139
12.2. ხელისუფლებისთვის ბრძოლაში სტალინის გამარჯვება და მისი პიროვნების კულტის ფორმირების დასაწყისი 140
12.3. სტალინის დასაყრდენი – პარტიული აპარატი და „ლენინური გაწვევებით“ შექმნილი პარტიული მასები 142

ნაწილი მეხუთე.
სოციალიზმის მშენებლობის სტალინური გეგმა

თავი XIII. ინდუსტრიალიზაცია 147

13.1. ინდუსტრიალიზაციის თავისებურებანი საბჭოთა კავშირში 147
13.2. პირველი ხუთწლედი 149
13.3. პირველი ხუთწლედის სოციალური შედეგები 151
13.4. მეორე ხუთწლიანი გეგმა (1933-1937) 152
13.5. სერგო ორჯონიკიძის ბედი 153
13.6. მუშათა მდგომარეობა 154
13.7. სტახანოვური მოძრაობა 156
13.8. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგები 158
13.9. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა საქართველოში 159

თავი XIV. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია 160

14.1. კოლექტივიზაციის მიზეზები 160
14.2. განკულაკება 162
14.3. „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ 164
14.4. კოლექტივიზაციის შედეგები 164
14.5. კოლმეურნე გლეხობა 166
14.6.მითი კოლექტივიზაციის აუცილებლობის თაობაზე 167
14.7. მითი პავლიკ მოროზოვზე 168
14. 8. კოლექტივიზაცია საქართველოში 169

თავი XV. კულტურული რევოლუცია 171

15.1. კულტურული რევოლუციის არსი 171
15.2. ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის დასაძლევად 171
15.3. ბრძოლა „ძველი“ ინტელიგენციის წინააღმდეგ 172
15.4. „საბჭოთა ინტელიგენციის“ შექმნა 173
15.5. ისტორიის სტალინური ვერსიის დამკვიდრება 174
15.6. ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ 174

თავი XVI. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა
სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში (1928-1939) 176

16.1. 1920-1930-იანი წლების საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ზოგადი
დახასიათება 176
16.2. საბჭოთა კავშირის ადგილი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში 177
16.3. ბოლშევიზმის გაკვეთილი მსოფლიოსათვის. ფაშიზმისა და ნაციზმის
ჩამოყალიბება 178

16.4. დაძაბულობის ზრდა დასავლეთის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის 179
16.5. საბჭოთა კავშირი შეიარაღების ზრდის წინააღმდეგ 180
16.6. მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში (1929-1936) 180
16.7. საგარეო ვაჭრობა: ზრდიდან შემცირებისკენ 181
16.8. ნაცისტების მოსვლა გერმანიის სათავეში და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შეცვლა 182
16.9. შემობრუნება პოლიტიკური რეალობისკენ. კომინტერნის VII კონგრესი 183
16.10. ომი ესპანეთში და საბჭოთა კავშირი 184
16.11. მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში (1937-1939) 186
16.12. მიუნჰენის შეთანხმება 187
16.13. საბჭოთა კავშირის მზადება „უკანასკნელი ომისთვის" 188
16.14. მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულება სტალინის რეჟიმისადმი 189

ნაწილი მეექვსე.
საბჭოთა ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის საბოლოო გაფორმება

თავი XVII. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა 1930-იან წლებში 190

17.1. „მობილიზაციური ტიპის" პოლიტიკური სისტემის ფორმირება 190
17.2. კომუნისტური პარტიის როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში 191
17.3. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის როლი და ოფიციალური მასობრივი ორგანიზაციები 192
17.4. სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება 194

თავი XVIII. მასობრივი რეპრესიები 198

18.1. რეპრესიები 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში 198
18.2. გულაგის სისტემის შექმნა 199
18.3. კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა და სტალინის გადაყენების მცდელობა 200
18.4. კიროვის მკვლელობა 200
18.5. რეპრესიების გაძლიერება კიროვის მკვლელობის შემდეგ 201
18.6. მოსკოვის საჩვენებელი სასამართლო პროცესები 203
18.7. ბოლშევიკური პარტიის ტრანსფორმაცია 205
18.8. რეპრესიები სამხედროების წინააღმდეგ 206
18.9. ტროცკის მკვლელობა 207

თავი XIX. „გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუცია 208

19.1. კონსტიტუციის მიღება 208
19.2. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები 209
19.3. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა კიდევ უფრო შემცირება 209
19.4.კონსტიტუციის „სტალინური“ ნორმები 210

ნაწილი მეშვიდე.
საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის დროს

თავი XX. საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის
დაახლოება 212

20.1. მილიტარისტულ-ფაშისტური ქვეყნების აგრესიის გაფართოება 212
20.2. ევროპა ომსა და მშვიდობას შორის 213
20.3. საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებები ინგლის-საფრანგეთთან 213
20.4. საბჭოთა კავშირის გერმანიასთან დაახლოება 214
20.5. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი 215

თავი XXI. საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე
(1939-1941) 219

21.1. როდის ჩაერთო საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში 219
21.2. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. წითელი არმიის პოლონეთში შეჭრა 220
21.3. საბჭოთა კავშირ – ფინეთის
ომი (1939 წლის ნოემბერი – 1940 წლის მარტი) 221
21.4.საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და ბესარაბიის
ოკუპაცია და საბჭოთა კავშირში შეყვანა 223
21.5.საბჭოთა კავშირის მე-16 რესპუბლიკის ისტორია 225
21.6. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობა ომის წინა პერიოდში 226
21.7. ღონისძიებები საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის
გასაზრდელად 226

თავი XXII. საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომის დასაწყისი 227

22.1.ომის წინ 227
22.2. ომის დასაწყისი 227
22.3. წითელი არმიის წარუმატებლობები 1941 წლის ზაფხულსა
და შემოდგომაზე 229
22.4. ბრძოლა მოსკოვისთვის 231
22.5. ლენინგრადის დაცვა 232

თავი XXIII. გერმანელთა შეტევა 1942 წელს 233

23.1. გერმანელთა შეტევა 1942 წლის ზაფხულში. სტალინგრადის ბრძოლის დასაწყისი....233
23.2. გერმანელთა საოკუპაციო რეჟიმი....234
23.3. ჰოლოკოსტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე....235
23.4. ოსტარბაიტერები....235
23.5. პარტიზანული და იატაკქვეშა მოძრაობა 236
23.6. საბჭოთა სახელმწიფოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის შეცვლა 237
23.7. ტყვეობაში მყოფი წითელარმიელების ტრაგედია....237
23.8. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა 238
23.9. დასავლეთის დახმარება საბჭოთა კავშირს....238
23.10. ომის პირველი ეტაპის შედეგები....239

თავი XXIV. ძირეული გარდატეხა საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომში....240

24.1. გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან 240
24.2. ბრძოლა კავკასიისთვის და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ნაწილის დეპორტაცია 241
24.3. ბრძოლა კურსკის რკალზე 242
24.4. თეირანის კონფერენცია და ომის პირველი პერიოდის შედეგები 244

თავი XXV. საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომის დამამთავრებელი ეტაპი....245

25.1. 1944 წლის შეტევითი ოპერაციები....245
25.2. ყირიმის (იალტის) კონფერენცია 246
25.3. ევროპის ქვეყნების განთავისუფლება ფაშიზმისაგან 247
25.4. პოტსდამის კონფერენცია....247
25.5. საბჭოთა კავშირის ჩაბმა იაპონიის წინააღმდეგ ომში 248
25.6. ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზეზები....249
25.7. საქართველო მეორე მსოფლიო ომში 249

ნაწილი მერვე.
საბჭოთა კავშირი „გვიანი სტალინიზმის“
(1945-1953) პერიოდში 251

თავი XXVI. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარება
(1945-1953) 253

26.1. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 253
26.2. ეკონომიკის საკითხებზე მიმდინარე დისკუსიები 1945-1946 წლებში 253
26.3. მრეწველობის განვითარება 254
26.4. სოფლის მეურნეობა 257
26.5. ომის შემდგომი შიმშილობა 258
26.6. კურსი „ქანჩების მოჭერისაკენ“ 259

თავი XXVII. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური განვითარება
(1945-1953) 260

27.1. ომის დემოკრატიული იმპულსი 260
27.2. ცვლილებები ხელისუფლების სტრუქტურებში 261
27.3. რეპრესიების ახალი ტალღა 262
27.4. ნაციონალური პოლიტიკა 266

თავი XXVIII. იდეოლოგია და კულტურა (1945-1953) 268

28.1. „რკინის ფარდის“ აღდგენა 268
28.2. ლიტერატურა 268
28.3. თეატრი და კინო 269
28.4. მუსიკა 270
28.5. განათლება 270
28.6. სამეცნიერო დისკუსიები 271

თავი XXIX. „ცივი ომის“ სათავეებთან 273

29.1. რა იყო „ცივი ომი“ 273
29.2. უთანხმოება მოკავშირეებს შორის 274
29.3. სტალინის სწრაფვა პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისკენ 275
29.4. საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 276
29.5. საბჭოთა ექსპანსიის შეკავების პოლიტიკა 277
29.6. ჩერჩილის სიტყვა ფულტონში და სტალინის პასუხი 278
29.7. „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“ და საბჭოთა კავშირი 279
29.8. რეპარაციების ამოღება გერმანიიდან 280

თავი XXX. სოციალიზმის სტალინური მოდელის გავრცელება 282

30.1. კომუნისტური რეჟიმების დამკვიდრება ევროპისა და აზიის ქვეყნებში.....282
30.2. საბჭოთა ბლოკის ფორმირება 283
30.3. სტალინის კონფლიქტი იუგოსლავიის ხელმძღვანელობასთან 284

თავი XXXI. „ცივი ომი“ „ცხელი ომის“ ზღვარზე 286

31.1. ბერლინის კრიზისი და გერმანიის ორად გაყოფა 286
31.2. ნატოს შექმნა და საბჭოთა კავშირის ომისათვის მზადება 287
31.3. ომი კორეაში (1950-1953) 288
31.4. მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობის გააზრების დასაწყისი 290

თავი XXXII. სტალინის გარდაცვალება და დაკრძალვა 291

32.1. სტალინის ავადმყოფობა და გარდაცვალება 291
32.2. სტალინის დაკრძალვა 292
32.3. გახდა თუ არა სტალინი შეთქმულების მსხვერპლი.....293

ნაწილი მეცხრე.
ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობა

თავი XXXIII. ხელისუფლებისათვის ბრძოლა სტალინის მემკვიდრეებს შორის 294

33.1. სტალინის მემკვიდრეთა განსხვავებული ხედვები.....294
33.2. მალენკოვისა და ბერიას ლიდერობა.....296
33.3. შეთქმულება ბერიას წინააღმდეგ 297
33.4. ხრუშჩოვის პოზიციების გაძლიერება 298
33.5. მალენკოვისა და ხრუშჩოვის მმართველობა. მალენკოვის გადაყენება. 299
33.6. უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანთა გასამართლება და უშიშროების სისტემის რეფორმა 301
33.7. სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა.....302
33.8. „გაერთიანებული ოპოზიცია“ ხრუშჩოვის წინააღმდეგ 305
33.9. ჟუკოვის გადაყენება.....306
33.10. ბულგანინის გადაყენება და ხრუშჩოვის ერთმმართველობის დამყარება 307

თავი XXXIV. ხრუშჩოვის საგარეო პოლიტიკა 309

34.1. კრემლის ახალი სტრატეგია საგარეო პოლიტიკაში 309
34.2. სოციალისტური ქვეყნების დარაზმვის პოლიტიკა და ნეიტრალური ქვეყნების სარტყელის შექმნის მცდელობა....310
34.3. საბჭოთა აქტიურობა მესამე სამყაროს ქვეყნებში 313
34.4. შეჯიბრი რაკეტულ-ბირთვულ შეიარაღებაში და კოსმოსში გასვლა....314
34.5. ახალი სტრატეგიის წარუმატებლობა 315
34.6. რუსეთისა და ჩინეთის კომუნისტური რეჟიმების კონფლიქტი. ერთიანი კომუნისტური ბანაკის დაშლა 319
34.7. ბირთვული ომის ზღვარზე: ბერლინის კედელი, რევოლუცია კუბაში და კარიბის კრიზისი....321

თავი XXXV. ხრუშჩოვის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა 323

35.1. სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზების ძიება 323
35.2. ყამირი მიწების ათვისება 324
35.3. სასურსათო პრობლემები, უკმაყოფილება ქალაქებში და ნოვოჩერკასკის ტრაგედია 326
35.4. მრეწველობის განვითარება 327
35.5. სოციალური პოლიტიკა 328
35.6. „კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე“ გადასვლა და მისი კრახი 329

თავი XXXVI. პოლიტიკური ცვლილებები ხრუშჩოვის მმართველობის დროს 331

36.1. კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა 331
36.2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებები 332
36.3. ხრუშჩოვის „დათბობის“ წინააღმდეგობრივი ხასიათი და ლიბერალიზაციის საზღვრები 333
36.4. ხრუშჩოვი და პარტიული აპარატი 333
36.5. XXII ყრილობა და ახალი შეტევა სტალინზე 334

თავი XXXVII. ხრუშჩოვის გადაყენება და ბრეჟნევის მმართველობის დასაწყისი 337

37.1. უკმაყოფილების ზრდა ხრუშჩოვის მმართველობით 337
37.2. სახელმწიფო გადატრიალება – ხრუშჩოვის გადაყენება 338
37.3. საბჭოთა კავშირის მთავარი პენსიონერი 342

ნაწილი მეათე
ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობა

თავი XXXVIII. ბრეჟნევი: კოლექტიური მმართველობიდან პიროვნების განდიდებამდე 347

38.1. ახალი ხელმძღვანელობის კონტურები 347
38.2. ბრეჟნევის დამკვიდრება ხელისუფლების სათავეში 348
38.3. ბრეჟნევის პიროვნების კულტის ფორმირება 353

თავი XXXIX. ლეონიდ ბრეჟნევის შიდაპოლიტიკური კურსი 359

39.1. სტალინის კრიტიკის შეჩერება 359
39.2. პარტიული ნომენკლატურის პოზიციების განმტკიცება 361
39.3. „განვითარებული სოციალიზმის“ კონცეფცია 363
39.4. „მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის“ კონცეფცია 365
39.5. „განვითარებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის მიღება (1977) 367

თავი XL. „განვითარებული სოციალიზმის“ პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკა 369

40.1. კოსიგინის რეფორმები 369
40.2. კოსიგინის რეფორმების მოულოდნელი შედეგები 371
40.3. დირექტიული ეკონომიკის გამარჯვება 372
40.4. მზარდი ეკონომიკური პრობლემები 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში 375
40.5. ცვლილებები საბჭოთა კავშირის მმართველობაში 377

თავი XLI. საგარეო პოლიტიკა: ბრეჟნევის დოქტრინა 380

41.1. პრაღის გაზაფხული და საბჭოთა ინტერვენცია 380
41.2. „ბრეჟნევის დოქტრინის“ არსი 381
41.3. მშვიდობიანი თანაარსებობა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი 383
41.4. საბჭოთა კავშირის აფრიკული ავანტიურები 384
41.5. საბჭოთა ექსპანსია ლათინურ ამერიკაში 385
41.6. ომი ავღანეთში 386
41.7. ბრეჟნევის დოქტრინის კრახი. 1980-1981 წლების რევოლუცია პოლონეთში 387

ნაწილი მეთერთმეტე
გერონტოკრატია ქვეყნის სათავეში

თავი XLII. იური ანდროპოვის ხანმოკლე მმართველობა 388

42.1. ვინ იყო იური ანდროპოვი 388
42.2. ანდროპოვის ბრძოლა ხელისუფლებისათვის 389
42.3. ანდროპოვის პირველი ღონისძიებები – „წესრიგის დამყარების“ პოლიტიკა 390
42.4. როგორ აპირებდა ანდროპოვი ეკონომიკის „შველას“ 391
42.5. საერთაშორისო ვითარების გამწვავება 392
42.6. ანდროპოვის გარდაცვალება.....394

თავი XLIII. კონსტანტინე ჩერნენკოს კიდევ უფრო ხანმოკლე მმართველობა 396

43.1. ვინ იყო კონსტანტინე ჩერნენკო 396
43.2. ბრეჟნევის „რუხი კარდინალი“ 397
43.3. გერონტოკრატიის უკანასკნელი გამარჯვება 397
43.4. საშინაო პოლიტიკა ჩერნენკოს მმართველობის დროს.....398
43.5. საგარეო პოლიტიკა ჩერნენკოს მმართველობის დროს.....400
43.6. ჩერნენკოს მმართველობა და გერონტოკრატიის კრახი.....402

ნაწილი მეთორმეტე
„გარდაქმნა“ და საბჭოთა კავშირის დაშლა

თავი XLIV. მიხეილ გორბაჩოვი: გარდაქმნის პოლიტიკა.....405

44.1. რა მემკვიდრეობა ერგო გორბაჩოვს 406
44.2. გარდაქმნის დასაწყისი: საკადრო ცვლილებები.....407
44.3. გარდაქმნის მცდელობა ადმინისტრაციული მეთოდებით 407
44.4. რეფორმების ტერმინოლოგია: „გარდაქმნა“ , „დაჩქარება“ და „საჯაროობა“ 408
44.5. გორბაჩოვის ადმინისტრაციული მეთოდების პრაქტიკული უშედეგობა 409
44.6. სკკპ XXVII ყრილობის არარეალისტური დაპირებები.....409
44.7. ჩერნობილის კატასტროფა 411

თავი XLV. გარდაქმნა: შიდაპოლიტიკური დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის დასაწყისი 413

45.1. რეფორმების ახალი სტრატეგია – სოციალიზმის დემოკრატიული მოდელის შექმნის ლოზუნგი 413
45.2. XIX პარტიული კონფერენცია და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა 414
45.3. პოლიტპატიმართა განთავისუფლება 415
45.4. სოციალიზმის საბაზრო ეკონომიკასთან შეერთების მცდელობა 416
45.5. „საჯაროობის" შედეგები 418
45.6. ნინა ანდრეევას გამოსვლა 419
45.7. ბორის ელცინის პოპულარობის ზრდა 420

თავი XLVI. ახალი პოლიტიკური აზროვნება საგარეო პოლიტიკაში 422

46.1. ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის დასაბუთება 422
46.2. „ახალი პოლიტიკური აზროვნება" მოქმედებაში 425
46.3. ავღანეთში ომის დამთავრება 425

თავი XLVII. საბჭოთა კავშირის კრიზისი და დაშლა 427

47.1. მრავალპარტიულობის დაშვება და ეკონომიკური რეფორმის დილემა 427
47.2. „სუვერენიტეტების აღლუმი". ბრძოლა გორბაჩოვსა და ელცინს შორის 428
47.3. „განახლებული საბჭოთა კავშირის" შექმნის მცდელობა 429
47.4. კომუნისტური რევანშის წარუმატებელი მცდელობა 430
47.5. ბელოვეჟის შეთანხმება და საბჭოთა კავშირის დაშლა 434

გოლოსიტყვაობა 436

საბჭოთა კავშირი იყო სახელმწიფო, რომელმაც იარსება 1922 წლის 30 დეკემბრიდან 1991 წლის 22 დეკემბრამდე და ცოტა დააკლდა 70 წლის „იუბილეს“ აღნიშვნამდე. ეს სახელმწიფო ემყარებოდა იდეოლოგიას, რომელსაც ოფიციალურად მარქსიზმ-ლენინიზმი ეწოდებოდა და მისი მომხრეების მიერ ერთადერთ „მეცნიერულ“ იდეოლოგიად იყო გამოცხადებული. მარქსიზმ-ლენინიზმს საფუძვლად ედო სოციალური ინჟინერიის იდეა და მიზნად ისახავდა ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენებას, სადაც გადაჭრილი იქნებოდა ყველა წინააღმდეგობა და ადამიანები ბედნიერად იცხოვრებდნენ; კომუნიზმის ასაშენებლად კი დასაშვებად მიიჩნევდნენ ძალადობრივი მეთოდების ფართოდ გამოყენებას. მარქსიზმ-ლენინიზმის რიგი დებულებები, მიმდინარე პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, დროთა განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა არსი უცვლელი რჩებოდა.

საბჭოთა კავშირი ჩაფიქრებული იყო მსოფლიო სახელმწიფოდ, მასში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ყველა ქვეყანა, სადაც ხელისუფლების სათავეში კომუნისტები მოვიდოდნენ, მაგრამ ბოლშევიკების პროგნოზი „მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვების შესახებ მცდარი აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მხოლოდ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე. საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, რუსეთის სახელმწიფოს ფორმა იყო, რადგანაც ე. წ. „მოკავშირე რესპუბლიკებს“ არანაირი „სუვერენიტეტი“ არ გააჩნდათ, ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა. სამწუხაროდ, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოაქციეს და თავის თავზე ინვნია შვიდი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე „ახალი საზოგადოების მშენებლობის“ კომუნისტური ექსპერიმენტი.

საბჭოური „საბჭოთა კავშირის ისტორიის“ პოლიტიკური მიზნები

საბჭოთა კავშირში არსებობდა რიგი პოლიტიკურ-იდეოლოგიური დისციპლინები, რომელთაც სამეცნიერო ღირებულება ნაკლებად გააჩნდათ: კომუნისტური პარტიის ისტორია, საბჭოთა კონსტიტუცია, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია და პოლიტიკური ეკონომია. რაც შეეხება ისტორიის ზოგად კურსს, საბჭოთა მმართველებს თავიდან ისტორიისადმი აგდებული დამოკიდებულება ჰქონდათ, მათთვის მთავარი იყო არა „ისტორიის ფაქტები“, არამედ „ისტორიის განვითარების კანონზომიერებანი“, რომლებიც, მათი მტკიცებით, მარქსიზმმა აღმოაჩინა. 1921 წელს საბჭოთა სკოლებში შემოიღეს საზოგადოებათ-მცოდნეობის კურსი, სადაც აქცენტი კლასობრივ ბრძოლაზე, რევოლუციებსა და მშრომელთა ცხოვრებაზე კეთდებოდა. 1918 წლიდან არსებობდა ისეთი საგნები, როგორიცაა „სოციალიზმის ისტორია“, „შრომის ისტორია“, „ხელოვნების ისტორია“. ისტორიის შესწავლაში აბსტრაქტულ-სოციოლოგიური მიდგომა ბატონობდა, თუმცა ბოლშევიკები მალე მიხვდნენ ისტორიის, განსაკუთრებით – ისტორიის სასკოლო დისციპლინების მნიშვნელობას. ისტორიის მეშვეობით შეიძლებოდა მასების ცნობიერების ფორმირება.

1934 წლის 15 მაისს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საბჭოთა კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“. სწორედ 1934 წლიდან, როდესაც კვლავ დაუბრუნდნენ ისტორიის სწავლებას, შემოიღეს საგანი „საბჭოთა კავშირის ისტორია“. სახელიდან გამომდინარე, ეს კურსი მართებული იქნებოდა დაეწყოთ 1917-1922 წლებიდან, მაგრამ ასე არ მოიქცნენ. ამ საგანს ჰქონდა ქვესათაურიც „უძველესი დროიდან დღემდე“. საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საზღვრებიდან გამომდინარე, ყოველივე, რაც ისტორიაში ამ ტერიტორიაზე მოხდა, საბჭოთა კავშირის ისტორიის ნაწილი იყო. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ისტორიის კურსი იწყებოდა თემით „პირველყოფილი თემური წყობილება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე“, ცალკე თავი ეთმობოდა უძველეს

ურარტუს სახელმწიფოს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში 3.300 წლის წინ არსებობდა, ასევე ისწავლებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ანტიკურ პერიოდში არსებულ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებზეც და ა. შ.

საბჭოთა კავშირის ისტორიის უძველესი დროიდან დაწყების მიზეზი ადვილად მისახვედრი იყო. საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს უნდა შეეგნოთ, რომ მათ, მიუხედავად ადრინდელი განსხვავებისა, „საერთო ისტორიული ბედი" ჰქონდათ, თითქოს მათი წინაპრები იმისთვის არსებობდნენ, რომ შთამომავლობა საბჭოთა კავშირში მოხვედრილიყო. თუმცა, „საბჭოთა კავშირის ისტორია" რეალურად რუსეთის ისტორია იყო. სხვა ხალხების შესახებ გაკვრით საუბრობდნენ, ერთ პარაგრაფში იყო მოქცეული სხვადასხვა ხალხის რამდენიმე საუკუნის ისტორია, თანაც ისე, რომ დაესაბუთებინათ რუსეთთან მათი შეერთების გარდუვალობა. ხაზგასმული იყო, რომ რუსეთი არავის იპყრობდა, ყველა ხალხი რუსეთს „ნებაყოფლობით" უერთდებოდა და მათთვის ეს იყო უდიდესი პროგრესული მოვლენა.

საბჭოთა პერიოდში, საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა „რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების" თარიღი, რომელსაც პერიოდულად ზეიმით აღნიშნავდნენ, ასევე საზეიმო იყო ამა თუ იმ ხალხის „გასაბჭოების", ანუ რუსეთის წითელი არმიის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობის თარიღი.

1967 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავზე საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ლიდერმა ლეონიდ ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – **საბჭოთა ხალხი**. რა თქმა უნდა, ეს იყო „რუსიფიკაციის პოლიტიკის" მიღნევების დაფიქსირება და განაცხადი მის შემდგომ გაგრძელებაზე.

ბოლშევიკური რეჟიმისა და 1922 წელს შექმნილი საბჭოთა კავშირის ნამდვილი ისტორიის შესწავლა კომუნისტ ლიდერებს არ აინტერესებდათ და შეუძლებელიც იყო. შესწავლისთვის აუცილებელი ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო, ასევე არსებობდა მკაცრი ცენზურა და „იდეოლოგიური გადაცდომისთვის" მკვლევარი ისჯებოდა. ხელისუფლებას სჭირდებოდა მხოლოდ შერჩეული ფაქტებისა და პროპაგანდისტული მითებისაგან შემდგარი ტექსტი, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში ამართლებდა და განამტკიცებდა კომუნისტური პარტიისა და იმ დროს არსებული მისი ლიდერის „ბრძნულ" პოლიტიკურ კურსს.

როგორ სწავლობდნენ საბჭოთა კავშირს დასავლეთში

საბჭოთა კავშირი მისი არსებობის მანძილზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა დასავლეთისთვის და მას, განსაკუთრებით „ცივი ომის" დროს, გულდასმით სწავლობდნენ. ამ პერიოდში დასავლეთში სპეციალური დისციპლინა – „სოვეტოლოგიაც" არსებობდა. მარტო აშშ-ში დაახლოებით 200 დიდი და პატარა სოვეტოლოგიური ცენტრი იყო შექმნილი. სოვეტოლოგებს მუშაობა რთულ პირობებში უხდებოდათ ინფორმაციის (სტატისტიკური, საარქივო) გასაიდუმლოებისა და საბჭოური დეზინფორმაციის გამო.

სოვეტოლოგებისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო იყო საბჭოთა კავშირში გამომავალი პრესა, სადაც „სტრიქონებს შორის" უნდა ეძებნათ აზრი, ასევე დაზვერვის მონაცემები და საექსპერტო შეფასებები.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება დახურული იყო, ჩამოყალიბდა სოვეტოლოგიის განშტოება – კრემლოლოგია, რომელიც ცდილობდა გარკვეულიყო, გადაწყვეტილებების მიღების დროს საბჭოთა პარტიული და სამეურნეო ზედაფენა რა პრინციპებითა და მეთოდებით ხელმძღვანელობდა.

შეიძლება დავასახელოთ ცნობილი სოვეტოლოგები: ზბიგნევ ბჟეზინსკი, ჯორჯ კენანი, სტივენ კოენი, კონდოლიზა რაისი, რიჩარდ პაიპსი, ლორენ გრეჰემი, მიხეილ ვოსლენსკი, აბდურახმან ავტორხანოვი და სხვები.

„ცივი ომის" დამთავრების შემდეგ აშშ-ში ინტერესი რუსეთის კვლევებისადმი მკვეთრად შემცირდა, თუმცა პუტინის პოლიტიკამ, განსაკუთრებით უკრაინაში შეჭრამ, დასავლეთისთვის რუსეთი კვლავ თავსატეხად აქცია.

ნოსტალგია საბჭოთა კავშირზე

საბჭოთა კავშირი მარტო წარსული არ არის, ის თანამედროვე პოლიტიკის ნაწილია. დღევანდელი რუსეთის ლიდერებს კვლავ აქვთ იმ ტერიტორიაზე დომინირების პრეტენზია, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო მოქცეული. რუსეთში „ველიკოდერჟავულად" განწყობილ მმართველებსა და საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა შემთხვევითობა იყო, შიდა და გარე „ბოროტი ძალების" ნამოქმედარი, თორემ მას თავისუფლად შეეძლო არსებობის გაგრძელება.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2005 წელს ფედერალური კრებისადმი მიმართვაში საბჭოთა კავშირის დაშლას „XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა" უწოდა. მისი თქმით, ათეულობით მილიონი თანამემამულე აღმოჩნდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც რუსი ხალხისთვის ნამდვილ დრამად იქცა. პუტინის თქმით, „ტერორისტულმა ინტერვენციამ დაარღვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა" და „დაშლის ეპიდემია თავად რუსეთსაც გადაედო". მისივე განცხადებით, არასწორია ყველა ამ პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმის განხილვა საბჭოთა სისტემის აგონიად.[1]

პუტინის ამ სიტყვებს მაშინვე გამოეხმაურნენ. „XX საუკუნის უდიდესი კატასტროფა იყო არა საბჭოთა კავშირის დაშლა, არამედ მისი შექმნა", – აღნიშნა „ფაინენშლ თაიმსის" მიმომხილველმა მარტინ ვულფმა.[2] პუტინის სიტყვები მოწმობდა იმას, რომ რუსეთი არ არის თავისუფალი იმპერიული ცნობიერებისაგან და საბჭოთა კავშირის დაშლა მისი მმართველი წრეებისათვის მიუღებელია.

საბჭოთა კავშირის დაშლის თემას პუტინი შემდგომშიც არაერთხელ დაუბრუნდა, კვლავ მიიჩნევდა მას გეოპოლიტიკურ კატასტროფად და ხაზს უსვამდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა სულაც არ იყო გარდუვალი. 2016 წლის 23 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში არჩეული პარტიების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს პუტინმა აღნიშნა, რომ უარყოფითად უყურებდა საბჭოთა კავშირის დაშლას და მიჩნევდა, რომ **„სულაც არ იყო აუცილებელი ამის გაკეთება"**. პუტინის აზრით, მაშინ საჭირო იყო რეფორმების გატარება, მათ შორის „დემოკრატიული ხასიათის ცვლილებების". საბჭოთა კავშირის დაშლაზე კი პასუხისმგებლობა დააკისრა კომუნისტურ პარტიას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ხელისუფლების სათავეში იყო.[3]

არ უნდა ვიფიქროთ, რომ პუტინს ენანება „სუფერენული სახელმწიფოების" კავშირი. პუტინს საბჭოთა კავშირი რუსეთის სახელმწიფოდ მიაჩნია, რომელიც „არასწორად იყო აგებული". 2016 წლის იანვარში პუტინმა გააკრიტიკა ლენინიც სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული პრინციპით აშენებისთვის. პუტინის თქმით, 1922 წელს სხვადასხვა გეგმით „ავტონომიზაციისა და ასე შემდეგ – ატომური ბომბი ჩადეს იმ შენობის საძირკველში, რომელსაც რუსეთი ეწოდება და ის შემდეგ აფეთქდა".[4]

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო საუბარი „საბჭოთა კავშირის აღდგენაზე", ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებაზე, რომლის ინიციატორადაც რუსეთი გამოდიოდა. „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" გვერდით 2014 წელს შეიქმნა „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი" (დღეისათვის მასში შედიან რუსეთი, ყაზახეთი, ბელორუსი, სომხეთი, ყირგიზეთი). საბჭოთა კავშირის ახალი ფორმით აღდგენას არ გამორიცხავდა საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი. „ასეთი კავშირის

---

[1] Владимир Путин: „Распад СССР – крупнейшая геополитическая катастрофа века"– 25 апреля 2005, — https://regnum.ru/news/444083.html

[2] Россия – „Венесуэла с ракетами"? – 11 мая 2005 г.,– http://news.bbc.co.uk/hi/russian/press/newsid–4535000/4535337.stm#3

[3] «Вы знаете, как я отношусь к развалу Советского Союза»– 23 сентября 2016 - https://regnum.ru/news/poli/2184253.html

[4] Создание СССР или за что Путин Ленина критиковал-24 января 2016 – http://demotivation.me/images/20111117/384yr13pkfc7.jpg

შექმნა სრულიად შესაძლებელია ძველ საზღვრებში და ძველი შემადგენლობით, თუმცა კავშირში გაწევრიანება ნებაყოფლობითი იქნება,"– აღნიშნავდა 2016 წელს გორბაჩოვი.[1]

ნეოიმპერიული ძალები ცდილობენ გამოიყენონ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არსებული ნოსტალგია საბჭოთა წარსულის შესახებ. საქართველოში, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აჩვენებს, საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. 2017 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 48%-ის აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის კარგი მოვლენა იყო, 42% კი ცუდ მოვლენად მიიჩნევდა. 10%-ს კი ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.[2] 2018 წელს ჩატარებული სხვა კვლევის თანახმად კი საქართველოს მოსახლეობის 15-20%-ს კვლავ საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვს.[3]

„საბჭოთა კავშირის აღდგენაზე" საუბარი პირობითია, რადგანაც არავინ აპირებს იმ ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების აღდგენას, რაც საბჭოთა კავშირს ახასიათებდა. „საბჭოთა კავშირის აღდგენაში", არსებითად, რუსეთის მიერ ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკების" მიერთება იგულისხმება. პუტინისა და მედვედევის რიტორიკაში საბჭოთა კავშირის აღდგენას სულ უფრო ენაცვლება ლაპარაკი „ისტორიული რუსეთის" და მისი ტერიტორიების შესახებ.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე ყველაფერი ცხადი გახადა. პუტინმა ღიად დაიწყო ბრძოლა „ისტორიული რუსეთის" აღსადგენად, რომელიც ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიას მოიცავს. უკრაინის მტკიცე წინააღმდეგობამ და უკრაინისადმი დასავლეთის მზარდმა მხარდაჭერამ პუტინის გეგმები ჩაშალა, მაგრამ იმპერიისთვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან უკვე სამ ათეულ წელზე მეტია გასული, მაგრამ იმპერიულ ძალებს ის არ დავიწყებიათ. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენას.

[1] გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის აღდგენას არ გამორიცხავს -13.12.2016 http://primenewsgeorgia.ge/com/news/view/13999

[2] *გამოკითხულთა 42 % მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყო – NDI– 12 მაისი 2017 –* http://reginfo.ge/politics/item/418-gamokitxulta-42-miichnevs%2C-rom-sabchota-kavshiris-dashla-zudi-movlena-iybo-%E2%80%93-ndi

[3] კვლევა: საქართველოს მოსახლეობის 15-20% კვლავ საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვს – 02 ივლისი 2018, https://imedinews.ge/ge/saqartvelo/68328/kvleva-saqartvelos-mosakhleobis-1520-kvlav-sabchota-kavshiris-nostalgia-aqvs

ნაწილი პირველი
ბოლშევიკები: გზა ხელისუფლებისკენ

საბჭოთა კავშირის შექმნა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის სახელით ხორციელდებოდა და ამ იდეოლოგიით აღჭურვილი კომუნისტური პარტიის „ბრძნული" საქმიანობის შედეგად მიიჩნეოდა. ამიტომ, სანამ საბჭოთა კავშირის ისტორიის ძირითად ეტაპებზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ უნდა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორი იყო ამ იდეოლოგიის უმთავრესი დებულებები, ვინ იყვნენ ბოლშევიკები და როგორ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში; როგორ ჩამოყალიბდა საბჭოთა სახელმწიფო, რომლის საფუძველზეც შემდეგ საბჭოთა კავშირი შეიქმნა.

თავი I.

ბოლშევიზმი როგორც იდეოლოგია და პრაქტიკა

1.1.სახელმწიფო სოციალიზმის იდეა

სახელმწიფო სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. მისი წარმომადგენლები თავს სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლებად და ლიბერალური ტრადიციის გამგრძელებლებად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, თუკი შეიძლებოდა ზრუნვა ადამიანთა პოლიტიკური თანასწორობის მიღწევაზე, მაშინ რატომ არ შეიძლებოდა ბრძოლა მათი ქონებრივი, სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის მისაღწევად? საკითხის ამგვარი დაყენება ამოსავალი დებულება იყო სახელმწიფო სოციალიზმისათვის.

სოციალისტებს სჯეროდათ, რომ შეიძლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტოტალური (ყოვლისმომცველი) დაგეგმვა, შესაძლებლად მიაჩნდათ ახალი, სრულყოფილი სოციალური მექანიზმის შექმნა. ეს იდეა გაგრძელება და განვითარება იყო ლიბერალების მცდელობისა, გონიერ საწყისებზე გარდაექმნათ საზოგადოება.

მომავალი სოციალური გადატრიალების მთავარ იარაღად ამ მიმართულების სოციალისტები მიიჩნევდნენ სახელმწიფოს, რომელსაც უნდა გაეუქმებინა კერძო საკუთრება, თავის ხელში მოექცია მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, პერიოდული კრიზისებით მოცული საბაზრო ეკონომიკა შეეცვალა გონივრული დაგეგმვით. სახელმწიფოს უნდა აღეზარდა „ახალი ადამიანი" – თავისუფალი ეგოიზმისაგან, დაემყარებინა სოციალური თანასწორობა.

მე-19 საუკუნეში სახელმწიფო სოციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფრანგები: ანრი სენ-სიმონი, ოგიუსტ ბლანკი, ლუი ბლანი, ეტიენ კაბე და გერმანელები: ვილჰელმ ვეიტლინგი, ფერდინანდ ლასალი და სხვები.

სახელმწიფო სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნეში მჭიდროდ დაუკავშირდა გერმანელი მოაზროვნეების კარლ მარქსის (1818-1883) და ფრიდრიხ ენგელსის (1820-1895) სახელებს. სწორედ მათ მოახდინეს გადამწყვეტი ზეგავლენა სახელმწიფო სოციალიზმის ჩამოყალიბებაზე მრავალ ქვეყანაში. მარქსიზმს თავის ოფიციალურ იდეოლოგიად მიიჩნევდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

1.2.ბოლშევიზმის როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმდინარეობის დახასიათება

სახელმწიფო სოციალიზმის რადიკალური ფორმა, რომელიც ისტორიაში შევიდა „ბოლშევიზმის" ან „კომუნიზმის" სახელით, ჩამოყალიბდა რუსეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში. კომუნიზმს, როგორც იდეურ მიმდინარეობას, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ბოლშევიკების მიერ ამ სახელწოდების მიღებამ ბოლშევიზმი და კომუნიზმი სინონიმებად აქცია.

ბოლშევიზმი წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიისაგან, მას უკავშირდებოდა იდეურად, მაგრამ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად და განაპირობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის ფორმირება. უფრო მეტიც, ამ იდეოლოგიის შესაბამისად ჩამოყალიბდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ევროპის სოციალისტური ქვეყნების, მონღოლეთის, ჩრდილოეთ კორეის, ვიეტნამის, ლაოსის, კუბის კომუნისტური რეჟიმები. 1980-იანი წლების შუა ხანებისათვის გამარჯვებული ბოლშევიზმის („მარქსიზმ-ლენინიზმის") დროშის ქვეშ ცხოვრობდა დაახლოებით 1,3 მილიარდი ადამიანი.

ბოლშევიზმის სინონიმია **ლენინიზმი.** ლენინი და ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ რადიკალიზმით როგორც არსებული რეჟიმის, ისე პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, ისინი უარს ამბობდნენ სხვა მიმდინარეობებთან თანამშრომლობაზე და მოქმედებდნენ პრინციპით: „ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია" ბოლშევიკები მკაცრად სტრუქტურირებულ და დისციპლინირებულ პარტიას წარმოადგენდნენ.

ბოლშევიზმის კიდევ ერთი ნიშანი მორალის თავისებური გაგება იყო. პრინციპი „მიზანი ამართლებს საშუალებას" ულაპარაკოდ ჰქონდათ გათავისებული. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ ნებისმიერი სტრატეგია, ნებისმიერი სიცრუე, დაემალათ სიმართლე. ყველაზე ამორალური მოქმედება მიიჩნეოდა კანონიერად და აუცილებლად, თუკი ეს, მათი აზრით, წაადგებოდა კომუნისტური რეჟიმის ინტერესებს. ეს მიდგომა ყველაზე კარგად ჩამოაყალიბა ლევ ტროცკიმ – „მათი მორალი და ჩვენი: მორალურია ყველაფერი ის, რაც ემსახურება რევოლუციას, ამორალურია ის, რაც ზიანს აყენებს რევოლუციას". რადგანაც პარტიის ხელმძღვანელებმა „მეცნიერულად" იცოდნენ, რა არის სასარგებლო რევოლუციისთვის და რა აყენებს მას ზიანს, ისინი იყვნენ „უმაღლესი მორალის" მატარებელნი – განასახიერებდნენ უმაღლეს ავტორიტეტს მეცნიერებასა და ეთიკაში.[1]

საბჭოთა კავშირი იყო სახელმწიფო სოციალიზმის საზოგადოება

ეს იყო **სოციალიზმი** – რადგანაც მოხდა წარმოების განსაზოგადოება, კერძო საკუთრების და მასზე დამყარებული კლასების ლიკვიდაცია.

ეს იყო **სახელმწიფო სოციალიზმი** – რადგანაც განსაზოგადოება იყო არა რეალური, არამედ მოჩვენებითი: საკუთრების განკარგვისა და ხელისუფლების ფუნქციებს ახორციელებდა პარტიულ-სახელმწიფო აპარატი, ანუ ნომენკლატურა და მნიშვნელოვანწილად – მის სათავეში მდგომი ბელადი. საბჭოთა კავშირში „სახელმწიფო სოციალიზმმა" მიიღო მკაფიოდ გამოხატული ტოტალიტარული ხასიათი.

1.3.ბოლშევიზმის დაბადება

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე, 1903 წელს, სოციალ-დემოკრატები, პარტიის ორგანიზაციის თაობაზე დისკუსიის დროს, ორ ნაწილად გაიყვნენ: მარტოვის მომხრეები იცავდნენ „რბილ" პოზიციას, რომლის თანახმადაც, პარ-

[1] Э.Морен. О природе СССР. Тоталитарный комлекс и новая империя. М., 1995, с.43

ტიის წევრი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი, ვინც კი იდეურად თანაუგრძნობდა პარტიას და მატერიალურად ეხმარებოდა მას; ლენინის მომხრეები იცავდნენ „მკაცრ“ პოზიციას – პარტიის წევრი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში, ანუ **პროფესიონალი რევოლუციონერები.** ლენინის მომხრეები ასევე მხარს უჭერდნენ ისეთი წესდების მიღებას, რომელიც პარტიაში მკაცრ დისციპლინას დაამყარებდა და ქვემდგომი ორგანოები ულაპარაკოდ დაემორჩილებოდნენ ზემდგომ ორგანოებს. ამ საკითხზე ლენინის მომხრეებმა ყრილობაზე ხმათა უმრავლესობა მიიღეს და მათ „ბოლშევიკები“ ეწოდათ, მარტოვის მომხრეებს კი – „მენშევიკები“. თანდათანობით ორივე ფრაქციამ დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება და ორ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა.[1]

ვლადიმერ ლენინის ფორმულირება:
რსდმპ წევრი შეიძლება იყოს ის, ვინც აღიარებს მის პროგრამას და პარტიას მხარს უჭერს როგორც მატერიალურად, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში.

იული მარტოვის (ცედერბაუმის) ფორმულირება:
რსდმპ წევრი შეიძლება იყოს პირი, ვინც იზიარებს მის პროგრამას და პარტიას ეხმარება მატერიალურად.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არ არსებობდა პრინციპული განსხვავება ისტორიის ან პროგრესის გაგებაში, ორივე თავის იდეოლოგიად მარქსის მოძღვრებას მიიჩნევდა. ბოლშევიზმის ძირეული განსხვავება მენშევიზმისა და მთლიანად სოციალ-დემოკრატიისაგან თავიდანვე ორგანიზაციულ პრინციპებში მდგომარეობდა. 1902 წელს ნაშრომში „რა ვაკეთოთ“ ლენინი ამტკიცებდა, რომ პარტია უნდა შემდგარიყო მხოლოდ პროფესიონალი რევოლუციონერებისგან, რომლებიც შეცვლიდნენ რუსეთის პოლიტიკურ სისტემას. „მომეცით რევოლუციონერთა პარტია და მე გადავატრიალებ რუსეთს!“ – წერდა ლენინი. ასეთი პოლიტიკა გულისხმობდა მკაცრ დისციპლინას პარტიის შიგნით, მისი წევრების ულაპარაკო მორჩილებას პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ბოლშევიკების მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება საპარლამენტო სისტემისადმი, თავისუფალი არჩევნების იდეისადმი, მუშაობის ლეგალური მეთოდებისადმი, ადამიანის უფლებებისადმი, საზოგადოების მართვაში მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების მონაწილეობისადმი.

დასავლეთ ევროპაში სოციალ-დემოკრატია მრავალ ქვეყანაში თანდათან შეეზარდა ლიბერალურ წყობას, მონაწილეობდა საპარლამენტო არჩევნებში და ღებულობდა ლიბერალურ და დემოკრატიულ იდეებს, რუსეთში კი ამისთვის, უბრალოდ, პირობები არ არსებობდა. მართალია, 1905-1907 წლების რევოლუციის შედეგად რუსეთში მუშაობა დაიწყო პარლამენტმა – სახელმწიფო სათათბირომ, მაგრამ მას რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა და ყველაფერს მონარქიული რეჟიმი აკონტროლებდა. ეს დამატებით არგუმენტს აძლევდა ბოლშევიკებს, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლა მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლებოდა.

ბოლშევიკები, სოციალ-დემოკრატების მსგავსად, ლაპარაკობდნენ, რომ პარტიამ უნდა „აღზარდოს მასები“, მოამზადოს ისინი სოციალიზმისათვის, მაგრამ უკიდურესობ-

[1] ბოლშევიზმის შესახებ ლენინი ამბობდა: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“. შემდგომ, ერთ პარტიაში ყოფნის პერიოდში, ლენინი და მისი მომხრეები ხშირად უმცირესობაში იყვნენ, მაგრამ მათ დაუმკვიდრდათ პოლიტიკურად მომგებიანი სახელი „ბოლშევიკები“.

ამდე მიჰყავდათ ეს იდეა. ისინი თავს აცხადებდნენ „აღმზრდელობითი დიქტატურის“ მომხრეებად, რომელიც მოწოდებული იყო შეექმნა „ახალი ადამიანი“.

დიდი როლი ბოლშევიზმის ჩამოყალიბებაში შეასრულა ლენინისა და მისი თანამებრძოლების პიროვნულმა თვისებებმა. შეიძლება ითქვას, რომ ესენი იყვნენ განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანები. მათ ახასიათებდათ მბრძანებლობისა და ხელისუფლებისაკენ მიდრეკილება, მათთვის უცხო იყო რაიმე საზოგადოებრივი ან მორალური სენტიმენტალობა და მზად იყვნენ, ყველა საშუალება გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური პროგრამის პრაქტიკულად განსახორციელებლად.

ქართველი მოღვაწეები ბოლშევიკური რეჟიმის შესახებ

ნოე ჟორდანია (1868-1953): „...ყველა რეჟიმთა შორის ბოლშევიზმი ყველაზე უფრო გაუღენთილია სამხედრო სულით, აფრიალებული აქვს ომის დროშა. საბჭოთა რეჟიმის გავრცელება ხიშტით – ეს მისი თანდაყოლილი დოქტრინაა. მან ეს განახორციელა საქართველოში, კავკასიის სხვა რესპუბლიკებში, უკრაინაში და სხ.“

„ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1933, N 31

შალვა ამირეჯიბი (1887-1943): „არსებობს ოცდათვრამეტი განმარტება, როგორი უნდა იყოს რევოლუცია და საუკეთესოც მათში არაფრად არ ვარგა. ბოლშევიზმი მხოლოდ უსაძაგლესი ფორმაა მისი. ბოლშევიზმი არ არის ფიქრი მონინავე პიროვნებისა, ის არის ბუნება ჩამორჩენილ ადამიანისა. არც ის არის შემთხვევითი, რომ იგი რუსეთში მოხდა. უფრო ნაკლებ შემთხვევითია, რომ მისი ბელადი ლენინი იყო. „მსოფლიო რევოლუციის ბელადის“ დაბადების ორმოცდაათი წლისთავზედ მისმა შეგირდებმა წიგნი გამოსცეს. მადლობა ღმერთს – იცნობდნენ მასაც და მის ცხოვრებასაც. მაგრამ ერთსაც ვერ წამოსცდა ისეთი რამ შესანიშნავი ან მის ხასიათში, ან მის ცხოვრებაში, რომელიც ამ კაცის მართლა მაღალ თვისებებზეც გვითითებდეს. სხვებზედ მოსწრებული ისევ ქართველი მიხა ცხაკაია გამოდგა. ყველაზე თვალსაჩინო ლენინის ცხოვრებაში, ცხაკაიამ ის დაინახა, რომ ლენინი პარიზის კომუნაზედ ერთი წლით ადრეა დაბადებული. ერთი წელი განსხვავება ვერაფერი „ნიშანია“. ლენინს ეს არ ესმოდა და მისი განხორციელება რუსეთში მოინდომა. უფრო დიდი შეცდომა ლენინისა ის იყო, რომ განიზრახა რა სოციალიზმის დამყარება, ნაეჩხუბა ევროპის ყველა სოციალისტებს. მიუხედავად ამისა, მაინც ევროპის რევოლუციის მოლოდინში იყო და დაემართა ის, რაც დაემართა მელას, რომელიც ცხვარს აედევნა: არიქა, დუმა დავარდებაო! ცხვარს დუმა არ დავარდა და მაშინ, ბოლშევიზმი ევროპიდან აზიაში გადავარდა...“

შალვა ამირეჯიბი. თხზულებანი, წიგნი მეორე, თბილისი, 1998, გვ.229

1.4.ბოლშევიკების მოსვლა ხელისუფლების სათავეში

მარქსისტების ხედვით, საზოგადოება პროგრესის გზით ვითარდება და ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადადის. გამოყოფდნენ ხუთ თანმიმდევრულ ფორმაციას: პირველყოფილი, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომუნისტური. მეფის რუსეთი, მათი აზრით, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ნაზავს წარმოადგენდა, სადაც კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა ფეოდალიზმის მრავალრიცხოვანი გადმონაშთები, პირველ რიგში, მეფის თვითმპყრობელობის არსებობა. ამიტომ უპირველეს ამოცანად მიიჩნეოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განხორციელება და დემოკრატიული თავისუფლებების მოპოვება. ასეთი იყო რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია, რომელმაც მარცხი განიცადა.

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთს მარცხი და ეკონომიკური კრიზისი მოუტანა. შედეგად წარმატებული აღმოჩნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, როდესაც რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგა და ხელისუფლება ე. წ. **დროებითი მთავრობის** ხელში გადავიდა. ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალები, მათ შორის სოციალისტები (სოციალისტ-რევოლუციონერები, მენშევიკები) თვლიდნენ, რომ გადასაწყვეტია დემოკრატიული ამოცანები და რუსეთში უნდა დამყარებულიყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილება. რუსეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო სოციალისტური რევოლუციის განხორციელება მათ შეუძლებლად მიაჩნდათ. ასეთი რევოლუციისა და სოციალიზმისკენ წინსვლის ინიციატორი დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები უნდა ყოფილიყვნენ. დროებითმა მთავრობამ რუსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების განსაზღვრისათვის, ანუ კონსტიტუციის შესამუშავებლად, დამფუძნებელი კრება მოიწვია.

მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ბოლშევიკები ლენინის ხელმძღვანელობით. ლენინს მიაჩნდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის დიდი დროითი შუალედი არ უნდა ყოფილიყო და დაუყოვნებლივ უნდა ეცადათ სოციალისტური რევოლუციის განხორციელება.[1] მისი აზრით, რუსეთი, სწორედ თავისი ჩამორჩენილობის გამო, „სუსტი რგოლი" იყო „მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვში" და შესაძლებელი იყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის რუსეთიდან დაწყება.

იმის გამო, რომ დროებითმა მთავრობამ მალე გაუცრუა იმედები მოსახლობის დიდ ნაწილს, ბოლშევიკების მხარდამჭერთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) მათ პეტროგრადში განახორციელეს სამხედრო გადატრიალება და დაამხეს დროებითი მთავრობა. მათ მოკავშირეებად პირველ ხანებში მემარცხენე ესერები გამოდიოდნენ, ბოლშევიკებმა 1918 წლის 6 იანვარს გარეკეს წინა დღეს შეკრებილი დამფუძნებელი კრებაც, რადგანაც მან უარი განაცხადა, დაემტკიცებინა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტები. დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკებს უმრავლესობა არ ჰყავდათ: დამფუძნებელი კრების 703 არჩეული დეპუტატიდან 229 იყო ესერი, 168 – ბოლშევიკი, 39 – მემარცხენე ესერი, 17 – კადეტი, 16 – მენშევიკი.

1.5.საბჭოთა წყობილება

მარქსისტული შეხედულების თანახმად, სოციალისტური რევოლუციის შემდეგ უნდა დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურა, – ხელისუფლება უნდა გადასულიყო გამარჯვებული პროლეტარიატის ხელში. ამ საკითხზე მარქსს ბევრი არაფერი დაუნერია, პროლეტარიატის დიქტატურის ფორმად კი მიიჩნია პარიზის კომუნა (არსებობდა 1871 წელს).

რუსეთში ბოლშევიკების მოსვლა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებად გამოცხადდა, თუმცა, რეალურად, ის ბოლშევიკური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ვიწრო ჯგუფის დიქტატურა იყო. ლენინმა პროლეტარიატის დიქტატურის, ანუ სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლად **საბჭოები** გამოაცხადა, რომლებიც რიგ ადგილებში მუშებმა შექმნეს რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907) დროს.

საბჭოები იყო მუშებისა და გლეხების „თვითმმართველი მასობრივი ორგანიზაცია", რომელიც უარყოფდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გამიჯვნას. საბჭოები გარეგნულად დემოკრატიული ორგანო იყო, მაგრამ არჩევნების დროს ერთი მუშის ხმა რამდენიმე გლეხის ხმას უდრიდა, ე. წ. ექსპლუატატორული კლასები კი ხმის უფლე-

[1] ამ საკითხში ლენინი დაუახლოვდა ლევ ტროცკის, რომელიც თავის „პერმანენტული რევოლუციის" თეორიაში ამტკიცებდა, რომ რევოლუციურ ეტაპებს შორის დიდი შუალედი არ უნდა ყოფილიყო.

ბას მოკლებული იყვნენ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დამკვიდრდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, როდესაც „მტრული კლასები“ ფიზიკურად ლიკვიდირებული იყო.

რაც შეეხება არჩევნებს, ის ფიქტიური ხასიათის იყო, რადგანაც ირჩევდნენ ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ კანდიდატებს. საბჭოები სხვადასხვა დონის იყო, იერარქიული პრინციპით – ადგილობრივი, სარაიონო, საოლქო და რესპუბლიკური. საბჭოები პარლამენტისგან განსხვავებით, მუდმივმოქმედი ორგანოები არ იყო და მოკლე დროით იკრიბებოდნენ სესიებზე. მუდმივმოქმედი ორგანო პრეზიდიუმი იყო, რომელსაც უმაღლესი საბჭო ირჩევდა. საბჭოები რაიმე არსებით როლს არ ასრულებდნენ ქვეყნის მართვაში.

საბჭოთა სისტემაში ყველაფერს განაგებდა კომუნისტური პარტია. რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის მარტში, რსდმპ (ბ) VII ყრილობაზე ლენინმა თავის პარტიას სახელი შეუცვალა და სოციალ-დემოკრატიულის ნაცვლად რუსეთის კომუნისტური უწოდა, რომელსაც ფრჩხილებში დიდხანს ემატებოდა სიტყვა „ბოლშევიკების“. ეს იყო გამიჯვნა ევროპისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატებისაგან, მათი ზომიერებისა და კომპრომისებისადმი მიდრეკილების გამო.[1]

კომუნისტური პარტია, რეალურად, **პარტია-სახელმწიფო** იყო. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების პარალელურად არსებობდა მკაცრად ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის ტერიტორიული ორგანოები, რომელთა ხელშიც თავმოყრილი იყო რეალური ძალაუფლება. საბჭოთა კონსტიტუციაში არსებობდა მუხლი კომუნისტური პარტიის „ხელმძღვანელი და ნარმმართველი როლის“ შესახებ, მაგრამ ის, რომ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს კომუნისტური პარტია ასრულებდა, ეს არსად იყო განერილი და საბჭოთა სისტემის „არაფორმალურ რეალობას“ წარმოადგენდა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ბოლშევიკური პარტია კიდევ უფრო რადიკალური გახდა. 1919 წლის მარტში მიღებულ კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ „ნათელი მომავლისაკენ“ გზის გასაკაფად სრულად უნდა აემოქმედებინათ პროლეტარული სახელმწიფოს მთელი ძალა. ეს გახდა ყველა სფეროს მართვის უკიდურესი ცენტრალიზების საფუძველი. სახელმწიფოს დაუქვემდებარეს სამოქალაქო საზოგადოების ყველა სტრუქტურა. არ არსებობდა დამოუკიდებელი სასამართლო, პრესა, პროფკავშირები და ა. შ.

ასევე, კანონმდებლობის დონეზე არასოდეს ყოფილა დაფიქსირებული, მაგრამ საბჭოთა სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ტერორი, რომელსაც სახელმწიფო იყენებდა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად, მათ წინააღმდეგაც, რომლებიც, რეჟიმის აზრით, შეიძლება ოდესმე ბოლშევიკურ რეჟიმს დაპირისპირებოდნენ. ტერორი და რეპრესიები საშუალებას აძლევდა სისტემას, მორჩილებაში ჰყოლოდა როგორც მმართველობითი აპარატი, ისე მილიონობით რიგითი ადამიანი. თავიდან ტერორს ახორციელებდნენ „საგანგებო“ დამსჯელი ორგანოები, შემდეგ კი შეიქმნა რეპრესიებზე პასუხისმგებელი სპეციალური სახელმწიფო უწყებები.

საბჭოური მმართველობის სისტემა მოხერხებული ინსტრუმენტი იყო კომუნისტური პარტიის ხელში იმ პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც მისი იდეოლოგიიდან გამომდინარეობდა. ხელისუფლების სათავეში მოსული კომუნისტური მმართველობა შეიძლება ორი სიტყვით დავახასიათოთ – დიქტატურა და ტერორი.

---

[1] ბოლშევიკები ფრაქციის სახით არსებობდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში (რსდმპ), 1917 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდნენ ცალკე პარტიად სახელწოდებით – რსდმპ (ბოლშევიკების), 1918 წლის მარტში დაერქვა რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების), საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ დაერქვა ალკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების), 1952 წლის ოქტომბერში, პარტიის მე-19 ყრილობაზე, მის სახელწოდებაში სიტყვა „ბოლშევიკების“ გაქრა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეწოდა.

1.6. „წითელი ტერორი“ ციფრებსა და ფაქტებში

ტერორი თავიდანვე კომუნისტური რეჟიმების ერთ-ერთი ფუნდამენტური განზომილება იყო. ტერორი – მასობრივი დანაშაული სახელმწიფოს მართვის სისტემად აქციეს.[1] აღსანიშნავია, რომ 1917 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის მუშათა და დეპუტატთა საბჭოების II ყრილობამ სიკვდილით დასჯა გააუქმა.

1917 წლის 20 დეკემბერს რსფსრ სახკომსაბჭომ ლენინის ინიციატივით შექმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია „კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად“ მისი თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკი (1877-1926) გახდა. სიტყვა „საგანგებო“ დროებითს რომ არ ნიშნავდა, მალევე გახდა ცხადი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობა „ჩეკას“ გარეშე ნარმოუდგენელი იყო.

ჩეკას არსებობის პირველი წლებიდან ამ უწყების თანამშრომლები ადვილად მიდიოდნენ სიყალბეზე და იგონებდნენ სხვადასხვა „შეთქმულებებს“, რომელთა ვითომ მონაწილეებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

1918 წლის 21 თებერვალს ჩეკისტებმა უფლება მიიღეს, „მტრები“ სასამართლოს გარეშე დაეხვრიტათ.

1918 წლის 5 სექტემბერს, ლენინზე თავდასხმისა და პეტროგრადის ჩეკას ხელმძღვანელის მოისეი ურიცკის მოკვლის გამო, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს „წითელი ტერორი“ და პირველივე თვეს ათასობით ადამიანი დახვრიტეს. მარტო ლენინზე თავდასხმის გამო სიკვდილით დასაჯეს 512 „ბურჟუაზიული მძევალი“

1917 წლის დეკემბრიდან 1919 წლის ჩათვლით „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ“ სიკვდილით დასაჯა მეფის მთავრობისა და დროებითი მთავრობის 10 ყოფილი მინისტრი, რუსეთის იმპერიის 16 ყოფილი გუბერნატორი, 79 ყოფილი გენერალი და ადმირალი, სახელმწიფო სათათბიროს 10 ყოფილი დეპუტატი, რომანოვების სამეფო ოჯახის 17 ნევრი (მათ შორის არასრულწლოვნებიც).

ცნობილი ჩეკისტის მარტინ ლაცისის მონაცემებით, 1918-1919 წლებში წითელი ტერორის ფარგლებში დააპატიმრეს 86.893 ადამიანი, ციხეში ჩასვეს 34.334; მძევლად აიყვანეს 13.111; საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს 9.498; დახვრიტეს 8.389.

1917-1922 წლებში ჩეკას „რევოლუციური ტრიბუნალების“ მეშვეობით და სასამართლოს გარეშეც დახვრიტეს ან წამებით მოკლეს 140.000 ადამიანი.

ჩეკისტები უზრუნველყოფდნენ საბჭოთა გაბატონებული კლასის – ნომენკლატურის უსაფრთხოებას და ხელშეუხებლობას. ნომენკლატურის რაოდენობა კი სწრაფად იზრდებოდა: 1922 წელს ნომენკლატურულ მუშაკთა რაოდენობა 15.325 შეადგენდა, 1925 წელს – 25 ათასს, 1939 წელს კი – თითქმის 200 ათასს.

1919 წლისათვის ჩეკისტების რაოდენობა 37 ათასს აღწევდა, 1921 წელს კი მათმა რიცხვმა 261 ათასს მიაღწია. ეს აღემატებოდა ჟანდარმების რაოდენობას მეფის რუსეთში.

ჩეკისტების ფორმა ტყავის შავი ქურთუკი გახდა. მეფის რუსეთის არმიაში ასეთი ქურთუკები მფრინავებსა და მოტოციკლისტებს ეცვათ. საწყობებში მრავლად იყო ასეთი ქურთუკები და ჩე-

[1] კომუნიზმის შავი წიგნი. დანაშაულები, ტერორი, რეპრესია. თბ., ილიაუნი, 2011, გვ.12-13

კისტებმა მათი რეკვიზიცია მოახდინეს. აღსანიშნავია, რომ ტყავის ქურთუკები ინგლისელების ნაჩუქარი იყო.

ჩეკისტებს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდათ. ამ უწყებაში შეიმუშავეს სპეციალური მეთოდიკა, თუ როგორ უნდა მოეკლათ თავში ერთი გასროლით ადამიანი ისე, რომ მუნდირი არ დასვროდათ. ჩეკისტ ვასილი ბლოხინს თავისი ხელით ჰყავდა მოკლული 10 ათასზე მეტი ადამიანი. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე რუსეთის იმპერიაში 1721-1917 წლებში სიკვდილით დასჯილთა რაოდენობა. ჩეკისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფსიქიკური პრობლემების წინაშე დგებოდა და ეს „პროფესიულ ავადმყოფობად" ექცათ. 1920-იან წლებში ბევრი ჩეკისტი ნარკოტიკებს იყენებდა, 1930-იან წლებში კი ალკოჰოლს ეძალებოდნენ.

მრავალი ჩეკისტი თავად დახვრიტეს კოლეგებმა როგორც „ხალხის მტრები". კითხვაზე, თუ რაში მდგომარეობდა მათი დანაშაული, ღებულობდნენ პასუხს, რაც თავადაც უთქვამთ თავის დაპატიმრებამდე: „თქვენს დანაშაულს ამტკიცებს თავად თქვენი დაპატიმრების ფაქტი".

1922 წლის დეკემბერში „ჩეკას" 5 წლისთავის იუბილეზე პოლიტბიუროს წევრმა და მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ ლევ კამენევმა აღნიშნა, რომ ჩეკისტები ყველა ბრძანებას უყოყმანოდ ასრულებდნენ და შემდგომშიც ბოლშევიკურ პარტიას ამის იმედი ჰქონდა. წლების შემდეგ ჩეკისტებმა ასევე უყოყმანოდ შეასრულეს თავად კამენევის დახვრეტის ბრძანება.

„ჩეკას" ცენტრალური აპარატი სწრაფად იზრდებოდა: 1918 წ. იყო 42 თანამშრომელი, სექტემბერში – 779, 1921 წ. – 1648 თანამშრომელი, 1922 წ. იანვარში – 2735. ამასთან ძერჟინსკი ჩეკაში რეგულარულად „წმენდის" ჩატარებას მოითხოვდა. 1922 წ. ჩეკაში 1918 წ. გაწვეულთაგან არა უმეტეს 4% იყო დარჩენილი.

თავი II.

ბოლშევიკები და „ეროვნული საკითხი“

2.1. ეროვნული საკითხის მარქსისტული ხედვა

მარქსისტული დოქტრინის თანახმად, მთავარი იყო კლასობრივი ბრძოლა და „მუშათა კლასის განთავისუფლება“, რასაც კომუნიზმის დამყარება მოჰყვებოდა. მასთან შედარებით „ეროვნული საკითხი“ (ანუ ხალხებს შორის არსებული წინააღმდეგობები, დიდი ერების მიერ პატარა ერების დაპყრობა და ჩაგვრა) მეორეხარისხოვანი იყო. ეროვნული საკითხის გადაჭრა, მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა სოციალისტურ რევოლუციას, ანუ პროლეტარიატის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე და სოციალიზმის მშენებლობას.

მარქსიზმის მიხედვით, ერი ისტორიული კატეგორია იყო. სოციალიზმზე გადასვლასთან ერთად არა მარტო გაქრებოდა კლასებს შორის განსხვავება, არამედ გაქრებოდა ეროვნული წინააღმდეგობები და თავად ეროვნული განსხვავებებიც. მარქსიზმის თანახმად, კომუნიზმის დროს ერებიც არ იარსებებდნენ. შესაბამისად, ეროვნული საკითხი „ტაქტიკის საკითხი“ იყო და არა სტრატეგიის. ამ ხედვიდან გამომდინარეობდა ქართველი მარქსისტების ნიჰილისტური დამოკიდებულებაც ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისადმი.

2.2. ბოლშევიკების დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი

რუსეთის იმპერიაში, რომელშიც 200-მდე ერი და ეროვნება ცხოვრობდა და რომელსაც თავად ლენინმა „ხალხთა საპყრობილე“ უწოდა, ეროვნული საკითხი უაღრესად მწვავედ იდგა. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ პარტიას უნდა ჰქონოდა ეროვნული საკითხის საკუთარი ხედვა. ბოლშევიკები, როგორც მარქსისტები, იზიარებდნენ მარქსიზმის ძირითად დებულებებს ერისა და ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბოლშევიკები აღიარებდნენ ე. წ. „ერთა თვითგამორკვევის უფლებას“, ანუ დაპყრობილი ერის უფლებას, თავად განესაზღვრა საკუთარი ბედი, მოეთხოვა ავტონომია, ანდა, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუმცა, ამ უფლების პარტიულ პროგრამაში აღიარებასთან ერთად, მის რეალიზებას რუსეთის სახელმწიფოდან გამოყოფისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის სახით უარყოფითად უყურებდნენ. ლენინისა და სხვა ბოლშევიკების განცხადებით, მხოლოდ „დიდი სახელმწიფო“ უზრუნველყოფდა პროგრესს და ხელსაყრელი იყო მშრომელებისთვის.

ლენინი ისევე, როგორც მარქსი და ენგელსი, უნიტარისტი იყო. მისი თქმით, დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფო „უდიდესი წინგადადგმული ისტორიული ნაბიჯი იყო შუა საუკუნეების დაქსაქსულობიდან ყველა ქვეყნის მომავალი სოციალისტური ერთიანობისაკენ“. ლენინი 1913 წელს ნერდა: „სანამ სხვადასხვა ერები ერთიან სახელმწიფოს შეადგენენ, მარქსისტები არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ მხარს არც ფედერაციას და არც დეცენტრალიზაციას“.

ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებასთან ერთად, ბოლშევიკები ქადაგებდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმსაც, – სხვადასხვა ერის მშრომელთა სოლიდარობასაც, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებად ერთიანი სახელმწიფოს უპირობო მხარდაჭერა მიაჩნდათ. სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, პროგრესი უნდა გამოხატულიყო სხვადასხვა ტიპის საკავშირო სახელმწიფოებიდან ერთიან რესპუბლიკად გაერთიანებაში, მისგან კი უნდა გადასულიყვნენ არასახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ მმართველობაზე.

2.3. ეროვნული საკითხის „ბოლშევიკური" გადაწყვეტა: 1918–1921 წლები

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ერთიანი სახელმწიფო, ფაქტობრივად, დაინგრა, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბება დაიწყო სხვადასხვა ეროვნულმა სახელმწიფომ. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. ბოლშევიკები იძულებულნი გახდნენ, სიტყვიერად მაინც სხვა მიდგომა დაეფიქსირებინათ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. უკვე შეუძლებელი იყო „დიდი სახელმწიფოს უპირატესობების" განცხადებით შემოფარგვლა და ამით ეროვნული საკითხის იგნორირება, მაშინ როდესაც ზოგიერთმა ერმა პრაქტიკულად დაიწყო ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზება, ზოგიერთმა კი – დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშენებლობაც. ამავე დროს, ბოლშევიკებს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ძალზე სჭირდებოდათ ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ეროვნებების მხარდაჭერა.[1]

1917 წლის 3 ნოემბერს, ბოლშევიკური რევოლუციის პირველსავე დღეებში, მიიღეს რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია, რომლის ძალითაც მათ თვითგამორკვევის უფლება მიენიჭათ, რუსეთიდან გასვლის ჩათვლით, თუმცა ცხადი იყო, რომ ბოლშევიკები ამ უფლების გამოყენების წინააღმდეგი იყვნენ.

ამასთან დაკავშირებით ქართველი პოლიტემიგრანტი ივანე ნანუაშვილი (1902-1974) ბოსტონში 1956 წელს გამოცემულ ნაშრომში აღნიშნავდა: „პირველად სახელწოდება განვიხილოთ: რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია. როგორც ამბობენ, ხალხებს მიენიჭათ გამოყოფის უფლება, თუმცა ისინი რუსეთის მფლობელობაში რჩებიან და მას ექვემდებარებიან. ამ პოლიტიკურ ქიმერას კონკრეტული მიზანი და ფუნქციები აქვს. ავტორებს მშვენივრად ესმით, როგორ უნდა გამოიყენონ იგი თავის სასარგებლოდ. ფაქტობრივად, დეკლარაციის თითქმის ყველა კომენტარსა თუ განმარტებაში საბჭოთა ხელისუფლება ექსკლუზიურ უფლებას იტოვებს, ეს პრინციპი ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისათვის თვითონ განმარტოს. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ამ უფლებას არავის გამოაყენებინებდნენ სსრკ-სა თუ რუსეთის ფედერაციაში.[2]

ლენინმა დაინახა „სოციალისტური პროლეტარული სახელმწიფოს ტერიტორიის მკვეთრად შემცირების" საფრთხე, ამიტომ ბოლშევიკების ლიდერი უცბად გახდა ფედერალიზმის აქტიური მომხრე. ლენინისთვის ფედერაცია იყო არა სახელმწიფოს დანაწილების, არამედ უკვე დაშლილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნების გზა. მისთვის ეს იყო „სრული ერთობისაკენ" მიმავალი გარდამავალი ეტაპი.

1918 წლიდან ბოლშევიკებმა კურსი აიღეს ფედერალიზმზე, როგორც სახელმწიფოს მონყობის ახალ ფორმაზე ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელი ტერიტორიისთვის, მაგრამ, ამავე დროს, ხაზს უსვამდნენ ამ ფორმის ტაქტიკურ, დროებით ხასიათს. მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ „იძულებითი ცენტრალისტური უნიტარიზმი" შეცვლილიყო „ნებაყოფლობითი ფედერალიზმით", იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში მას ადგილი დაეთმო „ნებაყოფლობითი სოციალისტური უნიტარიზმისათვის".

სამოქალაქო ომის პერიოდში თეთრები გამოდიოდნენ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" ლოზუნგით, ბოლშევიკები კი აქტიურად საუბრობდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპსა და ფედერალიზმზე, რამაც ბოლშევიკებს ეროვნული მოძრაობების მხარდაჭერა მოუტანა.

---

[1] 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო, ეღიარებინა პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობა, 1918 წლის მარტში, ბრესტის ზავის პირობით, – უკრაინის, 1918 წლის აგვისტოში კი, ბრესტის ზავის დამატებითი პუნქტით, – საქართველოს დამოუკიდებლობა. 1918 წლის 3 დეკემბერს აღიარეს კომუნისტური ესტონეთის, 27 დეკემბერს კი კომუნისტური ლატვიისა და ლიტვის დამოუკიდებლობა, 1919 წლის 5 თებერვალს აღიარეს ბელორუსიის კომუნისტური რესპუბლიკა.

[2] ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ, თბ., 2012, 146.

კომუნისტების მიერ მიღებულ რუსეთის სფსრ 1918 წლის კონსტიტუციაში ფედერაცია, როგორც სახელმწიფოს მოწყობის ფორმა, მხოლოდ დეკლარირებული იყო, ფაქტობრივად კი იქმნებოდა უნიტარული სახელმწიფო, რომელიც ერთი ცენტრიდან იმართებოდა. მმართველი ძალა – ბოლშევიკური პარტია ერთიანი და ცენტრალიზებული იყო, ყველა ავტონომიას და „სუვერენულ რესპუბლიკას" ეს პარტია ედგა სათავეში და მოსკოვიდან იღებდა მითითებებს.

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში 1918–1922 წლების განმავლობაში მრავალი ავტონომიური ერთეული შეიქმნა. მათ სხვადასხვა იერარქიული სტატუსი ჰქონდათ – ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, შრომითი კომუნა. შედარებით „მოზრდილი" პატარა ერები ავტონომიის სტატუსს იღებდნენ, უფრო „პატარები" – ავტონომიური ოლქის. მათი ჩამოყალიბება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ქვემოთ მოტანილ ცხრილშია გადმოცემული:

წელი და თვე	ავტონომიური ერთეული
1918 წელი, აპრილი	თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ასსრ)
1918 წელი, ოქტომბერი	ვოლგისპირეთის გერმანელთა შრომითი კომუნა
1919 წელი, მარტი	ბაშკირეთის ასსრ
1920 წელი	თათრეთის ასსრ კარელიის შრომითი კომუნა ჩუვაშეთის ავტონომიური ოლქი (აო) ყირგიზეთის (1925 წლიდან ყაზახეთის) ასსრ ვოტის (1932 წლიდან უდმურტეთის) აო მარიელთა აო ყალმუხეთის აო დაღესტნისა და მთიელთა ასსრ
1921 წელი	კომი (ზირიანის) აო ყაბარდოს აო ყირიმის ასსრ
1922 წელი	ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო მონღოლ-ბურიატთა აო ყაბარდო-ბალყარეთის აო იაკუტიის ასსრ ოიროტიის (1948 წლიდან მთიანი ალტაის) აო ჩერქეზეთის (ადიღეს) აო ჩეჩენთა აო

1922 წლის ბოლოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში (რსფსრ) იყო 19 ავტონომიური რესპუბლიკა და ოლქი, ასევე 2 ეროვნული ნიშნით შექმნილი კომუნა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ბევრი არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისაგან და ცენტრთან მიმართებაში ერთნაირად უუფლებონი იყვნენ.

2.4. სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვება და საბჭოთა სისტემის ტერიტორიული გაფართოება

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაშლილ სამოქალაქო ომში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი „თეთრი მოძრაობა" მოკლებული იყო მასების მხრიდან მხარდაჭერას. „ძველი რუსეთის" აღდგენის ლოზუნგი მიუღებელი იყო გლეხობისათვის, რომელსაც ეშინოდა ბოლშევიკე-

ბის მიერ მიცემული მიწის დაკარგვისა, და ეროვნული უმცირესობებისთვის, რომლებიც „ძველ რუსეთში“ მხოლოდ ჩაგვრის ინსტრუმენტს ხედავდნენ.

ბოლშევიკები არ ცნობდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და მათ „ბურჟუაზიულ“, „კონტრრევოლუციურ“ წარმონაქმნებად მიიჩნევდნენ. შეიძლება, ტაქტიკური მოსაზრებების გამო, მოსკოვის ბოლშევიკურ ხელისუფლებას მათი დამოუკიდებლობა ეღიარებინა, მაგრამ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ, თავს ესხმოდნენ და ძალით გასაბჭოებას ცდილობდნენ.[1]



სამოქალაქო ომში წარმატებებთან ერთად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტერიტორია, რომელსაც საბჭოთა რეჟიმი აკონტროლებდა და მან 1921 წლისათვის ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოიცვა.[2] მართალია, ამ ტერიტორიის (90%) და მოსახლეობის (70%) დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ მის გარეთ არსებობდნენ მოსკოვის კონტროლის ქვეშ მყოფი „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკები: ბელორუსია, უკრაინა, აზერბაიჯანი (საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს 1920 წლის აპრილში), სომხეთი (1920 წლის ნოემბერი), საქართველო (1921 წლის თებერვალ-მარტი). შუა აზიაში არსებობდა ხორეზმის (1920 წლის თებერვლიდან) და ბუხარის (1920 წლის ოქტომბრიდან) სახალხო საბჭოთა რესპუბლიკები.

შორეულ აღმოსავლეთში 1920 წელს შეიქმნა „ბუფერული“ (იაპონიასთან კონფლიქტი რომ თავიდან აეცილებინათ) შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა. ამ „სახელმწიფომ“ იარსება 1920 წლის 6 აპრილიდან 1922 წლის 15 ნოემბრამდე. ის მოიცავდა ამურისპირა, ბაიკალისიქითა, კამჩატკის, ზღვისპირა და სახალინის ოლქებს. 1921 წლის 22 აპრილს ბაიკალისპირეთში შეიქმნა ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური ოლქი.

შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ისტორია ხანმოკლე აღმოჩნდა – აშშ-ის ზეწოლის, ვაშინგტონის კონფერენციაზე (1921-1922) დიპლომატიური იზოლაციისა და შიდაპოლიტიკური სირთულეების გამო, იაპონია იძულებული გახდა თავისი ჯარი გაეყვანა შორეული აღმოსავლეთიდან. 1922 წლის 25 ოქტომბერს ვლადივოსტოკში შევიდნენ წითელი არმიის ნაწილები, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკამ კი მალე „თვითლიკვიდაცია“ გამოაცხადა. 1922 წლის 15 ნოემბერს ყოფილი შორეული

---

[1] ამის მაგალითია საქართველო. საქართველოში ბოლშევიკები დიდი გავლენით არ სარგებლობდნენ. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, 1918 წლის აგვისტოში, ბრესტის ზავის დამატების საით, მოსკოვმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის აპრილის ბოლოს, რუსეთის წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა და მის დაპყრობას შეეცადა. მოსკოვმა, პოლონეთთან ომის დაწყების გამო, 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა შემდეგ ახალი თავდასხმისთვის მოემზადა და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად საქართველო დაიპყრო და ძალით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

[2] „გასაბჭოებას“ გადაურჩა ყოფილი რუსეთის იმპერიის დასავლეთი ნაწილი – დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ პოლონეთი, ფინეთი და ბალტიის რესპუბლიკები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), ხოლო ბესარაბია (მოლდოვა) რუმინეთმა დაიკავა.

აღმოსავლეთის რესპუბლიკა „მიიღეს“ რსფსრ-ის შემადგენლობაში, როგორც შორეული აღმოსავლეთის ოლქი.

რუსეთის წითელი არმიის მიერ დაპყრობილ და გასაბჭოებულ რესპუბლიკებთან მოსკოვი აფორმებდა ხელშეკრულებებს ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ ასეთი სისტემა აღარ აკმაყოფილებდათ. მოსკოვის კომუნისტი მმართველებისათვის დღის წესრიგში დგებოდა „ერთიანი“ სახელმწიფოს შექმნის საკითხი.

ყველა „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა ხელოვნურად იყო შექმნილი, რუსეთის წითელი არმიის მიერ ამ ქვეყნების შეიარაღებული გზით დაპყრობის შედეგად. მაგალითად, საქართველოში რუსეთის წითელი არმია რომ არ შემოჭრილიყო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტები ვერასოდეს მოვიდოდნენ ხელისუფლების სათ: ვეში.

ყველა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა რესპუბლიკაში ხელისუფლებას აკონტროლებდა ერთი პარტია – ბოლშევიკების პარტია, რომელსაც „სუვერენულ“ საბჭოთა რესპუბლიკებში მხოლოდ მოჩვენებით ერქვა შესაბამისი ეროვნული სახელები – ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიები. სინამდვილეში ისინი რუსეთის კომუნისტური პარტიის რეგიონულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ.

1922 წლისათვის ბოლშევიკების ხელში მოქცეულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 136,9 მლნ. ადამიანი, აქედან 65 მილიონი არარუსი იყო. ბოლშევიკებისთვის საჭირო იყო „ეროვნული საკითხის“ მოჩვენებითი გადაწყვეტა. მოსკოვის კომუნისტური ხელისუფლების ბატონობის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფოს შექმნა არსებითად იყო ყოფილი რუსეთის იმპერიის აღდგენა ახალი ფორმით.

ნაწილი მეორე
საბჭოთა კავშირის შექმნა

თავი III.

საბჭოთა კავშირი როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური პროექტი

3.1.ბოლშევიკები „იმპერიულ“ და „ადგილობრივ“ ნაციონალიზმს შორის

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მოსკოვის საბჭოთა მმართველების წინაშე დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა მოეწყოთ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით „გასაბჭოებული“ ტერიტორია (22,4 მლნ კვ. კმ.). მათთვის უდავო იყო, რომ მთელი სივრცე ევრაზიის ტერიტორიაზე, სადაც „საბჭოთა წყობილება“ არსებობდა, მოსკოვიდან მართულ ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო, მაგრამ როგორ და რა ფორმით, ამის თაობაზე თავიდან ერთი აზრი არ არსებობდა.

ბოლშევიკი ლიდერების ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, ლენინი და ტროცკი კოსმოპოლიტები იყვნენ და მათ „ეთნიკური ნაციონალიზმი“ არ ახასიათებდათ. ისინი ესწრაფვოდნენ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია იგვიანებდა, მოვლენები ისე არ წარიმართა, როგორც ამას ბოლშევიკი ლიდერები მოელოდნენ.

ბოლშევიკები კიდევ ერთი მოულოდნელი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. 1919-1922 წლებში ერთა თვითგამორკვევის პრინციპი კომუნისტების ნაწილმა აღიქვა არა ტაქტიკურ ნაბიჯად[1], არამედ სახელმძღვანელო პრინციპად და პარტიის მიერ დეკლარირებული აღნიშნული პრინციპის ცხოვრებაში გატარებას ცდილობდნენ. მათ ნაციონალ კომუნისტები / ნაციონალ-უკლონისტები უწოდეს.

ნაციონალ-კომუნისტები უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს კომპარტიებიდან, ასევე მუსლიმი კომუნისტები (თათარი კომუნისტები) ენერგიულად ცდილობდნენ „დამოუკიდებლობის ატრიბუტების“ შენარჩუნებას თავიანთი ეროვნული რესპუბლიკებისთვის.

ნაციონალ-უკლონისტებს უპირისპირდებოდნენ იმპერიულად მოაზროვნე ბოლშევიკები, რომლებიც რუსულ ველიკოდერჟავულ ნაციონალიზმს ემყარებოდნენ. ბევრი მათგანი საერთოდ უარყოფდა ერების პოლიტიკური თვითგამორკვევის შესაძლებლობას (კარლ რადეკი, გეორგ პიატაკოვი, ნიკოლაი ბუხარინი, ფელიქს ძერჟინსკი, მიხაილ პოკროვსკი). მაგალითად, პიატაკოვის თქმით, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დეკლარირება იყო მხოლოდ პოლიტიკური თამაში და ის სერიოზულად არ უნდა აღექვათ.

ნაციონალ-უკლონისტებს იცავდა მსოფლიო რევოლუციაზე ორიენტირებული ლენინი. მას კარგად ესმოდა, რომ თუკი ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს შეავიწროებდნენ, ეს მსოფლიო რევოლუციის იდეას დაასამარებდა.

[1] ანუ დროებით ლოზუნგად, რომელიც მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად იყო საჭირო.

მიმდინარეობა	ლიდერები	პოზიცია	ბედი
ბოლშევიკი-კოსმოპოლიტები	ლენინი, ტროცკი	მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაზე ფიქრობდნენ	მსოფლიო რევოლუციის გადავადება, ლენინის სიკვდილი და ტროცკის დამარცხება ამ მიმდინარეობას საფუძველს აცლის
იმპერიული ნაციონალიზმი	სტალინი, ძერჟინსკი, რადეკი, ბუხარინი	რუსული ბოლშევიკური სახელმწიფოს შექმნა და გაძლიერება, ემყარებოდნენ რუსულ ნაციონალიზმს	მსოფლიო რევოლუციის იმედების გაქრობამ წინა რიგში წამოსწია რუსული სახელმწიფოს აღორძინება
ნაციონალ-უკლონისტები	ბ.მდივანი ხ.რაკოვსკი სულთან-გალიევი	ცდილობდნენ თავიანთი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის „დამოუკიდებლობის ატრიბუტები" შეენარჩუნებინათ	გაანადგურეს იმპერიული ნაციონალიზმის პოზიციაზე მდგომებმა

ამავე დროს რუსი ბოლშევიკებისთვის უდავო იყო საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ მოქცეული ვრცელი ტერიტორიის გაერთიანების აუცილებლობა. ამ საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდა, **ერთი მხრივ,** „ავტონომიზაციის" გეგმა, რომელიც ყველა იმ დროს არსებული „სუვერენული" საბჭოთა რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მოქცევას გულისხმობდა, და, **მეორე მხრივ,** „სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების" მიერ „თანასწორუფლებიანი" საკავშირო სახელმწიფოს შექმნის გეგმა. პირველი ი. ბ. სტალინის სახელს უკავშირდებოდა, მეორე – ვ. ი. ლენინის. ფორმალურად გაიმარჯვა ლენინის თვალსაზრისმა და შეიქმნა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი", თუმცა მოკავშირე რესპუბლიკების თანასწორობა და სუვერენულობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა.

დავა „ავტონომიზაციასთან" დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში ფართო საზოგადოებისათვის უცნობი იყო. ამის თაობაზე არაფერი იწერებოდა „საბჭოთა კავშირის ისტორიის" სახელმძღვანელოებში. მას შემდეგ, რაც 1956 წელს ნ. ხრუშჩოვმა სტალინის პიროვნების კულტი დაგმო, „ფარდა ახადეს" საბჭოთა კავშირის შექმნის დროს გაჩაღებულ კამათსაც. ეს უკვე არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურას შეესაბამებოდა: „ცუდ" სტალინს დაუპირისპირეს „კარგი" ლენინი, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების „თანასწორუფლებიანობას" იცავდა.

საბჭოთა კავშირის შექმნით დამთავრდა ბოლშევიკების მიერ ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის პროცესი ძველი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე.

3.2.საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" გეგმა

ე. წ. „ავტონომიზაციის" გეგმა ითვალისწინებდა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას. ეს უნდა მომხდარიყო ფორმალურად „დამოუკიდებელი" საბჭოთა რესპუბლიკების შესვლის გზით რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსით. უნდა ითქვას, რომ „ავტონომიზაციის" გეგმა სტალინის გამოგონილი არ იყო. ეს იდეა ჯერ კიდევ 1919 წლის შუა ხანებში გაჩნდა. მაშინ რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. სკლიანსკი ოფიციალურად მოითხოვდა ყველა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის (მაშინ მხოლოდ ორი „დამოუკიდებელი" საბჭოთა რესპუბლიკა არსებობდა – უკრაინა და ბელორუსია) რუსეთის ფედერაციაში შეყვანას და ამ გზით „ერთიანი სახელმწიფოს" შექმნას.

„ავტონომიზაციის“ გეგმა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1922 წლის გაზაფხულზე, გენუის საერთაშორისო კონფერენციის მომზადების პერიოდში.[1] გენუის კონფერენციაზე უნდა განხილულიყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ვითარება და მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ როგორც დასავლეთის ქვეყნებს, ისე საბჭოთა რესპუბლიკებსაც. გენუის კონფერენციაზე უნდა განხილულათ მეფის რუსეთისა და დროებითი მთავრობის საგარეო ვალების საკითხი და ასევე უცხოური საკუთრების საკითხი რუსეთსა და სხვა „გასაბჭოებულ“ ქვეყნებში.

გ. ჩიჩერინი, რომელიც საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა, არასასურველად მიიჩნევდა, რომ კონფერენციაში მონაწილეობა ცალ-ცალკე მიეღო მეფის რუსეთის ადგილზე შექმნილ 9 საბჭოთა რესპუბლიკას. რა იყო ჩიჩერინის შეშფოთების მიზეზი? მას ეშინოდა, რომ დასავლეთი რუსეთსა და ცალკე წარმოდგენილ საბჭოთა რესპუბლიკებს განსხვავებულ პირობებს შესთავაზებდა და შეეცდებოდა მათ გამოყვანას მოსკოვის გავლენიდან.

ჩიჩერინი აცხადებდა, რომ თუკი კონფერენციაზე დადებული იქნებოდა ხელშეკრულებები „ცხრა პარალელურად არსებული საბჭოთა სახელმწიფოს სახით“, ასეთი ვითარება იურიდიულად დიდხანს იქნებოდა შენარჩუნებული. ჩიჩერინი მოითხოვდა მათ სასწრაფო შეყვანას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში და ამით დასავლეთი „მომხდარი ფაქტის“ წინაშე უნდა დაეყენებინათ.[2]

რაც მთავარია, გენუის კონფერენციაზე მოსალოდნელი იყო საქართველოს საკითხის დასმა. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა და დაიპყრო დასავლეთის მიერ იურიდიულად ცნობილი სახელმწიფო – საქართველო. გენუის კონფერენციაზე საქართველოს სახელით საბჭოთა რუსეთს მიჰყავდა ოკუპირებულ ქვეყანაში მის მიერ დასმული მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები. ცხადი იყო ისიც, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს კანონიერი მთავრობა შეეცდებოდა, კონფერენციაზე დაეყენებინა საქართველოს დეოკუპაციის საკითხი[3] და მოითხოვდა უფლებას, ელაპარაკა საქართველოს სახელით. გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი დელეგაცია გააგზავნა.

გენუის კონფერენცია 1922 წ. აპრილში ტარდებოდა და კონფერენციამდე დარჩენილ ერთ თვეში რესპუბლიკების გაერთიანებასთან დაკავშირებული პროცედურების გავლა შეუძლებელი იყო. ამის თაობაზე საგარეო უწყებას ეროვნებათა საქმეების კომისარმა ი. სტალინმა აცნობა. სამაგიეროდ, 1922 წლის თებერვალში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის ძალითაც, რუსეთის ფედერაციას უფლება ეძლეოდა გენუის კონფერენციაზე წარმოედგინა კიდევ 8 სახელმწიფო – უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბუხარის, ხორეზმის, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკები და მათი სახელით ხელი მოეწერა ხელშეკრულებებისათვის, ანუ დასავლეთს მხოლოდ მოსკოვთან ექნებოდა საქმე.

„ავტონომიზაციის“ საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ 1922 წლის აგვისტოში, როდესაც ვ. კუიბიშევის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო სპეციალურმა კომისიამ საკითხზე „რსფსრ-სა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ“. ეს საკითხი უნდა გაეტანათ 1922 წლის 6 ოქტომბერს დანიშნულ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, შესაბამისი რეზოლუციის ტექსტის მომზადებას ი. სტალინი ხელმძღვანელობდა.

სტალინის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი (რომელსაც შემდეგ ავტონომიზაციის სტალინური გეგმა ეწოდა) მიზანშეწონილად მიიჩნევდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების: უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და

---

[1] გენუის კონფერენციაში (1922 წ. 10 აპრილი – 19 მაისი) მონაწილეობდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. კონფერენციაზე განიხილეს ომის შემდგომი ევროპის ეკონომიკურ-ფინანსური საკითხები.

[2] История России XX – начала XXI века. Под ред. Л.В. Милова. М., 2007, с.348.

[3] გენუის კონფერენციას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც კონფერენციას სთხოვდა საქართველოდან გაეყვანათ საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარები და ქვეყნისთვის საშუალება მიეცათ, თავად გადაეწყვიტა საკუთარი ბედი.

სომხეთის შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში[1] და ღიად ტოვებდა ბუხარის, ხორეზმის და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკების საკითხს, რომლებთანაც მოცემულ ეტაპზე ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირების დამყარება მიიჩნეოდა საკმარისად.[2]

ბოლშევიკი ლიდერებიდან ავტონომიზაციის გეგმას მხარს უჭერდნენ ფ. ძერჟინსკი, ს. კიროვი, ვ. კუიბიშევი, ვ. მოლოტოვი და სხვები, წინააღმდეგი იყვნენ ნ. ბუხარინი, ლ. ტროცკი და სხვები.

გარდა ავტონომიზაციისა და სუვერენული რესპუბლიკების კავშირის შექმნის გეგმებისა, არსებობდა კიდევ საბჭოთა რესპუბლიკების კონფედერაციის შექმნის იდეა, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს წამოაყენა ხრისტიან რაკოვსკიმ. ის ამ დროს უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო. ეროვნებით ბულგარელი, რაკოვსკი პროფესიონალი რევოლუციონერი იყო. რაკოვსკის წინადადება არ მიიღეს და აქტიური განხილვის საგანიც არ გამხდარა.

3.3. „ავტონომიზაციის" გეგმის განხილვა საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობის მიერ

ვიდრე „ავტონომიზაციის" პროექტზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი იმსჯელებდა, იგი განსახილველად დაეგზავნა „დამოუკიდებელი" საბჭოთა რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, თუმცა, მალევე გაირკვა, რომ სინამდვილეში რესპუბლიკებისგან მოელოდნენ პროექტის არა რეალურ განხილვას, არამედ მხოლოდ მის მოწონებას.

ზოგიერთი რესპუბლიკის (აზერბაიჯანი, სომხეთი) კომუნისტური ხელმძღვანელობა ასეც მოიქცა. 1922 წლის 11 სექტემბერს აზერბაიჯანის კომპარტიის ხელმძღვანელობამ მოინონა ავტონომიზაციის გეგმა და დაადგინა: „აუცილებლად იქნეს მიჩნეული, რომ აზერბაიჯანი დაუყოვნებლივ შევიდეს საერთო სარუსეთო ფედერაციაში ფართო ავტონომიის საწყისებზე"; 16 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ ასევე მოიქცა სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობაც.[3]

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დამოუკიდებელ პასუხს თავი აარიდა და დაადგინა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევდა რუსეთის ფედერაციასთან ისეთ ურთიერთობას, რაც დამყარდებოდა რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „ავტონომიზაციის პროექტი" 1922 წლის 3 ოქტომბერს განიხილა და საჭიროდ მიიჩნია უკრაინის სსრ დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ხაზი გაუსვა, რომ „დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფაქტობრივი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა შეიძლება მიღწეულ იქნეს შესაბამისი პარტიული ხაზით", მაგრამ თუკი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ მიიჩნევდა უკრაინის სსრ შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, აღარ დაეჟინათ უკრაინის პოლიტიკუ-

---

[1] პროექტის თანახმად, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესული რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებიდან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ მხოლოდ იუსტიციის, განათლების, შინაგან საქმეთა, მინათმოქმედების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატები.

[2] ავტონომიზაციის გეგმა ხრუშჩოვის მიერ სტალინის „პიროვნების კულტის მხილების" პერიოდში კრიტიკის საგნად იქცა და ის მხოლოდ სტალინს მიეწერებოდა, სინამდვილეში კი სტალინის ხელმძღვანელობით მომზადებულ რეზოლუციაში წარმოდგენილი იყო ის თვალსაზრისი, რასაც იზიარებდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის მრავალი წარმომადგენელი, თუმცა სტალინი ავტონომიზაციის იდეის ერთ-ერთი მთავარი დამცველი იყო.

[3] ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბ., თსუ გამომცემლობა), 1999, გვ.219-220.

რი დამოუკიდებლობის ფორმალური ნიშნების შენარჩუნების აუცილებლობა და „ურთიერთობა განესაზღვრათ პრაქტიკული მიზანშეწონილობის საფუძველზე“.[1]

ავტონომიზაციის გეგმას ყველაზე რადიკალურად დაუპირისპირდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,[2] რომელმაც 1922 წლის 15 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია:

„ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე შემოთავაზებული გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა ავტონომიზაციის ფორმით ნაადრევად ჩაითვალოს.

სამეურნეო ღონისძიებათა და ზოგადი პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ მიგვაჩნია, ოღონდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“.[3]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელთაც მხარი დაუჭირეს „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ატრიბუტების“ შენარჩუნებას, შედიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც 1900-იან წლებში, „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პრინციპიდან გამომდინარე, წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოსთვის მოეთხოვათ ავტონომია, 1918 წელს კი დაგმეს დამოუკიდებლობის გამოცხადება და „საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორების წინააღმდეგ“ გაილაშქრეს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ფორმალურად სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ გეგმის განხილვა ხდებოდა პარტიული ხელმძღვანელობის ვიწრო წრეში და ამის შესახებ არაფერი იცოდნენ პარტიის რიგითმა წევრებმა და, მით უმეტეს, ფართო საზოგადოებამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, გამოვიდა რა ავტონომიზაციის გეგმის წინააღმდეგ, იქვე საჭიროდ მიიჩნევდა: „დროებით თავი შევიკავოთ ფართო პარტიულ მასებში აღნიშნული საკითხის გადატანისაგან“.[4]

თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკების კომპარტიების ხელმძღვანელობის პოზიციებს „ავტონომიზაციის“ პროექტთან დაკავშირებით, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ქვეყანა	პოზიცია
რუსეთი	მხარი დაუჭირეს „ავტონომიზაციის“ პროექტს
უკრაინა	წინააღმდეგია „ავტონომიზაციის“ გეგმისა, მაგრამ თუკი რკპ(ბ) ამას საჭიროდ მიიჩნევს, დაემორჩილება და უარს იტყვის „დამოუკიდებლობის ატრიბუტებზე“
ბელორუსია	მხარი დაუჭირეს რუსეთის ფედერაციასთან იმავე ურთიერთობას, რაც უკრაინას ექნება
საქართველო	წინააღმდეგ წავიდნენ „ავტონომიზაციის“ პროექტისა და საჭიროდ მიიჩნიეს „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ატრიბუტების“ შენარჩუნებას
სომხეთი	მხარი დაუჭირეს „ავტონომიზაციის“ პროექტს
აზერბაიჯანი	მხარი დაუჭირეს „ავტონომიზაციის“ პროექტს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ავტონომიზაციის გეგმის უარყოფამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ავტონომიზაციის მომხრეთა შორის, რომ-

[1] Известия ЦК КПСС, 1989 № 9, с.214.

[2] საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 21 კაცით იყო წარმოდგენილი და მასში შედიოდა 15 წევრი (ფ. მახარაძე, პ. საბაშვილი, პ. (ბუდუ) მდივანი, ს. თოდრია, ს. ქავთარაძე, შ. ელიავა, მ. ორახელაშვილი, ე. ეშბა. მ. ტოროშელიძე, თ. კალანდაძე, გოგია, ა. გეგეჭკორი, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე და კ. ცინცაძე) და 6 წევრობის კანდიდატი (ი. ჯორბენაძე, დ. სუსიშვილი, ი. ბოლქვაძე, დ. მირიტაძე, დ. ნასარიძე და შ. ვარამაშვილი). მათგან 15 სექტემბრის სხდომას ესწრებოდა 12 და „ავტონომიზაციის“ გეგმას მხოლოდ შ. ელიავამ დაუჭირა მხარი. შემდეგ ისინიც გამოკითხეს, ვინც სხდომას არ ესწრებოდა და მათგან ავტონომიზაციის მომხრე მხოლოდ მ. ორახელაშვილი და ა. გეგეჭკორი აღმოჩნდნენ (ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბ., თსუ, 1999, გვ.222).

[3] ციტ.: ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბ., თსუ გამომცემლობა, 1999, გვ.221.

[4] ციტ.: ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბ., თსუ გამომცემლობა, 1999, გვ.230.

ლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში[1] და მათ „დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნების“ მოთხოვნა „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებად“ მიიჩნიეს. კომუნისტურ პარტიაში ეს „უმძიმესი“ ბრალდება იყო.

1922 წლის 16 სექტემბერს „ავტონომიზაციის“ პროექტი მოიწონა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს ფ. მახარაძეს, ს. ქავთარაძესა და პ. საბაშვილს პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრა იმაზე, რომ „ავტონომიზაციის“ პროექტი საიდუმლოდ შეენახათ და ცნობილი არ გამხდარიყო მასებისთვის, ამავე დროს დაავალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოემზადებინა პარტიული მასები „ავტონომიზაციის“ პროექტის მხარდასაჭერად.[2] ამით ფაქტობრივად იგნორირებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის პოზიცია, რომელმაც მიუღებლად მიიჩნია დამოუკიდებელი რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ გეგმა.

1922 წლის 23 და 24 სექტემბერს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც ერთხმად მიიღეს ი. სტალინის რეზოლუციის პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ შესახებ და უარყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილება. ავტონომიზაციის გეგმა, დიდი ალბათობით, ამ სახით გატარდებოდა, რომ არა ლენინის ჩარევა, რომელიც ამ დროისათვის უკვე მძიმედ იყო ავად.

3.4. ვ. ლენინის გეგმა „სუვერენული რესპუბლიკების“ კავშირის შექმნის შესახებ

რკპ(ბ) ხელმძღვანელობაში ბევრისთვის მოულოდნელად, ვ. ლენინმა მკვეთრად გააკრიტიკა „ავტონომიზაციის“, ანუ „სუვერენული“ საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში შესვლის გეგმა. 1922 წლის 22 სექტემბერს ვ. ლენინმა სტალინს სთხოვა ეცნობებინა, თუ როგორი პოზიცია ეკავა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. სტალინმა იმავე დღეს გაუგზავნა წერილი, სადაც წარმოადგინა არსებული ვითარება, 26 სექტემბერს კი პირადადაც შეხვდა ლენინს.

სტალინმა თავის წერილში ლენინს აუხსნა შექმნილი ვითარება. მისი თქმით, სამოქალაქო ომის პერიოდში მოსკოვი იჩენდა „ლიბერალიზმს ეროვნულ საკითხში“, ურიგდებოდა ეროვნული მხარეების ვითომდა დამოუკიდებლობას. ამან, ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას სარგებელი მოუტანა, მაგრამ იყო „ნეგატიური მხარეც“ – „დამოუკიდებლობანას“ თამაშის პერიოდში სხვა ერების (ანუ არარუსი ერების) კომუნისტებში „აღიზარდნენ ნამდვილი და თანამიმდევრული სოციალ-დამოუკიდებლები“, რომელთაც არ უნდოდათ გაეგოთ, რომ ეს იყო მხოლოდ „დამოუკიდებლობანას თამაში“ და უარს ამბობდნენ მოსკოვიდან მიღებული მითითებების შესრულებაზე. ამიტომ სტალინს აუცილებლად მიაჩნდა „დამოუკიდებლობანას თამაშის“ დასრულება და „სუვერენული“ საბჭოთა რესპუბლიკების შესვლა რუსეთის ფედერაციის (რსფსრ) შემადგენლობაში.

სტალინთან შეხვედრის შემდეგ, იმავე დღეს, ანუ 26 სექტემბერს ლენინმა წერილი გაუგზავნა ლ. კამენევს (კოპიო პოლიტბიუროს ყველა წევრს), სადაც აღნიშნავდა, რომ სტალინი ძალზე ჩქარობდა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას და საყურადღებოდ მიაჩნდა რესპუბლიკების ხელმძღვანელობის პოზიცია. თავად ლენინის აზრით, ლაპარაკი უნდა ყოფილიყო არა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დამოუკიდებელი რესპუბლიკების „შესვლის“ შესახებ, არამედ ყველა დამოუკიდებელი რესპუბ-

[1] გარდა იმისა, რომ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიები რუსეთის კომპარტიაში შედიოდნენ და საოლქო კომიტეტის უფლებამოსილებით სარგებლობდნენ, სამხრეთ კავკასიაში კიდევ არსებობდა ამ პარტიის ე. წ. „სამხარეო კომიტეტი“, როგორც აღნიშნული „ეროვნული“ კომპარტიების საზედამხედველო ორგანო.

[2] Известия ЦК КПСС, 1989 № 9, с.198

ლიკა უნდა გაერთიანებულიყო ახალ კავშირში, სადაც რუსეთი თანასწორუფლებიანი იქნებოდა უკრაინასთან და სხვა რესპუბლიკებთან. ეს უნდა ყოფილიყო ახალი კავშირი, ახალი ფედერაცია – „ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“.

29 სექტემბრამდე ლენინი აგრძელებდა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხის შესწავლას და პირადად შეხვდა ა. მიასნიკოვს, გ. ორჯონიკიძეს, ასევე ქართველ „ნაციონალ-უკლონისტების“ 4 წარმომადგენელს: ბ. მდივანს, მ. ოკუჯავას, ლ. დუმბაძეს, კ. ციბაძეს. შედეგად რუსეთის კომპარტიის – რკპ(ბ) მომავალი პლენუმისთვის მომზადებულ რეზოლუციის პროექტში უკვე ნათქვამი იყო: „აუცილებლად იქნეს მიჩნეული ხელშეკრულების გაფორმება უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციასა და რუსეთის ფედერაციას შორის მათი გაერთიანების თაობაზე „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“ და შეუნარჩუნდეს თითოეულ მათგანს საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება“. აქ პირველად გაჩნდა აბრევიატურა „სსრკ (СССР)“ და უარი ითქვა „ავტონომიზაციის“ გეგმაზე.

თუმცა, აქვე ჩაიდო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გეგმა, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყვნენ საბჭოთა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი და მხოლოდ ამ გზით შესულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

სტალინი უკმაყოფილო იყო ლენინის მიერ ქართველ და უკრაინელ „დამოუკიდებელთა“ (ასე უწოდეს იმ კომუნისტებს, რომლებიც ავტონომიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ) მხარდაჭერით და ლენინის მიერ გამოვლენილი „ლიბერალიზმით“ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხში.

სტალინი ლენინის გეგმაში კიდევ ერთ ხარვეზს ხედავდა და ამის თაობაზე 1922 წლის 27 სექტემბერს სწერდა პოლიტბიუროს წევრებს. მისი აზრით, ლენინის გეგმიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა ცალკე „რუსეთის რესპუბლიკის“ შექმნა და ასევე რუსეთის ფედერაციიდან 8 ავტონომიური რესპუბლიკის გამოყვანა და მათთვის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების სტატუსის მინიჭება, რომლებიც ცალკე შევიდოდნენ საბჭოთა კავშირში.

თუმცა, „სამსახურებრივი მდგომარეობიდან“ გამომდინარე, სტალინს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია საბჭოთა კავშირის შექმნის გეგმისთვის. როგორც ჩანს, მას კარგად ესმოდა, რომ რესპუბლიკათა „სუვერენობასა და თანასწორობაზე“ საუბარი არ გამორიცხავდა ისეთი სტრუქტურის შექმნას, სადაც „განაპირა მხარეები“ ყველა ძირითად საკითხში უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ ცენტრს. „თანასწორ რესპუბლიკათა კავშირი“ სწორედ ასეთი გამოვიდა.

რატომ თქვა უარი ლენინმა „ავტონომიზაციის“ გეგმაზე? ან როგორ უნდა ყოფილიყვნენ რეალურად თანასწორი უზარმაზარი რუსეთი და რუსეთის ყოფილი კოლონიები, რომლებიც კვლავ დაიპყრო რუსეთის წითელმა არმიამ და იმართებოდა რუსეთის კომუნისტურ პარტიაში შემავალი ეროვნული კომპარტიების მიერ, რომლებიც უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებებს?

ლენინი უკრაინის ან საქართველოს „სუვერენობაზე“ კი არ ზრუნავდა, არამედ უფრო იმ დროისათვის ჯერ კიდევ პოპულარულ „მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაზე“ ფიქრობდა. თუკი, მაგალითად, გერმანიაში გაიმარჯვებდა სოციალისტური რევოლუცია, მას ხომ რუსეთის ფედერაციაში ვერ შეიყვანდნენ, სამაგიეროდ „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“ ამისთვის „კარგ საფუძველს“ ქმნიდა.

საბჭოთა კავშირი მსოფლიო სახელმწიფოდ მოიაზრებოდა. ამაზე მეტყველებდა სახელმწიფო ჰიმნი „ინტერნაციონალი“ და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პრეამბულის ჩანაწერი: „კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამჟამად არსებული, ისე მომავალში აღმოცენებული, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ღირსეული დაგვირგვინება ხალხთა მშვიდობიანი ერთად ცხოვრების და ძმური თანამშრომლობის საძირკველისა, რომელიც ჩაყრილ იქნა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში, რომ ეს სახელმწიფო იქნება საიმედო სიმაგრე მსოფლიო კაპიტალიზ-

მის წინააღმდეგ და ახალი გადამწყვეტი ნაბიჯი ყველა ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებისათვის მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა კავშირად".[1]

ლენინი, რომელიც ადრე საბჭოთა რესპუბლიკების „დამოუკიდებლობანას" თამაშში თავად იყო ჩართული, ახლა სტატიაში „ავტონომიზაციის შესახებ" მოულოდნელად თავისი პარტიის ლიდერებს უცხადებდა, რომ გადაჭრით შეებრძოლებოდა ველიკორუსულ შოვინიზმს" და უარს ამბობდა ძალადობრივი მეთოდებით კავშირის შექმნაზე, რათა არ მომხდარიყო რუსეთის იმპერიის, მისივე თქმით, „ხალხთა საპყრობილის" კოპირება. მაგრამ მაშინ რა საჭირო იყო წლების მანძილზე მეთოდურად და ძალადობრივად ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების „გასაბჭოება"? ლენინის თანახმად, ისინი თავიანთი ნებით უნდა გაერთიანებულიყვნენ საბჭოთა კავშირში და ნებისმიერ დროს შეეძლოთ „კავშირიდან გასვლა". უცბად რომ გამორკვეულიყო, რომ ამა თუ იმ ხალხს, მაგალითად, საქართველოს, არათუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, არამედ რუსეთის წითელი არმიის მიერ თავსმოხვეული საბჭოთა ხელისუფლებაც არ უნდოდა, მაშინ როგორ მოიქცეოდა თავად ლენინი?[2]

ამ წინააღმდეგობამ, რაც არსებობს, ერთი მხრივ, „ავტონომიზაციის" შესახებ ლენინის სტატიასა და, მეორე მხრივ, მის ადრინდელ პოზიციას შორის, – ყოველივე იმას შორის, რასაც ადრე ამბობდა და აკეთებდა ლენინი, წარმოშვა მოსაზრება, რომ ლენინის მიერ მდივნებისთვის ნაკარნახევი ეს ტექსტი მას არ ეკუთვნოდა. 2003 წელს გამოვიდა თანამედროვე რუსი ისტორიკოსის ვ. ა. სახაროვის წიგნი „ვ.ი.ლენინის პოლიტიკური ანდერძი: ისტორიის რეალობა და პოლიტიკის მითები",[3] რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ „ლენინის ანდერძად" გამოცხადებული ნაშრომების ნაწილი, კერძოდ 1922 წლის 18 დეკემბრის შემდეგ დაწერილი, მათ შორის ამჯერად ჩვენთვის საინტერესო „წერილი მდივანს"[4], „ავტონომიზაციის შესახებ", „წერილი ტროცკის", მათი სტილისტური და ტექსტუალური ანალიზიდან გამომდინარე, არ შეიძლება ლენინს ეკუთვნოდეს და ფალსიფიკაციაა. ამ მოსაზრებას ეთანხმება რუსი ისტორიკოსების ნაწილი. მაგალითად, ლევ დანილკინი აღნიშნავს, რომ სტალინისა და ორჯონიკიძის ქცევაში, რასაც გმობდა ლენინი, არაფერი კრიმინალური არ ყოფილა, თავად ლენინი კი არსებითად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის შექმნის წინააღმდეგ, რაც მთლიანობაში არანაირ კავშირში არაა იმასთან, რასაც ადრე ამბობდა და აკეთებდა ლენინი.[5]

მოსაზრება „ავტონომიზაციის" შესახებ ლენინის სტატიის ფალსიფიკაციის თაობაზე დღეს რუსულ ისტორიოგრაფიაში გაჩენილი ვერსიაა, რომელსაც უნდა ვიცნობდეთ, მაგრამ ის საყოველთაოდ გაზიარებული და დადასტურებული არაა. ამ სტატიაში ძირითადი, რის გამოც მას ფალსიფიკაციად მიიჩნევენ, ისაა, რომ ლენინი ცდილობს შექმნას საბჭოთა რესპუბლიკების თანასწორუფლებანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიები.

სინამდვილეში ლენინის გეგმა ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავდა. საკითხი შეიძლება უფრო მარტივად აიხსნას: როგორც ერთა თვითგამორკვევა-გამოყოფის უფლებას აცხადებდა ლენინი ისე, რომ მისი რეალიზების შესაძლებლობასაც კი გამორიცხავდა, ასევე უყურებდა „სუვერენული" საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და იქიდან „გამოსვლის" უფლებას. ლენინის გეგმით, კომუნისტური პარტია ერთიანი უნდა ყოფილიყო კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკაში და უნდა შეენარჩუნებინა ხელისუფლება ხალხის ნების საწინააღმდეგოდაც. ეს ერთიანი კომუნისტური ხელისუფლება უზრუნველყოფდა ფორმალურად „დამოუკიდებელი" და „სუვერენული" ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ერთობას. ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ კავშირიდან გასვლის უფლება

---

[1] საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია). მოსკოვი, 1933, გვ.7.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციაში მყოფი ხელისუფლება „სამი ინტერნაციონალის" ეგიდით საქართველოში რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვდა, რათა ხალხს გადაეწყვიტა, თუ რა ხელისუფლება უნდოდა – დემოკრატიული თუ საბჭოური.

[3] В.А.Сахаров. Политическое завещание В.И.Ленина: реальность истории и мифы политики. М., 2003.

[4] იგულისხმება ნაციონალ-უკლონისტი ბუდუ მდივანი.

[5] Л. Данилкин. Ленин. Москва, молодая Гвардия, 2017, стр.880.

წმინდა ფიქცია იყო. ერთიანი კომუნისტური ხელისუფლება არასოდეს დათანხმდებოდა ამას, მისი თანხმობის გარეშე კი ვერავინ თითსაც ვერ გაანძრევდა „სუვერენულ" რესპუბლიკებში.[1]

მაინც როგორ ესახებოდა საბჭოთა კავშირის შექმნა თავისი უკანასკნელი წერილების მიხედვით ლენინს?

ეს უნდა ყოფილიყო სუვერენული და თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ფედერაცია, უმკაცრესად დაცული უნდა ყოფილიყო სხვა რესპუბლიკებში ეროვნული ენების გამოყენება, არ გამორიცხავდა სამომავლოდ მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური კავშირის დატოვებას და დანარჩენი საქმეების რესპუბლიკების გამგებლობაში დაბრუნებას. უფრო ადრე, 1922 წლის 6 ოქტომბერს ლ. კამენევისადმი გაგზავნილ ბარათში საჭიროდ მიიჩნევდა, სსრ კავშირის შექმნის შესახებ რეზოლუციის პროექტში შესულიყო შემდეგი დებულება: „საჭიროა **აბსოლუტურად** დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვ. **აბსოლუტურად!**"[2]

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტები

პროექტი	არსი	ლენინის პოზიცია
ავტონომიზაცია (სტალინის პროექტი)	• ყველა რესპუბლიკა შედის რსფსრ-ში ავტონომიის უფლებით • რსფსრ ხელმძღვანელი ორგანოები ხდებიან ცენტრალური საკავშირო ორგანოები • ავტონომიიური რესპუბლიკების უფლებამოსილება მცირდება	ლენინმა ბრალი დასდო სტალინს დიდმპყრობელურ შოვინიზმში
კონფედერაცია (ხ.რაკოვსკის პროექტი)	• ყველა რესპუბლიკა ერთმანეთთან დებს ორმხრივ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებებს • ცენტრალური საკავშირო ორგანოები არ იქმნება • გაერთიანებაში შემავალ სუბიექტებს თანაბარი უფლებები აქვთ	ლენინმა ასეთი გაერთიანება ამორფულად და ძალზედ სუსტად მიიჩნია საგარეო საფრთხის წინაშე
სოციალისტური ფედერაცია (ლენინის პროექტი)	• ყველა რესპუბლიკა, რსფსრ ჩათვლით, ქმნის თანასწორ რესპუბლიკათა კავშირს • იქმნება ახალი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები • მოკავშირე რესპუბლიკები ინარჩუნებენ ფართო და თანასწორ უფლებებს • მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება	

[1] **История России XX века. Том II. Эпоха сталинизма (1923-1953). Под ред. А.Б.Зубова. Москва, 2016, с.21.**
[2] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ.33, გვ.438.

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ლენინის გეგმა და მისი არასრული განხორციელება

რა ამოცანას სახავდა ლენინი	რა გაკეთდა
უარის თქმა რსფსრ-ში სხვა „სუვერენული“ რესპუბლიკების შეყვანაზე და „თანასწორუფლებიანი“ კავშირის შექმნა	გაკეთდა ფორმალურად. „თანასწორუფლებიანობა“ კონსტიტუციაში ეწერა, მაგრამ იმავე კონსტიტუციით არ იყო გარანტირებული
სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნება და განმტკიცება	განმტკიცება გაგებული იყო როგორც უკიდურესი ცენტრალიზაცია
დიპლომატიური აპარატის შენარჩუნება, რადგანაც, ლენინის აზრით, ეს კომუნისტებით დაკომპლექტებული საუკეთესო უწყება იყო.	საერთაშორისო არენაზე საბჭოთა რესპუბლიკებს მოსკოვი წარმოადგენდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს „საუკეთესო“ აპარატი იყო.
სერგო ორჯონიკიძის სამაგალითოდ დასჯა ქართველი „ნაციონალ-კომუნისტების“ შეურაცხყოფის გამო	არ შესრულებულა
უმკაცრესი წესების შემოღება კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ეროვნული ენების ხმარების შესახებ	არ შესრულებულა
საბჭოების მომდევნო ყრილობაზე განეხილათ საკითხი, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კავშირი დარჩენილიყო მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური მხრივ, ყველა დანარჩენი საქმეები კი რესპუბლიკების გამგებლობაში დაბრუნებულიყო	არ შესრულებულა
კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის თავმჯდომარეები რიგრიგობით ყოფილიყვნენ კავშირში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენლები	არ შესრულებულა

3.5.საბჭოების პირველი საკავშირო ყრილობა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირება

საბჭოთა კავშირის შექმნა კომუნისტური პარტიის მმართველი ნრის გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მისი განხორციელება გარეგნულად „ხალხის ნებითა“ და „სახელმწიფოებრივი ხაზით“ უნდა მომხდარიყო. 1922 წლის 10-16 დეკემბერს სამმა რესპუბლიკამ – უკრაინამ, ბელორუსმა და ამიერკავკასიის ფედერაციამ – ჩაატარა ყრილობები და მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შექმნას. სულ ბოლოს, 26 დეკემბერს რუსეთის ფედერაციამ გამართა ყრილობა, რათა ზეგავლენა არ მოეხდინა „მოძმე“ რესპუბლიკების გადაწყვეტილებებზე.

1922 წლის 30 დეკემბერს შეიკრიბა საბჭოების I ყრილობა, რომელმაც მიიღო **დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ**. დეკლარაცია თანასწორად აცხადებდა ყველა რესპუბლიკას, ხაზს უსვამდა გაერთიანების ნებაყოფლობითობას, კავშირიდან გასვლის თავისუფლებას. მაგრამ ეს ყველაფერი სრული სიცრუე იყო. საბჭოთა კავშირი იმართებოდა ერთიანი, მკაცრად ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის მიერ. კავშირის „ნებაყოფლობითობა“, „თანასწორუფლებიანობა“ და „კავშირიდან გასვლის უფლება“ მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო.

საბჭოების I ყრილობას ესწრებოდა 2214 დელეგატი (1673 გადამწყვეტი და 541 სათათბირო ხმით). ყრილობის ეროვნული შემადგენლობა: რუსები – 62,5%, უკრაინელები – 8%, ბელორუსი – 4,1%, ებრაელი – 10,8%, კავკასიის ხალხები – 4,5%, თურქი ხალხები – 5,7%, ლატვიელები და ესტონელები – 3,4%, სხვა – 4%. ლენინი, რომელიც იმ დროს მძიმედ იყო ავად, ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს საპატიო თავმჯდომარედ და „მხურვალე მისალმება" გაუგზავნეს.

ეს დოკუმენტები დამატებითი განხილვისათვის გადაეცათ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს. მათი საბოლოო რატიფიცირება უნდა მომხდარიყო საბჭოების მეორე საკავშირო ყრილობაზე. აირჩიეს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკ-ი), რომელშიც პროპორციული პრინციპით შედიოდა რესპუბლიკების 371 წარმომადგენელი. ცაკ-ის მუშაობის სახელმძღვანელოდ აირჩიეს 4 თავმჯდომარე კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით – მიხეილ კალინინი (რსფსრ-დან), გრიგორი პეტროვსკი (უკრაინიდან), ნარიმან ნარიმანოვი (ამიერკავკასიის ფედერაციიდან), ალექსანდრე ჩერვიაკოვი (ბელორუსიიდან) და მდივანი – აბელ ენუქიძე.

საბჭოთა კავშირის საერთო მთავრობა გახდა ყოფილი რსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ლენინით სათავეში (ის უკვე ავად იყო), რომელსაც საკავშირო სახკომსაბჭო ეწოდა.

მმართველი პარტიის სახელიდან კი გაქრა რაიმე ეროვნული დასახელება – 1925 წელს კომპარტიას ეწოდა საკავშირო კპ(ბ). ეს სახელი თავისუფლად ერგებოდა საბჭოთა კავშირის ნებისმიერ გაფართოებას.

ვინ იყო მიხეილ კალინინი

მიხეილ კალინინი (1875-1946) წარმოშობით რუსი გლეხის შვილი იყო ტვერის გუბერნიიდან. სოფლიდან ქალაქში გადასახლდა, მუშა გახდა და ასევე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1900-იანი წლების დასაწყისში თბილისშიც გადაასახლეს, სადაც გაიცნო სტალინი. 1916 წელს კალინინი ციმბირში გადაასახლეს. მას თან გაჰყვნენ ცოლი და შვილები.

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კალინინი გახდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ბოლშევიკებს სჭირდებოდათ „ხალხიდან გამოსული" მორჩილი ადამიანი, რომელიც „სახალხო ხელისუფლების" განსახიერება იქნებოდა. ასეთი როლისთვის კალინინი ზედგამოჭრილი იყო.

საბჭოთა პროპაგანდამ კალინინისგან შექმნა კეთილი ბაბუის იმიჯი, „საკავშირო მამასახლისის", რომელიც ყველაზე ზრუნავდა. ეს ბევრმა დაიჯერა და კალინინი უამრავ წერილს იღებდა დახმარების თხოვნით. უსამართლობით დატანჯული ადამიანები მისგან მოელოდნენ შველას. კალინინი მათ შველას ჰპირდებოდა და არაფერს აკეთებდა.

1938 წელს დააპატიმრეს კალინინის ცოლი, სამი შვილის დედა, რომელსაც „მემარჯვენე ტროცკისტულ საქმიანობაში" დასდეს ბრალი და 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. კალინინმა ხმა არ ამოიღო, არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს და არც ცოლს გაჰყოლია გა-

დასახლებაში, როგორც ის მოიქცა 1916 წელს. მხოლოდ 1944 წელს, მძიმე ოპერაციის წინ, კალინინმა სტალინს გაუგზავნა წერილი: „ამხანაგო სტალინ, მე მშვიდად ვუყურებ საბჭოთა ხალხის მომავალს და ვისურვებ მხოლოდ ერთს, რომ რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს თქვენი ძალა – საბჭოთა სახელმწიფოს წარმატების საუკეთესო გარანტია. პირადად მე მოგმართავთ ორი თხოვნით: შეინყალეთ ეკატერინე ივანოვნა და დაუნიშნეთ პენსია ჩემს ოჯახს, რომელსაც დავაკისრე ორი ობოლი ბიჭის აღზრდის ვალდებულება. მთელი სულითა და გულით გადმოგცემთ უკანასკნელ მოკითხვას. მ. კალინინი“.

3.6.საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღება

გადანყვეტილება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ ისე საჩქაროდ მიიღეს, რომ არ არსებობდა მისი კონსტიტუცია და ბოლომდე არ იყო განსაზღვრული, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია შემუშავდა რკპ(ბ) XII ყრილობის მითითებების შესაბამისად. კონსტიტუცია შეიმუშავა საკონსტიტუციო კომისიამ მ. კალინინის ხელმძღვანელობით და შემდეგ მოინონა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. კონსტიტუცია მიიღეს ცაკ-ის 1923 წლის 6 ივლისის სხდომაზე და მაშინვე ამოქმედდა. ოფიციალურად დაამტკიცა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს, მალევე ლენინის გარდაცვალების შემდეგ.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, 1918 წლის რუსეთის სფსრ კონსტიტუციის მსგავსად, აშკარად კლასობრივ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა კონსტიტუციებში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ამოცანად ისახავდნენ „პროლეტარიატის დიქტატურის უზრუნველყოფას ბურჟუაზიის დათრგუნვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის და კომუნიზმის განხორციელების მიზნით“.

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ განისაზღვრა საბჭოების საკავშირო ყრილობა. ამ ყრილობის დელეგატებს ირჩევდნენ საგუბერნიო ყრილობებზე, ხოლო იმ რესპუბლიკებში, სადაც გუბერნიები არ იყო, უშუალოდ საბჭოების რესპუბლიკურ ყრილობებზე; ყრილობებს შორის პერიოდში – საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (სსრკ ცაკ-ი), რომელიც შედგებოდა ორი პალატისაგან: საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან.[1] სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ასეთ სტრუქტურას უნდა „უზრუნველეყო“ როგორც მთელი კავშირის, ისე ცალკეული რესპუბლიკების ინტერესების დაცვა. ეროვნებათა საბჭოში, მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, ყველა რესპუბლიკას უფლება ეძლეოდა, გაეგზავნა თავის წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობა.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო (მთავრობა) იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო). სსრ კავშირის პირველი მთავრობა ლენინის მეთაურობით შეიქმნა 1923 წლის ივლისში. მისი მოადგილეები გახდნენ ლ. კამენევი, მ. ორახელაშვი-

[1] ცაკ-ის სტრუქტურაში ეროვნებათა საბჭო თავიდან არ იყო და მხოლოდ 1923 წელს შეიქმნა.

ლი, ა. რიკოვი, ა. ციურუპა, ვ. ჩუბარი. მთავრობაში შედიოდა 10 სახალხო კომისარი (5 საკავშირო და 5 „გაერთიანებული" კომისარიატის ხელმძღვანელი).

მოკავშირე რესპუბლიკებშიც ყალიბდებოდა ხელისუფლების ანალოგიური ორგანოები – საბჭოების რესპუბლიკური ყრილობები, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახკომსაბჭო, მაგრამ თავიანთი უფლებამოსილების დიდი ნაწილი რესპუბლიკებმა ცენტრალურ ორგანოებს „გადასცეს": საერთაშორისო წარმომადგენლობა, თავდაცვა, საზღვრების გადასინჯვა, სახელმწიფო უსაფრთხოება, საგარეო ვაჭრობა, ტრანსპორტი, ბიუჯეტი, კავშირგაბმულობა, ფულის მიმოქცევა.

რესპუბლიკების ხელში რჩებოდა „შიდა საქმეები": მინათმოქმედება, განათლება, იუსტიცია, სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა.

საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობისათვის დელეგატების არჩევა არ იყო დემოკრატიული. ქალაქების მცხოვრებთაგან დელეგატებს 5-ჯერ მეტს ირჩევდნენ, ვიდრე სოფლის საბჭოებიდან (საქალაქო საბჭოებიდან 1 დეპუტატი 25 ათასი ამომრჩევლიდან, სოფლად კი – 125 ათასიდან. ეს „უზრუნველყოფდა" მუშათა კლასის „ხელმძღვანელ როლს"). არჩევნები მრავალსაფეხურიანი იყო: ყოველი საბჭო ირჩევდა ზემდგომი საბჭოს დელეგატებს (რაიონული – საოლქოს, საოლქო – რესპუბლიკურს, შემდეგ კი – საკავშიროს). საარჩევნო უფლებები ჩამორთმეული ჰქონდათ მათ, ვინც დაქირავებულ შრომას იყენებდა, ანდა „არაშრომითი" შემოსავლებით ცხოვრობდა, ასევე ეკლესიის მსახურთ, ყოფილ პოლიციელებსა და ჟანდარმებს.

საბჭოთა კონსტიტუციით ვითომდა დამკვიდრებული მმართველობის კონსტიტუციური ფორმები არარეალური იყო მმართველობის საბჭოთა სისტემის დროს. არცერთ საბჭოთა ორგანოში, ცაკ-ის არცერთ პალატაში საკითხების რეალური განხილვა არასოდეს ყოფილა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებები არ მიუღიათ. გადაწყვეტილებებს კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო და პირადად ბელადი ილებდა.

1924-1925 წლებში მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები, რომლებიც იმეორებდნენ საკავშირო კონსტიტუციის ძირითად დებულებებს.

ფორმალურად, მთელი ხელისუფლება რესპუბლიკებში ეკუთვნოდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, რომელთაც მოსახლეობა ირჩევდა, მაგრამ რეალურად ხელისუფლება ეკუთვნოდა ბოლშევიკების პარტიას, რომელიც საბჭოებს აკონტროლებდა: ა/ შიგნიდან, იქ „არჩეული" კომუნისტების მეშვეობით და ბ/ გარედან – მმართველი პარტიის განკარგულებების მეშვეობით.

ყველა რესპუბლიკას „თავისი" საბჭოები ჰქონდა, მაგრამ პარტია ყველა რესპუბლიკაში იყო ერთიანი და ცენტრალიზებული, რომელიც ემორჩილებოდა ცენტრალურ კომიტეტს და პოლიტბიუროს. კომუნისტური პარტია საბჭოების დამოუკიდებელი საქმიანობის „პარალიზებას" (ლენინის ტერმინი) ახდენდა და მთლიანად აკონტროლებდა.

ამიტომ ლაპარაკი „საბჭოთა ხელისუფლების" შესახებ არასწორია. ეს იყო არა საბჭოთა, არამედ ბოლშევიკური (კომუნისტური) ხელისუფლება. 1918 წლიდან საბჭოები მხოლოდ ნიღაბი იყო ბოლშევიკური პარტიის დიქტატურისთვის, უფრო ზუსტად კი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის დიქტატურისთვის.[1]

უფლებების განაწილება მოსკოვსა და რესპუბლიკებს შორის:

ცენტრის ხელში იყო	რესპუბლიკების ხელში რჩებოდა
საერთაშორისო წარმომადგენლობა თავდაცვა სახელმწიფოს უსაფრთხოება საგარეო ვაჭრობა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ბიუჯეტი ფულის მიმოქცევა	საშინაო საქმეები მინათმოქმედება იუსტიცია განათლება ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა

[1] История России XX века. Том II. Эпоха сталинизма (1923-1953). Под ред. А.Б.Зубова. Москва, 2016, с.21.

რამდენად რეალური იყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პრინციპები:

პრინციპი	მისი რეალურობა
ნებაყოფლობითობა	გასაბჭოებული რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის არავის უკითხავს, უნდოდათ თუ არა ბოლშევიკების მიერ შექმნილ საბჭოთა სახელმწიფოში ყოფნა
თანასწორუფლებიანობა	მოკავშირე რესპუბლიკები „ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს" უბრალო პროვინციებს წარმოადგენდნენ
სუვერენიტეტი	მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი მოჩვენებითი იყო
ფედერალიზმი	ფედერალიზმი მხოლოდ დეკლარირებული იყო. საბჭოთა კავშირი იმართებოდა ერთიანი ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის მიერ
საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება	საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება მხოლოდ დეკლარირებული იყო. სინამდვილეში „საბჭოთა სახელმწიფოს მთლიანობის ხელყოფა" უმძიმეს ბრალდებას წარმოადგენდა

საბჭოთა კავშირი – მსოფლიო სახელმწიფოს ჩანაფიქრი



„ახალი ტიპის სახელმწიფო" – ფორმით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, არსებითად კი – კომპარტიის ცენტრალიზებული მკაცრი დიქტატურა. ის პრეტენზიას აცხადებდა, დროთა განმავლობაში გაერთიანებინა მსოფლიოს ყველა ქვეყანა. 1922 წლის 30 დეკემბრის დეკლარაცია საბჭოთა კავშირს ღიად აცხადებდა სხვა ქვეყნების შესვლისათვის და მიზნად ისახავდა „მსოფლიო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის" შექნას. ამ ჩანაფიქრიდან გამომდინარეობდა საბჭოთა კავშირის გერბი – დედამიწა მასზე დადებული ნამგლით და ურითი – გლეხისა და მუშის შრომის სიმბოლოები. გერბზე გამოსახული იყო ხუთქიმიანი ვარსკვლავი – კომუნისტების ხელმძღვანელობით ხუთი კონტინენტის გაერთიანების სიმბოლო.

სახელმწიფო დროშა – წითელი ნაჭერი კუთხეში ნამგლით და ურითი და ზედ ხუთქიმიანი ვარსკვლავით.

ჰიმნი – „ინტერნაციონალი".

გერბი, დროშა, ჰიმნი მსოფლიო კომუნისტური სახელმწიფოს სიმბოლოები იყო.

3.7. ცვლილებები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (1920-იანი წლები)

1922 წელს საბჭოთა კავშირი რომ შეიქმნა, 4 მოკავშირე რესპუბლიკა არსებობდა. 1920-იან წლებში მოკავშირე რესპუბლიკათა რაოდენობა 7-მდე გაიზარდა: დაემატა თურქმენეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის რესპუბლიკები. ეს უკავშირდებოდა შუა აზიაში განხორციელებულ ე. წ. „ეროვნულ გამიჯვნას", რომელმაც მოიცვა ვრცელი ტერიტორია 17 მილიონი მცხოვრებით.

1923 წლის ოქტომბერში ხორეზმის (ყოფილი ხივის სახანო), ხოლო 1924 წლის სექტემბერში ბუხარის სახალხო რესპუბლიკებმა თავი სოციალისტურად გამოაცხადეს.

1924 წელს შუა აზიაში გატარდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა. 1924 წლის შემოდგომაზე ხორეზმისა და ბუხარის რესპუბლიკებისა და თურქმენეთის ასსრ ტე-

რიტორიაზე შეიქმნა ორი მოკავშირე რესპუბლიკა – უზბეკეთისა და თურქმენეთის, ასევე ერთი ავტონომიური რესპუბლიკა – **ტაჯიკეთის ასსრ** (უზბეკეთის შემადგენლობაში). 1925 წლის მაისში საბჭოთა კავშირში მოკავშირე რესპუბლიკებად მიიღეს უზბეკეთი და თურქმენეთი.

შუა აზიაში ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ მოლოტოვის მოგონებიდან:

„... მწვავე ბრძოლა მიდიოდა. ყაზახეთი, მათი ზედაფენა, მაგალითად, იბრძოდა ტაშკენტისათვის, უნდოდათ, რომ ის გამხდარიყო მათი დედაქალაქი. სტალინმა ისინი შეკრიბა, განიხილა ეს საკითხი, შეხედა საზღვრებს და თქვა: „ტაშკენტი – უზბეკეთს, ხოლო ვერნი, ალმა-ატა – ყაზახებს“.

Ф. Чуев. Сто сорок бесед с Молотовым. Из дневника Ф. Чуева. М.:Терра, 1991. С.278-279.

შუა აზიაში ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნა ჩატარდა ეროვნული საკითხის გადასაჭრელად, თუმცა საზღვრები მაინც არ მიჰყვებოდა ეთნიკურ განსახლებას. მაგალითად, ტაჯიკები, რომლებიც ბუხარის და სამარყანდის მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ, დარჩნენ უზბეკეთის სსრ შემადგენლობაში.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა შუა აზიაში

გამიჯვნის ნამდვილი მიზეზი კი ბოლშევიკების შიში იყო, რომ არ მომხდარიყო თურქულენოვანი ხალხების კონსოლიდაცია.

1925 წელს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომია – ყარა-ყირგიზეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ყირგიზეთის ავტონომიურ ოლქად, ხოლო 1926 წელს – ყირგიზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

1925 წლის იანვარში ტაჯიკეთის შემადგენლობაში შევიდა პამირის ტერიტორია (მთიანი-ბადახშანის ავტონომიური ოლქი). 1929 წელს ტაჯიკეთი გარდაიქმნა მოკავშირე რესპუბლიკად.

1924 და 1926 წლებში ბელორუსიას შეუერთდა რსფსრ მომიჯნავე ტერიტორიები უპირატესად ბელორუსი მოსახლეობით.[1] შედეგად ბელორუსიის სსრ ტერიტორია 2,5-ჯერ გაიზარდა, მოსახლეობა კი – 3-ჯერ და მეტად.

რუსეთის ფედერაციაში 1924 წ. ოქტომბერში შეიქმნა ყირგიზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც 1925 წლის 19 აპრილს ყაზახეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა ეწოდა. ყაზახეთმა მხოლოდ 1936 წლის 5 დეკემბერს მიიღო მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი.

1936 წელს ყირგიზეთის ასსრ მოკავშირე რესპუბლიკად გარდაიქმნა.

1936 წლისათვის საბჭოთა კავშირი შედგებოდა 11 „მოკავშირე“ რესპუბლიკისაგან.

[1] ვიტებსკის, გომელის და სმოლენსკის გუბერნიების ნაწილი.

საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების რაოდენობის ზრდა

წელი	რესპუბლიკები
1922/ XII	რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასიის ფედერაცია (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი)
1925/ V	უზბეკეთი, თურქმენეთი
1929	ტაჯიკეთი (სსრ კავშირში მისი შესვლა საბოლოოდ გააფორმა საბჭოების VI ყრილობამ 1931 წ. მარტში)

3.8. საბჭოთა იერარქიული ფედერალიზმი

რა შეიძლება ითქვას რსფსრ-სა და საბჭოთა კავშირის, როგორც „ფედერაციული" სახელმწიფოების შესახებ?

რსფსრ სახელწოდებაში იყო სიტყვა „ფედერაცია", თუმცა წმინდა კონსტიტუციური ტერმინებით ეს იყო უნიტარული სახელმწიფო, რომელიც გარკვეულ ავტონომიურ ერთეულებს შეიცავდა. საბჭოთა კავშირი თითქოსდა ფედერაციული სახელმწიფო იყო. ის შეიქმნა ფორმალურად თანასწორი სუბიექტების შეთანხმებით, კონსტიტუცია აღიარებდა მათ სუვერენიტეტს „დარჩენილ ფარგლებში" და საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას, რაც, როგორც წესი, არაა გათვალისწინებული ფედერაციული სახელმწიფოების კონსტიტუციებში, მაგრამ საბჭოთა კავშირის სახელწოდებაში სიტყვა „ფედერაცია" არ ფიგურირებდა. ამ პერიოდის დოკუმენტებში საბჭოთა კავშირს ეწოდებოდა „ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფო".

რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციასთან შედარებით, საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია ცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. შეიქმნა უფრო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, გაიზარდა მისი უფლებამოსილება. ეს იყო მორიგი ნაბიჯი ხელისუფლების კონცენტრაციაში.[1]

საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა სიცრუეზე იყო დამყარებული. არანაირი „სუვერენიტეტი" მოკავშირე რესპუბლიკებს არ ჰქონდათ. კონსტიტუციაში დაფიქსირებული იყო მათი უფლება, გასულიყვნენ საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ არათუ ამის განხორციელების მექანიზმი არ არსებობდა, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს მთლიანობის ხელყოფა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა.

გარდა ამისა, „სუვერენული" რესპუბლიკები იმართებოდნენ ერთადერთი პარტიის – კომუნისტური პარტიის მიერ, რომელიც მკაცრად ცენტრალიზებული იყო და ყოველ რესპუბლიკაში მოსკოვიდან მიღებული მითითებები ულაპარაკოდ უნდა შეესრულებინათ.

საბჭოური სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობა იერარქიული ფედერალიზმით ხასიათდებოდა. მოკავშირე რესპუბლიკაზე სტატუსით დაბლა იდგა ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკაში შედიოდა, უფრო დაბალი სტატუსი ჰქონდათ ავტონომიურ ოლქს და ავტონომიურ ოკრუგს. ოლქი და ოკრუგი მიიჩნეოდა ეროვნული თვითმმართველობის იმ ფორმად, რომელთაც განსაკუთრებით სჭირდებოდათ ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა.

1924 წელს უკრაინაში შეიქმნა მოლდავეთის ასსრ.

1923 წელს აზერბაიჯანში შეიქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, ამავე წელს შეიქმნა ნახიჩევანის ავტონომიური მხარე, რომელიც 1924 წელს ნახიჩევანის ასსრ-ად გარდაიქმნა.

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში **ჩრდილოეთ კავკასიაში** არსებობდა მთიელთა ასსრ (რომელშიც 7 ეროვნული ოკრუგი შედიოდა – ბალყარეთის, ვლადიკავკაზის, ყაბარდოს, ყარაჩაის, ნაზრანის (ინგუშეთის), ჩეჩნეთისა და სუნჯის (კაზაკთა). გამიჯვნის

[1] Э. Карр. История Советской России. Большевистская революция 1917-1923. книга 1. Москва, «Прогресс», 1990, стр.322.

შედეგად 1924 წელს შეიქმნა ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქები; 1926 წელს ყარაჩაის ავტონომიური ოლქი, 1928 წელს – ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, 1922 წლიდან კრასნოდარის მხარეში არსებობდა ადიღეს ავტონომიური ოლქი.

ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ჩეჩნეთის შემადგენლობაში არსებობდა კაზაკთა ავტონომიური ოკრუგები. ვლადიკავკაზი და გროზნი ცალკე ოკრუგები იყო, თუმცა 1928 წელს შეიყვანეს ჩრდილოეთ ოსეთისა და ჩეჩნეთის შემადგენლობაში. გროზნო გახდა ჩეჩნეთის დედაქალაქი, ვლადიკავკაზი (1931 წლიდან – ორჯონიკიძე) 1934 წლამდე იყო როგორც ჩრდილოეთ ოსეთის, ისე ინგუშეთის დედაქალაქი.

თავი IV.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის შექმნა

4.1.რაში სჭირდებოდათ მოსკოველ ბოლშევიკებს ამიერკავკასიის ფედერაცია

ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის სახელმწიფოების სხვადასხვა უწყებების გაერთიანებისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ინიციატივა იყო და მას მოსკოვშიც დაეთანხმნენ (იხ. ქვემოთ). მას შემდეგაც კი, რაც გადაწყდა საბჭოთა კავშირის შექმნა და უკრაინასა და ბელორუსიას „უფლება მიეცათ" მასში უშუალოდ შესულიყვნენ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისგან დაჟინებით მოითხოვდნენ ადგილობრივი ფედერაციის შექმნას და მხოლოდ ამ გზით უნდა შესულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მოგვიანებით, როდესაც შუა აზიაში შექმნეს „მოკავშირე რესპუბლიკები", ისინი ცალ-ცალკე გააფორმეს საბჭოთა კავშირის წევრებად და არ უცდიათ „შუა აზიის ფედერაციის" შექმნა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა და რატომ იყო აუცილებელი ბოლშევიკებისათვის ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მხოლოდ ამ გზით შესვლა საბჭოთა კავშირში?

ამაზე პასუხს გვაძლევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე. მისი თქმით, „დაბრუნებულ რუსეთს ამიერკავკასიაში დახვდა სამი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული ეროვნული რესპუბლიკა. და აი, რუსეთის იმპერიალიზმიც გახელებული რუსული შოვინიზმით ეკვეთა ინტერნაციონალიზმის ნიღბის ქვეშ ამ რესპუბლიკებს და კიდეც დაამხო ისინი".[1]

მისი თქმით, რუსეთისთვის ყველაზე საშიში საქართველო იყო „საკმარისია საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოქანდაკება და ამიერკავკასიის ორი დანარჩენი ერიც თავისთავად დაკრისტალდება სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებათ. მომალეთ, ააფეთქეთ და ათქვიფეთ საქართველო და მთელი კავკასიაც ეროვნულათ აქოთებული და აჭრელებული იქნება"[2]

ამიერკავკასიის ფედერაცია ახალი რუსული კოლონიალიზმის „შესანიშნავი" გამოგონება იყო. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია სამი ეროვნული რესპუბლიკის ნაცვლად „უმტკივნეულოდ" ქმნიდა ერთ დიდ რუსულ გუბერნიას. ფედერაციაში ხომ „სამუშაო ენად" რუსული „ბუნებრივად" ხდებოდა და ეს „თავისთავადაც" იგულისხმებოდა. ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ამიერკავკასიის რუსიფიკაციის გზაზე. ფაქტობრივად სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.[3]

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა ამავე დროს აკმაყოფილებდა რკპ(ბ) ცკ სამხარეო კომიტეტის ამბიციებსაც. სამი „ეროვნული" რესპუბლიკის ნაცვლად სამართავად ღებულობდნენ „ადეკვატურ" ერთეულს.

4.2.როგორ იქმნებოდა ამიერკავკასიის საბჭოური ფედერაცია

ამიერკავკასიის გასაბჭოებული რესპუბლიკებისაგან ფედერაციის შექმნის ინიციატივას მისი ორგანიზატორები ლენინს მიაწერდნენ და ეს გასაგებიც იყო – „ლენინის წი-

---

[1] გრიგოლ ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბ., თსუ, 1995, გვ.231.
[2] იქვე.
[3] ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923) თბ., 1999, გვ.170.

ნააღმდეგ“ აშკარად გამოსვლას ადგილობრივი კომუნისტი ლიდერებიდან ვერავინ გაბედავდა. ეს ვერსია იყო დამკვიდრებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაშიც. სინამდვილეში, საბჭოთა ფედერაციაში ამ „ზედმეტი რგოლის“ შექმნა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინიციატივა იყო.

ლენინს ეკუთვნოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „ერთ სამეურნეო ცენტრად“ გაერთიანების იდეა,[1] რაც ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობდა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა კი, პირველ რიგში, რეგიონში მოქმედი ბოლშევიკების თავში ტრიალებდა და რკპ(ბ) კავბიუროს ინიციატივას წარმოადგენდა.

1921 წლის 3 ნოემბერს ბაქოში შედგა რკპ(ბ) ცკ კავბიუროს პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ, გამოიყო კომისიაც ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად. ამით იწყება რეალური ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად, რასაც წინააღმდეგობას უწევდა, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ხელმძღვანელობა, რომელთაც „ნაციონალ-უკლონისტები“ შეარქვეს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ეს რეალურად იყო საქართველოს სუვერენიტეტის დარჩენილი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა ფედერაციის შექმნის გზით.

კავბიურო მოსკოვის თანხმობის გარეშე ვერანაირ ფედერაციას ვერ შექმნიდა. 1921 წლის 8 ნოემბერს ს. ორჯონიკიძემ აცნობა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ გადაწყვიტეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა.

თავიდან მოსკოვში დიდი ენთუზიაზმი არ გამოუვლენიათ. 1921 წლის 17 ნოემბერს ამ საკითხზე იმსჯელა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ლენინის მონაწილეობით. მათ კავბიუროსაგან მოითხოვეს აეხსნათ, თუ რას ნიშნავდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და რა ურთიერთობები ექნებოდა მას რსფსრ-სთან.

1921 წლის 24 ნოემბერს ორჯონიკიძემ კვლავ გააგზავნა წერილი მოსკოვში, რომელშიც დაახასიათა ამიერკავკასიის ფედერაციის პრინციპები და აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციას რსფსრ-სთან ისეთივე ურთიერთობა ექნებოდა, რა ურთიერთობაც რსფსრ-სა და უკრაინას შორის დამყარდებოდა. ორჯონიკიძე კვლავ ითხოვდა მოსკოვის თანხმობას ფედერაციის შექმნაზე, თუმცა თანხმობის ნაცვლად 26 ნოემბერს მოსკოვიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც მოითხოვდნენ განმარტებას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მოტივების შესახებ. საბოლოოდ, მოსკოვში აწონ-დაწონეს, ალბათ თავიანთთვის საზიანო ვერაფერი დაინახეს, პლუსებიც იპოვეს რეგიონის რუსიფიკაციის, მათი ტერმინოლოგიით, „ინტერნაციონალიზაციის“ მიმართულებით და კავბიუროს ინიციატივას დაეთანხმნენ.

1921 წლის 28 ნოემბერს მომზადდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტი, რომელიც ლენინმა დაწერა: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს“.[2] ლენინის გეგმით, ეს უნდა ყოფილიყო „საბჭოების გზით“, „ქვემოდან წამოსული ინიციატივა“. კავბიუროს მეშვეობით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ ამ იდეის პროპაგანდა და განხორციელება.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 29 ნოემბერს მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. ამ დადგენილებით კავბიუროს ხელები გაეხსნა და შეუდგა „ფედერაციის მშენებლობას“, რაც რეალურად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა და რასაც შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველი „უკლონისტები“. თუმცა, ძალები უთანასწორო იყო.

1922 წლის 12 მარტს დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. ეს დღე ითვლება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თარიღად.

---

[1] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ.42, გვ.312
[2] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ.312

1922 წლის 10 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის შექმნამდე ცოტა ხნით ადრე, ბაქოში ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. ყრილობამ მიიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ამრიგად, საბჭოთა სინამდვილეში საბჭოთა კავშირის შექმნის წინ არსებობდა ფედერაციის ორი ფორმა: რსფსრ – მასში „ავტონომიზაციის" გზით შესული რესპუბლიკებით და ამიერკავკასიის ფედერაცია – გარეგნულად „სუვერენული" რესპუბლიკების გაერთიანება, ოღონდ ამ რესპუბლიკებს ფედერაციიდან ცალმხრივი აქტით გასვლის უფლება არ ჰქონდათ.[1]

ამიერკავკასიის საბჭოური ფედერაციის ფორმირების ეტაპები

თარიღი	მოვლენა
1921 წლის აპრილი – აგვისტო	თავიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება ეკონომიკურ სიბრტყეში მიმდინარეობდა: გააერთიანეს რკინიგზები, რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა, შეუდგნენ სასაზღვრო კორდონებისა და საბაჟოების ლიკვიდაციას, ფულადი სისტემის უნიფიკაციას და სხვ.
1921 წლის 3 ნოემბერი	ბაქოში შედგა რკპ(ბ) კავბიუროს პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ
1921 წლის 29 ნოემბერი	რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას.
1922 წლის 12 მარტი	დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. ეს დღე ითვლება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თარიღად.
1922 წლის 10 დეკემბერი	ბაქოში ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. ყრილობამ მიიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

4.3.ბოლშევიკური არგუმენტები ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად

ამიერკავკასიის გასაბჭოებული რესპუბლიკებისაგან ფედერაციის შექმნის აუცილებლობის დასასაბუთებლად მის ინიციატორებს მოჰყავდათ არგუმენტები, რომლებიც უსუსური იყო და კრიტიკას ვერ უძლებდა.

მოკლედ წარმოვადგინოთ ფედერაციის შექმნის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები:[2]

ა/კ ფედერაციის შექმნის მომხრეთა არგუმენტები	მოწინააღმდეგეთა კონტრარგუმენტები
ეკონომიკურად ერთგვაროვანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცალ-ცალკე არსებობა მიზანშეწონილი არაა.	ეკონომიკური ერთგვაროვნება არაა არგუმენტი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის. გარდა ამისა, ამიერკავკასია ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად არაერთგვაროვანია.

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.VII, გვ. 96.

[2] ლ. თოიძემ 1999 წელს გამოცემულ ნაშრომში რამდენიმე გვერდზე წარმოადგინა ფედერაციის შექმნის მომხრეთა არგუმენტები და მათი გაბათილება ქ. სუზდალში დაპატიმრებული 4 ქართველი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკური პატიმრის წერილის მიხედვით (ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია -1921-1923. თბ., 1999, გვ.163-170).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ერთიანობა.	გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ერთიანობა არ ქმნის საფუძველს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის და ამიერკავკასია ამ მხრივ არც ისე ერთნაირია.
საქართველო ზღვისპირა სახელმწიფოა და თუ ცალკე იარსებებს, ხელს შეუშლის სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისარგებლონ ნავსადგურებით.	საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მოსკოვის ხელში იყო და საქართველო, რომც მოენდომებინა, ვერავის შეუშლიდა ხელს ზღვით სარგებლობაში. გარდა ამისა, განა, მაგალითად, უკრაინა ხელს უშლიდა რუსეთს შავი ზღვის მისაწვდომობაში?
ამიერკავკასიის ფედერაცია იმიტომ უნდა შეიქმნას, რომ მტრული კაპიტალისტური სამყაროთია გარშემორტყმული და თავდასხმაა მოსალოდნელი.	კაპიტალისტური სამყარო სხვა რესპუბლიკებსაც ერტყმოდა გარს და ამისათვის იქმნებოდა სსრკ. მარტო ამიერკავკასიის ფედერაცია ვერ მოიგერიებდა თავდასხმას, მით უმეტეს, რომ თავისი ჯარი არ ჰყავდა.
ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანება მმართველობით ხარჯებს შეამცირებს.	ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ, პირიქით, გაზარდა ხარჯები, რადგანაც ახალი ე. წ. ფედერალური სტრუქტურები შეიქმნა.
ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა ეროვნულ მშვიდობას უზრუნველყოფდა.	ეთნიკური „მშვიდობა" საბჭოთა რეჟიმის რეპრესიულ ბუნებას ეყრდნობოდა. სინამდვილეში საბჭოთა რეჟიმმა ეთნიკური კონფლიქტები კიდევ უფრო გააღრმავა 1921 წელს უსამართლო საზღვრების გაელებით და მთელი თავისი პოლიტიკით.

ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეები აცხადებდნენ, რომ გაერთიანება დიდხანს იარსებებდა, მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, ან სანამ საერთოდ იარსებებდნენ სახელმწიფოები, მაგრამ ამიერკავკასიის ფედერაცია საბჭოთა კავშირის შექმნის დროს ბოლშევიკებისთვის სრულიად ზედმეტი რგოლი იყო. მან სულ რაღაც 14 წელი იარსება და 1936 წელს გაუქმდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში უშუალოდ „მიიღეს".

4.4. ვინ იყვნენ და რა უნდოდათ „ნაციონალ-უკლონისტებს"

სანამ განვიხილავთ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის ბრძოლას „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის" წინააღმდეგ, საჭიროა რამდენიმე საკითხის განმარტება.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ მას მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა და სათავეში თავისი რეგიონული ორგანიზაცია – საქართველოს კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ჩაუყენა. საქართველოს კომპარტიის იმდროინდელ ხელმძღვანელობაში ბევრი ძველი ბოლშევიკი იყო, რომლებიც წლების მანძილზე იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და რაიმე განსაკუთრებული „ეროვნული" გრძნობები არ ამოძრავებდათ. საკმარისია დავასახელოთ ფილიპე მახარაძე. მაგრამ ქართველი კომუნისტების ამ ჯგუფს არ ეგონა, რომ მოსკოვი და მისი სახელით მოქმედი „სამხარეო კომიტეტი" „ასე ტლანქად და ასე პირწმინდათ გათელავდა ფეხქვეშ თვით საბჭოთა საქართველოს" და მას „უბრალო თვითმმართველობის ნასახსაც არ შეარჩენდა".[1]

ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში მოქმედ კომუნისტურ პარტიებს, მოსკოვის გარდა, უშუალო ზედამხედველობას უწევდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-

[1] გრიგოლ ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბ., თსუ, 1995, გვ.232.

მიტეტის მიერ შექმნილი სამხარეო ხელმძღვანელი ჯგუფი. ეს იყო კავკასიის ბიურო, რომელიც 1920 წლის 8 აპრილს შეიქმნა. მას ხელმძღვანელობდა სერგო (გრიგოლ) ორჯონიკიძე, მისი მოადგილე იყო სერგეი კიროვი. კავკასიის ბიურომ დიდი როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გასაბჭოების საქმეში. 1922 წლის თებერვალში ამ ორგანიზაციას სახელი გადაერქვა და „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი" ეწოდა.

სამხარეო კომიტეტი ბოლშევიკური კოლონიალიზმის განსახიერება იყო. სამხარეო კომიტეტს ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე. როდესაც ორჯონიკიძე და მისი მომხრეები წინააღმდეგობას წაწყდნენ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელების მხრიდან, მათ ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები" საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ვითომდა მმართველი ძალის – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას შეადგენდნენ 1921-1922 წლებში. მათ შორის გამოირჩეოდნენ ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, სერგო ქავთარაძე, მიხეილ ოკუჯავა, კოტე ცინცაძე და სხვები.

ქართველი კომუნისტების ამ ჯგუფს უკიდურესმა შოვინისტ-კომუნისტებმა „უკლონისტები" შეარქვეს, ანუ თქვენ „გადაიხარეთ" ეროვნულ საკითხში სწორი კომუნისტური პოლიტიკიდანო. ეს იყო ამ ადამიანებისთვის წაყენებული ყველაზე „რბილი" ბრალდება. ამავე დროს „უკლონისტებს" ქართველ ხალხში არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდათ, მათი ხელისუფლების ნყარო რუსეთის წითელი არმია იყო, ისინი „სამართალს" მოსკოვში ეძებდნენ და ორჯონიკიძეს ლენინთან უჩიოდნენ.

დავა პრინციპულ საკითხებს, კერძოდ, საქართველოს ისედაც მკვეთრად შელახული სუვერენიტეტის ნაშთების შენარჩუნებას ეხებოდა. როგორც ხანდახან საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში მყოფი ამ ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებდნენ, საქმე ეხებოდა „დამოუკიდებლობის ატრიბუტების" შენარჩუნებას.

ერთმანეთს დაუპირისპირდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში არსებული ორი ჯგუფი: ერთნი ვითომდა ემყარებოდნენ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" იდეას და არაფრად აგდებდნენ ქართველი ხალხის ინტერესებს. მეორენი, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში მყოფნი, ცდილობდნენ გარკვეულწილად ანგარიში გაეწიათ ქართველი ხალხის ინტერესებისა და საქართველოს გასაბჭოების დროს გაცემული დაპირებებისათვის, რომ „საქართველოს სუვერენიტეტი" ხელშეუხებელი იქნებოდა.

„სამხარეო კომიტეტსა" და „უკლონისტებს" შორის განსხვავება მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

რკპ(ბ) ცკ სამხარეო კომიტეტი	საქართველოს კპ ხელმძღვანელობა
საქართველოს სახელმწიფოებრიობის უგულებელყოფა.	საქართველოს სახელმწიფოსთვის „დამოუკიდებლობის ატრიბუტების" შენარჩუნება.
აგრესიული რეპრესიები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.	სხვა პარტიების, განსაკუთრებით სოციალისტებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება.
რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით აგრარულ საკითხში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება.	სიფრთხილე აგრარული რეფორმის დროს, მიწათმფლობელთა ინტერესების გარკვეულწილად გათვალისწინება.

განვიხილოთ ის საკითხები, რის გარშემოც 1921 წელს მიმდინარეობდა დაპირისპირება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს შორის:

საკითხი	კავბიუროს პოზიცია	საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოზიცია
სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რკინიგზების გაერთიანება.	კავბიურომ ყველას უკითხავად, ნაჩქარევად გამოიტანა გადაწყვეტილება რკინიგზების გაერთიანების შესახებ.	საქართველოს კპ ცკ მიიჩნევდა, რომ რკინიგზების გაერთიანება უნდა მომხდარიყო ადგილობრივი ხელისუფლების სახელით და პოლიტიკური კამპანიის ჩატარების შემდეგ. სწორედ რკინიგზების გაერთიანების საკითხში წინააღმდეგობის გამო საქართველოს კპ ცკ „ნაციონალ-უკლონისტებად" მონათლეს.
რუსეთის საგანგებო კომისიის („ჩეკას") წარმომადგენლობის დაფუძნება საქართველოში.	1921 წლის შუახანებში კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ჩეკას წარმომადგენლობის საქართველოში დაფუძნების შესახებ.	საქართველოს კპ ცკ სთხოვა რკპ(ბ) ცკ-ს კავბიუროს ამ გადაწყვეტილების გაუქმება, რუსეთის ჩეკას მაგივრობა კი გაეწია კავკასიის არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას. რკპ(ბ) ცკ დაეთანხმა საქართველოს კპ ცკ პოზიციას.
ამიერკავკასიაში ფულის რეფორმის საკითხი.	ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა მთელ ამიერკავკასიაში რუსული ფულის ნიშნების შემოღება.	საქართველოს კპ ცკ ეს ნაბიჯი ნაჩქარევად მიიჩნია და მისი განხორციელება მაშინ მიაჩნდა შესაძლებლად, როდესაც რუსულ ფულის ნიშნებს იგივე გასავალი ექნებოდა, რაც ქართულს ჰქონდა. რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურო ჯერ სამხარეო კომიტეტს მიემხრო, შემდეგ კი აღიარა გარდამავალი პერიოდის საჭიროება ამიერკავკასიაში ფულის სისტემის ერთიანობის უზრუნველსაყოფად.
ქართული წითელი არმიის საკითხი.	1921 წ. ნოემბერში კავბიურომ და რკპ(ბ) ცკ ქართული წითელი არმია გააუქმა და კავკასიაში მდგომი რუსული არმიის შემადგენლობაში „ქართული ბრიგადა" უნდა შექმნილიყო.	საქართველოს კპ ცკ მოითხოვდა საქართველოს წითელი არმიის შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციონალისტებს არგუმენტი ეძლეოდათ საქართველოს ოკუპაციის შესახებ.
პროფკავშირების საკითხი.	რკპ(ბ) ცკ მხარს უჭერდა ამიერკავკასიის პროფკავშირების მართვას რუსეთის პროფკავშირების მიერ.	საქართველოს კპ ცკ წინააღმდეგი იყო, რომ საქართველოს პროფკავშირები უშუალოდ დაკავშირებოდნენ რუსეთის პროფკავშირებს და აუცილებლად მიაჩნდა ეს კავშირი განხორციელებულიყო საქართველოს პროფსაბჭოს მეშვეობით.
ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო განვითარების საკითხი.	რკპ(ბ) ცკ კავბიურო ცდილობდა სწრაფად და ნაჩქარევად, ადმინისტრაციული, ბრძანებების გზით ეკონომიკურ გაერთიანებას (რკინიგზების გაერთიანება, საგარეო ვაჭრობის გაერთიანება და ა.შ.).	საქართველოს კპ (ბ) ცკ მოითხოვდა მის განხორციელებას სამეურნეო შეთანხმებებით, პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა მხარდაჭერით.

უთანხმოებას თან სდევდა პიროვნული დაპირისპირება. ს. ორჯონიკიძე, რომელიც სიფიცხით და უხეშობით გამოირჩეოდა, ლანძღავდა და რეპრესიებით ემუქრებოდა საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობას. საქართველოს პირველი საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს „უმაქნის თავმჯდომარეს" უწოდებდა, ლ. დუმბაძეს – „სულელსა და პროვოკატორს", ბუდუ მდივანს – „სპეკულანტსა და მედუქნეს". საქართველოს ჩეკას უფროსს კ.ოკუჯავას დაემუქრა: „დაგაპატიმრებ, დაგხვრეტ". 1922 წლის 20 სექტემბერს ორჯონიკიძემ ოფიციალურად განაცხადა: „პარტიის მეთაურობა შოვინისტური და დამპალია, რომელიც უნდა განახლდეს". ორჯონიკიძეს არ ჩამორჩებოდნენ მისი მომხრეებიც. მაგალითად, მ. ორახელაშვილმა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას „არამზადათა ორგანიზაცია" უწოდა. ბ. ლომინაძემ კი განაცხადა, რომ „ნაციონალ-კომუნისტები" „მენშევიკებისაკენ გადაიხარნენ და ობიექტურად წვრილი ბურჟუაზიის პოზიციას იცავდნენ".[1] ბოლშევიკების ენაზე ეს საშინელი ლანძღვა და ბრალდება იყო.

4.5. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ

„ნაციონალ-უკლონისტები", საქართველოს გარდა, სხვაგანაც იყვნენ, მაგრამ საქართველოში მათთან ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ქართველი „უკლონისტების" ბრძოლამ ლენინს საბჭოთა კავშირის შექმნის იდეისკენ უბიძგა, რომელშიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთთან ერთად „თანასწორად" გაერთიანდებოდნენ. ამ გეგმამ უკრაინელი „უკლონისტები" დააწყნარა, უკრაინა ხომ რუსეთთან „თანასწორად" ერთიანდებოდა ახალ კავშირში, მაგრამ იგივე საქართველოსთვის გამოირიცხა, ანუ ქართველმა „უკლონისტებმა" თავისი ბრძოლის ნაყოფით ვერ ისარგებლეს, – საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში უნდა დარჩენილიყო, საიდანაც ცალმხრივად გასვლის უფლება არცერთ ქვეყანას არ ჰქონდა.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა საქართველოსთვის განსაკუთრებით საზარალო იყო. პირველ რიგში, ეკონომიკურად წამგებიანი იყო. მაგალითად, 1921 წლის დამლევისთვის აზერბაიჯანული და სომხური ფულის ნიშნები რუსული საბჭოთა ფულის ნიშნების 25%-ს უდრიდა, ქართული ფულის ნიშნების ღირებულება კი ამ დროს რუსული ფულის ნიშნების ღირებულებაზე 50%-ით, ხოლო 1923 წლის გაზაფხულზე 75%-ით უფრო მაღალი იყო.[2]

სავარაუდოდ, ე.წ. ნაციონალ-უკლონისტები თავიდანვე ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ამის თქმას ვერ ბედავდნენ, რათა მათთვის ბრალი არ დაედოთ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" ღალატში. ამიტომ ტაქტიკური მოსაზრებებით აცხადებდნენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ კამათობდნენ რესპუბლიკების გაერთიანების ვადებისა და მეთოდების გამო.[3]

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ, უკვე ღიად აცხადებდა, რომ სრულიად ზედმეტად მიაჩნდა „ამიერკავკასიის ფედერაციის" შექმნა, რომელსაც მხარს უჭერდა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი.

1922 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება წამოაყენა გაუქმებულიყო იმავე წლის მარტში შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველო უშუალოდ შესულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

მეორე დღეს, 1922 წლის 20 ოქტომბერს გაიმართა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, სადაც სერგო ორჯონიკიძემ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების

---

[1] გ. ყვანია. ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ. თბ., 1990, გვ.48-49.
[2] ს. გ. ხარმანდარიანი, გვ.292.
[3] ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბ., 1999, გვ. 139.

გამო შოვინისტებად გამოაცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ასევე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან მოხსნეს მ. ოკუჯავა.

1922 წლის 22 ოქტომბერს პროტესტის ნიშნად გადადგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა, მაგრამ ამას ცივად შეხვდნენ მოსკოვში და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში შეიძლება გაუხარდათ კიდეც. 1922 წლის 22 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ პასუხისმგებელ მდივნად დანიშნა ბ. ლომინაძე, 25 ოქტომბერს კი უკვე შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი, რომელიც წინააღმდეგობას არათუ აღარ უწევდა სამხარეო კომიტეტის პოზიციას, არამედ აკრიტიკებდა ნაციონალ-უკლონისტებს. სერგო ორჯონიკიძე, როგორც თავად აცხადებდა, გულმოდგინედ ებრძოდა „ქართულ ნაციონალიზმს", სინამდვილეში კი რუსული ველიკოდერჟავული შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელი იყო.

4.6. „ქართული ინციდენტის" მოსკოვური რეზონანსი

სამხარეო კომიტეტის დაპირისპირებამ „ნაციონალ-უკლონისტებთან" უაღრესად მწვავე, პიროვნული შეურაცხყოფის ფორმა მიიღო. 1922 წლის 20 ოქტომბერს მოხდა ფიზიკური დაპირისპირება სერგო ორჯონიკიძესა და აკაკი კობახიძეს შორის, რაც ფართოდ გახმაურდა და მოსკოვში „ქართული ინციდენტის" სახელი მიიღო.

მოხდა შემდეგი:

სერგო ორჯონიკიძის სახლში მივიდა აკაკი კობახიძე იქ ა. რიკოვთან შესახვედრად.[1] იქ ყოფნის დროს კობახიძე და ორჯონიკიძე შელაპარაკდნენ. რიკოვის თქმით, კობახიძემ ორჯონიკიძეს უსაყვედურა, რომ ის ხაზინის ხარჯზე ინახავდა თავის ცხენს, უფრო გავრცელებული ვერსიის თანახმად კი, ორჯონიკიძეს „სტალინის ვირი" უწოდა. რიკოვის განმარტებით: „ამის შემდეგ მათ შორის ატყდა ლანძღვა-გინება, რომლის დროსაც ამხ. ორჯონიკიძემ კობახიძეს გაარტყა. ჩემი და ჩემი ცოლის ჩარევით ინციდენტი ამით შეწყდა და ამხ. კობახიძე ბინიდან წავიდა. ამის შემდეგ სერგო ორჯონიკიძე ძლიერ განერვიულდა, რაც ისტერიკით დამთავრდა".[2]

1922 წ. 25 ნომბერს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, „საქართველოს ამბებში" გასარკვევად მოსკოვიდან გამოიგზავნა სპეციალური კომისია ფელიქს ძერჟინსკის ხელმძღვანელობით.[3] თბილისში მხარეთა 4-დღიანი მოსმენების შემდეგ, 1922 წლის დეკემბრის დასაწყისში კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამხარეო კომიტეტისა და სერგო ორჯონიკიძის პოზიცია სწორი იყო და შეესაბამებოდა მოსკოვიდან მიღებულ დირექტივებს, მისმა მონინააღმდეგეებმა კი ვერ გაუძლეს „წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის ზეწოლას".

1922 წლის 12 დეკემბერს ლენინს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა კომისიის თავმჯდომარე ძერჟინსკისთან. ლენინი უკმაყოფილო დარჩა კომისიის დასკვნით. მისი თქმით, ძერჟინსკის მონათხრობმა „ქართული ინციდენტისა" და კომისიის მუშაობის შესახებ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. „ვფიქრობ, რომ არავითარი პროვოკაციით, არავითარი

---

[1] რიკოვი რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, კობახიძე კი – მისი მეგობარი, ციმბირში ერთად იყვნენ გადასახლებაში.

[2] ციტ.: გ. ფკანია. ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ. თბ., 1990, გვ.76; რიკოვი ასევე აღნიშნავდა: „ინციდენტის არსზე ვფიქრობ, რომ ამხ. ორჯონიკიძე მართალი იყო, როცა ამხ. კობახიძის საყვედური სასტიკ პირად შეურაცხყოფად მიიღო. ამხ. ორჯონიკიძის ნერვიული აღგზნება და ისტერიკა, რასაც შევესწარი, ჩემი აზრით, იმას მოწმობს, რომ შიდაპარტიული უთანხმოებისა და კინკლაობის შედეგად საქართველოს პარტიის საუკეთესო წევრებსაც იმდენად აშლილი აქვთ ნერვები, რომ ეს იწვევს შეურაცხმყოფელ მოქმედებებს".

[3] კომისიაში სპეციალურად შეიყვანეს არარუსები: ფ. ძერჟინსკი (ნარმოშობით პოლონელი) და ვ. მიცკიავიჩუს-კაპსუკასი (ლიტველი).

შეურაცხყოფითაც კი არ შეიძლება გამართლდეს ეს რუსული სილის გარტყმა და რომ ამხ. ძერჟინსკის გამოუსწორებელი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ იგი ამ სილის გარტყმას ზერელედ მოეპყრო".[1] ლენინი მოითხოვდა ორჯონიკიძის „სამაგალითოდ დასჯას" და ძერჟინსკის კომისიის მთელი მასალის ხელახლა გამოკვლევას, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას კი აკისრებდა ძერჟინსკისა და სტალინს.

ლენინი, როგორც ჩანს, „ქართულ ინციდენტს", საბოლოოდ, სტალინის დასასუსტებლად გამოიყენებდა, მაგრამ ჯანმრთელობა აღარ უწყობდა ხელს. 1922 წლის 13 დეკემბერს ლენინს მოუვიდა ორი მძიმე შეტევა, 16 დეკემბერს მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, 23 დეკემბერს კი მარჯვენა ხელ-ფეხის დამბლა დაეცა. ლენინის ავადმყოფობის დროს პოლიტბიურომ მოიწონა ძერჟინსკის კომისიის დასკვნა და გადაწყვიტა. საქართველოში „სიტუაციის დასაწყნარებლად" რუსეთში სამუშაოდ გაეწვიათ ოპოზიციის 4 თვალსაჩინო ლიდერი.

თუმცა, 1923 წლის იანვარ-თებერვალში ლენინი სისტემატურად ინტერესდება საქართველოს საკითხით, მოითხოვდა ინფორმაციას „ქართული ინციდენტის" შესახებ, ეჭვი ეპარებოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის კეთილსინდისიერებაში და მისი ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია სახკომსაბჭოს ეგიდით „საქართველოს საკითხის" შესასწავლად (მის შემადგენლობაში შევიდნენ ნ. გორბუნოვი, ლ. ფოტიევა, მ. გლიასერი).

1923 წლის 3 მარტს ლენინმა მიიღო ახალი კომისიის მოხსენებითი ბარათი სათაურით „მოკლე შინაარსი კონფლიქტისა საქართველოს კომპარტიაში". აღნიშნული კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს კომპარტიის ძველი ხელმძღვანელობისთვის წაყენებული თითქმის ყველა ბრალდება უსაფუძვლო იყო. სახკომსაბჭოს კომისიის დასკვნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მონათვლა „ნაციონალ-უკლონისტებად" „ტენდენციურია". კომისია სვამდა კითხვას: „ხომ არ არის დიდმპყრობელური შოვინიზმი ის, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის მიერ გატარებული ხაზი გამოცხადებული იყო ნაციონალისტურ გადახრად საქართველოს პარტიაში და ხომ არ წარმოადგენს თვით ლოზუნგი „უკლონისტები" და მისი გაჩენა ტენდენციურს?"[2]

სტალინთან დაპირისპირების დროს ავადმყოფი ლენინი ცდილობდა დაყრდნობოდა ტროცკის. ტროცკი სამოქალაქო ომის გმირი იყო, მაგრამ 1920-1922 წლებში სწორედ ლენინი სისტემატიურად და მეთოდურად ანგრევდა ტროცკის პოპულარობას და ავტორიტეტს, რაც მან სამოქალაქო ომის წლებში მოიპოვა. ლენინის ძველ თანამებრძოლ ბოლშევიკებს ტროცკი გულზე არ ეხატებოდათ და მას „უცხო სხეულად" მიიჩნევდნენ. ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინი სტალინის ლოიალობას ეყრდნობოდა, შესაბამისად, ტროცკის დასუსტებასთან ერთად სტალინი ძლიერდებოდა. 1922 წელს ლენინს უკვე ტროცკის დახმარება დასჭირდა სტალინის წინააღმდეგ, თუმცა ამ დროისათვის ტროცკი პოლიტიკურად იმდენად დასუსტებული იყო, რომ ქმედითი დახმარება აღარ შეეძლო.[3]

1923 წლის 5 მარტს ლენინმა უკარნახა წერილი **ტროცკისადმი**, რათა „საქართველოს საკითხი" განხილულიყო რკპ(ბ) ცკ პლენუმზე და სწორედ მას გაეტანა ეს საკითხი. წერილში ნათქვამია: „ძალიან გთხოვთ იკისროთ საქართველოს საქმის დაცვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ამ საქმეს ახლა სტალინი და ძერჟინსკი „დევნიან" და მე არ შემიძლია დავენდო მათს მიუკერძოებლობას. მთლად პირიქითაც კია. თქვენ რომ დათანხმდებოდეთ იკისროთ მისი დაცვა, მე შემეძლება გულდამშვიდებული ვიყო. თუ თქვენ რაიმე მიზეზით ვერ დათანხმდებით, დამიბრუნეთ მთელი საქმე. ამას ჩავთვლი იმის ნიშნად, რომ თქვენ თანახმა არა ხართ".[4]

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ.36, გვ.690.
[2] ციტ.: გ. ყვანია. ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ. თბ., 1990, გვ.77-78.
[3] Л.Даниилкин. Ленин. М., 2017, стр.878.
[4] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ.45, გვ.756.

ეს წერილი ლენინმა იმავე დღეს ტელეფონით წაუკითხა ტროცკის. ტროცკიმ ავადმყოფობა მოიმიზეზა და უპასუხა, რომ ვერ იკისრებდა ასეთ მოვალეობას.

ლენინმა ტროცკის გაუგზავნა ასევე თავისი გამოუქვეყნებელი სტატია „ეროვნებათა საკითხის, ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ". ისიც აცნობა, რომ აღნიშნული სტატია საფუძვლად დაედებოდა ლენინის მოხსენებას რკპ(ბ) XII ყრილობაზე.

ტროცკის ლენინმა გაუგზავნა კიდევ ერთი ბარათი, რომლითაც აცნობებდა, რომ კამენევი მიდიოდა თბილისში საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე დასასწრებად და, თავის მხრივ, ტროცკი რამეს ხომ არ დაწერდა ქართველი „უკლონისტების" მხარდასაჭერად. ტროცკი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა უფლება, ლენინის სტატიის შინაარსი გაეცნო საქართველოში მიმავალი კამენევისთვის, რათა მას საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე „ლენინური სულისკვეთებით" ემოქმედა. ამაზე დენინმა კატეგორიული უარით უპასუხა – „ავტონომიზაციის" შესახებ ლენინის წერილს კამენევი მაშინვე აჩვენებდა სტალინს და მასზე დაგეგმილი მოულოდნელი შეტევა ყრილობაზე ლენინს აღარ გამოუვიდოდა. სტალინი შეეცდებოდა ყველაფერი „დამპალი კომპრომისისკენ" წაეყვანა.

ტროცკიმ ჰკითხა ლენინის მდივნებს, თუ რატომ გამწვავდა ასე საკითხი. ლენინის მდივნებმა აუხსნეს, რომ სტალინი ატყუებდა ლენინს, ლენინისა და მთელი ცენტრალური კომიტეტის ზურგს უკან ორჯონიკიძის დახმარებით აწყობდა ორგანიზაციულ გადატრიალებას პარტიის საუკეთესო ნაწილის წინააღმდეგ. ტროცკის თქმით, ამის შემდეგ ლენინის გეგმა მისთვის გასაგები გახდა, – ყრილობაზე სტალინის პოლიტიკის მაგალითით უნდოდა ეჩვენებინა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა დიქტატურის ბიუროკრატიული გადაგვარება.

ტროცკისაგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ლენინმა 1923 წლის 6 მარტს უკარნახა წერილი ბუდუ მდივნის, ფილიპე მახარაძისა და სხვებისთვის, ასლი კი გაუგზავნა ტროცკისა და კამენევს.

წერილში ნათქვამია:

„პატივცემულო ამხანაგებო! სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს. აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ მას მფარველობენ სტალინი და ძერჟინსკი. ვამზადებ თქვენთვის ბარათებსა და სიტყვას. პატივისცემით ლენინი".[1]

ამ მეორე ბარათის გადაცემისას ტროცკი დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა ლენინმა ყრილობამდე საჯაროდ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. ბარათის მიმტანმა მდივანმა აუხსნა, რომ ლენინის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება და ეშინია, რომ ვერ მოასწრებს ყრილობაზე გამოსვლას.

ეს აღმოჩნდა ლენინის უკანასკნელი დოკუმენტი. ავადმყოფობის გამო ვეღარ მოამზადა წერილი და სიტყვა „საქართველოს საკითხზე". 10 მარტს ლენინს მე-3 ინსულტი დაემართა, საიდანაც ის ვეღარ გამოვიდა. 1924 წლის იანვრამდე იცოცხლა, მაგრამ დაკარგული ჰქონდა ლაპარაკისა და წერის უნარი.

შეიძლება ითქვას, რომ ამან გადაარჩინა „ჩამოქვეითებისაგან" სტალინი და, მასთან ერთად, ორჯონიკიძე და ძერჟინსკი.

ლენინის 6 მარტის წერილის შესახებ სტალინმა მეორე დღესვე შეიტყო კამენევისაგან (წესით კამენევს არ უნდა სცოდნოდა, რადგანაც ლენინმა ქართველ კომუნისტებს ბარათი გაუგზავნა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ") და სასწრაფოდ აცნობა ამის შესახებ ორჯონიკიძეს გრიფით „სასტიკად საიდუმლოდ". სტალინი ატყობინებდა: „ილიჩი ამხანაგებს მახარაძესა და სხვებს უგზავნის წერილს, სადაც იგი სოლიდარობას უცხადებს უკლონისტებს და გლანძღავს შენ, ამხ. ძერჟინსკის და მე. ჩანს, მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე უკლონისტების სასარგებლოდ. ზედმეტია ლაპარაკი, რომ, როცა უკლონისტები ამ წერილს მიიღებენ, ყველანაირად გამოიყ-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ.45, გვ.756.

ენებენ მას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგ". სტალინი ურჩევდა ორჯონიკიძეს, რომ უფრო ფრთხილად ემოქმედა[1] და კომპრომისისთვის მიეღწია.

თუმცა ლენინის ავადმყოფობამ მათ უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა. 1923 წლის მარტში საქართველოს კომპარტიის მე-2 ყრილობაზე და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის მე-2 ყრილობაზე თითქმის ყველა გამომსვლელი აკრიტიკებდა ნაციონალ-უკლონისტებს.

მიუხედავად ლენინისათვის ნათქვამი უარისა, ტროცკი მაინც ჩაერთო „ქართული ინციდენტის" განხილვაში. 6 მარტს ტროცკიმ მკაცრად გააკრიტიკა სტალინის თეზისები „ნაციონალური მომენტი პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში". ტროცკი არ დაეთანხმა სტალინის მტკიცებას, რომ ეროვნული საკითხი უკვე გადაჭრილი იყო და ერებს შორის დამყარდა მშვიდობიანი თანაცხოვრება და თანამშრომლობა. ტროცკი მთავარ საფრთხედ მიიჩნევდა დიდმპყრობელურ შოვინიზმს, ადგილობრივი ნაციონალიზმი კი მასზე რეაქცია იყო. კამენევთან საუბრის დროს ტროცკიმ განაცხადა: „მე მინდა ნაციონალური პოლიტიკის რადიკალური შეცვლა, რეპრესიების შეწყვეტა სტალინის ქართველი მონინააღმდეგეების მიმართ... სტალინის რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე არაფრად ვარგა. უხეში და თავხედი დიდმპყრობელური ზეწოლა იქ ერთ რიგში დგას პატარა, სუსტი და ჩამორჩენილი ხალხების პროტესტთან.[2] სტალინი იძულებული გახდა, მიეღო კრიტიკა და გადაეკეთებინა თეზისები.

ცოტა მოგვიანებით, 1923 წლის 26 მარტს პოლიტბიუროს სხდომაზე, ხოლო ხუთი დღის შემდეგ, 31 მარტს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ტროცკიმ შეიტანა პროექტი, რომელიც სამი წინადადებისგან შედგებოდა:

1) ორჯონიკიძის გაწვევის შესახებ;

2) აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია თავისი ახლანდელი სახით წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის დამახინჯებას, უზომო ცენტრალიზაციის აზრით;

3) აღიარებულ იქნეს, რომ ამხანაგები, რომლებიც შეადგენენ უმცირესობას საქართველოს კომპარტიაში, არ წარმოადგენენ გადახრას პარტიული ხაზისაგან ეროვნულ საკითხში; მათ პოლიტიკას ამ საკითხში ჰქონდა თავდაცვითი ხასიათი – ორჯონიკიძის არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ".

ტროცკის წინადადებას მხარი არ დაუჭირა არც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, არც პლენუმმა. სამაგიეროდ, ტროცკის მცდელობა, დაეცვა ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები", შემდეგ მათ წინააღმდეგ „ტროცკისტობაში" ბრალდების საფუძველი გახდა.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1923 წლის 23 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ბუდუ მდივნის საქართველოდან გაწვევის შესახებ. ეს იყო „უკლონისტების" წინააღმდეგ ადრე მოფიქრებული „უწყინარი" ზომა „გადასახლებისა", ვითომდა სამუშაოდ სხვაგან გადაყვანის მომიზეზებით. იგივე მეთოდი გამოიყენეს სხვა რესპუბლიკების ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგაც. მაგალითად, უკრაინაში ყველაზე გავლენიანი უკლონისტი ხრისტიან რაკოვსკი (1873-1941) 1923 წლის ზაფხულში უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტიდან გადაიყვანეს დიპლომატიურ სამსახურში, ინგლისში ელჩად.[3]

რკპ(ბ) XII ყრილობაზე ფაქტობრივად დამთავრდა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა" განადგურება. უკლონისტებიდან ყრილობას ესწრებოდნენ ფილიპე მახარაძე, ბუდუ

---

[1] 1923 წლის 21 მარტს სტალინმა ორჯონიკიძეს კიდევ ერთი დეპეშა გაუგზავნა: „არ შეიძლება ამიერკავკასიის ეროვნული რესპუბლიკები ჩავაყენოთ უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ყირიმისა და იაკუტიის (ავტონომიური ოლქები). ეს შეცდომა აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს".

[2] История России. Под ред. Л.В.Милова. М., 2007, с.354-355.

[3] რკპ(ბ) XII ყრილობაზე ხრისტიან რაკოვსკი გამოვიდა სტალინის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ყრილობაზე რაკოვსკიმ განაცხადა, რომ „საკავშირო კომისარიატებს უნდა ჩამოერთვას მათი უფლებების 9/10 და გადაეცეს ნაციონალურ რესპუბლიკებს" (XII съезд РКП(б). Стенографический отчет. М., 1968. С.576-582).

მდივანი და სერგო ქავთარაძე, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში კი ჩაება ამიერკავკასიის ყველა დელეგატი – 23 კაცი.[1]

რკპ(ბ) XII ყრილობის შემდეგ, 1923 წლის ივნისში შედგა ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი, სადაც დაგმეს „ადგილობრივი ნაციონალიზმი". აღინიშნა, რომ კომუნისტური ორგანიზაციების განმტკიცება მხოლოდ ნაციონალიზმის დაძლევით არის შესაძლებელი. სტალინმა რაკოვსკის და მის თანამოაზრეებს ბრალი დასდო კონფედერალიზმში, ნაციონალ-უკლონიზმსა და სეპარატიზმში.

უკლონისტთა შორის ასევე გააკრიტიკეს ბაშკირეთსა და თათრეთში პოპულარული სულთან-გალიევი და მისი პოზიცია შეაფასეს როგორც „ყველაზე მახინჯი გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისკენ". მისი პროგრამა რევოლუციონერობისა და თათრული ნაციონალიზმის ნარევი იყო. მაგალითად, ერთი პერიოდი მოითხოვდა თურანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას, რომელშიც უნდა შესულიყო თურქესტანი, ყირგიზეთი, ხივა, ბუხარა, ავღანეთი და სპარსეთი, ჰქონდა „კოლონიური ინტერნაციონალის" შექმნის იდეა.

4.7. რას აკეთებდნენ „ნაციონალ-უკლონისტები"

საქართველოს კომუნისტური პარტიის „უკლონისტებად" წოდებული ხელმძღვანელობა, როგორც უკვე ითქვა, ცდილობდა დაეცვა საქართველოს მკვეთრად შელახული ინტერესები.

ლავრენტი ბერია 1935 წელს გაკეთებულ მოხსენებაში ნაციონალ-უკლონისტების შესახებ აღნიშნავდა: „ქართველი უკლონისტები იბრძოდნენ საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათათვის ავტონომიის მინიჭების წინააღმდეგ. საქართველოს მაშინდელი ცენტრალური კომიტეტი და რევკომი (ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, კ.ცინცაძე და სხვ.) ყოველნაირად აჭიანურებდნენ ავტონომიის მინიჭებას სამხრეთ ოსეთისა, აჭარისტანისა და აფხაზეთისათვის. ამ რესპუბლიკათა ავტონომია მიღებულ და გატარებულ იქნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და რევკომის უკლონისტური უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ქართული უკლონიზმის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა – ბ. მდივანმა ხმა მისცა იმის წინააღმდეგ, რომ ქალაქი ცხინვალი შეეტანათ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო უკლონისტების მეორე ხელმძღვანელმა – ს. ქავთარაძემ უარი განაცხადა იმაზე, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევკომის სახელით გაეგზავნა მისალმება აჭარისტანის წითელი მეჯლისისათვის..."[2]

ერთ-ერთი „მძიმე" ბრალდება, რასაც „ნაციონალ-უკლონისტებს" უყენებდნენ, საქართველოს **„საზღვრების ჩაკეტვის" მცდელობას უკავშირდებოდა.** საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში მყოფი ჯგუფი ცდილობდა დაერეგულირებინა საქართველოში დევნილთა შემოსვლა. მაშინ საქართველოში ათეულ ათასობით დევნილი იმყოფებოდა – ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომისა და მომდევნო პერიოდში თურქეთიდან შემოსული სომხები და ბერძნები, 1922 წლის დასაწყისიდან საქართველოს მოაწყდნენ ვოლგისპირეთიდან დამშეულები. მოდიოდნენ სტიქიურად – რკინიგზით, ზღვით, საქართველოს სამხედრო გზით. ამ ოდენობით ლტოლვილთა ახალი ნაკადის მიღება და დაბინავება საქართველოს აღარ შეეძლო. სხვა ყველაფერთან ერთად, ისინი აუარესებდნენ კრიმინალურ სიტუაციას, ქმნიდნენ ეპიდემიის გავრცელების საფრთხეს.

საქართველოს ხელმძღვანელობა რუსეთის შესაბამისი ორგანოებისაგან უშედეგოდ ითხოვდა დევნილთა ნაკადის შეჩერებას, მაგრამ ამაოდ. „უკლონისტებმა" მოამზადეს დეკრეტი საქართველოს საზღვრებზე კორდონების დაწესების შესახებ, მაგრამ არ მიუღიათ. 1922 წლის 31 მარტს დააგზავნეს წერილები, რომლის თანახმადაც, საქართველოს საზღვრები ცხადდებოდა დახურულად. ამისათვის რკპ(ბ) XII ყრილობაზე (1923 წ. აპრი-

---

[1] გ. ყვანია. ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ. თბ., 1990, გვ.86.

[2] ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხისათვის. მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წ. 21-22 ივლისს. თბ., 1945, გვ.259.

ლი) „უკლონისტები“ გამოლანძღეს და შოვინიზმში დასდეს ბრალი, რომ უარს ამბობდნენ გაჭირვებული ადამიანების დახმარებაზე. ამავე დროს ხმა არ ამოუღიათ სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებ. 1922 წლის 25 თებერვალს აზერბაიჯანმა გადაწყვიტა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არავინ არ შეეშვათ, გარდა მივლინების მქონეთა. 1922 წლის 4 აგვისტოს სომხეთმა აკრძალა ლტოლვილთა შესვლა, მათ შორის სომხებისა, მათი განსახლების შეუძლებლობის გამო.

„უკლონისტებს“ ბრალი დასდეს, რომ მათ გამოსცეს დეკრეტი თბილისში მოსახლეობის რეგულირების შესახებ. მათ სტალინმა ბრალი დასდო, რომ უნდოდათ თბილისიდან არაქართული მოსახლეობის, პირველ რიგში, სომხების განდევნა.[1] სინამდვილეში საქმე ეხებოდა თბილისში სტიქიურად შემოსულ ლტოლვილებს, რომლებიც ქალაქს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ, და არა მის მკვიდრ მოსახლეობას.

„ნაციონალ-უკლონისტებს“ შეცდომად და დანაშაულად უთვლიდნენ იმასაც, რომ ვერ მოაგვარეს მიწის საკითხი, ვერ განახორციელეს რევოლუციური აგრარული რეფორმა, არ იწონებდნენ რეპრესიებს მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, გმობდნენ მემამულეთა იძულებით გაძევებას და ა.შ.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ „ნაციონალ-უკლონისტები“ უფრო გონივრულ და ზომიერ პოზიციაზე იდგნენ, ვიდრე სერგო ორჯონიკიძის მიერ მართული ძალები. „ნაციონალ-უკლონისტთა“ მოღვაწეობაში ნამდვილად იყო რაღაც ისეთი, რომელიც მკვეთრად განასხვავებდა მათ სხვა ქართველი და არაქართველი ბოლშევიკებისაგან.[2]

4.8. ცილისწამება და ფიზიკური ანგარიშსწორება „ნაციონალ-უკლონისტებთან“

„ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ ბრძოლა მალე ყოველგვარ საზღვრებს გადასცდა. სტალინის მიერ მოწონებულ პარტიის ისტორიის მოკლე კურსში „ნაციონალ-უკლონისტების“ საქმიანობის შესახებ ნათქვამი იყო: „ნაციონალ-უკლონისტები ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების წინააღმდეგ. საქართველოში სხვა ეროვნებათა მიმართ უკლონისტებს თავი ისე ეჭირათ, როგორც ნამდვილ დიდმპყრობელურ შოვინისტებს. ისინი თბილისიდან ასახლებდნენ ყველა არაქართველს, განსაკუთრებით სომხებს, გამოსცეს კანონი, რომლის მიხედვითაც ქართველი ქალი, თუ იგი არაქართველს გაპყვებოდა, ჰკარგავდა საქართველოს მოქალაქეობას. ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მხარს უჭერდნენ ტროცკი, რადეკი, ბუხარინი, სკრიპნიკი, რაკოვსკი“.[3]

დავშალოთ ეს აბზაცი ცალკეულ ფრაზებად და განვიხილოთ:

საკ. კპ (ბ) მოკლე კური	შეფასება
ნაციონალ-უკლონისტები ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების წინააღმდეგ.	ამიერკავკასიის ფედერაციას ზედმეტ რგოლად მიიჩნევდნენ და სსრ კავშირში უშუალოდ შესვლას ითხოვდნენ. ა/კ ფედერაციის წინააღმდეგ წასვლა არ ნიშნავს „ხალხთა მეგობრობის“ წინააღმდეგ გამოსვლას.
საქართველოში სხვა ეროვნებათა მიმართ უკლონისტებს თავი ისე ეჭირათ, როგორც ნამდვილ დიდმპყრობელურ შოვინისტებს.	სიცრუე და ცილისწამებაა.

[1] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 5, გვ.279-281.
[2] ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბ., 1999, გვ. 139.
[3] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. მონონებულია საკ. კპ (ბ) ცკ-ის მიერ. 1938 წელი, თბილისი, 1953, გვ.320-321.

ისინი თბილისიდან ასახლებდნენ ყველა არაქართველს, განსაკუთრებით სომხებს.	სიცრუე და ცილისწამებაა.
გამოსცეს კანონი, რომლის მიხედვითაც ქართველი ქალი, თუ იგი არაქართველს გაჰყვებოდა, ჰკარგავდა საქართველოს მოქალაქეობას.	გამოგონილი ბრალდებაა, კანონი მოქალაქეობის შესახებ მზადდებოდა, მაგრამ არ მიუღიათ.
ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მხარს უჭერდნენ ტროცკი, რადეკი, ბუხარინი, სკრიპნიკი, რაკოვსკი.	ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს ბრალდებოდათ კავშირი ყველა სახის ანტისტალინურ ოპოზიციასთან.

სტალინს და მის მომხრეებს არ დავიწყებიათ „ნაციონალ-უკლონისტების" მიერ გაწეული წინააღმდეგობა. მათ მალევე დაუმძიმდათ ბრალდებები და თავს დაატყდათ რეპრესიები.

1927 წელს დააპატიმრეს ბ. მდივანი და ს. ქავთარაძე. ისინი ჯერ ჩელიაბინსკში, შემდეგ კი ვიატკაში გადაასახლეს. 1930-იანი წლების დამდეგს ისინი გაათავისუფლეს, ოღონდ ყველა არა – 1930 წელს ბანაკში მოკვდა კ. ცინცაძე.

1936-1937 წლებში „უკლონისტები" ისევ დააპატიმრეს. მათ უკვე გაცილებით მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ. 1935 წელს მოხსენების სახით ნაკითხულ ლ. ბერიას წიგნში ეწერა: „1927-1935 წლების პერიოდში ნაციონალ-უკლონიზმი შეუერთდა რა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს, გადაიქცა ფაშიზმის დაქირავებულ აგენტურად, ჯაშუშების, მავნებლების, დივერსანტების, მზვერავებისა და მკვლელების უპრინციპო და უიდეო ბანდად, მუშათა კლასის მოსისხლე მტრების თავზეხელაღებულ ბანდად. 1936 წელს აღმოჩენილ იქნა ტროცკისტული ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი, სადაც შედიოდნენ ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, ს. ჩიხლაძე, ნ. კიკნაძე და სხვ.".[1]

საქმეების შეთხზვაში ბერიას ჩეკისტი გამომძიებლების ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. ბერიას განცხადებით, „დოკუმენტურად გამორკვეული" იყო, რომ ქართველი ნაციონალ-უკლონისტების „გამცემლურ მუშაობას საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ უკვე 1923 წლიდან უშუალოდ წარმართავდა ობერ-ბანდიტი იუდუშკა ტროცკი". დაკავებული ყოფილი ნაციონალ-უკლონისტები „გამოტყდნენ თავის დანაშაულობებში პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის წინაშე. თავის ჩვენებებში მათ გადაშალეს თავისი ბილწი, მოღალატური, ძირგამომთხრელი ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობის უსაზიზღრესი სურათი". თურმე „ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჯაშუშობის, დივერსიისა და მავნებლობის გზით ძირი გამოეთხარათ ... სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისათვის. მათ განზრახული ჰქონდათ მოენყვიტათ ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო საბჭოთა კავშირისაგან და ყველა ანტისაბჭოთა ძალების დახმარებით შეექმნათ „დამოუკიდებელი" საქართველოს სახელმწიფო ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ".[2]

ასეთი ბრალდებების შედეგი ძნელი მისახვედრი არ არის, – იგივე ბერია აღნიშნავდა, რომ „1936 წელს ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე (კ. ცინცაძე კიდევ უფრო ადრე) მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები".[3]

---

[1] ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხისათვის. მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წ. 21-22 ივლისს. თბ., 1945, გვ.289.
[2] იქვე, გვ.290-291.
[3] იქვე, გვ.259.

ბუდუ მდივანს (1877-1937), რომელმაც 1931 წელს განაცხადა ოპოზიციური მუშაობის შეწყვეტის შესახებ და მოინანია შეცდომები, 1936 წლამდე ეკავა საქართველოს სსრ-ს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. 1936 წელს ისევ დააპატიმრეს „ტროცკისტულ-ჯაშუშური ცენტრის" მუშაობაში მონაწილეობის ბრალდებით. 1937 წლის 9 ივლისს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. დახვრიტეს მეორე დღესვე.

1937 წელს ასევე დახვრიტეს მიხეილ ოკუჯავა, მალაქია ტოროშელიძე (1880-1937) და ზოგიერთი სხვა.

ყოფილი „ნაციონალ-უკლონისტებისაგან" დახვრეტას გადაურჩა ფილიპე მახარაძე (1868-1941). ფილიპე მახარაძეს სხვადასხვა დროს მრავალი მაღალი თანამდებობა ეკავა. 1931 წლიდან მახარაძე გახდა საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ამავე დროს 1936 წლამდე, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლამდე, იყო ამ რესპუბლიკის ცაკის ერთ-ერთი თავმჯდომარე. 1938-1941 წლებში იყო საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.[1]

გადარჩა ასევე სერგო ქავთარაძე (1885-1971). საქართველოში ს. ქავთარაძე ტროცკისტობის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა შემდეგ სასჯელი მოეხსნა და რეაბილიტირებულ იქნა იოსებ სტალინთან მისი პირადი მეგობრობის წყალობით.[2]

---

[1] გარდაიცვალა 1941 წელს. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში. 1987 წელს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს, უცნობმა პირებმა ააფეთქეს ფილიპე მახარაძის საფლავი. კომუნისტური პარტიის მაშინდელი პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის ბრძანებით, საფლავი 12 საათში აღადგინეს, თუმცა მოგვიანებით, 1989 წელს ის, მიხა ცხაკაიასა და სილიბისტრო თოდრიასთან ერთად გადაასვენეს ხუდადოვის სასაფლაოზე. მახარაძისა და ცხაკაიას ადგილას 2008-2009 წლებში ანა კალანდაძე და ნოდარ დუმბაძე დაკრძალეს.

[2] 1939 წლიდან ს. ქავთარაძე დიპლომატიურ სამუშაოზე იმყოფებოდა – იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობის განყოფილების გამგე. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1945-1952 წლებში ს. ქავთარაძე იყო სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში, შემდეგ – სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი. 1954 წლიდან პენსიაზე იყო.

თავი V.

მსოფლიო რევოლუციის ამაო მოლოდინი

5.1. მსოფლიო რევოლუციის იდეა

ლენინი და ბოლშევიკები ოქტომბრის რევოლუციას თავიდანვე განიხილავდნენ ევროპასა და მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის დასაწყისად. ლენინის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, იმპერიალიზმის ეპოქაში ძლიერდებოდა კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარება, ამიტომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია დაიწყებოდა არა ერთდროულად რამდენიმე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორც ამას მარქსი და ენგელსი ვარაუდობდნენ, არამედ ერთ ქვეყანაში, რომელიც „სუსტი რგოლი" აღმოჩნდებოდა კაპიტალიზმის ჯაჭვში. შემდეგ რევოლუციური პროცესი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავიდოდა, პირველ რიგში, ევროპის ტერიტორიაზე.

ლენინი ამ იდეამდე პირველი მსოფლიო ომის დროს მივიდა, როდესაც შვეიცარიაში ცხოვრობდა. ამ ქვეყანაში ყოფნისას მან შესაძლებლად მიიჩნია სოციალისტური რევოლუციის დაწყება პირველად შვეიცარიაში და შესაბამის მიმართვებს წერდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს. მისი განცხადებით, შვეიცარიაში რევოლუციის შემთხვევაში, თუკი მეზობელი დიდი ქვეყნები ჩაერეოდნენ და „სოციალისტური შვეიცარიის" წინააღმდეგ გაილაშქრებენ, მაშინ ეს მხოლოდ პროლოგი იქნებოდა მთელ ევროპაში რევოლუციური აფეთქებისათვის. ეს გეგმა სრული უტოპია იყო (ლენინის ერთ-ერთი ბიოგრაფი დიმიტრი ვოლკოგონოვი ირონიულად აღნიშნავს: ყველა ვერ მოიფიქრებდა შვეიცარიის გადაქცევას მსოფლიო რევოლუციის დეტონატორად![1]), მაგრამ ლენინი არ ისვენებდა და 1917 წლის იანვარში კვლავ დღის წესრიგში აყენებდა რევოლუციის დაწყებას შვეიცარიაში.[2] თუმცა იმასაც ამბობდა, რომ ის და სხვა „მოხუცები" რევოლუციას ვერ მოესწრებოდნენ(?!). რევოლუციის მომლოდინე მთავარ ბოლშევიკს შვეიცარიაში არავინ დაუჯერა, რევოლუცია კი რუსეთში მოხდა 1917 წლის თებერვალში და მალე ლენინი, სხვა რუს რევოლუციონერებთან ერთად, დალუქული ვაგონით, გერმანიის გავლით, რევოლუციური რუსეთისაკენ გაემგზავრა.

რუსეთში ლენინი მაშინვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ეს მოწოდება სოციალისტების დიდმა ნაწილმა ავანტიურად მიიჩნია, თუმცა ლენინი მომხრეებსაც აგროვებდა. ჩამორჩენილი რუსეთი შვეიცარიაზე კარგად ერგებოდა „სუსტი რგოლის" კონცეფციას.

„ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაზე", მით უმეტეს, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, მაშინ არავინ ფიქრობდა. ბოლშევიკებს სჯეროდათ, რომ რევოლუცია მალე დაიწყებოდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ამის გარეშე რუსეთის რევოლუცია, მათი აზრით, განწირული იქნებოდა დამარცხებისთვის. საბჭოების მსოფლიო რესპუბლიკის (ან საბჭოთა შეერთებული შტატების) ლოზუნგი მთლიანად პასუხობდა პროლეტარული რევოლუციის კონცეფციას. ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების მოპოვების მეორე დღეს, 1917 წლის 26 ოქტომბერს, საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე გამოსვლისას ტროცკიმ განაცხადა, რომ ან რუსეთის რევოლუცია გამოიწვევდა რევოლუციებს დასავლეთში, ანდა კაპიტალისტური სამყარო ჩაახშობდა რუსეთის რევოლუციას.

იმავეს ამბობდა ლენინი რამდენიმე წლის შემდეგ, 1921 წლის 25 ივლისს, კომინტერ-

---

[1] Д.Волкогонов. Семь вождей. Книга 1. Москва, 1997, стр.86.

[2] ამ საკითხზე ლენინის ავანტიურისტული განცხადებები მის თანამებრძოლებს გარკვეულწილად აწუხებდათ. ეს ნერილები ლენინის სიცოცხლეში რუსულად არ გამოქვეყნებულა, თუმცა შემდეგ შეიტანეს ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში, რომელიც 55 ტომად გამოიცა (მასში მაინც არ შეიტანეს ლენინის ყველა დოკუმენტი, რომელთა არსებობაზეც გორბაჩოვის „გარდაქმნის" პერიოდში ალაპარაკდნენ და დამატებით ლენინის რამდენიმე ტომის გამოცემის შესაძლებლობას განიხილავდნენ).

ნის III კონგრესზე გამოსვლის დროს. მისი თქმით, ოქტომბრის რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია დანარჩენ ქვეყნებშიც მალე დაიწყებოდა, თანაც უფრო განვითარებულ ქვეყნებში, ვიდრე რუსეთი იყო. ამის გარეშე რუსეთის რევოლუციის დამარცხება გარდუვალად მიაჩნდათ.[1]

ამიტომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში (1919-1925 წწ.) რუსეთის ფედერაციისა (რსფსრ) და რუსეთის კომპარტიის – რკპ(ბ) ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი იყო რევოლუციის დასავლეთისკენ წინსვლა, საბჭოების მსოფლიო რესპუბლიკის შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1919 წლის გაზაფხულზე შექმნილი კომუნისტური ინტერნაციონალი (კომინტერნი). ეს იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების გაერთიანება. კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო მისი წევრი კომუნისტური პარტიებისათვის. კომინტერნის სტრატეგიასა და ტაქტიკას საფუძვლად დაედო მსოფლიო რევოლუციის კონცეფცია.[2] მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად უნდა გადაქცეულიყო 1922 წლის ბოლოს შექმნილი „საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირი“.

ამავე დროს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობის თაობაზე გაკეთებულ პროგნოზებში მკაფიოდ ჩანს ლენინისა და სხვა ბოლშევიკი ლიდერების მიერ დაშვებული შეცდომები. ლენინის პროგნოზების დიდი ნაწილი არ გამართლდა, ამ პროგნოზებსა და მოქმედებაში კი კარგად ჩანს ლენინი-მაქსიმალისტი და რადიკალი. მსოფლიო რევოლუციის იდეით შეპყრობილებს, როგორც წესი, სასურველი რეალობად ეჩვენებოდათ. რადგანაც რევოლუცია სხვა ქვეყნებში „თავისით“ არ ხდებოდა, გადაწყვიტეს მისი დაჩქარება „რევოლუციის ექსპორტის“ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია და ძირგამომთხრელი საქმიანობა „კაპიტალისტური ქვეყნების“ შიგნით).

რატომ აქცევდა ლენინი ასეთ დიდ ყურადღებას მსოფლიო რევოლუციის იდეას? საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამდენს რატომ ლაპარაკობდა მსოფლიო რევოლუციაზე და რატომ ელოდა მოუთმენლად მის დაწყებას? საქმე ისაა, რომ ლენინს დიდხანს ეეჭვებოდა, შეძლებდნენ თუ არა ბოლშევიკები ხელისუფლების შენარჩუნებას. მისთვის მსოფლიო რევოლუცია, პირველ რიგში, იყო საბჭოთა რუსეთის დახმარება, მისი გადარჩენა, მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდა დღის წესრიგში რუსი კომუნისტების სტრატეგიული მიზნები.[3]

საბჭოთა კავშირის იდეოლოგიისა და პოლიტიკის განხილვა სრული არ იქნება, თუკი არ განვიხილავთ მსოფლიო რევოლუციის იდეას და ამ მიმართულებით გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს.

5.2. „რევოლუცია სულ მალე დაიწყება...“

ბოლშევიკები ცდილობდნენ გაეკეთებინათ ყველაფერი მსოფლიო რევოლუციის წასაბიძგებლად. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მაშინვე გამოაქვეყნეს მეფის მთავრობის ყველა საიდუმლო შეთანხმება ანტანტის ქვეყნებთან, ახალისებდნენ ჯარისკაცთა დაძმობილებას ფრონტზე, საძმობლოში აბრუნებდნენ „ბოლშევიზმით გამსჭვალულ“ გერმანელ და ავსტრია-უნგრელ ტყვეებს; მაგრამ მთავარ იმედს მაინც საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებების რევოლუციურ ზემოქმედებაზე ამყარებდნენ, კერძოდ, სამთვიანი დროებითი დაზავების წინადადებაზე, რომელიც მოცემული იყო დეკრეტში „ზავის შესახებ“. ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერის ლევ კამენევის აზრით, სწორედ ეს დრო სჭირდებოდა ევროპის პროლეტარიატს რევოლუციის განსავითარებლად.

---

[1] 1919 წელს ლენინმა ამერიკული მემარცხენე გაზეთების კორესპონდენტებისთვის პასუხის დროს აღნიშნა, რომ მისთვის ყველაზე ბედნიერი დღე არის არა 1917 წლის 25 ოქტომბერი, როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში მოიპოვეს ხელისუფლება, არამედ 1918 წლის ნოემბერი, როდესაც გერმანიაში დაიწყო რევოლუცია.

[2] В.И. Пятницкий. Осип Пятницкий и Коминтерн на весах истории. Мн.: Харвест, 2004, с.81.

[3] Д.Волкогонов. Семь вождей. Книга 1. Москва, 1997, стр.102.

ანტანტის ქვეყნებმა და აშშ-მა არ მიიღეს ბოლშევიკების წინადადება დროებითი დაზავების შესახებ, ცენტრალური ბლოკის ქვეყნები კი ამ მოწოდებას დადებითად შეხვდნენ. 1917 წლის 14 (27) ნოემბერს გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა თანხმობა განაცხადეს. მოლაპარაკებები დაიწყო 1917 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) ბრესტ-ლიტოვსკში. ამ მოლაპარაკებებს ტროცკი „რევოლუციური პროპაგანდის" ფუნქციას ანიჭებდა. ის მოლაპარაკებების დროს არა გერმანიის გენერლებისგან შემდგარ დელეგაციას, არამედ გერმანელ მუშებს მიმართავდა და იმედოვნებდა, რომ მისი გამოსვლების გამოქვეყნების შემდეგ გერმანიაში პროლეტარიატი აჯანყდებოდა და დაამხობდა იმპერიალისტურ მთავრობას.

საბჭოთა მხარე თავიდან პრინციპულად ითხოვდა დემოკრატიული („უანექსიო და უკონტრიბუციო") ზავის დადებას და იმედი ჰქონდა, რომ მოლაპარაკებების პერიოდში დაიწყებოდა რევოლუციები გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში. სასურველი ცნობები „რევოლუციების დაწყების" შესახებ ბოლშევიკ ლიდერებთან მიდიოდა კიდეც, თუმცა არც დარწმუნებულები იყვნენ ამ ცნობების სისწორეში. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1918 წლის 19 იანვარს ლენინმა წინადადება წამოაყენა ბერლინში თვითმფრინაველი გაეგზავნათ და ჰაერიდან დაენახათ, ხდებოდა თუ არა რევოლუცია გერმანიაში (ბერლინში ბარიკადები იყო თუ არა).

ბრესტში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს „მემარცხენე კომუნისტების" წრეებში წარმოიშვა ე. წ. „საველე რევოლუციის" იდეა.[1] ამ თეორიის თანახმად, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში უკვე მომწიფებული იყო რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ ხალხის მასები რევოლუციას ვერ ახდენდნენ. მოვლენათა დასაჩქარებლად საჭირო იყო „გარედან ბიძგი", რომელიც საბჭოთა რუსეთს უნდა განეხორციელებინა და შეჭრილიყო გერმანიის ტერიტორიაზე. სწორედ ეს „გარედან ბიძგის" ტაქტიკა განასხვავებდა „საველე რევოლუციას" ტრადიციული „შიდა რევოლუციისაგან".[2]

მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. რევოლუცია გერმანიაში მაშინ არ მომხდარა და 1918 წლის 3 მარტს ბრესტში ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს მძიმე ზავს გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი). ასეთი ზავი „იმპერიალისტებთან" ბევრ ბოლშევიკსაც არ მოსწონდა, მაგრამ ლენინი აცხადებდა, რომ დროის მოსაგებად უნდა დაეთმოთ „სივრცე". პირველი მსოფლიო ომი რუსეთის მონაწილეობის გარეშე გაგრძელდა და გერმანია დამარცხდა. ბოლშევიკებმა ბრესტის ზავი გაუქმებულად გამოაცხადეს და გერმანელების მიერ დაკავებული ტერიტორიების დაბრუნება დაიწყეს. ლენინის გათვლამ გაამართლა და მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა თანაპარტიელთა თვალში.

1918 წლის შემოდგომიდან „რევოლუციების დრო" თითქოსდა მოვიდა. 1918 წლის ნოემბერში რევოლუციამ იფეთქა გერმანიაში, 1919 წლის მარტში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა უნგრეთში. რევოლუციური მღელვარება იყო ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ.

1918 წლის ბოლოს და 1919 წლის დამდეგს ბოლშევიკური პარტიის ლიდერებს სჯეროდათ, რომ იწყებოდა მსოფლიო რევოლუციის გადამწყვეტი ფაზა. მის დასაჩქარებლად რუს კომუნისტებს პოლონეთის გავლით ევროპაში შეჭრის იდეა გაუჩნდათ.

5.3. კომინტერნი – მსოფლიო რევოლუციის ინსტრუმენტი

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განხორციელებას თავისი ინსტრუმენტი სჭირდებოდა საერთაშორისო რევოლუციური ორგანიზაციის სახით, რომელიც, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო პარტია" იქნებოდა. 1918 წლის ბოლოს რუსეთის კომუნისტური პარტიის იდეურად მონათესავე ძალა მხო-

[1] მისი ავტორი იყო ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ვ. ობოლენსკი (ნ. ოსინსკი).
[2] В.И. Пятницкий. Осип Пятницкий и Коминтерн на весах истории. Мн.: Харвест, 2004, с.73.

ლოდ გერმანიაში იყო სპარტაკელთა კავშირის სახით. ბოლშევიკებისათვის ასეთი ორგანიზაციების შექმნის გზა სოციალ-დემოკრატიული პარტიების გათიშვა და ამ პარტიების მემარცხენე ფრთისაგან კომუნისტური პარტიების შექმნა იყო.

1919 წლის თებერვალში ჩიჩერინმა ლენინის დავალებით რადიოთი რამდენჯერმე გადასცა მოწოდება, მოსკოვში საერთაშორისო კომუნისტურ კონფერენციაზე ჩასულიყვნენ ისინი, ვინც „იზიარებდა ხელისუფლებაში მოსული რუსი სოციალისტების შეხედულებებს" ამ მოწოდებას ფაქტობრივად არავინ გამოხმაურებია, რადგანაც ასეთი ძალები ორგანიზებული სახით არც არსებობდნენ. გერმანიიდან ჩამოვიდა მხოლოდ ერთი დელეგატი – ებერლეინი. დელეგაციების ფორმირება რუსეთში მყოფი პირებისაგან ხდებოდა. მაგალითად, ზინოვიევი ავსტრიისა და უნგრეთის კომპარტიების ფორმირებას რუსეთში მყოფი სამხედრო ტყვეებისგან ახდენდა. „ჩამოყალიბდა" რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, პოლონეთის, ფინეთის, სომხეთის, ვოლგისპირეთის გერმანელებისა და საკმაოდ ბუნდოვანი „რუსეთის აღმოსავლეთის ხალხების" დელეგაციები.

1919 წლის 2 მარტს გახსნილ კონფერენციაზე სულ დაფიქსირდა 52 დელეგატი, მათ შორის გადამწყვეტი ხმა მხოლოდ 34 ადამიანს ჰქონდა. კონფერეციას საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლებიდან მხოლოდ რამდენიმე ესწრებოდა: ლენინი, ებერლეინი, კუუსინენი, პლატენი, სკრიპნიკი, სადული.

გადაწყდა, რომ შეიქმნა „III კომუნისტური ინტერნაციონალი". სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები მის სექციებად განიხილებოდა. სინამდვილეში კი რუსეთის კომპარტიამ მიიღო მოხერხებული ინსტრუმენტი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.[1] სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიები უხვად ფინანსდებოდნენ მოსკოვიდან. ფულის ნაწილი დანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა, ნაწილი კი, უბრალოდ, ქრებოდა მის წამღებ პირებთან ერთად.[2]

1919 წელს, როცა დიდი იყო ევროპაში რევოლუციის დაწყების მოლოდინი, კომინტერნის I კონგრესი გერმანულ ენაზე მუშაობდა, – ეს ხომ მარქსისა და ენგელსის მშობლიური ენა იყო. ზინოვიევი, ლენინი, ტროცკი, ემიგრაციაში დიდხანს ნამყოფნი, გერმანულად ლაპარაკობდნენ და შეიძლება დამცინავადაც უყურებდნენ სტალინს, რომელმაც გერმანული არ იცოდა. შემდეგ სამუშაო ენა რუსული გახდა, მით უმეტეს, რომ ევროპაში რევოლუციების იმედებმა ვერ გაამართლა.

კომინტერნის I ყრილობის დახურვის დროს, 1919 წლის 6 მარტს ლენინმა განაცხადა, რომ „პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილია. დაფუძნდება საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა". ლენინის თქმით, „ძალზედ შესაძლებელია, რომ დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში რევოლუცია მეტად მალე მოხდეს".[3]

ლენინი საკუთარი და რუსეთის რევოლუციის გამოცდილების აბსოლუტიზებას ახდენდა. მისი თქმით, ყველგან უნდა გაჩაღებულიყო სამოქალაქო ომი,[4] ყველგან უნდა შექმნილიყო საბჭოების რესპუბლიკა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა. პირველი ქვეყანა, რომელშიც რუსეთის გამოცდილების გადატანა სცადეს, გერმანია იყო. 1918 წლის 9 ნოემბერს კარლ ლიკნეხტმა გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, მაგრამ ამ გზას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ნაწილი არ დაადგა. ბოლშევიკებმა სოციალ-დემოკრატები მოღალატეებად გამოაცხადეს, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ გერმანიის მუშათა კლასს, ინტელიგენციას, გლეხობას არ სურდა „ბოლშევიკების გამოცდილების" გაზიარება, – არ უნდოდათ არც სამოქალაქო ომი და არც დიქტატურა.

რევოლუციის ლენინური სქემა და მის მიერ ჩამოყალიბებული „კაპიტალიზმიდან

---

[1] 1921-1925 წლებში კომინტერნს ხელმძღვანელობდა გ. ზინოვიევი, 1926-1928 წლებში – ნ. ბუხარინი. 1928 წლიდან კი კომინტერნის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო ი. სტალინი.

[2] Александр Горянин – О Мировой революции и мировом господстве России https://www.svoboda.org/a/24204593.html.

[3] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ.28, გვ.598.

[4] ბოლშევიკებს სამოქალაქო ომი საამაყო საქმედ მიაჩნდათ. რუსეთში სამოქალაქო ომმა დიდი ნგრევა გამოიწვია, 13 მილიონი ადამიანი შეეწირა და 2 მილიონი ემიგრაციაში წავიდა.

სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებები" ძალზე ზედაპირული იყო და მიუღებელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის. მიუღებელი იყო იმიტომ, რომ არ შეესაბამებოდა ამ ქვეყნების ვითარებას. ლენინს და სხვა ბოლშევიკებს კი ეჩვენებოდათ, რომ თუკი „მოღალატე" სოციალ-დემოკრატებს გაანადგურებდნენ, კომუნისტური რევოლუციის გამარჯვება გარდუვალი იქნებოდა. სინამდვილეში კი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლით ხელისუფლებისაკენ გზა გაუხსნეს ფაშისტებს – ჯერ იტალიაში (1922), შემდეგ კი გერმანიაში (1933). კომუნისტებმა მხოლოდ ამის შემდეგ გადასინჯეს ტაქტიკა და 1935 წლიდან სოციალ-დემოკრატებთან „საერთო ფრონტის" შექმნის იდეას დაუჭირეს მხარი.

კომუნისტური ინტერნაციონალის ემბლემა

კომინტერნი არსებობდა 1919-1943 წლებში.

ლენინის სიტყვებით, ეს იყო „მთელი მსოფლიოს მუშათა კავშირი, რომლებიც ესწრაფვიან დაამყარონ საბჭოთა ხელისუფლება ყველა ქვეყანაში".

რატომ ერქვა მესამე ინტერნაციონალი

I ინტერნაციონალად იწოდებოდა 1864 წელს შექმნილი „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა", რომელიც 13 ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებდა. მარქსისტებისა და ანარქისტების (ბაკუნინის) მიმდევრების დაპირისპირებამ 1872 წ. ორგანიზაციაში გათიშვა გამოიწვია და 1876 წ. დაიშალა.

II ინტერნაციონალი 1889 წ. შეიქმნა. 1914 წ. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ფაქტობრივად დაიშალა, რადგანაც მასში შემავალმა სოციალისტურმა პარტიებმა რევოლუციური გამოსვლების მაგივრად თავიანთ მთავრობებს დაუჭირეს მხარი. ომის შემდეგ სცადეს II ინტერნაციონალის აღდგენა. ბოლშევიკები 1914 წლიდან გაემიჯნენ ამ ორგანიზაციას და ლენინმა 1919 წ. გამოაცხადა III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა.

5.4. მსოფლიო რევოლუციის დაწყების მცდელობა – ევროპა, 1919 წელი

1919 წლის 13 მარტს პეტროგრადში სიტყვით გამოსვლისას ლენინმა კვლავ გაიმეორა ის, რაც კომინტერნის კონგრესზე აღნიშნა. მან კვლავ განაცხადა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით გარდუვალია და მალე შეიქმნება საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო ფედერაცია. ლენინის ეს სიტყვა, მოკლე საგაზეთო ანგარიშის გარდა, არ გამოქვეყნებულა.

1919 წლის გაზაფხულზე მოდის ბოლშევიკების პირველი სერიოზული მცდელობა, „ნაებიძგებინათ" მსოფლიო რევოლუციის დაწყებისათვის. სამიზნედ პოლონეთი შეარჩიეს.

აქ შეიძლება პირველად დაიგეგმა „გასაბჭოების“ სცენარი, რომელიც შემდეგ მრავალგზის გამეორდა. პოლონეთში არალეგალურად გაიგზავნა პოლონური წარმომავლობის კომუნისტები და სამხედროები, მათ ადგილობრივ კომუნისტებთან ერთად უნდა მოეწყოთ აჯანყება და ხელთ ეგდოთ დომბროვის აუზი, შემდეგ კი დახმარება ეთხოვათ მინსკში მყოფი ბოლშევიკებისათვის. მინსკი ამ დროს ლიტვა-ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი იყო. მის მთავრობაში სასწრაფოდ რამდენიმე პოლონელიც შეიყვანეს. პოლონეთში სამოქალაქო ომის გაჩაღების შემთხვევაში, იქ შეიჭრებოდა ლიტვა-ბელორუსიის არმია (4 დივიზია), თავად რესპუბლიკა კი შეიძლება გარდაქმნილიყო პოლონეთ-ლიტვა-ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს პრუსიის, ავსტრიისა და რუსეთის მიერ დაპყრობილი „რეჩ პოსპოლიტა“ სწორედ ამ სამი ქვეყნისგან შედგებოდა, პოლონური ნაციონალიზმის გამოყენებასაც ვარაუდობდნენ.

1919 წლის გაზაფხულზე რევოლუციური მოძრაობა გაიზარდა გერმანიაშიც. 1919 წლის იანვარში ბერლინში საბარიკადო ბრძოლები იყო კომუნისტურ და სამთავრობო ძალებს შორის, იგივე გამეორდა მარტშიც.

1919 წლის 24 მარტს გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა უნგრეთში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლენინის მიერ გაგზავნილი ბელა კუნი, ორი კვირის შემდეგ იგივე მოხდა ბავარიაშიც.[1]

ლენინის მითითებით, წითელი არმიის ნაწილები ემზადებოდნენ ევროპაში შესაჭრელად სამი მიმართულებით – გერმანიის, უნგრეთისა და ბესარაბიის გზით. თავის მხრივ, 1919 წლის ივნისში უნგრეთის წითელმა არმიამ შემხვედრი შეტევა დაიწყო – დაიკავა სლოვაკეთის ნაწილი.



უნგრეთი მეორე ქვეყანა იყო, სადაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, თუმცა სულ 4 თვე (133 დღე) იარსება. კონფლიქტი ჰქონდა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან. საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლება რუმინელებმა დაამხეს. ბელა კუნი შემდეგ საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა და 1938 წ. დახვრიტეს, სტალინური რეპრესიების დროს.

გერმანიაში რევოლუციურ აღმავლობას მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ბავარიაში (1919 წლის 13 აპრილი – 3 მაისი).

წითლად ნაჩვენებია ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკამ ერთ თვეზე ნაკლები იარსება. სამთავრობო ჯარებმა რევოლუცია ჩაახშეს, მაგრამ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკამ ბოლშევიკ ლიდერებს გაუძლიერა რწმენა, რომ შესაძლებელია მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია. ნაცისტებმა კი „საბჭოთა ბავარიის“ ეპიზოდი გამოიყენეს ებრაულ-ბოლშევიკური შეთქმულების“ საჩვენებლად, რაც მთავარ როლს ასრულებდა მათ იდეოლოგიაში.

ამ დროებითი წარმატებით აღფრთოვანებული კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარე გ. ზინოვიევი ჟურნალ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ 1-ლ ნომერში წერდა: „დღეს III ინტერნაციონალს თავის მთავარ ბაზად აქვს სამი საბჭოთა რესპუბლიკა: რუსე-

[1] აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა ევგენი ლევინე, – ყოფილი რუსი ესერი, რომელიც გერმანიის კომპარტიაში შევიდა.

თი, უნგრეთი და ბავარია. ძველი ევროპა დიდი სიჩქარით მიექანება პროლეტარული რევოლუციისკენ... ერთი წლის შემდეგ მთელი ევროპა კომუნისტური იქნება. კომუნიზმისთვის ბრძოლა უკვე ამერიკაში იქნება გადატანილი, ასევე შესაძლოა აზიაში და მსოფლიოს სხვა ნაწილებში".

თუმცა, ბოლშევიკების ეს გიგანტური რევოლუციური წამოწყება სულ მალე ჩაიფუშა. წითელი არმიის შეტევა შეაჩერეს პოლონეთშიც და ბესარაბიაშიც, თეთრგვარდიელი გენერლის დენიკინის ჯარების შეტევამ კი მთლიანად დაანგრია ბოლშევიკების სამხრეთის ფრონტი და, საერთოდ, დაემხო საბჭოთა ხელისუფლება უკრაინაში.

5.5. „რევოლუციური შემობრუნება" აზიისაკენ

ევროპაში განცდილი მარცხის შემდეგ რსფსრ და რკპ(ბ) ხელმძღვანელობამ აღმოსავლეთისკენ გადაიტანა ყურადღება. ამას ხელს უწყობდა წითელი არმიის წარმატებები ურალსა და ციმბირში. 1919 წლის 5 აგვისტოს საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელმა ლევ ტროცკიმ პოლიტბიუროსათვის წარდგენილ საიდუმლო მოხსენებაში ჩამოაყალიბა მსოფლიო რევოლუციის განვითარების გეგმა აზიის ქვეყნების გავლით. ტროცკის აზრით, მსოფლიო რევოლუციის გზა ინდოეთის გავლით უფრო მოკლე იქნებოდა, ვიდრე საბჭოთა უნგრეთზე გამავალი გზა. მისი თქმით, ინდოეთში ისეთი არმიითაც შეიძლებოდა წარმატების მოპოვება, რომელიც ევროპაში ვერაფერს გააკეთებდა; კერძოდ, განიხილებოდა 30-40 -ათასიანი ცხენოსანი კორპუსის შეჭრა ინდოეთში.

ტროცკის განცხადებით, პარიზისა და ლონდონისაკენ მიმავალი გზა გადიოდა ავღანეთის, პენჯაბისა და ბენგალიის ქალაქებზე. მისი თქმით, საჭირო იყო აზიაში რევოლუციის ხელშეწყობა, ადგილობრივ რევოლუციონერთა კადრების მომზადება, რევოლუციური პროპაგანდის გაშლა და ა. შ. ეს გეგმაც სრული ავანტიურა იყო და ინდოეთში ცხენოსანი კორპუსის გაგზავნა არც უცდიათ.

აზიაში მსოფლიო რევოლუციის წინსვლის კიდევ ერთი გზა იყო ისლამის გამოყენება რევოლუციური მიზნებით. ამ იდეის ყველაზე თვალსაჩინო მომხრე სულთან გალიევი იყო. 1924 წელს სულთან გალიევის რეპრესირებასთან ერთად ეს იდეაც უკანა რიგში გადავიდა.

აზიაში საბჭოთა რუსეთის წარმატება აღმოჩნდა 1921 წელს მონღოლეთში სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარება. 1911 წლიდან მონღოლეთი ჩინეთის შემადგენლობაში შედიოდა ავტონომიის სტატუსით. 1919 წლის ნოემბერში ჩინეთმა გააუქმა მონღოლეთის ავტონომია, თუმცა ჩინეთი მონღოლეთს ვერ აკონტროლებდა. მონღოლეთთან დაკავშირებით თავისი გეგმები ჰქონდა იაპონიას და მასზე კონტროლის დამყარებას აპირებდა. ამისათვის იყენებდა თეთრგვარდიელთა ნაწილებს. 1921 წლის ზაფხულში მონღოლეთის დროებითი სახალხო მთავრობის თხოვნით, რუსეთის წითელი არმია შევიდა მონღოლეთში და 1922 წლისათვის მონღოლეთის მთელ ტერიტორიაზე სუხე-ბატორის (მონღოლეთის სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის ლიდერი) ხელისუფლება დამყარდა.

5.6. პოლონეთის გავლით გერმანიისკენ გაჭრის მცდელობა (1920 წელი)

მიუხედავად 1919 წლის რევოლუციური ტალღის დამარცხებისა, ბოლშევიკებს უარი არ უთქვამთ ევროპის გასაბჭოების გეგმაზე.

კომინტერნის II კონგრესის (1920 წლის 19 ივლისი – 17 აგვისტო) გახსნისას ზინოვიევმა განაცხადა, რომ რევოლუციის სიახლოვე თავიდან გადაჭარბებით შეაფასეს და არა ერთი წელი, არამედ ორი-სამი წელი იქნებოდა საჭირო, მთელი ევროპა საბჭოთა რომ გამხდარიყო. მისი თქმით, ერთი წლით ადრე იქნება თუ ერთი წლით გვიან, საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გარდუვალი იყო. ეს მცდარი იმედები გამოხატავდა კომინტერნსა და რუსეთის კომპარტიაში გაბატონებულ თვალსაზრისს.

განსაკუთრებული აქცენტი გერმანიაზე კეთდებოდა. კომინტერნის მე-2 კონგრესის მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებული საბჭოთა გერმანია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაზე ძლიერი იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი გაერთიანების პერსპექტივა დასავლეთშიც აფიქრებდათ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლოიდ-ჯორჯის განცხადებით, გერმანიის მიერ შეიარაღებული წითელი არმია, გერმანელი გენერლების ხელმძღვანელობით, დასავლეთ ევროპაშიც შეიჭრებოდა.

გერმანიისკენ გაჭრა ბოლშევიკებმა კვლავ პოლონეთის გავლით სცადეს. ამ იდეის მთავარი ავტორი და შემოქმედი ლენინი იყო.[1] ლენინს მიაჩნდა, რომ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დაცემა განაპირობა იმან, რომ საბჭოთა რუსეთმა მას დახმარება ვერ გაუწია, ამიტომ გადაჭრით დადგა „რევოლუციის ექსპორტის" პოზიციაზე.

1920 წლის აპრილში პოლონეთთან დაწყებული ომი საბჭოთა რუსეთისთვის თავიდან წარუმატებელი იყო, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა და წითელი არმია შეტევაზე გადავიდა. 1920 წლის ივლისის დასაწყისში წითელი არმია პოლონეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. 30 ივლისს ბელოსტოკის აღების შემდეგ შეიქმნა პოლონეთის დროებითი რევკომი ი. მარხლევსკის ხელმძღვანელობით. სასწრაფოდ ყალიბდებოდა პოლონელებისა და გერმანელებისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილები. დასავლეთის ფრონტის სარდალმა მ. ტუხაჩევსკიმ 1920 წლის 2 ივლისს გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: „წინ დასავლეთისკენ! ვარშავისაკენ! ბერლინისაკენ! თეთრი პოლონეთის გვამზე გადის გზა მსოფლიო ხანძრისკენ. ხიშტებით ჩვენ მოვუტანთ მშრომელ კაცობრიობას ბედნიერებასა და მშვიდობას!" წითელი არმია ვარშავას მიადგა.[2] ლენინის მითითებით ფრონტზე სულ ახალი და ახალი ძალები იგზავნებოდა, ამასთან ისინი სათანადოდ მომზადებულნი და აღჭურვილნი არ ყოფილან.

ანტანტის ლიდერები კარგად აცნობიერებდნენ, რომ „წითელი ინტერვენციის" საფრთხე რეალური იყო. საფრანგეთიდან სასწრაფოდ გადმოისროლეს პოლონელ მოხალისეთა 70 ათასიანი არმია, პოლონეთის არმიას გადაეცა მნიშვნელოვანი შეიარაღება, გაიგზავნა ასობით სამხედრო ინსტრუქტორი. თუმცა წითელი არმიის დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ პოლონელმა მშრომელებმა კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებასა და მსოფლიო რევოლუციისთვის ბრძოლას თავიანთი ეროვნული სახელმწიფოს დაცვა არჩიეს. წითელი არმია ვარშავის მისადგომებიდან უკუაგდეს და 800 კილომეტრით დაახევინეს აღმოსავლეთისაკენ.

როგორც რუსი ისტორიკოსი დიმიტრი ვოლკოგონოვი აღნიშნავს, ლენინს არასოდეს აუღია პასუხისმგებლობა პოლონეთში განხორციელებულ ავანტიურაზე, არც სინდისს შეუწუხებია გაღებული მსხვერპლის გამო. საერთოდ, ლენინს არასოდეს აწუხებდა მონანიებისა და სინდისის ქენჯნის გრძნობა, მისთვის „სენტიმენტალობა" დიდი დანაშაული იყო.[3] თუმცა, პოლონეთში განცდილმა მარცხმა ლენინი, მსოფლიო რევოლუციის გაჩაღების მცდელობისას, უფრო ფრთხილი გახადა.

მიუხედავად პოლონეთში განცდილი მარცხისა, საბჭოთა ხელმძღვანელობა და კომინტერნი უარს არ ამბობდნენ მსოფლიო რევოლუციის იდეაზე. ნიკოლაი ბუხარინი მოითხოვდა, რომ კომინტერნის პროგრამაში ჩაწერილიყო „ყოველი პროლეტარული სახელმწიფოს უფლება წითელ ინტერვენციაზე", რადგანაც, მისი თქმით, წითელი არმიის წინსვლა იყო „სოციალიზმის, პროლეტარული ხელისუფლების და რევოლუციის გავრცელება".

---

[1] 1920 წლის 17 მარტს ლენინი სამხრეთის ფრონტზე მყოფ სტალინთან სატელეფონო საუბრის დროს მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ დაეპყროთ ყირიმი, რათა ხელები თავისუფალი ჰქონოდათ. ლენინის თქმით, „სამოქალაქო ომმა გერმანიაში შეიძლება გვაიძულოს დასავლეთისკენ ლაშქრობა კომუნისტების დასახმარებლად".

[2] 1920 წლის აგვისტოში გ. ზინოვიევმა ფრანგ მშრომელებს აღუთქვა, რომ პარიზის კომუნის 50-ე ნლისთავზე, ე. ი. 1921 წლის 18 მარტისთვის საფრანგეთი საბჭოთა რესპუბლიკა გახდებოდა.

[3] Д.Волкогонов. Семь вождей. Книга 1. Москва, 1997, стр.95.

1920 წლის მარტში ლენინი აცხადებდა, რომ „კომუნისტური რევოლუციის გამარჯვება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გარდუვალია“ და, მისი აზრით, ეს არცთუ შორეულ დროში იყო მოსალოდნელი.

1920 წლის შემოდგომაზე, ყირიმის დაკავების შემდეგ, ტროცკიმ წინადადება წამოაყენა, ნითელი არმია კვლავ დასავლეთისკენ გადაესროლათ, თუმცა გაჩნდა კიდევ ერთი ავანტურისტული გეგმა, – ყირიმიდან ევაკუირებული ვრანგელის თეთრგვარდიული ნაწილები კონსტანტინეპოლთან იყვნენ განლაგებული. და უცბად ლენინს მიმართავენ წინადადებით, რაც მას ჭკუაში დაუჯდა – რევოლუციური პროპაგანდით აეჯანყებინათ ვრანგელის ნაწილები, კონსტანტინეპოლი აეღოთ და ქემალისტებისთვის გადაეცათ, შემდეგ კი ბალკანეთის სახელმწიფოები გაესაბჭოებინათ. ლენინს ეს გეგმა ძალზე მოსწონებია, ბოლოს კი ტროცკიმ გადააფიქრებინა, – ავანტიურაა და არაფერი გამოვაო.[1]

„დასცხე ბოლშევიკებს!“ –
ომის დროინდელი პოლონური პლაკატი



ფრონტი 1920 წლის აგვისტოში

„ვარშავაზე ლაშქრობა“ წითელ არმიას ძვირად დაუჯდა – 120 ათასი დაღუპული და ათეულ ათასობით ტყვე. 1921 წლის თებერვალში ლენინმა ბოლშევიკებისათვის მძიმე ზავი გააფორმა პოლონეთთან, რომელსაც დასავლეთ ბელორუსია და დასავლეთ უკრაინა დაუთმო (ამ ტერიტორიაზე 6 მლნ. 750 ათასი მცხოვრებიდან პოლონელი მხოლოდ 400 ათასი იყო), თან დიდი კონტრიბუციის გადახდაც იკისრა.

დასავლეთში დაგვიანებული პროლეტარული რევოლუციის წაბიძგების მცდელობა რუსი კომუნისტების ლიდერების მხრიდან 1920-იანი წლების შუახანებამდე გრძელდებოდა. 1921 წლის 25 ივლისს კომინტერნის III კონგრესზე გამოსვლისას ლენინმა პირდაპირ განაცხადა: „მსოფლიო რევოლუციის მხარდაჭერის გარეშე პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ასევე მის შემდეგ, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ახლავე ან, უკიდურეს შემთხვევაში, ძალიან სწრაფად, მოხდებოდა რევოლუცია სხვა ქვეყნებში, კაპიტალისტურ, უფრო განვითარებულ ქვეყნებში, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უნდა დავიღუპოთ“.

ამ მიზნის რეალიზებისთვის კომინტერნის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა ევროპაში „რევოლუციური სიტუაციის“ ფორსირებას, მაგრამ რევოლუციის წაბიძგების ყველა მცდელობა მარცხით მთავრდებოდა.

[1] Д.Волкогонов. Семь вождей. Книга 1. Москва, 1997, стр.102.

5.7. „მსოფლიო რევოლუციის“ წარმატება კავკასიაში

სამხრეთ კავკასიის გასაბჭოებას საბჭოთა რუსეთი 1920 წლის გაზაფხულზე შეუდგა, როდესაც 1920 წლის აპრილის ბოლოს წითელმა არმიამ თითქმის უბრძოლველად დაიკავა ბაქო და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა აზერბაიჯანში.

მაშინვე წითელი არმია საქართველოშიც შემოიჭრა, მაგრამ ქართულმა ჯარმა ამ შემოტევის მოგერიება მოახერხა. ამ დროისათვის უკვე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა პოლონეთის ფრონტზე, ამიტომ ლენინმა კავკასიაში საომარი მოქმედებები შეაჩერა და 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა.

თუმცა აზერბაიჯანიდან აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის გაშლის სურვილი ბოლშევიკ ლიდერებს შორის დიდი იყო. 1920 წლის 1-8 აგვისტოს გაიმართა **აღმოსავლეთის ხალხების პირველი ყრილობა**. ყრილობის ჩატარების ადგილად, კარლ რადეკის წინადადებით, ბაქო აირჩიეს. ხოლო ყრილობას ხელმძღვანელობდა გ. ზინოვიევი. ყრილობას 2 ათასამდე წარმომადგენელი დაესწრო აღმოსავლეთის 30 ქვეყნიდან, იყვნენ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებიც.[1] ყრილობის მიზანი იყო აღმოსავლეთის ხალხების დარაზმვა ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომელსაც ზინოვიევმა ყრილობაზე „საღვთო ომი“ გამოუცხადა.

ყრილობაზე დამსწრეებს განუმარტეს კომუნისტური დოქტრინა და მიიღეს „შარიათის პროექტი“ ის შეიცავდა შარიათის 15 განმარტებას, რომლებიც, პროექტის ავტორთა მტკიცებით, კომუნისტურ დოქტრინას შეესაბამებოდა. დოკუმენტის ავტორები ცდილობდნენ საბჭოთა რეჟიმის ლეგიტიმაციას აღმოსავლეთში შარიათზე დაყრდნობით. 1921 წელს „საბჭოთა შარიათელებს“ სტალინმაც დაუჭირა მხარი, მაგრამ სულ მალე საბჭოთა ხელისუფლება დაადგა სრული ათეიზმის გზას და თითქმის მთლიანად გაანადგურა მუსლიმი სასულიერო წოდება.[2]

ყრილობის კულისებში კი მიმდინარეობდა მზადება სომხეთისა და საქართველოს გასაბჭოებისათვის, ასევე აქტიურად უჭერდნენ მხარს ირანის (მირზა ქუჩუკ-ხანი) და თურქეთის (მუსტაფა ქემალ ათათურქი) განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომელთა გამარჯვებაც ამ ქვეყნების გასაბჭოების საფუძველი გახდებოდა.[3] უკვე ესახებოდათ ახლო აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის კონტურები.

1920 წლის შემოდგომაზე სომხეთი ქემალისტებთან ომში (1920 წლის 24 სექტემბერი – 2 დეკემბერი) დამარცხდა. თურქეთის ხელში გადავიდა ყარსის მხარე, სომხეთის დარჩენილ ნაწილში კი შევიდა წითელი არმიის ნაწილები. 5 დეკემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

კავკასიაში საქართველო მარტო დარჩა. მოსკოვში ტროცკი და სტალინი დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს გასაბჭოებას. ამ დროისათვის კრემლში უკვე იცოდნენ, რომ დასავლეთში საქართველოს დასაცავად თავს არავინ გამოიდებდა. საქართველოში რუსეთის წითელი არმია „მსოფლიო რევოლუციის“ იდეით შემოიჭრა, – საქართველოში მხოლოდ გავლით ვართ, აქედან სტამბოლისკენ ან ირანისკენ უნდა გავილაშქროთო. „დღევანდელი რუსეთი უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოსაც აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გაჰხადონ, რომელსაც აღმოსავლეთის კომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს“, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია 1921 წლის მაისში.

---

[1] ყრილობას ესწრებოდნენ ბელა კუნი, ჯონ რიდი, ჯეკ ფილბი, ხო ში მინი, ენვერ-ფაშა.

[2] Курс на Восток и борьба с Западом — старая бредовая идея – http://www.kasparov.ru/material.php?id=55E734CFA8F99

[3] О.БУЛАНОВА. Баку, первый съезд народов Востока: переоценка ценностей – http://ru.echo.az/?p=64974.

ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების წინსვლა არ შედგა. ქემალ ათათურქმა ლენინის დახმარება ბერძნებთან ომში გამოიყენა, კავკასიაში ტერიტორიები მიიღო და პოზიციების განმტკიცების შემდეგ კომუნისტებს ზურგი აქცია.[1]

ირანში „გასაბჭოების" საქმე უფრო წინ წავიდა. ენზელში (კასპიის ზღვის სანაპიროზე) საბჭოთა დესანტის გადასხმის შემდეგ[2] შეიქმნა **გილანის საბჭოთა რესპუბლიკა** (1920 წლის ივნისი – 1921 წლის სექტემბერი), რომელმაც საბჭოთა რუსეთის პირდაპირი დახმარების შეწყვეტის შემდეგ დიდხანს ვერ იარსება. 1921 წლის მარტში საბჭოთა რუსეთმა მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმა ირანთან, რომლის ძალითაც თავისი სამხედრო ნაწილები გაიყვანა ირანიდან.

5.8. ევროპაში სოციალისტური რევოლუციის „მომზადების" მცდელობა (1922 წელი)

1922 წლის გაზაფხულზე, გენუის კონფერენციის წინ, რუსეთის უშიშროების სამსახურის საგარეო ბიურომ (ИНО ОГПУ) რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროსთვის მოამზადა საიდუმლო მოხსენებითი ბარათი დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ. ეს მოხსენებითი ბარათი, პირველ რიგში, შედგენილი იყო საბჭოთა დელეგაციისთვის გენუის კონფერენციაზე.

მოხსენებითი ბარათის ავტორთა აზრით, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივები დასავლეთ ევროპაში უკავშირდებოდა მოვლენათა განვითარებას გერმანიაში, პოლონეთსა და იტალიაში. შემტევი ძალის სახით უნდა გამოეყენებინათ მუშები, გლეხები და რადიკალურად განწყობილი ინტელიგენცია. განსაკუთრებული გათვლა კეთდებოდა „რადიკალურად განწყობილ რევოლუციურ ახალგაზრდობაზე"

გეგმავდნენ, რომ ამ ქვეყნებში არალეგალური გზებით გაეგზავნათ გამოცდილი სამხედრო და პოლიტიკური მუშაკები, რათა საფუძველი ჩაეყარათ იარაღის ბაზებისთვის და პრაქტიკულად მოემზადებინათ საბრძოლო რაზმები.

პოლონეთში ასეთი მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა 1920 წლის საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ომის პერიოდიდან. აღსანიშნავია, რომ უშიშროების მოხსენებით ბარათში რეკომენდაციაც იყო გაკეთებული, პოლონეთში აქტიურად გამოეყენებინათ „ოპოზიციურად განწყობილი გალიციური ელემენტი", ანუ წაექეზებინათ უკრაინული სეპარატიზმი.

იტალიაში რევოლუციის მოხდენას ძირითადად ანარქისტების ძალებით აპირებდნენ. ამიტომ ჩეკისტები რეკომენდაციას იძლეოდნენ, ციხიდან გაეთავისუფლებინათ ზოგიერთი რუსი ანარქისტი, სათანადოდ „დაემუშავებინათ" და სამუშაოდ გაეგზავნათ იტალიაში.

სოციალისტური რევოლუციის გეგმებში მთავარი ადგილი გერმანიას ეთმობოდა. მოხსენებით ბარათში დაწვრილებით იყო გაანალიზებული ეკონომიკური კრიზისი გერმანიაში, ასევე მთავრობისა და პარტიის ურთიერთობა.[3]

რუსი ჩეკისტების მეორე მოხსენებითი ბარათი მომზადდა 1922 წლის ზაფხულში. ის ეხებოდა ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების მდგომარეობას. სწორედ ის დაედო საფუძვლად გ. ზინოვიევის მოხსენებას რკპ(ბ) XII კონფერენცია-

---

[1] ლენინი ცდილობდა გაეძლიერებინა თურქეთის რევოლუციის „კომუნისტური ფრთა", იმედოვნებდა, რომ ქემალი ბოლშევიკებთან მიმდინარე რევოლუცია „დემოკრატიულიდან" გადაიზრდებოდა „პროლეტარულ" რევოლუციაში. ქემალი, რომელსაც ლენინის მხარდაჭერა სჭირდებოდა, მოლაპარაკებებს ანარმოებდა თურქ კომუნისტებთან. 1921 წლის იანვარში თურქეთის კომპარტიის თავმჯდომარე მუსტაფა სუბხი, კომპარტიის გენერალური მდივანი ეტჰემ ნეჯეთი და ცენტრალური კომიტეტის 13 ნევრი აზერბაიჯანიდან თურქეთში გადავიდნენ, მაგრამ ქემალის საიდუმლო მითითებით ისინი შეიპყრეს, ზღვაში გაიყვანეს და დახოცეს. მიუხედავად ამისა, ლენინი აგრძელებდა ქემალის დახმარებას (М. Попович. Кровавый век. Харьков, 2017, стр.189).

[2] ენზელში თეთრგვარდიელებს ნაყვანილი ჰყავდათ კასპიის ზღვის გემები, რომლებიც რუსეთს ეკუთვნოდა და ბოლშევიკები მათ დაბრუნებას მოითხოვდნენ. ქალაქში ბრიტანული სამხედრო ნაწილი იდგა, გემები საბჭოთა რუსეთს გადასცეს.

[3] В.И. Пятницкий. Осип Пятницкий и Коминтерн на весах истории. Мн.: Харвест, 2004, с.73.

ზე 1922 წლის აგვისტოში. აღსანიშნავია, რომ მისი გამოსვლა უფრო ოპტიმისტური იყო ჩეკისტების მოხსენებით ბარათთან შედარებით.

5.9. გერმანია, 1923 წელი

1923 წელს მძიმე ეკონომიკური კრიზისი გერმანიაში ბოლშევიკებმა შეაფასეს როგორც წინარევოლუციური სიტუაცია. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. გერმანიაში არსებობდა რუსეთის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი კომუნისტური პარტია, ის დასაყრდენი ბაზა იყო კომინტერნისათვის.

1923 წლის ზაფხულში სამთავრობო კრიზისმა გერმანიაში ქვეყანა ახალი რევოლუციური შერყევის წინაშე დააყენა. კომინტერნში შეიქმნა გერმანიის კომისია ზინოვიევის, ბუხარინის, ტროცკის და სტალინის შემადგენლობით. საბჭოთა ხელმძღვანელობამ 300 მლნ. ოქროს მანეთი გამოჰყო გერმანიაში არალეგალური მუშაობისთვის. გერმანიაში სამუშაოდ გაიგზავნა ავტორიტეტული მუშაკები (გ. პიატაკოვი, ვ. შმიდტი, კ. რადეკი და სხვები). სამხედრო სპეციალისტები ამზადებდნენ მებრძოლებს.

1923 წლის შემოდგომაზე მოსკოვმა გერმანიაში სოციალისტური რევოლუციის განხორციელება სცადა. შეადგინეს გერმანიაში რევოლუციის განხორციელების კალენდარული გეგმა, თუ როდის უნდა დაწყებულიყო აჯანყებები ამა თუ იმ რეგიონსა და ქალაქში. რევოლუცია უნდა დაწყებულიყო 1923 წლის 7 ნოემბერს ბერლინში აჯანყებით, ანუ ოქტომბრის რევოლუციის მე-6 წლისთავზე. ტროცკის შეფასებით, გერმანიაში რევოლუციის ძირითადი ამოცანა იყო მსოფლიო კაპიტალიზმის კრახი. შემდეგ გეგმაში ცვლილებები შევიდა – რევოლუცია უნდა დაწყებულიყო 1923 წლის 9 ნოემბერს საქსონიაში აჯანყებით. გეგმის თანახმად, 7 ნოემბერს მთელ გერმანიაში მოეწყობოდა დემონსტრაციები ოქტომბრის წლისთავის აღსანიშნავად, რასაც მოჰყვებოდა შეტაკებები პოლიციასთან და გადაიზრდებოდა აჯანყებაში.

ზინოვიევმა გაზეთ „პრავდაში" გამოაქვეყნა სტატია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობის შესახებ გერმანიაში, რასაც საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა გერმანიის კავშირის შექმნა უნდა მოჰყოლოდა.

ტროცკის ბრძანებით, პოლონეთის საზღვართან თავს უყრიდნენ წითელი არმიის ცხენოსან კორპუსებს, რათა წასულიყვნენ გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად, იქიდან კი იტალიაში უნდა შეჭრილიყვნენ.

1923 წლის 20 ოქტომბერს გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, მაგრამ ხელისუფლებაც სწრაფად მოქმედებდა. ამოქმედდა რეიხსვერი, რეიხკანცლერმა, სოციალ-დემოკრატმა ფრიდრიხ ებერტმა (1871-1925) ქვეყანაში საალყო მდგომარეობა გამოაცხადა. გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ აჯანყება გადაიფიქრა. აჯანყება მოხდა მხოლოდ ჰამბურგში ტელმანის ხელმძღვანელობით. აჯანყებულებმა მხოლოდ 60 საათი გაძლეს. გამოირკვა, რომ გერმანიაში მუშათა კლასის ძირითადი ნაწილი ორიენტირებული იყო სოციალ-დემოკრატიაზე და მხარი არ დაუჭირა კომუნისტებს. 1923 წლის 23 ნოემბერს გერმანიის ხელისუფლებამ აკრძალა კომპარტია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები. ამავე დროს გააქტიურდა საფრანგეთის საოკუპაციო ძალები რურის ოლქში და ასევე ანტანტისთვის ცნობილი გახდა მოსკოვში საიდუმლოდ მიღებული გეგმის შესახებ. მოვლენათა მსვლელობამ აჩვენა, რომ გერმანიაში რევოლუციის მოწყობა სათანადოდ არ იყო დაგეგმილი და ყველაფერი მორიგი ავანტიურა აღმოჩნდა.

5.10. ბულგარეთი, 1923 და 1925 წლები

გერმანიაში განვითარებულ მოვლენებთან ერთად, შეიარაღებული აჯანყების მოწყობა სცადეს ბულგარეთში გეორგი დიმიტროვის ხელმძღვანელობით. ოდესაში მზადდებოდა ბულგარელი კომუნისტების საბრძოლო ჯგუფები. საბჭოთა ხელმძღვანელობა მოსკოვში თვლიდა, რომ რევოლუცია ბულგარეთში ადვილად გაიმარჯვებდა. კომუნისტურმა აჯანყებამ ბულგარეთში 1923 წლის 14-30 სექტემბერს იფეთქა. მისი დამარცხების მიზეზი კი ის გახდა, რომ გლეხებმა აჯანყებას მხარი არ დაუჭირეს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ, თავის მხრივ, კომპარტიამ მხარი არ დაუჭირა 1923 წლის ივნისში ბულგარეთის გლეხთა პარტიის ბრძოლას.

1923 წლის აჯანყების მარცხმა ვერ შეაჩერა კომინტერნი და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა. 1924 წელს გაგრძელდა მუშაობა ბულგარეთში ახალი რევოლუციის მოსაწყობად. მზადებას ხელმძღვანელობდნენ ვენიდან, სადაც 1924 წლის დასაწყისში ჩავიდა ბალკანეთში საბჭოთა აგენტურის ხელმძღვანელი ვ. ნესტეროვიჩი. ის პროფესიონალი სამხედრო იყო.

1925 წლის თებერვალში ნესტეროვიჩმა შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმადაც, „მსოფლიო რევოლუციის" გასაჩაღებლად უნდა გამოეყენებინათ **პანსლავიზმის** იდეა. მისი გეგმის თანახმად, აჯანყება უნდა დაწყებულიყო ბულგარეთსა და სერბეთში და შემდეგ მოედებოდა მთელ ბალკანეთს. ამის შემდეგ ავსტრიის გავლით რევოლუცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, პირველ რიგში, გერმანიას მოედებოდა. რევოლუციური გამოსვლის დასაყრდენი უნდა გამხდარიყო ამ ქვეყანაში არსებული სლავური კომიტეტები. ეს გეგმა სტალინმაც მოიწონა.

აჯანყება ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში 1925 წლის 16 აპრილს დაიწყო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბულგარეთის პოლიცია საქმის კურსში იყო, წინასწარ ჰქონდა მომზადებული დასაპატიმრებელთა სიები. 17 აპრილს ღამით დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება. ეჭვმიტანილებს პირდაპირ ხვრეტდნენ სასამართლოს გარეშე. რევოლუცია ბულგარეთში ამჯერადაც არ შედგა.

5.11. ესტონეთი, 1924 წელი

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადრინდელმა მცდელობამ დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის ნაბიჯებისა მარცხი განიცადა, საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი თავისას არ იშლიდნენ. ამჯერად რევოლუციის მოწყობა ესტონეთში სცადეს. ესტონეთის კომპარტიას 1924 წლის გაზაფხულზე მიაჩნდა, რომ შესაძლებელი იყო წარმატებული აჯანყების მოწყობა.

აჯანყება დაიგეგმა 1924 წლის შემოდგომისთვის, გაიშალა დიდი სააგიტაციო მუშაობა და საიდუმლო სამხედრო-ტექნიკური მზადება. ყალიბდებოდა შეიარაღებული რაზმები. ნოემბერში ჰყავდათ 1000 მებრძოლი, აქედან ტალინში – 400. აჯანყების დაწყების შემდეგ ვარაუდობდნენ მათ სწრაფ გაზრდას. აჯანყება უნდა დაწყებულიყო ტალინში და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება, აჯანყების დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირიდან ესტონეთში მოხალისეების სახით დაბრუნდებოდა ემიგრაციაში მყოფი 6700 ესტონელი კომუნიატი და კომკავშირელი. აჯანყება დაიწყო 1924 წლის 30 ნოემბერს გამთენიისას, მაგრამ ის მალევე ჩაახშეს სამთავრობო ძალებმა.

ესტონეთში აჯანყების ინიციატივა მოდიოდა კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარის გ. ზინოვიევისაგან. ესტონეთის მუშათა კლასმა აჯანყებას მხარი არ დაუჭირა, ამის გამო აჯანყება მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა. მოგვიანებით სტალინმა საჯაროდ დასდო ბრალი ზინოვიევს, რომ მან ეს აჯანყება ჩაიფიქრა კომინტერნში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სტალინი საქმის კურსში იყო და თავადაც ინონებდა კომინტერნის მოქმედებას ამ მიმართულებით.

5.12. მსოფლიო რევოლუციის ნაცვლად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმაზე გადასვლა

კომინტერნის მე-5 კონგრესზე (1924) გამოსვლისას **კარლ რადეკი** აღნიშნავდა, რომ მსოფლიო რევოლუციის ხელოვნური გაღვივებისა და საბჭოთა კავშირის მსოფლიო მასშტაბით განვრცობის გეგმა მცდარია. რადეკის ამ გამოსვლას დელეგატთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა, მაგრამ 1925 წელს ბულგარეთის მეორე რევოლუციის მარცხის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მსოფლიო რევოლუციის გაჩაღების მცდელობებზე დროებით უარი თქვა.

ევროპაში რევოლუციური მოძრაობის დაცემამ კომინტერნი აიძულა გამოეტანა დასკვნა, რომ კაპიტალიზმი შევიდა „დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაციის" პერიოდში. თუმცა რევოლუციის მოლოდინი მაინც დიდი იყო. 1926 წლის მაისში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა ინგლისში. ინგლისის გაფიცვასთან დაკავშირებით გ. ზინოვიევი თვლიდა, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია მთავრდებოდა და კაპიტალისტური სისტემა კვლავ შედიოდა უშუალო რევოლუციურ აფეთქებათა პერიოდში.[1] ასეთი თვალსაზრისი დაგმეს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა.

რადგანაც ევროპაში რევოლუციური პროცესის ფორსირება ვერ მოხერხდა, ბოლშევიკებისთვის პრიორიტეტი საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება გახდა. 1925 წელს სტალინმა ჩამოაყალიბა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების იდეა, ამასთან გამოაცხადა, რომ ეს ლენინის თვალსაზრისი იყო. მსოფლიო რევოლუციამ „დროებით უკან დაიხია" და ასეთ პირობებში მთავარი იყო სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა აღარ ექვემდებარებოდა „მსოფლიო რევოლუციის" გაჩაღების იდეას.

რკპ (ბ) XV კონფერენციაზე (1926 წლის 26 ოქტომბერი – 3 ნოემბერი) ტროცკი და ზინოვიევი გამოვიდნენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თეზისის წინააღმდეგ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში შეუძლებელია დასავლეთის პროლეტარიატის „პირდაპირი სახელმწიფო დახმარების" გარეშე. მათი აზრით, სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკა იყო მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივებზე უარის თქმა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დავიწყება. ტროცკი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით იხსნიდა საბჭოთა ხელისუფლებას „გადაგვარებისა და ლპობისაგან", რომ სიძნელეების დაძლევის ერთადერთი გზა იყო მსოფლიო რევოლუციის ნაბიჯება „ყველანაირი საშუალებით, მათ შორის ომის გაჩაღებითაც", თუმცა ხელისუფლება უკვე სტალინის ხელში იყო კონცენტრირებული და ის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიას უჭერდა მხარს.

ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის იდეა ამავე დროს ნიშნავდა ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის იდეოლოგიაზე გადასვლას.

1936 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში აღარ იყო ნახსენები „მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა". მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირს არასოდეს უთქვამს უარი სხვა ქვეყნებში რევოლუციის ექსპორტის გეგმებზე.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის იდეისაკენ შემობრუნების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში არ წყდებოდა საუბარი მსოფლიო რევოლუციის გზების შესახებ. 1926-1927 წლებიდან ყურადღება გადატანილი იყო ჩინეთში მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ კომინტერნის იმედების მსხვრევამ ჩინეთში 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია; ყველაფერი ბუხარინს დაბრალდა, რომელიც იმ დროს კომინტერნს ხელმძღვანელობდა.

უკანასკნელად სიტყვები „მსოფლიო რევოლუცია" საბჭოთა გაზეთების ფურცლებზე 1931 წელს ფიგურირებდა. ამის შემდეგ სტალინი „ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებაზე" გადაერთო, რასაკვირველია „უკეთესი მომავლის" იმედით.

---

[1] Коминтерн. Краткий исторический очерк. М., 1969, с.255.

ნაწილი მესამე
ბოლშევიკური იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრიზისი

თავი VI.

„სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკა

6.1. „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკის არსი

„სამხედრო კომუნიზმს“ ჩვეულებრივ უწოდებენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას 1918 წლის შუა ხანებიდან 1921 წლის მარტამდე, თუმცა ეს განსაზღვრება გარკვეულწილად პირობითია.

ჯერ ერთი, თავად ტერმინი „სამხედრო კომუნიზმი“ მხოლოდ 1921 წელს გაჩნდა, როდესაც „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ შემოღების შემდეგ დაიწყო მის წინ არსებული ეკონომიკური კურსის გააზრება, კურსისა, რომელმაც 1921 წლის დასაწყისისთვის შექმნა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი და ბოლშევიკებს კინაღამ ხელისუფლების დაკარგვად დაუჯდათ;

მეორე, სამოქალაქო ომის პერიოდის შედეგად დამკვიდრებული საზოგადოებრივი მონყობის მოდელი და ეკონომიკური პოლიტიკაც თანდათანობით ყალიბდებოდა, ხშირ შემთხვევაში, სტიქიურად, სამხედრო დროის საგანგებო პირობების გავლენით.

საბჭოურ და პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში დომინირებს მოსაზრება, რომ 1918-1920 ნლებში გატარებული ეკონომიკური ზომების მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება ქვეყნის ფაქტობრივი დეზინტეგრაციის, ეკონომიკის ნგრევისა და რესურსების სიმწირის პირობებში. ყოველივე ამან განაპირობა ეკონომიკის მართვის ცენტრალიზება; ნარმოებისა და მოხმარების მკაცრი რეგლამენტაცია; ეკონომიკური ბერკეტების გაქრობა; სამეურნეო ცხოვრების რეგულირების ადმინისტრაციულ-რეპრესიული მეთოდების გაძლიერება.

თუმცა ანგარიშგასაწევია მეორე მოსაზრება: „სამხედრო კომუნიზმი“ იყო არა სამოქალაქო ომის შედეგი, არამედ მიზეზი. ბოლშევიკები ესწრაფოდნენ „სოციალიზმზე პირდაპირ გადასვლას“, რაც გულისხმობდა სწორედ კერძო საკუთრების გაუქმებას, ფულადსაქონლო ურთიერთობების შეცვლას ადმინისტრაციული განაწილებით. ასეთი ზომების გატარება სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა და სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას ნიშნავდა, სადაც კომპრომისი გამორიცხული იყო.

1921 წელს, ძველ პოლიტიკაზე უარის თქმის გასამართლებლად, ლენინმა მას „სამხედრო“ უწოდა, თითქოსდა ამ პოლიტიკას საომარი მდგომარეობის გამო იძულებით ატარებდნენ, რათა „საგანგებო ზომების“ მიღებით გამარჯვება მოეპოვებინათ სამოქალაქო ომში. სინამდვილეში კი სწორედ ამ პოლიტიკამ, სოციალიზმის მოკლე ვადაში აშენების მცდელობამ[1] მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღება.[2]

„სამხედრო კომუნიზმის“ ისტორიაში შეიძლება გამოიყოს ორი ეტაპი:

ა) „სამხედრო კომუნიზმის“ სისტემის ჩამოყალიბება სამოქალაქო ომის პერიოდში (1918 წლის ზაფხული – 1920 წლის დასაწყისი);

ბ) „სამხედრო კომუნიზმის“ „აყვავების“ პერიოდი – მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვება 1919 წლის ბოლოსთვის უკვე მოპოვებული ჰქონდათ, ბოლშევი-

---

[1] 1918 წლის გაზაფხულზე ტროცკი და ლენინი აცხადებდნენ, რომ რუსეთში 6 თვეში გადავიდოდნენ სოციალიზმზე, მოსპობდნენ სასაქონლო ურთიერთობებს და ა.შ.

[2] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том I, Москва, 2018. Стр.632.

კები ინარჩუნებდნენ და აღრმავებდნენ საგანგებო ზომებს (1920 წლის გაზაფხული – 1921 წლის მარტი).[1]

შეიძლება გამოიყოს სამხედრო კომუნიზმის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი:

„სამხედრო კომუნიზმის" შემოღების მიზეზები:

– კაპიტალიზმის გვერდის ავლით კომუნიზმის აშენების იდეა;

– რესურსების კონცენტრაცია სამოქალაქო ომში გამარჯვებისთვის.

„სამხედრო კომუნიზმის" ძირითადი მიმართულებები:

– კერძო საკუთრების ლიკვიდაცია;

– სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მოსპობა;

– ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის შემოღება.

6.2. მრეწველობის ნაციონალიზება

„სამხედრო კომუნიზმის" დროს მოხდა მსხვილი, საშუალო და ნაწილობრივ მცირე მრეწველობის ნაციონალიზება. 1918 წლის შემოდგომაზე სახელმწიფოს ხელში იყო 9,5 ათასი საწარმო, 1920 წელს კი – 37 ათასზე მეტი.[2] საწარმოების სახელმწიფოს ხელში გადასვლა, ფულის მიმოქცევის დარღვევასთან ერთად, იწვევდა წარმოების ნგრევას. 1918 წელს სამრეწველო წარმოება რუსეთში ორი მესამედით შემცირდა. ნაციონალიზებულ საწარმოებში შრომის ნაყოფიერება ომამდელთან შედარებით 4-ჯერ შემცირდა, სამრეწველო მუშების რაოდენობა კი განახევრდა.[3]

შეიცვალა სახალხო მეურნეობის მართვის სისტემა, სადაც წამყვანი გახდა ცენტრალიზაციის ტენდენცია. შეიქმნა ე. წ. „გლავკები" („მთავარი სამმართველოები") – ეკონომიკის ცალკეული დარგების სამართავად. საწარმოები იღებდნენ ნედლეულს, მთელ წარმოებულ პროდუქციას კი სახელმწიფოს აბარებდნენ. 1920 წლის ზაფხულისთვის არსებობდა 49 „გლავკი", ცენტრი და კომისია. მათ სპეციალიზაციაზე სახელწოდებები მეტყველებდა: გლავმეტალი, გლავტორფი, გლავტექსტილი და ა. შ. იყო სრულიად უცნაური უნყებებიც – მაგალითად „ჩეკვალაპი" („ვალენკებისა" და „ლაპტების" დამზადების საგანგებო კომისია). მათი საქმიანობა, პირველ რიგში, ფრონტის ინტერესებს ემსახურებოდა.

პერსონალური პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად ინიშნებოდნენ კომისრები სპეციალური უფლებამოსილებებით. მაგალითად, 1919 წლის ივლისში ა. რიკოვი დაინიშნა თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებულად წითელი არმიის მომარაგების საკითხში (Чусоснабарм). მას შეეძლო ნებისმიერი აპარატის გამოყენება, ნებისმიერი თანამდებობის პირის გადაყენება, „სამხედრო საჭიროებისათვის" ნებისმიერი საქონლის რეკვიზირება. მას ემორჩილებოდა თავდაცვაზე მომუშავე ყველა ქარხანა.

6.3. სასურსათო გაწერა

„სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტი იყო სასურსათო გაწერა, რომელიც სახკომსაბჭოს 1919 წლის 11 იანვრის დეკრეტით შემოიღეს.

---

[1] 1920 წლის შემოდგომაზე მიიღეს დეკრეტი ყველა საშუალო სანარმოს ნაციონალიზების შესახებ.

[2] დადგენილება მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო სანარმოების ნაციონალიზების შესახებ მიიღეს 1918 წლის 28 ივნისს, გარკვეული დროის შემდეგ კი სახელმწიფოს ხელში გადავიდა ყველა სანარმო, რომელშიც 5 მუშაზე მეტი მუშაობდა.

[3] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том I, Москва, 2018. Стр.632.

მას ფორმალურად ცვლილებები შეჰქონდა ადრე გატარებულ პოლიტიკაში: 1918 წლის გაზაფხულზე შემოღებული „სასურსათო დიქტატურა“ გულისხმობდა გლეხებისთვის მთელი „ზედმეტი“ პროდუქტის ჩამორთმევას (რაც ოჯახის მოსახმარებლად და დასათესად არ სჭირდებოდა).

სასურსათო გაწერა კი გულისხმობდა გუბერნიებისთვის „გონივრული“ გადასახადის დანესებას, იმისდა მიხედვით, თუ რა ნარმოდგენა ჰქონდათ იქ არსებულ მარაგების თაობაზე. შემდეგ გუბერნია ამას ანაწილებდა ცალკეულ მაზრებსა და თემებზე. სინამდვილეში კი ხორბლის ამოღება ხდებოდა გლეხების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა. დამზადების გეგმები ირღვეოდა და ამას მოსდევდა რეპრესიები. 1919 წლის ბოლოსთვის სასურსათო გაწერით იღებდნენ არა მარტო ხორბალს, არამედ კარტოფილს და ხორცსაც.

ნამეტი პროდუქციის ჩამორთმევის პოლიტიკის გამო სოფლად უკვე ცდილობდნენ მხოლოდ თავიანთი სამყოფი მოსავალი მოეყვანათ. მკვეთრად შემცირდა ნათესი ფართობი, საქონლისა და ფრინველის სულადობა, სოფლის მეურნეობის პროდუქცია სულ უფრო მცირდებოდა.

1918 წლის 13 მაისს სურსათის სახალხო კომისარიატმა მიიღო საგანგებო უფლებები „სოფლის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად, რომელიც მალავს პურის მარაგს და სპეკულაციას ეწევა“ ეს დეკრეტი მოუწოდებდა „პურის მფლობელთა ძალადობისთვის დამშეულ ღარიბებზე ეპასუხათ ბურჟუაზიაზე ძალადობით“. სოფელზე გასაბატონებლად ბოლშევიკებმა გადანყვიტეს, გაეთიშათ სოფელი და სოფლის ღარიბობა მდიდარი გლეხებისთვის დაეპირისპირებინათ. სოფელში 1918 წლის ივნისიდან შეიქმნა ღარიბთა კომიტეტები, რომელთა წევრებიც პურის კონფისკაციაში მონაწილეობის სანაცვლოდ მის ნაწილს იღებდნენ.

ბოლშევიკები სოფლად გლეხებს მარქსის შესახებ ლექციას უკითხავენ.
ა. რუჟნიკოვის კოლექცია

ბოლშევიკური პლაკატი: „ვინ არის სასურსათო გაწერის შესრულების წინააღმდეგი?“
ნაბატს გაკეთებული აქვს წარწერა: მღვდელი, კულაკი და თეთრგვარდიელი.

6.4. მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება

პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთში პროდუქტები ყოველგვარი ნორმირების გარეშე ნაწილდებოდა (გარდა შაქრისა) და არც შიმშილობა იყო. 1918 წლის დამდეგიდან დაიწყო ზოგიერთი პროდუქტის ბარათებით გაცემა, ხოლო 1918 წლის ნოემბრიდან ყველა პროდუქტი მხოლოდ ბარათებით გაიცემოდა. ბარათები იმაზე ბევრი იბეჭდებოდა, ვიდრე მაცხოვრებლები იყვნენ და ბარათებით სპეკულაცია ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ბოლშევიკი ხელმძღვანელები კი სპეციალურ ბარათებს იღებდნენ, რომლითაც ყველაფრით უხვად მარაგდებოდნენ.

სასურსათო კრიზისმა განაპირობა მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება საბარათო სისტემით. კლასობრივი პრინციპისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით ქალაქების მოსახლეობა დაიყო ოთხ კატეგორიად, თითოეულის სურსათით უზრუნველყოფა განსხვავებული და ძალიან დაბალი იყო. 1919 წ. მაისში პეტროგრადში პირველი, უმაღლესი კატეგორიის პირს ეძლეოდა დღეში 200 გრამი პური, ხოლო მე-3 კატეგორია ღებულობდა 50 გრამს დღეში (ლენინგრადის ბლოკადის დროს მინიმალური ნორმა დღეში 125 გრამ პურს შეადგენდა). სულ 1919 წელს პეტროგრადში 33 სახის ბარათი იყო: პურზე, რძეზე, ფეხსაცმელზე და ა. შ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთში ნორმირებული მომარაგება 24 მლნ ადამიანზე ვრცელდებოდა. სასურსათო და სამრეწველო საქონლის შეკრება და განაწილება ევალებოდა სურსათის სახალხო კომისარიატს (Наркомпрод), რომელიც სამხედრო უწყების შემდეგ მნიშვნელობით მეორე იყო. მას ემორჩილებოდა სასურსათო არმია (Продармия), 1920 წელს 77,5 ათასი თანამშრომლით, და სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატი (1920 წლის 1 იანვარს – 53 ათასი საზოგადოება).



1918 წლის აგვისტოში საბჭოთა რუსეთში შემოიღეს საბარათო სისტემა. 1921 წელს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ საბარათო სისტემა პროდუქტებზე გაუქმდა.

6.5. ვაჭრობის შეზღუდვა

ნორმირებული მოხმარების შემოღებას მოჰყვა სავაჭრო ოპერაციების მკვეთრი შეზღუდვა. 1918 წლის 22 ივნისს გამოიცა დეკრეტი, რომლითაც აიკრძალა სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული კვების პროდუქტების გაყიდვა ანდა გასაყიდად შენახვა. დამნაშავეს ემუქრებოდა 10 წლამდე პატიმრობა, იძულებითი მუშაობა და მთელი ქონების კონფისკაცია. 1918 წლის 21 ნოემბერს მთელი შიდა ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდა.

ნაციონალიზებული იყო კერძო სავაჭრო ფირმები, საწყობები და წვრილი ვაჭრობაც კი. ვაჭრობა ფაქტობრივად აიკრძალა. ნებადართული იყო მხოლოდ არანორმირებული პროდუქტების გაყიდვა, რომელთა რაოდენობაც მკვეთრად მცირდებოდა. მაგრამ ვაჭრობის მოსპობა ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს: „მტკიცე“ შესასყიდი ფასები იმდენად მცირე იყო, რომ მწარმოებლებს და სპეკულანტებს აიძულებდა საქონელი გაეყიდათ „შავ“ ბაზარზე რეალური ფასებით. წვრილი საბაზრო ვაჭრობა ადგილებზე კვლავ არსებობდა. ხელისუფლება იძულებული იყო, ამას შერიგებოდა. ამ სახის ურთიერთობების სიმბოლო იყო მოსკოვის „სუხარევკა“, სადაც ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა, – ეს იქნებოდა სურსათი, ძვირფასეულობა, ტანსაცმელი, წიგნები, ავეჯი თუ სხვა რამ.

1919 წლის ზაფხულში ბოლშევიკები აღიარებდნენ, რომ ქალაქის მუშები მათ მიერ მოხმარებული პროდუქტების დაახლოებით ნახევარს სახელმწიფო ფასებით „ნარკომ-პროდისგან“ ღებულობდნენ, მეორე ნახევარს კი შავ ბაზარზე ყიდულობდნენ სპეკულა-ციური ფასებით.

6.6. ხელფასის ნატურალიზაცია

ბოლშევიკებმა გააუქმეს წინა მთავრობის მთელი ადმინისტრაციული აპარატი, მათ შორის საგადასახადო. ამდენად, დაიკარგა შემოსავლის მიღების ტრადიციული გზა. სა-ხელმნიფოს შემოსავალი მკვეთრად შეუმცირდა და ბოლშევიკები ხარჯების დასაფინან-სებლად დაადგნენ ფულის შეუზღუდავ ემისიას: 1918 წლის დასაწყისში მიმოქცევაში იყო 22 მილიარდი რუბლი, წლის განმავლობაში მისი ფულადი მოცულობა სამჯერ გაიზარდა და 1919 წლის დასაწყისისთვის მიმოქცევაში იყო უკვე 61,3 მილიარდი რუბლი, შემდეგ კი ინფლაციამ საერთოდ ასტრონომიული მასშტაბები მიიღო: 1920 წელს მიმოქცევაში იყო 225 მილიარდი, 1921 წელს კი – 1,2 ტრილიონი რუბლი. 1921 წლისათვის რუბლი ომამდელ პერიოდთან შედარებით გაუფასურდა 50 ათასჯერ, ხოლო საქონელზე საშუალო ფასები გაიზარდა 97 ათასჯერ.

ფულადი მასის ზრდას ემატებოდა ისიც, რომ ერთდროულად მიმოქცევაში იყო სხვა-დასხვა ფულადი ნიშნები: მეფის დროინდელი („ნიკოლაევკები“), დროებითი მთავრობის გამოშვებული („კერენსკები“), ხოლო 1919 წლის თებერვლიდან – რსფსრ „ფულადი ნიშნე-ბი“. ფულის უკმარისობა და რეგიონებს შორის კავშირის გაწყვეტა იწვევდა ადგილობრივი ფულადი ნიშნებისა და მათი სუროგატების გაჩენას. „თავის“ ფულს ბეჭდავდნენ იჟევსკში, ირკუტსკში, ყაზანში, კალუგასა და სხვა ქალაქებში. ფულის შემცველელების სახით გამო-იყენებოდა სხვადასხვა ჩეკები, ბონები, ტრამვაის ნიგნაკები, ღვინის ბოთლების ეტიკეტე-ბი. 1918-1922 წლებში ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მიმოქცევაში იყო 2181 ფულადი ნიშანი.

ფულის გაუფასურება იწვევდა ფასების კატასტროფულ ზრდას. ასანთის კოლოფი ან ტრამვაის ბილეთი მილიონობით რუბლი ღირდა. 1921 წელს 50-ათასიანი საბჭოთა კუ-პიურის მსყიდველობითი უნარი ომამდელი ერთი კაპიკის ტოლი იყო.

1918-1920 წლებში მოხდა **ხელფასის ნატურალიზაცია** – მუშებსა და მოსამსახურე-ებს ხელფასს აძლევდნენ სურსათისა და მოხმარების საგნების სახით. 1920 წელს ხელფა-სის ფულადი ნაწილი მთელი ხელფასის მხოლოდ 7,4%-ს შეადგენდა. ეს გამოწვეული იყო ფულის მნიშვნელობის მკვეთრი შემცირებით 1918-1920 წლებში. ფულის მიმოქცევის დარღვევა პირდაპირ უკავშირდებოდა სამეურნეო ნგრევას.

სახელმნიფო სექტორში ფორმალურად შენარჩუნებული იყო დიფერენცირებული ხელფასი (1919 წელს მაღალ და დაბალ კატეგორიებს შორის ხუთმაგი სხვაობა იყო), მაგ-რამ პრაქტიკულად ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, – ფული გაუფასურებული იყო და ყველა მუშაკი ნატურალურ ულუფას ღებულობდა (აქ სხვაობა 2-იდან 9%-ს შეად-გენდა). ამგვარად ჩამოყალიბდა გამთანაბრებული განაწილება, როგორც ქვეყანაში არსე-ბული ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი.

6.7. შრომის მილიტარიზაცია

„სამხედრო კომუნიზმის“ დამახასიათებელი ნიშანი იყო შრომის მილიტარიზაცია, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მისი ეკონომიკური სტიმულირების შეუძ-ლებლობით. საწარმოების ნაციონალიზაციას გარდუვალად მოჰყვა შრომითი ვალდებუ-ლების შემოღება. მუშებმა, როგორც კი იგრძნეს თავი საწარმოების მეპატრონეებად, ფაქ-ტობრივად შეწყვიტეს მუშაობა, მკვეთრად შემცირდა შრომისნაყოფიერება.

თავიდან შრომითი ვალდებულება ეხებოდა მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენ-ლებს, მაგრამ 1918 წლის ოქტომბრიდან მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა 16-დან 50

წლამდე ვალდებული იყო აღრიცხვაზე დამდგარიყო სამუშაო ძალის აღრიცხვის განყოფილებებში და მათი გაშვება შეეძლოთ ნებისმიერ საჭირო სამუშაოზე. შრომითი ბეგარა „ბურჟუაზიული კლასების" წარმომადგენელთა (ე. წ. „ყოფილების") დასამცირებლად გამოიყენებოდა.

იძულებითი სამუშაოები მდიდარი ვაჭრების, თავადაზნაურებისა და დამნაშავეებისათვის რევოლუციის წლებში.

„ბურჟუაზიული" წარმოშობის ქალებსა და გოგონებს აგზავნიდნენ, როგორც წესი, ტუალეტების დასალაგებლად ჩეკისტებისა და წითელარმიელების ყაზარმებში.

1918 წლის ბოლოდან ხელისუფლება მიმართავდა მუშებისა და მოსამსახურეების გაწვევას (სამხედრო გაწვევის მსგავსად) სახელმწიფო სამსახურში ეკონომიკის გარკვეულ დარგებში. მუშაკებს იძულებით მიამაგრებდნენ ხოლმე საწარმოებსა და დაწესებულებებში, საიდანაც თვითნებური წასვლა დეზერტირობას უთანაბრდებოდა და სამხედრო დროის კანონების მიხედვით ისჯებოდა (ტრიბუნალის სასამართლო, პატიმრობა საკონცენტრაციო ბანაკში). ყოველივე ამას შედეგად მოსდევდა დაბალი შრომის ნაყოფიერება და სუსტი დისციპლინა.

1919 წლის დეკემბერში საბჭოთა მეტალურგიული ქარხნები დაათვალიერა ამერიკელმა ინჟინერმა ფრენკ კელიმ, რომელიც გაოგნებული დარჩა „ნგრევის, გაღატაკების და პროფესიული შრომითი გაველურების" მასშტაბებით. მისი გამოთვლით, მუშები მწარმოებლურ საქმიანობაზე ხარჯავდნენ სამუშაო დროის მხოლოდ 20%-ს. კელიმ ამის თაობაზე ტროცკის მისწერა და განუცხადა, რომ აუცილებელი იყო „შრომის მილიტარიზაცია". ტროცკის ეს იდეა მოეწონა და 1919 წლის 19 დეკემბერს ლენინს შესაბამისი რეკომენდაცია წარუდგინა. ლენინმაც მთლიანად მოიწონა ეს იდეა და 1920 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ტროცკის მიერ ჩამოყალიბებული შრომის მილიტარიზაციის გეგმის ცხოვრებაში გატარება. შრომით არმიაში მობილიზებულ იქნა 1 მილიონ 600 ათასზე მეტი ადამიანი, შრომითი ფრონტის დეზერტირებიც ისევე ისჯებოდნენ, როგორც სამხედრო დეზერტირები – დახვრეტით. ადამიანები ყაზარმულ მდგომარეობაში იყვნენ და შრომის სანაცვლოდ მხოლოდ მინიმალურ საკვებს აძლევდნენ.[1] ძერჟინსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა „შრომითი ვალდებულების მთავარი კომიტეტი".

1920 წლის დასაწყისიდან ტროცკის ინიციატივით შემოღებულ იქნა ე. წ. „შაბათობებისა" და „კვირაობების" ჩატარების პრაქტიკა. საბჭოთა პერიოდში მათ წარმოადგენდნენ მშრომელთა ნებაყოფლობით ინიციატივად, სინამდვილეში კი ეს იყო უქმე დღეებში იძულებითი მუშაობის სისტემა, რომლის დროსაც ადამიანები ანაზღაურების გარეშე დღეში 12-16 საათს მუშაობდნენ. შაბათობებზე მილიონობით ადამიანს ამუშავებდნენ ერთდროულად მთელი გასაბჭოებული სივრცის მასშტაბით. მაგალითად, 1920 წლის 22 მაისის შაბათობაზე 15 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა.

სამოქალაქო ომში ფაქტობრივი გამარჯვების შემდეგ მრავალმილიონიანი წითელი არმია საჭირო აღარ იყო, მაგრამ 1920 წლის იანვრიდან ტროცკი შეუდგა მათ რეორგანიზებას „შრომით არმიებად". სამხედრო დისციპლინის ქვეშ მყოფ ადამიანებს იყენებდნენ მეურნეობის აღსადგენად, ხეტყის დასამზადებლად და მოსავლის ასაღებად. 1920 წლის მარტში რკპ(ბ) IX ყრილობამ მხარი დაუჭირა „შრომით არმიებში" დამატებით მობილიზა-

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том I, Москва, 2018. Стр.630-631.

ციას და უარყო პროფკავშირების მოთხოვნა, მონაწილეობა მიეღოთ საწარმოების მართვაში.

6.8. ყოფა „სამხედრო კომუნიზმის" დროს

მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობის ყოფა „სამხედრო კომუნიზმის" დროს ღარიბული, ულიმღამო და მოსაწყენი იყო. ქალაქების ქუჩები ხშირად განათებული არ იყო და იშვიათად ალაგებდნენ. სახლებში არ მუშაობდა კანალიზაცია და წყალგაყვანილობა, არ კმაროდა სათბობი ბინების მცირედ მაინც გასათბობად, სახლები არ რემონტდებოდა. დაკეტილი იყო მაღაზიები, ტრაქტირები, კაფეები და რესტორნები.

მკვეთრად შემცირდა ქალაქების მოსახლეობა, განსაკუთრებით დიდი ქალაქებისა. მაგალითად, 1917-1920 წლებში პეტროგრადის მოსახლეობა ორი მესამედით შემცირდა, მოსკოვის მოსახლეობა – ერთი მესამედით. ცენტრალური რუსეთის 12 საგუბერნიო ქალაქმა დაკარგა თავისი მოსახლეობის ნახევარი (1916 წელს ამ ქალაქებში 6,8 მლნ ადამიანი ცხოვრობდა, 1920 წელს – 3,8 მილიონი). მოსახლეობის ასეთი შემცირება აიხსნება იმით, რომ სოფლად გაიქცა ყველა, ვისაც იქ ნათესავები ჰყავდა, ბევრი დაიღუპა შიმშილით და ავადმყოფობით, ზოგმა კი უცხოეთში წასვლა მოახერხა. დამახასიათებელია მეცნიერების აკადემიის ნევრების ბედი: 1917 წელს ცოცხალი იყო 46 აკადემიკოსი, აქედან 15 გარდაიცვალა, 8 ემიგრაციაში წავიდა და 1923 წლისათვის დარჩა 23 აკადემიკოსი.[1]

წამლების არქონა და ცხოვრების ანტისანიტარიული პირობები ხელს უწყობდა ეპიდემიების გავრცელებას, რის შედეგადაც რუსეთში სამხედრო კომუნიზმის წლებში გარდაიცვალა 3,5 მლნ ადამიანი (7-ჯერ მეტი, ვიდრე სამოქალაქო ომის ფრონტებზე).[2]

შეიცვალა მოსახლეობის გარეგნობაც. ძვირფასი და ხარისხიანი ტანსაცმლის ტარებას ვერ ბედავდნენ, ხშირად კი არც შეეძლოთ. „ბატონკაცურ" გარეგნობას შეიძლება გამოენვია კლასობრივი სიძულვილის გამოვლინება ქუჩაში, ამასთან ბევრი სახის „ფუფუნების საგნები" (მათ შორის ტანსაცმელი) კონფისკაციას ექვემდებარებოდა. რევოლუციური მოდის სიმბოლო ტყავის ქურთუკები გახდა: მას ხშირად ატარებდნენ ახალი ხელისუფლების ნარმომადგენლები.

ამავე დროს პრაქტიკულად შეწყდა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, მოხმარების საგნების ნარმოება. ამ ყველაფრის შოვნა ძნელი იყო. ყველაფრის ქრონიკული ნაკლებობა იწვევდა უკმაყოფილების, გაბოროტების გრძნობას და აჩენდა სურვილს, რაც შეიძლება სნრაფად დაბრუნებოდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

1918 წლის აგვისტოში საქალაქო უძრავი ქონება (სახლები და მიწა, რომელზედაც ეს სახლები იყო აშენებული) ბოლშევიკებმა სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. სახლებისა და ბინების მეპატრონეები გადაიცნენ სახელმწიფოს მოიჯარეებად. სახელმწიფო თუკი მოისურვებდა, იჯარას შეუწყვეტდა და ყოფილ მფლობელებს ბინიდან გამოასახლებდა. ჩვეულებრივი ამბავი გახდა ე. წ. „შემჭიდროება", – ყოფილ მეპატრონეს ბინაში სხვა ადამიანებს უსახლებდნენ, რაც ბინის ყოფილ მფლობელს დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებდა. ის არათუ ბინას აღარ ფლობდა, არამედ საკუთარი ჭურჭლისა და ტანსაცმლის მფლობელიც აღარ იყო.

ჩვეულებრივი ამბავი გახდა ჩხრეკა და დაპატიმრებები. ნებისმიერ დროს ჩეკისტები შეიძლება შეჭრილიყვნენ ბინაში, დაეპატიმრებინათ ვინმე ან წაეღოთ ნებისმიერი ნივთი თუ პროდუქტი, რომელსაც მისი მფლობელებისთვის „ზედმეტად" მიიჩნევდნენ. „მშრომელი ხალხის" სახელით ჩამორთმეული ნივთები კი ხშირად ჩამომრთმეველთა სახლებში აღმოჩნდებოდა ხოლმე.

---

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том I, Москва, 2018. Стр.632.

[2] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том I, Москва, 2018. Стр.954.

ჩვეულებრივ ამბად იქცა ჩეკაში მომუშავე კაცის მიერ მეგობარი გოგონას დაპატიჟება დაპატიმრებული ადამიანის ნამების საყურებლად. მაგალითად, 1918 წ. მარტში პოეტი სერგეი ესენინი ცდილობდა „პოეტესა კ." მიეწვია დახვრეტის საყურებლად, რასაც ის თავისი ნაცნობი ჩეკისტის ბლიუმკინის (მემარცხენე ესერის) მეშვეობით შეძლებდა. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ასეთ მიწვევებს ხშირად თანხმდებოდნენ.

1917 წლის 18(30) დეკემბერს გამოიცა დეკრეტი ქორწინების, განქორწინების, დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ. ამასთან შესაბამისი აპარატი არ შექმნილა და აღრიცხვა მთლიანად მოიშალა. ეს გარემოება და „თავისუფალი სიყვარულის" პროპაგანდა ხელს უწყობდა ოჯახის ნგრევას. მარქსიზმი ოჯახს „ბურჟუაზიულ გადმონაშთად" მიიჩნევდა.[1]

ბოლშევიკური მმართველობის ქვეშ მოქცეულ რუსეთის სხვადასხვა რეგიონში 1918-1919 წლებში გამოიცემოდა და ცხოვრებაში ტარდებოდა დეკრეტები, რომლებიც ქალებს „საერთო-სახალხო კუთვნილებად" აცხადებდა. სარატოვში, ვლადიმირში, ეკატერინოდარში და სხვა ქალაქებში 1918 წლის დასაწყისში გამოიცა საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები, რომლებიც აუქმებდნენ „ქალების ფლობაზე კერძო საკუთრებას" (სარატოვში გამოცემული დეკრეტით ეს ეხებოდა 19-დან 32 წლამდე ქალებს).

1918 წლის 24 იანვარს სახკომსაბჭოს დეკრეტით საბჭოთა რუსეთი გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა და 31 იანვრის შემდეგ დადგა არა 1, არამედ 14 თებერვალი. 1918 წლის 31 მარტს გამოცემული მეორე დეკრეტით საათის ისრები ორი საათით წინ გადასწიეს (ე. წ. „დეკრეტული" დრო). 1918 წლის სექტემბერში საბჭოთა რუსეთი გადავიდა წონა-ზომის მეტრულ სისტემაზე და დაიძლია „ფეოდალური გადმონაშთი" საზომი ერთეულები: გირვანქა, ფუთი, ვერსი და არშინი.

6.9. „სამხედრო კომუნიზმი" და ბოლშევიკური იდეოლოგია

ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც სამხედრო დროის აუცილებლობით 1918-1919 წლებში ყალიბდებოდა, ბევრ რამეში შეესაბამებოდა ბოლშევიკების თეორიულ წარმოდგენებს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სოციალისტური საზოგადოება. ამ დამთხვევამ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში წარმოშვა გარკვეული ეიფორია სამხედრო, მბრძანებლურ, ადმინისტრაციულ ზომებთან დაკავშირებით და ასეთი ზომები იძულებით ნაბიჯად კი არა, სოციალისტური მშენებლობის ძირითად ინსტრუმენტად განიხილებოდა. ამ წარმოდგენათა ერთობლიობას ლენინმა „სამხედრო-კომუნისტური იდეოლოგია" უწოდა.

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том I, Москва, 2018. Стр.955-956.

ეს იდეოლოგია ჩამოყალიბდა 1920-იანი წლების დამდეგს, როდესაც საგანგებო ზომების გამოყენების ობიექტური პირობები წარსულს ბარდებოდა, წითელი არმია ანადგურებდა თეთრგვარდიელების უკანასკნელ ძალებს. ამავე დროს მოსახლეობის ძირითად ნაწილს აღარ სურდა „დესპოტური სოციალიზმის" პირობებში ყოფნა და იმედოვნებდა, რომ აღდგებოდა ჩვეულებრივი ცხოვრება, საბარათო სისტემისა და „ნარკომპროდის" გარეშე. არადა, სწორედ 1920 წლის დასაწყისში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კურსი აიღო „სამხედრო კომუნიზმის" სისტემის კიდევ უფრო გაღრმავებაზე.

1920 წლის მარტში ლევ ტროცკის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია მშვიდობიან პირობებში სოციალიზმის მშენებლობის გეგმის შესამუშავებლად. მისი რეკომენდაციები აშკარად გამოხატულ სამხედრო-კომუნისტურ ხასიათს ატარებდა. გეგმა ითვალისწინებდა სასურსათო გაწერის გაფართოებას, ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად გასახელმწიფოებრიობას, საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის შემუშავებას, საყოველთაო შრომითი ვალდებულების გაფართოებას, შრომითი არმიების შექმნას და მმართველობის მთელი სისტემის მილიტარიზაციას.

რკპ (ბ) მე-9 ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ დიდი ენთუზიაზმით მოიწონა კომისიის მიერ შეთავაზებული გეგმა და ამით დაადასტურა ტროცკის მიერ ჩამოყალიბებული კურსი. აღნიშნულის შესაბამისად, 1920 წელს გლეხობისთვის საძულველი სასურსათო გაწერა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ახალ სახეობებზეც გავრცელდა (პურს, ხორცს, კარტოფილს დაემატა რძე, კვერცხები, მატყლი, ტყავი, სელი და ა. შ.). შენარჩუნდა გლეხობისთვის სხვა სახის შრომითი ვალდებულებებიც. დაამტკიცეს მინდვრების დათესვის გეგმა, რომლის რეალიზაციისთვის თვალი უნდა ედევნებინათ „თესვის კომიტეტებს" („პოსევკომებს"). 1920 წლის ბოლოს ნაციონალიზებულ იქნა წვრილი საწარმოებიც.

1920 წლის დეკემბერში საბჭოების მე-8 სრულიად რუსეთის ყრილობამ დაამტკიცა გოელროს გეგმა, რომელიც ელექტრიფიკაციას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს იყო სოციალისტური ეკონომიკის შექმნის გეგმა. შრომის მილიტარიზაციის მწვერვალი იყო შრომითი არმიების შექმნა. მათი ჩამოყალიბება დაიწყო 1920 წლის დამდეგიდან ფრონტზე გამოთავისუფლებული სამხედრო ნაწილებისგან. იმავე წლის ივლისში სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 2,5 მილიონი წითელარმიელი, რომელთაც „შრომით არმიელებს" („ტრუდარმეიცი") უწოდებდნენ და ძირითადად იყენებდნენ მძიმე სამუშაოზე – მშენებლობასა და ტრანსპორტზე, თუმცა მათი შრომის ნაყოფიერება დაბალი იყო.

1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში ლოგიკურ დაბოლოებამდე მიიყვანეს მოსახლეობის გათანაბრებითი მომარაგების სამხედრო-კომუნისტური სისტემა: გაუქმდა საბინაო გადასახადი, გადასახადი ტრანსპორტსა და კომუნალურ მომსახურებაზე. ფართოდ გაიშალა „ფულის გაუქმების" კამპანია. ამის თაობაზე პრინციპული უთანხმოება კომუნისტურ ხელმძღვანელობაში არც ყოფილა. ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ იმაზე, თუ შრომის რა საზომი ერთეულით შეეცვალათ ფული. ვარაუდობდნენ, შემოეღოთ „ტრედები" („შრომითი ერთეულები"). თუმცა დისკუსია ბოლომდე არც გაგრძელებულა, რადგანაც სამხედრო კომუნიზმს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ჩაენაცვლა.



ფოტოგრაფიაზე გამოსახულია რიბინსკელი ვაჭრის პოპენოვის მრავალრიცხოვანი ოჯახი. მთელი ოჯახი დახვრიტეს 1918 წლის 4-5 სექტემბერს წითელი ტერორის აქციის დროს.

6.10. „სამხედრო კომუნიზმის“ სისტემის კრიზისი

მიუხედავად იმისა, რომ „სამხედრო-კომუნიზმის“ კურსს 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში თანმიმდევრულად ატარებდნენ, ის სულ უფრო მეტად არაეფექტური ხდებოდა. მკვეთრად შემცირდა სარკინიგზო გადაზიდვები. ეს გამოწვეული იყო საწვავის ნაკლებობით, საწვავს კი უხალისოდ აწვდიდნენ გლეხები და ნახევრად მშიერი მეშახტეები. შედეგად შემცირდა სურსათის შეტანა სამრეწველო ცენტრებში. ამაზე გავლენა მოახდინა გლეხობის მასობრივმა გამოსვლებმაც. მათი მონაწილეები წინააღმდეგობას უწევდნენ პურის ჩაბარებას. არმია, რომლის უდიდეს ნაწილსაც გლეხები შეადგენდნენ, სულ უფრო ნაკლებად საიმედო ხდებოდა „შიდა ფრონტზე“. უფრო მეტიც, სახლში დაბრუნებული დემობილიზებული წითელარმიელები ხშირად თავად უერთდებოდნენ მეამბოხეებს.

მომარაგების გაუარესების გამო ქალაქებში გამწვავდა სოციალური სიტუაცია, გახშირდა მუშათა მღელვარებები. ისინიც თხოულობდნენ სასურსათო განერის გადასახადით შეცვლას. 1920 წლის თებერვალში რევოლუციის „აკვანში“ – პეტროგრადში გაფიცული მუშების წინააღმდეგ ხელისუფლებამ ჯარი გააგზავნა. ანუ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლებს იწყებდნენ მათი ძირითადი დასაყრდენი – მუშათა კლასი და არმია.

1921 წლის დამდეგისათვის საბჭოთა რუსეთი სრულიად გაჩანაგებული იყო. მოხდა ეკონომიკის ნატურალიზაცია, დაირღვა ყველა სამეურნეო კავშირი, მრავალ ადგილას ადამიანები შიმშილობდნენ, სიკვდილიანობა შობადობას სამ-ოთხჯერ აღემატებოდა.

ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე დადგა საკითხი: ან უნდა გაეგრძელებინათ „სამხედრო კომუნიზმი“ და დამდგარიყვნენ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის ქვეშ, ანდა ნასულიყვნენ დათმობებზე და უფრო ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდნენ კომუნიზმის დასამყარებლად შემდგომი „შეტევისათვის“. ლენინმა არჩევანი გააკეთა მეორე ვარიანტის სასარგებლოდ. უკვე 1921 წლის თებერვალში, ანუ კრონშტადტში მეზღვაურების აჯანყებამდე, პარტიაში აქტიურად განიხილებოდა გლეხების სასურსათო გადასახადების შემცირების საკითხი.

6.11. შიდაპარტიული დისკუსიები „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში

1918-1920 წლებში, ცენტრალიზაციის გაძლიერებისა და ავტორიტარული მეთოდების დამკვიდრების პირობებში, პარტიის ზედაფენაში შენარჩუნდა დემოკრატიზმის ელემენტები და პრინციპული საკითხების საკმაოდ თავისუფალი განხილვის შესაძლებლობა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი კომუნისტები. საერთო პოზიციების მქონენი ერთიანდებოდნენ სხვადასხვა „ჯგუფად“ და „პლატფორმად“. სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდებები უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარების აუცილებლობის შესახებ, პირველ რიგში, გლეხობის მიმართ.

1920 წელს დისკუსიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა შიდაპარტიული ცხოვრებისა და ქვეყნის მართვის მეთოდების საკითხებმა. გააკრიტიკეს თავად ლენინიც. „დეცისტების“ („დემოკრატიული ცენტრალისტების“) წარმომადგენლები აღნიშნავდნენ ლენინის განსაკუთრებულ როლს „პროლეტარიატის სრულხელისუფლებიანობის“ ჩამოყალიბებულ სისტემაში და მიუთითებდნენ, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის ბელადთან პოლიტიკური ინტერესები და უნარები გადამწყვეტად ბატონობენ ორგანიზაციულ უნარზე“. ყურადღებას აქცევდნენ „მმართველი აპარატის ზედაფენის ბიუროკრატიულ გადაგვარებას“.

1920 წლის ივლისში გამოჩნდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. პრეობრაჟენსკის წერილი პარტიის გახრწნის სიმპტომების შესახებ. ამ წერილმა სათავე დაუდო დისკუსიას პარტიაში „ზედაფენების“ და „ქვედაფენების“ შესახებ. „ქვედაფენები“ გამოდიოდნენ „ბურჟუაზიული ცრუ კომუნისტების, გენერლების, პარტიული ბიუროკრატე-

ბის" დიქტატის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ პარტიის დემოკრატიზაციას, მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებას პარტიული ორგანიზაციებისათვის.

იგივე აზრები გაჟღერდა რკპ(ბ) IX პარტიულ კონფერენციაზე (1920 წლის სექტემბერი) „მუშათა ოპოზიციის" წარმომადგენელთა მხრიდან (ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ა. შლიაპნიკოვი, ს. მედვედევი, ა. კოლონტაი), რომლებიც ლაპარაკობდნენ პარტიის მოწყვეტის შესახებ მუშათა კლასისგან და არაპროლეტარული ელემენტებით მისი „დანაგვიანების", „ზედაფენების" ბიუროკრატიული გადაგვარების შესახებ და საჭიროდ მიიჩნევდნენ პარტიაში ნმენდის ჩატარებას.

1920 წლის ნოემბრის ბოლოდან 1921 წლის მარტამდე გრძელდებოდა დისკუსია პროფკავშირების შესახებ. მისი ბევრი მონაწილე გმობდა ოფიციალურ კურსს „პროფკავშირების გასახელმწიფოებრიობასთან" დაკავშირებით, წინააღმდეგნი იყვნენ პროფკავშირების ბიუროკრატიული აპარატის დანამატად გადაქცევისა. „ზედაფენებმა" ყოველივე ამაზე რეაგირება მოახდინეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის შექმნით, რომელსაც ევალებოდა თვალი ედევნებინა პარტიის ერთიანობისა და მის შიგნით მდგომარეობის ბორტად გამოყენებისათვის. 1921 წლის თებერვალში შემცირდა პრივილეგირებული სასურსათო ულუფები და მომარაგებაში გათანაბრდნენ ხელმძღვანელი მუშაკები და კადრის მუშები. ამავე დროს 1921 წლის გაზაფხულზე ლენინმა ენერგიული ზომები მიიღო „ოპოზიციონერებისა" და „გამთიშველების" ჩასახშობად და პარტიაში „რკინის" დისციპლინის შესანარჩუნებლად.

თავი VII.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა

1922 წლის ბოლოსთვის ბოლშევიკებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს – დაამარცხეს და რუსეთიდან განდევნეს ორგანიზებული ლიბერალურ-დემოკრატიული კონტრრევოლუცია; გამარჯვებას მიაღწიეს მოსახლეობის დაშინებით („წითელი ტერორი"), ორგანიზებული შიმშილის სისტემით (სასურსათო განერა), ადამიანებისთვის დამოუკიდებელი არსებობის ყოველგვარი საშუალების წართმევით („სამხედრო კომუნიზმი") და ბოლოს, პროპაგანდისტული სიცრუით, ამტკიცებდნენ, რომ თეთრების მიზანი ბატონყმობისა და მეფის ხელისუფლების აღდგენა იყო. ამავე დროს ბოლშევიკების მიერ აშენებული მმართველობის სისტემა ღრმა კრიზისს განიცდიდა. მასშტაბური უკმაყოფილება სტიქიურად გადადიოდა საპროტესტო გამოსვლებსა და აჯანყებებში.

7.1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1921 წლის დასაწყისისთვის

7 წლის განმავლობაში მიმდინარე მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის გამო საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობა 1921 წლის 1 იანვრისათვის 134,3 მლნ. ადამიანამდე შემცირდა. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში ორივე მხრიდან სამხედრო დანაკარგებმა 2,5 – 3,3 მილიონი ადამიანი შეადგინა. 1917 წლის შემოდგომიდან 1921 წლის დამდეგამდე რუსეთის მოსახლეობა 10 მლნ 887 ათასი ადამიანით შემცირდა. შემცირება შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. 1921 წელს შემცირდა 1 მილიონ 854 ათასი ადამიანით, 1922 წელს – 1 მილიონ 592 ათასი ადამიანით. 1921 წლის ბოლოსთვის არანაკლებ 1 მილიონ 850 ათასი ადამიანი – თითქმის მთელი პოლიტიკური, ფინანსურ-სამრეწველო, სამეცნიერო-შემოქმედებითი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი – იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო.[1]

1920 წელს ქვეყანაში მსხვილი მრეწველობის წარმოების მოცულობა შეადგენდა 1913 წლის დონის 14,6%-ს, ლითონდამმუშავებელ წარმოებაში – 7%-ს. სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი გაჩერებული იყო, მუშების რაოდენობა ორჯერ შემცირდა. ომითა და სასურსათო გაწერით გავერანებული სოფელი ველარ ახერხებდა სამრეწველო ცენტრების სურსათით უზრუნველყოფას.

1920 წლის გაზაფხულზე ქვეყნის ცენტრალური რეგიონი, ვოლგისპირეთი, ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა შიმშილობდა. 1921 წლის მაისში ვოლგისპირეთი და რიგი ცენტრალური გუბერნიები გვალვამ მოიცვა, რამაც გაალრმავა უბედურების მასშტაბები. 1922 წლის მაისში შიმშილობდა 22-27 მლნ ადამიანი, ამ დროისათვის შიმშილობისა და მისგან გამოწვეული ავადმყოფობებით დაიღუპა დაახლოებით ერთი მილიონი გლეხი, ამდენივე ევაკუირებულ იქნა უბედურებით მოცული გუბერნიებიდან. 1923 წლის აპრილში შიმშილობდა 5,5 მლნ. ადამიანი. სახელმწიფოს მხრიდან დახმარება მინიმალური იყო.

ომისა და შიმშილის შედეგად 1922 წლისათვის რუსეთში იყო 7 მლნ. უპატრონო ბავშვი, არმიის დემობილიზაციის დაწყებამ კიდევ უფრო გაამწვავა უმუშევრობა.

7.2. პოლიტიკური კრიზისი 1921 წლის დამდეგს

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გამწვავდა წინააღმდეგობები ქვეყნის პარტიულ ხელმძღვანელობაში. ქვეყნის წინაშე არსებული უმთავრესი ამოცანების (სახალხო მეურნეობის აღდგენა, სოციალისტურ წარმოებაზე გადასვლა) გადაწყვეტა ბოლშევიკებს

[1] История России XX – начала XXI века. Под ред. Л.В. Милова. М., 2007, с.339.

(მიუხედავად მათი ფრაქციული განსხვავებებისა) ესახებოდათ „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკის გაფართოებისა და გაღრმავების გზით. მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკის გაგრძელება წაწყდა გლეხებისა და მუშების მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგობას.

ბოლშევიკების გამარჯვება რუსეთის ევროპულ ნაწილში 1920 წლის გაზაფხულისთვის უკვე ცხადი იყო, მაგრამ ბოლშევიკები რეჟიმის არანაირ შერბილებას არ აპირებდნენ. შედეგად იფეთქა გლეხთა მასშტაბურმა აჯანყებებმა.

1920-1921 წლებში სასურსათო გაწერის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებები იყო ვორონეჟის, სარატოვის, პენზის გუბერნიებში, ციმბირში, დონზე და უკრაინაში. 1921 წლის გაზაფხულისთვის აჯანყებულთა რაოდენობამ რამდენიმე ასეული ათასი შეადგინა. განსაკუთრებით სასტიკი და სისხლისმღვრელი იყო ესერ ა. ანტონოვის (1889-1932) ხელმძღვანელობით ტამბოვ-ვორონეჟის რეგიონში მიმდინარე გლეხთა აჯანყება (დაახლოებით 60 ათასი აჯანყებული გლეხი). უკრაინაში მოქმედებდა ნ. მახნოს ანარქისტულ-გლეხური არმია (35 ათასამდე მებრძოლი). დასავლეთ ციმბირში აჯანყებულ გლეხთა რაოდენობა (200 ათასზე მეტი) უტოლდებოდა ურალსა და ბაიკალს შორის განლაგებულ საბჭოთა ჯარებს. აჯანყებულები მოითხოვდნენ სასურსათო გაწერის გაუქმებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას, ვაჭრობის თავისუფლებას, მრეწველობის დენაციონალიზაციას.

აჯანყებების ჩასაქრობად გაიგზავნა ნითელი არმია. სამოქალაქო ომის გმირებს (ს. კამენევი, მ. ტუხაჩევსკი, მ. ფრუნზე, ი. უბორევიჩი, ი. იაკირი და სხვები) ბრძოლა უხდებოდათ გუშინდელ მოკავშირეებთან, გლეხებთან. ყველაზე სერიოზული იყო 1921 წლის მარტში კრონშტადტში დაწყებული აჯანყება, რომელშიც მონაწილეობდნენ გარნიზონისა და ბალტიის ფლოტის გემების მეზღვაურები. აჯანყებულები გამოდიოდნენ ლოზუნგებით: „ხელისუფლება საბჭოებს და არა პარტიებს“, „საბჭოები კომუნისტების გარეშე“.

მრავალ ქალაქში გაფიცული იყვნენ მუშები. ისინიც ასევე ითხოვდნენ სასურსათო გაწერის შეცვლას ნატურალური გადასახადით. ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო პეტროგრადის მუშათა გაფიცვები, რაც შეიძლება შერნყმოდა კრონშტადტის აჯანყებას.

1921-1922 წლებში აჯანყებული მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, ავადმყოფობითა და ჭრილობებით გარდაიცვალა 238 ათასი წითელარმიელი, საგანგებო რაზმელი და პარტიული მუშაკი. აჯანყებულები, სავარაუდოდ, გაცილებით მეტი დაიღუპა.[1]

აჯანყებების ჩაქრობა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კვლავ მოახერხა, მაგრამ ვითარება უაღრესად ტრაგიკული იყო, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა 1921 წლის გვალვა.

7.3. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა

ბოლშევიკები აღმოჩნდნენ ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე. გასაბჭოებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობა, პარტიული ფუნქციონერებისა და მათი დასაყრდენის გარდა, ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იყო განწყობილი.

შექმნილ ვითარებაში ლენინი იძულებული იყო სასწრაფო ზომები მიეღო შიდაპოლიტიკური კურსის შესაცვლელად. 1921 წლის 8 თებერვალს ლენინმა პირველად წამოაყენა იდეა, დაეკმაყოფილებინათ გლეხების მოთხოვნა და სასურსათო გაწერა სასურსათო გადასახადით შეეცვალათ. ადრე გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას უწოდეს იძულებითი „სამხედრო კომუნიზმი“, რომელიც არ შეესაბამებოდა პროლეტარიატის მიმდინარე სამეურნეო ამოცანებს.

ამ თითქოსდა გამოუვალ სიტუაციაში ბოლშევიკების ბელადებმა იპოვეს გამოსავალი, რომელიც მათთვის საფრთხის შემცველი იყო, მაგრამ ხელისუფლების შენარჩუნების შანსს აძლევდა. ტერორით, შიშით და შიმშილით დაღლილ საზოგადოებას საბაზრო ეკონ-

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том II, Москва, 2016, стр.13.

ომიკის მექანიზმების აღდგენით ნორმალური ცხოვრების საშუალება ეძლეოდა. ამით ადამიანებს თავიანთი შრომის შედეგების მიღების იმედი უჩნდებოდათ. ამავე დროს ბოლშევიკური რეჟიმი მთლიანად ინარჩუნებდა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ხელისუფლებას. სიტუაციის ტრაგიკომიკურობა ის იყო, რომ ბოლშევიკებმა ხელისუფლება შეინარჩუნეს მათთვის საძულველი კაპიტალიზმის მეშვეობით.

სამხედრო კომუნიზმზე უარის თქმას ბოლშევიკებმა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა" უწოდეს. ამ პოლიტიკის საფრთხე ბოლშევიკური რეჟიმისთვის იმაში მდგომარეობდა, რომ ქმნიდა სამეურნეო თვალსაზრისით დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელიც, ბუნებრივია, შემდგომ მოისურვებდა პოლიტიკურ თავისუფლებას და იდეურ დამოუკიდებლობასაც. ამ მიმართულებით კი ბოლშევიკები არანაირ დათმობას არ აპირებდნენ. პირიქით, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პარალელურად გააძლიერეს ეკლესიის დევნა, გაანადგურეს სოციალისტური პარტიების ნარჩენები, გააძლიერეს ცენზურა, გააფართოეს ჩეკას უფლებები. 1922 წელს ტროცკი აცხადებდა: „როგორც მმართველ პარტიას, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ სპეკულანტი მეურნეობაში, მაგრამ პოლიტიკის სფეროში მას არ დავუშვებთ".

ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში 1919-1921 წლებში მიდიოდა დავა – შეესუსტებინათ რეჟიმი თუ კიდევ უფრო გაემკაცრებინათ. 1919 წლის ბოლოს ლენინი აცხადებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა მარცვლეულით ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის შესუსტებას.[1] ტროცკი კი თავის ავტობიოგრაფიაში ირწმუნებოდა, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვალში ცდილობდა ცენტრალური კომიტეტის დათანხმებას სასურსათო გაწერა სასურსათო გადასახადით შეეცვალათ, მაგრამ არ დაუჯერეს. ეს გაკეთდა მხოლოდ კრონშტადტის აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

რკპ (ბ) X ყრილობამ (1921 წლის 8-16 მარტი) მუშაობის დამთავრების წინა დღეს, 15 მარტს მიიღო რეზოლუცია „სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ" სახკომსაბჭომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ 23 მარტს გამოაცხადა.

ლენინს უყვარდა ნეპ-ის შედარება ბრესტის ზავთან, როდესაც ხელისუფლების შესანარჩუნებლად წავიდნენ ტაქტიკურ დათმობაზე. ბუხარინის გულახდილი განცხადებით, „მიდიოდნენ ეკონომიკურ დათმობებზე, რათა თავიდან აეცილებინათ პოლიტიკური დათმობები". ნეპ-ის არსი იყო ბოლშევიკების პოლიტიკური მონოპოვრების შენარჩუნება ეკონომიკური დათმობების ფასად, რომელთა უკან წაღებაც ადვილად იყო შესაძლებელი.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არსი ყველამ სწორად ვერ გაიგო. ერთი მხრივ, ემიგრაციაში ზოგს იმედი გაუჩნდა ბოლშევიკური რეჟიმის მშვიდობიანი დემონტაჟის შესაძლებლობის თაობაზე, მეორე მხრივ, ბოლშევიკების ნაწილმა ამაში „კომუნიზმის ღალატი" დაინახა. ზოგმა იმედით, ზოგმა შიშით ნეპ-ს „რუსეთის რევოლუციის თერმიდორი" უწოდეს. რუს რევოლუციონერებს ისედაც უყვარდათ საფრანგეთის რევოლუციასთან შედარება.[2]

მაგრამ შედარება მართებული არ იყო. საფრანგეთში თერმიდორი დაიწყო რობესპიერისა და მისი ამხანაგების დამხობითა და სიკვდილით დასჯით, რუსეთში კი თავად იაკობინელები – ტროცკი, ლენინი, სტალინი, ზინოვიევი 1921 წლიდან ახორციელებდნენ „მართულ კონტრრევოლუციას" ისე, რომ ერთი წუთითაც არ გაუშვიათ სახელისუფლო საჭე ხელიდან.

6 წლის შემდეგ, როდესაც ცხოვრება გარკვეულწილად მოწესრიგდა და საზოგადოება დაწყნარდა, ხოლო ბოლშევიკების პრინციპული მტრები განადგურებული იყვნენ, 1928 წელს სტალინმა კვლავ მოატრიალა საჭე ტოტალური, მათ შორის ეკონომიკური დიქტატურისკენ.[3]

რა ვადაზე იყო გათვლილი ახალი ეკონომიკური პოლიტიკა? ლენინი ვარაუდობდა დაახლოებით 6 წელს, სხვები – 10-იდან (ნ. მილიუტინი) 20 წლამდე (ნ. ოსინსკი). ნებისმი-

---

[1] В.И. Ленин. ПСС. Т.39.С.407.

[2] 1794 წლის ივლისში (ამ თვეს საფრანგეთის რევოლუციურ კალენდარში თერმიდორი ეწოდებოდა) დაემხო სასტიკი იაკობინური დიქტატურა, რომელსაც ბოლშევიკებს ამსგავსებდნენ. საფრანგეთში დაიწყო ზომიერი რეჟიმისკენ შემობრუნება, რაც ოცი წლის შემდეგ (1815 წ.) მონარქიის აღდგენით დამთავრდა.

[3] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том II, Москва, 2016, стр.15-16.

ერ შემთხვევაში, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა უფრო მშვიდი რეაგირების შესაძლებლობას იძლეოდა მსოფლიო რევოლუციის „გაჭიანურებაზე". ლენინი თვლიდა, რომ „ახალი სტრატეგიის შედეგად, შეგვიძლია დავუცადოთ მსოფლიო რევოლუციას და რუსეთში გავძლოთ 5 წელი და მეტიც".

ლენინს ამავე დროს ეშინოდა, რომ არ დაკარგულიყო სოციალისტური პერსპექტივა ნვრილი ბურჟუაზიისა და კაპიტალისტებისთვის ზომაზე მეტი დათმობებით. ნეპზე გადასვლიდან ერთი წლის შემდეგ ლენინი უკვე აცხადებდა: „ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია შევაჩეროთ ჩვენი ეკონომიკური უკანდახევა".

1921-1923 წლები იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების პერიოდი, 1924-1926 წლებზე მოდის ნეპის აყვავების ხანა, შემდეგ კი, მასშტაბური „სოციალისტური რეკონსტრუქციის" დაწყებით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა თანდათანობით იზღუდება.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირველი აქტი იყო სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1921 წლის 21 მარტის დეკრეტი, რომელიც სასურსათო გაწერას სასურსათო გადასახადით ცვლიდა. გადასახადი ორჯერ ნაკლები იყო სასურსათო გაწერაზე და მისი შეცვლა სამეურნეო წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა.[1] დეკრეტს სასურსათო გადასახადის შესახებ ყველგან მოწონებით შეხვდნენ, გლეხებმა გააფართოეს ნათესების ფართობი, გამოცოცხლდა მრეწველობა და, რაც მთავარია, შემცირდა აჯანყებები. 1921 წლის ბოლოსთვის გლეხთა აჯანყებები ძირითადად ჩამქრალი იყო, თუმცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებას ბევრი უნდობლად უყურებდა და ფიქრობდა, რომ გლეხებს ატყუებდნენ. მათ არწმუნებდნენ, რომ ნეპი შემოღებულია „სერიოზულად და დიდი ხნით", თუმცა, როგორც ვნახეთ, „დიდი ხანი" ბოლშევიკი ლიდერებისათვის 5 – 10 წელი იყო.

ნეპი დაიწყო სოფლად სასურსათო ექსპროპრიაციების გაუქმებით და ლოგიკურად ვრცელდებოდა სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარეზე. თუკი გლეხებს ნება ეძლეოდათ, თავისუფლად გაეყიდათ ის პროდუქტები, რაც მათ რჩებოდათ სასურსათო გადასახადის გადახდის შემდეგ, მაშინ საჭირო იყო ბაზარი, ფული, აუცილებელი იყო სასაქონლო ურთიერთობები მრეწველობაში და ა. შ. ამ ყველაფერს ისიც უწყობდა ხელს, რომ 1922 წლის მოსავალი უაღრესად კარგი აღმოჩნდა.

სამხედრო კომუნიზმისა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები

„სამხედრო კომუნიზმი" (1918-1921 მარტი)	ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპ-ი) (1921-1928/29)
მიზნები	მიზნები
• ყველა რესურსის კონცენტრირება ბოლშევიკების ხელში სამოქალაქო ომის პირობებში • კომუნიზმის აშენება ძალადობრივი მეთოდებით • პრაქტიკაში კომუნისტური იდეალის რეალიზება: არასაბაზრო საზოგადოების შექმნა.	• ახალი სამოქალაქო ომის თავიდან აცილება; • ბოლშევიკური რეჟიმის გადარჩენა; • ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დაძლევა; • სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების აშენების ახალი გზების ძიება; • საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, შიდაპოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

[1] 1921-1930 წლებში სამეურნეო წელი რუსეთში იწყებოდა 1 ოქტომბერს.

7.4. ბოლშევიკების კიდევ ერთი უკანდახევა: ვაჭრობის დაშვება და ფინანსური რეფორმა

სასურსათო გაწერაზე უარის თქმა ანგრევდა ბოლშევიკებში უკვე დამკვიდრებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იყო უშუალოდ გადასვლა სოციალიზმზე, როდესაც იქნებოდა პროდუქტების პირდაპირი გაცვლა მწარმოებლებს შორის, გაუქმდებოდა ფული და მოკვდებოდა ბაზარი. ქვეყნის ბოლშევიკი ხელმძღვანელები ცდილობდნენ, არ დაეშვათ ამგვარი ილუზიების მსხვრევა; თავიდან ეგონათ, რომ გლეხები „ნამეტ“ წარმოებულ პროდუქტს გაცვლიდნენ სახელმწიფო საწარმოებში სამრეწველო საქონელზე ადგილობრივი საქონელბრუნვის ფარგლებში – მაზრაში, გუბერნიაში, სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისა და სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი კოოპერაციის მეშვეობით. ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელი იქნებოდა გაცვლის პროცესიდან კერძო კაპიტალის გამორიცხვა.

მალე გამოირკვა, რომ ეს ვერ ხერხდებოდა. უკვე 1921 წლის ზაფხულში საქონელგაცვლამ დაიწყო ადგილობრივი ბრუნვიდან გამოსვლა და იცვლებოდა ფულადი ყიდვა-გაყიდვით. ხელისუფლებას მოუხდა „კიდევ ერთი ნაბიჯი უკანდახევა“ რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. დაშვებულ იქნა ვაჭრობა, ოღონდ სახელმწიფოს უნდა დაერეგულირებინა ფულის მიმოქცევა, განეხორციელებინა საგადასახადო რეფორმა. ხელფასის ნატურალური ნაწილი სწრაფად იცვლებოდა ფულადი ანაზღაურებით. 1920 წელს ქარხნის მუშის ხელფასის მხოლოდ 7,4% იყო ფულადი სახით, 1923 წელს კი – უკვე 80%.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყებიდანვე დღის წესრიგში დადგა ინფლაციის დაძლევა, რომელიც ასტრონომიულ მასშტაბებს აღწევდა. 1922 წლის იანვარში ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელად დაინიშნა გრიგოლი სოკოლნიკოვი, იგივე გირშ ბრილიანტი (1888-1939), რომელმაც მოიწვია მეფის დროინდელი სპეციალისტები. მათგან ყველაზე ცნობილი იყო ყოფილი ბანკირი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლაი კუტლერი (1859-1924), რომელიც შეიყვანეს სახელმწიფო ბანკის გამგეობის შემადგენლობაში.[1] კუტლერის რეკომენდაციით გამოუშვეს ახალი ვალუტა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი გადაიანგარიშეს მეფის დროინდელ რუბლებში.[2]

1923 წელს ფულად მიმოქცევაში გამოჩნდა მყარი ვალუტა – ოქროს ჩერვონეცი. ჩერვონეცი გაუთანაბრეს ომამდელ 10 რუბლს, ე. ი. 7,7 გრამ სუფთა ოქროს.

მემარცხენე კომუნისტების საპირისპიროდ, რომელთაც სურდათ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და, საერთოდ, ფულის გაუქმება, კუტლერმა და სოკოლნიკოვმა შეიმუშავეს ოქროს ვალუტაზე გადასვლის გეგმა. 1921 წელს გაიხსნა სახელმწიფო ბანკი, 1922 წლიდან ახალი ფულადი ნიშნების გამოშვებით დაიწყო ფინანსური რეფორმა. რადგანაც ოქროს მარაგი მთელი ფულადი მასის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ იყო, 1922 წლის ნოემბრიდან დაიწყო საბანკო ბილეთების – „ჩერვონეცების“ გამოშვება, რომელიც 25%-ით ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. 1923 წელს ჩერვონეცს 4,8 აშშ დოლარში ცვლიდნენ. ჩერვონეცი შეზღუდულად გამოიყენებოდა, მხოლოდ საბითუმო გარიგებებში, მაგრამ მას მიაბეს ახალი ქაღალდის ფული. გამოუშვეს ოქროს ჩერვონეცებიც, რომელიც ზომითა და წონით შეესაბამებოდა მეფისდროინდელ 10-მანეთიან მონეტას. უშვებდნენ ასევე ძველის

[1] სახელმწიფო ბანკი ბოლშევიკებმა კუტლერის რეკომენდაციით შექმნეს 1921 წლის ოქტომბერში.
[2] მსგავსი რეფორმა ორი წლით გვიან გატარდა გერმანიაში რეიხსბანკის დირექტორის იალმარ შახტის ხელმძღვანელობით და 1924-1925 წლებში – პოლონეთში ვლადისლავ გრაბსკის პროექტით.

მსგავს ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს. 1923 და 1924 წლებში მოსახლეობა იღებდა 1 ახალ რუბლს 50 მილიარდი (!) ძველი რუბლის ნაცვლად.[1]

უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველსაყოფად აღადგინეს საგადასახადო აპარატი, ნატურალური გადასახადი შეიცვალა ფულადით, შემცირდა სახელმწიფო ხარჯები. ქაღალდის ფულის მოცულობა შეიზღუდა და მოსახლეობა მას ნდობით ეკიდებოდა. სოკოლნიკოვის მკაცრმა ფულადმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის აღმავლობას. საბჭოთა სახელმწიფოს 1924 წლის ბიუჯეტმა შეადგინა მეფისდროინდელი ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი.

1921 წელს სასურსათო გაწერა შეიცვალა 13 გადასახადის სისტემით ნატურალური ფორმით. გადასახადების გადახდის შემდეგ გლეხს შეეძლო წარმოებული პროდუქცია უშუალოდ გაეცვალა სამრეწველო საქონელზე. იმისათვის, რომ ფული ეშოვნათ გადასახადების გადასახდელად და სამრეწველო საქონლის საყიდლად, გლეხები იძულებული იყვნენ, თავიანთი პროდუქცია სახელმწიფოსთვის მიეყიდათ. 1923 წელს გადასახადები გაერთიანეს ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადად, რომელსაც თავიდან ნატურითა და ფულით იხდიდნენ, 1924 წლიდან კი – მხოლოდ ფულადი ფორმით.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (ВСНХ) და 1921 წელს შექმნილი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ეწინააღმდეგებოდა სოკოლნიკოვის საფინანსო პოლიტიკას და მოითხოვდა შეუზღუდავ კრედიტებს მრეწველობის განვითარებისათვის, ამიტომ 1926 წელს ინფლაცია თანდათანობით განახლდა. თანამდებობიდან მოხსნეს სოკოლნიკოვი და ჩერვონეცის ოქროთი უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდა – კონვერტირებადი საბჭოთა ვალუტა აღარ არსებობდა და არც უარსებია 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე. საბჭოთა მანეთი არ იყო კონვერტირებადი და ის არასოდეს გამოუყენებიათ გადახდის საშუალებად საერთაშორისო ბაზარზე.

7.5. სოფლის მეურნეობის აღდგენა

თავდაპირველად სასურსათო გადასახადი გლეხური მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის 20%-ს შეადგენდა, შემდეგ კი მოსავლის 10%-მდე შემცირდა. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი კი გლეხის მეურნეობის შემოსავლის 5%-ს შეადგენდა. ამან გლეხებს საშუალება მისცა, წელში გაემართათ თავიანთი მეურნეობა.

ფულადი რეფორმა დაეხმარა სოფლად სასაქონლო ურთიერთობების აღდგენას. 1922 წლის 1 დეკემბერს მიიღეს რსფსრ მიწის კოდექსი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე აფიქსირებდა მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას, რომელიც „მუშურ-გლეხური სახელმწიფოს" (ფაქტობრივად კი ბოლშევიკური პარტიის) ხელში გადადიოდა. ამ კოდექსის 27-ე მუხლი კატეგორიულად კრძალავდა მიწის შეძენას, გაყიდვას, მემკვიდრეობით გადაცემაა, გირაოში ჩადებას ან ჩუქებას. დგინდებოდა მიწის რეგულარული გადანაწილება. თუმცა, 1922 წლის შემოდგომიდან დაშვებული იყო მეზობლებისგან მიწის იჯარა და დაქირავებული შრომის გამოყენება. გაუქმდა სახელმწიფოს მიერ შრომის მობილიზება და შრომითი არმიები.

1918-1921 წლების კატასტროფის შემდეგ, 6 წლის განმავლობაში, გლეხობამ შეძლო საქმის გამოსწორება და 1928 წელს გავიდნენ დაახლოებით 1913 წლის დონეზე.

	1913	1922	1928
მარცვლეულის ნათესები, მლნ. ჰა	102	72	101
მარცვლეულის მოსავალი, მლნ. ტ.	86	56	73
ცხენები, მლნ.	36	24	34
რქოსანი საქონელი, მლნ.	61	46	66

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том II, Москва, 2016, стр.27.

ამავე დროს სოფლად მიმდინარეობდა გლეხობის ფენებად დაშლა. საერთო მასიდან გამოიყო შრომისმოყვარე შეძლებული გლეხების ფენა. გლეხები ზოგადად უკეთ ცხოვრობდნენ, მაგრამ სასაქონლო პროდუქცია ცოტა ჰქონდათ. მკვეთრად გაიზარდა გლეხური მეურნეობების რაოდენობა. თუ რევოლუციამდე 13 მლნ მეურნეობა იყო, ნეპ-ის დროს 24 მლნ გახდა. ამავე დროს მთელ მსოფლიოში აგროტექნიკა მოითხოვდა მეურნეობების გამსხვილებას, ხოლო მრეწველობა – სოფლიდან ახალი სამუშაო ძალის მიღებას.

გასაყიდ პურს, ისევე როგორც მეფის რუსეთის დროს, იძლეოდნენ შეძლებული გლეხების ერთპიროვნული მეურნეობები. 1910-იან წლებში მათ ახალისებდნენ და „სტოლიპინის მემამულეებს" უწოდებდნენ. ბოლშევიკებისათვის ისინი „კულაკები" იყვნენ და მათი ეშინოდათ – კულაკებს ჰქონდათ ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი „თვითკმარი" მეურნეობები, რომელთაც ეკონომიკური თავისუფლება უკვე ჰქონდათ და შეიძლება, პოლიტიკური თავისუფლებაც მოენდომებინათ. „სოფლის ბურჟუაზიის" ზრდის შესაჩერებლად, ბოლშევიკები „კულაკებს" გადასახადებით ავიწროებდნენ. 1926 წელს აიკრძალა ტრაქტორების მიყიდვა ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

შეუტიეს ყოფილ მემამულეებსაც. 1918 წელს სოფლად დარჩენილ ყოფილ მემამულეებს დაუტოვეს ისეთივე მინის ნაკვეთები, როგორიც გლეხებს ჰქონდათ. მაგრამ 1925 წლის 3 აპრილს გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც მემამულეებს ართმევდნენ მიწით სარგებლობის უფლებას და ეკრძალებოდათ ცხოვრება იმ ადგილებში, სადაც ოქტომბრის რევოლუციამდე მინას ფლობდნენ. მიუხედავად ბრძანებისა, სასოფლო საბჭოები არ ჩქარობდნენ მის შესრულებას და 1926 წელს საჭირო გახდა ამავე სახის ახალი კანონის გამოცემა. ყოფილი მემამულეები აღარ ელოდებოდნენ რეპრესიების დაწყებას, ტოვებდნენ თავიანთ სახლებს და ქალაქებში გარბოდნენ, ხშირად გვარსაც იცვლიდნენ.[1]

კომუნისტური პლაკატი: შეხედე, გლეხო, როგორ ნაწილდება შენი სასურსათო გადასახადი:

58,4% – სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სკოლების, საავადმყოფოების, საფერშლო და ვეტერინარული პუნქტების და ა.შ. შესანახად;

25% – არმიას;

16,5% – ბავშვთა სახლებისა და დანესებულებების შესანახად, სოციალური უზრუნველყოფისთვის და ა. შ.

სოფლის სოციალური შემადგენლობა 1924/25 – 1926/27 წწ.

მოსახლეობის ჯგუფები	თვითმოქმედი მოსახლეობის რაოდენობა (ათასი ადამიანი)			ხვედრითი წილი (პროცენტებში)		
	1924/25	1925/26	1925/27	1924/25	1925/26	1925/27
სოფლის პროლეტარიატი	2 184	2 454	2 560	9,7	10,9	11,3
ღარიბები	5 803	5 317	5 037	25,9	23,7	22,1
საშუალო გლეხები	13 678	13 822	14 280	61,1	61,7	62,7
კულაკები	728	816	896	3,3	3,7	3,9
სულ	22 393	22 409	22 773	100	100	100

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том II, Москва, 2016, стр.28.

7.6. მრეწველობის ნაწილობრივი დენაციონალიზაცია

1921 წლის მარტში დაიწყო მრეწველობის დენაციონალიზაციის პროცესი. გადაწყდა, რომ სახელმწიფოს ხელში დარჩებოდა მხოლოდ მსხვილი და ეფექტური საწარმოები. ასეთი საწარმოები უშვებდნენ მთელი სამრეწველო პროდუქციის სამ მეოთხედს. მსხვილი საწარმოები გააერთიანეს ტრესტებად და ისინი მუშაობდნენ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების საფუძველზე. ტრესტები თავად წყვეტდნენ, რა ეწარმოებინათ და სად მოეხდინათ თავიანთი პროდუქციის რეალიზება. ტრესტში შემავალი საწარმოები იხსნებოდნენ სახელმწიფო მომარაგებიდან და გადადიოდნენ ბაზარზე რესურსების შესყიდვაზე. 1922 წელს მოქმედებდა 421 ტრესტი. უარი ითქვა შრომის ანაზღაურების გათანაბრებაზე.

არარენტაბელურ საწარმოებს ხურავდნენ ან იჯარით ასხვისებდნენ, ანდა უბრუნებდნენ ძველ მფლობელებს. 1921-1922 წლებში წარმოიშვა 10 ათასზე მეტი კერძო საწარმო. ხშირად მათ იჯარით აძლევდნენ ყოფილ მფლობელებს 2-დან 5 წლამდე პერიოდით. სანაცვლოდ მათ სახელმწიფოსთვის უნდა ჩაებარებინათ წარმოებული პროდუქციის 10-15%. კერძო მეწარმეებს უფლება ჰქონდათ, გამოეყენებინათ არა უმეტეს 20 მუშის დაქირავებული შრომა.

იჯარით გაცემულ საშუალო და პატარა საწარმოებში ძირითადად იწარმოებოდა სამომხმარებლო საქონელი. სულ 1920-იანი წლების შუა ხანებში კერძო სექტორზე მოდიოდა ქვეყანაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 20-იდან 25%-მდე.

დაიწყო შერეული სააქციო საზოგადოებების შექმნა სახელმწიფოსა და კერძო საწარმოების მონაწილეობით. ნებადართული იყო კონცესიების გაცემა უცხოელ მეწარმეებზე. ისინი იმავე გადასახადებს იხდიდნენ, რასაც სახელმწიფო საწარმოები. საკონცესიო საწარმოების რაოდენობა დიდი არ იყო: 1924 წელს – 55, 1925 წელს – 70, 1926 წელს – 82, 1927 წელს – 74, 1928 წელს – 68 და 1929 წელს – 59. სულ 1926/27 სამეურნეო წელს სააქციო საზოგადოებების მიერ გამოშვებული იყო სამრეწველო პროდუქციის 1%-ზე ცოტა მეტი. თუმცა, ზოგიერთ დარგში საკონცესიო საწარმოების როლი ძალზე დიდი იყო. მაგალითად, 1920-იანი წლების შუა ხანებში კონცესია იძლეოდა მარგანეცის მადნის თითქმის 85%-ს, ტყვიის და ვერცხლის 60%-ზე მეტს.

მიუხედავად ნაწილობრივი დენაციონალიზაციისა და კონცესირებისა, სახელმწიფო ინარჩუნებდა თავის განკარგულებაში სახალხო მეურნეობის ყველაზე მძლავრ სექტორებს: ენერგეტიკას, მეტალურგიას, ნავთობმოპოვებასა და გადამუშავებას, ქვანახშირის მოპოვებას, თავდაცვის მრეწველობას, რკინიგზას. რკპ(ბ) XIV ყრილობაზე (1924 წლის დეკემბერი) აღინიშნა, რომ კონცესიებისა და იჯარის ხვედრითი წილი მცირე იყო. კონცესიებში მუშაობდა 50 ათასი მუშა, იჯარით აღებულ საწარმოებში – 35 ათასი. ამავე ყრილობაზე ითქვა, რომ აუცილებელი იყო, დაეძლიათ ეკონომიკური დამოკიდებულება საზღვარგარეთზე.

1928 წლისათვის წარმოებამ მთლიანობაში მიაღწია 1913 წლის დონეს, ზოგიერთ დარგში კი გადააჭარბა კიდეც.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში კერძო სექტორზე მოდიოდა სამრეწველო პროდუქციის თითქმის 20% და საცალო ვაჭრობის 40-დან 80%-მდე. სამრეწველო წარმოების ინდექსი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირველი 5 წლის განმავლობაში სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

1921-1928 წლებში ეროვნული შემოსავლის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 18%-ს შეადგენდა.

7.7. არმიის რეფორმა

რეფორმები არმიასაც შეეხო. 1921 წლის 30 დეკემბერს გაუქმდა შრომითი არმიები. მკვეთრად შემცირდა წითელი არმიის რიცხოვნება. სამოქალაქო ომის ბოლოს წითელ არმიაში 5 მლნ ადამიანი ირიცხებოდა, 1923 წელს – 600 ათასი, ხოლო 1925 წელს შემცირდა 562 ათას ადამიანამდე.

1923 წლიდან დაიწყო წითელი არმიის ტერიტორიულ-მილიციური ნაწილების ფორმირება. მილიციის ინსტიტუტი უფრო შეესაბამებოდა ბოლშევიკურ იდეალებს, ვიდრე კადრის არმია. ახალი სისტემის დროს არსებობდა მცირე კადრის ნაწილები, რიგით მებრძოლებს კი ასწავლიდნენ მოკლე შეკრებებზე, წარმოებისგან მოუწყვეტლად. მილიციურ-ტერიტორიულ ნაწილებში მსახურობდნენ სამი თვით, შემდეგ კი ოთხი წლის განმავლობაში გადიოდნენ მოკლევადიან სამხედრო შეკრებებს. ტერიტორიული დივიზიის შენახვა საკადრო დივიზიასთან შედარებით 100 ათასი რუბლით იაფი ჯდებოდა, ხოლო მომზადებულ მებრძოლთა რაოდენობა 9-ჯერ მეტი იყო. ქვეყნის ტერიტორია დაიყო 10 სამხედრო ოლქად. 1920-იანი წლების შუახანებში წითელი არმიის ნაწილების ნახევარზე მეტი მილიციურ სისტემაზე იყო გადასული. თავდაცვის ყოველწლიური ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე 1925 წელს საბჭოთა კავშირში შეადგენდა 3 რუბლს (შედარებისთვის – საფრანგეთში დაახლოებით 14 რუბლს).

წითელი არმია რევოლუციურ ინსტიტუტად მოიაზრებოდა და უარყოფდა ტრადიციულ სამხედრო იერარქიას. სიტყვა „ოფიცერი" ბურჟუაზიულად ითვლებოდა და მის ნაცვლად „მეთაურს" იყენებდნენ. გაუქმებული იყო სამხედრო ტიტულები და მათ ნაცვლად გამოიყენებოდა ნოდებები იმის მიხედვით, თუ რისი მეთაური იყო ესა თუ ის პირი. მაგალითად, „გენერლის" ნაცვლად წითელ არმიაში იყო „ბრიგადის მეთაური" (შემოკლებით „კომბრიგი"), ასევე „დივიზიის მეთაური" (შემოკლებით „კომდივი"). უნიფორმა მოკრძალებული იყო.

1918-1920 წლებში წითელ არმიაში მსახურობდა 75 ათასი ყოფილი ოფიცერი და გენერალი, რომლების წითელი არმიის მთელი სამეთაურო შემადგენლობის 47%-ს შეადგენდა. 1920-იანი წლების შუახანებში წითელმა არმიამ მიიღო მუშათა და გლეხთა ფენებიდან გამოსული ახალი მეთაურთა კადრები, ხოლო სამხედრო სპეციალისტების რაოდენობა მუდმივი „წმენდების" შედეგად მცირდებოდა. 1926-1927 წლებში არმიაზე დანახარჯები შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის 12,7%-ს და უტოლდებოდა 1913 წლის სამხედრო ბიუჯეტის 40%-ს.[1] მაშინ ეს ოპტიმალური ჩანდა, მაგრამ 1925 წელს მ. ფრუნზე აღნიშნავდა, რომ არმიის ამგვარი ორგანიზაციის სისტემა უზრუნველყოფდა თავდაცვის მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს. არასაკმარისი დაფინანსება არმიის გადაირაღების შესაძლებლობასაც გამორიცხავდა. ხდებოდა მხოლოდ ძველი ტექნიკის რემონტი და აღდგენა. ვითარება იცვლება 1927 წლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელება.

7.8. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და სასამართლო სისტემა

მეურნეობის აღდგენა შეუძლებელი იყო იმ უკანონობის პირობებში, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. მთლიანად დანგრეული იყო სასამართლო-სამართლებრივი სისტემა. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყებასთან ერთად ბოლშევიკებმა შეზღუდეს არასასამართლო ანგარიშსწორების სხვადასხვა ორგანოს საქმიანობა და შეეცადნენ სასამართლო სისტემის აღდგენას. 1922-1923 წლებში მიიღეს პირველი ბოლშევიკური სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის-პროცესუალური და სამოქალაქო კოდექსები. ფინანსური რეფორმის მსგავსად, ამ კოდექსების შესამუშავებლად გამო-

[1] В. Калинин. Политическая жизнь в годы НЭПа – http: //www.portal-slovo/ru/history/40843.php.

იყენეს რევოლუციამდელი სპეციალისტები. ისინი შეეცადნენ ნაწილობრივ მაინც აღედგინათ 1864 წლის სასამართლო წესდების პროცესუალური გარანტიები. 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევა საუკეთესოდ რუსეთის ისტორიაში.[1]

მაგრამ უკვე 1924 წლიდან დაიწყო სამართლებრივი გარანტიების შეზღუდვა. პროკურორები და გამომძიებლები თანდათანობით გამოიყვანეს სასამართლო უწყებიდან, საძიებო სამსახური ბრალდებას დაუმორჩილეს. ეს პროცესი დამთავრდა საბჭოთა კავშირის პროკურატურის შექმნით, რომელსაც 1933 წელს სათავეში ჩაუდგა ანდრეი ვიშინსკი (1883-1954). სასამართლო სისტემამ, როგორც ხელისუფლების ცალკე შტომ, არსებობა შეწყვიტა. სასამართლოებმა დაკარგეს კონტროლი, თუ რამდენად დასაბუთებული იყო ეჭვმიტანილის დაკავება, აღარ შეეძლოთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და შეწყვეტა. საქმეებს დაუსწრებლად წყვეტდნენ, წერილობითი მასალების საფუძველზე, ანდა პარტიული კაბინეტებიდან სატელეფონო ზარების საფუძველზე.

საგანგებო კომისია (ЧК) 1922 წლის 6 თებერვალს გადაკეთდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ (ГПУ), 1923 წლის 15 ნოემბერს კი ეწოდა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (ОГРУ), რომელიც ერთიანი იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკისთვის.

იურისტები ცდილობდნენ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფლებამოსილების შეზღუდვას, მაგრამ უშედეგოდ. ძერჟინსკის მოადგილე იუზეფ უნშლიხტი (1879-1938) ასაბუთებდა სასამართლოს გარეშე რეპრესიების აუცილებლობას. მისი თქმით, არის მთელი რიგი საქმეებისა, რომელთა თაობაზეც ფაქტობრივი მასალის ნაკლებობის გამო, ტრიბუნალები გამამართლებელ განაჩენებს გამოიტანდნენ, მაშინ როდესაც ГПУ-ს ჰქონდა აგენტურული მასალა, საკმარისი მკაცრი განაჩენისთვის, სასჯელის უმაღლესი ზომის ჩათვლით. „წითელი ტერორი“ რამდენიმე წლის განმავლობაში შემცირდა, მაგრამ არასოდეს გამქრალა.

7.9. ცხოვრება ნეპ-ის პირობებში

სამრეწველო საქონელზე ფასები მაღალი იყო, ხარისხი – დაბალი, გლეხები კი მეტ ფულს მოითხოვდნენ თავიანთი საქონლისთვის. მსხვილი კაპიტალის ლიკვიდაციის შემდეგ ფული მრეწველობის განვითარებისთვის აღარ არსებობდა, ქალაქებში უმუშევრობა იზრდებოდა. ამავე დროს გაჩნდნენ ვაჭრობით გამდიდრებული ადამიანები, ე. წ. ნეპმანები.

მუშების საშუალო ხელფასი მრეწველობაში იყო 20-30 ოქროს მანეთი თვეში, მაღალკვალიფიცირებულ მუშებს კი 45-50 რუბლიც ჰქონდათ.

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ გაჩნდა კერძო მაღაზიების, კაფეების, ატელიების და სადალაქოების დიდი რაოდენობა. მოხდა მკვეთრი ქონებრივი დიფერენცირება, საბჭოთა საზოგადოებაში გაჩნდა ახალი სოციალური ფენა – ნეპმანები. ისინი ისევე მოკლებულნი იყვნენ საარჩევნო უფლებებს, როგორც „ექსპლუატატორული კლასების“ სხვა წარმომადგენლები (დაქირავებული შრომის გამომყენებლები, მღვდლები, ყოფილი პოლიციელები და მეფის არმიის ოფიცრები). სწრაფი გამდიდრება, დაბალი კულტურული დონე და ხვალინდელი დღის შიში ნეპმანებს „ხელგაშლილი ცხოვრებისკენ“ უბიძგებდათ. ნეპმანების სიმდიდრე და ცხოვრების წესი მათ მიმართ სიძულვილს იწვევდა რიგით ადამიანებში. საბჭოთა პროპაგანდა ნეპმანებს ყველა უბედურებაში ადანაშაულებდა.

[1] История России XX век. Под ред А.Б.Зубова. Том II, Москва, 2016, стр.30.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წლებში ბოლშევიკური რეჟიმი შედარებით მშვიდად უყურებდა გაფიცვებს სახელმწიფო საწარმოებში, გაფიცვებს წარმოებაში არსებული პრობლემების და ადგილობრივი ადმინისტრაციის შეცდომად მიიჩნევდნენ. საბჭოთა პროფკავშირების ლიდერი მიხაილ ტომსკი (1880-1936) 1928 წლის ივლისში საკ. კპ(ბ) პლენუმზე ირონიულად აღნიშნავდა, რომ რუსეთში მუშები უფრო მეტ გაფიცვებს იგებდნენ, ვიდრე მათი ამხანაგები საზღვარგარეთ.

ნეპის ეპოქის მოდა. ადამიანებს უნდოდათ ახლებურად ჩაეცვათ, 1917 წლის შემდეგ პირველად გაჩნდა ტანსაცმლის ყიდვის შესაძლებლობა. დეკლარირებული „საყოველთაო თანასწორობის" მიუხედავად, გარეგნობით და ჩაცმულობით კარგად შეიძლებოდა ადამიანების სოციალური მდგომარეობის გარჩევა, თუმცა მოქალაქეთა უმრავლესობას ფულის უქონლობის გამო არ შეეძლო ლამაზი ტანსაცმლის ყიდვა.

ჩვეულ მოვლენად იქცა „თავაშვებულობა" პირად ცხოვრებაში, ახალი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ოჯახის სიმტკიცეს.

„სამხედრო კომუნიზმისა" და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ნიშნები

„სამხედრო კომუნიზმი" (1918-1921 მარტი)	ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპ-ი) (1921-1928/29)
ძირითადი ნიშნები	ძირითადი ნიშნები
• 1919 წ. 11 იანვარი – სასურსათო განერა სოფლის მეურნეობაში: გლეხებს უსასყიდლოდ ართმევენ წარმოებული პროდუქციის დიდ ნაწილს;	• 1921 წლის 21 მარტი – სასურსათო განერის სასურსათო გადასახადით შეცვლა (მისი მნიშვნელოვანი შემცირება, გლეხებს ნამეტი პროდუქციის რეალიზების საშუალება მიეცათ, ნატურალური გადასახადი ფულადი გადასახადით შეიცვალა);
• პროდუქტების უშუალო გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის;	• ვაჭრობა – ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკური კავშირის ძირითადი ფორმა;
• მთელი მრეწველობის ნაციონალიზაცია;	• სახელმწიფოს ხელში მსხვილი და საშუალო მრეწველობის შენარჩუნება. კერძო კაპიტალის დაშვება მრეწველობაში: სახელმწიფო კაპიტალიზმი (კონცესიები, წვრილი სახელმწიფო საწარმოების იჯარა), კერძო (წვრილი) საწარმოები;
• მიწის იჯარის და დაქირავებული შრომის გამოყენების აკრძალვა სოფლის მეურნეობაში;	• მიწის იჯარის და დაქირავებული შრომის გამოყენების დაშვება სოფლის მეურნეობაში;
• კერძო ვაჭრობის აკრძალვა. სურსათისა და მოხმარების საგნების სახელმწიფო განაწილება ბარათებითა და კლასობრივი პრინციპით.	• კერძო ვაჭრობის დაშვება. სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო ვაჭრობის დაშვება. საბარათო სისტემის ლიკვიდაცია;
• შრომითი ვალდებულების შემოღება (16-50 წელი), შრომითი არმიების შექმნა (ხეტყის დამზადება, გზების მშენებლობა);	• შრომითი ვალდებულების გაუქმება, შრომითი არმიების გაუქმება. სამუშაო ძალით მრეწველობის უზრუნველყოფა შრომითი ბირჟების მეშვეობით;
• ხელფასის ნატურალიზაცია ფულის გაუფასურების გამო, უფასო სახელმწიფო მომსახურება (ბინები, ტრანსპორტი და ა. შ.).	• ფულადი სისტემის განმტკიცება (1922-1924 წლებში ფინანსური რეფორმა, შემოღებულ იქნა ოქროს ჩერვონეცი), ფულად ხელფასზე გადასვლა, უფასო მომსახურებათა გაუქმება.

7.10. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ეტაპები

„სამხედრო კომუნიზმიდან“ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა ნიშნავდა, რომ საზოგადოების გარდაქმნის რევოლუციური მეთოდები შეიცვალა ევოლუციურით – დაშვებულ იქნა სხვადასხვა ეკონომიკური წყობის თანაარსებობა: პატრიარქალურის, წვრილი-სასაქონლო, კერძო-კაპიტალისტურის, სახელმწიფო-კაპიტალისტურის, სოციალისტურის. „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ ნიშნავდა მთავრობის კონტროლით კერძო კაპიტალის გამოყენების ყველა ფორმას (კოოპერაცია, იჯარა, კონცესიები, ვაჭრობა). გათვლა კეთდებოდა იმაზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის პირობებში „სოციალისტური სექტორი“ დროთა განმავლობაში გამოდევნიდა ყველა დანარჩენს.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არსი იყო საბაზრო ეკონომიკის ნაწილობრივი აღდგენა; თუმცა „სახელმძღვანელო“ ბერკეტებს ბოლშევიკური პარტია ინარჩუნებდა. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საწყისი პერიოდი (1921-1925) უკავშირდებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და ეკონომიკის რეკონსტრუქციისთვის პირობების მომზადებას.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში პერიოდულად წარმოიქმნებოდა კრიზისული სიტუაციები. გამოყოფენ სამ მთავარ კრიზისს:

პირველი კრიზისი 1923-1924 წლებზე მოდიოდა და „გასაღების კრიზისი“ ენოდება. სოფლის მეურნეობის აღდგენა უფრო სწრაფი ტემპით ხდებოდა, ვიდრე მრეწველობისა, ამიტომ ბაზარი სამრეწველო პროდუქციასთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უფრო ადრე შეიავსო. შედეგად წარმოიშვა „ფასების მაკრატელი“ – სოფლის მეურნეობის პროდუქცია იაფდებოდა, ხოლო სამრეწველო ნაწარმზე იზრდებოდა. ტრესტები ხელოვნურად ზრდიდნენ ფასებს მაქსიმალური მოგების მიზნით. სამრეწველო საქონელი ხშირად დაბალი ხარისხის იყო, მაგრამ მაღალი ფასით იყიდებოდა. გლეხები უარს ამბობდნენ ასეთი პროდუქციის შეძენაზე. სამრეწველო ნაწარმი საწყობებში რჩებოდა და 1923 წლის შემოდგომაზე დაიწყო გასაღების კრიზისი. ამის გამო საწარმოებს არ შეეძლოთ მუშებისთვის ხელფასების დარიგება. ეს უარყოფითად აისახებოდა სამრეწველო წარმოების ზრდაზეც და მუშათა განწყობაზეც. ბოლშევიკებმა გამოსავალი იპოვეს სამრენველო საქონელზე ფასების ადმინისტრაციული შემცირებით.

მეორე კრიზისი გაჩაღდა 1925 წელს. საკ.კპ(ბ) XIVყრილობაზე 1925 წლის დეკემბერში მიიღეს ინდუსტრიალიზაციის კურსი. დაიგეგმა ხორბლის ექსპორტის გაზრდა, რათა ვალუტით შეესყიდათ უცხოური ტექნიკა. თუმცა, მიუხედავად კარგი მოსავლისა, გლეხები უარს ამბობდნენ სახელმწიფოსთვის ხორბალი დადგენილი ფასებით ჩაებარებინათ. საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასი შემცირებული იყო, ამიტომ შესასყიდი ფასების გაზრდა არაბელსაყრელად ჩაითვალა. საბოლოო ჯამში, შესასყიდი ფასები გაიზარდა, მაგრამ საჭირო გახდა ექსპორტისა და მრეწველობის განვითარების გეგმების შემცირება.

1927 წელს დაიწყო მესამე კრიზისი, რომელსაც „ხორბლის დამზადების კრიზისი“ ენოდა. ხორბლის დამზადების კამპანიის დროს სახელმწიფომ ვერ მიიღო დაახლოებით 130 მლნ ფუთი ხორბლის მარცვალი, რადგანაც გლეხები თავს იკავებდნენ მისი ჩაბარებისგან. ჩასაბარებელი ფასები საბაზროზე ნაკლები იყო. ქალაქებში სურსათის ნაკლებობამ იჩინა თავი. 1928 წლის იანვარში ბოლშევიკებმა საგანგებო ზომები მიიღეს და ხორბლის ძალით ჩამორთმევა დაიწყეს: დაიწყო კულაკებისა და მდიდარი გლეხების დაპატიმრება, დაჩქარებული ტემპით იმართებოდა მათი სასამართლო პროცესები. ბოლშევიკებმა ყველაფერში დაადანაშაულეს კლასობრივი მტრები: კულაკები და ნეპმანები.

1927 წლამდე საბჭოთა კავშირში არსებული ეკონომიკური სისტემა იყო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ჰიბრიდი, რომელშიც უცნაურად იყო გადახლართული ორივე მათგანის ნიშნები. სოციალისტური სისტემისგან მას განასხვავებდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში გატარებული რეფორმები, ხოლო განვითარების კაპიტალისტური მოდელისგან მას განასხვავებდა სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკაზე, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის სფეროში.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დამთავრების დროსთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია: მის დამთავრებას უკავშირებენ პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დაწყებას (1928 წლის 1 ოქტომბერი), ანდა მასობრივი კოლექტივიზაციის დაწყებას (1928 წლის ნოემბერი). ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარი ითქვა მაშინვე, როგორც კი აღდგა გლეხური მეურნეობები.

1928/29 წლების სამეურნეო წლიდან საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოლიტიკა გახდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ნაწილი. პოლიტიკური რეჟიმის (რომელსაც „ტოტალიტარულს" უწოდებენ) მთავარი ინსტრუმენტი იყო მმართველი პარტიის დიქტატურა, რომელიც არ იყო შეზღუდული რაიმე მორალური და იურიდიული ნორმებით.

არსებობდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივა? ასეთი ალტერნატივა იქნებოდა პოლიტიკა, რომელიც შექმნიდა ნორმალურ საბაზრო ეკონომიკას, რომლის ფუნქციონირება შესაძლებელია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში, პარტიულ-სახელმწიფო ხელისუფლების მონოპოლიის გარეშე. ასეთი რამ კი ბოლშევიკების მმართველობის დასასრულს ნიშნავდა.

„სამხედრო კომუნიზმისა" და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები

„სამხედრო კომუნიზმი" (1918-1921 მარტი)	ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპ-ი) (1921-1928/29)
შედეგები	შედეგები
• ბოლშევიკური პარტიის ხისტი დიქტატურის ჩამოყალიბება; • ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (არასაბაზრო) სისტემის ფორმირება; • საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარის გასახელმწიფოებრიობა; • საბჭოთა ხელისუფლების ხელში მატერიალური და შრომითი რესურსების თავმოყრა, რამაც ხელი შეუწყო სამოქალაქო ომში გამარჯვებას; • ბოლშევიკების დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო დიქტატურის მეშვეობით სოციალიზმის სწრაფად აშენების შესაძლებლობაში.	• სახელმწიფოს მიერ „სახელმძღვანელო სიმაღლეების" შენარჩუნება ეკონომიკაში: მსხვილი საწარმოები, ტრანსპორტი, საბანკო სისტემა, საგარეო ვაჭრობა; • ეკონომიკურ რეფორმას არ მოჰყოლია პოლიტიკაში ცვლილებები – რკპ (ბ) კვლავ რჩებოდა ერთადერთ პოლიტიკურ პარტიად; • შრომის სტიმულების გაჩენა, შრომისნაყოფიერების ამაღლება; • ეკონომიკის აღმავლობა: სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენა; მსუბუქი მრეწველობის ზრდა; ვაჭრობის აღორძინება; • სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერება; • კოოპერაციული მოძრაობის ზრდა; • ცხოვრების დონის ამაღლება; • სოციალური განშრევება (ნეპმანური ბურჟუაზიის ფორმირება, მათხოვართა რაოდენობის გაზრდა); • უმუშევრობის ზრდა.

„ახალი ეკონომიკური პოლიტიკა" თავიდანვე განწირული იყო. ერთი მხრივ, ამის მიზეზი იყო ბოლშევიკების კურსი, აეშენებინათ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ხელში მოქცეული ეკონომიკა და ვიღაცასთან „მოლაპარაკება", მაგალითად გლეხებთან, მათ ხელისშემშლელად მიაჩნდათ. გლეხებთან „კონტრაქტში" პრობლემებმა უკვე 1923 წელს იჩინა თავი, ხოლო 1927 წელს, როდესაც ჩაიშალა ხორბლის დამზადების გეგმა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ბედი გადაწყვეტილი იყო. მეორე მხრივ, კერძო ინიციატივა არასაკმარისი იყო მძიმე მრეწველობის შესაქმნელად, რაზეც ოცნებობდნენ ბოლშევიკები.

გასაბჭოებული საქართველო „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ მარწუხებში

1921 წლის გაზაფხულზე, როდესაც რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, თავად რუსეთი „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკიდან ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადადიოდა. „სამხედრო კომუნიზმის“ საშინელებების შემდეგ რუსეთში ახალი ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეულ ლიბერალიზაციასა და საზოგადოებისათვის შვებას ნარმოადგენდა. ოკუპირებული საქართველოსთვის კი ე. წ. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“, რომელიც რუსული შაბლონის შესაბამისად ტარდებოდა და თან „სოციალისტურ გარდაქმნებს“ დაუკავშირდა, უაღრესად მძიმე აღმოჩნდა მოსახლეობისათვის.

თუ საბჭოთა რუსეთში ახალი ეკონომიკური პოლიტიკა „სოციალისტური გარდაქმნების“ შენელება და დროებითი უკანდახევა იყო, საქართველოში ბოლშევიკები საჭიროდ მიიჩნევდნენ ამ გარდაქმნების სასწრაფოდ გატარებას, რათა რუსული საბჭოური მოდელი სრულად გადმოეტანათ საქართველოში. ამას თან სდევდა, ერთი მხრივ, რეპრესიები და, მეორე მხრივ, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, რომლის ყველაზე მასშტაბური გამოვლინება 1924 წლის აჯანყება იყო.

საბჭოთა საქართველოს „სუვერენიტეტი“ მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იყო. საქართველო შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციის და, მისი მეშვეობით, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ქვეყანა იმართებოდა ერთიანი კომუნისტური პარტიის რეგიონული ორგანიზაციის მიერ, რომელიც არათუ მორჩილად მისდევდა მოსკოვის მითითებებსა და დავალებებს „უფრო მოკლე ვადაში“, არამედ „უფრო მკაცრად“ ასრულებდა.

8.1. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა რუსული შაბლონით

საქართველოს ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, ლენინმა გამოუგზავნა წერილი ამიერკავკასიის კომუნისტებს, რომ „ბრმად არ გადაეღოთ“ რუსი კომუნისტების ტაქტიკა, მორიდებოდნენ „რუსულ შაბლონს“ და მათი გამოცდილება „მოფიქრებულად შეეფარდებინათ“ კონკრეტული პირობებისათვის. „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე – აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით“.[1]

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად არ გაითვალისწინა ლენინის ეს მითითება და 1921 წლის ივლისში შემოიღო სასურსათო-ნატურალური გადასახადი, ე. ი. სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინება. 1922 წელს ეს გადასახადი გაავრცელეს აჭარასა და აფხაზეთზეც. საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც აღინიშნებოდა, რომ სასურსათო-ნატურალური გადასახადი სრულიად არ იყო აუცილებელი ღონისძიება საქართველოში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის.[2]

საბჭოთა რუსეთში სასურსათო გაწერის ნაცვლად სასურსათო გადასახადის დაწესებას გლეხები კმაყოფილებით შეხვდნენ, საქართველოში კი გლეხობის უკმაყოფილება მოჰყვა. საქმე ისაა, რომ სასურსათო გადასახადის ძირითადი სახეობა იყო ხორბალი, საქართველოში კი გლეხობა ხორბლის მწვავე დეფიციტს განიცდიდა.

1921 წელს საქართველოში მოსავალს უნდა მოეცა 29,5 მლნ ფუთი ხორბალი, მაშინ როდესაც მხოლოდ სოფლისთვის საჭირო იყო 32,5 მლნ ფუთი ხორბალი. ანუ საქართველოს სოფლის მოსახლეობას გამოსაკვებად აკლდებოდა 3 მლნ ფუთი ხორბალი, მას კი სა-

---

[1] ვ. ლენინი. თხზ., ტ.32, გვ.399.
[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ.114.

ოკუპაციო ხელისუფლება გადასახადის სახით სწორედ ხორბალს სთხოვდა – 1 მილიონ ფუთს.[1]

გარდა ამისა, სასურსათო გადასახადი უნდა განესაზღვრათ სოფლად სამეურნეო სამუშაოების დაწყებამდე, საქართველოში კი ეს პერიოდი დაემთხვა თებერვალ-მარტის ომს და გლეხობამ ხეირიანადაც ვერ ჩაატარა ეს სამუშაოები. მიუხედავად ამისა, გლეხებს საოკუპაციო ხელისუფლება თავისი შეხედულებისამებრ თვითონ უდგენდა გადასახადებს.

საქართველოში სასურსათო გადასახადი, გარდა მარცვლეულისა, დაწესდა ასევე ხორცზე, ღვინოზე, კარაქზე, ყველზე, მატყლზე და სხვ., სულ 11 სახის პროდუქტზე.

გლეხობა დაჟინებით მოითხოვდა ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლას, ეს საკითხი განიხილეს კიდეც საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებაში, მაგრამ 1922 წელსაც უცვლელი სახით დატოვეს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მოსკოვში არ გადაწყვიტეს 1924 წლის 1 იანვრიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურით აკრეფის შეწყვეტა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთსა და აზერბაიჯანში იქაურმა კომუნისტებმა გაითვალისწინეს თავიანთი რესპუბლიკების ისტორიული განვითარების თავისებურებანი და სასურსათო გადასახადის პოლიტიკა უფრო ნარმატებით გაატარეს თავიანთ რესპუბლიკებში.[2]

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საქართველოში დაუკავშირდა ე. წ. „ნაციონალ-უკლონიზმის" წინააღმდეგ ბრძოლას. ნაციონალ-უკლონისტები მიუთითებდნენ ლენინის წერილზე რუსული გამოცდილების „ფრთხილად" გამოყენების შესახებ და მოითხოვდნენ უფრო ზომიერ ცვლილებებს, ემხრობოდნენ „ევოლუციურ მეთოდებს", თუმცა დანარჩენი კომუნისტები მიიჩნევდნენ, რომ „დათმობების ტაქტიკა" მხოლოდ 1921 წელს ეხებოდა და „შეტევაზე გადასვლის" დრო დგებოდა.[3]

8.2. ბოლშევიკური „აგრარული რევოლუცია" საქართველოში

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებული იყო მიწის რეფორმა, რომელმაც დააკმაყოფილა გლეხობა და 1919 წლიდან ბოლშევიკები საქართველოში ვეღარ ახერხებდნენ გლეხთა აჯანყებების მოწყობას. 1921 წლის აპრილში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში გააუქმა მიწაზე კერძო საკუთრება და დაიწყო მიწის გადანაწილება. სოფლად განაახლეს კლასობრივი დაპირისპირება, როდესაც ღარიბებს გაუღვივეს სურვილი, ხელში ჩაეგდოთ სხვისი საკუთრება. „მტრული კლასის" – თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ართმევდნენ მიწის ნაკვეთებს, ნაგებობებს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, თუმცა წასართმევი ბევრი არაფერი იყო.

ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, 1923 წლიდან ჩატარდა „აგრარული რევოლუცია". თავადაზნაურობას ჩამოართვეს 142 ათასი დესეტინა მიწა და გლეხებს გადასცეს, თუმცა ეს ოდენობა მიწისა საკმარისი არ იყო ბოლშევიკების მიერ დადგენილი ნორმებით გლეხობის მინიმალურად დასაკმაყოფილებლად. მათივე გათვლით, საჭირო იყო კიდევ 344.444 დესეტინა მიწა.[4]

მიწის საკითხს ამწვავებდა გლეხური მეურნეობების რიცხვის სწრაფი ზრდა. 1921-1925 წლებში საქართველოში გლეხთა მეურნეობების რაოდენობა 326.360-დან 413.948-მდე გაიზარდა, ანუ 87.588 ერთეულით. შედარებით მსხვილ გლეხურ მეურნეობებს ეშინოდათ, რომ მათაც ჩამოართმევდნენ მიწას, გაყოფის შემთხვევაში კი უჩნდებოდათ შანსი, დამატებით კიდევ მიეღოთ მიწა.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ.119.
[2] იქვე, გვ.114.
[3] იქვე, გვ.124-125.
[4] იქვე, გვ.130.

ბოლშევიკების მიერ გატარებულ „რევოლუციურ რეფორმას“ ქაოსი შეჰქონდა სოფლის მეურნეობაში, ინვეიდა მეურნეობის დაქუცმაცებას, სპობდა გაუმჯობესებული მანქანების გამოყენების შესაძლებლობას, ამცირებდა სოფლის მეურნეობის სასაქონლო ხასიათს, ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

8.3. მრეწველობის „სოციალისტური“ გარდაქმნა

1921 წლის ივნისში განხორციელდა მრეწველობის ნაციონალიზაცია – ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, ბანკები და სხვ. გამოცხადდა „სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებად“. მუშათა კლასი, წესით, ბოლშევიკების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ენდობოდნენ ქართველ მუშებს, რომლებიც „მენშევიკების“ დასაყრდენად მიაჩნდათ და, მართლაც, ქართველმა მუშებმა ბევრი პრობლემა შეუქმნეს საოკუპაციო ხელისუფლებას.

1922-1923 წლებში მოახდინეს წარმოების კონცენტრაცია – მსგავსი საწარმოების გაერთიანებით იქმნებოდა უფრო მსხვილი საწარმოები. 1923 წელს დაიწყეს სახელმწიფოს ხელში გადასული წვრილი სანარმოების გაერთიანება – 69 სანარმოსაგან შეიქმნა უფრო მსხვილი 33 სანარმო, რაც წარმოებას აუმჯობესებდა. საქართველოში საშუალო და ნვრილი სანარმოების დიდი ნაწილი კვლავ დაუბრუნეს ძველ მფლობელებს, რასაც ეკონომიკის გამოცოცხლება მოჰყვა, მაგრამ ამან გააძლიერა „ნეპმანები“, რომელთა მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება მტრული იყო. საქართველოს ნაციონალიზებულმა საწარმოებმა ნორმალური ფუნქციონირება მხოლოდ 1925-1926 წლებში დაიწყეს.[1]

საქართველოში პირველი სოციალისტური მშენებლობა 1922 წლის ოქტომბერში **ზაჰესის** (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის) მშენებლობის დაწყება იყო. დიდი ყურადღება ეექცეოდა „შაბათობებს“, როდესაც ადამიანები უსასყიდლოდ მუშაობდნენ. ეს კომუნისტური შრომის დასაწყისად მიიჩნეოდა. 1922 წლის 10 ოქტომბერს შაბათობაში (რომელიც კვირას გაიმართა) სერგო ორჯონიკიძემ მიიღო მონაწილეობა. ზაჰესის აშენება გათვალისწინებული იყო ლენინის მიერ 1920 წელს მოწონებულ რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმაში („გოელრო“). მშენებლობაზე სხვადასხვა დროს 4 ათასი კაცი მუშაობდა. ის ფაქტობრივად აშენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებისთვის ჩამორთმეული ძვირფასეულობის გაყიდვის ხარჯზე, თუმცა მოსკოვმა, პოლიტიკური მოსაზრებებით, 750 ათასი ოქროს მანეთი გამოყო. ზაჰესის მშენებლობა „საჩვენებელი“ იყო და იქ ჩაჰყავდათ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან ჩამოსული მუშებისა და კომუნისტური პარტიების დელეგაციები. 1926 წელს ზაჰესს სტალინიც ესტუმრა. ზაჰესის მშენებლობა გაჭიანურდა და მხოლოდ 1927 წლის 26 ივნისს ჩადგა მწყობრში.



საქართველოს ევალებოდა მძიმე ინდუსტრიისთვის საჭირო ნედლეულის: მანგანუმის, ქვანახშირის, სპილენძის და სხვა წიაღისეული საბადოების დამუშავება. „კომუნისტებმა საქართველოში „კოლონიური“ ეკონომიკური პოლიტიკის გატარება დაიწყეს. ამის

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ.157

გამო, საქართველოს მთელი ეკონომიკა საბჭოთა რუსეთის ეკონომიკას მიება. თანდათანობით საქართველო, რომელსაც პირველ მსოფლიო ომამდე და დამოუკიდებლობის პერიოდში მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა გარესამყაროსთან, მთლიანად რუსულ ბაზარზე გახდა დამოკიდებული", – ნათქვამია აშშ-ის კონგრესისთვის წარდგენილ მოხსენებაში.

8.4. დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობის შეზღუდვა

ახალი ეკონომიკური პოლიტიკით დაშვებული იყო უცხოური კაპიტალის გამოყენება კონცესიების გაცემის გზით, მაგრამ საქართველოში ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად არ გამოიყენეს.

ნაციონალ-უკლონისტებს უნდოდათ დასავლეთის კაპიტალის გამოყენება, მაგალითად, მოითხოვდნენ ბათუმის ნავთობის რეზერვუარების დენაციონალიზაციას და მის საკონცესიოდ გადაცემას „სტანდარტ-ოილისათვის", მაგრამ მათ მოწინააღმდეგეებს მიაჩნდათ, რომ ეს დააუძლურებდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ კავშირს და გაზრდიდა სეპარატისტულ ტენდენციებს.[1]

მოსკოვი თავისი ნება-სურვილით განკარგავდა ნებისმიერი ეროვნული რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეს. მაგალითად, 1925 წლის ივნისში გაფორმდა ხელშეკრულება ჭიათურის მანგანუმის საბადოს 20 წლით საკონცესიოდ გადაცემის შესახებ. ეს უფლება ამერიკელმა მრეწველმა ა.ჰარიმანმა მოიპოვა. 1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გაუუქმა ჰარიმანს ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ ცუდად ასრულებდა ვალდებულებებს. ჭიათურის კონცესიის საკითხებს უშუალოდ მოსკოვში, პოლიტბიურო განიხილავდა. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებას მოსკოვი იყენებდა და აქედან საქართველოს რაიმე მოგება არ რჩებოდა.

გასაბჭოებამდე საქართველოში შემოდიოდა იაფი დასავლური საქონელი, 1922 წლის შემოდგომიდან ეს გზა ჩაიკეტა და საქონლის მომწოდებელი რუსეთი გახდა, რომლის საქონელიც გაცილებით ძვირი იყო. 1922 წლის ნოემბერში დასავლეთიდან შემოვიდა 56.600 ფუთი საქონელი, საბჭოთა რუსეთიდან კი – 844.700 ფუთი.[2]

თუ რუსეთში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღება ფულის კურსის განმტკიცებაზე ზრუნვას ნიშნავდა, საქართველოში პირიქით მოხდა. 1922 წლის დეკემბრიდან სწრაფი ტემპით ხდებოდა ქართული ფულის ნიშნების გაუფასურება, ფასები 1922 წლის დეკემბრიდან 1923 წლის თებერვლამდე გაიზარდა 3,5-ჯერ.[3] ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში დაუშვეს გაუფასურებული რუსული და მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკების – სომხეთისა და აზერბაიჯანის ასევე გაუფასურებული ფულის ნიშნების თავისუფალი მიმოქცევა.

1923 წლის შემოდგომაზე უაღრესად მძიმე ვითარება შეიქმნა. ამ დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები ძალიან დაბალი იყო, სამრეწველო საქონელზე კი – ძალიან მაღალი, გაჩნდა გასაღების კრიზისი. მუშები ხელფასს ვერ იღებდნენ.

ბოლშევიკებმა დიდი ზეიმით გამოაცხადეს, რომ 1925-1926 წლებისთვის დასრულდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენა, ამასთან ე. წ. სოციალისტურ სექტორს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მრეწველობასა და ვაჭრობაში.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ.157.
[2] იქვე, გვ.181.
[3] იქვე, გვ.150.

ნაწილი მეოთხე
„ლენინის ანდერძი“ და ლენინის მემკვიდრეები

თავი IX.

ლენინის ავადმყოფობა და სიკვდილი

ლენინის ავადმყოფობამ და სიკვდილმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა საბჭოთა რეჟიმის განვითარებაში. ლენინი 53 წლის გარდაიცვალა და სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მას კიდევ დიდხანს ეცოცხლა. ამ შემთხვევაში არ გაჩაღდებოდა ის მწვავე ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ პოლიტბიუროში დარჩენილ მის მემკვიდრეებს შორის გაიმართა. ამ საკითხზე საუბარი შემთხვევით არ დაგვიწყია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხრუშჩოვის შემდეგ და დღევანდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ვერსია, რომ სტალინის გარეშე „ყველაფერი კარგად იქნებოდა“. ამ ვერსიის თანახმად, რკპ(ბ) XIII ყრილობას ლენინის მოთხოვნა რომ შეესრულებინა და სტალინი გადაეყენებინა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან, არ იქნებოდა მასობრივი რეპრესიები, ბანაკები, შიმშილი, მცდარი საგარეო პოლიტიკა, ჰიტლერი ან ვერ გაბედავდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, ან წითელი არმია მას ქვეყნის სიღრმეში შეჭრის საშუალებას არ მისცემდა. მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოვიდა სტალინი და შექმნა ტოტალიტარული სისტემა, რომლის არსებობაც რუსეთს ძვირი დაუჯდა.[1]

სინამდვილეში ტოტალიტარული სისტემა რუსეთში სტალინის შექმნილი არ არის, მისი ავტორი ლენინი და ბოლშევიკური პარტია იყო; საკონცენტრაციო ბანაკები და რეპრესიები სტალინს არ გამოუგონია, მისი მასწავლებელი ამ საქმეშიც ლენინი იყო. ასე რომ, ყველაფრის „სტალინისთვის გადაბრალება“ მართებული არ არის. სტალინმა გააგრძელა ის საქმე, რაც ლენინმა დაიწყო. ლენინს რომ ეცოცხლა, ცხადია, ზოგ რამეს სხვანაირად გააკეთებდა, მაგრამ ბედნიერ, დემოკრატიულ ქვეყანას ნამდვილად ვერ ააშენებდა.

9.1. ლენინის ავადმყოფობა

რკპ(ბ) XI ყრილობის შემდეგ ლენინი სულ უფრო მეტად კარგავდა გავლენას მოვლენათა განვითარებაზე. ამის მიზეზი ლენინის ავადმყოფობა იყო. 1922 წლის 25 მაისს ლენინს ტვინში სისხლი ჩაექცა. ის ნანილობრივ პარალიზებული გახდა – მარჯვენა ხელი და ფეხი ნაერთვა, დაერღვა მეტყველება. ვარაუდობდნენ, რომ ლენინის ავადმყოფობა გამონვეული იყო მისი გადაღლილობით და 1918 წლის 30 აგვისტოს მომხდარი თავდასხმის შედეგებით.[2] ლენინი მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა სოფელ გორკაში. გადაყვანის წინ მას დაუსვეს დიაგნოზი – „ნევრასთენია ძლიერი გადაღლის ნიადაგზე“,[3] მაგრამ მისი ავადმყოფობა მარტო ამ დიაგნოზით არ აიხსნებოდა. ლენინის სამკურნალოდ გამოიძახეს ნერვული ავადმყოფობების წამყვანი გერმანელი სპეციალისტები.[4] პირველი ინსულტიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლენინმა კვლავ დაიწყო ლაპარაკი (არა მარტო რუსულად, არამედ გერმანულად და ინგლისურადაც). ივნისის შუა რიცხვებში წამოდგა და სიარულიც დაიწყო.

---

[1] Л. Млечин. Ленин. Санкт-Петербург., 2015, стр.446.

[2] ამ დღეს მიტინგზე გამოსვლისას ლენინს ესროლეს და ორი ტყვით დაჭრეს. თავდასხმის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს ესერი ქალი ფანი კაპლანი (1890-1918).

[3] Л. Данилкин. Ленин. М., 2017, с.847.

[4] 1922 წლის დეკემბრიდან მის გარდაცვალებამდე ლენინის მთავარი მკურნალი ექიმი იყო გერმანელი ნევროლოგი ოტფრიდ ფოერსტერი (1873-1941).

1922 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ექიმების რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ, ლენინი დაბრუნდა მოსკოვში და ჩაერთო პარტიულ და ადმინისტრაციულ მუშაობაში. ტროცკის თქმით, ლენინმა სწორედ ამ დროს გააცნობიერა, რომ მისი არყოფნის დროს კრემლში ვითარება შეიცვალა, „ცენტრიდან" ადგილების ბიუროკრატიული კონტროლი მკვეთრად გაიზარდა. მისივე ინფორმაციით, სტალინი ფიზიზლად ადევნებდა თვალს ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მაგრამ მას უკვე „ჩამოწერილად" მიიჩნევდა.

1922 წ. 13 ნოემბერს ლენინი სიტყვით გამოვიდა კომინტერნის კონგრესზე, ერთ საათზე მეტ ხანს გერმანულად ილაპარაკა. თუმცა, ლენინის ფიზიკური მდგომარეობა კვლავ უარესდებოდა. 1922 წლის 20 ნოემბერს ლენინი უკანასკნელად გამოვიდა საჯაროდ მოსკოვის საბჭოს პლენუმზე, ხოლო 1922 წლის 12 დეკემბერს ლენინმა უკანასკნელად იმუშავა კრემლში.

აბრამ იოფემ, ტროცკის ახლო თანამებრძოლმა, წინადადებით მიმართა ლენინს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, რომელიც ლენინს ეკავა, „პრეზიდიუმით" შეეცვალათ და მასში კამენევი, ზინოვიევი და ტროცკი შეეყვანათ.

1922 წლის ნოემბრის ბოლოდან, ლენინის უკითხავად, მისმა მდივნებმა დაიწყეს საიდუმლო დღიურის წარმოება, რომელშიც მოკლედ აღიწერებოდა, თუ რა გააკეთა იმ დღეს ლენინმა და როგორი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ეს ხდებოდა 1923 წლის მარტამდე, ლენინის საბოლოო ინსულტამდე. დღიურის არსებობა მოწმობდა იმაზე, რომ ლენინს თვალს ადევნებდა პოლიტბიურო, პირველ რიგში კი სტალინი, თუმცა, დღიურის ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივი 18 დეკემბრიდან ხდება სტალინი, რომელიც, ჩანაწერების მიხედვით, ლენინის გაღიზიანებას ინვევდა თავისი საქციელით.

1922 წლის 12 დეკემბერს ლენინი ელაპარაკა თბილისიდან დაბრუნებულ ძერჟინსკის „ქართულ საქმეზე" (კონფლიქტი ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებთან"). ლენინი საუბრით უკმაყოფილო დარჩა და მასზე მძიმე გავლენა მოახდინა. 13 დეკემბერს ლენინს ავადმყოფობის ორი შეტევა დაემართა და ექიმებმა საქმეებისგან ჩამოცილება მოსთხოვეს. 1922 წლის 16 დეკემბრიდან ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, 23 დეკემბერს ლენინს მეორედ დაემართა ინსულტი, მარჯვენა მხარის დამბლა დაეცა.

23 დეკემბერს, საღამოს, ლენინმა უკარნახა „წერილი ყრილობას" – პარტიის ერთიანობის განმტკიცების შესახებ. ამ დღეს მან შეძლო მხოლოდ ოთხი წუთი ემუშავა, მაგრამ მომდევნო დღეებში, ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, მან განაგრძო წერილების კარნახი.

ექიმებმა და პოლიტბიურომ აკრძალეს ლენინისთვის ახალი ამბებისა და პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემა. აეკრძალა მიმოწერაც. ლენინს შეეძლო ეკარნახა სხვადასხვა პირისთვის გასაგზავნი წერილები ან თავად ეცადა დაწერა, მაგრამ პასუხს ვერ მიიღებდა.

1923 წლის 10 მარტს ლენინმა გადაიტანა მე-3 ინსულტი და ავადმყოფობამ საშინელი სახე მიიღო. ლენინს პარალიზებული ჰქონდა სხეულის მარჯვენა ნაწილი, ასევე დაკარგა ლაპარაკის უნარი.

ლენინი გორკში ავადმყოფობის დროს. 1923 წელი.

ლენინმა ჯერ კიდევ 1922 წლის 22 დეკემბერს ითხოვა საწამლავი იმ შემთხვევისათვის, თუკი ლაპარაკის უნარს დაკარგავდა. 1923 წლის ივლისამდე მისი მარტო დატოვება არ შეიძლებოდა, რადგანაც არამდგრადი ფსიქიკა და მოტორიკა ჰქონდა.[1]

ლენინი განიცდიდა ნერვულ აღგზნებას, მრისხანების შეტევას, ხშირად არ შეეძლო ემოციების გაკონტროლება, ზოგჯერ საჯაროდ ცრემლებს ვერ იკავებდა. ზოგჯერ ყვიროდა, მღეროდა, ყმუოდა, – ასეთ დროს გიჟს ჰგავდა. ზოგჯერ არ შეეძლო დაძინება, უძილობა რამდენიმე დღე შეიძლება გაგრძელებულიყო. აწუხებდა კოშმარები და ჰალუცინაციები. ხშირად 15-20 წამით კარგავდა გონებას. ზოგჯერ არ შეეძლო იმის გაგებაც, თუ რას ეკითხებოდნენ. არ მოს-

[1] Л. Данилкин. Ленин. М., 2017, с.855.

წონდა, მედდები რომ უვლიდნენ, როგორც ჩანს, რცხვენოდა; მედდები მამაკაცი სანიტრებით შეცვალეს.

9.2. ლენინის ავადმყოფობა და სტალინი

იზოლირებულ, დამბლადაცემულ ლენინს სრულად აკონტროლებდა სტალინი და მისი ნებართვის გარეშე რევოლუციის ბელადის ნახვის უფლება პოლიტბიუროს წევრებსაც კი არ ჰქონდათ. ლენინს მხოლოდ მისი მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაია და მარია ულიანოვა ადგნენ თავზე და უვლიდნენ. მათი გადაადგილება მკაცრად კონტროლდებოდა და ქალებს იქიდან ინფორმაციის გამოტანის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ. **ჰენრიხ იაგოდა** იმ პერიოდში ლენინის დაცვის უფროსი და სტალინის პირადი აგენტი იყო.

როგორ შეიძლება შევაფასოთ ლენინის ავადმყოფობის რეჟიმი 1922 წლის დეკემბრიდან 1923 წლის მარტის ჩათვლით? ეს იყო ზრუნვა ავადმყოფის ჯანმრთელობაზე თუ „დე-ფაქტო დამხობა და საშინაო პატიმრობა"? ცხადია, ლენინის იზოლირებას მარტო სტალინი ვერ მოახდენდა. ეს იყო მთელი მისი გარემოცვის გადაწყვეტილება. თუმცა, ლენინი რომ გამოჯანმრთელებულიყო, მას ეყოფოდა ავტორიტეტი პოზიციების დასაბრუნებლად.

1922 წლის დეკემბერში მოხდა ინციდენტი, რამაც ძირეულად შეცვალა ლენინის დამოკიდებულება სტალინისადმი. ავადმყოფ ლენინს იცავდნენ პოლიტიკური ინფორმაციისაგან, უფრო მეტად რომ არ ენერვიულა. სტალინმა, რომელსაც პოლიტბიუროსგან დავალებული ჰქონდა ლენინის მკურნალობის კურირება, გაიგო, რომ ნადეჟდა კრუპსკაია მაინც ესაუბრებოდა ლენინს პოლიტიკურ თემებზე. სხვა ვერსიით, კრუპსკაიას დახმარებით ლენინმა ნერილი გაუგზავნა ტროცკის. გაბრაზებულმა სტალინმა კრუპსკაიას დაურეკა და სასტიკად გამოლანძღა. კრუპსკაიამ მძიმედ განიცადა მომხდარი. მარია ულიანოვა (ლენინის და) იგონებდა, რომ ამ საუბრის შემდეგ კრუპსკაია ისტერიკაში იყო, ტიროდა და იატაკზე გორაობდა. ეს ისტორია დაგვიანებით შეიტყო ლენინმა კრუპსკაიასაგან, ლენინი გაბრაზდა და სტალინისაგან წერილობით მოითხოვა ბოდიშის მოხდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთობის სრული გაწყვეტით იმუქრებოდა. სტალინმა მაშინ ბოდიში მოიხადა და გაკვირვება გამოთქვა, რომ მომხდარს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. იმ დროისათვის, როდესაც ლენინმა ამ ინციდენტის შესახებ შეიტყო, სტალინი და კრუპსკაია უკვე შერიგებული იყვნენ.

9.3. ლენინის გარდაცვალება და დაკრძალვა

1924 წლის 19-20 იანვარს ნადეჟდა კრუპსკაია ლენინს უკითხავდა XIII პარტიული კონფერენციის დადგენილებებს, რომლებშიც მკვეთრად გაკრიტიკებული იყო ტროცკი. ეს ნიშნავდა იმ განხეთქილებას, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა ლენინს. მას მღელვარება დაეტყო, ამიტომ კრუპსკაიამ უთხრა, რომ რეზოლუციები ერთხმად იყო მიღებული. სინამდვილეში რეზოლუციები ხმების უმრავლესობით იყო მიღებული.

1924 წლის 21 იანვარს ლენინის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და 18:50 წუთზე გარდაიცვალა. ბოლშევიკი ლიდერებიდან ლენინის სიკვდილის უშუალო მოწმე ბუხარინი იყო. პირველი ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ გაჟღერდა იმავე დღეს საბჭოების XI ყრილობაზე მიხეილ კალინინის მიერ. მან იქ მყოფთ თვალცრემლიანმა განუცხადა, რომ ლენინმა წინა ღამეს მორიგი ინსულტი ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა. პრეზიდიუმის წევრები, მათ შორის **ზინოვიევი** და **კამენევი**, „დაემხვნენ მაგიდაზე და ბავშვივით ტიროდნენ". იმავე დღესვე ქვეყანაში გლოვა გამოცხადდა, შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის დამკრძალავი კომისია, ბოლშევიკი ლიდერები სასწრაფოდ ჩავიდნენ გორკში. 22 იანვარს ძერჟინსკიმ ჩეკისტებს მითითება მისცა „პანიკაში არ ჩავარდნილიყვნენ" და შეენარჩუნებინათ „განსაკუთრებული სიფრთხილე".

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულად ქვეყნდებოდა ბიულეტენი ლენინის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, მისი გარდაცვალება ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ლენინის გარდაცვალებისთანავე მრავალი ჭორი გავრცელდა. ერთ-ერთის თანახმად, ლენინმა გაუსაძლისი ტკივილების გამო თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სხვა ვერსიის თანახმად, ლენინი მოწამლეს. 1924 წლის 21 იანვარს ექიმმა მას ჩაი მიუტანა. ლენინმა უცნაური გემო იგრძნო, მაგრამ მაინც დალია და იმ საღამოს 18:50 საათზე გარდაიცვალა.

ოფიციალური დასკვნა ლენინის გარდაცვალების მიზეზების შესახებ 22 იანვარს გამოქვეყნდა. ამ ცნობის თანახმად, ლენინს ტვინში სისხლი ჩაექცა.[1]

ლენინის სხეულის ბალზამირების საკითხი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, 1923 წლის შემოდგომაზე განუხილავთ პოლიტბიუროს სხდომაზე.[2] სტალინს განუცხადებია, რომ „პროვინციელი ამხანაგები" ითხოვდნენ ლენინის გარდაცვალების შემთხვევაში მისი სხეულის ბალზამირებას. ამ იდეის წინააღმდეგ ტროცკი, კამენეევი და ბუხარინი გამოვიდნენ[3], მაგრამ ლენინის გარდაცვალების შემდეგ არავინ ღიად აღარ წასულა ლენინის სხეულის ბალზამირების წინააღმდეგ. ოფიციალურად ბალზამირების იდეა კალინინმა წამოაყენა.

ლენინის მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაია, ლენინის უახლოესი ნათესავები: და მარია ილიას ასული და უმცროსი ძმა დიმიტრი ულიანოვი წინააღმდეგი იყვნენ ლენინის ბალზამირებისა და დამარხვას მოითხოვდნენ, მაგრამ მათ თვალსაზრისს ანგარიში არ გაუწიეს. კრუპსკაიას, უბრალოდ, მოსთხოვეს, ლენინის ნივთების გადაცემა. კრუპსკაია არასოდეს არ შესულა მავზოლეუმში.[4] არ მდგარა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და თავის სტატიებსა და წიგნებში არასოდეს უხსენებია მავზოლეუმი.[5]

პოსტსაბჭოთა ისტორიკოსების ნაწილი თვლის, რომ ბალზამირების იდეა სინამდვილეში სტალინისაგან მომდინარეობდა და მისი ფესვები უნდა ვეძებოთ ზოგიერთი ბოლშევიკის სურვილში, შეექმნათ ახალი რელიგია გამარჯვებული პროლეტარიატისთვის (ღმერთის მშენებლობა – Богостроительство). მაქსიმ გორკის მიაწერენ გამონათქვამს, რომლის თანახმადაც, ახალ საბჭოთა რუსეთს ახალი რელიგია სჭირდებოდა და ქრისტეს ადგილი იქ უნდა დაეკავებინა ლენინს – ხალხის კეთილდღეობისთვის მებრძოლს, ამიტომ ლენინი უკვდავი უნდა ყოფილიყო და შესძლებოდა მკვდრეთიდან აღდგომა.[6]

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, სტალინი უკვე მაშინ ემზადებოდა „ისტორიული პარადიგმის" აღსადგენად, რათა ხალხისთვის მიეცა ღმერთი, გარდაცვლილი ლენინის სახით, და ახალი მეფე, საკუთარი თავის სახით. [7]

არსებობს მოსაზრებაც, რომ სიკვდილის შემდეგ ლენინის სხეულის შენარჩუნების იდეა ეკუთვნის ლეონიდ კრასინს (სწორედ ეს პიროვნება უწევდა ზედამხედველობას ლენინის სხეულის ბალზამირებას), რომელიც იზიარებდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მომავალში შესაძლებელი გახდებოდა გარდაცვლილთა ფიზიკური გაცოცხლება.

ასე იყო თუ ისე, უკვე ლენინის სიცოცხლეში იქმნებოდა მითი უძლეველი, ყოვლისშემძლე ბელადის შესახებ, რომელიც ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდა. როდესაც ლენინი არ დაასაფლავეს, ამით მითი ლენინის შესახებ კიდევ უფრო ძლიერი გახდა.

---

[1] 2004 წლის ივნისში ჟურნალში European Journal of Neurology გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორების აზრით, ლენინი ნეიროსიფილისისგან გარდაიცვალა. ასეთი ეჭვი სიცოცხლის ბოლო წლებში თავად ლენინსაც ჰქონდა, მაგრამ მკურნალმა ექიმებმა ეს არ დაადასტურეს ისევე, როგორც თანამედროვე რუსი მეცნიერი იური ლოპუხინი ამტკიცებს, რომ ლენინი გარდაიცვალა თავის ტვინის ძარღვების ათეროსკლეროზისაგან.

[2] ესწრებოდნენ სტალინი, ტროცკი, ბუხარინი, კალინინი, კამენეევი და რიკოვი.

[3] ტროცკის მოგონების თანახმად, თუმცა ზოგმა საეჭვოდ მიიჩნია ეს ფაქტი.

[4] https://moiarussia.ru/pochemu-lenina-ne-pohoronili-srazu-i-chto-zhdet-vozhdya-v-2016-om/

[5] https://www.rbc.ru/society/20/04/2017/58f8ea7f9a79473d8dfb6d6c2

[6] https://moiarussia.ru/pochemu-lenina-ne-pohoronili-srazu-i-chto-zhdet-vozhdya-v-2016-om/

[7] ილია ერენბურგს უთქვამს: „ლენინის უახლოესმა მეგობრებმა უდიდესი შეცდომა დაუშვეს. ლენინის სიკვდილის შემდეგ მათ გააღმერთეს ლენინი, რაც გამოიყენა სტალინმა და ყველა მოხერხებულად დამნაშავეებად გამოიყვანა."

21 იანვრიდან დაიწყო რიგითი ადამიანების მიერ ლენინის კუბოს მონახულება. 23 იანვარს ლენინი სამგლოვიარო მატარებლით მოსკოვში გადაასვენეს. მისი კუბო დადგეს სვეტებიან სასახლეში, სადაც ხუთი დღე მიმდინარეობდა ოფიციალური გამომშვიდობება. 23-26 იანვარს ლენინის ცხედარი დაახლოებით ნახევარმა მილიონმა ადამიანმა მოინახულა.[1]

27 იანვარს, დღის 4 საათზე კუბო ლენინის ბალზამირებული სხეულით მავზოლეუმში მოათავსეს.[2] ხუთი წუთით შეწყდა მოძრაობა და ყოველგვარი მუშაობა, ქვეყანა „სამგლოვიარო მდუმარებამ" მოიცვა.

ლენინის გარდაცვალების მეორე დღესვე წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან, დაიწყო მისთვის მავზოლეუმის მშენებლობა, რომელიც წითელი ხის სამსაფეხურიანი პირამიდის ფორმის იყო (ნიმუში მესოპოტამიის პირამიდიდან იქნა აღებული). შუმერები თვლიდნენ, რომ ასეთი პირამიდა იდეალური იყო ენერგიის შესანარჩუნებლად.

ლენინის თანამებრძოლები ხის მავზოლეუმთან

ოფიციალურად მავზოლეუმის მშენებლობის გადაწყვეტილება 1924 წლის 26 იანვარს საბჭოების II სრულიად საკავშირო ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე მიიღეს. ასევე გადაწყდა, პეტროგრადისთვის ლენინგრადი ეწოდებინათ, გამოეცათ ლენინის თხზულებები და ქვეყნის დიდ ქალაქებში დადგმულიყო ლენინის ძეგლები.

ლენინის დაკრძალვის დღეს, 1924 წლის 27 იანვარს წითელ მოედანზე სახელდახელო, ხის მასალისგან დამზადებული მავზოლეუმი გაკეთდა, რომლის პროექტის ავტორი ა.ვ. შჩუსევი იყო. გაზაფხულზე ამ სარკოფაგს რამდენიმე დეტალი დაემატა. მავზოლეუმი კუბის ფორმის იყო, თუმცა საბოლოოდ იგი რთულ კონსტრუქციულ ნაგებობად იქნა მიჩნეული და ხელახალი კონკურსი გამოცხადდა.

არქიტექტორმა კ. ს. მელნიკოვმა ერთი თვის ვადაში რვა ახალი პროექტი შეიმუშავა, საიდანაც ერთ-ერთი დამტკიცდა კიდეც. მავზოლეუმი უმოკლეს ვადაში, პროექტის ავტორის ზედამხედველობით, აშენდა და ამ სახით „დიდი სამამულო ომის" დასრულებამდე შენარჩუნდა.[3]

Нина Тумаркин. Ленин жив! Культ Ленина в Советской России / Перевод с англ. С. П. Сухарева. — СПб.: Гуманитарное агентство „Академический проект", 1997. — 285 с.

[2] ექიმები ოფლ ეგვიპტურ მეთოდებს მიმართავდნენ და ლენინს ისეთივე ბალზამირებას უკეთებდნენ, როგორსაც ფარაონებს. ლენინს შინაგანი ორგანოები ამოუღეს, ხოლო მისი ტვინი სპეციალურად შექმნილ ინსტიტუტში გადააგზავნეს.

[3] მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წელს, ლენინის ცხედარი ტიუმენში იყო ევაკუირებული და ერთ-ერთ შენობაში ინახებოდა. ბელადი რუსეთის დედაქალაქს მხოლოდ 1945 წლის აპრილში „დაუბრუნდა". სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისი ცხედარიც ლენინის გვერდით იყო დასვენებული. 1953–61 წლებში (მავზოლეუმიდან სტალინის ცხედრის გამოტანამდე) იგი ასეც ინოდებოდა: „ვ.ი. ლენინისა და ი.ბ. სტალინის მავზოლეუმი"

„პერესტროიკის“ პერიოდიდან რუსეთში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ ლენინი დაემარხათ, მაგალითად, პეტერბურგში, დედის საფლავის გვერდით. 1980-იანი წლების ბოლოდან არსებობს ვერსია, რომ ლენინმა დატოვა წერილობითი ანდერძი, ანდა სთხოვა კრუპსკაიას, რომ დედის გვერდით დაეკრძალათ. რუსეთის უახლესი ისტორიის არქივის განცხადებით, ოფიციალურად ლენინის ამგვარი ანდერძი არ არსებობს.[1] თავად დღევანდელ რუსეთის საზოგადოებაშიც არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება ლენინის შესაძლო დაკრძალვასთან დაკავშირებით.

ლენინის დაკრძალვის თარიღი რამდენჯერმე შეცვალეს. დაკრძალვას ჯერ 24 იანვარს აპირებდნენ, საკმაოდ მოკრძალებული ცერემონიით, მცირე მიტინგით და კრემლის კედელთან დაკრძალვით, სვერდლოვის საფლავის წინ. იმის გამო, რომ ბევრი რეგიონებიდან ჩამოსვლას ვერ ასწრებდა, დასაფლავება 26 იანვრისათვის გადაიტანეს, შემდეგ კი, რადგანაც მავზოლეუმის დამთავრება ვერ ესწრებოდა, დაკრძალვის ცერემონია 27 იანვარს შედგა.[2]

დასაფლავების ცერემონიას ბოლშევიკი ლიდერები პირადად ესწრებოდნენ და წარმოთქვეს გარდაცვლილისადმი მიძღვნილი სიტყვები. მათგან ყველაზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ზინოვიევის გამოსვლა და სტალინის „ფიცი“.

ტროცკი არ ესწრებოდა ლენინის დაკრძალვას. ის ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა, შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმში, დასასვენებლად ჩასული. ტროცკი შემდეგ ლენინის დაკრძალვაზე თავის არყოფნას სტალინს აბრალებდა, თითქოს მან შეცდომაში შეიყვანა და ლენინის დასაფლავების არასწორი თარიღი აცნობა. არსებობს მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ტროცკი იმიტომ არ ჩავიდა მოსკოვში დაკრძალვაზე, რომ დეპრესიაში იყო ლენინის სიკვდილის გამო.

ლენინის მავზოლეუმთან დაკავშირებით გარკვეული რიტუალები ჩამოყალიბდა. მავზოლეუმის შესასვლელთან დაწესდა პოსტი N 1, სადაც დღედაღამ გუშაგები ცვლიდნენ ერთმანეთს. ეს პოსტი 1993 წ. ოქტომბრამდე არსებობდა.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე 7 ნოემბერს და 1 მაისს ადიოდნენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები, საიდანაც ესალმებოდნენ სამხედრო და მოქალაქეთა აღლუმებს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ლენინის მავზოლეუმი მოინახულა 150 მილიონზე მეტმა ადამიანმა.

[1] http://russian7.ru/post/pokhorony-lenina-vsya-pravda/
[2] http://russian7.ru/post/pokhorony-lenina-vsya-pravda/

თავი X.

ლენინის „ანდერძი“

10.1. რას ეწოდება ლენინის „ანდერძი“

ლენინს არანაირი „ანდერძი“ არ დაუტოვებია. ავადმყოფობის დროს ლენინი იმედოვნებდა, რომ გამოჯანმრთელდებოდა და თავის საქმეს დაუბრუნდებოდა, ამიტომაც ავადმყოფობის დროს მიმდინარე პოლიტიკით იყო დაკავებული. ავადმყოფმა ლენინმა 1922 წლის 23 დეკემბრიდან 1923 წლის 2 მარტამდე მდივნებს უკარნახა 8 წერილი, რომლებიც შემდეგ, კომუნისტური პროპაგანდის წყალობით, ისტორიაში შევიდა როგორც ლენინის „პოლიტიკური ანდერძი“. ამ სტატიებიდან ხუთში („ფურცლები დღიურიდან“, „კოოპერაციის შესახებ“, „ჩვენი რევოლუციის შესახებ“, „როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია“, „უმჯობესია ცოტა და კარგი“) გადმოცემულია საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეფორმისა და სოციალიზმის მშენებლობის იდეები. ეს სტატიები მაშინვე გამოქვეყნდა. დანარჩენი სამი წერილი („წერილი ყრილობას“, „გოსპლანისთვის საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭების შესახებ“, „ეროვნებათა საკითხის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“) განკუთვნილი იყო მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელობისათვის და პირველად გამოქვეყნდა 1956 წელს.

ლენინი იდეალისტის პოზიციიდან ოცნებობდა პარტიული ბიუროკრატიის რეფორმაზე და ამ გზად ესახებოდა მასში „დაზგის მუშების“ ჩართვა.

მეორე სტატიაში საუბრობდა კოოპერაციული მოძრაობის გაშლაზე, რომელიც თანდათანობით კომუნებად უნდა გადაქცეულიყო.

სერიოზული გავლენა ლენინის ამ იდეებს რეალურ პოლიტიკაზე არ ჰქონია.

10.2. საბჭოთა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის გეგმა

ლენინის აზრით, ხელისუფლება უნდა დარჩენილიყო „ძველი პარტიული გვარდიის“ ხელში, ამავე დროს ხედავდა, რომ ხელისუფლება გადადიოდა ახალი ძალის – პარტიული აპარატის ხელში. ეს შეშფოთება აახლოებდა მას ტროცკისთან, რომლის შევიწროებაც და ხელმძღვანელობიდან ჩამოშორებაც დაწყებული იყო. ტროცკის უპირისპირდებოდნენ ლენინის ძველი „თანამებრძოლები“.

1921-1923 წლებში ლენინი ხედავდა, რომ საბჭოური სახელმწიფო აპარატი, რევოლუციური მოხელეებით დაკომპლექტებული, ემსგავსებოდა ძველს, მეფის რუსეთისას. მოხელეები პრივილეგიებით სარგებლობდნენ და გადაიქცნენ გარკვეულ ფენად, კასტად. ლენინა ამის თავიდან აცილების გზად ესახებოდა მოხელეთა ფენაში მუდმივად ახალი ადამიანების ჩართვა. ამასთან, მართვაში მიზანდასახულად უნდა ჩაერთოთ ისინი, ვინც პასიური იყო, – თავს არიდებდა პარტიაში, საბჭოებში და, საერთოდ, პოლიტიკაში ჩართვას. ჩართვის გზად ლენინს ესახებოდა ე. წ. „მუშურ-გლეხური ინსპექციის“ რეორგანიზება. ამ თემას ეძღვნება ლენინის „ანდერძში“ შემავალი ორი სტატია: „როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია“, „უმჯობესია ცოტა და კარგი“.

მუშგლეხინი 1919 წელს შეიქმნა და უავტორიტეტო, ამორფული სტრუქტურის მქონე აპარატს წარმოადგენდა 12 ათასი თანამშრომლით, მისი ამოცანა იყო სახელმწიფო უწყებების ფინანსური და საბუღალტრო კონტროლი. თავიდან მუშგლეხინი ლენინს მასობრივ ორგანიზაციად ესახებოდა, შემდეგ 400-500 ყველაზე ნიჭიერი მუშისგან უნდა შემდგარიყო.

არაკომპეტენტური, უნიგნური, პასიური და უინიციატივო პირების ჩართვა საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ მუშაობაში სრულიადაც არ აუმჯობესებდა სახელმწიფო

აპარატს, რომელიც ისედაც რევოლუციამდელზე უხარისხო იყო, მაგრამ ლენინს მიაჩნდა, რომ თანდათან ეს მეთოდი შედეგს მოიტანდა. პასიური მშრომელების ჩართვა მოხელეთა რევიზიაში ხელს შეუწყობდა მათი განათლების ამაღლებას, სწავლას, პოლიტიკურ გააქტიურებას. ლენინის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა რევოლუციის შენარჩუნება.

ლენინის იდეა მუშგლეხინის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დიდ ენთუზიაზმს არ ინვევდა არც სტალინში (ის ერთი პერიოდი თავად იყო მუშგლეხინის ხელმძღვანელი) და არც ტროცკის მოსწონდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ მუშგლეხინით საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების იდეა „ფანტაზიის სფეროს" მიეკუთვნებოდა.

მუშგლეხინის რეორგანიზაციის შესახებ წერილი „პრავდაში" გამოქვეყნდა. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კუიბიშევმა წინადადება წამოაყენა, გაზეთი ერთ ეგზემპლარად დაებეჭდათ, ავადმყოფი ლენინისთვის რომ ეჩვენებინათ, თუმცა იმაზე შეთანხმდნენ, რომ დაბეჭდვის წინ სტატიიდან ამოიღებდნენ ერთ მონაკვეთს, სადაც საუბარი იყო გენერალური მდივნის კონტროლის მექანიზმის შექმნაზე.

ლენინის ბოლო წერილების ეფექტს ამცირებდა გავრცელებული ხმები – რომ ლენინი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არცთუ მთლად შერაცხადი იყო.

ლენინის მითითებების შესაბამისად, დაიწყეს „რევიზორების" შეგროვება, 1922 წლის შემოდგომისთვის იპოვეს მუშგლეხინის პირველი 70 წევრი საჭირო 300-დან.

რა მოხდებოდა, ეს ინსტიტუტი მართლა რომ ამოქმედებულიყო – არა სათათბირო ორგანოს, არამედ აღმასრულებელი ორგანოს სახით, – მაშინვე კონფლიქტში მოექცეოდა ახალ ადმინისტრაციულ ელიტასთან, „საბჭოთა მოსამსახურეებთან". არსებითად, ეს იქნებოდა სამოქალაქო ომის ახალი ეტაპი – „პატიოსანი მუშები" გამოვიდოდნენ „თანამდებობის პირების" წინააღმდეგ. ამ სახის სამოქალაქო დაპირისპირება სახელწოდებით „კულტურული რევოლუცია" 1960-იან წლებში გამოიყენა მაო ძე დუნმა.[1]

ელიტის განკერძოება და ჰერმეტიზაცია – ესაა კონტრრევოლუცია, რევოლუციის „მოპარვის" მცდელობა. ლენინის გეგმა პროლეტარიატის პირდაპირი დიქტატურის იდეასთან დაბრუნებაში მდგომარეობდა, როდესაც ბიუროკრატია კი არ უხელმძღვანელებდა მუშებს, არამედ მუშები გააკონტროლებდნენ ხელისუფლებას. ამისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო „მუშგლეხინის" პროექტი. ძნელი სათქმელია, თავად ლენინი როგორ განახორციელებდა თავის გეგმას, ჯანმრთელი რომ ყოფილიყო.

10.3. ლენინის მიერ ბოლშევიკი ლიდერების დახასიათება

ლენინის ერთ-ერთ უკანასკნელ დოკუმენტში, რომელიც მის „ანდერძად" გამოცხადდა, მოცემულია მისი უახლოესი თანამებრძოლების დახასიათება, კერძოდ, ესაა „წერილი ყრილობისადმი". 1922 წ. 23 დეკემბრის ღამეს ლენინს დაემართა მარჯვენა ხელ-ფეხის დამბლა, მიუხედავად ამისა, სწორედ 23 დეკემბერს მან დაიწყო დოკუმენტის კარნახი, რომელსაც „წერილი ყრილობას" ეწოდა. ლენინის მიერ თავის უახლოესი გარემოცვის დახასიათება მკაცრი და მამხილებელია. შეიძლება დღეს ვინმეს კითხვაც კი დაებადოს, – თუ ასე ფიქრობდა ამ ადამიანებზე, რატომღა ჰყავდა თავის გარემოცვაში.

ლენინის აზრით, ისინი სულაც არ იყვნენ იდეალურები. ხუთ მათგანს (ტროცკის, კამენევს, ზინოვიევს, ბუხარინს და პიატაკოვს) ლენინი პოლიტიკურ დახასიათებას აძლევს, თითოეულის წარსულში ხედავს იდეურ და პოლიტიკურ მერყეობას, მისი შეხედულებებისგან განსხვავებას. აღნიშნავს ტროცკის „არაბოლშევიზმს", ზინოვიევისა და კამენევის მერყეობას ოქტომბრის რევოლუციის წინ. ლენინის დახასიათებით, ბუხარინს არ ჰქონდა „სავსებით მარქსისტული შეხედულებები", პიატაკოვს კი ვერ დაეყრდნობოდი „სერიოზულ პოლიტიკურ საკითხში".[2]

სტალინის დახასიათება კი მხოლოდ პიროვნულია. სტალინთან დაკავშირებით ლენინმა ვერ გამოყო ვერც ერთი სერიოზული მომენტი, რომელშიც სტალინს მისგან გან-

[1] Л. Данилкин. Ленин. М., 2017, с.855.
[2] ვ.ი. ლენინი. წერილი ყრილობისადმი. რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტ.3, თბ., 1967, გვ.907.

სხვავებული იდეური პოზიცია ეკავა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მომავალში ამან დიდი როლი შეასრულა სტალინის აღზევებასა და მის მიერ მეტოქეების ჩამოცილებაში.[1]

თუმცა შეიძლება დავასახელოთ იდეური სხვაობა, რასაც ლენინი თავის უკანასკნელ წერილებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა – განსხვავება ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის გზების ხედვაში, რასაც, რომ დასცლოდა, სავარაუდოდ, სტალინის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვებოდა.

ლენინმა „წერილი ყრილობას" თავის ერთ-ერთ მდივანს ლიდია ფოტიევას (1881-1975) უკარნახა და მას საიდუმლოდ უნდა შეენახა, მაგრამ მან სტალინს აცნობა. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ლენინს ფოტიევას ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა და შეიძლება უნდოდა კიდეც, რომ სტალინს სცოდნოდა წერილის შესახებ.[2]

1923 წ. 4 იანვარს ლენინმა უკარნახა მნიშვნელოვანი დამატება თავისი წერილისთვის – სტალინის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადაყენებისა და მის ადგილას სხვა პიროვნების დანიშვნის მოთხოვნა.

„წერილში ყრილობისადმი" (1922 წლის 23-25 დეკემბერი) ლენინი, პირველ რიგში, ახასიათებს ცენტრალური კომიტეტის ორ გამოჩენილ ბელადს – სტალინსა და ტროცკის:[3]

 იოსიფ სტალინი (1879-1953)	„ამხ. სტალინმა, როცა ის გენერალური მდივანი გახდა, თავის ხელში მოაქცია განუზომელი ძალაუფლება, და მე დარწმუნებული არა ვარ, შეძლებს თუ არა იგი ყოველთვის საკმაოდ ფრთხილად გამოიყენოს ეს ძალაუფლება..."
 ლევ ტროცკი (1879-1940)	„... მეორე მხრივ, ამხ. ტროცკი, როგორც ეს უკვე დაამტკიცა მისმა ბრძოლამ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გზათა სახალხო კომისარიატის საკითხთან დაკავშირებით, არა მარტო შესანიშნავი ნიჭით გამოირჩევა. პირადად ის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ნიჭიერი კაცია ახლანდელ ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ ამავე დროს მას მოსდგამს მეტისმეტი თავდაჯერებულობა და მეტისმეტი გატაცება საქმის წმინდა ადმინისტრაციული მხარით."
სტალინი – დიდი ძალაუფლება შეიძლება ფრთხილად ვერ გამოიყენოს. **ტროცკი** – მეტისმეტი თავდაჯერებულობა და ადმინისტრირებით გატაცება.	ლენინი: „ახლანდელი ცენტრალური კომიტეტის **ორი გამოჩენილი ბელადის ამ ორ თვისებას** შეუძლია უნებურად გამოიწვიოს გათიშვა, და თუ ჩვენი პარტია არ მიიღებს ზომებს, რომ ამას ხელი შეუშალოს, გათიშვა შეიძლება მოულოდნელად მოხდეს."

ლენინის აზრით, თუკი ზომები არ იქნებოდა მიღებული, პარტიაში შეიძლება გათიშვა მომხდარიყო, თუმცა თავად არაფერს ამბობდა, თუ რა ზომები უნდა მიეღო პარტიას. ასეთ ზომად, შეიძლება მივიჩნიოთ ლენინის მიერ 24 დეკემბრის წერილისათვის 1923

[1] Островский В. П., Уткин А. И.. История России. XX век. 11 кл.: Учеб. для общеобразоват. учеб. заведений. 1995.
[2] 1922 წლის 29 დეკემბერს ფოტიევას განმარტებითი ბარათის დანერა მოუხდა კამენევის სახელზე და თავს იმით იმართლებდა, რომ არ იცოდა, წერილი საიდუმლოდ შესანახი რომ იყო.
[3] ვ.ი. ლენინი. წერილი ყრილობისადმი. რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტ.3, თბ., 1967, გვ.907.

წლის 4 იანვარს გაკეთებული დამატება, რომელშიც პირდაპირ მოითხოვდა სტალინის გადაყენებას გენერალური მდივნის თანამდებობიდან.[1]

ლენინი:
„სტალინი ძალიან უხეშია, და ეს ნაკლი, რომელიც სავსებით ასატანია ჩვენს, კომუნისტების წრეში და ურთიერთობაში, აუტანელი ხდება გენერალური მდივნის თანამდებობაზე. ამიტომ მე წინადადებით მივმართავ ამხანაგებს, რომ მოიფიქრონ ამ ადგილიდან სტალინის სხვაგან გადაყვანის საშუალება და დანიშნონ ამ ადგილზე სხვა ადამიანი, რომელიც ყველა სხვა მხრივ განსხვავდება ამხ. სტალინისაგან მხოლოდ ერთი უპირატესობით, სახელდობრ, უფრო ლმობიერია, უფრო ლოიალურია, უფრო თავაზიანი და უფრო ყურადღებიანია ამხანაგებისადმი, ნაკლებ ჭირვეულია და ა.შ.
ეს გარემოება შეიძლება უმნიშვნელო წვრილმანად მოგვეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ გათიშვის თავიდან აცილების თვალსაზრისით და სტალინისა და ტროცკის ურთიერთდამოკიდებულებაზე ჩემ მიერ ზემოთ ნათქვამის თვალსაზრისით ეს წვრილმანი არ არის, ან ისეთი წვრილმანია, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვოს.“

სტალინის გადაყენების მოთხოვნა ფასდება როგორც ლენინის ზრუნვა ქვეყნის უკეთეს მომავალზე, მაგრამ ძალიან ჰგავს ინტრიგას, რომლის მიზანიცაა ლავირება სტალინსა და ტროცკის დაჯგუფებებს შორის და ამით ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, ადვილად დაბრუნდებოდა ხელისუფლებაში.[2]

სტალინისა და ტროცკის დახასიათების ფონზე ძალზე უფერულად გამოიყურება ცენტრალური კომიტეტის სხვა ძველი წევრების – ზინოვიევისა და კამენევის დახასიათება:

გრიგორი ზინოვიევი
(1883-1936)

ლევ კამენევი
(1883-1936)

ლენინი:
„მე აღარ განვაგრძობ ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრთა დახასიათებას მათ პირად თვისებათა მიხედვით. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის ეპიზოდი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, მაგრამ რომ იგი ისევე ნაკლებად შეიძლება ბრალად ჩაეთვალოს მათ პირადად, როგორც არაბოლშევიზმი ტროცკის.“

(იგულისხმება ზინოვიევისა და კამენევის მოქმედება ოქტომბრის რევოლუციის წინ, როდესაც ისინი შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდნენ და შემდეგ 18 ოქტომბერს „ნოვაია ჟიზნში“ წერილი გამოაქვეყნეს – ბოლშევიკები აჯანყებას ამზადებენ, ჩვენ კი ეს ავანტიურად მიგვაჩნიაო).

ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა წევრებიდან ლენინი გამოყოფდა ნიკოლაი ბუხარინსა და გიორგი პიატაკოვს, მათ ყველაზე საუკეთესოებად მიიჩნევდა და შემდეგ

[1] ვ.ი. ლენინი. წერილი ყრილობისადმი. რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტ.3, თბ., 1967, გვ.907.
[2] Л. Данилкин. Ленин. М., 2017, с.855.

თითოეულის ნაკლს მიუთითებდა, თუმცა ბოლოს ამ ნაკლის გამოსწორებასაც არ გამორიცხავდა:[1]

ყველაზე ნიჭიერები ახალგაზრდებიდან	ლენინი: „მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა ნევრებიდან ბუხარინისა და პიატაკოვის შესახებ. ესენი, ჩემი აზრით, ყველაზე შესანიშნავი ძალები არიან (ყველაზე ახალგაზრდა ძალებიდან) და მათ შესახებ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი:
 ნიკოლაი ბუხარინი (1888-1938)	„ბუხარინი არა მარტო უძვირფასესი და უდიდესი თეორეტიკოსია პარტიისა, ის აგრეთვე სამართლიანად ითვლება მთელი პარტიის საყვარელ ადამიანად, მაგრამ მისი თეორიული შეხედულებანი მეტად დიდი ეჭვით შეიძლება სავსებით მარქსისტულ შეხედულებებს მიეკუთვნოს, ვინაიდან მასში არის რაღაც სქოლასტიკური (მას არასოდეს არ უსწავლია და, ვფიქრობ, არასოდეს არ ესმოდა სავსებით დიალექტიკა).."
 გიორგი პიატაკოვი 1890-1937)	„პიატაკოვი – უეჭველად შესანიშნავი ნებისყოფისა და შესანიშნავი ნიჭის ადამიანია, მაგრამ ძალიან გატაცებული ადმინისტრატორობით და საქმის ადმინისტრატორული მხარით, რომ შესაძლებელი იყოს დაეყრდნო მას სერიოზულ პოლიტიკურ საკითხში."
გამოსწორების შანსი	„რა თემა უნდა, ერთსაც და მეორე შენიშვნასაც მხოლოდ ახლანდელი დროისათვის გამოვთქვამ იმ ვარაუდით, რომ ეს ორი გამოჩენილი და ერთგული მუშაკი იპოვის შემთხვევას შეავსონ თავიანთი ცოდნა და შეცვალონ თავიანთი ცალმხრიობა."

ლენინის „წერილი ყრილობას", რომელშიც მნიშვნელოვან საკადრო საკითხებზე იყო საუბარი, განკუთვნილი იყო რკპ (ბ) XII ყრილობისადმი, რომელიც ლენინის სიცოცხლეშივე გაიმართა. ლენინის წერილი ყრილობას არ განუხილავს.

10.4. ლენინის შემდეგ: ბოლშევიკ ლიდერთა ოთხი ჯგუფი

აქტიურ პოლიტიკაში ყოფნის ბოლო პერიოდში ლენინი თავისებური ბალანსის როლს ასრულებდა ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის: ერთი იყო ტროცკი, რომლის პოზიციებიც ძლიერი იყო არმიაში, მეორე იყო სტალინ-ზინოვიევ-კამენევის ჯგუფი, რომელიც პარტიულ აპარატს ეყრდნობოდა. რომელიმე მხარის გაძლიერების შემთხვევაში ლენინი მონინააღმდეგე დაჯგუფების პოზიციაზე დგებოდა და ამით ინარჩუნებდა პარტიული ერთიანობის მოჩვენებითობას.

კომუნისტურ პარტიაში ლენინის ავადმყოფობისა და გარდაცვალების დროისათვის შეიძლება გამოიყოს ლიდერთა ოთხი ჯგუფი და ოთხი ფრაქცია, რომლებიც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთვებოდნენ, სანამ სტალინმა არ მოიპოვა სრული გამარჯვება:[2]

[1] ვ.ი. ლენინი. წერილი ყრილობისადმი. რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტ.3, თბ., 1967, გვ.907.
[2] М. Попович. Кровавый век. Харьков., 2017. С.321-322.

ლენინის უახლოესი პარტიული კონსერვატორების ჯგუფი	კამენევი, ზინოვიევი, კრუპსკაია და სხვები. სწორედ მათ მოიყვანეს ხელისუფლებაში სტალინი, იმ გათვლით, რომ დროულად მოახერხებდნენ შემდეგ ხელისუფლების საკუთარ ხელში აღებას. ძველი ლოზუნგების გარდა მათ არაფერი გააჩნდათ.
სამხედრო-რევოლუციური კულტურის მატარებელ ახალგაზრდა ლიდერთა ჯგუფი	ამ ჯგუფის ლიდერი იყო ტროცკი. მათ მალე გამოსცადეს საკუთარ თავზე „დიქტატურის უსამართლობა" და ანტიბიუროკრატიული ოპოზიციის წარმომადგენლები გახდნენ.
უმცროსი თაობის პარტიული კონსერვატორები	ესენი იყვნენ პროვინციელები (პირველ რიგში კავკასიელები), რომელთაც ეყრდნობოდა სტალინი. მათ შენარჩუნებული ჰქონდათ რევოლუციური რიტორიკა, მაგრამ ცდილობდნენ კარგად მონყობილიყვნენ მშვიდობიან პირობებში.
ყველაზე ზომიერი ახალგაზრდა ლიდერები	ისინი ავლენდნენ ყველაზე უკეთეს კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციას და ყველაზე მეტად იყვნენ მომზადებულნი მშვიდი კონსტრუქციული მუშაობისთვის. მათ შორის ძლიერი იყო მოდერნისტული განწყობა, რაც გამოხატავდა კულტურული და პოლიტიკური პარადიგმების შეცვლის მზაობას.

პირველი შეტევაზე გადავიდა ტროცკი, რომელმაც პარტიული აპარატი დაადანაშაულა „ბიუროკრატიულ გადაგვარებაში", ხოლო კამენევი და ზინოვიევი – ადრე გამოვლენილ ლაჩრობაში. ლენინის გარემოცვა ტროცკის მოწინააღმდეგე აღმოჩნდა.

ძველი მეტოქეები მოკლე ხნით გააერთიანა 1923 წელს „გერმანიის რევოლუციის" განხორციელების იდეამ, მაგრამ ამ ავანტიურის ჩაშლის შემდეგ, რაც ლენინის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა, ამ ორი დაჯგუფების გზები საბოლოოდ დასცილდა ერთმანეთს. ბრძოლა მიმდინარეობდა არა იმდენად იდეური პოზიციებისთვის, რამდენადაც პარტიაში და ძალოვან სტრუქტურებზე გავლენის მოსაპოვებლად.

რეალური ხელისუფლება კომინტერნში (კომუნისტურ ინტერნაციონალში) და საბჭოთა კავშირში 1922 წლის დეკემბრიდან გადავიდა „სამეულის" ხელში: გრიგორი ზინოვიევი – ლევ კამენევი – იოსებ სტალინი.

რაც შეეხება ლევ ტროცკის, მან 1922 წლის ბოლოს და 1923 წლის დასაწყისში პოლიტიკური ლიდერობისთვის ბრძოლაში ხელიდან გაუშვა თავისი პოზიციების განმტკიცების შანსი. 1923 წლის ნოემბერსა და 1924 წლის იანვარში მას სამჯერ შესთავაზეს, დაეკავებინა სახკომსაბჭოში ლენინის პირველი მოადგილის პოსტი. ტროცკი ამაზე უარს ამბობდა და თავის „ებრაელობას" იმიზეზებდა.[1]

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ტროცკის მომხრეები თანდათანობით გავლენიანი პოსტებიდან ნაკლებგავლენიან თანამდებობებზე გადაიყვანეს. 1925 წლის ზაფხულისთვის ტროცკი ფორმალურად რჩებოდა პარტიული იერარქიის ზედა საფეხურზე, მაგრამ სინამდვილეში დაკარგული ჰქონდა პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ყველა რეალური შესაძლებლობა.

ყველა მოელოდა, რომ მთავარი დაპირისპირება სტალინსა და ტროცკის შორის გაიშლებოდა. ტროცკის შეცდომა ის იყო, რომ სათანადოდ ვერ აფასებდა სტალინის შესაძლებლობებს.[2] წინ იყო ხანგრძლივი და მძიმე შიდაპარტიული ბრძოლა. უაღრესად ძნელი იყო ომით დანგრეული ღატაკი ქვეყნის რეალური მოდერნიზაციის გზების პოვნა.

---

[1] История России. Под ред. Л.В.Милова. М., 2007, с.365.

[2] პროფესორი ვიქტორ ჩიგრინსკი წერს: „ტროცკი კარგი ორატორი, კარგი ორგანიზატორი და ძალიან მედიდური ადამიანი იყო. სტალინს „საშუალო შესაძლებლობების ადამიანად" მიიჩნევდა და მისი მთავარი შეცდომაც ეს იყო. 1917-1923 წლების განმავლობაში სტალინმა იმხელა ფარული საქმიანობა გააჩაღა აბსოლუტური ძალაუფლების მოსაპოვებლად, რომ ლენინის სიკვდილს მომზადებული შეხვდა და მას უკვე ვერავინ შეუშალა ხელი აბსოლუტური ძალაუფლებისკენ წინსვლაში".

ლენინის მემკვიდრე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გახდა **ალექსეი რიკოვი** (1881-1938). ის იყო რსდმპ წევრი 1898 წლიდან, ანუ პარტიის დაარსების დროიდან, ხასიათდებოდა როგორც კარგი ორგანიზატორი და პრაგმატული მოქმედების ადამიანი, ამავე დროს მას არ ახასიათებდა ზედმეტი ამბიციურობა და, როგორც ჩანს, ეს გარემოება გადამწყვეტი აღმოჩნდა სახკომსაბჭოს ხელმძღვანელის პოსტზე მის დანიშვნაში.[1]

რიკოვი ჟურნალ Time-ის 1924 წ. 14 ივლისის ნომრის გარეკანზე

ლენინი და რიკოვი

ალექსეი რიკოვი (1881-1938) პარტიულ საქმიანობაში 1898 წლიდან იყო ჩართული, 1903 წელს მიემხრო ბოლშევიკების ფრაქციას. 1901-1917 წლებში ცხრაჯერ იყო დაპატიმრებული. 1921-1923 წლებში იყო რსფსრ სახკომსაბჭოს და, ასევე, შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის პოსტი ლენინს ეკავა. 1924 წ. 2 თებერვალს დაინიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, შიდაპარტიულ ბრძოლაში სტალინს დაუჭირა მხარი ჯერ ტროცკის, შემდეგ კი ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ, 1928-1929 წლებში სტალინის მონინააღმდეგე აღმოჩნდა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შეჩერების წინააღმდეგი იყო და ბუხარინთან ერთად მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი გახდა. 1930 წლის 19 დეკემბერს რიკოვი მოხსნეს სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან და 21 დეკემბერს გამოიყვანეს პოლიტბიუროს შემადგენლობიდან.

რიკოვმა „შეცდომები" მოინანია და 1931 წლის იანვრიდან 1936 წლის სექტემბრამდე იყო სსრ კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი. 1937 წლის თებერვალში ა. რიკოვი პარტიიდან გარიცხეს. 1938 წელს ბუხარინთან ერთად გაასამართლეს „მოსკოვის მესამე პროცესზე" და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, 1938 წლის 15 მარტს დახვრიტეს.

1988 წელს რეაბილიტირებულია.

10.5. რკპ (ბ) XIII ყრილობა: პარტიის ნება ლენინის „ნების" წინააღმდეგ

ლენინის მიერ პარტიის ლიდერების დახასიათებას პოლიტბიუროს წევრები გაეცნენ 1924 წლის მაისის ბოლოს – ივნისის დასაწყისში. 1924 წლის 18 მაისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ განიხილა ლენინის ერთ-ერთი უკანასკნელი დოკუმენტი – „წერილი ყრილობას" და გადაწყვიტა, დოკუმენტი გაეცნოთ ცენტრალური კომიტეტის უახლოესი პლენუმისთვის და პარტიული ყრილობისათვის.[2] პლენუმმა ეს დოკუმენტი 1924 წლის 21 მაისს განიხილა და გადაწყვიტა, რომ, ლენინის სურვილის შესაბამისად, წაკითხული დოკუმენტები საჯარო გამხდარიყო მომავალ ყრილობაზე, ამასთან დელეგატებისთვის ლენინის წერილი უნდა გაეცნოთ არა პლენარულ სხდომაზე, არამედ რეგიონებიდან ჩამოსული დელეგაციების მიხედვით. ასეთი გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, მიიღეს იმავე მიზეზის გამო, რის გამოც რკპ(ბ) XII ყრილობაზე ლენინის წერილი „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ" წაკითხულ იქნა ასევე დელეგაციების მიხედვით. ყრილობის პლენარულ სხდომებს სტუმრები ესწრებოდნენ, დოკუმენტები კი საიდუმლო ხასიათის იყო და მხოლოდ ყრილობის დელეგატებისთვის იყო განკუთვნილი.[3]

---

[1] История России. Под ред. Л.В.Милова. М., 2007, с.365.

[2] ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერეს ზინოვიევმა, ა. სმირნოვმა, კალინინმა, ბუხარინმა, სტალინმა და კამენევმა.

[3] Сахаров В.А. Политическое завещание Ленина – https://leninism.su/books/4136-politicheskoe-zaveshhanie-lenina-okonchanie-knigi.html?showall=1&start=0.

რკპ(ბ) XIII ყრილობა გაიხსნა 1924 წლის 23 მაისს. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ვერსია, რომ დელეგაციებს „წერილი ყრილობას" წაუკითხეს ზინოვიევმა და კამენევმა. ამ ვერსიის თანახმად, სწორედ მათმა კომენტარებმა წერილის კითხვის დროს და განცხადებამ, რომ სტალინი გაითვალისწინებდა ლენინის შენიშვნებს, განაპირობა ის, რომ ყრილობის დელეგატებმა არ იმოქმედეს ლენინის რჩევის შესაბამისად და სტალინი კვლავ აირჩიეს გენერალურ მდივნად. ამრიგად, ზინოვიევი და კამენევი გამოდიან სტალინის გადამრჩენლებად, მაგრამ დელეგაციების მიერ შედგენილი ოქმები ამ ვერსიას არ ადასტურებენ.

დელეგაციების მიერ ლენინის წერილის გაცნობის შემდეგ ყრილობის პლენარულ სხდომაზე პრეზიდიუმიდან დაისვა კითხვა: ყველა დელეგატი იცნობდა თუ არა ლენინის „ანდერძს" და ვინმე ხომ არ თხოულობდა მის განხილვას. ამაზე ყრილობის მხრიდან იყო პასუხი, რომ ყველა იცნობდა და ყრილობაზე მისი განხილვის აუცილებლობა არ არსებობდა. ამასთან არც ტროცკის და არც ყრილობის სხვა რომელიმე მონაწილის მხრიდან არანაირი პროტესტი არ გამოთქმულა. ასევე ყრილობამ ერთსულოვნად დაადგინა (მათ შორის იყო ტროცკიც), რომ ლენინის ეს წერილები პრესაში არ გამოქვეყნებულიყო და არც ყრილობის სტენოგრამაში შეეტანათ.

რკპ(ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებით ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ხუთი მდივანი[1], გენერალურ მდივნად კი კვლავ აირჩიეს სტალინი. სტალინი ასევე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ორგბიუროს შემადგენლობაში. ამრიგად, მხოლოდ სტალინი იყო არჩეული ცენტრალური კომიტეტის სამივე ორგანოში. ეს იყო სტალინის დიდი გამარჯვება, ასევე გამარჯვება იმ კურსისა, რასაც ყრილობის დელეგატები უკავშირებდნენ სტალინისა და ლენინის სახელს. სტალინი გენერალურ მდივნად ერთსულოვნად აირჩიეს.

სტალინი გენერალურ მდივნად აირჩიეს მიუხედავად იმისა, რომ ლენინი პირდაპირ მოითხოვდა მის გადაყენებას. მანამდე ბოლშევიკურ პარტიაში ვერავინ შეძლო ლენინის დარტყმის გადატანა. დელეგატებს არჩევანის გაკეთება უხდებოდათ სტალინის პიროვნების მითითებულ ნაკლოვანებებსა და სტალინ-პოლიტიკოსის აქტივებს შორის. რატომ გაიმარჯვა სტალინმა? სტალინის გამარჯვება უზრუნველყო ყრილობის დელეგატების მიერ იმის შეგნებამ, რომ მიმდინარეობს ძალთა პოლარიზება და წინ იყო შიდაპარტიული ბრძოლის გამწვავება პოლიტიკის პრინციპულ საკითხებზე. ყრილობის დელეგატებისთვის სტალინი წარმოდგებოდა ლიდერად, რომელსაც შეეძლო რთული პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა. ყოველივე ამან გააუფასურა საყვედურები ზედმეტი უხეშობისა და არასაკმარისი თავაზიანობის შესახებ და ა.შ. ლენინის მიერ პირდაპირ დასმულ საკითხზე ყრილობამ გასცა პირდაპირი პასუხი და სტალინს, როგორც ლენინის მემკვიდრეს, პოლიტიკური ნდობა გამოუცხადა.[2]

---

[1] მდივნებად აირჩიეს: სტალინი, მოლოტოვი, ანდრეევი, კაგანოვიჩი, ზელენსკი.

[2] Сахаров В.А. Политическое завещание Ленина – https://leninism.su/books/4136-politicheskoe-zaveshhanie-lenina-okonchanie-knigi.html?showall=1&start=0.

იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბრძოლა 1920-იან წლებში

შიდაპარტიული ბრძოლა საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკების) მიმდინარეობდა პარტიაში უმაღლესი ხელისუფლების გადასანაწილებლად. ეს ბრძოლა დაინყო ვ. ლენინის ავადმყოფობის დროს და გააფთრებული ხასიათი მიიღო ლენინის გარდაცვალების შემდეგ. ამ ბრძოლის მთავარი მონაწილეები იყვნენ სტალინი და ტროცკი.

11.1. შიდაპარტიული ბრძოლები ლენინის მმართველობის დროს

შიდაპარტიული ბრძოლები, ბოლშევიკური რეჟიმის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსხვავებული ხედვიდან გამომდინარე, ლენინის მმართველობის პერიოდშიც იყო. ამ დისკუსიების დროს ლენინი თავის ოპონენტების მიმართ რეპრესიებს არ მიმართავდა. მისი ავტორიტეტი ყველასთვის ანგარიშგასაწევი იყო და ლენინის უპირობო ლიდერობას ეჭვქვეშ არავინ აყენებდა. „თავისიანებს" ლენინი ყოველთვის ინდობდა და ერჩიენა უთანხმოების მოლაპარაკებით მოგვარება.

ლენინის მმართველობის პერიოდში რამდენჯერმე გაიშალა მწვავე შიდაპარტიული უთანხმოება და დაპირისპირება:

„სამხედრო ოპოზიცია" – რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობაზე (1919 წ. მარტი) ბრესტის ზავის გარშემო დავის შემდეგ ჩამოყალიბდა „სამხედრო ოპოზიცია", რომელიც მხარს უჭერდა წითელი არმიის არსებობას მოხალისეობის საფუძველზე არჩევითი მეთაურებით და დაუპირისპირდა ტროცკის, რომელიც მხარს უჭერდა მეფის არმიის სამხედრო სპეციალისტების („ვოენსპეცების") გამოყენებას;

„მუშათა ოპოზიცია" – პარტიის IX (1920 წ. მარტი) და X ყრილობებზე (1921 წ. მარტი) კონფლიქტი წარმოიშვა „მუშათა ოპოზიციასთან", რომელიც მოითხოვდა, ნაციონალიზებული საწარმოები არ ყოფილიყო ერთი ხელმძღვანელის მმართველობით და სამართავად გადასცემოდა პროფკავშირებს. მუშათა ოპოზიციის ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე შლიაპნიკოვი (1885-1937).

„სამხედრო ოპოზიცია" და „მუშათა ოპოზიცია" – ორივე „მემარცხენე" გადახრად, მმართველობის ტრადიციული ფორმების წინააღმდეგ გალაშქრებად იქნა მიჩნეული და მათ არ დაუჯერეს, მაგრამ, ამავე დროს, 1918-1920 წლებში წარმოებისა და ვაჭრობის მთლიანი სოციალიზაცია მიმდინარეობდა ნიკოლაი ოსინსკის (ვ. ობოლენსკის) და იური ლარინის რეცეპტებით, რომლებიც უაღრესად რადიკალურ შეხედულებებს გამოხატავდნენ.

დისკუსია საფინანსო რეფორმასთან დაკავშირებით – 1922-1924 წლებში ბაზრისა და ფულადი სისტემის აღდგენამ ახალი დავა გამოინვია ბოლშევიკურ პარტიაში, იმის თაობაზე თუ რა გზით უნდა აღედგინათ მრეწველობა. გრიგორი სოკოლნიკოვი, რომელიც ფულად რეფორმას ატარებდა, საჭიროდ თვლიდა, ჯერ სოფლის მეურნეობა დაეყენებინათ ფეხზე, შემდეგ კი პროდუქტების ექსპორტიდან მიღებული ვალუტა ჩაედოთ მრეწველობის განვითარების საქმეში. საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფოს მონოპოლიის პირობებში ეს სავსებით შესაძლებელი იყო. მის საპირისპიროდ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა (Госплан) და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (ВСНХ) ხელმძღვანელები, პირველ რიგში ს. სტრუმილინი, თვლიდნენ, რომ მრეწველობა უნდა დაფინანსებულიყო არა ვალუტით, არამედ ქაღალდის ფულის გამოშვებით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ინფლაციის შეჩერება ადმინისტრაციული მეთოდებით იყო შესაძლებელი. სოკოლნიკოვის გზის საფრთხედ მიიჩნიეს მრეწველობის აღდგენის დამოკიდებულება გლეხობასა და მსოფლიო

ბაზრებზე არსებულ კონიუნქტურაზე; სტრუმილინის გზის საფრთხე იყო მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა და ადმინისტრაციული ძალადობა სახალხო მეურნეობაზე.

ამ დისკუსიების დროს **მთავარი არბიტრი ლენინი** იყო. ყველას ესმოდა, რომ მის გარეშე ვერც ოქტომბრის გადატრიალებას მოაწყობდნენ და ვერც ხელისუფლებას შეინარჩუნებდნენ.[1] ლენინს არავისთვის სჭირდებოდა თავისი ლიდერობის დამტკიცება.

11.2. შიდაპარტიული ბრძოლის მიზეზები ლენინის გარდაცვალების შემდეგ

ლენინის ავადმყოფობამ (1922-1923) და გარდაცვალებამ (1924 წ. 21 იანვარი) ვითარება ძირეულად შეცვალა. უპირობო ლიდერი, ყველას მიერ აღიარებული, აღარ არსებობდა, ლენინის ჩანაცვლების მსურველი კი რამდენიმე იყო.

შეიძლება გამოიყოს ბოლშევიკურ პარტიაში გაჩაღებული შიდაპარტიული ბრძოლის რამდენიმე მიზეზი:

- ✓ ლენინის ავადმყოფობა (1922 წლიდან) და სიკვდილი (1924 წლის 21 იანვარი);
- ✓ საბჭოთა რეჟიმის საგარეო პოლიტიკის განსხვავებული ხედვები;
- ✓ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) განსხვავებული ხედვები;
- ✓ პირადი ბრძოლა პოლიტიკური ლიდერობისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის „გენერალური კურსის" განსაზღვრისთვის.

ბრძოლას ისიც ამწვავებდა, რომ ქვეყანაში არსებობდა ერთპარტიული სისტემა და არ იყო ოპოზიციის ლეგალურად არსებობის შესაძლებლობა. 1921 წელს რკპ (ბ) X ყრილობამ ლენინის ინიციატივით მიიღო რეზოლუცია **„პარტიის ერთიანობის შესახებ"** – აიკრძალა შიდაპარტიული ოპოზიციის შექმნა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში გაშლილ დაუნდობელ ბრძოლას წინ უსწრებდა ანგარიშსწორება სხვა პოლიტიკურ ძალებთან:

– 1921-1923 წლებში გაიმართა მენშევიკებისა და ესერების პარტიების ლიდერების სასამართლო პროცესები. მათ ბრალი ედებოდათ შეთქმულებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ;

– 1922 წელს რუსეთიდან გაიგზავნა „ფილოსოფიური გემი" – საზღვარგარეთ გაასახლეს რუსეთის ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, ისტორიკოსები...

1922 წელი – სასულიერო პირების სასამართლო პროცესები, პატრიარქ ტიხონის დაპატიმრება, საეკლესიო ქონების კონფისკაცია – ასეთი პოლიტიკა მორწმუნეთა პროტესტს იწვევდა.

ეს ყველაფერი ერთპარტიული დიქტატურის დამყარებას ნიშნავდა.

> „ჩვენ გვსაყვედურობენ საზღვარგარეთ, რომ ჩვენთან ერთი პარტიის რეჟიმია დამყარებული... ჩვენთან ბევრი პარტიაა, მაგრამ, უცხოეთისგან განსხვავებით, ჩვენთან ერთი პარტიაა ხელისუფლებაში, დანარჩენები კი ციხეში არიან."
>
> მიხაილ ტომსკი (ეფრემოვი) –(1880-1936).
>
> 1936 წლის 22 აგვისტოს თავი მოიკლა, როდესაც გაიგო, რომ სასამართლო პროცესზე ზინოვიევმა და კამენევმა ის მოულოდნელად დაასახელეს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილედ.

1920-იანი წლების შიდაპარტიული ბრძოლის დროს ერთმანეთს შეეჯახა განსხვავებული/ალტერნატიული შეხედულებები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თაობაზე (მსოფლიო რევოლუციის გარეშე).

[1] История России XX век. Под ред. А. Б. Зубова. Том II. М., 2016. Стр.46.

სოციალისტური იდეალებისათვის ბრძოლა უთავსდებოდა პარტიაში ლიდერობისთვის ბრძოლას. გაიმარჯვეს სტალინმა და მისმა გარემოცვამ, რომელიც ეყრდნობოდა მართვის ძალისმიერ მეთოდებს.

1920-იან წლებში ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმა და ფორსირებული ნახტომის განხორციელება ბევრს წარმოუდგებოდა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად, რომელიც უზრუნველყოფდა მინიმალურ ვადაში სოციალიზმის საფუძვლების აშენებას.

არჩეული კურსის გასამართლებლად სახელდებოდა შიდა და გარე მტრებისგან მომდინარე საფრთხე, რის დადასტურებადაც აცხადებდნენ დაწყებულ სასამართლო პროცესებს ტექნიკური ინტელიგენციისა და ძველი სპეციალისტების წარმომადგენლების წინააღდეგ.

1923-1929 წლებში შიდაპარტიული ბრძოლა მიმდინარეობდა შემდეგ ჯგუფებსა და პიროვნებებს შორის:

წლები	დაპირისპირებული მხარეები	
1923-1924 წლები	სტალინი ზინოვიევი კამენევი	ტროცკი („მემარცხენე ოპოზიცია“)
1925-1926 წლები	სტალინი ბუხარინი რიკოვი	ზინოვიევი კამენევი („ახალი ოპოზიცია“)
1926-1927 წლები	სტალინი ბუხარინი რიკოვი	ზინოვიევი კამენევი ტროცკი („გაერთიანებული ოპოზიცია“)
1928-1929 წლები	სტალინი	ბუხარინი რიკოვი ტომსკი („მემარჯვენე გადახრა“)

11.3. ლენინის შემდეგ: „ტრიუმვირატის“ ჩამოყალიბება

1922 წ. მაისში ლენინმა ინსულტი გადაიტანა და დროებით გამოვიდა მწყობრიდან. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ის ა. **რიკოვმა** შეცვალა, მაგრამ ლენინის უდავო მემკვიდრედ ის არ მიიჩნეოდა.

ზოგი თვლიდა, რომ ლენინის მემკვიდრე **ტროცკი** უნდა გამხდარიყო – სამოქალაქო ომში გამარჯვების ორგანიზატორი, „რევოლუციის შეიარაღებული წინასწარმეტყველი“. მაგრამ ტროცკი გატაცებული იყო მსოფლიოში „უწყვეტი რევოლუციის“ იდეით და ძალზე ქედმაღალი იყო იმისთვის, რომ ურთიერთობა მოეგვარებინა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მყოფ „სხვადასხვა უსახურ ადამიანებთან“.

ლენინთან ადრინდელი უთანხმოების მიუხედავად, ზინოვიევი და კამენევი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში.

მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა სტალინი. მისთვის სამართავად ჩაბარებულ პარტიის სამდივნოში შედიოდა აღრიცხვა-განაწილების განყოფილება, რომელიც პარტიული კადრების თანამდებობებზე დანიშვნის მომზადებით იყო დაკავებული. 1923 წლის ნოემბერში ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა სია N 1. მასში ჩამოთვლილი იყო 4 ათასი თანამდებობა, რომელთა დაკავებაც მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი. ამ ჩამონათვალმა, ანუ თანამდებობათა **„ნომენკლატურამ“** სახელი შესძინა პარტიულ მუშაკთა მაღალ ფენას, საიდანაც შეირჩეოდა კანდიდატები პარტიისა და

მთავრობის მაღალ თანამდებობებზე დასანიშნად. სტალინი აქტიურად აყალიბებდა ნომენკლატურის სიებს. შერჩევის კრიტერიუმი იყო არა განათლება და რაიმე სფეროში კომპეტენტურობა, არამედ „პროლეტარული წარმომავლობა." სწორედ ამ ხელმძღვანელი ფენის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ და გადაჰყავდათ ერთი თანამდებობიდან მეორეზე. სწორედ ეს ფენა იქცა სტალინის პოლიტიკურ დასაყრდენად. 1920-იანი წლების შუახანებიდან სტალინი უშუალოდ აკონტროლებდა მათ პირად კარტოთეკას.[1]

ლენინი უკმაყოფილო იყო სტალინის ხელში დიდი ძალაუფლების თავმოყრით, მისი უხეშობით და ყრილობას წერილითაც მოსთხოვა სტალინის გადაყენების საკითხის განხილვა. ლენინი რომ ყრილობაზე მისულიყო, ალბათ სტალინს გადააყენებდნენ, რადგანაც უპირობო ლიდერს წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, მაგრამ 1923 წლის მარტში, მორიგი ინსულტის შემდეგ, ლენინი სრულიად და საბოლოოდ გამოვიდა მწყობრიდან.

1924 წლის იანვარში, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც უკვე ითქვა, მისი მემკვიდრე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ალექსეი რიკოვი (1881-1938) გახდა. 1922 წლის დეკემბრიდან რეალური ხელისუფლება საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ ინტერნაციონალში გადავიდა „სამეულის" ხელში: ზინოვიევი – კამენევი – სტალინი. წინ იყო შიდაპოლიტიკური დაპირისპირებების ხანგრძლივი პერიოდი, რადგანაც უაღრესად რთული იყო ქვეყნის შემდგომი განვითარების გზის არჩევა.

„სამეულის" წევრები და ლენინის სხვა თანამებრძოლები სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ მის მემკვიდრეობასა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საზოგადოების განვითარების პერსპექტივებს.

11.4. „მემარცხენეებისა" და „მემარჯვენეების" განსხვავებული მიდგომები

„მემარცხენეები" ტროცკით სათავეში მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერებას, გლეხებისა და ნეპმანებისთვის დაკისრებული გადასახადების გაზრდას, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შეკვეცასა და მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპის უზრუნველყოფას.

ტროცკის მიერ 1923 წლის ოქტომბერში გამოცხადებული „ახალი კურსის" არსი მდგომარეობდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკიდან „ოქტომბრისაკენ დაბრუნებაში", ანუ, მისი აზრით, „ნამდვილი" კომუნისტური პოლიტიკის განხორციელებისკენ.

„მემარჯვენეები", რომელთა ლიდერიც ნ. ბუხარინი იყო, გამოდიოდნენ ეკონომიკაში შეზღუდული გეგმური ჩარევის მომხრედ, მხარს უჭერდნენ ინდუსტრიალიზაციის ზომიერ ტემპს და გლეხობისათვის ზომიერი გადასახადების დაწესებას, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებას, რაც სოციალიზმისაკენ წინსვლის პირობად განიხილებოდა.

ცენტრისტები, სტალინით სათავეში, თავიდან ცდილობდნენ გაეწონასწორებინათ „მემარცხენეები" და „მემარჯვენეები", შემდეგ მხარი დაუჭირეს მემარჯვენეებს მემარცხენეების წინააღმდეგ, მაგრამ 1920-იანი წლების ბოლოს სტალინი იძულებული გახდა „მარცხნივ გადახრილიყო", უარი ეთქვა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და დაენყო ეკონომიკის ფორსირებული მოდერნიზება.

11.5. „მუშათა ოპოზიცია" ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირველი კრიტიკოსები იყვნენ „მუშათა ოპოზიციის" წარმომადგენლები, რომლების მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ეკონომიკის სახელმწიფო სექტორთან. 1923 წლისათვის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ცალკეული გამოსვლები გაერთიანდა „მემარცხენე" ოპოზიციის ერთიან პოლიტიკურ მიმდინარეობად, რომლის ლიდერიც ტროცკი გახდა. 1923 წლის ოქტომბერში, ქვეყანაში არსებული მწვავე ეკონომიკური კრიზისის დროს, ტროცკი გამოვიდა „კაპიტულანტური" კურსის წინააღმდეგ.

---

[1] История России XX век. Под ред. А. Б. Зубова. Том II. М., 2016. Стр.46.

ამ პერიოდში წარმოიშვა ე. წ. „ფასების მაკრატელი“ – გამოცოცხლებული მრეწველობა სულ უფრო ზრდიდა საქონლის გამოშვებას სოფლისათვის, მაგრამ ფასები ამ საქონელზე მაღალი იყო და შემოდგომისთვის სამრეწველო საქონელზე საერთო ფასი სამჯერ მაღალი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასზე. „ფასების მაკრატელმა“ გამოიწვია სანყობებში გაუყიდავი საქონლის ჩაწოლა და სამრეწველო წარმოების გაჩერება, უმუშევრობის ზრდა. კრიზისის დასაძლევად საჭირო გახდა სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირება და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დასამზადებელი ფასების გაზრდა. ამასთან დაკავშირებით ოპოზიცია მოითხოვდა გეგმურობის გაზრდას ეკონომიკაში, მოითხოვდნენ, აღკვეთილიყო „ბიუროკრატიული ზედაფენის“ მცდელობები, მხარი დაეჭირათ „ნვრილბურჟუაზიული სექტორისათვის“ პროლეტარიატის საზიანოდ.

„მემარცხენეები“ პირდაპირ არ უპირისპირდებოდნენ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, ისინი გამოდიოდნენ „მემარჯვენე“ პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ პარტიისა და საზოგადოების ბიუროკრატიზაციის შეჩერებას, შიდაპარტიული დემოკრატიის გაფართოებასა და „ერთი ფრაქციის დიქტატურის“ შესუსტებას.

1923 ნლის შემოდგომაზე ტროცკიმ, რომელიც პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე იყო, აღმოაჩინა, რომ მის ერთგულ ადამიანებს პარტიულ-სახელმწიფოებრივ თანამდებობებიდან ხსნიან და სხვებით ანაცვლებენ. ამ საკადრო პოლიტიკას პირველ რიგში სტალინი ახორციელებდა. ამ სიტუაციამ ტროცკის უბიძგა, გამოსულიყო ბრალდებებით პარტიული ზედაფენის წინააღმდეგ, კერძოდ, გაილაშქრა პოლიტბიურის წევრების კამენევის, ზინოვიევის, სტალინის წინააღმდეგ. მნვავედ გააკრიტიკა სტალინის მიერ დამკვიდრებული „ზემოდან“ დანიშვნის სისტემა და წინადადებას აყენებდა, აერჩიათ „ქვემოდან“. ბიუროკრატიასთან საბრძოლველად მოითხოვდა „დაყრდნობოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას, როგორც პარტიის უერთგულეს ბარომეტრს“.

რკპ(ბ) XIII პარტიულ კონფერენციაზე (1924 ნ. 16-18 აპრილი) ტროცკისტების პირველი შეტევა სტალინმა მოიგერია. სტალინი ტროცკის წინააღმდეგ გამოსვლისას პარტიულ აპარატს იცავდა. ტროცკისტების პოზიცია შეფასდა, როგორც „აშკარად გამოხატული ნვრილბურჟუაზიული გადახრა“, „ლენინიზმზე პირდაპირ უარის თქმა“, „კაპიტულანტობა“.

ლენინის სიკვდილმა გაამწვავა ბრძოლა ლიდერობისთვის რკპ(ბ) ხელმძღვანელობაში. პარტიის XIII ყრილობაზე (1924 ნლის 23-31 მაისი) განიხილეს ლენინის „ანდერძი“, კერძოდ, გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენების საკითხი, აქ უკვე სტალინი ზინოვიევმა და კამენევმა დაიცვეს. ყრილობამ ეს მოთხოვნა უარყო, არ დაკმაყოფილდა სტალინის თხოვნაც გადადგომის თაობაზე.

11.6. ტროცკიზმის იდეური „მხილება“ და დამარცხება

ტროცკი არ თმობდა პარტიის ლიდერობაზე პრეტენზიას და 1924 ნლის ივნისში გამოაქვეყნა ბროშურა „ლენინის შესახებ“, ოქტომბრის რევოლუციის ნლისთავზე კი გამოქვეყნდა მისი სიტყვებისა და სტატიების კრებული. წინასიტყვაობაში, რომელსაც ერქვა „ოქტომბრის გაკვეთილები“, ტროცკი წარმოდგებოდა ლენინის მასშტაბის ხელმძღვანელად, ჭეშმარიტ რევოლუციონერად, რომელსაც შეუძლია დასძლიოს მენშევიზმი რევოლუციის თაობაზე არსებულ შეხედულებებში. კრებულის გამოსვლას მოჰყვა ტროცკის კრიტიკა და მას ბრალი დასდეს პარტიის ისტორიის შეგნებულ დამახინჯებაში.

სტალინმა ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მთავარ არგუმენტად გამოიყენა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თეზისი და ტროცკის ამხელდა, რომ მას არ სნამდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების რეალურობა.

ტროცკისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა მის მიერ ნ. ჩხეიძისათვის 1913 ნლის აპრილში გაგზავნილი წერილის გამოქვეყნება, რომელშიც ის უაღრესად უარყოფითად ახასიათებდა ლენინს. ტროცკი მაშინ წერდა: „ლენინიზმის მთელი შენობა ამუამად სიც-

რუესა და ფალსიფიკაციაზეა აგებული და თავის თავში ატარებს საკუთარი გახრწნის შხამიან სათავეს. რაღაც უაზრო ცდუნებად ჩანს ბინძური ინტრიგა, რომელსაც აჩაღებს ამ საქმის ოსტატი ლენინი, ეს პროფესიონალი ექსპლუატატორი ყოველივე ჩამორჩენილობისა რუსულ მუშათა მოძრაობაში".

იმ ვითარებაში, როდესაც გარდაცვლილი ლენინისაგან უკვე კულტი იყო შექმნილი და პარტია მას უაღრესი მოწიწებით იხსენიებდა, ტროცკის ეს ადრე ნათქვამი სიტყვები საშინელ მკრეხელობად ჩანდა. ტროცკიმ ვერ შეძლო ამ თავდასხმების მოგერიება. 1925 წლის იანვარში მან ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ითხოვდა, რომ გაეთავისუფლებინათ რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მაგრამ გამოხატავდა მზადყოფნას, ემუშავა პარტიაში „ცენტრალური კომიტეტის კონტროლის ქვეშ".

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა (1925 წლის 17-20 იანვარს) დაგმო ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლის მცდელობა და დაადგინა, გაგრძელებულიყო ტროცკიზმის „წვრილბურჟუაზიული" ხასიათის მხილება, დაწყებული 1903 წლიდან.

სტალინის პოლიტიკა	ტროცკის პოლიტიკა
კომუნისტების მიერ ხელისუფლების შენარჩუნება ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში ევროპის მომავალი გასაბჭოების პერსპექტივით.	რევოლუციური რუსეთის მსხვერპლად მიტანა მსოფლიო რევოლუციის დასაჩქარებლად.

11.7. ტროცკის ჩამოცილება არმიისაგან

1924 წელს, როდესაც ტროცკი ღიად მოუწოდებდა, პარტიისთვის ჩამოეცილებინათ „თვითკმაყოფილ-კონსერვატიული ზედაფენა" და ილაშქრებდა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის „კაპიტულანტური" მოდელის წინააღმდეგ, ბევრს აფიქრებდა მოსკოვში სამხედრო გადატრიალების საფრთხე. ეშინოდათ, რომ ტროცკის შეეძლო დაყრდნობოდა არმიას, პირველ რიგში, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარებს, რომელსაც სათავეში ედგა მისი მომხრე ნ. მურავიოვი, და ხელისუფლების მოპოვება ეცადა. მოსკოვში ვრცელდებოდა ხმები, რომ რევოლუციური სამხედრო საბჭოს პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელმა ა. ანტონოვ-ოვსეენკომ პოლიტბიუროს გაუგზავნა წერილი და გააფრთხილა, რომ თუკი ხელს ახლებენ ტროცკის, მთელი წითელი არმია აღსდგებოდა მის დასაცავად.

მაგრამ ტროცკიმ ვერ გაბედა გადატრიალების მოწყობა. ამავე დროს ხელისუფლებაში მყოფმა „სამეულმა" ხარკოვიდან გამოიძახა უკრაინის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი მ. ფრუნზე. მან შეცვალა ტროცკის მოადგილე რევოლუციურ სამხედრო საბჭოში ე. სკლიანსკი და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, დაიწყო სამხედრო რეფორმა, რაც ტროცკის მომხრეებისაგან არმიის „განწმენდაში" გამოიხატებოდა. რეფორმის ეპიზოდი იყო ტუხაჩევსკის გადადგომა დასავლეთის ფრონტის სარდლის პოსტიდან (მოგვიანებით ფრონტი გააუქმეს).

1925 წლის 25 იანვარს საბჭოთა კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმმა გადააყენა ტროცკი რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარისა და ასევე სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრის თანამდებობიდან. ამ თანამდებობებზე დაინიშნა მიხეილ ფრუნზე (1885-1925), მისი მოადგილე კი გახდა სტალინის მომხრე კლიმენტი ვოროშილოვი (1881-1969). ტროცკი მეორეხარისხოვან როლებზე აღმოჩნდა გადაყვანილი, თუმცა ჯერ კიდევ რჩებოდა პოლიტბიუროს წევრად, ტროცკის ბრძოლაზე ხელი არ აუღია და „მემარცხენე ოპოზიციის" ორგანიზებით დაკავდა.

ფრუნზე სულ მალე დაიღუპა საოპერაციო მაგიდაზე „სამედიცინო შეცდომის" შედეგად. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: სტალინმა, ფრუნზეს ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოტივით, მიაღწია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, „ოპერაცია გაეკეთებინათ ამხანაგ ფრუნზესთვის კუჭის ნყლულის გამწვავების გამო". მაგრამ როცა

ოპერაცია გაუკეთეს, აღმოჩნდა, რომ წყლული დიდი ხნის შეხორცებული იყო, ხოლო ფრუნზეს ორგანიზმმა ოპერაციის დროს ნარკოზისთვის გამოყენებული ქლოროფორმი ვერ გადაიტანა.

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ სტალინისთვის ფრუნზე ძალზე დამოუკიდებელი ფიგურა იყო სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრის პოსტზე და ძალზე დაახლოებული იყო ზინოვიევთან და კამენევთან, ამიტომაც აწყობდა ფრუნზეს მოშორება. მისი ადგილი დაიკავა კლიმენტი ვოროშილოვმა, რომელიც „სტალინის კაცი" იყო სამოქალაქო ომის პერიოდიდან.

11.8. სტალინიზმის დაბადება – ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი

1-ლი ხუთწლედის დაწყებამდე ბოლშევიკების რევოლუციურ იდეოლოგიაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ეტაპი. პირველ ეტაპზე (1917 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის ბოლომდე) საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობდა მთელ მსოფლიოში რევოლუციის გაჩაღებას და ამ იდეას უქვემდებარებდა „რევოლუციის სამშობლოს" ყველა რესურსს. მაგრამ მსოფლიო რევოლუციის „დაგვიანება" პრაგმატულად მოაზროვნე ლიდერებს აიძულებდა, სულ უფრო მეტად გადართულიყვნენ მსოფლიო რევოლუციის პრობლემებიდან „მსოფლიო კაპიტალისთვის წართმეულ" რუსეთის პრობლემებზე.

სოციალიზმის მშენებლობის იდეა თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში ლენინის სიკვდილის შემდეგ პირველად წამოაყენეს ბუხარინმა და რიკოვმა, შემდეგ კი (1924 წლის 17 დეკემბერს) განავითარა და ჩამოაყალიბა სტალინმა.

1924 წლის აპრილში სტალინი ბროშურაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" ჯერ კიდევ უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. მაშინ პრინციპული განსხვავება სტალინისა და ტროცკის შეხედულებებს შორის არ ყოფილა, იყო მხოლოდ ბრძოლა უმაღლესი ხელისუფლებისთვის და ლენინის მემკვიდრეობისათვის.

1924 წლის ბოლოს კი სტალინმა ნაშრომში „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა" კონცეპტუალურად ჩამოაყალიბა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორია.[1]

სტალინის მტკიცებით, სწორედ ლენინმა მიუთითა, რომ შეიძლებოდა სოციალიზმის აშენება ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. ამის დასადასტურებლად მოჰქონდა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატები. მიუხედავად ამისა, ეს იდეა კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში სადისკუსიოდ რჩებოდა. მწვავე პოლემიკის დროს ერთ მხარეს იყვნენ ისინი, ვინც შესაძლებლად მიიჩნევდა სოციალიზმის აშენებას რუსეთში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარეშე. ამ შემთხვევაში რუსეთი გადაიქცეოდა „ბაზად და ინსტრუმენტად მსოფლიო რევოლუციისთვის"; მეორე მხარეს კი ისინი იყვნენ, ვისაც შეუძლებლად მიაჩნდა ოციალიზმის გამარჯვება რუსეთში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარეშე.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორია არ გამომდინარეობდა პროლეტარულ რევოლუციაზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებებიდან და ამის თაობაზე არაფერი ჰქონდა დაწერილი ლენინს. სტალინის მიერ მოტანილი ციტატები ლენინის ნაშრომებიდან კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი. ლენინი მხოლოდ საუბრობდა იმაზე, რომ შესაძლებელი იყო ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ სოციალისტურ რევოლუციას გარკვეულ ხანს გაეძლო სხვა ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის დაწყებამდე. აქედან არ გამომდინარეობდა დასკვნა, რომ მსოფლიო რევოლუცია არ მოხდებოდა და ერთ, მით უმეტეს, ჩამორჩენილ ქვეყანაში აშენდებოდა სოციალისტური საზოგადოება. ლენინი ასეთ რამეს არ ითვალისწინებდა მაშინაც, როდესაც რუსეთში სოციალისტური რევოლუციისკენ მოუწოდებდა, და არც მაშინ, როდესაც მსოფლიო სოციალისტურმა რევოლუციამ „დაიგვიანა".

---

[1] „სოციალიზმში შეზრდის" იდეა ზოგადი სახით პირველად ჩამოაყალიბა ბუხარინმა 1922 წლის ნოემბერში, 1924 წლის თებერვალში ბუხარინმა განავითარა ეს იდეა, მაგრამ კონცეპტუალურად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორია სწორედ სტალინმა ჩამოაყალიბა.

ლენინი ისე გარდაიცვალა, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მოლოდინი „დღის წესრიგიდან" არ იყო მოხსნილი.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორია საფუძვლად დაედო ახალ მიმართულებას – **სტალინიზმს.** ეს თეორია ასახავდა უკვე ჩამოყალიბებული მმართველი ფენის – პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურის მისწრაფებებს. პარტიული ნომენკლატურა მსოფლიო რევოლუციის აბსტრაქტულ იდეალებსა და მისთვის თავგანნირვას ამჯობინებდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას ბოლშევიკების მიერ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოში და სურდა მოპოვებული ძალაუფლებით „ტკბობა".

გარდა კომუნისტური ნომენკლატურის ინტერესებთან შესაბამისობისა, სტალინის თეორიით, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ შეიძლებოდა მასებით მანიპულირება, მათთვის „ახლო მომავალში სოციალური ბედნიერების მიღწევის" იმედის ჩანერგვა და პარტიის დიქტატისადმი მორჩილების უზრუნველყოფა. სინამდვილეში კი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა იყო ბოლშევიკური ნომენკლატურის მიერ მსოფლიოსგან იზოლირებული მილიტარისტული ტოტალიტარული რეჟიმის შექმნა.

სტალინიზმი ნიშნავდა ერთ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებას. პარტიულ-სახელმწიფო აპარატმა („ნომენკლატურამ") 1920-იანი წლების მეორე ნახევარში ტროცკის „ემოციურ" ტაქტიკას – ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ სოციალისტურ რევოლუციას ყველაფერი გაეკეთებინა და თუნდაც თავი გაეწირა მსოფლიო რევოლუციისთვის, ამჯობინა სტალინის „საფუძვლიანი" ტაქტიკა – გაემყარებინა თავისი ხელისუფლება მის ხელთ მოქცეულ მსოფლიოს 1/6 ნაწილში და ამის შემდეგ ეზრუნა „სოციალიზმის სამყაროს" ფარგლების გაფართოებაზე.

სტალინის ხელისუფლება და სტალინიზმი საბოლოოდ ჩამოყალიბდა პირველი ხუთწლედის პერიოდში. ეს იყო რეჟიმი, რომელსაც მუდმივი ექსპანსია სჭირდებოდა. ზოგადად, კომუნისტურ რეჟიმს აგრესიული მისწრაფებების გარეშე, ლენინის დროსაც და სტალინის შემდეგაც, არსებობა არ შეეძლო. ამ განუწყვეტელმა ექსპანსიამ მოუტანა წარმატებებიც და საბოლოოდ განაპირობა მისი კრახიც. როგორც კი გორბაჩოვის დროს უარი ითქვა ექსპანსიაზე (1985-1987), რადგანაც საბჭოთა ეკონომიკას მისი გაძლება არ შეეძლო, საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა სამი წელიც ვერ იარსება.

11.9. როდის დაემატა „მარქსიზმს" „ლენინიზმი"

საბჭოთა კავშირის ოფიციალური იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი.[1] მკაცრად ისჯებოდა ნებისმიერი მცდელობა ეჭვის შეტანისა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებში. 1925 წელს საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოიღეს საგანი „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები". მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლება სავალდებულო იყო ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უფროსი კლასებიდან დაწყებული.

საბჭოთა კავშირის 1936 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ დააფიქსირა სკკპ ხელმძღვანელი როლი – პარტიისა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმით ხელმძღვანელობდა. საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციით კი მარქსიზმ-ლენინიზმი საბჭოთა კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიად გამოცხადდა.

ლენინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში გამორჩეული ლიდერი იყო, 1903 წლიდან ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა მიმდინარეობას, რომელმაც „ბოლშევიზმის" სახელი მიიღო. ლენინი, რომელიც რადიკალიზმითა და განსხვავებული აზრის მიუღებლობით გამოირჩეოდა, ბევრს ეკამათებოდა სხვა რევოლუციონერებს.

ლენინის მთავარი სიახლე მარქსიზმის თეორიაში პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბებული „იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი

[1] გარდა საბჭოთა კავშირისა, მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ოფიციალური იდეოლოგიაც იყო.

სტადიის" თეორია იყო (1916 წ.). მან ასევე ცვლილება შეიტანა რევოლუციის მარქსისტულ თეორიაში. მარქსი და ენგელსი მიიჩნევდნენ, რომ სოციალისტურ რევოლუციას ეკონომიკურად დანინაურებულ ქვეყნებში უნდა გაემარჯვა, ლენინი კი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური რევოლუცია შეიძლება დაწყებულიყო ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც „სუსტი რგოლი" იქნებოდა „იმპერიალიზმის ჯაჭვში".

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის დაწყების შესაძლებლობა, არათუ სხვა მიმართულების სოციალისტებს, ბოლშევიკების ნაწილსაც არ სჯეროდა.[1] 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება ლენინის დაჟინებული მოთხოვნით და ხელმძღვანელობით განხორციელდა. ლენინის ავტორიტეტი შეირყა ბრესტის ზავის (1918 წ.) პერიოდში[2], როდესაც ლენინი ამტკიცებდა, რომ გერმანიისთვის უნდა დათმოთ „სივრცე", რათა მოეგოთ „დრო" და თავი გადაერჩინათ. რამდენიმე თვეში გერმანია დამარცხდა, ბრესტის ზავის პირობები კი გაუქმდა. ამან პარტიაში ლენინის ავტორიტეტი გაზარდა და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის ავტორიტეტი მოუტანა.

ლენინისაგან მოელოდნენ ახსნას, თუ როგორ წარიმართებოდა „მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია", რა უნდა გაეკეთებინათ რუსეთში სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ. ლენინის უკანასკნელმა ნაშრომებმა ამ საკითხთან დაკავშირებით „ლენინის ანდერძის" სახელი მიიღო.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ლიდერებს შორის გაიშალა ბრძოლა „ლენინის მემკვიდრეობისათვის". ერთ-ერთი პირველი, ვინც მარქსიზმს ლენინიზმი დაუმატა, სტალინი იყო. 1924 წლის აპრილში სტალინმა ნაიკითხა ლექციების ციკლი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", სადაც ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომ განვითარებად გამოაცხადა და „იმპერიალიზმის ეპოქის მარქსიზმი" უწოდა, ლენინიზმის განსაზღვრება კი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით".[3]

სტალინი დაუპირისპირდა ზინოვიევს (1883-1936), რომლისთვისაც ლენინიზმი იყო მარქსიზმის გამოყენება ჩამორჩენილი რუსეთის პირობებში (ანუ ლენინიზმს არ ჰქონდა საერთაშორისო მნიშვნელობა), და ტროცკის, რომელიც ლენინიზმში მისაღებად მიიჩნევდა მხოლოდ იმას, რაც ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში და შემდეგ გააკეთა და რასაც ბევრ რამეში ეთანხმებოდა ტროცკი (ანუ ტროცკი უარყოფდა „ადრინდელ ლენინიზმს"). სტალინის განცხადებით, ლენინიზმი არ იყო ეკლექტიკური თეორია, „სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან შეკონწიბებული, რომელიც უშვებს თავის გაკვეთის შესაძლებლობას. ლენინიზმი არის მთლიანი თეორია 1903 წ. წარმოშობილი".[4]

ეს დავა შემთხვევითი არ იყო. მალე ცხადი გახდა, რომ „მარქსიზმ-ლენინიზმი" გადაიქცა საკრალურ სიტყვად, რომლის განმარტება და განვითარება შეეძლო მხოლოდ პარტიის გენერალურ მდივანს – სტალინს.[5]

---

[1] 1917 წლის 25 ოქტომბრის აჯანყების წინ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი ცნობილი ნევრი – კამენევი და ზინოვიევი აჯანყების წინააღმდეგ ნავიდნენ, რევოლუცია ნაადრევად მიიჩნიეს და თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს მენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ში.

[2] ბრესტის ზავი – 1918 წ. 3 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასა და მის მოკავშირეებთან და დაუთმო მნიშვნელოვანი ტერიტორიები.

[3] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. მეთერთმეტე გამოცემა, თბ., 1951, გვ.2.

[4] ი. სტალინი. ტროცკიზმი თუ ლენინიზმი? – თხზ., ტ. 6, თბ., 1949, გვ.402.

[5] არის ლენინიზმის სხვა განსაზღვრებებიც. მაგალითად, ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი მიიჩნევდა, რომ „ლენინიზმი არის ახალი ტიპის ბელადიზმი, ის აყენებს მასების ბელადს, რომელსაც დიქტატორის ხელისუფლება გააჩნია".

საკითხი	მარქსიზმი	მარქსიზმ-ლენინიზმი
მოძღვრება პარტიის შესახებ	კომუნისტურ პარტიას არ აკისრებს განსაკუთრებულ როლს.	მოძღვრება „ახალი ტიპის" პარტიის შესახებ.
პროლეტარიატის დიქტატურა	პროლეტარიატის დიქტატურა არის კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის საშუალება.	მოძღვრებამ „ახალი ტიპის პარტიის" შესახებ პროლეტარიატის დიქტატურა გადააქცია რევოლუციური პარტიის დიქტატურად, რომელიც მთლიანად აკონტროლებს ყველა სფეროს – პოლიტიკას, ეკონომიკას და პირად ცხოვრებას.
კაპიტალიზმის განვითარება		მოძღვრება იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის შესახებ.
სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები	სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებს ერთდროულად ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.	სოციალისტურმა რევოლუციამ შეიძლება გაიმარჯვოს ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში, თუნდაც ის იყოს ჩამორჩენილი და გლეხური ქვეყანა.

მარქსიზმ-ლენინიზმი მარქსიზმის ერთ-ერთი მემარცხენე რადიკალური ვერსიაა, რომელსაც ლენინმა ჩაუყარა საფუძველი. ლენინს მიაჩნდა, რომ მიჰყვებოდა მარქსიზმის „რევოლუციურ სულს" და იცავდა „რევიზიონიზმისა" და „ოპორტუნიზმისაგან", რომლებიც მას ღალატობდნენ. ლენინს არასოდეს უთქვამს, რომ შექმნა ახალი მოძღვრება „ლენინიზმი". ამავე დროს „ლენინიზმმა" მარქსიზმიდან გააქრო მთელი რიგი თემები: ჰუმანიზმის, გაუცხოების, სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიის და ა.შ. მარქსიზმმა ორთოდოქსული ხასიათი მიიღო.

მარქსიზმ-ლენინიზმმა მნიშვნელოვნად გაამარტივა მარქსიზმი. ეს პროცესი ლენინმა დაიწყო და გააგრძელა სტალინმა. ამით ოფიციალური იდეოლოგია უფრო გასაგები გახადა კომუნისტური ელიტისა და მასებისათვის. მეორე მხრივ, მასში შეიტანა მთელი რიგი პრინციპულად ახალი იდეები, მაგალითად, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ.

ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი, მისი პრინციპებიდან გამომდინარე, არის ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმების იდეოლოგიური დასაბუთება. ასეთი იყო იმ ქვეყნების ბედი, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმით ნაჩვენები გზით წავიდნენ.

ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ცნობილმა მეცნიერმა იმანუილ ვალერსტაინმა ლენინიზმი შემდეგნაირად განსაზღვრა: „ლენინიზმი ესაა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში ხელისუფლების დაპყრობის, განმტკიცების და შენარჩუნების სტრატეგია". მისი თქმით, ამ სახის ლენინიზმი მრავალ ქვეყანაში ვლინდება სხვადასხვა სახელით, ან სულაც ყოველგვარი სახელის გარეშე.[1]

ვალერსტაინის თანახმად, ლენინიზმს ახასიათებს ექვსი აუცილებელი ნიშანი:

პირველი. პარტიის/მოძრაობის პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც დარწმუნებულია, რომ უნდა მოვიდეს სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში დარწმუნებულია, რომ უნდა ფლობდეს ხელისუფლებას. პარტიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე ვერაფერს მიაღწევს;

[1] Иммануил Валлерстайн. Ленин и ленинизм сегодня и послезавтра – 25.01.2011– https://ava.md/2011/01/21/ lenin-i-leninizm-segodnya-i-poslezavtra/.

მეორე. პარტიის/მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უპირველესი ამოცანა ხდება სახელმწიფო აპარატის მკვეთრი გაძლიერება. სახელმწიფო აპარატი მიუწვდომელი ხდება ქვეყნის შიგნით განსხვავებულ პოზიციაზე მდგომთათვის და გარეშე ძალებისთვის. ამას შეიძლება სუვერენიტეტის განმტკიცება ეწოდოს;

მესამე. პარტიას მოძრაობას აქვს მკაცრად იერარქიული აგებულება მკაფიო მბრძანებლური სტრუქტურით და უპირობო მორჩილებით;

მეოთხე. მთავარი პოლიტიკური მიზანია ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, რათა გავიდნენ „მსოფლიოს მოწინავე მაჩვენებლებზე";

მეხუთე. იდეოლოგიურად პარტია/მოძრაობა თავს მიიჩნევს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბასტიონად. ანტიიმპერიალიზმის რიტორიკა ჩადებულია ლენინიზმის იდეურ-პოლიტიკური კონსტრუქციის საფუძველში. ლენინიზმი არის მობილიზაციური პასუხი ჩამორჩენის სიტუაციასა და სირცხვილზე საკუთარი ჩამორჩენილი ქვეყნის გამო;

მეექვსე. პარტია/მოძრაობა ხელისუფლებაში თანმიმდვრულად პრაგმატულია, ის სწრაფად რეაგირებს შეცვლილ სიტუაციაზე და ცვლის კურსს, თუკი ამას ხელისუფლების შენარჩუნების ინტერესი მოითხოვს.

ყველა ამ მახასიათებლის შეხამება ლენინიზმს აქცევს პოლიტიკური რეჟიმის არსებობის ეფექტურ საშუალებად.

11.10. „ახალი ოპოზიცია" და სტალინ-ბუხარინის კავშირი

ხელისუფლებიდან ტროცკის ჩამოცილებას ის მოჰყვა, რომ ანტიტროცკისტული სამთა კავშირი დაირღვა და ამბიციური ზინოვიევი და სტალინი ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ტროცკი უკმაყოფილო იყო იმით, რომ პარტია კი არ აკონტროლებდა თავის აპარატს, არამედ აპარატი მართავდა პარტიას[1] და ეშინოდა, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდოდა „ნეპმანების, კულაკების და ბიუროკრატების" კავშირი. მას ეშინოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად „ბურჟუაზიული სტიქიის" აღორძინებისა, რომელიც განმტკიცდებოდა და ადრე თუ გვიან დაამხობდა ბოლშევიკურ რეჟიმს. საბოლოდ ზინოვიევი და კამენევი ტროცკის პოზიციისკენ გადაიხარნენ, სტალინი კი ეყრდნობოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მომხრეებს – „მემარჯვენეებს": ბუხარინს, რიკოვსა და ტომსკის, რათა არ დაეშვა ზინოვიევისა და კამენევის გაძლიერება.

ბრძოლა, ერთი მხრივ, სტალინსა და, მეორე მხრივ, ზინოვიევსა და კამენევს შორის 1924 წლის ივნისში დაიწყო, პერიოდულად სუსტდებოდა, მაგრამ 1925 წლის განმავლობაში დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდებოდა. ფრუნზეს სიკვდილი საოპერაციო მაგიდაზე ამ ბრძოლის ნანილი იყო. სტალინის ხელში იყო პარტიული აპარატი – „ნომენკლატურა", ზინოვიევი კი ეყრდნობოდა პარტიის ერთ-ერთ უდიდეს სტრუქტურას – ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც სათავეში ედგა.

გრიგორი ზინოვიევი და ლევ კამენევი, რომლებიც თავიდან ტროცკის წინააღმდეგ სტალინის მხარეზე გამოდიოდნენ, 1925 წელს ოპოზიციაში გადავიდნენ. პირველი შეტაკება „ახალ ოპოზიციასთან" სტალინს მოუხდა 1925 წლის აპრილში, როდესაც განიხილებოდა თეზისები „რკპ(ბ) და კომინტერნის ამოცანების შესახებ". ზინოვიევი წინადადებას აყენებდა, რეზოლუციაში ჩაეწერათ, რომ სოციალიზმის გამარჯვება შეიძლება მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით. პლენუმმა უარყო მისი პროექტი და მოუწოდა, გაეგრძელებინათ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა იმ რწმენით, რომ „ეს მშენებლობა წარმატებული იქნება".

ამ დროიდან ვიდრე 1928 წლამდე უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა სტალინისა და ბუხარინის კავშირს ემყარებოდა. მათი გავლენიანი მოკავშირეები რიკოვი, მოლო-

[1] სინამდვილეში ტროცკი ნუხდა საკუთარ თავზე, რადგანაც პარტიულ აპარატს სტალინი აკონტროლებდა.

ტოვი და ტომსკი იყვნენ. ნიკოლაი ბუხარინი ამ დროს კომუნისტური პარტიის მთავარი ორგანოს გაზეთ „პრავდის“ რედაქტორი იყო; ალექსეი რიკოვი – სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე; ვიაჩესლავ მოლოტოვი კი – ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს ხელმძღვანელი.

XIV პარტიულ კონფერენციაზე (1925 წ. 27-29 აპრილი) გაიშალა დისკუსია ასევე იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინათ სოფლად – განემტკიცებინათ საბაზრო ურთიერთობები თუ დაბრუნებოდნენ გლეხებისათვის „ნამეტი“ პროდუქტის იძულებით ჩამორთმევის გზას. ზინოვიევი და კამენევი ემხრობოდნენ გლეხობის საგადასახადო ტვირთის გაზრდას, სტალინი, ბუხარინი და კალინინი – გლეხობის საგადასახადო ტვირთის შემცირებას. სტალინის განცხადებით, მთავარი ამოცანა იყო საშუალო გლეხის შრომის ნაყოფიერების გაზრდა და ბოლშევიკებს უნდა მოეპოვებინათ საშუალო გლეხის სიმპათია. სამი წლის შემდეგ სტალინი სრულიად საპირისპირო პოლიტიკას გაატარებს.

„ახალმა ოპოზიციამ“ სტალინისა და ბუხარინის თეზისი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ მსოფლიო რევოლუციის საქმის ღალატად გამოაცხადა.

ნ. ბუხარინი ასაბუთებდა ახალ სტრატეგიულ კურსს, რომლის თანახმადაც, „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გავლით უნდა მომხდარიყო სოციალიზმში შეზრდა“ და 1925 წლის აპრილის შუა რიცხვებში ნამოაყენა დაგროვების პოლიტიკის ლოზუნგი – „გამდიდრდით!“, რომელიც მთელი გლეხობისადმი იყო მიმართული. ოპოზიცია გმობდა ამ ლოზუნგს და მთლიანად ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას აცხადებდა, როგორც კაპიტალიზმის წინაშე უკანდახევას ქალაქშიც და სოფელშიც, ხოლო ჩამორჩენილ რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის იდეა მიაჩნდა **„ნაციონალ-ბოლშევიზმად“**, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ღალატად.

გადამწყვეტი ბრძოლა, ერთი მხრივ, სტალინსა და მის მომხრეებსა და, მეორე მხრივ, ზინოვიევსა და კამენევს შორის შედგა პარტიის XIV ყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი). ყრილობის მოწვევა სტალინმა 9 თვით გადაავადა, უკეთ რომ მომზადებულიყო ზინოვიევთან საბრძოლველად. ყრილობამდე ერთი თვით ადრე მოსკოველი ემისრებისგან პარტიულმა მასამ გაიგო, რომ კომუნისტურ პარტიაში არსებობდა „ახალი ოპოზიცია“. სინამდვილეში კი ამ ოპოზიციას არანაირი განსაკუთრებული პლატფორმა არ ჰქონდა. 1925 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადის პარტორგანიზაციის XXII კონფერენციამ დაადგინა: „კონფერენცია მთლიანად და სრულად იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს“. გლეხთა საკითხი ბოლშევიკური ხელმძღვანელობისთვის ძალზე პატარა იყო, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი კი – ძალზე აბსტრაქტული, მასზე რომ თავი ეტეხათ. სინამდვილეში დავის საკითხი სხვა რამ იყო. სტალინის თქმით, ოპოზიციის ახალი პლატფორმის არსი „სამდივნოს რეფორმაში“ მდგომარეობდა, ე. ი. ეს იყო გენერალური მდივნის წინააღმდეგ ბრძოლა.

საკ. კპ (ბ) XIV ყრილობაზე (1925 წლის დეკემბერი) კამენევმა წინადადება წამოაყენა, შეესრულებინათ ლენინის მითითება და სტალინი მოეხსნათ გენერალური მდივნის პოსტიდან. აღსანიშნავია, რომ წინა XIII ყრილობაზე სწორედ კამენევი იცავდა სტალინის ამ თანამდებობაზე დატოვებას, ლენინის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. ტროცკი XIV ყრილობაზე ჩუმად იყო, მას არც სტალინისთვის დაუჭერია მხარი და არც ზინოვიევ-კამენევისთვის.

საკ. კპ (ბ) XIV ყრილობაზე „ახალმა ოპოზიციამ“ მარცხი განიცადა, ყრილობამ უარყო წინადადება გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენების შესახებ. ყრილობაზე სტალინმა განაცხადა, რომ „პარტიას ერთიანობა ესაჭიროებოდა და ამას მიაღწევდა ზინოვიევთან და კამენევთან ერთად, თუკი ისინი ამას მოისურვებდნენ, ან მათ გარეშე, თუკი ამას არ მოისურვებდნენ“.

სტალინის პოზიციები პოლიტბიუროში განმტკიცდა. ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა (1926) პოლიტბიუროში შეიყვანა კალინინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი, რომელიც ფრუნზეს სიკვდილის შემდეგ დაინიშნა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად.

ამავე დროს ზინოვიევი, კამენევი და სხვა „ოპოზიციონერები“ პარტიული თანამდებობებიდან გადააყენეს. კამენევი პოლიტბიუროს წევრობიდან კანდიდატად გადაიყვანეს, 8 იანვარს კი ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ზინოვიევის ნაცვლად კიროვი აირჩიეს. ტროცკი კვლავ ჩუმად იყო, შეიძლება მას ზინოვიევისა და კამენევისთვის ვერ ეპატიებინა 1923-1924 წლები, როდესაც ისინი სტალინთან ერთად ტროცკის დევნიდნენ.

სტალინი, რიკოვი, ზინოვიევი და ბუხარინი 1924 წლის სექტემბერში.

11.11. გაერთიანებული „ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი“

ზინოვიევთან და კამენევთან დაპირისპირების დროს სტალინი თავიდან ტროცკისთან კავშირისკენაც კი იხრებოდა. სტალინმა მათ საპირისპიროდ მხარი დაუჭირა ტროცკის ხელახლა არჩევას ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროში.

იზოლაციაში მოქცეულმა ზინოვიევმა და კამენევმა გადაწყვიტეს მიმხრობოდნენ „მემარცხენე ოპოზიციას“, ე. ი. ტროცკის და ის ჩამოეცილებინათ სტალინისათვის. 1925 წელს ტროცკიმ, ზინოვიევმა და კამენევმა მკაფიოდ გაიცნობიერეს, რომ პრაქტიკულად ერთნაირი ნეგატიური პოზიცია ჰქონდათ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხისადმი. „მემარცხენე ოპოზიციის“ სამივე ლიდერი უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას და არსებითად იმეორებდნენ მანამდე ბოლშევიზმის უდავო დებულებას მსოფლიო რევოლუციის აუცილებლობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის 1926 აპრილის პლენუმზე დაიწყო ტროცკისა და ზინოვიევ-კამენევის დაობლოება არა პოლიტიკის ნიადაგზე (ერთობლივი ბრძოლა სტალინის დიქტატის წინააღმდეგ), არამედ ეკონომიკის ნიადაგზე (ხელფასის გაზრდა მუშებისთვის, კულაკური მეურნეობების ახალი 15%-იანი გადასახადით დაბეგვრა, ქვეყანაში ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაზრდა). სტალინმა მაშინვე გამოაცხადა, რომ „მემარცხენეები“ სოფლის „გაძარცვას“ სთავაზობენ პარტიას, თითქოსდა თვითონ გლეხებზე გული შესტკიოდა და მათ იცავდა.

ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის აპრილის პლენუმზე შეიქმნა „ტროცკი-ზინოვიევის ბლოკი“ ისინი სტალინისა და მისი მომხრეების პოლიტიკურ კურსს მიიჩნევდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ბიუროკრატიულ რეჟიმად გადაგვარების შედეგად. ბლოკი მოუნოდებდა, გაეძლიერებინათ ზეწოლა „კლასობრივად უცხო“ ელემენტებზე ქალაქად და სოფლად, პირველ რიგში კი კულაკებზე.

„გაერთიანებული ოპოზიციის“ ძირითადი დებულებები იყო:
✓ რევოლუციას უღალატა პარტიულმა ბიუროკრატიამ;
✓ ქვეყანა გადატრიალების ზღურბლზეა;
✓ აუცილებელია პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის შეცვლა;
✓ უნდა დაჩქარდეს მძიმე მრეწველობის განვითარება;
✓ გაუმჯობესდეს მუშების შრომის პირობები;
✓ მოხდეს პარტიის დემოკრატიზაცია;
✓ ბრძოლა ნეპმანებისა და კულაკების გამდიდრებასთან.

ოპოზიციას აეკრძალა თავისი შეხედულებების პროპაგანდა, ამიტომ ისინი გადავიდნენ მასებში მუშაობის არალეგალური ფორმების გამოყენებაზე. 1926 წლის ზაფხულიდან დანყებული ტროცკისა და ზინოვიევის ხელმძღვანელობით მოქმედი **კონსპირაციული**

ცენტრი შეუდგა მუშებს შორის სააგიტაციო მასალების გავრცელებას, მაგრამ ამას წარმატება არ მოჰყოლია. 1926 წლის 23 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა წინადადება წამოაყენა, ზინოვიევი გაეთავისუფლებინათ კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარის პოსტიდან (გაათავისუფლეს 1926 წლის ნოემბერში), ტროცკი გამოიყვანა პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, ხოლო კამენევი მოიხსნა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან.

მიუხედავად ამისა, მემარცხენე ოპოზიცია ბრძოლას აგრძელებდა და ამისათვის აქტიურად გამოიყენა სტალინის ხელმძღვანელობის მიერ მოწონებული პოლიტიკა ჩინეთში, რომლის თანახმადაც, ჩინეთის კომპარტია გომინდანთან კავშირში უნდა გამოსულიყო. ამას მოჰყვა კომუნისტების დამარცხება და ჩან კაიშის მოსვლა ხელისუფლების სათავეში. 1927 წლის მაისის ბოლოს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის 83-მა მონაწილემ პოლიტბიუროს გაუგზავნა წერილი-პლატფორმა. მასში ამტკიცებდნენ, რომ ჩავარდნა საგარეო არენაზე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიის მცდარობის უდავო დადასტურება იყო. ეს თეორია გამოაცხადეს „წვრილბურჟუაზიულად", რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მარქსიზმ-ლენინიზმთან.

სტალინური უმრავლესობის წინააღმდეგ ოპოზიციის ბრძოლის უმთავრესი ფორმა იყო უმაღლეს პარტიულ ორგანოებში საპროტესტო წერილებისა და განცხადებების გაგზავნა. აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა პარტიული მიტინგებისა და კრებების ტრიბუნებს. სტალინს, ბუხარინს, მოლოტოვს და მათ მომხრეებს ბრალს სდებდნენ „მემარჯვენე გადახრაში", „მენშევიზმში", „ოპორტუნიზმში". კომინტერნის ხელმძღვანელობიდან ზინოვიევის მოხსნის შემდეგ კი ბრალს სდებდნენ კომინტერნის პოლიტიკის ჩავარდნაშიც.

1926 წლის ბოლოს „83-ის პლატფორმა" გახდა პარტიულ კრებებზე განხილვის საგანი, სადაც სტალინელებმა უპირატესობა მოიპოვეს „მემარცხენეებზე".

მემარცხენე ოპოზიციამ ამის შემდეგ სცადა გაევრცელებინა ბროშურა, რომელშიც გადმოცემული იყო „ბოლშევიკ-ლენინელების პლატფორმა", წამოიწყო ახალი დისკუსია და ოქტომბრის გადატრიალების მე-10 წლისთავზე, 1927 წლის 7 ნოემბერს ტროცკიმ და ზინოვიევმა მოაწყვეს დემონსტრაციები მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში თავიანთი ლოზუნგებით. დემონსტრანტები დაარბიეს და დაშალეს. შედეგად საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა (1927 წლის ნოემბერი) ზინოვიევი და ტროცკი პარტიიდან გარიცხა.

პლენუმზე ტროცკიმ წარმოთქვა სიტყვა, რაც სამუდამოდ დაამახსოვრდათ მის მოწინააღმდეგეებს და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ტროცკის დალუპვა: „თქვენ უნიჭო ბიუროკრატების ჯგუფი ხართ. თუკი დადგება საბჭოთა ქვეყნის ბედის საკითხი, თუკი დაიწყება ომი, თქვენ უძლური იქნებით დაიცვათ ქვეყანა და გამარჯვებას მიაღწიოთ. მაშინ, როდესაც მტერი იქნება მოსკოვიდან 100 კილომეტრში, ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც თავის დროზე გააკეთა კლემანსომ, – დავამხობთ უნიჭო მთავრობას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კლემანსო დაკმაყოფილდა ხელისუფლების აღებით, ჩვენ კი გარდა ამისა, დავხვრეტთ რევოლუციის მოღალატე ამ უსუსური ბიუროკრატების ჩლუნგ ბანდას. დიახ, ჩვენ ამას გავაკეთებთ. თქვენ ასევე გინდათ ჩვენი დახვრეტა, მაგრამ ვერ გაბედავთ. ჩვენ კი გავბედავთ, რადგანაც ეს იქნება გამარჯვების სრულიად აუცილებელი პირობა".

1927 წლის დეკემბერში საკ. კპ(ბ) XV ყრილობამ პარტიიდან გარიცხა 93 ცნობილი ოპოზიციონერი, მათ შორის კამენევი, პიატაკოვი, რადეკი, რაკოვსკი, სმილგა. ყრილობის დამთავრების მეორე დღეს ასევე მოექცნენ და პარტიიდან გარიცხეს ათასობით ტროცკისტი.

კისტი. მემარცხენე ოპოზიციამ დაკარგა პარტიაში თავისი ყველა ოფიციალური პოზიცია.

1927 წლის დეკემბერი, პარტიის XV ყრილობა შეიძლება მივიჩნიოთ სტალინის ერთპიროვნული მმართველობის დასაწყისად.

ზინოვიევი და კამენევი სტალინის წინაშე კაპიტულაციის გზას დაადგნენ. 1927 წლის დეკემბერში მათ განაცხადეს, რომ ემორჩილებიან XV ყრილობის რეზოლუციას, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა პარტიაში ოპოზიციური ფრაქციის არსებობას და მისი იდეების პროპაგანდას. ტროცკისტები კი არ დაეთანხმნენ დადგენილების პუნქტს შეხედულებების პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე.

ზინოვიევმა და კამენევმა მონანიების წერილით მიმართეს საკ. კპ(ბ) ყრილობის პრეზიდიუმს და განაცხადეს „იდეური და ორგანიზაციული განიარაღების თაობაზე". ორივე 1928 წლის ივნისში აღადგინეს პარტიაში. სტალინი, ალბათ, თვლიდა, რომ მათი დახმარება დასჭირდებოდა მემარჯვენე ოპოზიციასთან ბრძოლაში.

1928 წლის იანვარში მოსკოვიდან გაასახლეს ყველა ცნობილი ოპოზიციონერი. ტროცკი გადაასახლეს ჯერ ალმა-ატაში, ხოლო 1929 წლის თებერვალში უცხოეთში, თურქეთში გააძევეს. მის მომხრეებს კი ან უნდა ელიარებინათ სტალინის კურსის „სისწორე", ან წასულიყვნენ საკონცენტრაციო ბანაკებში.

მრავალი იდეური ტროცკისტი, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე: ბ. ელცინი, ვ.კოსიორი, მ. ვარშავსკაია, ი. სმირნოვი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თავიანთი თვალსაზრისისა, დახვრეტის წინაც არ აღიარებდნენ სტალინური ხაზის „სისწორეს". 1936-1938 წლებში გულაგში დახვრიტეს რამდენიმე ათასი იდეური ტროცკისტი, რომლებიც სიკვდილის წინ მსოფლიო რევოლუციისა და ტროცკის სახელს გაჰყვიროდნენ.[1]

11.12. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისი და უთანხმოება სტალინ-ბუხარინს შორის

1928 წლის გაზაფხულზე სტალინსა და ბუხარინს შორის უთანხმოება გამოიკვეთა. სტალინის დაჯგუფებამ ბრძოლა დაიწყო ნეპის ყველაზე თანმიმდევრული დამცველების ნინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში პირველი ორი ხუთწლედის განხორციელების პერიოდი (1928 წლის 1 ოქტომბერი – 1937 წლის ბოლომდე) იყო „ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში" სოციალიზმის აშენების მცდელობა. არსებითად, ეს იყო ქვეყნის **მოდერნიზაციის პოლიტიკა.** ამისათვის პირველ რიგში საჭირო იყო მძიმე ინდუსტრიის განვითარება.

ამ მიზნის მისაღწევად გამოიკვეთა ორი გზა:

პირველი გზა გულისხმობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას. ინდუსტრიალიზაციისთვის სახსრები უნდა გამოენახათ საკუთრების არსებული ფორმების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამოყენებით, ამ გზით სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის სფეროებში სახსრების დაგროვებით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. ეს გზა გულისხმობდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელებას. ამ გზით წასვლას ემხრობოდა ნ. ბუხარინი, რომლის პოზიციაც „მემარჯვენე გადახრად" შეფასდა.

მეორე გზა, რომლისკენაც სულ უფრო მეტად იხრებოდა სტალინი, მიზნად ისახავდა მთელი მეურნეობის კონცენტრაციას სახელმწიფოს ხელში, ინდუსტრიალიზაციისთვის საჭირო რესურსების მობილიზებისთვის არაეკონომიკური, სახელმწიფო-ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებას. ეს ნიშნავდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმას,

[1] История России XX век. Под ред. А. Б. Зубова. Том II. М., 2016. Стр.46.

რესურსების მასშტაბურ და სარისკო ამოღებას სოფლის მეურნეობიდან და მსუბუქი მრეწველობიდან, რათა დაეჩქარებინათ მძიმე მრეწველობის შექმნა. მძიმე მრეწველობა კი შემდეგ საფუძვლად დაედებოდა ყველა სხვა დარგის განვითარებას.

სტალინი უკვე ნაწილობრივ მიმართავდა „მემარცხენეთა" ლოზუნგებს „კულაკებისა და ნეპმანების" წინააღმდეგ და მოითხოვდა „კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას". ბუხარინი გამოდიოდა კულაკების დევნის წინააღმდეგ, დაჩქარებული კოლექტივიზაციის წინააღმდეგ და წამოაყენა იდეა „კლასობრივი ბრძოლის ქრობის", „ბურჟუაზიის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის" შესახებ.

1928 წლის 30 სექტემბერს ბუხარინმა „პრავდაში" გამოაქვეყნა სტატია „ეკონომისტის შენიშვნები", რომელშიც წერდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უკრიზისო განვითარების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე, ვინმეს დასახელების გარეშე აკრიტიკებდა „ზეინდუსტრიალიზაციის" მომხრეებს. სტატია აშკარა თავდასხმა იყო სტალინის ჯგუფზე და მწვავე პოლემიკა გამოიწვია პოლიტბიუროს სხდომაზე. სტალინმა ბუხარინს მოსთხოვა, შეეწყვიტა „კოლექტივიზაციის დამუხრუჭების ხაზი", ბუხარინმა კი სტალინს უწოდა „პატარა აღმოსავლური დესპოტი".

ბუხარინი ცდილობდა თავისი მომხრეების გაზრდას და შეეცადა კონტაქტი დაემყარებინა „მემარცხენე ოპოზიციის" ყოფილ ლიდერებთან. 1928 წ. ივნისში ის შეხვდა კამენევს, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა კალუგიდან (იქ იყო გადასახლებული). ბუხარინი შეხვედრის დროს აღნიშნავდა, რომ „რევოლუცია დაღუპულია", რომ „სტალინი ჩინგიზხანია", სტალინს „ყველაზე ცუდი სახის ინტრიგანს" უწოდებდა, რომელსაც „არაფერი აინტერესებს, გარდა ხელისუფლების შენარჩუნებისა".

ბუხარინმა კამენევს სტალინის წინააღმდეგ კავშირის შექმნა შესთავაზა. კამენევი ამას არ დათანხმდა, იმედოვნებდა, რომ მორიგი შიდაბრძოლის დროს მას კვლავ გაიხსენებდნენ და ხელისუფლებაში დააბრუნებდნენ. მაგრამ ამ შეხვედრის შესახებ კამენევმა ინფორმაცია მიანოდა „ახალგაზრდა ტროცკისტებს", რომლებმაც ეს გამოაქვეყნეს 1929 წ. იანვარში არალეგალურად გამოცემულ ბროშურაში.

ბუხარინი შეეცადა თავის მხარეს გადაეყვანა ვოროშილოვი და კალინინი; იაგოდასა და ტრილისერს[1] ელაპარაკებოდა სტალინის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ. 1929 წ. იანვრის შუა რიცხვებში, რიკოვსა და ტომსკისთან ერთად, გამოვიდა ტროცკის გადასახლების წინააღმდეგ. მაგრამ სტალინის მომხრე უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ტროცკის გადასახლებაში ყოფნას, რადგანაც ის ალმა-ატიდან თავის მომხრეებს მოუწოდებდა, გადასულიყვნენ აქტიურ მოქმედებაზე.

1929 წლის 11 თებერვალს ტროცკი გემზე დასვეს, რომელიც კონსტანტინეპოლში მიდიოდა, და საბჭოთა კავშირიდან გააძევეს.[2]

ხუთწლედის პირველი თვეების განმავლობაში ბუხარინი სამჯერ გამოვიდა გაზეთ „პრავდაში" სტალინის „გენერალური ხაზის" წინააღმდეგ. ყველაზე მკვეთრი იყო მისი გამოსვლა სიტყვაში, რომელიც ლენინის გარდაცვალების მე-5 წლისთავს ეძღვნებოდა (გამოქვეყნდა 24 იანვარს სათაურით „ლენინის პოლიტიკური ანდერძი"). სტატიაში გადმოცემული იყო სოციალიზმის მშენებლობის ლენინის გეგმა და მიმართული იყო სტალინის წინააღმდეგ. ეს იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ფილოსოფიისა და პოლიტიკის დაცვა, მისი სათაური კი შეხსენება იყო ლენინის „ანდერძისა" – გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენების აუცილებლობის შესახებ.

---

[1] მიხაილ ტრილისერი (1883-1940) იყო ჩეკისტი და საგარეო დაზვერვის სამსახურის ერთ-ერთი ორგანიზატორი.
[2] 1933 წელს ტროცკი საფრანგეთში გადავიდა, 1935 წელს – ნორვეგიაში, 1937 წ. იანვრიდან ცხოვრობდა მექსიკაში, 1940 წლის აგვისტოში ტროცკი მოკლა რ. მერკადერმა, სტალინის აგენტმა.

11.13. გადამწყვეტი შეტაკება სტალინისა და ბუხარინის მომხრეებს შორის

პოლიტბიუროსა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ერთობლივ სხდომაზე (1929 წ. 30 იანვარი – 9 თებერვალი) მოხდა გადამწყვეტი შეტაკება სტალინსა და ბუხარინს შორის, რასაც პოლიტბიუროში ახალი განხეთქილება მოჰყვა. სტალინმა პირველად დაასახელა „მემარჯვენეთა" სახელები: ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი. მათ ბრალი დასდო არა უბრალოდ თეორიულ შეცდომებში, არამედ „მემარჯვენე-ოპორტუნისტული, კაპიტულანტური პლატფორმის ქონაში", რომელთაც განზრახული ჰქონდათ „ტროცკისტებთან ანტიპარტიული ბლოკის შეკვრა".

„მემარჯვენე" ოპოზიციისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი (1929 წლის 16-23 აპრილი). პლენუმის 300-ზე მეტი მონაწილიდან ბუხარინის მომხრე 10-ზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. პლენუმი სტალინმა პირველად ჩააყენა საქმის კურსში, რომ უკვე ერთი წელი მიმდინარეობდა ბრძოლა „მემარჯვენეებთან". პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგინეს პოლიტბიუროს რეზოლუცია, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ბუხარინი.

სტალინის მტკიცებით, იმ საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება, რასაც ბუხარინი მოითხოვდა, ნიშნავდა „მუშათა კლასის, რევოლუციის ღალატს". განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ბუხარინზე, როგორც სუსტ თეორეტიკოსზე. გაიხსენა ლენინის შეფასება, რომ ბუხარინი „მთლად მარქსისტი არაა". მკაცრად გააკრიტიკეს ასევე რიკოვი და ტომსკი.

პლენუმის გადაწყვეტილებით ბუხარინი ჩამოაცილეს „პრავდასა" და კომინტერნში მუშაობას, ტომსკი გადააყენეს პროფკავშირების თავმჯდომარის პოსტიდან და გააფრთხილეს, რომ პოლიტბიუროდანაც გაიყვანდნენ, თუკი კვლავ შეეცდებოდა „კაპიტულანტური" შეხედულებების პროპაგანდას. პოლიტბიუროში ადგილი დაკარგა ნიკოლაი უგლანოვმაც.[1]

1929 წლის ნოემბერში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დროს „მემარჯვენეების" ლიდერებმა განცხადებით მიმართეს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმას და „სამხედრო კომუნიზმის" იდეალების აღორძინებას მოჰყვებოდა კრიზისი სოფლის მეურნეობაში, შეაფერხებდა ქალაქების სურსათით მომარაგებას. პასუხი მკაცრი იყო: ბუხარინი, როგორც „მემარჯვენე გადახრის ხელმძღვანელი," პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანეს. რიკოვს, ტომსკის და სხვებს კი სერიოზული გაფრთხილება მისცეს. „მემარჯვენე" ოპორტუნიზმის პროპაგანდა და მის მიმართ შემრიგებლური დამოკიდებულება პარტიაში ყოფნასთან შეუთავსებლად გამოცხადდა.

რეზოლუციამ ეფექტი იქონია. 1929 წლის 26 ნოემბერს „მემარჯვენეთა" ლიდერებმა განაცხადეს, რომ წყვეტენ ბრძოლას. „პრავდაში" გამოქვეყნდა ტომსკის, ბუხარინისა და რიკოვის შესაბამისი წერილი. მომდევნო დღეებში ერთიმეორის მიყოლებით განცხადებებს აკეთებდნენ „ბუხარინის სკოლის" წარმომადგენლები, რომლებიც უარს ამბობდნენ ოპოზიციურ საქმიანობაზე. ესენი იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ ცენტრალურ და ადგილობრივ იდეოლოგიურ დაწესებულებებში, საგეგმო და სამეურნეო ორგანოებში.

XV ყრილობიდან ორი წლის შემდეგ, 1929 წელს საბოლოოდ განმტკიცდა სტალინის ერთპიროვნული ხელისუფლება. 1929 წლის დეკემბრის ბოლოს საზეიმოდ აღინიშნა „ბელადის" 50 წლის იუბილე.

[1] ნიკოლაი უგლანოვი (1886-1936). 1923-1930 წლებში იყო საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1926-1929 წლებში – პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, 1936 წლის 23 აგვისტოს დახვრიტეს.

თავი XII.

რამ განაპირობა სტალინის გამარჯვება

12.1. 1920-იანი წლების შიდაპარტიული ბრძოლის ზოგადი დახასიათება

არც სტალინი და არც მისი მოკავშირეები თუ მოწინააღმდეგეები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში არ ფიქრობდნენ ხალხის კეთილდღეობაზე. სინამდვილეში ისინი პირველობისთვის იბრძოდნენ და ასევე კამათობდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ შეენარჩუნებინათ ხელისუფლება და გაეფართოებინათ კომუნისტური გავლენა მთელ მსოფლიოზე.

შიდაპარტიულ ბრძოლას მწვავე და დაუნდობელი ფორმა ჰქონდა. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ბრალს სდებდნენ „კონტრრევოლუციურობაში", „წვრილბურჟუაზიულობაში", „ლენინიზმიდან ჩამოცილებაში", „ფაშიზმში", სხვადასხვა „გადახრებში". მაგალითად, 1925 წელს ზინოვიევი სტალინს ბრალს სდებდა „ნახევრად ტროცკისტულ გადახრაში", საპასუხოდ კი მიიღო ასევე აბსურდული ბრალდება „აქსელროდოვშჩინეობაში" (ე. ი. მენშევიკობაში, ცნობილი მენშევიკის პ. აქსელროდის გვარის მიხედვით), მიუხედავად იმისა, რომ ზინოვიევი ცენტრალურ კომიტეტს აკრიტიკებდა არა მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდან. აღსანიშნავია, რომ 1923 წელს რკპ (ბ) XII ყრილობაზე თავად ზინოვიევი, რომელიც იმ დროს ცენტრალურ კომიტეტს ედგა სათავეში, აცხადებდა: „პარტიული ხაზის ნებისმიერი კრიტიკა, თუნდაც ე. წ. „მემარცხენე", ობიექტურად მენშევიკური კრიტიკაა".

მიმდინარეობდა „მაკომპრომეტირებელი მასალებით ბრძოლა", ძირითადად იყენებდნენ ძველ უთანხმოებებს ლენინთან, რაც სხვადასხვა დროს ჰქონდა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ყველა პრეტენდენტს. მაგალითად, კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე (1926) სტალინმა განაცხადა, რომ 1917 წელს კამენევმა, როცა გაიგო თებერვლის რევოლუციის შესახებ, გადასახლებიდან (აჩინსკიდან) მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დიდ მთავარ მიხეილს, როგორც „თავისუფალი რუსეთის პირველ მოქალაქეს". სინამდვილეში ხმები „კამენევის დეპეშის" შესახებ 1917 წლის გაზაფხულზე იყო გავრცელებული პეტროგრადში და ის „პრავდამ" უარყო.

თავად სტალინზე დიდი მაკომპრომეტირებელი მასალა იყო ლენინის წერილი XII ყრილობას („ლენინის ანდერძი"), სადაც ერთ-ერთი რეკომენდაცია გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენება იყო. შემდეგ გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ სტალინი რევოლუციამდე თითქოსდა თანამშრომლობდა მეფის „ოხრანკასთან".

ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესის თავისებურება ისიც იყო, რომ მას თან ახლდა გააფთრებული დისკუსია საბჭოთა კავშირის ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის თაობაზე.

კონფლიქტის ყველა მხარე დიდად არ დარდობდა მორალურ პრინციპებზე. ისინი შეთანხმებებს დებდნენ ყოფილ მოწინააღმდეგეებთან გუშინდელი მოკავშირეების წინააღმდეგ, ცვლიდნენ თავიანთ პლატფორმებს საპირისპიროზე.

მაგალითად, „ზინოვიეველი" უგლანოვი 1925 წელს გადავიდა სტალინის მხარეზე, მაგრამ 1928 წელს შეუერთდა „მემარჯვენე გადახრას". ტროცკი იბრძოდა „შიდაპარტიული დემოკრატიისათვის" და „თერმიდორის" წინააღმდეგ, თუმცა სამოქალაქო ომის შემდეგ თავად მას წარმოადგენდნენ „წითელი ბონაპარტის" კანდიდატად. რაც შეეხება დემოკრატიას, ტროცკი, სანამ ხელისუფლებაში იყო, X ყრილობაზე (1921) აცხადებდა, რომ მისი ოპონენტები „დემოკრატიზმის" ლოზუნგისგან ფეტიშს ქმნიან, ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ კი აქტიურად მოითხოვდა დემოკრატიის გაფართოებას. სტალინმა XIII პარტკონფერენციაზე (1924) აღნიშნა, რომ ტროცკის „დემოკრატია სჭირდება როგორც სტრატეგიული მანევრი".

თავად სტალინი 1926-1927 წლებში ებრძოდა ტროცკი-ზინოვიევის „მემარცხენე“ ოპოზიციას, მაგრამ მისი განადგურების შემდეგ, 1927 წელს, პურის დამზადების კრიზისის გავლენით, თავად აიღო ოპოზიციის ლოზუნგები; ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სფეროში სტალინმა ფაქტობრივად განახორციელა ტროცკისტთა პროგრამა.

ზინოვიევი სამოქალაქო ომის წლებში ტროცკის პირადი მტერი გახდა, 1923-1924 წლებში გააფთრებით ებრძოდა მას (ტროცკი ზინოვიევს მიანერდა ტერმინ „ტროცკიზმის“ გაჩენას), მაგრამ 1926 წელს ზინოვიევმა ბლოკი შექმნა სწორედ ტროცკისთან.

არანაკლებ შთამბეჭდავია ბუხარინის, 1920-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე ზომიერი პოლიტიკური ლიდერის, იდეური ევოლუცია: სამოქალაქო ომის წლებში ის იყო არა ბოლშევიზმის მარჯვენა ფლანგზე, არამედ მარცხენა ფლანგზე, დაწერა კიდეც პოპულარული პარტიული სახელმძღვანელო „კომუნიზმის ანბანი“, რომელიც „სამხედრო კომუნიზმის“ აპოლოგია იყო.

1930-იანი წლებისათვის საბჭოთა სახელმწიფო იდეოლოგია გამდიდრდა რამდენიმე ახალი დებულებით. სტალინის პირად გამოგონებად ითვლება 1924 წელს მის მიერ წამოყენებული თეზისი „ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ“. 1920-იანი წლების იდეოლოგიური ბრძოლების შემდეგ სტალინის ოფიციალურ საბჭოთა დოქტრინაში შევიდა მთელი რიგი დებულებები, რომლებიც სტალინის მოწინააღმდეგეებმა შეიმუშავეს. მაგალითად, ტერმინი „პარტიის გენერალური ხაზი“ პირველად ბუხარინმა გამოიყენა, ლენინგრადს „სამი რევოლუციის ქალაქი“ უწოდა ზინოვიევმა, ზინოვიევს ასევე ეკუთვნის თეზისი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის „სოციალ-ფაშიზმად“ გადაგვარების შესახებ; საბოლოო ჯამში ამ თეზისმა ხელი შეუშალა გერმანიაში მემარცხენე ძალების გაერთიანებას ნაციზმის წინააღმდეგ.

გლეხობისაგან თანხების ამოღების გზით ფორსირებული „ზეინდუსტრიალიზაციის“ დოქტრინა 1924 წელს შეიმუშავა ტროცკისთან ახლოს მდგომმა ეკონომისტმა პრეობრაჟენსკიმ.

პარადოქსულია, მაგრამ ლოზუნგი „სტალინი – ეს დღევანდელი ლენინია“ წამოაყენა კამენევმა.

12.2. ხელისუფლებისთვის ბრძოლაში სტალინის გამარჯვება და მისი პიროვნების კულტის ფორმირების დასაწყისი

როგორც ვნახეთ, 1920-იან წლებში ხდებოდა ხელისუფლების თანდათანობითი კონცენტრაცია ადამიანთა სულ უფრო მცირე ჯგუფის ხელში:

- ✓ ყრილობიდან – ცენტრალური კომიტეტის ხელში;
- ✓ ცენტრალური კომიტეტიდან – პოლიტბიუროს ხელში;
- ✓ პოლიტბიუროდან – არაფორმალური „სამეულის“ ხელში (სტალინი-ზინოვიევი-კამენევი);
- ✓ სტალინის ერთმმართველობის დამყარება.

შეიძლება დავასახელოთ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში სტალინის გამარჯვების მიზეზები:

1. ოპოზიციასთან ბრძოლაში მოხერხებულად გამოიყენა პარტიული აპარატის რესურსი, შესაძლებლობა ჰქონდა თავისი მომხრეები დაენიშნა საკვანძო პოსტებზე;
2. სტალინმა მოახერხა საკუთარი თავის წარმოჩენა ლენინის იდეებისა და ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში პარტიის გენერალური ხაზის დამცველად;
3. ლენინის სიკვდილის შემდეგ მასობრივი მიღება პარტიაში აძლიერებდა სტალინის პოზიციებს;
4. სტალინმა მოახერხა პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობის კოალიციის შექმნა, ამასთან შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ არ იყო დაინტერესებული პირადი ხელისუფლების გაძლიერებით.

1929 წლისათვის ქვეყანაში სტალინმა მთლიანად ჩამოიცილა მოწინააღმდეგეები და ჩამოყალიბდა სტალინის ერთხელისუფლებიანობა, რომელმაც მთლიანად გაანადგურა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები.

1929 წლის დეკემბერში საზეიმოდ აღინიშნა სტალინის დაბადებიდან 50 წლისთავი. სტალინი უკვე იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის აღიარებული ლიდერი, თუმცა მისი განდიდება თანდათან ხდებოდა. ჯერ კიდევ 1925 წლის დეკემბერში საკ. კპ(ბ) XIV ყრილობაზე კლიმ ვოროშილოვმა თავის გამოსვლაში სტალინს უწოდა **„პოლიტბიუროს მთავარი ნევრი“.**

რუსეთის ისტორიაში პიროვნების კულტი ვლინდებოდა არა მხოლოდ მეფეებისა და პატრიარქების მიმართ, არამედ ლენინის შემთხვევაში (პარტიაში), ტროცკის შემთხვევაში (სამხედრო წრეებში), ზინოვიევის მიმართ (ლენინგრადში). 1920-იანი წლების ბოლოს ყალიბდება სტალინის პიროვნების კულტი. სტალინს მხარს უჭერდა ახალი მმართველი კლასის („ნომენკლატურის“) უმრავლესობა, რომლის ინტერესებსაც სტალინი გამოხატავდა.

სტალინის პიროვნების კულტის ჩამოყალიბების მიზეზები:

- ტოტალიტარული სისტემის ფუნქციონირების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მოთხოვნილება;
- მასების კულტურის, განათლების დაბალი დონე, მასების ფსიქოლოგიის საუკუნოვანი ტრადიციები – ბელადის სიდიადისა და უშეცდომობის რწმენა;
- ქვეყნის ხელმძღვანელობის საზოგადოებრივი და პოლიტიკური კულტურის დონე – მისწრაფება განემტკიცებინათ თავისი პოზიციები ბელადის კულტის დანერგვით;
- სტალინის პირადი თვისებები – საკუთარი კულტის შექმნისკენ სწრაფვა, „ხალხთა მამის“ სახის დამკვიდრება.

1929 წელს სტალინის იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნამ აჩვენა, რომ დაიწყო პიროვნების კულტის მიზანმიმართული ფორმირება, რომელიც განუხრელად ტარდებოდა და ძლიერდებოდა მომდევნო მეოთხედი საუკუნის მანძილზე. **სტალინის პიროვნების კულტი** – ამ ტერმინით აღინიშნება სტალინის განდიდების პოლიტიკა.

1920-იანი წლების დასაწყისში ოფიციალურ დაწესებულებათა უმრავლესობაში გამოკრული იყო ლენინისა და ტროცკის პორტრეტები (1924 წლის შემდეგ ტროცკის პორტრეტები ჩამოხსნეს), მაგრამ სტალინის პორტრეტები ჯერ კიდევ არ იყო. სტალინის პორტრეტები მხოლოდ 1930 წელს გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც 1929 წლის დეკემბერში მანამდე არნახული პომპეზურობით აღინიშნა სტალინის 50 წლის იუბილე. მისალმებებში სტალინს უწოდებდნენ არა მარტო „შესანიშნავს“ და „გამოჩენილს“, არამედ უკვე „დიდს“ და „გენიალურს“.

1931 წელს ლენინის თხზულებათა 6-ტომეულის წინასიტყვაობაში ვ. ადორაცკი წერდა, რომ ლენინის ნაშრომები უნდა შეისწავლონ სტალინის ნაშრომების მეშვეობით.

სტალინის პიროვნების კულტის დამკვიდრების გზები:

- ხალხის მიერ ბელადის სიტყვების მიღება დოგმების სახით და პირდაპირი მოქმედების სახელმძღვანელოდ;

- სტალინის მოხსენებების, სიტყვებისა და ნაშრომების, სტალინის სურათებისა და გამოსახულებების მასობრივი ტირაჟირება;
- უახლოესი გარემოცვის მიერ ბელადის განდიდება;
- სტალინის სახელთან დაკავშირებული იუბილეებისა და სხვა ღონისძიებების მასშტაბური აღნიშვნა;
- სიმბოლური სახის შექმნა – სტალინის ძეგლების დადგმა დასახლებულ პუნქტებში, ბიუსტებისა და პორტრეტების განთავსება დაწესებულებებსა და სახლებში;
- სტალინის სახელის მასობრივი მინიჭება დასახლებული პუნქტებისათვის, კოლმეურნეობებისთვის, ქუჩებისთვის, ქარხნებისთვის და გეოგრაფიული ობიექტებისათვის – სტალინგრადი (1925 წლამდე – ცარიცინი), სტალინაბადი (1929 წლამდე – დუშანბე), მთა სტალინის პიკი და სხვა;
- ბელადის საპატივცემულოდ ახალი სახელების გაჩენა, რომელთაც ბავშვებს არქმევდნენ – სტალინა, სტალინინა, სტალენიტა, სტალი, ივსტალი, სტალივი;

12.3. სტალინის დასაყრდენი – პარტიული აპარატი და „ლენინური გაწვევებით“ შექმნილი პარტიული მასები

სტალინის უმთავრესი დასაყრდენი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში პარტიული აპარატი იყო. ეს იყო „პარტია პარტიაში“, როგორც აცხადებდა ტროცკი.

რაც შეეხება პარტიის რიგით წევრებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, აქ თავიდან სტალინის პოზიციები მტკიცე არ იყო. მაგალითად, ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს „მოსკოვის პროლეტარულ უჯრედებში“ სტალინმა მიიღო 9843 ხმა, ხოლო ტროცკიმ – 2223 ხმა. პარტიის წევრების უმრავლესობამ კი უარი თქვა დისკუსიაში მონაწილეობაზე.

სტალინის პოზიციები კატასტროფული იყო მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციებში. უმაღლესი სასწავლებლების 72 პარტიული უჯრედიდან ცენტრალურ კომიტეტს მხარი დაუჭირა 32-მა (2790 კაცი), ოპოზიციას – 40 უჯრედმა (6594 ადამიანმა).

კიდევ უფრო რთული იყო სტალინის პოზიციები პროვინციულ ორგანიზაციებში, სადაც გადაჭრით მოითხოვდნენ სტალინის „ახალი კურსის“ შეწყვეტას. სტალინის პოზიციები პარტიაში განამტკიცა ახალი წევრების მასობრივმა მიღებამ.

1920-იან წლებში შიდაპარტიული დისკუსია მიმდინარეობდა პარტიაში მუშების მასობრივი გაწვევის თანხლებით. ეს იყო ე. წ. „ლენინური გაწვევა“, რომელსაც სათავე დაუდო XIII პარტიულმა კონფერენციამ – პარტიაში ღებულობდნენ „ნამდვილ“ პროლეტარებს -„დაზგის მუშებს“, რომელთა განათლების დონე დაბალი იყო, და კარი ჩაეკეტათ „ნვრილბურჟუაზიულ“ ელემენტებს – ეს იყო პროვინცია (გლეხები) და უმაღლესი სასწავლებლები (სტუდენტები).

ლენინური გაწვევა:
1924 წ. თებერვალი – 130 ათასი განცხადება;

1924 წ. 10 მარტისთვის – 204 ათასი
1924 წ. 23 მაისისთვის – 350 ათასზე მეტი



„ლენინური გაწვევით“ პარტიაში მიიღეს 250 ათასი მუშა წარმოებიდან, რომლებიც თანაუგრძნობდნენ სტალინის კურსს. 1924 წლის მაისისთვის პარტია 730 ათას წევრამდე გაიზარდა. ამავე დროს, მიმდინარეობდა პარტიის წმენდა „წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან“, ანუ, პირველ რიგში, იმ ადამიანებისაგან, რომელთაც 1923 წლის დისკუსიის დროს მხარი დაუჭირეს ტროცკის.

პარტიული წმენდის შემდეგ 1925 წლის ბოლოსთვის პარტიაში იყო მხოლოდ 640 ათასი ადამიანი. პარტიიდან გაირიცხა დაახლოებით 100 ათასი ადამიანი – სტუდენტები, პროფესორები და სხვა „წვრილბურჟუაზიული ელემენტები“.

პარტიის რიგითი წევრების უმრავლესობას არ ესმოდა და არც აინტერესებდა ის პარტიული დისკუსიები, რომლებიც არცთუ იშვიათად სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა და სადაც პარტიის ლიდერები ერთმანეთის დისკრედიტაციას ცდილობდნენ. იმდროინდელი დოკუმენტების შესწავლა აჩვენებს, რომ ქვედა რგოლის პარტიული უჯრედები არ ინტერესდებოდნენ დისკუსიებით და ამჯობინებდნენ, ხმა მიეცათ სტალინისთვის, რომელიც პოსტებსა და პრივილეგიებს ანაწილებდა.

1930-იანი წლების დასაწყისისთვის რიგითი კომუნისტების აბსოლუტურ უმრავლესობას, თითქმის 75%-ს, მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდა, ბევრმა წერა-კითხვაც არ იცოდა. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ბოლშევიკებში ყოველთვის ცოტანი იყვნენ, ამ დროისათვის მათი რიცხვი პარტიაში 1%-მდე შემცირდა. აგრარული ჭარბმოსახლეობისა და უმუშევრობის პირობებში (1920-იან წლებში 15%-ს აღწევდა), ადამიანებს არა დისკუსიები, არამედ საარსებო პირობები აინტერესებდათ.

1920-იანი წლების ოპოზიციური დაჯგუფებები

ოპოზიციის სახელწოდება	არსებობის დრო	შემადგენლობა	რას იცავდნენ	როდის და როგორ შეწყვიტა არსებობა
„მემარცხენე ოპოზიცია“	1923-1925	ტროცკი პიატაკოვი პრეობრაჟენსკი	მოითხოვდნენ პარტიის დემოკრატიზაციას და კონტროლის დამყარებას პარტიულ აპარატზე, ფრაქციების თავისუფლების აღდგენას	ტროცკი გაათავისუფლეს ოფიციალური სამთავრობო პოსტებიდან
„ახალი ოპოზიცია“	1925	ზინოვიევი კამენევი სოკოლნიკოვი კრუპსკაია	თვლიდნენ, რომ ნეპმა თავისი ამოცანები შეასრულა და შეიძლება ეკონომიკის საბაზრო ელემენტებზე შეტევის დაწყება	ზინოვიევი და კამენევი თანამდებობებიდან მოხსნეს
„გაერთიანებული ოპოზიცია“	1926-1927	ტროცკი ზინოვიევი კამენევი საპრონოვი	არ ეთანხმებოდნენ თეზისს, რომ შეიძლება ერთ ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვოს	1927 წელს გარიცხეს პარტიიდან, ტროცკი საზღვარგარეთ გააძევეს
„მემარჯვენე ოპოზიცია“	1928-1929	ბუხარინი ტომსკი რიკოვი	მხარს უჭერდნენ ნეპის გაგრძელებას, წინააღმდეგი იყვნენ სოფლად საგანგებო ზომების გატარებისა	1929 წ. ნოემბერში საჯაროდ უარი თქვეს თავიანთ შეხედულებებზე

1920-იანი წლების შიდაპარტიული ბრძოლის ქრონიკა

თარიღი	ფაქტი
1922 წ. 3 აპრილი	რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სტალინი აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.
1922 წ. 26 მაისი	ლენინს ავადმყოფობის პირველი შეტევა დაემართა და ოქტომბრამდე აღარ მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.
1922 წ. 16 დეკემბერი	ლენინს ავადმყოფობის მეორე შეტევა ჰქონდა.
1922 წ. 23-26 დეკემ-ბერი	ლენინმა უკარნახა „წერილი ყრილობას", რომელშიც დაახასიათა თავისი თა-ნამებრძოლები და შესაძლო პოლიტიკური მემკვიდრეები.
1923 წ. 4 იანვარი	ლენინი ყრილობისადმი წერილს პოსტკრიპტუმს უკეთებს, რომელშიც რეკო-მენდაციას იძლევა შეიცვალოს სტალინი გენერალური მდივნის თანამდებო-ბაზე.
1923 წ. 9 მარტი	ლენინს ავადმყოფობის მესამე შეტევა ჰქონდა და საბოლოოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ სცენას.
1923 წ. 11 დეკემბერი	ლევ ტროცკიმ გამოაქვეყნა სტატია „ახალი კურსი". პარტიაში დაიწყო დის-კუსია.
1923 წ. 15 დეკემბერი	სტალინმა გამოაქვეყნა სტატია „პრავდაში" და დაიწყო ბრძოლა „ტროცკიზ-მის" წინააღმდეგ.
1924 წ. 21 იანვარი	ლენინი გარდაიცვალა.
1924 წ. იანვარი	XIII პარტიული კონფერენცია. სტალინი, კამენევი და ზინოვიევი ტროცკის წინააღმდეგ; კონფერენციამ დაგმო ტროცკი და მისი „ახალი კურსი".
1924 წ. მაისი	რკპ (ბ) XIII ყრილობა – სტალინმა შეინარჩუნა პოსტი ზინოვიევისა და კამე-ნევის მხარდაჭერის შედეგად.
1924 წ. ოქტომბერი	ტროცკიმ გამოაქვეყნა სტატია „ოქტომბრის გაკვეთილები", რომელშიც ნარმოაჩინა თავისი როლი ოქტომბრის რევოლუციაში; ამტკიცებდა, რომ რევოლუციას უღალატეს „მემარჯვენეებმა"; აკრიტიკებდა ზინოვიევსა და კამენევს. ტროცკის წინააღმდეგ გამოვიდნენ სტალინი, კამენევი, ზინოვიევი, ბუხარი-ნი, რიკოვი, ტომსკი, კუიბიშევი. მათ ტროცკი დაადანაშაულეს „პარტიის ის-ტორიის შეგნებულ დამახინჯებაში"
1925 წ. იანვარი	რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დაგმეს ტროცკი და ტროცკიზ-მი. ტროცკი მოხსნეს რევოლუციური სამხედრო საბჭოს და ასევე სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის პოსტიდან, მაგრამ დატოვეს პოლიტბიუ-როს წევრად.
1925-1926 წლები	„ახალი ოპოზიცია" – კამენევი, ზინოვიევი (მხარი დაუჭირა კრუპსკაიამ) – აკრიტიკებდნენ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც რევოლუციის საქ-მიდან უკანდახევას. მათ დაუპირისპირდნენ სტალინი, ბუხარინი, ტომსკი და რიკოვი – მხარს უჭერდნენ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებას, ასევე ასაბუთებ-დნენ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ერთ ცალკე აღებულ ქვე-ყანაში. ზინოვიევი XIV პარტიულ კონფერენციაზე გამოვიდა ბუხარინის წინააღმდეგ. ბუხარინი მოითხოვდა სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირებას, მიწაზე გადასახადის შემცირებას და შელავათების შემოღებას მიწის იჯარაზე.

1925 წ. დეკემბერი	რკპ (ბ) XIV ყრილობაზე ზინოვიევი გადააყენეს ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტიდან. პარტიას ეწოდა საკავშირო კპ (ბ)
1926 წელი	შეიქმნა „გაერთიანებული ოპოზიცია" (ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი, პიატაკოვი, რადეკი, ანტონოვ-ოვსეენკო და სხვები). მათ უპირისპირდებოდნენ სტალინი, ბუხარინი, რიკოვი. ოპოზიციამ სცადა მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების გათიშვა, მაგრამ უშედეგოდ.
1926 წ. ოქტომბერი	ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, სოკოლნიკოვის, პიატაკოვის, ევდოკიმოვის მონანიებითი წერილი.
1926 წ. ოქტომბერ–ნოემბერი	საკ კპ (ბ) XV პარტიულმა კონფერენციამ დაგმო ოპოზიციონერები და მათგან მოითხოვა შეცდომების საჯაროდ აღიარება.
1927 წ. 7 ნოემბერი	არასანქცირებული მიტინგები მოსკოვში. დემონსტრანტების გარეკვა და ცემა-ტყეპა.
1927 წ. დეკემბერი	პარტიიდან გარიცხეს კამენევი, ზინოვიევი, ტროცკი. კამენევი და ზინოვიევი დააპატიმრეს (1936 წელს დახვრიტეს).
1928 წელი	ტროცკი გადაასახლეს ალმა-ატაში, ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირიდან გააძევეს.
1928 წელი	ჩამოყალიბდა „მემარჯვენე ოპოზიცია": ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი არ ეთანხმებოდნენ ზეინდუსტრიალიზაციის მეთოდებს და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდვას.
1929 წ. აპრილი	საკ. კპ (ბ) XVI პარტიული კონფერენცია – ოპოზიცია დამარცხდა: ბუხარინი მოხსნეს გაზეთ „პრავდის" რედაქტორობიდან და გაათავისუფლეს კომინტერნის ხელმძღვანელობიდან; ტომსკი გაათავისუფლეს პროფკავშირების ხელმძღვანელობიდან. რიკოვი გადადგა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ჩაატარა წმენდა პარტიაში.
1929 წ. ნოემბერი	ბუხარინი გარიცხეს პოლიტბიუროს შემადგენლობიდან.

ნაწილი მეხუთე
სოციალიზმის მშენებლობის სტალინური გეგმა

მას შემდეგ, რაც მსოფლიო რევოლუციის მოლოდინმა არ გაამართლა და საბჭოთა კავშირი მარტო დარჩა კაპიტალისტურ გარემოცვაში, ბოლშევიკებმა მთავარ ამოცანად დაისახეს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება და ეს „ლენინურ მითითებად" გამოაცხადეს. 1925 წელს XIV პარტიულმა კონფერენციამ დაადგინა: პარტიამ „მთელი ძალ-ღონე უნდა იხმაროს, რათა აშენოს სოციალისტური საზოგადოება იმ რწმენით, რომ ეს მშენებლობა შეიძლება იყოს და უსათუოდ იქნება ძლევამოსილი, თუ მოხერხდა ქვეყნის დაცვა რესტავრაციის ყოველი ცდისაგან".

„რესტავრაციის საფრთხეში" განასხვავებდნენ შიდა და გარე საფრთხეებს. შიდა საფრთხის გასანეიტრალებლად საბოლოოდ უნდა მოესპოთ კაპიტალიზმი ქვეყნის შიგნით. საგარეო საფრთხეში კი იგულისხმებოდა შესაძლო ინტერვენცია. მსოფლიო რევოლუციის დაგვიანების პირობებში საბჭოთა რეჟიმს თავის შინაგან რესურსებზე დაყრდნობით უნდა შეექმნა ინდუსტრიული ბაზა და განეხორციელებინა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია.

სტალინმა ჩამოაყალიბა სოციალიზმის აშენების, ანუ საზოგადოების ძირეული გარდაქმნის სამერთიანი ამოცანა:

- ინდუსტრიალიზაცია
- კოლექტივიზაცია
- კულტურული რევოლუცია

ამასთან, ეს ყველაფერი მოკლე პერიოდში უნდა განეხორციელებინათ. 1931 წლის თებერვალში სტალინმა განაცხადა: „ჩვენ 50–100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ".[1]

ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეზე მითითება მთავარი არგუმენტი იყო ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მაღალი ტემპისა და ძალადობრივი მეთოდების გამოსაყენებლად. ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია განხორციელდა პირველ (1928-1932) და მეორე (1933-1937) ხუთწლედებში.

1928 წელს საბჭოთა კავშირში სამრეწველო წარმოების მაჩვენებლები დაახლოებით 1913 წლის დონეზე იდგა. სტალინის მოთხოვნა, 10 წელიწადში დაეძლიათ დასავლეთისგან ჩამორჩენა, ვერ შესრულდებოდა, საქმე ეხებოდა მხოლოდ იმ ჩამორჩენის დაძლევას, რაც ოქტომბრის რევოლუციამ და მისმა შედეგებმა გამოიწვია, მაგრამ ესეც კი მოითხოვდა რესურსების უკიდურეს მობილიზაციას.[2]

---

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც. 1949, გვ.412.
[2] История России XX век. Том II. Под ред. А.Б. [illegible]. М., 2016, стр.199.

თავი XIII.

ინდუსტრიალიზაცია

13.1. ინდუსტრიალიზაციის თავისებურებანი საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის კურსის აღება განაპირობა რამდენიმე მიზეზმა:

- ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგობათა პერიოდული გამწვავება ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკის სფეროში;

  საზოგადოებაში დომინირებდა ბოლშევიკური თვალსაზრისი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროებითი/გარდამავალი ხასიათისა და არასაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თაობაზე;

  უარი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებზე სოფლად იმის გამო, რომ პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, ეკონომიკის მოდერნიზება განეხორციელებინა სოფლიდან სახსრების იძულებითი ამოქაჩვით და ამ სახსრების ინდუსტრიალიზაციისათვის გამოსაყენებლად;

  საბჭოთა ეკონომიკის თვითიზოლაცია და ფართო კავშირების არარსებობა დანარჩენ მსოფლიოსთან.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების პირველხარისხოვან ამოცანად ინდუსტრიალიზაცია გამოცხადდა 1925 წლის ბოლოს, პარტიის XIV ყრილობაზე; განისაზღვრა ინდუსტრიალიზაციის ძირითადი მიზნები:

- ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა;
- ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა;
- მძლავრი თავდაცვითი მრეწველობის შექმნა;
- მრეწველობის საბაზო დარგების (სათბობი, მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებლობის) შექმნა.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგობები	წინააღმდეგობათა არსი
ეკონომიკის სფეროში	• წინააღმდეგობა ეკონომიკის საზოგადოებრივ-სახელმწიფო და ინდივიდუალურ-გლეხურ და კერძო სექტორებს შორის; • წინააღმდეგობა ეკონომიკაში დირექტიულ-მბრძანებლურ და საბაზრო საწყისებს შორის.
სოციალურ სფეროში	• ქონებრივი უთანასწორობის ზრდასთან ერთად წინააღმდეგობის ზრდა სოციალურ ჯგუფებს შორის; • ბოლშევიკების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება „ნეპმანებისადმი“, როგორც „კლასობრივად უცხო“, ექსპლუატატორული ელემენტებისადმი.
პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროში	• წინააღმდეგობა გაბატონებულ კომუნისტურ იდეალებსა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის („ბურჟუაზიულ“) რეალურ პრაქტიკას შორის; • წინააღმდეგობა ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემასა და პლურალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის.

1927 წელს სტალინმა კურსი აიღო „სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე". ამ დროისათვის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებების შედეგად სამრეწველო წარმოებამ მიაღწია ომამდელ (1913) დონეს, მაგრამ ამ დროისათვის სხვა ქვეყნები თავის განვითარებაში უფრო წინ წავიდნენ. „მსოფლიო რევოლუციის" დაგვიანების პირობებში, სტალინმა ამოცანად დასახა, მოკლე დროში შექმნილიყო მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც საბჭოთა კავშირი გაუძლებდა საერთაშორისო იზოლაციას და მოიგერიებდა შესაძლო აგრესიას.

ამ გეგმების რეალიზებისთვის საჭირო იყო უზარმაზარი თანხები. საიდან უნდა მოეტანათ საჭირო სახსრები? სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებდა, რომ დაგროვების წილი უნდა გაზრდილიყო ეროვნული შემოსავლის 5-10%-იდან 20-30%-მდე (ძირითადად ინვესტიციების გაზრდით და მოხმარების წილის შემცირებით).

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას ასეთი სახსრების მოცემა არ შეეძლო. 1926 წელს გაიშალა დისკუსია ინდუსტრიალიზაციის მეთოდებსა და მისთვის საჭირო სახსრების დაგროვების წყაროებზე. თანაც, ინდუსტრიალიზაციის მთავარ მიმართულებად გამოცხადდა მძიმე მრეწველობის განვითარება.

ყველა ქვეყანა ინდუსტრიალიზაციას იწყებდა მსუბუქი მრეწველობიდან. ეს საშუალებას იძლეოდა, სახსრები დაეგროვებინათ მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირმა, თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ინდუსტრიალიზაცია დაიწყო მძიმე მრეწველობიდან.

დასავლეთის ქვეყნები ინდუსტრიალიზაციის თანხებს შოულობდნენ გარედან: ეს იყო კოლონიების ძარცვა, უთანასწორო სავაჭრო გაცვლა სხვა ქვეყნებთან, სამხედრო კონტრიბუციები, უცხოური სესხები.

დასავლეთის ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის თავისებურებანი:	**სტალინური ინდუსტრიალიზაციის თავისებურებანი:**
✓ ინდუსტრიალიზაცია იწყებოდა მსუბუქი მრეწველობით; ✓ ხორციელდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში; ✓ ინდუსტრიალიზაციის დროს გამოიყენებოდა გარე წყაროები.	✓ ინდუსტრიალიზაციის მოკლე ვადები; ✓ ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპი; ✓ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება მსუბუქის საზიანოდ; ✓ ინდუსტრიალიზაციის განხორციელება შიდა წყაროების ხარჯზე.

საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ შიდა რეზერვების მეშვეობით. ქვეყნიდან ინტენსიურად გაჰქონდათ ნედლეული, სურსათი, რომლის მოხმარებაც მოსახლეობას მკვეთრად შეეზღუდა. გაჰქონდათ ნავთობი, ოქრო, ხეტყე, ყიდიდნენ მუზეუმებისა და ეკლესია-მონასტრების განძეულს.

გადამწყვეტ როლს ასრულებდა რესურსების ცენტრალიზებული განაწილება. ეს გამომდინარეობდა არა მხოლოდ სამოქალაქო ომის გამოცდილებიდან, არამედ მარქსიზმის დებულებიდან გეგმური სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობის თაობაზე.

საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების წყაროები:

- ✓ ნეპმანებისთვის დაკისრებული გადასახადი;
- ✓ სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისგან აღებული სესხები;
- ✓ სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი (ძირითადი წყარო);
- ✓ საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიიდან მიღებული მოგება;

- ✓ მსუბუქი მრეწველობის შემოსავალი;
- ✓ მოსახლეობის იდეური განწყობა.

1927 წლისათვის ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი ინდუსტრიალიზაციის განხორციელების თაობაზე:

პირველი მიდგომა ნიშნავდა ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და ბაზრის შენარჩუნების პირობებში (მეცნიერ-ეკონომისტები): კაპიტალი ინდუსტრიალიზაციის დაფინანსებისათვის უნდა მიეღოთ კერძო მეწარმეობის განვითარებით, უცხოური სესხების მოზიდვით, სავაჭრო ბრუნვის გაფართოებით; ინდუსტრიალიზაციის ტემპი მაღალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს უნდა დამყარებოდა რეალურ შესაძლებლობებს და არა პოლიტიკურ საჭიროებებს; ინდუსტრიალიზაციას არ უნდა მოჰყოლოდა მოსახლეობის, პირველ რიგში, გლეხობის ცხოვრების დონის მკვეთრი შემცირება.

მეორე მიდგომა ნიშნავდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმას, გადასვლას მბრძანებლურ და უაღრესად ცენტრალიზებულ ეკონომიკაზე. მისი პრინციპები თავდაპირველად ჩამოაყალიბეს მემარცხენე ოპოზიციის ლიდერებმა: ინდუსტრიალიზაციის დაფინანსება გარე რესურსების ხარჯზე შეუძლებელია; საჭიროა თანხების მოძებნა ქვეყნის შიგნით მსუბუქ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შემდეგ კი მათი გადაქაჩვა მძიმე მრეწველობაში; აუცილებელია სამრეწველო ზრდის ფორსირება, ინდუსტრიალიზაციის განხორციელება 5 – 10 წლინადში; ინდუსტრიალიზაციის ფასზე ფიქრი დანაშაულია; გლეხობა „შიდა კოლონიაა", რომელიც ყველა სიძნელისთვის გადაიხდის.

სტალინი: საგანგებო ზომების გატარება	ბუხარინი: ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება
➢ დაჩქარებული ტემპი; ➢ მძიმე მრეწველობის განვითარება; ➢ გლეხური მეურნეობების კოლექტივიზაცია; ➢ კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია; ➢ ცენტრალიზებული დაგეგმვა.	➢ თანდათანობითი ტემპი; ➢ მსუბუქი მრეწველობის განვითარება; ➢ კოოპერაციული მოძრაობის განვითარება სოფლად; ➢ კულაკებისთვის გადასახადების გაზრდა; ➢ საბაზრო ელემენტები.

13.2. პირველი ხუთწლედი

1929 წლის მაისში საბჭოების V საკავშირო ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა.[1] უკვე 1929 წლის დეკემბერში სტალინმა წამოაყენა ლოზუნგი: „ხუთწლედი ოთხ წელიწადში". გადაისინჯა და მნიშვნელოვნად გაიზარდა ხუთწლედის ყველა საგეგმო მაჩვენებელი.

მილიონობით ადამიანი დიდი ენთუზიაზმით, თითქმის უფასოდ მუშაობდა ხუთწლედის მშენებლობებზე. მთელ ქვეყანაში გაიშალა მოძრაობა ლოზუნგით: „წავართვათ წელი ხუთწლედს, შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში".

ხუთწლედის ვერცერთი მაჩვენებელი ვერ შესრულდა. 1932 წლისათვის მრეწველობის მოცულობა 8,5%-ით გაიზარდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36%-ისა, 1933 წლისათვის გამოუშვეს 53 ათასი ტრაქტორი, ნაცვლად 170 ათასისა; 24 ათასი ავტომობილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ათასისა. გაიყვანეს 5500 კმ რკინიგზა, ნაცვლად 16 ათასისა. მიუხედავად ამისა, 1932 წლის დეკემბერში ხუთწლედი შესრულებუ-

[1] ხუთწლიანი გეგმა შეიმუშავეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ა. რიკოვმა, „გოსპლანის" თავმჯდომარემ გ. კრჟიჟანოვსკიმ და სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. კუიბიშევმა.

ლად გამოცხადდა. სინამდვილეში, 1933 წელი კრიზისული იყო და მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოხერხდა, პარტიის XVII ყრილობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ხუთწლედის გეგმების შესრულება ვერ მოხერხდა, მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ. აშენდა 1500 მსხვილი სამრეწველო საწარმო. მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება 2,8-ჯერ გაიზარდა, მანქანათმშენებლობა – 4-ჯერ. მწყობრში ჩადგა დნეპრჰესი[1], მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატები, მსხვილი ქვანახშირის შახტები დონბასსა და კუზბასში, სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები, მოსკოვისა და გორკის საავტომობილო ქარხნები, გაიხსნა თურქესტან-ციმბირის რკინიგზა. ქვეყანაში გაჩნდა მრეწველობის ახალი დარგები: საავიაციო, სატრაქტორო, ელექტროენერგეტიკული, ქიმიური და ა. შ.

მანქანათმშენებლობის წარმატებებმა საბჭოთა კავშირი გადააქცია სამრეწველო დანადგარების შემომტანი ქვეყნიდან მათ მწარმოებელ ქვეყნად.

პირველი ხუთწლედი (1929-1932):

შემუშავება დაიწყო 1927 წელს, დაამტკიცა 1928 წ. მაისში საკავშირო საბჭოების V ყრილობამ;

როდესაც ხუთწლედის გეგმა შედგა, სტალინმა საკუთარი ხელით შეიტანა შესწორებები და მნიშვნელოვნად გაზარდა ყველა საგეგმო მაჩვენებელი;

ხუთწლედის განმავლობაში სამრეწველო წარმოება 180%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობა 55%-ით უნდა გაზრდილიყო;

მძიმე მრეწველობა უპირატესი ტემპით უნდა გაზრდილიყო – 230%-ით 5 წლის განმავლობაში;

1929 წ. დეკემბერში შრომის დამკვრელთა ყრილობაზე წამოყენებულ იქნა ლოზუნგი: „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“;

1929 წელს სტალინმა წამოაყენა „დიდი ნახტომის“ იდეა – 10 წელიწადში დასწეოდნენ დასავლეთს.

პირველი ხუთწლიანი გეგმა

პროდუქციის სახე	1928 წ. (ფაქტიური)	ზრდის ოპტიმისტური გეგმა	ზრდის კორექტირებული გეგმა	ფაქტობრივი შესრულება (1932)
თუჯი (მლნ ტ.)	3	10	17	6
ქვანახშირი (მლნ. ტ.)	36	75	105	64
ნავთობი (მლნ. ტ.)	12	22	55	21
ელექტროენერგია (მლრდ. კვ/სთ)	5	22	40	13,5
ტრაქტორები (ცალი)	2000	55.000	170.000	49.000
ავტომობილები	800	100.000	200.000	24.000

ხუთწლედის თავდაპირველი გეგმა სავსებით რეალისტური იყო.

[1] დნეპრჰესს ევროპაში უდიდესი კაშხალი ჰქონდა. დნეპრჰესის მშენებლობა ხორციელდებოდა ამერიკელი ინჟინრის ჰიუ ლ. კუპერის ხელმძღვანელობით. კაშხალმა მხოლოდ 10 წელი იარსება. ის მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით 1941 წელს ააფეთქეს ნითელი არმიის უკანდახევის დროს.

მაჩვენებლები გაიზარდა სამრეწველო განვითარების ობიექტური შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე.

შედეგად პირველი ხუთწლედი (ისევე როგორც ყველა მომდევნო ხუთწლედი) ვერ შესრულდა.

1930-იანი წლების ბოლშევიკური პლაკატი: **„ჩვენი გეგმების რეალურობა – ჩვენ თვითონვე ვართ“**

საბჭოთა ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროპაგანდას ინდუსტრიალიზაციის ამოცანების შესასრულებლად მასების მობილიზებისათვის.

13.3. პირველი ხუთწლედის სოციალური შედეგები

გეგმების შესასრულებლად საჭირო იყო სამუშაო ძალის დიდი რაოდენობა. მოკლე ვადაში ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა. 1930 წელს საბჭოთა კავშირში დაიხურა უკანასკნელი შრომის ბირჟა (სადაც უმუშევრები რეგისტრირდებოდნენ). მაგრამ ხუთწლედის მშენებლობებზე ძირითადად გამოიყენებოდა არაკვალიფიციური შრომა, იგრძნობოდა საინჟინრო-ტექნიკური კადრების მწვავე ნაკლებობა. ხშირად კოლექტივს დიდი ხნის განმავლობაში არ შეეძლო ახალ საწარმოებში დადგმული მანქანა-მოწყობილობების ათვისება და პროდუქციის გამოშვების დაწყება. გაიზარდა უმაღლესი და საშუალო ტექნიკური დაწესებულებების რაოდენობა. ინსტიტუტებთან იქმნებოდა საღამოს განყოფილებები, სამრეწველო აკადემიები. საუკეთესო ახალგაზრდა მუშები სასწავლებლად იგზავნებოდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საგზურებით. კამპანია მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას!“, „ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს წყვეტს!“.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში მომზადდა 128,5 ათასი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი, მათგან თითქმის ნახევარი ყოფილი მუშები იყვნენ.

პირველ ხუთწლედში შთამბეჭდავ მიღწევებთან ერთად იყო სერიოზული ხარვეზებიც, პირველ რიგში, სოციალურ სფეროში.

1930 წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოსცა განკარგულება გეგმურ ეკონომიკაში პატიმართა შრომის გამოყენების შესახებ. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქვეგანყოფილების სახით შეიქმნა ბანაკების მთავარი სამმართველო („გულაგი“ ГУЛАГ). 1938 წლის დასაწყისის მონაცემებით, ბანაკებსა და შრომით-გამოსასწორებელ კოლონიებში იყო 1.851.570 პატიმარი, გარდა ამისა გამოიყენებოდა ე.წ. სპეცდასახლებულთა შრომა, რომელთა რაოდენობაც 880.007 ადამიანს შეადგენდა.

პირველი ხუთწლედების მნიშვნელოვანი ობიექტების უმრავლესობა პატიმართა ხელით იყო აშენებული, მათ შორის „ბელომორკანალი“, რომელიც თეთრ და ბალტიის ზღვებს აერთებდა. აქ 100 ათასი პატიმარი უზარმაზარ ქვაბულს თხრიდა რაიმე ტექნიკის გამოყენების გარეშე. არხის მშენებლობა 4-ჯერ იაფი დაჯდა, ვიდრე მშენებლები ვარაუდობდნენ.

პატიმართა შრომა გამოიყენებოდა ხეტყის დამზადებაზე, მშენებლობებზე, ნიალისეულის მოპოვებაზე. ჩამოყალიბდა ე. წ. „შარაშკები“, სადაც დაპატიმრებული ინჟინრები და მეცნიერები მუშაობდნენ.

ვიქტორ დენისის პოსტერი დემიან ბედნის ლექსზე „ხუთწლედის მტრები“ (1929 წელი).

ხუთწლედის მტრებად გამოცხადებული იყვნენ: მემამულე, კულაკი, ლოთი, მღვდელი, გამყიდველი ჟურნალისტი, მენშევიკი, თეთრგვარდიელი.

1929 წლის მაისში ინდუსტრიალიზაციის შედეგები

პლუსები	მინუსები
მძიმე მრეწველობის ზრდის მაღალი ტემპი;	მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა;
მსოფლიოში მეორე ადგილზე გასვლა სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხრივ;	ეკონომიკის ზეცენტრალიზაცია;
შეიქმნა იმ დროისათვის მონინავე წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;	ბაზრის შეზღუდვა;
საბჭოთა კავშირი აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა.	მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების დანერგვა;

13.4. მეორე ხუთწლიანი გეგმა (1933-1937)

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდის ამბით განაცხადა პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ (თუმცა სინამდვილეში ხუთწლედი ვერ შესრულდა -იხ. ზემოთ ცხრილი), ამასთან, სტალინმა განაცხადა, რომ აღარ იყო ზემაღალი ტემპის აუცილებლობა და შეიძლებოდა რამდენადმე შემცირებულიყო სამრეწველო მშენებლობის ტემპი. საკ. კპ (ბ) XVII ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა. ის ითვალისწინებდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ყოველწლიური ტემპის შემცირებას 30%-იდან 16,5%-მდე. მსუბუქი მრეწველობის განვითარებას ცოტათი უნდა გაესწრო მძიმე მრეწველობის განვითარებისთვის.

მეორე ხუთწლიანი გეგმა (1933-1937)

- ✓ უფრო დაბალანსებული იყო;
- ✓ წარმოიშვა სტახანოვური მოძრაობა;
- ✓ მასობრივი ენთუზიაზმის გაძლიერებას უხამდებოდა ადმინისტრაციული ზომების გამკაცრება: ა) იძულებითი სახელმწიფო სესხები; ბ) საპასპორტო სისტემის შემოღება 1932 წელს; გ) შრომის წიგნაკების შემოღება 1938 წელს; დ) მკაცრი სასჯელი გაცდენა-დაგვიანებისათვის;
- ✓ საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

მეორე ხუთწლედმა საბჭოთა კავშირი გადააქცია ინდუსტრიულ და ეკონომიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამენდა 4500-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. მთელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება 1937 წლის ბოლოს, 1932 წელთან შედარებით, 2,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1928 წელთან შედარებით – 4,5-ჯერ. წარმოებული პროდუქციის 80%-ზე მეტი გამოუშვეს ახალმა ან რეკონსტრუირებულმა საწარმოებმა. 10 წლის განმავლობაში, უდიდესი დაძაბულობისა და მსხვერპლის ფასად, საბჭოთა კავშირმა ინდუსტრიული სიძლიერის თვალსაზრისით გაასწრო ევროპის წამყვან სახელმწიფოებს. 1940 წლისათვის საბჭოთა კავშირში გამოადნეს 18,3 მლნ ტონა ფოლადი, გერმანიაში – 20 მლნ ტონა.

ორივე ხუთწლედის შესახებ ოფიციალურად ითქვა, რომ თითოეული შესრულდა 4 წელიწადსა და 3 თვეში (მეორე ხუთწლედი შესრულებულად გამოცხადდა 1937 წლის 1 აპრილისთვის), თუმცა ეს ციფრებით მანიპულირება იყო. ხუთწლედით დასახელებული მაჩვენებლები მიუღწეველი დარჩა იმის გამო, რომ ეკონომიკურად დაუსაბუთებელი და არარეალისტური იყო.

პირველი და მეორე ხუთწლედებით დასახულ მაჩვენებლებს მეტალურგიასა და ტრაქტორმშენებლობაში საბჭოთა კავშირმა მიაღწია მხოლოდ 1949 წელს.

სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა მესამე ხუთწლედსაც (1938-1941 წ. ივნისი), რომელიც ნაცისტურ გერმანიასთან დაწყებული ომის გამო შეწყდა.

13.5. სერგო ორჯონიკიძის ბედი

მძიმე ინდუსტრიის მშენებლობას ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე (1886-1937). მას იმდროინდელი პროპაგანდა „მძიმე მრეწველობის არმიის სარდალს" უწოდებდა. 1932 წელს სერგო ორჯონიკიძე დაინიშნა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად.[1]

ორჯონიკიძის სიცოცხლის ბოლო თვეებში მის უნყებაში „ჩეკისტები" დათარეშობდნენ – ადრე ყოფილ ოპოზიციონერებს პოლიტიკური თანამდებობებიდან ათავისუფლებდნენ და სამეურნეო საქმიანობაზე გადაჰყავდათ, ახლა კი ისინი რეპრესიების ქვეშ ხვდებოდნენ, როგორც ტროცკისტ-ზინოვიეველები. სერგო ორჯონიკიძე ვერ ახერხებდა თავისი კადრების დაცვას. 1936 წლის 24 ოქტომბერს, როდესაც სერგო ორჯონიკიძე 50 წლის გახდა, მისი უფროსი ძმა პავლე (პაპულია) დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს. ციხეში უკვე იყო მრავალი თანამებრძოლი, ზოგი დაკითხვაზე სერგოსაც ადებდა ხელს. 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე ორჯონიკიძეს სიტყვა უნდა წარმოეთქვა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში მყოფი „იაპონია-გერმანია-ტროცკისტ" აგენტებზე. დოკუმენტების თანახმად, სერგო ცდილობდა, თავიდან აერიდებინა ამაზე საუბარი, მაგრამ სტალინი მკვეთრ პოზიციას მოითხოვდა.

სერგო ორჯონიკიძის გამოსვლა მუშების წინაშე

სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პოსტი, მის სახელს უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის განხორციელება, გიგანტური ქარხნების ამუშავება, ხშირად ჩადიოდა მშენებარე ობი-

[1] სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირის ისტორიის სახელმძღვანელო მას შემდეგნაირად ახასიათებდა: „სოციალისტური მშენებლობის წლებში იგი გახდა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გამარჯვებათა უდიდესი ორგანიზატორი. ორჯონიკიძის შეურიგებლობამ სოციალიზმის ყველა მტრისადმი, მისმა მაღალმა პრინციპულობამ და იდეურობამ, მისმა პირდაპირობამ და კრისტალურმა სისპეტაკემ, მისმა გულითადმა, უბრალო და მზრუნველმა დამოკიდებულებამ ადამიანებისადმი მას ყველა მშრომელის უდიდესი სიყვარული და საყოველთაო პატივისცემა მოუპოვეს. პირველი ხუთწლედი და მისი შესრულება დაკავშირებულია სერგო ორჯონიკიძის უდიდეს მუშაობასთან" (სსრკ ისტორია. ნაწილი III, თბ., 1950, გვ.374-375).

ექტებზე, ესაუბრებოდა მუშებს და ცდილობდა, მოეგვარებინა მათი პრობლემები. არანაირი „ოპოზიციონერი" არ ყოფილა, ცდილობდა დაეცვა მის უწყებაში მომუშავე სპეციალისტები, რომელთაც „ხალხის მტრებად" აცხადებდნენ.

ორჯონიკიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, სიკვდილის მიზეზი ინფარქტი იყო, თუმცა მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ თავი მოიკლა. სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ ხრუშჩოვმა სკკპ XX ყრილობაზე განაცხადა, რომ ორჯონიკიძემ თავი მოიკლა, XXII ყრილობაზე კი განაცხადა, რომ სერგო ორჯონიკიძეს არ სურდა პასუხისმგებლობა გაეზიარებინა „ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაზე".

სერგომ თავი მოიკლა 1937 წლის 18 თებერვალს, პლენუმამდე ხუთი დღით ადრე. ორჯონიკიძე დიდი პატივით დაასაფლავეს და ურნა მისი ფერფლით კრემლის კედელში დამარხეს, მაგრამ პლენუმზე გარდაცვლილი სერგო ორჯონიკიძე გააკრიტიკეს სიფხიზლის ნაკლებობის გამო. მალე დააპატიმრეს მისი ქვრივი – ზინაიდა პავლუტკაია და 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, 1938 წელს დააპატიმრეს სერგოს ძმა ივანე და მისი მეუღლე, 1941 წელს დააპატიმრეს მესამე ძმა – კონსტანტინე. ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქს, რომელსაც ორჯონიკიძე ერქვა, 1944 წელს ძაუ-ჯიკაუ დაარქვეს. აღსანიშნავია, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1954 წელს, ამ ქალაქს კვლავ ორჯონიკიძე დაარქვეს, 1990-იან წლებში კი რევოლუციამდელი სახელი – ვლადიკავკაზი დაერქვა.[1]

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის პერიოდიზაცია

როდის იქნა მიღებული გადაწყვეტილება	დროის პერიოდი	დამახასიათებელი ნიშნები
საკ. კპ(ბ) XIV ყრილობა (1925 წ. დეკემბერი)	1926-1928	ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია და გადაიარაღება;
საკ. კპ(ბ) პლენუმი (1928 წ. 29 ნოემბერი)	1929-1937	„ა" ჯგუფის (მძიმე მრეწველობის) სამრეწველო საწარმოების ინდუსტრიული მშენებლობის ფორსირებული ტემპი.

მეორე ხუთწლედის შედეგები: საბჭოთა კავშირის მსხვილი მრეწველობის წილის ზრდა მსოფლიო მრეწველობაში (პროცენტობით)

ქვეყანა	1913	1929	1937
შეერთებული შტატები	38,2%	46,6%	41,9%
რუსეთი/ სსრკ	2,6%	3,7%	13,7%
გერმანია	15,3%	11,1%	11,6%
ინგლისი	12,1%	8,6%	9,3%
საფრანგეთი	6,6%	6,5%	5,7%
დანარჩენი ქვეყნები	25,2%	23,5%	17,5%

13.6. მუშათა მდგომარეობა

მეორე ხუთწლედი გამოცხადდა „ადამიანისაკენ შემობრუნების" პერიოდად. „ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია", „კადრები წყვეტენ ყველაფერს", – გამოაცხადა სტალინმა. 1935 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა საბარათო სისტემა სურსათზე, ხოლო მეორე ხუთწლედის შთამბეჭდავი შედეგები ცხოვრების გაუმჯობესების იმედებს აღძრავდა.

მაგრამ საბარათო სისტემის გაუქმებამ ვერ გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა. ლიკვიდირებულ იქნა კომერციული ფასები და შემოიღეს ერთიანი ფასები, რაც გაცილებით მაღალი იყო ძველ, „ნორმირებულ" ფასებთან შედარებით, რომლითაც მუშები ყიდულობდნენ პროდუქტებს ბარათებით.

[1] https://namednibook.ru/smert-ordzhonikidze.html

მუშებს იძულებითი წესით ხელი უნდა მოეწერათ სახელმწიფო სესხზე ორი-ოთხი კვირის ხელფასის მოცულობით (ამ ფულს სახელმწიფო მათგან სესხად იღებდა). ეს ფული ხმარდებოდა ინდუსტრიალიზაციას. ბინის ქირა დაბალი იყო, მაგრამ ცხოვრების პირობები არ უმჯობესდებოდა. ქალაქების მოსახლეობა მუდმივად იზრდებოდა. მუშები, როგორც წესი, კომუნალურ ბინებში ან ბარაკებში ცხოვრობდნენ, ყოველგვარი კომფორტის გარეშე.

1936 და 1939 წლების მოუსავლიანობამ გამოიწვია კვების პროდუქტების: პურის, შაქრის, ხორცის მწვავე ნაკლებობა. 1932 წელს მათი მოხმარება ქალაქებში შემცირდა სამჯერ. 2 კილოგრამი ქერის პურის მისაღებად ყველაზე დამკვრელური მშენებლობების მუშებსაც უხდებოდათ 10-12 საათი რიგში დგომა. გაქრა საპონი, ასანთი, ნავთი...

1926-1933 წლებში ქალაქების მოსახლეობა 15 მილიონი ადამიანით გაიზარდა, ხოლო 1939 წლისათვის – კიდევ 16 მილიონი ადამიანით (ე. ი. გაიზარდა 60%-ით). შედეგად საცხოვრებელი ფართის საშუალო ნორმა მოსკოვში 10 წლის განმავლობაში (1930-1940) ერთ ადამიანზე 5,5 კვადრატული მეტრიდან 4 მეტრამდე შემცირდა. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა კომუნალური ბინები, მაგრამ ესეც ფუფუნება იყო მათთვის, ვინც ფარდულებსა და ვაგონებში ცხოვრობდა.

ყოველდღიური მოხმარების საქონლის ნაკლებობამ მძიმე დარტყმა მიაყენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილსაც. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ხელისუფლებამ ნახა არყის წარმოების გაზრდაში, საიდანაც მეორე მსოფლიო ომის წინ ბიუჯეტი ღებულობდა შემოსავლის 20%-ს.

კუსტარული წარმოების აკრძალვამ განაპირობა არა მარტო სამრეწველო ნაწარმის ნაკლებობა, არამედ მათი ხარისხის მკვეთრი შემცირება. იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო მაღაზიებში იყიდებოდა პალტოები და კოსტიუმები სახელოების გარეშე. ასევე, მოსკოვსა და ლენინგრადში ფეხსაცმლის მაღაზიების გახსნის წინ რიგში 6 ათას კაცამდე გროვდებოდა.

საქონლის დეფიციტი სპეკულაციას წარმოშობდა. ხორცი საცალო ვაჭრობაში ოფიციალურად ღირდა 2 რუბლი, მაგრამ ბაზარზე მისი არქონის გამო ფასი 11 რუბლამდე ადიოდა, კარტოფილის სახელმწიფო ფასი იყო 18 კაპიკი, სპეკულაციური კი – 1 რუბლი.

სახელმწიფომ 1930-1936 წლებში დაუშვა მაღაზიების ქსელის გახსნა უცხოელებთან ვაჭრობისათვის, სადაც საქონელი იყიდებოდა უცხოურ ვალუტაზე და ოქრო-ვერცხლზე, პლატინაზე, რომლის მიტანაც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო. ამით ხელისუფლებამ მოსახლეობისაგან ამოიღო რევოლუციის შემდეგ დარჩენილი უკანასკნელი ძვირფასეულობები.

სწრაფად მკვიდრდებოდა „ნაცნობობა-ნათესაობის“ სისტემა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საქონლისა და მომსახურების მიღება.

ყოველდღიური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი იყო ახალი სახელების გაჩენა: ვილორიკი (ვ. ი. ლენინი – რევოლუციის და კომინტერნის მამა), დაზდრაპერმა (გაუმარჯოს 1 მაისს), მარსელიოზა, რემირი (რევოლუცია და მსოფლიო).

სვერდლოვსკის პირველი მშენებლები, რომლებიც მიწურებში ცხოვრობდნენ

პირველი ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე მუშების 95%-მდე ბარაკებსა და მიწურებში ცხოვრობდა.

13.7. სტახანოვური მოძრაობა

მუშებს უკეთესად ცხოვრება სურდათ, პირველ რიგში, შრომის დროს უკეთესი მაჩვენებლების მიღწევით. ამ მისწრაფების გამოხატულებად, გარკვეულწილად, სტახანოვური მოძრაობა უნდა მივიჩნიოთ.

1935 წლის აგვისტოში უპარტიო მეშახტემ ალექსეი სტახანოვმა (1906-1977) ერთ სამუშაო დღეში მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 7 ტონისა. სტახანოვმა დღიური ნორმა 40 წუთში შეასრულა, მთლიანად კი ერთ დღეში 12 ნორმა შეასრულა. ამ მაჩვენებლების მიღწევაში მას ორი მუშა ეხმარებოდა, რომლებიც მაღაროში სამაგრ სამუშაოებს ასრულებდნენ.

სტახანოვს სინამდვილეში ანდრეი ერქვა. გაზეთ „პრავდაში" გაგზავნილ ინფორმაციაში სახელის ნაცვლად ინიციალი ეწერა – „ა. სტახანოვი". გაზეთის თანამშრომელმა ჩათვალა, რომ ეს „ალექსეი" იყო და ასე დაწერა. სტალინმა რომ წაიკითხა საგაზეთო ინფორმაცია, სახელიც მოინონა – ლამაზი რუსული სახელიაო. რაღა უნდა ექნათ – სტახანოვს სასწრაფოდ პასპორტი შეუცვალეს და სახელად ალექსეი ჩაუწერეს. სტახანოვის რეკორდის ინიციატორი მაღაროს პარტორგი პეტროვი იყო, მაღაროს დირექტორი კი – წინაალმდეგი. დირექტორი შემდეგ გადააყენეს და დახვრიტეს, მის ადგილზე კი პეტროვი დანიშნეს. რეკორდის დამყარების შემდეგ სტახანოვი მაღაროში თითქმის აღარ ჩადიოდა – მიტინგებსა და კრებებზე გამოდიოდა.[1] სტახანოვის ინიციატივა სხვებმაც აიტაცეს და მრეწველობის მრავალ დარგზე გავრცელდა. 1935 წლის დეკემბერში საკ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა „მშრომელთა ინიციატივა". მრეწველობაში გამომუშავების ნორმები გაიზარდა 15-20%-ით.

ფოტო ჟურნალ Time-ს ყდაზე 1935 წ. 16 დეკემბერს.

სტახანოვის რეკორდი მალევე დაძლიეს: 4 სექტემბერს იმავე მაღაროში მირონ დიუკანოვმა ერთ ცვლაში 115 ტონა ქვანახშირი მოანგრია, 19 სექტემბერს თავად სტახანოვმა – 227 ტონა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1936 წელს აჩვენა ნიკიტა იზოტოვმა – 607 ტონა.

1935 წლის 17 ნოემბერს სტალინი სიტყვით გამოვიდა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე. სწორედ იქ გამოსვლის დროს წარმოთქვა სტალინმა ცნობილი სიტყვები: „ცხოვრება უკეთესი გახდა, უფრო მხიარულიო". სტალინის თქმით, ცხოვრება ასეთი რომ არ იყოს, არანაირი სტახანოვური მოძრაობა არ იქნებოდაო. სტალინის ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა საბჭოთა პრესა, ხალხში კი გაჩნდა რითმული გაგრძელება: „კისერი უფრო თხელი გახდა, სამაგიეროდ დაგრძელდა".

1937 წელს გამოვიდა სტახანოვის წიგნი „მოთხრობა ჩემი ცხოვრების შესახებ". სტახანოვს მხოლოდ სამი კლასის განათლება ჰქონდა და, ცხადია, წიგნი ჟურნალისტებმა დაუწერეს.

სტახანოვი მალე მოსკოვში გადასახლდა. ბევრს სვამდა. გადმოცემის თანახმად, სტალინს მობეზრდა მისი ლოთობა და უთქვამს: „უთხარით იმ ვაუბატონს ლოთობას თუ არ შეწყვეტს, ცნობილ გვარს უფრო მოკრძალებულით შევუცვლით".

სტალინის გარდაცვალების შემდეგ სტახანოვი პატივში აღარ იყო, ხრუშჩოვი არ სწყალობდა და უკან, დონბასში გა-

[1] https://www.gazeta.ru/science/2015/08/30-a-7719569.shtml

დაასახლა. 1970 წელს, სტახანოვური მოძრაობის 35-ე წლისთავზე სტახანოვი ბრეჟნევს გაახსენდა და შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

სტახანოველის ხელფასი 1935 წელს შეადგენდა 700-დან 2000 მანეთამდე თვეში. სტახანოველები მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მათ ორდენებით აჯილდოებდნენ და საბჭოთა ელიტის ნაწილი გახდნენ. მიმდინარეობდა მუშათა კლასის სოციალური დიფერენცირება.

ყველა მუშა როდი იწონებდა სტახანოველთა საქმიანობას, ბევრი უარყოფითად უყურებდა ექსპერიმენტებს, რომელთაც მოსდევდა გამომუშავების ნორმისა და სამუშაო დროის ზრდა, მნიშვნელოვანი სხვაობის წარმოქმნა ხელფასში. თავიანთ უკმაყოფილებას მუშები გამოხატავდნენ სამუშაო ადგილის ხშირი ცვლით, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დაბალი დონით, იშვიათი არ იყო ხულიგნობა და ლოთობა.

მთავრობამ საპასუხოდ რეპრესიული ღონისძიებები გააძლიერა. 1938 წლის დეკემბერში შემოიღეს შრომითი წიგნაკები, რომლის წარდგენაც აუცილებელი იყო სამუშაოზე მისაღებად. ჯერ კიდევ 1932-1933 წლებში ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში შემოიღეს საპასპორტო სისტემა. 1931 წლის კანონის თანახმად, სოციალური მხარდაჭერის მოცულობა პირდაპირ იყო დამოკიდებული საწარმოში სტაჟის უწყვეტობაზე. სამუშაოზე გამოუცხადებლობა მკაცრად ისჯებოდა: დამნაშავეებს დაუყოვნებლივ ათავისუფლებდნენ, ართმევდნენ სასურსათო ბარათებსა და საცხოვრებელ ფართს. შემდგომში ეს ზომები კიდევ უფრო გამკაცრდა.

ტროცკი სტახანოვური მოძრაობის შესახებ:

„სტახანოვური მოძრაობის თაობაზე დასკვნების გამოტანა ჯერ კიდევ ადრეა. მაგრამ უკვე შეიძლება გამოვყოთ ის ნიშნები, რაც ახასიათებს ამ მოძრაობას და რეჟიმს მთლიანად. ცალკეული მუშების ზოგიერთი მოძრაობა უაღრესად საინტერესოა, როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია სოციალიზმს, მაგრამ ამ შესაძლებლობებიდან მის მთელი მეურნეობის მასშტაბით განხორციელებამდე გრძელი გზაა... საშუალო მწარმოებლურობის გაზრდა მიუღწეველია წარმოების რეორგანიზაციის გარეშე როგორც ცალკე ქარხანაში, ისე საწარმოებს შორის. ამავე დროს მილიონობით მშრომელის აყვანა ტექნიკური კვალიფიკაციის რამდენიმე საფეხურით მაღლა გაცილებით ძნელია, ვიდრე ათასობით მოწინავის ნახალისება."

წიგნიდან „რევოლუცია, რომელსაც უღალატეს".

სტახანოველებისთვის, ნოვატორებისთვის, დამკვრელებისთვის, მოწინავეებისთვის, რომელთაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს შრომაში, 1938 წ. 27 დეკემბერს დანესდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. თუმცა, პირველი დაჯილდოება შედგა 1939 წ. 20 დეკემბერს და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ი. სტალინს დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, იმ დამსახურებათა გამო, რაც მას ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზების, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენებისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

1940 წ. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ ვ. დეგტიარევს, ფ. ტოკარევს და კიდევ 10 ადამიანს.

1943 წ. 30 სექტემბერს სოციალისტური შრომის გმირები გახდნენ პოლიტბიუროს წევრები: ლ. ბერია, გ. მალენკოვი, ა. მიკოიანი, ვ. მოლოტოვი.

სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 20.613 ადამიანს. აქედან სოფლის მეურნეობის მუშაკი – 12.441, მრეწველობის სფეროდან – 4.856, მშენებლობიდან – 1.076, ტრანსპორტის სფეროდან – 800 და ა.შ.

13.8. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგები

პირველი ხუთწლედების დროს მძიმე მრეწველობის ზრდის ტემპი 2-3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის წინანდელ რუსეთში. 1930-იანი წლების ბოლოს სამრეწველო წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ საბჭოთა კავშირი მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ. შემცირდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის ოდენობის მიხედვით. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი – 10-დან 17% წელიწადში – იყო ყველაზე მაღალი მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირმა პირველი ორი ხუთწლედის დროს განახორციელა გიგანტური ნახტომი თავის განვითარებაში. უკვე პირველ ხუთწლედში საბჭოთა კავშირმა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მხრივ გაუსწრო საფრანგეთს. მეორე ხუთწლედში კი – ინგლისსა და გერმანიას სამრეწველო წარმოების აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით, 1930-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირი გავიდა მსოფლიოში მეორე ადგილზე (აშშ-ის შემდეგ), მაგრამ მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო მსოფლიოში.

ინდუსტრიალიზაციის შედეგები:

- საბჭოთა კავშირი გავიდა მსოფლიოში მეორე ადგილზე სამრეწველო წარმოების მხრივ (საერთო ზრდა – 4,5-ჯერ);
- შემცირდა სხვაობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო წარმოების მოცულობის მაჩვენებლებით;
- აშენდა ათობით მსხვილი საწარმო;
- გაქრა უმუშევრობა;
- საბჭოთა კავშირს შეეძლო ყველა სახის სამრეწველო პროდუქციის წარმოება;
- ამასთან ერთად ზრდის დასახულ მაჩვენებლებს ვერ მიაღწიეს და ჩამოყალიბდა ზრდის ტემპის მუდმივად შემცირების ტენდენცია.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა ქვეყნად, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი სახის სამრეწველო პროდუქციის წარმოება და არ საჭიროებდა საქონლის იმპორტს. 1930-იან წლებში შექმნილმა ეკონომიკურმა პოტენციალმა შესაძლებელი გახადა მრავალდარგიანი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა, რომელიც საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების პროდუქციას უშვებდა.

მძიმე მრეწველობის განვითარებაში ნახტომის ფასი იყო ჩამორჩენა ეკონომიკის სხვა დარგებში, პირველ რიგში, მსუბუქ მრეწველობასა და აგრარულ სექტორში, ეკონომიკური ცხოვრების ზეცენტრალიზაცია, საბაზრო მექანიზმების მოქმედების სფეროს უკიდურესად შეზღუდვა. საბოლოოდ, დაიმსხვრა ეკონომიკის თვითრეგულაციის მექანიზმები, წარმოება მთლიანად დაექვემდებარა სახელმწიფოს, სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა არაეკონომიკური იძულების მეთოდები.

რა ფასად იქნა მიღწეული ინდუსტრიალიზაციის წარმატებები?

- დაუძლურებული სოფლის მეურნეობა;
- მსუბუქი მრეწველობის ჩამორჩენა;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი შემცირება;
- პატიმართა უფასო შრომის სულ უფრო ფართო გამოყენება, პატიმართა რაოდენობა კი განუხრელად იზრდებოდა.

მთავარი, სადაც მივიდა საბჭოთა კავშირი ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის კურსის შედეგად, – ესაა ზეცენტრალიზებული, მბრძანებლური ეკონომიკის ფორმირება,

რომელიც ემორჩილებოდა დირექტიულ დაგეგმვას. ეკონომიკა იყო მთლიანად სახელმწიფოს ხელში მოქცეული. სისტემატურად მიმართავდა იძულების არაეკონომიკურ ზომებს და ამიტომ იყო რეპრესიული. ამით შეიქმნა ტოტალიტარული საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი.

13.9. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა საქართველოში

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი 1925 წლიდან დაადგა, ერთიანი გეგმით ხორციელდებოდა და იმ მიზანსაც ემსახურებოდა, რომ „გასაბჭოებული" რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს არსებობა რუსეთის დაუხმარებლად შეუძლებელი ყოფილიყო. მიზანმიმართულად ძირი ეთხრებოდა საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. იქმნებოდა ისეთი დარგები და საწარმოები, რომლებიც მხოლოდ საბჭოთა რეჟიმსა და „ერთიან საბჭოთა სახელმწიფოს" ესაჭიროებოდა.

1925 წლის დეკემბერში ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IV ყრილობა, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია მძიმე ინდუსტრიის განვითარება. უფრო სწორად საქართველოს, პირველ რიგში, ევალებოდა მძიმე ინდუსტრიისთვის საჭირო ნედლეულის – მანგანუმის, ქვანახშირის, სპილენძისა და სხვა წიაღისეული საბადოების დამუშავება. „კომუნისტებმა საქართველოში „კოლონიური" ეკონომიკური პოლიტიკის გატარება დაიწყეს. ამის გამო საქართველოს მთელი ეკონომიკა საბჭოთა რუსეთის ეკონომიკას მიება. თანდათანობით საქართველო, რომელსაც პირველ მსოფლიო ომამდე და დამოუკიდებლობის პერიოდში მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა გარესამყაროსთან, მთლიანად რუსულ ბაზარზე გახდა დამოკიდებული", – ნათქვამია აშშ-ის კონგრესისთვის წარდგენილ მოხსენებაში.[1]

1921-1941 წლებში საქართველოში 315 მსხვილი საწარმო აშენდა.

1930 წლიდან საქართველოში აღარ ფიქსირდებოდა უმუშევრობა.

მოსკოვი თავისი ნება-სურვილით განკარგავდა ნებისმიერი ეროვნული რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეს. მაგალითად, 1925 წლის ივნისში გაფორმდა ხელშეკრულება ჭიათურის მანგანუმის საბადოს 20 წლით საკონცესიოდ გადაცემის შესახებ. ეს უფლება ამერიკელმა მრეწველმა ა.ჰარიმანმა მოიპოვა.[2] 1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გაუუქმა ჰარიმანს ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ ცუდად ასრულებდა ვალდებულებებს. ჭიათურის კონცესიის საკითხებს უშუალოდ მოსკოვი, პოლიტბიურო განიხილავდა.

ᲕᲘᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲛᲠᲝᲕᲔᲚᲘ!

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში საქართველოში ლიკვიდირებულ იქნა კერძო საკუთრება და საბაზრო ეკონომიკა. მის ნაცვლად დამკვიდრდა სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ეკონომიკა მთლიანად სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა. მყარი საფუძველი შეექმნა ტოტალიტარულ პოლიტიკურ სისტემას.

სამრეწველო წარმოების ზრდა საქართველოში

გამოშვებული პროდუქციის ღირებულება:

- 1928 წელი – 37 მლნ მანეთი
- 1932 წელი – 257 მლნ. მანეთი
- 1937 წელი – 1047 მლნ. მანეთი

---

[1] კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია. საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში N 6 კომუნისტური აგრესიის შესახებ. ვაშინგტონი, 1955, გვ. 50.

[2] საბჭოთა მხარე თითოეულ ექსპორტირებულ ტონა მანგანუმზე პირველ წელს – 3, მომდევნო წლიდან კი 4 დოლარს იღებდა.

თავი XIV.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

14.1. კოლექტივიზაციის მიზეზები

დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია გიგანტურ რესურსებს მოითხოვდა. ჯერ კიდევ 1920-იანი წლების შუახანებში ზოგიერთი პარტიული ლიდერი ამტკიცებდა: თუკი კაპიტალისტური ქვეყნები თავიანთ მრეწველობას ქმნიდნენ კოლონიებიდან მიღებული თანხების გამოყენებით, სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია შეიძლება განხორციელებულიყო „შიდა კოლონიის" – გლეხობის ექსპლუატაციის გზით. სოფელი განიხილებოდა არა მხოლოდ სურსათის წყაროდ, არამედ ფორსირებული ინდუსტრიალიზაციისთვის აუცილებელი სახსრების მოპოვების მნიშვნელოვან წყაროდაც. ამასთან, გაცილებით ადვილი იყო ამ თანხების ამოღება რამდენიმე ათასი მსხვილი მეურნეობიდან, ვიდრე მილიონობით წვრილი მესაკუთრიდან.

ინდუსტრიალიზაციის დაწყებასთან ერთად კურსი აიღეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე, რომლის ამოცანაც, ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, მდგომარეობდა „სოფლად სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებაში".

ინდუსტრიალიზაციის ამოცანა საჭიროებდა მასშტაბური გარდაქმნების განხორციელებას აგრარულ სექტორში. საჭირო იყო ეფექტური მსხვილი აგრარული მეურნეობების შექმნა, რომელიც გაზრდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას და შეამცირებდა სოფლად დასაქმებულთა რაოდენობას. აქ შესაძლებელი იყო მინიმუმ ორი ვარიანტი:

პირველი გულისხმობდა იმედის დამყარებას სასაქონლო მარცვლეულის მთავარ მომწოდებელზე – ე. წ. კულაკებზე, რომლებიც, მიუხედავად მათი „შეზღუდვისა და განდევნის" პოლიტიკისა, კვლავ იძლეოდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითად ნაწილს. მათზე დაყრდნობით, თუკი გადასცემდნენ დამატებით მიწას და ინვენტარს, კულაკებს შეეძლოთ წარმოების მდგრადი ზრდის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ბუხარინი.

მეორე გზა გულისხმობდა სოფლად იმედის დამყარებას ღარიბ გლეხობაზე, რომელთა გაერთიანება კოლმეურნეობებად იგეგმებოდა. კოლმეურნეობებზე იმედს ლენინიც ამყარებდა. განსხვავება ის იყო, რომ ლენინს კოლმეურნეობებზე გადასვლა ნებაყოფლობით და თანდათანობით ესახებოდა. სტალინი კი მიიჩნევდა, რომ ეს პრობლემა მოკლე დროში უნდა გადაჭრილიყო.

პურის დამზადების კრიზისმა 1926-1929 წლებში დააჩქარა ხელისუფლების მხრიდან გადაწყვეტილების მიღება. კრიზისის არსი შემდეგი იყო: გლეხები ამცირებდნენ სახელმწიფოსთვის ხორბლის მინოდებას და არ ხდებოდა დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულება. ამის მიზეზი კი დაბალი შესასყიდი ფასები იყო, გარდა ამისა, არ ჰქონდათ სტიმული სათესი ფართობის გასაზრდელად.

1920-იანი წლების ბოლოს კვლავ წარმოიქმნა „ფასების მაკრატელი" და პურის დამზადების კრიზისი. მრეწველობა სახელმწიფოს ხელში წამგებიანი იყო და სუბსიდიებს საჭიროებდა, ეს სუბსიდიები კი გლეხებისგან მიჰქონდათ. სამრეწველო საქონელზე ფასები მაღალი იყო, ხორბალზე საბაზრო ფასები იზრდებოდა, სახელმწიფო კი „მტკიცე" ფასებით ყიდულობდა ხორბალს და, ამასთან, შესასყიდ ფასს ყოველწლიურად ამცირებდა.[1]

არსობრივად, ეკონომიკურ პრობლემას კომუნისტური ხელისუფლება პოლიტიკურად მიიჩნევდა და შესაბამისი გადაწყვეტის გზებს სახავდა:

[1] 1928 წელს ხორბალი ბაზარზე ღირდა ცენტნერი 11 რუბლი, სახელმწიფო კი გლეხებს შესყიდვისას მხოლოდ 6 რუბლს აძლევდა.

- ✓ პურით თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვა;
- ✓ მარცვლეულის მარაგის კონფისკაცია;
- ✓ ღარიბი გლეხების წაქეზება შეძლებულთა წინააღმდეგ.

შედეგები პარტიას არწმუნებდა ძალადობრივი ზომების ეფექტურობაში.

საბჭოთა კავშირის სოფელი 1929 წლისთვის შემდეგ სურათს წარმოადგენდა:
სსრკ მოსახლეობა – დაახლოებით 160 მლნ. ადამიანი.
– აქედან 80% – გლეხობა.
26 მილიონი გლეხური მეურნეობა,აქედან:
-8,5 მილიონი ღარიბი გლეხის მეურნეობა;
-15 მილიონი საშუალო გლეხური მეურნეობა;
-1 მილიონზე მეტი კულაკური მეურნეობა.

1929 წლის 7 ნოემბერს „პრავდაში" დაიბეჭდა სტალინის სტატია „დიადი გარდატეხის წელი", რომელშიც ლაპარაკი იყო „ძირეულ გარდატეხაზე" ქვეყნის მინათმოქმედების განვითარებაში, – თითქოსდა ხდებოდა გადასვლა წვრილი და ჩამორჩენილი ინდივიდუალური მეურნეობებიდან „მსხვილ და მონინავე კოლექტიურ მინათმოქმედებაზე". ეს იყო მთლიანი კოლექტივიზაციის კურსის დასაწყისი.

ფორსირებული საკოლმეურნეო მშენებლობა უმთავრეს ამოცანად იქნა მიჩნეული. საბჭოთა ხელისუფლებამ კურსი აიღო ერთპიროვნული მეურნეობების ლიკვიდაციაზე, ხორბლის ბაზრის განადგურებაზე, სოფლის მეურნეობის ფაქტობრივ გასახელმწიფოებრიობაზე. კოლექტივიზაციის პოლიტიკა ტარდებოდა ორი ძირითადი მიმართულებით: ა/ კოლმეურნეობებად ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების გაერთიანება და ბ/ განკულაკება.

გლეხური კოოპერაციის ძირითად ფორმად არჩეულ იქნა **სასოფლო-სამეურნეო არტელი.** ის განსხვავდებოდა **კომუნისაგან** (კომუნაში განსაზოგადოებული იყო არა მარტო შრომა, არამედ შრომის შედეგებიც, ინვენტარი, საქონელი და ა. შ.) და მინის ერთობლივი დამუშავების **ამხანაგობისაგან** (ამხანაგობაში კოლექტიური იყო მხოლოდ შრომა). არტელში კოლექტიურ შრომასთან, მინის, საქონლის და ინვენტარის განსაზოგადოებასთან ერთად, რჩებოდა პირადი დამხმარე მეურნეობა.

1929 წლის დასაწყისისთვის ქალაქებში ახალი ეკონომიკური პოლიტიკა პრაქტიკულად შეწყდა. წვრილ მოვაჭრეებს და მენარმეებს: დალაქებს, მკერავებს, მენაღეებს გაზრდილი გადასახადებით ახრჩობდნენ. ჯერი გლეხობაზე მიდგა.

1929 წლის დეკემბრის ბოლოს სტალინმა გამოაცხადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დამთავრებისა და „კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის" პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ.

1930 წლის 5 იანვარს გამოვიდა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპებისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფოს დახმარების ზომების შესახებ". დადგენილება აუქმებდა კოლექტივიზაციის თავდაპირველ გეგმას (პირველი ხუთწლედის განმავლობაში, – 1928 წლის ოქტომბრიდან 1933 წლის ჩათვლით კოლმეურნეობებში მოექციათ გლეხობის 20%) და ადგენდა კოლექტივიზაციის დამთავრების მკაცრ ვადებს: ქვემო და შუა ვოლგისპირეთი – 1930 წ. შემოდგომა, უკიდურეს შემთხვევაში 1931 წ. გაზაფხული, დანარჩენი მარცვლეულის მწარმოებელი რაიონებისთვის – 1931 წ. შემოდგომა, ან არა უგვიანეს 1932 წ. გაზაფხულისა. საბჭოთა კავშირის დანარჩენი რაიონებისთვის კოლექტივიზაციის ამოცანები უნდა გადაწყვეტილიყო ხუთი წლის განმავლობაში.[1]

[1] დოკუმენტი ღიად ტოვებდა ძირითად საკითხებს: რა მეთოდებით უნდა განხორციელებულიყო კოლექტივიზაცია; როგორ უნდა გატარებულიყო განკულაკება; როგორ უნდა მოქცეოდნენ განკულაკებულებს. პასუხები

გეგმის თანახმად:

1 კულაკებისთვის უნდა ჩამოერთმიათ მთელი ქონება და გადაესახლებინათ ისინი;

2 კულაკების ქონება გადაეცათ კოლმეურნეობებისთვის როგორც სოფლის ღარიბების წილი. სწორედ ღარიბებზე დაყრდნობას აპირებდნენ ბოლშევიკები;

3 აეძულებინათ საშუალო გლეხი, შესულიყო კოლმეურნეობაში და შეეტანა მთელი თავისი ქონება.

ბოლშევიკების შეფასებით, საბჭოთა კავშირში იყო 2 მილიონი კულაკური მეურნეობა; 15 მილიონი საშუალო გლეხი, 8 მილიონი ღარიბი გლეხი. თავის მხრივ, კულაკებს სამ ჯგუფად ყოფდნენ: პირველ ჯგუფში შევიდნენ „აქტიური კონტრრევოლუციონერები", რომლებიც ან უნდა დაეხვრიტათ, ან ბანაკებში ჩაესვათ; მეორე ჯგუფში შედიოდნენ ისინი, ვინც უნდა გადაესახლებინათ შორეულ ადგილებში (სპეცდასახლებები); მესამეში – ისინი, რომელთაც სოფლიდან გაასახლებდნენ, ოღონდ თავიანთ ოლქის ფარგლებში.[1]

1930 წლის 30 იანვარს პოლიტბიურომ მიიღო საიდუმლო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, უკვე დასაწყისშივე უნდა განეკულაკებინათ 200 ათასზე მეტი ადამიანი, აქედან 60 ათასი დაეხვრიტათ ანდა გაეგზავნათ საპატიმრო ბანაკებში, ხოლო 150 ათასი გადაესახლებინათ შორეულ ადგილებში.

1930 წლის 5-6 თებერვალს ღამით განკულაკება დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში და შემდეგ მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. კოლექტივიზაციასა და განკულაკებაში დასახმარებლად ქალაქებიდან სოფლად გაიგზავნა 25 ათასი მუშა (შემდეგ მათ დაემატა 35 ათასი ადამიანი). ისინი ისეთი ტემპით მოქმედებდნენ, რომ ერთ თვეში გლეხების 58% ჩაეწერა კოლმეურნეობებში.

კოლექტივიზაციის ტემპები საბჭოთა კავშირში

რეგიონები	დამთავრების ვადები
ჩრდილოეთ კავკასია, შუა და ქვედა ვოლგისპირეთი	1930 წ. შემოდგომა – 1931 წ. გაზაფხული
უკრაინა, ცენტრალური შავმიწა რაიონი, ციმბირი, ურალი, ყაზახეთი	1931 წ. შემოდგომა – 1932 წ. გაზაფხული
დანარჩენი რეგიონები	1933 წლისათვის

კოლექტივიზაციის მიზნები:

- „კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია";
- წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება;
- სოფლის მეურნეობის ცენტრალიზებული მართვა;
- შრომის ეფექტურობის ამაღლება;
- ინდუსტრიალიზაციისთვის სახსრების მიღება.

14.2. განკულაკება

კულაკები, ანუ მდიდარი გლეხები, მიჩნეული იყვნენ საბჭოთა კავშირში არსებულ უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასად. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებთან ერთად, გარდუვალად მიიჩნეოდა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია.

1928 წლიდან დაიწყო შეტევა კულაკობის წინააღმდეგ, რომელიც შემდეგ შეიცვალა

იგულისხმებოდა, – სოფლად ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული პურის დამამზადებელი კამპანიების ძალადობა და ხელისუფლება სოფელთან ურთიერთობაში ძალადობას კვლავ აქცევდა მთავარ იარაღად.

[1] **История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова. М., 2016, стр.169.**

კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკით. კოლექტივიზაციის პოლიტიკა გულისხმობდა კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკასაც.

სოფლად მიმდინარეობდა ორი ურთიერთდაკავშირებული ძალადობრივი პროცესი: კოლმეურნეობების შექმნა და განკულაკება. კულაკური მეურნეობების ლიკვიდაცია, პირველ რიგში, იმიტომ ხდებოდა, რომ უზრუნველეყოთ კოლექტიური მეურნეობები მატერიალური ბაზით. 1929 წლის ბოლოდან 1930 წლის შუახანებამდე განაკულაკეს 350 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა, მათი ქონება კი კოლმეურნეობებს გადაეცა.

ხელისუფლებას ზუსტად არ განუსაზღვრავს, ვინ უნდა ჩაეთვალათ კულაკებად. ტრადიციულად, კულაკად ითვლებოდა ის, ვინც იყენებდა დაქირავებულ შრომას, მაგრამ პრაქტიკაში კულაკად შეიძლება ჩაეთვალათ საშუალო გლეხიც, რომელსაც ჰყავდა ორი ძროხა ან ორი ცხენი, ან ჰქონდა კარგი სახლი. თითოეულმა რაიონმა მიიღო განკულაკების ნორმა, რაც უდრიდა გლეხთა მთლიანი კომლების 3 – 5%-ს. ადგილობრივი ხელისუფალნი ცდილობდნენ „თავი გამოეჩინათ“ და ცდილობდნენ განკულაკებისას ამ მაჩვენებლისთვის გადაეჭარბებინათ.[1] ხშირად კულაკების რიცხვში შეჰყავდათ არა მხოლოდ საშუალო, არამედ ღარიბი გლეხებიც კი, რომლებიც რაიმე მიზეზით არ მოსწონდათ. ამ მოქმედების გასამართლებლად მოიგონეს სიტყვა „პოდკულაჩნიკი“[2]. ცალკეულ რაიონებში განკულაკებულთა რიცხვი 15-20%-ს აღწევდა. განკულაკების პოლიტიკით, ზოგიერთი მონაცემებით, დაზარალდა 15 მილიონი ადამიანი.

განკულაკება სოფელს ართმევდა აქტიურ, ინიციატივისა და მეწარმეობის უნარის მქონე დამოუკიდებელ გლეხებს. მათ ბედს უნდა შეეშინებინა ისინი, ვისაც არ სურდა კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით შესვლა. კულაკებს ოჯახებიანად ასახლებდნენ, ბავშვებითა და მოხუცებით, ცივ ვაგონებში, მინიმალური ბარგით ათასობით კილომეტრზე მიჰყავდათ ურალის, ციმბირის, ყაზახეთის შორეულ რაიონებში; ამასთან, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ ტრიალ მინდორზე ჩამოსხამდნენ ხოლმე. მათ, ვისაც ჩათვლიდნენ აქტიურ „ანტისაბჭოურ“ ელემენტებად საკონცენტრაციო ბანაკებში აგზავნიდნენ.

1929-1931 წლებში ლიკვიდირებული „კულაკური მეურნეობების“ საერთო რაოდენობა შეადგენდა 381 ათასს (1,8 მლნ. ადამიანი), ხოლო სულ კოლექტივიზაციის წლებში მიაღწია 1,1 მილიონ გლეხურ მეურნეობას. 1932 წლის იანვრისათვის ურალში, ციმბირში, ევროპულ ჩრდილოეთსა და ყაზახეთში გადაასახლეს 1,4 მილიონი გლეხი.

სულ კოლექტივიზაციის პერიოდში შორეულ რაიონებში გადაასახლეს 2,1 მილიონი ადამიანი, დაახლოებით ამდენივე გაასახლეს იმავე მხარისა და ოლქის ფარგლებში. 4 მილიონი დეპორტირებულიდან 1.8 მილიონი დაიღუპა.[3]

---

[1] თუ ვინ ჩაეთვალათ კულაკად და გაესახლებინათ, ამას წყვეტდა ადგილობრივი აქტივი, ღარიბი გლეხებისგან შემდგარი. განკულაკებულებს 2 საათი ეძლეოდათ მოსამზადებლად და უახლოეს რკინიგზის სადგურზე მიჰყავდათ.

[2] კულაკის მხარდამჭერი, კულაკის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი – „კულაკის კუდის ამწევი“.

[3] История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова. М., 2016, стр.170

14.3. „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“

მრავალ რაიონში, განსაკუთრებით უკრაინაში, კავკასიასა და შუა აზიაში გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ მასობრივ განკულაკებას. 1930 წლის იანვარ-აპრილში მოხდა გლეხთა 6117 საპროტესტო გამოსვლა, რომელშიც 1.755.000 ადამიანი მონაწილეობდა. გლეხთა მღელვარებების ჩასახშობად გამოიყენეს ნითელი არმიის ნაწილები, მაგრამ უფრო მეტად გლეხები მიმართავდნენ პროტესტის პასიურ ფორმებს: უარს ამბობდნენ კოლმეურნეობებში შესვლაზე, ანადგურებდნენ საქონელსა და ინვენტარს, აწყობდნენ ტერორისტულ აქტებსაც ქალაქებიდან გაგზავნილი კომუნისტებისა და კოლმეურნეობების ადგილობრივი აქტივისტების წინააღმდეგ.

1930 წლის გაზაფხულზე სტალინისთვის ცხადი გახდა, რომ კოლექტიური მეურნეობების დაჩქარებული შექმნა, რაც მისი ბრძანებით დაიწყო, კატასტროფის სერიოზულ საფრთხეს შეიცავდა. უკმაყოფილება არმიაშიც ჩნდებოდა. ასეთ პირობებში სტალინმა გადადგა კარგად გათვლილი ტაქტიკური ნაბიჯი. 2 მარტს „პრავდაში“ დაიბეჭდა მისი სტატია „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“. სტალინი შექმნილ მდგომარეობაზე მთელ პასუხისმგებლობას ადგილობრივ მუშაკებს, შემსრულებლებს აკისრებდა. სტალინი აცხადებდა, რომ „არ შეიძლება კოლმეურნეობების ძალით დანერგვა“. ამ სტატიის გამოჩენის შემდეგ გლეხების უმრავლესობა სტალინს მიიჩნევდა თავისი ინტერესების დამცველად. დაიწყო გლეხობის მასობრივი გამოსვლა კოლმეურნეობებიდან. მილიონობით გლეხმა დატოვა კოლმეურნეობები.[1] თუმცა 1930 წლის შემოდგომიდან კვლავ გაძლიერდა ზეწოლა გლეხებზე, რათა კოლმეურნეობებში შესულიყვნენ.

„ნაბიჯი უკან“ მხოლოდ იმიტომ გადაიდგა, რომ იქვე გაკეთებულიყო ახალი ნახტომი. 1930 წლის სექტემბერში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წერილი გაუგზავნა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომელშიც დაგმო მათი პასიური ქცევა, „გადახრების“ წინაშე შიში და მოითხოვა „საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი აღმავლობის“ უზრუნველყოფა. 1930 წლის მარტში კოლექტივიზაციის დონე 57%-ს აღწევდა, სტალინის წერილის შემდეგ, აპრილში შემცირდა 38%-მდე, ივნისში – 25%-მდე. 1931 წლის იანვრისათვის დასტაბილურდა 22-24%-ის დონეზე. შემდეგ, ახალი მითითების შესაბამისად, კვლავ დაიწყო გლეხების კოლექტიურ მეურნეობებში შეყვანა. 1933 წლისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხების 60%, 1934 წელს – 75%, 1937 წლისათვის კი – დაახლოებით 93%.

14.4. კოლექტივიზაციის შედეგები

მასობრივი კოლექტივიზაციის პოლიტიკამ კატასტროფული შედეგები გამოიღო: 1929-1934 წლებში მარცვლეულის მთლიანი წარმოება 10%-ით შემცირდა, მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და ცხენების რაოდენობა 1929-1932 წლებში შემცირდა ერთი მესამედით, ღორების – ორჯერ, ცხვრების – 2,5-ჯერ.

კოლექტივიზაციის შედეგად გლეხური მეურნეობების რაოდენობა 1928 წელს არსებული 24,5 მილიონიდან 1937 წლისათვის 19,9 მილიონამდე შემცირდა. ეს იყო განკულაკებისა და გლეხების ქალაქებში ნებაყოფლობით წასვლის შედეგი. 1930-იან წლებში სოფლიდან წავიდა 15 მილიონ ადამიანზე მეტი, მუშათა კლასის რიცხვი კი 9 მილიონიდან 24 მილიონ ადამიანამდე გაიზარდა.

1929 წელს ქალაქად ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 18%, დაახლოებით იმდენი, რაც პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთის იმპერიაში. 1934 წელს უკვე 24% ცხოვრობდა ქალაქად. 4 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობის 6% (10 მილიონ ადამიანზე მეტი) წავიდა ქალაქად. 1940 წელს ქალაქებში 34% ცხოვრობდა.[2]

---

[1] კოლმეურნეობები დატოვა მასში შეყვანილი გლეხების ორმა მესამედმა.

[2] История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова. М., 2016, стр.175.

1934 წლის ბოლოსთვის გლეხთა მეურნეობების ¼ კოლექტივში იყო შესული, შეიქმნა 200 ათასი კოლმეურნეობა, თითოეულში საშუალოდ იყო 75 გლეხური კომლი, და 9,5 ათასი საბჭოთა მეურნეობა.

საქონლის განადგურებას, განკულაკების პოლიტიკით სოფლის გაღატაკებას, კოლმეურნეობების მუშაობის დეზორგანიზაციას შედეგად მოჰყვა 1932-1933 წლებში არნახული შიმშილობა, რამაც დაახლოებით 25-30 მილიონი ადამიანი მოიცვა. მნიშვნელოვანწილად ის ხელისუფლების პოლიტიკით იყო გამონვეული.

ხელისუფლება ცდილობდა ტრაგედიის დამალვას და აკრძალა შიმშილობის შესახებ რაიმეს დაწერა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მიუხედავად მასშტაბური შიმშილობისა, საზღვარგარეთ გაიტანეს 18 მილიონი ცენტნერი მარცვლეული ინდუსტრიალიზაციის საჭიროებებისათვის ვალუტის მისაღებად.

ამ პერიოდის მასობრივმა შიმშილობამ უკრაინაში (1932-1933) მიიღო „გოლოდომორის" სახელი. 2006 წელს უკრაინის უმაღლესმა რადამ გოლოდომორი გამოაცხადა უკრაინელი ხალხის გენოციდის აქტად. უკრაინაში შიმშილობით დაღუპულთა სხვადასხვა რაოდენობა სახელდება, ერთ-ერთი შეფასებით, 3 917,8 ადამიანი (იმავე შეფასებით, რუსეთში 3 264,6 ათასი, ყაზახეთში – 1 258,2 ათასი ადამიანი, სულ საბჭოთა კავშირში – 8 731,9 ათასი ადამიანი).

მიუხედავად მარცვლეულის წარმოების შემცირებისა, მისი სახელმწიფოსთვის მინოდება 2-ჯერ გაიზარდა. კოლექტივიზაციამ ქალაქის განკარგულებაში მოაქცია სამუშაო ძალის დიდი ოდენობა, მრენველობა უზრუნველყო აუცილებელი ნედლეულით, შექმნა პირობები სახსრების მისაზიდად ინდუსტრიალიზაციის საჭიროებებისათვის. კოლექტივიზაციამ მოსპო საბაზრო ეკონომიკის უკანასკნელი კუნძული – კერძომესაკუთრული გლეხური მეურნეობა.

კოლექტივიზაციის შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ფაქტობრივად არ შეცვლილა. მხოლოდ მარცვლეულის საშუალო-წლიური წარმოება გაიზარდა 6 – 7 მილიონი ტონით. ამ მაჩვენებელს ახლა უზრუნველყოფდა არა 55 მილიონი გლეხი კერძო მეურნე, არამედ 35 მილიონი კოლმეურნე, რომლებიც მთლიანად სახელმწიფოზე იყვნენ დამოკიდებული.

განკულაკების შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესასყიდი ფასები კიდევ უფრო მძარცველური გახდა. მაგალითად, სახელმწიფო კარაქს ყიდულობდა კილოგრამს 4 მანეთად, მაღაზიაში კი 28 მანეთად ყიდდა, ანუ 7-ჯერ ძვირად. ანალოგიური იყო მდგომარეობა სხვა პროდუქტებზეც.

კოლექტივიზაციას არ გაუზრდია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. პირიქით, შემცირდა კიდეც. მეცხოველეობის პროდუქტები კი ერთ სულ მოსახლეზე 1940 წლისათვის 35%-ით ნაკლები იყო, ვიდრე კოლექტივიზაციის დაწყებამდე.

პერიოდი	წარმოება	
	მარცვლეული ცენტნერი ჰა-ზე	ხორცი, მლნ ტონა
ახალი ეკონომიკური პოლიტიკის 7 წლის განმავლობაში. 1923-1929 წლები	7,56	4,17
კოლექტივიზაციის 4 წელი, 1930-1933 წლები	7,22	3,33
საკოლმეურნეო წყობის 7 წელი, 1934-1940 წლები	7,37	3,61

კოლექტივიზაციის შედეგები:

- კოლექტივიზაციამ აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა აგრარულ მეურნეობას (შემცირდა მარცვლეულის წარმოება, საქონლის ოდენობა, მოსავლიანობა, ნათესი ფართობი და ა.შ.)

- კოლმეურნეობები ფორმალურად იყო ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებები, მაგრამ სინამდვილეში გადაიქცნენ სახელმწიფო საწარმოების სახეობად, რომელთაც მკაცრი საგეგმო დავალებები ჰქონდათ და დირექტიულ მართვას ექვემდებარებოდნენ;
- მოისპო გლეხ-მესაკუთრეთა მთელი სოციალური ფენა მათი ცხოვრების წესით, ზნეობრივი ფასეულობებით. მისი ადგილი დაიკავა კოლმეურნე გლეხობამ.

14.5. კოლმეურნე გლეხობა

1930-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სოფლის ცხოვრება მიმდინარეობდა იმ საშინელებათა ფონზე, რაც უკავშირდებოდა განკულაკებას და კოლმეურნეობების შექმნას. გაქრნენ კულაკები, საშუალო გლეხები და ღარიბებიც. გაჩნდა ახალი ტერმინები: კოლმეურნე გლეხობა, კოლმეურნე.

მდგომარეობა სოფელში უფრო რთული იყო, ვიდრე ქალაქში. სოფელს უყურებდნენ, როგორც იაფი მარცვლეულისა და იაფი სამუშაო ძალის წყაროს. სახელმწიფო განუწყვეტლივ ზრდიდა პურის დამზადების ნორმას, გლეხებს ართმევდნენ მოსავლის თითქმის ნახევარს. მიწოდებული მარცვლეულის სანაცვლოდ სახელმწიფო გლეხობას უხდიდა თანხას მყარი ფასების მიხედვით, რომელიც არ შეცვლილა 1930-იანი წლების განმავლობაში. ამავე პერიოდში სამრეწველო საქონელზე ფასები 10-ჯერ გაიზარდა. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ხდებოდა შრომადღეების სისტემით. მისი სიდიდე განისაზღვრებოდა კოლმეურნეობის შემოსავლის მიხედვით, ე. ი. მოსავლის იმ ნანილით, რომელიც კოლმეურნეობას რჩებოდა სახელმწიფოსთან და მანქანა-სატრაქტორო სადგურებთან ანგარიშის გასნორების შემდეგ. როგორც წესი, კოლმეურნეობების შემოსავალი დაბალი იყო და ვერ აკმაყოფილებდა საარსებო მინიმუმს. შრომადღეების სანაცვლოდ გლეხები ღებულობდნენ მარცვალს ან სხვა პროდუქციას. კოლმეურნის შრომა ფულით ფაქტობრივად არ ნაზღაურდებოდა.

ინდუსტრიალიზაციის წარმატებებთან ერთად, სოფელი სულ უფრო მეტ ტრაქტორსა და სხვა ტექნიკას იღებდა, რომელიც თავს იყრიდა მანქანა-ტრაქტორების სადგურებში. ამან გარკვეულწილად გაანეიტრალა მუშა საქონლის – ხარებისა და ცხენების შემცირება. სოფლად გამოჩნდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები – აგრონომები, მექანიზატორები, რომლებიც ქვეყნის სასწავლებლებმა მოამზადეს.

1930-იანი წლების შუა ხანებში მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში გარკვეულწილად სტაბილიზირდა. 1935 წლის თებერვალში გლეხებს ნება დართეს ჰქონოდათ მცირე პირადი ნაკვეთი, ერთი ძროხა, ორი ხბო, ღორი გოჭებით და 10 ცხვარი. ინდივიდუალურმა მეურნეობებმა დაიწყეს ბაზრისთვის პროდუქციის მიწოდება. გაუქმდა საბარათო სისტემა. სოფელში ცხოვრება გაუმჯობესების გზას დაადგა.

კოლმეურნე გლეხებს თავის პირად ნაკვეთებზე, რასაც სახნავი მიწის მხოლოდ 4% ეკავათ, 1938 წელს მოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 40%-ზე მეტი და გლეხობის ფულადი შემოსავლის ძირითადი წყარო იყო.

საბჭოთა სოფელი შეურიგდა საკოლმეურნეო წყობას, თუმცა გლეხობა მოსახლეობის ყველაზე უუფლებო ფენა იყო. 1932 წელს საბჭოთა კავშირში შიდა პასპორტები შემოიღეს[1], რომლის გარეშეც ვერც საცხოვრებელ ადგილს შეიცვლიდა ადამიანი და ვერც მუშაობას დაიწყებდა. გლეხებს პასპორტები არ მისცეს, შესაბამისად ისინი ნებართვის გარეშე ვერსად წავიდოდნენ და ყმა-გლეხების მსგავსად მიწაზე მიმაგრებული აღმოჩნდნენ. მაშინ კომპარტიის რუსული სახელწოდების აბრევიატურა ВКП(б) შემდეგნაირად გაშიფრეს – „მეორე ბატონყმობა (ბოლშევიკებისა)" – «Второе Крепостное Право (большевиков)".

[1] მანამდე პასპორტება ოფიციალური პროპაგანდა გმობდა, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ პოლიციურ სისტემას.

კოლექტივიზაციის შედეგად კოლმეურნეებს არ აინტერესებდათ განსაზოგადოებული ქონება და თავისი შრომის შედეგი.

კოლექტივიზაციის პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო პირობების შექმნა ინდუსტრიალიზაციისათვის თანხების ამოსაღებად. კოლექტივიზაცია იძულებითი მეთოდებით ტარდებოდა, თან ახლდა მასობრივი რეპრესიები არა მხოლოდ კულაკების, არამედ საშუალო გლეხების მიმართაც.

კოლმეურნე არც ხელფასს იღებდა, მას მხოლოდ „შრომადღეებს" უნაზღაურებდნენ (ჩვეულებრივ, ნატურით), მოსავლის იმ ნაწილიდან, რაც სახელმწიფო დამზადების გეგმის შესრულების შემდეგ რჩებოდა. თუკი მოსავალი დაბალი იყო, სახელმწიფოს თავის წილი მაინც მიჰქონდა, გლეხს კი არაფერი რჩებოდა.

როდესაც სოფელმა დაიწყო ტექნიკის მიღება, ის მთლიანად თავმოყრილი იყო მანქანა-ტრაქტორების სადგურებში (მტს – MTC), რომელთა მომსახურეობაც კოლმეურნეობებს თავისი მოსავლის ნაწილი უჯდებოდა. მტს-ები შემდეგ არა მარტო ემსახურებოდნენ, არამედ აკონტროლებდნენ მათზე მიმაგრებულ კოლმეურნეობებს: მტს-ებთან შეიქმნა პოლიტ-განყოფილებები, რომლებიც თვალს ადევნებდნენ კოლმეურნეთა კეთილ-საიმედოობას. მტს-ები იღებდნენ კოლმეურნეობებიდან თავიანთ წილს და სახელმწიფოს კუთვნილ გადასახადებსაც.

1932 წლის 7 აგვისტოს გამოვიდა უმკაცრესი კანონი „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციის ქონების დაცვის შესახებ". სოციალისტური საკუთრების დატაცებისთვის ეს კანონი ითვალისწინებდა დახვრეტას ქონების კონფისკაციით და შემამსუბუქებელი გარემოებების პირობებში – პატიმრობას არანაკლებ 10 წლით. „დატაცების" მასშტაბებს მნიშვნელობა არ ჰქონდა და ხალხში ამ კანონმა მიიღო „სამი თავთავის შესახებ კანონის" სახელი – ბევრი კოლმეურნე დააპატიმრეს და ბანაკში აღმოჩნდა იმის გამო, რომ საკოლმეურნეო მინდორზე მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილ თავთავებს აგროვებდა. ამ კანონით დასაჯეს მრავალშვილიანი დედებიც, რომელთაც არ იცოდნენ როგორ გამოეკვებათ თავიანთი მშიერი ბავშვები. გაჩნდა ახალი სიტყვა «стригуны" – ეს მშიერი გლეხები იყვნენ, რომლებიც ყანაში თავთავებს მაკრატლით ჭრიდნენ.

14.6.მითი კოლექტივიზაციის აუცილებლობის თაობაზე

საბჭოთა დროიდან არსებობს ლეგენდა, რომ კოლექტივიზაცია აუცილებელი იყო იმისათვის, რომ რესურსები გადაესროლათ სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში. ეს ლეგენდა 1920-იან წლებში შექმნა ე. პრეობრაჟენსკის თეორიამ „თავდაპირველი სოციალისტური დაგროვების" შესახებ. მისი აზრით, სახელმწიფოს გლეხებისგან პროდუქტები შემცირებული ფასებით უნდა ეყიდა, ხოლო რეალიზება გაზრდილი ფასებით მოეხდინა, მოგება კი მრეწველობაში ჩაედოთ. მაგრამ პრეობრაჟენსკის არ უფიქრია იმაზე, რომ გლეხები შემცირებული ფასებით პროდუქტების ჩაბარებას ნებით არ მოინდომებდნენ, არამედ გაზრდიდნენ საკუთარ მოხმარებას და შეამცირებდნენ წარმოებას.

კოლმეურნეობების სახით სტალინმა შექმნა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეგულარულ ჩაბარებას დაბალი ფასებით. მართალია, სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებიდან მიღებული პროდუქციის მოცულობა იზრდებოდა, მაგრამ იმავდროულად იზრდებოდა ის პროდუქციაც, რომელსაც მრეწველობა სოფელს ანვდიდა: ტრაქტორები, კომბაინები, სატვირთო ავტომობილები, ქიმიური სასუქები. მაგალითად, 1932-1936 წლებში მრეწველობამ სოფლის მეურნეობას მიაწოდა ნახევარი მილიონი ტრაქტორი. კოლექტივიზაციის გამო ცხენების მასობრივი განადგურება რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა ტექნიკის ასეთი მასშტაბური მიწოდების გადადება.

სინამდვილეში კოლექტივიზაციამ ინდუსტრიის განვითარება მხოლოდ დააზარალა. ეკონომიკური განვითარების ვარიანტების მათემატიკური მოდელირება აჩვენებს, რომ კოლექტივიზაციის გარეშე 1941 წლისათვის ძირითადი საწარმოო ფონდები ქვეყანაში 1/3-ით მეტი იქნებოდა, ხოლო მძიმე და სამშენებლო მრეწველობის წარმოება – თითქმის

ორჯერ მეტი. სამუშაო ძალა სოფელში ჭარბად იქნებოდა და ქალაქად წავიდოდა ნებისმიერ შემთხვევაში. 9 მილიონი ადამიანის დაღუპვა, ამასთან შრომისმოყვარე და წარმატებული გლეხობისა, არა მხოლოდ უზნეობა იყო, არამედ უდიდესი ეკონომიკური დანაკარგიც. კოლექტივიზაციამ დაასუსტა ქვეყანა პოლიტიკურადაც. 1941 წელს მასობრივად ტყვედ ჩაბარება გლეხი-წითელარმიელებისა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო საკოლმეურნეო წყობის სიძულვილით.[1]

14.7. მითი პავლიკ მოროზოვზე

კოლექტივიზაციის პერიოდსა და კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის ხანას ეკუთვნის საბჭოთა პროპაგანდისტული მითის გაჩენა **პავლიკ მოროზოვის** (1918-1932) შესახებ. კომუნისტური ლეგენდის თანახმად, 12 ნლის მოსწავლე-პიონერი ციმბირის სოფელ გერასიმოვკიდან საბჭოთა ხელისუფლებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის აქტიური მომხრე იყო. მან სასამართლოში ამხილა თავისი მექრთამე მამა, რომელიც კულაკებთან თანამშრომლობდა (როცა სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო, სოფელში გადასახლებულ განკულაკებულებზე ცნობას გასცემდა, რომ იყვნენ სოფლის მკვიდრები და ამით საშუალებას აძლევდა, ქალაქში სამუშაოდ ნასულიყვნენ) და ასევე მიუთითა, თუ სად მალავდა მამამისი პურს.

1932 ნლის 2 სექტემბერს პავლიკი და მისი 9 ნლის ძმა ფედია ტყეში წავიდნენ კენკრის საკრეფად და შემდეგ დახოცილები იპოვეს. მკვლელობა დაჰბრალდათ ბებია-ბაბუას (მამის მშობლებს) და სხვა ახლო ნათესავებს. სიკვდილით დასაჯეს 19 ნლის ბიძაშვილი დანილა მოროზოვი და ბიძა არსენი კულიკანოვი. დააპატიმრეს 81 ნლის ბაბუა სერგეი მოროზოვი და ბებია ქსენია, რომლებიც ციხეში გარდაიცვალნენ.

პავლიკ მოროზოვის გმირობის ამბავი თავიდან ფართოდ გამოიყენებოდა კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, 1930-იანი ნლების მეორე ნახევრიდან სამაგალითოდ სახავდნენ პიონერებისათვის, რომლებიც საჯაროდ ემიჯნებოდნენ თავიანთ „ხალხის მტერ" – მშობლებს.[2]

შემდგომ მამის დამბეზღებელი პიონერი დიდად მიმზიდველ გმირად აღარ გამოიყურებოდა. ამიტომ 1950 წელს გამოცემულ საბჭოთა კავშირის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში მოკლედ იყო ნათქვამი: „1932 ნელს ურალში 12 ნლის მოსწავლე პიონერი პავლიკ მოროზოვი ამხილებდა კულაკებსა და მათ დამქაშებს, რომლებიც ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. კულაკები პავლიკს ტყეში ჩაუსაფრდნენ და მოკლეს".[3]

პოსტსაბჭოთა პერიოდში ეს მითი არა მხოლოდ ზნეობრივი თვალსაზრისით დადგა ეჭვქვეშ. პავლიკ მოროზოვის ამბავი აშკარად შეთხზული იყო. პავლიკი პიონერი ვერ იქნებოდა, რადგანაც სოფელში პიონერული ორგანიზაცია არ არსებობდა; სკოლაში ფაქტობრივად ვერ დადიოდა, რადგანაც მუშაობა უხდებოდა. მამამისმა ცოლ-შვილი მიატოვა და მთვრალი პავლიკს ცემდა ხოლმე კიდეც. ამიტომ პავლიკმა მამა თუ დააბეზღა, მხოლოდ გაბრაზებულმა ცუდი მოპყრობის გამო. ძმები ტყეში შეიძლება დახოცა რომელიმე გადასახლებულმა, თუნდაც პურის ნატეხისთვის, ბაბუას და სხვა ნათესავებს კი მომ-

[1] История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова. М., 2016, стр.175.
[2] Елена Широкова. Павлик Морозов – http://ptiburdukov.ru
[3] სსრკ ისტორია. ნანილი III, თბ., 1950, გვ.381.

ხდართან არავითარ კავშირი არ ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ბაბუა ყოფილი ჟანდარმი იყო და ბოლშევიკურ პროპაგანდას ეს ფაქტი „დამატებით მასალას" აძლევდა.

კოლექტივიზაციის ძირითადი თარიღები:

1928 – კოლმეურნეობათა ფორსირებული შექმნის დასაწყისი;
1929 – გაზეთ „პრავდაში" დაიბეჭდა სტალინის სტატია „დიადი გარდატეხის წელი";
1930 – გამოცხადდა „კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის" პოლიტიკა;
1932-1933 – შიმშილობა;
1940-იანი წლები – დამამთავრებელი ეტაპი.

14. 8. კოლექტივიზაცია საქართველოში

მოსკოვში შემუშავებული გრაფიკის თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია 1933 წლისთვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ გეგმის ერთი წლით ადრე შესრულება გადაწყვიტა, რათა ასეთი „დიდი მიღწევით" აღენიშნა საქართველოს გასაბჭოების მე-10 წლისთავი. კოლექტივიზაცია საქართველოში რუსეთთან შედარებით კიდევ უფრო მიუღებელი იყო. რუსი გლეხი საუკუნეების განმავლობაში შეჩვეული იყო თემს და მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობას. საქართველოში კი ქართველი გლეხი საუკუნეების მანძილზე თავის კუთვნილ მინის ნაკვეთს ამუშავებდა.

გასაბჭოების დროისათვის საქართველოში სულ 2 401,5 ათასი კაცი ცხოვრობდა, აქედან სოფელში – 1 926,4 ათასი, რომელიც 326,4 ათას გლეხურ მეურნეობას წარმოადგენდა. თუმცა, უფასოდ მიწის მიღების იმედით ან მიწის ჩამორთმევის შიშით ოჯახები სწრაფად იყოფოდა. 1925 წლისათვის საქართველოს სოფელში უკვე 413,9 ათასი გლეხური მეურნეობა იყო.

კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზე საქართველოს სოფლის სოციალური სახე ასე გამოიყურებოდა: ღარიბი გლეხი – დაახლოებით 30%, საშუალო გლეხი – დაახლოებით 65%, სოფლის ბურჟუაზია – 5% (ვარაუდობენ, რომ მისი წილი უფრო ნაკლები – 1,4 – 2,4% იყო).[1]

1930 წლის იანვრის ბოლოდან 1 მარტამდე საქართველოში კოლმეურნეობებში შეიყვანეს გლეხების 64%. საქართველოში „კულაკების" რიცხვი გლეხური მოსახლეობის 1,5-2%-ს არ აღემატებოდა. შევიწროების პოლიტიკას 1930 წლიდან „კულაკთა" სრული განადგურების პოლიტიკა მოჰყვა. „განაკულაკეს" გლეხების 5-6%. „შავსიელთა", ე.ი. პოლიტიკურად „უფლებააყრილთა" რაოდენობამ გლეხობის 10-15%-ს მიაღწია.[2]

სოფლად „კოლექტივიზაციის" პროცესის დაწყებასთან ერთად რეპრესირებული იქნა კომუნისტების მიერ ყველაზე მასობრივ „ექსპლუატატორულ" ფენად გამოცხადებული ე.წ. კულაკები. ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ისიც, რომ ხშირად ერთმანეთში ურევდნენ კულაკებსა და საშუალო გლეხებს. კომუნისტური პარტიის მიერ წახალისებული სოფლის აქტივისტები სასტიკად უსწორდებოდნენ „კულაკებად" მიჩნეულ ოჯახებს.

1930 წლის მარტიდან სტალინის მითითებით „შეცდომებისა" და „გადახრების" გამოსწორება მხოლოდ ტაქტიკური და დროებითი ღონისძიება იყო, რომელიც, მთლიანობაში, კომუნისტური რეჟიმის სტრატეგიულ პოლიტიკაში არაფერს ცვლიდა. მართალია, სტალინის მითითების შემდეგ ერთ თვეში კოლექტივიზაციის პროცენტი საქართველოში 64-იდან 29%-მდე შემცირდა, 1 სექტემბრისათვის კი კოლმეურნეობებში გლეხების მხოლოდ 15% ირიცხებოდა.

[1] საქართველოს ისტორია XX საუკუნე. თბ., თსუ გამომც., 2003, გვ.131.
[2] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია 1801-2001. თბ., ივერია, 2002, გვ. 69.

კოლექტივიზაციის დროს დაშვებული „შეცდომების“ გამო სტალინმა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად ლავრენტი ბერია დანიშნა, ამ პოსტზე მყოფი მამია ორახელაშვილი კი მოსკოვში გადაიყვანა.

კოლექტივიზაცია უზარმაზარი მსხვერპლის ფასად განხორციელდა. მან მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას, შეამცირა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დააკაბალა გლეხები, რომელთაც პასპორტებსაც არ აძლევდნენ, რათა სოფლიდან არ ნასულიყვნენ, შრომა-დღეებზე მიზერული ანაზღაურების გამო, არცთუ იშვიათად შიმშილობის ზღვარზე უხდებოდათ ცხოვრება. დაანგრია მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა. სკპ(ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სოფლის მეურნეობას ორიენტაცია უნდა აეღო ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარებაზე. ეს, საბჭოთა ბაზრის დაკარგვის შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა.[1]

შემდგომ წლებში კოლექტივიზაცია გაგრძელდა. 1936 წელს საქართველოში 4.334 კოლმეურნეობა იყო, რომელშიც 371 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა (მთელი მეურნეობების 75%-ზე მეტი) იყო გაერთიანებული. კოლექტივიზაცია დამთავრებულად გამოცხადდა 1937 წელს, თუმცა იმ დროისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული არ იყო 116.354 გლეხური მეურნეობა. 1940 წლისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს გლეხების 92,3%.[2]

კოლექტიური მეურნეობების ზრდა საქართველოში:
1927 წელს – 85;
1939 წელს – 4254
1937 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 48 მანქანა-ტრაქტორების სადგური, სადაც 4500-ზე მეტი ტრაქტორი და 360 კომბაინი იყო.

[1] რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბ., „უნივერსალი“, 2008, გვ.430.
[2] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია 1801-2001. თბ., ივერია, 2002, გვ. 69.

თავი XV.

კულტურული რევოლუცია

15.1. კულტურული რევოლუციის არსი

ტერმინი „კულტურული რევოლუცია" საბჭოურ პოლიტიკურ ლექსიკონში ლენინმა შემოიტანა ნაშრომში „კოოპერაციის შესახებ". მისი დახასიათებით, ეს იყო მთელი გადატრიალება, ეტაპი ხალხის მასების კულტურულ განვითარებაში. კულტურული რევოლუცია ეწოდება ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს საზოგადოების კულტურული და იდეოლოგიური ცხოვრების ძირეულად გარდასაქმნელად. მიზანი იყო კულტურის ახალი ტიპის ფორმირება, რაც განიხილებოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ნაწილად. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო პროლეტარული კლასებიდან გამოსულთა ნილის გაზრდა ინტელიგენციის სოციალურ შემადგენლობაში.

კულტურული რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტაზე საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე ზრუნავდა, მაგრამ მასირებულად რეალიზებულ იქნა პირველი ხუთნლედების დროს. 1930-იან წლებში კულტურული რევოლუცია ესმოდათ როგორც საზოგადოების დიდი გარდაქმნის ნაწილი – ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციასთან ერთად. ასევე კულტურული რევოლუციის ფარგლებში შეიცვალა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში.

კულტურული რევოლუცია, პირველ რიგში, საზოგადოების იდეოლოგიურ გარდაქმნას ისახავდა მიზნად. კულტურული რევოლუციის მთავარი ამოცანა იყო საბჭოთა ადამიანების მსოფლმხედველობაში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პრინციპების დანერგვა. ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგვე გატარდა. 1918 წ. 23 იანვარს გამოიცა დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოსგან და სკოლის ეკლესიისგან გამოყოფის შესახებ. გაუქმებულ იქნა სასწავლო საგნები, რომლებიც რელიგიურ განათლებას უკავშირდებოდა: ღვთისმეტყველება, ძველი ბერძნული ენა და სხვ.

საზოგადოების იდეოლოგიური გარდაქმნისათვის საბჭოთა ხელისუფლების პირველივე თვეებში საზოგადოების კულტურული ცხოვრების სამართავად შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო ორგანოების ფართო ქსელი:

აგიტპროპი (ბოლშევიკური პარტიის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება);

„გლავპოლიტპროსვეტი" (შეიქმნა 1920 წ. კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის შესაბამისად პოლიტიკური, საგანმანათლებლო და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის სახელმძღვანელოდ, ჰქონდა სამკითხველოები, კლუბები, პარტიული სკოლები, კომუნისტური უნივერსიტეტები და სხვ.);

„ნარკომპროსი" (განათლების სახალხო კომისარიატი);

მთავლიტი (საბჭოური ცენზურა, აკონტროლებდა პრესას, ჟურნალებს და ლიტერატურას) და სხვა.

გაუქმდა სიტყვის თავისუფლება, შემოღებულ იქნა მკაცრი ცენზურა, განხორციელდა კულტურული დანესებულებების (გამომცემლობების, მუზეუმების, კინოფაბრიკების) ნაციონალიზაცია.

15.2. ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის დასაძლევად

კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნეოდა წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევა. 1920 წლის აღწერის მონაცემებით, რუსეთის ფე-

დერაციაში წერა-კითხვა იცოდა 8 წელზე უფროსი ადამიანების მხოლოდ 41,7%-მა. წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევის გარეშე შეუძლებელი იყო სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება და კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვა.

წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევა რთულ ამოცანად იქცა. 1917-1927 წლებში წერა-კითხვა 10 მილიონამდე უფროსი ასაკის ადამიანს ასწავლეს. მათ შორის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე – 5,5 მილიონ ადამიანს. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წლებში უნიგნურობის დაძლევა სასურველი ტემპით ვერ მიმდინარეობდა. 1926 წლისათვის ნიგნიერების თვალსაზრისით ევროპის ქვეყნებს შორის მე-19 ადგილი ეკავა და ჩამორჩებოდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი და პორტუგალია.

1928 წელს კომკავშირის ინიციატივით დაიწყო ე. წ. „კულტურული ლაშქრობა", რომლის ძალითაც უნიგნურობის დაძლევის ამოცანას თავის თავზე საზოგადოება იღებდა. 1930 წლისთვის კულტარმიელების რიცხვი 1 მილიონს აღწევდა, წერა-კითხვის სკოლებში კი დაკავებული იყო 10 მილიონი ადამიანი.

1930 წელს შემოიღეს საყოველთაო დაწყებითი განათლება, რაც ახალგაზრდობაში უნიგნურობის აღმოფხვრის გარანტიას იძლეოდა. 1930-1933 წლებში საბჭოთა კავშირი გადავიდა საყოველთაო 4-წლიან განათლებაზე, 1933-1937 წლებში აშენდა 20 ათასზე მეტი სკოლა. 1937 წლიდან სავალდებულო გახდა 7-წლიანი განათლება.

1939 წლის აღწერის მონაცემებით, წერა-კითხვის ცოდნის დონემ 16-50 წლის მოსახლეობაში 90%-ს მიაღწია, წერა-კითხვის უცოდინარობა კი საბოლოოდ დაიძლია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

წერა-კითხვის უცოდინარობის პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა ეროვნული ალფავიტები საბჭოთა კავშირში შემავალი რიგი ხალხებისთვის. ალფავიტები ჯერ შეიქმნა ლათინური ანბანის საფუძველზე, შემდეგ კი გადაიყვანეს რუსულ ალფავიტზე – კირილიცაზე.

15.3. ბრძოლა „ძველი" ინტელიგენციის წინააღმდეგ

საბჭოთა რეჟიმი თავიდანვე ახორციელებდა რეპრესიულ ზომებს ინტელექტუალი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. ეს განიხილებოდა კულტურული რევოლუციის ნაწილად. 1922 წლის მაისში ლენინმა წამოაყენა წინადადება, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ნაწილისთვის სიკვდილით დასჯა შეეცვალათ უცხოეთში გაძევებით. ლ. ტროცკიმ ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ აქციას: „ჩვენ ეს ადამიანები გავასახლეთ იმიტომ, რომ მათი დახვრეტის საბაბი არ არსებობდა, ხოლო მათი ატანა შეუძლებელი იყო".

განსაკუთრებულ აზრთან ბრძოლის ფარგლებში აღსანიშნავია „ფილოსოფიური გემი". ამ სახელწოდებით ცნობილია ორი გერმანული სამგზავრო გემის რეისი 1922 წლის სექტემბერსა და ნოემბერში, რომელთაც პეტროგრადიდან შტეტინში (გერმანია) ჩაიყვანეს საბჭოთა რუსეთიდან გაძევებული ინტელიგენციის 160 წარმომადგენელი.

გაძევების ოპერაცია 1922-1923 წლებში მიმდინარეობდა. ინტელიგენციის წარმომადგენლები გააძევეს გემებით ოდესიდან და სევასტოპოლიდან, მატარებლებით, მოსკოვიდან ლატვიასა და გერმანიაში. თითოეულ გასახლებულს ნება ეძლეოდა, თან წაეღო ორი ტრუსი, ორი წყვილი წინდა, პიჯაკი, შარვალი, პალტო, შლიაპა და ორი წყვილი ფეხსაცმელი. დანარჩენი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა.

1922 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გასახლებულთა შორის ჭარბობდა უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა და ჰუმანიტარული პროფესიების წარმომადგენლები. გასახლებული 225 ადამიანიდან ექიმები იყვნენ 45, პროფესორები და პედაგოგები -41, ეკონომისტები, აგრონომები, კოოპერატორები – 30, ლიტერატორები – 22, იურისტები –

16, ინჟინრები – 12, პოლიტიკური მოღვაწეები – 9, რელიგიური მოღვაწეები – 2, სტუდენტები – 34.

1920-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოდევნის პოლიტიკა – გახმაურდა საჩვენებლად წარმართული „აკადემიური საქმე", „შახტინის საქმე", „პრომპარტიის საქმე" და სხვა.

„შახტინის საქმე" – 1928 წ. მაის-ივნისში „ჩეკამ" შეთითხნა სასამართლო-პოლიტიკური პროცესი. დააპატიმრეს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის 53 ხელმძღვანელი და სპეციალისტი. მათ ბრალი ედებოდათ დონბასში მავნებლობასა და საბოტაჟში. ესენი იყვნენ რევოლუციამდელი, „ძველი" ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ ბრალი ედებოდათ ასევე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შექმნის მცდელობაში. ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი კომუნისტებს არ გააჩნდათ, გარდა „თვითაღიარებებისა". შახტინის საქმე ასევე მიიჩნევა იმ მიჯნად, საიდანაც დაიწყო ეკონომიკაში ახალი ეკონომიკური პოლიტიკიდან „სოციალისტურ შეტევაზე" გადასვლა.

„აკადემიური საქმე" დაიწყო 1929 წ. იანვარში იმის გამო, რომ 42 ახალარჩეულ აკადემიკოსს შორის არ აღმოჩნდა 3 კომუნისტი-კანდიდატი. კომუნისტურ გაზეთებში (სხვა არც არსებობდა) გამოჩნდა მოთხოვნები აკადემიის რეორგანიზაციის თაობაზე, ასევე, რიგ აკადემიკოსებს ბრალი დასდეს „კონტრრევოლუციურ ნარსულში". კამპანია შეწყდა, როდესაც სამი კომუნისტი კანდიდატი: ა. დებორინი, ნ. ლუკინი, ვ. ფრიჩე აირჩიეს აკადემიკოსებად.

ბოლშევიკები მეცნიერებათა აკადემიას მტრულ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ. 1929 წ. აგვისტოში ლენინგრადში მეცნიერებათა აკადემიაში „წმენდის" ჩასატარებლად გაიგზავნა სპეციალური სამთავრობო კომისია.[1] გაათავისუფლეს 128 შტატის (960-იდან) და 520 ზეშტატიანი (830-იდან) თანამშრომელი. 1929 წლის დეკემბრიდან 1930 წლის დეკემბრამდე „აკადემიური საქმის" ფარგლებში დააპატიმრეს 100-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად ისტორიკოსები და სხვა ჰუმანიტარული სპეციალობის წარმომადგენლები. „აკადემიური საქმე" გადაეხლართა უშიშროების მიერ პარალელურად შეთითხნილ სხვა საქმეებს. ამ საქმის ფარგლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია 1967 წლამდე გაჭიანურდა.

1929 წლიდან დაიწყო მკაცრი კონტროლის დამყარება მეცნიერთა საქმიანობაზე. ოპოზიციური განწყობის ძველ სპეციალისტებს აპატიმრებდნენ. სამეცნიერო მუშაობა უნდა დაქვემდებარებოდა სახელმწიფო დაგეგმვის ინტერესებს.

„პრომპარტიის საქმე" – 1930 წ. გაზაფხულზე, მაღაროებში მომხდარი რიგი გაფიცვების შემდეგ, დააპატიმრეს ინჟინრებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის დიდი ჯგუფი, მათ ბრალად ედებოდათ იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაციის „სამრეწველო პარტიის" შექმნა. ბოლშევიკური ბრალდების თანახმად, ამ ორგანიზაციამ 1925-1930 წლებში მრავალი ძირგამომთხრელი აქტი მოაწყო მრეწველობასა და ტრანსპორტზე. გამართეს რამდენიმე საჩვენებელი პროცესი. სულ დააპატიმრეს 2 ათასზე მეტი ადამიანი. 1989 წელს ყველა ბრალდებული რეაბილიტირებულ იქნა.

„პრომპარტიის საქმით" ბოლშევიკები ცდილობდნენ დისციპლინის განმტკიცებას, საგაფიცვო მოძრაობის შეწყვეტას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

15.4. „საბჭოთა ინტელიგენციის" შექმნა

„ძველი ინტელიგენციის" მიმართ უნდობლობასა და რეპრესიებთან ერთად, საბჭოთა რეჟიმს სჭირდებოდა საბჭოთა რეჟიმის ერთგული ინტელიგენციის აღზრდა. კულტურის მოღვაწეების წინაშე პირდაპირ დააყენეს ხელისუფლების მომსახურების ამოცანა. მწერლებსა და მხატვრებს საზოგადოებისთვის უნდა მოეწოდებინათ „კომუნიზმის მწვერვალებისკენ", განედიდებინათ საბჭოთა ხელისუფლება.

1932 წელს კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით დაშლილად გამოცხადდა მწერალთა სხვადასხვა გაერთიანებები, 1934 წ. კი შეიქმნა საბჭოთა კავშირის მწერალთა

[1] 1934 წლამდე მეცნიერებათა აკადემია ლენინგრადში იყო განთავსებული.

კავშირი. ანალოგიურად შეიქმნა კომპოზიტორთა, არქიტექტორთა, მხატვართა კავშირები. რეპრესირებულ იქნა „იდეოლოგიურად უცხო" დაახლოებით ათასი მწერალი.

ახალი შემოქმედებითი კავშირების სავალდებულო მხატვრულ მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოცხადდა, რომლის საფუძვლებიც შეიმუშავა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა მაქსიმ გორკიმ. 1930-იან წლებში კულტურის მოღვაწეების წინაშე დასახული ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სინამდვილის შელამაზება და სტალინის პიროვნების კულტის შექმნა იყო.

„ახალი ინტელიგენციის" ფორმირება ხდებოდა მშრომელი კლასებიდან (მუშები და გლეხები) გამოსული ახალგაზრდებიდან. 1928 წ. საბჭოთა კავშირში იყო 170 ათასი სტუდენტი, 1940 წელს კი – უკვე 810 ათასი, მათგან 200 ათასზე მეტი სწავლობდა ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში. 170 ათასი სტუდენტიდან, რომელთაც განათლება პირველ ხუთწლედში მიიღეს, 1940 წლისათვის ხელმძღვანელ პოსტებზე 152 ათასი იყო, ხოლო მეორე ხუთწლედში უმაღლესდამთავრებული საინჟინრო-ტექნიკური სპეციალობის 370 ათასი სტუდენტიდან 1940 წელს ხელმძღვანელი პოსტები ეკავა 266 ათას ადამიანს.

15.5. ისტორიის სტალინური ვერსიის დამკვიდრება

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღეს მრავალი საგანი, რომელთა მიზანიც იყო მარქსიზმის კომუნისტური ვერსიის სწავლება. ისტორიის სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შეიცვალა ე. წ. „საზოგადოებათმცოდნეობის" შესწავლით. უმაღლესებში სავალდებულო გახდა ისეთი დისციპლინების სწავლება, როგორიც იყო ისტორიული მატერიალიზმი, პროლეტარული რევოლუციების ისტორია, პარტიის ისტორია და ლენინიზმის საფუძვლები. 1921 წ. იურიდიული, ისტორიული და ეკონომიკური ფაკულტეტების ნაცვლად შეიქმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

1930-იანი წლების შუახანებიდან აღადგინეს ჰუმანიტარული ფაკულტეტები უნივერსიტეტებში და მიხვდნენ ისტორიის სწავლების მნიშვნელობასაც. სერიოზული ყურადღება მიექცა ისტორიის სტალინური ვერსიის დამკვიდრებას. 1935 წ. სტალინის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. ამ საგანს დაეკისრა ძირითადი ფუნქცია მოსწავლეთა იდეოლოგიურ აღზრდაში. პარტიული სწავლებისათვის 1938 წ. მომზადდა „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". ამ წიგნში გადმოცემული იყო პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის სტალინური ვერსია, წიგნში მხილებული და დაგმობილი იყვნენ სტალინის მოწინააღმდეგეები.

1929 წლიდან, სტალინის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით აქტიურად დაიწყო სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება. სტალინს უწოდებდნენ „დიდ ბელადს", „დიდ ბელადსა და მასწავლებელს", „ხალხთა მამას", „დიდ სარდალს", გაჩნდა ფრაზა „ლენინურ-სტალინური პარტია", „სტალინი – ესაა ლენინი დღეს", სტალინის სახელი ეწოდა ცარიცინს, ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეს და სხვა მრავალ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტს. სტალინის პორტრეტს კიდებდნენ მარქსის, ენგელსისა და ლენინის პორტრეტების გვერდით.

15.6. ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ

ათეიზმი თავიდანვე იყო ახალი საბჭოთა იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. ჯერ კიდევ 1918 წლის 23 იანვარს რსფსრ სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დეკრეტი „ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისგან გამოყოფის შესახებ" რელიგიურ ორგანიზაციებს ართმევდა ყოველგვარ საკუთრებას. საეკლესიო ქონება სრულად ექვემდებარებოდა ნაციონალიზაციას. 1918 წლის 1 თებერვალს პატრიარქმა ტიხონმა საჯაროდ გადასცა

ანათემას ბოლშევიკები. „სამხედრო კომუნიზმის“ დროს ეკლესიის მსახურებს მტრულ ძალად მიიჩნევდნენ და მკაცრად უსწორდებოდნენ.

1921 წელს რუსეთის რიგ რეგიონებში დაწყებული შიმშილობა ბოლშევიკებმა გამოიყენეს საეკლესიო ქონების ჩამოსართმევად, იმ მოტივით, რომ დამშეულებისთვის დახმარება უნდა გაეწიათ, თუმცა ამ აქციის ძირითადი მიზანი ეკლესიის ძლიერების შერყევა იყო. 1922 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „ბეზბოჟნიკ“ („უღმერთო“).

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში ანტირელიგიურმა საქმიანობამ შედარებით ზომიერი ხასიათი მიიღო, მაგრამ 1927 წლიდან სტალინმა ანტირელიგიური საქმიანობა პირდაპირ დაუკავშირა თეორიას, რომლის თანახმადაც, კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო მწვავდებოდა სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად. 1927-1928 წლების ხორბლის დამზადების კრიზისის პერიოდში გააქტიურდა ცდები, რელიგია დაეკავშირებინათ კონტრრევოლუციასთან.

უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ე. იაროსლავსკი ამტკიცებდა, რომ ეკლესია იმ გლეხების თავშესაფარია, რომელთაც კოლმეურნეობაში შესვლა არ უნდათ. მისივე განცხადებით, ყველა რელიგიური კულტის მსახურთა საერთო რაოდენობა საბჭოთა კავშირში მილიონ-ნახევარს შეადგენდა და ეს იყო „პარაზიტი“ ქვეყნის სხეულზე. ანტირელიგიური მოძრაობის აქტივისტებისთვის ცნებები „კონტრრევოლუციონერი“ და „ღვთისმსახური“ სინონიმებად იქცა.

ღმერთისადმი მიმართვა მიიჩნეოდა „ადამიანის ღირსების დამცირების ამაზრზენ სურათად“ და მოუწოდებდნენ, რომ მშრომელებს სალაპარაკო ლექსიკიდან ამოეღოთ რელიგიასთან დაკავშირებული გამოთქმები: „ღვთის წყლობით“, „ღმერთო ჩემო“, „ღმერთი ჩვენსკენ“, „ეშმაკმა დალახვროს“ და სხვ.

1929 წლის თებერვალში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. კაგანოვიჩის ხელმოწერით საოლქო კომიტეტებს დაეგზავნა ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომლის მიხედვითაც, რელიგიასთან ბრძოლა გაუთანაბრდა კლასობრივ-პოლიტიკურ ბრძოლას. ბევრი თანამედროვე მკვლევრის აზრით, სწორედ ამ დოკუმენტით დაიწყო მასობრივი რეპრესიები ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ, მათი დაპატიმრება და ეკლესიების დახურვა. ათასობით საეკლესიო მსახური დახვრიტეს. კომუნისტურ პროპაგანდისტულ ლიტერატურაში ამტკიცებდნენ, რომ „რელიგიების წარმომადგენლები“ ქმნიდნენ იატაკქვეშა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებს, ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა ფურცლებს და მასების ანტისაბჭოთა გამოსვლების ორგანიზებას ცდილობდნენ. მორწმუნეთა პროტესტი ეკლესიების დახურვის გამო მიიჩნეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობად. აქტიურად ინერგებოდა მარქსისტული განათლების ახალი ფორმა – ე. წ. „უღმერთო სწავლება“. ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის გამოიყო დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსები, გაჩნდნენ ისეთი პარტიული მუშაკები, რომლებიც მხოლოდ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი.

1914 წელს რუსეთში იყო 75 ათასი მოქმედი ეკლესია, 1939 წელს დარჩა დაახლოებით 100. ტაძრები გადააკეთეს კლუბებად, საწყობებად, ფაბრიკებად ან, საერთოდ, დაანგრიეს.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში (1928-1939)

16.1. 1920-1930-იანი წლების საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ზოგადი დახასიათება

1920-იან წლებში ორი წინააღმდეგობრივი ფაქტორი განაპირობებდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას:

ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა სხვა ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ეკონომიკის აღდგენა და განვითარება;

მეორე მხრივ, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობა წარმართავდა კომუნისტური ინტერნაციონალის საქმიანობას და, საბოლოო ჯამში, კურსი აღებული ჰქონდა მსოფლიო რევოლუციაზე. ეს ართულებდა ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან და უნდობლობას იწვევდა მათში.

1920-იან წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები იყო:

- ქვეყნის დიპლომატიური და ეკონომიკური ბლოკადის გარღვევა;
- პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორების მოძიება;
- საგარეო პირობების უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობისთვის;
- ბრძოლის გაგრძელება „მსოფლიო რევოლუციის" გასამარჯვებლად.

1922-1933 წლებში საბჭოთა საგარეო პოლიტიკას პროგერმანული ორიენტაცია ჰქონდა. გერმანია ბოლშევიკ ლიდერებს წარმოუდგებოდათ მომავალი პროლეტარული რევოლუციის ქვეყნად, ხოლო საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი – პოტენციურ მტრებად.

გერმანიაში ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამ საბჭოთა პოლიტიკა შეცვალა, ამის შემდეგ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ორიენტირდა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებზე, ცდილობდნენ ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნას ევროპაში, 1939-1940 წლებში კი საბჭოთა კავშირი ხელახლა დაუახლოვდა გერმანიას.

საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა იყო, სინამდვილეში კი მას წარმართავდა კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო და პირადად სტალინი. ყოველდღიურ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელსაც სათავეში ედგნენ:

გეორგი ჩიჩერინი (1918-1930);

მაქსიმ ლიტვინოვი (1930-1939);

ვიაჩესლავ მოლოტოვი (1939-1949).

1920-იან – 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში გამოიყოფა სამი ეტაპი:

ეტაპი	წლები	შინაარსი
1-ლი ეტაპი: საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება	1922-1933 წლები	სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. „აღიარებათა ტალღა". საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პროგერმანული ორიენტაცია, რათა დაპირისპირებოდნენ „მთავარ პოტენციურ მოწინააღმდეგეებს" – ინგლისსა და საფრანგეთს.
მე-2 ეტაპი: „პაციფიზმის ერა"	1933-1939 წლები	ანტიგერმანული მიმართულება. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ორიენტაციას იღებს დასავლურ დემოკრატიებზე. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის მცდელობა (მ. ლიტვინოვი). ერთა ლიგაში შესვლა.
მე-3 ეტაპი: საერთაშორისო ურთიერთობების კრიზისი	1939-1940 წლები	გერმანიასთან ახალი დაახლოების დაწყება. 1939 წ. 23 აგვისტო – „რიბენტროპ-მოლოტოვის" თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმება.

16.2. საბჭოთა კავშირის ადგილი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში

საბჭოთა კავშირში 1920-იანი წლების შუახანებში სტალინის პოზიციამ გაიმარჯვა და მსოფლიო რევოლუციის ნაბიჯგების პოლიტიკიდან ბოლშევიკები გადავიდნენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკაზე. „მსოფლიო რევოლუციის" აჩრდილი პირველი ხუთწლედის ხმაურიან მშენებლობებში ჩაიძირა.

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეას ახალი, ასევე არანაკლებ ილუზიური იდეა ჩაენაცვლა – საბჭოთა კავშირის მსოფლიოზე გაბატონება, თუმცა მსოფლიო რევოლუციაც დავიწყებას არ მისცემია. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობა მიიჩნეოდა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პლაცდარმის შექმნად და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციების გამარჯვება განიხილებოდა მსოფლიო პოლიტიკაში საბჭოთა ქვეყნის როლის გაძლიერების საშუალებად.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების სტალინური თეორია ამტკიცებდა რუსეთის „სოციალისტური" სახელმწიფოს პრიორიტეტს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველა სხვა პრობლემასთან შედარებით. 1927 წლის ბოლოს სტალინმა პირდაპირ განაცხადა, რომ რევოლუციონერი და ინტერნაციონალისტი მხოლოდ ისაა, ვინც მზადაა, უპირობოდ დაიცვას საბჭოთა კავშირი – პირველი სოციალისტური სახელმწიფო. რევოლუციური მოძრაობის წინსვლა შეუძლებლად გამოცხადდა საბჭოთა კავშირის დაცვის გარეშე.

1930-იანი წლების დასაწყისში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა სტალინის პოზიციის ნაციონალ-კომუნისტური ხასიათი. მოსახლეობის შეგნებაში აქტიურად ინერგებოდა საბჭოთა პატრიოტიზმის იდეები, რომელიც გადადიოდა „წითელ" დიდმპყრობელურ შოვინიზმში. ქვეყანაში მკვიდრდებოდა მტრებით გარშემორტყმული ბანაკის იდეა, სადაც გარედან განუწყვეტლივ აგზავნიდნენ დივერსანტებსა და მავნებლებს.

ამავე დროს რუსი კომუნისტები და მათ კვალდაკვალ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში შემავალი პარტიები არასწორად აფასებდნენ რეალობას. მსოფლიო რევოლუციის „ტემპის შენელების", „გაჭიანურების" მთავარ მიზეზად მიიჩნევდნენ კაპიტალიზმის დროებით სტაბილიზაციას (ანუ კაპიტალიზმის ნაწილობრივ განმტკიცებას). ისინი თვლიდნენ, რომ მთლიანობაში კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი შინაგანი ძალები და აღარ შეეძლო განვითარება, ამიტომ კომუნისტები სულ მცირე გართულებას, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიძნელეებს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას აღიქვამდნენ როგორც კაპიტალისტური სისტემის „უკანასკნელ საათს", „დასასრულის დადგომას". ასეთი თვალსაზრისი ახალისებდა „მემარცხენე ტენდენციებს".

ამავე დროს სტალინი ცდილობდა, კომინტერნი გადაექცია თავისებურ ზეცენტრალიზებულ მსოფლიო პარტიად, რომელიც მასთან ათანხმებდა თავის პოლიტიკას. ეს სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად ასუსტებდა კომუნისტური პარტიების პოზიციებს.

1920-იანი წლების ბოლოდან მსოფლიოში არსებულ ვითარებასა და საგარეო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით გამოკვეთილი ხასიათი 1929-1933 წლებში მიიღო. მას მოჰყვა სამრეწველო წარმოების მკვეთრი შემცირება კაპიტალისტურ ქვეყნებში: აშშ-ში – 46%-ით, გერმანიაში – 40%-ით, საფრანგეთში – 31%-ით, ინგლისში – 16%-ით.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყება საბჭოთა კავშირსა და კომინტერნში შეაფასეს როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოახლოების მაუწყებელი, მაგრამ კაპიტალიზმმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი სიმტკიცე. კრიზისი დაიძლია და ეს მოხდა მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოს ჩარევით ეკონომიკის სფეროში. კრიზისის დაძლევა განსხვავებულ ხასიათს ატარებდა: ლიბერალურ-რეფორმისტულ (აშშ, ინგლისი), სოციალ-რეფორმისტულ (სკანდინავიის ქვეყნები, თავიდან – საფრანგეთი) და ტოტალიტარულ (გერმანია, იტალია, იაპონია) ქვეყნებში.

16.3. ბოლშევიზმის გაკვეთილი მსოფლიოსათვის. ფაშიზმისა და ნაციზმის ჩამოყალიბება

ბოლშევიკების მიერ რუსეთში ხელისუფლების დაპყრობამ და სამოქალაქო ომში გამარჯვებამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ბევრი შეზარა რევოლუციის საშინელებებმა და ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მისი გამეორება თავის ქვეყანაში. ნაწილს, პირიქით, მოსწონდა კომუნისტური რევოლუცია და მის გამეორებას ცდილობდნენ. ეს ადამიანები კომუნისტურ ინტერნაციონალში შედიოდნენ. კიდევ ერთ ნაწილს მოეწონა ბოლშევიკური მეთოდები, მაგრამ არა მათი კომუნისტური იდეები. ამ ადამიანების ბაზაზე ფაშისტური და ნაცისტური მოძრაობები ჩამოყალიბდა.

დასავლეთის მდიდარმა ქვეყნებმა: დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, სკანდინავიის ქვეყნებმა, აშშ-მა რეფორმებს მიმართეს. დაიწყო ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ღარიბი ფენების სასარგებლოდ, გაიზარდა სამოქალაქო უფლებები, გაუქმდა საარჩევნო ცენზები, მიიღეს მშრომელებისთვის ხელსაყრელი შრომითი კანონმდებლობა, შემოიღეს პროგრესული პირდაპირი გადასახადი და შეამცირეს ირიბი გადასახადები. მთავრობებმა დაიწყეს განათლების, სამედიცინო მომსახურების, იაფი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის სუბსიდირება, შემოიღეს სიცოცხლისა და სიბერის დაზღვევა. ბევრ ქვეყანაში ასეთ რეფორმებს ხელისუფლებაში მოსული სოციალისტური პარტიები ახორციელებდნენ.

ამ გზით სვლა შეუძლებელი აღმოჩნდა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყნებში: გერმანიასა და ავსტრიაში, ასევე იტალიაში. ამ ქვეყნებშიც სოციალისტები ცდილობდნენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას, მაგრამ გადასანაწილებელი ცოტა იყო. ამ ქვეყნებში წარმატებული აღმოჩნდა ბოლშევიკების მიბაძვით მოქმედი პარტიები: იტალიაში – ფაშისტური (მუსოლინის ხელმძღვანელობით) და გერმანიაში – ნაცისტური (ჰიტლერის ხელმძღვანელობით). ორივემ ლენინისგან გადაიღო პარტიის იდეა, რომელიც, სახელმწიფოს ნაცვლად, თავისი წევრების მეშვეობით მართავს ქვეყანას. გებელსის თქმით, ნაციზმი ყველაფერში ჰგავდა კომუნიზმს, გარდა ინტერნაციონალიზმისა. მუსოლინი და ჰიტლერი აქცენტს არა კლასობრივ ბრძოლაზე, არამედ ნაციონალიზმზე აკეთებდნენ და თავის გარშემო ერის დარაზმვას ცდილობდნენ.

ბოლშევიკების გამოცდილების კოპირებით 1920-1930-იან წლებში ჩამოყალიბდა ტოტალიტარული აგრესიული რეჟიმები იტალიასა და გერმანიაში. სამივე რეჟიმი მოსახლეობას მტრის სიძულვილს უნერგავდა – კლასობრივის, რასობრივის ანდა სახელმწიფოსი, თუმცა სამივე შემთხვევაში მტერი გამოგონილი იყო. სამივე რეჟიმი ომისათვის გამალებით ემზადებოდა.

ნაციონალ-სოციალიზმმა და იტალიურმა ფაშიზმმა კომუნისტებისგან ისესხეს რევოლუციის იდეა, რომელიც უფლებას იძლეოდა, გადაელახათ მორალური აკრძალვები, ხოლო სოციალიზმის იდეა საერთო იყო იმ დროის ტოტალიტარული იდეოლოგიებისათვის. მუსოლინისაც და ჰიტლერსაც მოსწონდათ ლენინის მაგალითი, როდესაც არსებობდა ერთიანი იდეოლოგია, ერთი პარტია და ერთი ბელადი. მათ უნდა დამორჩილებოდა ყველა ძალოვანი უწყება და საინფორმაციო საშუალება. ამასთან, ეს რეჟიმები დეტალებში განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან; ჰიტლერი ებრაელების განადგურებას ისახავდა მიზნად, მუსოლინი თავიდან ებრაელებს არ ერჩოდა და ცდილობდა ტერორისთვისაც არ მიემართა. მუსოლინი და ჰიტლერი ღიად გამოდიოდნენ დემოკრატიის წინააღმდეგ, სტალინს კი მოსწონდა დემოკრატიული დეკორაცია, რაც ადამიანებს სიცრუესა და ორპირობას აჩვევდა. ჰიტლერი და მუსოლინი მოწინააღმდეგეებს, თუკი ისინი ჩუმად იყვნენ და რეჟიმს არ ებრძოდნენ, არაფერს ერჩოდნენ, სტალინი კი ამას არ ეგუებოდა, დამარცხებულ და დამორჩილებულ მოწინააღმდეგეებს ანადგურებდა და ყველასგან მოითხოვდა აქტიურ მხარდაჭერას.

16.4. დაძაბულობის ზრდა დასავლეთის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის

1925 წელს ლოკარნოში (შვეიცარია) ჩატარდა კონფერენცია, რომლის ინიციატორები გერმანია და დიდი ბრიტანეთი იყვნენ, მასში მონაწილეობდნენ გერმანიის მეზობელი სახელმწიფოები: ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი. კონფერენციაზე დაიდო ხელშეკრულებები, რომლითაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთით დადგენილი გერმანიის საზღვრები ხელშეუხებლად გამოცხადდა. აღმოსავლეთის საზღვრებთან დაკავშირებით კი ასეთი ხელშეკრულებები არ დადებულა. ეს საფრთხეს უქმნიდა ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთს, ასევე ემუქრებოდა საბჭოთა კავშირსაც. სწორედ ასე აფასებდა საბჭოთა ხელმძღვანელობა ლოკარნოს კონფერენციის შედეგებს.

ჩიჩერინის ძალისხმევით სერიოზული მუშაობა ჩატარდა რიგ ქვეყნებთან ნეიტრალიტეტის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების გასაფორმებლად. მოსკოვში ფიქრობდნენ, რომ ამით შეამცირებდნენ ლოკარნოს ნეგატიურ შედეგებს. ამ სახის პირველი ხელშეკრულება დაიდო თურქეთთან, შემდეგ – გერმანიასთან, ავღანეთთან, ლიტვასთან და ირანთან.

მრავალი ქვეყნის მიერ საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ აღიარებას მოჰყვა დაძაბულობის ზრდის პერიოდი 1920-იანი წლების მეორე ნახევარში.[1] 1927 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობა არ გამორიცხავდა ომის დაწყებას. საკ. კპ(ბ) XV ყრილობაზე სტალინი შექმნილ საერთაშორისო ვითარებას 1914 წელს ადარებდა. დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაზე მითითება სტალინს თავისი ხელისუფლების განმტკიცებაში ეხმარებოდა.

1920-იანი წლების მეორე ნახევარში ჩიჩერინი თანდათანობით ჩამოსცილდა საგარეო პოლიტიკის უშუალო ხელმძღვანელობას. ამის მიზეზი იყო ნაწილობრივ ავადმყოფობა და ნაწილობრივ დაპირისპირება სტალინთან. 1926 წელს ჩიჩერინმა თავისი მოვალეობების შესრულება გადასცა მ. ლიტვინოვს და დიდი ხნით გაემგზავრა საზღვარგარეთ სამკურნალოდ. 1930 წელს კი ლიტვინოვი დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე.

ამ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაძაბულობა მკვეთრად გაიზარდა. ამ დროს გარდაიცვალა საბჭოთა ელჩი ლონდონში ლ. კრასინი. კვლავ დღის წესრიგში დადგა რუსეთის რევოლუციამდელი ვალების საკითხი. საბჭოთა მთავრობას

[1] 1924 წლის ბოლოს ინგლისში ხელისუფლებაში კვლავ კონსერვატორები მოვიდნენ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მათ გამოიყენეს ე. წ. „ზინოვიევის წერილი", რომელიც ინგლისელ კომუნისტებს აჯანყების მომზადებისკენ მოუნოდებდა. კონსერვატორებმა უარი თქვეს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. ანტისაბჭოთა განწყობა განსაკუთრებით გაიზარდა 1926 წელს. ამის მიზეზი გახდა ინგლისელი მაღაროელების გაფიცვა, რომელთაც მხარი დაუჭირეს კომინტერნმა და საბჭოთა პროფკავშირებმა. ინგლისში ეს მიიჩნიეს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად. 1927 წელს კონსერვატორთა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობები განაწყვიტა საბჭოთა კავშირთან, რომელიც მხოლოდ 1929 წელს აღდგა.

ბრალად სდებდნენ ანტიბრიტანულ პროპაგანდას ინდოეთში, რევოლუციის მხარდაჭერას ჩინეთში. ჩერჩილი მოითხოვდა დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან. პეკინსა და ლონდონში საბჭოთა წარმომადგენლობების შენობებს თავს დაესხა პოლიცია. შედეგად დიდმა ბრიტანეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან (ის აღდგა მხოლოდ ორი წლის შემდეგ). ვარშავის რკინიგზის სადგურში თეთრგვარდიელმა მოკლა საბჭოთა წარმომადგენელი პოლონეთში პ. ვოიკოვი, როდესაც ის ხვდებოდა ინგლისიდან დაბრუნებულ საბჭოთა დიპლომატებს.

16.5. საბჭოთა კავშირი შეიარაღების ზრდის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო მსოფლიოში შეიარაღების ზრდის შეზღუდვის მცდელობა. 1927 წლის ბოლოს ერთა ლიგის სპეციალურ კომისიაში საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ. იმავე წელს საბჭოთა კავშირი შეუერთდა ოქმს ქიმიური და ბაქტერიული იარაღის სამხედრო გამოყენების აკრძალვის შესახებ. საბჭოთა წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ განიარაღების საერთაშორისო კონფერენციებში, მაგრამ ეს უშედეგო იყო. პირიქით, შეიარაღების ზრდა უფრო გამალებულ ხასიათს იღებდა.

1928 წლის ზაფხულში პარიზში რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ბრიან-კელოგის პაქტს, რომელსაც სახელი ეწოდა მისი ინიციატორების, საფრანგეთისა და აშშ-ის საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა გვარებისგან. პაქტი მოითხოვდა უარის თქმას ომზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის იარაღზე. საბჭოთა კავშირი შეუერთდა ამ პაქტს. საბჭოთა კავშირმა მაშინვე პირველმა მოახდინა ამ პაქტის რატიფიცირება, ხოლო 1929 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის ინიციატივით მისმა მოსაზღვრე სახელმწიფოებმა (ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი) ხელი მოაწერეს მოსკოვში პროტოკოლს პაქტის ვადამდელი ამოქმედების თაობაზე. მოგვიანებით მოსკოვის პროტოკოლს შეუერთდნენ თურქეთი, ირანი და ლიტვა.

1931 წელს საბჭოთა კავშირმა გააგრძელა გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ.

1932-1933 წლებში საბჭოთა კავშირმა თავდაუსხმელობისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების თაობაზე ხელშეკრულებები გააფორმა ფინეთთან, ლატვიასთან, ესტონეთთან, პოლონეთთან, საფრანგეთთან და იტალიასთან.

16.6. მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში (1929-1936)

საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებზე მდგომარეობა შედარებით მშვიდი იყო. შორეულ აღმოსავლეთში ვითარება კი პირდაპირ სამხედრო შეტაკებებამდე მიდიოდა.

პირველი სამხედრო კონფლიქტი მოხდა 1929 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩრდილოეთ მანჯურიაში. ამის მიზეზი გახდა ჩრდილოეთ მანჯურიაზე გამავალი რკინიგზის ბაზი, რომელიც ვლადივოსტოკს უკავშირდებოდა (КВЖД). ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1924 წლის შეთანხმების თანახმად, რკინიგზა ერთობლივი მმართველობის ქვეშ იყო, მაგრამ 1920-იანი წლების ბოლოს ჩინური ადმინისტრაცია ფაქტობრივად განდევნილი იყო რკინიგზის მართვიდან, თავად რკინიგზა კი საბჭოთა კავშირის საკუთრებად იყო გადაქცეული. ამის მიზეზი ჩინეთში არსებული უკიდურესად არასტაბილური ვითარება იყო. 1928 წელს ჩინეთში ხელისუფლებაში მოვიდა ჩან კაიშის მთავრობა, რომელიც ჩინეთის მიწების გაერთიანების გზას დაადგა და შეეცადა, ძალით დაებრუნებინა რკინიგზაზე დაკარგული პოზიციები.

დაიწყო სამხედრო კონფლიქტი. მოსკოვნა შექმნა განსაკუთრებული შორეული აღმოსავლეთის არმია (18,5 ათასი მებრძოლი), რომელსაც ბლიუხერი ედგა სათავეში. საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს ჩინეთის ტერიტორიაზე ჩინეთის სასაზღვრო რაზმები, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს. 1929 წლის 22 დეკემბერს ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირ -

ჩინეთის შეთანხმებას, რომლითაც რკინიგზაზე აღდგა ძველი მდგომარეობა, მაგრამ დიპ-ლომატიური ურთიერთობების სრულმასშტაბიანი აღდგენა მხოლოდ 1932 წელს მოხდა. იაპონიის საფრთხემ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი აიძულა, აღედგინათ დიპლომატიური ურთიერთობები.

შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის სახით წარმოიშვა ომის გაჩაღების მძლავრი კე-რა. 1931 წელს იაპონიამ დაიპყრო მანჯურია და ოკუპირებულ მანჯურიაში 1932 წლის 18 თებერვალს გამოაცხადა „დამოუკიდებელი" სახელმწიფოს მანჯოუ-გოს („სახელმწიფო მანჯურია") შექმნა (1932-1945). მას სათავეში ჩაუყენეს ცინების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი პუ ი.

იაპონიამ უარი თქვა, საბჭოთა კავშირთან გაეფორმებინა თავდაუსხმელობის ხელ-შეკრულება. მანჯურიის დაპყრობით იაპონია პირდაპირ გავიდა საბჭოთა კავშირის საზ-ღვარზე, ამავე დროს რკინიგზა აღმოჩნდა იაპონელთა კონტროლქვეშ მოქცეულ ტერი-ტორიაზე. 1935 წელს საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, მანჯურიაზე გამავალი რკი-ნიგზა მიეყიდა მანჯოუ-გოსთვის.

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირი ცდილობდა, მონღოლეთი რაც შეიძლება მჭიდ-როდ მოექცია თავისი გავლენის ქვეშ. 1931 წელს მონღოლეთში საბჭოთა ნიმუშის მიხედ-ვით ჩატარდა კოლექტივიზაცია. ამას 1932 წლის გაზაფხულზე მონღოლთა აჯანყება მოჰ-ყვა. ის საბჭოთა არმიამ ჩაახშო ტანკებისა და ავიაციის გამოყენებით. თუმცა, 1930-იანი წლების შუახანებამდე მოსკოვის კონტროლი მონღოლეთზე სრული არ იყო. 1937-1939 წლებში საბჭოთა მრჩევლები უშუალოდ მონაწილეობდნენ მონღოლეთში მიმდინარე მასობ-რივ რეპრესიებში. მაგალითად, მთლიანად გაანადგურეს მონღოლეთის ბუდისტური თემი.

1936 წლის მარტში საბჭოთა კავშირმა მონღოლეთთან ხელი მოაწერა ურთიერთდახ-მარების ხელშეკრულებას, რაც შემაკავებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო იაპონელების-თვის.

16.7. საგარეო ვაჭრობა: ზრდიდან შემცირებისკენ

ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების ბარომეტრია ვაჭრობა. 1920-იანი წლები საბჭოთა კავშირის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სწრაფი განვითარების პე-რიოდია, 1930-იან წლებში კი მისი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

განვითარებული ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ გერმანია, დიდი ბრიტანეთი და აშშ. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გერმანიასთან სავაჭრო კავშირები მკვეთრად შემცირდა, მაგრამ 1940 წელს გერმანია კვლავ გახდა საბჭოთა კავშირის პირველი სავაჭრო პარტნიორი. 1940 წელს საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიისთვის მიყიდული ძირითადი საქონელი იყო მარცვლეული, ნავთობი, ბამბა და მისი ნარჩენები (დენთის დასამზადებლად გამოიყენება), ასევე ხეტყის მასალა. გერმანიაში კი ყი-დულობდნენ მანქანა-მოწყობილობებს, აგრეთვე მაღალი ხარისხის ლითონს.

დიდმა ბრიტანეთმა და დასავლეთის სხვა ქვეყნების უმრავლესობამ 1930-იანი წლე-ბის ბოლოს მკვეთრად შეამცირეს ეკონომიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირთან ინტენსიურად ვაჭ-რობდა აშშ, თუმცა საქონელბრუნვა მასთანაც მცირდებოდა.

დასავლეთთან ვაჭრობის შემცირების მიზეზი გახდა 1930 წელს ვაშინგტონისა და ლონდონის მიერ წამოყენებული ბრალდებები, რომ საბჭოთა კავშირს საქონელი გაჰქონ-და დემპინგურ ფასებში და აკრძალა იმპორტი საბჭოთა კავშირიდან.[1] თუმცა, ეკონომიკუ-

[1] საბჭოთა ხელისუფლებამ სავალუტო შემოსავლების შესანარჩუნებლად გაზარდა საქონლის ექსპორტი და შეამცირა ფასები. ამის გამო ბევრმა ქვეყანამ საბჭოთა კავშირს ბრალი დასდო დემპინგში, ე. ი. საქონლის თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდვაში, რაც, მათი აზრით, კრიზისს აძლიერებდა. 1930 წლის ივლისში აშშ გამოვიდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ბლოკადის ინიციატორად და აკრძალა საბჭოთა საქონლის იმპორტი. ბლოკადას შეუერთდნენ საფრანგეთი, ბელგია, რუმინეთი, იუგოსლავია, პოლონეთი, ინგლისი. რაც შეეხება გერმანიას, მან, პირიქით, გაზარდა საბჭოთა კავშირთან საქონელბრუნვა და ლამის მისი მთავარი პარტნიორი გახდა.

რი კრიზისის გამო, დასავლეთის ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით.

აზიის ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ ჩინეთი და მონღოლეთი. მონღოლეთში მიდიოდა ექსპორტზე გატანილი საბჭოთა წარმოების მანქანებისა და მოწყობილობების დიდი წილი.

საგარეო ვაჭრობა არა მარტო ქვეყნებს შორის რეალური ურთიერთობების ბარომეტრია, არამედ პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკის სარკეც. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე განაპირობებდა იმ საქონლის ჩამონათვალს, რასაც ყიდდა და ყიდულობდა ეს ქვეყანა. საბჭოთა ექსპორტში მანქანებსა და მოწყობილობებს უმნიშვნელო ადგილი ეკავა (1940 წელს 2%), ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო მარცვლეული, მორები და ხის მასალა, ბეწვეული და ნავთობპროდუქტები.

ნედლეულის გაყიდვით მიღებული ვალუტა ძირითადად გამოიყენებოდა მანქანა-მოწყობილობებისა და ლითონის ნაკეთობების შესაძენად. საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანი საშუალება იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთვის, მაგრამ 1930-იანი წლებში ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაუარესებას მოჰყვა ვაჭრობის შემცირებაც. შემცირდა საბჭოთა კავშირის როლი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. საბჭოთა ეკონომიკა გადაიქცა დახურულ სისტემად, რომელიც მოწყვეტილი იყო დანარჩენი მსოფლიოსგან. ეს უარყოფითად აისახა საბჭოეთის სამეურნეო განვითარებაზე.

16.8. ნაცისტების მოსვლა გერმანიის სათავეში და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შეცვლა

1933 წელს შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია ევროპაში. გერმანიაში ნაცისტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ გეგმებს, დაეწყოთ ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, „დიდი გერმანიის" შექმნის იდეა გულისხმობდა რიგი ქვეყნების დაპყრობას, მათ შორის საბჭოთა კავშირის ტერიტორიისაც.

საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, შეეცვალა თავისი საგარეოპოლიტიკური კურსი. პირველ რიგში, გადაისინჯა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი დებულება, რომლის თანახმადაც, ყველა „იმპერიალისტური" ქვეყანა ერთნაირად აღიქმებოდა მტრად და ისინი ნებისმიერ მომენტში მზად იყვნენ, საბჭოთა კავშირს თავს დასხმოდნენ. ამიერიდან საბჭოთა ხელისუფალნი ცდილობდნენ, „აგრესიული" ქვეყნები დანარჩენებისგან გამოეყოთ. 1933 წლის ბოლოს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის გეგმა. ამ დროიდან 1939 წლამდე საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ ანტიგერმანული ხასიათი შეიძინა. მისი მთავარი მიზანი გახდა კავშირის შეკვრა დემოკრატიულ ქვეყნებთან გერმანიისა და იაპონიის იზოლაციის მიზნით. ეს კურსი უკავშირდებოდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მაქსიმ ლიტვინოვის (1876-1951) საქმიანობას,[1] რომელიც 1930-1939 წლებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი იყო.

საბჭოთა კავშირი აქტიურად აკრიტიკებდა ფაშიზმს სახელმწიფო დონეზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ფაშიზმის მოწინააღმდეგენი დიდ იმედს ამყარებდნენ საბჭოთა კავშირსა და ინგლის-საფრანგეთს შორის შეთანხმების მიღწევაზე ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ.

ახალი საგარეოპოლიტიკური კურსის პირველი წარმატება იყო 1933 წლის ნოემბერში დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება აშშ-სთან და 1934 წლის სექტემბერში, რიგი ქვეყნების მიწვევით, საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლა,[2] სადაც მაშინვე გახდა მისი საბჭოს მუდმივი წევრი. ეს ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო არენაზე

---

[1] დაიბადა ებრაელი ვაჭრის ოჯახში. ნამდვილი სახელი და გვარია – მეერ-გენოხ მოისეის ძე ვალახი.

[2] საბჭოთა კავშირმა თავი დაანება ამ ორგანიზაციის ადრინდელ კრიტიკას.

დამკვიდრდა დიდი სახელმწიფოს სტატუსით. საბჭოთა კავშირისთვის ისიც მნიშვნელოვანი იყო, რომ ერთა ლიგაში მიიღეს მოსკოვის პირობების გათვალისწინებით: ყველა დავა, მათ შორის მეფის რუსეთის დროინდელი ვალების თაობაზე, მის სასარგებლოდ გადაწყდა.

საერთაშორისო დაძაბულობის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნისა და აგრესიის თავიდან აცილების საკითხი. 1933 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირი გამოვიდა **თავდამსხმელი მხარის (აგრესორის) განსაზღვრის კონვენციით.** მასში აღნიშნული იყო, რომ აგრესია არის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა ომის გამოცხადებით ან მის გარეშე, აგრეთვე სხვა ქვეყნების ტერიტორიის დაბომბვა, თავდასხმა საზღვაო გემებზე, ნავსადგურების ბლოკადა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ცივად შეხვდნენ საბჭოთა პროექტს, მაგრამ რუმინეთმა, იუგოსლავიამ, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, თურქეთმა, ირანმა, ავღანეთმა, მოგვიანებით კი ფინეთმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირთან ამ დოკუმენტს.

1934 წელს საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა, შეექმნათ „აღმოსავლეთის პაქტი", რომელშიც შევიდოდნენ საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. პაქტს მისი მონაწილე ქვეყანა აგრესორისგან უნდა დაეცვა. 1934 წლის სექტემბერში პაქტში მონაწილეობაზე უარი თქვა გერმანიამ, შემდეგ კი – პოლონეთმა.

1935 წლის მაისში საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიდო შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ აგრესორის თავდასხმის შემთხვევაში. სინამდვილეში აღებული ორმხრივი ვალდებულებანი ნაკლებად ეფექტური იყო, რადგანაც ხელშეკრულებას არ ერთოდა რაიმე სამხედრო შეთანხმება.

საფრანგეთის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიასთანაც გააფორმა, მაგრამ საფრანგეთის მოთხოვნით ჩეხოსლოვაკიასთან ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა პირობა: საბჭოთა კავშირი იმ შემთხვევაში დაეხმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, თუკი ასეთივე დახმარებას აღმოუჩენდა საფრანგეთი. ამ პუნქტმა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გაუბედაობამ გააადვილა ჰიტლერის აგრესია.

1935 წელს საბჭოთა კავშირმა დაგმო გერმანიაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღება და იტალიის თავდასხმა ეთიოპიაზე.

1936 წლის 7 მარტს გერმანია გამოვიდა 1925 წლის ლოკარნოს შეთანხმებიდან, რომელიც მას აიძულებდა დაეცვა ვერსალის ზავის პირობები რაინის ოლქის დემილიტარიზაციის შესახებ და იქ ჯარი შეიყვანა. დემილიტარიზებულ რაინის ზონაში გერმანიის ჯარების შეყვანის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ერთა ლიგას შესთავაზა, კოლექტიური ზომები მიეღოთ საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევის აღსაკვეთად, მაგრამ ეს მოწოდება უშედეგოდ დარჩა.

1936 წლის სექტემბერში ნიუნბერგში შედგა ნაცისტური პარტიის ყრილობა, რომელმაც წამოაყენა ომისთვის მომზადების 4-წლიანი გეგმა და გერმანიის მზაობა, ებრძოლა „სასიცოცხლო სივრცისთვის". 1937 წლის 30 იანვარს ჰიტლერმა განაცხადა, რომ გერმანია გამოდიოდა ვერსალის ხელშეკრულებიდან.

16.9. შემობრუნება პოლიტიკური რეალობისკენ. კომინტერნის VII კონგრესი

1933 წლამდე სტალინი თვლიდა, რომ კომინტერნს, პირველ რიგში, უნდა უზრუნველეყო საბჭოთა კავშირის შიდაპოლიტიკური კურსის საერთაშორისო მხარდაჭერა. სტალინის მეთოდებს ყველაზე მწვავედ ევროპელი სოციალ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ. სამაგიეროდ, სტალინის მიერ ისინი კომუნისტების მთავარ მტრებად და ფაშიზმის ხელშემწყობებად იყვნენ გამოცხადებული. ასეთმა პოზიციამ გამოიწვია ანტიფაშისტური ძალების გათიშვა და გაუადვილა ნაცისტებს გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მოსვლა.

1933 წელს, საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლასთან ერთად, შეიცვალა კომინტერნის პოზიციაც. გადასინჯეს წინა წლებში დამკვიდრებული რიგი არასწორი დებულებები. ახალი სტრატეგიული ხაზის შემუშავებას სათავეში ჩაუდგა გ.

დიმიტროვი.[1] ახალი ტაქტიკა დაამტკიცა კომინტერნის VII კონგრესმა, რომელიც 1935 წლის ივლის-აგვისტოში მოსკოვში ჩატარდა.[2] საბჭოთა კავშირში მკვეთრად შემცირდა რიტორიკა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შესახებ.

კომუნისტების მთავარ ამოცანად გამოცხადდა ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნა მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად. კომუნისტები უნდა გამოსულიყვნენ თანამშრომლობის ორგანიზატორებად ყველა ძალასთან – სოციალ-დემოკრატებიდან დაწყებული ლიბერალებით დამთავრებული. ანტიფაშისტური ფრონტის შექმნა და ფართო ანტისაომარი აქციები მჭიდროდ უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებას. კონგრესმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში კომუნისტები მოუნოდებენ მშრომელებს, „ყველა საშუალებით და ნებისმიერ ფასად ხელი შეუწყონ წითელი არმიის გამარჯვებას იმპერიალისტების არმიებზე".

კომინტერნის მეშვიდე კონგრესის გადაწყვეტილებებმა მუშათა ერთიანი ფრონტისა და ფართო სახალხო ფრონტის შექმნის თაობაზე შესაძლებელი გახადა ფაშიზმის შეჩერება საფრანგეთში. პირველ რიგში იქნა წამოწეული საერთო-დემოკრატიული, ჰუმანიტარული, მშვიდობის შენარჩუნების ამოცანები. კონგრესმა მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭა კომპარტიებს, მაგრამ მისი რეალიზება ვერ მოხერხდა. კომინტერნის ახალი ტაქტიკის პრაქტიკაში გამოყენების პირველი მცდელობა 1936 წელს ესპანეთში იყო, სადაც გენერალი ფრანკო ფაშისტურ ამბოხებას ჩაუდგა სათავეში რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ.

16.10. ომი ესპანეთში და საბჭოთა კავშირი

1936 ნლის თებერვალში ესპანეთში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა სოციალისტების, ანარქისტებისა და კომუნისტების ბლოკმა. ქვეყანაში გაიზარდა დაპირისპირება პოლიტიკური და რელიგიური მოტივებით.[3] 1936 ნლის 17 ივლისს „წესრიგის აღსადგენად" აჯანყება დაიწყო ოფიცერთა ჯგუფმა ახალგაზრდა გენერლის ფრანცისკო ფრანკოს ხელმძღვანელობით.[4] ფრანკოს გარშემო გაერთიანდნენ მემარჯვენე ლიბერალები, კათოლიკეები, მონარქისტები და სამხედრო დიქტატურის მომხრეები – ფალანგისტები, რომელთა ხელმძღვანელიც ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერა რესპუბლიკელებმა (ასე იწოდებოდნენ სახალხო ფრონტის მთავრობის მომხრეები) დახვრიტეს. ფრანკოს მხარეზე აღმოჩნდა არმიის დიდი ნანილი. დაიწყო სამოქალაქო ომი.

იტალია, გერმანია და პორტუგალია მეამბოხეებს უჭერდნენ მხარს. მეამბოხეებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დახმარებას გერმანია და იტალია უწევდნენ. მათ 1937 ნლის 18 ნოემბერს ცნეს ფრანკოს მთავრობა. გარდა სამხედრო-ტექნიკური დახმარებისა, ესპანეთში იბრძოდა 50-ათასიანი გერმანული კორპუსი და დაახლოებით 200-ათასიანი იტალიური არმია. ინგლისმა და საფრანგეთმა გამოაცხადეს „ჩაურევლობის" პოლიტიკა, რაც მეამბოხეებისთვის იყო ხელსაყრელი. ამ პოზიციამ მემარცხენე ძალების აღშფოთება გამოიწვია. ესპანეთში ათასობით მოხალისე გაემგზავრა სხვადასხვა ქვეყნიდან.

საბჭოთა დიპლომატია რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ესპანეთის რესპუბლიკელების ღია მატერიალური და სამხედრო მხარდაჭერა საფუძველი გახდებოდა რევოლუციის ექსპორტის შესახებ ახალი ბრალდებების წამოსაყენებლად. მეორე მხრივ, მხარდაჭერის გარეშე თუკი დატოვებდა ესპანელ რესპუბლიკელებსა და მათ დასახმარებლად ჩასულ მოხალისეებს, ეს საბჭოთა კავშირის გავლენისა და ავტორიტეტის შემცირებას გამოიწვევდა. 1936 ნლის 4 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა ღიად განაცხადა,

---

[1] ცნობილი ბულგარელი კომუნისტი გიორგი დიმიტროვი (1882-1949) ნაცისტებმა დააპატიმრეს და ბრალად დაადეს რაიხსტაგის დაწვა. საბჭოთა კავშირმა დიმიტროვს მოქალაქეობა მიანიჭა. ნაცისტები იძულებული გაიდნენ დიმიტროვი გაეთავისუფლებინათ. 1935 ნელს დიმიტროვი აირჩიეს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად.

[2] ეს აღმოჩნდა კომინტერნის უკანასკნელი კონგრესი.

[3] დახვრიტეს მრავალი მღვდელი და ბერი.

[4] აჯანყების პირობითი ნიშანი იყო რადიოთი გაჟღერებული ფრაზა: „მთელ ესპანეთზე უღრუბლო ცაა".

რომ მხარს უჭერდა ესპანეთის რესპუბლიკელებს. ესპანეთში გაიგზავნა საბჭოთა სამხედრო ტექნიკა, დაახლოებით 3,5 ათასი „მოხალისე", მათ შორის 700-ზე მეტი სამხედრო მრჩეველი (მათგან 230 დაიღუპა), ასევე იარაღი და საბრძოლო მასალა.

კომინტერნმა კომუნისტური პარტიების მეშვეობით მრავალ ქვეყანაში გაშალა კამპანია, მოხალისეებს მოუწოდა, ჩაბმულიყვნენ „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში". ესპანეთში რესპუბლიკელების მხარეზე იბრძოდნენ ინტერნაციონალური ბრიგადები – 50 ათასზე მეტი მოხალისე მსოფლიოს 64 ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 1,5 ათასი მოხალისე ფრანკისტების მხარეზეც იბრძოდა, ძირითადად კათოლიკეები, რომლებიც რესპუბლიკელთა მიერ ეკლესიაზე ძალადობამ აღაშფოთა.

რესპუბლიკელთა პოლიტიკური სპექტრი ძალზედ ჭრელი იყო, მაგრმ სტალინი მთელი ომის მანძილზე ცდილობდა უზრუნველეყო კომუნისტების ჰეგემონია მემარცხენეების ჭრელ კოალიციაში. იყენებდნენ შანტაჟს და მკვლელობებსაც. მაგალითად „გაქრა" ინტერბრიგადების ხელმძღვანელი, მადრიდის დაცვის გმირი გენერალი კლებერი, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა რესპუბლიკელთა შორის. საბჭოთა უშიშროება წმენდას ატარებდა ესპანეთშიც – როდესაც 1937 წელს საბჭოთა არმიის ზედა ეშელონებში რეპრესიები განხორციელდა, ესპანეთშიც გაანადგურეს ის სამხედროები, რომლებთანაც რეპრესირებულები მეგობრობდნენ.

როდესაც კატალონიელ მუშებში გაძლიერდა ანტისტალინური განწყობა, საბჭოთა უშიშროებამ სტალინის მითითებით დაიწყო სხვადასხვა პოლიტიკური ფრაქციის ერთმანეთთან დაპირისპირება. კომუნისტების ლიდერმა დიასმა მოითხოვა სტალინის მოწინააღმდეგე ყველა დაჯგუფების ჩახშობა, პრესასა და რადიოსადგურებზე კონტროლის დამყარება. მოსკოვი ცდილობდა, სტალინური მეთოდებით ესპანეთშიც აეშენებინა ტოტალიტარული სახელმწიფო, ეს კი მხოლოდ ართულებდა რესპუბლიკელების მდგომარეობას – კომუნისტებმა ჰეგემონიას ვერ მიაღწიეს, სახალხო ფრონტი კი დაიშალა.

ესპანეთში 1936 წლის მეორე ნახევრიდან უპირატესობა ფრანკისტების მხარეზე გადავიდა. ფრანკო 10 წლის განმავლობაში მაროკოში ებრძოდა რიფების ტომს, ორივე მხარე სისასტიკით გამოირჩეოდა და აფრიკული ომის წესები ესპანეთში გადმოიტანა, უმოწყალოდ ხოცავდა კომუნისტებს.[1] 1938 წლის მარტში მეამბოხეებმა გაარღვიეს არაგონის ფრონტი და გავიდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, ამით ორად გახლიჩეს რესპუბლიკელთა ხელთ არსებული ტერიტორია. 1939 წლის 28 მარტს დაეცა მადრიდი. ესპანეთში დამთავრდა სამოქალაქო ომი, რომელშიც დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

ესპანეთში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა. სახელმწიფოს მეთაური ფრანკო გახდა, რომელიც 1939 წლის 27 მარტს შეუერთდა „ანტიკომინტერნულ პაქტს", მაგრამ ფრანკო არ აპირებდა ჰიტლერის მორჩილ სატელიტად გადაქცევას და საიდუმლო კონტაქტებს ეძებდა ამერიკელებთან და ინგლისელებთან.[2] 1940 წლის შემოდგომაზე ფრანკო პირენეებში ჰიტლერს შეხვდა, რომლის შემდეგაც თავის ახლობელ პირებს უთხრა: „ამ ადამიანთან ლაპარაკი იგივეა, რაც ჯანსაღი კბილის ამოგლეჯა".

1939 წლის იანვარში, როდესაც ცხადი გახდა რესპუბლიკელების დამარცხება, სტალინმა შეწყვიტა დახმარების გაწევა. ესპანეთის ოქროს მარაგი (600 ტონა ოქრო) საბჭოთა კავშირმა წაიღო დახმარების გაწევის სანაცვლოდ. საბჭოთა კავშირმა შეინარჩუნა ასევე აგენტურის ქსელი ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, რომელიც შექმნეს რესპუბლიკელთა მხარეზე მოხალისეთა მისაზიდად.

ესპანეთის ამბებმა თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ აუცილებელი იყო ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალთა გაერთიანება, მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფოები ჯერ

---

[1] ამ მხრივ საგულისხმოა იტალიელი პრიმო ჯიბელის ბედი. 1921 წელს ახალგაზრდა იტალიელი საბჭოთა კავშირში გაექცა მუსოლინის რეჟიმს, გახდა მფრინავი-გამომცდელი. 1936 წელს იტალიელი კომუნისტების ლიდერის პალმირო ტოლიატის (1893-1964) რეკომენდაციით ჩავიდა ესპანეთში რესპუბლიკელთა მხარეზე საომრად. ის პირველი უცხოელი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირი გახდა (ორდენი N16). მადრიდისთვის ბრძოლაში მისი ბომბდამშენი ჩამოაგდეს, ორი კვირის შემდეგ კი ფრანკისტებმა მადრიდში პარაშუტით ჩააგდეს ყუთი, რომელშიც ჯიბელის დანანევრებული სხეული იყო მოთავსებული.

[2] 1939 წლის 27 თებერვალს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დე-იურე ცნეს ფრანკოს რეჟიმი.

კიდევ ფიქრობდნენ, რომელი რეჟიმი უფრო სახიფათო იყო დემოკრატიისათვის – ფაშისტური თუ კომუნისტური.

16.11. მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში (1937-1939)

1936 წლის ნოემბერში გერმანიამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს ანტიკომინტერნულ პაქტს, რომელსაც შემდეგ იტალია და ესპანეთი შეუერთდა.

1937 წლის ივლისში იაპონიამ დაიწყო ფართომასშტაბიანი აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ჩან კაიში და ჩინელი კომუნისტები მაო ძე დუნის ხელმძღვანელობით საერთო მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათი კავშირი 1945 წლამდე გაგრძელდა. იაპონიის აგრესიის პირობებში ჩინეთი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. 1937 წლის 21 აგვისტოს გააფორმეს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საბჭოთა კავშირი ჩინეთს ტექნიკურ და მატერიალურ დახმარებას უნევდა. ბრძოლებში ჩინელთა მხარეზე მონაწილეობდნენ საბჭოთა ინსტრუქტორები და მოხალისე მფრინავები.

1939 წლის თებერვალში ჩინეთში იმყოფებოდა 3665 საბჭოთა სამხედრო სპეციალისტი. სულ 1937 წლის შემოდგომიდან 1942 წლის დასაწყისამდე (როდესაც ისინი ძირითადად წამოვიდნენ ჩინეთიდან) ჩინეთში იბრძოდა 5 ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. ამ წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ჩინეთს გადასცა 1285 თვითმფრინავი, 1600 ქვემეხი, 82 ტანკი, 1850 ტრაქტორი, ტყვიამფრქვევების, შაშხანებისა და საბრძოლო მასალის დიდი რაოდენობა. სტალინი ცდილობდა ჩინელების ხელით მოეხდინა იაპონელების „ნეიტრალიზება“ და იმავდროულად თანდათანობით „გაეკომუნისტებინა“ თავად ჩინეთი. 1939 წლამდე საბჭოთა კავშირი აქტიურად უჭერდა მხარს ჩინეთს, მაგრამ 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ჩინეთისათვის გაწეული დახმარება მკვეთრად შემცირდა, ხოლო 1941 წლის 13 აპრილს საბჭოთა კავშირ-იაპონიას შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საერთოდ შეწყდა.

როგორც უკვე ითქვა, იაპონიასთან ურთიერთობაში დაძაბულობის შესანელებლად სტალინმა 1935 წელს მანჯოუ-გოს მიჰყიდა რუსეთის წილი ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზაში. სტალინი იაპონიასთან სამხედრო კონფლიქტისთვის ემზადებოდა და ამიტომ მისი ბრძანებით ლიკვიდირებულ იქნა ჩინელებისა და კორეელებისთვის შექმნილი ავტონომიები შორეულ აღმოსავლეთში. უფრო მეტიც, 1937-1938 წლებში პრიმორიესა და ხაბაროვსკის მხარეში მცხოვრები ჩინელები და კორეელები ყაზახეთსა და ყირგიზეთში გადაასახლეს, რადგანაც სტალინს ეშინოდა, რომ ომის შემთხვევაში ისინი იაპონელების მხარეზე გადავიდოდნენ.

1938 წლის ზაფხულში დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები იაპონიასა და საბჭოთა ჯარებს შორის საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე. 1938 წლის აგვისტოში გააფთრებული შეტაკებები მოხდა ხასანის ტბასთან (ვლადივოსტოკის ჩრდილოეთით). იაპონელთა მხრიდან ეს იყო ე. წ. დაზვერვა ბრძოლით, რაც მათთვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

1936 წელს იაპონიის კვანტუნის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა იტაგაკიმ განაცხადა, რომ იაპონიას აუცილებლად უნდა მოექცია თავისი ბატონობის ქვეშ მონღოლეთი. უფრო ადრე, 1935 წელს იაპონიამ მონღოლეთს მოსთხოვა, მდინარე ხალხინ-გოლი გამხდარიყო საზღვარი მონღოლეთსა და მანჯოუ-გოს შორის, რაც საზღვრის 20-25 კილომეტრით გადაწევას ნიშნავდა, მალევე დაიწყო სასაზღვრო შეტაკებები.

1939 წლის მაისში იაპონელები მონღოლეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში. საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის დადებული იყო ხელ-

შეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. საბჭოთა კავშირმა ჯარები შეიყვანა მონღოლეთში. საბჭოთა ნაწილებმა (80 ათასზე მეტი ჯარისკაცი და 880 ერთეული ჯავშანტექნიკა) სასტიკად დაამარცხეს იაპონელები. ოპერაცია დაგეგმა მე-2 რანგის კომანდარმმა გ. შტერნმა, რომელსაც ჯერ საბჭოთა კავშირის გმირობა მიანიჭეს, შემდეგ კი დახვრიტეს. ხალხინ-გოლთან გამარჯვების დიდება მთლიანად გ.ჟუკოვს ერგო, რომელიც მონღოლეთში მყოფ საბჭოთა ჯარებს სარდლობდა.

იაპონიის მთავრობა იძულებული გახდა, მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებისთვის, რომლის თანახმადაც, 1939 წლის 16 სექტემბრიდან წყდებოდა ყოველგვარი საომარი მოქმედებები. შორეულ აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების შემდგომი ესკალაციის საფრთხე განეიტრალდა.

საბჭოთა კავშირის გერმანიასთან დაახლოებამ გარკვეული უთანხმოება წარმოშვა გერმანია-იაპონიის ურთიერთობებში და საბჭოთა კავშირისთვის მოხსნა ორ ფრონტზე ომის საფრთხე. იაპონიამ თავი შეიკავა „ანტიკომინტერნულ პაქტში" მონაწილეობის გაღრმავებაზე, 1939 წლის 28 აგვისტოს კი გადადგა კ. ხირანუმის სამთავრობო კაბინეტი, რომელიც მხარს უჭერდა გერმანიასთან ერთად საბჭოთა კავშირთან ომს.

16.12. მიუნჰენის შეთანხმება

1938 წლის მაისის შუა რიცხვებიდან გერმანიამ ჯარების თავმოყრა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე. საბჭოთა ხელმძღვანელობა მზად იყო, დახმარება გაეწია ჩეხოსლოვაკიისთვის იმ პირობით, რომ პრაღას თავად უნდა ეთხოვა ამის თაობაზე. მაგრამ ჩეხოსლოვაკიაში ჯერ კიდევ დასავლეთელი მოკავშირეების დახმარების იმედი ჰქონდათ.

სექტემბერში, როდესაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები მიუნჰენში ჩავიდნენ გერმანიასა და იტალიასთან მოსალაპარაკებლად, იქ არ მიიწვიეს არც ჩეხოსლოვაკია და არც საბჭოთა კავშირი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი მზად იყო, დახმარება გაეწია ჩეხოსლოვაკიისთვის, თუკი ამას ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ოფიციალურად მოითხოვდა, თუმცა ასე არ მოხდა.

მიუნჰენის შეთანხმებამ 1938 წლის 28 სექტემბერს[1] ჩეხოსლოვაკიას ჩამოაცილა სუდეტის ოლქი, რომელიც ძირითადად გერმანელებით იყო დასახლებული – ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის დაახლოებით 20%. იქ ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედი და მდებარეობდა მძიმე მრეწველობის დაახლოებით ნახევარი.[2] 1939 წლის მარტში ჩეხოსლოვაკიის იმდროინდელი პრეზიდენტის ე. გახის „თანხმობით" გერმანიამ მთლიანად დაიკავა ჩეხოსლოვაკია.

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა ვერ მოხერხდა. 1938 წლის სექტემბერში გაფორმდა ინგლის-გერმანიის და 1938 წლის დეკემბერში საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციები. დეკლარაციებში ნათქვამი იყო, რომ მხარეები ესწრაფვიან, „არასოდეს მეტი აღარ იომონ ერთმანეთის წინააღმდეგ" და ყველა საკითხი გადაეჭრათ მოლაპარაკებების გზით.



ნაცისტებმა ჩეხოსლოვაკია დაშალეს – ბოჰემია და მორავია გახდა გერმანიის პროტექტორატი და შევიდა „მესამე რაიხის" შემადგენლობაში, სლოვაკეთი კი „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ და გერმანიის მოკავშირედ გამოცხადდა.

გერმანიის გარდა, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ნაწილი შეიერთეს უნგრეთმა და პოლონეთმა.

[1] მიუნჰენის შეთანხმებას ხელი მოაწერეს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის (ჩემბერლენი და დალადიე) ლიდერებმა და ფაშისტმა დიქტატორებმა (ჰიტლერი და მუსოლინი).
[2] ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა იყო 7,5 მილიონი ჩეხი, 2,5 მილიონი სლოვაკი და 3,5 მილიონი გერმანელი.

16.13. საბჭოთა კავშირის მზადება „უკანასკნელი ომისთვის“.

კოლექტივიზაციის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კომუნისტურ ნომენკლატურას არ შეეძლო თანაარსებობა თავისუფალ გლეხ-მწარმოებელთან. მეორე მიზეზი კი ინდუსტრიალიზაციისა და სამხედრო წარმოების სწრაფი განვითარების სურვილი იყო, მომავალი „რევოლუციის ექსპორტის“ განსახორციელებლად.

პირველი ხუთწლედის დროს მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა სამხედრო ბიუჯეტი. 1928-1929 წლებში საბჭოთა კავშირის სამხედრო ხარჯები შეადგენდა 93 მლნ გირვანქა სტერლინგს. 1932 წელს კი – დაახლოებით 140 მილიონს. ჰიტლერმა ევროპაში შეზღუდული ომისათვის მზადება დიდი სიფრთხილით დაიწყო 1935 წელს, სტალინმა კი – 1929 წლის აპრილში, პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების შემდეგ. არნახული ტემპით იზრდებოდა ტანკმშენებლობა.

1932 წლის 1 იანვრისათვის წითელ არმიას 1446 ტანკი და 213 ჯავშნიანი მანქანა ჰყავდა. 1934 წლის 1 იანვარს კი წითელ არმიას უკვე ჰყავდა 7574 ტანკი და 326 ჯავშნიანი ავტომობილი. ეს მეტი იყო, ვიდრე დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის არმიებში ერთად აღებული.[1] საბჭოთა რეჟიმის ხელმძღვანელები სულ უფრო აქტიურად ფიქრობდნენ მსოფლიო რევოლუციის დამაჩქარებლის როლის შესრულებაზე.

1935 წელს ვერმახტის შემადგენლობაში იგეგმებოდა მხოლოდ 36 დივიზიის ფორმირება და არმიის გაშლა 550 ათას მებრძოლამდე, ხოლო წითელ არმიაში იყო 87 მსროლელი და 32 კავალერიის დივიზია, პირადი შემადგენლობა კი 960 ათასს აღწევდა.

1937 წელს გერმანიას ომის შემთხვევაში შეეძლო 61 ქვეითი დივიზიისა და 2 ათასამდე ტანკისა და ჯავშნიანი მანქანის გამოყვანა. პოლონეთს შეეძლო 36 დივიზიისა და დაახლოებით 340 ტანკისა და ჯავშნიანი მანქანის გამოყვანა, საბჭოთა კავშირს კი შეეძლო ომის შემთხვევაში მხოლოდ დასავლეთში გამოეყვანა 140 დივიზია და 10 ათასი ტანკი.

საბჭოთა კავშირი მოსახლეობის სიღატაკეში ცხოვრებისა და სასტიკი ექსპლუატაციის შედეგად გამალებით იარაღდებოდა.

საბჭოთა კავშირის სამობილიზაციო გეგმები ომის შემთხვევაში (1928-1934 წლები)[2]

	1928	1930	1932	1934	% ზრდა 1928-1934
პირადი შემადგენლობა (მლნ. ადამიანი)	2,9 მლნ.	3,1 მლნ.	3,5 მლნ.	4,8 მლნ.	65%
მსროლელი დივიზიები	103	105,5	144	149	44%
არტილერია	7900	8595	12995	29650	275%
თვითმფრინავები	1300	1420	1923	3500	170%
ტანკები	90	429	1444	9000	990%

საბჭოთა კავშირში შეიარაღების წარმოების ზრდა

	1930	1932	1934	1936	1939	% ზრდა (1930-1939)
საარტილერიო სისტემები	952	2574	4123	5235	16459	1629%
საარტილერიო ჭურვები (ათასი)	790	1224	1504	5200	18099	2191%
ავიაბომბები (ათასი)	14	147	369	600ზე მეტი	2834	20142%
ტყვიამფრქვევები	9600	45.000	29.200	31.100	96.433	904%
ტანკები	170	3038	3565	4804	29860	1656%
თვითმფრინავები	899	1734	3109	2688	10758	1096%

[1] История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова. М., 2016, стр.319.
[2] История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова,М., 2016, стр.320-321.



საბჭოთა პროპაგანდა გამუდმებით ხაზს უსვამდა წითელი არმიის მრავალრიცხოვნებას და ძალას, თუმცა ბრძოლებმა ხასანის ტბასთან (1938) და ფინეთთან ომმა (1939-1940) აჩვენა, რომ წითელი არმიის საბრძოლო მომზადება დაბალი იყო. არმიის პირადი შემადგენლობის მომზადების ხარისხი ჩამოუვარდებოდა მის შეიარაღებას.

ტაქტიკური თვალსაზრისით წითელარმიელები, ანუ გუშინდელი გლეხები, ცუდად იყვნენ განვრთნილნი, დაბალი იყო დისციპლინა. მეთაურებს კი დაბალი ზოგადი კულტურა ჰქონდათ და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების ეშინოდათ. ჯარში ბატონობდა ლოთობა, ფიზიკური ანგარიშსწორება. არმია სავსე იყო უშიშროების ჯაშუშებით და 1928-1929 წლებიდან განუწყვეტლივ მიმდინარეობდა რეპრესიები. პასიური მებრძოლი და ინიციატივის არმქონე მეთაური მხოლოდ იარაღი იყო სარდლობისათვის. მიზნად ისახავდნენ, მტერი დიდი რიცხობრივი უპირატესობით, დიდი მსხვერპლის ფასად დაემარცხებინათ. არმიის ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობდა 1925-1940 წლებში თავდაცვის სახალხო კომისრის მარშალ ვოროშილოვის პიროვნებაც, რომელსაც დაბალი განათლება ჰქონდა.

საბჭოთა პროპაგანდა საქმეს ისე წარმოადგენდა, რომ მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობით მოხერხდა ასეთი უდიდესი წარმატებების მიღწევა და საბჭოთა კავშირში შეიქმნა შეიარაღების საუკეთესო ნიმუშები, თუმცა დასავლეთში სამხედრო სფეროში მიღწევები არანაკლები იყო, თანაც ყოველგვარი იდეოლოგიური ისტერიისა და კოლოსალური მსხვერპლის გარეშე.

16.14. მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულება სტალინის რეჟიმისადმი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს დასავლეთის მემარცხენე და ლიბერალურ წრეებში დიდი იყო ინტერესი საბჭოთა ექსპერიმენტისადმი, რომელმაც თითქოსდა ბოლო მოუღო მასობრივ უმუშევრობასა და წარმოების ვარდნას. კოლექტივიზაციის საშინელებებსა და გოლოდომორზე დასავლეთში ცოტამ თუ იცოდა რამე, მით უმეტეს, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შიმშილობა სახელმწიფოს მიერ იყო ორგანიზებული.

1936 წელს მიღებულმა გარეგნულად დემოკრატიულმა კონსტიტუციამ დასავლეთში გააჩინა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის იმედი, რომელიც „ნორმალური სახელმწიფო" გახდებოდა, მაგრამ 1936 წლის შემოდგომიდან დაწყებულმა მასობრივმა ტერორმა ეს იმედები გააქრო. ტერორი საჯარო იყო, მთელი მსოფლიოს თვალწინ. დასავლეთში ბევრისთვის ცხადი გახდა, დიდმა ტერორმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. ცხადი გახადა, რომ საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთი პიროვნების დაუნდობელი დიქტატურა. 1939 წელს სტალინის რეჟიმი ისევე აღიქმებოდა ტოტალიტარულად, როგორც ნაცისტური რეჟიმი.

დასავლეთში იმასაც ხედავდნენ, რომ რეპრესიები სახელმწიფო აპარატსა და არმიაში ასუსტებდა საბჭოთა სახელმწიფოს. ჰიტლერი საბჭოთა რეჟიმს „თიხის ფეხებზე მდგარ გოლიათს" უნოდებდა, რომელიც დაეცემოდა პირველი სერიოზული დარტყმის შემდეგ. დასავლეთელი პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ რეპრესიები რეჟიმისადმი სიძულვილს გამოიწვევდა ხალხში და მას ომის შემთხვევაში არ დაიცავდნენ. სტალინის რეჟიმი აღიქმებოდა არა მხოლოდ უცხო სხეულად, არამედ სუსტ ძალადაც.

ნაწილი მეექვსე
საბჭოთა ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის საბოლოო გაფორმება

თავი XVII.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა 1930-იან წლებში

17.1. „მობილიზაციური ტიპის“ პოლიტიკური სისტემის ფორმირება

1920-იანი წლების ბოლოსთვის საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფალთა პოლიტიკურ ხედვებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მასზე გავლენა მოახდინა ორმა უმნიშვნელოვანესმა დებულებამ, რაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის მოდერნიზებულ ოფიციალურ იდეოლოგიას:

პირველი იყო დასკვნა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. „მსოფლიო რევოლუციის“ ადრინდელი იდეისგან განსხვავებით, ეს ახალი დასკვნა გულისხმობდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახალი საზოგადოების მშენებლობა განხორციელდებოდა მტრულ იმპერიალისტურ გარემოცვაში;

მეორე დასკვნა გამომდინარეობდა პირველიდან და აცხადებდა, რომ სოციალიზმის იდეალებისაკენ წინსვლასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ქვეყნის შიგნით სულ უფრო გაიზრდებოდა და გამწვავდებოდა.

ორივე ეს დებულება პრაქტიკულ პოლიტიკურ ნაბიჯებს გულისხმობდა:

- ✓ სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ზრდა და მძლავრი არმიის შექმნა;
- ✓ ცენტრალიზმისა და ბელადის – სტალინის ერთპიროვნული ხელისუფლების განმტკიცება;
- ✓ იდეოლოგიური აპარატის ფორმირება მასების ცნობიერების დასამუშავებლად;
- ✓ მძლავრი რეპრესიული მანქანის შექმნა „ხალხის მტრების“ გამოსავლენად და მოსასპობად.

ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

საქმე მარტო იდეოლოგიურ სქემებში როდი იყო. პოლიტიკურ ზედაფენას მიაჩნდა, რომ მოკლე ვადაში შესაძლებელი იყო ინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლების შექმნა საზოგადოების ყველა ძალის მაქსიმალური დაძაბვით და ქვეყნის რესურსების სრული მობილიზებით. ამისათვის კი საჭიროდ მიაჩნდათ მკაცრი პოლიტიკური სისტემის ფორმირება.

1930-იან წლებში საბჭოთა საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები იყო:

- ✓ სახელმწიფო საკუთრების მონოპოლია;
- ✓ დირექტიული ცენტრალიზებული დაგეგმვა;
- ✓ ცხოვრების ყველა სფეროს სახელმწიფოს ხელში მოქცევა;
- ✓ ხელისუფლების მკაცრი ვერტიკალი ქარიზმატული ლიდერით სათავეში. პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტის დიქტატურა;
- ✓ რეპრესიები და არაეკონომიკური იძულება;
- ✓ საზოგადოებრივი აზრის მითოლოგიზება და დასავლეთის გამოცდილების უარყოფა;
- ✓ დახურული ქვეყანა. ავტარკიისკენ სწრაფვა;
- ✓ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერების მასობრივი დარღვევა.

საბჭოთა კავშირში „მობილიზაციური ტიპის" პოლიტიკური სისტემის ფორმირებას წინააღმდეგობრივი შედეგები ჰქონდა. ერთი მხრივ, მოხერხდა ინდუსტრიული ბაზის შექმნა, რომლის გარეშეც შემდგომ ვერ შეძლებდნენ გერმანიის სამხედრო მანქანის გამკლავებას. მეორე მხრივ, პოლიტიკური სისტემის ამ მოდელის ფასი საზოგადოებისთვის საშინელი იყო: მასშტაბური პოლიტიკური რეპრესიები, განსხვავებული აზრის დევნა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა.

17.2. კომუნისტური პარტიის როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში

საბჭოთა კავშირში 1920-1930-იან წლებში სულ უფრო მცირდებოდა საბჭოების, ოფიციალურად გამოცხადებული ხელისუფლების ორგანოების, როლი. საბჭოების ყრილობა თანდათანობით კარგავდა მნიშვნელობას. 1927 წლიდან მას ორ წელიწადში ერთხელ იწვევდნენ, ნაცვლად ადრინდელი ყოველწლიური შეკრებებისა. ყრილობებმა საპარადო ხასიათი შეიძინა. მთავრობის მოხსენებები ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა. უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს უკვე იღებდნენ არა საბჭოთა, არამედ პარტიული ორგანოები.

საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ხელისუფლებას ფაქტობრივად კომუნისტური პარტია ახორციელებდა. კომუნისტური პარტიის ინტერესების შესაბამისად ყალბდებოდა ისტორიაც. ბოლშევიკების პარტიას წარმოაჩენდნენ ერთადერთ რევოლუციურ ძალად, ყველა სხვა პარტიის რევოლუციური როლი უარყოფილი იყო.

კომუნისტური პარტიის ორგანოები ნიშნავდნენ და ხსნიდნენ თანამდებობის პირებს ქვეყანაში, ასახელებდნენ საბჭოების დეპუტატთა კანდიდატებს. მხოლოდ საკ. კპ(ბ) წევრებს ეკავათ ყველა საპასუხისმგებლო სახელმწიფო პოსტი, სათავეში ედგნენ არმიას, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს, ხელმძღვანელობდნენ სახალხო მეურნეობას. პოლიტბიუროს მონონების გარეშე ვერცერთ კანონს ვერ მიიღებდნენ. პოლიტბიურო განსაზღვრავდა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პარტიულმა სიმბოლიკამაც კი ოფიციალური სტატუსი შეიძინა – წითელი დროშა და პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი" სახელმწიფოს სიმბოლიკა გახდა.

საბჭოებს, რომელიც ლენინმა ხელისუფლების ორგანოებად გამოაცხადა, არასოდეს ჰქონიათ რეალური ხელისუფლება. საბჭოები ყოველთვის მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის მითითებებს ასრულებდნენ.

მკაცრად იერარქიული იყო თავად კომუნისტური პარტიის სტრუქტურა. ამის თაობაზე სტალინი აღნიშნავდა: პარტიის შემადგენლობაში არის დაახლოებით 3-4 ათასი

უმაღლესი ხელმძღვანელი. ესაა ჩვენი პარტიის გენერალიტეტი. შემდეგ მოდის 30-40 ათასი საშუალო რგოლის ხელმძღვანელი, ესაა ჩვენი პარტიის ოფიცრობა. შემდეგ მოდის დაახლოებით 100-150 ათასი პარტიის უმცროსი სამეთაურო შემადგენლობა. რეალური ხელისუფლება ამ გასამხედროებულ პარტიულ მექანიზმში ეკუთვნოდა „მარშლებს" – პოლიტბიუროს წევრების პატარა ჯგუფს. მაგრამ ისინიც არ წყვეტდნენ ყველაფერს. საბოლოო გადაწყვეტილების უფლება მხოლოდ ერთ ადამიანს ეკუთვნოდა – სტალინს.

1927 წლის დეკემბერში კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე უკანასკნელად გამოვიდნენ დელეგატებს შორის ჯერ კიდევ დარჩენილი ოპოზიციონერები. ყრილობის წინ გაიმართა „საერთო-პარტიული დისკუსია", სადაც ოპოზიციისთვის მხარდაჭერა გაბედა მხოლოდ 4 ათასმა პარტიის წევრმა, მაშინ როდესაც ცენტრალური კომიტეტის ხაზს მხარი დაუჭირა 724 ათასმა. ყრილობის წინ ბრძოლაზე უარი თქვეს კამენევმა და ზინოვიევმა. ისინი უფრთხოდნენ პარტიიდან გარიცხვას. პარტიის XV ყრილობაზე სტალინგრადიდან სტალინს გაუგზავნეს რკინის ცოცხი, ოპოზიცია რომ „გაეხვეტა", ცოცხი სტალინს რიკოვმა გადასცა. 1930 წელს XVI ყრილობაზე უკვე აღარ იყო აღარცერთი ოპოზიციონერი დელეგატი.

1930-იანი წლების ბოლოს საკ. კპ(ბ) საბოლოოდ დაკარგა დემოკრატიზმის ყოველგვარი ნასახი. არათუ პარტიის რიგითი წევრები, არამედ ცენტრალური კომიტეტის წევრების უმრავლესობაც კი ჩამოცილებული იყო პარტიული პოლიტიკის შემუშავებას, რაც პოლიტბიუროსა და პარტიული აპარატის საქმე გახდა.

ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის მოდელი გამომდინარეობდა ლენინიზმის იდეოლოგიიდან. ლენინი და მისი მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ბოლშევიკები გამოხატავდნენ მუშათა კლასის ინტერესებს და იცოდნენ, თუ რა საზოგადოება და როგორ უნდა აეშენებინათ. იგულისხმებოდა, რომ სხვა პარტიები შეიძლება გამოსულიყვნენ მხოლოდ დროებითი პოლიტიკური თანამგზავრების როლში. სოციალისტური საზოგადოება კი, რადგანაც სოციალურად ერთგვაროვნად წარმოდგებოდა, მხოლოდ ერთ პარტიას საჭიროებდა და გამოდიოდა, რომ სახელმწიფოს „კვდომამდე", რაც კომუნიზმის დროს მოხდებოდა, საჭირო იქნებოდა მხოლოდ ერთი პარტია – ბოლშევიკების.

17.3. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის როლი და ოფიციალური მასობრივი ორგანიზაციები

1930-იანი წლების შუახანებისთვის მარქსიზმ-ლენინიზმი უკვე ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია იყო. ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს და გაანადგურეს ბოლშევიკების პოლიტიკური და იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების ნაშრომები. მთლიანად გარდაიქმნა განათლების სისტემა. შეიცვალა სასწავლო გეგმები და სასწავლო კურსების შინაარსი. მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია საფუძვლად ედო არა მარტო საზოგადოებათმცოდნეობით კურსებს, არამედ საბუნებისმეტყველო საგნებსაც.

სტალინი გამოცხადებული იყო უდიდეს თეორეტიკოსად, რომელიც იცავდა და ავითარებდა მარქსიზმ-ლენინიზმს ახალ დროში. „მარქსიზმის კლასიკოსების" პლაკატებზე, სადაც მარქსი, ენგელსი და ლენინი იყვნენ გამოსახული, დაუმატეს სტალინიც.

ფორმულა „სტალინი – ესაა ლენინი დღეს" პირველად გამოიყენა ფრანგმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა (1873-1935), რომელმაც სტალინზე 350-გვერდიანი წიგნი დაწერა.

არანაირი უცხოური გაზეთები და ჟურნალები 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში არ შემოდიოდა, მხოლოდ მაღალი რანგის პარტიულ ფუნქციონერებს ეგზავნებოდათ „უცხოური ინფორმაციის ბიულეტენი", რომელშიც უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების თარგმანები შედიოდა. ბიულეტენი გასაიდუმლოებული იყო. ეს ბიულეტენი მაღალი რანგის ფუნქციონერებთან სპეციალურ კურიერს მიჰქონდა და ახალი ბიულეტენის მიღებისას კურიერს ძველს უბრუნებდნენ. ბიულეტენის დაკარგვის შემთხვევაში მაღალი თანამდებობის პირსაც კი აპატიმრებდნენ. საბჭოთა პროპაგანდა რიგით მოქალაქეებს არწმუნებდა, რომ დასავლეთში ადამიანები მათთან შედარებით ძალიან ცუდად ცხოვრობდნენ.[1]

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა ოფიციალური შეხედულებების გავრცელება და მათი განმარტება. განსხვავებული იდეური შეხედულებების არსებობა და ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარედან გავრცელება შეუძლებელი გახდა.

ინტელიგენციის საქმიანობაზე იდეოლოგიურ კონტროლს, პარტიულ ორგანოებთან ერთად, ახორციელებდნენ შემოქმედებითი კავშირები. 1932 წელს საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ". გადაწყდა, რომ „ყველა მწერალი, რომელიც მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას," საბჭოთა მწერალთა ერთიან კავშირში უნდა გაერთიანებულიყო და ასეთივე კავშირები შექმნილიყო ხელოვნების სხვა სახეებისთვისაც.

1934 წლის აგვისტოში ჩატარდა საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა. აირჩიეს გამგეობა მაქსიმ გორკით (1868-1936) სათავეში. ასევე შეიქმნა მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფისტების, არქიტექტორების შემოქმედებითი კავშირები. მხარდაჭერის სანაცვლოდ ხელისუფლება მათ გარკვეულ მატერიალურ კეთილდღეობასა და პრივილეგიებს (შემოქმედებითი სახლები, სახელოსნოები, საცხოვრებელი ბინები და ა. შ.) აძლევდა. პარტიული ხაზიდან „გადახრილებს" რიცხავდნენ კავშირებიდან, ართმევდნენ მატერიალურ სარგებელს, გამოქვეყნების, გამოფენების მოწყობის შესაძლებლობას და ა.შ. მათ ან პირდაპირ სდევნიდნენ, ან საინფორმაციო ბლოკადაში აქცევდნენ. ბევრი მათგანი დააპატიმრეს და რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

შემოქმედებითი კავშირების გარდა, სხვა ოფიციალურ მასობრივ ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის ყველა სხვა კატეგორია. მასობრივი ორგანიზაციების როლი მდგომარეობდა პარტიული მითითებების ადაპტირებაში მოსახლეობის იმ კატეგორიებისთვის, რომლებიც ამ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებული.

საწარმოთა თანამშრომლები გაერთიანებული იყვნენ პროფკავშირებში, რომლებიც პარტიული კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული.

ახალგაზრდები 14 წლის ასაკიდან გაერთიანებული იყვნენ ერთიან ორგანიზაციაში – ახალგაზრდობის საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირში (ВЛКСМ), რომელიც პარტიის რეზერვად და თანაშემწედ ითვლებოდა. უმცროსი ასაკის მოსწავლეები თავიდან შედიოდნენ ოქტომბრელების, შემდეგ კი – პიონერთა ორგანიზაციაში.

[1] История России. XX век. Под редакцией А.Б.Зубова. том II ,Москва, 2016, с.235.

კომკავშირს 1924 წელს მიენიჭა ლენინის სახელი, 1926 წელს კი მის სახელწოდებაში გაჩნდა სიტყვა „საკავშირო". კომკავშირი აქტიურად მონაწილეობდა ინდუსტრიალიზაციაში, კოლექტივიზაციასა და კულტურული რევოლუციის განხორციელებაში.

პიონერთა ორგანიზაცია 1922 წელს შეიქმნა და თავიდან სპარტაკის სახელობის იყო, 1924 წელს კი ლენინის სახელობის გახდა. 1930-იან წლებში პიონერებისთვის სანიმუშოდ იყო მიჩნეული პავლიკ მოროზოვი.

მასობრივი გაერთიანებები შეიქმნა რაციონალიზატორებისთვის, გამომგონებლებისთვის, ქალებისთვის, ფიზკულტურელებისთვის და ა.შ.

17.4. სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი ელემენტი გახდა სტალინის პიროვნების კულტი. 1929 წლის 21 დეკემბერს სტალინს შეუსრულდა 50 წელი. მანამდე მიღებული არ იყო, საჯაროდ აღენიშნათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა იუბილეები. ლენინის იუბილე ერთადერთი გამონაკლისი იყო, მაგრამ სტალინს გაზეთმა „პრავდამ" მიუძღვნა სტატიები, მისალმებები, წერილები, დეპეშები, მლიქვნელური მასალების ნაკადი. ეს ინიციატივა აიტაცეს სხვა გაზეთებმა, დაწყებული საკავშიროდან და დამთავრებული რაიონული და საქარხნო გაზეთებით. სტალინის იუბილეს აღნიშნავდა რადიო და კინო.

1930-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირში უკვე გაძლიერებით ინერგებოდა სტალინის პიროვნების კულტი. სტალინის მოღვაწეობა 1917 წლიდან რუსეთში მეტნაკლებად ცნობილი იყო და მისი განდიდებაც აქტიურად მიმდინარეობდა. მაგრამ სტალინს სჭირდებოდა თავისი რევოლუციური ბიოგრაფიის დასაწყისი, ამასთან უნდა დაეწერათ „დიდი ბელადის" ბიოგრაფიისთვის შესაფერი ისტორია. ეს არ გააკეთეს არც აბელ ენუქიძემ (1877-1937) და არც ფილიპე მახარაძემ (1868-1941). ისინი, სავარაუდოდ, ვერ მიხვდნენ, თუ რა სჭირდებოდა სტალინს. სამაგიეროდ, ეს გააკეთა ლავრენტი ბერიამ (1899-1953).

ლავრენტი ბერიას ავტორობით გამოქვეყნებული წიგნი „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიისათვის" დაიწერა ძველი რევოლუციონერის, იმჟამად სსრ უმაღლესი საბჭოს მდივნის, აბელ ენუქიძის წიგნის საპასუხოდ, რადგანაც ის „სათანადოდ" არ აშუქებდა სტალინის როლს ბაქოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. არადა, ენუქიძემ ალალად დაწერა ის, რაც სინამდვილეში იყო. „სიმართლე ახლა აღარავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, პირიქით, ამის ცოდნა საშიშიც კი იყო".[1]

ბერიამ მოხსენება წაიკითხა პარტიული აქტივის წინაშე 1935 წლის 21-22 ივლისს. მოხსენების ტექსტი, რა თქმა უნდა, მას არ დაუწერია, მაგრამ შინაარსი მისი შეკვეთილი იყო. საბუთდებოდა მთავარი დებულება: „ბოლშევიკურ პარტიას ჰყავს ორი ბელადი – ლენინი და სტალინი". სტალინის ბიოგრაფია ივსებოდა „კავკასიური ფურცლებით".

ბერია „ამხელდა" კლასობრივ მტრებს, რომელთაც სტალინი ებრძოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საქართველოში მომავალი რეპრესიების „ისტორიული დასაბუთება". მტრები იყვნენ მენშევიკები, „ნაციონალ-უკლონისტები", ის ბოლშევიკები, რომლებიც პარტიის ისტორიის „ფალსიფიკაციას" ახდენდნენ, სინამდვილეში კი წერდნენ სიმართლეს და არ აღნიშნავდნენ სტალინის „განსაკუთრებულ როლს".

ბერია ამტკიცებდა, რომ 1926-1936 წლებში ნაციონალ-უკლონიზმი შეერწყა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს და გადაიქცა ფაშიზმის დაქირავებულ აგენტად. უკვე ბერიას მოხსენების შემდეგ, 1936 წელს „გამოავლინეს" ტროცკისტულ-ჯაშუშური ცენტრი – ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტროშელიძე, ც. ჩიხლაძე, ნ. კიკნაძე და სხვები. ბერიას წიგნის შემდეგ გამოცემებში ჩნდება სქოლიოები: „1937 წელს მხილებულ იქნა როგორც ხალხის

[1] ი. აბამიძე. ზარები ოცდაათიანი წლებიდან. თბ., „ინტელექტი", 2003, გვ.57.

მტერი...". რეპრესირებული იყვნენ ა. ენუქიძე, მ. ორახელაშვილი, მ. ტოროშელიძე, ბ. მდივანი, ბ. ბიბინეიშვილი...

სტალინის როგორც „მეორე ბელადის" ბიოგრაფიას ეწინააღმდეგებოდა არსებული ნაშრომები პარტიის ისტორიაზე.

ეს ნაშრომები ბერიამ გამოაცხადა „ფალსიფიკაციად". ფალსიფიკაციის მიზეზები:

ა/ განდიდების სურვილი (ა. ენუქიძე);

ბ/ წარსულში დაშვებული შეცდომების დამალვის სურვილი (ფ. მახარაძე).

1939 წელს სტალინის დაბადებიდან მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა სტალინის „მოკლე ბიოგრაფია", რომლის მოცულობაც 243 გვერდი იყო. წიგნის საბოლოო რედაქცია სტალინმა გააკეთა. შეამოწმა ყოველი სიტყვა, წაშალა რიგი ადგილები, ჩაამატა სასურველი შტრიხები. 1947 წელს სტალინის ბიოგრაფია მეორედ გამოიცა შესწორებებით და დამატებებით.[1] მის რედაქტირებასაც სტალინი პირადად ახდენდა და ავტორთა კოლექტივიც არაერთხელ გამოიძახა თავის კაბინეტში. სტალინის მოკლე ბიოგრაფია რამდენჯერმე გამოიცა და საერთო ტირაჟმა 13 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა.

სტალინის ჩანაფიქრის თანახმად, მისი ბიოგრაფია, „საკ. კპ(ბ) ისტორიის" მოკლე კურსთან ერთად, განკუთვნილი იყო მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ყველა სახის სასწავლო დაწესებულებებში, ასევე პარტიული და კომკავშირული სწავლებისათვის.[2]

შეიძლება გამოიყოს პიროვნების კულტის ფორმირების მიზეზები:

- ტოტალიტარული სისტემის ფუნქციონირების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მოთხოვნილება;
  მასების კულტურის დაბალი დონე, რომელთაც დააჯერეს ბელადის სიდიადე და უშეცდომობა;
- სტალინის პირადი თვისებები.

სტალინს უწოდებდნენ დიდს, ბრძენს, ოქტომბრის გენიალურ ორგანიზატორს, ნითელი არმიის შემქმნელს, გამოჩენილ სარდალს, ლენინური „გენერალური ხაზის" დამცველს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ხუთწლედის დიდ სტრატეგს, „საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარს". სტალინის მოხსენიება რომელიმე ეპითეტის გარეშე ფაქტობრივად აკრძალული იყო. ყველას გადააჭარბა ყაზახმა სახალხო პოეტმა ჯამბულმა, რომელიც იმავე „პრავდაში" ამბობდა: „სტალინი – ოკეანეზე ღრმაა, ჰიმალაებზე მაღალია, მზეზე კაშკაშაა. ის სამყაროს მასწავლებელია".

სტალინს უწოდებდნენ:

- ✓ ოქტომბრის გენიალური ორგანიზატორი;

- ✓ წითელი არმიის შემქმნელი;
- ✓ ყველა დროის უდიდესი მხედართმთავარი;
- ✓ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი;
- ✓ მამა, მასწავლებელი, მეგობარი;
- ✓ „ხალხების მამა";
- ✓ დიდი ბელადი და მასწავლებელი;
- ✓ ბრძენი ბელადი;
- ✓ ხუთწლედის დიდი სტრატეგი;
- ✓ გენიალური მეცნიერი;

[1] Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография. Второе издание, исправленное и дополненное. Составители: Александров Г.Ф., Галактионов М.Р., Кружков В.С., Митин М.Б., Мочалов В.Д., Поспелов П.Н. М., 1947, 1953. 244 с.: ил.

[2] И.В. Сталин сам о себе. Редакционная правка собственной биографии/Известия ЦК КПСС. 1990. № 9.

„საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარი“ და სხვ.

სტალინის სახელი ეწოდა ქალაქებს, ქუჩებს, თეატრებს, ქარხნებს, კოლმეურნეობებს. სტალინის სახელდარქმეული ქალაქებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ ცარიცინისთვის 1925 წელს სტალინგრადის (1961 წელს ვოლგოგრადი ეწოდა) და ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბესთვის 1929 წელს სტალინაბადის დარქმევა (1961 წლიდან ისევ დუშანბე ეწოდა). საქართველოში 1934 წელს ცხინვალს სტალინირი დაერქვა (1961 წლიდან ისევ ცხინვალი). 1937-1938 წლებში წინადადებებს აყენებდნენ, რომ მოსკოვისათვის სტალინოდარი ეწოდებინათ.

1936 წლის 1 იანვარს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა პირველი ორი ლექსი, სადაც სტალინი იყო განდიდებული. ლექსების ავტორი ბ. პასტერნაკი იყო. სტალინი მხატვრულ ლიტერატურაშიც ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა. სტალინზე ლექსები გაჩნდა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის ფოლკლორში.

საბჭოთა ალპინისტები 1933 წელს ავიდნენ პამირში საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე (7495 მეტრი სიმაღლის) და მას სტალინის პიკი უწოდეს, 7134 მეტრი სიმაღლის მწვერვალს ლენინის პიკი ეწოდა, რომელზედაც საბჭოთა ალპინისტები 1934 წელს ავიდნენ. მარქსის სახელობის მწვერვალი 6726 მეტრი სიმაღლის იყო.

1930 წელს აშენდა ლენინის ქვის მავზოლეუმი ცნობილი საბჭოთა არქიტექტორის შჩუსევის პროექტით. საფუძველი ეყრება „ლენინიანას“ მხატვრობაში, სკულპტურასა და კინემატოგრაფში. ლენინისა და სტალინის ქანდაკებები და ბიუსტები სავალდებულო იყო ნებისმიერ ქალაქში, დასახლებაში, სამხედრო ნანილში, ქარხანასა და კოლმეურნეობაში. ძეგლებს და ბიუსტებს ჩვეულებრივ შაბლონით აკეთებდნენ. თუმცა იყო „თვითშემოქმედებაც“ (მაგალითად, ულან-უდეში მაღალ ბოძზე აღმართული იყო ლენინის დიდი შავი თავი ბურიატებისთვის დამახასიათებელი სახის ნაკვთებით). მოგვიანებით ბელადების გამოსახვა შეიძლებოდა მხოლოდ „ზემოდან“ დამტკიცებული ნიმუშების მიხედვით.

მლიქვნელობა და განდიდება, სტალინთან ერთად, მალე გავრცელდა სხვა თანამდებობის პირებზე. მაგალითად, განადიდებდნენ მიხეილ კალინინს, ვიაჩესლავ მოლოტოვს, ჟდანოვს, ლავრენტი ბერიას, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელი იყო 1930-იანი წლების პირველ ნახევარში. თუმცა რომელიმე „რეგიონული ბელადი“ შეიძლება რეპრესიის მსხვერპლი გამხდარიყო და მაშინ მისი სახელი დავიწყებას ეძლეოდა.



1927 ნელს, როდესაც ცვლიდნენ 1922 წელს გაცემულ პარტიულ ბილეთებს, გადაწყვიტეს, რომ N 1 პარტიული ბილეთი სამუდამოდ დაფიქსირებულიყო გარდაცვლილი ბელადის, – ვ. ლენინის სახელზე. 1927 წლის 16 მარტს ლენინს გამოუნერეს პარტიული ბილეთი N 0000001. 1927 წელს სტალინმა პირველად მიიღო პარტიული ბილეთი N 2. სტალინის სიცოცხლეში პარტბილეთები 1936 წელს გამოცვალეს და მაშინაც N 2 ბილეთი გადაეცა. 1973 წელს პარტიული ბილეთების მე-7 და უკანასკნელი გამოცვლის დროს N2 პარტიული ბილეთი ლ. ბრეჟნევს გადაეცა.

სტალინის დედა

სტალინის დედა ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯუღაშვილი მოესწრო თავისი ვაჟის უზარმაზარი კომუნისტური სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველად გადაქცევას. 1930-იანი წლების დასაწყისში კრემლშიც მოინახულა ვაჟი, მაგრამ იქ დარჩენა არ ისურვა და საქართველოში დაბრუნდა. კეკე გელაძემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები თბილისში გაატარა, სადაც ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. სტალინმა დედა ბოლოს

1936 წელს მოინახულა. ეკატერინე გელაძე 1937 წლის 4 ივნისს 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სტალინი დედის დაკრძალვაზე არ ჩამოსულა მოუცლელობის გამო. ამ დროს მიმდინარეობდა წითელი არმიის წმენდა, გამოვლენილი იყო ვითომდა „ანტისაბჭოთა ტროცკისტული სამხედრო ორგანიზაცია", რასაც მრავალი მაღალი რანგის სამხედრო შეეწირა. სტალინის დედის გარდაცვალება მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისათვის გახდა ცნობილი, სხვა რესპუბლიკებში არც უთქვამთ რაიმე ამასთან დაკავშირებით. არც სტალინს მიუღია ოფიციალური მისამძიმრებები.

სტალინს არც რაიმე განკარგულება გაუცია დედის დაკრძალვასთან დაკავშირებით. სტალინის დედის დაკრძალვას ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა და გადაწყვიტა მისი დაკრძალვა მთაწმინდის პანთეონში, სადაც საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები იკრძალებოდნენ. დაკრძალეს 1937 წლის 8 ივნისს, კუბო მიჰქონდათ ლავრენტი ბერიას და შინაგან საქმეთა კომისარიატის ოფიცრებს, მათ მიჰყვებოდა თავდაცვის სახალხო კომისარი კლიმენტი ვოროშილოვი. საფლავზე მიიტანეს გვირგვინი, რომელსაც ეწერა – „ძვირფას და საყვარელ დედას შვილისგან იოსებ ჯუღაშვილისგან". სტალინმა შვილებს – იაკობს, ვასილსა და სვეტლანასაც არ მისცა უფლება, რომ წასულიყვნენ ბებიასთან გამოსამშვიდობებლად. დაკრძალვის ცერემონია მართლმადიდებლური წესის მიხედვით ჩატარდა, თუმცა ბოლოს ორკესტრმა „ინტერნაციონალი" დაუკრა.

თავი XVIII.

მასობრივი რეპრესიები

სტალინი თეორიულად „ასაბუთებდა“ რეპრესიებს. მისი განცხადებით, სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად კლასების გაქრობას თან სდევდა არა კლასობრივი ბრძოლის შესუსტება, არამედ, პირიქით, გაძლიერება. სახელმწიფო მოკვდებოდა არა მისი ფუნქციების თანდათანობითი შემცირებით, არამედ მაქსიმალური გაძლიერებით. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დროს რეპრესიები და საკონცენტრაციო ბანაკები „სოციალური დაცვის ზომა“ იყო, დახვრეტა კი „უმაღლეს ზომას“ წარმოადგენდა.

18.1. რეპრესიები 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში

პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. რეპრესიების მსხვერპლი ხდებოდნენ არა მხოლოდ ბოლშევიკების აქტიური პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, არამედ ისინიც, რომლებიც, უბრალოდ, არ ეთანხმებოდნენ ბოლშევიკების პოლიტიკას. რეპრესიები ხორციელდებოდა სოციალური ნიშნითაც, – „მტრული კლასების“ წინააღმდეგ. რეპრესიები საბჭოთა სისტემის არსებობის წესის ნაწილი იყო.

1930-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა უკანასკნელი პოლიტიკური პროცესები ბოლშევიკების ძველი ოპონენტების – ყოფილი მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ. თითქმის ყველანი დახვრიტეს ან გააგზავნეს ციხეებსა და ბანაკებში.

1928 წლის 18 მაისს გაიხსნა „შახტინსკის“ პროცესი – გაასამართლეს დონბასის ქვანახშირის საბადოებზე მომუშავე 53 ინჟინერი და ტექნიკოსი. 16-მა აღიარა დანაშაული მთლიანად, მაგრამ ბრალდებულთა ნახევარი დანაშაულს უარყოფდა. 4 განსასჯელი, მათ შორის 2 გერმანიის მოქალაქე, გაამართლეს, 11-ს დახვრეტა მიუსაჯეს, მათგან 6 მოგვიანებით შეიწყალეს.

შახტინსკის საქმე დასაწყისი აღმოჩნდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში „მავნებლების“ ბრალდებით სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაშლელად. საარქივო მონაცემებით, „მავნებელთა“ სასამართლო პროცესების სცენარებს სტალინი ადგენდა. „ცუდად იმიტომ ვცხოვრობთ, გარშემო მავნებლები არიან“, – ასეთი იყო ამ პროცესების პროპაგანდისტული დანიშნულება. შემდეგ „მავნებელს“ ჩაენაცვლა გარეშე მტრის სახე – „ჯაშუში, დივერსანტი, უცხოეთის დაზვერვის აგენტი“.[1]

1930-იანი წლების დასაწყისში გაიშალა მასობრივი რეპრესიული კამპანია კულაკებისა და საშუალო გლეხების წინააღმდეგ.

1932 წლის 7 აგვისტოს მიიღეს სტალინის მიერ დაწერილი კანონი „საწარმოების, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციის საკუთრების და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დაცვის შესახებ“, რომელიც ისტორიაში შევიდა **„ხუთი თავთავის შესახებ“** კანონის სახელით. ამ კანონის მიხედვით, სულ უმნიშვნელო დატაცებაზეც კი დახვრეტა იყო გათვალისწინებული.

1934 წლის ნოემბრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო. მას უფლება მიეცა, ადმინისტრაციული წესით, მოწმეთა, პროკუ-

[1] История России. XX век. Под редакцией А.Б.Зубова. том II ,Москвпб 2016, с.197.

რორებისა და ადვოკატების მონაწილეობის გარეშე, „ხალხის მტრები“ გადაესახლებინა ან გაეგზავნა შრომით-გამოსასწორებელ ბანაკებში ვადით ხუთ წლამდე.

18.2. გულაგის სისტემის შექმნა

1929 წ. 11 ივლისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა შრომა-გამასწორებელი ბანაკების ქსელი „შორეული რაიონების კოლონიზაციის მიზნით“ და „მათი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციისთვის“. ამ ბანაკებში ჩვეულებრივი ციხეებიდან უნდა გადაეყვანათ ყველა, რომელთა პატიმრობის ვადა 3 წელს აღემატებოდა. ერთ სისტემაში მოექცნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები და პოლიტ-პატიმრები. ბანაკების სამართავად 1930 წ. შეიქმნა ბანაკების მთავარი სამმართველო (რუსული აბრევიატურით – „გულაგი“). 1930 წ. ზამთარში საბჭოთა კავშირში იყო 400 ათასზე მეტი პატიმარი, მათ შორის 155 ათასი ჩეკისტების სისტემაში (ОГПУ).[1] 1929 წლიდან 1939 წლამდე საბჭოთა კავშირის ბანაკებსა და ციხეებში პატიმართა რაოდენობა 12-ჯერ გაიზარდა და 2 მილიონს მიაღწია.[2] საქმე იქამდე მივიდა, რომ ბანაკების ინტერესებიდან გამომდინარე უშიშროების ორგანოებს უკვეთავდნენ „დასაპატიმრებელი პროფესიების წარმომადგენლებს“.



ყველაზე დიდი ბანაკები იყო შორეული აღმოსავლეთის („დალლაგ“), ბაიკალ-ამურის („ბამლაგ“), ბელომორ-ბალტიის („ბელბალტლაგ“). დიდი ბანაკები არსებობდა ვორკუტაში, კოლიმაში, ნორილსკში, ყარაგანდაში, ურალში და სხვაგან. ბანაკებში ადამიანები უმძიმეს პირობებში იყვნენ. 1930-1940 წლებში „გულაგში“ დაიღუპა არანაკლებ 500 ათასი პატიმარი.[3] პატიმრები მოიპოვებდნენ წიაღისეულს, აშენებდნენ რკინიგზებსა და შარაგზებს. ჩრდილოეთში პატიმრებს ხეების ჭრაზე ამუშავებდნენ. ხეების ექსპორტი სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო იყო.

„გულაგის“ სისტემის საჩვენებელი მშენებლობა იყო თეთრი ზღვა – ბალტიის არხი („ბელომორკანალი“), რომელსაც 1931 წ. შემოდგომიდან 170 ათასი პატიმარი აშენებდა. მუშაობდნენ ხელით და 20 თვეში ამოიღეს 21 მლნ კუბამეტრი გრუნტი, გათხარეს 227 კმ სიგრძის არხი. 1933 წლის აგვისტოში არხი, რომელსაც სტალინის სახელი მიანიჭეს, გაიხსნა. არხს ეკონომიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამხედრო საჭიროებისათვის კი 1964 წელს 1 მეტრით გააღრმავეს და ხის ნაგებობები უფრო მყარით შეცვალეს. მშენებლობის დროს არანაკლებ 25 ათასი პატიმარი დაიღუპა.

გულაგის სისტემა

	1930 წლის 1 მაისისთვის	1940 წლის 1 მარტისთვის
ბანაკების რაოდენობა	279	536
პატიმრების რაოდენობა	171.251	1.668.200

„გულაგი“ – ეს იყო:

- 56 ბანაკი ათასობით განყოფილებითა და პუნქტით;
- 425 კოლონია;
- 2000-ზე მეტი სპეცკომენდატურა;
- სულ პატიმრობის 30 ათასზე მეტი ადგილი.

[1] История России. XX век. Под редакцией А.Б.Зубова. том II ,Москва, 2016, с.197.
[2] 1939 წლის აღწერით, 1.682 ათასი ადამიანი იყო გულაგის ბანაკებში, 350,5 ათასი – ციხეებში. გარდა ამისა, კიდევ 990,5 ათასი „სპეცდასახლებული“ იყო. ანუ თავისუფლებამოკლებული ადამიანების რაოდენობა 3 მილიონს აღწევდა.
[3] История России. XX век. Под редакцией А.Б.Зубова. том II ,Москвпб 2016, с.195.

18.3. კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა და სტალინის გადაყენების მცდელობა

პარტიის XVII ყრილობა (1934 წლის 26 იანვარი – 10 თებერვალი) ცნობილია „გამარჯვებულთა ყრილობის" სახელით. ყრილობის დროს სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებზე იყო საუბარი, სტალინს საჯაროდ ყველა აქებდა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ყრილობაზე დელეგატების ნაწილმა დააყენა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენების საკითხი.

სტალინის გადაყენების მცდელობის ორგანიზატორები იყვნენ ნ. კრუპსკაია, პ. პოსტიშევი (1887-1939), ს. ორჯონიკიძე და სხვები. ამ ჯგუფს არ ჰქონდა რაიმე განსხვავებული პლატფორმა სტალინის „დიდი გარდატეხის" კურსისაგან. კიროვი ლენინგრადში იმასვე აკეთებდა, რასაც სხვაგან სხვები აკეთებდნენ. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ მხოლოდ სტალინის „მუშაობის სტილით", „გადახრებით" და ა. შ. რეალურად, სტალინის გადაყენებისათვის ეს ჯგუფი მზად არ იყო.

ყრილობის წინ ლენინის ქვრივმა ნადეჟდა კრუპსკაიამ შემოიარა ზოგიერთი საოლქო ცენტრი, პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელებს ნაუკითხა ლენინის მიერ სტალინის დახასიათება („ნერილი ყრილობას") და მოუწოდებდა, გენერალური მდივნის პოსტზე სტალინი კიროვით შეეცვალათ. საქმის კურსში კიროვიც ჩააყენეს. ყრილობაზე სტალინის ოფიციალურ ქებასთან ერთად, არაფორმალურად, მისი გადაყენების საკითხი განიხილებოდა. სტალინის შემცვლელ სავარაუდო კანდიდატად კი ყველაზე ხშირად ს. კიროვი სახელდებოდა. ცნობილია, მაგალითად, რომ 8 დეპუტატმა კიროვი თავიანთ შეხვედრაზე მიიწვია და შესთავაზა საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად წამოეყენებინა გენერალური მდივნის პოსტზე. კიროვმა კატეგორიული უარი თქვა გენერალურ მდივნობაზე და მასთან მისულ ჯგუფს აღუთქვა, – სტალინს დაველაპარაკები, „შეცდომები" რომ გაითვალისწინოსო. თითქოსდა ასეთი საუბარი სტალინსა და კიროვს შორის ყრილობის დროს შედგა და რამდენიმე საათს გაგრძელდა. ახალი გენერალური მდივნის ძიებას ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.

ყრილობაზე, როდესაც ცენტრალური კომიტეტის წევრების არჩევაზე მიდგა საქმე, აღმოჩნდა, რომ 1218 ხმიდან ყველაზე მეტი, 292 სტალინის წინააღმდეგ იყო მიცემული, კიროვის წინააღმდეგ მხოლოდ 3 ხმა აღმოჩნდა. კაგანოვიჩმა, რომელიც ყრილობის საორგანიზაციო საკითხებს აგვარებდა, მითითება მისცა, რომ სტალინის წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა დაემალათ და მის წინააღმდეგ მხოლოდ 3 ხმა დატოვეს.

კენჭისყრა ფარული იყო და სტალინმა არ იცოდა, თუ ვინ მისცა მის წინააღმდეგ ხმა, ამიტომ მთელი ყრილობა შერისხული აღმოჩნდა. პარტიის XVII ყრილობის 1966 დელეგატიდან შემდეგ 1108 დახვრიტეს. ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის 139 წევრიდან 110 დააპატიმრეს, მათგან 98 კი დახვრიტეს.[1]

18.4. კიროვის მკვლელობა

სერგეი კიროვის მკვლელობას საშინელი რეპრესიების ტალღა მოჰყვა. კიროვის მკვლელობის ვერსია, რაც სტალინის დროს შეიქმნა, რასაკვირველია, გამოგონილია. კიროვის მკვლელობა გამოყენებულ იქნა უამრავ ადამიანთან ანგარიშსწორებისთვის.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ, სადაც სტალინის პიროვნების კულტი დაგმეს, ხრუშჩოვმა წამოაყენა ვერსია, რომ კიროვი სტალინმა მოაკვლევინა. ამ ვერსიის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ მოინახა, მაგრამ ბევრი მეცნიერისთვის, ვინც 1930-იან წლებზე წერს, აღნიშნული ვერსია დამაჯერებელია. რიგი მკვლევრები კი მიუთითებენ სტალინის მიერ კიროვის მკვლელობის ვერსიის ხარვეზებზე და არადამაჯერებლად მიაჩნიათ.

[1] М. Попович. Кровавый век. Харьков, Фолио, 2017 с.438-440.

კიროვის მკვლელობაში სტალინის მონაწილეობის ვერსიის თანახმად, პარტიის XVII ყრილობის შემდეგ სტალინს მოახსენეს, რომ ვინმე ლეონიდ ნიკოლაევი, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, კიროვის ერთ-ერთი საყვარლის მილდა დრაულეს ქმარი, მზად იყო კიროვი მოეკლა ეჭვიანობის თუ პოლიტიკური მოტივებით. შინსახკომმა მითითება მიიღო, მისთვის ხელი არ შეეშალათ. კიროვის მკვლელობის პირველი მცდელობა ნიკოლაევს 1934 წლის 15 ოქტომბერს ჰქონდა. ამ დღეს ის დააკავეს კიროვის სახლთან ახლოს, მაგრამ დაცვას წარუდგინა პარტიული ბილეთი და იარაღის ტარების ნებართვა, რის შემდეგაც გაათავისუფლეს. 1934 წლის 1 დეკემბერს, მესამე მცდელობაზე, მან კიროვი სამსახურში, სმოლნის დერეფანში, რევოლვერის გასროლით მოკლა.

კიროვი 1926 წლის იანვრიდან სიკვდილამდე ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და სტალინის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მომხრე. 1930 წელს გახდა პოლიტბიუროს წევრი. პარტიის XVII ყრილობის ნინ კიროვი ლენინგრადში გამოვიდა მოხსენებით „სტალინი – მუშათა კლასის გამარჯვების დიდი ორგანიზატორი".

კიროვის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი პოლიტიკასთან არ იყო დაკავშირებული და თავიდანვე იყო ცნობილი გამოძიებისა და პარტიის ხელმძღვანელობისათვის. კიროვს ინტიმური კავშირი ჰქონდა გათხოვილ ქალებთან, კერძოდ, მკვლელის ცოლთან – მილდა დრაულესთან. მკვლელი ლ. ნიკოლაევი ყოფილი პარტიული მუშაკი იყო და ფსიქიკასთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა.

ხალხისთვის კიროვის მკვლელობის რეალური ისტორიის თქმა უხერხული იყო და არც სტალინის ინტერესებში შედიოდა. გაცილებით მომგებიანი იყო კიროვის მკვლელობის გამოყენება პოლიტიკური მიზნებით – არსებულ თუ პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორებისთვის.

მილდა დრაულე (1901-1935) და ლეონიდ ნიკოლაევი (1904-1934). 1934 წ. 29 დეკემბერს ნიკოლაევი დახვრიტეს, დრაულე თავიდან პარტიიდან გარიცხეს, შემდეგ კი მაინც დააპატიმრეს და 1935 წ. 10 მარტს დახვრიტეს. რეპრესირებულები იყვნენ მილდასა და ლეონიდის ნათესავებიც.

18.5. რეპრესიების გაძლიერება კიროვის მკვლელობის შემდეგ

კიროვის მკვლელობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. სტალინის ოპოზიციას კი ესმოდა, რომ ამას რეპრესიები მოჰყვებოდა. კიროვი დიდი პომპეზურობით დაკრძალეს. პრესა ლაპარაკობდა სტალინისა და კიროვის ახლო მეგობრობაზე. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ 1924 წელს სტალინმა კიროვს თავისი წიგნი აჩუქა წარწერით „ჩემს საყვარელ მეგობარსა და ძმას ავტორისაგან" კუბოში კიროვს სტალინი მოეხვია და შუბლზე აკოცა. 6 დეკემბერს „პრავდა" ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ ამ კოცნით საბჭოთა ქვეყანა გამოემშვიდობა კიროვს.

კიროვის მკვლელობიდან ორი კვირის შემდეგ გამოცხადდა, რომ ეს მოაწყვეს ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელის ზინოვიევის მომხრეებმა.[1] ზინოვიევს კი ამ დროს კიროვის ნეკროლოგი ქონდა დაწერილი და გამოქვეყნებას ცდილობდა. ზინოვიევი დააპატიმრეს კამენევთან ერთად. ერთი თვის შემდეგ სასამარ-

[1] მოგვიანებით კიროვის მკვლელობის მთავარ ორგანიზატორად ტროცკი გამოცხადდა.

თლო შედგა. მათ აღიარეს, რომ ყოფილი ოპოზიცია „ზოგადად, მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ატარებდა მომხდარზე". ზინოვიევს 10 წელი მიუსაჯეს, კამენევს – 5, მაგრამ ეს მათი დასჯის დასაწყისი იყო.

კიროვის მკვლელობა საბაბი გახდა სტალინის ყველა მოქმედი და სავარაუდო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, რომლებსაც შეიძლება მტრისთვის „მეხუთე კოლონის" როლი შეესრულებინა.[1]

კიროვის მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ, 1934 წ. 1 დეკემბერს მიიღეს კანონი, რომლითაც შემოიღეს ტერორისტული აქტებისა და ორგანიზაციების საქმეების განხილვის „გამარტივებული წესი". ამიერიდან გამოძიება დაჩქარებული წესით უნდა წარმართულიყო და მუშაობა დაემთავრებინათ ათი დღის განმავლობაში. საბრალმდებლო დასკვნა ბრალდებულს წარედგინებოდა სასამართლოში განხილვამდე ერთი დღით ადრე. საქმეს განიხილავდნენ პროკურორისა და დამცველის მონაწილეობის გარეშე. შეწყალების თხოვნა აკრძალული იყო. დახვრეტის განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ გამოცხადებისთანავე.

1 დეკემბრის კანონის საფუძველზე 1936-1938 წლებში ასამართლებდნენ ძველ ბოლშევიკებს, მათ შორის საჩვენებელ პროცესებზე. ერთ-ერთი უკანასკნელი, ვინც ამ კანონით დახვრიტეს, ლავრენტი ბერია იყო. ეს კანონი 1956 წ. 19 აპრილამდე მოქმედებდა.

3,5-მილიონიან კომუნისტურ პარტიაში ჩაატარეს „კიროვული წმენდა" და 1,1 მილიონზე მეტი ადამიანი გარიცხეს.[2]

მალევე კიროვის მკვლელობიდან მოსკოვსა და ლენინგრადში დახვრიტეს 70 „თეთრგვარდიელი", დააპატიმრეს კიროვის შესაძლო 6.500 მომხრე, მათ ბრალი დასდეს კიროვის მკვლელობაში (!) და „ზინოვიეველებად" გამოაცხადეს, თავად ზინოვიევი კი, რომელიც კიროვის წინამორბედი იყო და ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, გამოცხადდა მკვლელობის „სულისჩამდგმელად".

თავად მკვლელი ნიკოლაევი და კომკავშირელთა ჯგუფი, რომელთაც ბრალი დაედოთ მკვლელობაში, 29 დეკემბერს დახვრიტეს.

საბჭოთა კავშირში ოფიციალური გახდა თეზისი, რომ „ხალხის მტრებმა" შეაღწიეს ყველგან – ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოში, წითელი არმიის ხელმძღვანელობაში. საბჭოთა კავშირი ალყაშემორტყმული ციხესიმაგრე იყო.

საბჭოთა მთავრობის 1935 წლის 7 აპრილის დადგენილებით, არასრულწლოვნები 12 წლიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარებოდნენ და შეიძლება დაეხვრიტათ კიდეც, თუკი ბრალი ედებოდათ ქურდობაში, სხეულის დაზიანებაში, მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში. შემდეგ ამ კანონს იყენებდნენ ცრუ ჩვენებების მისაღებად – დაკავებულებს ემუქრებოდნენ, რომ ანგარიშს გაუსწორებდნენ მათ შვილებსაც.

ოფიციალური მონაცემებით, 1930-1953 წლებში კონტრრევოლუციური, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდებით რეპრესირებული იყო 3,8 მლნ ადამიანი, მათგან 786 ათასი დახვრიტეს.

ისტორიკოს როი მედვედევის გამოთვლით, სასიკვდილო განაჩენების რაოდენობა 300-ჯერ გაიზარდა: 1936 წელს – 1116, ხოლო 1937 წელს – 353.680 ადამიანი დახვრიტეს. ნათესავებს დახვრეტის შესახებ შემდეგნაირად აცნობებდნენ: „10 წელი შორეულ ბანაკებში მიმონერის უფლების გარეშე".

1937 წ. საზეიმოდ აღნიშნეს ჩეკას შექმნის 20 წლისთავი. ჟდანოვმა განაცხადა: „1937 წელი ისტორიაში შევა როგორც ხალხის მტრების განადგურების წელი".

---

[1] გამოთქმა „მეხუთე კოლონა" დამკვიდრდა 1936 წელს ფრანკოს გენერლის ე. მოლოს რადიოთი გამოსვლის შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ მადრიდს ოთხ კოლონად შეუტევდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარი იყო მეხუთე კოლონა, თავად მადრიდში შექმნილი, რომელიც მზად იყო ზურგში დაერტყა რესპუბლიკელებისთვის.
[2] История России. XX век. Под редакцией А.Б.Зубова. том II ,Москвпб 2016, с.252.

რეპრესიების მიზეზები:

- მოსახლეობის არაეკონომიკური იძულების აუცილებლობა;
- პირადი ხელისუფლების რეჟიმის შენარჩუნება;
- ტოტალიტარული საზოგადოების დარაზმვისა და განმტკიცების აუცილებლობა.

18.6. მოსკოვის საჩვენებელი სასამართლო პროცესები

სტალინმა იპოვა საბაბი და შექმნა „სამართლებრივი საფუძველი", რის შემდეგაც შეუდგა რეჟიმით უკმაყოფილოთა ფიზიკურ განადგურებას. 1936-1938 წლებში მოსკოვში შედგა სამი ღია სასამართლო პროცესი კომუნისტური პარტიის ყოფილი მაღალი ფუნქციონერების წინააღმდეგ, რომლებიც 1920-იან წლებში დაკავშირებული იყვნენ ტროცკისტულ ან მემარჯვენე ოპოზიციასთან. სახელწოდება „მოსკოვის პროცესები" (ინგლ. *«Moscow Trials»*) მაშინ ჯერ საზღვარგარეთ გავრცელდა, თუმცა დღეს საყოველთაოდ არის დამკვიდრებული.

საბჭოთა კავშირის პროკურორი ა. ვიშინსკი (ცენტრში) გამოდიოდა სახელმწიფო ბრალმდებლის როლში მოსკოვის საჩვენებელ პროცესებზე. ბრალდებულებს, რომელთაც ასამართლებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, ბრალად ედებოდათ თანამშრომლობა დასავლეთის დაზვერვასთან სტალინისა და მისი გარემოცვის მოკვლის, საბჭოთა კავშირის დაშლისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით, ასევე მავნებლობის ორგანიზება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

1936 წლის 19 აგვისტოს დაიწყო **პირველი პროცესი მოსკოვის დიდი პროცესებიდან,** სადაც ასამართლებდნენ შიდაპარტიული ოპოზიციის ლიდერებს. განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ ლენინის უახლოესი თანამებრძოლები: ზინოვიევი, კამენევი, ეედოკიმოვი და სხვები, რომლებიც 1935 წელს ტერორიზმისთვის ხელშეწყობის ბრალდებით გაასამართლეს, ასევე წარსულში ცნობილი რამდენიმე ტროცკისტი (ი. სმირნოვი, ს. მრაჩკოვსკი და სხვები), სულ 16 ადამიანი. მათ დაარქვეს „ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრი" და ბრალი ედებოდათ კიროვის მკვლელობაში, სტალინისა და მისი უახლოესი გარემოცვის მკვლელობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მცდელობაში. სტალინი კამენევსა და ზინოვიევს სიცოცხლის შენარჩუნებას შეპპირდა და სანაცვლოდ მათ „აღიარეს" ტერორის ორგანიზება, საიდუმლო კავშირი ტროცკისთან და ჰიტლერთან. ამავე დროს ჩვენება მისცეს ბუხარინის, რიკოვის, პიატაკოვის, ტომსკისა და რადეკის წინააღმდეგ. ტომსკიმ ეს რომ გაიგო, 22 აგვისტოს თავი მოიკლა. 24 აგვისტოს ყველა მთავარ ბრალდებულს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

ზინოვიევმა თავის უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა, რომ „ტროცკიზმი – ფაშიზმის სახეობაა, ხოლო ზინოვიევიზმი – ტროცკიზმის სახეობაა" კამენევმა თავის უკანასკნელ სიტყვაში ასეთი რამეც თქვა: „მესამედ წარვდექი პროლეტარული სასამართლოს წინაშე. ორჯერ შემინარჩუნეს სიცოცხლე. მაგრამ პროლეტარიატის დიდსულოვნებასაც თავისი ზღვარი აქვს და ჩვენ ამ ზღვარს მივადექით"

პროკურორმა ა. ვიშინსკიმ განაცხადა: „მოვითხოვ ცოფიანი ძაღლების დახვრეტას – ყველასი ერთად!". სასამართლომ დაკმაყოფილა ეს მოთხოვნა. განაჩენის გამოტანიდან

რამდენიმე საათის შემდეგ ზინოვიევი და კამენევი დახვრიტეს. მათ თხოვნას შეწყალების შესახებ სტალინმა არ უპასუხა.

მოსკოვის პირველ პროცესზე გაჟღერებული ჩვენებები საფუძველს ქმნიდა შემდგომი რეპრესიებისთვის, მაგრამ სტალინმა 1936 წლის კონსტიტუციის განხილვისა და მიღების პერიოდში დროებით გადადო პარტიულ ოპოზიციასთან შემდგომი ანგარიშსწორება. სამაგიეროდ, დაკავდა უშიშროების ორგანოების საკადრო საკითხებით. ჰ. იაგოდა ჩაითვალა მერყევ და ოპოზიციასთან ახლოს მდგომ ადამიანად და 1936 წლის 26 სექტემბერს ის შეიცვალა „უფრო სანდო" ნ. ეჟოვით.

1936 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი, რადეკი, ასევე ტრანსპორტისა და ქვანახშირის მრეწველობის თვალსაჩინო მოღვაწეები. ეს იყო არა მარტო ოპოზიციასთან ანგარიშსწორება, არამედ დაპატიმრებულებისთვის შეიძლება დაებრალებინათ პირველი ხუთწლედების შეცდომები და ჩავარდნები.

მოსკოვის მეორე პროცესი 1937 წლის 23-30 იანვარს გაიმართა (ამას უწოდეს „პარალელური ანტისაბჭოური ტროცკისტული ცენტრი"). გაასამართლეს 17 მაღალი პარტიული ფუნქციონერი, ისეთები, როგორიც იყვნენ კარლ რადეკი, იური პიატაკოვი და გრიგორი სოკოლნიკოვი. ამ პროცესზე ტერორიზმის ბრალდებას უკვე დაემატა აღიარებები პოლიტიკური და ეკონომიკური საბოტაჟის თაობაზე. მეორე პროცესზე ყველაზე დამაჯერებელ და ხატოვან „აღიარებებს" რადეკი აკეთებდა. იხუმრა კიდეც: აქ მკითხეს, ხომ არ განამებდნენ გამოძიების დროს, არა, ეს მე ეანამებდი გამომძიებელსო.

13 განსასჯელი დახვრიტეს, დანარჩენ 4-ს ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯათ. მთავარი ბრალდებულებიდან მხოლოდ რადეკს მიესაჯა 10 წლით პატიმრობა. განაჩენის მოსმენისას მან დანარჩენ განსასჯელებს დამნაშავესავით გაულიმა და მხრები აიჩეჩა, მაგრამ ისიც დაიღუპა პატიმრობაში (1939 წლის მაისში). 1937 წლის 18 თებერვალს თავი მოიკლა ს. ორჯონიკიძემ, რომელიც გამოდიოდა მრეწველობის სფეროში რეპრესიების წინააღმდეგ.

მოსკოვის მესამე პროცესი 1938 წლის მარტში შედგა. გაასამართლეს ე. წ. „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" 21 წევრი. მთავარი ბრალდებული იყო ნიკოლაი ბუხარინი, „პარტიის საყვარელი ადამიანი" (ლენინის დახასიათება), კომინტერნის ყოფილი ხელმძღვანელი, ასევე სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ალექსეი რიკოვი, ხრისტიან რაკოვსკი, ნიკოლაი კრესტინსკი და ჰენრიხ იაგოდა – მოსკოვის პირველი პროცესის ორგანიზატორი. ყველა ბრალდებული, სამის გარდა, დახვრიტეს.

მესამე პროცესზე ნიკოლაი კრესტინსკიმ განაცხადა, რომ „არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია" და ტროცკისტი არაა. ეს იყო პირველი შემთხვევა საჩვენებელ პროცესებზე დანამაულის უარყოფისა, თუმცა მეორე დღესვე აღიარა „დანაშაული".

ყოველ ასეთ პროცესს მოსდევდა რეპრესიების ტალღა, რომლის მსხვერპლიც ათობით ათასი ადამიანი ხდებოდა – მსჯავრდებულთა ნათესავები და ნაცნობები, მათი მეზობლები და თანამშრომლები. პროცესების დროს მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა მიტინგები და კრებები, მოითხოვდნენ ყველას სიკვდილით დასჯას.

მოსკოვის პროცესების შემდეგ პატიმრობამისჯილი ბრალდებულები დახვრიტეს 1941 წლის სექტემბერში ანდა მოკლეს ციხეში (რადეკი და სოკოლნიკოვი).

მოსკოვის პროცესების დროს რიგი უცხოელი პროსაბჭოთა მიმომხილველი თვლიდა, რომ ბრალდებულთა დანაშაული დასაბუთებული იყო. ყველა ბრალდებული გამოვიდა აღიარებითი ჩვენებით, არ ჩანდა ნამების ან ნარკოტიკების გამოყენების კვალი. მოგვიანებით გავრცელდა თვალსაზრისი, რომ ბრალდებულები მოქცეული იყვნენ ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ და აღიარება აიძულეს. მაგალითად, მოსკოვის მესამე პროცესზე კრესტინსკი შეეკამათა ვიშინსკის, მეორე დღეს კი სიტყვა ითხოვა და აღიარა „დანაშაული".

1937 წლის მაისში ტროცკის მომხრეებმა აშშ-ში მიაღწიეს კომისიის შექმნას, რომელსაც ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი დიუი ჩაუდგა სათავეში. ამ კომისიამ შეადგინა 422-გვერდიანი წიგნი „უდანაშაულონი", სადაც ამტკიცებდნენ, რომ განსასჯელები უდანაშაულონი იყვნენ, ტროცკი კი არასოდეს წასულა უცხოეთის სახელმწიფოებთან თა-

ნამშრომლობაზე, არასოდეს უცდია და არ დაუგეგმავს კაპიტალიზმის აღდგენა საბჭოთა კავშირში.

მოსკოვის პროცესების ორგანიზატორებმა დაუშვეს რიგი შეცდომები, რაც პროცესების ინსცენირებას ადასტურებდა. მაგალითად, გიორგი პიატაკოვი აცხადებდა, რომ 1935 წლის დეკემბერში ის ოსლოში გაფრინდა ტროცკისგან „ტერორისტული ინსტრუქციების მისაღებად". დიუის კომისიამ კი დაადგინა, რომ პიატაკოვის მიერ დასახელებულ დღეს ოსლოს აეროპორტში უცხოური თვითმფრინავი არ დაშვებულა. სხვა ბრალდებული, ივან სმირნოვი, აღიარებდა, რომ 1934 წლის დეკემბერში მონანილეობა მიიღო სერგეი კიროვის მკვლელობაში, მაშინ როდესაც ამ დროს უკვე ერთი წლის განმავლობაში ციხეში იჯდა.

1938 წლის პროცესს მოჰყვა მთელი რიგი „რეგიონული" პროცესები, რომლებიც მასობრივი ტერორის შემადგენელი ნანილი გახდა. ტერორს ემსხვერპლნენ პოლიტბიუროს წევრები: ჩუბარი, ეიხე, კოსიორი, რუდუტაკი, პოსტიშევი. კ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 139 წევრიდან და კანდიდატიდან რეპრესიებს ემსხვერპლა 98 ადამიანი. პირველი საბჭოთა მთავრობის 15 წევრიდან 10 გამოცხადდა ხალხის მტრად და რეპრესირებულ იქნა.

1938 წლის ბოლოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე ეჟოვი ლ. ბერიამ შეცვალა.[1] ამ ცვლილებას რეპრესიების მასშტაბების შემცირება მოჰყვა. 1938-1940 წლებში პარტიაში აღადგინეს 164,8 ათასი ადამიანი, რეაბილიტირებულ იქნა და პატიმრობიდან გაათავისუფლეს 837 ათასი ადამიანი. არმიაში რეაბილიტაცია შეეხო 13 ათასზე მეტ ადამიანს. ამავე დროს ახალი დაპატიმრებები გრძელდებოდა და „შინსახკომი" ტოტალიტარული წყობილების დაცვის ფუნქციას ასრულებდა.

18.7. ბოლშევიკური პარტიის ტრანსფორმაცია

მოსკოვის საჩვენებელი პროცესები მხოლოდ აისბერგის წყალზედა ნანილი იყო. დაპატიმრებები მთელ ქვეყანაში გაიშალა. ანადგურებდნენ პარტიის იმ წევრებს, რომლებიც ოდესმე ოპოზიციასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ყოფილი ოპოზიციონერებიდან მხოლოდ ერთეულები გადარჩნენ, მაგალითად, ალექსანდრა კოლონტაი და ნადეჟდა კრუპსკაია. თითქმის მთლიანად განადგურდა „ძველი ბოლშევიკების" ფენა.

პარტიის ოფიციალური ისტორია „დაცარიელდა". 1938 წელს გამოსული კომპარტიის მოკლე კურსი საბჭოთა პერიოდის თხრობისას ასახელებდა 96 ბოლშევიკს, რომელთაგან წიგნის გამოსვლის დროს 80 უკვე მკვდარი იყო, ამასთან მათგან 57 მოკვდა როგორც „ხალხის მტერი". ეს რიგ „იდეურ" პარტიელს აეჭვებდა. მაგალითად ძველმა კომუნისტმა, მანუფაქტურის მუშამ, ო. ნიკიტინამ 1937 წ. ივნისში კრებაზე იკითხა: „ლენინი რა, სულ ბრმა იყო, ვერ ხედავდა მის გარშემო მყოფ ადამიანებს?" ამ სიტყვებისთვის მას 10 წლის პატიმრობა მიესაჯა.

1937-1938 წლების მასობრივმა რეპრესიებმა დაამთავრა ბოლშევიკური პარტიის ტრანსფორმაცია, რაც 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. იდეოლოგია აღარ ასრულებდა განმსაზღვრელ როლს პარტიის პოლიტიკაში. ამიერიდან პოლიტიკას განსაზღვრავდა მხოლოდ აპარატის რეალური ინტერესები. იდეოლოგიას დაქვემდებარებული როლი ჰქონდა, პარტია აღარ იყო „თანამოაზრეთა კავშირი", ის მხოლოდ სახელმწიფო აპარატის ნანილი იყო. იდეური ოპოზიციის წარმოშობა (ტროცკისტული ან რიუტინის მსგავსი) უკვე შეუძლებელი იყო. ეს „უიდეო" ხასიათი კომუნისტურმა პარტიამ ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქაშიც შეინარჩუნა.

[1] ეჟოვი 1940 წელს დახვრიტეს.

ნადეჟდა კრუპსკაია (1869-1939) ლენინის მეუღლე და თანამებრძოლი იყო. ბოლშევიკურ პარტიაში ორგანიზაციული საქმიანობის გარდა, თეორიულ ნაშრომებსაც წერდა, მაგალითად, 1915 წელს გამოვიდა მისი ნაშრომი „სახალხო განათლება და დემოკრატია“ საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშაობდა განათლების სფეროში, ზრუნავდა ქალთა უფლებებზე. ტროცკისთან ერთად, მიიჩნეოდა ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ უძლიერეს აგიტატორად.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ კრუპსკაიამ 15 წელი იცხოვრა. იყო საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ნევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ლენინის მემკვიდრეებს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში თავიდან სტალინის ოპოზიციის მხარეზე იყო. საკ. კპ(ბ) XIV ყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი) მხარი დაუჭირა „ახალ ოპოზიციას“ (გ. ზინოვიევს და ლ. კამენევს) სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის გამო სტალინის მომხრეებმა სასტიკად გააკრიტიკეს. კრუპსკაიამ საპასუხოდ განაცხადა, რომ ემიგრაციაში წასვლას აპირებდა დიდ ბრიტანეთში. შემდეგ კრუპსკაიამ პოზიცია შეიცვალა. 1934 წელს საკ. კპ(ბ) XVII ყრილობაზე კრუპსკაიამ სტალინი შეაქო და განაცხადა, რომ „ტროცკის ხაზი ქვეყანას დაღუპავდა“. კრუპსკაიამ მხარი დაუჭირა ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის პარტიიდან გარიცხვას, ბუხარინის სასამართლოსთვის გადაცემას.

1939 წლის 10 მარტს იხსნებოდა საკ. კპ(ბ) XVIII ყრილობა, სადაც კრუპსკაია სიტყვით გამოსვლას აპირებდა, თუმცა ამის გაკეთება ვერ მოასწრო. 1939 წლის 27 თებერვალს გარდაიცვალა, თავისი 70 წლის იუბილის აღნიშვნის მეორე დღეს. კრუპსკაია დიდი პატივით დაკრძალეს კრემლის კედელში.

ლევ ტროცკი კრუპსკაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „სტალინს ყოველთვის ეშინოდა მისი მხრიდან შესაძლო პროტესტისა. მან ძალზედ ბევრი იცოდა. მან იცოდა პარტიის ისტორია. მან იცოდა რა ადგილი ეკავა ამ ისტორიაში სტალინს. მთელი უახლესი ისტორიოგრაფია, რომელიც სტალინს ლენინის გვერდით აყენებს, არ შეიძლება არ მიეჩნია მას გულისამრევად და შეურაცხმყოფელად“.

18.8. რეპრესიები სამხედროების წინააღმდეგ

1937 წელს რეპრესიები თავს დაატყდათ მაღალი რანგის ოფიცრებს მარშალ ტუხაჩევსკით სათავეში. ტუხაჩევსკის და მის მომხრეებს არმიის განვითარების საკითხებზე კონფლიქტი ჰქონდათ თავდაცვის სახალხო კომისართან კლიმ ვოროშილოვთან. 1936 წ. მაისში ტუხაჩევსკის ჯგუფმა სტალინის წინაშე დააყენა ვოროშილოვის გადაყენების საკითხი. სტალინისათვის ვოროშილოვი და ბუდიონი, „სამოქალაქო ომის გმირები“, უფრო ახლობელი და სანდო იყვნენ, ტუხაჩევსკის კი უნდობლად უყურებდა, – მათ ხომ სამხედრო გადატრიალება შეიძლება მოეწყოთ.

ტუხაჩევსკის დაპატიმრების საბაბი გახდა ნაცისტური გერმანიიდან წამოსული ფალსიფიცირებული დოკუმენტები ტუხაჩევსკის კავშირის თაობაზე გერმანიის გენერა-

ლურ შტაბთან. ეს ფალსიფიკაცია სტალინის ხელში ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ბენეშის გავლით აღმოჩნდა.

1937 წლის ივლისში შედგა სამხედროების ჯგუფის დახურული სასამართლო პროცესი, რომელთა შორის იყვნენ მარშალი ტუხაჩევსკი, 1-ლი რანგის არმიის სარდლები უბორევიჩი და იაკირი და სხვა მაღალი რანგის სამხედროები. მათ ბრალი ედებოდათ სამშობლოს ღალატში, შპიონაჟში, ტერორისტული აქტების მომზადებაში. ისინი მაშინვე დახვრიტეს.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო – სხვადასხვა სახის რეპრესიები შეეხო ნითელი არმიის 40 ათას ოფიცერს.

რეპრესიები წითელი არმიის ოფიცერთა შემადგენლობაში

წოდება	საერთო რაოდენობა	მათგან რეპრესირებული იყო
საბჭოთა კავშირის მარშლები	5	3
I რანგის კომანდარმები	5	3
II რანგის კომანდარმები	10	10
კორპუსის მეთაურები	57	50
დივიზიის მეთაურები	186	154
საარმიო კომისრები	16	16
კორპუსის კომისრები	26	25
დივიზიის კომისრები	64	58
პოლკის მეთაურები	451	401

18.9. ტროცკის მკვლელობა

რეპრესიები მიმდინარეობდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით. არსებობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საიდუმლო განყოფილება, რომლის ამოცანაც იყო საზღვარგარეთ მყოფი ხელისუფლების პოლიტიკური მონინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. სტალინის რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ თეთრი მოძრაობის, მონარქისტული ემიგრაციის წარმომადგენლები.

სტალინის ბრძანებით მექსიკაში მოკლეს ლევ ტროცკიც. 1928 წელს საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ ტროცკი ცხოვრობდა ჯერ თურქეთში, შემდეგ საფრანგეთსა და ნორვეგიაში. 1936 წელს ტროცკის მიღებას დასთანხმდა მექსიკის ხელისუფლება. ტროცკი მექსიკაში დამკვიდრდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა. ტროცკის ყველაზე მეტი მომხრე აშშ-ში ჰყავდა, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლებამ ტროცკის ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცა.

ემიგრაციაში ტროცკიმ 1938 წელს დააარსა IV ინტერნაციონალი. ეს იყო ტროცკის მომხრე კომუნისტების გაერთიანება, რომელიც უპირისპირდებოდა სტალინის მითითებებით მოქმედ III ინტერნაციონალს.

ტროცკის მკვლელობის ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ შინსახკომის თანამშრომლები პაველ სუდოპლატოვი და ნაუმ ეიგინტონი. მათ მოახერხეს ტროცკის გარემოცვაში თავიანთი აგენტის რამონ მერკადერის ჩანერგვა, რომელმაც 1940 წლის 20 აგვისტოს მოკლა ტროცკი თავში ჩაქუჩის ჩარტყმით. მერკადერი დააპატიმრეს და 20 წელი მიუსაჯეს. 1961 წელს, პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ, გაათავისუფლეს. მერკადერი კუბაში წავიდა, იქიდან კი საბჭოთა კავშირში ჩავიდა. მოსკოვში ის დიდი პატივით მიიღეს და საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაც მიანიჭეს.

„გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუცია

„დიდი ტერორის“ მეშვეობით სტალინი ცდილობდა ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ლიკვიდაციას, რაც გამოწვეული იყო მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომებით. ამ შეცდომების აღიარება არ შეეძლო, რადგან საჭირო იყო ყველა საშუალებით აეძულებინა ადამიანები, არ ეფიქრათ და არ შეეტანათ ეჭვი არსებულ ხელისუფლებაში, მათ უნდა დაენახათ ის, რაც სინამდვილეში არ იყო. მოცემული პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუცია იყო შირმა, რომელიც რეპრესიულ რეჟიმს დემოკრატიული და სოციალისტური საფარველის ქვეშ აქცევდა.

1936 წლის კონსტიტუციას, მისი ავტორების ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა აესახა მნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში – სოციალიზმის აშენება.

კონსტიტუციას „სტალინური კონსტიტუცია“ უწოდეს, მაგრამ კონსტიტუციის ტექსტის ძირითადი ავტორი იყო ნ. ბუხარინი. უკვე შემდეგ, შემუშავებული ტექსტის „სრულყოფაზე“ უშუალოდ იმუშავა სტალინმა.

საკონსტიტუციო კომისიის 31 წევრიდან 17 რეპრესირებული იქნა, ერთმა თავი მოიკლა, კიდევ 2 კი იძულებული გახდა, უარი ეთქვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე.

19.1. კონსტიტუციის მიღება

1935 წლის 1 თებერვალს საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებით გამოვიდა, „ზოგიერთი ცვლილება“ შეეტანათ არსებულ კონსტიტუციაში. 1935 წლის 6 თებერვალს საბჭოების საკავშირო VII ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც 12 ქვეკომისია შედიოდა. კომისიის თავმჯდომარე იყო ი. სტალინი.

მუშაობის დაწყების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის მიღება. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია, იურიდიული თვალსაზრისით, ორი ნაწილისგან შედგებოდა: დეკლარაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნის ხელშეკრულებისაგან. ახალი კონსტიტუციის პროექტში უარი იყო ნათქვამი კონსტიტუციის ხელშეკრულებით ხასიათზე. შეიქმნა ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო ცხოვრების ყველა მხარეს.

1936 წლის მაისისთვის მომზადდა ახალი კონსტიტუციის პროექტი. 1936 წლის ივნისის დასაწყისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კონსტიტუციის პროექტი და 12 ივნისს გამოაქვეყნეს „საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის“ განხილვა თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დარეგისტრირდა დაახლოებით 170 ათასი წინადადება კონსტიტუციის პროექტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. კონსტიტუციის განხილვაში „მონაწილეობა მიიღო“ 75 მილიონმა ადამიანმა.

კონსტიტუციის პროექტის განსახილველად მოწყობილ კრებებზე ადამიანები თავიანთ სატკივარზე საუბრობდნენ. კოლმეურნეები ხელფასების დანიშვნას ითხოვდნენ. ვორონეჟის ოლქში ერთმა გლეხმა ქალმა ითხოვა კონსტიტუციაში სიტყვებს „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს" დამატებოდა სიტყვები „ვინც მუშაობს, მან უნდა ჭამოს".

კონსტიტუცია მიიღეს 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების VIII საკავშირო საგანგებო ყრილობაზე. სტალინის განცხადებით, საბჭოთა საზოგადოებამ „განახორციელა ის, რასაც მარქსისტებთან ეწოდება კომუნიზმის პირველი ფაზა – სოციალიზმი".

სოციალიზმის აშენების ეკონომიკურ კრიტერიუმად „სტალინური" კონსტიტუცია აცხადებდა კერძო საკუთრების ლიკვიდაციასა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობას, სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების გამარჯვებას.

სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლად გამოცხადდა სოციალისტური საკუთრება, რომელიც ორი ფორმით არსებობდა: სახელმწიფო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო. დაშვებული იყო პირად შრომაზე დაფუძნებული წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა.

19.2. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძვლად დაფიქსირდა მშრომელთა დეპუტატთა საბჭოები. ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ გამოცხადდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელსაც საყოველთაო კენჭისყრით ირჩევდნენ.

უმაღლესი საბჭო ორი პალატისაგან შედგებოდა: კავშირების საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. კავშირების საბჭოს ირჩევდნენ ოლქებში – ერთი დეპუტატი 300 ათას მცხოვრებზე; ეროვნებათა საბჭოს კი ირჩევდნენ შემდეგი პრინციპით: 25 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკიდან, 11 დეპუტატი ყოველი ავტონომიური რესპუბლიკიდან, 5 დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოლქიდან, 1 დეპუტატი ყოველი ნაციონალური ოკრუგიდან.

სესიებს შორის პერიოდებში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

პირველად კონსტიტუციურად განისაზღვრა კომუნისტური პარტიის როლი პოლიტიკურ სისტემაში. საკ. კპ(ბ) განიხილებოდა „მშრომელთა მოწინავე რაზმად", რომელიც მშრომელთა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ხელმძღვანელ ბირთვად" გამოცხადდა. კონსტიტუციის 126-ე მუხლი, რომელიც ამ სტატუსს აფიქსირებდა, სინამდვილეში იყო პოლიტიკურ ხელისუფლებაზე პარტიის მონოპოლიის დაფიქსირება. დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს კონსტიტუციის ძალით მიეცათ ადმინისტრაციის კონტროლის უფლება.

1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულმა კონსტიტუციამ:

- გამოაცხადა სოციალიზმის აშენება;
- საბჭოები გამოაცხადა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებად;
- გამოაცხადა უმთავრესი დემოკრატიული უფლებები, ოღონდ რეალურად უზრუნველყოფის გარეშე;

  სახელმწიფო იდეოლოგიად გამოაცხადა მარქსიზმ-ლენინიზმი;

  აღნიშნავდა, რომ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია;

  ოპოზიციური პარტიების შექმნისკენ მიმართული საქმიანობა ანტიკონსტიტუციურად და დანაშაულებრივ საქმიანობად გამოაცხადა.

19.3. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა კიდევ უფრო შემცირება

1936 წლის კონსტიტუციით გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და საბჭოთა კავშირში უკვე შედიოდა 11 მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკა: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

ახალ კონსტიტუციაში, წინანდელთან შედარებით, გაიზარდა ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალიზაცია, კიდევ უფრო შემცირდა მოკავშირე რესპუბლიკების ისედაც მცირე უფლებები.

მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მდგომარეობა

ძირითადი კონსტიტუციური დებულებები	სსრკ 1924 წლის კონსტიტუცია	სსრკ 1936 წლის კონსტიტუცია
1.სუბიექტი, ვისაც ეკუთვნოდა საკუთრება – მიწა, წიაღისეული, ტყე და წყალი	1. მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული მიწის, წიაღისეულის და ა.შ. განკარგვის უფლება მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნოდათ.	1.საკუთრების უფლების სუბიექტი საბჭოთა კავშირი იყო.
2.საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა	2. 10 სახალხო კომისარიატი (5 საკავშირო, 5 საკავშირო-რესპუბლიკური).	2. 18 სახალხო კომისარიატი (8 საკავშირო, 10 საკავშირო-რესპუბლიკური).
3.კანონშემოქმედება	3. კოდექსები იცვლებოდა რესპუბლიკებში მათი სპეციფიკის მიხედვით.	3. კოდექსების გამოცემა მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის კომპეტენციას.
4. კავშირისა და რესპუბლიკების უფლებამოსილების გამიჯვნა	4.საკითხების მკაფიო წრე, რომლებიც მიეკუთვნებოდა საკავშირო ორგანოების კომპეტენციას და რესპუბლიკების კომპეტენციაში დარჩენილი საკითხების მწყობრი სისტემა, რაც რესპუბლიკებს მათ კომპეტენციაში ცენტრის ჩარევისაგან იცავდა.	4. ფორმალურად გამიჯნული იყო ცენტრისა და რესპუბლიკების კომპეტენცია, მაგრამ არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც რესპუბლიკებს ცენტრის ჩარევისგან დაიცავდა.
5. მოკავშირე რესპუბლიკების უფლება თავიანთ ტერიტორიაზე გაეუქმებინათ ცენტრის მიერ მიღებული აქტები	5. რესპუბლიკებს შეეძლოთ თავიანთ ტერიტორიაზე შეეჩერებინათ საკავშირო უწყებების მიერ მიღებული დადგენილებები, თუკი ის ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის კონსტიტუციას და ინტერესებს. შეეძლოთ გაესაჩივრებინათ უკანონო მოქმედება საკავშირო ცაკში. სსრკ უმაღლეს სასამართლოს ჰქონდა კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია.	5. გაძლიერდა საკავშირო ორგანოების უფლება, გაეუქმებინათ რესპუბლიკების აქტები, რომლებიც საკავშირო კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. რესპუბლიკებს ჩამოერთვათ საკავშირო ორგანოების რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების გასაჩივრების უფლება. უმაღლეს სასამართლოს ჩამოერთვა კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია.

19.4.კონსტიტუციის „სტალინური“ ნორმები

საბჭოთა კონსტიტუციაში დაფიქსირებული იყო მოქალაქეთა ფართო უფლებები, მაგრამ კონსტიტუციური ნორმების უმეტესობა ცარიელი დეკლარაცია იყო. „სტალინური“ სოციალიზმის მიზანი იყო არა საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფალი განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წანამძღვრების შექმნა, არამედ სახელმწიფოს ძლიერების ზრდა.

საკუთრება და პოლიტიკური ხელისუფლება თავმოყრილი იყო სტალინისა და პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის ხელში. ისინი ხალხისგან გაუცხოებულნი იყვნენ.

საბჭოთა კონსტიტუციაში პირველად იყო ნათქვამი პიროვნების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, მიმოწერის საიდუმლოების დაცვის შესახებ, თუმცა ეს გარანტიები სასაცილოდ ჟღერდა მასობრივი რეპრესიების პირობებში.

კონსტიტუციაში გამკაცრდა დამოკიდებულება ეკლესიისადმი. მორწმუნეებს ეკრძალებოდათ რელიგიური პროპაგანდა და მხოლოდ კულტის აღსრულების უფლება ჰქონდათ, არამორწმუნეებს კი შეეძლოთ ანტირელიგიური პროპაგანდა.

1936 წ. კონსტიტუციამდე, 1918 წ. კონსტიტუციით, ქალაქის მუშის ხმა არჩევნებზე 5-ჯერ აღემატებოდა გლეხის ხმას. არჩევნების დროს ხმას აძლევდნენ ღიად, ხელის აწევით და ნინააღმდეგ ხმის მიცემას ცოტა თუ ბედავდა.

1936 წლის კონსტიტუციამ გამოაცხადა ყველა დონის საბჭოების საყოველთაო, პირდაპირი (მრავალსაფეხურიანის ნაცვლად), თანასწორი (პროპორციულის ნაცვლად), ფარული (ღიას ნაცვლად) არჩევნები. გაუქმდა პოლიტიკური ცხოვრებიდან რაიმე კატეგორიის ადამიანების ჩამოცილება, გარდა სასჯელმისჯილთა და შეურაცხადად ცნობილებისა. მანამდე ძალზე ბევრს ჰქონდა ნართმეული ხმის უფლება: კულაკებს, ნეპმანებს და „ყოფილებს" (მეფის დროინდელი პოლიციელები, ადმინისტრაცია და ა.შ.) 1932 წელს ხმის უფლებანართმეულთა რაოდენობა, ოჯახის წევრებთან ერთად, შეადგენდა 7 მილიონ ადამიანს.

პირველი საყოველთაო არჩევნები 1937 წ. 12 დეკემბერს ჩატარდა. ერთ ადგილზე წამოყენებული იყო მხოლოდ ერთი კანდიდატი „კომუნისტების და უპარტიოთა ბლოკიდან" ოფიციალური მონაცემებით, 94 მილიონი ამომრჩევლიდან მათ წინააღმდეგ ხმა მისცა 632 ათასმა ადამიანმა.

1988 წლამდე უმაღლესი საბჭო და სხვა საბჭოები გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად იწონებდნენ, თუმცა თავმჯდომარე ყოველთვის კითხულობდა: „ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა?"

1930-იანი წლების საბჭოთა საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნები

სფერო	დამახასიათებელი ნიშანი
ეკონომიკის სფერო	– მწარმოებელი სრულად ემორჩილება სახელმწიფოს; – შრომის თავისუფლების არარსებობა და მისი შეცვლა არაეკონომიკური იძულებით; – სახელმწიფოს მონოპოლია წარმოების საშუალებებზე; – ეკონომიკის მილიტარიზაცია; – ქონებრივი ურთიერთობების სახელმწიფოებრივი რეგულირება.
პოლიტიკის სფერო	– ერთპარტიული სისტემა; – პარტიული და სახელმწიფო აპარატების შეზრდა; – მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების უნიფიკაცია; – საზოგადოებაში რეალური თავისუფლებების არარსებობა; – მძლავრი რეპრესიული აპარატის არსებობა.
სულიერი სფერო	– პარტიული იდეოლოგიის ბატონობა; – სრული სახელმწიფო კონტროლი განათლების სფეროსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე; – სულიერი ცხოვრების უნიფიცირება; – ათეიზმის დიქტატი.
ეროვნულ ურთიერთობათა სფერო	– ფორმით ფედერაციული, არსით უნიტარული სახელმწიფო; – საბჭოთა კავშირის ხალხების რუსიფიკაციის ტენდენცია; – მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების შეზღუდვა.

ნაწილი მეშვიდე
საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის დროს

თავი XX.

საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის დაახლოება

20.1. მილიტარისტულ-ფაშისტური ქვეყნების აგრესიის გაფართოება

1938 წლის ნოემბერში იაპონიამ პირველად გამოაცხადა აშკარად თავისი მიზანი – აღმოსავლეთ აზიაში „ახალი წესრიგის შექმნა“ ეს უნდა ყოფილიყო „თანაარსებობის“ აღმოსავლეთაზიური სფერო. იაპონელი იმპერიალისტები მასში მოიაზრებდნენ საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთს, ჩინეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ინდონეზიას, ფილიპინებს, ახალ გვინეასა და ოკეანიის კუნძულებს.

არანაკლებ საშიშ ხასიათს ღებულობდა მოვლენათა განვითარება ევროპაში.

მიუნჰენის შეთანხმების დადების შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ ევროპაში დადგა „მშვიდობის ერა“. სხვანაირად ფიქრობდა და მოქმედებდა ჰიტლერი. 1939 წლის 15 მარტს ჰიტლერმა ჯარი შეიყვანა პრაღაში და საბოლოოდ მოსპო ჩეხოსლოვაკია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1939 წლის 23 მარტს ჰიტლერმა დაიკავა მემელის (კლაიპედას) ოლქი, რომელიც ლიტვის შემადგენლობაში შედიოდა. ეს მოხდა ლიტვასთან „შეთანხმებით“, რომელმაც გერმანიას „დაუთმო“ ეს პორტი.

1939 წლის მარტში გერმანიამ პოლონეთს მოთხოვნა ნაუყენა დანციგის შეერთების თაობაზე, რომელიც თავისუფალი ქალაქი იყო და, ასევე, პოლონეთის ტერიტორიის ნაწილზე. პოლონეთმა უარყო ეს მოთხოვნები. საპასუხოდ გერმანიამ გაწყვიტა პოლონეთთან თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულება, მომზადდა პოლონეთზე თავდასხმის გეგმა („ვაისის გეგმა“), რომელიც 1939 წლის აპრილის დასაწყისში დამტკიცდა. გეგმის მიხედვით, პოლონეთის წინააღმდეგ ომი უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს 1939 წლის 1 სექტემბრისა.

გერმანიის აგრესიული გეგმებით შეშფოთებულმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა 22 მარტს განაცხადეს, რომ სამხედრო გარანტიას აძლევენ გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში გერმანიის დასავლეთელ მეზობლებს: ბელგიას, ჰოლანდიასა და შვეიცარიას. მალე იგივე გარანტია მისცეს პოლონეთს, შემდეგ კი – საბერძნეთს, რუმინეთსა და თურქეთს.

1939 წლის აპრილში იტალიამ ალბანეთის ოკუპაცია მოახდინა.

1939 წლის აპრილში „ანტიკომინტერნულ პაქტს“, რომელშიც გერმანია, იაპონია და იტალია შედიოდნენ, შეუერთდნენ უნგრეთი და მანჯოუ-გო, 1939 წლის მაისში – ესპანეთი.

გერმანიისა და იტალიის ასეთმა მოქმედებამ საგონებელში ჩააგდო ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები და ისინი დათანხმდნენ საბჭოთა კავშირის წინადადებას, დაეწყოთ მოლაპარაკებები შეთანხმების დასადებად გერმანიის აგრესიის შეჩერების მიზნით, თუმცა ეს მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა.

ფაშისტური კოალიციის ფორმირება შემდეგშიც გრძელდებოდა.

1940 წლის 27 სექტემბერს ანტიკომინტერნული პაქტი გადაიქცა ღია სამხედრო კავშირად („ბერლინის პაქტი“).

1941 წლის ნოემბერში პაქტის მოქმედება 5 წლით გაგრძელდა. ამავე დროს მას შეუერთდნენ ბულგარეთი, ფინეთი, რუმინეთი, დანია, სლოვაკეთი, ხორვატია და ნანკინი (ჩინეთის დედაქალაქი, რომელიც 1937-1945 წლებში იაპონიის ოკუპაციის ზონაში იყო). ამით დამთავრდა ფაშისტური სახელმწიფოებისა და მათი სატელიტების აგრესიული ბლოკის ჩამოყალიბება.

20.2. ევროპა ომსა და მშვიდობას შორის

1939 წლისათვის ევროპა დიდი ომის ზღურბლზე იდგა. ამ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით ინგლისი და საფრანგეთი მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ გერმანიის სახმელეთო ძალებს და სრულად ბატონობდნენ ზღვაზე. მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული არმია საბჭოთა კავშირს ჰყავდა. საბჭოთა არმია დივიზიების რაოდენობით იტალიის სახმელეთო ძალებს 2-ჯერ აღემატებოდა, გერმანიას – 2,5-ჯერ, იაპონიას – 3-ჯერ, საფრანგეთს – 4-ჯერ, დიდ ბრიტანეთს – 5-ჯერ, აშშ-ს კი – 11-ჯერ.[1]

საბჭოთა კავშირის პოზიცია ბევრ რამეს განსაზღვრავდა. იმის მიხედვით, თუ რომელ სახელმწიფოებს დაუკავშირდებოდა სტალინი, დამოკიდებული იყო ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება ან ომის დაწყება.

საბჭოთა ქვეყნის დაკავშირება ინგლის-საფრანგეთთან გერმანიას ორ ფრონტზე ომის საფრთხის წინაშე აყენებდა და ჰიტლერი ვერ გაბედავდა პოლონეთზე თავდასხმას. ამით ევროპაში მშვიდობა შენარჩუნდებოდა.

სტალინის დაკავშირება გერმანიასა და მის სატელიტებთან ნიშნავდა ევროპაში ომის დაუყოვნებლივ გაჩაღებას. სამი აგრესიული რეჟიმის – ბოლშევიკურის, ფაშისტურისა და ნაცისტურის კავშირი ზრდიდა მათ ძალებს საძულველი დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავად სტალინიც ომისკენ იხრებოდა. მშვიდობა საბჭოთა კავშირს 1920 წლის საზღვრებში ტოვებდა და ხელს უშლიდა „რევოლუციის ექსპორტს". ბოლშევიკებსაც სურდათ მსოფლიოზე ბატონობა. ამავე დროს სტალინს ეშინოდა, კაპიტალისტური ქვეყნები არ გაერთიანებულიყვნენ მის წინააღმდეგ.

ინგლისი და საფრანგეთი წინააღმდეგი არ იყვნენ, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს შეტაკებოდნენ, სტალინს კი სურდა გერმანიის აგრესიის დასავლეთისკენ წარმართვა, რაც მათ დაასუსტებდა. სტალინი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ინგლის-საფრანგეთთან და გერმანიასთანაც.

20.3. საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებები ინგლის-საფრანგეთთან

1939 წლის 17 აპრილს, გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა, რომ საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და საფრანგეთს გაეფორმებინათ სამმხრივი შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ და ასევე დაედოთ სამხედრო კონვენცია. თავისი ვალდებულებების შესასრულებლად საბჭოთა კავშირი მოითხოვდა, რომ წითელ არმიას გაევლო „ბუფერულ ზონაზე" – პოლონეთი, რუმინეთი, ბალტიის ქვეყნები და ფინეთი, რაც ამ ქვეყნების ოკუპაციას ნიშნავდა. ამ მოთხოვნას დიდხანს არ თანხმდებოდნენ არც ინგლის-საფრანგეთი და არც „ბუფერული ზონის" ქვეყნები.

ჰიტლერმა, თავის მხრივ, დასავლეთის ქვეყნებს შესთავაზა, დაედოთ „ოთხთა პაქტი" (გერმანია, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი).

მიუნჰენის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გერმანიის აგრესიის გაძლიერებამ ომის საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახადა. ინგლისსა და საფრანგეთში იზრდებოდა განწყობა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების გამართვის სასარგებლოდ. პირველად მიუნჰენის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები დასთანხმდნენ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას და მოსკოვში დაიწყო სამი ქვეყნის (საბჭოთა კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი) სამხედრო მისიების მოლაპარაკებები.

მაისის ბოლოს ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა არჩევანი გააკეთეს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. 1939 წლის ივნის-ივლისში მოსკოვში გამართულმა მოლაპარაკებებმა მოლოტოვსა და ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის შედეგი არ გამოიღო, თუმცა დათანხმდნენ, მოლაპარაკებები დაეწყოთ სამხედრო შეთანხმების დასადებად.

---

[1] История России XX век. Том II. Под ред. А.Б.Зубова. М., 2016, стр.362.

მოსკოვის მოლაპარაკებების პარალელურად ივნის-ივლისში ლონდონი ცდილობდა გერმანიასთან შეთანხმებას. ბრიტანეთი მზად იყო ეცნო გერმანიის დომინირება აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის პოლონეთის მიმართ მოთხოვნებიც. მაგრამ გარიგება არ შედგა. გერმანია არ აპირებდა თავისი აგრესიის მხოლოდ აღმოსავლეთისკენ წარმართვას და ასევე ითხოვდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

1939 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში ჩავიდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. მოულოდნელად გამოირკვა, რომ ინგლისელებს არ ჰქონდათ შეთანხმების დადების უფლებამოსილება. ინგლისისა და საფრანგეთის მისიებს მეორეხარისხოვანი მოღვაწეები ხელმძღვანელობდნენ, საბჭოთა დელეგაციას კი სათავეში ედგა თავდაცვის სახალხო კომისარი მარშალი კლიმ ვოროშილოვი.

საბჭოთა მხარემ წარადგინა საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის ერთობლივი სამხედრო მოქმედებების დეტალური გეგმა. ამ გეგმის თანახმად, წითელ არმიას ევროპაში გამოჰყავდა 136 დივიზია, 5 ათასი მძიმე ქვემეხი, 9-10 ათასი ტანკი და 5-5,5 ათასი თვითმფრინავი. ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ინგლისი თავიდან კონტინენტზე გააგზავნიდა მხოლოდ 6 დივიზიას. სამაგიეროდ, საფრანგეთი აცხადებდა, რომ გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანდა 110 დივიზიას, 4 ათას თანამედროვე ტანკს და, დივიზიების არტილერიის გარდა, 3 ათას მსხვილყალიბიან (150-იდან 420 მილიმეტრამდე) ქვემეხს, ასევე, საფრანგეთის არმიაში შევიდოდა 200 ათასი ესპანელი რესპუბლიკელი, რომლებიც საფრანგეთში გადავიდნენ ფრანკისტების გამარჯვების შემდეგ.

საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა საერთო საზღვარი გერმანიასთან. საომარ მოქმედებებში მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ინგლისისა და საფრანგეთის მოკავშირეები – პოლონეთი და რუმინეთი საბჭოთა ჯარებს თავიანთ ტერიტორიაზე გაატარებდნენ, მაგრამ ორივე ქვეყანა ამის წინააღმდეგი იყო და საბჭოთა ჯარის შეშვებას საფრთხედ მიიჩნევდნენ თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის. მოლაპარაკებები ჭიანურდებოდა.

20.4. საბჭოთა კავშირის გერმანიასთან დაახლოება

მოსკოვში 1939 წლის მარტიდან გაჩნდა საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების პირველი სიმპტომები. 1939 წლის 10 მარტს საკ/ კპ(ბ) XVIII ყრილობაზე სტალინმა მიანიშნა გერმანიასთან ურთიერთობის გაუმჯობესების სასურველობაზე. კიდევ უფრო ადრე, ბერლინში გამართულ დიპლომატიურ მიღებაზე, ჰიტლერი პირველად სპეციალურად შეჩერდა საბჭოთა ელჩთან და მას გამოელაპარაკა, რაც მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა შეამჩნია.

1939 წლის 5 მაისს მოსკოვში გამოაცხადეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტიდან მ. ლიტვინოვის გადადგომის შესახებ, რომელიც ინგლისთან და საფრანგეთთან დაახლოების მომხრე და თანაც ებრაელი იყო. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შეითავსა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. მოლოტოვმა, რაც მსოფლიომ შეაფასა, როგორც მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების მაუწყებელი.

მალე, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკური მოლაპარაკებები ბერლინსა და მოსკოვს შორის. აგვისტოში ხელი მოეწერა შეთანხმებას ვაჭრობისა და კრედიტების თაობაზე. პარალელურად, 1939 წლის ზაფხულში, გაძლიერდა პოლიტიკური კონტაქტებიც ორ ქვეყანას შორის.

ამრიგად, 1939 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ორივე დაპირისპირებულ ბანაკთან. ეს მეთოდი არ ყოფილა რაიმე მოულოდნელი საერთაშორისო პრაქტიკაში, ინგლისსა და საფრანგეთსაც ჰქონდათ აქტიური დიპლომატიური კონტაქტები გერმანიასთან. მოსკოვის მოლაპარაკებები წარმატებით რომ დამთავრებუ-

ლიყო, მნიშვნელოვანი ბარიერი შეიქმნებოდა გერმანიის აგრესიული გეგმების წინაშე. მაგრამ ეს შანსი გამოუყენებელი დარჩა.

20.5. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი

ჰიტლერმა, რომელიც „პოლონეთის საკითხის" ძალით გადაჭრისთვის ემზადებოდა, ასევე შესთავაზა საბჭოთა კავშირს, დაეწყოთ მოლაპარაკებები თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებისა და აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის სფეროების გამიჯვნის თაობაზე.

როგორც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსულ ლიტერატურაში აღინიშნება, სტალინი რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან უარი უნდა ეთქვა გერმანიის წინადადებისთვის და შერიგებოდა გერმანიის ჯარების გასვლას საბჭოთა კავშირის საზღვრებთან პოლონეთის დამარცხების შემდეგ, ან დაედო შეთანხმება გერმანიასთან და გადაეწია საბჭოთა კავშირის საზღვრები დასავლეთისკენ, თან გარკვეული დროით თავიდან აეცილებინა ომი გერმანიასთან.

საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრით, დასავლეთის ქვეყნები გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისკენ უბიძგებდნენ, ისევე როგორც იცოდნენ გერმანიის მისწრაფებაზე, „სასიცოცხლო სივრცე" გაეფართოებინა აღმოსავლეთით დაპყრობების ხარჯზე. მოსკოვში ისიც იცოდნენ, რომ გერმანიის ჯარები მზად იყვნენ პოლონეთზე თავდასასხმელად და ბევრად ძლიერები იყვნენ პოლონეთის არმიაზე. რაც უფრო ჭიანურდებოდა მოლაპარაკებები ინგლის-საფრანგეთის დელეგაციასთან, სტალინი მით უფრო იხრებოდა გერმანიასთან შეთანხმების ხელმოწერისკენ. უნდა გაეთვალისწინებინა ისიც, რომ 1939 წლის მაისიდან მონღოლეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები იაპონელთა წინააღმდეგ.

1939 წლის 19 აგვისტო გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამ დღეს მოხდა სამი მნიშვნელოვანი მოვლენა:

– საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა მოსკოვში რიბენტროპის ჩასვლას. იმავე დღეს ბერლინში ხელი მოეწერა სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმებას, რაც საბჭოთა კავშირისთვის 200-მილიონიანი კრედიტის გამოყოფას ითვალისწინებდა 5 წლით, წლიური 4,5%-ით. ეს შეთანხმება შემობრუნების პუნქტი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირ – გერმანიის ურთიერთობაში.

– პოლონეთმა ბრიტანელებს აცნობა, რომ უარს ამბობდა მშვიდობიან დროს თავის ტერიტორიაზე ნებისმიერი უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების დაშვებაზე. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის განცხადებით, „მარშალი ვოროშილოვი მშვიდობიანი გზით ცდილობდა იმის მიღწევას, რასაც ვერ მიაღწია იარაღის ძალით 1920 წელს". თუმცა უკანასკნელ მომენტში – 23 აგვისტოს პოლონელებმა თანხმობა არ გამორიცხეს;

– შულენბურგმა ბერლინში გადაგზავნა მოლოტოვის მიერ მიწოდებული თავდაუსხმელობის პაქტის პროექტი და ხაზი გაუსვა, რომ ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა მხოლოდ „საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე სპეციალური პროტოკოლის ხელმოწერის შემდეგ", რომელსაც მოსკოვი „პაქტის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა".

მოსკოვსა და ბერლინს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ.

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ჩაფრინდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი.[1] იმავე დღეს ხელი მოეწერა გერმანია – საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას, რომელიც ისტორიაში შევიდა „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის" სახელით. მისმა ხელმოწერამ შოკში ჩააგდო მსოფლიო.

1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ – გერმანიას შორის დაიდო თავდაუსხმელო-

---

[1] საზღვრის გადაკვეთისას რიბენტროპის თვითმფრინავს მინსკის რაიონში ცეცხლი გაუხსნა საბჭოთა საზენიტო არტილერიამ. მათ დაგვიანებით მიიღეს გაფრთხილება თვითმფრინავისთვის დერეფნის მიცემის თაობაზე, მაგრამ ჰიტლერი, სტალინი და რიბენტროპი იმდენად დაინტერესებულნი იყვნენ შეთანხმების მიღწევით, რომ ინციდენტისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ბის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. ეს ხელშეკრულება სრულიად მოულოდნელი იყო მსოფლიოსთვისაც და საბჭოთა კავშირში მცხოვრებთათვისაც. თუმცა, არავინ იცოდა მთავარი – ხელშეკრულებას ერთოდა საიდუმლო პროტოკოლები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიერ აღმოსავლეთ ევროპა ინტერესთა სფეროებად იყო გაყოფილი. ამ პროტოკოლების თანახმად, დგინდებოდა გამმიჯნავი ხაზი გერმანიისა და საბჭოთა ჯარებს შორის პოლონეთში; ესტონეთი, ლატვია, ფინეთი და ბესარაბია მიეკუთვნებოდა საბჭოთა გავლენის სფეროს, ლიტვა – გერმანიის ინტერესების სფეროს. პოლონეთი იყოფოდა ორ ნაწილად: აღმოსავლეთ პოლონეთი საბჭოთა კავშირის ხელში გადადიოდა. დედაქალაქი ვარშავა შუაზე იყოფოდა. საბჭოთა კავშირს ერგებოდა მისი გარეუბანი – პრაღა.

პაქტის ხელმოწერის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელსაც ესწრებოდნენ მხოლოდ სტალინი, მოლოტოვი, რიბენტროპი და შულენბურგი. სტალინმა დალია ჰიტლერის სადღეგრძელო: „მე ვიცი, თუ როგორ ძლიერ უყვარს გერმანელ ერს თავისი ბელადი და ამიტომ მე მინდა შევსვა მისი დღეგრძელობისთვის". სტალინმა შესვა ჰენრიხ ჰიმლერის სადღეგრძელოც, „ადამიანისა, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის სახელმწიფოს უსაფრთხოებას". ბერია მან რიბენტროპს წარუდგინა როგორც „ჩვენი ჰიმლერი" რიბენტროპი კი მოგვიანებით იტალიელ კოლეგას გრაფ ჩიანოს უყვებოდა: „მე კრემლში თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ძველ პარტიულ ამხანაგებს შორის ვიყავი"

უდავოა, რომ ხელშეკრულება მაშინ ორივე მხარისთვის სასარგებლო იყო. ჰიტლერს საშუალება ეძლეოდა, დამატებითი გართულებების გარეშე დაეწყო პოლონეთის დაპყრობა და დაერწმუნებინა თავისი გენერლები, რომ ორ ფრონტზე ომი არ მოუხდებოდათ. საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში ჩვეულებრივ აღინიშნება, რომ მოიგო ომისთვის მოსამზადებლად და ასევე მიიღო შესაძლებლობა გადაეწია დასავლეთისკენ საზღვრები, რითაც ფაქტობრივად აღადგენდა ყოფილი რუსეთის იმპერიის დასავლეთის საზღვრებს.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ფასი ევროპაში ომის დაწყება იყო. 1939 წლის 24 აგვისტოს გაზეთმა „პრავდამ" საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებას „მშვიდობის ინსტრუმენტი" უწოდა, ჰიტლერმა კი 22 აგვისტოს თავის გენერლებს განუცხადა: „ახლა, როდესაც მე გავატარე აუცილებელი დიპლომატიური მოსამზადებელი სამუშაო, ჯარისკაცებს გზა გაეხსნათ"

საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტმა თავდაუსხმელობის შესახებ:
• გადაავადა მხარეთა სამხედრო შეტაკება; აღმოსავლეთ ევროპაში გამიჯნა ამ ორი ქვეყნის გავლენის სფეროები; • ხელი შეუნყო მეორე მსოფლიო ომის დაწყებას.

Карикатура "Мюнхенский сговор» 1938 Кукрыниксы

Карикатура «Свадьба Гитлера и Сталина» 1939

კარიკატურა „მიუნჰენის შეთანხმება"	კარიკატურა „ჰიტლერისა და სტალინის ქორწილი

მრავალი წლის მანძილზე პოლიტიკოსები და ისტორიკოსები, დიპლომატები და ჟურნალისტები მწვავედ კამათობდნენ ამ ხელშეკრულების თაობაზე. ზოგი იცავდა პაქტს, ამართლებდა მის დადებას საბჭოთა კავშირის მხრიდან, რადგანაც მოიგო დრო ომისათვის მოსამზადებლად; სხვები ბრალს სდებდნენ საბჭოთა ხელმძღვანელებს ფაშისტურ რეჟიმთან შეთანხმებასა და მისი აგრესიული პოლიტიკის ხელშეწყობაში.

პაქტის დადება მოულოდნელი ნაბიჯი იყო – მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი გმობდა ფაშიზმს და იბრძოდა მის წინააღმდეგ, ასევე მოქმედებდნენ კომუნისტური პარტიები. პაქტის დადებამ ანტიფაშისტურ ძალებში დეზორგანიზება და დაბნეულობა გამოიწვია.

შექმნილ ვითარებაში საბჭოთა კავშირს შეეძლო თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმება, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა არ შემოფარგლულა, უბრალოდ, პაქტის გაფორმებით, არამედ აქტიური თანამშრომლობა დაიწყო აგრესორთან და 1939-1941 წლებში მნიშვნელოვნად გააფართოვა საბჭოთა კავშირის საზღვრები.

ნაცისტურ გერმანიასთან შეთანხმების გაფორმებით სტალინის სარგებელი გერმანიასთან ომის თავიდან აცილებასა ან გადავადებაში არ ყოფილა. ჰიტლერი მაშინ არ გეგმავდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. 1939 წელს გერმანიას ჰყავდა 52,5 დივიზია, 30,6 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3,4 ათასი ტანკი და 4,3 ათასი თვითმფრინავი. ის ვერაფერს დააკლებდა საბჭოთა კავშირს, რომელსაც 147 დივიზია, 55,8 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 21 ათასი ტანკი და 11 ათასი თვითმფრინავი ჰქონდა.

სტალინმა მოიგო არა დრო, არამედ სივრცე. სტალინმა მონაწილეობა მიიღო გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ერთად სხვა ქვეყნების ტერიტორიების განანილებაში; სტალინმა ასევე მიაღწია თავის ერთ-ერთ მთავარ მიზანს – ერთმანეთს დაუპირისპირა კაპიტალისტური ქვეყნები და თვითონ განზე დარჩა, შეეძლო ეყურებინა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთის ომისთვის და, როგორც ვარაუდობდა, შემდეგ ომით დასუსტებული ქვეყნებისთვის შეძლებდა თავისი პირობები ეკარნახა.

რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის შედეგად მკვეთრად გამწვავდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა დასავლეთის დემოკრატიებთან, თავის მომავალ მოკავშირეებთან. პაქტით ჰიტლერმა უფრო იხეირა, ვიდრე სტალინმა. 1941 წლის შუახანისთვის გერმანია ორ-სამჯერ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 1939 წლის აგვისტოში. 1941 წლის ივნისში კი პაქტის დადებით დაწყებული ომი საბჭოთა კავშირსაც დაატყდა თავს.

დიდი ხნის განმავლობაში რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტს მოსკოვი ასაიდუმლოებდა და საზოგადოებისთვის უცნობი იყო, თუმცა ხმები მისი არსებობის შესახებ მაშინვე ვრცელდებოდა. 1947 წელს აშშ-ში გამოქვეყნდა დოკუმენტების კრებული, რომელშიც ეს პროტოკოლიც იყო დაბეჭდილი, თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელობა არ აღიარებდა ამ პროტოკოლის არსებობას 1989 წლამდე, როდესაც ის საბჭოთა კავშირშიც გამოქვეყნდა.

აღნიშნული პროტოკოლი იყო სამართლებრივი და მორალური პრინციპების დარღვევა, სხვა ქვეყნებისა და ხალხების ზურგს უკან წყვეტდა მათ ბედს. 1989 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც დაგმო საიდუმლო პროტოკოლი და აღიარა, რომ ის ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლისა და მორალის ნორმებს.

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მოქმედება 1936-1940

წლები	მესამე რაიხი	საბჭოთა კავშირი
1936	სამხედრო დახმარებას უწევდა ფრანკისტებს ესპანეთში.	სამხედრო დახმარებას უწევდა რესპუბლიკელებს ესპანეთში.
1938	შეიერთა ავსტრია და ჩეხოსლოვაკიის ნაწილი – სუდეტის ოლქი.	დაიწყო მრავალწლიანი სამხედრო დახმარება ჩინეთისთვის.
1939	შეიერთა მთლიანად ჩეხოსლოვაკია, დაიპყრო პოლონეთის ნახევარი.	შეიერთა აღმოსავლეთ პოლონეთი, თავს დაესხა ფინეთს და დაიპყრო ამ ქვეყნის ნაწილი.
1940	მოახდინა დანიის, ნორვეგიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის ოკუპაცია.	მოახდინა ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბესარაბიის და ჩრდილოეთ ბუკოვინის ოკუპაცია და შეიყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

1930-იანი წლების მნიშვნელოვანი თარიღები

1932 – გააფორმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებები ფინეთთან, ლიტვასთან, პოლონეთთან, საფრანგეთთან;

1934 – საბჭოთა კავშირი შევიდა ერთა ლიგაში;

1935 – საბჭოთა კავშირმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები გააფორმა საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან;

1935 – გაიმართა კომინტერნის VII კონგრესი მოსკოვში, რომელმაც ფაშიზმი აღიარა მთავარ საფრთხედ მუშათა კლასისთვის და ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის მონოდებით გამოვიდა;

1936-1937 – საბჭოთა კავშირი სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებას უწევდა ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას;

1938 წლის მარტი – ჰიტლერმა ავსტრიის ოკუპაცია მოახდინა და გერმანიას შეუერთა;

1938 წლის ივლისი-აგვისტო – საბჭოთა კავშირმა იაპონელები დაამარცხა ხასანის ტბასთან;

1938 წლის სექტემბერი – მიუნჰენის კონფერენციამ სუდეტების ოლქი გერმანიას გადასცა;

1939 ზაფხული – საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებები ინგლისთან და საფრანგეთთან ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად;

1939 წლის 23 აგვისტო – საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება.

გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის „ტერიტორიული გამიჯვნა" აღმოსავლეთ ევროპაში – პირველი გაფორმებული 1939 წლის 23 აგვისტოს, მეორე – 1939 წლის 28 სექტემბერს, როდესაც საბჭოთა გავლენის სფეროში ლიტვა გადავიდა, პოლონეთში ტერიტორიული დათმობის სანაცვლოდ.



Abbreviations:
B – Bessarabia, BM – Protectorate of Bohemia and Moravia, BSSR – Byelorussian SSR, Czech. – Czechoslovakia, D – Free City of Danzig, EP – East Prussia, ESSR – Estonian SSR, Est. – Estonia, GG – General Government, Hun. – Hungary, K – Karelia, KFSSR – Karelo-Finnish SSR, Lat. – Latvia, Lith. – Lithuania, LtSSR – Lithuanian SSR, LvSSR – Latvian SSR, M – Memelland (Klaipéda Region), MSSR – Moldavian SSR, RSFSR – Russian SFSR, S – Salla, SK – Slovakia, UkSSR – Ukrainian SSR, V – Vilnius Region, Yugo. – Yugoslavia

საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე (1939-1941)

21.1. როდის ჩაერთო საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსულ ისტორიულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში ჩაება 1941 წლის 22 ივნისს, როდესაც გერმანია და მისი მოკავშირეები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. სინამდვილეში, საბჭოთა კავშირი ომში ჩაერთო გაცილებით უფრო ადრე – 1939 წლის 17 სექტემბერს, როდესაც წითელი არმია, გერმანიასთან ადრე გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, პოლონეთში შეიჭრა.

1941 წლის 22 ივნისს გერმანიის თავდასხმის შემდეგ დაწყებულ ომს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ „სამამულო ომი" უწოდა და ეს შეფასება ქვეყნის მოსახლეობამაც მიიღო. საბჭოთა კავშირში არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც ომი არ შეხებია, ვინმე არ დაღუპვია. გერმანელებმა დაიკავეს უზარმაზარი ტერიტორია, დაინგრა მრავალი ქალაქი და სოფელი. ეს იყო რუსეთისთვის „დიდი სამამულო ომი", რიგით მეორე, რადგანაც სამამულო ომი ეწოდებოდა 1812 წელს ნაპოლეონის რუსეთზე თავდასხმას.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომთან დაკავშირებით კვლავ პასუხგაუცემელია მრავალი კითხვა: როგორ მოხდა, რომ ომის პირველ პერიოდში წითელმა არმიამ ვერ შეძლო სათანადო წინააღმდეგობის გაწევა, როგორ შეძლეს გერმანელებმა უმოკლეს დროში უდიდესი ტერიტორიის ოკუპაცია, ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი?

თანამედროვე ისტორიკოსები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან ამ კითხვებზე. ზოგი ამის მიზეზად სტალინის და მისი გარემოცვის შეცდომებს მიიჩნევს, ნაწილი მიზეზს 1930-იან წლებში ჩამოყალიბებულ ტოტალიტარულ სისტემაში ხედავს. მესამენი ამართლებენ იმდროინდელ მოღვაწეებს და მიუთითებენ ობიექტურ პროცესებზე, რაზედაც მათ გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ.

ამ მოვლენების ისტორიოგრაფიულ შეფასებებში არსებობს „სუვოროვის ვერსია". ეს არის ყოფილი საბჭოთა მზვერავის ფსევდონიმი, რომელიც 1970-იან წლებში დასავლეთში გაიქცა და მრავალი წიგნი გამოაქვეყნა, რომლებშიც ამტკიცებდა, რომ სტალინი ამზადებდა პრევენციულ დარტყმას გერმანიაზე. ეს ვერსია იმეორებს ჰიტლერისა და მისი გარემოცვის განცხადებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სტალინს თავდასხმა დაასწრეს.

საბჭოთა კავშირ-ნაცისტური გერმანიის ომი, ანუ საბჭოთა და რუსული სახელწოდებით -დიდი სამამულო ომი დარჩება უდიდესი ტრაგედიის და იმავდროულად ხალხის უდიდესი გმირობის სიმბოლოდ.

საბჭოთა კავშირ– გერმანიის ომის (1941-1945) ეტაპები

პირველი – დასაწყისი	მეორე – ძირეული გარდატეხა	მესამე – დამამთავრებელი, გამარჯვების
1941 წლის 22 ივნისი - 1942 წლის ნოემბერი	1941 წლის 19 ნოემბერი – 1943 წლის დეკემბერი.	1944 წლის იანვარი – 1945 წლის 9 მაისი.
ცენტრალური მოვლენა: • ბრძოლა მოსკოვისთვის – 1941	ცენტრალური მოვლენები: • სტალინგრადის ბრძოლა (1942 წლის 25 აგვისტოდან) 19 ნოემბერი – წითელი არ-	ცენტრალური მოვლენები: • ლენინგრადის ბლოკადის დასასრული (1944 წ. 14-27 იანვარი); • საბჭოთა ტერიტორიის სრული

ნლის 30 სექტემბერი – 1941 ნლის 5 დეკემბერი ჩაიშალა ელვისებური ომის ნაცისტური გეგმა.	მიის კონტრშეტევა; 23 ნოემბერი – 22 დივიზიის ალყაშემორტყმა; 1943 ნ. 2 თებერვალი – ალყაშემორტყმულთა კაპიტულაცია **ომში ძირეული გარდატეხის დასაწყისი** • კურსკის ბრძოლა (1943 ნ. ივლისი-აგვისტო); • ბრძოლა დნეპრზე და კიევის განთავისუფლება 1943 ნ. 6 ნოემბერი. **ძირეული გარდატეხის დამთავრება**	განთავისუფლება (1944 ნ. იანვარი – სექტემბერი); • ბერლინის ოპერაცია (1945 ნ. 6 აპრილი – 8 მაისი. 1 მაისი – ბერლინის აღება); • გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა – 8 მაისი 1945 ნ. • პრაღის ოპერაცია; **გამარჯვების დღე** 1945 ნ. 9 მაისი.

21.2. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. წითელი არმიის პოლონეთში შეჭრა

1939 ნლის 1 სექტემბერს, საბჭოთა კავშირთან შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ეს დღე ითვლება მეორე მსოფლიო ომის დასაწყისად. ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ საომარი მოქმედებები არ დაუწყიათ, დასავლეთის ფრონტზე „უცნაური ომის" დრო დადგა. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მარტოდ დარჩენილი პოლონეთის არმია ადვილად დაამარცხეს გერმანელებმა და სწრაფად მიიწევდნენ წინ. უკვე 16 სექტემბერს გერმანიის ჯარები ვარშავის მისადგომებთან იდგნენ. 17 სექტემბერს პოლონეთის მთავრობამ ქვეყანა დატოვა, 28 სექტემბერს ვარშავა დაეცა.

1939 ნლის 17 სექტემბერს საბჭოთა ჯარები, გერმანიასთან 1939 ნლის 23 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ პოლონეთში და დაიწყეს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიის დაკავება. გამოაცხადეს, რომ ამ ლაშქრობის მიზანი „მოძმე ხალხების" (დასავლეთ უკრაინელების და დასავლეთ ბელორუსების) განთავისუფლება იყო. ქალაქ ვილნოს (ვილნიუსის) რაიონი, რომელიც ადრე პოლონეთმა წაართვა ლიტვას, საბჭოთა კავშირმა ლიტვას გადასცა.



საბჭოთა არმიის პოლონეთში შეჭრის შედეგად საბჭოთა კავშირის ტერიტორია გაფართოვდა 196 ათასი კვ. კმ-ით, ხოლო მოსახლეობა გაიზარდა 13 მილიონი ადამიანით. რეაქცია მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე პოლონეთის წინააღმდეგ ომში სხვადასხვანაირი იყო. ოფიციალურ დონეზე, ლონდონსა და პარიზში კი გადაწყვიტეს, რომ „ვალდებული არ არიან ომი გამოუცხადონ საბჭოთა კავშირს".

ვ. მოლოტოვის გამოსვლიდან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1939 ნლის 31 ოქტომბერს: „აღმოჩნდა რომ საკმარისია პატარა დარტყმა პოლონეთზე ჯერ გერმანიის არმიის, შემდეგ კი წითელი არმიის მხრიდან, რომ არაფერი დარჩენილიყო ვერსალის ხელშეკრულების ამ მახინჯი ნაყოფისაგან".

ი. სტალინის ინტერვიუდან გაზეთ „პრავდისათვის". 1939 წლის 30 ნოემბერი: „გერმანია კი არ დაესხა თავს საფრანგეთსა და ინგლისს, არამედ საფრანგეთი და ინგლისი დაესხნენ თავს გერმანიას, რითაც პასუხისმგებლობა აიღეს ახლანდელ ომზე".

1939 წლის 28 სექტემბერს, მალევე სამხედრო მოქმედებების დამთავრებიდან, რიბენტროპმა და მოლოტოვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და საზღვრის შესახებ, ასევე ახალ საიდუმლო პროტოკოლებს, რომლებშიც დაზუსტდა ორი ქვეყნის ინტერესების სფეროები. კერძოდ, აღმოსავლეთ პოლონეთის რიგი რაიონების დათმობის სანაცვლოდ, გერმანიამ საბჭოთა კავშირს ლიტვა „დაუთმო".

„მეგობრობის შესახებ" ახალი ხელშეკრულების გაფორმება სტალინის შეცდომა იყო და აჩვენებდა, რომ საბჭოთა კავშირმა ფაშისტურ გერმანიასთან ურთიერთობაში ვერ შეძლო დარჩენილიყო ჩვეულებრივი დიპლომატიური ურთიერთობების ფარგლებში და მის მოკავშირედ იქცა. საბჭოთა კავშირში საერთოდ შეწყდა ფაშიზმისა და მისი იდეოლოგიის კრიტიკა.

1939 წლის ოქტომბერში გაანადგურეს პოლონეთის არმიის წინააღმდეგობის უკანასკნელი კერები. საბჭოთა ჯარებთან ტყვედ ჩავარდნილი პოლონელი ოფიცრების დიდი ნაწილი შინსახკომის ბრძანებით დახვრიტეს კატინის რაიონში და ზოგიერთ სხვა ადგილას. ამ დანაშაულს დიდი ხნის მანძილზე უარყოფდა საბჭოთა კავშირი. მხოლოდ 1989 წელს, „გარდაქმნის" პერიოდში, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ 1940 წლის მარტში მოსკოვიდან მიღებული ბრძანების საფუძველზე დახვრიტეს ათასობით პოლონელი ოფიცერი. ამ მოვლენამ „კატინის ტრაგედიის" სახელი მიიღო. დღემდე უცნობია მიზეზები, თუ რატომ გააკეთეს ეს სტალინმა და მისმა გარემოცვამ.

პოლონეთის განადგურების შემდეგ ჰიტლერმა ჯარები დასავლეთის ფრონტზე გადაისროლა. 1940 წლის ივნისში გერმანელთა დაწყებულ შეტევას საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის დამარცხება და ოკუპაცია მოჰყვა.

21.3. საბჭოთა კავშირ – ფინეთის ომი (1939 წლის ნოემბერი – 1940 წლის მარტი)

მოიპოვა რა „მოქმედების თავისუფლება" მეზობელი ქვეყნების მიმართ, საბჭოთა კავშირმა, პირველ რიგში, ფინეთს დაადგა თვალი. საბჭოთა კავშირის საზღვარი ფინეთთან ლენინგრადიდან სულ 32 კილომეტრის დაშორებით გადიოდა, რაც, მოსკოვის აზრით, ომის შემთხვევაში ქალაქის სწრაფად დაპყრობის საფრთხეს ქმნიდა. საბჭოთა კავშირმა ფინეთს მოსთხოვა, გადაეცათ კარელიის ყელის ნაწილი და რამდენიმე კუნძული ფინეთის ყურეში. სანაცვლოდ ფინეთს სთავაზობდნენ უფრო მეტ მცირედდასახლებულ ტერიტორიას კარელიაში ქალაქ პეტროზავოდსკის ჩათვლით. ამაზე ფინეთმა უარი თქვა, თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირთან საზღვარზე სიმაგრეები იყო აშენებული.

ფინეთმა უარი თქვა აგრეთვე, ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, ფინეთის ტერიტორიაზე საბჭოთა სამხედრო ბაზები უნდა შექმნილიყო. მოსკოვმა ეს უარი მიიჩნია აქტად, რომელიც მეტყველებდა ფინეთის ხელმძღვანელობის მტრულ ზრახვებზე. უარის საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა ფინეთთან გაფორმებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ.

1939 წლის 30 ნოემბერს წითელმა არმიამ დაიწყო საომარი მოქმედებები ფინეთის წინააღმდეგ. თავდასხმის მიზეზი გახდა ბრალდება, თითქოს ფინეთის არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა საბჭოთა ტერიტორიას. ფინეთი ამ ბრალდებას უარყოფდა და ობიექტურ გამოძიებას მოითხოვდა, მაგრამ ამაოდ.[1]

---

[1] ფინეთზე თავდასხმის საბაბად მოსკოვმა მოაწყო ე. წ. „მაინილის ინციდენტი", ფინეთის საზღვართან საარტილერიო ცეცხლით დაბომბა საბჭოთა ტერიტორია, დაიღუპა 4 და დაიჭრა 9 ნითელი არმიის მოსამსახურე. ფინელები ასაბუთებდნენ, რომ მათი საარტილერიო სისტემები ვერ დაბომბავდნენ საბჭოთა მხარის მიერ ნაჩვენებ ტერიტორიას. მოგვიანებით ნ. ხრუშჩოვმა აღიარა, რომ დაბომბვა საბჭოთა მხარის მიერ იყო ორგანიზებული.

ფინეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების გამო 1939 წლის 14 დეკემბერს საბჭოთა კავშირი გარიცხეს ერთა ლიგიდან. 52 ქვეყანამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის გარიცხვას, 12 ქვეყნის წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ, 11 ქვეყანამ კი მხარი არ დაუჭირა გარიცხვას (მათ შორის იყო შვედეთი, ნორვეგია და დანია).

ფინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და საბჭოთა ჯარების შეტევა დიდი ხნით შეაჩერეს კარელიის ყელზე აშენებული სიმაგრეების ხაზზე, რომელსაც ფინეთის მაშინდელი ლიდერის სახელს – **მანენჰეიმის ხაზს** უწოდებდნენ.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, 1939 წლის 1 დეკემბერს, საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ პატარა ფინურ ქალაქ ტერიიოკიში შეიქმნა „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკა". სასწრაფოდ შეიქმნა მისი მთავრობაც საბჭოთა კავშირში მყოფი ფინელი კომუნისტებისგან, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ოტო კუუსინენი (1881-1964). 1939 წლის 2 დეკემბერს მოსკოვში (სადაც ცხოვრობდა კუუსინენი), გაფორმდა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და „ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას" შორის.[1] ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი ფინეთის მთლიანად დაპყრობას და ფინეთის ნამდვილი მთავრობის პროკომუნისტური მარიონეტული მთავრობით შეცვლას გეგმავდა.

1940 წლის თებერვალში წითელმა არმიამ, წინა წარუმატებელი შეტევის გამოცდილების გათვალისწინებით, დაიწყო ახალი შეტევა და გაარღვია მანენჰეიმის ხაზი. ფინეთმა ზავი ითხოვა. 1940 წლის მარტში სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა მოსკოვში. საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები ფინეთმა დააკმაყოფილა (დაკარგა თავისი ტერიტორიის 11%). სამაგიეროდ, შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.



საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთის წინააღმდეგ ომის დაწყება მსოფლიომ აღიქვა აგრესიის აქტად. 1939 წლის დეკემბერში ერთა ლიგამ საბჭოთა კავშირი აგრესორ სახელმწიფოდ ცნო და ერთა ლიგიდან გარიცხა. დასავლეთის სახელმწიფოებმა ეკონომიკური და სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს ფინეთს. იგეგმებოდა ჯარების გადასხმაც ფინეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომრად.

ფინეთთან ომი ძვირი დაუჯდა წითელ არმიას. დაიღუპა დაახლოებით 75 ათასი ადამიანი (სხვა ცნობებით 127 ათასი), კიდევ 175 ათასი დაიჭრა ან მოიყინა.

ფინეთისათვის წართმეულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა დაახლოებით 400 ათასი ადამიანი, მათ დატოვეს საბჭოთა კავშირისთვის გადაცემული ტერიტორია.

ფინეთთან ომს არა მარტო საბჭოთა კავშირის იზოლაცია მოჰყვა, არამედ სერიოზულად შეარყია წითელი არმიის პრესტიჟი. ჰიტლერმა ჩათვალა, რომ წითელ არმიას არ შეუძლია თანამედროვე ომის დროს საომარი მოქმედებების ეფექტური წარმოება. სწორედ ამ მომენტში გერმანელი გენერლები საბჭოთა კავშირთან ომის გეგმას ამზადებდნენ და წითელი არმიის მიერ გამოვლენილმა სისუსტემ მათ გეგმებზე გავლენა მოახდინა.

[1] „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის" არსებობა, საბჭოთა კავშირის გარდა, სასწრაფოდ აღიარა ტუვამ (რომელიც ჯერ არ იყო შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში) და მონღოლეთმა.

თუმცა, დასკვნები მოსკოვშიც გააკეთეს. კ. ვოროშილოვი გაათავისუფლეს თავდაცვის სახალხო კომისრის თანამდებობიდან, მისი ადგილი კი ს. ტიმოშენკომ დაიკავა. გადაიდგა ნაბიჯები საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი: ძალთა თანაფარდობა

	საბჭოთა კავშირი	ფინეთი
პირადი შემადგენლობა	1.200.000 (45 დივიზია)	200.000 (9 დივიზია)
ტანკები	1.500	-
თვითმფრინავები	3.000	270
დანაკარგები	72.500 მოკლული 186.000 დაჭრილი	25.000 მოკლული 45.000 დაჭრილი

21.4. საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და ბესარაბიის ოკუპაცია და საბჭოთა კავშირში შეყვანა

პოლონეთის დამარცხებისთანავე საბჭოთა კავშირმა აიძულა ბალტიის სამი სახელმწიფო, გაეფორმებინათ ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები: ჯერ ესტონეთს (1939 წლის 28 სექტემბერს), შემდეგ კი ლატვიას (1939 წლის 5 ოქტომბერს) და ლიტვას (10 ოქტომბერს). ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ამ ქვეყნების ტერიტორიაზე საბჭოთა სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნას და იქ წითელი არმიის მნიშვნელოვანი ნაწილების განლაგებას. ჯარების შეყვანა გამოყენებულ იქნა ამ სახელმწიფოების დასამორჩილებლად.

საფრანგეთის სწრაფი და მოულოდნელი დამარცხების შემდეგ, სტალინმა გადაწყვიტა ბალტიის სახელმწიფოების წინააღმდეგ გააქტიურება. 1940 წლის ივნისის შუა რიცხვებში[1] საბჭოთა მთავრობამ ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა ბალტიის ქვეყნებში ახალი მთავრობების ფორმირება კომუნისტების მონაწილეობით და წითელი არმიის დამატებითი ნაწილების შეყვანა.

საბჭოთა არმიის მხრიდან სრული სამხედრო კონტროლის დამყარების საფრთხის გამო, ბალტიის ქვეყნების მთავრობები დასთანხმდნენ საბჭოთა კავშირის ამ მოთხოვნასაც. ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში შექმნილმა"სახალხო მთავრობებმა" მოახდინეს კომუნისტური პარტიების ლეგალიზება, გაათავისუფლეს პროსაბჭოურად განწყობილი პოლიტპატიმრები. 14 ივლისს სამივე რესპუბლიკაში ჩატარდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, სადაც მხოლოდ პროკომუნისტური ბლოკები მონაწილეობდნენ. ახალმა პარლამენტებმა 21-22 ივლისს გამოაცხადეს ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა და მიიღეს დეკლარაციები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე. 1940 წლის 3-6 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეს რესპუბლიკები „მიიღეს" საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.[2]

1940 წლის 26 ივნისს საბჭოთა კავშირმა ულტიმატუმი წაუყენა რუმინეთსაც – მოსთხოვა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის გადაცემა, რომლებიც რუმინეთს 1918 წლიდან ჰქონდა დაკავებული. რუმინეთი, გერმანიასთან კონსულტაციის შემდეგ, იძულებული გახდა დამორჩილებოდა. 28 ივნისს ეს ტერიტორიები წითელმა არმიამ დაიკავა. 1940 წლის 2 აგვისტოს ბესარაბიაში შეიქმნა მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

---

[1] 1940 წლის 14 ივნისს საბჭოთა კავშირმა ულტიმატუმი წაუყენა ლიტვას, 16 ივნისს კი ლატვიასა და ესტონეთს.

[2] ბალტიის ქვეყნების გასაბჭოებას ხელი შეუწყეს იქ მცხოვრებმა რუსმა ნაციონალისტებმა, „ნაციონალ-ბოლშევიკებმა" და ე. წ. „ევრაზიელებმა".



ერთი არასრული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საზღვარმა დასავლეთით 200-600 კილომეტრით გადაინაცვლა.

ბალტიის ქვეყნების, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის, მოლდოვის ტერიტორიაზე დაიწყო „გასაბჭოების" პროცესი სოციალიზმზე სწრაფად გადასასვლელად. გლეხებს აიძულებდნენ კოლმეურნეობებში შესვლას, აპატიმრებდნენ და შორეულ ბანაკებში ასახლებდნენ „ბურჟუაზიისა" და „ბურჟუაზიული ინტელიგენციის" ათასობით წარმომადგენელს. ეს ყველაფერი სტალინიზმის სისტემის გამოვლინება იყო.

1940-1941 წლებში (ომის დაწყებამდე) ესტონეთიდან გაასახლეს 9156 ადამიანი, ლიტვიდან – დაახლოებით 17,5 ათასი, ლატვიიდან – 15.424 ადამიანი. რეპრესიები განახლდა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. 1949 წელს ბალტიის რესპუბლიკებიდან ციმბირში გადაასახლეს დაახლოებით 100 ათასი ადამიანი.

21.5.საბჭოთა კავშირის მე-16 რესპუბლიკის ისტორია

სტალინი, მიუხედავად ფინეთთან დადებული ხელშეკრულებისა, სულაც არ აპირებდა ხელი აეღო ფინეთის მთლიანად გასაბჭოების გეგმაზე. „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის" ხსენება ისევე უცბად გაქრა, როგორც გამოჩნდა. 1940 წლის 12 მარტს ფინეთთან გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც ომი დამთავრდა, სამაგიეროდ 1940 წლის 31 მარტს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიქმნა კარელო-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ოტო კუუსინენი.[1] ეს იყო მე-12 მოკავშირე რესპუბლიკა, მაგრამ ბალტიის ქვეყნების გასაბჭოების, მოლდავეთის რესპუბლიკის შექმნისა და მათი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანის შემდეგ, კარელო-ფინეთს საბჭოთა კავშირის მე-16 რესპუბლიკას უწოდებდნენ.

კარელო-ფინეთის სსრ ტერიტორიული სიდიდით მე-7 მოკავშირე რესპუბლიკა იყო, მაგრამ მისი მოსახლეობა ნახევარ მილიონსაც არ აღწევდა. საბჭოთა კავშირში ამაზე „იზრუნეს" და სხვა ადგილებიდან დაიწყეს მოსახლეობის ჩასახლება. 1939 წლის იანვრიდან 1941 წლის დასაწყისამდე კარელო-ფინეთის სსრ მოსახლეობა 468.898 ადამიანიდან 696.997 ადამიანამდე გაიზარდა.

კარელო-ფინეთის მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკამ 1956 წლის 16 ივნისამდე იარსება. საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ლიდერი, ნიკიტა ხრუშჩოვი, სტალინისგან განსხვავებით, ფინეთის დაპყრობაზე აღარ ფიქრობდა, პირიქით, ემეგობრებოდა და ნეიტრალური ფინეთის არსებობა მიაჩნდა საბჭოთა კავშირისთვის მნიშვნელოვნად. მე-16 რესპუბლიკის სახელწოდებიდან „ფინეთის" ხსენება გაქრა, კარელია კი, ავტონომიური რეს-

[1] სცენარი არ იყო უნიკალური. მაგალითად, უკრაინის სსრ-ში შექმნილი იყო მოლდავეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც მოლდაველები მოსახლეობის მხოლოდ 30%-ს შეადგენდნენ. 1940 წელს საბჭოთა კავშირმა რუმინეთს მოსთხოვა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის დაბრუნება. მოლდავეთის ასსრ შუაზე გაყვეს – ნახევარი უკრაინას დაუტოვეს, მეორე ნახევარი ახალ მოკავშირე რესპუბლიკას, მოლდავეთის სსრ-ს შეუერთეს.

პუბლიკის სტატუსით, რუსეთის ფედერაციაში დააბრუნეს. ამასაც თავისი ქვეტექსტი ჰქონდა, თავის მხრივ ფინელებსაც უარი უნდა ეთქვათ კარელიის მიერთების ოცნებაზე.[1]

ოტო კუუსინენი (1881-1964) იყო ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (1903) და ფინეთის კომუნისტური პარტიის (1918) ერთ-ერთი დამფუძნებელი. ფინეთში რევოლუციის მონყობის მცდელობების დამარცხების შემდეგ გადავიდა საბჭოთა რუსეთში. 1921 წლიდან იყო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, 1940-1956 წლებში იყო კარელო-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი და უცვლელი თავმჯდომარე.

კუუსინენი გადაურჩა სტალინურ რეპრესიებს და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნიკიტა ხრუშჩოვთანაც. 1941 წლის თებერვალში აირჩიეს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1957-1964 წლებში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ კუუსინენი კომპარტიის მთავარი თეორეტიკოსი გახდა. რედაქტორი იყო ხრუშჩოვის მმართველობის წლებში მომზადებული სახელმძღვანელოსი „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები". 1958 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც აირჩიეს.

კუუსინენი მფარველობდა ი. ანდროპოვს და მის კარიერაზეც ზრუნავდა.

21.6. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობა ომის წინა პერიოდში

1940 წლის შემოდგომისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმებები ინტერესთა სფეროების გამიჯვნის თაობაზე უკვე რეალიზებული იყო. ჰიტლერმა ამ პერიოდში დაიპყრო საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია.

სტალინსაც და ჰიტლერსაც ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის შეტაკება გარდუვალი იყო. 1940 წლის ზაფხულში ჰიტლერის დავალებით შემუშავებულ იქნა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა („ბარბაროსა"). ამავე დროს ორივე მხარე ესწრაფოდა ომის დაწყების გაჭიანურებას, სანამ ბოლომდე არ მოემზადებოდნენ ომისათვის.

1940 წლის ნოემბერში ბერლინში ჰიტლერთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია მოლოტოვის ხელმძღვანელობით. მას სტალინისგან მიღებული ჰქონდა ინსტრუქცია, გაეგრძელებინა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თანამშრომლობა იმ პირობით, თუკი საბჭოთა კავშირის ინტერესების სფეროდ აღიარებული იქნებოდა ბულგარეთი და შავი ზღვის სრუტეები. ჰიტლერმა კი საბჭოთა კავშირს შესთავაზა, შეერთებოდა სამთა პაქტს (გერმანია, იტალია, იაპონია) და დაჰპირდა საბჭოთა ინტერესების სფეროს გაფართოებას სამხრეთისაკენ ირანის ხარჯზე. შეთანხმება არ შედგა.

1940 წლის დეკემბერში ჰიტლერმა ხელი მოაწერა „ბარბაროსას" გეგმას და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ვადად დანიშნა 1941 წლის მაისი, მაგრამ 1941 წლის გაზაფხულზე გერმანიის ჯარებს მოუხდათ საომარი მოქმედებები ბალკანეთში (დაიპყრეს იუგოსლავია, რომელმაც უარი თქვა გერმანიის მოკავშირეობაზე; ასევე საბერძნეთი, რომელსაც მანამდე იტალია დაესხა თავს, თუმცა წარუმატებლად და ბერძნები შეტევაზე იყვნენ გადასულნი – ისინი ალბანეთის ტერიტორიაზეც შეიჭრნენ, რომელიც იტალიას ჰქონდა ოკუპირებული). ამიტომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ვადამ 22 ივნისამდე გადაიწია.

საბჭოთა კავშირის საზღვრებთან თავი მოუყარეს გერმანიისა და მისი სატელიტების შეიარაღებული ძალების 70%-ზე მეტს. ამავე დროს ჰიტლერის პროპაგანდისტული მანქანა ამტკიცებდა, რომ მთავარი მიზანი დიდ ბრიტანეთში შეჭრა იყო. სტალინი ცდილობდა ეს დაეჯერებინა. მისი აზრით, გერმანია მზად არ იყო საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივი ომისათვის, „ელვისებური ომით" კი საბჭოთა კავშირის დამარცხება შეუძლებლად მიაჩნდა.

[1] 1940-1956 წლებში, კარელო-ფინეთის სსრ-ის არსებობის დროს, საბჭოთა კავშირის გერბზე იყო ფინურ ენაზე შესრულებული წარწერაც – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

21.7. ღონისძიებები საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად

საბჭოთა ლიტერატურაში მიჩნეული იყო, რომ სტალინმა შეძლო თითქმის ორი წლით გადაევადებინა გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმა, მაგრამ ეს დრო სრულად ვერ იქნა გამოყენებული ომისათვის მოსამზადებლად.

ომის წინა წლებში სწრაფად იზრდებოდა სამხედრო წარმოება. შეიარაღებაში მიიღეს ახალი სახის ტექნიკა. ეს იყო ტანკები KB და T-34, ასევე თვითმფრინავები Ил, ЛаГГ, МиГ, Як და სხვები, მაგრამ ახალი შეიარაღების რაოდენობა სასაზღვრო ოლქებში მცირე იყო.

წითელი არმიის სამეთაურო შემადგენლობა 1930-იანი წლების რეპრესიების შედეგად დასუსტებული იყო და ახალ ხელმძღვანელებს სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ ჰქონდათ. საბჭოთა სამხედრო დოქტრინა ემყარებოდა შეტევითი ომის იდეას, მიიჩნეოდა, რომ საბჭოთა არმია იმდენად ძლიერი იყო ნებისმიერ აგრესორზე, რომ დაუყოვნებლივ გადავიდოდა შეტევაზე და მტერს მისსავე ტერიტორიაზე გაანადგურებდა. ამიტომ საბჭოთა ჯარები ზედ საზღვართან იყვნენ განლაგებულნი, რაც მათ მტრის მოულოდნელი თავდასხმისთვის ადვილად მისანედომს ხდიდა.

სტალინი ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა ომამდე დარჩენილი დრო მოსამზადებლად. 1941 წლის 5 მაისს ის თავად გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. არ გამორიცხავდა გერმანიაზე პრევენციული თავდასხმის განხორციელებასაც. მიმდინარეობდა ჯარის თავმოყრა გერმანიის საზღვრებთან.

საბჭოთა ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ წითელი არმია მზად არ იყო შეტევითი ომისათვის:

- ტანკების ¾ ჩამოსაწერი იყო;
- სატანკო პარკის 90% მსუბუქი ტანკები იყო;
- ტანკების საერთო რაოდენობის 50% გამოშვებული იყო 1935 წლამდე;
- ახალი კონსტრუქციის ტანკები იყო არა უმეტეს 1,5 ათასისა და მათთვის მხოლოდ 208 ეკიპაჟი იყო მომზადებული;
- არ არსებობდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა.

1940 წლის 26 ივნისს 6-დღიანი სამუშაო კვირა 7-საათიანი სამუშაო დღით შეიცვალა 7-დღიანი სამუშაო კვირით 8-საათიანი სამუშაო დღით (ეს იყო ყოველთვიურად 33 დამატებითი სამუშაო საათი: 208 საათი 175-ის ნაცვლად).

შეიარაღების წარმოების რაოდენობით 1940 წელს საბჭოთა კავშირმა გაუსწრო გერმანიას. საბჭოთა კავშირი იწყებდა ახალი ტიპის ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოებას, რომლებიც თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა ან აღემატებოდა გერმანიის არმიის შეიარაღებას; იქმნებოდა შეიარაღების წარმოების ახალი ეკონომიკური ბაზა ურალსა და აღმოსავლეთის რაიონებში. ეკონომიკური და სამხედრო პროგრამებისა და არმიის გადაიარაღების დამთავრება 1942 წლისათვის იგეგმებოდა (მესამე ხუთწლედის უკანასკნელ წელს). საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ამგვარი გათვლა არარეალური გახადა გერმანიის ელვისებურმა გამარჯვებამ დასავლეთში. ეს მკვეთრად ზრდიდა ნაცისტური გერმანიის ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს, საბჭოთა კავშირის „მოსამზადებელი დრო" კი მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

ომის წინ გერმანია, ოკუპირებულ ტერიტორიებთან და სატელიტ ქვეყნებთან ერთად, წელიწადში აწარმოებდა 439 მილიონ ტონა ქვანახშირს და 31,8 მილიონ ტონა ფოლადს. საბჭოთა კავშირი კი 166 მილიონ ტონა ქვანახშირს და 18 მილიონ ტონა ფოლადს. რაც შეეხება შეიარაღებას, 1941 წლის პირველ ნახევარში გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა აწარმოეს:

შეიარაღების სახეობა	გერმანია	საბჭოთა კავშირი
ტანკები და თვითმავალი ქვემეხები	1621	1848
თვითმფრინავები	5470	5958
ქვემეხი და ნაღმსატყორცნი	17685	18393
ჭურვი და საარტილერიო ნაღმი	8,225 მილიონი	20,1 მილიონი

საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომის დასაწყისი

22.1. ომის წინ

1941 წლის გაზაფხულზე ომის მოახლოებას ყველა გრძნობდა. საბჭოთა დაზვერვა თითქმის ყოველდღე აწვდიდა სტალინს ინფორმაციას ჰიტლერის გეგმების შესახებ. იაპონიაში მყოფმა საბჭოთა მზვერავმა რიჰარდ ზორგემ (ის იაპონიაში გერმანიის საელჩოსთან იყო დაახლოებული) არა მხოლოდ მოსალოდნელი თავდასხმა, არამედ თავდასხმის კონკრეტული თარიღიც აცნობა. 22 ივნისის თავდასხმის წინ სხვადასხვა ადგილას სამი გერმანელი ჯარისკაცი გადავიდა საბჭოთა მხარეს და მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ აცნობა. ამის თაობაზე სტალინს ჩერჩილმაც აცნობა, თუმცა სტალინი ასეთ ინფორმაციას პროვოკაციად მიიჩნევდა.

სტალინი ღებულობდა დეზინფორმაციასაც. ის დარწმუნებული იყო, რომ ჰიტლერი საბჭოთა კავშირს მანამდე არ დაესხმოდა თავს, სანამ წინაალმდეგობას უწევდა ინგლისი. სტალინს მიაჩნდა, რომ გერმანიასთან ომი დაიწყებოდა არა უადრეს 1942 წლის ზაფხულისა.

ამავე დროს სტალინი თვლიდა, რომ გერმანიისთვის საბაბი არ უნდა მიეცათ თავდაუსხმელობის პაქტის დარღვევის ბრალდების წამოსაყენებლად. ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 1941 წლის 14 ივნისს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტომ გაავრცელა განცხადება, რომ არანაირი გერმანიის თავდასხმა მოსალოდნელი არ იყო. გერმანიის მხრიდან ამას რეაგირება არ მოჰყოლია. შედეგად საბჭოთა კავშირი პოლიტიკური, სამხედრო და მორალური თვალსაზრისით მოუმზადებელი აღმოჩნდა ომისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფაქტი არსებობდა გერმანიის ჯარების საბჭოთა კავშირის საზღვართან თავმოყრის თაობაზე, სტალინმა მხოლოდ 1941 წლის 22 ივნისს ღამით გასცა ბრძანება სასაზღვრო სამხედრო ოლქების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის თაობაზე. საბჭოთა ჯარებმა ეს დირექტივა მაშინ მიიღეს, როდესაც გერმანიის ჯარები უკვე ბომბავდნენ საბჭოთა ქალაქებს.



„ბარბაროსას“ გეგმა

ევროპაში მიღებული გამოცდილებით „ბარბაროსას“ გეგმა ითვალისწინებდა „ელვისებური ომის“ წარმოებას სამი ძირითადი მიმართულებით – ლენინგრადის (არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთი“), მოსკოვისა (არმიათა ჯგუფი „ცენტრი“) და კიევის (არმიათა ჯგუფი „სამხრეთი“). მოკლე ვადაში ფლანგებიდან სატანკო დარტყმების გზით უნდა გაენადგურებინათ წითელი არმიის ძირითადი ძალები და გასულიყვნენ არხანგელსკი-ვოლგა-ასტრახანის ხაზზე.

22.2. ომის დასაწყისი

1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, დილის 4 საათზე, ომის გამოცხადების გარეშე, გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანელთა ავიაციამ დაბომბა სამხედრო აეროდრომები, ჯარის განლაგების ადგილები, უკრაინის, ბელორუსიის და ბალტიის სამ-

რენველო პუნქტები. დაიწყო ომი, რომელსაც „დიდი სამამულო ომი“ უწოდეს[1] და ეს ომი გაგრძელდა 1418 დღე.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ თავიდან სწორად ვერც გაიგო, თუ რა მოხდა. კვლავ ეშინოდათ გერმანიის პროვოკაციისა. სტალინმა ომის დაწყების შემდეგაც გასცა დირექტივა – „გაანადგურეთ მტერი“, მაგრამ „არ გადახვიდეთ გერმანიასთან სახელმწიფო საზღვარზე“.

1941 წლის 22 ივნისს, დილის 5.30 საათზე, გერმანიის ელჩმა მოსკოვში გრაფმა ვერნერ ფონ შულენბურგმა მოლოტოვს გადასცა ნოტა, სადაც თავდასხმის მოტივად საბჭოთა ჯარების გერმანიის საზღვართან კონცენტრაცია გამოაცხადა, „რათა ზურგიდან თავს დასხმოდნენ გერმანიას“.

დღის 12 საათზე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი რადიოთი გამოვიდა და დაწყებული ომის შესახებ ხალხს აუწყა. მან გერმანიის თავდასხმას „ცივილიზებული ხალხების ისტორიაში უმაგალითო ვერაგობა“ უწოდა, სიტყვა კი პათეტიკურად დაასრულა: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი დამარცხებული იქნება! ჩვენ გავიმარჯვებთ!“

ხალხი ომის მოლოდინში იყო, მაგრამ პირველად ბოლშევიკური სახელმწიფოს ისტორიაში ის არ იყო საომარი მოქმედების დაწყების ინიციატორი.

მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ყველაზე ცნობილი საბჭოთა პლაკატი „დედა-სამშობლო მოგვიხმობს!“ რომელიც ომის სიმბოლოდ იქცა. პლაკატის ავტორია ირაკლი თოიძე. პლაკატი დახატა ომის პირველივე დღეს, როდესაც მეუღლემ შეატყობინა ომის დაწყების შესახებ, მას ისეთი სახე ჰქონდა, რომელიც პლაკატის დახატვის დროს გამოიყენა. პლაკატი უკვე 1941 წლის ივნისის ბოლოსთვის იყო მზად.

1941 წლის 22 ივნისს გამოცხადდა სამხედრო ვალდებულთა საყოველთაო მობილიზაცია, შემოიღეს სამხედრო მდგომარეობა ქვეყნის დასავლეთ ოლქებში. შეიქმნა ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები. ფრონტების სახელმძღვანელოდ 23 ივნისს შეიქმნა მთავარსარდლობის ბანაკი (მოგვიანებით მას ენოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი), რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ი. სტალინი, ვ. მოლოტოვი, ს. ტიმოშენკო, ს. ბუდიონი, კ. ვოროშილოვი, ბ. შაპოშნიკოვი და გ. ჟუკოვი. უმაღლეს მთავარსარდლად სტალინი დაინიშნა.

1941 წლის 30 ივნისს მთელი ხელისუფლება გადაეცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეც სტალინი იყო.

1941 წლის 22 ივნისს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება იმ დროისათვის ორი უდიდესი სამხედრო ძალა. გერმანიას თავის მოკავშირეებთან (იტალია, ფინეთი[2], უნგრეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი) ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოყვანილი ჰყავდა 190 დივიზია, მათ უპირისპირდებოდა 170 საბჭოთა დივიზია. თუმცა, იმის თაობაზე, თუ რა სამხედრო ძალები იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, განსხვავებული მონაცემებია. საბჭოთა პერიოდის ისტორიულ ლიტერატურაში საგულდაგულოდ მალავდნენ იმ დიდ უპირატესობას, რაც საბჭოთა კავშირს ტანკებისა და თვითმფრინავების რაოდენობაში ჰქონდა (იხ. ცხრილი).

---

[1] პირველად სიტყვები „სამამულო ომი“ გამოყენებულ იქნა 1941 წლის 22 ივნისს ვ. მოლოტოვის რადიოთი გამოსვლის დროს.

[2] ფინეთმა ნეიტრალიტეტზე უარი თქვა 1939-1940 წლებში საბჭოთა კავშირის თავდასხმის შედეგად.

ომამდე წითელი არმიის ტაქტიკას საფუძვლად ედო კონცეფცია: „მცირე სისხლით, სხვის ტერიტორიაზე", მაგრამ გერმანიის თავდასხმამ საჭირო გახადა ამ გეგმის გადასინჯვა.

ძალთა თანაფარდობა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვარზე 1941 წლის 22 ივნისისათვის.[1]

	წითელი არმია	გერმანია და მისი მოკავშირეები	ძალთა თანაფარდობა
დივიზიები	190	160	1,1: 1
პირადი შემადგენლობა	3.289.851	4.327.500	1: 1,3
ქვემეხები და ნაღმსატყორცნები	59.787	42.601	1,4: 1
ტანკები და მოიერიშე ქვემეხები	15.687	4.171	3,8: 1
თვითმფრინავები	10.743	4.846	2,2: 1
დივიზიები სტრატეგიულ რეზერვში	51	28	1,8: 1
მათ შორის სატანკო და მოტორიზებული	16	2	8: 1



22.3. წითელი არმიის წარუმატებლობები 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე

თავდასხმის მოულოდნელობა, დარტყმის ძალა და რიცხობრივი უპირატესობა შეტევის არეალებში იმდენად დიდი იყო, რომ გერმანელებმა სამ კვირაში დაიკავეს ლიტვა, ლატვია, ბელორუსია, ასევე უკრაინის, მოლდოვისა და ესტონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. უკვე 1941 წლის ივნისში გერმანელებმა მინსკი აიღეს. გერმანელებმა წინ წაიწიეს 350 – 600 კილომეტრით. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ბელორუსიაში, სადაც დასავლეთის ფრონტს გენერალი დ. პავლოვი ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა არმიის მოუმზადებლობა ომისთვის და გერმანიის არმიის უკეთესი მომზადება ომის პირველ თვეებში გერმანიის არმიის სწრაფი წინსვლის საფუძველი იყო. მოკლე დროში წითელმა არმიამ დაკარგა 100 დივიზიაზე მეტი (დასავლეთის ოლქებში თავმოყრილი სამხედრო ნაწილების 3/5). გერმანელებმა გაანადგურეს ან ხელთ იგდეს 20 ათასზე მე-

[1] История России XX век.Том II (1923-1953). Под ред. А.Б. Зубова. М., 2016, с.415.

ტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3,5 ათასი თვითმფრინავი (აქედან 1,2 ათასი პირდაპირ აეროდრომებზე ააფეთქეს ომის პირველ დღეს), 6 ათასი ტანკი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საწყობების ნახევარზე მეტი. დასავლეთის ფრონტის ძირითადი ძალები ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ომის პირველი კვირების განმავლობაში განადგურდა წითელი არმიის პირველი ეშელონის მთელი ძალები. სამხედრო კატასტროფა გარდუვალი ჩანდა.

მაგრამ ომი „ადვილი გასეირნება" არც გერმანელებისთვის აღმოჩნდა. ომის პირველ კვირებში გერმანელებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 100 ათასამდე მებრძოლი (ეს აღემატებოდა გერმანიის ყველა დანაკარგს მსოფლიო ომის წინა პერიოდის განმავლობაში), ტანკების 40%, თითქმის 1 ათასი თვითმფრინავი. მიუხედავად ამისა, გერმანიის არმია გადამწყვეტ უპირატესობას ინარჩუნებდა.

მხარეთა დანაკარგები 1941 წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის

	საბჭოთა კავშირი	გერმანია და მისი მოკავშირეები
დაილუპა და დაიჭრა	850.000	100.000
ქვემეხი	9.500	-
ტანკი	6.000-ზე მეტი	1.500-ზე მეტი
თვითმფრინავი	დაახლოებით 3.500	950
ტყვედ ჩავარდა	დაახლოებით 1 მლნ.	-

გერმანელთა დარტყმა, რომელმაც გაანადგურა საბჭოთა ჯარების მთელი პირველი ეშელონი, თავზარდამცემი აღმოჩნდა სტალინისთვის. ისტორიულ ლიტერატურაში არსებობს ვერსია, რომ ომის პირველ დღეებში სტალინი დაბნეული იყო. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ სტალინი კრემლში არ ყოფილა ერთი კვირის განმავლობაში. ამჟამად ცნობილია, რომ არ ყოფილა 27-29 ივნისს, მას შემდეგ, რაც ცნობა მიიღო მინსკის დაცემის შესახებ, მაგრამ რამდენიმე დღეში დაბნეულობამ გაუარა და 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი მიმართა ხალხს. მოგონებების თანახმად, სტალინის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და ხელი შეუწყო საბრძოლო სულისკვეთების განმტკიცებას.

1941 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, 5 თვის ბრძოლების შედეგად წითელმა არმიამ კატასტროფული დამარცხება განიცადა. წითელი არმიის ცალკეული ნაწილები გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ დიდი დანაკარგები მოწმობდა საბჭოთა რეჟიმის ზნეობრივ-პოლიტიკურ მანკიერებას. წითელმა არმიამ დაკარგა დაახლოებით 18 ათასი თვითმფრინავი, 25 ათასი ტანკი, 100 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. წითელი არმიის მიერ გამოყენებული 11,3 მილიონი ჯარისკაციდან და ოფიცრიდან დაიღუპა 2,2 მილიონი, ტყვედ ჩავარდა 3,8 მილიონი მებრძოლი, 1,2 მილიონი კი დეზერტირი გახდა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა.[1]

გერმანიის ხელში აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია, აიღეს კიევი, მინსკი, რიგა, მოახდინეს ლენინგრადის ბლოკირება და მიადგნენ მოსკოვს.

რამ გამოიწვია წითელი არმიის ასეთი სასტიკი მარცხი? გერმანელებმა დაასწრეს მობილიზაცია და მოულოდნელად დაესხნენ თავს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტაქტიკური უპირატესობა. ვერმახტის მთავარი უპირატესობა პროფესიონალი სამხედროები და მოქნილი მართვა იყო. მათი ჯარისკაცები არა მარტო გაწვრთნილი, არამედ უკეთესი განათლების მქონენიც იყვნენ. წითელ არმიას კი ხელმძღვანელობდნენ გამოუცდელი გენერლები და ოფიცრები, ამასთან ისინი კომუნისტური პარტიისა და უშიშროების კონტროლის ქვეშ იყვნენ და ინიციატივის გამოჩენის ეშინოდათ. საბჭოთა არმიის ჯარისკაცების მასას ქმნიდა კოლმეურნე გლეხობა, დაბალი განათლების მქონე, თანაც უმრავლეს შემთხვევაში მათ სძულდათ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტები.

[1] История России XX век.Том П (1923-1953). Под ред. А.Б. Зубова. М., 2016, с.417,

1941 წლის ნოემბრის ბოლოსათვის ვერმახტმა გაანადგურა 16 საბჭოთა არმია და არანაკლებ 248 დივიზია. საბჭოთა კავშირის დანაკარგებმა 6 მილიონს გადააჭარბა (მათ შორის 3,8 მილიონი ტყვე იყო). ვერმახტის დანაკარგებმა ამ პერიოდში ყველა ფრონტზე (მ. შ. აფრიკაში) შეადგინა 263 ათასი კაცი (აქედან 5 ათასი ტყვე).

22.4. ბრძოლა მოსკოვისთვის

წითელი არმიის წინააღმდეგობამ გერმანელებს საშუალება არ მისცა მოსკოვი დაეპყროთ შემოდგომის დასაწყისში, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ. სმოლენსკის ბრძოლის დროს გერმანელებს პირველად მოუხდათ თავდაცვაზე გადასვლა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ძირითად ძალებს უკრაინაში ალყა შემოარტყეს (665 ათასი მებრძოლი) და კიევი აიღეს, გერმანელებმა დაიწყეს მოსკოვზე შეტევისთვის მზადება. ამ ოპერაციამ „ტაიფუნის" სახელი მიიღო. გერმანელებმა დარტყმის მთავარ მიმართულებებზე უზრუნველყვეს უპირატესობა ცოცხალ ძალასა (3 – 3,5-ჯერ) და შეიარაღებაში: ტანკებში 5-6-ჯერ, არტილერიაში 4-5-ჯერ. ჰაერში გერმანიის ავიაცია ბატონობდა.

1941 წლის 30 სექტემბერს დაიწყო გერმანელების შეტევა მოსკოვზე. მათ არა მხოლოდ გაარღვიეს საბჭოთა ჯარების ფრონტი, არამედ ალყა შემოარტყეს ვიაზმის დასავლეთით 4 არმიას, ხოლო ბრიანსკის სამხრეთით – 2 არმიას. ალყაშემორტყმული აღმოჩნდა და ტყვედ ჩავარდა 663 ათასი კაცი, მაგრამ ალყაშემორტყმულები მაინც აკავებდნენ 20-მდე გერმანელთა დივიზიას.

მოსკოვი კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ბრძოლები მოსკოვიდან 80-100 კილომეტრის დაშორებით მიმდინარეობდა. სასწრაფოდ ქმნიდნენ თავდაცვის მოჟაისკის ხაზს, გადმოჰყავდათ სარეზერვო ძალები. ლენინგრადიდან გამოინვიეს და დასავლეთის ფრონტის სარდლად დანიშნეს გ. ჟუკოვი.

მიუხედავად საბჭოთა სარდლობის მიერ მიღებული ზომებისა, გერმანელები შეტევას აგრძელებდნენ და ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსკოვს მიადგნენ. გერმანელები ბინოკლით კრემლის კოშკებს ხედავდნენ. მოსკოვიდან ევაკუირებულ იქნა სამთავრობო დაწესებულებები, უცხოური დიპლომატიური მისიები, მსხვილი სამრეწველო საწარმოები, მოსახლეობა. ასაფეთქებლად მოამზადეს ქალაქის მნიშვნელოვანი ობიექტები, იმ შემთხვევისათვის თუკი გერმანელები მოსკოვში შეიჭრებოდნენ. 20 ოქტომბერს მოსკოვში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა.

ნოემბრის პირველ რიცხვებში წითელმა არმიამ გერმანელების შეტევა მოსკოვზე შეაჩერა. 7 ნოემბერს წითელ მოედანზე, წინა წლების მსგავსად, სამხედრო აღლუმი ჩატარდა.

ნოემბრის შუა რიცხვებში გერმანელთა შეტევა ახალი ძალით განახლდა. წითელმა არმიამ ამ შეტევის შეჩერებაც მოახერხა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 316-ე მსროლელმა დივიზიამ გენერალ პანფილოვის ხელმძღვანელობით. ლეგენდარული აღმოჩნდა პოლიტხელ ვ. კლოჩკოვის სიტყვები: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკანდასახევი აღარაა: ჩვენს უკან მოსკოვია!".

ნოემბრის ბოლოს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა მნიშვნელოვანი შევსება მიიღეს ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებიდან.[1] 1941 წლის 5-6 დეკემბერს საბჭოთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ მოსკოვთან. წითელი არმიის ზამთრის შეტევის დროს გერმანელებს უკან დაახევინეს 100-250 კილომეტრით და გაანადგურეს 38 დივიზია. ეს იყო გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომის დროს. ოკუპაციის უშუალო საფრთხე მოეხსნა მოსკოვსა და მოსკოვის სამრეწველო ოლქს.

წითელი არმიის მოსკოვთან გამარჯვებას ჰქონდა დიდი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს ნიშნავდა „ელვისებური ომის" გეგმის კრახს, იაპონიამ და თურქეთმა

[1] კრემლში იაპონიის თავდასხმის აღარ ეშინოდათ, რადგანაც იცოდნენ, რომ იაპონელები სამხრეთისკენ აპირებდნენ შეტევას.

უარი თქვეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების გეგმებზე. დაჩქარდა ერთიანი ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა.

მოსკოვისათვის ბრძოლა 203 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა – 1941 წლის 30 სექტემბრიდან 1942 წლის 20 აპრილამდე. მასში ორივე მხრიდან მონაწილეობდა 3 მილიონზე მეტი მებრძოლი, 22 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3 ათასამდე ტანკი, 2 ათასზე მეტი თვითმფრინავი.

მოსკოვთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობა:

ჩაიშალა ბლიცკრიგის გერმანული გეგმა;

ეს იყო გერმანელების პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში;

წითელი არმიის პირველი გამარჯვება, რომელმაც განამტკიცა საბჭოთა ადამიანების მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა.

22.5. ლენინგრადის დაცვა

ომის ერთ-ერთი ყველაზე გმირული და ტრაგიკული ფურცელი იყო ლენინგრადის დაცვა. ჰიტლერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინგრადის, როგორც ოქტომბრის რევოლუციის სიმბოლოს, აღებას. ჰიტლერის გეგმით, ეს ქალაქი მთლიანად უნდა დაენგრიათ და მას არსებობა უნდა შეეწყვიტა.

პოლონეთის საზღვრიდან ბალტიის ქვეყნებისა და ბელორუსიის გავლით გერმანელებმა სწრაფად მიაღწიეს ლენინგრადს და 1941 წლის 8 სექტემბერს შეძლეს ქალაქის სრული ბლოკირება, იმავე დღეს გერმანელთა ავიაციამ გაანადგურა ბადაევის საწყობები, სადაც თავმოყრილი იყო ქალაქის სურსათის მარაგი.

ზამთარი ადრე დადგა, 1941/42 წლების ზამთარი უმძიმესი აღმოჩნდა ქალაქის მოსახლეობისთვის. სიცივეს მცირე სასურსათო ულუფა ემატებოდა. ლადოგის გაყინულ ტბაზე მოეწყო „სიცოცხლის გზა“, რომლითაც სურსათი შემოჰქონდათ და გაჰყავდათ მოსახლეობა. 1941 წლის 20 ნოემბრიდან 1942 წლის აპრილის ბოლომდე ლენინგრადში შეიტანეს 262 ათასი ტონა სურსათი. მხოლოდ 1943 წლის იანვარში გაარღვიეს ბლოკადა – ლადოგის ტბის სანაპიროზე გაჩნდა ხმელეთის 8–11-კილომეტრიანი ზოლი, რომლითაც ლენინგრადში შეჰქონდათ სურსათი და შეიარაღება.

ლენინგრადის ბლოკადა 900 დღე გაგრძელდა. ლენინგრადის მოსახლეობა ომამდე 2,8 მლნ ადამიანი იყო, აქედან ევაკუირებული იყო 1,4 მილიონი ადამიანი, დაიღუპა 800 ათასზე მეტი. ბლოკირებულ ქალაქში გადარჩა 560 ათასი ადამიანი.

თავი XXIII.

გერმანელთა შეტევა 1942 წელს

23.1. გერმანელთა შეტევა 1942 წლის ზაფხულში. სტალინგრადის ბრძოლის დასაწყისი

მოსკოვთან გამარჯვებამ საბჭოთა ხელმძღვანელობას იმედი გაუჩინა, რომ შესაძლებელი იყო სწრაფი გამარჯვების მოპოვება და გერმანელების საბოლოო დამარცხება. 1942 წლის იანვარში სტალინმა წითელ არმიას ამოცანად დაუსახა საერთო შეტევაზე გადასვლა. ერთადერთი გ. ჟუკოვი იყო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერთდროული შეტევის დაწყებას სამივე სტრატეგიული მიმართულებით. მას სწორად მიაჩნდა, რომ შესაბამისი ძალები წითელ არმიას არ გააჩნდა (ამ დროისათვის წითელ არმიას მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით დაკარგული ჰყავდა 6 მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი).

სტალინი ვარაუდობდა, რომ 1942 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გერმანელები კვლავ მოსკოვს შეუტევდნენ და ძირითად ძალებს თავი მოუყარეს მოსკოვის მიმართულებით. ჰიტლერმა კი, პირიქით, გადაწყვიტა სამხრეთისაკენ შეტევა ვოლგის ქვემო წელისა და კავკასიის დასაპყრობად. იმისათვის, რომ დაემალათ თავიანთი ნამდვილი გეგმები, გერმანელებმა შეიმუშავეს საბჭოთა სარდლობის დეზინფორმირების სპეციალური გეგმა სახელწოდებით „კრემლი“.

1942 წლის გაზაფხულზე ძალთა უპირატესობა კვლავ გერმანელთა ხელში იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევის დაწყებამდე გერმანელებმა გადაწყვიტეს მთლიანად ხელთ ეგდოთ ყირიმი, სადაც საბჭოთა ჯარები იცავდნენ სევასტოპოლს და ქერჩის ნახევარკუნძულს. 1942 წლის მაისში გერმანელთა შეტევა წარმატებული აღმოჩნდა: ათ დღეში გაანადგურეს ყირიმის ფრონტის ჯარები ქერჩის ნახევარკუნძულზე. წითელი არმიის დანაკარგებმა შეადგინა 176 ათასი მებრძოლი, 347 ტანკი, 3476 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 400 თვითმფრინავი.

4 ივლისს საბჭოთა ჯარებმა სევასტოპოლიც დატოვეს.

1942 წლის მაისში საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ხარკოვის რაიონში, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ: გერმანელებმა ორ საბჭოთა არმიას ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს. დანაკარგებმა შეადგინა 230 ათასი ადამიანი, 5 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 755 ტანკი. სტრატეგიული ინიციატივა კვლავ გერმანელთა ხელში გადავიდა.

1942 წლის ივნისის ბოლოს გერმანელები სწრაფად მიიწევდნენ წინ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით: დაიკავეს დონბასი, გავიდნენ დონზე, საფრთხე შეექმნა სტალინგრადს. 24 ივლისს გერმანელებმა დაიკავეს დონის როსტოვი – კავკასიის გასაღები. სტალინისთვის ნათელი გახდა გერმანელთა ზაფხულის შეტევის ნამდვილი მიზანი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. 1942 წლის 28 ივლისს სტალინმა გამოსცა ბრძანება N 227, რომელიც ცნობილია სახელით „არცერთი ნაბიჯი უკან!“ ბრძანება ყურადღებას აქცევდა შექმნილ მძიმე ვითარებას და ბრძანების გარეშე უკანდახევას კრძალავდა. საჯარისო ნაწილების უკან უნდა ჩაეყენებინათ ე. წ. გადამღობი რაზმები, რომელთაც პანიკით მოცული უკან გაქცეული ჯარისკაცები ადგილზე უნდა დაეხოცათ.

სექტემბრის დასაწყისში უკვე დანგრეულ სტალინგრადში ქუჩის ბრძოლები გაიშალა. ნოემბრის შუა რიცხვებში გერმანელთა შემტევი ძალა გამოიფიტა. ამ დროისათვის სტალინგრადის ბრძოლაში გერმანელთა დანაკარგებმა შეადგინა თითქმის 700 ათასი მოკლული და დაჭრილი, ათასზე მეტი ტანკი და 1,4 ათასზე მეტი თვითმფრინავი.

23.2. გერმანელთა საოკუპაციო რეჟიმი

საბჭოთა არმიის უკანდახევის დროს აღმოსავლეთ რაიონებში მიჰქონდათ ქარხნების მოწყობილობა და ტექნიკა, მიჰყავდათ მუშახელი. ოკუპირებული ტერიტორიებიდან რისი გატანაც ვერ ხერხდებოდა, უნდა მოსპობილიყო. უკანდახევისას ხვრეტდნენ ციხეებსა და ბანაკებში მყოფ ათასობით ადამიანს. 1941 წელს აღმოსავლეთ რეგიონებში ევაკუირებული იქნა 12 მილიონი ადამიანი. ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა არანაკლებ 65 მილიონი საბჭოთა მოქალაქე.

1942 წლის შემოდგომისთვის გერმანიის ჯარებმა შეძლეს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორიის ოკუპაცია, სადაც მკაცრი რეჟიმი დაამყარეს. ომში გერმანიის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობა და მისი გადაქცევა „მესამე რაიხის" აგრარულ-სანედლეულო დანამატად და იაფი სამუშაო ძალის წყაროდ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლიკვიდირებულ იქნა მანამდე არსებული ხელისუფლების ორგანოები, მათ ჩაენაცვლა გერმანიის არმიის სარდლობა. იქმნებოდა საკონცენტრაციო ბანაკები სამხედრო ტყვეებისა და საბჭოთა მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ აპირებდნენ დამორჩილებას; დაპატიმრებები, დახვრეტები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

შრომითმა მობილიზაციამ მოიცვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანი 18 წლიდან 45 წლამდე. მათ უნდა ემუშავათ 14-16 საათი დღე-ღამეში. ასეულ ათასობით წაიყვანეს გერმანიაში იძულებით სამუშაოზე.

სპეციალური გენერალური გეგმა „ოსტი", რომელიც ჯერ კიდევ ომამდე იყო შემუშავებული, ითვალისწინებდა დაპყრობილი ტერიტორიის კოლონიზაციასა და გერმანიზაციას. ამ გეგმით, კერძოდ, უნდა მოესპოთ 30 მილიონი რუსი, დანარჩენები ან მონად უნდა ექციათ, ანდა ციმბირში გადაესახლებინათ. გეგმის შესაბამისად, ომის წლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე გერმანელებმა გაანადგურეს დაახლოებით 11 მილიონი ადამიანი (მათ შორის დაახლოებით 7 მლნ მშვიდობიანი მცხოვრები და დაახლოებით 4 მილიონი სამხედრო ტყვე).

გერმანიის საოკუპაციო პოლიტიკა ერთ-ერთი ის ფაქტორი იყო, რამაც მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერისკენ უბიძგა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მწარედ ხუმრობდნენ (კრივოი როგი, 1943 წელი): „საბჭოთა ხელისუფლებამ 20 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ჩვენი ბოლშევიკებად გადაქცევა, გერმანელებმა კი ამის მიღწევა 2 წლის განმავლობაში შეძლეს"

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მალევე დაინახეს, რომ მოვიდნენ არა განმათავისუფლებლები, არამედ დამპყრობლები, რომლებიც აბუჩად იგდებდნენ და ამცირებდნენ. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ებრაული მოსახლეობის განადგურებამ და სამხედრო ტყვეების მასობრივმა დაღუპვამ. მოსახლეობას ეკრძალებოდა ტყვეთა ბანაკებთან მიახლოება და რაიმეთი დახმარება.

გერმანელებმა, გარდა ფრონტისპირა ტერიტორიებისა, ყველგან შეინარჩუნეს კოლმეურნეობები, რითაც დიდი იმედგაცრუება გამოიწვიეს მოსახლეობაში.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოდიოდა რიგი გაზეთები და ჟურნალები, რომლებშიც აღარ იყო ბოლშევიკური პროპაგანდა; მიუხედავად გერმანული ოფიციოზის წარმოჩენის ვალდებულებისა, განსხვავებულად შუქდებოდა საბჭოთა წარსული. მუშაობდა თეატრები, ნითელი დროშის ნაცვლად, გამოიყენებოდა ძველი რუსული თეთრ-ცისფერ-წითელი რუსული დროშა.

სტალინგრადთან ბრძოლის შემდეგ, როდესაც წითელმა არმიამ დაიწყო ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება, დაიწყო რუსული პოლიტიკური ემიგრაციის მეორე ტალღა. საბჭოთა ინტელიგენციის მრავალმა წარმომადგენელმა, გერმანული ოკუპაციის პირობებში მყოფმა, აღარ მოინდომა კვლავ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ცხოვრება. 1942-1944 წლებში დასავლეთში ოკუპირებული ტერიტორიებიდან წავიდა დაახლოებით 800 ათასი ადამიანი.

23.3. ჰოლოკოსტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე

აღმოსავლეთში „სასიცოცხლო სივრცის“ ათვისების გერმანული გეგმის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა მოესპოთ ებრაელები, ბოშები, ჰომოსექსუალები და სულით ავადმყოფები. მასობრივი რეპრესიის მსხვერპლნი ხდებოდნენ საბჭოთა აქტივისტები, პარტიზანები, ასევე სადამსჯელო ოპერაციებს ეწირებოდნენ უდანაშაულო ადამიანები.

ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელებიდან მხოლოდ პარტიულმა და სამეურნეო ზედაფენამ მოახერხა ევაკუაცია, რიგითმა ებრაელებმა კარგად არც იცოდნენ, თუ რა საფრთხე ელოდათ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა 2,73 მილიონი ებრაელი (საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაელების დაახლოებით 55%).

ებრაელთა მასობრივი მკვლელობების პირველი ტალღა (განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნებსა და დასავლეთ უკრაინაში) ადგილობრივი მოსახლეობის ხელით განხორციელდა. ისინი ებრაელებს ადანაშაულებდნენ 1939-1941 წლებში საბჭოთა ოკუპაციის ხელშეწყობაში.

პოლიციელები, მათი ოჯახის წევრები, გერმანელი ჯარისკაცების საყვარლები აქტიურად მონაწილეობდნენ ებრაელთა ძარცვაში, იჭრებოდნენ მათ სახლებში, ანდა ტანსაცმელს ართმევდნენ სასიკვდილოდ ნაყვანილ ებრაელებს.

ჰოლოკოსტის სიმბოლოდ იქცა ბაბი-იარი, სადაც 1941 წლის 29-30 სექტემბერს, ქალაქის აღებიდან 10 დღის შემდეგ, მოკლეს 33.771 ებრაელი.

სულ ოკუპაციის პერიოდში ნაცისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა 2 მილიონზე მეტი ებრაელი მოკლეს, თუმცა სხვა შეფასებებით უფრო ნაკლები – 800 ათასიდან 1 მილიონამდე. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ებრაელთა ჰოლოკოსტი საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებული იყო 1960 წლამდე, ისტორიის სახელმძღვანელოებში კი შემდგომშიც ამის თაობაზე ბევრს არაფერს წერდნენ.

ებრაელთა ჰოლოკოსტმა საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონების ეთნიკური და კულტურული სურათი შეცვალა. სამუდამოდ გაქრა ებრაული დასახლებები.

23.4. ოსტარბაიტერები

1942 წლის გაზაფხულიდან ოკუპირებული ტერიტორიებიდან გერმანელებმა დაიწყეს ახალგაზრდების გერმანიაში სამუშაოდ ნაყვანა. ესენი იყვნენ „აღმოსავლეთელი მუშები“, „ოსტები“ (ანუ Ostarbeiter-ები). ნაწილი თავიდან ხალისით მიდიოდა, მოტყუებული კარგი ცხოვრების იმედით, მაგრამ უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან (1939 წლის საზღვრებში) გერმანიაში სამუშაოდ წაიყვანეს 3,2 მილიონი ადამიანი, 1939-1940 წლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან – დაახლოებით 800 ათასი. მუშაობდნენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. პირობები მძიმე იყო, მაგრამ მათ დაინახეს კოლმეურნეობებთან შედარებით კარგად აწყობილი ფერმერული მეურნეობები და, ზოგადად, ცხოვრების ევროპული სტანდარტები.

ომის შემდეგ ბევრ ოსტარბაიტერს არ სურდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იძულებით რეპატრიაციას ექვემდებარებოდნენ და მხოლოდ ცოტამ თუ მოახერხა დარჩენა.

სამშობლოში დაბრუნებულებს (3 მილიონზე მეტ ადამიანს) ელოდათ სპეცშემოწმება, დამცირება, ყოფითი სიძნელეები, ბრალდება მტერთან თანამშრომლობაში.

23.5. პარტიზანული და იატაკქვეშა მოძრაობა

საბჭოთა იატაკქვეშა მოძრაობა უკვე ომის პირველ კვირებში წარმოიშვა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეიქმნა იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მთელი იატაკქვეშა საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებდნენ. ომის სხვადასხვა პერიოდში მოქმედებდნენ უკრაინისა და ბელორუსიის კომპარტიების არალეგალური ცენტრალური კომიტეტები, 90 იატაკქვეშა საოლქო კომიტეტი და რაიონთაშორისი პარტიული ცენტრი.

1941 წელს პარტიზანთა აქტივობა დაბალი იყო, მხარდაჭერასთან ერთად, მოსახლეობა ან ნეიტრალურად იყო განწყობილი, ან მტრულადაც კი უყურებდა პარტიზანებს, მაგრამ გერმანელთა პოლიტიკის გამო 1942 წლიდან დაიწყო პარტიზანული მოძრაობის ზრდა. პარტიზანული მოძრაობა ყველაზე ძლიერი იყო ბელორუსიაში, ასევე რსფსრ-ს სმოლენსკისა და ლენინგრადის ოლქებში.

ოფიციალური საბჭოთა მონაცემებით, ომის წლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედებდა 6 ათასი პარტიზანული რაზმი, რომლებშიც 1 მილიონზე მეტი ადამიანი იბრძოდა. მათ შორის იყვნენ როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების ნარმომადგენლები, ისე უცხოელებიც. უფრო თანამედროვე შეფასებებით, 1943 წლის აპრილში პარტიზანულ რაზმებში იყო 110-115 ათასი ადამიანი, მათი დიდი ნაწილი ბელორუსიაში, რუსეთის ფედერაციის სმოლენსკისა და ორიოლის ოლქებში მოქმედებდა. იატაკქვეშა მოძრაობაში ჩართული იყო 250-280 ათასი ადამიანი, მათი დიდი ნაწილი ბელორუსიაში იყო.

დაიღუპა 100 ათასამდე პარტიზანი, მოსახლეობის დანაკარგი კი პარტიზანთა მოქმედებით და მათ საწინააღმდეგო სადამსჯელო ოპერაციების დროს გაცილებით მეტი იყო.

საბჭოთა პარტიზანებმა ომის წლებში მოკლეს, დაჭრეს ან ტყვედ აიყვანეს მტრის (გერმანელების და მათ სამსახურში ჩამდგარი საბჭოთა მოქალაქეების) 1 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენელი.[1] მწყობრიდან გამოიყვანეს 4 ათასზე მეტი ტანკი და ჯავშანმანქანა, 65 ათასი ავტომანქანა და 1100 თვითმფრინავი; დაანგრიეს ან დააზიანეს 1600 სარკინიგზო ხიდი, რელსებიდან გადააგდეს 20 ათასზე მეტი სარკინიგზო ეშელონი.

პარტიზანული შენაერთების კოორდინაციისათვის 1942 წელს შეიქმნა პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბი, რომელსაც სათავეში ედგა პ. პონომარენკო. პარტიზანული მოძრაობის მთავარსარდლად დანიშნა კ. ვოროშილოვი.

პარტიზანთა ანგარიშზეა მრავალი გახმაურებული აქცია. მზვერავმა ნიკოლაი კუზნეცოვმა მოკლა უკრაინაში მოსამართლედ დანიშნული ფუნკი, გალიციის ვიცე-გუბერნატორი ბაუერი, მოიტაცა უკრაინაში სადამსჯელო ჯარების სარდალი გენერალი ილგენი. ელენა მაზანიკმა ააფეთქა ბელორუსიის გენერალური კომისარი კუბე თავისივე რეზიდენციაში, სანოლში.

ომის წლებში ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 184 ათასზე მეტი პარტიზანი და იატაქვეშა მოძრაობის წარმომადგენელი. 249-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

---

[1] 1990-იანი წლების ბოლოს გერმანელმა ისტორიკოსებმა სხვა მონაცემები გამოაქვეყნეს. მათი ინფორმაციით, პარტიზანებმა გაანადგურეს 25–45 ათასი გერმანელი ჯარისკაცი. ამასთან, პარტიზანულ ოპერაციებსა და საბოტაჟს გავლენა არ მოუხდენია გერმანელთა საომარი ოპერაციების მსვლელობაზე.

23.6. საბჭოთა სახელმწიფოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის შეცვლა

ომის დაწყებისთანავე რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მხარი დაუჭირა ფაშიზმის წინააღმდეგ ომს. ომის პირველივე დღეს ეკლესიის მეთაურმა მიტროპოლიტმა სერგიმ ეს პოზიცია თავის მიმართვაში დააფიქსირა, თუმცა ხელისუფლებამ ეკლესიებში ამ მიმართვის წაკითხვის ნება დართო მხოლოდ 1941 წლის 6 ივლისს, მას შემდეგ, რაც 3 ივლისს სტალინი გამოვიდა სიტყვით. ქვეყნის ხელმძღვანელმა მოუწოდა ქვეყნის ყველა ძალას გაერთიანებისკენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი ეს მოწოდება ეკლესიასაც შეეხო და საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას აღარ განიხილავდა მტრულ ძალად.

ურთიერთობაში გარდატეხა მოხდა 1943 წელს. ამ წელს გაუქმდა სამხედრო კომისრების ინსტიტუტი, დაშლილად გამოცხადდა კომუნისტური ინტერნაციონალი, შეიარაღებულ ძალებში შემოიღეს სამხრეები, დაშვებული გახდა სიტყვები „ოფიცერი" და „ჯარისკაცი". სამაგიეროდ, „მებრძოლ ულმერთოთა კავშირმა" ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა.

1943 წლის 4 სექტემბერს სტალინი შეხვდა მოსკოვის საპატრიარქოს ხელმძღვანელობას. შეხვედრის დროს სტალინს სთხოვეს მოქმედი ეკლესიების რაოდენობის გაზრდა, დაპატიმრებული და გადასახლებული სასულიერო პირების განთავისუფლება, ღვთისმსახურების დაუბრკოლებლად ჩატარების უფლება. შეხვედრის შემდეგ რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ პატრიარქი აირჩია (პირველად 1925 წლის შემდეგ).

23.7. ტყვეობაში მყოფი ნითელარმიელების ტრაგედია

1914-1917 წლებში ტყვედ ჩავარდა რუსეთის არმიის 2,4 მლნ მეომარი, მათგან არაუმეტეს 5% დაიღუპა. ტყვეებს იცავდა 1907 წლის ჰააგის კონვენცია, რომლის მიღების ერთ-ერთი ინიციატორი რუსეთიც იყო.

საბჭოთა ხელისუფლება არ ცნობდა ჰააგის კონვენციას. პოლონეთთან 1920 წლის ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი 16-18 ათასი ნითელარმიელი პოლონურ ბანაკებში გარდაიცვალა. სტალინი ჰააგის კონფერენციის მუშაობას „ბურჟუაზიული დიპლომატიის უპრეცედენტო ფარისევლობად" მიიჩნევდა.

1941 წ. 16 აგვისტოს ბრძანებით სტალინი, ჟუკოვი და სარდლობის სხვა წევრები წინადადებას აყენებდნენ, დაეხოცათ ტყვედ ჩავარდნილი ნითელარმიელები, მათი ოჯახის წევრებისთვის კი სახელმწიფო დახმარება მოეხსნათ. 1941 წ. დაფიქსირებულია ფაქტები, როდესაც ტყვეთა ბანაკებს ცეცხლს უშენდნენ შორსმსროლელი არტილერიით, ანდა ავიაციით ბომბავდნენ. ჟუკოვმა ლენინგრადის ფრონტისადმი 1941 წლის 28 სექტემბრის დირექტივით მოითხოვა, დაეხვრიტათ საბჭოთა ტყვეების ოჯახის წევრები. ეს დირექტივა ცხოვრებაში არ გატარებულა.

1941-1942 წლის ზამთარში შიმშილისა და ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა დაახლოებით 2,2 მილიონი სამხედრო ტყვე. ტყვეების მდგომარეობა 1942 წ. შემოდგომიდან შედარებით გაუმჯობესდა. გერმანელებმა ტყვეებში სამუშაო ძალა დაინახეს, 1943 წლიდან კი გაიშალა ვლასოვის მოძრაობა (გერმანელების მხარეზე გადასულები).

მთლიანობაში 5,8 მილიონი ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა მებრძოლიდან დაიღუპა დაახლოებით 3,3 მილიონი (60%), მაშინ როდესაც მოკავშირეთა არმიებში ტყვეთა სიკვდილიანობა 0,3-იდან 1,6%-ს შეადგენდა. სიკვდილს გადარჩენილი 2,4 მილიონიდან დაახლოებით 950 ათასი ვერმახტის სამსახურში ჩადგა, დაახლოებით 500 ათასი ტყვეობიდან გაიქცა, დაახლოებით 940 ათასი კი 1945 წლის გაზაფხულზე გაათავისუფლეს. მათი უმრავლესობა ახლა საბჭოთა ბანაკებში მოხვდა. ტყვეობაში ნამყოფთა უფლებების აღდგენა ათწლეულები გაჭიანურდა.

23.8. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა

გერმანიის თავდასხმის შემდეგ მალევე საბჭოთა კავშირს მხარდაჭერა გამოუცხადეს დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა. 1941 წლის ივლისში ხელი მოეწერა შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ, ხოლო აგვისტოს დასაწყისში აშშ-ის მთავრობამ განაცხადა, რომ ეკონომიკურ და სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევდა საბჭოთა კავშირს „შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში".

1941 წლის სექტემბერში მოსკოვში შედგა სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია, სადაც განიხილეს საბჭოთა კავშირისათვის ინგლის-ამერიკის დახმარების გაფართოების საკითხი. 1941 წლის დეკემბერში, აშშ-ის ომში ჩაბმის შემდეგ, თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში 26 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ("გაერთიანებული ერების დეკლარაცია"), რომელშიც ვალდებულება აიღეს, ყველა თავიანთი რესურსი გამოეყენებინათ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1942 წლის მაისში ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებას მოკავშირეობის შესახებ, 1942 წლის ივნისში კი საბჭოთა კავშირ – აშშ-ის შეთანხმებას ურთიერთდახმარების თაობაზე. ამით საბოლოოდ გაფორმდა სამი ქვეყნის სამხედრო კავშირი.

23.9. დასავლეთის დახმარება საბჭოთა კავშირს

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შეეძლოთ შორიდან მეთვალყურის როლში დარჩენა, მაგრამ დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირს.

1941 წლის 7 ნოემბრიდან საბჭოთა კავშირზე გავრცელდა აშშ-ის კანონი ლენდ-ლიზის შესახებ, რის საფუძველზეც საბჭოთა კავშირს მოეწოდებოდა სამხედრო ტექნიკა და მონყობილობები, ასევე საბრძოლო მასალა და სურსათი. ტვირთი მოდიოდა სამი გზით:

ა შორეული აღმოსავლეთიდან, ალიასკიდან;

ბ სპარსეთის ყურიდან ირანის გავლით;

გ ჩრდილოეთიდან საზღვაო გზით ტვირთები მოდიოდა მურმანსკსა და არხანგელსკში.

ეს უკანასკნელი იყო ყველაზე მოკლე, მაგრამ უაღრესად სახიფათო გზა. ომის განმავლობაში გამოიგზავნა 41 ქარავანი 811 ტრანსპორტით. აქედან გერმანელებმა 115 ჩაძირეს წყალქვეშა ნავებისა და ავიაციის მეშვეობით.

სულ ლენდ-ლიზით მოკავშირეებმა საბჭოთა კავშირს მიაწოდეს 17 მილიონი ტონა საქონელი და მონყობილობა. ამას საბჭოთა კავშირისთვის, რიგ შემთხვევებში, ჰქონდა სტრატეგიული და გადამწყვეტი მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირმა მიიღო 12,7 ათასი ტანკი, 22,1 ათასი საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი, 13 ათასი ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო ქვემეხი, 376 ათასი სატვირთო მანქანა, 51 ათასი ჯიპი, 35 ათასი მოტოციკლი, 11 ათასი სარკინიგზო ვაგონი, 2 ათასი ლოკომოტივი. მოკავშირეთა მიერ მინოდებული რადიოსადგურებით აღიჭურვა 150 დივიზია და 9 ათასი თვითმფრინავი, სავეღლე ტელეფონებით კი – 350 დივიზია.

საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ ცდილობდა დასავლეთის მიერ გაწეული დახმარების მნიშვნელობის დაკნინებას. ომის შესახებ შექმნილ საბჭოთა ნაშრომებში ამ დახმარების თაობაზე გაკვრით წერდნენ, მალავდნენ მის მასშტაბებს, თვითმფრინავებსა და ტანკებს ხარისხს უწუნებდნენ და ა. შ.

23.10. ომის პირველი ეტაპის შედეგები

საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომის პირველი პერიოდი გრძელდებოდა 1941 წლის 22 ივნისიდან 1942 წლის 18 ნოემბრამდე (სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის დაწყებამდე). საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად პირველი თვეების დიდი მარცხისა, გაუძლო უდიდეს დარტყმას, ჩაიშალა გერმანელ ფაშისტთა „ელვისებური ომის“ გეგმა. განხორციელდა საწარმოების ევაკუაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან და ახალ ადგილებზე მათ დაიწყეს სამხედრო პროდუქციის გამოშვება. ეს ყოველივე ქმნიდა საომარ მოქმედებებში გარდატეხის საფუძველს.

ომის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელსაც უდიდესი სამხედრო, ეკონომიკური და ადამიანური რესურსები ჰქონდა და ამ მხრივ ბევრად აღემატებოდა ნაცისტურ კოალიციას. ეს ყოველივე ფაშიზმზე გამარჯვებას მხოლოდ დროის საკითხად აქცევდა.

თავი XXIV.

ძირეული გარდატეხა საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომში

24.1. გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან

1942 წლის შემოდგომისთვის ძალთა თანაფარდობა საბჭოთა კავშირ – გერმანიის ფრონტზე თანდათანობით შეიცვალა წითელი არმიის სასარგებლოდ. გერმანელები, დიდი დანაკარგების შედეგად, იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ. საბჭოთა სარდლობა შეეცადა თავის სასარგებლოდ საბოლოო გარდატეხის მიღწევას. მთავარი დარტყმის მიმართულებად სტალინგრადის ფრონტი აირჩიეს.

გერმანელები სტალინგრადის დაპყრობის მცდელობისას, ძირითად ძალებს ცენტრში უყრიდნენ თავს და ფლანგები დაასუსტეს – იქ იტალიური და რუმინული არმიები იდგნენ. გერმანელებთან შედარებით ცუდად შეიარაღებულნი, ცუდად განვრთნილნი და ბრძოლისთვის ნაკლებად მოტივირებულნი. საბჭოთა გეგმას კოდური სახელწოდება „ურანი“ ეწოდა. ის ითვალისწინებდა გერმანელთა ფლანგებზე შეტევას და სტალინგრადთან თავმოყრილი გერმანული არმიის ალყაში მოქცევას. ამ გეგმის შესასრულებლად შეტევის მიმართულებებზე წითელ არმიას ორმაგი უპირატესობა ჰქონდა.

1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა არტილერიამ მძლავრი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს და სატანკო ნაწილები ფლანგებიდან შეტევაზე გადავიდნენ. შეტევის მეხუთე დღეს წითელი არმიის ნაწილები ერთმანეთს შეხვდნენ კალაჩის რაიონში და ალყაში მოაქციეს გერმანელთა მე-6 არმია და მე-4 სატანკო არმია. ალყაშემორტყმულთა საერთო რაოდენობა 330 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო. გერმანელების მცდელობა, გამოსულიყვნენ ალყიდან, წარუმატებელი აღმოჩნდა. ჰიტლერმა ალყაში მოქცეულ თავის ჯარს უკანდახევა აუკრძალა – ჰაერიდან მომარაგებასა და ალყის გარედან გარღვევას დაჰპირდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. 1943 წლის 2 თებერვალს ალყაშემორტყმულმა დაჯგუფებამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ტყვედ ჩაბარდა მე-6 არმიის სარდალი გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი.[1]

სტალინგრადთან ბრძოლაში გერმანელებმა დაკარგეს 800 ათასი მებრძოლი, 2 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 3 ათასი თვითმფრინავი. სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა ძირეულ გარდატეხას ომის მსვლელობაში. სტრატეგიული ინიციატივა წითელი არმიის ხელში გადავიდა.

სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ წითელი არმია შეტევაზე გადავიდა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1943 წლის 18 იანვარს მოხერხდა, ნაწილობრივ გაერღვიათ ლენინგრადის ბლოკადა. გაიხსნა სულ 8-11 კმ სიგანის დერეფანი, რამაც შესაძლებელი გახადა ალყაშემორტყმული ქალაქის მომარაგების გაუმჯობესება.

1943 წლის თებერვალში დაიწყო აღმოსავლეთ დონბასის განთავისუფლება. ვოროონეჟის ფრონტის ჯარების შეტევის შედეგად დონის ზემოწელზე გერმანელთა სამი არმია დაამარცხეს და წარმოიქმნა კურსკის რკალი, რომელიც ღრმად იყო შეჭრილი გერმანელთა პოზიციებში. სნორედ აქ ორივე მხარე გეგმავდა ზაფხულში საომარი ოპერაციების განხორციელებას.

სულ ზამთრის შეტევის დროს წითელმა არმიამ გაანადგურა მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი დივიზია.

---

[1] სტალინგრადთან ტყვედ ჩაბარდა 91 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად დაუძლურებული იყო და ტყვეობას ვერ გაუძლო. ომის შემდეგ მათგან გერმანიაში მხოლოდ 6 ათასი დაბრუნდა.

24.2. ბრძოლა კავკასიისთვის და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ნაწილის დეპორტაცია

1942 წლის ზაფხულში წითელი არმიისთვის კატასტროფული სიტუაცია შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში. დონის როსტოვის აღების შემდეგ გერმანელებს გზა გაეხსნათ კავკასიისკენ, – არანაირი სიმაგრეები აქ წითელ არმიას აღარ ჰქონდა. გერმანელები სულ რამდენიმე დღეში მიადგნენ კავკასიონის ქედს. მათი მიზანი იყო ნავთობის საბადოები მაიკოპში, გროზნოსა და ბაქოში, ასევე სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდება. ჰიტლერმა განაცხადა, რომ კავკასიის ნავთობის გარეშე ის ომს ვერ გააგრძელებდა.

რესურსების მობილიზაციის შედეგად წითელმა არმიამ მოახერხა გერმანელ ფაშისტთა შეტევის შეჩერება. გერმანელებმა ვერ შეძლეს კასპიის ზღვის სანაპიროზე გასვლა, ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება და ირანის გავლით საბჭოთა კავშირში მომავალი დახმარების გზის გადაკეტვა.

სტალინგრადთან განცდილი მარცხის შემდეგ გერმანელებს ჩრდილოეთ კავკასიაში ალყაში მოქცევის საფრთხის შეეშინდათ და 1943 წლის იანვარში სწრაფად დაიხიეს უკან ტამანის ნახევარკუნძულისკენ.

1943-1944 წლებში განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები რიგი ხალხების – ყარაჩაელების, ბალყარელების, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაცია ყაზახეთსა და შუა აზიაში. მათ ბრალად დასდეს გერმანელ დამპყრობლებთან თანამშრომლობა, წითელ არმიაში სამსახურისთვის თავის არიდება.

ყარაჩაი სულ ნახევარი წელი იყო გერმანელთა მიერ ოკუპირებული. 1943 წ. 14 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ყარაჩაელები უნდა გაესახლებინათ ყაზახეთსა და ყირგიზეთში. სულ დეპორტირებულ იქნა 69.267 ყარაჩაელი. გზაში დაიღუპა 653 ადამიანი. დეპორტირებულთა დაახლოებით 50% 16 წლამდე ასაკის ბავშვები იყვნენ. წითელ არმიაში მყოფი ყარაჩაელები 1944 წ. 3 მარტს დემობილიზებული იყვნენ და ასევე დეპორტირებულები შუა აზიაში.

გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით 1944 წ. 29 იანვარს დაადგინეს ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციაც. დეპორტაციას პირადად ხელმძღვანელობდა ლ. ბერია. დეპორტაციის ოპერაცია დაიწყო 1944 წ. 23 თებერვალს და დამთავრდა 9 მარტს. გაასახლეს 91.250 ინგუში და 387.229 ჩეჩენი.

1944 წ. 24 თებერვალს ბერიამ სტალინს შესთავაზა ბალყარელების გასახლებაც. ოპერაცია 5 მარტს დაიწყო და 11 მარტს დამთავრდა. სულ გაასახლეს 37.103 ადამიანი.



დეპორტაციის შემდეგ მათი ავტონომიები გაუქმდა, ტერიტორია კი სხვა ავტონომიებსა და ოლქებში გადანაწილდა. ბალყარეთისა და ინგუშეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს სსრ-საც გადაეცა. დეპორტირებული ხალხები ამოშალეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სიიდან. ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გასახლებული ხალხების ხსოვნა საერთოდ გაექროთ. ანგრევდნენ ისტორიულ ძეგლებს, დაანგრიეს ამ ეროვნების რევოლუციონერი მოღვაწეებისთვის დადგმული ძეგლებიც კი. 1950 წ. გროზნოში გამოვიდა

გროზნოს ოლქისადმი მიძღვნილი ბროშურა. იქ ერთი სიტყვაც არ ეწერა, რომ ამ ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში ჩეჩნები და ინგუშები ცხოვრობდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა დეპორტაციის შემდეგ

გადასახლებულები ახალ საცხოვრებელ ადგილებში ეთნიკური შევიწროების მსხვერპლნი იყვნენ, მათ უჭირდათ პროფესიის მიხედვით სამსახურის შოვნა. გადასახლებულ ახალგაზრდებს მხოლოდ ყაზახეთისა და ყირგიზეთის უმაღლეს სასწავლებლებში შეეძლოთ სწავლა.

სტალინის სიკვდილისა და ხრუშჩოვის მიერ დესტალინიზაციის პოლიტიკის დაწყების შემდეგ, 1956 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან დეპორტირებულებს მოეხსნათ შეზღუდვები, 1957-1958 წლებში კი აღადგინეს ყალმუხების, ჩეჩნების, ინგუშების, ყარაჩაელების და ბალყარელების ავტონომიები. გადასახლებულებს სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ.

2004 წ. ევროპის პარლამენტის დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, რომ 1944 წელს ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაცია გენოციდის აქტად შეეფასებინათ.

დეპორტაციის დღე 23 თებერვალია და ამ დღეს ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება. 2014 წელს ჩეჩნეთის ხელმძღვანელის რამზან კადიროვის ინიციატივით, რადგანაც 23 თებერვალი ემთხვეოდა წითელი არმიის შექმნის დღეს და იმართებოდა საზეიმო ღონისძიებები, გადაწყვიტეს, რომ დეპორტაციის დღე 10 მაისს აღენიშნათ.

დეპორტაციის ხსოვნის მემორიალი მაგასში (ინგუშეთი)

24.3. ბრძოლა კურსკის რკალზე

დამარცხებათა სერიამ დიდი ზარალი მიაყენა გერმანიის არმიას. ჰიტლერმა გამოაცხადა ტოტალური (საყოველთაო) მობილიზაცია, რომლის შედეგადაც არმიაში გაიწვიეს კიდევ 2 მლნ. ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა ფრონტზე გადმოისროლეს ნაწილები დასავლეთ ევროპიდანაც. სულ კურსკის რკალზე თავი მოუყარეს 50-მდე დივიზიას. ჰიტლერი დიდ იმედს ამყარებდა ახალი ტიპის შეიარაღებაზე – ეს იყო ტანკები „ტიგერ" და „პან-

ტერა", მოიერიშე ქვემეხი „ფერდინანდი". ჩანაფიქრის მიხედვით, მათ ადვილად უნდა გაერღვიათ წითელი არმიის პოზიციები.

ოპერაციის გერმანული გეგმა „ციტადელი" ითვალისწინებდა კურსკის რკალზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ალყაში მოქცევას და განადგურებას. წითელი არმიის ხელმძღვანელობამ დასკვნები გამოიტანა ადრინდელი გამოცდილებიდან, ზაფხულში შეტევაზე არ გადასულა და უცდიდა გერმანელთა მოქმედებას – დრო ფაშისტთა სასარგებლოდ აღარ მუშაობდა. საბჭოთა სარდლობა გეგმავდა გერმანელთა შეტევის დალოდებას, მათ გამოფიტვას და შემდეგ შეტევაზე გადასვლას.

გერმანელები რომ კურსკის რკალზე აპირებდნენ შეტევაზე გადასვლას, ეს საბჭოთა სარდლობამ სადაზვერვო მონაცემებით იცოდა. გერმანელები შეეცადნენ მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებას, შეტევა უნდა დაეწყოთ 5 ივლისს დილის 3 საათზე ძლიერი საარტილერიო მომზადებით. საბჭოთა დაზვერვამ ესეც იცოდა და გერმანელთა შეტევის დაწყებამდე ერთი საათით ადრე წითელი არმიის თითქმის 19 ათასმა ქვემეხმა ცეცხლი გაუხსნა გერმანელთა სავარაუდო თავმოყრის ადგილებს. გერმანელებმა დიდი ზარალი განიცადეს და რამდენიმე საათის დაგვიანებით დაიწყეს კონტრშეტევა. გერმანელებმა ვერ შეძლეს ფრონტის გარღვევა და სულ 30-35 კილომეტრით ნაინიეს წინ.

12 ივნისს სოფელ პროხოროვკასთან სამხრეთიდან შეტევაზე გადასული გერმანელთა სატანკო ნაწილები ოპერატიულ სივრცეზე გადიოდნენ, სადაც უკვე აღარ იყო წითელი არმიის წინასწარ გამაგრებული პოზიციები. მათ შესაჩერებლად საბჭოთა სარდლობამ დაძრა თავისი სატანკო რეზერვები. მოხდა შემხვედრი სატანკო ბრძოლა, რომელშიც ორივე მხრიდან 1200 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი მონაწილეობდა. გერმანელები დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ. [1]

წითელი არმია შეტევაზე გადავიდა და 5 აგვისტოს გაათავისუფლა ქალაქები ორიოლი და ბელგოროდი. სტალინის ბრძანებით, მოსკოვში პირველად შედგა გამარჯვების სალუტი.

კურსკის ბრძოლაში გერმანელებმა დაკარგეს 500 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 1500 ტანკი, 3700 თვითმფრინავი. საბჭოთა გამარჯვების ფასი ძალიან მაღალი იყო. წითელმა არმიამ ვერმახტზე 4,5-ჯერ მეტი ჯარისკაცი დაკარგა, ტანკები – 6-ჯერ მეტი.

საბჭოთა ჯარების შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ მოკლე დროში გერმანელები განდევნეს და დაიკავეს ხარკოვი, დონბასი, ტამანის ნახევარკუნძული, ბრიანსკი, სმოლენსკი.

კურსკის ბრძოლის დროს ინგლის-ამერიკის ჯარები სიცილიაში გადასხდნენ. 17 ივლისს ჰიტლერმა ბრძანება გასცა, რომ კურსკიდან იტალიაში გადაესროლათ სს-ის 3 დივიზია.

სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო ბრძოლა დნეპრისთვის. მის მაღალ მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა სიმაგრეები ააგეს, რაც, მათი აზრით, მიუდგომელი იყო, თუმცა

[1] პროხოროვკასთან ბრძოლაში საბჭოთა მხარემ 670 ტანკი გამოიყვანა, გერმანიამ – 420 ტანკი. ბრძოლის შემდეგ საბჭოთა დანაკარგებმა – 500, გერმანელებისამ კი 200 ტანკი შეადგინა. საბჭოთა დანაკარგების დიდი ნაწილი სარდლობის არაკომპეტენტურობამ გამოიწვია.

წითელმა არმიამ გაარღვია ეს ხაზი და 6 ნოემბერს კიევი გაათავისუფლა. მათ მითითება ჰქონდათ, რომ უკრაინის დედაქალაქი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისთვის გაეთავისუფლებინათ და ამიტომ უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს.

იმავდროულად ყირიმში ჩაკეტილი აღმოჩნდა გერმანელთა სამხედრო ნაწილები.

ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხა შეუქცევადი გახდა.

24.4. თეირანის კონფერენცია და ომის პირველი პერიოდის შედეგები

1943 წლის ივლისის ბოლოს იტალიაში გადასხდნენ ინგლის-ამერიკის ჯარები, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობა ელოდა მოკავშირეთა მთავარი დაპირების – მეორე ფრონტის გახსნას საფრანგეთში ჯარების გადასხმის შედეგად.

1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში შედგა საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის ლიდერთა შეხვედრა („დიდი სამეულის") თეირანში. სტალინმა, ჩერჩილმა და რუზველტმა მოილაპარაკეს, რომ მეორე ფრონტი გაიხსნებოდა 1944 წლის მაის-ივნისში, აგრეთვე ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნაზე, გერმანიის ბედზე მისი დამარცხების შემდეგ და ა. შ. საბჭოთა კავშირი მოკავშირეებს შეჰპირდა, რომ ევროპაში ომის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ ჩაებმებოდა იაპონიის წინააღმდეგ ომში.

თეირანის კონფერენცია: ძირითადი საკითხები

თარიღი	1943 წლის 28 ნოემბერი – 1 დეკემბერი
მონაწილე სახელმწიფოთა ლიდერები	უინსტონ ჩერჩილი (დიდი ბრიტანეთი), იოსებ სტალინი (სსრკ), ფრანკლინ რუზველტი (აშშ).
მეორე ფრონტის პრობლემა	რუზველტი და ჩერჩილი შეჰპირდნენ სტალინს, რომ საფრანგეთში დესანტს 1944 წლის მაისში გადასხამდნენ.
პოლონეთის საკითხი	სტალინი მოითხოვდა, რომ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვარი კერზონის ხაზზე გავლებულიყო, დასავლეთით კი პოლონეთს გადასცემოდა გერმანიის ტერიტორია და საზღვარი მდინარეებზე – ოდერსა და ნეისზე გავლებულიყო.
გერმანიის საკითხი	დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოინვია: რუზველტი მხარს უჭერდა გერმანიის დანაწევრებას, ჩერჩილი – დუნაის ფედერაციის შექმნას, რომელშიც გერმანიის ტერიტორიის ნაწილიც უნდა შესულიყო, სტალინი – ერთიანი გერმანიის შენარჩუნებას.
ირანის საკითხი	გადაწყდა ირანისთვის დახმარების გაწევა და ასევე ირანიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანა ომის დამთავრების შემდეგ.
იაპონიის საკითხი	გადაწყდა იაპონიისთვის ჩამოერთმიათ კოლონიები, მანჯურია და ტაივანი ჩინეთს უნდა გადასცემოდა. კორეა დამოუკიდებელი გახდებოდა.

სტალინგრადთან წითელი არმიის კონტრშეტევაზე გადასვლიდან 1943 წლის ბოლომდე გერმანიამ დაკარგა 2,2 მილიონზე მეტი მებრძოლი, 3,5 ათასი ტანკი, დაახლოებით 7 ათასი თვითმფრინავი.

მუსოლინის დამხობამ იტალიაში გერმანიას ჩამოაცილა ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მოკავშირე.

1943 წლის ბოლოსთვის წითელმა არმიამ გაათავისუფლა გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ნახევარი.

ფაშისტური გერმანია კვლავ ძლიერი იყო, მაგრამ მისი გარდუვალი დამარცხება უკვე მკაფიოდ ჩანდა. სტალინგრადის ბრძოლით დაიწყო, ხოლო კურსკის ბრძოლით დამთავრდა ძირეული გარდატეხა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მსვლელობაში.

საბჭოთა კავშირ – გერმანიის ომის დამამთავრებელი ეტაპი

25.1. 1944 წლის შეტევითი ოპერაციები

1944 წლის დასაწყისისთვის გერმანიამ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა, მაგრამ კვლავ ძლიერ ძალად რჩებოდა. თავისი დივიზიების თითქმის 2/3 (5 მილიონი მებრძოლი) თავმოყრილი ჰყავდა საბჭოთა კავშირ – გერმანიის ფრონტზე. მათ შეიარაღებაში იყო 5,4 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 54,6 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3 ათასზე მეტი თვითმფრინავი. მიუხედავად ამისა, 1943 წელს განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ გერმანიის არმია სტრატეგიულ თავდაცვაზე გადავიდა.

ამ დროისათვის უზრუნველყოფილი იყო წითელი არმიის უპირატესობა, როგორც რიცხობრივი (6,3 მილიონი მებრძოლი), ასევე ავიაციასა (10,2 ათასი თვითმფრინავი) და არტილერიაში (96 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი), თითქმის თანაბარი იყო ტანკების რაოდენობა (დაახლოებით 5,3 ათასი).

საბჭოთა ხელმძღვანელობა მიზნად ისახავდა 1944 წელს გერმანიის არმიის შემდგომ დამარცხებას და საბჭოთა კავშირის ტერიტორიის განთავისუფლებას.

1944 წელს წითელმა არმიამ განახორციელა შეტევითი ოპერაციები, რასაც მაშინ „ათი სტალინური დარტყმა“ ენოდა. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში ეს სახელწოდება გაქრა.

1944 წლის იანვარში წითელმა არმიამ ლენინგრადთან შეუტია და ქალაქს საბოლოოდ მოეხსნა ბლოკადა.

თებერვალ-მარტში განთავისუფლდა თითქმის მთელი მარცხენა ნაპირის უკრაინა და წითელი არმია რუმინეთის საზღვარზე გავიდა.

აპრილ-მაისში დაამთავრეს გერმანელთა ჯარების განადგურება ყირიმში.

6 ივნისს მოკავშირეებმა დესანტი გადასხეს ნორმანდიაში (საფრანგეთი). მათ მხარდასაჭერად 10 ივნისს წითელმა არმიამ შეტევა დაიწყო კარელიის ყელზე, გაარღვია „მანენჰეიმის ხაზი“, დაიკავა ვიბორგი და პეტროზავოდსკი. ფინეთის მთავრობა ომიდან გამოვიდა და დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები.

ყველაზე ძლიერი იყო 23 ივნისს დაწყებული შეტევა ბელორუსიაში (ოპერაცია „ბაგრატიონი“). ალყა შემოარტყეს გერმანელთა 30 დივიზიას. წითელმა არმიამ დაიკავა მთელი ბელორუსია, ლიტვისა და პოლონეთის ნაწილი.

ივლისში შეტევა დაიწყო უკრაინაში და დაიკავეს ლვოვი.

აგვისტოში წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანულ-რუმინული ჯარები კიშინიოვთან და ალყა შემოარტყა 22 დივიზიას. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომიდან გამოვიდა რუმინეთი. მისი დედაქალაქი ბუქარესტი 31 აგვისტოს წითელმა არმიამ დაიკავა.

8 სექტემბერს წითელმა არმიამ გადალახა ბულგარეთის საზღვარი, რუმინეთი და ბულგარეთი გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ.

სექტემბერ-ოქტომბერში წითელმა არმიამ დაიკავა ესტონეთისა და ლატვიის ძირითადი ნაწილი, რიგის სამხრეთით ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს 38 დივიზია.

შემოდგომისთვის საბჭოთა ჯარები იდგნენ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან. ჰიტლერს შეეშინდა, რომ უნგრეთიც გამოვიდოდა ომიდან და თავისი ჯარი შეიყვანა ბუდაპეშტში. ამან ვერ უშველა და წითელმა არმიამ ბუდაპეშტს ალყა შემოარტყა.

ამავე პერიოდში შეუტიეს ფინეთის ჩრდილოეთში გამაგრებულ გერმანიის ჯარებს და შევიდნენ ნორვეგიის ტერიტორიაზეც.

1944 წელს წითელმა არმიამ, ოფიციალური მონაცემებით, მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 120 დივიზია.

25.2. ყირიმის (იალტის) კონფერენცია

1945 წლის იანვარში საბჭოთა ჯარებმა, ჩერჩილის თხოვნით, ვადაზე ადრე დაიწყეს შეტევა საბჭოთა კავშირ – გერმანიის მთელ ფრონტზე. ეს გაკეთდა მოკავშირეთა დასახმარებლად, რომელთაც გერმანელებმა არდენის რაიონში მძიმე დარტყმა მიაყენეს.

წითელი არმიის სწრაფი წინსვლის პერიოდში, 1945 წლის 4-11 თებერვალს შედგა იალტის კონფერენცია, სადაც მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი. მთავარი საკითხი იყო არა იმდენად გერმანიის სამხედრო განადგურება, რამდენადაც მსოფლიოს ომის შემდგომი მოწყობა.

იალტის კონფერენცია (4-11 თებერვალი, 1945 წელი): ძირითადი საკითხები

გერმანიის საკითხი	გერმანია უნდა დასთანხმებოდა უსიტყვო კაპიტულაციას; განისაზღვრა გერმანიის სამომავლო ოკუპაციის ძირითადი ზონები სსრკ, აშშ, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ; გერმანიის მართვას განახორციელებდა მოკავშირეთა საკონტროლო საბჭო, რომელშიც შეივიდოდნენ საოკუპაციო ჯარების სარდლები; გერმანიას უნდა გადაეხადა 20 მილიარდი დოლარის რეპარაციები; დემილიტარიზაცია – გერმანია უნდა განიარაღებულიყო და დამყარებულიყო კონტროლი მის მრეწველობაზე; ნაცისტური პარტიის აკრძალვა და სამხედრო დამნაშავეების დასჯა.
პოლონეთის საკითხი	პოლონეთის დასავლეთის საზღვარი დადგინდა მდინარეების ოდერისა და ნეისეს გაყოლებით; დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რჩებოდა; საბჭოთა კავშირი დასთანხმდა და ცნო პოლონეთის ეროვნული ერთობის დროებითი მთავრობა, რომელსაც პოლონეთში თავისუფალი არჩევნები უნდა ჩაეტარებინა.
იაპონიის საკითხი	საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა ვალდებულება, იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართულიყო გერმანიის დამარცხებიდან არა უგვიანეს სამი თვისა; საბჭოთა კავშირის ხელში გადადიოდა სამხრეთ სახალინი და კურილიის კუნძულები; საბჭოთა კავშირს იჯარით გადაეცემოდა ჩინეთში პორტ-არტური, ასევე ჩინეთთან ერთად ერთობლივ ექსპუატაციას გაუწევდა მანჯურიაზე გამავალ რკინიგზას.
ევროპის განთავისუფლების საკითხი	მიიღეს დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ ომის შემდეგ ევროპის განვითარების ყველა საკითხის გადაწყვეტის დროს აშშ-მა, საბჭოთა კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა თავიანთი მოქმედება ერთმანეთთან უნდა შეათანხმონ.
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ	გადაწყდა, მოეწვიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომლის მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო მომავალში ომების თავიდან აცილება.

25.3. ევროპის ქვეყნების განთავისუფლება ფაშიზმისაგან

ორ ფრონტს შორის მოქცეული ფაშისტური გერმანიის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. მისი ძირითადი ძალები კვლავ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო თავმოყრილი. გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა 10 საბჭოთა ფრონტი, რომლის შემადგენლობაშიც იყო 6,7 მილიონი მებრძოლი, 107,3 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 12,1 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 14,7 ათასი თვითმფრინავი.



1945 წლის აპრილის დასაწყისისთვის წითელმა არმიამ დაიკავა უნგრეთი, პოლონეთი და აღმოსავლეთ პრუსია. გაიშალა ბრძოლა ბერლინისათვის. სტალინის ბრძანებით, ეს ქალაქი ნებისმიერ ფასად უნდა აეღოთ დასავლეთელი მოკავშირეების დახმარების გარეშე. ბერლინს უტევდა წითელი არმიის სამი ფრონტი 2,5 მილიონი მებრძოლით. 24 აპრილს წითელმა არმიამ ბერლინს ალყა შემოარტყა. ჰიტლერმა დასავლეთის ფრონტზე ჯარები მოხსნა და ბერლინისკენ გადმოისროლა. 25 აპრილს მდინარე ელბაზე, ტორგაუს რაიონში საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცები ერთმანეთს შეხვდნენ.

1945 წლის 30 აპრილს 150-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა მიხაილ ეგოროვმა (1923-1975) და მელიტონ ქანთარიამ (1920-1993) რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართეს. იმავე დღეს თავი მოიკლა ჰიტლერმა. ბერლინის გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

1945 წლის 8 მაისს კარლსხორსტში, ბერლინთან ახლოს, ხელი მოეწერა გერმანიის კაპიტულაციას. საბჭოთა კავშირის მხრიდან ხელი მოაწერა მარშალმა ჟუკოვმა. საბჭოთა კავშირისთვის ომი 9 მაისს დამთავრდა, როდესაც ჩეხეთში კაპიტულაცია გამოაცხადეს გერმანულმა ნაწილებმა. ეს დღე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

24 ივნისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა გამარჯვების აღლუმი.

რაიხსტაგის თავზე აღმართული გამარჯვების დროშა.

25.4. პოტსდამის კონფერენცია

1945 წლის 17 ივლის – 2 აგვისტოს ბერლინის გარეუბანში, პოტსდამში შედგა გამარჯვებული ქვეყნების ლიდერების კონფერენცია. საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა სტალინი, აშშ-ისას – ტრუმენი, ინგლისისას – ჩერჩილი (28 ივლისიდან მისი მემკვიდრე პრემიერ-მინისტრის პოსტზე – კ. ეტლი).

პოტსდამის კონფერენციაზე განხილული ძირითადი საკითხები:

გერმანიის საკითხი	გადაწყდა, რომ გერმანია დარჩებოდა ერთიან სახელმწიფოდ. შეთანხმეს საოკუპაციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: დენაციფიკაცია, დემილიტარიზაცია, დემოკრატიზაცია, დეკარტელიზაცია; საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად; საბჭოთა კავშირს შეუერთდა აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორია ქალაქ კენისგბერგით.
პოლონეთის საკითხი	პოლონეთის საზღვრები დადგინდა ყირიმის კონფერენციის დროს მიღწეული შეთანხმებით.
იაპონიის საკითხი	დადასტურდა საბჭოთა კავშირის იაპონიასთან ომში ჩაბმის პირობები.
გერმანიის მოკავშირეებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების საკითხი	შეიქმნა მუდმივი ორგანო – საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი) საერთო ინტერესების მქონე საკითხების გადასაწყვეტად, პირველ რიგში, სამშვიდობო ხელშეკრულებების გასაფორმებლად იტალიასთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან.



25.5. საბჭოთა კავშირის ჩაბმა იაპონიის წინააღმდეგ ომში

ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ რჩებოდა ომის კერა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც აშშ, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი ებრძოდნენ იაპონიას. საბჭოთა კავშირმა აღებული ვალდებულება შეასრულა და 8 აგვისტოს ომი გამოუცხადა იაპონიას.

საბჭოთა არმიამ შეუტია მანჯურიაში განლაგებულ მილიონიან კვანტუნის არმიას და სწრაფად დაამარცხა ის. გამარჯვება იმანაც დააჩქარა, რომ იაპონიაში ატომური ბომბების ჩამოგდების შემდეგ ამ ქვეყანამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

1945 წლის 2 სექტემბერს ამერიკული სახაზო გემის „მისურის" ბორტზე იაპონიის დელეგაციამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ძალთა თანაფარდობა მანჯურიის ოპერაციის დროს

საბჭოთა კავშირი: 1.747 ათასი ჯარისკაცი, 26.137 ქვემეხი, 1852 თვითმავალი ქვემეხი, 3704 ტანკი, 5368 თვითმფრინავი.

იაპონია: 1.306 ათასი მებრძოლი (აქედან იაპონიის – 1092 ათასი) 450 ტანკი, 2012 თვითმფრინავი (აქედან 635 საბრძოლო).

25.6. ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზეზები

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურებულ იქნა გერმანიის და მის მოკავშირეთა 607 დივიზია. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში გერმანიამ დაკარგა 10 მილიონზე მეტი ადამიანი (თავისი ყველა დანაკარგის 80%), 167 ათასი საარტილერიო ქვემეხი, 48 ათასი ტანკი, 77 ათასი თვითმფრინავი (თავისი სამხედრო ტექნიკის 75%).

ნაცისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზეზები:

საბჭოთა კავშირის უპირატესობა რესურსებში	საწარმოების ქონა ურალსა და ციმბირში, სადაც ვერ აღწევდა გერმანიის ავიაცია; უპირატესობა სამხედრო პოტენციალში (უფრო მეტი სამხედრო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა); უპირატესობა არმიის რიცხობრიობაში.
მოკავშირეთა დახმარება	საბრძოლო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის მოწოდება ლენდ-ლიზის შეთანხმებით; 1944 წ. 6 ივნისს მეორე ფრონტის გახსნა.
პარტიზანული მოძრაობა მტრის ზურგში	ფაშისტების სისასტიკისა და საბჭოთა პროპაგანდის ძალით პარტიზანთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 1 მილიონ ადამიანს; დივერსიების ორგანიზება, რაც გერმანიის ჯარების მოქმედებას აფერხებდა.
ომის წარმოების მკაცრი მეთოდები	რეპრესიები რიგითი და სამეთაურო შემადგენლობის მიმართ წარუმატებლობის შემთხვევაში; სამხედრო კონტრდაზვერვის მოქმედება; მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფა.
საბჭოთა მებრძოლების გმირობა და პატრიოტიზმი	წითელ არმიასა და პარტიზანებს ჰყავდათ მრავალი გმირი, რომლებიც თავს სწირავდნენ სამშობლოს; საბჭოთა ჯარისკაცების ნაკლები მომთხოვნელობა და სიძნელეების გადატანის უნარი.
ფრონტისა და ზურგის კავშირი	„ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის“, – ზურგში მუშაობის ძირითადი პრინციპი; ომის პირობებში ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მამობილიზებელი შესაძლებლობები.

25.7. საქართველო მეორე მსოფლიო ომში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945) საბჭოთა კავშირმა საქართველოს ბუნებრივი და ადამიანური რესურსები მაქსიმალურად და დაუნდობლად გამოიყენა თავისი მიზნების მისაღწევად. საქართველოდან წითელ არმიაში გაწვეულები იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, ობიექტურად, მათი ბრძოლა მიმართული იყო მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად, თუმცა თავად მოკლებულნი იყვნენ ერთსაც და მეორესაც. ამ ბრძოლაში საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ამ მსხვერპლის დიდი ნაწილი გამონვეული იყო საბჭოთა სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების, ადამიანის ბედისადმი უსულგულო დამოკიდებულებით.[1]

დიდი დანაკარგები საქართველოს მოსახლეობის შემცირებაშიც გამოიხატა. დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გარდა, საქართველოდან დეპორტირებულ იქნა

[1] შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ერთნაირად დაზარალდა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა, მაგრამ ეს არანაირი შელავათი არაა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოსათვის.

ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი. საქართველოში 1939 წელს ცხოვრობდა 3.540 ათასი ადამიანი, ხოლო 1946 წლის 1 იანვრისათვის – 3.232 ათასი, ე. ი. 308 ათასი კაცით ნაკლები.[1] ეს იმის მიუხედავად, რომ ომის წლებში საქართველოში შემოვიდა და დასახლდა ადამიანთა გარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებიდან.

ომის დაწყებისას საბჭოთა არმიაში სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა 126.039 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი.[2] ომის საწყის პერიოდში, როდესაც წითელ არმიას დიდი დანაკარგები ჰქონდა და უკან იხევდა, მდგომარეობის გამოსასწორებლად ფრონტზე იგზავნებოდა ახალ-ახალი ნაწილები, რომელთა მობილიზების ერთ-ერთი არეალი საქართველო იყო. 1943 წლის ბოლოსთვის წითელ არმიაში სამხრეთ კავკასიიდან მობილიზებულ იქნა 1.290.658 ადამიანი, აქედან საქართველოდან – 538.025.[3] წითელ არმიაში გაწვეულებმა ცუდად იცოდნენ რუსული ენა, არ ჰქონდათ სათანადო სამხედრო მომზადება, მათ ბრძოლაში რთავდნენ ძირითადად ცუდად განვრთნილი სამაჩრო ასეულების სახით. ამას ემატებოდა სამხედრო ნაწილებისა და საომარი მოქმედებების დაგეგმვაში არსებული პრობლემები, უსულგულო დამოკიდებულება ჯარისკაცთა სიცოცხლისადმი. შედეგად, დანაკარგებიც ძალიან დიდი იყო. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა ქერჩის სამხედრო ოპერაცია, რომელსაც საქართველოდან გაწვეული 70 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა.[4]

სამხრეთ კავკასია, ფაქტობრივად, დაიცალა არმიისათვის გამოსადეგი ადამიანური რესურსისაგან, ფრონტისთვის საჭირო სახალხო მეურნეობის დარგებიც მუშახელის დეფიციტს განიცდიდნენ. აღნიშნული მიზეზებით, 1944 და 1945 წლებში, საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მკვეთრად შეიზღუდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, მათ შორის საქართველოდან მოქმედ არმიაში წვევამდელთა გაწვევა.[5]

მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოდან ფრონტზე გაწვეული იყო დაახლოებით 700 ათასი ადამიანი, ანუ რესპუბლიკის მოსახლეობის 19%. საქართველოდან გაწვეულთაგან დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 163.311 ადამიანი, ანუ გაწვეულთა საერთო რაოდენობის 23,3%, მათგან ქართველი იყო 117.031 კაცი.[6]

მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოში განხორციელდა დეპორტაციის ახალი ტალღა. 1941 წელს განხორციელდა საქართველოში მცხოვრები გერმანელების დეპორტაცია. 1944 წლის 15 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან გადაასახლეს 15568 ოჯახი (69869 ადამიანი) – თურქი-მესხები, ქურთები და ხემშილები.[7] „უცებ გაავლეს განსხვავებულობის მკვეთრი ზღვარი იმ ხალხს შორის, რომელსაც საერთო ფესვები ჰქონდა... ჩვენთვის არც ის აუხსნიათ, რა დავაშავეთ და არც სამუდამო სასჯელის მოხდის ვადა დაუსახელებიათ", – აღნიშნავს მესხეთიდან დეპორტირებული ქალი ნაზირა ვაჩნაძე.[8]

---

[1] საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. თბ., თსუ გამომც., 2003, გვ.166.

მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი. საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ). თბ., 2004, გვ.225; საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღწ.15, ს.174, ფურც.33-35.

[3] А.Ю.Безугольный. Народы Кавказа и Красная армия. 1918-1945 годы. М.: Вече, 2007, стр.186.

[4] მ.სამსონაძე. საქართველო 1921-1991 წლებში (პროექტი). თემა დისპუტისათვის. თბ., 2001, გვ.11.

[5] А.Ю.Безугольный. Народы Кавказа и Красная армия. 1918-1945 годы. М.: Вече, 2007, стр.189-192.

[6] მ. ნათმელაძე. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან დალუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა რიცხვის დადგენის შესახებ – „ანალები", 2001, # 2, გვ.48-49.

[7] საქართველოს შსს-ს არქივი, აღწ.23, ს.557, გვ.7-9; დ.ალავერდაშვილი. ვინ არიან ე.წ. „თურქი მესხები"? – „საარქივო მოამბე", 2008, # 3, გვ.124-128.

[8] ნ. ვაჩნაძე. დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი. თბ., „კავკასიური სახლი", 2005, გვ.16-17.

ნაწილი მერვე
საბჭოთა კავშირი „გვიანი სტალინიზმის“ (1945-1953) პერიოდში

„გვიანი სტალინიზმი“, „ომისშემდგომი სტალინიზმი“ – ცნებებია, რომელთაც ისტორიკოსები იყენებენ საბჭოთა კავშირის ისტორიის იმ პერიოდის აღსანიშნავად, რომელიც მოქცეულია მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასა (1945 წლის 2 სექტემბერი) და სტალინის სიკვდილს შორის (1953 წლის 5 მარტი).[1] ეს პერიოდი ხასიათდება:

- სახალხო მეურნეობის აღდგენით;
- ტოტალიტარული ხელისუფლების გამკაცრებით;
- განსხვავებულად მოაზროვნეებთან ბრძოლის გამკაცრებით;
- „ცივი ომის“ დაწყებით.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში უკეთესი ცხოვრების იმედი გააჩინა – პოლიტიკურ რეჟიმში, ეკონომიკასა და კულტურის სფეროში ცვლილებების იმედი, ომმა თავისებური „დემოკრატიული იმპულსი“ წარმოშვა საზოგადოებაში, მაგრამ მას უპირისპირდებოდა სტალინის მიერ შექმნილი მძლავრი სისტემა. მისი პოზიციები არათუ არ დასუსტდა ომის წლებში, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდა ომის შემდგომ პერიოდში. ხალხის თვალში ორი ცნება – „სტალინი“ და „გამარჯვება“ – ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა.

ომისშემდგომი წლები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ყველაზე „საბჭოთა“ პერიოდი საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ამ დროისათვის თაობა, რომელსაც ახსოვდა 1917 წლამდელი პერიოდი, უკვე ხნიერი იყო. დანარჩენებისათვის ერთადერთი ნაცნობი ცხოვრების წესი საბჭოური იყო. 1941-1945 წლებში მოპოვებული გამარჯვება კი ბევრისთვის იმის დადასტურებას წარმოადგენდა, რომ საბჭოთა ცხოვრების წესი ერთადერთი სწორი გზა იყო. ბევრს უჩნდებოდა რწმენა, რომ საბჭოთა რეჟიმი ურყევი და ყოვლისშემძლე იყო, მათ შორის, შეეძლო ატომური ბომბის შექმნაც.

გამარჯვების მთავარ ორგანიზატორად სტალინი წარმოდგებოდა, თავისი გენერალისიმუსის ფორმით. როგორც აღნიშნავდნენ, ამ ცოცხალმა ბელადმა აშკარად დაჩრდილა მავზოლეუმში მოთავსებული ჰალსტუხიანი ლენინი. სტალინმა საბჭოთა კავშირი აქცია უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელმაც ლამის რუსეთის იმპერიის საზღვრებამდე გააფართოვა კომუნისტური სახელმწიფო და თან სატელიტი ქვეყნების სარტყელი შექმნა.

სტალინი მიიჩნეოდა არა მხოლოდ 1945 წლის გამარჯვების მთავარ შემოქმედად, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოცხალ კლასიკოსად, რომელიც მთავარი და ურყევი ავტორიტეტი იყო სოციალიზმის მშენებლობის, ფილოსოფიის, ისტორიის, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ენათმეცნიერების და სხვა ყველა შესაძლო საკითხში. სტალინის პიროვნების კულტმა მიაღწია წარმოუდგენელ მასშტაბებს. 1949 წლის დეკემბერში აღინიშნა სტალინის 70 წლის იუბილე. დასავლური ხელოვნების მუზეუმი მოსკოვში გადაკეთდა სტალინის საჩუქრების გამოფენად. ქვეყანაში იდგმებოდა ბელადის გრანდიოზული ქანდაკებები.

---

[1] ზოგიერთი ავტორი „გვიანი სტალინიზმის“ პერიოდს 1957 წლამდე აგრძელებს. ზოგადად, სტალინის მმართველობის პერიოდში ოთხ ძირითად ეტაპს გამოყოფენ: 1923-1934 წლები – სტალინიზმისა და სტალინის მმართველობის ჩამოყალიბება; 1935-1941 წლები – სტალინიზმის განვითარება, მისი ძირითადი იდეების რეალიზება როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, ისე პოლიტიკაში. ხელისუფლების ტოტალიტარული ფორმის დამკვიდრება; 1941-1945 წლები – სტალინიზმის უკანდახევა და ხალხის ნინა რიგში გამოსვლა; 1946-1953 წლები – სტალინიზმის ზენიტი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შექმნილმა ტოტალიტარულმა სისტემამ არსებობა გააგრძელა.



ა. შოვკუნენკო, პ. ბილეცკი. სახალხო სიყვარულის ჰიმნი, 1950 წელი.

ამ პერიოდში ანგარიშგასაწევი იყო ფრონტიდან დაბრუნებული მილიონობით ადამიანი (1910-1925 ნლებში დაბადებულები), რომელთაც ომის წლებში განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღეს და ქვეყნის განვითარების დემოკრატიულ იმპულსს ქმნიდნენ. 1946 წელს დაშვებულმა რკინის ფარდამ კი საბჭოთა ადამიანს მოუსპო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უცხოეთიდან. ამას ემატებოდა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი რუსული პატრიოტიზმის ტალღა, რომლის ნაწილიც დასავლეთისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება იყო.

თავი XXVI.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარება (1945-1953)

26.1. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირმა უდიდესი ადამიანური და მატერიალური რესურსები დაკარგა. დაინგრა 1710 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება, განადგურდა 70 ათასი სოფელი, ააფეთქეს და მწყობრიდან გამოიყვანეს 31.850 ქარხანა და ფაბრიკა, 1135 მაღარო, 65 ათასი კილომეტრი სარკინიგზო გზა. სათესი ფართობი შემცირდა 36,8 მილიონი ჰექტარით. საბჭოთა კავშირმა ომის შედეგად დაკარგა თავისი ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით მესამედი.

ომმა შეინირა თითქმის 27 მილიონი ადამიანის სიცოცხლე, 2,6 მილიონი ადამიანი დაინვალიდდა. ქვეყნის მოსახლეობა 34,4 მილიონით შემცირდა და 1945 წლის ბოლოსთვის 162,4 მილიონი ადამიანი შეადგინა. სამუშაო ძალის შემცირება, სრულფასოვანი კვებისა და საცხოვრებლის არქონა განაპირობებდა შრომის ნაყოფიერების შემცირებას ომამდელ პერიოდთან შედარებით.

მეურნეობის აღდგენას საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ომის წლებში შეუდგა. 1943 წელს მიიღეს დადგენილება გერმანული ოკუპაციისგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მეურნეობის აღდგენის შესახებ. დიდი ძალისხმევის შედეგად ომის ბოლოსთვის მიღნეულ იქნა მრეწველობის 1940 წლის დონის მესამედი.

1944 წელს განთავისუფლებულმა რაიონებმა აწარმოეს საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით დამზადებული მარცვლეულის ნახევარზე მეტი, საქონლის მეოთხედი, რძის პროდუქტების დაახლოებით მესამედი, თუმცა ეკონომიკის აღდგენა მთავარი ამოცანის სახით მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დადგა.

სტალინისათვის კვლავ პრიორიტეტული იყო მძიმე მრეწველობის ზრდა და შეიარაღების ზრდის ახალი პროგრამები (მათ შორის ატომური პროექტი). 1946 წლის პირველ ნახევარში, მიუხედავად ომის დამთავრებისა, საბჭოთა კავშირის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯები თითქმის უტოლდებოდა „სახალხო მეურნეობაზე“ განეულ დანარჩენ ხარჯებს.

1946 წლის 9 თებერვალს სტალინი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა. მან ბოლშევიკური რიტორიკა გაიხსენა და მსმენელებს შეახსენა, რომ სანამ არსებობს „მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა“, გარდუვალია მესამე მსოფლიო ომი და საბჭოთა კავშირი უნდა ემზადოს ამ ომისათვის. სტალინმა ამოცანად დასახა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონის გასამმაგება. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა სამრეწველო წარმოების სამხედროდან სამოქალაქო რელსებზე გადაყვანის შენელებასა და ახალი სამხედრო პროგრამების შექმნას.

26.2. ეკონომიკის საკითხებზე მიმდინარე დისკუსიები 1945-1946 წლებში

1945 წლის აგვისტოში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს (თავმჯდომარე ნ. ვოზნესენსკი) დაევალა მე-4 ხუთწლიანი გეგმის პროექტის მომზადება. გამოითქვა მოსაზრებები, რომ გარკვეულწილად შეემცირებინათ ზეწოლა ეკონომიკის მართვაზე, მოეხდინათ კოლმეურნეობების რეორგანიზაცია.

1946 წელს მომზადდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. კონსტიტუციის პროექტი დასაშვებად მიიჩნევდა გლეხებისა და კუსტარების წვრილი კერძო საკუთრების არსებობას, რომელიც მათ პირად შრომას დაემყარებოდა და გამორიცხული იქნებოდა სხვისი შრომის ექსპლუატაცია. კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს

გამოითქვა მოსაზრებები, რომ მეტი თავისუფლება მიეცათ რეგიონებისა და სახალხო კომისარიატებისთვის.

„ქვემოდან" სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდებები კოლმეურნეობათა გაუქმების შესახებ. ლაპარაკობდნენ მათ არაეფექტურობაზე, აღნიშნავდნენ, რომ ომის წლებში დადებითი შედეგი გამოიღო მწარმოებლებზე სახელმწიფოს ზენოლის გარკვეულწილად შემცირებამ. პირდაპირ პარალელს ავლებდნენ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რომელიც სამოქალაქო ომის შემდეგ ტარდებოდა. ახალი ეკონომიკურ პოლიტიკის დროს ეკონომიკის აღდგენა დაიწყო კერძო სექტორის გამოცოცხლებით, მართვის დეცენტრალიზაციით და მსუბუქი მრეწველობის განვითარებით.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში წარმოქმნილი უთანხმობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით განპირობებული იყო ომის შემდგომი მსოფლიოს განსხვავებული ხედვით. ა. ჟდანოვი, ნ. ვოზნესენსკი და რიგი სხვა მოღვაწეები თვლიდნენ, რომ მშვიდობიანი ცხოვრების დაბრუნების შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში დაიწყებოდა ეკონომიკური კრიზისი, გაძლიერდებოდა იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები და კონფლიქტები. ეს შეამცირებდა საფრთხეს დასავლეთის ქვეყნების მხრიდან და საბჭოთა კავშირს შესაძლებლობა მიეცემოდა, უარი ეთქვა მძიმე მრეწველობის ფორსირებული განვითარების ტრადიციულ პოლიტიკაზე, მეტი ყურადღება დაეთმო ეკონომიკური ბერკეტებისთვის (ფასები, ღირებულება, კრედიტი, მოგება) და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისთვის.

მალენკოვი, ბერია და სხვები უფრო მართებულად მიიჩნევდნენ აკადემიკოს ე. ვარგას ეკონომიკურ შეფასებებსა და პროგნოზებს. ვარგა არ გამორიცხავდა კაპიტალიზმის უნარს, გამკლავებოდა შიდა წინააღმდეგობებს. ამიტომ ომისშემდგომი საერთაშორისო ვითარება უაღრესად სახიფათოდ მიაჩნდათ, მით უმეტეს, რომ დასავლეთის ხელში იყო ატომური ბომბი. მათი ხედვა გამორიცხავდა უარის თქმას ინდუსტრიული და თავდაცვითი დარგების ფორსირებულ განვითარებაზე. კვლავ რჩებოდა ეკონომიკის ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები.

ამ დისკუსიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა სტალინის თვალსაზრისი, რომელმაც 1946 წლის დასაწყისში განაცხადა ომის წინ აღებული კურსის გაგრძელების შესახებ. ეს იყო სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება და კომუნიზმის აშენება. საქმე ეხებოდა დაგეგმვისა და მართვის ზეცენტრალიზებული მოდელის დაბრუნებას. ეს ნიშნავდა, რომ იმავდროულად ბრუნდებოდა ეკონომიკის დარგებს შორის ის წინააღმდეგობაც, რაც 1930-იან წლებში ჩამოყალიბდა.

ეკონომიკის განვითარების გზები

ჟდანოვისა და ვოზნესენსკის პოზიცია	სტალინის, მალენკოვისა და ბერიას პოზიცია
• ეკონომიკის აღდგენა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით; • საბაზრო ეკონომიკის ელემენტების შემოღება; • სოფლის მეურნეობის განვითარება.	• ეკონომიკის აღდგენა გეგმურ ეკონომიკაზე დაბრუნების გზით; • სახელმწიფო კონტროლი; • ხუთწლიანი გეგმები; • მე-4 ხუთწლედი (1946-1950).

26.3. მრეწველობის განვითარება

ომის დროს დაინგრა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებული ნაწილი. დასავლეთელი სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ დანგრეული ეკონომიკური ბაზის აღდგენას საბჭოთა კავშირში არანაკლებ 25 წელი დასჭირდებოდა, თუმცა სინამდვილეში ეკონომიკის აღდგენით პერიოდს 5 წელზე ნაკლები დასჭირდა.

მრეწველობის აღდგენა უაღრესად მძიმე ვითარებაში ხდებოდა. ომის შემდგომ პირველ წლებში საბჭოთა ადამიანების შრომის პირობები ცოტა რამით თუ განსხვავდებოდა სამხედრო დროს არსებული პირობებისგან. პროდუქტების მუდმივ უკმარისობას, შრომისა და ყოფის უმძიმეს პირობებს, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მაღალ დონეს მოსახლეობას იმით უხსნიდნენ, რომ მშვიდობა ახალი დამყარებულია და ცხოვრების წესიერ კალაპოტში მოქცევა მხოლოდ იწყებოდა.

მოიხსნა ომის პერიოდის ზოგიერთი შეზღუდვა; კვლავ შემოიღეს 8-საათიანი სამუშაო დღე და ყოველწლიური შვებულებები, გაუქმდა იძულებითი ზეგანაკვეთური სამუშაოები.

1947 წელს გატარდა ფულადი რეფორმა და გაუქმდა საბარათო სისტემა, დადგინდა ერთიანი ფასები კვების პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელზე. ფასები ომამდელზე მაღალი იყო.

ისევე როგორც ომამდე, წელინადში ერთი თვის ან თვე-ნახევრის ხელფასი მიდიოდა აუცილებელი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შეძენაზე. მუშათა ბევრი ოჯახი კვლავ მინურებსა და ბარაკებში ცხოვრობდა, შრომობდნენ ღია ცის ქვეშ ან გაუთბობელ შენობებში, ძველ დაზგებსა და მონყობილობებზე.

ეკონომიკის აღდგენა ხდებოდა მოსახლეობის მკვეთრად გაზრდილი გადაადგილების პირობებში. ეს გამონვეული იყო არმიის დემობილიზაციით (არმია 1945 წელს შეადგენდა 11,4 მილიონ ადამიანს, 1948 წლის დასაწყისში კი – 2,9 მილიონს), საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციით[1], ოკუპაციას გარიდებული მოსახლეობის აღმოსავლეთ რეგიონებიდან დაბრუნებით. მნიშვნელოვანი თანხები სჭირდებოდა მოკავშირე სახელმწიფოების დახმარებასაც.

1945 წლის ივნისში მიიღეს კანონი 13 ასაკობრივი ჯგუფის დემობილიზაციის შესახებ. 1947 წლისათვის დემობილიზაცია ძირითადად დამთავრდა. მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა 8,5 მილიონი ადამიანი.

დიდმა დანაკარგებმა გამოიწვია სამუშაო ძალის ნაკლებობა. გაიზარდა კადრების დენადობა: ადამიანები შრომის უფრო ხელსაყრელ პირობებს ეძებდნენ.

როგორც ომის წინ, ისე ომის შემდეგაც მწვავე პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდნენ სოფლიდან ქალაქში ფულის გადაქაჩვითა და მუშათა შრომითი აქტიურობის გაზრდით. ომისშემდგომი წლების ერთ-ერთი ცნობილი თაოსნობა იყო „ჩქაროსანთა“ მოძრაობა, რომლის ინიციატორიც ლენინგრადელი ხარატი გ. ბორტკევიჩი იყო. მან 1948 წლის თებერვალში თავის დაზგაზე ერთ ცვლაში გამომუშავების 13 დღის ნორმა შეასრულა. მოძრაობა მასობრივი გახდა. ზოგიერთ საწარმოში სცადეს სამეურნეო ანგარიშის შემოღება, მაგრამ ამ ახალი ტენდენციების განმტკიცება მატერიალური ხასიათის ზომების მიღებით არ უცდიათ. პირიქით, შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობებში ამცირებდნენ შრომის ერთეულის ანაზღაურების ფასს.

გაჩნდა ტენდენცია, წარმოებაში უფრო ფართოდ გამოიყენებინათ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, მაგრამ ეს ხდებოდა ძირითადად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებში, სადაც მუშაობდნენ ბირთვული და თერმობირთვული იარაღის, საარაკეტო სისტემების, ახალი ნიმუშის სატანკო და საავიაციო ტექნიკის შექმნაზე.

საბჭოთა ბალასტიკური რაკეტის შექმნაზე მუშაობდა ს. კოროლიოვი. რაკეტას საფუძვლად დაედო გერმანული ფაუ-2. 1950 წელს გამოსცადეს ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც 3 ათასი კილომეტრის რადიუსში შეეძლო მოქმედება.

ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა ატომურ იარაღზეც, რასაც ი. კურჩატოვი ხელმძღვანელობდა. 1949 წლის 29 აგვისტოს სემიპალატინსკიდან 170 კმ-ზე მდებარე პოლიგონზე წარმატებით გამოსცადეს პირველი საბჭოთა ატომური ბომბი. ეს ბომბი ამერიკული სქემის საფუძველზე შეიქმნა. საბჭოური კონსტრუქციის ბომბი კი 1951 წლის 24

[1] რეპატრიაცია – სამშობლოში სამხედრო ტყვეების, ლტოლვილების, ემიგრანტების, გადაადგილებული პირების დაბრუნება.

სექტემბერს გამოსცადეს. ის ორჯერ მსუბუქი და ორჯერ მძლავრი იყო ამერიკული ტიპის ბომბთან შედარებით.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გარდა, პრიორიტეტი ენიჭებოდა მანქანათმშენებლობას, მეტალურგიას, სათბობ-ენერგეტიკულ მრეწველობას, რომელთა განვითარებაზეც მოდიოდა მრეწველობაში მთელი კაპიტალდაბანდებების 88%. მსუბუქი და კვების მრეწველობა, ადრინდელის მსგავსად, კვლავ ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი, თუმცა დაიწყო რიგი რთული სამომხმარებლო საქონლის გამოშვება: მსუბუქი ავტომობილების („პობედა" და „მოსკვიჩი"), მოტოციკლების, რადიომიმღებების, ტელევიზორების, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მოსახლეობის ყოფა.

სულ მე-4 ხუთწლედის პერიოდში (1946-1950) აღადგინეს და ხელახლა ააშენეს 6200 დიდი საწარმო. 1950 წელს, ოფიციალური მონაცემებით, სამრეწველო წარმოებამ ომამდელ დონეს 73%-ით გადააჭარბა („ახალ" მოკავშირე რესპუბლიკებში: ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და მოლდოვაში კი – 2-3-ჯერ), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამაში შედიოდა ერთობლივი საბჭოთა – აღმოსავლეთგერმანული საწარმოებიდან მიღებული რეპარაციები.

ამ წარმატების მთავარი შემოქმედი ხალხის თავდადებული შრომა იყო. თავისი როლი შეასრულა ზეცენტრალიზებული ეკონომიკის მოდელის შესაძლებლობებმა, ტრადიციულმა პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც, მძიმე მრეწველობის სასარგებლოდ ხდებოდა თანხების გადანაწილება მსუბუქი და კვების მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობიდან და სოციალური სფეროდან. მნიშვნელოვანი დახმარება იყო გერმანიიდან მიღებული რეპარაციები[1] (4,3 მილიარდი დოლარი), რომელმაც უზრუნველყო ამ პერიოდში დადგმული სამრეწველო დანადგარების დაახლოებით ნახევარი. რეპარაციების ხარჯზე გამოჰქონდათ სამრეწველო დანადგარები და მთელი საქარხნო კომპლექსები. რეპარაციების ამოღება შეწყდა 1954 წლის 1 იანვარს.

ომის შემდგომი ეკონომიკის აღდგენაში თავისი წვლილი შეიტანა 9 მილიონმა საბჭოთა პატიმარმა, დაახლოებით 1,5 მილიონმა გერმანელმა და 0,5 მილიონმა იაპონელმა ტყვემ, თუმცა მათი შრომის ნაყოფიერება 50-60%-ით ნაკლები იყო თავისუფალი ადამიანების შრომის ნაყოფიერებაზე.

სოფლის მეურნეობის აღდგენის მთავარი რესურსი იყო მოსახლეობის ზეექსპლუატაცია და ცხოვრების უაღრესად დაბალი დონე. კვლავ მოქმედებდა ომის წინ შემოღებული რეპრესიული კანონები, რომელთა ძალითაც, მუშები თავიანთ სამუშაო ადგილებზე იყვნენ მიმაგრებული, სასტიკად ისჯებოდნენ გაცდენისა და სამუშაო ადგილზე ქურდობისათვის. მუშაობდნენ კვირაში 6 დღე, სამუშაო დღე კი რეალურად 10 საათი და მეტი იყო ხანგრძლივობით.

მე-4 ხუთწლედი 4 წელსა და 3 თვეში შესრულდა.

მუშათა დიდი ნაწილი კომუნალურ ბინებში, ბარაკებსა და მიწურებში ცხოვრობდა. ომის შემდეგ არანაირი საბინაო მშენებლობა არ მიმდინარეობდა. ისედაც მცირე ხელფასიდან არა მხოლოდ გადასახადებს იხდიდნენ, არამედ ექვითებოდათ „სახელმწიფო სესხიც", მთავრობას აძლევდნენ წელიწადში დაახლოებით ერთი თვის ხელფასს.

[1] რეპარაცია – დამარცხებული ქვეყნის მიერ გამარჯვებულისთვის ზარალის ანაზღაურება

26.4. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა ომმა დიდად დაუზარალა. სოფლად შრომისუნარიანი მოსახლეობა მესამედით შემცირდა. ქალი-კოლმეურნეები 13 მილიონით მეტნი იყვნენ კაცებზე. მძიმე პირობების გამო სოფელში მცხოვრებნი ქალაქებში გაქცევას ცდილობდნენ. 1945 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია ომამდელი დონის 60%-ს არ აღემატებოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში სოფელს არ მიეწოდებოდა ახალი ტექნიკა. კოლმეურნეობებში ცხენების ოდენობაც განახევრდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა 1946 წლის გვალვამ, რამაც დიდი შიმშილობა გამოინვია და 770,7 ათასი ადამიანი შიმშილით დაიღუპა.

1946 წლის მოუსავლიანობამ ხელისუფლება აიძულა, მეტი ყურადღება დაეთმო სოფლისათვის და გაეზარდა ტექნიკით მომარაგება. 1950 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ომამდელთან შედარებით 40-50%-ით მეტი ტრაქტორი და კომბაინი იყო.

სახელმწიფო მყარი ფასებით ყიდულობდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას, კოლმეურნეობებს უნაზღაურებდა მხოლოდ ხარჯების ნაწილს: რძის წარმოების დანახარჯების მეხუთედს, მარცვლეულის ხარჯების მეათედს, ხორცის მეოცედ ნაწილს. კოლმეურნეები პრაქტიკულად არაფერს ღებულობდნენ. მათ შველოდათ დამხმარე მეურნეობა (1946-1951 წლებში კოლმეურნეთა შემოსავლების 42-65% მოდიოდა დამხმარე მეურნეობაზე, მაშინ როდესაც კოლმეურნეობაში გამომუშავებულ შრომა-დღეებზე მოდიოდა მისი მთელი შემოსავლის 15-20%). მაგრამ სახელმწიფომ დამხმარე მეურნეობებსაც მიაყენა დარტყმა. 1946-1949 წლებში კოლმეურნეობების სასარგებლოდ ჩამოჭრეს 10,6 მილიონი ჰექტარი მინა გლეხების პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთებიდან. მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადები ბაზარზე გაყიდულ პროდუქციაზე. ბაზარში ვაჭრობის ნებართვა მხოლოდ იმ გლეხებს ეძლეოდათ, რომელთა კოლმეურნეობებსაც შესრულებული ჰქონდათ სახელმწიფოსთვის პროდუქციის მინოდების გეგმა. ყოველი გლეხური მეურნეობა პირად სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ვალდებული იყო სახელმწიფოსთვის ჩაებარებინა ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი. 1948 წელს კოლმეურნეებს „რეკომენდაცია მიეცათ", სახელმწიფოსთვის მიეყიდათ წვრილფეხა საქონელი (რომელთა ყოლის ნებასაც აძლევდათ კოლმეურნეობის წესდება), რასაც მოჰყვა მთელ ქვეყანაში ღორების, ცხვრების, თხების მასობრივი დაკვლა (2 მილიონ სულამდე).

1947 წლის დეკემბერში ჩატარდა ფინანსური რეფორმა. ძველი ფულის ნიშნები გაიცვალა ახალზე კურსით 10:1-ზე. ამ რეფორმამ გააძლიერა სახელმწიფო ფინანსები. 1947 წლის ფულადმა რეფორმამ ყველაზე მტკივნეული დარტყმა მიაყენა გლეხობას, რომელიც თავის დანაზოგს სახლში ინახავდა.[1]

შენარჩუნდა ომამდელი პერიოდის ნორმები, რომლითაც იზღუდებოდა კოლმეურნეთა გადაადგილების თავისუფლება: მათ ფაქტობრივად არ გააჩნდათ პასპორტი, არ უნაზღაურდებოდათ ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეები, არ ღებულობდნენ ასაკობრივ პენსიას.

მე-4 ხუთნლედის ბოლოს კოლმეურნეობათა საკავშირო ეკონომიკურმა მდგომარეობამ მათი რეფორმირება მოითხოვა, მაგრამ ხელისუფლებას მდგომარეობის გამოსწორების გზად არა მატერიალური სტიმულირება, არამედ მორიგი სტრუქტურული გარდაქმნა მიაჩნდა. რგოლის ნაცვლად,[2] რეკომენდებული იყო მუშაობის ბრიგადული ფორმა. ამან გამოიწვია გლეხების უკმაყოფილება და სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დეზორგანიზე-

---

[1] შემნახველ სალაროებში 3 ათას მანეთამდე თანხა სრულად უნაზღაურდებოდათ, 1 ძველ მანეთზე მეანაბრე 1 ახალს ღებულობდა; 3-დან 10 ათას მანეთამდე იცვლებოდა თანაფარდობით 3:2; 10 ათასზე მეტი კი – 2:1-თან. მოსახლეობის ხელთ არსებული ფული კი იცვლებოდა კურსით 10:1-თან. ამრიგად, ვინც სახლში ინახავდა ფულს, ნაგებული აღმოჩნდა.

[2] მცირე სასოფლო-სამეურნეო ერთეული, რომელიც, როგორც ნესი, ოჯახის ნევრებისგან შედგებოდა, ამიტომაც უფრო ეფექტური იყო.

ბა. გაამსხვილეს კოლმეურნეობები, რასაც მოჰყვა გლეხთა ნაკვეთების შემდგომი შემცირება. 1950-1953 წლებში კოლმეურნეობათა რაოდენობა 255 ათასიდან 94 ათასამდე შემცირდა.

1945-1949 წლებში ჩატარდა კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირის დასავლეთის რეგიონებში, რომლებიც მის შემადგენლობაში 1940 წელს და შემდეგ 1945 წელს აღმოჩნდნენ. კოლექტივიზაცია ტარდებოდა 1930-იანი წლების „ნიმუშის" მიხედვით. მხოლოდ ბალტიის რესპუბლიკებიდან 1945-1949 წლებში გაასახლეს 142,5 ათასი „კულაკი, ბანდიტი და ნაციონალისტი".

მიუხედავად ამისა, იძულებითი ზომებისა და გლეხობის უდიდესი ძალისხმევის შედეგად, 1950-იანი წლების დასაწყისში მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის გაყვანა წარმოების ომამდელ დონემდე, თუმცა იმის გამო, რომ გლეხებს ჩამოერთვათ შრომის უკანასკნელი სტიმულებიც, სოფლის მეურნეობა კრიზისში შევიდა და მთავრობა აიძულა საგანგებო ზომები გაეტარებინა ქალაქებისა და არმიის სურსათით მოსამარაგებლად.

1947 წელს გაუქმდა საბარათო სისტემა სურსათზე ქალაქებში. სტალინი საბარათო სისტემის გაუქმებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგანაც რიგითი ადამიანები სასურსათო ბარათებს, ტრადიციულად, საგანგებო მდგომარეობას უკავშირებდნენ. საბარათო სისტემის გაუქმება კი მოითხოვდა მოსახლეობის ხელში არსებული ფულადი მასის შემცირებას. სწორედ ამიტომ განხორციელდა ფულადი რეფორმა, რომლის შედეგადაც ფულადი მასა 3,5-ჯერ შემცირდა, ამასთან ფასები პროდუქტებზე ომამდელ დონესთან შედარებით გაცილებით მაღალი დადგინდა, უახლოვდებოდა ბაზარზე არსებულ კომერციულ ფასებს.

1948 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო სურსათზე საცალო ფასების რეგულარული შემცირება, რაც 1954 წლამდე გრძელდებოდა. ფასი, პირველ რიგში, პურზე მცირდებოდა. შედეგად ერთი კილოგრამი პურის ღირებულება 4,4 მანეთიდან 1,55 მანეთამდე შემცირდა. შემცირება მიიღწეოდა გლეხობის სასტიკი ექსპლუატაციის ხარჯზე. კოლმეურნეობები სახელმწიფოს ხორბალს აბარებდნენ იმ ფასად, რაც მისი ტრანსპორტირების ხარჯსაც კი არ ფარავდა, თუმცა შემცირებული პურის ფასიც ორჯერ მაღალი იყო ომამდელ ფასზე და რამდენჯერმე აღემატებოდა 1916 წლის ფასს.

ფასების შემცირების პოლიტიკას ის მოჰყვა, რომ მოსახლეობა შეეჩვია იაფ სურსათს, როგორც კომპენსაციას თავის დაბალ ხელფასზე, მაგრამ ასეთი ფასების პირობებში სურსათის წარმოება არამომგებიანი იყო და ფასების შემცირებიდან რამდენიმე წელიწადში სახელმწიფო დახლებიდან კვლავ ქრებოდა პროდუქტები.

С КАЖДЫМ ДНЕМ ВСЕ РАДОСТНЕЕ ЖИТЬ!

საბჭოთა პლაკატზე გამოსახულია მსუბუქ ავტომანქანასთან მდგომი კოლმეურნე ქალი წარწერით: „ცხოვრება დღითიდღე სულ უფრო სასიხარულო ხდება!"

სინამდვილეში მკვეთრად გაიზარდა გლეხების გადასახადები. 1940 წელს საშუალო გლეხი რუსეთში იხდიდა 100 მანეთს, 1952 წელს – 1100 მანეთს.

26.5. ომის შემდგომი შიმშილობა

1946 წელს საბჭოთა კავშირის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რეგიონები ძლიერმა გვალვამ მოიცვა. მარცვლეულის მოსავალმა სულ 39,6 მილიონი ტონა შეადგინა, მაშინ როდესაც 1940 წელს მოსავალი 95,5 მილიონი ტონა იყო. შიმშილის პირას აღმოჩნდა უკრაინა, ვოლგისპირეთი, ყუბანი და ურალი.

საბჭოთა კავშირის პურის მარაგი ამ დროისათვის 5 მილიონ ტონა მარცვლეულს შეადგენდა, ასევე გააჩნდა უდიდესი ოქროს მარაგი, მაგრამ უცხოეთში მარცვლეულის ყიდვა საბჭოთა ქვეყნის პრესტიჟისთვის დამამცირებლად მიიჩნეოდა.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებიც ცდილობდნენ გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქებას, დასაჯეს. 1947-1948 წლებში 22 ათასი კოლმეურნეობის თავმჯდომარე (საერთო რიცხვის 12%) შრომა-გასწორების ბანაკებში გაგზავნეს. ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მათ დამშეულ გლეხებს საკოლმეურნეო ხორბალი მანამდე მისცეს, სანამ სახელმწიფო ვალდებულებებს შეასრულებდნენ მარცვლეულის ჩაბარებაზე.

1946-1947 წლებში საბჭოთა კავშირში შიმშილისაგან დაიღუპა დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი, აქედან 0,5 მილიონი – რუსეთის ფედერაციაში. საბჭოთა ოფიციალურ დოკუმენტებში ამის თაობაზე არაფერი იყო ნათქვამი. მსხვერპლი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, დასავლეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება რომ არა. 1946-1947 წლებში სტალინი დასთანხმდა, დახმარება მიეღო გაეროს ხაზით უკრაინისა და ბელორუსიისათვის. უკრაინამ მიიღო 189 მილიონი დოლარის საქონელი, ბელორუსიამ – დაახლოებით 60 მილიონი დოლარიც. ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციიდან Russian Relief მიღებულ იქნა 31 მილიონის ღირებულების დახმარება.

კომუნისტურ ხელისუფლებას ეშინოდა, რომ საბჭოთა მოქალაქეებში გაიზრდებოდა დასავლეთისადმი სიმპათია, ამიტომ ხელოვნურად ზღუდავდა დასავლეთიდან წამოსულ დახმარებას, მაგალითად, აიკრძალა დახმარების მიღება კერძო პირებისაგან.

ასეთი შიდა გაჭირვების პირობებში სტალინმა თავის აღმოსავლეთევროპელ სატელიტებს: ბულგარეთს, რუმინეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას გადასცა 2,5 მილიონი ტონა მარცვლეული სასურსათო დახმარების სახით.

26.6. კურსი „ქანჩების მოჭერისაკენ“

შრომითი დისციპლინის განმტკიცების მიზნით, 1948 წლის ივნისში გამოიცა სპეციალური ბრძანებულება შორეულ რაიონებში იმ პირთა გადასახლების შესახებ, რომლებიც თავს არიდებდნენ შრომით საქმიანობას.

ომის შემდეგ სოფლად ბევრს იმედი ჰქონდა, რომ სტალინი კოლმეურნეობებს გააუქმებდა, მაგრამ პირიქით მოხდა, – კოლმეურნეებს გადასახადი დაუნესეს პირად ნაკვეთებზე, გაზარდეს პურის ჩაბარების ნორმები, გაამსხვილეს კოლმეურნეობები, უფრო ადვილად სამართავი რომ გამხდარიყვნენ.

ეკონომიკაში „ქანჩების შემდგომი მოჭერისკენ“ აღებულმა კურსმა თეორიული დასაბუთება მიიღო 1952 წელს გამოსულ სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“. ამ ნაშრომში სტალინი კვლავ იცავდა მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებას, სოფლის მეურნეობის სფეროში საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმების სრულ გასახელმწიფოებრიობას, გამოდიოდა საბაზრო ურთიერთობების გამოცოცხლების წინააღმდეგ.

სტალინის სტატიაში ნათქვამი იყო ისიც, რომ სოციალიზმის დროს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა-საჭიროებანი ყოველთვის წინ გაუსწრებდა წარმოების შესაძლებლობებს. ეს დებულება მოსახლეობას უხსნიდა „დეფიციტური ეკონომიკის“ ბატონობას და ამართლებდა მის არსებობას.

მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევები მილიონობით ადამიანის თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის დაბრუნებამ ეკონომიკური განვითარების ომამდელ მოდელზე გამოინვია რიგი სამეურნეო მაჩვენებლების გაუარესება.

თავი XXVII.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური განვითარება (1945-1953)

27.1. ომის დემოკრატიული იმპულსი

ომმა შეცვალა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო ჩამოყალიბებული 1930-იან წლებში. ომის განსაკუთრებულმა პირობებმა იძულებული გახადა ადამიანები, შემოქმედებითად ეაზროვნათ, დამოუკიდებლად ემოქმედათ, საკუთარ თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა.

ომმა დროებით დაანგრია „რკინის ფარდა", რომლითაც ქვეყანა იზოლირებული იყო დანარჩენი, „მტრული" მსოფლიოსაგან. წითელი არმიის ევროპული ლაშქრობის მონაწილეებმა (ასეთი იყო თითქმის 10 მილიონი ადამიანი), მრავალრიცხოვანმა რეპატრიანტებმა (5,5 მილიონამდე) თავიანთი თვალით ნახეს სამყარო, რომელსაც მანამდე მხოლოდ პროპაგანდისტული მასალებით იცნობდნენ და ნეგატიური სახით იყო წარმოდგენილი. განსხვავება იმდენად დიდი იყო, რომ ბევრ ადამიანში არ შეიძლება არ გამოეწვია დაეჭვება საბჭოთა პროპაგანდით დაწერილ შეფასებებში.

ომში გამარჯვებამ გლეხობას იმედი გაუჩინა, რომ დაშლიდნენ კოლმეურნეობებს, ინტელიგენცია იმედოვნებდა, რომ შესუსტდებოდა პოლიტიკური დიქტატი, მოკავშირე რესპუბლიკების (განსაკუთრებით ბალტიის რესპუბლიკებში, დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიაში) მოსახლეობა კი იმედოვნებდა, რომ შეიცვლებოდა ეროვნული პოლიტიკა.

ომის დროს განახლებულ პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურაშიც კი ჩნდებოდა ცვლილებების აუცილებლობის შეგნება. 1946-1947 წლებში დახურული წესით (მხოლოდ პარტიულ-სახელმწიფო მუშაკებს შორის) მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციისა და საკ. კპ (ბ) ახალი პროგრამისა და წესდების განხილვა. გამოითქვა წინადადებები სისტემის შედარებით დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, იყო წინადადებები სამხედრო დროის სპეციალური სასამართლოების გაუქმების, სამეურნეო მართვის ფუნქციებიდან პარტიის გათავისუფლების, ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე ყოფნის ვადების შეზღუდვის შესახებ, ალტერნატიული არჩევნების ჩატარების თაობაზე და ა. შ. უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ის გენერლები და ოფიცრები, რომელთაც შედარებითი დამოუკიდებლობა იგრძნეს ომის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების დროს, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ისევ აღმოჩნდნენ უბრალო „ჭანჭიკები" სტალინურ სისტემაში.

ხელისუფლებას აშფოთებდა ასეთი განწყობა, მაგრამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ომში გამარჯვებას აღიქვამდა, როგორც სტალინისა და მისი სისტემის გამარჯვებას. წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობის ჩახშობა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ერთი მხრივ, გარეგნული დემოკრატიზაციით, მეორე მხრივ კი, ბრძოლის გაძლიერებით „თავისუფლად მოაზროვნეებთან" და არსებული რეჟიმის განმტკიცებით.

27.2. ცვლილებები ხელისუფლების სტრუქტურებში

1945 წლის სექტემბერში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი. 1946 წლის მარტში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გადაკეთდა მინისტრთა საბჭოდ. სტალინის განცხადებით, ომში გამარჯვება ნიშნავდა გარდამავალი მდგომარეობის დამთავრებას და ამიტომ უარი უნდა ეთქვათ ცნებებზე „სახალხო კომისარი" და „კომისარიატი". ცვლილებები მიმდინარეობდა ტრადიციული რუსული სიმბოლიკის აღდგენის ტენდენციის ფარგლებში.

1945-1952 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პოლიტბიუროს, როგორც პოლიტიკური კურსის „გენერატორის", როლი. ამ წლების განმავლობაში შედგა მხოლოდ ორი სხდომა თავისი ოქმით, დანარჩენ შემთხვევებში კი გადაწყვეტილებები მიიღებოდა გამოკითხვის გზით.

სტალინი ხელმძღვანელობდა მინისტრთა საბჭოს და ოფიციალურ შემთხვევებში იწოდებოდა „საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურად".

პოლიტბიუროს შიგნით ჩამოყალიბდა სტალინთან დაახლოებული პირების ვიწრო წრე (სხვადასხვა დროს მათ ეწოდებოდა ხუთეული, ექვსეული, შვიდეული, მოგვიანებით რვა და ცხრა ხელმძღვანელი შედიოდა).

1946 წლის მარტიდან „შვიდეულის" შემადგენლობაში შედიოდნენ სტალინი, მოლოტოვი, ბერია, მიქოიანი, მალენკოვი, ჟდანოვი, ვოზნესენსკი. „ახლო წრეში" წყდებოდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები.

სტალინის გარემოცვა, რომელთაც ხელისუფლებაში საკვანძო პოსტები ეკავათ, გარედან ჩანდა ერთიანი და მონოლითური. სინამდვილეში, მათ შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები იყო; ბრძოლა გაელენისათვის კულისებში მიმდინარეობდა. იმისდა მიხედვით, თუ ვინ მიაღწია წარმატებას, ომის შემდგომი სტალინის რვაწლიან მმართველობაში შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი. მათ შორის მიჯნებია 1949 წლის მარტი და 1951 წლის ივლისი.

იმავდროულად ხდებოდა სამინისტროებისა და უწყებების, ასევე მათი თანამშრომლების რაოდენობრივი ზრდა. 1947 წლის თებერვლიდან მინისტრთა საბჭო დაიყო 8 ბიუროდ, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს მდგომი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინირებას ახდენდნენ. ბიუროების თავმჯდომარეები გახდნენ მალენკოვი, ვოზნესენსკი, საბუროვი, ბერია, მიქოიანი, კაგანოვიჩი, კოსიგინი, ვოროშილოვი.

საბჭოთა კავშირში საბარათო სისტემის გაუქმებასთან ერთად, პარტიულ-სამეურნეო ზედაფენა კიდევ უფრო განცალკევდა ხალხის მასისგან. 1948 წლის იანვრიდან მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ხელმძღვანელ მუშაკებს, გარდა ხელფასისა, ეძლეოდათ დროებითი ფულადი ანაზღაურება. ეს შეადგენდა (თანამდებობის მიხედვით) დამატებით სამი, ორ-ნახევარი, ერთ-ნახევარი თვის ხელფასს, რომელიც მასთან მიჰქონდათ დალუქული კონვერტით, აქედან ის არ იხდიდა გადასახადებს, პარტიულ საწევროს. ნომენკლატურის ფულადი უზრუნველყოფის ეს წესი 1956 წლამდე შენარჩუნდა. 1955 წლის დეკემბერში დროებით ფულად ანაზღაურებას პარტიული ორგანოების 9136 მუშაკი იღებდა და, საერთო ჯამში, ეს წელიწადში 169 მილიონ მანეთს შეადგენდა.

1946 წელს ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, განახლდა დეპუტატთა კორპუსი, რომლის შემადგენლობაც ომის წლებში არ შეცვლილა, თუმცა როგორც ომამდე, ომის შემდეგაც არჩევნები უალტერნატივო იყო (ერთი ადგილი – ერთი კანდიდატი) და ბიულეტენში შეჰქონდათ ყველა ინსტანციაში შეთანხმებული კანდიდატის გვარი.

1946 წელს გაიხსნა ახალი მოწვევის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე აირჩიეს ნ. შვერნიკი, ხოლო მ. კალინინი დიდი პატივით გააცილეს პენსიაზე.

1950-იანი წლების დასაწყისისთვის ხშირად იწვევდნენ საბჭოების სესიებს, გაიზარდა მუდმივმოქმედი კომისიების რაოდენობა. კონსტიტუციის შესაბამისად, პირველად ჩატარდა სახალხო მოსამართლეებისა და მსაჯულების პირდაპირი და ფარული არჩევნები.

15-წლიანი ინტერვალის შემდეგ, 1952 წლის ოქტომბერში ჩატარდა საკ. კპ (ბ) XIX ყრილობა, რომელმაც გადაწყვიტა პარტიისთვის სახელის შეცვლა და ეწოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამ სახელწოდებით პარტია 1991 წლამდე, თავის გაუქმებამდე არსებობდა. შეიცვალა პოლიტბიუროს სახელწოდებაც, რაც 1918 წლიდან არსებობდა. მის ნაცვლად შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელშიც 25 წევრი შეიყვანეს, მათ შორის ბევრი შედარებით ახალგაზრდა იყო. სტალინს სურდა ძველი გვარდიის (მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, მალენკოვი, ბერია) შევინროება. მანამდე თავის მემკვიდრედ განიხილავდა მალენკოვს, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. სწრაფად დაწინაურდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც მანამდე, 1938 წლიდან უკრაინის კომპარტიას ხელმძღვანელობდა, 1949 წლის დეკემბრიდან კი – მოსკოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციას.

ამავე დროს პოლიტიკური რეჟიმი მკაცრდებოდა, დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა.

27.3. რეპრესიების ახალი ტალღა

„გულაგის" სისტემამ თავის მწვერვალს მიაღწია სწორედ ომის შემდგომ წლებში. 1930-იანი წლების შუახანების პატიმრებს დაემატა მილიონობით ახალი „ხალხის მტერი". ერთ-ერთი პირველი დარტყმა გერმანელთა ტყვეობაში მყოფმა საბჭოთა მეომრებმა მიიღეს, ბევრი მათგანი გერმანული ბანაკებიდან გათავისუფლების შემდეგ საბჭოთა ბანაკებში აღმოჩნდა. იქვე გააგზავნეს „უცხო ელემენტები" ბალტიის რესპუბლიკებიდან, დასავლეთ უკრაინიდან და დასავლეთ ბელორუსიიდან.

1948 წელს შეიქმნა სპეციალური რეჟიმის ბანაკები მათთვის, ვინც გასამართლებული იყო „ანტისაბჭოთა საქმიანობისა" და „კონტრრევოლუციური აქტებისთვის". ამ ბანაკებში გამოიყენებოდა პატიმრებზე ზემოქმედების განსაკუთრებით დახვეწილი მეთოდები. პოლიტიკურ პატიმრებს არ სურდათ თავიანთ მდგომარეობასთან შეგუება და აჯანყებებს ანყობდნენ, ზოგჯერ პოლიტიკური ლოზუნგებითაც. ამ აჯანყებებიდან ყველაზე ცნობილია გამოსვლები პეჩორაში (1948), სალეხარდში (1950), კინგირში (1952), ეკიბასტუზში (1952), ვორკუტასა (1953) და ნორილსკში (1953).

პოლიტპატიმრებთან ერთად, ომის შემდეგ ბანაკებში ბევრი სხვა ადამიანიც აღმოჩნდა. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის დადგენილებით, ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება მიეცა, შორეულ რეგიონებში გადაესახლებინა პირები, რომლებიც „ბოროტად თავს არიდებენ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში"

სტალინს ეშინოდა ომის დროს სამხედროების გაზრდილი პოპულარობისა. ომის ბოლოს შეიარაღებულ ძალებში იყო 12 საბჭოთა კავშირის მარშალი, 3 მთავარი მარშალი და 12 ჯარის სახეობის მარშალი, 2 ფლოტის ადმირალი და 5597 გენერალი და ადმირალი. ომის შემდეგ უშიშროების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა გ. ჟუკოვი. 1945 წლის 27 ივნისს მან მოსკოვის ახლოს თავის აგარაკზე მიიწვია სტუმრები, მათ შორის იყვნენ სამხედროები ს. ბოგდანოვი, ვ. სოკოლოვსკი, ვ. ჩუიკოვი. ისინი გამარჯვებას ზეიმობდნენ და განადიდებდნენ ჟუკოვს, მას ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების მომპოვებლად მიიჩნევდნენ. მეორე დღეს მათი საუბრების ჩანაწერს სტალინი გაეცნო და ეს გახდა ჟუკოვით უკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. დასავლეთის პროპაგანდა ცეცხლზე ნავთს ასხამდა და აცხადებდა, რომ სამხედროები ხელისუფლებაში მოსვლას ეცდებოდნენ.

ჟუკოვის კომპრომეტირებისთვის გამოიყენეს ე. წ. **ავიატორთა საქმე.** 1946 წლის დასაწყისში დაპატიმრებულმა ავიაციის მარშალმა ა. ხუდიაკოვმა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალ ა. ნოვიკოვს, საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარს ა. შახურინს ბრალი დასდო იმაში, რომ შეიარაღებაში იღებდნენ დეფექტების მქონე თვითმფრინავებს, რასაც კატასტროფები მოსდევდა. ნოვიკოვი, შახურინი და მათი 5 თანამშრომელი გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. ჩრდილი მიადგათ მალენკოვსა და ბერიას, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ საავიაციო მრეწველობაზე. გამოძიების

დროს „ჩვენებები მიიღეს“ ჟუკოვის წინააღმდეგაც, რომ ის „ამცირებდა ომში უმაღლესი მთავარსარდლის ხელმძღვანელ როლს“

1946 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის 74 გენერალი და ოფიცერი. მათ ბრალი ედებოდათ გერმანიიდან და ავსტრიიდან სხვადასხვა ქონების, ავეჯის, სურათების, ძვირფასეულობის გამოტანაში. მაგრამ მალე ბრალი დასდეს იმაში, რომ ჟუკოვის ხელმძღვანელობით სამხედროები აწყობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებას.

ჟუკოვი გაიწვიეს გერმანიიდან და 1946 წლის მარტში დანიშნეს სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად. 1946 წლის 1 ივნისს უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომაზე შედგა ჟუკოვის საქმის გარჩევა. მის წინააღმდეგ ბრალდებებს მხარი დაუჭირეს მალენკოვმა და მოლოტოვმა, მაგრამ მარშლებმა კონევმა, ვასილევსკიმ, როკოსოვსკიმ და რიბალკომ გამორიცხეს, რომ ჟუკოვს რაიმე შეთქმულებაში მიეღო მონაწილეობა. განხილვა დამთავრდა სტალინის დასკვნით: „ამხანაგო ჟუკოვ, გარკვეული დროით მოგიწევთ მოსკოვის დატოვება“

1946 წლის 3 ივნისს ჟუკოვი დაინიშნა ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად, მაგრამ

საქმე ამით არ დამთავრებულა. მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებები წამოაყენეს გერმანიიდან პირადი საჭიროებისათვის დიდი ოდენობით სხვადასხვა ფასეულობის გამოტანის თაობაზე. 1947 წლის თებერვალში ჟუკოვი გამოიყვანეს ცენტრალური კომიტეტის ნევრობის კანდიდატთა რიცხვიდან, 1948 წლის იანვარში კი დანიშნეს ნაკლებად პრესტიჟულ ურალის სამხედრო ოლქის სარდლად.

ომის შემდეგ ინტრიგის მსხვერპლი გახდნენ გენერალიტეტის სხვა წარმომადგენლებიც. გ. კულიკი და ვ.გორდონი „ამხილეს“, როგორც „საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრეები“; ადმირალი კუზნეცოვი და მისი თანამშრომლები ბრალდებული აღმოჩნდნენ იმაში, რომ ომის დროს სამხედრო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში მოკავშირეებს გადასცეს პარაშუტიანი ტორპედოს ნახაზები.

რეპრესიები შეეხო პარტიულ ფუნქციონერთა ნაწილსაც, განსაკუთრებით მათ, ვინც ესწრაფოდა მეტ დამოუკიდებლობას ცენტრალური ხელისუფლებისაგან. დააპატიმრეს მრავალი პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწე, რომლებიც ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში შედიოდნენ და მიიჩნეოდნენ საკ. კპ(ბ) პოლიტბიუროს ნევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ჟდანოვის გუნდში. 1948 წლის 31 აგვისტოს ჟდანოვის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, „ლენინგრადის საქმეზე“ დაახლოებით 2 ათასი ადამიანი დააპატიმრეს. მათგან 200 გაასამართლეს და დახვრიტეს. მათ შორის რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. როდიონოვი, პოლიტბიუროს ნევრი და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვოზნესენსკი, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. კუზნეცოვი.

ჟდანოვი და სტალინი

ვოზნესენსკი და კალინინი

„ლენინგრადელთა“ წინააღმდეგ მრავალი ბრალდება წამოაყენეს. მაგალითად, ვოზნესენსკის ბრალი დასდეს სახელმწიფო გეგმების შეგნებულად შემცირებაში, სტატისტიკური მონაცემების ფალსიფიცირებასა და საიდუმლო დოკუმენტების დაკარგვაში.

მთავარი ბრალდება „ლენინგრადელთა“ წინააღმდეგ მაინც შემდეგი იყო: თითქოს კუზნეცოვის ჯგუფში ხშირად განიხილებოდა ცალკე რუსეთის კომუნისტური პარტიისა და რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შექმნის საკითხი.[1] მათ ასევე „უნდოდათ“ რუსეთის დედაქალაქად ლენინგრადის გამოცხადება. თურმე „ლენინგრადელები“ ბრალს სდებდნენ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას ანტირუსული პოლიტიკის გატარებაში. რუსეთის კომპარტიის შექმნის შემთხვევაში კი მას სათავეში უდანოვი უნდა ჩასდგომოდა. ეს ბრალდებები მალენკოვმა და ბერიამ „ჩამოაყალიბეს“. სტალინმა ნება არ დართო, რომ ეს ბრალდებები გაეხმაურებინათ, მაგრამ რეპრესიები „ლენინგრადელთა“ წინააღმდეგ არ შეუჩერებია.

ასეთი მაღალი რანგის თანამდებობის პირების დაპატიმრების შემდეგ, 1950 წლის იანვარში აღადგინეს სიკვდილით დასჯა, რომელიც გაუქმებული იყო 1947 წლის 26 მაისს. სიკვდილით დასჯის აღდგენის მიზანი ის იყო, რომ სიკვდილით უნდა დაესაჯათ ლენინგრადის საქმეზე დაპატიმრებული რამდენიმე მაღალჩინოსანი.

„ლენინგრადის საქმე“ ასახავდა პარტიის უმაღლეს ეშელონში მიმდინარე ბრძოლას, ეს ანგარიშსწორება მკაცრი გაფრთხილება უნდა ყოფილიყო ყველასთვის, ვინც კი თუნდაც რაიმეს გაიფიქრებდა „ხალხთა ბელადისგან“ განსხვავებულს.

რეპრესიების ომის შემდგომი ტალღა საქართველოსაც მძიმედ შეეხო. 1949 წელს, საქართველოს უშიშროების მინისტრის სპეციალური დირექტივით, აღრიცხვაზე აიყვანეს და თვალთვალი დაუწყეს დაახლოებით 25 ათას ადამიანს, რომელთაც შემდგომში რეპრესირებული სპეცგადასახლებულების კონტინგენტი შეადგინეს.[2]

1949 წლის 14 ივნისს საქართველოდან გაასახლეს თურქეთისა და საბერძნეთის ქვეშევრდომები ან ყოფილი ქვეშევრდომები, ასევე ადამიანები, რომელთაც „სომეხ-დაშნაკებად“ მიიჩნევდნენ – სულ 36.675 ადამიანი. [3]

„მეგრელთა საქმის“ დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1951 წლის 16 ნოემბერს, სტალინის პირდაპირი მითითებით, საკ.კპ (ბ) ცკ მიიღო უმკაცრესი დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“, რასაც მოჰყვა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის N 4893-2113 დადგენილება. ამ დადგენილებით საქართველოდან 6300 ადამიანი გადაასახლეს ყაზახეთში.[4]

გადასახლებას ექვემდებარებოდნენ ქართველი ემიგრანტების, „ხალხის მოღალატეების“, აგრეთვე იმ პირთა ახლო ნათესავები, რომლებიც არ დაბრუნდნენ სამშობლოში, ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ და აქტიურად ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ (მეუღლე და მშობლები, ვაჟიშვილები და მათი ოჯახები, მათთან მცხოვრები ქალიშვილები, ძმები და დები, აგრეთვე ცალკე მცხოვრები ქალიშვილები, ძმები და დები, რომლებზეც არსებობდა მაკომპრომეტირებელი მასალები); თურქეთში მცხოვრები აჭარული წარმოშობის ქართველ ემიგრანტთა და „სამშობლოს მოღალატეთა“ ახლო ნათესავები; საქართველოს მუსლიმური მოსახლეობით დასახლებული რეგიონებიდან გამოსულ, თურქეთში მცხოვრებ და სამშობლოში ნათესაური კავშირების მქონე ემიგრანტთა და სამშობლოს მოღალატეთა ნათესავები; რეემიგრანტები, რომლებიც 1946-1949 წლებში საქართველოში დაბრუნდნენ საფრანგეთიდან, ირანიდან, ჩინეთიდან; ყოფილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ირიცხებოდნენ ფაშისტური არმიის ნაციონალურ ფორმირებებში; აგრეთვე თურქეთის დაზვერვასთან კავშირში ეჭვმიტანილი ე.წ. „საზღვრის მიღმა მოსიარულენი“ და მათი ოჯახები. გადასახლებას ექვემდებარებოდნენ თითოეული ოჯახის შრომისუუნარო და არასრულწლოვანი წევრებიც. სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის №1007-430 დადგენილებით, აღნიშნული სპეცგადასახლე-

---

[1] საკავშირო კომუნისტურ პარტიაში არსებობდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიები, მაგრამ არ იყო რუსეთის კომპარტია და მისი ხელმძღვანელი ორგანოები.

[2] საქართველოს შსს არქივი, (III), ფ. № 14, აღწ. 26, საქ. 32, ფურც. 168.

[3] მ. ნათმენაძე, ა. დაუშვილი. საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.). თბ., 2004, გვ. 262.

[4] Г.Мамулиа. Первые трещины имперского фундамента послевоенного СССР – „საარქივო მოამბე“, 2009, N 7, გვ.91-96.

ბა გაუქმდა და კონტინგენტი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დააბრუნეს კონფისკირებული ქონების ანაზღაურებით.

სულ 1950-1951 წლებში საქართველოში რეპრესირებულ იქნა 16.174 ადამიანი (აქედან 1950 წელს – 4716, ხოლო 1951 წელს – 11.458 ადამიანი).

გადასახლებულთა შორის იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სამსონ ფირცხალავა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მოწვევით დაბრუნდა საქართველოში და შუა აზიაში გარდაიცვალა 84 წლის ასაკში.

1951 წელს საქართველოში ე. წ. „მეგრულ საქმესთან" დაკავშირებული „წმენდა" უკვე ბერიასთან სტალინის დაპირისპირებას უკავშირდებოდა. ეს იყო მცდელობა, გაეთავისუფლებინათ საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ბერიას ერთგული კადრებისაგან.[1]

1951 წლის ნოემბერში საკ.კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოში მექრთამეობის და ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ". მასში ნათქვამი იყო, რომ გამოვლენილია მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბარამია. 1952 წლის 27 მარტს საკ.კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ახალი დადგენილება საქართველოს კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც „აზუსტებდა", რომ არალეგალური ნაციონალისტური ორგანიზაცია, ბარამიას ხელმძღვანელობით, „მიზნად ისახავდა საქართველოს ჩამოცილებას საბჭოთა კავშირისაგან". დააპატიმრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 7 ნევრი 11-იდან, 427 საოლქო კომიტეტების, ქალაქკომების და რაიკომების მდივნები, სამეგრელოს თითქმის მთელი პარტიული აქტივი.[2] კრემლში გაშლილი მორიგი სახელისუფლო ბრძოლა – სტალინის მიერ ლ. ბერიას შევიწროება-ჩამოცილების მცდელობა – მტკივნეულად აისახებოდა საქართველოზე და მრავალი ადამიანისათვის წაყენებული ცრუ კუთხურობის ბრალდება ემსახურებოდა ქართული ეროვნული ცნობიერების გახლეჩის იმპერიულ გეგმებს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის 10 აპრილს სკკპ ცკ პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელმაც „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის" საქმე ფალსიფიცირებულად გამოაცხადა.

„გვიანი სტალინიზმის" დროს მომზადებული პროცესებიდან უკანასკნელი აღმოჩნდა **„ექიმთა საქმე"** (1953). დაპატიმრებულებს ბრალი ედებოდათ უმაღლესი ხელმძღვანელობის არასწორ მკურნალობაში, რასაც შედეგად მოჰყვა რიგი გამოჩენილი მოღვაწის სიკვდილი. „ექიმთა საქმე" ემყარებოდა ექიმ ი. ეტინგერის ჩვენებას. პოლიტბიურომ სასწრაფოდ შექმნა კომისია მალენკოვის, ბერიას, უშიშროების ახალი მინისტრის ს. იგნატიევის შემადგენლობით. გამოძიებამ „დაადგინა", რომ „ექიმმა მავნებლებმა" არასწორი მკურნალობით მოკლეს ა. ჟდანოვი, იმავეს უპირებდნენ სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებს და ხელისუფლების სათავეში უნდა მოეყვანათ უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი.

„ექიმთა საქმე" საბაბი აღმოჩნდა სტალინის პირადი დაცვის სათავეში მყოფი ნ. ვლასიკისა და ა. პოსკრებიშევის დისკრედიტაციისათვის. ვლასიკი სტალინის დაცვას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ედგა სათავეში, პოსკრებიშევი კი 1935 წლის აგვისტოდან ხელმძღვანელობდა სტალინის კანცელარიას.

[1] Г.Мамулия. Первые трещины имперского фундамента послевоенного СССР – „საარქივო მოამბე", 2009, N 5, გვ.72-73.
[2] История России. XX– до начала XXI века. Под ред. Л.В.Милова.– М.: Эксмо, 2007, стр.592.

სტალინისთვის ვერსია უშიშროების სამინისტროში არსებული შეთქმულების თაობაზე კარგი საბაბი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხელისუფლებიდან საბოლოოდ ჩამოეცილებინა მოლოტოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ანდრეევი და მრავალი სხვა მოღვაწე, რომელთაც ებრაელი ნათესავები ჰყავდათ.

1952 წლის 16 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა მოლოტოვი და მიქოიანი, მათ ბრალი დასდო ამერიკული იმპერიალიზმის წინაშე ლაჩრობასა და კაპიტულანტობაში. მოლოტოვს უხეშ შეცდომად ჩაეთვალა „ებრაელთა უკანონო პრეტენზიების ადვოკატობა ჩვენს საბჭოთა ყირიმზე" საჯაროდ გამოუცხადა პოლიტიკური უნდობლობა ვოროშილოვს, მიქოიანს კი ბრალი დაედო ტროცკისტულ შეცდომებში.

მწერალმა კონსტანტინე სიმონოვმა, პლენუმის მონაწილემ, თავის დღიურში ჩაწერა: „ყველასთვის გასაგები იყო, რომ სტალინს არ სურდა მის შემდეგ პირველ პირად მოლოტოვი დარჩენილიყო". მოგვიანებით კი თავად მოლოტოვი იგონებდა: „სტალინს კიდევ ერთი-ორი წელი რომ ეცოცხლა, მე ვერ გადავრჩებოდი"

პლენუმზე შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურო, რომელშიც სტალინის გარდა შევიდნენ მხოლოდ ბერია, ბულგანინი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, საბუროვი და ხრუშჩოვი.

სულ 1948-1953 წლებში რეპრესიების მსხვერპლი გახდა 6,5 მილიონი ადამიანი.

27.4. ნაციონალური პოლიტიკა

სხვა ცვლილებებთან ერთად, ომმა გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან უკონტროლო იდეური და პოლიტიკური მოძრაობების გაზრდა, მათ შორის ეროვნულიც. ამ მოძრაობებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1939-1940 წლებში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესულ ტერიტორიებზე, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა კოლექტივიზაციისა და გასაბჭოების („სოვეტიზაციის") წინააღმდეგ.

1944-1952 წლებში დასავლეთ უკრაინასა და ბალტიის ქვეყნებში გრძელდებოდა ბრძოლა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ათასობით ადამიანი, ვინც გერმანელების მხარეზე იბრძოდა, ტყეებში წავიდა და ბრძოლას აგრძელებდა ოკუპანტების წინააღმდეგ. 1944-1952 წლებში დასავლეთ უკრაინიდან გაასახლეს 203.662 ადამიანი.

ამ მოძრაობების საწინააღმდეგოდ რეპრესიები ტარდებოდა. 1950 წლისათვის დაატანიმრეს და გადაასახლეს 400 ათასი ლიტველი, 150 ათასი ლატვიელი, 50 ათასი ესტონელი. პარალელურად ტარდებოდა საყოველთაო კოლექტივიზაცია, რომელიც ომმა შეწყვიტა.

ომის წლებში გადაასახლეს ვოლგისპირეთის გერმანელები, ყირიმელი თათრები, ჩეჩნები, ინგუშები, ყალმუხები, ყარაჩაელები, ბალყარელები. ომის შემდგომ წლებში ძალადობრივი დეპორტაციები შეეხო სხვა ეთნოსებსაც (მაგალითად, მოლდოველებს).

ვ. ივანოვის პლაკატი (1946 წელი).

„ხალხთა მეგობრობის" სტალინური ეროვნული დოქტრინა დამთავრდა 1945 წ. 24 მაისს, როდესაც სტალინმა წარმოთქვა ცნობილი სადღეგრძელო რუსი ხალხის სადიდებლად. სტალინმა რუს ხალხს ომის საწყის პერიოდში მოთმინებისთვის მადლობა გადაუხადა და რუსები „ხელმძღვანელ ხალხად" გამოაცხადა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხისთვის. ეს იყო რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის აღორძინება, რასაც მოწონება მოჰყვა რუსული საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში.

გაძლიერდა ზეწოლა ეროვნულ ინტელიგენციაზე, პატარა ხალხების ტრადიციებსა და კულტურაზე. მაგალითად, 1951 წელს დაიწყო მუსლიმი ხალხების ეროვნული ეპოსის კრიტიკა, როგორც „კლერიკალურისა და ანტიხალხურის".

განსაკუთრებით მასშტაბური ხასიათი მიიღო ებრაული ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ ნეგატიურმა დამოკიდებულებამ. ომის წლებში შეიქმნა **ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტი** (მას სათავეში ედგა ცნობილი მსახიობი სოლომონ მიხოელსი). ომის შემდეგ კომიტეტის წარმომადგენლები წინადადებას აყენებდნენ, შექმნილიყო ებრაელთა ავტონომია ყირიმში ან ვოლგისპირეთში. ეს ხელისუფლებამ წარმოადგინა, როგორც შეთქმულების დამამტკიცებელი საბუთი. 1948 წელს მიხოელსი მოკლეს, როგორც ვარაუდობენ, უშიშროების აგენტებმა.

მიხოელსის სიკვდილის შემდეგ აქტიურად დაიწყო ებრაელთა კომიტეტის დევნა. თავად მიხოელსს სიკვდილის შემდეგ ბრალი დასდეს, რომ ცდილობდა ებრაელთა ინტერესებისთვის გამოეყენებინა სტალინის ქალიშვილი სვეტლანა და მისი ქმარი გ. მოროზოვი.

1948-1949 წლებში სახელმწიფო ანტისემიტიზმი გამოიხატა **„კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის"** კამპანიაში, „რუსული კულტურისა და მეცნიერების დაცვაში", რომელიც თითქოსდა ებრაელების მიერ იყო ოკუპირებული. სტუდენტები და ასპირანტები „ამხელდნენ" თავიანთ ებრაელ მასწავლებლებს.

ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის საქმიანობისთვის ბოლოს მოღება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო (1948 წლის 14 მაისი) და როცა 1948 წლის სექტემბერში მოსკოვში ჩავიდა ისრაელის ელჩი გოლდა მეერსონი (მეირი 1956 წლიდან). სტალინს არ მოეწონა, რომ მეერსონი დაუმეგობრდა მოლოტოვის ცოლს პ. ჟემჩუჟინას. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრები მრავალი ებრაელი მზად იყო ისტორიულ სამშობლოში გადასახლებულიყო ან მოხალისედ წასულიყო არაბების წინააღმდეგ საომრად. ეს ყველაფერი შეფასდა სოციალისტური სამშობლოს ღალატად.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა, ისრაელი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, ეხმარებოდა იარაღით. ასევე შესთავაზა, პალესტინელი დევნილი არაბები (500 ათასზე მეტი) გადაესახლებინათ შუა აზიაში და იქ შეექმნათ არაბთა მოკავშირე რესპუბლიკა ან ავტონომიური ოლქი. ასეთი წინადადება 1948 წლის ივნისში გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე წამოაყენა საბჭოთა წარმომადგენელმა დ. მანუილსკიმ, მაგრამ ამას ენთუზიაზმით არ შეხვედრიან.

1948 წლის ნოემბრიდან დაიწყო ანტიფაშისტური კომიტეტის წევრებისა და ებრაელი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების დაპატიმრება, როგორც „უეროვნებო" ადამიანებისა, მათ ბრალი ედებოდათ „კოსმოპოლიტიზმში"[1]. 1952 წლის მაის-ივლისში ჩატარდა დახურული სასამართლო პროცესი, რომელზეც კომიტეტის ლიდერებს დახვრეტა მიესაჯათ.

ებრაელთა საქმეს მოჰყვა ებრაელთა შემცირება პარტიულ და სახელმწიფო აპარატში. მაგალითად, 1945-1952 წლებში საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებში ებრაელთა რიცხვი შემცირდა 516-იდან 190-მდე (თანამდებობაზე მყოფ პირთა საერთო რაოდენობაში – 12,9%-იდან 3,9%-მდე). საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებში ებრაელთა წილი იმავე პერიოდში 12,3%-იდან 4,6%-მდე შემცირდა. ებრაელთა წილი საოლქო, სამხარეო და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებში იმავე პერიოდში შემცირდა 1,3%-იდან 0,1%-მდე. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში 1946-1948 წლებში ჩატარდა ატესტაცია, ებრაელები მოხსნეს განყოფილებების, ლაბორატორიების, სექციების ხელმძღვანელობიდან. შედეგად რუსების წილი 73,6%-იდან 80%-მდე გაიზარდა. ეს კამპანია ბევრი უნიჭო კარიერისტის დაწინაურების მიზეზი გახდა.

„ებრაელთა საქმეს" შეეწირა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვ. აბაკუმოვი, რომელიც 1951 წლის ივნისში დააპატიმრეს. მის წინააღმდეგ მალენკოვი მოქმედებდა. აბაკუმოვს ბრალი დასდეს, რომ ის შეგნებულად აფერხებდა „ებრაელი ნაციონალისტების" საქმის გამოძიებას, რის შემდეგაც მას მრავალი სხვა ბრალდებაც წაუყენეს.

---

[1] კოსმოპოლიტიზმი 1940-იანი წლების ბოლოდან გამოიყენებოდა პოლიტიკური ბრალდების სახით და ნიშნავდა არაპატრიოტულ ქცევასა და აზროვნებას.

იდეოლოგია და კულტურა (1945-1953)

28.1. „რკინის ფარდის“ აღდგენა

ომმა გააღვიძა იმედები კომუნისტური პარტიულ-იდეოლოგიური წნეხის შესუსტების თაობაზე. კულტურის მოღვაწეები იმედოვნებდნენ, რომ ომის წლებში გამოკვეთილი საზოგადოების სულიერი ცხოვრების კონტროლის შემცირების ტენდენცია კვლავ გაგრძელდებოდა. მოკავშირეობამ დასავლეთის დემოკრატიებთან, ისევე როგორც წითელი არმიის საზღვარგარეთულმა ლაშქრობამ, შესაძლებელი გახადა კულტურული კონტაქტების დამყარება უცხოეთთან.

მაგრამ ამ იმედებს ასრულება არ ენერა. საბჭოთა კავშირსა და მის სამხედრო მოკავშირეებს შორის ურთიერთობა სწრაფად გაფუჭდა. 1946 წლის ზაფხულიდან ქვეყანაში გაიშალა ფართო შეტევა სამამულო კულტურაზე „დასავლური გავლენის“ დასაძლევად. ამაში ფაქტობრივად იგულისხმებოდა სრული პარტიულ-პოლიტიკური კონტროლის დამყარება ინტელიგენციაზე. „მედასავლეთეობის“ წინააღმდეგ ლაშქრობას სათავეში ჩაუდგა ანდრეი ჟდანოვი (1896-1948), რომელიც საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში იდეოლოგიაზე პასუხისმგებელი პირი იყო.

ჟდანოვი მოქმედებდა სტალინის პირადი მითითებების შესაბამისად, მაგრამ ამ პოლიტიკამ „ჟდანოვშჩინის“ სახელი მიიღო და ეს ტერმინი შევიდა ევროპულ ენებში. ამით აღინიშნება კომუნისტური პოლიტიკა კულტურის სფეროში, რომელიც ემყარება ცენზურას, რეპრესიებს, აკრძალვებსა და დიქტატს.

კომუნისტური იდეოლოგიის ცენტრში სტალინი იდგა, რომლის კულტმაც აპოგეას მიაღწია 1949 წელს, ბელადის 70 წლის იუბილეს აღნიშვნის დროს.

„რკინის ფარდა“ საბოლოოდ აღდგა 1948 წლის ბოლოდან, როდესაც გაიშალა „კოსმოპოლიტიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა. საბჭოთა კავშირი კვლავ აღმოჩნდა დასავლეთისგან არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ კულტურულ იზოლაციაშიც.

საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებისაგან იზოლაციის კურიოზულ ზომას წარმოადგენდა 1947 წლის 15 თებერვალს მიღებული ბრძანებულება, რომელიც საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებთან ქორწინების რეგისტრაციას კრძალავდა. ეს დადგენილება მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წლის სექტემბერში გაუქმდა.

28.2. ლიტერატურა

ომის შემდგომ მოსკოვსა და ლენინგრადში ხშირად იმართებოდა პოეტური და ლიტერატურული საღამოები. 1946 წლის აპრილში მოსკოვში შედგა პოეტ ანა ახმატოვას პოეზიის საღამო, რომლის დროსაც დარბაზი ფეხზე წამოდგა და დიდხანს უკრავდა ტაშს. ამის შესახებ როცა სტალინს მოახსენეს, მას უკითხავს, „ვინ იყო დარბაზის ფეხზე წამოდგომის ორგანიზატორი?“

ერთ-ერთი პირველი დარტყმა ლიტერატურას მიაყენეს. 1946 წლის 9 აგვისტოს კრემლში შედგა ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს სხდომა, სადაც სტალინმა სასტიკად გააკრიტიკა ანა ახმატოვა და მიხაილ ზოშჩენკო, რომლის ირონიულმა მოთხრობებმა

სტალინი გააცოფა. ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ლიტერატურას რეპრესიების ახალი ტალღა ატყდებოდა თავს.

1946 წლის 14 აგვისტოს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ. ამ გამოცემებს ბრალი ედებოდათ „პარტიის სულისთვის უცხო“ იდეების პროპაგანდაში, სალიტერატურო ტრიბუნის დათმობაში „უიდეო, იდეოლოგიურად მტრული ნაწარმოებებისთვის“. დადგენილებაში განსაკუთრებით გააკრიტიკეს მ. ზოშჩენკო და ა. ახმატოვა. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ა. ჟდანოვი. ყველას უნდა გაეგო, რომ „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპები – იდეურობა, კლასობრივი მიდგომა და პარტიულობა, – კვლავაც ხელშეუხებელი იყო.

ჟურნალი „ლენინგრადი“ დახურეს, ხოლო ჟურნალ „ზვეზდა“-ში ხელმძღვანელობა შეცვალეს.

მკაცრად გააკრიტიკეს ის მწერლებიც კი, რომელთა შემოქმედებაც სავსებით პასუხობდა პარტიის მოთხოვნებს. მაგალითად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ა. ფადეევი გააკრიტიკეს რომან „ახალგაზრდა გვარდიის“ თავდაპირველი ვარიანტისთვის, რომელშიც არასაკმარისად იყო ნაჩვენები ახალგაზრდა იატაკქვეშეთელებისათვის პარტიული ხელმძღვანელობა. პოეტი მ. ისაკოვსკი გააკრიტიკეს პესიმიზმისათვის, რომელიც ჩანდა ლექსებში „მტრებმა დანვეს მშობლიური ხატა...“

გააკრიტიკეს დრამატურგი ა. შტეინი, მწერლები ი. გერმანი, ე.კაზაკევიჩი, მ. სლონიმსკი. ლიტერატურული კრიტიკა გადაიზარდა რეპრესიებში. „კოსმოპოლიტებთან“ ბრძოლის დროს დახვრიტეს პ. მარკიში და ლ.კვისტო, „საქმეები“ იყო აღძრული და მიდიოდა გამოძიება ი. ერენბურგის, ვ. გროსმანის, ს. მარშაკის წინააღმდეგ.

28.3. თეატრი და კინო

ლიტერატურის კვალდაკვალ „პარტიული ხელმძღვანელობა გაძლიერდა“ თეატრსა და კინოზე. 1946 წლის 26 აგვისტოს საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებაში დაგმობილი იყო ქვეყნის თეატრებში კლასიკური რეპერტუარის სიჭარბე, რაც ხდებოდა იმ პიესების ხარჯზე, რომლებიც ეძღვნებოდა „კომუნიზმისთვის ბრძოლის პათოსს“, ხოლო ის არცთუ ბევრი პიესა, რომლებიც თანამედროვეობას ეძღვნებოდა გაკრიტიკებული იყო როგორც სუსტი და უიდეო, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები წარმოდგენილი იყვნენ „პრიმიტივებად და დაბალკულტურულებად, ობივატელური გემოვნებითა და ჩვევებით“, მოვლენები გადმოცემული იყო „გამოგონილად და ყალბად“. გაკრიტიკებული იყო ხელოვნების საქმეთა კომიტეტი რეპერტუარში ისეთი პიესების ჩართვის გამო, რომლებიც ახდენდნენ „მეფეების, ხანების, დიდებულების ცხოვრების იდეალიზებას“, ასევე „ბურჟუაზიული დასავლეთელი დრამატურგების პიესების“ დადგმის გამო, სადაც „ღიად ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ შეხედულებებსა და მორალს“.

1946 წლის 4 სექტემბერს გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება, რომელიც ეძღვნებოდა რამდენიმე კინოფილმის კრიტიკა. ეს იყო:

– ლ.ლუკოვის „დიდი ცხოვრება“ (მე-2 სერია). ის ეძღვნებოდა ომის შემდეგ დონბასის აღდგენას. ფილმი გააკრიტიკეს „პარტიული მუშაკების ყალბად წარმოდგენის“ გამო, ასევე არ იყო ნაჩვენები „თანამედროვე დონბასი მისი მოწინავე ტექნიკითა და კულტურით, რაც სტალინური ხუთწლედების განმავლობაში შეიქმნა“.

– ვ. პუდოვკინის „ადმირალი ნახიმოვი“.

– ს. ეიზენშტეინის „ივანე მრისხანე“ (მე-2 სერია). სტალინის აზრით, ამ ფილმში შეიქმნა მეფის ყალბი სახე – გაუბედავისა და სუსტი ხასიათის, არასწორი, ნეგატიური ფორმით იყო წარმოდგენილი ოპრიჩნინა. ზოგის აზრით, ამ ფილმში სტალინმა პარალელები დაინახა საკუთარ მმართველობასთან.

გააკრიტიკეს კინორეჟისორები გ. კოზინცევი, ლ. ტრაუბერგი და სხვები.

სტალინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კინემატოგრაფი მხოლოდ „შედევრებს“ უნდა ქმნიდეს. შედეგად, ყოველწლიურად გამოსული ფილმების რაოდენობა წელიწადში მხოლოდ 7 – 9-ს შეადგენდა.

პარტიული ხაზის დასაცავად სპეციალურად შეიქმნა ყოველკვირეული გამოცემა „კულტურა და ცხოვრება“, რომელმაც 1946 წლის ბოლოს მოითხოვა თეატრების რეპერტუარებიდან ყველა უცხოელი ავტორის პიესის ამოღება.

28.4. მუსიკა

1947 წლის ბოლოს მკაცრი იდეოლოგიური პრესი თავს დაატყდათ საბჭოთა მუსიკოსებს. საბაბი გახდა სამი ნანარმოების შესრულება, რომლებიც ხელისუფლების შეკვეთით ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავისთვის შეიქმნა: ს. პროკოფიევის მე-6 სიმფონია, ა. ხაჩატურიანის „პოემები“ და ვ. მურადელის ოპერა „დიდი მეგობრობა“. მურადელი გააკრიტიკეს იმიტომ, რომ 1918-1920 წლების ნარმოჩენისას ქართველი და ოსი წარმოადგინა რუსების მტრად, „მაშინ როდესაც ხალხთა მეგობრობას ჩრდილოეთ კავკასიაში ხელს უშლიდნენ ინგუშები და ჩეჩნები“.[1]

1948 წლის თებერვალში საკ კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საბჭოთა მუსიკაში დეკადენტური ტენდენციების შესახებ“. მასში მურადელი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ უგულებელყოფილი იყო კლასიკური ოპერისა და განსაკუთრებით რუსული კლასიკური ოპერის საუკეთესო ტრადიციები და გამოცდილება. გაკრიტიკებული იყვნენ სხვა კომპოზიტორებიც იმის გამო, რომ იდგნენ „ფორმალურ, ანტიხალხურ მიმართულებაზე“: ს, პროკოფიევი, დ. შოსტაკოვიჩი, ა. ხაჩატურიანი, ნ. მიასკოვსკი.

ეს ყოველივე არა მარტო აღარიბებდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას, არამედ მის იზოლირებასაც ახდენდა მსოფლიო კულტურის მიღწევებისგან. მიუხედავად დიქტატისა და იდეოლოგიური წნეხისა, იყო მიღწევებიც, პირველ რიგში, კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საქმეში.

28.5. განათლება

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ომის მიერ დანგრეული საგანმანათლებლო სისტემის აღორძინება. ის იწყებოდა სკოლების მშენებლობით. 1946-1950 წლებში აშენდა 18,5 ათასი სკოლის შენობა. განუხრელად იზრდებოდა მეცნიერებასა და განათლებაზე გამოყოფილი ხარჯები. ეს ხარჯები უკვე 1946 წელს წინა წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა. დაიწყო ომის მიერ შეწყვეტილი სავალდებულო 7-წლიანი განათლების პროგრამის რეალიზება. 1952 წელს სავალდებულო გახდა 7-წლიანი განათლება.

ეკონომიკის აღდგენის ამოცანა მოითხოვდა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების დიდ ოდენობას. 1946-1948 წლებში უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობამ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო სტუდენტთა რაოდენობის თვალსაზრისით ეს მაჩვენებელი 1947 წელს იქნა მიღწეული. ბევრი სწავლობდა შეთავსებით, წარმოებაში მუშაობასთან ერთად. 1948 წელს სტუდენტების ოდენობამ გადააჭარბა ომამდელ მაჩვენებელს.

მე-4 ხუთწლედის ბოლოს უმაღლეს სასწავლებლებში მომზადდა 652 ათასი ინჟინერი, მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი და სხვა სპეციალისტები, ხოლო საშუალო სპეცია-

[1] დადგენილების მიღების დროს ჩეჩნები და ინგუშები დეპორტირებულები იყვნენ.

ლური განათლება მიიღო 1 მილიონ 278 ათასმა ადამიანმა. 1953 წელს საბჭოთა კავშირში იყო 4,5 მილიონი ადამიანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით.

გაიზარდა მოსახლეობის განათლებისა და ინფორმირების შესაძლებლობები რადიო და ტელემაუწყებლობით. 1945 წელს საბჭოთა კავშირში იყო რამდენიმე ასეული ტელევიზორი, 1953 წელს კი – რამდენიმე ათეული ათასი.

28.6. სამეცნიერო დისკუსიები

ომის წლებში მეცნიერთა ცოდნა ხელისუფლებას დასჭირდა და მრავალი მათგანი პატიმრობიდან გაათავისუფლა. თანდათანობით, გარკვეულ ფარგლებში, ხდებოდა მეცნიერებაში თავისუფალი აზროვნების აღდგენა, რომლის გარეშეც საზოგადოება ვერ განვითარდება. შემოქმედებითი ატმოსფერო არ გამქრალა ომის შემდეგაც, როდესაც გაიშალა დისკუსიები ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს, ბიოლოგებს, ფიზიკოსებს, კიბერნეტიკოსებს, ეკონომისტებს შორის.

განსაკუთრებით ტიპური აღმოჩნდა დისკუსია ბიოლოგიის პრობლემების შესახებ. მისი ინიციატორი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი ტ. ლისენკო. პრესაში დაიწყო კრიტიკის კამპანია ფორმალური გენეტიკისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდებს ატარებდნენ „ბუზ-დროზოფილებზე". „ბუზების მოყვარულ – ადამიანის მოძულეთა" კრიტიკა იმით დამთავრდა, რომ 1948 წელს, აკადემიის სესიაზე, გააკრიტიკეს აკადემიკოსები ა. ჟებრაკი, პ.ჟუკოვსკი, ლ.ორბელი, ა.სპერანსკი, ი.შმალგაუზენი და მათი მიმდევრები (რამდენიმე ასეული ადამიანი). მასთან ერთად ხანგრძლივი დროით დაევიწყებას მიეცა გენეტიკა.

1950 წელს სტალინმა პირადად მიიღო მონაწილეობა ენათმეცნიერების შესახებ მიმდინარე დისკუსიაში. დისკუსიის დროს მან „მეცნიერულად დაასაბუთა" საბჭოთა კავშირში ურყევი და ძლიერი სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა. ამით უარყო მარქსის თეზისი იმის თაობაზე, რომ კომუნიზმისკენ წინსვლასთან ერთად კვდომას იწყებდა სახელმწიფო.

დისკუსია ისტორიულ მეცნიერებაში ფაქტობრივად დაყვანილ იქნა არსებული მდგომარეობის გამართლებაზე. ამ დისკუსიების დროს პროგრესულ მოღვაწეებად იქნენ მიჩნეული ივანე მრისხანე და მისი ოპრიჩნიკები. ეროვნული მოძრაობის ლიდერები (მაგალითად, შამილი) გამოცხადდნენ უცხოეთის მოსყიდულ აგენტებად. სრულად გამართლებულად და გარდუვალად გამოცხადდა იაკობინელთა ტერორი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. მრავალი სახელი და მოვლენა დიდი ხნით დაივიწყეს.

სასტიკად გააკრიტიკეს **გ. ალექსანდროვის** (1908-1961) წიგნი „დასავლეთევროპული ფილოსოფიის ისტორია" (1946). ალექსანდროვი იყო საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი და მისი ნაშრომის გაკრიტიკების შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მას ბრალი დასდეს იმაში, რომ ეგუებოდა იდეალისტურ, ბურჟუაზიულ და დეკადენტურ ფილოსოფიას და სათანადოდ არ აკრიტიკებდა მას.

დისკუსია პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე დაიწყო 1951 წლის ნოემბერში პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მომზადებასთან ერთად. ამ წიგნზე მუშაობა ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო. სტალინის დავალებით მას წერდა ცნობილი ეკონომისტი ლ. ლეონტიევი. ომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა, მაგრამ მომზადებული სახელმძღვანელოს არცერთი ვარიანტი სტალინს არ მოეწონა. 1950 წლის მაისში პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით სახელმძღვანელოს მომზადება დაევალა მეცნიერ-ეკონომისტთა ჯგუფს. ერთი წლის შემდეგ მომზადდა სახელმძღვანელოს მაკეტი, რომელიც დაეგზავნათ პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს, სპეციალისტებს. 1951 წლის 10 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე მიმდინარეობდა საკავშირო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 240 მეცნიერმა. დისკუსიის საფუძველზე მომზადდა წინადადებები სახელმძღვანელოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.



დისკუსიას სტალინი გამოეხმაურა და 1952 წელს გამოვიდა მისი ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში". ეს აღმოჩნდა სტალინის უკანასკნელი თეორიული ნაშრომი. სტალინი უარყოფდა საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერ გამოვლინებას და ასაბუთებდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ცხოვრების კიდევ უფრო მეტად გასახელმწიფოებრიობის აუცილებლობას. მასში ჩამოყალიბებული იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებულებაც: „ომების გარდუვალობის აღმოსაფხვრელად საჭიროა იმპერიალიზმის განადგურება".

სტალინმა ასევე უარყო მარქსიზმის კლასიკოსების ზოგიერთი დებულება. მაგალითად, არასწორად გამოაცხადა ენგელსის დებულება, რომლის თანახმადაც, სასაქონლო წარმოების ლიკვიდაცია სოციალისტური რევოლუციის პირველი პირობა უნდა გახდეს. სტალინი ამტკიცებდა, რომ სასაქონლო წარმოების კანონები მოქმედებენ სოციალიზმის დროსაც, მაგრამ ეს შეზღუდულ ხასიათს ატარებს.

სტალინმა უარყო ენგელსის დებულება, რომ ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების წაშლა დიდი ქალაქების დაღუპვას გამოიწვევდა.

წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით სტალინი აცხადებდა, რომ „წარმოების მოცულობა ამ ქვეყნებში შემცირდებოდა"

პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი (მოლოტოვი, მიქოიანი) არ იყვნენ დარწმუნებულნი სტალინის რიგი დებულებების სისწორეში. ეს გახდა მათთან სტალინის ურთიერთობების შემდგომი გაცივების მიზეზი.

იმდროინდელი ხელისუფლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დებულება საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის პირობებშიც კი. მოლოტოვის ინფორმაციით, სტალინი მუშაობდა ამ ნაშრომის მეორე ნაწილზე, მაგრამ მისი დამთავრება ვერ მოასწრო.

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო (1954) გადამუშავდა სტალინის დებულებების გათვალისწინებით. ეს იყო სოციალიზმის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის აპოლოგია და მისი თეორიული საფუძვლების სისტემატური გადმოცემა. ამ სახელმძღვანელომ თითქმის უცვლელად 1985 წლამდე იარსება.

ომის შემდგომ წლებში კულტურის არსი და მისი ამოცანები არსებითად დაიყვანეს საზოგადოების აზროვნების დამუშავებაზე პარტიული იდეოლოგიის დასამკვიდრებლად. მეცნიერების ამოცანა იყო თავდაცვითი ამოცანების გადაწყვეტა და ასევე „პარტიული მიმართულების" შენარჩუნება არა მხოლოდ ჰუმანიტარულ, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც.

ფაქტობრივად გამოირიცხა სამეცნიერო კონტაქტები დასავლეთის მეცნიერებთან. 1947 წლის მაისში „ღირსების სასამართლო" მოუწყვეს მეცნიერებს ნ. კლიუევასა და როსკინს, რომელთაც თითქოსდა ამერიკელებს გადასცეს კიბოს საწინააღმდეგო წამლის დამზადების საიდუმლო. სინამდვილეში, მათ ამერიკულ ჟურნალში გამოაქვეყნეს სტატია საკუთარი გამოკვლევის თაობაზე, რასაც შემდგომში პრაქტიკული შედეგები არ მოუტანია. შემდეგ მოეწყო სხვა „ღირსების სასამართლოები". შედეგად საბჭოთა მეცნიერებს ეშინოდათ არა მარტო რაიმეს დაბეჭდვისა დასავლეთში, არამედ დასავლეთელ კოლეგებთან შეხვედრისაც კი.

თავი XXIX.

„ცივი ომის“ სათავეებთან

29.1. რა იყო „ცივი ომი“

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებს იმედი ჰქონდათ, რომ დადგებოდა მშვიდობიანი დრო და უკეთესი ცხოვრება, გაგრძელდებოდა და გაფართოვდებოდა დასავლეთელ მოკავშირეებთან კარგი ურთიერთობები. ამავე დროს გრძნობდნენ სიამაყეს მოპოვებული გამარჯვებით და უძლეველად მიაჩნდათ საბჭოთა ქვეყანა. ასევე იმედოვნებდნენ, რომ ევროპაში მაინც დამყარდებოდა კომუნისტური წყობილება. მოსახლეობას სწამდა ასევე სტალინის სიბრძნისა და სწორი სახელისუფლო კურსის.

მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე, როდესაც გერმანული ფაშიზმის განადგურება მხოლოდ დროის საკითხი იყო, თავი იჩინა უთანხმოებამ, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირსა და, მეორე მხრივ, მის დასავლეთელ მოკავშირეებს შორის. ომის დროს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, პირველ რიგში, მეორე ფრონტის გახსნის დაგვიანების გამო. უკმაყოფილებას იწვევდა სხვა საკითხებიც, მაგრამ საერთო მიზანი – ფაშიზმის დამარცხება – აერთიანებდა კოალიციის მონაწილეებს.

მაგრამ, როდესაც მოკავშირეები შეუდგნენ ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკითხების განხილვას, სულ უფრო მკაფიოდ ვლინდებოდა განსხვავებული მიდგომები, რაც ომის დროს უკანა რიგში იყო გადაწეული.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მალევე იჩინა თავი წინააღმდეგობამ გამარჯვებულ ქვეყნებს შორის. ამ პერიოდს „ცივი ომი“ ეწოდა.[1] ეს იყო დაძაბული კონფრონტაციის მდგომარეობა კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის აშშ-ისა და საბჭოთა კავშირით სათავეში. დაპირისპირებამ, რომელიც 1945 წლის ბოლოს დაიწყო, თანდათან მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. იდეოლოგიური თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი მუდმივად გმობდა „ამერიკულ იმპერიალიზმს“, როგორც ყველა პროგრესული ძალის მთავარ მტერს.

თავის მხრივ, აშშ-ის ლიდერები და იდეოლოგები, ისევე როგორც მისი მოკავშირეები, საბჭოთა კავშირს უწოდებდნენ ტოტალიტარულ სისტემას და ბრალს სდებდნენ იმპერიულ-ექსპანსიონისტურ ზრახვებში და აქტიურად ნერგავდნენ ანტიკომუნისტურ განწყობას.

გაიარა ორმა-სამმა წელმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან და მსოფლიო გაიყო ორ მტრულ ბანაკად. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის გაჩაღდა შეჯიბრი გამალებულ შეიარაღებაში.



„ცივი ომის“ მიზეზები იყო:

ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებს აღარ ჰყავდათ საერთო მტერი;

წინააღმდეგობა კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის;

წინააღმდეგობა ტოტალიტარულ და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის;

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის სწრაფვა, დო-

[1] ტერმინი „ცივი ომი“ პირველად გამოიყენა ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა უ. ლიპმანმა, რომელიც მასში გულისხმობდა მწვავე ბრძოლასა და კონფრონტაციას, „ცხელი“ საშუალებების გამოყენების, ანუ უშუალო საომარი მოქმედებების გარეშე.

მინირებისთვის მიეღწიათ ომის შემდგომ მსოფლიოში;

დასავლეთის ქვეყნების მიერ კომუნისტური იდეოლოგიის მიუღებლობა, შიში „წითელი საფრთხის“ წინაშე;

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბება;

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ხელმძღვანელების (სტალინი და ტრუმენი) პოლიტიკური ამბიციები.

საგარეო პოლიტიკური კონფრონტაციის პოლიტიკას საბჭოთა კავშირში თან სდევდა რეპრესიების გაძლიერება ქვეყნის შიგნით და ყოველივე განსხვავებული აზრის ჩახშობა. ინერგებოდა ანტიდასავლური განწყობა, გმობდნენ დასავლურ ცხოვრების წესს, მწვავედ აკრიტიკებდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის იმ მოღვაწეებს, რომელთაც ბრალი ედებოდათ უცხოელების წინაშე „ქედის მოხრაში“.

მსგავსი პროცესი ვითარდებოდა დასავლეთში, საბჭოთა კავშირსა და კომუნისტებს აკრიტიკებდნენ აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში.

„ცივი ომის“ გაჩაღებაში საბჭოთა კავშირი და დასავლეთი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. უკანასკნელ წლებში კი ისტორიკოსთა უმრავლესობა „ცივი ომის“ მიზეზებს ეძებს გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების შეჯახებაში, იდეოლოგიურ დაპირისპირებაში.

„ცივ ომს“ თან ახლდა:

შეიარაღებაში შეჯიბრი და გაძლიერებული მზადება „ცხელი ომისთვის“;

მეტოქეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა და გარეშე მტრის ხატის შექმნა;

მსოფლიოში გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა;

- ლოკალური სამხედრო კონფლიქტები.

სტალინური ხელმძღვანელობის საგარეოპოლიტიკური კურსი (1945-1953)

აღმოსავლეთ ევროპაში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმების დამყარება.	აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალიზმის სტალინური მოდელის დანერგვა.
1948 წელი – საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ფინეთთან.	მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის აღიარება.
1949 წ. – საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა.	პირველი ნაბიჯი აშშ-თან სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტისკენ, გამალებული შეიარაღების დაწყება.
1950-1953 წწ. – ომი კორეაში.	„ცივი ომის“ „ცხელ“ ომად გადაზრდის რეალური შესაძლებლობის არსებობა

29.2. უთანხმოება მოკავშირეებს შორის

სტალინი რეალურად აფასებდა საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური სამყაროს ძალთა თანაფარდობას და არ ჰქონდა საერთაშორისო არენაზე სწრაფი გამარჯვების ილუზია. სტალინის აზრით (1945 წლის აპრილში, კერძო საუბარში ჯილასის თანდასწრებით გამოთქმული მოსაზრება), 10-15 წლის შემდეგ გარდუვალი იქნებოდა ომის განახლება საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამავე დროს, ხრუშჩოვის მოწმობით, სტალინის გარემოცვაში იმედოვნებდნენ, რომ ევროპა „მეორე მსოფლიო ომის კატასტროფის შემდეგ საბჭოთა გახდებოდა“. კერძოდ, მიაჩნდათ, რომ „ომის შემდგომ გერ-

მანიაში მოხდებოდა რევოლუცია და შეიქმნებოდა პროლეტარული სახელმწიფო... ასევე იმედს ამყარებდნენ საფრანგეთსა და იტალიაზე".

ასეთ ვარაუდებს გარკვეული საფუძველი გააჩნდა. კომუნისტური პარტიების წევრთა რაოდენობა დასავლეთში მეორე მსოფლიო ომის წლებში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. 1945-1947 წლებში კომუნისტები შედიოდნენ 13 ბურჟუაზიული მთავრობის შემადგენლობაში. იტალიასა და საფრანგეთში კი საერთოდ ახლოს იდგნენ ხელისუფლებაში მოსვლასთან.

საბჭოთა კავშირს ანუხებდა აშშ-ის ბირთვული მონოპოლია. იაპონიის წინააღმდეგ ატომური იარაღის გამოყენებით აშშ-მა მთელ მსოფლიოს და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირს აჩვენა თავისი სამხედრო-სტრატეგიული ძლიერება.

აშშ-ისა და ინგლისის ლიდერებს კი სერიოზულად აფიქრებდათ საბჭოთა არმიის სიძლიერე, რომელიც ყველაზე დიდი და ძლიერი იყო მსოფლიოში. მათ შეშფოთებას ისიც იწვევდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საბჭოთა კავშირი აღარ აღიქმებოდა მტრად, ფაშიზმზე გამარჯვებაში შეტანილმა წვლილმა გაზარდა სიმპათია საბჭოთა ქვეყნის მიმართ. ეს გამოიხატა კომუნისტური პარტიების წევრების რაოდენობის ზრდაში.

ამავე დროს ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ უპირატესობაში. ომის წლებში სამრეწველო პროდუქციის ნარმოება აშშ-ში 2,5-ჯერ გაიზარდა და 5-ჯერ მეტი იყო საბჭოთა კავშირის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

მიუხედავად წინააღმდეგობათა გაღრმავებისა, მოკავშირეებმა მოახერხეს რიგ საკითხებში თანამშრომლობა. მაგალითად, 1945 წლის ივნისში სან-ფრანცისკოში გამართულ კონფერენციაზე გადაწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბება. მოკავშირენი ერთიანი იყვნენ ნიუნბერგის პროცესის ჩატარების დროს, სადაც გაასამართლეს ნაცისტი დამნაშავეები.

საერთო პოზიცია ჰქონდათ ნაცისტური გერმანიის მოკავშირეებთან – იტალისთან, ფინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, რუმინეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებების გაფორმების დროს. ხელშეკრულებებს ხელი მოეწერა 1947 წლის 10 თებერვალს და ძალაში შევიდა 1947 წლის 15 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებების რატიფიცირება მოახდინეს საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა.

29.3. სტალინის სწრაფვა პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისკენ

საბჭოთა კავშირის ახალმა მდგომარეობამ, მისი საზღვრების გაფართოებამ, მძლავრი არმიის ყოლამ, მსოფლიოში საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდამ სტალინს გაუჩინა მისწრაფება, კიდევ უფრო განემტკიცებინა საბჭოთა კავშირის პოზიციები მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია ითვალისწინებდა:

1. „უსაფრთხოების სარტყლის" ფორმირებას საბჭოთა კავშირის საზღვრების გარშემო; კომუნისტური რეჟიმების შექმნას ევროპაში;
2. საბჭოთა გავლენის გავრცელებას მსოფლიოს ყველა რეგიონში.

პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წ. 17 ივლისი – 2 აგვისტო) სტალინმა მიაღწია პოლონეთ-გერმანიის საზღვრის დაფიქსირებას ოდერ-ნეისეზე და დიდი რეპარაციების დაკისრებას გერმანიაზე.

მაშინვე საბჭოთა წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს, საბჭოთა კავშირის ინტერესების შესაბამისად შეცვლილიყო შავი ზღვის სრუტეების რეჟიმი (მათ შორის მოითხოვეს იქ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნაც). 1945 წ. 7 ივნისს მოლოტოვმა ულტიმატუმი წარუდგინა თურქეთის ელჩს, შექმნილიყო ერთობლივი თურქეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზა ბოსფორისა და დარდანელის დასაცავად. განაცხადეს, რომ დაინტერესებულნი არიან, შეიცვალოს მართვის რეჟიმი სირიასა და ლიბანში, ასევე იტალიის ყოფილ აფრიკულ კოლონიებში.

1945 წლის სექტემბერში სტალინმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის, როგორც დიდი სახელმწიფოს, სტატუსი განმტკიცებულიყო მისთვის ტრიპოლიტანიაზე (ლიბია) პროტექტორატის გადაცემით.

1946 წლის თებერვალში მოლოტოვმა განაცხადა, რომ ამიერიდან საერთაშორისო ცხოვრების არცერთი საკითხი არ უნდა გადაწყვეტილიყო საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე.

საბჭოთა ჯარები რჩებოდნენ თავრიზის მხარეში და იქ ირანის აზერბაიჯანის ავტონომიის შექმნა იგეგმებოდა. მხოლოდ დასავლეთის სერიოზული ზეწოლის შედეგად, 1946 წლის მარტში საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ირანი.

ირანსა და თურქეთზე ზეწოლამ მოსკოვისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, ეს ორი ქვეყანა აშშ-ის მოკავშირეებად აქცია.

29.4. საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს საბჭოთა კავშირმა მოთხოვნები წაუყენა თურქეთს. ეს იყო ტერიტორიული პრეტენზია – აღდგენილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის საზღვარი, ანუ თურქეთს საბჭოთა კავშირისთვის უნდა გადაეცა ის ტერიტორია, რომელიც 1921 წლის შეთანხმებით ლენინმა გადასცა ათათურქს. ეს იყო საქართველოსა და სომხეთის ისტორიული მიწების ნაწილი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი ითხოვდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ერთობლივ კონტროლს და იქ საბჭოთა სამხედრო ბაზის შექმნას.[1]

1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირმა დენონსაცია მოახდინა თურქეთთან 1925 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა. 1945 წლის 22 ივნისს თურქეთმა უარით უპასუხა საბჭოთა კავშირის მოთხოვნებს. თურქეთმა ეს დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედით გააკეთა. თურქეთთან საბჭოთა კავშირის მოთხოვნების საკითხი განიხილეს პოტსდამის კონფერენციაზეც.

თურქეთისგან ტერიტორიის დაბრუნების მოთხოვნამ გარკვეული დაპირისპირება ნარმოშვა სომხეთსა და საქართველოს შორის. თურქეთისგან მოთხოვნილი 26 ათასი კვ. კმ. ტერიტორიიდან სომხეთს მიაჩნდა, რომ 20.500 კვ. კმ. მას უნდა გადასცემოდა. ამან საქართველოში უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც საქმე ეხებოდა საქართველოს ისტორიულ მინებს. თბილისმა გაყოფის სხვა გეგმა წამოაყენა – საქართველოს 12.760 კვ. კმ., სომხეთს – 13.190 კვ.კმ.

განხილვის პროცესში ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ გაიზარდა – სომხეთი მოითხოვდა იმ ტერიტორიას, რაც მას სევრის ზავის პირობებით უნდა გადასცემოდა, საქართველოში კი მიაჩნდათ, რომ თურქეთს უნდა დაებრუნებინა საქართველოს ყველა ისტორიული პროვინცია და ასევე მთელი ლაზეთი.

1946 ნ. 7 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა თურქეთს ნოტით მიმართა, მოსკოვი მოითხოვდა, რომ სრუტეები შავი ზღვის სახელმწიფოებს ერთობლივად გაეკონტროლებინათ. თურქეთმა ეს უარყო დასავლეთელი მოკავშირეების იმედად.

საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი ნახსენებია ჩერჩილის ფულტონის სიტყვაში. შეერთებულმა შტატებმა ტრუმენის დოქტრინის ფარგლებში თურქეთს დიდი დახმარება გაუწია. 1952 წელს თურქეთი ნატოში შევიდა.

საბჭოთა კავშირმა მიზანს ვერ მიაღწია. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 ნ. 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ხსნიდა ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთისადმი.

[1] გარკვეულწილად ეს იყო პასუხი თურქეთის მტრულ პოზიციაზე საბჭოთა კავშირისადმი 1941-1942 წლებში, როდესაც გერმანიის ჯარები კავკასიაში შემოიჭრნენ.



საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში.

29.5. საბჭოთა ექსპანსიის შეკავების პოლიტიკა

საბჭოთა ექსპანსიონიზმის პარალელურად აშშ და დიდი ბრიტანეთი აძლიერებდნენ „საბჭოთა ექსპანსიის" შეკავების პოლიტიკას. 1945 წლიდან მუშავდებოდა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებზე ბირთვული დარტყმების მიყენების გეგმები. 1945 წლის სექტემბერში ამერიკელი სამხედროები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო მიეღოთ პირველი, პრევენციული დარტყმის სტრატეგია. თავდაპირველად საჭიროდ მიიჩნიეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 20 მნიშვნელოვანი მიზნის შერჩევა ატომური ბომბარდირებისათვის.

1945 წლის დეკემბრისათვის აშშ-ში უკვე შემუშავებული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გეგმა, რომელიც სამრეწველო ცენტრების ბომბარდირებას ითვალისწინებდა.

1946-1949 წლებში შემუშავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ახალი, მოდიფიცირებული გეგმები: „პინჩერი" (1946), „ბროილერი" (1947), „გრაბერი", „ფლიტვუდი", „დროპშოტი", „ოფტეკლი" და სხვ.

„ფლიტვუდის" თანახმად (1948 წლის სექტემბერი), გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის 70 ქალაქში 133 ატომური ბომბის ჩამოგდება (8 – მოსკოვში, 7 – ლენინგრადში), ომის გაჭიანურების შემთხვევაში კი ჩამოგდებული ატომური ბომბების რაოდენობა 200-მდე უნდა გაზრდილიყო. ამას მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის მრეწველობის 40%-ის დანგრევა და 7 მილიონი ადამიანის დაღუპვა.

1949 წლის დასაწყისში შედგენილი „დროპშოტის" გეგმა ითვალისწინებდა ომის დაწყებას 1957 წლისათვის. ომის მოგება იგეგმებოდა 2-4-კვირიანი ინტენსიური ატომური დაბომბვის შედეგად. ამას უნდა მოჰყოლოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ოკუპაცია და 5 ზონად გაყოფა. საბჭოთა კავშირში შესაძლო მსხვერპლი 65 მილიონ ადამიანს მიაღწევდა.

ატომურ ომამდე საქმე, საბედნიეროდ, არ მისულა. ამერიკელებს არ გააჩნდათ ის უპირატესობა, რომელიც სურდათ, რომ ჰქონოდათ ომის დაწყების შემთხვევაში, გარდა ამისა, 1949 წლიდან საბჭოთა კავშირი ატომური იარაღის მფლობელი გახდა. დემოკრატი-

ასა და ტოტალიტარიზმს შორის დამყარებული სამხედრო ბალანსი მშვიდობის შენარჩუნების მთავარი გარანტი გახდა.

1952 წლის 4 სექტემბერს ფილადელფიაში, თავისი პრეზიდენტობის პირველ წელს, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა: „თანამედროვე ომში განცდილი მარცხი უფრო საშინელი არ შეიძლება იყოს, ვიდრე მასში მიღწეული გამარჯვება. მესამე მსოფლიო ომში გამარჯვების ერთადერთი გზა – მისი თავიდან აცილებაა"

29.6. ჩერჩილის სიტყვა ფულტონში და სტალინის პასუხი

1946 წლის 5 მარტს დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა ფულტონში (აშშ) პრეზიდენტ ტრუმენის თანდასწრებით წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მოწმობდა ღრმა კრიზისის არსებობას საბჭოთა კავშირსა და მის დასავლეთელ მოკავშირეებს შორის ურთიერთობაში.[1]

ჩერჩილმა თავისი სიტყვა 1500 მსმენელის წინაშე წარმოთქვა, სიტყვა 15 წუთსა და 33 ნამს გრძელდებოდა, მაგრამ ამ სიტყვამ მსოფლიო გაყო როგორც სივრცეში, ორ ბანაკად, ისე დროში – უკან დარჩა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, წინ იყო სამხედრო შეჯიბრი ბირთვული ომის ზღვარზე.

სიტყვის პირველ ნაწილში ჩერჩილმა აღიარა აშშ-ის ლიდერობა „თავისუფალი ქვეყნების სამყაროში". ჩერჩილს ატომური იარაღის ფლობაზე მონოპოლია მიაჩნდა მშვიდობის გარანტიად. სიტყვის მეორე ნაწილში ჩერჩილმა საბჭოთა კავშირს უწოდა „საერთაშორისო სიძნელეთა მიზეზი", ბრალი დასდო ექსპანსიონიზმში.

ჩერჩილმა თავის სიტყვაში გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა"[2], რომელმაც ევროპა და მსოფლიო გაყო „კომუნიზმსა" და „თავისუფალ სამყაროს" შორის. ჩერჩილის გამოსვლას ფულტონში ბევრი მიიჩნევს „ცივი ომის" დასაწყისად.

საბჭოთა კარიკატურა ფულტონში ჩერჩილის სიტყვაზე.

ჩერჩილის სიტყვის თავდაპირველი სახელწოდება იყო „მშვიდობა მთელ მსოფლიოში" (ინგლ. *World peace*).

სტალინის ბრალდება „ინგლისურ-საქსონური რასიზმის" თაობაზე წამყვანი თემა გახდა საბჭოთა პროპაგანდისთვის 1940-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1950-იანი წლების დასაწყისში.

---

[1] 1945-1946 წლების ზამთარი ჩერჩილმა ექიმების რჩევით აშშ-ში გაატარა და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ტრუმენთან. 1945 წლის დეკემბერში კი ვესტმინსტერის კოლეჯმა ფულტონში ჩერჩილი მიიწვია ლექციის წასაკითხად საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ჩერჩილი იმ პირობით დასთანხმდა, თუკი მის ლექციას ტრუმენი დაესწრებოდა. ფულტონში ისინი მატარებლით ნავიდნენ და გზაში ჩერჩილმა გააცნო თავისი გამოსვლის ტექსტი. ტრუმენის მეფასებით, სიტყვა დიდ აურზაურს გამოიწვევდა, მაგრამ დადებით შედეგებს მოიტანდა. ტრუმენს ისიც ანყობდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლო მონოდებით ჩერჩილი გამოვიდოდა, რომელიც ამ დროისათვის კერძო პირი იყო და არავის წარმოადგენდა.

[2] ტერმინი „რკინის ფარდა" გამოყენებული იყო გებელსის სტატიაში, რომელიც გაზეთ „რაიხში" გამოქვეყნდა 1945 წლის 24 თებერვალს.

ჩერჩილის სიტყვის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „პრავდამ“ 11 მარტს გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია „ჩერჩილი იარაღს აყლარუნებს“, შემდეგ კი, 14 მარტს იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ სტალინთან. ჩერჩილის სიტყვაზე საბჭოთა პრესაში უკვე იყო კომენტარები გაკეთებული და ბელადს შეეძლო არაფერი ეთქვა, მით უმეტეს, რომ თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში სტალინი იშვიათად გამოდიოდა ხოლმე. ჩერჩილისადმი გაცემულ პასუხში კი სტალინი კიდევ უფრო მკაცრი იყო.


ПРАВДА

Орган Центрального Комитета и МК ВКП(б)

Интервью тов. И. В. Сталина с корреспондентом относительно речи г. Черчилля

стალინმა ყოფილი მოკავშირე შეადარა ჰიტლერს, მისი სიტყვა შეაფასა, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისაკენ მოწოდება და ბრალი დასდო „ანგლო-საქსური რასის“ ბატონობისკენ მისწრაფებაში. სტალინის პასუხმა ყველასთვის ცხადი გახადა – საბჭოთა კავშირმა მიიღო გამოწვევა და ძალისმიერ ზეწოლას ანალოგიურ პასუხს გასცემდა.

სტალინის გამოსვლა საბჭოთა მოქალაქეების უმრავლესობამ შეშფოთებით აღიქვა – ჯარი დემობილიზაციას ელოდა, მოქალაქეები – მშვიდობას.

ამავე დროს ვრცელდებოდა ხმები სტალინის ავადმყოფობის შესახებ. 1945 წლის ოქტომბერში სტალინი შვებულებაში გავიდა, რაც დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა.

1946 წლის თებერვლის დასაწყისში სტალინი გამოვიდა ვრცელი სიტყვით, რომელშიც ერთი კეთილი სიტყვაც არ უთქვამს დასავლეთელ მოკავშირეებზე, საბჭოთა მშრომელებს კი მრეწველობის გასამმაგებისკენ მოუწოდა.

ჩერჩილის სიტყვასთან ერთად, ვითარების საფუძვლიანი ანალიზი მოცემული იყო მოსკოვში აშშ-ის ელჩის ჯორჯ კენანის წერილში. 1946 წლის 22 თებერვალს მან თეთრ სახლში გააგზავნა 8 ათასი სიტყვისგან შემდგარი დეპეშა. კენანის შეფასებით, საბჭოთა კავშირი, რომელიც ემყარებოდა რუსულ ნაციონალიზმს, ესწრაფოდა, დაენგრია ამერიკული საზოგადოების ჰარმონია, მოუწოდებდა, ეჩვენებინათ ტოტალიტარიზმის ნამდვილი სახე და მასთან ურთიერთობები მინიმუმამდე დაეყვანათ. შემდეგ ჟურნალ „ფორინ აფერსში“ გამოაქვეყნა სტატია ფსევდონიმით და იქ გადმოსცა „ცივი ომის“ სტრატეგია.

29.7. „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“ და საბჭოთა კავშირი

1947 წლის მარტში აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა ჩამოაყალიბა კონკრეტული პროგრამა „საბჭოთა ექსპანსიისგან ევროპის გადასარჩენად“ („ტრუმენის დოქტრინა“). პროგრამა ითვალისწინებდა:

– ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დახმარების გაწევას ევროპის ქვეყნებისათვის;

– აშშ-ის ხელმძღვანელობით დასავლეთის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნას (ეს გახდა 1949 წელს შექმნილი ნატო);

– საბჭოთა საზღვრების ახლოს ამერიკული ბაზების ქსელის შექმნას (პირველ რიგში თურქეთსა და საბერძნეთში);

– აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შიდა ოპოზიციის მხარდაჭერას;

– აუცილებლობის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების გამოყენებას საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ტრუმენის დოქტრინის მიზნებად დასახელდა:

- არ დაეშვათ საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროსა და კომუნისტური იდეოლოგიის შემდგომი გავრცელება (სოციალიზმის შეკავების დოქტრინა);
- საბჭოთა კავშირის იძულება, დაბრუნებოდა თავის ძველ საზღვრებს (სოციალიზმის უკუგდების დოქტრინა).

დასავლეთის ეს ზომები და საჯაროდ გამოთქმული გეგმები საბჭოთა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისკენ მოწოდებად.

აშშ-ის ახალი კურსის ერთ-ერთი გამოვლინება გახდა 1947 წელს გამოცხადებული „მარშალის გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა აშშ-ის მიერ ფართომასშტაბიანი დახმარების გაწევას ომით დაზარალებული ევროპის ქვეყნებისათვის.

ჯ. კ. მარშალი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო. გეგმა წამოყენებულ იქნა 1947 წლის ივნისში, ძალაში შევიდა 1948 წლის აპრილში. ის ფორმალურად საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებსაც შესთავაზეს, მაგრამ მოელოდნენ, რომ უარს იტყოდნენ და ასეც მოხდა.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ არა მარტო არ მიიღო ეს დახმარება, არამედ ზეწოლაც მოახდინა თავის მოკავშირეებზე, რომელთაც (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია) ინტერესი გამოავლინეს ამ პროგრამისადმი. ამ ყველაფერს ევროპა გათიშვისაკენ მიჰყავდა. სტალინმა ჩათვალა, რომ ამერიკელებს უნდოდათ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში ჩართვა და მათი ვაჭრობის თავიანთი ინტერესებისთვის დაქვემდებარება.

16 ქვეყანამ, რომელთაც მიიღეს „მარშალის გეგმა", 4 წლის განმავლობაში მიიღეს 12,4 მილიარდი დოლარის ღირებულების მასობრივი მოხმარების საგნები. ამერიკული დახმარების მიღების აუცილებელი პირობა იყო მიმღები ქვეყნის მთავრობიდან კომუნისტების გაძევება, თუკი ისინი შედიოდნენ მთავრობაში.

„მარშალის გეგმა" არ მიიღეს საბჭოთა კავშირმა, „სახალხო დემოკრატიის" ქვეყნებმა და ფინეთმა.

29.8. რეპარაციების ამოღება გერმანიიდან

პოტსდამში შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირი რეპარაციებს მიიღებდა აღმოსავლეთ გერმანიიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გერმანული აქტივების ამოღებით.

სულ რეპარაციის სახით წამოღებულმა ნივთებმა 400 ათასი სარკინიგზო ვაგონი შეადგინა. მათ შორის იყო 2885 ქარხანა, 96 ელექტროსადგური, 340 ათასი დაზგა, 200 ათასი ელექტროსადგური, 1 მლნ. 335 ათასი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 2,3 მლნ. ტონა ფქვილი, 1 მლნ ტონა კარტოფილი და ბოსტნეული, 20 მლნ. ტონა სპირტი, ბერლინის მეტროს ვაგონები, საკრუიზო საზღვაო ლაინერები და ა. შ.

აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობისგან კონფისკებული იქნა 60 ათასი როიალი, 460 ათასი რადიომიმღები, 190 ათასი ხალიჩა, 940 ათასი ავეჯის საგანი, 265 ათასი კედლი-

სა და მაგიდის საათი, 1,2 მილიონი ქალისა და კაცის პალტო, 1 მლნ. ქუდი, 186 ვაგონი ღვინო, 72 ათასი ვაგონი სამშენებლო მასალა.

რეპარაციების მიღება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან შეწყდა 1954 წელს. მთლიანობაში საბჭოთა კავშირში გატანილ იქნა 15,8 მილიარდი დოლარის საქონელი.

გარდა რეპარაციებისა, საბჭოთა კავშირში მუშაობდა 3,4 მილიონი გერმანელი სამხედრო ტყვე. 1944-1947 წლებში დამატებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან გაიყვანეს 284 ათასი გერმანელი, 60 ათასი რუმინელი და 56 ათასი ფინელი. ყველანი სამოქალაქო პირები იყვნენ და მათ საბჭოთა კავშირში იძულებით ამუშავებდნენ.

საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვან სარგებელს ღებულობდა თავის სატელიტებთან ვაჭრობის დროსაც. საბჭოთა კავშირი მათ საქონელს მსოფლიო საბაზრო ფასებზე მაღალი ფასით აწვდიდა, მათგან საქონელს კი დაბალი ფასებით იღებდა. ამ გზით 1945-1953 წლებში აღმოსავლეთ ევროპიდან ვაჭრობით საბჭოთა კავშირის მოგებამ 14 მილიარდი დოლარი შეადგინა. შედარებისთვის: ლენდ-ლიზით საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული დახმარება 11 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

თავი XXX.

სოციალიზმის სტალინური მოდელის გავრცელება

30.1. კომუნისტური რეჟიმების დამკვიდრება ევროპისა და აზიის ქვეყნებში

თავიდან სტალინი იმედოვნებდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ფაშისტური ოკუპაციიდან გათავისუფლების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მაშინვე მოვიდოდნენ კომუნისტები, მაგრამ ასე მხოლოდ იუგოსლავიასა (1945) და ალბანეთში (1946) მოხდა. დანარჩენ ქვეყნებში კი პროცესი ორ ეტაპად წარიმართა.

პირველი ეტაპი გრძელდებოდა 1947 წლის შუახანებამდე. სახელმწიფოებრივი მონყობის ძირითადი მოდელი იყო „სახალხო დემოკრატია". მას საფუძვლად ედო „სოციალიზმის დამყარების ეროვნული გზების" კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, სოციალიზმისკენ სვლა უნდა მომხდარიყო თანდათანობით, ევოლუციურად, სამოქალაქო მშვიდობისა და კლასთა შორის კავშირის გზით. გამორიცხავდნენ სამოქალაქო ომს და „პროლეტარიატის დიქტატურას". ეკონომიკაში უარყოფილი იყო ძალადობრივი ექსპროპრიაციის საბჭოური პრაქტიკა.

„ცივმა ომმა" თავისი კორექტივები შეიტანა ამ გეგმებში. 1947 წლის შუახანებიდან კომუნისტებმა პოზიციები დაკარგეს საფრანგეთში, იტალიასა და ფინეთში, კომუნისტები დამარცხდნენ საბერძნეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში. სტალინს შეეშინდა, რომ პოზიციებს დაკარგავდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც და კურსი აიღო ამ ქვეყნებში „სოციალიზმისკენ მიმავალი" სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ფორსირებაზე.

ბულგარეთში 1946 წლის ნოემბერში **გიორგი დიმიტროვმა** ჩამოაყალიბა კომუნისტური მთავრობა, ხოლო 1947 წლის ზაფხულში მიიღეს კონსტიტუცია, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებდა საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციას.

1947 წლის იანვარში პოლონეთის პრეზიდენტი გახდა კომუნისტი **ბ. ბერუტი.** 1947 წლის აგვისტოში კომუნისტებმა გაიმარჯვეს უნგრეთში. 1947 წლის დეკემბერში რუმინეთის მეფე მიხაი, რუმინეთში მყოფი საბჭოთა ჯარების სარდლობის ზეწოლით, ტახტიდან გადადგა და ხელისუფლება კომუნისტებს გადასცა. 1948 წლის თებერვალში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა ჩეხოსლოვაკიაში. 1948 ნელს პროსაბჭოური რეჟიმი დამყარდა ჩრდილოეთ კორეაში, 1949 წელს კომუნისტებმა გაიმარჯვეს ჩინეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში.

1949 წლის დეკემბერში მაო ძე დუნი მოსკოვში ჩავიდა. სტალინი მას ცივად შეხვდა. სტალინის ადრინდელი გათვლებით, ჩინეთში გომინდანის ხელისუფლება შენარჩუნდებოდა, კომუნისტები კი ჩინეთის ნაწილს გააკონტროლებდნენ. ახლა კი მას საქმე ჰქონდა უდიდეს კომუნისტურ ქვეყანასთან, რომელიც საბჭოთა კავშირს მოსახლეობის რაოდენობით რამდენჯერმე აღემატებოდა. მაო ძე დუნი აღიარებდა საბჭოთა კავშირის ლიდერობას, მაგრამ თვლიდა, რომ მოსკოვი არ უნდა ჩარეულიყო სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში. ცხადია, ეს სტალინს არ მოსწონდა. მაო 7 კვირა დარჩა მოსკოვში და მხოლოდ 1950 წლის თებერვალში გაემგზავრა ჩინეთში, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულება 1950 წ. 14 თებერვალს გაფორმდა. საბჭოთა კავშირმა შეინარჩუნა თავისი განსაკუთრებული სტატუსი მანჯურიაში, რასაც მაო გარკვეულ დამცირებად, „კოლონიურ შეჭრად" განიხილავდა. ხელშეკრულების მიხედვით, ჩინეთმა უარი თქვა მონღოლეთის მიმართ პრეტენზიებზე და აღიარა მისი დამოუკიდებლობა. თუმცა, საბჭოთა კავშირი გარკვეულ დათმობებზე წავიდა, შეცვალა 1945 წელს ჩან კაიშისთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები. ჩინეთს დაუბრუნდა მანჯურიის რკინიგზა, ხოლო არა უგვიანეს 1952 წლისა ჩინეთისთვის უნდა დაებრუნებინა დალიანი და პორტ-არტური.

სტალინმა მაოს აღუთქვა ტექნიკური მრჩევლების გაგზავნა, ასევე დახმარება – 300 მლნ დოლარი. მაოსთვის მნიშვნელოვანი იყო თავდაცვითი ხელშეკრულების გაფორმება, თუკი ჩინეთს იაპონია ან „სხვა ქვეყანა" დაესხმოდა თავს (აშშ არ იყო ნახსენები, მაგრამ „სხვა"-ში იგულისხმებოდა).

სოციალისტური ქვეყნების ლიდერებს სტალინი კარნახობდა ქცევის წესებს არა მხოლოდ საერთაშორისო არენაზე, არამედ საშინაო პოლიტიკის სფეროშიც. მათი მორჩილება აიხსნებოდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სიძლიერით და სოციალიზმის მშენებლობის მარქსისტული დოქტრინის ერთიანობით, არამედ საბჭოთა კავშირის მიერ გაწეული დიდი მატერიალური დახმარებითაც. 1945-1952 წლებში ამ ქვეყნებისათვის გაწეული მხოლოდ გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების ჯამმა შეადგინა 15 მილიარდი რუბლი (3 მილიარდი დოლარი).

სოციალისტური ბანაკისა და ევროპის სხვა ქვეყნების კომუნისტების დარაზმვის საშუალება იყო კომინფორმი („კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიურო"), რომელიც 1947 წლის სექტემბერში შეიქმნა. კომინტერნი სტალინმა 1943 წელს დაშალა და ახალ სტრუქტურას, გარკვეულწილად მისი ზოგიერთი ფუნქცია უნდა შეესრულებინა, კერძოდ კონსულტაციების გამართვა და ინფორმირება.



1945 წელს კომუნისტური რეჟიმები დამყარდა იუგოსლავიასა და ჩრდილოეთ ვიეტნამში, 1946 წელს – ალბანეთში. 1947 წელს ახალ ფაზაში შევიდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პროსაბჭოური ბლოკის ფორმირება. 1944-1948 ნლებში შექმნილი კოალიციური მთავრობების ნაცვლად ხელისუფლებაში მოვიდნენ კომუნისტები.

30.2. საბჭოთა ბლოკის ფორმირება

საბჭოთა ბლოკის ეკონომიკური საფუძვლების გაფორმება მოხდა 1949 წელს, როდესაც შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, ხოლო სამხედრო-პოლიტიკური ერთობა თავიდან მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკოორდინაციო კომიტეტის შექმნით.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1955 წელს შეიქმნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია.

„სოციალისტური ბანაკი" – იდეოლოგიური და პოლიტიკური ტერმინი, რომელსაც საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ ქვეყნებში იყენებდნენ „განვითარების სოციალისტურ გზაზე დამდგარი ქვეყნების აღსანიშნავად.

„სოციალისტური თანამეგობრობის" ფარგლებში დაუშვებელი იყო რაიმე „თვითმოქმედება". 1949-1952 წლებში „სოციალისტურ ბანაკში", სტალინის მიერ გაგზავნილი მრჩევლების ინიციატივითა და პირდაპირი მონაწილეობით, ჩატარდა „წმენდის" ორი ტალღა. ხელისუფლებაში მოვიდა ლიდერთა ახალი თაობა, რომლებიც ულაპარაკოდ ერთგულებდნენ სტალინს. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ადრინდელი მმართველები ან ციხეში ჩასვეს, ანდა დახვრიტეს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში სოციალიზმის სტალინური მოდელის დანერგვამ მთელი თავისი მრავალფეროვნებით (რეპრესიების ჩათვლით) კიდევ უფრო დარაზმა მათი ხელმძღვანელობა კრემლის გარშემო. სოციალიზმისაკენ მიმავალი სხვადასხვა გზის შესახებ (რომლის შესახებ თავის დროზე წერდა გიორგი დიმიტროვი) უკვე აღარავინ საუბრობდა.

სოციალიზმის 7 სტალინური პრინციპი:

1. პროლეტარიატის დიქტატურა;
2. საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების ძირითად საშუალებებზე. ყველა მსხვილი საწარმოს ექსპროპრიაცია;
3. ყველა ბანკის ნაციონალიზაცია და ერთ სახელმწიფო ბანკად შერწყმა;
4. ერთი ცენტრიდან ეკონომიკის გეგმიური წარმართვა;
5. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობა;
6. შეიარაღებული ძალების შექმნა რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად;
7. კონტრრევოლუციისა და უცხოეთის აგენტურის დაუნდობელი შეიარაღებული ჩახშობა.

30.3. სტალინის კონფლიქტი იუგოსლავიის ხელმძღვანელობასთან

იუგოსლავია ერთადერთი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა იყო, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა და სტალინისგან დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. იუგოსლავიასა და ალბანეთში კომუნისტები ხელისუფლებაში სტალინის დაუხმარებლად მოვიდნენ.

იუგოსლავიის ხელმძღვანელობის „ზედმეტი დამოუკიდებლობის" გამო 1948 წელს განხეთქილება მოხდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობაში.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაუარესება 1947 წლის ბოლოდან დაიწყო, როდესაც საბჭოთა ელჩმა ბელგრადში მოსკოვში გაგზავნილ ინფორმაციებში იუგოსლავიის ხელმძღვანელობას ბრალი დასდო მარქსიზმ-ლენინიზმის არსის უცოდინარობასა და ბელადიზმში.

დაპირისპირების მიზეზი იყო ტიტოს გეგმა შეექმნა ბალკანეთ-ადრიატიკის ქვეყნების კონფედერაცია. 1947 წლის ბოლოს ტიტომ გამოაცხადა, რომ აპირებდა ბალკანეთის ფედერაციის შექმნას. ჯერ უნდა გაერთიანებულიყო იუგოსლავია და ბულგარეთი, შემდეგ კი შეიძლება მას სხვა ქვეყნებიც შეერთებოდნენ. იგულისხმებოდა, რომ ფედერაციას ტიტო უხელმძღვანელებდა. 1948 წლის 28 იანვარს „პრავდამ" გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ ქვეყნებს ფედერაცია არ სჭირდებოდათ.

1948 წლის თებერვალში სტალინმა აუკრძალა იუგოსლავიას სამხედრო ბაზების შექმნა ალბანეთში. 1948 წლის 9 მარტს იუგოსლავიაში საბჭოთა ელჩმა მოსკოვს აცნობა, რომ ბელგრადი უარს ამბობდა, მიეწოდებინა ინფორმაცია იუგოსლავიის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ. ელჩი მოსკოვში გამოიძახეს სათათბიროდ და 1948 წლის 18 მარტს ტიტომ მიიღო მოლოტოვის დეპეშა. მასში ნათქვამი იყო, რომ ეკონომიკის შესახებ ინფორმა-

ციის არმიწოდება განიხილებოდა საბჭოთა კავშირის მიმართ უნდობლობისა და არამეგობრული დამოკიდებულების აქტად და ამის გამო იუგოსლავიიდან გაინვიეს ყველა საბჭოთა სპეციალისტი. 1948 წლის 27 მარტს ტიტოს გაეგზავნა წერილი მოლოტოვისა და სტალინის ხელმოწერით, რომელშიც იუგოსლავიის ხელმძღვანელობას ბრალი ედებოდა ანტისაბჭოური ხაზის გატარებაში, ოპორტუნისტულ შეცდომებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელოვანი დებულებების რევიზიაში.

1948 წლის თებერვალში საბჭოთა ელჩმა არ მოიწონა იუგოსლავიის მოქმედება, რომ ტიტომ მოსკოვთან შეუთანხმებლად გამოხატა თავისი პოზიცია ტრიესტთან დაკავშირებით.

1948 წლის მაისში ტიტომ უარყო საბჭოთა მოთხოვნა უკრაინაში, კომუნისტური პარტიების თათბირზე განეხილათ იუგოსლავიის კომპარტიაში არსებული სიტუაცია.

1948 წლის 29 ივნისს გამოცხადდა კომინფორმბიუროს რეზოლუცია, რომელიც იუგოსლაველ კომუნისტებს მოუწოდებდა, აეძულებინათ ქვეყნის ხელმძღვანელობა, რათა მათ ეღიარებინათ თავიანთი შეცდომები, გამოესწორებინათ ისინი, ანდა, თუკი ისინი ამას არ გააკეთებდნენ, წამოეყენებინათ ახალი, ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე მდგომი ხელმძღვანელობა.

1949 წლის ოქტომბერში სტალინმა დიპლომატიური ურთიერთობები განწვიტა იუგოსლავიასთან და მოახდინა მისი იზოლირება სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებისაგან.

1949 წლის 29 ნოემბერს „პრავდაში" გამოქვეყნდა კომინფორმის რეზოლუცია სათაურით: „იუგოსლავიის კომპარტია მკვლელებისა და ჯაშუშების ხელშია".

მოსკოვში მარშალი იოსეფ ბროზ ტიტო გამოაცხადეს „ჰიტლერულ-ტროცკისტულ აგენტად" და საბჭოთა პრესაში მასზე კარიკატურები ქვეყნდებოდა. ამტკიცებდნენ, რომ იუგოსლავიაში არსებობდა „ფაშისტური ტიპის ანტიკომუნისტური საპოლიციო რეჟიმი", ლაპარაკობდნენ „ტიტო-რანკოვიჩის სისხლიან ხროვაზე". ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, საბჭოთა სპეცსამსახურები ტიტოზე თავდასხმასაც ამზადებდნენ, რაც სტალინის სიკვდილის შემდეგ გაუქმდა.

„ცივი ომი“ „ცხელი ომის“ ზღვარზე

სტალინის მმართველობის პერიოდში „ცივი ომის“ კულმინაცია აღმოჩნდა 1949-1950 წლები. 1949 წლის აპრილში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. იმავე წელს საბჭოთა კავშირმა პირველად გამოსცადა ბირთვული იარაღი და ამით დაარღვია აშშ-ის ბირთვული მონოპოლია. საბჭოთა კავშირი გადავიდა ზესახელმწიფოს რანგში.

აღმოსავლეთ-დასავლეთის 1945-1952 წლების ურთიერთობის მთავარი გაკვეთილი ის იყო, რომ მკაცრი საგარეო პოლიტიკის გატარებით არავინ დარჩებოდა მოგებული და „ცივი ომი“ ადვილად შეიძლება გადაზრდილიყო „ცხელ“ ომში. ამის შეგნებამ წანამძღვრები შექმნა იმისათვის, რომ სტალინის მემკვიდრეებს კორექტივები შეეტანათ საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინაში.

31.1. ბერლინის კრიზისი და გერმანიის ორად გაყოფა

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი კვლავ ევროპის პრობლემებს ეკავა. 1948 წლის ზაფხულში გაჩაღდა ბერლინის პირველი კრიზისი, როდესაც საბჭოთა ჯარებმა ბერლინის ოკუპაციის დასავლური ზონების სრული ბლოკირება მოახდინეს. გერმანიის ოკუპაციის შემდეგ გამარჯვებულმა ქვეყნებმა გერმანია საოკუპაციო ზონებად დაყვეს. ბერლინი ოკუპაციის საბჭოთა ზონაში მოხვდა, ამიტომ ბერლინი ცალკე დაყვეს ოკუპაციის ზონებად. ასე აღმოჩნდა დასავლეთ ბერლინი (2 მილიონი მცხოვრებლით) დასავლეთელი მოკავშირეების ოკუპაციის ზონაში. საბჭოთა კავშირი ამით ვარაუდობდა, დასავლეთ ბერლინი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და იქ დასავლეთის ქვეყნების პოზიციების გაძლიერებისათვის შეეშალა ხელი.

ბერლინის რუკაზე გამოყოფილია ოკუპაციის ზონები. მარჯვნივ – საბჭოთა ზონაა; მარცხნივ კი – საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის საოკუპაციო ზონები, რომელთა გაერთიანების შემდეგ შეიქმნა დასავლეთ ბერლინი.

პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიაში მყოფი ყოფილ მოკავშირეთა ძალები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. აშშ და მისი მოკავშირეები იძულებული იყვნენ თითქმის ერთი წლის განმავლობაში დასავლეთ ბერლინი მოემარაგებინათ „საჰაერო ხიდის“ მეშვეობით (ავიაციის გამოყენებით). ყოველდღიურად დასავლეთ ბერლინს მიეწოდებოდა საჭირო სურსათი და მოხმარების საგნები, სულ 8 ათას ტონამდე ტვირთი, ქვანახშირისა და ბენზინის ჩათვლით. დასავლეთ ბერლინის 3 აეროპორტში ყოველ 3 წუთში ჯდებოდა დიდი ბრიტანეთის ან აშშ-ის თვითმფრინავი და ჩაჰქონდა ტვირთი. ასე გრძელდებოდა თითქმის 11 თვე. საბჭოთა ხელისუფალნი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და კრიზისიც ამით ამოიწურა. დასავლეთ ბერლინის ბლოკადა გრძელდებოდა 1948 წლის 24 ივნისიდან 1949 წლის 4 მაისამდე.

დასავლური კარიკატურა საბჭოურ მცდელობაზე, მიესაკუთრებინა ბერლინი.

1949 წლის 12 მაისს დასავლეთ გერმანიიდან გამოსულმა ყვავილებით შემკულმა სატვირთო მანქანების ქარავანმა გაიარა აღმოსავლეთ გერმანია და ბერლინში შევიდა

1949 წლის მაისში, ოკუპაციის დასავლური ზონების გაერთიანების და იქ არჩევნების ჩატარების შემდეგ, შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (პირველი კანცლერი გახდა კ. ადენაუერი). საპასუხოდ, 1949 წლის 7 ოქტომბერს ოკუპაციის საბჭოთა ზონაში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ასე გაიყო გერმანია ორ ნაწილად.

1951 წლის მარტ-ივნისში პარიზში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გასაფორმებლად. მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა და ნატოს ლიდერებმა მიიღეს ევროპის ხელახალი შეიარაღებისა და, პირველ რიგში, გერმანიის შეიარაღების გეგმა (1952).

ორად გაყოფილი გერმანია.

„ბერლინის კრიზისმა" გაამწვავა „ცივი ომი" და საბოლოოდ გაყო ევროპა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ (1949 წ. 7 ოქტომბერი) დაამთავრა საბჭოთა ტიპის რეჟიმების ფორმირება აღმოსავლეთ ევროპაში.

31.2. ნატოს შექმნა და საბჭოთა კავშირის ომისათვის მზადება

1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბლოკი, რომელშიც თავდაპირველად აშშ-სა და კანადასთან ერთად ევროპის 10 ქვეყანა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ისლანდია, დანია და ნორვეგია) შევიდა, შემდეგ დაემატა საბერძნეთი და თურქეთი, მოგვიანებით – ესპანეთი და გერმანია.

საბჭოთა კავშირი ჩაერთო ხანგრძლივ ბრძოლაში მოწინააღმდეგესთან, რომელიც მას რამდენჯერმე აღემატებოდა ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალით.

1940-იანი წლების ბოლოდან, დასავლეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო, საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანა შეიცვალა რემილიტარიზაციით. ამას ბიძგი მისცა კორეის ომმა. საავიაციო მრეწველობას დაევალა, 1953 წლისათვის გასულიყო წელიწადში 20 ათასი თვითმფრინავის გამოშვებაზე. სტალინის ბრძანებით, ავიაციას 59.400 თვითმფრინავი უნდა ჰყოლოდა.

1948 წლის მარტში საიდუმლო ექსპედიცია მოეწყო ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში. აინტერესებდათ, შეიძლებოდა თუ არა მოდრეიფე ყინულზე სამხედრო თვითმფრინავის დასმა და სანვავის შევსება, რათა მათ ატომური ბომბების მიტანა (რომელიც საბჭოთა კავშირს ჯერ არ ჰქონდა) აშშ-ის ტერიტორიამდე შესძლებოდათ.[1]

1950 წელს სამხედროებმა მოითხოვეს 1 ათასი მცირე სიშორის (600 კმ) და 2 ათასი საშუალო სიშორის (3000 კმ) რაკეტა. სასწრაფოდ იქმნებოდა პირველი საბჭოთა სტრატეგიული ბომბდამშენი ტუ-16, რომელსაც აშშ-ის ტერიტორიამდე მიღწევა შეეძლო.

1946 წლიდან 1953 წლამდე სამოქალაქო მრეწველობის სექტორი 34%-იდან 30%-მდე შემცირდა. 1950 წლის დასაწყისისთვის სამხედრო-სამრეწველო ხარჯებმა მთელი კაპიტალდაბანდებების 92% შეადგინა.

მილიტარიზაციაში ჩაერთნენ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები. საბჭოთა სამხედრო დოქტრინა 1950-იანი წლების დასაწყისში გულისხმობდა მძლავრი სატანკო მუშტით დასავლეთ ევროპის ოკუპაციას და ღა მანშზე გასვლას. შეტევის წინა რიგში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არმიები უნდა წასულიყო, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელიც 1952 წლიდან ჩართო სტალინმა სამხედრო მზადებაში.

1949 წ. 29 აგვისტოს ყაზახეთში, სემიპალატინსკის რაიონში პირველი საბჭოთა ატომური ბომბი ააფეთქეს, რომელიც ნაგასაკში ჩამოგდებული ამერიკული ბომბის კოპიო იყო. სტალინს ამის შესახებ არ განუცხადებია, უნდოდა ჯერ ბომბები დაეგროვებინა, მაგრამ დასავლეთში ამის შესახებ რადიოაქტიური ნალექით გაიგეს.

31.3. ომი კორეაში (1950-1953)

ორი დაპირისპირებული ძალის ყველაზე მწვავე შეჯახება 1950-იანი წლების დასაწყისში კორეაში მოხდა. ეს იყო „ცივი ომის" პერიოდის პირველი სამხედრო კონფლიქტი და მან აჩვენა, რომ „ცივი ომი" შეიძლება ადვილად გადაზრდილიყო შეიარაღებულ შეტაკებად. „ცივი ომი" კორეაში „ცხელ ომად" გადაიზარდა მსოფლიო ომად გადაქცევის რეალური საფრთხის შექმნით.



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორეა ორად იყო გაყოფილი: ჩრდილოეთ კორეაში კომუნისტები ბატონობდნენ კიმ ირ სენის ხელმძღვანელობით, სამხრეთ კორეა კი ამერიკელთა გავლენის ქვეშ იყო.

1948 წლის 16 თებერვალს გამოცხადდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დედაქალაქით ფხენიანში, 1948 წლის 15 აგვისტოს კი სეულში გამოცხადდა კორეის რესპუბლიკა.

1950 წელს კორეა საბჭოთა და აშშ-ის ჯარებმა დატოვეს. კორეის ორივე რეჟიმი ერთმანეთს ქვეყნის გაერთიანებით ემუქრებოდნენ.

კიმ ირ სენი 1940-1945 წლებში საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და წითელი არმიის კაპიტანი იყო. 1948 წლიდან მრავალჯერ სთხოვა სტალინს ომის დაწყების ნებართვა „ქვეყნის გასაერთიანებლად". ჩინეთში კომუნისტების გამარჯვების, პირველი საბჭოთა

[1] ამ დროისათვის საბჭოთა კავშირს სტრატეგიული ბომბდამშენები არ ჰყავდა.

ატომური ბომბის გამოცდის და სამხრეთ კორეიდან ამერიკელთა წასვლის შემდეგ, სტალინმა გადაწყვიტა გაერისკა. ჩინეთის კომუნისტ ლიდერთან, მაოსთან მოთათბირების შემდეგ, 1950 წლის 9 თებერვალს სტალინმა ნება დართო კიმ ირ სენს ომისთვის მომზადებულიყო. ჩრდილოეთ კორეას დიდი ოდენობით შეიარაღება მიეწოდა. ჩრდილოეთ კორეას სამხრეთზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა – სახმელეთო ჯარით და არტილერიით ორჯერ აღემატებოდა, ტანკებით – 6,5-ჯერ, თვითმფრინავებით კი – 6-ჯერ.

1950 წელს კიმ ირ სენის ჯარები სამხრეთ კორეაში შეიჭრნენ, რამდენიმე დღეში თითქმის მთელი სამხრეთ კორეა დაიკავეს, მაგრამ აშშ-ის ჩაბმამ ომში ძალთა თანაფარდობა შეცვალა, ახლა უკვე სამხრეთკორეელებმა შეუტიეს და კორეელი კომუნისტების ხელში კორეის მცირე მონაკვეთი დარჩა, ჩინეთის საზღვრის გასწვრივ. ომი კომუნისტების მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ 1950 წლის ნოემბრიდან ომში „ჩინელი მოხალისეები" ჩაებნენ, რომელთაც საბჭოთა კავშირი აიარაღებდა. კორეაში მოულოდნელად 500 ათასი ჩინელი მებრძოლი შევიდა. მათ ამერიკელებსა და მის მოკავშირეებს უკან დაახევინეს.

კონფლიქტში გაეროს თანხმობით მონაწილეობა მიიღეს ამერიკის ჯარებმა.[1] ამერიკელი სამხედროები აპირებდნენ ატომური იარაღის გამოყენებასაც,[2] რაც არ გააკეთეს იმის შიშით, რომ საბჭოთა კავშირი იმავეს მოიმოქმედებდა. ტრუმენს არც ჩინეთისთვის გამოუცხადებია ომი.

1950 წლის ნოემბრიდან საომარ მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის 64-ე გამანადგურებელთა კორპუსი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის გმირი, ი. კოჟედუბი ხელმძღვანელობდა. კორეის ომის განმავლობაში მათ ჩამოაგდეს 1309 თვითმფრინავი, კიდევ 212 თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ გაანადგურა. საბჭოთა კორპუსმა კი 335 თვითმფრინავი დაკარგა.

აშშ-ის მიერ დაწყებულმა ჩრდილოეთ კორეის მასიურმა დაბომბვებმა (ნაპალმის ბომბებიც გამოიყენეს) მათ ვერ მოუტანა სამხედრო წარმატება, სამაგიეროდ გამოიწვია ანტიამერიკული განწყობის ზრდა აზიაში. ეს კი აქტიურად გამოიყენა საბჭოთა ხელმძღვანელობამ. კორეაში ამერიკელებმა იმაზე მეტი ბომბი ჩამოაგდეს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიასა და იაპონიაში ერთად აღებული.

ფრონტის ხაზის 38-ე პარალელზე დაფიქსირების შემდეგ კონფლიქტმა დაკარგა ადრინდელი სიმწვავე და პოზიციური ხასიათი მიიღო. დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, რაც მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წლის 27 ივლისს სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებით დამთავრდა.

კორეის ომში დაიღუპა 57 ათასი ამერიკელი სამხედრო, მისმა მოკავშირე 15 ქვეყანამ („გაეროს დროშით" მონაწილეობდნენ) – 3,1 ათასი, სამხრეთ კორეის არმიამ – 1,3 მილიონი, ჩრდილოეთ კორეის არმიამ – 520 ათასი, ჩინეთის არმიამ – 900 ათასი. კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლმა 3 მილიონი ადამიანი შეადგინა. ომში დაიღუპა 315 საბჭოთა სამხედროც.

---

[1] საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდა უშიშროების საბჭოს სხდომებს და ვეტოს უფლებაც ვერ გამოიყენეს, როდესაც ამერიკელებმა გაეროში ჩრდილოეთ კორეის საწინააღმდეგო რეზოლუცია შეიტანეს. გაეროში ყველამ დაგმო ჩრდილოეთ კორეა და მხოლოდ ერთმა ქვეყანამ – იუგოსლავიამ შეიკავა თავი.

[2] 1950 წლის 30 სექტემბერს პრეზიდენტმა ტრუმენმა განაცხადა, რომ განიხილავს კორეაში ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას.

კორეის ომს მოჰყვა აშშ-ის სამხედრო ძალის ზრდა. 1952 წლის ნოემბერში ამერიკელებმა გამოსცადეს 10,5 მეგატონი სიმძლავრის თერმობირთვული იარაღი. სამი წლის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო ხარჯები 4-ჯერ გაიზარდა. იაპონიასა და ტაივანზე ამერიკელთა სამხედრო ყოფნა მუდმივი გახდა.

31.4. მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობის გააზრების დასაწყისი

როგორც ორთოდოქსი მარქსისტი, სტალინი გარდუვალად მიიჩნევდა იმპერიალიზმის კრახს. ნიგნში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში" სტალინი წერდა: „ომის გარდუვალობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა იმპერიალიზმის განადგურება".

1951 წლის იანვარში სტალინმა განაცხადა, რომ უახლოესი 4 წლის განმავლობაში რეალური შესაძლებლობა არსებობდა მთელ ევროპაში სოციალიზმის დასამყარებლად.

საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის შექმნის შემდეგ ატომური ომის საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა.

სიცოცხლის ბოლო ხანებში სტალინმა გარკვეულწილად შეცვალა საერთაშორისო ვითარების შეფასება. თუკი ადრე მისთვის ამოსავალი იყო სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობის იდეა, ბოლოს აცხადებდა, რომ ზოგჯერ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები უფრო ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს ვიდრე კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების დაპირისპირება, და გამოინვიო მნვავე კონფლიქტი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში სტალინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კ შირს სურდა ომის შეწყვეტა კორეაში, თავად კი მზად იყო შეხვედროდა აშშ-ის ახალ პ ზიდენტს დუაიტ ეიზენჰაუერს.

თავი XXXII.

სტალინის გარდაცვალება და დაკრძალვა

32.1. სტალინის ავადმყოფობა და გარდაცვალება

სიცოცხლის ბოლო თვეებში ი. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა თავისი უახლოესი თანამებრძოლები ვ. მოლოტოვი და ა. მიქოიანი. შერისხულები აღმოჩნდნენ ასევე კ. ვოროშილოვი და ლ. ბერია.

1952 წლის ოქტომბერში საკ. კპ (ბ) XIX ყრილობაზე, როდესაც პარტიას სახელი შეეცვალა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეწოდა, პოლიტბიუროს ნაცვლად შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მასში ახალგაზრდა პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწეები შეიყვანეს.

სტალინი კუნცევოში, ე. წ. „ახლო აგარაკზე" ცხოვრობდა. უკანასკნელად სტალინთან 1953 წლის 28 თებერვალ – 1 მარტის ღამეს გამოძახებულები იყვნენ ნ. ხრუშჩოვი, ლ. ბერია და ნ. ბულგანინი.

1 მარტს, საღამოს, ქვეყნის ხელმძღვანელები კვლავ გამოიძახეს კუნცევოში, ამჯერად სტალინის დაცვამ, რომელთაც სტალინი უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

2 მარტს ექიმთა კონსულიუმმა დაადგინა, რომ სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა, რამაც ცნობიერების დაკარგვა გამოიწვია.

3 მარტს ცხადი გახდა, რომ სტალინის გარდაცვალება გარდუვალი იყო.

4 მარტს რადიოთი გადაიცა ინფორმაცია სტალინის ავადმყოფობის შესახებ. პრესაში გამოქვეყნდა სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობა გასაოცარი წვრილმანებით, – პულსის, წნევის და შარდის ანალიზის მონაცემებით. პოლიტიკური მოსაზრებებით გამოაცხადეს, რომ სტალინს ინსულტი დაემართა არა 1 მარტს, არამედ 2 მარტს და ის მოსკოვში იმყოფებოდა.

1953 წლის 5 მარტს, ისე, რომ ლოგინიდან არ წამომდგარა, სტალინი 74 წლის ასაკში გარდაიცვალა.

5 მარტს, ჯერ კიდევ სტალინის გარდაცვალების ცნობის მიღებამდე, კრემლში ჩამოაყალიბეს ქვეყნის ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა – პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმის ბიუროს ნაცვლად ყოფილიყო ერთი ორგანო – პრეზიდიუმი, „როგორც ეს განსაზღვრული არის წესდებით". მის შემადგენლობაში ადრინდელი 25 წევრის ნაცვლად 11 შეიყვანეს. ბიუროში კვლავ შეიყვანეს ვ. მოლოტოვი და ა.მიქოიანი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა გ. მალენკოვი. მისი მოადგილეები და იმავდროულად მინისტრები გახდნენ მოლოტოვი (საგარეო საქმეთა მინისტრი), ბულგანინი (სამხედრო მინისტრი), ბერია (შინაგან საქმეთა მინისტრი, ეს სამინისტრო გაფართოვდა და მას სახელმწიფო უშიშროების სამინისტროც შეუერთეს).

ნ. ხრუშჩოვს, თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, არ მიუღია რაიმე სახელმწიფო პოსტი, დარჩა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და მისი პრეზიდიუმის წევრად. ამავე დროს სწორედ ხრუშჩოვი ჩაუდგა სათავეში ი. სტალინის დამკრძალავ კომისიას.

თათბირის შედეგები 7 მარტს გამოაცხადეს. გამოიკვეთა ხელისუფლების ახალი კონფიგურაცია. სახელისუფლო პირამიდის სათავეში აღმოჩნდნენ სტალინის მიერ შევიწროებული „ძველი გვარდიის" წარმომადგენლები. სტალინის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა

ე.ნ. „კოლექტიური ხელმძღვანელობა“, რომლის შიგნითაც მალე გაიშალა ბრძოლა პირველობისთვის. ამ ბრძოლის ყველა მონაწილეს თავიდან ყველაზე მეტად ბერიასი ეშინოდა.

32.2. სტალინის დაკრძალვა

6 მარტს სტალინის ცხედარი დაასვენეს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. 16 საათზე მოვიდა ადამიანთა პირველი ნაკადი, რომელთაც სტალინთან გამოთხოვება სურდათ. ხალხის უწყვეტი ნაკადი მიდიოდა სამი დღისა და ღამის განმავლობაში. საპატიო ყარაულში იდგნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები: გ. მალენკოვი, ლ. ბერია, ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ნ. ხრუშჩოვი, ნ. ბულგანინი, ლ. კაგანოვიჩი, ა. მიკოიანი, საპატიო ყარაულში იდგნენ ასევე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცნობილი ნარმომადგენლები და ფინეთის პრემიერ-მინისტრი ურხო კეკონენი.

საბჭოთა ხელმძღვანელობა სტალინის ნეშტთან 1953 წლის 6 მარტს.

8 მარტს, შუა ღამისას, გამომშვიდობება შეწყდა და დაიწყო დაკრძალვისთვის მზადება. ღამის 2 საათზე დაიწყეს გვირგვინების გამოტანა. გადაწყვიტეს, რომ სტალინის კუბოს უკან მხოლოდ 100 სამგლოვიარო გვირგვინს ჩაატარებდნენ, დანარჩენი ათასობით გვირგვინი კი მავზოლეუმის ორივე მხარეს დაანყვეს.

სტალინის დაკრძალვა შედგა 1953 წლის 9 მარტს ნითელ მოედანზე. მავზოლეუმის თავზე უკვე ამოკვეთილი იყო წარწერა „ლენინი და სტალინი“. მავზოლეუმის წინ მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი, სადაც სიტყვით გამოვიდნენ მალენკოვი, ბერია და მოლოტოვი. სტალინის დაკრძალვა ფილმადაც გადაიღეს სახელწოდებით „დიდი გამოთხოვება“

6 მარტს მინისტრთა საბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს, აეშენებინათ პანთეონი, სადაც გადაასვენებდნენ ლენინისა და სტალინის ცხედრებს, ასევე კრემლის კედელთან დაკრძალულებს, თუმცა ეს პროექტი მალე დავიწყებას მიეცა.

დაკრძალვის დროს ხალხის საშინელი ჭყლეტა მოხდა. სხვადასხვა შეფასებით, დაიღუპა რამდენიმე ასეულიდან 2-3 ათასამდე ადამიანი. ოფიციალური მონაცემები დღემდე არ არის გამოქვეყნებული.

სტალინი მავზოლეუმში იყო დასვენებული 1961 წლის 31 ოქტომბრის ღამემდე, როდესაც ის ხრუშჩოვის ბრძანებით გამოასვენეს და კრემლის კედელთან დაკრძალეს. ეს იყო მაშინ მიმდინარე „დესტალინიზაციის“ პროცესის ნაწილი.

32.3. გახდა თუ არა სტალინი შეთქმულების მსხვერპლი

სტალინის გარდაცვალების შემდეგ გამოითქვა სხვადასხვა ეჭვი მისი სიკვდილის მიზეზების შესახებ. კერძოდ, ეჭვობენ, რომ სტალინი ბუნებრივი სიკვდილით კი არ მოკვდა, არამედ მისი უახლოესი გარემოცვის შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ვ. მოლოტოვის მოგონებებში, რომელიც 1993 წელს გამოქვეყნდა, ავტორი ამტკიცებს, რომ მასთან საუბარში ბერია სტალინის მოწამვლით ტრაბახობდა.

2004 წელს ამერიკელმა ისტორიკოსმა ჯონათან ბრენტმა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური რეპრესიების მხვერპლთა რეაბილიტაციის საპრეზიდენტო კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა ვლადიმირ ნაუმოვმა გამოაქვეყნეს ნაშრომი, სადაც გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ბერიამ, ხრუშჩოვის მონაწილეობით, ვარფარინი დაუმატა სტალინის ღვინოს მისი სიკვდილის ღამეს. კუჭიდან სისხლდენას, როგორც წესი, მაღალი წნევა არ იწვევს, მაგრამ როგორც სისხლდენის, ისე ინსულტის გამოწვევა შეუძლია ვარფარინის ძლიერ დოზას. ესაა უფერო, გემოს არმქონე პრეპარატი. მკურნალი ექიმების საბოლოო დასკვნაში, რომელიც პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინეს 1953 წლის ივლისში, ამოღებული იყო კუჭიდან სისხლდენის ხსენება.

2011 წელს გამოქვეყნდა სტალინის გაკვეთის ანგარიში, რომელიც საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ჩაატარა. ამ დასკვნასთან დაკავშირებით ამერიკელმა სპეციალისტმა მიგელ ა. ფარიამ აღნიშნა: სტალინის გაკვეთის ანგარიშში თვალსაჩინოა იმის დასაბუთების მცდელობა, რომ სტალინის გადასარჩენად ექიმებმა გააკეთეს ყველაფერი, მაგრამ მდგომარეობა გაართულა ტვინის გარეთ სისხლჩაქცევებმა. მათ ეს სისხლჩაქცევები ჰიპერტონიას მიაწერეს და არა ვარფარინით მოწამვლას.

პირდაპირი დასაბუთება იმისა, რომ სტალინი მოკლეს, არ არის აღმოჩენილი, მაგრამ ცხადია ისიც, რომ 1953 წლის 2-5 მარტს, როდესაც სტალინი სიკვდილს ებრძოდა, მისი თანამებრძოლები და „მემკვიდრეები" ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სტალინის ჯანმრთელობის გაუარესებას და ერთმანეთს შორის დაიწყეს ბრძოლა ხელისუფლების გასაყოფად.

ნაწილი მეცხრე
ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობა

თავი XXXIII.

ხელისუფლებისათვის ბრძოლა სტალინის მემკვიდრეებს შორის

33.1. სტალინის მემკვიდრეთა განსხვავებული ხედვები

1953 წლის 5 მარტს სტალინის გარდაცვალებასთან ერთად დამთავრდა მთელი ეპოქა საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში. ბელადის სიკვდილმა სათავე დაუდო მნიშვნელოვან ცვლილებებს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ხელისუფლება ორ ათეულ წელზე მეტხანს თავმოყრილი იყო დიქტატორის ხელში, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, რადგანაც საბჭოთა კავშირში არ არსებობდა ხელისუფლების ლეგიტიმური გადაცემის მექანიზმები, დადგა ხელისუფლების გაჭიანურებული კრიზისის ხანა.

სტალინის სიკვდილს მოჰყვა ბრძოლა პირველობისათვის მის გარემოცვაში და ეს ბრძოლა იმავე სცენარით წარიმართა, როგორითაც 1924 წელს ბრძოლა ლენინის სიკვდილის შემდეგ.

სტალინის სიცოცხლეში მის გარემოცვაში არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი ლიდერი. ასეთი ლიდერის გამოჩენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, სტალინის სიცოცხლეში სხვა გამოკვეთილ ლიდერს არ დაუშვებდა თავად სტალინი და არც მისი უშუალო გარემოცვა. ნიჭიერ, უნარიან, სხვებისგან გამორჩეულ ლიდერს ემუქრებოდა „ხალხის მტრად" გამოცხადება, დაპატიმრება ან გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება. შედეგად, ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელიც სტალინის სიკვდილის დროს მის „უახლოეს გარემოცვაში" შედიოდა, ჰქონდა შანსი გამხდარიყო ლიდერი.

1953 წლის მარტისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებში სამი მთავარი ცენტრი ჩამოყალიბდა, რომელთაც სათავეში ედგნენ სტალინის უახლოესი გარემოცვის წევრები: მალენკოვი, ბერია და ხრუშჩოვი. ეს ბრძოლა 1958 წლის გაზაფხულამდე მიმდინარეობდა, რამდენიმე ეტაპი გაიარა და საბოლოოდ გაიმარჯვა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელიც, პირველ რიგში, პარტიულ აპარატს ეყრდნობოდა.

ხელისუფლებისთვის ბრძოლის ეტაპები

ეტაპი	წლები	არსი
პირველი ეტაპი	1953 წ. მარტი – ივნისი	მალენკოვ-ხრუშჩოვის ტანდემმა ბერია ჩამოიშორა.
მეორე ეტაპი	1953 წ. ივლისი – 1955 წ. თებერვალი	ხრუშჩოვის გაძლიერება, მალენკოვის გადადგომა.
მეაამე ეტაპი	1955 წ. თებერვალი – 1958 წ. მარტი	ხრუშჩოვის ერთპიროვნული ლიდერობა. მოლოტოვ-კაგანოვიჩის ოპოზიციური ჯგუფის განადგურება.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის განვითარებაში ოთხი ალტერნატიული გზა გამოიკვეთა და თითოეული კონკრეტულ ლიდერთან ასოცირდებოდა: ლ. ბერიას „ალტერნატივა"; ნ. ხრუშჩოვის კურსი; გ. მალენკოვის კურსი; ვ. მოლოტოვ – ლ. კაგანოვიჩის ხაზი. მოკლედ წარმოვადგინოთ თითოეული:

ლავრენტი ბერიას „ალტერნატივა“:

- სტალინის კულტის მსხვრევა;
- რეაბილიტაციის პირველი ტალღა;
- უშიშროების ორგანოების გარდაქმნა;
- სკკპ ცენტრალური კომიტეტისგან ხელისუფლებითი ფუნქციების გადაცემა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთვის;
- ეროვნული რესპუბლიკების ხელმძღვანელობის „გაეროვნულება“, ეროვნული თვითშეგნების ამაღლება;
- კოლმეურნეობების კრიტიკა, მისი არაეფექტურობის ჩვენება;
- „გულაგის“ გადაცემა იუსტიციის სამინისტროსთვის;
- ქვეყნის ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების კურსზე უარის თქმის დასაწყისი;
- სამხედრო ხარჯების შემცირება;
- დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანების წინადადება.

გიორგი მალენკოვის კურსი:

- პიროვნების კულტის კრიტიკა;
- „ბ“ ჯგუფის საწარმოების პრიორიტეტული განვითარება;
- სახელმწიფო აპარატზე დაყრდნობა;
- მწარმოებელთა ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერება;
- ბირთვული იარაღის არსებობის პირობებში მსოფლიო ომის დაუშვებლობის იდეა;
- წარმოების ინტენსიფიკაციის მცდელობები.

ნიკიტა ხრუშჩოვის კურსი:

- დაყრდნობა პარტიულ აპარატზე;
- სოფლის მეურნეობისა და „ა“ ჯგუფის საწარმოების პრიორიტეტული განვითარება;
- ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების გაგრძელება;
- პიროვნების კულტის კრიტიკა;
- მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისთვის ყურადღების გაძლიერება, კოსმოსის ათვისება;
- საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვისკენ მიმართული კურსი;
- ყამირი მიწების ათვისება;
- კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის კურსი;
- პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევის იდეა.

მოლოტოვ-კაგანოვიჩის ხაზი:

- უცვლელი სახით სტალინის რეჟიმის შენარჩუნება;
- უმაღლესი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ რეპრესიების შეწყვეტა;
- „ცივ ომში“ დროებითი შესვენება.

33.2. მალენკოვისა და ბერიას ლიდერობა

მალენკოვი და ბერია

სტალინის სიკვდილის შემდეგ პირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში საკვანძო პოზიციები დაიკავეს გ. მალენკოვმა და ლ. ბერიამ. მალენკოვი გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბერია კი – გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი.

დაიწყო პირველი კამპანია პიროვნების კულტის დასაგმობად. სტალინის დასაფლავების შემდეგ გამართულ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პირველივე სხდომაზე, 1953 წლის 10 მარტს, გიორგი მალენკოვმა (1901-1988) განაცხადა, რომ აუცილებელი იყო „პიროვნების კულტის პოლიტიკის" შეწყვეტა და „ქვეყნის კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე" გადასვლა. თავიდან ეს პროპაგანდის სფეროში ცვლილებებით შემოიფარგლა. სტალინის სახელს იშვიათად ახსენებდნენ პრესაში, შეწყვიტეს მისი თხზულებათა კრებულების გამოშვება.

1953 წლის მარტ-ივნისში ბერია ახალი ხელმძღვანელობის ყველაზე აქტიური წევრი იყო. ბერიაც და მალენკოვიც ემხრობოდნენ სახელისუფლო უფლებამოსილების გადაცემას პარტიულიდან შესაბამის სახელმწიფოებრივი ორგანოებისთვის. დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია.

შეწყდა „ექიმთა საქმე". 16 მარტს ბერიამ დააპატიმრა ექიმთა საქმის მთავარი გამომძიებელი რიუმინი და გაათავისუფლა დაპატიმრებული ექიმები. 3 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღიარა, რომ ექიმთა საქმე გამოგონილი იყო და ამაზე პასუხისმგებლობა დააკისრა ყოფილ უშიშროების მინისტრს ს. იგნატოვს.

4 აპრილს ბერიას განკარგულებით აიკრძალა დაკითხვის დროს წამების მეთოდების გამოყენება და ასევე მოითხოვა, ციხეებში გაენადგურებინათ წამების იარაღები. ბერია მოხერხებულად იყენებდა იმ ფაქტს, რომ ფორმალურად 1946 წლიდან აღარ იყო დაკავშირებული უშიშროების ორგანოებთან და საქმეს ისე წარმოადგენდა, რომ თავად არაფერ შუაში იყო.

6 აპრილს საბჭოთა ადამიანებმა პრესიდან გაიგეს, რომ „ექიმთა საქმე" ფაბრიკაცია იყო, ისევე როგორც ცილი დასწამეს და უკანონოდ იყო დასჯილი სახალხო არტისტი მიხოელსი. ამ ცნობის გამოქვეყნებამ მილიონობით ადამიანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც მხოლოდ სტალინის სიკვდილს თუ შეედრებოდა.

ბერიას ინიციატივით გაათავისუფლეს და რეაბილიტირებულ იქნა მრავალი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1953 წლის მარტში ციხეებსა და ბანაკებში დაახლოებით 10 მილიონი პატიმარი იყო. 1953 წლის 27 მარტს, ბერიას ინიციატივით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ამნისტიის შესახებ. დაახლოებით 1,2 მილიონი ადამიანი გაათავისუფლეს. გათავისუფლება შეეხო მათ, ვისი პატიმრობის ვადაც 5 წელს არ აღემატებოდა, ასევე არასრულწლოვნებს, ბავშვიან და ფეხმძიმე ქალებს. ამნისტია არ ვრცელდებოდა პოლიტიკურ პატიმრებზე, რომლებიც გასამართლებული იყვნენ 58-ე მუხლით: „ანტისაბჭოთა საქმიანობა".

ბერიამ შეაჩერა სტალინის „სტრატეგიული" მშენებლობები, როგორიც იყო რკინიგზები სალეხარდი-იგარკა, კრასნოიარსკი-ენისეისკი, ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, გვირაბი, რომლითაც კუნძული სახალინი მატერიკს უნდა დაკავშირებოდა, წყნარი ოკეანის სანაპიროზე სამხედრო-საზღვაო ბაზისა და დიდი გემთმშენებელი ქარხნის (სახაზო გემებისა და ავიამზიდებისთვის) მშენებლობა. ეს ყველაფერი იყო „გულაგის" პროექტები და შენდებოდა პატიმართა ხელით. სხვა, უფრო ნაკლებად ძვირი და საჭირო პროექტები ბერიამ გადასცა სამოქალაქო ეკონომიკას. 1953 წლის შემოდგომისთვის ბერია გეგმავდა 1,7 მილიონი სპეცდასახლებულის გათავისუფლებას, მათ შორის გერმანელების, ყოფილი კუ-

ლაკებისა და „ხალხის მტრების“ ოჯახის ნევრების. დანარჩენი სპეცდასახლებულების გათავისუფლება იგეგმებოდა მომდევნო ერთი-ორი წლის განმავლობაში.

ბერიამ დასახა ზომები ეროვნული პოლიტიკის კორექტირებისთვის. კერძოდ, აპირებდა დაებრუნებინა ძველი პრაქტიკა, როდესაც ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში ხელმძღვანელ პოსტებზე ინიშნებოდნენ მკვიდრი ეროვნების წარმომადგენლები.

1953 წლის ივნისში ბერიამ მოამზადა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ლატვიაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და სხვა რესპუბლიკებში რუსი თანამდებობის პირების შეცვლას ადგილობრივი ეროვნების პირებით. ხრუშჩოვისთვის ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. უკრაინას ხრუშჩოვი თავის „სამფლობელოდ“ თვლიდა და ბერიას გეგმა პირადად მის წინააღმდეგ მიმართულად ჩათვალა.

33.3. შეთქმულება ბერიას წინააღმდეგ

ბერიამ პირველმა გადადგა ნაბიჯები სტალინის ტერორის მექანიზმის დამსხვრევისა და გულაგის სისტემის დემონტაჟისკენ. როგორ აღმოჩნდა ასეთი სასტიკი და სისხლიანი ადამიანი რეფორმატორის როლში? როგორც ერთ-ერთი რუსი ისტორიკოსი აღნიშნავს, „ბერიას მორალური პრინციპები არც მაღალი იყო და არც დაბალი სხვა პარტიული ხელმძღვანელების ანალოგიურ პრინციპებთან შედარებით“, მაგრამ სტალინის გარემოცვიდან თავისი ხელით მხოლოდ ბერია კლავდა, ანამებდა და ძალადობდა. ბერია ერთპიროვნული ლიდერობისთვის ემზადებოდა და მალენკოვს მხოლოდ დროებით ითმენდა. ამასთან, ცდილობდა თავისი რეპუტაციის შეცვლას, რეაბილიტაციასა და სტალინისგან დისტანცირებას.

ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბერიას წინააღმდეგ არსებობდა ერთი დიდი დაბრკოლება, რომელიც მან ვერ გაითვალისწინა ან მისი დაძლევა ვერ შეძლო. ბერია ძალზე სძულდათ და ეშინოდათ, ეს განწყობა იყო არა მხოლოდ ხალხში, არამედ პარტიულ აპარატში და სამხედროებში. ხრუშჩოვი, მალენკოვი და მოლოტოვი ძალზე უფრთხოდნენ ბერიას აქტიურობას, ხედავდნენ, რომ ბერია ყველა სფეროში იჭრებოდა და ასევე ცდილობდა მათ ერთმანეთთან დაპირისპირებას. გარდა ამისა, ბერია ქართველი იყო.

პარტიული აპარატი ცდილობდა თავისი ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებას, მის ლიდერად კი ხრუშჩოვი გამოვიდა. ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობაში ნ. ხრუშჩოვს ეკავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტი. მისგან განსხვავებით, სტალინის ყველა სხვა მემკვიდრეს სახელმწიფოებრივი პოსტები ჰქონდა. სწორედ ხრუშჩოვი ჩაუდგა სათავეში ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილების მიზნით შეთქმულებას.

ხრუშჩოვმა პირველად მოლოტოვს მიმართა, შემდეგ – მალენკოვს. შეთქმულებაში მონაწილეობაზე დასთანხმდა უმაღლეს ხელისუფალთა თითქმის მთელი შემადგენლობა, რომლებიც 1930-იანი წლების ბოლოდან უფრთხოდნენ ბერიას. შეთქმულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მალენკოვის მონაწილეობას, რომელმაც უღალატა თავის საშიშ პარტნიორს.

1953 წლის 26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ბერია დააპატიმრეს. ეს შესაძლებელი გახდა ხრუშჩოვისა და მალენკოვის შეთქმულების შედეგად, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მარშალმა გ. ჟუკოვმა და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალმა კ. მოსკალენკომ. იმავე დღეს ბერია გადააყენეს ყველა პოსტიდან და სასამართლოს გადასცეს.

1953 წლის 2-7 ივლისს შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმი „ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების შე-

სახებ". პლენუმზე, სტალინური ეპოქის „ტრადიციების" შესაბამისად, ბერიას ბრალი დაედო ჯაშუშობასა და სხვა მძიმე დანაშაულებებში. ის გამოცხადდა „პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრად". ბრალდების მთავარი პუნქტი იყო ბერიას მიერ პარტიის ხელმძღვანელი როლის „დანაშაულებრივი ხელყოფა". მასვე ბრალდებოდა მთავარი როლის შესრულება უკანონო მასობრივი რეპრესიების განხორციელებაში. ბერიას „ჯაშუშური საქმიანობის" არავის სჯეროდა, მაგრამ ეს იყო ჩვეული პროპაგანდისტულ-პოლიტიკური შტამპი.

1953 წლის 23 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს დახურულ სხდომაზე ბერია და მისი უახლოესი გარემოცვა უშიშროების სფეროდან – ვ. მერკულოვი, ვ. დეკანოზოვი, ბ. ქობულოვი, ს. გოგლიძე, პ. მეშიკი, ლ. ვლოძიმირსკი – გაასამართლეს 58-ე მუხლით. მათ ბრალი დაედოთ „სამშობლოს ღალატში, ტერორისტული აქტების მოწყობაში და ანტისაბჭოთა მოღალატური ჯგუფის შექმნაში".[1]

ყველანი დაუყოვნებლივ დახვრიტეს, გვამები დანვეს, ფერფლი კი უსახელო საფლავში ჩაფლეს. შემდგომში სპეცსამსახურების მაღალი რანგის თანამშრომლების ნაწილს, რომლებიც ბერიას საქმის გამო იყვნენ დაპატიმრებულები, მიეასაჯათ ხანგრძლივი ვადით პატიმრობა.

33.4. ხრუშჩოვის პოზიციების გაძლიერება

ბერიას თავიდან მოშორებით ყველაზე მეტად ხრუშჩოვმა მოიგო. ბერიას გაქრობამ დაასუსტა მალენკოვის პოზიციები, მაგრამ ამ ეტაპზე რომელიმე „სტალინის მემკვიდრის" ერთპიროვნულ ლიდერობას სხვები არ დაუშვებდნენ, მხოლოდ „კოლექტიურ" ხელმძღვანელობაში ხედავდნენ საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს. ჩამოყალიბდა ტრიუმვირატი – მალენკოვი (მთავრობა), ხრუშჩოვი (პარტია), ბულგანინი (არმია).

1953 წლის ივლისში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პირდაპირ მიუთითა, რომ აუცილებელი იყო „პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება პარტიის და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში".

ბერიას ჩამოცილება უშიშროების ყოვლისმომცველ სამსახურზე გამარჯვებას ნიშნავდა. უშიშროების სამინისტროს საოლქო განყოფილებებში სასწრაფოდ ანადგურებდნენ არქივებს. პარტიული ნომენკლატურის თვალში ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი გამოვიდა ტერორისგან მხსნელის როლში. პირველ რიგში, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები საკუთარ თავზე ფიქრობდნენ. მათი შეთანხმებით შეწყდა უშიშროების ორგანოების მიერ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, ასევე მაღალი რანგის სამხედროების მოსმენისა და თვალყურის დევნების პრაქტიკა. ბერიას სეიფში აღმოჩენილი მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები გაანადგურეს. ბერიას საქმის გამოძიების მრავალტომიანი მასალები ასევე გაასაიდუმლოეს და გამოძიების შედეგები მოკლედ გააცნეს პარტიულ ნომენკლატურას.

ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილებამ შეაჩერა მრავალი მისი წამოწყებაც. მაგალითად, დროებით შეჩერდა სპეცდასახლებულთა გათავისუფლების საკითხი, სცადეს ეჭვქვეშ დაეყენებინათ ანტისემიტური კამპანიის შეწყვეტაც.

1954 წლის სექტემბერში კომუნისტურმა რეჟიმმა ჩაიდინა მორიგი საშინელი დანაშაული. ტოცკის პოლიგონზე, ორენბურგის ახლოს მიმდინარე სამხედრო მანევრების დროს ააფეთქეს ნამდვილი ატომური ბომბი და მარშალმა ჟუკოვმა, რომელიც მაშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, უბრძანა 40 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს, „შეტევაზე გადასულიყვნენ" და გაევლოთ პირდაპირ აფეთქების ეპიცენტრში. ამ ადამიანების სამი მეოთხედი მალევე დაიხოცა რადიაციის სასიკვდილო დოზის მიღების გამო. ჟუკოვი არასოდეს უფრთხილდებოდა ჯარისკაცების სიცოცხლეს, მაგრამ ამჯერად ყველაფერს გადააჭარბა. ამ დანაშაულისთვის ჟუკოვი არავის გაუსამართლებია, პირიქით, დააწინაუ-

[1] არსებობს ვერსია, რომ ბერია გაცილებით ადრე მოკლეს და სასამართლოზე მისი ორეული იყო.

რეს. 1955 წლის თებერვალში ჟუკოვი დანიშნეს თავდაცვის მინისტრად და აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

33.5. მალენკოვისა და ხრუშჩოვის მმართველობა. მალენკოვის გადაყენება.

1953 წლის ზაფხულიდან დაიწყო ხელისუფლებისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი. ხელისუფლების სათავეში მოექცნენ მალენკოვი და ხრუშჩოვი, მაგრამ ხრუშჩოვი სულ უფრო იმტკიცებდა პოზიციებს, მალენკოვის როლი კი მცირდებოდა.

1953 წლის მაისში მალენკოვის ინიციატივით გაუქმდა ე. წ. „კონვერტები", დამატებითი ანაზღაურება პარტიული თანამდებობის პირებისთვის, რამაც მათი შემოსავალი გაანახევრა. ამან გაანაწყენა ნომენკლატურა და საშუალება მისცა ნ. ხრუშჩოვს ოთხი თვის შემდეგ გაეუქმებინა „კოლექტიური ხელმძღვანელობა" და აღედგინა ადრინდელი პრივილეგიები.

1953 წლის სექტემბერში ნ. ხრუშჩოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, მაგრამ რაიმე სახელმწიფოებრივი პოსტი კელავაც არ ეკავა.

უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად ხრუშჩოვმა ივან სეროვი დანიშნა. სეროვი ყოველთვის ეიმარებოდა ხრუშჩოვს მონინააღმდეგეებთან ბრძოლაში. სეროვმა უშიშროების სამსახურის არქივებში „წესრიგი დაამყარა" და მოსპო მონაცემები ხრუშჩოვის მონაწილეობის თაობაზე სტალინის პერიოდის რეპრესიებში. ამავე დროს სეროვი აგროვებდა მაკომპრომეტირებელ მასალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრებზე, პირველ რიგში კი მალენკოვზე.

კრემლში ხელისუფლებისთვის ბრძოლას ჩერჩილი ადარებდა „ბულდოგების ბრძოლას ხალიჩის ქვეშ". ძნელი იყო იმის მიხვედრა, თუ რა ხდებოდა მანამდე, სანამ ხალიჩის ქვემოდან არ გამოყრიდნენ მორიგი მსხვერპლის ძვლებს. 1953 წლის მეორე ნახევარსა და 1954 წელს ხრუშჩოვი და მოლოტოვი ერთად მოქმედებდნენ მალენკოვის წინააღმდეგ, მას ბრალად სდებდნენ „ბერიასთან სიახლოვეს" და შეცდომებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

რა შეცდომებზე იყო ლაპარაკი?

1953 წლის 8 აგვისტოს მალენკოვი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით სსრკ უმაღლესი საბჭოს წინაშე. მალენკოვმა გამოაცხადა, რომ შეუმცირებდა გადასახადებს გლეხობას, გაზრდიდა სამომხმარებლო საგნების წარმოებას და სხვადასხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფას ჰპირდებოდა ხალხს. მან ასევე ნაადრევად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა შექმნა და გამოსცადა წყალბადის ბომბი.

ხრუშჩოვმა მალენკოვის გამოსვლა დემაგოგიად შეაფასა, რომლის მიზანიც ხალხში ავტორიტეტის მოპოვება იყო ხელმძღვანელობის სხვა წევრების ხარჯზე. ხრუშჩოვს განსაკუთრებით აბრაზებდა მალენკოვის „შეჭრა" სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელსაც „თავისად" მიიჩნევდა.

მალენკოვის კიდევ ერთ შეცდომად მიიჩნიეს 1954 წლის თებერვალში უმაღლესი საბჭოს „ამომრჩევლების" წინაშე გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადება, რომ ომს ბირთვულ სახელმწიფოებს შორის შეიძლება „ცივილიზაციის განადგურება" მოჰყოლოდა. მალენკოვი ფიზიკოსი იყო განათლებით, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელების მიერ ატომური ბომბების გამოცდამ წყნარ ოკეანეში, ასევე კურჩატოვისა და სხვა საბჭოთა ფიზიკოსების წერილმა პარტიის ხელმძღვანელებისადმი, რომელშიც აფრთხილებდნენ, რომ ბირთვულ ომს შეიძლება მოჰყოლოდა სიცოცხლის მოსპობა დედამიწაზე.[1]

---

[1] მალენკოვი კომუნისტი ლიდერებიდან პირველი იყო, რომელმაც ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის თეზისი ნამოაყენა.

მოლოტოვმა ბრალი დასდო მალენკოვს დასავლეთთან ბრძოლის დროს „პაციფიზმთან კეკლუცობაში“ და „პროგრესული ძალების დემობილიზაციაში“. ბირთვული ომის აღიარება საფრთხედ მთელი კაცობრიობისთვის კომუნისტებისთვის ნიშნავდა უარის თქმას პარტიულ დოგმაზე შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის თაობაზე. მოლოტოვი და ხრუშჩოვი გამოვიდნენ კომუნისტური იდეოლოგიის რევიზიის წინააღმდეგ. მათი ზეწოლის შედეგად, მალენკოვმა უკან დაიხია და განაცხადა, რომ თუკი მსოფლიო ომი მოხდებოდა, მას მოჰყვებოდა მხოლოდ „იმპერიალიზმის დაღუპვა“.

1954 წლის დეკემბერში ხრუშჩოვის ინიციატივით შედგა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იმ ყოფილ მაღალჩინოსანთა სასამართლო პროცესი, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ „ლენინგრადის საქმის“ ფაბრიკაციაში. 1954 წელს რეაბილიტირებულ იქნენ „ლენინგრადის საქმის“ მსხვერპლი ადამიანები. „ლენინგრადის საქმის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი კი მალენკოვი იყო. ცნობილი გახდა, რომ მალენკოვი მონაწილეობდა სპეციალური ციხის შექმნაში უმაღლესი პარტიული ნომენკლატურისთვის.

1955 წლის 22 იანვარს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე მალენკოვი მოხსნეს მთავრობის მეთაურის თანამდებობიდან. ეს გადაწყვეტილება დადასტურდა 1955 წლის თებერვალში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მალენკოვი დანიშნეს, მოსკოვიდან შორს, ერთ-ერთი ელექტროსადგურის დირექტორად.[1]

მინისტრთა საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ნ. ბულგანინი, რომელიც მანამდე თავდაცვის მინისტრი იყო. ის მალენკოვზე უფრო ნაკლებად განათლებული და უინიციატივო იყო. სწორედ მისი ამ თვისებები გამო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეჭვიანმა სტალინმა მას ანდო თავდაცვის მინისტრის პოსტი.

ახალი თავდაცვის მინისტრი გახდა გ. ჟუკოვი. ბულგანინი და ჟუკოვი ხრუშჩოვის „კრეატურა“ იყო. გარდა ამისა, ხრუშჩოვი სათავეში ჩაუდგა თავდაცვის საბჭოს. ეს იყო ახალი ორგანო, რომელიც საშუალებას აძლევდა ხრუშჩოვს, უშუალოდ გაეკონტროლებინა სამხედროები.

ხრუშჩოვის ხელში იყო უკვე პარტიის სამდივნო, ასევე უშიშროება და არმია, მას კონკურენციას ვერ უწევდა უნებისყოფო მთავრობის მეთაური. 1955 წლიდან ხრუშჩოვი პირველი პირი გახდა კომუნისტურ ხელმძღვანელობაში.

ბრძოლა ხელისუფლებისთვის სტალინის სიკვდილის შემდეგ

ლავრენტი ბერია	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი. დააპატიმრეს 1953 წლის 26 ივნისს, სასამართლო, დახვრეტა.
გიორგი მალენკოვი	საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. გადააყენეს 1955 წლის 8 თებერვალს.
ნიკიტა ხრუშჩოვი	სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1953 წლის 13 სექტემბრიდან ცკ პირველი მდივანი. 1958 წლის 27 მარტიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

[1] გ. მალენკოვი 1961 წლის ნოემბერში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და შემდეგ უშედეგოდ ცდილობდა პარტიაში აღდგენას. 1973 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში, ოროთახიან ბინაში, 1980 წელს, ანდროპოვის განკარგულებით, ახალი ოროთახიანი ბინა მისცეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

33.6. უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანთა გასამართლება და უშიშროების სისტემის რეფორმა

კრემლის ახალმა ხელმძღვანელობამ თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად უშიშროების სამსახურის ორგანოების რეფორმირება დასახა. რეფორმის შედეგად პარტიულ „ოლიგარქებს" თავი უსაფრთხოდ უნდა ეგრძნოთ და გამორიცხული უნდა ყოფილიყო მასობრივი ტერორის პერიოდის დაბრუნება.

1954 წლის 8 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრკ მინისტრთა საბჭოსთან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) შექმნის შესახებ. მის ფუნქციებში შედიოდა დაზვერვა და კონტრდაზვერვა, მათ შორის აგენტურული მუშაობა საზღვარგარეთ, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, მაღალი რანგის საბჭოთა მოღვაწეების დაცვა. 1957 წელს КГБ-ს გადაეცა სასაზღვრო ჯარები, რომლებიც მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში იყო.

უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე აღარ იყო ორი დამსჯელი მონსტრი, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ და ამით უსაფრთხო იყვნენ სტალინისთვის. გაუქმდა „განსაკუთრებული თათბირები", რომელთაც უკანონო ბრძანებები გამოჰქონდათ დაპატიმრების, წამებისა და დახვრეტის შესახებ. უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატები 20%-ით, ანუ 26 ათასი ადამიანით შემცირდა.

უშიშროების კომიტეტიდან დაითხოვეს დაახლოებით ათასი ადამიანი, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ ტერორში ჩართულნი. 1954 წელს დახვრიტეს აბაკუმოვი და რიუმინი, 1956 წელს დახვრიტეს გამომძიებელი-სადისტი ბ. როდოსი და ბერიას მიერ აზერბაიჯანში დანიშნული მ. ბაგიროვი. ამ უკანასკნელმა სიკვდილით დასჯის წინ თქვა, რომ მართლაც დახვრიტა მრავალი ადამიანი აზერბაიჯანში, მაგრამ არა იმაზე მეტი, „ვიდრე ხრუშჩოვმა უკრაინაში".

დააპატიმრეს პოლიტიკური თავდასხმების ორგანიზატორები, მათ შორის ტროცკიზე მოწყობილი თავდასხმისაც (პ. სუდოპლატოვი და ნ.ეიტინგონი). დახურეს ლაბორატორია, სადაც სპეციალურ შხამებს ამზადებდნენ ტერორისტული აქტებისათვის. მრავალი ჩეკისტი გადაიყვანეს მილიციაში თანამდებობრივი დაქვეითებით ან პენსიაზე გაუშვეს შეღავათების გარეშე.

თავიდან უშიშროების კომიტეტს პარტიული კადრებით „აძლიერებდნენ", შემდეგ კომკავშირიდან მიიყვანეს კადრები უმაღლესი იურიდიული და საინჟინრო განათლებით.

უშიშროების კომიტეტს აეკრძალა თვალყურის დევნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებისთვის, ანდა მათი დაპატიმრება ცენტრალური კომიტეტის სანქციის გარეშე. უშიშროების ადგილობრივი ორგანოები ემორჩილებოდნენ შესაბამისი ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. შეამცირეს როგორც შტატიანი, ისე „ნებაყოფლობითი" აგენტურა. უშიშროების სამსახურს გამოძიება აღარ ეხებოდა და დაპატიმრებულები სასამართლოსთვის უნდა გადაეცა, სადაც ფორმალურად მაინც არსებობდა ადვოკატურა „სოციალისტური კანონიერების" ფარგლებში.

ამავე დროს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დარჩა გიგანტურ ორგანიზაციად, რომელსაც ფართო აგენტურა ჰყავდა და საბჭოთა საზოგადოების ყველა სფეროს აკონტროლებდა. ფიქცია იყო მისი დაქვემდებარება მინისტრთა საბჭოსადმი. სინამდვილეში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსს ნიშნავდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ანგარიშსაც პირადად მას აბარებდა. ამავე დროს უშიშროების სამსახურის საქმიანობას არ გააჩნდა მკაფიო კონსტიტუციური საზღვრები. ყველა სანარმოსა და დაწესებულებაში, ყველა შემოქმედებით კავშირში, აკადემიურ და სასწავლო დაწესებულებაში იყო ე. წ. „პირველი განყოფილება", რომელშიც უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები მუშაობდნენ და თვალს ადევნებდნენ ყველაფერს.

33.7. სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა

ხრუშჩოვმა პირველმა დასვა საკითხი ტერორსა და რეპრესიებზე სტალინის პასუხისმგებლობის შესახებ, თუმცა ჯერ კიდევ 1955 წლის ივნისში აცხადებდა, რომ სტალინის სახელის შელახვის უფლებას არავის მისცემდა, მაგრამ შემდეგ პოზიცია შეცვალა. აქ, პირველ რიგში, მას თავისი პოლიტიკური გათვლა ჰქონდა. მიქოიანი იგონებდა, რომ მან პირადად გააფრთხილა ხრუშჩოვი: თუკი ჩვენ მომდევნო ყრილობაზე თავად არ ვილაპარაკებთ რეპრესიების შესახებ, მაშინ ამას ვინმე სხვა გააკეთებს ყრილობის შემდეგ და მას სრული უფლება ექნებოდა ხრუშჩოვი და მისი გარემოცვა დაედანაშაულებინა მომხდარში.

1955 წ. დეკემბერში ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე ცხარე დისკუსია გაჩაღდა ს. კიროვის მკვლელობის გარემოებებსა და იმის თაობაზე, თუ რატომ გახდა რეპრესიების მსხვერპლი პარტიის XVII ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და კანდიდატების უმრავლესობა. ამ საკითხის გასარკვევად შეიქმნა კომისია სამდივნოს წევრის პ.პოსპელოვის[1] ხელმძღვანელობით. კომისიამ, უშიშროების კომიტეტის თანამშრომლების დახმარებით, შეისწავლა მრავალრიცხოვანი დოკუმენტები და რეგულარულად ანვდიდა ინფორმაციას პრეზიდიუმს.

1956 წლის 1 თებერვალს პრეზიდიუმის სხდომაზე ციხიდან მიიყვანეს უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ბ. როდოსი. მან დაადასტურა, რომ ცენტრალური კომიტეტის დაპატიმრებულ წევრებს კოსიორსა და ჩუბარს აწამებდა სტალინის ბრძანებით, რათა მათ ელიარებინათ, რომ „ხალხის მტრები" იყვნენ.

არისტოვმა ხრუშჩოვს ჰკითხა: „სიმართლის თქმისთვის გეყოფა ვაჟკაცობა?". მოლოტოვი, კაგანოვიჩი და ვოროშილოვი სტალინის მხილების წინააღმდეგი იყვნენ. ხრუშჩოვმა განაცხადა: „სტალინი სოციალიზმის საქმის ერთგული იყო, მაგრამ ყველაფერს ბარბაროსული ხერხებით აკეთებდა. მან პარტია გაანადგურა. ის მარქსისტი არ იყო. ყველაფერი ნინდა ნაშალა, რაც კი ადამიანშია, ყველაფერი თავის კაპრიზებს დაუმორჩილა".

1956 წლის 8 თებერვალს, პარტიის XX ყრილობის წინ, პოსპელოვის კომისიამ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება წარუდგინა. კომისიის მონაცემებით, ორი წლის (1937-1938) განმავლობაში ანტისაბჭოთა საქმიანობაში ბრალი დაედო 1.548.366 ადამიანს, აქედან 681.692 დახვრიტეს. პარტიის XVII ყრილობის 1966 დელეგატიდან დაპატიმრეს 1108 ადამიანი, აქედან 848 დახვრიტეს. ის ადამიანებიც კი, რომელთაც ხელები სისხლში ჰქონდათ გასვრილი, გაოგნებული იყვნენ ჩადენილი დანაშაულის მასშტაბებით.

ხრუშჩოვმა კვლავ დასვა საკითხი – გაეცნოთ ეს ფაქტები ყრილობის დელეგატებისთვის თუ დაემალათ და როგორ შეეფასებინათ სტალინის როლი. მოლოტოვი კვლავ იმ აზრის იყო, რომ სტალინი დარტყმის ქვეშ არ უნდა დაეყენებინათ: „ოცდაათი წელი პარტია ცხოვრობდა და მუშაობდა სტალინის ხელმძღვანელობით, განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მოიპოვა ომში გამარჯვება და მისი დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა" ლაზარ კაგანოვიჩი, რომლის ძმამაც დაპატიმრების შიშით 1940 წელს თავი მოიკლა, მერყეობდა: „ჩვენც ვართ პასუხისმგებელნი, მაგრამ ვითარება იყო ისეთი, რომ ჩვენ წინააღმდეგობის გაწევა არ შეგვეძლო".

დავა მიდიოდა იმაზე, თუ როგორ შეეფასებინათ სტალინის მოქმედება 1934 წლის შემდეგ. ყველა იმ აზრის იყო, რომ ამ პერიოდამდე სტალინი „გმირულად იქცეოდა". საბოლოო ჯამში, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი და ვოროშილოვი მოხსენების გაკეთე-

[1] პ. პოსპელოვი იყო აკადემიკოსი, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის დირექტორი, გაზეთ „პრავდის" ყოფილი რედაქტორი.

ბის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მიქოიანმა, ბულგანინმა, შვერნიკმა, კირიჩენკომ, პონომარენკომ, პერვუხინმა, შეპილოვმა, საბუროვმა და არისტოვმა მხარი დაუჭირეს ყრილობაზე სტალინის მამხილებელი მოხსენებით გამოსვლას. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდოდა, მაგრამ წარსულის კრიტიკაში არ „გადაამლაშებდა". თავისი დაპირება პირველმა მდივანმა არ შეასრულა.

სკკპ XX ყრილობა მოსკოვში გაიხსნა 1956 წლის 14 თებერვალს. ყრილობის რეგლამენტში არ იყო ნახსენები მოხსენება სტალინის შესახებ. ყრილობის დელეგატებსა და ასევე უცხოელ სტუმრებში დიდი ხმაური გამოიწვია მიქოიანის მოხსენებამ, რომელშიც მან პირველად გააკრიტიკა სტალინის „პიროვნების კულტი". დელეგატების უმრავლესობამ დაგმო ორატორი. ყრილობა როცა დამთავრდა და აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები, დელეგატებს გამოუცხადეს, რომ 25 თებერვალს, დილით შედგებოდა დამატებითი დახურული სხდომა, მოწვეული პირებისა და უცხოელი სტუმრების გარეშე, „პიროვნების კულტის" შესახებ.

ხრუშჩოვმა ასეთი სცენარი უკანასკნელ მომენტში აირჩია და დაამტკიცებინა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ყრილობის გახსნამდე ერთი დღით ადრე. მისი მოხსენება „პიროვნების კულტის" შესახებ არ განუხილავთ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს. ხრუშჩოვის მოხსენება იყო პოსპელოვის მოხსენებისა და თავად პირველი მდივნის ექსპრომტის კომბინაცია. თავის მოხსენებაში ხრუშჩოვი გამოვიდა 1930-იანი წლების დიდი ტერორის ფარგლებიდან და აკეთებდა შეფასებებს, ემოციურსა და ხშირად ფაქტობრივი თვალსაზრისით არასწორს, სტალინის როლის შესახებ ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. მოხსენებაში გამოსჭვიოდა სტალინის წინაშე შიში და საბჭოთა ლიდერებს შორის მეტოქეობა სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში. მოხსენების ემოციურობისა და ბუნდოვანება-დაულაგებლობის მიუხედავად, ხრუშჩოვი თანმიმდევრული იყო ერთ რამეში – ის წარსულში არსებული ყოველივე ცუდის გამო ბრალს სდებდა სტალინსა და ბერიას, ამით კი ცდილობდა კომუნისტური პარტიის, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეის რეაბილიტაციას.

ხრუშჩოვის მოხსენების ლოგიკა შემდეგი იყო:

სოციალისტური წყობილება არ გაიგივდება პიროვნების კულტთან და სოციალიზმის პრინციპების დამახინჯებასთან;

პიროვნების კულტზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა კომუნისტურ პარტიას, არამედ სტალინსა და ბერიას;

პიროვნების კულტის კრიტიკა მოწმობს სოციალიზმის სიმტკიცეს და კომუნისტური პარტიის ძალას.

ხრუშჩოვის მოხსენებამ მართლაც ისტორიული მასშტაბის შედეგები მოიტანა. სტალინზე ხრუშჩოვის შეტევამ კომუნისტური ნომენკლატურა შოკში ჩააგდო. მან დარტყმა მიაყენა სტალინისადმი რწმენას. მალევე ყრილობის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, მოხსენება გაეცნოთ ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისთვის, ასევე მუშების, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა უპარტიო აქტივისთვის.

მოხსენების ტექსტი, რომელსაც ეწერა „დაბეჭდვისთვის არ არის განკუთვნილი", დაეგზავნათ პარტორგანიზაციებსა და დანესებულებებს. მას გაეცნო დაახლოებით 7 მილიონი სკკპ წევრი, 18 მილიონი კომკავშირელი და მრავალი სხვა ადამიანი, საბჭოთა კავშირის თითქმის მთელი სრულწლოვანი მოსახლეობა. ისევე, როგორც პარტიის ყრილობაზე, მოხსენების წაკითხვას არ მოსდევდა განხილვა. კომუნისტური რეჟიმის გიგანტურ პროპაგანდისტულ აპარატს არ მიუღია რაიმე დამატებითი განმარტება და ინსტრუქცია, გარდა მოხსენების ტექსტისა. ამან დიდი დაბნეულობა გამოიწვია.

მოხსენების წაკითხვას უნივერსიტეტებსა და დანესებულებებში მოჰყვა უამრავი შეკითხვა და მამხილებელი გამოსვლა. ბევრს არ მოეწონა სტალინისა და წარსულის კრიტიკა, ზოგიერთი აცხადებდა, თუ რატომ ესვენა სტალინი მაზოლეუმში, ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები სტალინის პორტრეტებს ხსნიდნენ, იყვნენ ისეთებიც (როგორც ვეტე-

რანებში, ისე ახალგაზრდებში), რომლებიც აცხადებდნენ, რომ საქმე არა სტალინში, არამედ რეჟიმშია. სტალინის ტერორს ძალზე ბევრი მონანილე და ხელშემწყობი ჰყავდა.

ტრაგიკული მოვლენები განვითარდა საქართველოში. ხრუშჩოვის მიერ სტალინის პიროვნების კრიტიკამ, რიგ შემთხვევებში, ანტიქართული კამპანიის ხასიათი მიიღო. 1956 წლის 4-9 მარტს საქართველოში (თბილისში, გორში, სოხუმში) იყო საპროტესტო გამოსვლები, რომელშიც ასეულ ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. გამომსვლელები მოითხოვდნენ სტალინის რეაბილიტაციას, ხრუშჩოვისა და მიქოიანის გადადგომას და ახალი მთავრობის შექმნას მოლოტოვით სათავეში, აცხადებდნენ, რომ ხრუშჩოვი და მიქოიანი ცდილობენ „მთელი ქართველი ხალხის დადანაშაულებას". გამომსვლელებმა დასახმარებლად მიმართეს თბილისში ვიზიტით მყოფ ჩინელ მარშალ ჯუ დეს.

მოსკოვმა საქართველოში მიმდინარე მოვლენები აჯანყებად შეაფასა. 1956 წლის 9 მარტს მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოფრინდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები არისტოვი და სუსლოვი. მათ უბრძანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ ივან ფიდუნინსკის, ჯარი გამოეყვანა და სისხლში ჩაეხრჩო ხალხის გამოსვლა. მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი და ტანკები. სტალინის კრიტიკის შემდეგ კვლავაც ლენინურ-სტალინური მეთოდით გაუსწორდნენ ხალხს. დაიღუპა ათობით ადამიანი, მთელ საქართველოში განხორციელდა მასობრივი დაპატიმრებები.

ხრუშჩოვი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა სიტუაციის დალაგებას. 1956 წლის აპრილში გამოცხადდა, რომ მზადდებოდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი „პიროვნების კულტის" შესახებ. ხრუშჩოვთან შეთანხმებით მარშალი ჟუკოვი ამზადებდა მოხსენებას, რომელშიც დაწვრილებით და კრიტიკულად იქნებოდა განხილული სტალინის საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ხრუშჩოვისა და მისი მომხრეების აზრით, სტალინის „კულტის" განადგურებას მოჰყვებოდა „ნამდვილი" კომუნიზმის რენესანსი. ეს ვარაუდი საფუძვლად დაედო ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1956 წლის 27 მარტის დადგენილებას, რომლის თანახმადაც, უნდა მომზადებულიყო „პოპულარული მარქსისტული სახელმძღვანელო" სკკპ ისტორიაში. „საკ. კპ(ბ) მოკლე კურსი", რომელსაც წლების მანძილზე სწავლობდა მილიონობით კომუნისტი და საბჭოთა მოქალაქე, უარყოფილ იქნა, როგორც „უცხო მარქსიზმისათვის"

რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის ლიდერის კვარცხლბეკზე, რომელიც სტალინისგან გაათავისუფლეს, დააბრუნეს ლენინი. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი რჩებოდა „თანამედროვეობის ყველაზე პროგრესულ მოვლენად" მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი კომუნისტური დოქტრინა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ლენინი პლუს მსოფლიო რევოლუციური გამოცდილება, მინუს სტალინი და 1934-1953 წლებში გაჩაღებული მისი ტერორი".

ამერიკელებმა მოიპოვეს ხრუშჩოვის მოხსენების ასლი და გამოაქვეყნეს პრესაში, მას იყენებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის გათვალისწინებულ რადიოგადაცემებში. უცხოელი კომუნისტები საქმის კურსში ხრუშჩოვს არ ჩაუყენებია და ისინი თავიდან უარყოფდნენ ხრუშჩოვის „საიდუმლო" მოხსენების არსებობას სტალინის შესახებ.

ამან კიდევ უფრო საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო კომუნისტები დასავლეთის ქვეყნებში.

1956 წლის 22-26 ივნისს მოსკოვში გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ქვეყნების ლიდერებისა და დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა თათბირები. მათ მოითხოვეს „პიროვნების კულტის" კრიტიკის შეჩერება ან, უკიდურეს შემთხვევაში, „თეორიული ახსნა-განმარტება", თუ როგორ მოხდა პიროვნების კულტის ჩამოყალიბება „გამარჯვებული სოციალიზმის პირველ ქვეყანაში".

მაო ძე დუნი ჩინეთში, კიმ ირ სენი კორეაში და ენვერ ხოჯა ალბანეთში სტალინის კრიტიკის გამო ხრუშჩოვზე ძალზე განაწყენდნენ. გარედან ზეწოლამ და თავად საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარე დუღილმა აიძულა ხრუშჩოვი, გაეუქმებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი, სადაც უნდა გაგრძელებულიყო სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა. 1956 წლის 30 ივნისს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დადგენილ იქნა სტალინის კრიტიკის ფარგლები. სტალინური რეჟიმის ტერორი და დანაშაულებები გამართლებული იყო „ისტორიული პირობებით", პირველ რიგში, „მტრული გარემოცვით" და მოახლოებული ომით. ხაზი ესმოდა, რომ სტალინის დამსახურება იყო ბრძოლა ოპოზიციასთან პარტიაში, ასევე კოლექტივიზაცია და ომში გამარჯვება. ხრუშჩოვის მოხსენების რადიკალიზმიდან დადგენილებაში კვალიც არ დარჩენილა.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ხრუშჩოვმა თავისი „საიდუმლო" მოხსენებით „ჯინი გამოუშვა ბოთლიდან". სტალინის კრიტიკით მან ისეთი დარტყმა მიაყენა მსოფლიო კომუნიზმსა და საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიას, რომელიც ღრმა და უკურნებელი აღმოჩნდა.

33.8. „გაერთიანებული ოპოზიცია" ხრუშჩოვის წინააღმდეგ

ხელისუფლებისთვის ბრძოლის მესამე ეტაპზე ხრუშჩოვს მოუხდა ბრძოლა უკვე მის წინააღმდეგ მოქმედი „გაერთიანებული ოპოზიციის" წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდნენ მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და სხვები.

1956 წლის კრიზისი ძვირი დაუჯდა საბჭოთა კავშირს. კრემლის ხელმძღვანელობა, ინტერვენციის გამოყენებასთან ერთად, ცდილობდა ფინანსური დახმარებითაც „დაემშვიდებინა" პოლონეთი და უნგრეთი, ამ ქვეყნებმა მიიღეს მრავალმილიარდიანი ეკონომიკური დახმარება, სურსათი და კრედიტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და მალენკოვი თვლიდნენ, რომ ხრუშჩოვმა, თავისი მოუფიქრებელი გადაწყვეტილებებით და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლით, მსოფლიო კომუნიზმი და ვარშავის ხელშეკრულება დაშლის პირას მიიყვანა. საზოგადოებაში ხრუშჩოვის რეპუტაცია მკვეთრად იყო შერყეული.

1957 წლის ზაფხულში ოპოზიციამ ისარგებლა იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში უმრავლესობა ჰყავდა (7 წევრი 11-იდან: ვოროშილოვის, კაგანოვიჩის და მოლოტოვის მხარეზე გადავიდნენ ხრუშჩოვის მომხრეები – ბულგანინი, პერვუხინი, შეპილოვი, საბაროვი) და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე (1957 წლის 18-21 ივნისი) მიიღეს გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტის გაუქმების თაობაზე, ხრუშჩოვი კი დანიშნეს სოფლის მეურნეობის მინისტრად.

ხრუშჩოვმა ამ საკითხის განხილვა მოითხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. რიგგარეშე პლენუმი 1957 წლის 22-26 ივნისს შედგა. ცენტრალურ კომიტეტში უკვე ხრუშჩოვის მომხრეები ჭარბობდნენ. ხრუშჩოვის მხარეზე იყო ასევე არმია (თავდაცვის მინისტრი გ. ჟუკოვი) და უშიშროება (КГБ-ს თავმჯდომარე ი. სეროვი). მათ სამხედრო თვითმფრინავებით სასწრაფოდ ჩამოიყვანეს მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის წევრები. თავდაცვის მინისტრი ჟუკოვი დაემუქრა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, რომ არმიას ის აკონტროლებდა და მისი ბრძანების გარეშე „ერთი ტანკიც კი არ დაიძრებოდა ადგილიდან".

რიგგარეშე პლენუმზე ხრუშჩოვმა და მისმა მომხრეებმა გამოიყენეს საიდუმლო არქივების მასალები და გაასაჯაროვეს დოკუმენტები, საიდანაც ჩანდა მოლოტოვის, კაგანოვიჩის და მალენკოვის მონაწილეობა 1930-იანი წლების რეპრესიებში. იგრძნეს რა, რომ ოპოზიცია მარცხდებოდა, ბულგანინმა, პერვუხინმა და საბუროვმა საჯაროდ მოინანიეს და ხრუშჩოვის მხარეზე დაბრუნდნენ.

კაგანოვიჩი, მალენკოვი, მოლოტოვი და შეპილოვი ბედს არ შეურიგდნენ და ბრძოლა გააგრძელეს. კაგანოვიჩმა პარტიულ აპარატს მიმართა, სადაც დაგმო სტალინის კრიტიკა. პარტიული აპარატი კი ძირითადად სტალინური კადრებისგან შედგებოდა. მოლოტოვი აკრიტიკებდა ხრუშჩოვს კოლექტიური მმართველობის პრინციპის დარღვევასა და ქცევის უხეშ მანერებში.

ცენტრალური კომიტეტის წევრების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ მათთვის ხრუშჩოვის მოწინააღმდეგეები უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ვიდრე თავად ხრუშჩოვი. შედეგად მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი „და მათთან მიმხრობილი შეპილოვი" გამოაცხადეს შეთქმულების მონაწილეებად, „ანტიპარტიულ ჯგუფად" და თანამდებობებიდან გადააყენეს.

ხრუშჩოვმა ვერ გაბედა დამარცხებული მოწინააღმდეგეების დაპატიმრება და პარტიიდანაც არ გარიცხა. პირველმა მდივანმა თავი მოიკატუნა და ისე წარმოაჩინა საქმე, რომ „აპატია" ბულგანინისა და ვოროშილოვს, რათა არ ეღიარებინა ის ფაქტი, რომ მის წინააღმდეგ იყო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის უმრავლესობა, თუმცა, რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი ყოფილი მოწინააღმდეგეები პენსიაზე გაისტუმრა.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ხრუშჩოვმა შეიყვანა თავისი ერთგული ადამიანები ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობიდან, მათ შორის იყვნენ ლ. ბრეჟნევი, ფ. კოზლოვი, მ. სუსლოვი, ე. ფურცევა და გ. ჟუკოვი.

33.9. ჟუკოვის გადაყენება

1957 წლის ოქტომბერში ყველა თანამდებობიდან გადააყენეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. ჟუკოვი. ხრუშჩოვს ყველაზე მეტად სწორედ ჟუკოვის ეშინოდა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა არმიაში და ხალხიც პატივს სცემდა.

ჟუკოვმა ხრუშჩოვს დაუჭირა მხარი გაერთიანებული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ჟუკოვმა მაშინ განაცხადა, რომ თუ საჭირო იქნებოდა არმიასაც გამოიყენდა. ამან ხრუშჩოვი გადაარჩინა, მაგრამ ამავე დროს შეაშინა კიდეც. ჟუკოვს იმავეს გაკეთება ხომ მის წინააღმდეგაც შეეძლო. თანაც არსებობდა აშშ-ის მაგალითი – გენერალი დ. ეიზენჰაუერი პრეზიდენტი გახდა.

1957 წლის შემოდგომაზე მიქოიანმა ხრუშჩოვს უთხრა, რომ ჟუკოვმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე შექმნა სპეცდანიშნულების ნაწილების სკოლა. სპეციალური ნაწილები („სპეცნაზი") ექვემდებარებოდა სამხედრო დაზვერვას. სპეციალური დანიშნულების ბრიგადების ერთ-ერთი ამოცანა იყო სავარაუდო მოწინააღმდეგის სტრატეგიული დანიშნულების რაკეტების ბაზების განადგურება. სპეცდანიშნულების ნაწილები ნატოსაც ჰყავდა. ხრუშჩოვს ნატოს რაკეტები კი არ ადარდებდა, არამედ ეშინოდა, რომ სპეცრაზმის გამოყენება ჟუკოვს კრემლის მმართველების წინააღმდეგაც შეეძლო.

ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ჟუკოვის ჩამოცილება, ოღონდ ამისათვის სპეციალური გეგმა შეიმუშავა. პირველ რიგში, ჟუკოვი გაუშვა საზღვარგარეთ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ სტალინმა ძალზე გაანაწყენა იუგოსლავიის ხელმძღვანელი მარშალი ტიტო. მასთან შესარიგებლად ყველაზე კარგ კანდიდატურად კი ჟუკოვი მიიჩნია – ორივე მარშალია, ორივე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია და ერთმანეთს კარგად გაუგებენო. ხრუშჩოვის წინადადებას ყველა დაეთანხმა, ჟუკოვსაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო.

იუგოსლავიაში ჟუკოვს შეეძლო თვითმფრინავით ჩაფრენილიყო, ამას რამდენიმე საათი დასჭირდებოდა, მაგრამ ხრუშჩოვის გეგმა მოითხოვდა, რომ ჟუკოვი დიდი ხნით ყოფილიყო უცხოეთში. ამიტომ სევასტოპოლიდან ესკადრა (სამხედრო გემების ჯგუფი) გააგზავნეს იუგოსლავიაში. ჟუკოვი კრეისერ „კუიბიშევზე" იმყოფებოდა. ესკადრა გზადაგზა ნავსადგურებში შედიოდა და ჟუკოვს დიდი პატივით ხვდებოდნენ. საბჭოთა პრესაში ვრცელი ანგარიშები ქვეყნდებოდა ჟუკოვის ვიზიტთან დაკავშირებით. ესკადრა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლით ჩავიდა იუგოსლავიაში. ჟუკოვი ტიტოსთან შესახვედრად წავიდა, ესკადრამ კი მოულოდნელად ბრძანება მიიღო, ჯერ ალბანეთში ნასულიყვნენ, შემდეგ კი სევასტოპოლში დაბრუნებულიყვნენ. ჟუკოვმა ყოველგვარი კავშირი დაკარგა მოსკოვთან (არც იუგოსლავიაში და არც ალბანეთში მაშინ საბჭოთა კავშირს საელჩოები არ ჰქონდა). ხრუშჩოვი კი უკვე ჟუკოვის გადასაყენებლად ნიადაგს ამზადებდა. ჟუკოვს მის წინააღმდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ სამხედრო დაზვერვის უფროსმა შტემენკომ აცნობა. შემდეგ შტემენკო ხრუშჩოვმა დასაჯა და თანამდებობრივად დააქვეითა.

ხრუშჩოვის მითითებით, სამხედრო ნაწილებსა და პარტიულ ორგანიზაციებში კრებებს ატარებდნენ, სადაც გმობდნენ ჟუკოვის ხელმძღვანელობის სტილს, მას ბრალს სდებდნენ უხეშობაში (ეს მართლაც ასე იყო), საკუთარი დამსახურების განდიდებასა და საკუთარი პიროვნების კულტის ჩამოყალიბების მცდელობაში, ბონაპარტიზმში, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი როლის დაკნინებაში. რაც მთავარია, ხრუშჩოვმა გადაიბირა მაღალი რანგის სამხედროები და ისინი ჟუკოვს დაუპირისპირა.

იუგოსლავიიდან ჟუკოვი თვითმფრინავით ჩამოფრინდა. აეროპორტიდან პირდაპირ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე მიიყვანეს, სადაც მას ზემოთაღნიშნული ბრალდებები წაუყენეს. ჟუკოვი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ პრეზიდიუმი და მასზე დასასწრებად მიყვანილი მარშლები ჟუკოვის წინააღმდეგ ერთსულოვანი იყვნენ. იგივე მოხდა მეორე დღეს მონვეულ პარტიის 1957 წლის ოქტომბრის პლენუმზე. თავდაცვის მინისტრად დაინიშნა მარშალი როდიონ მალინოვსკი (1898-1967), ორი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომის მონაწილე.

33.10. ბულგანინის გადაყენება და ხრუშჩოვის ერთმმართველობის დამყარება

1958 წლის მარტში, მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირების დროს, მთავრობის მეთაურის პოსტიდან გადააყენეს ნ. ბულგანინი, რომელმაც 1957 წლის ზაფხულში ოპოზიციას დაუჭირა მხარი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ხრუშჩოვი, რომელმაც იმავდროულად შეინარჩუნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი.

ბულგანინი დროებით დაუბრუნდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის პოსტს (1958 წ. 31 მარტი– 15 აგვისტო), მაგრამ მისი პოლიტიკური ბედი გადაწყვეტილი იყო. 1958 წ. 5 სექტემბერს გამართულმა სკკპ ცკ პლენუმმა ბულგანინი გაათავისუფლა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობიდან, ასევე სამხედრო წოდება გენერალ-პოლკოვნიკობამდე შეუმცირეს (1958 წ. 26 ნოემბერი). თანამდებობრივადაც მნიშვნელოვნად დააქვეითეს – გადაიყვანეს სტავროპოლის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა (1958 წ. აგვისტო – 1960 წ. თებერვალი). გარდაიცვალა 1975 წელს მოსკოვში.

ხრუშჩოვმა არა მარტო სრული გამარჯვება მოიპოვა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში, არამედ თავის ხელში მოაქცია პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ბერკეტი. საბჭოთა კავშირში კვლავ დამყარდა ერთი პირის ხელისუფლება, რომელსაც არ გააჩნდა რაიმე საპირწონე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაკარგა კოლეგიური ორგანოს ხასიათი, სადაც განიხილავდნენ და აკრიტიკებდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. იშვიათი გამონაკლისების გარდა, პრეზიდიუმის წევრები ეთანხმებოდნენ ყველაფერს, რასაც მათ ხრუშჩოვი სთავაზობდა.

ბულგანინი და ხრუშჩოვი ინდოეთში ვიზიტის დროს.

სამაგიეროდ, ხრუშჩოვის გამარჯვების ფასი იყო მისი სრული დამოკიდებულება პარტიულ აპარატზე. პარტიული აპარატი კი მას მხარს იქამდე უჭერდა, სადამდეც ეს მის ინტერესებს შეესაბამებოდა.

თავი XXXIV.

ხრუშჩოვის საგარეო პოლიტიკა

34.1. კრემლის ახალი სტრატეგია საგარეო პოლიტიკაში

სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კურსი აიღეს ახალ საერთაშორისო სტრატეგიაზე, რომელიც დასავლეთთან დაძაბულობის შენელებას ითვალისწინებდა.

ახალი სტრატეგია, პირველ რიგში, იმით იყო განპირობებული, რომ საერთაშორისო არენაზე ძალთა თანაფარდობა კრემლის სასარგებლოდ არ იცვლებოდა. 1954 წლის ოქტომბერში ნატოს კარები გაიღო დასაელეთ გერმანიისათვის, აშშ ზრდიდა თავის სტრატეგიულ უპირატესობას, საბჭოთა კავშირის გარშემო ქმნიდა სამხედრო ბაზების სისტემას. ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩამოყალიბდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირები, რომელთა დანიშნულება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის შეკავება იყო.

საბჭოთა კავშირს მძიმე ტვირთად აწვებოდა მრავალმილიონიანი არმიის შენახვა, რომელიც სტალინის სიკვდილის დროისათვის 5,4 მილიონ ადამიანს შეადგენდა, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში საბჭოთა კავშირის არმიის თითქმის ნახევარი. 1955 წ. აგვისტოში არმიაში იყო დაახლოებით 4,8 მილიონი ადამიანი. ასეთი დიდი არმიის შენახვა საბჭოთა ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვებოდა. ამასთან, საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობა მესამე მსოფლიო ომს გარდუვალად აღარ მიიჩნევდა და მისთვის აღარ ემზადებოდა.

ახალი სტრატეგია სამი ძირითადი ელემენტისგან შედგებოდა:

პირველი – მაქსიმალურად შეეკავშირებინათ საბჭოთა კავშირთან აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები და განემტკიცებინათ კომუნისტური იმპერია;

მეორე – ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს შორის „ნეიტრალური" ქვეყნების სარტყელის შექმნა;

მესამე – ნატოს ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის ეკონომიკური და სხვა „ნორმალური" ფორმების თანდათანობითი განვითარება.[1]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში განხილვის დროს ხრუშჩოვი და მისი მომხრეები აცხადებდნენ, რომ, პროპაგანდისტული მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო იყო ეღიარებინათ სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობა, სამოქალაქო ომისა და დიქტატურის გარეშე. ამით აპირებდნენ „წვრილი ბურჟუაზიის" მერყეევი ელემენტების მხარდაჭერის მოპოვებას. ხრუშჩოვი ვარაუდობდა, რომ შემცირდებოდა დასავლეთში არსებული შიში საბჭოთა საფრთხის თაობაზე.

1956 წლის თებერვალში XX ყრილობამ აღიარა, რომ მსოფლიო ომი არ იყო გარდუვალი, შესაძლებელი იყო საპარლამენტო გზით სოციალიზმზე გადასვლა და ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობა ორ იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ბლოკს შორის.

1955 წელს გაძლიერდა უთანხმოება ხრუშჩოვსა და მოლოტოვს შორის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. მოლოტოვი წინააღმდეგი იყო ავსტრიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანისა და არ ეთანხმებოდა ტიტოსთან შერიგებას. 1955 წ. ივლისში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხრუშჩოვმა ბრალი დასდო მოლოტოვს დოგმატიზმში და პასუხისმგებლობა დააკისრა, სტალინთან ერთად, „ციკი ომის" კრიზისების გაჩაღებაში, მათ შორის კორეის ომში. ხრუშჩოვიც და მოლოტოვიც ერთმანეთს ბრალად სდებდნენ საგარეო პოლიტიკაში „ლენინიზმიდან" გადახვევას, თუმცა ხრუშჩოვისთვის უფრო იოლი იყო, წარსულის შეცდომებში სტალინთან ერთად მოლოტოვი დაედანაშაულებინა.

[1] История России. Том Ш. Под ред. А. Б. Зубова. Москва, 2017, стр.27.

თანდათანობით მოლოტოვი ჩამოაცილეს საგარეო პოლიტიკას და ის დიმიტრი შეპილოვით ჩაანაცვლეს, რომელიც ოფიციალურად საგარეო საქმეთა მინისტრი 1956 წ. ივნისში გახდა, მაგრამ მანამდე ნახევარი წლით ადრე ხრუშჩოვს დაეხმარა ახალი საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებაში.

34.2. სოციალისტური ქვეყნების დარაზმვის პოლიტიკა და ნეიტრალური ქვეყნების სარტყელის შექმნის მცდელობა

პრობლემები ევროპის სოციალისტურ ბანაკში

ევროპის „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნებში გროვდებოდა უკმაყოფილება კომუნისტური მმართველობის წინააღმდეგ. ამის მიზეზები მრავლად იყო: რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოხმარების საგნებისა და სურსათის დეფიციტი, პრობლემები საცხოვრებელ პირობებში, პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, ეს ყოველივე წარმოშობდა პოლიტიკური სისტემის რეფორმირების სურვილს. 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო მასობრივი სახალხო მღელვარებებიც: 1953 წლის 3 მაისს ბულგარეთი მოიცვა თამბაქოს ფაბრიკების მუშათა გაფიცვამ, 1953 წლის 31 მაისს-2 ივნისს გაფიცული იყო ჩეხოსლოვაკიის რიგი სამრეწველო სანარმოები, 1953 წლის 15-18 ივნისს მასობრივი მღელვარებები მოხდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მათი ჩახშობა მხოლოდ საბჭოთა ჯარების ჩარევით მოხერხდა.

სკკპ XX ყრილობას (1956 წლის 14-25 თებერვალი) დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. ჩინეთში, ალბანეთსა და რუმინეთში სტალინიზმის კრიტიკა ნეგატიურად იქნა აღქმული, სხვა ქვეყნებში კი გაძლიერდა პოლიტიკური რეჟიმების შერბილების სურვილი.

1956 წელს მასშტაბურმა **უკმაყოფილებამ იფეთქა პოლონეთში.** ივნისში პოზნანში ტარდებოდა საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც ბევრი უცხოელი მონაწილეობდა, ამიტომ ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ მიტინგის დარბევას მკაცრი ზომებით ვერ გაბედავდნენ. პოზნანში მუშათა გამოსვლები 28 ივნისს დაიწყო, ქუჩებში დაახლოებით 100 ათასი ადამიანი გამოვიდა. მათ წინააღმდეგ არმიის ნანილები გამოიყვანეს, თუმცა ანგარიშსწორება შედარებით „რბილი" იყო. ეს აიხსნება იმით, რომ პოლონეთის ხელისუფლებაში რეფორმატორთა ჯგუფი არსებობდა, გარდა ამისა, პოლონეთის სხვა ქალაქებში ვითარება დაძაბული იყო. საბჭოთა ჯარები მზად იყვნენ გამოსვლების ჩასახშობად. ამ ვითარებაში ხრუშჩოვი ჩავიდა ვარშავაში. პოლონეთის ხელმძღვანელობაში არსებულმა რეფორმისტების ჯგუფმა დაარწმუნა საბჭოთა ლიდერი, რომ უკეთესი იქნებოდა პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაცია. 1956 წლის 19-21 ოქტომბერს პოლონეთში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VIII პლენუმი, ხელმძღვანელად აირჩიეს ვლადისლავ გომულკა, რომელიც რეფორმების მომხრე იყო. გომულკას არჩევამ მხოლოდ გააძლიერა საპროტესტო გამოსვლები ნოემბერსა და დეკემბერში. გომულკამ პოზიციები გაიმყარა და ახალი დათმობები მიიღო მოსკოვისგან. პოლონეთი დატოვეს მაღალი რანგის საბჭოთა მრჩეველებმა და მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა.[1]

საბჭოთა „დათმობების" სანაცვლოდ პოლონელებმა პირობა დადეს, რომ შენარჩუნდებოდა სოციალიზმი და ქვეყანა დარჩებოდა ვარშავის ხელშეკრულების წევრად. პოლონეთმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის. გომულკამ განახორციელა კონცეფცია „პოლონეთის გზა სოციალიზმისაკენ", შეწყდა, მაგალითად გლეხური მეურნეობების კოლექტივიზაცია, გაუმჯობესდა კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობა. პოლონეთში განვითარებულმა მოვლენებმა დიდი გავლენა მოახდინა უნგრეთზე.

---

[1] პოლონეთი დატოვა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის მარშალმა კონსტანტინ როკოსოვსკიმ, რომელიც 1949-1956 წლებში პოლონეთის თავდაცვის მინისტრი იყო და პოლონეთის მთავრობაში „სტალინისტად" ითვლებოდა, თანამდებობა ასევე დატოვა და საბჭოთა კავშირში დაბრუნდა 1949 წლიდან მისმა მოადგილემ სტანისლავ პოპლავსკი.

უნგრეთში დაძაბული ვითარება იყო. 1945-1956 წლებში ცხოვრების დონე ქვეყანაში შემცირდა. უნგრეთი საბჭოთა კავშირს რეპარაციებს უხდიდა, როგორც ნაცისტური გერმანიის ყოფილი მოკავშირე და თავის ტერიტორიაზე ინახავდა საბჭოთა საოკუპაციო ჯარებსაც, ამასთან ქვეყანას მართავდა უაღრესად რეპრესიული რეჟიმი. უნგრეთში 1940-იანი წლების ბოლოდან ხელისუფლების სათავეში იყო ერთადერთი ლეგალურად მოქმედი პარტია – უნგრეთის მშრომელთა პარტია, მათიაშ რაკოშით სათავეში, მას „სტალინის საუკეთესო უნგრელ მონაფეს" უწოდებდნენ. რაკოშის მმართველობის დროს უნგრეთში დაახლოებით 650 ათასი ადამიანი აღმოჩნდა დევნის ობიექტი და 400 ათასამდე ადამიანი სხვადასხვა ვადით დააპატიმრეს.

1953-1955 წლებში უნგრეთის მთავრობას ხელმძღვანელობდა იმრე ნადი, რომელიც დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მომხრე იყო, მაგრამ ის ხელისუფლებას ჩამოაცილეს და რაკოშის კურსი გაგრძელდა. უნგრეთის რევოლუცია 1956 წლის 23 ოქტომბერს, პოლონელებთან სოლიდარობის აქციით დაიწყო, ბუდაპეშტში 200-ათასიანი დემონსტრაცია გაიმართა. 24 ოქტომბერს მოსკოვიდან მიღებული მითითების შესაბამისად, ბუდაპეშტში შევიდნენ უნგრეთში მყოფი საბჭოთა ჯარები,[1] რომლებიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას წაანყდნენ. უნგრეთის ხელისუფლებაში იმრე ნადი დაბრუნდა. მან მოუწოდა გამოსვლების შეწყვეტისა და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების დაწყებისაკენ. 30 ოქტომბერს საბჭოთა ჯარები გაიყვანეს ბუდაპეშტიდან და დააბრუნეს თავიანთი დისლოკაციის ადგილებში. ისე ჩანდა, რომ საქმე მოლაპარაკებებისკენ მიდიოდა, მაგრამ 31 ოქტომბერს ხრუშჩოვმა გადაწყვიტა უნგრეთში სამხედრო ინტერვენციის გზით „წესრიგის დამყარება".

მოსკოვში სასწრაფოდ დაიგეგმა ოპერაცია „ვიხრი", რომელსაც საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი გ. ჟუკოვი ხელმძღვანელობდა.[2] 4 ნოემბერს შეიქმნა უნგრეთის პროსაბჭოთა მთავრობა იანოშ კადარის ხელმძღვანელობით, რომელმაც მოსკოვს „დახმარებისთვის" მიმართა. საბჭოთა ჯარებმა უკვე 6 ნოემბერს ბუდაპეშტი აიღეს, 11 ნოემბრისათვის კი უნგრეთის აჯანყება მთლიანად ჩააქრეს.

თითქმის 200 ათასი უნგრელი (ქვეყნის მოსახლეობის 2%) ემიგრაციაში წავიდა. უნგრეთში რეპრესიები განახლდა, 1956 წლის ბოლოდან 1960 წლამდე აჯანყების 300 მონაწილე სიკვდილით დასაჯეს. 1958 წლის 16 ივნისს ჩამოახრჩეს იმრე ნადი „სამშობლოს ღალატისა და შეთქმულების ორგანიზებისათვის სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამხობის მიზნით". 1989 წელს ეს განაჩენი გაუქმდა და იმრე ნადი ეროვნულ გმირად გამოცხადდა.

ლონისძიებები სოციალისტური ბანაკის განსამტკიცებლად

1955 წლის 14 მაისს ვარშავაში შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, – ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელშიც საბჭოთა კავშირის გარდა შევიდა აღმოსავლეთ ევროპის 7 სოციალისტური ქვეყანა: პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი და ალბანეთი. თავისი სტრუქტურით ის ფაქტობრივად იყო ნატოს ასლი და პასუხი ნატოში გერმანიის განევრიანებაზე. გარდა ამისა, ასეთი სტრუქტურის შექმნის გარეშე სულ უფრო ძნელდებოდა

[1] საბჭოთა ჯარები უნგრეთში იმყოფებოდნენ 1947 წლის პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების და 1955 წლის ვარშავის ხელშეკრულების საფუძველზე. უნგრეთში იმყოფებოდა 6 ათასი ჯარისკაცი, 290 ტანკით, 120 ჯავშანტრანსპორტიორით და 156 ქვემეხით.

[2] უნგრეთში შესაჭრელად მოამზადეს 30 ათასზე მეტი ჯარისკაცი, 1000-ზე მეტი ტანკი, 800 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 380 ჯავშანტრანსპორტიორი. მათ უპირისპირდებოდა 15-დან 50 ათასამდე აჯანყებული. უნგრეთის რეგულარული ჯარმის ნაწილები ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ჯარების ყოფნის კანონიერების დასაბუთება. შეიქმნა ხელშეკრულებაში შემავალი ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალები. მისი მთავარსარდალი გახდა საბჭოთა კავშირის მარშალი ი. კონევი.

ვარშავის ხელშეკრულებას მალე ჩამოსცილდა ალბანეთი – 1961 წელს, მოსკოვთან იდეოლოგიური უთანხმოებების გამო ფაქტობრივად გამოვიდა ბლოკიდან, ხოლო ფორმალურად გავიდა 1968 წელს, ვარშავის ხელშეკრულების ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ.

1985 წლის 26 აპრილს ვარშავის ხელშეკრულებას 20 წლით გაუგრძელდა ვადა, სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ კი – 1991 წლის 1 ივლისს არსებობა შეწყვიტა.

1955 წ. მაისში ხრუშჩოვი დიდ პარტიულ დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა იუგოსლავიაში, სადაც შეეცადა ტიტოსთან შერიგებას.[1] იუგოსლავიაში ვიზიტი წარმოადგენდა პირველ შთამბეჭდავ ნაბიჯს, რაც სტალინური კურსიდან გადახვევას ნიშნავდა. ხრუშჩოვი იმედოვნებდა, რომ იუგოსლავიას საბჭოთა ბლოკში დააბრუნებდა, თუმცა უშედეგოდ. შემდგომში ტიტომ არჩია, სათავეში ჩასდგომოდა „მიუმხრობელი ქვეყნების" მოძრაობას, რომლებიც ცდილობდნენ მესამე ძალის შექმნას საერთაშორისო არენაზე.

1956 წლის ნოემბერში უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელობა იძულებული იყო, მნიშვნელოვნად შეემცირებინა კონტროლი ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი თავისი სატელიტების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. 1956 წელს დაშლილად გამოცხადდა კომინფორმი – ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე სტალინის კონტროლის იარაღი.

შეიცვალა ეკონომიკური დამოკიდებულებაც – თუკი სტალინი აღმოსავლეთ გერმანიიდან რეპარაციებს ილებდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან უთანასწორო ეკონომიკური გაცვლით მნიშვნელოვან სარგებელს ღებულობდა, ხრუშჩოვი იძულებული გახდა, საპირისპირო პოლიტიკა გაეტარებინა. უკვე ეშინოდათ ცხოვრების დონის დაცემისა გდრ-ში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, რადგანაც ამას მოჰყვებოდა მღელვარებები და ამ ქვეყნების მოქალაქეები ვერ დაინახავდნენ სოციალიზმის „უპირატესობებს" კაპიტალიზმთან შედარებით. ამიტომ კრემლი „სახალხო დემოკრატიის" ქვეყნებს სულ უფრო მეტ უსასყიდლო დახმარებას უწევდა – აწვდიდა იაფ ნედლეულს, კრედიტება, ყიდულობდა ამ ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციას.

კრემლის პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესი, სადაც 1957 წელს შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. მოსკოვიც შეეცადა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოშიც ურთიერთობები ანალოგიური პრინციპით მოეწყო, თუმცა წარუმატებლად.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკას სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა პოლონეთის, უნგრეთის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანიის შენახვა და ჩინეთისთვის დახმარების გაწევა.

ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა ავსტრიისა და ფინეთის ნეიტრალიტეტს. ის იმედოვნებდა, რომ ამ ქვეყნებს მიბაძავდნენ დასავლეთის სხვა ქვეყნებიც და ამით, შესაძლოა, ნატოს პოზიციებიც შერყეულიყო.

1955 წლის მარტში მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკებები. ხრუშჩოვი თანახმა იყო, ავსტრიიდან მთლიანად გამოეყვანა საბჭოთა ჯარები იმ პირობით, რომ ამ ქვეყნიდან გავიდოდნენ სხვა საოკუპაციო ძალებიც და ავსტრია გახდებოდა

[1] 1948 წლიდან საბჭოთა კავშირის პრესაში იუგოსლავიის ლიდერს შემდეგნაირად მოიხსენიებდნენ: „სისხლიანი ძაღლი ტიტო და მისი ხროვა" და „ამერიკის იმპერიალიზმის ლაქია".

ნეიტრალური სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არ იქნებოდა სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზები. 1955 წ. 15 მაისს ვენაში საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის შექმნის შესახებ.

ფინეთთან მიმართებაში ხრუშჩოვმა ფსონი დადო ფინეთის პრემიერ-მინისტრ ურხო კეკონენზე, რომელიც „ნეიტრალური" კურსის მომხრე იყო. 1956 წ. იანვარში ფინეთს დაუბრუნდა პორკალა-უდის ნახევარკუნძული, რომელიც ჰელსინკიდან 12 კილომეტრში იყო და იქ 1945 წლიდან საბჭოთა სამხედრო ბაზა იყო განლაგებული. ეს იყო „ფინეთის გულზე მიბჯენილი დანა". ფინელებმა კეკონენი პრეზიდენტად აირჩიეს, ფინელები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ვიბორგსა და კარელიის სამხრეთ ნაწილსაც დააბრუნებდა, მაგრამ ეს არ მომხდარა, თუმცა 1956 წლის 11 ივლისს საბჭოთა კავშირმა გააუქმა კარელო-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მის ნაცვლად აღდგა კარელიის ავტონომია რუსეთის ფედერაციაში.

ხრუშჩოვი იმედოვნებდა, რომ ფინეთთან ვაჭრობის გზით შეძლებდა დასავლური მოწინავე ტექნოლოგიების მიღებას. გარდა ამისა, ეგონა, რომ სკანდინავიის სხვა ქვეყნებიც – ნორვეგია და დანია უარს იტყოდნენ ნატოს წევრობაზე და თავიანთი ტერიტორიიდან გაიყვანდნენ ამერიკულ ბაზებს.

34.3. საბჭოთა აქტიურობა მესამე სამყაროს ქვეყნებში

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ და მსოფლიო კოლონიური სისტემის მსხვრევამ საბჭოთა ლიდერებს ყურადღება გადაატანინა მესამე სამყაროს ქვეყნებზე.

საბჭოთა ხელმძღვანელობა დაუმეგობრდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს და მხარი დაუჭირა მის მიერ წამოყენებულ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს („პანჩა შილა"). ეს პრინციპები 1955 წ. მაისში ბანდუნგში (ინდონეზია) გამართულ კონფერენციაზე მიიღეს კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებულმა აზიის ქვეყნებმა, ასევე ჩინეთმა.

1955 წ. ნოემბერში ხრუშჩოვი და ბულგანინი ეწვივნენ ავღანეთს, ინდოეთსა და ბირმას. ეს იყო აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის აშკარა გამოწვევა.

1955 წ. მეორე ნახევარში, ტიტოს რჩევით, ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა ეგვიპტის ლიდერს აბდელ ნასერს, შემდეგ კი – სხვა რადიკალ არაბ პოლიტიკოსებს ახლო აღმოსავლეთში.

უნდა ითქვას, რომ საბჭოურ გარღვევას სამხრეთში ხელი შეუწყო დასავლეთის პოლიტიკამაც. ამერიკელები არ ენდობოდნენ ნერუს, ნასერსა და ანტიკოლონიური მოძრაობის სხვა ლიდერებს; დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი თავიანთი კოლონიური სამფლობელოების შენარჩუნებას ცდილობდნენ, მათ შორის სუეცის არხისა და ალჟირის. სწორედ დასავლეთის პოლიტიკით უკმაყოფილების გამო აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა გახდა მესამე სამყაროს წევრი, სადაც სწრაფად იზრდებოდა სიმპათიები საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისადმი.

თავიდან საბჭოთა ხელმძღვანელობას კარგად ახსოვდა კორეის ომის გაკვეთილები, ფრთხილად იქცეოდა და ცდილობდა, თავიდან აეცილებინა სიტუაცია, როდესაც მესამე სამყაროში ბრძოლას პირდაპირი შეჯახება შეიძლება მოჰყოლოდა დასავლეთის ქვეყნებთან. 1954 წელს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა მხარი არ დაუჭირეს ვიეტნამელი კომუნისტების სურვილს, ხელში ჩაეგდოთ მთელი ვიეტნამი, და ამის ნაცვლად ხელი მოაწერეს შეთანხმებას საფრანგეთთან და აშშ-თან არჩევნების შემდეგ ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ, თუმცა მალე ცხადი გახდა, რომ ხრუშჩოვსა და საბჭოთა ხელისუფლების უმრავლესობას ხელები ექავებოდათ „იმპერიალისტებისთვის დარტყმის მისაყენებლად".

34.4. შეჯიბრი რაკეტულ-ბირთვულ შეიარაღებაში და კოსმოსში გასვლა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირს ყველაზე მრავალრიცხოვანი სახმელეთო არმია ჰყავდა, რომელიც ევროპის ცენტრში იდგა. ამერიკელებს სახმელეთო ძალებით მათთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, მათ დაიწყეს შეიარაღების იმ სახეობების განვითარება, რაშიც უპირატესობა ჰქონდათ: შორი რადიუსის ბომბდამშენებისა და ატომური იარაღის. საბჭოთა კავშირს არ შეეძლო ავიაციაში შეჯიბრი, ამიტომ კურსი აიღო რაკეტების შექმნაზე, რასაც 1946 წლიდან დაადგნენ.

1953 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში გამოჩნდა რაკეტა, რომელსაც დასავლეთში „სკადი" უწოდეს. მისი საბრძოლო მუხტი 780 კგ. ტროტილს შეადგენდა და სროლის სიშორე 580 კმ იყო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, საბჭოთა კავშირს ამ დროისთვის ატომური ბომბები ჰქონდა და მათ უფრო მძლავრი რაკეტები ესაჭიროებოდათ.

ა. სახაროვისა და ვ. გინზბურგის პროექტით შეიქმნა თერმობირთვული ბომბი, რომელიც 1953 წ. 12 აგვისტოს გამოსცადეს, მისი ძალა 400 ათასი ტონა ტროტილის ეკვივალენტი იყო, ხოლო კონსტრუქცია იმ ამერიკული ბომბისგან განსხვავდებოდა, რომელიც 1952 და 1954 წლებში ააფეთქეს წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ამერიკულისგან განსხვავებით, საბჭოთა თერმობირთვული მოწყობილობის დამონტაჟება შეიძლებოდა რაკეტამატარებელზე. მაგრამ პირველი თერმობირთვული მოწყობილობები ძალზე დიდი იყო და 3-დან 5,5 ტონამდე იწონიდა. მათ ჰაერში ასატანად უზარმაზარი რაკეტები იყო საჭირო.

პირველი ბირთვული ქობინის მატარებელი რაკეტა საბჭოთა კავშირში გაუშვეს 1956 წ. 2 თებერვალს კაპუსტინ იარის პოლიგონიდან (ვოლგისიქითა სტეპებში) და ააფეთქეს არალის ზღვის თავზე. შემდეგი ამოცანა იყო, უფრო მძიმე თერმობირთვული მოწყობილობა გადაესროლათ არა 1200 კილომეტრზე, არამედ 12 ათას კილომეტრზე, – აშშ-ის ტერიტორიის მისაღწევად. პირველი კონტინენტშორისი რაკეტა იწონიდა 280 ტონას და მისი გამოცდა დაიწყო 1957 წლის მაისში. სწორედ ამ გამოცდების ფარგლებში, რამდენიმე წარუმატებელი სტარტის შემდეგ, საბჭოთა რაკეტამ P-7 დედამიწის ორბიტაზე გაიყვანა პირველი ხელოვნური თანამგზავრი. ეს იყო სერგეი კოროლიოვის (1907-1966) დამსახურება.

კოსმოსში თანამგზავრის გაყვანით საბჭოთა კავშირმა დიდი პროპაგანდისტული გამარჯვება მოიპოვა „ცივ ომში" საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მესამე სამყაროს ქვეყნებში უაღრესად გაიზარდა. აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყნისთვის „რუსული სოციალიზმი" მისაბაძი მაგალითი გახდა.

„მეფე-ბომბი" – ასე უწოდებდნენ არაოფიციალურად AH602-ს, რომელიც ყველაზე მძლავრი თერმობირთვული მოწყობილობა იყო, რაც კი დედამიწაზე აუფეთქებიათ – 58 მეგატონა ტროტილის ეკვივალენტი. 1961 წლის 30 ოქტომბერს ბომბი თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს და ჰაერში ააფეთქეს ახალ მიწაზე არსებულ ბირთვულ პოლიგონზე. ის 1570-ჯერ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ხიროსიმასა და ნაგასაკში 1945 წელს ჩამოგდებული ატომური ბომბები, ერთად აღებული. აფეთქების ნათებას ხედავდნენ ათასი კილომეტრის დაშორებითაც.

34.5. ახალი სტრატეგიის წარუმატებლობა

1955 წ. ივლისში ჟენევაში შედგა, პირველად 1945 წლის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა უმაღლეს დონეზე. საბჭოთა კავშირს წარმოადგენდნენ ხრუშჩოვი, ბულგანინი, მოლოტოვი და ჟუკოვი. საბჭოთა დიპლომატია ცდილობდა, თუმცა წარუმატებლად, ურთიერთობის გაუმჯობესებას საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან.

1955 წ. სექტემბერში მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიის კანცლერი კონრად ადენაუერი და ორ ქვეყანას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები.

ახალ სტრატეგიას არ მოჰყოლია დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, რის იმედიც ჰქონდა საბჭოთა რეჟიმს. კრემლის მცდელობას, ერთი მხრივ, დასავლური ბიზნესი დაეინტერესებინა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით, მეორე მხრივ კი, შეიარაღების შემცირების პროპაგანდით დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, შეზღუდული შედეგები მოჰყვა. მას არ შეუმსუბუქებია აშშ-ის ანტიკომუნისტური კურსი.

განიარაღების საბჭოთა პროპაგანდისტულ ნაბიჯებს აშშ-ის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ასევე პროპაგანდისტული ნაბიჯით უპასუხა – წინადადება წამოაყენა შეექმნათ „ღია ცა", ე. ი. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის მზვერავ თვითმფრინავებს დაუბრკოლებლად ეფრინათ ამ ორი ქვეყნის თავზე, რაც ორმხრივი ნდობის დემონსტრირება იქნებოდა. ჟუკოვი ამ წინადადებით დაინტერესდა, მაგრამ ხრუშჩოვმა ამაში დაინახა „ღია შპიონაჟის" მცდელობა, რომელიც გამოააშკარავებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო სისუსტეს.

1955 წლის ბოლოსთვის „ჟენევის სულისკვეთება" ფაქტობრივად ამოიწურა, „ცივი ომი" გრძელდებოდა. დასავლეთ გერმანიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას არ მოჰყოლია ადენაუერის მიერ გდრ-ის ცნობა და რემილიტარიზაციაზე უარის თქმა.

კრემლის ახალ სტრატეგიას არ შეუცვლია კომუნისტური დოქტრინის არსი, რომელიც კელავ აგებული იყო სოციალიზმის კაპიტალიზმზე გარდუვალი გამარჯვების რწმენაზე. ერთი მხრივ, ტაქტიკური მოსაზრებებით უარი ითქვა აგრესიულ იდეოლოგიურ განცხადებებზე ევროპასთან მიმართებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, გამოცოცხლდა ჯერ კიდევ კომინტერნის დროინდელი შეხედულებები, რომ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის შერყევა უფრო ადვილია არა ევროპაში, არამედ აზიის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამისათვის უნდა გამოეყენებინათ რადიკალური ანტიკოლონიური მოძრაობები, ასევე, ამ გზით დაენგრიათ ამერიკული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

1957 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ანდრეი გრომიკო, რომელიც დასავლეთთან ფრთხილი და მკაცრი მოლაპარაკებების მომხრე იყო, მაგრამ ეშინოდა ფეთქებადი ხასიათის მქონე და უხეში ხრუშჩოვის, რომელიც რეალურად წარმართავდა საგარეო პოლიტიკას.

ხრუშჩოვი რწმენით ბოლშევიკი იყო და სჯეროდა, რომ „მშვიდობიან თანაარსებობასა" და „დაძაბულობის შენელებას" მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდა, თუკი კარგად შეაშინებდა „იმპერიალისტებს". თავისი მოუთმენლობით ხრუშჩოვი ბევრ რამეს უფუჭებდა საბჭოთა დიპლომატიას.

1957 წელს ხრუშჩოვმა ამერიკელებს მიღების დროს განუცხადა: „ჩვენ თქვენ დაგმარხავთ". მას მხედველობაში ჰქონდა კაპიტალიზმზე კომუნისტური წყობის გამარჯვების გარდუვალობა, მაგრამ ამ ფრაზით წყალში გადაყარა მრავალწლიანი მუშაობა, რომელსაც უნდა შეემცირებინა ამერიკელების მიერ საბჭოთა კავშირის მტრად აღქმა.

დასავლეთის სახელმწიფოებზე ზეწოლის მთავარი საშუალება ხრუშჩოვისთვის იყო რაკეტულ-ბირთვული იარაღი. 1956 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ეგვიპტეში ომის დროს, ხრუშჩოვმა დაიჯერა, რომ ეფექტურია დასავლეთისთვის ატომური ულტიმატუმების წაყენება. საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აშშ-ს სტრატეგიულ შეიარაღე-

ბაში, მაგრამ ხრუშჩოვს ეს არ აწუხებდა. მას გათვლა ჰქონდა ატომური მუქარის ფსიქოლოგიურ ეფექტზე. „თანამგზავრის ეფექტის“ გარდა, საბჭოთა კავშირს 1960-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა საშუალო რადიუსის ასამდე რაკეტა, რომელთაც დასავლეთ ევროპისათვის დარტყმის მიყენება შეეძლოთ.

ნიკიტა ხრუშჩოვმა 1959 წელს მოსკოვში გამართულ ამერიკულ გამოგონებათა გამოფენაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ამერიკელებს დაემუქრა და შემდეგი ფრაზა წარმოთქვა: „ჩვენს განკარგულებაშია ისეთი საშუალებები, რომელთაც თქვენთვის მძიმე შედეგები მოჰყვება. Мы вам покажем кузькину мать!“ ეს ფრაზა ინგლისურად თარგმნეს როგორც «Kuzma's mother» (კუზმას დედა).

ამ ფრაზას ხრუშჩოვი თავის სიტყვებში ხშირად იმეორებდა, მაგრამ განსაკუთრებით ცნობილი გახდა გაეროში 1960 წლის 12 ოქტომბერს გამოსვლის შემდეგ. ამერიკელებს არ ესმოდათ, თუ რატომ უნდა შეშინებოდათ ვინმე კუზმას დედასი, მაგრამ გაუგებრობა კიდევ უფრო მძაფრს ხდიდა მუქარას. რუსი ფილოლოგები ამ ფრაზის თარგმნისას „კუზმას დედის“ ხსენებას არასწორად მიიჩნევენ, მაგრამ იმაში თანხმდებიან, რომ გამოთქმა მთლიანობაში მუქარას შეიცავს. ამერიკელებმა ეს ფრაზა ბირთვული იარაღით მუქარასთან გააიგივეს.

1958 წლის შემოდგომაზე ხრუშჩოვი შეეცადა ბირთვული ბლეფით, საბჭოთა ინტერესების შესაბამისად, გერმანიის პრობლემის გადაჭრას. გერმანიის გაერთიანება, ავსტრიის მსგავსად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაქრობასაც ნიშნავდა, მაგრამ საბჭოთა კავშირი მიდიოდა ამაზე ერთიანი გერმანიის ნეიტრალიზაციისთვის. 1957-1958 წლებში დასავლეთ გერმანიის ლიდერი კონრად ადენაუერი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის პირობებში ატარებდა გდრ-ის იზოლაციის პოლიტიკას, დასავლეთ ბერლინი კი გახდა დასავლეთის გავლენის მძლავრი ბერკეტი აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობაზე, – ეს იყო ეკონომიკური თავისუფლების, დემოკრატიისა და ცხოვრების უფრო მაღალი მატერიალური დონის სიმბოლო. დასავლეთ ბერლინში სულ უფრო მეტი აღმოსავლეთგერმანელი გარბოდა.

1958 წ. ნოემბერში ხრუშჩოვმა აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს წარუდგინა ულტიმატუმი. ის მოითხოვდა წლის ბოლომდე სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას გერმანიასთან დაკავშირებით და დასავლეთის სახელმწიფოების მიერ დასავლეთ ბერლინის „თავისუფალ ქალაქად“ აღიარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხრუშჩოვი იმუქრებოდა, რომ გდრ-თან ხელს მოაწერდა ხელშეკრულებას და გაუქმდებოდა ყველა შეთანხმება, რომლითაც დასავლეთის სახელმწიფოები სახმელეთო და საჰაერო გზებით დასავლეთ ბერლინს უკავშირდებოდნენ.

აშშ-სა და ნატოს ხელმძღვანელობამ უარყო საბჭოთა ულტიმატუმი და რადგანაც საბჭოთა კავშირის მიერ დასავლეთ ბერლინის ბლოკადას მოელოდა, საპასუხო ზომებისთვის დაიწყო მზადება. ნატო არ გამორიცხავდა ძალის გამოყენებას დასავლეთ ბერლინთან, გდრ-ის ტერიტორიის გავლით, კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. ხრუშჩოვმა ეს იცოდა და განკარგულება გასცა, 1959 წ. დასაწყისში კალინინგრადის ოლქსა და აღმოსავლეთ გერმანიაში განელაგებინათ საშუალო სიშორის რაკეტები. ცენტრალურ ევროპაში 1948 წ. შემდეგ პირველად წარმოიშვა პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება მოჰყოლოდა. თუმცა ხრუშჩოვი თვლიდა, რომ ყოველთვის შეძლებდა უკანასკნელ ზღვარზე შეჩერებას და არ მივიდოდა „ცხელ“ ომამდე, რომ აშშ და მისი ნა-

ტოელი მოკავშირეები „არ იომებდნენ ადენაუერის გამო“ და წავიდოდნენ დათმობებზე. დასავლურ პრესაში პერიოდულად ქვეყნდებოდა სენსაციური განცხადებები, რომ ომის შემთხვევაში ინგლისი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები საერთოდ გაქრებოდნენ.

დასავლეთელი პოლიტიკოსები შეშფოთებული იყვნენ ხრუშჩოვის უპასუხისმგებლო განცხადებებით. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი, საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, შემდეგ კი აშშ-ის პრეზიდენტი ეიზენჰაუერი სთავაზობდნენ ხრუშჩოვს მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომას. 1959 წ. სექტემბერში ხრუშჩოვი პირველი საბჭოთა ლიდერი გახდა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში ჩავიდა. ამ ქვეყანაში ხმაურიანი პროპაგანდისტული ტურნეს შემდეგ, ხრუშჩოვი შეხვდა ეიზენჰაუერს და საბჭოთა ლიდერი კმაყოფილი დარჩა, როდესაც ეიზენჰაუერმა ბერლინში არსებული სიტუაცია „არანორმალურად“ მიიჩნია. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ 1960 წლის დასაწყისში პარიზში შედგებოდა ოთხი სახელმწიფოს ლიდერების შეხვედრა გერმანიის საკითხზე.

ხრუშჩოვი მიიჩნევდა, რომ ეიზენჰაუერი საბჭოთა კავშირს უკვე თანასწორ პარტნიორად თვლიდა და გერმანიის პრობლემაც საბჭოთა ინტერესების შესაბამისად გადაწყდებოდა. 1959 წ. დეკემბერ – 1960 წ. იანვარში ხრუშჩოვი უკვე დაძაბულობის შენელებისთვის ემზადებოდა. ის ვარაუდობდა სამხედრო ხარჯების მკვეთრად შემცირებასა და მნიშვნელოვანი სახსრების გადასროლას „კომუნიზმის ეკონომიკის“ ასაშენებლად. ამას მოითხოვდა საბჭოთა კავშირში არსებული მწვავე დემოგრაფიული კრიზისიც. ეკონომიკას არ ჰყოფნიდა მუშახელი, რადგანაც სრულწლოვანი ხდებოდა ომის პერიოდში დაბადებული მცირერიცხოვანი თაობა. 1960 წლის იანვარში გამოცხადდა არმიის 1,2 მილიონი ადამიანით შემცირება, პირველ რიგში, ოფიცერთა ხარჯზე. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ მომავალი რაკეტებს ეკუთვნოდა და დიდი საკადრო არმია, ასევე საოკეანო სამხედრო-საზღვაო ფლოტი მალე საჭირო აღარ იქნებოდა. შეწყდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების მშენებლობა და მშენებლობის დამამთავრებელ ფაზაში მყოფი დიდი სამხედრო წყალზედა გემები, მათ შორის ავიამზიდები და მძიმე კრეისერები, ჯართად ჩამოწერეს. მნიშვნელოვნად შემცირდა ავიაციაც. შემცირება უხეიროდ განხორციელდა და ბევრი ნიჭიერი ოფიცერი და სპეციალისტი გაუშვეს შეიარაღებული ძალებიდან. 1959 წ. 27 იელისის საპენსიო კანონი სამხედრო მოსამსახურეებს პენსიას მხოლოდ 40 წლის სამსახურის შემდეგ უნიშნავდა. ბევრი გათავისუფლებული ოფიცერი ლუკმაპურის გარეშე დარჩა. არმია დიდმა უკმაყოფილებამ მოიცვა. გენერალიტეტი ლანძღავდა ხრუშჩოვს და თვლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტად ჩამორჩებოდა აშშ-ს სამხედრო სფეროში.

პარიზში ოთხი ქვეყნის ლიდერების შეხვედრა უნდა შემდგარიყო 1960 წლის მაისის შუა რიცხვებში. 1 მაისს საბჭოთა საზენიტო სისტემებმა სვერდლოვსკის რაიონში ჩამოაგდეს ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი უ-2, ამასთან მეორე რაკეტით საბჭოთა თვითმფრინავიც ჩამოაგდეს, რომლის მფრინავიც დაიღუპა. სამაგიეროდ, ამერიკელი მფრინავი გ. პაუერსი ტყვედ აიყვანეს, რომელიც კონტრაქტით ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურზე მუშაობდა. მან ჩვენებების მიცემაც დაიწყო. ეიზენჰაუერი პაუერსს დაღუპულად მიიჩნევდა და თავიდან აშშ-ის კავშირი სადაზვერვო თვითმფრინავთან უარყო. ხრუშჩოვმა ერთი კვირის შემდეგ საზეიმოდ წარმოადგინა ტყვედ ჩავარდნილი მფრინავი, როგორც „მოლაპარაკე სამხილი“. ხრუშჩოვისთვის მოულოდნელად ეიზენჰაუერმა პასუხისმგებლობა აიღო მომხდარზე, რითაც ხრუშჩოვს დიდი პრობლემა შეუქმნა. ხრუშჩოვი თვლიდა, რომ ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების გამართვა სისუსტის გამოხატულება იქნებოდა.

1960 წ. 12 მაისის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დირექტივები ჯერ კიდევ მიმართული იყო დასავლეთის სახელმწიფოებთან კონსტრუქციული მოლაპარაკებისკენ. ვარაუდობდნენ, რომ 1960 წ. ზაფხულში ეიზენჰაუერი ჩავიდოდა საბჭოთა კავშირში და კოტეჯებიც კი იქნა აგებული მის მისაღებად. მოულოდნელად, აეროპორტში, პარიზში გაფრენის წინ ხრუშჩოვმა გამცილებლებს, ანუ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის

წევრებს უთხრა, რომ მოლაპარაკებების ნაცვლად საჭიროა შეხვედრის ბოიკოტირება. მათ შეპასუხება ვერ გაბედეს. პარიზში ხრუშჩოვმა უარი თქვა, შეხვედროდა ეიზენჰაუერს მანამდე, სანამ ის ბოდიშს არ მოიხდიდა უ-2 ინციდენტის გამო. დე გოლი და მაკმილანი ამაოდ სთხოვდნენ ხრუშჩოვს, რომ მოლაპარაკებების მაგიდას მისჯდომოდა. სანაცვლოდ ხრუშჩოვმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ნამდვილი ისტერიკა მოაწყო, ბრალს სდებდა ეიზენჰაუერსა და ადენაუერს, ყველანაირ მტრებს რაკეტებით ემუქრებოდა.

პარიზის შეხვედრის ჩაშლამ მსოფლიო და ევროპა დააბრუნა „ცივი ომის" ყველაზე ცუდ დროში. საბჭოთა არმიის შემცირება შეწყდა, რამაც მაღალი რანგის სამხედროების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. სიტუაცია ყველაზე ცუდი გერმანიაში იყო. ბერლინის კრიზისი კვლავ გრძელდებოდა, აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა კი თვალსა და ხელს შუა მცირდებოდა, – 1959-1960 წლებში დასავლეთ გერმანიაში გაქცეულთა რაოდენობამ ნახევარი მილიონი შეადგინა. ეს ხდებოდა საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების მიუხედავად.

ხრუშჩოვი გადაეშვა „რევოლუციურ დიპლომატიაში", რომელიც 1920-იანი წლების პერიოდის ბოლშევიკურ და კომინტერნის აქციებს ჰგავდა. ის მოკავშირეებს ეძებდა აფრიკის მემარცხენე ნაციონალისტებს შორის, ეხმარებოდა ალჟირს, გვინეას, ეგვიპტეს და მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებს. საბჭოთა კავშირი ჩაერია კონგოში მიმდინარე სამოქალაქო ომში პრეზიდენტ პატრის ლუმუმბას მხარეზე კატანგის სეპარატისტების წინააღმდეგ, რომელსაც დასავლეთელი დაქირავებულები უჭერდნენ მხარს. როდესაც პატრის ლუმუმბა მოკლეს, ხრუშჩოვმა მის სიკვდილში ბრალი დასდო „დასავლეთის იმპერიალისტებსა" და გაეროს გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს.

ხრუშჩოვის „რევოლუციური დიპლომატიის" კულმინაცია იყო მისი ვიზიტი ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ სესიაში მონაწილეობის მისაღებად. ერთადერთი საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავი TУ-104 (რომელიც გადაკეთებული სტრატეგიული ბომბდამშენი TУ-95 იყო), რომელსაც შეეძლო საბჭოთა ლიდერის აშშ-ში ჩაყვანა, რემონტდებოდა, ამიტომ ხრუშჩოვი ამერიკაში გემით წავიდა და თან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერები ნაიყვანა. ის ნიუ-იორკში დაახლოებით ერთი თვე დარჩა, გაეროში გამოსვლებისას გააფთრებით ამხელდა „იმპერიალისტებს და მათ ხელშემწყობებს"

1960 წლის 12 ოქტომბერს გაეროს მე-15 გენერალური ასამბლეის სხდომაზე ნიუ-იორკში მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური შემთხვევა მოხდა. განხილვის მთავარი თემა იყო კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხი. გაეროში ერთბაშად მიიღეს კოლონიური მფლობელობიდან გათავისუფლებული აფრიკის 16 ქვეყანა. ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც განიხილებოდა საბჭოთა კავშირის უნგრეთში შეჭრის საკითხი, ფილიპინების წარმომადგენელმა ლორენცო სუმულონგიმ საბჭოთა კავშირი შეადარა საკონცენტრაციო ბანაკს და მოუწოდა ხრუშჩოვს, მოეხდინა აღმოსავლეთ ევროპის დეკოლონიზაცია. ხრუშჩოვმა ფილიპინელს „ამერიკის იმპერიალიზმის ლაქია" უწოდა და, დარბაზში მჯდომი, მაგიდაზე საკუთარ ფეხსაცმელს აბრახუნებდა. ეს მსოფლიო სენსაციად იქცა, საბჭოთა პრესაში კი მიაჩუმათეს.

34.6. რუსეთისა და ჩინეთის კომუნისტური რეჟიმების კონფლიქტი. ერთიანი კომუნისტური ბანაკის დაშლა

სკკპ XX ყრილობის შემდეგ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ღრმა კრიზისმა მოიცვა. კომუნისტურმა მოძრაობამ თავისი ეერში დაკარგა. სტალინის დროს საყოველთაოდ მიღებული დოგმა იყო, რომ საბჭოთა კავშირისთვის მხარი უნდა დაეჭირათ, თუნდაც საკუთარი ქვეყნის ინტერესების ხარჯზე, სტალინის კულტის გაკრიტიკების შემდეგ ყველა კომუნისტური რეჟიმი, გადარჩენის მიზნით, მიმართავდა ნაციონალისტურ დემაგოგიას და ცდილობდა მოსკოვისგან დისტანცირების დემონსტრირებას. ამ გზით საკუთარი ხალხის თვალში კანონიერ ნაციონალურ ელიტებად თავის წარმოჩენას ცდილობდნენ.



1960-იანი ნლების დასაწყისიდან ფუჭდება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობები. რუმინეთის კომუნისტური ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ რუმინეთს უნდა დაბრუნებოდა მოლდოვა (ბესარაბია) და რუმინელებით დასახლებული ჩრდილოეთ ბუკოვინა (გერცის ოკრუგი).

1950-იანი წლების ბოლოდან სწრაფად უარესდებოდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ჩინეთთან. მაო ვერ პატიობდა ხრუშჩოვს სტალინის კულტის მხილებას და ასევე იმას, რომ ეს ნაბიჯი მასთან კონსულტაციის გარეშე გადადგა. 1956 ნლის ოქტომბერში ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა შუამავალი იყო პოლონელ კომუნისტებსა და კრემლს შორის და ასევე მონაწილეობა მიიღო უნგრეთში საბჭოთა ინტერვენციის განხილვაში. ამ მოვლენების დროს მაო, ჯოუ ენ ლაი და სხვა ჩინელი ლიდერები დარწმუნდნენ, რომ სტალინის მემკვიდრეები „მოისუსტებდნენ“ და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში დადგა დრო მათი ლიდერობისთვის. მაო ჯერ თავის გარემოცვაში ამბობდა, შემდეგ კი პრესასაც განუცხადა, რომ სტალინის კრიტიკით ხრუშჩოვმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა. მაოს თქმით, სტალინი მახვილი იყო კომუნისტების ხელში, ახლა კი „საბჭოთა ამხანაგებმა“ ეს მახვილი დააგდეს და ის კომუნიზმის მტრებს ჩაუვარდათ ხელში.

ხრუშჩოვი ლავირებდა. გარეგნულად საბჭოთა კავშირ – ჩინეთის ურთიერთობები

აღმავლობის გზაზე იყო. ჩინეთისადმი საბჭოთა კავშირის დახმარება იზრდებოდა. მოცულობის თვალსაზრისით ის დასავლეთ ევროპისათვის აშშ-ის მიერ ინიცირებულ მარშალის გეგმას უტოლდებოდა. საბჭოთა კავშირი ჩინეთს თანამედროვე არმიის შექმნაში ეხმარებოდა, ჩინეთში აშენებდნენ სატანკო, საავიაციო, საარტილერიო და გემთმშენებელ ქარხნებს. 1958 წ. პეკინში ჩავიდა ბირთვული იარაღის საბჭოთა კონსტრუქტორების დელეგაცია ჩინელი კოლეგების ინსტრუქტაჟისთვის. არზამას-16 ბირთვულ ცენტრში კი გამზადებული იყო სარკინიგზო ეშელონი მზა ბირთვული „ნაკეთობე-

ბით“, მხოლოდ ზევიდან ნიშანს ელოდებოდნენ და ჩინეთში გააგზავნიდნენ, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ამ დროს ხრუშჩოვი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში პოზიციების განმტკიცებასთან ერთად, უფრო თავდაჯერებული გახდა და რამდენჯერმე განაცხადა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი და აშშ არიან ის დიდი სახელმწიფოები, რომლებზეც დამოკიდებულია მსოფლიოს ბედი. ეს ჩინელებს აშკარად არ აწყობდათ. 1958 წლის ივლისის ბოლოს მაო უკვე მკაცრად დაელაპარაკა მოსკოვს. საბჭოთა სამხედროებმა ჩინეთს შესთავაზეს, ჩინეთის სანაპიროს გასწვრივ აეშენებინათ რადიოლოკაციური სადგურები აშშ-ის ფლოტის თვალყურის სადევნებლად, ჩინეთის პორტებში განეთავსებინათ „ერთობლივი“ საბჭოთა კავშირ – ჩინეთის სტრატეგიული წყალქვეშა ფლოტი. საპასუხოდ მაომ საბჭოთა ელჩთან საუბრის დროს საბჭოთა ხელმძღვანელობას ბრალი დასდო შოვინიზმსა და „ჩინეთის კოლონიზების“ სურვილშიც კი.

ხრუშჩოვი სასწრაფოდ ჩავიდა პეკინში, მოლაპარაკებები რთული აღმოჩნდა. ხრუშჩოვმა მაოს განუცხადა, რომ ჩინეთიდან გაიყვანდა საბჭოთა სამხედრო მრჩევლებს და უარი თქვა „ერთობლივ“ წყალქვეშა ფლოტზე. მაგრამ მაო არ აპირებდა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის უკონკურენტო ზესახელმწიფოებად აღიარებას. 1958 წ. მაისში მაომ ჩინეთში დაიწყო „დიდი ნახტომი“, რასაც, მისი გათვლით, ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარება უნდა მოჰყოლოდა.

იმავდროულად ჩინეთის არმიამ მაოს ბრძანებით დაიწყო იმ კუნძულების ბომბარდირება, რომლებსაც ჩან კაი ში აკონტროლებდა და აშშ ფლოტი იცავდა. მაოს მოსკოვი საქმის კურსში არ ჩაუყენებია. საბჭოთა ხელმძღვანელობა დაბნეული იყო, აშშ-თან კონფლიქტში ჩართვას დიდი ომი შეიძლება მოჰყოლოდა. მაო ახლა საბჭოთა ხელმძღვანელებს ისე ექცეოდა, როგორც ადრე სტალინი ექცეოდა სხვა კომპარტიებს. გაღიზიანებულმა ხრუშჩოვმა აღარ გაგზავნა ატომური მოწყობილობა ჩინეთში.

პეკინსა და მოსკოვს შორის ღია იდეოლოგიური კონფრონტაცია დაიწყო 1959 წ ოქტომბერში ხრუშჩოვის ჩინეთში ვიზიტის შემდეგ (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-10 წლისთავზე). ამ დროს სასაზღვრო კონფლიქტმა იფეთქა ჩინეთსა და ინდოეთს შორის. ინდოეთი უკმაყოფილო იყო 1959 წ. ჩინეთის მიერ ტიბეტის დაკავებით. ტიბეტის სულიერი ლიდერი დალაი ლამა ინდოეთში გაიქცა და ნერუმ შეიფარა. ჩინელი კომუნისტები ხრუშჩოვისგან მხარდაჭერას ითხოვდნენ, მაგრამ მოსკოვი ინდოეთს მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევდა და „ნეიტრალიტეტის“ პოზიცია გამოაცხადა. მაომ ეს ღალატად შეაფასა. ხრუშჩოვი მოსკოვში გაბრაზებული დაბრუნდა.

1960 წლის აპრილის ბოლოს, ლენინის დაბადების 90-ე წლისთავის აღნიშვნისას, ჩინელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ბრალი დასდეს ლენინიზმის ღალატში. ჩინელებს არ მოსწონდათ თეზისები „ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის“ და „კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის“ შესაძლებლობის შესახებ.

1960 წ. ივლისის შუა რიცხვებში რუმინეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ხრუშჩოვი მნარედ შეეჯახა ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელს პენ ჯენს. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, ჩინეთიდან გამოეწვინა ყველა საბჭოთა სპეციალისტი. თვე-ნახევრის განმავლობაში ჩინეთიდან წავიდა 1390 საბჭოთა ინჟინერი, მეცნიერი, კონსტრუქტორი და სხვა ექსპერტი. მათ თან წაიღეს მთელი დოკუმენტაცია. ჩინეთში მრავალი მშენებლობა დაკონსერვდა. ჩინელები საბჭოთა კომუნისტებს „სოციალ-დემოკრატიზმში“ სდებდნენ ბრალს, ხოლო საბჭოთა კომუნისტები „ულტრამემარცხენეობაში“ ადანაშაულებდნენ ჩინელ კომუნისტებს.

ჩინელმა კომუნისტებმა ტერიტორიული პრეტენზიებიც წაუყენეს საბჭოთა კავშირს, რომ რუსეთმა მე-19 საუკუნეში ჩინეთს წაართვა შორეული აღმოსავლეთი და სხვა ტერიტორიები. ეს დავა 1969 წელს შეტაკებამდე მივიდა სასაზღვრო მდინარე ამურის კალაპოტში მდებარე კუნძულ დამანსკზე.

საბჭოთა პარტიულ-სამეურნეო ელიტა ჩინეთთან ურთიერთობის გაფუჭებაში ხრუშჩოვს ადანაშაულებდა. ეს მისი გადაყენების ერთ-ერთი მიზეზი იყო. ხრუშჩოვი 1964

წ. ოქტომბერში გადააყენეს, 1964 წ. 7 ნოემბერს კი მოსკოვში ჯოუ ენლაი ჩავიდა. ჩინელები ელოდნენ, რომ გაუქმდებოდა სკკპ XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებები სტალინის კულტის მხილებასთან დაკავშირებით, თუმცა საბჭოთა კომუნისტ ლიდერებს ამაზე წასვლა არ შეეძლოთ. ეს შეცდომისა და ჩინეთის კომპარტიის ლიდერობის აღიარება იქნებოდა. 1966 წელს მაომ დაიწყო „კულტურული რევოლუცია", რომელშიც საბჭოთა კავშირი ისეთივე როლს ასრულებდა, როგორსაც ტროცკიზმი სტალინის ტერორის დროს.

34.7. ბირთვული ომის ზღვარზე: ბერლინის კედელი, რევოლუცია კუბაში და კარიბის კრიზისი

1952 წელს საზღვარი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის ჩაიკეტა. გადასვლის ერთადერთი საშუალება ბერლინი იყო. 1961 წ. 12-13 აგვისტოს ღამით, ხრუშჩოვისა და გდრ-ის ლიდერის ულბრიხტის შეთანხმებით, საზღვრები დასავლეთ ბერლინთან დაიკეტა და მის გარშემო სწრაფად აშენდა კედელი. მისი სიგრძე 120 კილომეტრი იყო. დასავლეთმა დაიცვა ბერლინი,[1] მაგრამ კენედის ადმინისტრაციას და დასავლეთის ქვეყნების ლიდერებს ბერლინში შეტაკებები აშინებდათ და გდრ-ს ეკონომიკური ბლოკადაც კი არ გამოუცხადეს.

26-27 ოქტომბერს ამერიკელ სამხედროებსა და გდრ-ის მესაზღვრეებს შორის მცირე კონფლიქტს მოვლენათა სწრაფი ესკალაცია მოჰყვა. გამშვებ პუნქტთან ამერიკული ტანკები გამოიყვანეს, საბჭოთა მხარემ ჩათვალა, რომ ამერიკელები კედლის დანგრევას აპირებდნენ და საბჭოთა ტანკები გამოიძახეს. კენედი-ხრუშჩოვის მიმოწერის შემდეგ ხრუშჩოვს ეყო გონიერება და პირველმა გაიყვანა ტანკები, მას ამერიკელებმაც მიბაძეს.

1961-1962 წლებში ხრუშჩოვის მოქმედებებმა გამოიწვია ცივი ომის ყველაზე ღრმა კრიზისი, რასაც საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის პირდაპირი შეტაკება შეიძლება მოჰყოლოდა. 1961 წ. იანვარში აშშ-ის პრეზიდენტი გახდა ჯონ კენედი. მას „ერგო" ბერლინის კრიზისი და რევოლუცია კუბაში, სადაც ფიდელ კასტროს რევოლუციური რეჟიმი მოვიდა სათავეში.

ამ ეპიზოდმა ხრუშჩოვს განუმტკიცა რწმენა, რომ აშშ-ს ომი არ სურდა და კენედი შეიძლება დათმობებზე წასულიყო. 1961 წ. 1 სექტემბერს საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად განაახლა მინის ზედაპირზე ბირთვული აფეთქებები (რომელიც აშშ-თან შეთანხმებით 1958 წელს აიკრძალა) და წელიწადში 80 აფეთქებამდე აიყვანა. ხრუშჩოვი მოითხოვდა „სუპერბომბის" შექმნას, რომლითაც „იმპერიალისტებს შეაშინებდა". ასეთი ბომბი ანდრეი სახაროვის ფიზიკოსთა ჯგუფმა შექმნა. ეს იყო ისტორიაში ყველაზე მძლავრი ბომბი 100 მეგატონი (100 მლნ. ტონა ტროტილის) სიმძლავრისა. მისი აფეთქების ძალა აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ყველა აფეთქების ძალას ეს ბომბი ბომბდამშენმა ტუ-95-მა 1961 წ. 30 ოქტომბერს ჩამოაგდო ახალი მინის არქიპელაგის ჩრდილოეთის კუნძულთან. საბჭოთა ტერიტორიაზე ნგრევის თავიდან ასაცილებლად ააფეთქეს მხოლოდ ნახევარძალით – დაახლოებით 58 მეგატონა.[2]

1962 წლის 18 მაისს ხრუშჩოვმა თავდაცვის საბჭოს შესთავაზა, კუბაში გაეგზავნათ საბჭოთა რაკეტები ბირთვული ქობინებით. 21 მაისს პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა ხრუშჩოვის წინადადებას. ჯერ ერთი, ამით საბჭოთა კავშირი კუბას იცავდა; მეორეც, ამცირებდა აშშ-ის სტრატეგიულ უპირატესობას (ბირთვული იარაღის მატარებლების თანაფარდობა შეადგენდა 1:17-თან[3]); მესამე, ხრუშჩოვს უნდოდა ეჩვენებინა, რომ საბჭოთა კავშირს შეეძლო აშშ-ის ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს მოქმედება.

---

[1] „ყველა თავისუფალი ადამიანი... ბერლინის მოქალაქეა" (ჯონ კენედი, 1963 წ. 26 ივნისი). 1961-1989 წლებში დაფიქსირდა ბერლინის კედლის გადაკვეთის 5 ათასი მცდელობა, დაილუპა დაახლოებით 150 ადამიანი.

[2] უკანასკნელი საბჭოთა ატომური აფეთქება 1990 წ. ოქტომბერში განხორციელდა. სულ 42 წლის განმავლობაში განახორციელეს 969 მოწყობილობის 715 გამოცდა.

[3] კარიბის კრიზისის დაწყების დროისათვის საბჭოთა კავშირს ჰქონდა დაახლოებით 300 ბირთვული მუხტი, აშშ-ს 6 ათასზე მეტი.





1962 წ. 14 ოქტომბერს ამერიკულმა თვითმფრინავმა უ-2-მა გადაიღო კუბაზე საბჭოთა ბაზები. 22 ოქტომბერს კენედიმ კუბას ბლოკადა გამოუცხადა, იმავე დღეს ხრუშჩოვმა მოინვია ცკ-ის პრეზიდიუმის სასწრაფო ღამის სხდომა და აღნიშნა, რომ ომის ზღურბლზე იყვნენ. 28 ოქტომბერს ხრუშჩოვმა რადიოთი ამერიკელებს აცნობა, რომ კუბიდან რაკეტებს გაიტანდა. თავის მხრივ, ამერიკელებმა პირობა დადეს, რომ კუბას თავს არ დაესხმოდნენ და თურქეთიდან გაიტანდნენ რაკეტებს. მთლიანობაში, კუბის კრიზისმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ხრუშჩოვის პრესტიჟსა და ომის ზღვარზე ბალანსირების მისეულ პოლიტიკას. აშშ-მა პოლიტიკური და მორალური გამარჯვება მოიპოვა.

თავი XXXV.

ხრუშჩოვის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა

ხრუშჩოვის საშინაო პოლიტიკა 1953-1964 წლებში ძალზე წინააღმდეგობრივი იყო. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ხრუშჩოვის მმართველობის დასაწყისად 1958 წელს მიიჩნევენ, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, თუმცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ხრუშჩოვი ჯერ კიდევ 1953 წელს გახდა. საშინაო პოლიტიკაში ხრუშჩოვს ჰქონდა მიღწევები და მრავალი შეცდომაც დაუშვა.

35.1. სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზების ძიება

სახალხო მეურნეობის პრობლემებს შორის პირველ ადგილზე იდგა აგრარული წარმოება. სოფლის მეურნეობას კი ხრუშჩოვი „თავის სფეროდ" მიიჩნევდა. ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე და შემდგომ პერიოდში ხრუშჩოვი გამოვიდა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ინიციატივებით:

- გაზარდა სახელმწიფო შესასყიდი ფასები საკოლმეურნეო პროდუქციაზე;
  შემოიღო კოლმეურნეთა შრომის ავანსირება (მანამდე კოლმეურნეებს ანაზღაურება წელიწადში ერთხელ ეძლეოდათ);
  დაინერგა „ქვემოდან" დაგეგმვის პრინციპი. კოლმეურნეობებს თავიანთ წესდებებში უფლება მიეცათ, ცვლილებები შეეტანათ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პირველად შემოიღეს პენსიები კოლმეურნეებისათვის;
- კოლმეურნეებს მიეცათ პასპორტები.

ამ ზომებმა და ასევე ყამირი მიწების ათვისებამ პირველ ხანებში ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას. 1953-1958 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 34%-ით გაიზარდა წინა ხუთწლედთან შედარებით. სოფლის მეურნეობას ასეთი მასშტაბური ეკონომიკური ზრდა არ ჰქონია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდის შემდეგ.

სოფლის მეურნეობის აღმავლობამ ხრუშჩოვს, ერთი მხრივ, იმის რწმენა გაუჩინა, რომ ადმინისტრაციული მეთოდებით შესაძლებელია წარმატების მიღწევა; მეორე მხრივ, შეეშინდა, რომ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდის შედეგად ისინი კულაკებად არ „გადაგვარებულიყვნენ". ეკონომიკური სტიმულების როლის გაძლიერება ობიექტურად ამცირებდა ადმინისტრაციული ჩარევის საჭიროებას სოფლის მეურნეობის საქმეებში, კომუნისტურ სისტემას კი ადმინისტრირებაზე უარის თქმა არ შეეძლო. ამის გამო 1950-იანი წლების ბოლოდან ეკონომიკური სტიმულების ადგილს სულ უფრო მეტად იკავებდა ადმინისტრაციული იძულება.

1959 წელს დაიწყო **მანქანა-ტრაქტორების სადგურების (მტს) რეორგანიზაცია.** კოლმეურნეობები იმისათვის, რომ ტექნიკის გარეშე არ დარჩენილიყვნენ, იძულებული იყვნენ ერთი წლის განმავლობაში შეეძინათ საჭირო ტექნიკა, ამასთან, მაღალ ფასად. ამ გზით სახელმწიფომ ერთი წლის განმავლობაში მოახდინა იმ თანხების კომპენსირება, რაც წინა წლებში სოფლის მეურნეობაში ჩადო. კოლმეურნეობები კი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ დიდ ნაწილს არ შეეძლო ერთბაშად ეყიდა ტრაქტორები და კომბაინები, ამიტომ განვადებით ყიდულობდნენ (2-3 წლის, ზოგჯერ კი 5 წლის განვადებით). ამან გააუარესა კოლმეურნეობების დიდი ნაწილის ფინანსური მდგომარეობა. მტს-ების გაუქმების უარყოფითი მხარე ისიც იყო, რომ კოლმეურნეობებმა დაკარგეს მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები, რომლებიც მტს-ების დაშლის შემდეგ კოლმეურნეო-

ბებში კი არ გადავიდნენ, არამედ რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში მონახეს სამუშაო. 1958-1961 წლებში საბჭოთა კავშირში, პირველად უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი. კოლმეურნეობების ხელში გადასული ტექნიკა სწრაფად გამოდიოდა მწყობრიდან, აუცილებელი რემონტის ჩატარება კი კოლმეურნეობებს არ შეეძლოთ.

1959 წელს ასევე გაკეთდა დასკვნა, რომ **სოფლად „პირადი დამხმარე მეურნეობა თანდათანობით კარგავდა მნიშვნელობას“**, რადგანაც, თურმე, კოლმეურნეთათვის უფრო მომგებიანი ხდებოდა პროდუქტების კოლმეურნეობებიდან მილება. ფაქტობრივად დაიწყო ახალი შეტევა დამხმარე მეურნეობებზე. სახელმწიფო ორგანოებს დაევალათ, ორ-სამ წელიწადში შეესყიდათ მსხილფეხა რქოსანი საქონელი კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისგან.

1959 წლიდან დაიწყო **სიმინდის, „მინდვრის დედოფლის“, ეპოპეაც.** 1955-1962 წლებში სიმინდის ნათესები გაორმაგდა, ხრუშჩოვი ნათესების ფართობის ზრდას ნებისმიერ ფასად მოითხოვდა და ანგარიში არ ეწეოდა ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს. სიმინდის ნათესების გასაზრდელად ზოგჯერ ამცირებდნენ ხორბლისა და ქერის სათეს ფართობებს. სიმინდის „პროპაგანდას“ საპირისპირო შედეგი მოჰყვა: მთლიანობაში შემცირდა მარცვლეულის მოსავალი.

1959 წელს, აშშ-ში ვიზიტით ყოფნის დროს, ხრუშჩოვმა აიოვას შტატში ნახა ამერიკელი ფერმერი რ. ჰარსტი, რომელსაც ჰიბრიდული სიმინდი ჰქონდა გაშენებული. ხრუშჩოვმა დაასკვნა, რომ საბჭოთა კავშირში მეცხოველეობის დონის გაზრდა შესაძლებელი იქნებოდა მისთვის საკვები ბაზის გაზრდით. ამისათვის კი გამოდგებოდა სიმინდი, რომელიც მარცვალსაც იძლეოდა და მწვანე მასასაც სილოსისათვის.

კიდევ ერთი რეფორმა სოფლად **კოლმეურნეობათა გამსხვილებას** უკავშირდება. ჩანაფიქრის მიხედვით, „დიდი“ კოლმეურნეობები უფრო უკეთესად გაუმკლავდებოდნენ სოფლად არსებულ პრობლემებს. 1955 წლისათვის საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობათა რაოდენობა 83 ათასამდე შემცირდა, 1958 წლისათვის – 78 ათასამდე, ხოლო 1960 წლისათვის – 45 ათასამდე. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილებამ დადებითი შედეგები მოიტანა, მაგრამ მდგომარეობა სოფლად რთული რჩებოდა. 1950-იანი წლების ბოლოდან შემცირდა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი.

35.2. ყამირი მიწების ათვისება

1948-1953 წლებში მარცვლეულის მოსავალი საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად არ იზრდებოდა. 1953 წელს მოვიდა უფრო ნაკლები მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს.

1954 წელს, რამდენიმე მოუსავლიანი წლის შემდეგ, ნ. ხრუშჩოვმა ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა მარცვლეულის პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტის გზა – ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. ყამირის ათვისება მიჩნეულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად გზად. ეს იყო მკაფიოდ გამოკვეთილი განვითარების ექსტენსიური გზა. ყამირი მიწების ასათვისებლად ყველაზე პერსპექტიულ რეგიონებად მიჩნეულ იქნა ყაზახეთი, ურალი და ციმბირი. ყაზახეთში შეცვალეს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაც – ახალ ხელმძღვანელებად დაინიშნენ პ. პონომარენკო და ლ. ბრეჟნევი.

1954 წლის გაზაფხულისთვის ყაზახეთის ყამირ მიწებზე შეიქმნა 120-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა. ყამირი მიწების ასათვისებლად ჩასულებს უხდებოდათ უგზოობის პირობებში, კარვებში ცხოვრება, მძიმე კლიმატურ პირობებში, როდესაც მკაცრ სიცივეს,

საშინელი სიცხე ცვლიდა. თესვისა და მოსავლის აღებისას თითქმის დღედაღამ უხდებოდათ მუშაობა, სხვა დროს კი დაკავებული იყვნენ სამშენებლო საქმიანობით.

ყამირის ათვისების პირველი შედეგი შთამბეჭდავი იყო. 1954 წელს მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 85,5 მილიონი ტონა, აქედან ყამირ მიწებზე 27,1 მილიონი ტონა მოვიდა. 6 წლის განმავლობაში ყაზახეთში აითვისეს დაახლოებით 20 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწა. 1960 წელს მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა 125 მილიონი ტონა შეადგინა, აქედან ყამირზე 59 მილიონი ტონა მოიყვანეს. ამან შესაძლებელი გახადა ხორცისა და რძის წარმოების ზრდა, მოსახლეობის სასურსათო მომარაგების გაუმჯობესება.

პირველ წელს ყამირმა ქვეყანას მისცა 27 მილიონი ტონა მარცვლეული, მეორე წელს თითქმის 59 მილიონი ტონა, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ყამირი ყოველწლიურად იძლეოდა 50-60 მილიონ ტონა მარცვალს. მთლიანობაში გადახნეს 42 მილიონ ჰექტარზე მეტი, შეიქმნა 425 მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა.

ყამირის ათვისებას სჭირდებოდა დიდი ოდენობით ადამიანური რესურსი, ფინანსები, ტექნიკა. ყამირის ათვისების პირველი ხუთი წლის განმავლობაში ამისათვის დაიხარჯა დაახლოებით 20 მილიარდი რუბლი, რაც იმ პერიოდში სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი თანხების დაახლოებით მეხუთედს შეადგენდა.[1] 1954-1955 წლებში კომკავშირული საგზურით ყამირზე 350 ათასზე მეტი ახალგაზრდა გაიგზავნა. 1954-1959 წლებში ყაზახეთის მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონი ადამიანით გაიზარდა. პირველი წლების შედეგების მიხედვით ისე ჩანდა, რომ რესურსების მასშტაბური ხარჯვა გამართლებული იყო, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მიწათმოქმედების ტრადიციულ რეგიონებს, იქიდან ყამირზე გზავნიდნენ კადრებსა და ტექნიკას, ამცირებდნენ სათეს ფართობს.

ყამირის ათვისების პირველი წარმატებული წლების შემდეგ, თავი იჩინა უარყოფითმა მხარეებმა. ყამირ მიწებს ითვისებდნენ ნაჩქარევად, მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის გარეშე. ამან გამოიწვია ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, ნიადაგის ეროზია. შედეგად 1956-1958 წლებში გამოუსადეგარი გახდა და დაიკარგა 10 მილიონ ჰექტარზე მეტი ნაყოფიერი მიწა. 1962-1963 წლებიდან ნამდვილ უბედურებად იქცა ქვიშის ქარიშხლები. ყამირი მიწების ეფექტურობა 65%-ით შემცირდა. მოსავლიანობა დაბალი იყო, ყამირის ათვისება კრიზისის ფაზაში შევიდა. 1960-იანი წლების შუახანებისათვის ყამირი მიწების ათვისებით გამოწვეულმა ეიფორიამ საბოლოოდ გაიარა. მარცვლეულის წარმოებას საბჭოთა კავშირში კრიზისის პერიოდი დაუდგა.

1963 წელს საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, დაეწყო მარცვლეულის საზღვარგარეთ შესყიდვა. პირველ წელინადს იყიდეს 12 მილიონი ტონა მარცვლეული, რაც 1 მილიარდი დოლარი დაჯდა. მომდევნო წლებში მარცვლეულის უცხოეთში შესყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

[1] მხოლოდ 1954 წელს ყამირის ასათვისებლად გაიგზავნა 120 ათასი ტრაქტორი (ამ წელს საბჭოთა კავშირში გამოუშვეს 137 ათასი ტრაქტორი), დაახლოებით 10 ათასი კომბაინი (წარმოებული 37 ათასიდან), ყამირზე გაიგზავნა 100 ათასზე მეტი ავტომანქანა და ასევე დიდი ოდენობით სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

35.3. სასურსათო პრობლემები, უკმაყოფილება ქალაქებში და ნოვოჩერკასკის ტრაგედია

1962 წლის 1 ივნისს ხალხისადმი მიმართვაში ხრუშჩოვს მოუწია იმის აღიარება, რომ პრობლემები წარმოიშვა ქალაქების მოსახლეობის ხორცის პროდუქტებით უზრუნველყოფაში. აღინიშნა, რომ მეცხოველეობის მექანიზაციისა და შრომისნაყოფიერების არსებული დონის პირობებში, ხორცისა და რძის წარმოებაზე დანახარჯები მნიშვნელოვნად აღემატებოდა სახელმწიფოს მიერ შესასყიდ ფასებს. ქვეყნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ყველა სახის ხორცზე შესასყიდი ფასების საშუალოდ 35%-ით გაზრდა, იმავდროულად, საშუალოდ 30%-ით გაიზარდა გასაყიდი ფასები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, ხოლო კარაქზე – 25%-ით.

1960-იანი წლების დასაწყისიდან კვების პროდუქტების დეფიციტის დაძლევას ცდილობდნენ მარცვლეულის იმპორტით და დეფიციტური პროდუქტების ნორმირებული განანილებით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით. სასურსათო სიძნელეებმა და საცალო ფასების ზრდამ 1962 წლის ზაფხულში გამოიწვია მღელვარებები რიგაში, კიევში, ლენინგრადში, ჩელიაბინსკში, მურომში, ალექსანდროვში, კრივოი როგში, სუმგაითში, მაგრამ ყველაზე მასშტაბური პროტესტი ნოვოჩერკასკში იყო, სადაც საქმე სისხლისღვრამდე მივიდა. საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არაფერი უთქვამთ ნოვოჩერკასკის ამბებზე, მაგრამ მომხდარის შესახებ ინფორმაცია მთელ საბჭოთა კავშირს მოედო. ხრუშჩოვის ავტორიტეტი რიგით ადამიანებში სწრაფად ეცემოდა.

1962 წლის 1-3 ივნისს ნოვოჩერკასკის ერთ-ერთ ქარხანაში დაწყებული მუშათა გაფიცვა საერთო საქალაქო მღელვარებაში გადაიზარდა. რიგითი ადამიანების პროტესტი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სასურსათო პრობლემების გამო, სისხლში ჩაახშვეს. მილიციის განყოფილების წინ მოკლეს 5 ადამიანი, დემონსტრაციის დაშლის დროს – 17, ხოლო 70 მძიმედ დაიჭრა, 2 ივნისს მოკლეს კიდევ 2 ადამიანი.

1962 წლის 13-20 აგვისტოს ნოვოჩერკასკში გამართულმა საბჭოთა სასამართლომ გაფიცვის 7 „მოთავეს" სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და დახვრიტეს, 103 ადამიანს მიესაჯა პატიმრობა 2-იდან 15 წლამდე. 1996 წელს ყველა ეს ადამიანი რეაბილიტირებულ იქნა.

გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა: „ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი 1957-1964 წწ. პიროვნება და ხელისუფლება" აჩვენეს, რომ ცეცხლის გახსნის ბრძანება უშუალოდ ხრუშჩოვისგან მომდინარეობდა, რომელმაც პირადად მოითხოვა „ანტისაბჭოთა ამბოხების" ძალის გამოყენებით ჩახშობა.

წარმოქმნილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა ხრუშჩოვმა სცადა სამეურნეო ხელმძღვანელობის სრულყოფით და „ჩრდილოვან" ეკონომიკასთან ბრძოლის გაძლიერებით. ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962) პლენუმზე აღინიშნა, რომ 1960-იანი წლების დასაწყისში კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით პასუხისგებაში მიეცა დაახლოებით 12 ათასი ხელმძღვანელი მუშაკი. ამავე პლენუმზე, ხრუშჩოვის მოთხოვნით, კურსი აიღეს ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყობაზე საწარმოო პრინციპის მიხედვით – დაყოფა ხდებოდა სამრეწველო და სასოფლო ორგანოებად. ერთიანი საბჭოებისა და მათი აღმასკომების ნაცვლად იქმნებოდა სამრეწველო და სასოფლო საბჭოები და აღმასკომები, შესაბამისად, იყოფოდა პროფკავშირებისა და კომკავშირის ორგანიზაციებიც. ასეთი გარდაქმნა არაეფექტური აღმოჩნდა, სამაგიეროდ, მას მოჰყვა მმართველი აპარატის გაორმაგება და მისი შესანახი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა.

ეკონომიკური განვითარების დაჩქარება არ მოჰყოლია **მმართველობის დეცენტრალიზაციის პოლიტიკასაც.** უკვე 1956 წლისათვის რესპუბლიკებს გადაეცათ დაახლოებით 15 ათასი სამრეწველო საწარმო. 1957 წელს შეიქმნა მეურნეობის მართვის ახალი დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოები – სახალხო მეურნეობის საბჭოები („სოვნარხოზები"). საბჭოთა კავშირის ტერიტორია გაიყო 105 ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ რაიონად, სადაც „სოვნარხოზები" შეიქმნა. 1962 წლის ბოლოდან დაიწყო „სოვნარხოზების" გამსხვილება. 1963 წლის თებერვალში მათი რიცხვი 47-ს შეადგენდა.

1963 წლის მარტში შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (ВСНХ), რომელსაც დაუქვემდებარეს რიგი სამეურნეო სახელმწიფო კომიტეტები (Госплан, Госстрой და სხვ.). მმართველობაში შეტანილ ამგვარ სიახლეებს, ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ნაცვლად, არევ-დარევა მოჰქონდა.

35.4. მრეწველობის განვითარება

ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში ტრადიციულად გრძელდებოდა მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოების დარგების უპირატესი განვითარება. 1953 წელს წარმოების საშუალებათა წარმოება მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შეადგენდა 70%-ს, ხოლო 1960-იანი წლების დასაწყისში ამ მაჩვენებელმა უკვე 75%-ს მიაღწია. XX საუკუნის შუახანებში მსოფლიოში დაწყებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები სუსტად ინერგებოდა საბჭოთა კავშირში. 1960-იანი წლების დასაწყისში ხელის მძიმე და დაბალკვალიფიციური შრომით დაკავებული ადამიანების წილი მრეწველობაში შეადგენდა 40%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობაში – 75%-ს.

საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სიმბოლო გახდა სარაკეტო ტექნიკის განვითარება და კოსმოსის ათვისების დასაწყისი. 1957 წლის ოქტომბერში გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. 1961 წლის 12 აპრილს კოსმოსში პირველად წარმატებით იფრინა იური გაგარინმა. კოსმოსური კვლევები უდიდეს თანხებსა და რესურსებს მოითხოვდა, მის განვითარებას კი განაპირობებდა არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ, პირველ რიგში, სამხედრო ინტერესები. დანარჩენი მსოფლიოსთვის შთამბეჭდავი იყო მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის" აგება 1957 წელს და პირველი ატომური ელექტროსადგურის ამოქმედება ობნინსკში 1954 წელს.

წლები	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა
1951-1955	85%	20,5%
1956-1960	64,3%	30%
1961-1965	51%	11%

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდა
საბჭოთა კავშირში

1953-1960 წლებში საბჭოთა კავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველწლიურად დაახლოებით 10%-ით იზრდებოდა. ამგვარი „საბჭოთა ეკონომიკური სასწაული" მნიშვნელოვანნილად მიღწეული იყო სტალინის პერიოდის მემკვიდრეობის საფუძველზე და 1950-იან ლლებში მრეწველობაში განხორციელებული უდიდესი კაპიტალდაბანდებების შედეგად. 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეული ეკონომიკური მაჩვენებლები მოწმობდა, რომ ამ დროისათვის დამთავრდა ინდუსტრიული საზოგადოების საფუძვლების შექმნა. განვითარების მომდევნო სტადიაზე გადასვლა შეუძლებელი იყო ძველი სამეურნეო მექანიზმის შენარჩუნების პირობებში.

35.5. სოციალური პოლიტიკა

ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას მკაფიოდ გამოხატული სოციალური მიმართულება ჰქონდა. 1950-იანი წლების შუახანებში გატარდა რიგი ზომები ადამიანთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. რეგულარურად იზრდებოდა შრომის ანაზღაურება მრეწველობაში (მხოლოდ 1961-1965 წლებში – 19%-ით), იზრდებოდა კოლმეურნეთა შემოსავლები, 1964 წლიდან მათ პენსიასაც უხდიდნენ. მუშებისა და მოსამსახურეების პენსია გაორმაგდა, საპენსიო ასაკი კი შემცირდა, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 48 საათიდან 46 საათამდე შემცირდა.

გაიზარდა დაბალი ანაზღაურების მქონე მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასები, თუმცა გამოვლინდა გათანაბრებითი ტენდენციაც – კვალიფიციური მუშებისა და ინჟინრების ხელფასი ბევრად არ აღემატებოდა დაბალი კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი 1958 წლიდან 1965 წლამდე 78 რუბლიდან 96 რუბლამდე გაიზარდა.

ე. წ. „ხრუშჩოვკების" მშენებლობა საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობდა. მე-5 ხუთწლედში აშენდა 105 მილიონი კვ. მ. საცხოვრებელი ფართი, მომდევნო სამ წელიწადში (1956-1958) – დაახლოებით 153 კვ. მ. შვიდწლედის განმავლობაში საცხოვრებელი ფართი საბჭოთა კავშირში 40%-ით გაიზარდა. 1950-იანი წლების ბოლოს საცხოვრებელი ფართის მშენებლობამ მიაღწია 50 მილიონ კვ. მ. წელიწადში. საცხოვრებელი ფართის კრიზისი მოიხსნა.

სოციალური პოლიტიკის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა ამ პერიოდში იყო ფართომასშტაბიანი ბინათმშენებლობა. საქალაქო საბინაო ფონდი 1955-1964 წლებში 80%-ით გაიზარდა. ახალი ბინები მიიღო 54 მილიონმა ადამიანმა (საბჭოთა კავშირის ყოველი მეოთხე მცხოვრები). იცვლებოდა საცხოვრებელი სტანდარტი: ოჯახს ეძლეოდა არა ოთახი, არამედ ცალკე ბინა.

ხრუშჩოვის მმართველოს პერიოდში რადიომაუწყებლობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა. ვითარდებოდა ტელევიზია. 1953 წლიდან 1958 წლამდე ტელევიზორების რაოდენობა 200 ათასიდან 3 მილიონამდე გაიზარდა.

35.6. „კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე" გადასვლა და მისი კრახი

1959 წლის იანვარში შედგა სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობა, სადაც ნიკიტა ხრუშჩოვმა გამოაცხადა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების[1] და კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლის შესახებ. ყრილობამ ასევე მიიღო ეკონომიკის განვითარების 7-წლიანი გეგმა (1959-1965), ეკონომიკის სწრაფი ზრდის შედეგად საბჭოთა კავშირი 1965 წელს მსოფლიოში პირველ ადგილზე უნდა გასულიყო წარმოების აბსოლუტური მოცულობის მიხედვით (ამ გეგმის არსი საბჭოთა პროპაგანდამ მარტივად წარმოადგინა: დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს).

შვიდწლედის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1,7-ჯერ უნდა გაზრდილიყო, შრომისნაყოფიერება კოლმეურნეობებში ორჯერ უნდა ამაღლებულიყო. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს სოფლის მეურნეობაში 150 მილიარდი რუბლი უნდა შეედგინა.

გადაწყდა, ასევე დაეჩქარებინათ პარტიის ახალი, მესამე პროგრამის მიღება (პარტიის ახალი პროგრამის შესამუშავებლად კომისიები შეიქმნა პარტიის სამ წინა ყრილობაზე). პროგრამის პროექტი განსახილველად გამოაქვეყნეს 1961 წ. ზაფხულში.

პარტიის პროგრამის მისაღებად 1961 წ. ოქტომბერში მოიწვიეს სკკპ XXII ყრილობა, რომელსაც „კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა" უწოდეს. პროგრამა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირში მომდევნო 20 წლის განმავლობაში კომუნიზმის აშენებას. ყრილობაზე წარმოდგენილი ეკონომიკური გათვლების მიხედვით, 1961-1970 წლებში საბჭოთა კავშირი გადაასწრებდა აშშ-ს ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის მაჩვენებლით. 1980 წლისათვის კი საბჭოთა კავშირი შეძლებდა გადასულიყო მოთხოვნილების მიხედვით განაწილების პრინციპზე, რაც მარქსიზმში კომუნიზმის უმთავრეს ნიშნად იყო მიჩნეული.

რას ემყარებოდა ასეთი უტოპიური გათვლები? პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მარქსისტული თეორია და ხრუშჩოვის სურვილი. მარქსიზმის თანახმად, სოციალიზმის აშენების შემდეგ „დღის წესრიგში" დგებოდა კომუნიზმის აშენება. როგორც ჩანს, ხრუშჩოვი ითხოვდა კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტულ ვადებს და იმდროინდელი საბჭოთა ეკონომისტებისაგან მიიღო შესაბამისი „გათვლებიც". დღეს აღინიშნება, რომ

[1] ე. ი. სოციალიზმს საბჭოთა კავშირში არც ქვეყნის შიგნიდან და არც ქვეყნის გარედან ვერავინ დაამხობდა.

წამყვანი საბჭოთა ეკონომისტები ე. ვარგა და ს. სტრუმილინი[1] აღმოჩნდნენ ეიფორიის ატმოსფეროში, რაც გამოწვეული იყო 1950-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპით. სწორედ ამ ეიფორიამ წარმოშვა საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების კონკრეტული გეგმაც.[2]

„კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის" კონცეფცია ხრუშჩოვის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში შეტანილი წვლილი იყო და საფუძვლად დაედო სკკპ XXII ყრილობაზე მიღებულ პარტიის მესამე პროგრამას. კომუნიზმი მიჩნეული იყო კაცობრიობის გარდუვალ მომავლად და მისი აშენება საბჭოთა კავშირში გამოცხადებული იყო სკკპ-ის „უმაღლეს მიზნად".

კომუნიზმის აშენებას საბჭოთა კავშირში პროგრამა უკავშირებდა „სამერთიანი ამოცანის" გადაწყვეტას: ა/ ახალი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ბ/ კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება და გ/ ახალი ადამიანის აღზრდა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ამ უკანასკნელი ამოცანის გადაწყვეტაზე.

მრავალრიცხოვანი გეგმებისა და ვალდებულებების ფონზე ჩნდებოდნენ ხელმძღვანელები, რომლებიც მოტყუებით ცდილობდნენ თავის გამოჩენას, მაგალითად, 1959 წელს სკკპ რიაზანის ოლქის პირველმა მდივანმა ა. ლარიონოვმა ივალდებულა, რომ სახელმწიფოს მიჰყიდიდა გეგმაზე 3-ჯერ მეტ ხორცის პროდუქციას. დიდი გაჭირვებით და გაყალბებებით გეგმას ორჯერ გადააჭარბეს. 1959 წლის დეკემბერში ლარიონოვს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1960 წლის სექტემბერში, როდესაც გამომჟღავნდა სიცრუე, ლარიონოვი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, რის შემდეგაც მან თავი მოიკლა.

დღეს ზედმეტია იმ უტოპიური გათვლების განხილვა, რაც კომუნისტური პარტიის მესამე პროგრამაში იყო მოცემული. სულ მალე ცხადი გახდა, რომ ეს გათვლები სრულიად არარეალური იყო. 1960-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა სერიოზული პრობლემები ეკონომიკაში, მათ შორის მოსახლეობის სურსათით მომარაგების სფეროში.

„კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის" პირველივე წლებში წარმოიქმნა ხელისუფლებისათვის მოულოდნელი ეკონომიკური პრობლემები. კომუნიზმის „გაშლილ მშენებლობაზე" საუბარი შეწყდა, ნიკიტა ხრუშჩოვი კი ხელისუფლებას ჩამოაცილეს.

---

[1] ე. ვარგამ და ს. სტრუმილინმა, დავალების შესაბამისად, მოამზადეს დოკუმენტი „კომუნიზმის მშენებლობის გზების" თაობაზე, რომელშიც მოცემული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების 10-15-წლიანი პროგნოზი.

[2] 20 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უნდა გაზრდილიყო არანაკლებ 6-ჯერ. ამისათვის 10 წელინადში შრომისნაყოფიერება უნდა გაზრდილიყო 2-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო 20 წლის განმავლობაში ორჯერ უნდა გადაეჭარბებინათ აშშ-ში იმ დროს არსებული შრომისნაყოფიერებისათვის. იგეგმებოდა სამუშაო კვირის 35 საათამდე შემცირება, უფასო უნდა გამხდარიყო საბავშვო ბაღები, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტი და ა. შ.

თავი XXXVI.

პოლიტიკური ცვლილებები ხრუშჩოვის მმართველობის დროს

36.1. კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა

კომუნისტური პარტიის ახალი, რიგით მესამე,[1] პროგრამის შესამუშავებლად აქტიური მუშაობა დაიწყო 1958 წლის შუახანებში, სკკპ ცკ-ის მდივნის ბ. პონომარიოვის ხელმძღვანელობით. სამი წლის განმავლობაში მასზე მუშაობდა დაახლოებით 100 მეცნიერი და სპეციალისტი. საბოლოოდ, ხრუშჩოვის შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, 1961 წლის 26 ივლისს სკკპ ცკ პრეზიდიუმმა პროგრამის პროექტის ტექსტი მოიწონა.

1961 წლის 30 ივლისს გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტია“ გამოქვეყნდა კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტის ტექსტი საყოველთაო განხილვისათვის, მასში მონაწილეობა მიიღო 9 მილიონზე მეტმა კომუნისტმა და, მთლიანობაში, დაახლოებით 73 მილიონმა ადამიანმა. „განხილვა“ მკაცრად დადგენილ ფარგლებში მიმდინარეობდა და პროექტში რაიმე არსებითი ცვლილების შეტანას არავინ ელოდა, შეიტანეს 138 უმნიშვნელო ცვლილება (მაგალითად, პროექტში იყო „ფრანგულ-გერმანული წინააღმდეგობები“, მის ნაცვლად ჩაინერა „ფრანგულ-დასავლეთგერმანული წინააღმდეგობები“, ეკონომიკის ნაწილში ხაზი გაესვა კიბერნეტიკის მნიშვნელობას და ა. შ.) XXII ყრილობაზე არ იყო გათვალისწინებული ცალკე მოხსენება პროგრამასთან დაკავშირებით, ხრუშჩოვმა მის შესახებ საანგარიშო მოხსენების ფარგლებში ისაუბრა.

პარტიის ახალი პროგრამის მთავარი ეკონომიკური ამოცანა იყო ორი ათეული წლის განმავლობაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ეს, როგორც უკვე ითქვა, უტოპიური ამოცანა იყო, დანარჩენი თეორიული საკითხები კი კომუნისტური ნომენკლატურის ინტერესების შესაბამისად წყდებოდა, მას კი თავის მდგომარეობაში რაიმე არსებითი ცვლილებების შეტანა არ უნდოდა. პროგრამაში, კომუნიზმის დროს „სახელმწიფოს თანდათანობითი კვდომის“ აღნიშვნასთან ერთად[2], ხაზგასმული იყო, რომ სულ უფრო გაიზრდებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, „როგორც გამოცდილი ავანგარდის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმისა“. პროგრამა ასევე აღნიშნავდა, რომ კომუნიზმის მშენებლობასთან ერთად წაიშლებოდა ეროვნული

[1] კომუნისტური პარტიის პირველი პროგრამა მიიღეს 1903 წელს რსდმპ II ყრილობაზე. მეორე პროგრამა - 1919 წელს რკპ(ბ) VIII ყრილობაზე.

[2] პროგრამაში „სახელმწიფოს თანდათანობითი კვდომის“ ორი პირობა იყო დასახელებული: ქვეყნის შიგნით კომუნიზმის აშენება და საერთაშორისო არენაზე სოციალიზმის გამარჯვება.

განსხვავებები. ანუ, ფაქტობრივად, ხრუშჩოვის პროგრამა ერების არსებობისთვის ორ ათეულ წელს ადგენდა.

36.2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებები

ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში განხორციელდა რიგი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებები. „გაქრა" მოკავშირე რესპუბლიკა – კარელია-ფინეთის, იგი გადაიქცა კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ამას საბჭოთა კავშირის საზღვრების შეცვლა არ მოჰყოლია, რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციასა და გადასახლების ადგილებიდან დაბრუნებას მოჰყვა ყალმუხეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა. ჩერქეზეთის ავტონომია გადაიქცა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიად. გაუქმდა რამდენიმე მცირე ადმინისტრაციული რეგიონი და ისინი მოექცნენ უფრო დიდი რეგიონების შემადგენლობაში. ბელორუსში გაუქმდა ხუთი ოლქი, რუსეთის ფედერაციაში გაუქმდა არზამასის, ბალაშოვისა და ველიკიელუკის ოლქები.

მთავარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება მაინც რუსეთის ფედერაციიდან ყირიმის ნახევარკუნძულის უკრაინისთვის გადაცემა აღმოჩნდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მითითებით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1954 წლის 19 თებერვალს გამოსცა შესაბამისი დადგენილება და ამის მიზეზად დასახელდა ყირიმის ოლქისა და უკრაინის ეკონომიკის ერთობა, ტერიტორიული სიახლოვე და სამეურნეო-კულტურული კავშირები. ყირიმის ოლქის რუსეთის ფედერაციიდან უკრაინის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ კანონი 1954 წლის 26 აპრილს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა. მაშინ ამ ცვლილებისათვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. საბჭოთა კავშირის „დაშლის" შესაძლებლობა კომუნისტურ ნომენკლატურას აზრად არ მოსდიოდა და ყირიმი, უბრალოდ, „ერთი ჯიბიდან მეორეში გადადეს". როდესაც 1964 წელს ხრუშჩოვი გადააყენეს და მრავალი ბრალდებაც ნაუყენეს, არავის უხსენებია ყირიმის სტატუსის შეცვლა.



უკრაინისთვის ყირიმის გადაცემის ასახსნელად რამდენიმე ვერსია არსებობს: ზოგჯერ საქმეს ისე წარმოაჩენენ, რომ ეს ხრუშჩოვის პირადი ინიციატივა იყო, რომელსაც 1938-1949 წლებში უკრაინაში მაღალი თანამდებობები ეკავა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ აღინიშნება, რომ 1954 წელს ხრუშჩოვი მარტო ვერაფერს გააკეთებდა. მას სჭირდებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვოროშილოვის, მისი მოადგილის, მოლოტოვის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მალენკოვის თანხმობა.

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, ყირიმის გადაცემით ხრუშჩოვმა გაზარდა რუსული მოსახლეობის რაოდენობა უკრაინაში და ამით ხელს უშლიდა უკრაინული ნაციონალიზმის ზრდას.

36.3. ხრუშჩოვის „დათბობის“ წინააღმდეგობრივი ხასიათი და ლიბერალიზაციის საზღვრები

სტალინზე ახალი შეტევა მნიშვნელოვანი იყო იმათთვის, რომელთაც სურდათ მიეღოთ დესტალინიზაციის შეუქცევადობის გარანტია. ამავე დროს, სტალინზე ახალ შეტევას არ მოჰყოლია ისეთი რყევები საზოგადოებაში, რაც 1956 წელს მოხდა.

მმართველ ფენაში დამყარდა არამდგრადი წონასწორობა პარტიულ აპარატში არსებულ კონსერვატიულ, პროსტალინურ უმრავლესობასა და „ლიბერალურ“ უმცირესობას შორის, რომლებიც ემხრობოდნენ „ლენინთან დაბრუნებას“ და „ადამიანური სახის სოციალიზმის“ აშენებას. თუმცა პარტიული აპარატის გაახალგაზრდავებას არ მოჰყოლია სტალინისტების პოზიციების შესუსტება.

1950-იანი წლების ბოლო პერიოდის ენთუზიაზმის შემდეგ მკაფიოდ ჩანდა ხრუშჩოვის „ლიბერალიზაციის“ იდეოლოგიური ჩიხი. „დათბობის“ ილუზიის მიღმა მკაფიოდ ჩანდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი დესპოტიზმის ნიშნები. არ შესუსტებულა ცენზურა. 1960 წელს მიიღეს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, სადაც აღარ იყო სტალინისეული რეპრესიული მუხლები, მაგრამ ქვეყანაში რჩებოდა ათასობით პოლიტპატიმარი. 1960-1961 წლებში КГБ-მ პოლიტიკური მოტივებით დააპატიმრა დაახლოებით 500 ადამიანი.

ხრუშჩოვის რეჟიმი მკაცრად დეენიდა „მუქთახორებს“ (ვინც არსად მუშაობდა), „ფარცოვშიკებს“ (იატაკქვეშა მოვაჭრეებს) და განსაკუთრებით „ვალუტჩიკებს“ (უცხოური ვალუტით მოვაჭრეებს). 1959 წელს დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა იან როკოტოვისა და მისი თანამზრახველების პროცესს. უცხოური ვალუტითა და საქონლით ვაჭრობისთვის მათ 10-15 წლით პატიმრობა ემუქრებოდათ, მაგრამ საქმეში ჩაერია ხრუშჩოვი: „ეს რას ნიშნავს? როდესაც გათავისუფლდებიან, ჩვენ უკვე კომუნიზმი გვექნება. არ შეიძლება ასეთები დიდი კოვზითა და ჩანგლით შევუშვათ“. მიიღეს კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ განსაკუთრებით მსხვილი მასშტაბით ფინანსური დატაცებების გამო. მას უკუქცევის ძალა მისცეს – როკოტოვი და მისი თანამზრახველები სიკვდილით დასაჯეს. ამან მთელ მსოფლიოში აღშფოთება გამოიწვია, თუმცა ეს ხრუშჩოვისთვის სულერთი იყო.

36.4. ხრუშჩოვი და პარტიული აპარატი

ოპოზიციის დამარცხების შემდეგ ხრუშჩოვი ერთპიროვნული ხელისუფლების მატარებელი გახდა, თუმცა ერთპიროვნული მმართველობა ამწვავებდა ხრუშჩოვის ხასიათის უარყოფით მხარეებს. ის სულ უფრო ხშირად ერთპიროვნულად ღებულობდა გადაწყვეტილებას, სპეციალისტებთან მოთათბირების გარეშე, ხშირად ემოციების გავლენით. ძალზე უხეშად ექცეოდა მინისტრებს, პარტიული აპარატის მუშაკებს, სამხედროებს, მეცნიერებსა და მწერლებს. მისი ხასიათის უარყოფითმა თვისებებმა თავისი როლი შეასრულეს ჩინეთის ლიდერებთან ურთიერთობის განწყვეტაში.

ამავე დროს ხრუშჩოვი რჩებოდა ზემოდან „დესტალინიზაციის“ მთავარ მამოძრავებელ ძალად[1]. ხრუშჩოვი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც დაიწყო შეტევა სტალინზე. სტალინის გარემოცვის დიდი ნაწილი, ბერიას ჩათვლით, დაინტერესებული იყო, უარი ეთქვათ ტერორზე, სტალინური მობილიზაციური ტიპის ეკონომიკაზე, აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მარტო ხრუშჩოვი დარჩა, დესტალინიზაციის პოლიტიკური იმპულსი კი არ გაძლიერდა, არამედ შესუსტდა. პარტიული აპარატისა და სამხედროთა უმრავლესობა, მიუხედავად დანაშაულებებში მხილებისა, აღმერთებდა სტალინს. მათთვის სტალინმა ომი მოიგო და მძლავრი იმპერია ააშენა. იმპულსური და ლაპარაკის მოყვარული ხრუშჩოვი სტალინთან დიდ კონტრასტს ქმნიდა და პარტიულ აპარატს „ბრძენი ბელადის“ ნოსტალგიას უჩენდა.

---

[1] „დესტალინიზაცია“ - სტალინისა და მისი დანაშაულებების მხილების ოფიციალური პოლიტიკა.

ხრუშჩოვს პარტიული აპარატისა და სახელმწიფო უშიშროების გარდა სხვა სახელისუფლო დასაყრდენი არ გააჩნდა. მას ესმოდა ამ საყრდენების არასაიმედოობა, ამიტომ ცდილობდა ამ სტრუქტურებში ცვლილებების შეტანას და კადრების გაახალგაზრდავებას.

1959 წ. იანვარში КГБ-ს თავმჯდომარე სეროვის ნაცვლად ალექსანდრე შელეპინი (1918-1994) გახდა. მან განაახლა კადრების წმენდა და ამ უწყებიდან 20 ათასამდე ოფიცერი გაუშვა, მათ ნაცვლად კომკავშირელ მუშაკებს ნიშნავდნენ.

1961 წ. ოქტომბერში სკკპ XXII ყრილობაზე მიიღეს პარტიის ახალი წესდება, რომელიც ითვალისწინებდა პარტიული ორგანოების სისტემატურ განახლებას. პარტიის დაბალი ორგანიზაციები ყოველ არჩევნებზე სანახევროდ უნდა განახლებულიყო, საოლქო კომიტეტები და რესპუბლიკური ორგანოები – მესამედით, ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი – მეოთხედით. ერთი ადამიანი არ შეიძლება აერჩიათ ერთსა და იმავე ორგანოში რამდენჯერმე. ხრუშჩოვმა მაშინვე გამოიყენა ეს სიახლე და განაახლა სამდივნო. იქიდან გამოიყვანეს ეკატერინა ფურცევა და საქართველოს კომპარტიის ლიდერი ვასილ მჟავანაძე და შეიყვანეს შელეპინი. ფურცევამ ყრილობაზე გაიგო, რომ სამდივნოდან გაიყვანეს და ისეთ შოკში ჩავარდა, რომ თავის მოკვლა სცადა.

36.5. XXII ყრილობა და ახალი შეტევა სტალინზე

სტალინზე ახალი შეტევა ხრუშჩოვმა სკკპ XXII ყრილობაზე (1961 წ. ოქტომბერი) განახორციელა. ამ დროისათვის ხრუშჩოვი თავისი ძლიერების ზენიტში იყო. განსხვავებით XX ყრილობისაგან, სადაც ხრუშჩოვი პირადად გამოვიდა და სტალინზე მისი შეტევა „ექსპრომტის" ხასიათს ატარებდა, XXII ყრილობაზე ხრუშჩოვი კულისებიდან მართავდა მოვლენებს, სტალინზე ახალი იერიში კი კარგად იყო ორგანიზებული. სტალინზე ახალი შეტევა მავზოლეუმიდან მისი ცხედრის გამოსვენებასა და დასაფლავებას ისახავდა მიზნად.

მავზოლეუმის სტალინისგან „გათავისუფლება" ხალხის ინიციატივა უნდა ყოფილიყო. ყრილობამდე რამდენიმე კვირით ადრე ლენინგრადის ორი დიდი ქარხნის, კიროვის სახელობისა და ნევის მანქანათმშენებელი ქარხნების მუშები თავიანთ კრებებზე გამოვიდნენ სტალინის დაკრძალვის ინიციატივით. ლენინგრადი იმიტომ შეარჩიეს, რომ რეპრესიებისგან ერთ-ერთ ყველაზე დაზარალებულ რეგიონად იყო მიჩნეული.

სკკპ XXII ყრილობა პომპეზურ ხასიათს ატარებდა. ყრილობას ესწრებოდა დაახლოებით 30 „ლენინის გვარდიელი" (პარტიის უხუცესი წევრები). ისინი დელეგატების დაახლოებით 0,5%-ს შეადგენდნენ. სტუმრის სტატუსით ყრილობას ესწრებოდა რევოლუციამდელი სათათბიროს დეპუტატი ვასილი შულგინი, რომელსაც ნიკოლოზ II-ის გადადგომა ჰქონდა მიღებული.

ყრილობაზე 26 ოქტომბერს მოხსენებით გამოვიდა КГБ-ს ხელმძღვანელი ალექსანდრე შელეპინი, რომელმაც მოძიებული დოკუმენტების საფუძველზე ილაპარაკა სტალინის პერიოდის რეპრესიების შესახებ, თუმცა დარტყმის მთავარი ობიექტი იყო არა სტალინი, არამედ „სტალინის გარემოცვა": მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი, ბულგანინი და ვოროშილოვი. იმავე სულისკვეთებით საუბრობდნენ ყრილობის სხვა დელეგატებიც. აღსანიშნავია, რომ დამსწრე 70 უცხოელი სტუმრიდან სკკპ შიგნით ანტიპარტიული ჯგუფის დამარცხებასა და პიროვნების კულტის მავნებლობაზე ისაუბრა მხოლოდ ოთხმა: საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა, ერაყის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა სალიმ ადილმა, ბულგარეთისა და უნგრეთის ხელმძღვანელებმა ტოდორ ჟივკოვმა და იანოშ კადარმა.

აღსანიშნავია, რომ სკკპ XX და XXII ყრილობებზე აქცენტი კეთდებოდა სტალინის რეპრესიების დროს „ლენინური გვარდიის" – ძველი ბოლშევიკების განადგურებაზე და ცოტას ლაპარაკობდნენ მასობრივ რეპრესიებზე, უბრალო ხალხს რომ დაატყდა თავს.

ისტორიკოსები ვერ შეთანხმებულან, სტალინზე ახალი შეტევის დროს რა ამოძრავებდა ხრუშჩოვს: ემოციები სტალინის ეპოქაში ჩადენილი დანაშაულებების გამო, საბოლოო ანგარიშსწორების სურვილი „ანტიპარტიულ ჯგუფთან" (მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი), რომელმაც 1957 წელს კინაღამ დაამხო, თუ მისწრაფება, სტალინის კულტი შეეცვალა საკუთარით, რომელიც ყველას თვალწინ იქმნებოდა.

30 ოქტომბერს, როდესაც ყრილობა დასასრულისკენ მიდიოდა, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ივან სპირიდონოვმა წინადადება წამოაყენა, „სტალინის ცხედარი უმოკლეს ვადაში გადატანილი ყოფილიყო მავზოლეუმიდან სხვა ადგილას" სპირიდონოვის გამოსვლა დამსწრეთა უმრავლესობისათვის მოულოდნელი იყო, თუმცა ამას თითქოსდა უცდიდა და მაშინვე მხარი დაუჭირა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პეტრე დემიჩევმა. შემდეგ, ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა გამოსულიყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, რომელიც ყელშეხვეული მივიდა და ხმის უქონლობა მოიმიზეზა. მის მაგივრად საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა ილაპარაკა, რომელიც მოკლე სიტყვით გამოვიდა და ფორმალურად შეუერთდა უკვე გამოსულ კოლეგებს.

ემოციური იყო ძველი ბოლშევიკი ქალის დორა ლაზურკინას გამოსვლა. ის იცნობდა ლენინსაც და სტალინსაც, დაზარალებული იყო რეპრესიებით, 18 წელი ჰქონდა ბანაკებში გატარებული, 1961 წელს 77 წლის იყო. სავარაუდოდ, ის მთლად ჯანმრთელი არ იყო. მან თქვა, რომ გამოეცხადა ლენინი, როგორც ცოცხალი (ასეა დაფიქსირებული ყრილობის მასალებში), რომელმაც უთხრა, არ მინდა სტალინის გვერდით წოლაო.

ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: „მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული სტალინის სარკოფაგის მავზოლეუმში შემდგომი დატოვება". აღინიშნა, რომ სტალინის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, მასობრივი რეპრესიები პატიოსანი საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ და სხვა მოქმედებები პიროვნების კულტის პერიოდში შეუძლებელს ხდიდა სტალინის სარკოფაგის განთავსებას ლენინის მავზოლეუმში. სხდომას თავმჯდომარეობდა ხრუშჩოვი, დადგენილების პროექტი პოდგორნიმ წაიკითხა. 31 ოქტომბერს, დილით, ყრილობის გადაწყვეტილება სტალინის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოსვენების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში" ხრუშჩოვმა მანამდე გასცა განკარგულება სტალინის სარკოფაგის მავზოლეუმიდან გამოტანის შესახებ, ვიდრე ყრილობა მიიღებდა შესაბამის დადგენილებას.



თავიდან სტალინის დაკრძალვას აპირებდნენ მეუღლის ნადეჟდა ალილუევას გვერდით, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, მაგრამ ხრუშჩოვს შეეშინდა, – სტალინის სხეული ან მომხრეებმა, ან მოწინააღმდეგეებმა არ მოიტაცონო, ამიტომ გადაწყდა კრემლის კედელთან დაკრძალვა, რადგანაც ეს ადგილი ყოველთვის დაცული იყო.

მავზოლეუმიდან სტალინის გამოსვენების ოპერაციაში მონაწილეობდა დაახლოებით 30 ადამიანი. მათ ხელმძღვანელობდა პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაი შვერნიკი. საფლავის გათხრა საიდუმლოდ ხდებოდა, წითელი მოედანი გადაკეტილი იყო 7 ნოემბრის აღლუმისთვის მზადების საბაბით. ეშინოდათ ხალხის შესაძლო პროტესტისა.[1]

1961 წლის 31 ოქტომბერ-1 ნოემბრის ღამით სტალინის ცხედარი გამოასვენეს მავზოლეუმიდან. სტალინის შვილებს სვეტლანას და ვასილს არ დაუძახეს. ვასილი, საერთოდ, ყაზანში იყო გადასახლებული და, სავარაუდოდ, არც იცოდა სტალინის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოსვენების შესახებ. სტალინის დამარხვის პროცესს არ დასწრებია მჟავანაძე, რომელიც ყრილობის დამთავრებისთანავე თბილისში გამოფრინდა. მის ნაცვლად დაკრძალვას გივი ჯავახიშვილი ესწრებოდა.

სტალინის ცხედარს მოხსნეს გენერალისიმუსის სამხრეები, სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი (სხვა ჯილდოები არ ეკეთა), მუნდირს ააჭრეს ოქროს ღილები და თითბრის ღილებით შეცვალეს. როდესაც კუბოს თავს ახურავდნენ, შვერნიკი და ჯავახიშვილი აქვითინდნენ.

ყრილობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული მუშაობა, როდესაც სტალინის გვამი ჩაუშვეს კრემლის კედელთან გათხრილ ორმოში და ზემოდან დაასხეს თვითმცლელით მოტანილი ცემენტის ხსნარი. სიტყვა „სტალინი" წაშალეს მავზოლეუმის შესასვლელში. მთელ საბჭოთა კავშირში ანადგურებდნენ ბელადის სურათებსა და ძეგლებს. გიგანტურ ქანდაკებებს ტროტილით აფეთქებდნენ, ვერტმფრენებითა და ტრაქტორებით გლეჯდნენ კვარცხლბეკებიდან. სტალინის სახელობის მრავალი ქალაქი, ქუჩა და საწარმო ახალ სახელს ღებულობდა: სტალინგრადი ვოლგოგრადი გახდა, სტალინაბადი – დუშანბე, სტალინო – დონეცკი, სტალინირი კვლავ ცხინვალი გახდა. პამირში სტალინის პიკს ეწოდა კომუნიზმის პიკი; მასთან ერთად მოლოტოვი გახდა პერმი, ჩკალოვი – ორენბურგი და ა.შ.

სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენება ლოგიკური იქნებოდა სკკპ XX ყრილობის შემდეგ, მაგრამ მაშინ ვერ გაბედეს და ხალხის რეაქციის შეეშინდათ, 1961 წელს სტალინის დამარხვას საზოგადოების მხრიდან რაიმე დიდი აღშფოთება და რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ არც დამარხვის მეთოდს გამოუწვევია პატივისცემა. ხალხი ასევე გულგრილად შეხვდა სამი წლის შემდეგ ხრუშჩოვის გადაყენებას.

სტალინზე მეორე შეტევა ხორციელდებოდა ჩინეთთან განხეთქილების პირობებში, როდესაც ჩინელები „რევიზიონიზმში" ადანაშაულებდნენ საბჭოთა კომუნისტებს. ამავე დროს ეს იყო პასუხი ხრუშჩოვის ავტორიტეტის მკვეთრ შემცირებაზე ხალხში და პარტიულ ნომენკლატურაში. ხრუშჩოვმა ყრილობა გამოიყენა თავის მოწინააღმდეგეებთან საბოლოო ანგარიშსწორებისთვის. მოლოტოვი გადააყენეს და შემდეგ პარტიიდან გარიცხეს, მალენკოვი და კაგანოვიჩი ასევე გარიცხეს პარტიიდან და მოსკოვში ცხოვრება აუკრძალეს.

[1] КГБ-ს ეშინოდა, რომ ქართველი აქტივისტები მოსკოვში სხვადასხვა გზით ჩავიდოდნენ ხელის შესაშლელად. ამიტომ მოსკოვისკენ მიმავალ ქართველებს თვალს ადევნებდნენ.

თავი XXXVII.

ხრუშჩოვის გადაყენება და ბრეჟნევის მმართველობის დასაწყისი

ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის 18-წლიანი პერიოდი (1964-1982) მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ამ პერიოდს, ზოგადად, „უძრაობის ხანას" უწოდებენ. „უძრაობის ხანა" ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა და 1987 წლის აპრილში დამთავრდა, როდესაც დაიწყო გორბაჩოვის „გარდაქმნის" ხანა. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდი რომ „უძრაობის ხანა" იყო, ამის თაობაზე გორბაჩოვის სიტყვებიდან გახდა ცნობილი სკკპ XXVII ყრილობაზე (1986), თუმცა, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, საბჭოთა კავშირმა სწორედ ბრეჟნევის მმართველობის ოცი წლის განმავლობაში მიაღწია თავისი განვითარების მაქსიმალურ დონეს.

ბრეჟნევის ეპოქისათვის, იდეოლოგიური თვალსაზრისით, დამახასიათებელია „განვითარებული სოციალიზმის" კონცეფცია, რამაც ჩაანაცვლა „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის" ხრუშჩოვისეული გეგმა.

37.1. უკმაყოფილების ზრდა ხრუშჩოვის მმართველობით

ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებისთვის მიზეზები მრავლად იყო. ხრუშჩოვის წინააღმდეგ იყო განწყობილი ხალხის უმრავლესობა: გლეხები მას ვერ პატიობდნენ პირადი საკარმიდამო ნაკვეთების შეზღუდვას; მუშები ბრალს სდებდნენ ფასების ზრდასა და სურსათით მომარაგების გაუარესებაში; მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, ინტელიგენციის სხვა ჯგუფები აღშფოთებულნი იყვნენ ხრუშჩოვის უხეშობით და გაუნათლებლობით, არათანმიმდევრული დესტალინიზაციით; სამხედროები უკმაყოფილონი იყვნენ არმიისა და ფლოტის შემცირებით, ასევე თვლიდნენ, რომ ხრუშჩოვი დიდ დათმობებზე წავიდა კარიბის კრიზისის (1962) დროს; პარტიულ-სახელმწიფო აპარატი უკმაყოფილო იყო კადრების მუდმივი ცვლით, ნაჩქარევი და მოუფიქრებელი რეორგანიზაციებით; ბევრი ხრუშჩოვს დამნაშავედ მიიჩნევდა ჩინეთთან ურთიერთობის გაუარესებაში, არასწორად მიაჩნდათ უზომო დახმარებები მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის; ისინიც კი, ვინც ხრუშჩოვის მადლობელი იყვნენ ახლობლების რეაბილიტაციის გამო, ვერ პატიობდნენ ხრუშჩოვს უხეშობასა და სულელურ ქმედებებს.

ხრუშჩოვის გადაყენება შესაძლებელი გახადა იმ ცვლილებებმაც, რაც მისი მმართველობის პოზიტიურ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ – ხრუშჩოვმა, ფაქტობრივად, გაანადგურა ტოტალიტარული ბელადობის ფენომენი. ტერორის შეწყვეტა, შიშის დონის შემცირება და მასობრივი მოლოდინების ზრდა ცვლიდა ადამიანების გუნება-განწყობას.[1]

[1] Истории России XX век. Том III, М., 2017, 134.



ხრუშჩოვის 70 წლის იუბილე

1964 წლის 15 აპრილს, დამხობამდე ექვსი თვით ადრე, ნიკიტა ხრუშჩოვს 70 წელი შეუსრულდა. „ძვირფასი ნიკიტა სერგეის ძის" იუბილე საბჭოეთში დიდი ზეიმით აღინიშნა. 17 აპრილს დაბადების დღე „ვიწრო წრეშიც" აღნიშნეს. როგორც მისი ვაჟი სერგეი ხრუშჩოვი იგონებს, ცკ პრეზიდიუმის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იუბილარის ქებაში. ბრეჟნევის მლიქვნელობა ყველა საზღვარს გადასცდა. ხრუშჩოვი მოღუშული იყო, მაგრამ არავის აჩერებდა, – ამ შემთხვევაში ახალი ქება დაიწყებოდა მისი თავმდაბლობის თაობაზე.

დაბადების 70-ე წლისთავზე ნ. ხრუშჩოვს საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი გადასცეს. ხრუშჩოვი მოკლე სიტყვით გამოვიდა, რომელშიც შემდეგი აღნიშნა: „ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის სიკვდილი ზოგჯერ მათ ფიზიკურ სიკვდილზე ადრე დგება" ის, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რომ სწორედ ასეთი იყო მისი ბედი.

ერთი მხრივ, ხრუშჩოვის გადაყენება იყო თავისებული „სასახლის გადატრიალება", ხრუშჩოვი გახდა პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობის ზედაფენის შეთქმულების მსხვერპლი. ხრუშჩოვმა ხელყო ნომენკლატურის ინტერესები. მეორე მხრივ, ხრუშჩოვის გადაყენება მარტო ელიტის ნების უნიადაგო გამოვლინება არ ყოფილა. ხრუშჩოვის მმართველობით უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა მოსახლეობაში და ხალხი ხელისუფლებაში მომხდარ ცვლილებას მშვიდად და მოწონებითაც კი შეხვდა.

ხრუშჩოვის რეფორმების ზოგადი შეფასება:

- რეფორმები ხორციელდებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ფარგლებში და ვერ გამოდიოდნენ ამ ფარგლებიდან;
- რეფორმები ზოგჯერ ატარებდა იმპულსურ და მოუფიქრებელ ხასიათს, რასაც მოსდევდა არა მდგომარეობის გაუმჯობესება ამა თუ იმ სფეროში, არამედ, პირიქით, ზოგჯერ კიდევ უფრო აუარესებდა ვითარებას.

სახელმწიფო 37.2. გადატრიალება – ხრუშჩოვის გადაყენება

ხრუშჩოვს დაუპირისპირდა ნომენკლატურა, პარტიულ-სამეურნეო ზედაფენა, ვისაც მფარველობდა და აწინაურებდა. შეთქმულთა შორის იყვნენ ა. შელეპინი, რომელიც 1964 წელს სათავეში ედგა ახალ მძლავრ სტრუქტურას – პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტს,[1] და ვ. სემიჩასტნი – КГБ-ს ხელმძღვანელი. შეთქმულებაში მონაწი-

[1] 1964 წლისათვის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი გადაიქცა მძლავრ სტრუქტურად, რომელსაც შეეძლო საბჭოთა და პარტიული ორგანოების სრული დუბლირება. აკონტროლებდა ძალოვან უწყებებს. შექმნილი იყო 15 რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომიტეტი, 1057 საქალაქო და სარაიონო, 348 ათასი სანარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, 270 ათასი სახალხო კონტროლის პოსტი. მათში ჩართული იყო 2 მილიონ 400 ათასი ადამიანი.

ლეობდნენ ლ. ბრეჟნევი, მ. სუსლოვი, ნ. პოდგორნი და სხვები. ხრუშჩოვს უღალატეს მისმა ძველმა მეგობრებმაც: ა. მიქოიანმა და მარშალმა რ. მალინოვსკიმ.

1964 წლის 13-14 ოქტომბერს განვითარებული მოვლენები და ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენება ფორმალურად ჯდებოდა სკკპ წესდების ფარგლებში, მაგრამ სინამდვილეში ატარებდა „სასახლის გადატრიალების" ყველა ნიშანს. რსფსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გენადი ვორონცოვი ამტკიცებდა, რომ შეთქმულება „დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მზადდებოდა". საქმის კურსში იყვნენ ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და საოლქო კომიტეტების მდივნების ნაწილიც. 1963 წელს სკკპ ცკ მეორე მდივანმა ფროლ კოზლოვმა, რომელიც ხრუშჩოვის ერთგული იყო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პოსტი დატოვა. მისი მოვალეობები გაიყვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ბრეჟნევმა და სკკპ ცკ მდივანმა ნიკოლაი პოდგორნიმ. ეს გახდა ხრუშჩოვის წინააღმდეგ მიმართული ინტრიგის დასაწყისი.

ხრუშჩოვის საწინააღმდეგო შეთქმულების მთავარი მონაწილეები:

ლეონიდ ბრეჟნევი (1906-1982) – სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე;

ნიკოლაი პოდგორნი (1903-1983) – სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი;

ნიკოლაი მირონოვი (1913-1964) – სკკპ ცკ ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე;

ნიკოლაი იგნატოვი (1901-1966) – რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ვლადიმირ სემიჩასტნი (1924-2001) – სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

ალექსეი შელეპინი (1918-1994) – სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

როდიონ მალინოვსკი (1898-1967) – სსრკ თავდაცვის მინისტრი.

ხმებმა, რომ მის წინააღმდეგ „რაღაც მზადდებოდა", ხრუშჩოვამდეც მიაღწია, მაგრამ მისი შემდგომი მოქმედება ძნელი ასახსნელია. 29 სექტემბერს ხრუშჩოვი შვებულებაში გავიდა და დასასვენებლად ბიჭვინთაში წავიდა, თავის მეგობარ ანასტას მიქოიანს კი „საქმეში გარკვევა" დაავალა. 3 ოქტომბერს მიქოიანი ბიჭვინთაში ჩავიდა და ხრუშჩოვს მოახსენა, რომ შეთქმულება მართლაც არსებობდა. მიუხედავად ამისა, ხრუშჩოვმა ძველებურად გააგრძელა დასვენება. როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შეაფასა მონინააღმდეგეები.

11 ოქტომბერს კი ხრუშჩოვმა გააკეთა ყველაზე ცუდი რამ, რის გაკეთებაც შექმნილ ვითარებაში შეეძლო. მოსკოვში დაურეკა „შეთქმულების" ერთ-ერთ მონაწილეს, სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრს დმიტრი პოლიანსკის და უთხრა, რომ იცოდა მის წინააღმდეგ ინტრიგების შესახებ, სამ-ოთხ დღეში მოსკოვში დაბრუნდებოდა და ყველას შავ დღეს დააყრიდა. პოლიანსკიმ სასწრაფოდ დაურეკა ბრეჟნევს, რომელიც უცხოეთში იმყოფებოდა, და მოლდავეთში მყოფ პოდგორნის. ორივენი დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ მოსკოვში. შეთქმულები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ.

1964 წლის 12 ოქტომბერს ორბიტაზე გაუშვეს კოსმოსური ხომალდი «Восход-1», რომლის ბორტზეც სამი კოსმონავტი იყო: ვლადიმირ კომაროვი, კონსტანტინ ფეოკტისტოვი და ბორის ეგოროვი. ფრენა სულ 1 დღე-ღამე, 17 წუთი და 3 წამი გაგრძელდა და წარმატებით დამთავრდა.

სურათზე ქვეყნის ხელმძღვანელი ნიკიტა ხრუშჩოვი ტელეფონით ელაპარაკება კოსმოსურ ხომალდ „ვოსხოდ"-ზე მყოფ კოსმონავტებს, მარჯვნივ ზის ლეონიდ ბრეჟნევი. დედამიწაზე დაბრუნებულ კოსმონავტებს ხრუშჩოვი ველარ შეხვდა, ამასობაში ის „პენსიაზე გაუშვეს". კოსმონავტების ოფიციალური შეხვედრა მოსკოვში გადაიდო და მხოლოდ 19 ოქტომბერს შედგა. კოსმონავტებმა ანგარიში ქვეყნის ახალ ხელმძღვანელს ლეონიდ ბრეჟნევს ჩააბარეს.

ბუნებრივია, იმავე დღეს შეთქმულებმა მოქმედება დაიწყეს. 12 ოქტომბერს ბრეჟნევმა დაურეკა ხრუშჩოვს და ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა სასწრაფოდ მოსკოვში დაბრუნება ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე, სადაც ვითომდა სოფლის მეურნეობაში ხრუშჩოვის ახალი წინადადებები უნდა განეხილათ. 13 ოქტომბერს ხრუშჩოვი და მიქოიანი მოსკოვში გაფრინდნენ. აეროპორტში მხოლოდ КГБ-ს ხელმძღვანელი სემიჩასტნი დახვდათ.

13 ოქტომბერს 15:30-ზე კრემლში სასწრაფოდ შეკრებილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას თავმჯდომარეობდა ლეონიდ ბრეჟნევი. სხდომას ესწრებოდა 22 კაცი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო და თავდაცვის მინისტრი როდიონ მალინოვსკი. მთავარი მომხსენებელი იყო მიხაილ სუსლოვი. მომხსენებელიც და გამომსვლელებიც ხრუშჩოვს აკრიტიკებდნენ არა ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, არამედ პრეზიდიუმში შექმნილი „არანორმალური ვითარების" და არაკოლეგიულობის გამო. შეიძლება პუნქტებად ჩამოვთვალოთ პრეტენზიები, რაც ხრუშჩოვს წაუყენეს:

- საკუთარი პიროვნების კულტის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ თავად გააკრიტიკა სტალინის პიროვნების კულტი;

  უხეშად ექცეოდა პარტიის წევრებს;

  თავის ხელში მოაქცია უმაღლესი ხელისუფლება და უარი თქვა კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე;

  პარტიული აპარატი დაიღალა ხრუშჩოვის მიერ გატარებული საშინაო პოლიტიკით და განუწყვეტელი რეორგანიზაციით;

  ეკონომიკაში არსებული პრობლემები, მაგალითად, სოციალურ სფეროში და სოფლის მეურნეობაში.

ხრუშჩოვის დაცვა მხოლოდ ა. მიქოიანმა სცადა. ხრუშჩოვს მოსთხოვეს ყველა პოსტიდან გადადგომა. ხრუშჩოვი ყველა ბრალდებას უარყოფდა. სხდომა გვიან ღამემდე გაგრძელდა და გადაწყვიტეს, მეორე დღეს, დილის 9 საათზე შეკრებილიყვნენ. 14 ოქტომბერს სხდომა კიდევ საათ-ნახევარს გაგრძელდა. ბრეჟნევმა წინადადება წამოაყენა, რომ ხრუშჩოვი ნებაყოფლობით გადამდგარიყო. ხრუშჩოვი წინააღმდეგობის გაწევას აღარ

ცდილობდა. ბრეჟნევმა ხრუშჩოვის მემკვიდრედ პოდგორნი დაასახელა, ამ უკანასკნელმა კი უარი თქვა თავად ბრეჟნევის სასარგებლოდ.

დაადგინეს ცენტრალური კომიტეტის სხდომის მოწვევა, სინამდვილეში კი ცენტრალური კომიტეტის წევრები უკვე შეკრებილნი იყვნენ და იცდიდნენ. პლენუმზე სუსლოვის გამოსვლის შემდეგ კამათი არ გაუმართავთ. პლენუმზე ხრუშჩოვი სიტყვით არ გამოსულა. ერთხმად დაადგინეს ყველა თანამდებობიდან ხრუშჩოვის გათავისუფლება „ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო". ცკ პლენუმი დამთავრდა შეძახილებით: „გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ ლენინურ პარტიას!"

1964 წლის 14 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ნიკიტა ხრუშჩოვი გაათავისუფლეს პარტიული თანამდებობიდან, 15 ოქტომბერს – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მთავრობის მეთაურის პოსტიდანაც. სკკპ XXIII ყრილობამდე (1966 წ. მარტი – აპრილი) ხრუშჩოვი ფორმალურად რჩებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, მაგრამ ფაქტობრივად მისი მუშაობისგან ჩამოცილებული იყო.

ПРАВДА

СООБЩЕНИЕ
о Пленуме Центрального Комитета КПСС

В Президиуме Верховного Совета СССР

გაზეთებმა ხრუშჩოვის ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ მხოლოდ 1964 წლის 16 ოქტომბერს აცნობეს საბჭოთა მოქალაქეებს. მოკლედ აღინიშნა, რომ პლენუმმა დაკმაყოფილა ამხ. ნ. ხრუშჩოვის თხოვნა, ასაკში ყოფნის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გაეთავისუფლებინათ ყველა დაკავებული თანამდებობიდან – სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან, სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობიდან და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან.

1964 წლის 14 ოქტომბერს ცკ პრეზიდიუმისა და ცკ სხდომაზე ხრუშჩოვი მარტო დარჩა და ის კენჭისყრით გადააყენეს. კრემლის პოლიტიკაში „თამაშის წესების" შეცვლა მისი დამსახურება იყო, ის საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მისი ერთადერთი ლიდერი იყო, რომელმაც პენსიაზე მყოფმა იცხოვრა.

სოციალისტური ქვეყნების ლიდერებს პირადად ბრეჟნევმა დაურეკა და მომხდარის შესახებ აცნობა. მსოფლიომ ხრუშჩოვის გადაყენების შესახებ გაგო „სპეციალური დანიშნულების ჟურნალისტის" ვიქტორ ლუისგან. არანაირი „დახურული წერილი" კომუნისტებისთვის არ ყოფილა, რომლითაც პარტიის წევრებს აუხსნიდნენ გადაყენების მიზეზებს. საბჭოთა ელჩებისთვის გაგზავნილ დირექტივაში საუბარი იყო კურსის მემკვიდრეობითობაზე და განსაკუთრებით აღინიშნებოდა, რომ „ამხანაგი ხრუშჩოვი რჩებოდა სკკპ წევრად"

ხრუშჩოვის ოჯახში ჰყვებოდნენ – სახლში დაბრუნებულ ხრუშჩოვს უთქვამს: „და მაინც ჩემი დამსახურება ისტორიის წინაშე ისაა, რომ შესაძლებელი იყო ჩემი მოხსნა უბრალო ხმის მიცემის გზით".

ხრუშჩოვს დაენიშნა პენსია 400 რუბლი.

გადაყენების შემდეგ ხრუშჩოვი ფაქტობრივად შინაპატიმრობაში იყო და მას აღარავინ ახსენებდა, სასწრაფოდ გადააკეთეს ისტორიის სახელმძღვანელოებიც, სადაც ხრუშჩოვი აღარ ფიგურირებდა. მისი მოღვაწეობა მოკლედ ფასდებოდა, როგორც მმართველობაში „სუბიექტივიზმისა" და „ვოლუნტარიზმის" პერიოდი.

საზოგადოება ინფორმაციას ხრუშჩოვის გადადგომის შესახებ კმაყოფილებითა და აიფრთხილით შეხვდა. კმაყოფილებას ინვევდა ხრუშჩოვის დაუსრულებელი რეფორმობანას შენყვეტის მოლოდინი და მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი, სიფრთხილეს კი – აშკარა სიცრუე „ჯანმრთელობის გაუარესებასთან" დაკავშირებით და სტალინურ წესრიგთან დაბრუნების შიში. ოქტომბრის პლენუმიდან ორი კვირის შემდეგ КГБ-ს ხელმძღვანელი სემიჩასტნი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა, თუ რა რეაქცია ჰქონდა მოსახლეობას ხრუშჩოვის გადაყენებაზე. არც ერთი მიტინგი, არც ერთი მიმართვა ხრუშჩოვის დასაცავად. ეს, მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მიმდინარეობდა ხრუშჩოვის ხოტბა-დიდების კამპანია.

КГБ-ს მონაცემებით, 1965 წელს საშუალოდ ორჯერ შემცირდა „ანტისაბჭოთა გამოსვლები" (ფურცლები, ხელისუფალთა მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი ნარნერები). ერთადერთი საკითხი ინვევდა ინტერესს – გაგრძელდებოდა თუ არა ხრუშჩოვის მიერ დაწყებული სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა.[1]

37.3. საბჭოთა კავშირის მთავარი პენსიონერი

1964 ნლის 15 ოქტომბერს ხრუშჩოვმა პენსიონერის რანგში გაიღვიძა. რაიმე კონკრეტული საქმე მას აღარ ჰქონდა, რამაც დეპრესიაში ჩააგდო. თავიდან ძალიან უჭირდა, საათობით იჯდა სავარძელში, ზოგჯერ კი ცრემლები მოსდიოდა. დროთა განმავლობაში მდგომარეობას შეეჩვია და უფრო აქტიური გახდა. ხშირად ჩადიოდა მოსკოვში და ქუჩებში სეირნობდა, ცოლისა და დაცვის თანხლებით, ესწრებოდა კონცერტებსა და სპექტაკლებს თეატრებში.

ხრუშჩოვს დაუნიშნეს პენსია 400 რუბლი. ეს თანხა ბევრი არ იყო, მაგრამ რამდენჯერმე აღემატებოდა რიგითი საბჭოთა მოქალაქეების პენსიას,[2] დაუტოვეს ავტომობილი „ზილ"-ი, კრემლის საავადმყოფოში მკურნალობის უფლება, სპეციალური სასურსათო უზრუნველყოფა („პაიოკი"), ცხოვრობდა მოსკოვის ახლოს მდებარე აგარაკზე. ბევრს მუშაობდა ბაღში, ბევრს კითხულობდა და მისი ბიბლიოთეკა პენსიაზე ყოფნის დროს სწრაფად გაიზარდა.

[1] Рудольф Пихоя Р. Как и почему свергли Никиту Хрушева - https://www.vedomosti.ru/opinion/articles/2019/10/11/813437-pochemu-svergli-hruscheva

[2] 1950-1960-იან წლებში ქალაქის მაცხოვრებლის პენსია იყო 70-დან 120 რუბლამდე.

ხრუშჩოვს დაუტოვეს ბინა მოსკოვში, სადაც ყოფნა არ უყვარდა და ერჩივნა აგარაკი მოსკოვის მახლობლად. თუმცა, აგარაკი რამდენჯერმე გამოაცვლევინეს. სამთავრობო აგარაკი მალევე დაატოვებინეს და მოლოტოვის ყოფილ აგარაკში შეასახლეს, მაგრამ 1965 წლის დასაწყისში იქიდანაც გამოასახლეს და უფრო მოკრძალებულ აგარაკში გადაიყვანეს პეტროვო-დალნიში. აგარაკი მესრით იყო გარშემორტყმული და გასასვლელებს უშიშროების თანამშრომლები აკონტროლებდნენ. ხრუშჩოვი სახლიდან მარტო ვერ გამოვიდოდა, მას აუცილებლად დაჰყვებოდნენ უშიშროების თანამშრომლები.

პენსიონერი ნიკიტა ხრუშჩოვი საბჭოთა პრესას აქტიურად ეცნობოდა, საიდანაც ახალ ამბებს გებულობდა. აქტიურად უსმენდა დასავლური რადიოსადგურების რუსულ გადაცემებს – „ამერიკის ხმას", ბი-ბი-სის, „გერმანულ ტალღას", რომელთა ჩახშობის განკარგულებაც თავად ჰქონდა გაცემული. დასავლური გადაცემებიდან გებულობდა ალტერნატიულ თვალსაზრისს საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. რადიოს ჩამორთმევის თაობაზე უშიშროების თანამშრომლებს მითითება არ ჰქონდათ.

ხრუშჩოვი ახალ ამბებს ახლობლებთან განიხილავდა. დიდ შეცდომად მიაჩნდა ჯარების შეყვანა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, – „შეიძლებოდა ამის სხვანაირად გაკეთება, მოიწონა 1969-1970 წლებში დაწყებული დაძაბულობის შენელება დასავლეთთან. გაკვირვებას გამოთქვამდა სტალინის რეაბილიტაციის მცდელობაზე. არ დაიჯერა სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალილუევას საზღვარგარეთ გაქცევა, სანამ ამის შესახებ დასავლური რადიოსადგურიდან არ მოისმინა. სვეტლანას ხრუშჩოვი აფასებდა, რადგანაც, ვასილისგან განსხვავებით, მხარი დაუჭირა XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს.

ნიკიტა ხრუშჩოვის მესამე მეუღლე ნინა კუხარჩუკი (1900-1984), რომელთანაც 1924 წელს იქორწინა და სამი შვილი ჰყავდათ, მაგრამ ქორწინება ოფიციალურად მხოლოდ 1965 წელს გაფორმეს. ნინა კუხარჩუკი თან ახლდა ნიკიტას უცხოეთში ვიზიტების დროს.

პირველი ცოლი ეფროსინია პისარევა (1896-1919) 1919 წელს ტიფით გარდაიცვალა, მეორე ცოლს მარუსიას (გვარი უცნობია) 1922 წელს გაეყარა, მაგრამ მარტოხელა დედის დახმარებას შემდგომშიც აგრძელებდა.

1967 წელს ხრუშჩოვს გადადგომის შემდეგ პირველი კონფლიქტი მოუხდა ხელისუფლებასთან. საფრანგეთში აჩვენეს სატელევიზიო ფილმი იმის შესახებ, თუ როგორ ატარებს დროს პენსიონერი ხრუშჩოვი. ამან ცენტრალურ კომიტეტში უკმაყოფილება გამოიწვია. შეცვალეს ხრუშჩოვის მთელი დაცვა „სიფხიზლის" ნაკლებობის გამო, ხრუშჩოვი კი გამოიძახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და პოლიტბიუროს წევრმა ა. კირილენკომ. ეს უკანასკნელი ხრუშჩოვის დანინაურებული იყო, მაგრამ ხრუშჩოვს უხეშად ელაპარაკა და დაემუქრა: „ჯერ კიდევ ძალზე კარგად ცხოვრობო". ამ უსიამოვნო საუბრის შემდეგ ხრუშჩოვს პირველი ინფარქტი დაემართა.

1969 წლის აპრილში ნიკიტა ხრუშჩოვი 75 წლის გახდა. საბჭოთა კავშირში ეს არ აღუნიშნავთ, სამაგიეროდ, არ გამორჩენია დასავლურ პრესას. უცხოეთიდან მრავალი მისალოცი დეპეშა მიიღო, მათ შორის დე გოლისგან, ინგლისის დედოფლისგან, იანოშ კადარისგან.





როგორ და რატომ დაწერა ხრუშჩოვმა მემუარები

1960-იან წლები „მემუარების ათწლედი" იყო. მრავალი საბჭოთა მოღვაწე (მარშლები და გენერლები, ყოფილი მინისტრები და პარტიული ფუნქციონერები, მეცნიერები და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები) მოგონებების წერას შეუდგნენ. ხრუშჩოვი აქტიურად ეცნობოდა ამ მოგონებებს და სწყინდა, რომ მის შესახებ არაფერს წერდნენ, ანდა მოკლედ აღნიშნავდნენ „ცკ-ის მდივანი" 1965 წელს, გამარჯვების მე-20 წლისთავის იუბილეზე არმიის გენერალ ბატოვს ჰკითხეს, იყო თუ არა ხრუშჩოვი სტალინგრადში. გენერალმა, რომელიც ხრუშჩოვთან ერთად იბრძოდა სტალინგრადში, საჯაროდ განაცხადა, რომ არ იცის.

ამგვარ მოგონებებზე განაწყენებულმა ხრუშჩოვმა მემუარების დაწერა გადაწყვიტა. ნიკიტას წერა არ ეხერხებოდა, ამიტომ მის მონათხრობს მაგნიტოფონზე ინერდნენ და შემდეგ საბეჭდი მანქანით ქაღალდზე გადაჰქონდათ. აქ ორი ვერსია არსებობს: ერთი ვერსიის თანახმად, მბეჭდავი დაიქირავეს, მეორე ვერსიის მიხედვით, ნიკიტას ვაჟი სერგეი ბეჭდავდა, რასაც შემდეგ ნიკიტა კითხულობდა და შესწორებებს აკეთებდა. მთლიანობაში ნიკიტა ხრუშჩოვის მონათხრობი დაახლოებით 300 საათი გრძელდება.

ხრუშჩოვი რომ მოგონებებს წერდა, ცხადია, კრემლში გაიგეს და არ მოეწონათ. სცადეს აეკრძალათ. დაიბარა ა. კირილენკომ, საუბარს პელშე და დემიჩევიც დაესწრნენ. ხრუშჩოვმა უარი თქვა და აღნიშნა, რომ მოგონებების დაწერის სრული უფლება ჰქონდა.

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვის მოგონებებს არავინ დაბეჭდავდა, მაგრამ გაურკვეველია თუ როგორ მოხვდა ხრუშჩოვის მოგონებების ჩანაწერები უცხოეთში. ერთი ვერსიის მიხედვით, სერგეი ხრუშჩოვი დაუკავშირდა КГБ-ს ხელმძღვანელს ანდროპოვს და მისი თანხმობით, ჟურნალისტ ვიქტორ ლუის ხელით მაგნიტოფირი დასავლეთში გადაიგზავნა. შემდეგ, როდესაც სკანდალი ატყდა, ანდროპოვი მკვეთრად გაემიჯნა ხრუშჩოვს. მეორე ვერსიის თანახმად, ჩანაწერები დასავლეთში ისე გაიტანა ვიღაცამ, რომ ხრუშჩოვმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა.

ხრუშჩოვის მოგონებები ინგლისურ ენაზე თარგმნა სტროუბ ტელბოტმა და ორ ტომად დაიბეჭდა აშშ-ში 1970 და 1974 წლებში. სკანდალი ატყდა 1970 წლის ნოემბერში, როდესაც საბჭოთა მთავრობისთვის ცნობილი გახდა, რომ აშშ-ში ხრუშჩოვის მო-



გონებები უნდა გამოსულიყო. ნიკიტა გამოიძახეს პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. პელშესთან. საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით, ხრუშჩოვის აღნიშნული ქმედება „სამშობლოს ღალატად" ფასდებოდა, მაგრამ ნიკიტა „ჩვეულებრივი ადამიანი" არ იყო. მას მოსთხოვეს, უარი ეთქვა ნიგნზე. ხრუშჩოვის მოკლე განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მას არ გადაუცია დასავლეთში მოგონებები დასაბეჭდად, მაგრამ არ უთქვამს, რომ მოგონებები არ არსებობდა. ამ საუბრის შემდეგ ხრუშჩოვს მეორედ მოუვიდა ინფარქტი. 1971 წლის დასაწყისში ხრუშჩოვს ჩაუტანეს აშშ-ში დაბეჭდილი მოგონებების პირველი ტომი.

1971 წლის 11 სექტემბერს ნიკიტა ხრუშჩოვი გარდაიცვალა. ხრუშჩოვის სიკვდილმა კრემლის ხელმძღვანელობა პრობლემის წინაშე დააყენა. როგორ დაეკრძალათ შერისხული ლიდერი. ერთი მხრივ, ყველა იმ რიტუალის დაცვა, რითაც სახელმწიფო მეთაურს კრძალავდნენ, საჭიროდ არ მიაჩნდათ, მეორე მხრივ კი, არც იგნორირება გამოდიოდა – ხრუშჩოვი 11 წელი საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი იყო.

ხრუშჩოვის დაკრძალვის თაობაზე პარტიულ ზედაფენაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. პოდგორნის და კოსიგინს მიაჩნდათ, რომ კრემლის კედელთან უნდა დაეკრძალათ, მაგრამ რიტუალების გარეშე – არ უნდა ყოფილიყო ნეკროლოგი პორტრეტით, მიტინგი და სალუტი. ნეკროლოგში არ იყო ჩვეულებრივი ფრაზა – „ღრმა მწუხარებით ვიუწყებით", ეწერა უბრალოდ – „მწუხარებით".

ინფორმაცია ხრუშჩოვის გარდაცვალების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ 1971 წლის 11 სექტემბერს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა სკკპ ცკ ყოფილი პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პერსონალური პენსიონერი ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვი.

„პრავდა", 13 სექტემბერი, 1971 წელი

გარდა ამ ინფორმაციისა, საბჭოთა პრესაში არ გამოქვეყნებულა ხრუშჩოვის არანაირი ნეკროლოგი და სურათი, განსხვავებით დასავლური პრესისგან, სადაც დიდი ყურადღება მიაქციეს ხრუშჩოვის გარდაცვალებას და ვრცელი ნერილები გამოაქვეყნეს როგორც მისი დაკრძალვის, ისე მოღვაწეობის შესახებ.

გაიმარჯვა ბრეჟნევის, სუსლოვისა და პელშეს თვალსაზრისმა – ხრუშჩოვი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაეკრძალათ ორშაბათს, 13 სექტემბერს, 12 საათზე. გამომშვიდობება გარდაცვლილთან მოეწყოთ საავადმყოფოს სამგლოვიარო დარბაზში დილის 10 საათზე და იმავე დღეს მოკლე ცნობა გამოექვეყნებინათ გაზეთებში „პრავდა" და „იზვესტია", ფოტოგრაფიის გარეშე. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ხრუშჩოვის გარდაცვალება ბევრს ვერ გაეგო და დასაფლავებაზე რაც შეიძლება ნაკლები მსურველი მისულიყო.

ნიკიტას შვილმა სერგეი ხრუშჩოვმა მამის გარდაცვალების დღესვე დაურეკა ნაცნობ ნორვეგიელ ჟურნალისტს ლუის და მისგან მთელმა მსოფლიომ შეიტყო მომხდარის

შესახებ. სამგლოვიარო დეპეშები მოდიოდა უცხოეთის ქვეყნების ლიდერებისგან. ეს ჩვეულებრივი ოფიციალური პროტოკოლი იყო, რაც უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა საბჭოთის იმდროინდელ მმართველებს. სამგლოვიარო დეპეშებს არ აგზავნიდნენ უცხოელი კომუნისტები, – მოსკოვიდან ისინი წინასწარ გააფრთხილეს, ამის გაკეთება მიზანშეწონილი არ არისო.

დასაფლავებამდე ერთი დღით ადრე სერგეი ხრუშჩოვს აჩვენეს დასაფლავების ადგილი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. ადგილი სერგეის არ მოეწონა და საფლავის ადგილის გადატანა ფართო **ალეაზე** მოითხოვა, რაზეც უარი უთხრეს. მაშინ სასაფლაოს დირექტორმა გამოძებნა ადგილი გზასთან ახლოს, რაზეც შეთანხმდნენ. ხრუშჩოვისთვის პირველად მომზადებულ საფლავში იმავე წლის დეკემბერში დაკრძალეს პოეტი ალექსანდრე ტვარდოვსკი.

ინფორმაცია ხრუშჩოვის გარდაცვალების შესახებ სწრაფად გავრცელდა მოსკოვში და გამოსამშვიდობებლად ბევრი ხალხი მოვიდა. სასაფლაოზე სანიტარული დღე გამოაცხადეს და მისულ ადამიანებს მილიცია და უშიშროების თანამშრომლები უკან აბრუნებდნენ. ასე რომ, დაკრძალვას დაესწრნენ მხოლოდ ნათესავები, ახლო მეგობრები, შვილების თანამშრომლები. იყო დაახლოებით სამი ათეული უცხოელი ჟურნალისტი, მაგრამ არცერთი საბჭოთა. მრავლად იყვნენ უშიშროების თანამშრომლები, რომლებიც უცერემონიოდ უღებდნენ სურათებს შეკრებილთ. არანაირი ტრიბუნა სამგლოვიარო მიტინგისთვის არ ყოფილა. მოკლე გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოთქვეს სერგეი ხრუშჩოვმა, ძველმა ბოლშევიკმა ნადეჟდა დიმანშტეინმა და სერგეის მეგობარმა ვადიმ ვასილიევმა.

ხრუშჩოვის საფლავზე ბევრი მნახველი მიდიოდა, თუნდაც იქ აღმართული ძეგლის სანახავად და ყვავილები მიჰქონდათ. კრემლის მითითებით, მოსკოვის საბჭომ გარეშე პირთათვის სასაფლაო დაკეტა.



ძეგლი ხრუშჩოვის საფლავზე

მთავრობის გადაწყვეტილებით ნიკიტა ხრუშჩოვის საფლავზე უნდა დადგოთ სტანდარტული მარმარილოს ფილა, რისთვისაც 2 ათასი მანეთი გამოიყო. ოჯახმა მოინდომა საფლავზე ობელისკის დადგმა, რომლის პროექტის გაკეთება ერნსტ ნეიზვესტნის სთხოვეს. ოჯახის თქმით, ასეთი იყო ნიკიტას ანდერძი. კოსიგინმა მოიწონა ობელისკის პროექტი და გამოყოფილი თანხა 5 ათას მანეთამდე გაზარდეს, თუმცა პროექტის განხორციელებას უშიშროება ადევნებდა თვალს. ცენტრალურ კომიტეტში არ მოეწონათ, რომ სკულპტორი აპირებდა ობელისკზე მხოლოდ „ხრუშჩოვის" წარწერას. ამან მავზოლეუმზე წარწერილი „ლენინი" გაახსენათ. სასწრაფო გაიმართა პოლიტბიუროს სხდომა და მოითხოვეს, რომ ძეგლზე სახელი, მამის სახელი და დაბადება-გარდაცვალების თარიღებიც მიეწერათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ობელისკი საერთოდ არ დაიდგმებოდა.

ძეგლის გახსნა პოლიტბიუროს მიერ დადგენილ ვადას წელიწად-ნახევარი გადასცილდა. გახსნის ცერემონიას უშიშროება ადევნებდა თვალს და სუსლოვის დავალებით ანდროპოვმა სპეციალური ანგარიში მოამზადა თავის უწყებაში, რომელიც საბჭოეთის უმაღლეს ხელმძღვანელობას დაეგზავნა.

ნაწილი მეათე
ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობა

თავი XXXVIII.

ბრეჟნევი: კოლექტიური მმართველობიდან პიროვნების განდიდებამდე

38.1. ახალი ხელმძღვანელობის კონტურები

ხრუშჩოვის დამხობის მთავარი ორგანიზატორი შელეპინი იყო, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის მას არ ჰქონდა საკმარისი ავტორიტეტი. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი (1906-1982) გახდა, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – ალექსეი კოსიგინი (1904-1980), ხოლო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – ნიკოლაი პოდგორნი (1906-1983). სამივე სტალინის დანინაურებული იყო 1930-იანი წლების ტერორის დროს. პირველ ხანებში ისინი, ისევე, როგორც სტალინის სიკვდილის შემდეგ მოსული ლიდერები, „კოლექტიური ხელმძღვანელობის" სახით მოქმედებდნენ, თუმცა ხრუშჩოვის მემკვიდრეები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ხელისუფლებაში მოსული ბრეჟნევის „გუნდი" სამ ჯგუფად შეიძლება გაიყოს:

ერთნი (ა. კოსიგინი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ანდროპოვი) აუცილებლად მიიჩნევდნენ ეკონომიკაში რეფორმისტული კურსის გატარებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომ ლიბერალიზაციას, რა თქმა უნდა, არსებული სისტემის ფარგლებში და მისი განმტკიცების მიზნით. ა. კოსიგინი ცნობილი იყო როგორც რეფორმების მომხრე, რომელიც მხარს უჭერდა ზოგიერთი ეკონომიკური სტიმულის ჩანერგვას ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში; იური ანდროპოვი იყო XX ყრილობის კურსის თანმიმდევრული გაგრძელებისა და „სოციალისტური ღირებულებების" დასაცავად გადამწყვეტი ზომების მიღების მომხრე;

კონსერვატიული გზის მომხრეები (მ. სუსლოვი, ა. შელეპინი) თვლიდნენ, რომ ქვეყანას სტაბილურობა სჭირდებოდა, რომლის მიღწევის გზად ესახებოდათ ხრუშჩოვის მიერ გატარებული კურსის შეჩერება, უარი უნდა ეთქვათ დესტალინიზაციის პოლიტიკასა და რეფორმებზე. ა. შელეპინი სტალინისტი იყო;

ცალკე იდგა ბრეჟნევი, რომელსაც ამ ორ ჯგუფს შორის ცენტრისტული პოზიცია ეკავა. ბრეჟნევი იყო ტიპური „აპარატის მუშაკი", რომელსაც პარტიულ-ბიუროკრატიული სისტემის ფარგლებში გავლილი ჰქონდა კარიერის ყველა საფეხური. მას არ გააჩნდა გარკვეული პოლიტიკური პლატფორმა, მაგრამ იძულებული იყო ჩამოეყალიბებინა კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა აპარატის მხარდაჭერას. ეს გარემოება განაპირობებდა კონსერვატიული კურსის დამკვიდრებას („უძრაობა"), მაგრამ პოლიტიკის სფეროშიც კი ეს შემობრუნება მკვეთრად არ ხდებოდა, ეკონომიკის სფეროში კი კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რეფორმები.

ლეონიდ ბრეჟნევი თავიდან დროებით ფიგურად მიიჩნეოდა, მაგრამ ბევრისთვის გასაკვირად სწორედ ის გახდა ლიდერი დიდი ხნით – გარდაცვალებამდე. ბრეჟნევი ბევრს მოსწონდა, – ხრუშჩოვისგან განსხვავებით კეთილი იყო, არ უხეშობდა, მიიჩნევდნენ, რომ ბრეჟნევი არ იყო ამბიციური, ფრთხილი იყო გადაწყვეტილებების მიღების დროს და ა.შ.

ბრეჟნევს შეეძლო ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვება. ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ თავის პირველსავე საჯარო გამოსვლაში ბრეჟნევმა გააუქმა ხრუშჩოვის მიერ შემოღებული „დაუსაბუთებელი" შეზღუდვები პირად დამხმარე მეურნეობაზე, რითაც მაშინვე მოიპოვა გლეხების კეთილგანწყობა. 1965 წლის მაისში სამხედროებთან შეხვედრის დროს ბრეჟნევმა სტალინი ახსენა ომში გამარჯვების ორგანიზატორად, რითაც ოვაცია გამოიწვია დარბაზში. რაც მთავარია, ბრეჟნევმა მოიპოვა პარტიული ნომენკლატურის ზედა ეშელონის – საოლქო კომიტეტების მდივნებისა და პარტიული აპარატის მხარდაჭერა მათ მიმართ პატივისცემის დემონსტრირებით და საკადრო სტაბილურობის დაპირებით.

ბრეჟნევი განასაბიერებდა ე. წ. „ახალ საბჭოთა ნომენკლატურას" – კომუნისტებს, რომელთაც მეორე მსოფლიო ომამდე არ ეკავათ მაღალი თანამდებობები და არ ჰქონიათ ახლო ურთიერთობა „ცოცხალ" სტალინთან.

38.2. ბრეჟნევის დამკვიდრება ხელისუფლების სათავეში

ხრუშჩოვის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ ახალ თანამდებობებზე დანინაურდნენ შეთქმულების მონაწილენი. გადატრიალებიდან ერთი თვის შემდეგ, 1964 წლის ნოემბრის პლენუმზე, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები გახდნენ ა. შელეპინი (გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი) და ა. შელესტი (უკრაინის კომპარტიის 1-ლი მდივანი). 1965 წლის დეკემბერში გადადგა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი, 1966 წლის აგვისტოში ამ პოსტზე დაინიშნა ხრუშჩოვის წინააღმდეგ შეთქმულების კიდევ ერთი აქტიური წევრი – ნ. პოდგორნი.

1965 წლიდან თავი იჩინა სხვა ტენდენციამაც. ბრეჟნევმა დაიწყო ხრუშჩოვის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე თავისი თანამებრძოლების უკანა რიგში გადანევა. 1965 წლის დეკემბერში ცენტრალურმა კომიტეტმა მოახდინა პარტიულ-სამეურნეო კონტროლის აპარატის რეფორმირება. ამის მიზანი იყო მის სათავეში მყოფი ა. შელეპინის უფლებამოსილების შემცირება. 1967 წელს შელეპინი გაათავისუფლეს ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან.

ბრეჟნევი გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგაც კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ხელისუფლების სრულად მფლობელად თავს ვერ გრძნობდა, მათ შორის ანგარიშის გაწევა უხდებოდა სამხედროებისთვისაც, „მარშალთა ბლოკი" სერიოზულ ძალას წარმოადგენდა ხელისუფლებაში. მარშლები ომის გმირები იყვნენ და 1960-იანი წლების შუახანებში ეს სერიოზული პოლიტიკური არგუმენტი იყო.

ბრეჟნევი და თავდაცვის მინისტრი გრეჩკო

1966 წელს ცხადი გახდა, რომ მძიმედ ავადმყოფი თავდაცვის მინისტრი მარშალი მალინოვსკი მალე გარდაიცვლებოდა. ბრეჟნევს უჩნდება იდეა, რომ ამ პოსტზე დაენიშნა არა პროფესიონალი სამხედრო, არამედ ცენტრალური კომიტეტის მდივანი უსტინოვი. ამ უკანასკნელს ომის პერიოდში მაღალი თანამდებობები ეკავა თავდაცვის მრეწველობის ხელმძღვანელობაში. უსტინოვი გენერალ-პოლკოვნიკი იყო 1944 წლიდან, როდესაც ბრეჟნევი, უბრალოდ, პოლკოვნიკი იყო. ხრუშჩოვის მმართველობის ბოლო პერიოდში უსტინოვი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო. ბრეჟნევი უსტინოვს 1947 წლიდან იცნობდა.

ანდრეი გრეჩკო (1903-1976)

დმიტრი უსტინოვი (1908-1984)

1966 წელს სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება ომში სახელმოხვეჭილ საბჭოთა მარშლებზე და თავისი რჩეული დმიტრი უსტინოვი ვერ დანიშნა თავდაცვის მინისტრად. 1966 წელს უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში ყველაზე ძლიერ დაჯგუფებას მარშალი გრეჩკო ედგა სათავეში, რომელიც 1960 წლიდან იყო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. გრეჩკო 1967 წლის აპრილში დაინიშნა თავდაცვის მინისტრად. იყო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო ინტერვენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მისი მინისტრობის პერიოდში იყო 1969 წელს სასაზღვრო კონფლიქტი ჩინეთთან. 1973 წელს, 16-წლიანი შესვენების შემდეგ, თავდაცვის მინისტრად დანიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი (თავდაცვის მინისტრი პოლიტბიუროს წევრი აღარ იყო გ. ჟუკოვის გადაყენების შემდეგ).

გრეჩკოს ურთიერთობა ბრეჟნევთან დაძაბული იყო, პოლიტბიუროს სხდომებზე გრეჩკო ღიად აკრიტიკებდა ბრეჟნევს და ეს უკანასკნელი იძულებული იყო აეტანა კრიტიკა; გრეჩკოს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა КГБ-ს უფროსთან იური ანდროპოვთან, რადგანაც არ მოსწონდა და ეწინააღმდეგებოდა უშიშროების ორგანოების გავლენის ზრდას; რთული ურთიერთობა ჰქონდა დმიტრი უსტინოვთან, რომელიც 1965-1976 წლებში სკკპ ცკ მდივანი იყო და ამავე დროს დაკავშირებული იყო თავდაცვის მრეწველობასთან. დღეს არსებობს ვერსია, რომ გრეჩკოს მოულოდნელი სიკვდილი სწორედ ბრეჟნევთან დაპირისპირებამ განაპირობა.

თავდაცვის მინისტრი მარშალი ანდრეი გრეჩკო 1976 წლის აპრილში, სრულიად ჯანმრთელი, მოულოდნელად გარდაიცვალა 72 წლის ასაკში. ამასთან დაკავშირებით არსებობს ვერსია, რომ ის ბრეჟნევთან დაპირისპირებას შეეწირა. 1976 წლის დეკემბერში ბრეჟნევი 70 წლის ხდებოდა, ზეიმისათვის მზადება წლის დასაწყისიდან დაიწყეს. ბრეჟნევს ძალიან უნდოდა გამხდარიყო მარშალი და მისი ამ სურვილის შესახებ გრეჩკოს სიკვდილამდე 10 დღით ადრე უთხრეს, ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა: „მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ". გრეჩკო მოულოდნელად გარდაიცვალა და 10 დღის შემდეგ ბრეჟნევს მარშლის წოდება მიენიჭა.

გაიხსენეს სხვა შემთხვევაც. 1974 წელს ბრეჟნევი გენერალ-ლეიტენანტი იყო და მოინდომა, პირდაპირ არმიის გენერალი გამხდარიყო და ამით „გადახტომოდა" გენერალ-პოლკოვნიკის წოდებას. მაშინაც გრეჩკო ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბრეჟნევმა თავისას მიაღწია.

ლეონიდ ბრეჟნევის გზა მარშლობამდე:
გენერალ-მაიორი – 2.11.1944
გენერალ-ლეიტენანტი – 4.08.1953
არმიის გენერალი – 22.03.1974
საბჭოთა კავშირის მარშალი – 7.05.1976

ბრეჟნევი და შელეპინის დაჯგუფება

1967 წელს ბრეჟნევისა და შელეპინის კლანებს შორის გადამწყვეტი დაპირისპირება გაიშალა, რაც ბრეჟნევის გამარჯვებით დამთავრდა. ამასთან, ახალდანიშნული თავდაცვის მინისტრი ბრეჟნევის მხარეზე აღმოჩნდა. 1967 წლის 18 მაისს შელეპინის მნიშვნელოვანი მომხრე, КГБ-ს უფროსი ვლადიმირ სემიჩასტნი თანამდებობიდან გადააყენეს და „საკავშირო პოლიტიკურ ცხოვრებას" საერთოდ ჩამოაშორეს – ის გადაიყვანეს უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. მისი გადაყენების მიზეზი გახდა სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალილუევას უარი, დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში ინდოეთში მოგზაურობის შემდეგ და, ასევე, მისი „ანტისაბჭოთა" წიგნის გამოცემის პერსპექტივა.[1]

1967 წლის 20 ივნისს შელეპინის მეორე მოკავშირემ, პარტიის მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ნიკოლაი ეგორიჩევმა ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე თავდაცვის სამინისტრო გააკრიტიკა ისრაელ-არაბეთის ომის დროს წარუმატებელი მოქმედებისთვის, დაინუნა ასევე მოსკოვის საჰაერო თავდაცვის სისტემა. ეგორიჩევი გრეჩკოს აკრიტიკებდა, მაგრამ სინამდვილეში კრიტიკის სამიზნე ბრეჟნევი იყო, რომელიც, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელი იყო თავდაცვის უწყების მდგომარეობაზე. რამდენიმე დღის შემდეგ ეგორიჩევმა დაკარგა მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტი და მოგვიანებით ელჩად გააგზავნეს დანიაში.[2]

[1] Медведев Р.А. Андропов. М., Молодая Гвардия, 2006, с.89, 93-94.
[2] Яковлев А. Н. Омут памяти. М. Вагриус, 2001.

თავად შელეპინი 1967 წლის ივლისში დააქვეითეს და გადაიყვანეს პროფკავშირების (ВЦСПС) ხელმძღვანელის პოსტზე. მის მომხრეებს ათავისუფლებდნენ სხვადასხვა პოსტიდან, მაგრამ შელეპინი კვლავ რჩებოდა პოლიტბიუროს წევრად. 1970 წლის მარტში, ბრეჟნევის სკკპ ცკ გენერალურ მდივნად არჩევის 6 წლის შემდეგ, ალექსანდრ შელეპინმა სცადა ბრეჟნევის გადაყენება. შელეპინი ამ დროს პოლიტბიუროს წევრად რჩებოდა. მან ასევე პოლიტბიუროს წევრებთან – ცენტრალური კომიტეტის მდივან სუსლოვთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე მაზუროვთან ერთად დაწერა ე. წ. „სამთა წერილი", რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ბრეჟნევი. აპირებდნენ ამ წერილის პლენუმზე გატანას. ბრეჟნევი საქმის კურსში იყო და წინმსწრები ნაბიჯი გადადგა. სასწრაფოდ გაემგზავრა ბელორუსიაში, სადაც თავდაცვის მინისტრი მარშალი გრეჩკო მანევრებს ატარებდა. ბელორუსიაში რამდენიმე დღე დარჩა და სამხედროების მხარდაჭერა მოიპოვა. შელეპინს, სუსლოვს და მაზუროვს თავიანთი წერილი აღარ გახსენებიათ.

შელეპინი 1975 წლის აპრილში გაიყვანეს პოლიტბიუროს შემადგენლობიდან და გაათავისუფლეს პროფკავშირების ხელმძღვანელის პოსტიდან. საბაბად გამოიყენეს 1975 წელს საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წარუმატებელი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. ბრიტანულ პრესაში აღინიშნა, რომ საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელი იყო სტალინისტი და უშიშროების ორგანოების ყოფილი ხელმძღვანელი. არსებობს ეჭვი, რომ საპროტესტო აქციების ორგანიზებაში საბჭოთა უშიშროების ხელი ერია,

1964 წელს ხრუშჩოვის მემკვიდრე ბრეჟნევი გახდა, მაგრამ მას ხელისუფლების გაყოფა უხდებოდა პოლიტბიუროს სხვა წევრებთან (ა. შელეპინი, ნ. პოდგორნი, ა. კოსიგინი), მხოლოდ 1971 წელს გახდა ბრეჟნევის ხელისუფლება ფაქტობრივად ერთპიროვნული: მან ჩამოიცილა პოლიტიკური მეტოქეები და ცენტრალური კომიტეტის აპარატში შეიყვანა თავისი ერთგული ადამიანები, როგორებიც იყვნენ იური ანდროპოვი და კონსტანტინე ჩერნენკო.

1978 წელს ბრეჟნევს უკანასკნელი დაპირისპირება მოუხდა კირილ მაზუროვთან (1914-1989), რომელიც პოლიტბიუროს წევრად რჩებოდა. სკკპ ცკ პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე წინადადება წამოაყენეს, რომ ბრეჟნევისათვის მესამეჯერ მიენიჭებინათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ყველა თანახმა იყო, მხოლოდ მაზუროვი წავიდა ნინაალმდეგი, „მე მგონი, ლეონიდ ილიას ძეს დათვურ სამსახურს ვუწევთო". მეორე დღეს სუსლოვმა მაზუროვს ურჩია დაეწერა განცხადება წასვლის შესახებ „ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის გამო". ასევე უთხრა, რომ „პოლიტიკურად ბეცი იყო" და არ მისცემდნენ უფლებას, შეერყია ლეონიდ ბრეჟნევის ავტორიტეტი. თავად მაზუროვის მოგონების თანახმად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის მუშაობის დროს ლ. ბრეჟნევმა შეაჩერა დარბაზის შესასვლელთან და პირდაპირ განუცხადა, რომ მასთან მუშაობა მეტად აღარ უნდოდა. იგივე უპასუხა მაზუროვმაც და იქვე დაწერა განცხადება პენსიაზე გასვლის შესახებ. ბრეჟნევმა ეს განცხადება პლენუმზე წაიკითხა, ერთხმად დაუჭირეს მხარი და მაზუროვს მადლობა გადაუხადეს მრავალწლიანი მუშაობისთვის.[1]

[1] Он спорил с Хрущевым и Брежневым... - https://beldumka.belta.by/isfiles/000167-492159.pdf

თავდასხმა ბრეჟნევზე

1969 წლის 22 იანვარს ლეონიდ ბრეჟნევზე თავდასხმა მოხდა, მაშინ როდესაც საზეიმო შეხვედრა მიმდინარეობდა „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“ კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟებთან.[1] ვიქტორ ილინმა ესროლა მანქანას, რომელშიც, მისი აზრით, გენერალური მდივანი იჯდა. სინამდვილეში ამ მანქანით მიდიოდნენ კოსმონავტები. სროლის შედეგად დაიღუპა ავტომობილის მძღოლი, ბრეჟნევი კი, რომელიც სხვა მანქანით მიჰყავდათ, არ დაზარალებულა.

თავდამსხმელი ვიქტორ ილინი და თავდასხმის ადგილი

1969 წლის 22 იანვარს მიმდინარეობდა კოსმონავტებთან შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი. უცბად გადაცემა შეწყდა და სროლის ხმა ისმოდა. საბჭოთა მოქალაქეებმა მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაიგეს, რომ ლ. ბრეჟნევზე თავდასხმა მოხდა. სამთავრობო მანქანები შეჯავშნული არ იყო.

ილინის გარდა საბჭოთა კავშირში ბრეჟნევზე სხვა თავდასხმა არ ყოფილა. თუმცა, КГБ-ს ინფორმაციით, საზღვარგარეთ იყო თავდასხმის ორი მცდელობა 1977 და 1978 წლებში (საფრანგეთსა და გფრ-ში), რომელთა თავიდან აცილება მოხერხდა.

უმცროსმა ლეიტენანტმა ვიქტორ ილინმა ყველაფერი დაგეგმა. იცოდა, როდის იქნებოდა კრემლში კოსმონავტებთან შეხვედრა და წინა დღით ქალაქ ლომონოსოვში თავის სამხედრო ნაწილში მორიგეობის დროს ჩუმად აიღო ორი რევოლვერი, სასწრაფოდ ჩავიდა ლენინგრადში და იქიდან მოსკოვში გადაფრინდა, თვითმფრინავის ბორტზე იარაღის ატანაც მოახერხა. მოსკოვში ღამე ბიძასთან გაათია, რომელიც მილიციის ყოფილი თანამშრომელი იყო. მეორე დღეს, დილით აიღო ბიძამისის მილიციელის შინელი და ქუდი, მივიდა კრემლის იმ ჭიშკართან, სადაც სამთავრობო ესკორტს უნდა ჩაევლო და მილიციის ჯაჭვში ჩადგა. ილინი მოხვდა მილიციის ორ ქვედანაყოფს შორის და „უცხოს“ ყოფნა ამიტომ ვერ შეამჩნიეს. 14:15 კრემლის კარებში სამთავრობო კორტეჟი შევიდა. ილინმა ორივე რევოლვერიდან სროლა დაიწყო და 6 წამში 11 გასროლა (სხვა ცნობით, 8 გასროლა) მოასწრო, სანამ განაიარაღებდნენ. ილინი დარწმუნებული იყო, რომ ბრეჟნევის ავტომობილს ესროდა, სინამდვილეში, კოსმონავტებს ესროლა და ბრეჟნევი მომდევნო მანქანაში იჯდა.

ილინი კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური სისტემისადმი, გმობდა ჩეხოსლოვაკიაში ინტერვენციას და დადებითად აფასებდა სამხედრო გადატრიალებებს მესამე სამყაროს ქვეყნებში. აღტაცებული იყო ლი ჰარვი ოსვალდით, რომელიც პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელად მიიჩნევა.

ილინი გაასამართლეს, მაგრამ არც დაუხვრეტიათ და არც ჩვეულებრივ ციხეში აღმოჩენილა, არამედ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა მიუსაჯეს. ერთადგილიან პალატაში თითქმის 20 წელი გაატარა. 1988 წელს დედის დაჟინებული თხოვნით ლენინგრადში გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და 1990 წელს საერთოდ გაათავი-

[1] ვალენტინა ტერეშკოვა, ალექსეი ლეონოვი, ანდრიან ნიკოლაევი, გეორგი ბერეგოვოი.

სუფლეს. ილინს მისცეს ერთოთახიანი ბინა და დაუნიშნეს სამხედრო პენსია, რადგანაც ის არმიაში სამსახურიდან მთელი ამ დროის განმავლობაში გათავისუფლებული არ ყოფილა.

ბრეჟნევზე მომხდარი თავდასხმის დროს КГБ-ს უფროსი ი. ანდროპოვი იყო. ბევრი ფიქრობდა, რომ მას თანამდებობიდან გადააყენებდნენ, თუმცა ასე არ მომხდარა. ილინი ციხეში რომ არ აღმოჩნდა, ანდროპოვთან შეხვედრას უმადლოდა. ანდროპოვს უკითხავს, ბრეჟნევის მაგივრად ქვეყნის ხელმძღვანელად ვინ გესახებოდაო. ილინმა მიხაილ სუსლოვი დაასახელა. როგორც ჩანს, კრემლში მართლაც შიდა ბრძოლა მიმდინარეობდა და ბრეჟნევმა არ მოინდომა ანდროპოვის თავიდან მოცილება.

ავადმყოფი ბრეჟნევი

1976 წლის დასაწყისში ბრეჟნევმა გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. მას სიცოცხლე დაუბრუნეს, მაგრამ ორი თვის განმავლობაში არ შეეძლო მუშაობა, დარღვეული ჰქონდა აზროვნება და მეტყველება. ამ დროიდან მოყოლებული ბრეჟნევის გვერდით მუდმივად იმყოფებოდა ექიმ-რეანიმატორების ჯგუფი, სრული სამედიცინო აღჭურვილობით. ბრეჟნევის ჯანმრთელობა თანდათანობით უარესდებოდა. ის უკვე ძნელად ართმევდა თავს მინიმალურ ვალდებულებებს. 1976 წლის შემდეგ, მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, ბრეჟნევმა გადაიტანა რამდენიმე ინფარქტი და ინსულტი. ექიმ-რეანიმატორებმა ის რამდენჯერმე გამოიყვანეს კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან. უკანასკნელი კლინიკური სიკვდილი – 1982 წლის 10 ნოემბერს ბრეჟნევმა ვერ გადაიტანა.

როგორც ამბობენ, ბრეჟნევმა რამდენჯერმე ითხოვა თანამდებობიდან წასვლა, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს. თანამდებობაზე მყოფის სულ უფრო მძიმე მდგომარეობას ყველა ხედავდა. ბრეჟნევი გადაიქცა დაცინვისა და ანეკდოტების ობიექტად. ანეკდოტების რაოდენობით ბრეჟნევს სხვა საბჭოთა ლიდერები ვერ შეედრებიან. ანეკდოტების ასეთი სიმრავლე რუსეთში მხოლოდ ჩაპაევსა და შტირლიცზე იყო.

ანეკდოტი N -10056042

ბრეჟნევის დღის განრიგი: 9.00 – რეანიმაცია, 11.00 – ბატარეების დამუხტვა, 13.00 – ორდენების გადაცემა, 15.00 – ორდენების მიღება, 17.00 – საზეიმო ვახშამი, 19.00 – კლინიკური სიკვდილი, 9.00 – ...

38.3. ბრეჟნევის პიროვნების კულტის ფორმირება

ლ. ბრეჟნევს რამდენიმე წელი დასჭირდა იმისათვის, რომ პოლიტბიუროში დაეტოვებინა მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც მთლიანად ენდობოდა. 1973 წლის აპრილში ბრეჟნევის გარემოცვამ დაიწყო ბრეჟნევის პიროვნების კულტის ფორმირება. როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლების მონოპოლისტურად მფლობელ პარტიას არ შეეძლო არსებობა სათავეში მდგომი პიროვნების განდიდების გარეშე. ბრეჟნევთან ერთად დაბერებული მისი გარემოცვა კარგად ხვდებოდა იმასაც, რომ ბრეჟნევის გარეშე ისინიც აღარ იქნებოდნენ საჭირო. ამ პროცესს სათავე დაუდო ნიკოლაი პოდგორნინმ, ის განადიდებდა გენერალურ მდივანს და დარბაზში სამჯერ გაისმა მქუხარე აპლოდისმენტები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სუსლოვის გამოსვლა. შედეგად ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში ჩაიწერა: „ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს და პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით". ამ დებულებით იწყება ბრეჟნევის სულ უფრო მზარდი განდიდება. ამ დროიდან არცერთი კრება – ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან დაწყებული რიგითი პარტიული კრებით დამთავრებული – არ ტარდებოდა ბრეჟნევის ქებისა და მლიქვნელობის გარეშე.[1]

[1] Млечин Л. М. Брежнев. Разочарование России. СПБ. Питер. 2012. С.41.

1977 წლის 16 ივნისს ბრეჟნევი გახადეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამ დროისათვის საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობის კონსერვატიული კურსი სრულად იყო ჩამოყალიბებული, მისი შედეგი გახდა „უძრაობა“ საზოგადოების განვითარებაში, დამახასიათებელი გვიანი „განვითარებული სოციალიზმისათვის“.

გარემოცვის მხრიდან განდიდებას დაემატა თავად ბრეჟნევის სულიერი მდგომარეობაც. ფიზიკურ დაუძლურებას თან დაერთო განდიდების მანია. შეიძლება ითქვას, რომ ბრეჟნევის ქება, რაც ჩვეულებრივ იწყებოდა სიტყვებით „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ“, განვითარებული სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშანი გახდა. ბრეჟნევის კულტის ფორმირებით დაკავებული იყვნენ ნომენკლატურა, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. სიტყვიერი ქების, „უდიდეს ლენინელად“ გამოცხადების გარდა, ბრეჟნევს გადაეცემოდა უამრავი სამთავრობო ჯილდო. საჯარო ადგილებში გამოფენილი იყო ბრეჟნევის სურათები და ტრანსპარანტები მისი სურათებით და მისი სიტყვებიდან აღებული „ფრთოსანი ფრაზებით“ („ლენინური კურსით კომუნიზმისკენ“, „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“ და ა. შ.) დემონსტრაციების დროს მოჰქონდათ ბრეჟნევის და პოლიტბიუროს სხვა წევრების პორტრეტები. ბრეჟნევის განდიდებას უნდა მომსახურებოდა მისი მოგონებების ციკლის გამოქვეყნება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დაუსრულებლად აქებდნენ „ძვირფას ამხანაგ ლეონიდ ილიას ძეს“, ფუნქციონერები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბრეჟნევისადმი მლიქვნელობაში. ბრეჟნევის 70 წლის იუბილეს, შემდეგ კი მის ყოველ დაბადების დღეს „მსოფლიო მნიშვნელობის ზეიმის“ სახე ეძლეოდა, მოსკოვში ჩამოდიოდნენ მეგობარი ქვეყნების ლიდერები და ჩამოჰქონდათ ორდენები ბრეჟნევისათვის, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ჯილდოების მიღება.

ბრეჟნევის დაუსრულებელი ქებისა და დაჯილდოების ცერემონიებზე, რომელიც ტელევიზიით მრავალგზის გადაიცემოდა, საბჭოთის რიგითი ადამიანები ხედავდნენ სულ უფრო დაუძლურებულ მოხუც ადამიანს, ანალოგიური მოხუცებით გარემოცულს. საჯაროდ პროტესტს არ გამოთქვამდნენ, მაგრამ პირად ურთიერთობებში ბრეჟნევი საყოველთაო დაცინვის საგანი გახდა. ბაძავდნენ მის ლაპარაკის მანერას, სიარულს, დაწერილ ტექსტთან მიჯაჭვულობას. ბრეჟნევის შესახებ შეიქმნა ასობით ანეკდოტი, თავად დაუძლურებული ბრეჟნევი 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში გადაიქცა საბჭოთა კავშირში არსებული კრიზისში მყოფი კომუნისტური რეჟიმის სიმბოლოდ.

ბრეჟნევის განდიდება მარცხით დამთავრდა. ბრეჟნევის ქების პარალელურად იქმნებოდა სულ უფრო მეტი ანეკდოტები მის შესახებ.

ზოგჯერ არცთუ უსაფუძვლოდ ხუმრობდნენ – ბრეჟნევი იყო არა „პიროვნების კულტი“, არამედ „კულტი პიროვნების გარეშე“. პიროვნების გარეშე იმიტომ, რომ მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით ბრეჟნევი ჩამოუვარდებოდა არათუ სტალინს, არამედ ხრუშჩოვსაც. როგორც ამბობენ, ხრუშჩოვს თავის გადაყენებაზე უფრო მეტად ის გაუკვირდა, რომ მას ბრეჟნევი შეცვლიდა.

ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელის უკვდავყოფა მოხდა რიგი გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებაში, მაგრამ ბრეჟნევის მემკვიდრეებმა დავიწყებას

მისცეს მისი სახელი, ხოლო გარდაქმნის პერიოდში დაიწყო ბრეჟნევის კრიტიკა და მისი პიროვნების კულტის დემონტაჟი. ბრეჟნევს აკრიტიკებდნენ ადრე მისი განდიდებით დაკავებული ადამიანები.

ტუჩებში კოცნა ბრეჟნევის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი და დაცინვის საგანი გახდა. ითვლება, რომ ეს პირველად 1968 წელს მოხდა პალესტინის ლიდერთან იასირ არაფატთან შეხვედრის დროს და სწორედ მისგან ისწავლა ბრეჟნევმა ეს რიტუალი. ხალხში ამ კოცნას „სამმაგი ბრეჟნევი" უწოდეს. რიტუალი სამი მოქმედებისგან შედგებოდა: კოცნა ჯერ მარცხენა ლოყაზე, შემდეგ მარჯვენაზე და ბოლოს ტუჩებში. ბრეჟნევმა მსოფლიოს ბევრ ლიდერს აკოცა ამგვარად, აშშ-ის 30-ე პრეზიდენტის ჯიმი კარტერის ჩათვლით. ყველაზე ცნობილი აღმოჩნდა 1971 წელს ბრეჟნევისა და გდრ-ის ლიდერის ერიკ ჰონეკერის კოცნა. 1990 წელს მხატვარმა დმიტრი ვრუბელმა ამ ფოტოს საფუძველზე ბერლინის კედელზე გრაფიტით დახატა და კედლის დანგრევის სიმბოლო გახდა.

ყველა ლიდერს არ უნდოდა ბრეჟნევისთვის ეკოცნა. რუმინეთის პრეზიდენტმა ჩაუშესკუმ კოცნაზე ბრეჟნევს პირდაპირ უთხრა უარი. 1971 წელს მარგარეტ ტეტჩერმა კორექტულად აიცილა ბრეჟნევის კოცნა. ფიდელ კასტრომ კი იმით „გადაირჩინა თავი", რომ თვითმფრინავის ტრაპზე ჩამოსვლისას სიგარეტი პირიდან არ გამოუღია. ბრეჟნევის კოცნამ დააზარალა იუგოსლავიის პრეზიდენტი იოზეფ ბროზ ტიტო, რომელსაც კოცნის შემდეგ ტუჩი გაუსკდა.

1982 წელს ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ლიდერებმა კოცნის ტრადიცია თანდათან დაივიწყეს და ხელის ჩამორთმევით შეცვალეს.

ბრეჟნევის მემუარები

1970-იანი წლების ბოლოს ბრეჟნევის მრავალმხრივ საქმიანობას „ლიტერატურული მოღვაწეობაც" დაემატა. ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა ბრეჟნევის მოგონებების ტრილოგია – „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი". მოგონებების ავტორად ბრეჟნევი ითვლებოდა, თუმცა სინამდვილეში ავტორები იყვნენ მწერალი ა. აგრანოვსკი („აღორძინება"), „იზვესტიის" პუბლიცისტი ა. სახნინი („მცირე მიწა") და გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტი ა. მურზინი („ყამირი"). წიგნების გამოშვებაში ასევე მიიღეს მონაწილეობა სხვა ჟურნალისტებმაც. ბრეჟნევის მოგონებებზე მომუშავე ადამიანებს მოუხდათ იმ ადგილებში მოგზაურობა, რომლის შესახებაც მიმდინარეობდა თხრობა და იმ ადამიანების გამოკითხვა, რომლებიც მონაწილეობდნენ აღწერილ ამბებში. თავად ბრეჟნევი გამოქვეყნების წინ ეცნობოდა მომზადებულ ტექსტს. განსაკუთრებით დაინტერესებული „მცირე მიწით", რომელშიც რამდენიმე ფაქტობრივი შესწორება შეიტანა.

ბრეჟნევის მოგონებები სასკოლო პროგრამაში შეიტანეს. თავისი მემუარებისთვის ბრეჟნევმა 1980 წლის აპრილში მიიღო ლენინური პრემია ლიტერატურაში და ჰონორარი - 180 ათასი მანეთი. მემუარების შემდგენლებს ფული არ მიუღიათ, მაგრამ ისინი ორდენებით დააჯილდოვეს.

ჟურნალ „ნოვი მირში" გამოქვეყნების შემდეგ, თითოეული მოგონება ცალკე ბროშურად გამოიცა და ტირაჟი 15 მილიონი ეგზემპლარი იყო. ბრეჟნევის მოგონებები სასწრაფოდ ითარგმნა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ენებზეც, დაიბეჭდა გაზეთებში და გამოქვეყნდა ცალკე ბროშურებად. შედეგად ბრეჟნევი საბჭოთა კავშირში გადაიქცა მწერლად, რომლის თხზულებებიც ყველაზე დიდი ტირაჟით იყო გამოცემული.

ბრეჟნევის ტრილოგია პირველად გამოქვეყნდა 1978 წელს ჟურნალ „ნოვი მირში" (N 2 – „მცირე მიწა", N 5 – „აღორძინება", N 11 – „ყამირი"). იმავე „ნოვი მირში" გამოქვეყნდა დამატებითი თავები „ქარხნის საყვირის ხმაზე" და „სამშობლოს გრძნობა" (1981 N 11) და უკვე ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ – „მოლდავური გაზაფხული", „კოსმოსური ოქტომბერი"[1] და „სიტყვა კომუნისტების შესახებ" (1983 N 1).

ბრეჟნევის სახელით ტრილოგიის გამოცემის ინიციატივას მიაწერენ კ. ჩერნენკოსა და ლ. ზამიატინს.[2] ეს უკანასკნელი 1977-1978 წლებში ბრეჟნევის მოგონებებზე მომუშავე ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. მემუარების გამოცემის მიზანი იყო გენერალური მდივნის ავტორიტეტის ამაღლება. ა. მურზინის მოგონებების თანახმად, იგეგმებოდა ბრეჟნევის მოგონებების გაგრძელებაც სახელწოდებით „გენერალური მდივნის პოსტზე".

ლ. ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ მისი მოგონებებისადმი ინტერესი გაქრა, 1987 წელს კი ბრეჟნევის წიგნები საერთოდ ამოიღეს მაღაზიებიდან და მაკულატურაში ჩააბარეს. ბრეჟნევის წიგნები აღარ შედიოდა სასკოლო პროგრამებშიც.[3]

ბრეჟნევის ჯილდოები

ბრეჟნევს ძალზე უყვარდა ჯილდოების მიღება. ხრუშჩოვის 10-წლიანი მმართველობის დროს ბრეჟნევი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, 1961 წელს მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მას შემდეგ, რაც ბრეჟნევი თავად მოვიდა ხელისუფლების სათავეში და ცნობილი გახდა ჯილდოებისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარული, ორდენ-მედლების რაოდენობამ მკვეთრად იმატა. ბრეჟნევის საჯარო ქება და ჯილდოების ნაკადი გაფართოვდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1976 წელს გადატანილმა ინსულტმა ნაკლებად ქმედუნარიანი გახადა.

1973 წლიდან კოლექტიური პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობა აქტიურად შეუდგა თავისი ლიდერის „ავტორიტეტის ამაღლებას" და ლ. ბრეჟნევის „კულტის" ფორმირებისკენ მიმავალ გზას დაადგა. გახდა საბჭოთა კავშირის ოთხგზის გმირი (1966, 1976, 1978, 1981)[4], გადაეცა „გამარჯვების" ორდენი (1978), კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი (1977), გახდა საერთაშორისო ლენინური პრემიის „ხალხებს შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლაურეატი (1973). სიცოცხლის ბოლოს მას იმაზე მეტი ორდენი და მედალი ჰქონდა, ვიდრე სტალინსა და ხრუშჩოვს ერთად აღებულს.

---

[1] ბრეჟნევის სახელით გამოსული „კოსმოსური ოქტომბერი" ცენზურის ქვეშ მოექცა. იმდროინდელმა თაედაცვის მინისტრმა დმიტრი უსტინოვმა პირადად ნაშალა ყველაფერი, რაც კი სახელმწიფო საიდუმლოებად ჩათვალა.

[2] ლ. ზამიატინი (1922-2019) ამ დროს იყო TACC-ის გენერალური დირექტორი.

[3] ბრეჟნევის მოგონებების ნამდვილი ავტორები კი ცდილობდნენ დაემალათ თავიანთი მონაწილეობა მათ დაწერაში. მაგალითად, ა. მურზინს პრობლემები შეექმნა გარდაქმნის პერიოდში, როდესაც მას ბრალი დასდეს „უძრაობის ქებასა" და მლიქვნელობაში.

[4] წესით, მხოლოდ სამჯერ შეიძლებოდა ამ ნოდების მინიჭება. ბრეჟნევამდე გამონაკლისი იყო მხოლოდ გ. ჟუკოვი, რომელმაც საბჭოთა კავშირის გმირის მე-4 ვარსკვლავი 1956 ნელს უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ მიიღო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნების დაჯილდოება საბჭოთა ორდენებითა და მედლებით

	ი. ბ. სტალინი	ნ. ს. ხრუშჩოვი	ლ. ი. ბრეჟნევი
მედალი „ოქროს ვარსკვლავი"	1	1	4
ოქროს მედალი „ნამგალი და ურო"	1	3	1
ლენინის ორდენი	3	7	8
ორდენი „გამარჯვება"	2		1
ნითელი დროშის ორდენი	3		2
სუვოროვის I ხარისხის ორდენი	1	1	
„სამამულო ომის" I ხარისხის ორდენი		1	1
სულ	11	13	17

გარდა საბჭოთა ჯილდოებისა, ბრეჟნევი დაჯილდოებული იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ორდენებითა და მედლებით. მთლიანობაში, ლ. ბრეჟნევს მიღებული ჰქონდა 21 ქვეყნის ჯილდოები: 58 ორდენი (16 საბჭოთა და 42 უცხოური) და 42 მედალი (17 საბჭოთა და 25 უცხოური), თუ დავუმატებთ იმ ჯილდოებსაც, რომლებიც მედლების კატეგორიაში შეიძლება გავიყვანოთ, მაშინ მედლების რაოდენობა 69-მდე იზრდება. ბრეჟნევს მიღებული ჯილდოები, ყველა ერთად, არასოდეს უტარებია, – არც მათ დასაკიდებლად ეყოფოდა ადგილი და, როგორც აღინიშნება, ჯილდოების საერთო წონა 6 კილოგრამს შეადგენდა.



უცხოეთის სამი სახელმწიფო ლიდერობდა ბრეჟნევის დაჯილდოებაში: ჩეხოსლოვაკიამ ბრეჟნევი 18-ჯერ დააჯილდოვა, მონღოლეთმა – 11-ჯერ, ბულგარეთმა კი – 10-ჯერ, შემდეგ მოდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა – ბრეჟნევის 8 დაჯილდოებით, ექვს-ექვსჯერ დააჯილდოვეს პოლონეთმა და კუბამ, სამჯერ – ვიეტნამმა, ორ-ორჯერ დააჯილდოვეს ბრეჟნევი უნგრეთმა, რუმინეთმა, ლაოსმა, იუგოსლავიამ, ინდონეზიამ და ფინეთმა.

თითო ჯილდო ბრეჟნევმა მრავალი ქვეყნისგან მიიღო, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეამ დააჯილდოვა უმაღლესი რეგალიით – პირველი ხარისხის სახელმწიფო დროშის ორდენით, არგენტინამ – „მაისის რევოლუციის" ორდენით, იემენის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ – „14 ოქტომბრის რევოლუციის ორდენით", ეთიოპიამ – „საპატიო ვარსკვლავის" ორდენით, ავღანეთმა – „თავისუფლების მზის" ორდენით, პერუმ – „პერუს მზის" ორდენით, გვინეის რესპუბლიკამ – „დამოუკიდებლობის ორდენით".

გმირის ოქროს ვარსკვლავი (შრომის გმირის ჩათვლით) ბრეჟნევს 19-ჯერ გადაეცა (5 საბჭოთა კავშირის და 14 სხვა სახელმწიფოების). ბრეჟნევი 8-

	ჯერ გახდა სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, რომელთაც თავისი მედლები ჰქონდათ.

ბრეჟნევის დაჯილდოების ამგვარი მასშტაბები მის ავტორიტეტს კი არ ზრდიდა, არამედ ირონიას იწვევდა მოქალაქეებში და ანეკდოტების თემა ხდებოდა. განსაკუთრებული რეაქცია და აღშფოთება გამოიწვია მისთვის ორდენ „გამარჯვების" გადაცემამ, რომელსაც ის არანაირად არ იმსახურებდა.

БРЕЖНЕВ
Леонид Ильич
(1906–1982) маршал с 07.05.1976 г.

1943 წ. ნოემბერში, როდესაც ძირეული გარდატეხა მოხდა ომის მსვლელობაში, კრემლში გადაწყვიტეს სპეციალური ჯილდოს შექმნა უმაღლესი რგოლის სარდლებისთვის, „განსაკუთრებული დამსახურებისთვის" – მათ მიერ დიდი გამარჯვების მოპოვების აღსანიშნავად. ეს იყო ორდენი „პობედა" („გამარჯვება"). ორდენი მზადდებოდა პლატინის, ოქროს, ვერცხლის, ლალისა და ბრილიანტებისგან. ეს იყო ერთადერთი საბჭოთა ორდენი, რომელსაც ატარებდნენ მკერდის არა მარცხენა, არამედ მარჯვენა მხარეს. ამ ორდენით 1944 წლის 10 აპრილს პირველად დაჯილდოვდა სამი სარდალი მარჯვენა ნაპირის უკრაინაში მოპოვებული დიდი გამარჯვებისთვის: N 1 ორდენი გადაეცა უკრაინის პირველი ფრონტის სარდალს გიორგი ჟუკოვს, N 2 – გენერალური შტაბის მეთაურს ალექსანდრე ვასილევსკის, N 3 – უმაღლეს მთავარსარდალს იოსებ სტალინს. სულ 1944 წ. 10 აპრილიდან 1945 წ. 9 სექტემბრამდე ორდენ „გამარჯვებით" 16 ადამიანი დაჯილდოვდა, მათგან ჟუკოვი, ვასილევსკი და სტალინი – ორ-ორჯერ. სულ გაიცა 19 ორდენი. დაჯილდოებულთა შორის იყო 5 უცხოელიც, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების საქმეში: ამერიკელი გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი, ბრიტანელი ფელდმარშალი ბერნარდ მონტგომერი, რუმინეთის მეფე მიხაი I, პოლონელი მარშალი მიხალ როლია-ჟიმერსკი, იუგოსლავიის მეთაური იოზეფ ბროზ ტიტო. ამ უკანასკნელის დაჯილდოება 1945 წ. 9 სექტემბერს მე-19 იყო ორდენის ისტორიაში.

ყველასთვის მოულოდნელად, 1978 წლის 20 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ორდენით „პობედა" დაჯილდოვდა ლეონიდ ბრეჟნევი. ეს დაჯილდოება იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ ბრეჟნევის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, 1989 წლის 21 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ გორბაჩოვმა ბრეჟნევის აღნიშნული დაჯილდოება გააუქმა, როგორც „ორდენის სტატუსის საწინააღმდეგო".

თავი XXXIX.

ლეონიდ ბრეჟნევის შიდაპოლიტიკური კურსი

39.1. სტალინის კრიტიკის შეჩერება

1964 წელს ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ საბჭოთა საზოგადოების ნაწილი მოელოდა სტალინის რეაბილიტაციას. ხალხში, მაგალითად, ერცელდებოდა ხმები, რომ სტალინი ჰერმეტული კუბოთი იყო დამარხული და მას მალე ამოთხრიდნენ და მავზოლეუმში დააბრუნებდნენ. ახალმა პირველმა მდივანმა ამ მოლოდინების შესაბამისი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ბრეჟნევისა და მისი გარემოცვის მიერ არჩეული კონსერვატიული კურსის გამოხატულება იყო სტალინის კრიტიკის შეჩერება.[1]

1965 წლის მაისში, ომში გამარჯვების მე-20 წლისთავზე, ბრეჟნევის საზეიმო მოხსენებაში, პირველად ხრუშჩოვის მრავალწლიანი ბრალდებების შემდეგ, პოზიტიურად იყო ნახსენები სტალინი, როგორც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ორგანიზატორი.[2] ბრეჟნევის ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. ბრეჟნევმა მოხსენების კითხვა გააგრძელა და დარბაზი ნელ-ნელა დაწყნარდა. სტალინზე შეტევის შეჩერება შეესაბამებოდა სამხედროების და პარტიული ნომენკლატურის განწყობას. ბრეჟნევმა სტალინი მეორედ ახსენა 1966 წლის ნოემბერში, საქართველოში ყოფნის დროს. ბრეჟნევმა ჩამოთვალა 7 ქართველი რევოლუციონერი, მათ შორის სტალინიც, ანბანის მიხედვით, მაგრამ მხოლოდ მის ხსენებას მოჰყვა აპლოდისმენტები.

სტალინის რეაბილიტაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს წინააღმდეგობაც შეხვდა. 1966 წლის 14 თებერვალს გამოჩნდა „25-ის წერილი", რომელსაც ხელს აწერდნენ საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის 7 აკადემიკოსი (აქედან ორი ნობელის პრემიის ლაურეატი.[3] წერილში ნათქვამი იყო, რომ სტალინის რეაბილიტაციის ნებისმიერი მცდელობა საბჭოთა საზოგადოებაში სერიოზულ უთანხმოებას გამოიწვევდა. „სტალინს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ ურიცხვი უდანაშაულო ადამიანის დაღუპვაზე, არამედ ომისათვის ჩვენს მოუმზადებლობაზეც, პარტიულ და სახელმწიფო ცხოვრებაში ლენინურ ნორმებზე უარის თქმაზე". სტალინმა ისე დაამახინჯა კომუნიზმის იდეა, რომ „ხალხი მას ამას არასოდეს აპატიებს და არ მიიღებს თუნდაც ნაწილობრივ უარის თქმას პიროვნების კულტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე", – ნათქვამი იყო წერილში.

„25-ის წერილი" გამოჩნდა სკკპ XXIII ყრილობის შეკრებამდე ერთი თვით ადრე, რადგანაც არსებობდა მოლოდინი, რომ ყრილობაზე სტალინის გარკვეული რეაბილიტაცია მოხდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ყრილობის წინ გამართულ თათბირზე 1966 წლის 17

---

[1] პირადად ბრეჟნევის დამოკიდებულება სტალინისადმი, ალექსანდრე ბოვინის თქმით, პოზიტიური იყო და მის მიმართ პატივისცემით და სიმპათიით იყო განწყობილი. შინაგანად არ მოსწონდა მისი კრიტიკა. ბრეჟნევის თქმით, „სტალინმა ძალზე ბევრი გააკეთა. ბოლოს და ბოლოს, მისი ხელმძღვანელობით ქვეყანამ ომი მოიგო".

[2] ბრეჟნევის გამოსვლა გამარჯვების მე-20 წლისთავთან დაკავშირებით მისი პირველი საჯარო გამოსვლა იყო ქვეყნის მეთაურის სტატუსით. სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმში დისკუსია მოხსენების ტექსტთან დაკავშირებით უკანასკნელ მომენტამდე გრძელდებოდა. უმრავლესობა ეთანხმებოდა სტალინის პოზიტიურ შეფასებას, მოითხოვდა „პიროვნების კულტის" ცნების გამორიცხვას. ბრეჟნევმა თავისი ვარიანტი აირჩია. მოხსენებაში მან მხოლოდ ერთხელ ახსენა სტალინი - თავშეკავებულიც გამოვიდა და ეფექტურიც.

[3] ხელმომწერთა შორის იყვნენ აკადემიკოსები პიოტრ კაპიცა, იგორ ტამი, ივან მაისკი, მიხაილ ლეონტოვიჩი, ანდრეი სახაროვი (მომავალი დისიდენტების ლიდერი), მწერლები კონსტანტინ პაუსტოვსკი, კორნეი ჩუკოვსკი, ვალენტინ კატაევი, ვიქტორ ნეკრასოვი, ასევე მაია პლისეცკაია, ოლეგ ეფრემოვი, პაველ კორინი, მიხაილ რომი და სხვა ცნობილი მოღვაწეები. წერილი დაწერა ცნობილმა ჟურნალისტმა, კომუნისტური ინტერნაციონალის ძველმა მოღვაწემ ერნსტ ჰენრიმ (1904-1990).

მარტს სტალინის რეაბილიტაციის საკითხს მართლაც შეეხნენ და უარი ითქვა ღია რეაბილიტაციაზე. ლეონიდ ბრეჟნევმა მაშინ აღნიშნა, რომ სტალინის შესახებ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა და ყრილობაზე სტალინის შესახებ არ ილაპარაკებდა. „ეს საკითხი ერთხელ და საბოლოდ არის გადაწყვეტილი", – განაცხადა ბრეჟნევმა.[1]

სკკპ XXIII ყრილობაზე (1966 წლის მარტი – აპრილი) სტალინის ღია რეაბილიტაციაზე უარი ითქვა, მაგრამ ასევე მკაფიოდ გამოჩნდა სტალინიზმის საშინელებების შემდგომ მხილებაზე უარის თქმა. პროსტალინურ განწყობას პასუხობდა ბრეჟნევის არჩევა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის არა პირველ (როგორც ხრუშჩოვის დროს იყო), არამედ გენერალურ მდივნად (როგორც სტალინის დროს). ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს დაუბრუნდა პოლიტბიუროს სახელი.[2] გარდა ამისა, სტალინისტებს შესაძლებლობა მიეცათ, ყრილობის ტრიბუნიდან მკაცრად გაეკრიტიკებინათ დისიდენტი მწერლები. ყრილობა წარსულის იდეოლოგიური ორიენტირებისკენ შემობრუნების მაუწყებელი იყო. მათ შორის მთავარი იყო კონტროლის გაძლიერება საზოგადოების ცხოვრებაზე.

სტალინის ოფიციალური რეაბილიტაცია არ მომხდარა, მაგრამ დაბრუნდა ისტორიულ ფილმებში, რომანებში, წიგნებში. როდესაც ეკრანზე გამოჩნდებოდა, დარბაზში არცთუ იშვიათად ტაშს უკრავდნენ. ზოგიერთმა მძღოლმა სტალინის სურათები ავტომობილებში გამოაკრა... სტალინის მიმართ რეაბილიტაციურმა განწყობებმა პიკს მიაღწია 1969 ნელს, როდესაც სკკპ ხელმძღვანელების ნაწილმა (გ. ვორონოვი, კ. მაზუროვი, პ.მაშეროვი, დ. პოლიანსკი, ა. შელეპინი) სცადა, მნიშვნელოვნად შეეცვალათ სტალინის საქმიანობის ოფიციალური შეფასებები. სტალინის დაბადების 90-ე წლისთავისთვის გამოსაცემად მზადდებოდა მისი თხზულებები. ეს გეგმები, ძირითადად, ჩაშალა დასავლეთში ხრუშჩოვის მოგონებების გამოქვეყნებამ. მთლიანობაში, პარტიულ ნომენკლატურას სტალინის რეაბილიტაციის ეშინოდა, რადგანაც არ უნდოდა იმდროინდელი წესების აღდგენა და საკუთარი მდგომარეობისთვის საფრთხის შექმნა.

სტალინის ფრთხილი ნახევარ-რეაბილიტაციის („სტალინის კეთილი სახელის აღდგენის") მწვერვალად მიიჩნევა 1970 წლის 25 ივნისს სტალინის ბიუსტის დადგმა მის საფლავზე, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან (მავზოლეუმიდან გამოსვენებიდან 9 წლის შემდეგ). ეს იყო 1961 წლის შემდეგ დადგმული სტალინის პირველი ახალი ძეგლი. მოქანდაკე იყო ცნობილი საბჭოთა სკულპტორი ნიკოლაი ტომსკი.

[1] Секретариат ЦК КПСС. Записи и стенограммы заседаний. 1965-1967 гг. М.: ИстЛит, 2020. С. 339.

[2] სკკპ XXIII ყრილობის ბოლო დღეს, 1966 ნლის 8 აპრილს ერთ-ერთმა მომხსენებელმა, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკოლაი ეგორიჩევმა წინადადება წამოაყენა. პირველი მდივნისთვის დაებრუნებინათ გენერალური მდივნის სახელი და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისთვის კვლავ პოლიტბიურო ენოდებინათ. მისი თქმით, ეს „ლენინურ ნორმებთან" დაბრუნება იქნებოდა. შემდგომმა გამომსვლელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს ნინადადება და შესაბამისი ცვლილება შეიტანეს სკკპ წესდებაში. გენერალური მდივნის პოსტზე არჩეული ლეონიდ ბრეჟნევი ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე (1982 ნ.) რჩებოდა.

გადმოცემა სტალინისა და ბრეჟნევის შეხვედრის შესახებ

გადმოცემის თანახმად, სტალინი ბრეჟნევს პირველად 1952 წელს შეხვდა და მას „მოლდოველი" შეარქვა. ეს გადმოცემა ფართოდ იყო გავრცელებული ბრეჟნევის მმართველობის წლებში. აღნიშნული გადმოცემა რამდენიმე ვერსიის სახით არსებობდა: ერთი ვერსიის თანახმად, საკ. კპ (ბ) XIX ყრილობის დროს დელეგატებს შორის სტალინის ყურადღება მიიქცია წარმოსადეგმა ახალგაზრდა კაცმა და მისი ვინაობა იკითხა, – ეს იყო მაშინ მოლდავეთის კომპარტიის პირველ მდივნად მომუშავე ლეონიდ ბრეჟნევი. როდესაც მისი ვინაობა და თანამდებობა უთხრეს, სტალინმა თითქოს შენიშნა: „როგორი ლამაზი მოლდაველია!". ეს თქვა იმის გამო, რომ ბრეჟნევი მოლდოველს მიამსგავსა, ან უფრო იმის გამო, რომ მოლდავეთის კომპარტიის პირველი მდივანი მოლდაველი უნდა ყოფილიყო. მეორე ვერსიის მიხედვით, თითქოს კრემლში მიღების დროს სტალინს მოეწონა მოლდავური საცეკვაო გუნდის გამოსვლა და ფოიეში შემთხვევით შეხვედრილ ბრეჟნევს უთხრა: „კარგად გამოვიდნენ შენი მოლდაველები". ამ ვერსიის მომხრენი ამბობდნენ, რომ თითქოს ეს შეხვედრა დაეხმარა ბრეჟნევს გამხდარიყო მოლდავეთის კომპარტიის პირველი მდივანი. მესამე ვერსიის თანახმად, სტალინმა ბრეჟნევს „მოლდაველი" შეარქვა მას შემდეგ, რაც ის მოლდავეთიდან მოსკოვში გადაიყვანეს სამუშაოდ.

39.2. პარტიული ნომენკლატურის პოზიციების განმტკიცება

1964 წ. ოქტომბერში ხელისუფლების შეცვლა ნიშნავდა ხრუშჩოვის იმ გადაწყვეტილებების შეცვლასაც, რამაც საბჭოთა კავშირის მმართველი ფენის, ნომენკლატურის კომფორტული ცხოვრება დაარღვია. ახალ პარტიულ ლიდერს ნომენკლატურის – მაღალი რანგის პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერების მხარდაჭერა სჭირდებოდა. ბრეჟნევში კი პარტიულმა ელიტამ დაინახა ლიდერი, რომელსაც მისი ინტერესების დაცვა შეეძლო.

სწორედ პარტიული ნომენკლატურის პოზიციების განმტკიცებისკენ იყო მიმართული სკკპ-ის წესდებაში შეტანილი ცვლილებები სკკპ-ის XXIII ყრილობაზე (1966). წესდებიდან ამოიღეს 1961 წელს შეტანილი მკაფიო ნორმები პარტიული ორგანოების შემადგენლობისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების აუცილებელი შეცვლის თაობაზე. ასეთი როტაციის მოთხოვნას პარტიული ნომენკლატურა უფრთხოდა. წესდებაში ზოგადი სახით ჩაიწერა, რომ აუცილებელი იყო პარტიული ორგანოების სისტემატური განახლება და ხელმძღვანელობის მემკვიდრეობითობის შენარჩუნება. ამ უკანასკნელზე მითითებით, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილ იქნა პარტიული მდივნების უმრავლესობის უვადო ყოფნა თანამდებობებზე. კადრების სტაბილურობის მოთხოვნა თანამდებობებზე მათ დაბერებად და დამლუპველ „გერონტოკრატიად" გადაქცევად. 1980-იანი წლების დასაწყისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების საშუალო ასაკი 70 წელს შეადგენდა, ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები – გორბაჩოვი და შევარდნაძე, რომელთა ასაკი 50 წელს აღემატებოდა.

სკკპ-ის XXIV ყრილობამ (1971 წლის მარტი-აპრილი) კიდევ უფრო განამტკიცა პარტიულ-სახელმწიფო ბიუროკრატიის პოზიციები, მოხდა ხელისუფლების პერსონიზაცია,

სრულად გაბატონდა პარტიულობის დოქტრინა. იმავდროულად, პროპაგანდა ეწეოდა „მუშათა კლასის ნამყვან როლს“.

ბრეჟნევის მმართველობის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ნომენკლატურული მუშაკის წარმომავლობასა და მდგომარეობაში. ეს ცვლილებები კარგად ჩანს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის მაგალითზე. 1970 წლისათვის ცკ-ის შემადგენლობის 70% გამოსული იყო გლეხებისა და არაკვალიფიცირებული მუშების ოჯახებიდან. 1970 წლიდან უმაღლესი ნომენკლატურის ბიოგრაფიიდან ქრება „სოციალური წარმომავლობის“ გრაფა. ბრეჟნევის ნომენკლატურას, ძირითადად, ტექნიკური, სამხედრო ან სასოფლო-სამეურნეო განათლება ჰქონდა. მნიშვნელოვანი თავისებურებაა იურიდიული განათლების მქონე პირთა სიმცირე.

1970-იანი წლების ნომენკლატურის მდგომარეობა უფრო კომფორტულია, ვიდრე წინა პერიოდებში, მას უკვე აღარ ეშინია თანამდებობის დაკარგვისა და რეპრესიების. ნომენკლატურის ზედაფენამ ხრუშჩოვის მმართველობის დროიდან კონტროლი დაამყარა უშიშროების ორგანოებზე. ამავე დროს ნომენკლატურა ჩაკეტილ კასტად ჩამოყალიბდა და ამ კასტისადმი კუთვნილება ფაქტობრივად მემკვიდრეობითი გახდა. კადრების შეცვლა ბუნებრივი სიკვდილის ან მისი სრული დისკრედიტირების შემთხვევაში ხდებოდა. ნომენკლატურა საპასუხისმგებლო პარტიულ-ადმინისტრაციულ პოსტებზე თავიანთ ნათესავებსა და ახლობლებს ნიშნავდა. ამის მაგალითს თავად ბრეჟნევი იძლეოდა, რომელიც განსაკუთრებით ანინაურებდა თავის ნაცნობებს დნეპროპეტროვსკიდან („დნეპროპეტროვსკის მაფია“): ა. კირილენკო და კ. ჩერნენკო ცენტრალური კომიტეტის მდივნები და პოლიტბიუროს წევრები გახდნენ, ნ. შჩოლოკოვი – შსს მინისტრი, დ. კუნაევი – ყაზახეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სხვ. ბრეჟნევის სიძე ჩურბანოვი მალევე გახდა გენერალი და შსს მინისტრის მოადგილე.

ნომენკლატურა სულ უფრო ჩაკეტილი ხდებოდა და საკუთარი თავის განახლებით იყო დაკავებული, – თავიანთ შვილებს უკეთეს განათლებას აძლევდნენ და შემდეგ მათ კარიერაზე ზრუნავდნენ. მაგალითად, ლ. ბრეჟნევის შვილი იური, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე გახდა. საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს შვილი ანატოლი მალე აღმოჩნდა ნომენკლატურული მრჩევლის პოსტზე ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ კი ბერლინში, ბოლოს კი დაინიშნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორად.

„განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში“ ნომენკლატურის კორპორაციული ინტერესები სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებზე მაღლა იდგა. კანონი ისედაც პარტიულ კონტროლს ექვემდებარებოდა, მაგრამ ისიც ირღვეოდა ნომენკლატურის არაოფიციალური გადაწყვეტილებებით, ზეპირი მითითებებით – ე. წ. „სატელეფონო სამართლით“. უკონტროლობისა და დაუსჯელობის ატმოსფერო, „ჩრდილოვანი ბიზნესის“ განვითარება ნომენკლატურას კორუფციისა და „კერძომესაკუთრული“ ინტერესების გამოვლენის შესაძლებლობას აძლევდა.

საბჭოთა კავშირი **პარტოკრატიის** კლასიკური ქვეყანა იყო, – ეს იყო პოლიტიკური წყობა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) ფაქტობრივად თავმოყრილი იყო ერთადერთი პარტიის, უფრო სწორად, მისი ბიუროკრატიის ხელში, რომელიც შერწყმული იყო სახელმწიფო სისტემასთან. მასვე მთლიანად ექვემდებარებოდა მასმედია, სამეურნეო ორგანოები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური დაწესებულებები.

ნომენკლატურისთვის შექმნილი იყო სხვადასხვა პრივილეგია და „სიკეთე“, მიუწვდომელი რიგითი ადამიანებისთვის. აქ იყო უფასო ან შეღავათიანი საგზურები სანატორიუმებში, სპეცსაავადმყოფოები და პოლიკლინიკები, სადაც უკეთესი მომსახურება იყო, სახელმწიფო აგარაკები, დეფიციტური მოხმარების საგნებითა და სურსათით მომარაგება, კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფა და ა. შ.

ბრეჟნევის დროს ნომენკლატურის კეთილდღეობამ და გარეგნულმა სიძლიერემ პიკს მიაღწია, მაგრამ ამავე დროს უკვე შესული იყო დაცემის სტადიაში. მისი გახრწნის სიმპტომები თვალსაჩინო იყო: იდეოლოგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ზრდა, უწყვეტრივი ანარქია, მორალური დეგრადაცია. ნომენკლატურა ვერ ახერხებდა მიმდინარე პროცესების რეალურ შეფასებას. ეს კი ნიშნავდა, რომ მის მიერ დაშვებული რაიმე სერიოზული შეცდომა კრახის მომასწავლებელი იქნებოდა. 1980-იანი წლების შუახანებში ნომენკლატურის ზედაფენამ გამოსავალი „საჯაროობაში" დაინახა, სინამდვილეში კი გზა გაუხსნა საზოგადოებაში დაგროვილ უკმაყოფილებას.

ნომენკლატურის მმართველობის „ოქროს ხანა"

ბრეჟნევის მმართველობის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ნომენკლატურის რაოდენობა და პრივილეგიები. 1925 წ. პარტიის ცკ-ის ნომენკლატურაში დაახლოებით 6 ათასი თანამდებობა შედიოდა, 1981 წ. კი დაახლოებით 400 ათასი, რაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 0,1%-ს შეადგენდა.

39.3. „განვითარებული სოციალიზმის" კონცეფცია

1960-იანი წლების შუახანებში უკვე ცხადი იყო, რომ არარეალისტური იყო ხრუშჩოვის მიერ 1961 წელს მიღებულ სკკპ პროგრამაში გამოცხადებული „კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის" კონცეფცია, რომელიც 1980 წლისათვის კომუნისტური საზოგადოების ძირითადად აშენებით უნდა დამთავრებულიყო. საბჭოთა კომუნისტურ ნომენკლატურას ახალი იდეოლოგიური კონცეფცია ესაჭიროებოდა, რომელიც მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა საზოგადოებისათვის. ასეთი გახდა „განვითარებული სოციალიზმის" კონცეფცია.

აღსანიშნავია, რომ „განვითარებული სოციალიზმის" კონცეფცია, რომელიც ბრეჟნევის მმართველობის იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა, შეიმუშავეს არა საბჭოთა კავშირში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში. ეს ტერმინი პირველად გაჩნდა 1960 წ. ივნისში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, შემდეგ კი მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ბულგარეთის მმართველმა პარტიებმა. ახალი იდეოლოგიური კონცეფციის შემუშავების ცენტრი გდრ გახდა. 1966 წ. სექტემბერში ამ ქვეყნის ხელმძღვანელმა ვ. ულბრიხტმა ლ. ბრეჟნევს აცნობა, რომ აღმოსავლეთ გერმანია სოციალისტური ბლოკის პირველი ქვეყანა იყო, რომელიც „განვითარებული სოციალიზმის" გაშლილ მშენებლობაზე გადავიდა. 1968 წ. აპრილში გდრ-ში მიიღეს „განვითარებული სოციალიზმის" პირველი კონსტიტუცია. გდრ-ში გადასინჯეს კ. მარქსის კონცეფცია და სოციალიზმი დამოუკიდებელ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციად გამოაცხადეს (მარქსი მას კომუნისტური ფორმაციის პირველ ფაზად განიხილავდა). 1967 წლის სექტემბერში ვ. ულბრიხტი ბრეჟნევს რეკომენდაციას უნევდა, რომ საბჭოთა კავშირში კიდევ ერთხელ განეხილათ სოციალიზმის მახასიათებლების საკითხი.[1] განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია კრემლში მოიწონეს და მის დამუშავებაში ცნობილი საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეები ჩაერთვნენ. 1966 წლის 21 დეკემბერს გაზეთმა „პრავდამ" გამოაქვეყნა ფ. ბურლაცკის სტატია „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ" ლენინის რამდენიმე კონტესტიდან მოწყვე-

[1] Синицын Ф. Л. Концепция «развитого социализма» как ответ СССР на идеологические и социально-экономические вызовы времени (1964-1982) // Известия Саратовского университета. Новая серия. Серия: История. Международные отношения. 2022. Т. 22. вып. 1. С. 29-39.

ტილ გამონათქვამზე დაყრდნობით (სადაც ის ახსენებდა „განვითარებულ“, „გაშლილ“ სოციალიზმს), კეთდებოდა დასკვნა, რომ სოციალიზმის აშენების შემდეგ (რაც 1930-იანი წლების მეორე ნახევარში სტალინმა გამოაცხადა) მოდიოდა „განვითარებული სოციალიზმი“, რომელიც ხანგრძლივი ეტაპი იქნებოდა კომუნიზმისკენ მიმავალ გზაზე.

1967 წლის 3 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო მოხსენებაში ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. კომუნიზმის უშუალო აშენება გაურკვეველი დროით გადაიდო და დავიწყებას მიეცა 1961 წელს გაკეთებული დაპირება, რომ „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებდა“

ოფიციალურად განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია მიიღო სკკპ XXIV ყრილობამ (1971 წლის მარტი – აპრილი). ყრილობაზე განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების „უმაღლეს ეტაპად“ გამოაცხადეს. ყრილობაზე მიზნად დაისახეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ზრდა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების შეერთება სოციალიზმის უპირატესობებთან; სოციალისტური ერების აყვავება და დაახლოება; საზოგადოების უფრო მეტი სოციალური ერთგვაროვნების მიღწევა „განვითარებული სოციალიზმის“ პირობებში. ამ მიზნების მიღწევაც შეუძლებელი იყო, მაგრამ ხრუშჩოვის პერიოდთან შედარებით სხვაობა თეორიასა და რეალურ სოციალურ პროცესებს შორის უფრო ნაკლებად შესამჩნევი იყო.

ბრეჟნევის „განვითარებული სოციალიზმის“ კონცეფცია ემყარებოდა მისი მმართველობის პირველ წლებში მიღწეულ ეკონომიკურ ზრდას, რასაც „კოსიგინის რეფორმები“ განაპირობებდა. მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი 97%-ით გაიზარდა ხრუშჩოვის პერიოდთან შედარებით, დახმარება ნაკლებად შეძლებული ფენებისთვის – თითქმის 2,5-ჯერ, ომის ვეტერანებს მნიშვნელოვანი შეღავათები დაუწესდათ.

„განვითარებული სოციალიზმის“ კონცეფცია, არსებითად, ძირეულ რევიზიას წარმოადგენდა ხრუშჩოვის გარემოცვაში არსებული წარმოდგენისა, რომ შესაძლებელი იყო ისტორიულად თვალსაზიერ მომავალში კომუნიზმის აშენება ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. „განვითარებული სოციალიზმის“ კონცეფცია მეტად მოსახერხებელი იყო – მას კომუნიზმის „მშენებლობა“ პრაქტიკული ამოცანიდან თეორიულში გადაჰქონდა. ახალი კონცეფციის მიხედვით, კომუნიზმისკენ მიმავალ გზაზე იყო განვითარების ხანგრძლივი ეტაპი, რომლის დროსაც სოციალიზმი ყოველმხრივ განვითარდებოდა – საწარმოო, სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივ-სამართლებრივი, იდეოლოგიური თვალსაზრისით.

განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია საბჭოთა კავშირში იმ დროს არსებული რეჟიმისა და მისი საშინაო პოლიტიკის კონსერვაციას ახდენდა. აღნიშნული კონცეფცია არსებული რეჟიმისათვის მნიშვნელოვან რიგ დებულებებს მოიცავდა: ა/ ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნის თაობაზე, რომლის დროსაც გამორიცხული იქნებოდა „განსხვავებული აზროვნება“; ბ/ ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტის შესახებ, რაც გამორიცხავდა კონფლიქტების არსებობას; გ/ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებას; დ/ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების დებულებას. ეს და სხვა დებულებები საფუძვლად ედებოდა პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს.

განვითარებული სოციალიზმის კონცეფციას უკანასკნელად მიმართა იური ანდროპოვმა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. ამ დროისათვის ადამიანთა ცხოვრება სულ უფრო ნაკლებად ჰგავდა „განვითარებულ სოციალიზმში“ ცხოვრებას. რეგიონებში შემოღებულ იქნა სურსათის საბარათო განაწილება, ცხოვრების დონე მცირდებოდა. ანდროპოვმა წამოაყენა განვითარებული სოციალიზმის „სრულყოფის“ კონცეფცია, დააზუსტა, რომ განვითარებული სოციალიზმი იქნებოდა ხანგრძლივი პერიოდი, საბჭოთა კავშირი კი მხოლოდ მის სანყის პერიოდში იმყოფებოდა. სულ მალე, გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში, „განვითარებული სოციალიზმის“ კონცეფცია დავიწყებას მიეცა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებიდან პირველი საახალწლო სატელევიზიო მიმართვით 1970 წლის 31 დეკემბერს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი. მომდევნო წელს – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლაი პოდგორნი, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ – სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი კოსიგინი. საახალწლო მიმართვა ტრადიციად იქცა.

39.4. „მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის“ კონცეფცია

„საბჭოთა ხალხი“, როგორც კონცეპტუალური ცნება, საკვანძო როლს ასრულებდა საბჭოთა იდეოლოგიაში, თუმცა გაშლილი „თეორიული დასაბუთება“ დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა. ტერმინი „საბჭოთა ხალხი“ გაჩნდა 1930-იან წლებში და ოფიციალურად პირველად ჩაიწერა პარტიის წესდებაში XVIII ყრილობაზე (1939 წ.). 1930-1950-იან წლებში „საბჭოთა ხალხის“ თეზისი ემყარებოდა ი. სტალინის ერის თეორიას. 1936 წლის კონსტიტუციაში „საბჭოთა ხალხი“ არ იყო დაფიქსირებული. გამოცხადებული იყო ინტერნაციონალიზმის პრინციპი, ყველა ერსა და რასას თანაბარი უფლებები ენიჭებოდათ (მუხლი 123). განმსაზღვრელი იდეოლოგია იყო „ხალხთა მეგობრობა“. 1930-იანი წლების ბოლოს იწერებოდა ნაშრომები „საბჭოთა ხალხების თანამეგობრობაზე“[1] და „საბჭოთა სოციალისტურ მრავალეროვნულ სახელმწიფოზე“.[2]

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ცნება „საბჭოთა ხალხი“ აქტიურად გამოიყენებოდა. 1944 წელს ისტორიკოსმა მ. ნეჩკინამ მოუწოდა, „საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბება წამყვან საკვლევ თემად ექციათ. ომის შემდეგაც „საბჭოთა ხალხი“ აქტიურად მოიხსენიებოდა და მას ეპითეტი „დიდი“ დაემატა. მაგალითად, დ. შეპილოვმა დაწერა ნაშრომი „დიდი საბჭოთა ხალხი“ [3]

1950-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბეჭდური პროდუქცია, რომლის სახელწოდებებშიც ფიგურირებდა „საბჭოთა ხალხი“, ასევე აქტიურად გამოიყენებოდა პოლიტიკურ პროპაგანდაშიც. ნ. ხრუშჩოვის დროს ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადების დროს (მიღებული არ ყოფილა) „საბჭოთა ხალხი“ გამოიყენებოდა როგორც უკვე შემდგარი ცნება და ხაზი ესმოდა, რომ საბჭოთა ხალხი თავის საქმიანობას ახორციელებდა სკკპ ხელმძღვანელობით, რომელიც „მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდი“, „საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა“ იყო.[4]

სკკპ ახალი პროგრამის მომზადების პერიოდშიც „საბჭოთა ხალხი“ აქტიური „თეორიული განხილვის საგანი იყო. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ საბჭოთა კავშირში „იჭედება

[1] Трайнин И. Братское содружество народов СССР. М., 1938.
[2] Трайнин И. Советское социалистическое многонациональное государствою М., 1940.
[3] Шепилов Д. Т. Великий советский народ. Москва, 1947.
[4] Стрекалов И. Последняя конституция Советского Союза. Москва, 2018. С. 109.

ერთიანი სოციალისტური ერი".[1] ამ დებულების საპირისპიროდ გამოითქმოდა მოსაზრება, რომ „საბჭოთა ხალხი" არა ერი, არამედ „ახალი ისტორიული ერთობა" იყო, რომლის ჩამოყალიბებაც მხოლოდ სოციალიზმის დროს იყო შესაძლებელი.[2] ადამიანთა „ახალი ისტორიული ერთობის" ჩამოყალიბების დებულება ოფიციალურ დოკუმენტებშიც მკვიდრდებოდა. პარტიის ახალი პროგრამის განხილვის დროს, სკკპ XXII ყრილობაზე (1961 წლის 17-31 ოქტომბერი) ნ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი. მას ჰქონდა საერთო სოციალისტური სამშობლო – საბჭოთა კავშირი, საერთო ეკონომიკური ბაზა – სოციალისტური მეურნეობა, საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლმხედველობა – მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო მიზანი – კომუნიზმის აშენება, მრავალი საერთო ნიშანი სულიერ სფეროსა და ფსიქოლოგიაში.[3] ეს დებულება არ შესულა პროგრამის საბოლოო ვერსიაში. ცნობილია, რომ მის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა ო. კუუსინენი, რომელსაც მიაჩნდა, რომ საქმე ეხებოდა არა ერების შერწყმას, არამედ მათ დაახლოებას. მისი თქმით, ერების შერწყმაზე საუბარი ფაქტობრივად უარყოფდა ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და თვითგამორკვევას და ნეგატიურად იქნებოდა აღქმული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ,[4]

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის კონცეფციიდან გამომდინარეობდა ერების გაქრობისა თუ „ერთიანი კომუნისტური ერის" ფორმირების დებულება. ეროვნულ რესპუბლიკებში ეს დებულება უკმაყოფილებას იწვევდა. სკკპ-ის XXIII ყრილობაზე (1966) მიღებულ რეზოლუციაში უარი ითქვა ამ დებულებაზეც და აღინიშნა, რომ საბჭოთა ხალხი, როგორც „ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა", მრავალეროვნულია, თუმცა ხელი არ აუღიათ რუსიფიკაციის პოლიტიკაზე. „ერთაშორისი ურთიერთობების" ენად რუსული გამოცხადდა.

1960-იან წლებში მიმდინარეობდა დისკუსია „ახალი ისტორიული ერთობის" ხასიათის შესახებ. ზოგი მას ერად მიიჩნევდა, ზოგი „ერთაშორის ერთობად", კამათობდნენ იმაზეც, – ჩამოყალიბდა თუ ჯერ ყალიბდება. საბოლოოდ, უპირატესობა მოიპოვა თვალსაზრისმა, რომ მრავალეროვნული ხასიათის ერთობა, ამასთან, არის ხალხი და არა ერი.[5] ეს აზრი გატარებული იყო ვ.ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ თეზისებში.[6]

სკკპ XXIV ყრილობაზე (1971 წ. 30 მარტი- 9 აპრილი) ლ. ბრეჟნევმა კვლავ დააფიქსირა, რომ „ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი".[7] თუმცა, ამ დებულებას ბრეჟნევი არ უკავშირებდა რაიმე ცვლილებებს ნაციონალურ მშენებლობაში. მისი სტრატეგიული ამოცანა იყო სტატუს-კვოს შენარჩუნება ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის. „საბჭოთა ხალხის" პრობლემატიკის განხილვა გარკვეულ სირთულეებსაც ქმნიდა: ერთი მხრივ, საუბარი მიდიოდა ხალხების დაახლოებასა და რესპუბლიკებს შორის განსხვავებების წაშლაზე, მეორე მხრივ, რესპუბლიკები იძენდნენ სულ უფრო მეტ ეკონომიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას. ასეთ პირობებში საუბარი „საბჭო-

---

[1] Коммунист. 1960. № 6. С. 39.

[2] Фокин А.А. «Советский народ»: от политической истории к истории понятий // Новое прошлое / The New Past. 2022. № 4. С. 202-211; Гребенок М. Н. Советский народ: государственно-политический конструкт.- https://cyberleninka.ru/article/n/sovetskiy-narod-gosudarstvenno-politicheskiy-konstrukt

[3] XXII съезд Коммунистической партии Советского Союза: стенографический отчет. Т. 1. Москва, 1962. С. 153.

[4] ო. კუუსინენის მიერ მომზადებულ სასნავლო სახელმძღვანელოში „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები" სოციალისტური ერების განვითარების მთავარ ტენდენციად დასახელებული იყო არა ერების შერწყმა, არამედ დაახლოება. კეთდებოდა პროგნოზი, რომ ეროვნული კულტურები და ენები კიდევ დიდხანს იარსებებდნენ კომუნიზმის გამარჯვების შემდეგაც (Основы марксизма-ленинизма: учебное пособие. Москва, 1959. С. 749).

[5] Многонациональный советский народ – новая историческая общность людей. Москва, 1966.

[6] К 100-летию со дня рождения Владимира Ильича Ленина: тезисы ЦК КПСС. Москва, 1969. С. 32–33.

[7] XXIV съезд Коммунистической партии Советского Союза. 30 марта – 9 апреля 1971 года: стенографический отчет. Т. 1. Москва, 1971. С. 101.

თა ხალხზე", როგორც ხალხების შერწყმის გამოხატულებაზე, ეროვნულ რესპუბლიკებში გაღიზიანებას ინვევდა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ნაციონალური საკითხი საბჭოთა კავშირში საბოლოოდ არის გადაწყვეტილი და ეროვნულ სფეროში არანაირი პრობლემა არ არსებობს. ამ დებულებას საბჭოთა პროპაგანდა უსასრულოდ იმეორებდა, სანამ 1980-იანი წლების ბოლოს თავი არ იჩინა სერიოზულმა ეთნიკურმა პრობლემებმა.

39.5. „განვითარებული სოციალიზმის" კონსტიტუციის მიღება (1977)

„განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია" მიიღეს 1977 წლის 7 ოქტომბერს, როდესაც ახლოვდებოდა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" 50-ე წლისთავი.

საბჭოთა კავშირში კონსტიტუციის შეცვლას დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდნენ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მზადდებოდა განსახილველად კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა 1936 წლის კონსტიტუცია, მაგრამ მაშინ ეს არ გაკეთებულა.

1962 წელს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც ნ. ხრუშჩოვი ედგა სათავეში. მისი გადაყენების შემდეგ, როდესაც უარი ითქვა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის რიტორიკაზე, შეიცვალა პროექტზე მუშაობაც. კონსტიტუცია უკვე ეყრდნობოდა „განვითარებული სოციალიზმის" კონცეფციას

1977 წლის მაისში ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა კონსტიტუციის პროექტი და საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოიტანა. 7 ოქტომბერს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე ახალი კონსტიტუცია მიიღეს.

კონსტიტუციის მთავარი სიახლე იყო პრეამბულა, რომელშიც ფიქსირდებოდა, რომ აშენდა „განვითარებული სოციალიზმი" და „საერთო-სახალხო სახელმწიფო". ამით „სახელმწიფოს კვდომის" თეზისი, რაც, მარქსიზმის თანახმად, სოციალიზმის მშენებლობას უნდა მოჰყოლოდა, გაურკვეველი ვადით დღის წესრიგიდან იხსნებოდა, პრიორიტეტულ ამოცანებად კი ცხადდებოდა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება.

სახელმწიფოს უმაღლეს მიზნად კონსტიტუცია აცხადებდა „უკლასო კომუნისტური საზოგადოების" აშენებას, ეკონომიკური სისტემის საფუძვლად ცხადდებოდა წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება, პოლიტიკური სისტემის საფუძვლად – საბჭოები, სოციალურ საფუძვლად – მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირი.

კონსტიტუციაში გაჩნდა ახალი თავი საგარეო პოლიტიკის შესახებ. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად ცხადდებოდა ხელსაყრელი საერთაშორისო პირობების შექმნა „სსრ კავშირში კომუნიზმის ასაშენებლად". საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედებოდა „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის" პრინციპი, რაც სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესაძლებლობასაც იძლეოდა.

პირველად ჩაიწერა კონსტიტუციაში საბჭოთა კავშირში არსებული ხელისუფლების ნამდვილი მექანიზმი. კონსტიტუციის მე-6 მუხლით კომუნისტური პარტია ცხადდებოდა „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად", „მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვად". პარტიის რეალური როლის მითითებამ განაპირობა კომპარტიის მხრიდან საწარმოებისა და დაწესებულებების კონტროლის სრული მონოპოლიზება. ის სახელისუფლებო ვერტიკალში მკვეთ-

რად ზრდიდა პარტიული აპარატის მნიშვნელობას, პარტიის ნევრობა აუცილებელი ხდებოდა ნებისმიერი სამსახურებრივი კარიერისთვის.

ამავე დროს, კონსტიტუციაში ბევრი იყო ნათქვამი ადამიანის უფლებების დაცვაზე, „უშუალო დემოკრატიის" ახალი ფორმების – საყოველთაო-სახალხო განხილვისა და რეფერენდუმის განვითარებაზე. მოქალაქეს უფლება ჰქონდა, გაეკრიტიკებინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, გაესაჩივრებინა თანამდებობის პირების საქმიანობა, ოღონდ, რა თქმა უნდა, კვლავ დასაჯადი იყო „ანტისაბჭოთა საქმიანობა", რასაც „კომპეტენტური ორგანოები" განსაზღვრავდნენ.

კონსტიტუციის შემუშავებისა და განხილვის დროს წინადადებები იყო წამოყენებული, „გაეთანაბრებინათ" საბჭოთა რესპუბლიკები და ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკებად ექციათ, ანდა საერთოდ გაეუქმებინათ ყველა ეროვნული რესპუბლიკა და გადასულიყვნენ რეგიონალიზაციამდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპზე. ასეთი წინადადებები არ მიიღეს და შენარჩუნდა არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა. ამავე დროს, საბჭოთა კავშირი განისაზღვრა როგორც „ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფო" (69-ე მუხლი), რაც ნიშნავდა ცენტრალიზაციის პოლიტიკის შემდგომ გაძლიერებას. ამ ტენდენციას ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა მუხლები, რომელთა თანახმადაც მოკავშირე რესპუბლიკები იყვნენ სუვერენულები (75-ე, მე-80 მუხლები) და ჰქონდათ „საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება" (71-ე მუხლი), თუმცა მისი რეალიზების კონსტიტუციური მექანიზმი არ არსებობდა.

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ საბოლოოდ გააფორმა ბრეჟნევის კონსერვატიული საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსი, დააკანონა პარტიის მკაცრი იდეოლოგიური კონტროლი საზოგადოებაზე, გააღრმავა ფეთქებადსაშიში წინააღმდეგობები ეროვნულ საკითხში.

თავი XL.

„განვითარებული სოციალიზმის“ პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკა

40.1. კოსიგინის რეფორმები

1950-იანი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 10,5%-ით იზრდებოდა, მაგრამ 1960-იანი წლების დასაწყისში ეს ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, 1963 წელს ზრდა 4%-ს შეადგენდა. მიუხედავად ხრუშჩოვის მიერ დეკლარირებული ლოზუნგისა – „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას“, საბჭოთა კავშირი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა აშშ-ს. საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავალი აშშ-ის 53%-ს შეადგენდა, შრომის ნაყოფიერება კი კიდევ უფრო დაბალი იყო. მოსახლეობაში იზრდებოდა მდგომარეობით უკმაყოფილება. 1964 წელს წარმოიშვა პურის დეფიციტი, რასაც ქალაქებში მასობრივი უკმაყოფილება მოჰყვა. საბჭოთა კავშირი პირველად გახდა იძულებული საზღვარგარეთ შეესყიდა ხორბალი.

ნ. ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ალექსეი კოსიგინი (1904-1980), რომლის სახელსაც უკავშირდება ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული რეფორმებით შეუძლებელი იყო ეკონომიკური განვითარების ნეგატიური ტენდენციების დაძლევა. მისი გეგმის თანახმად, აუცილებელი იყო, პარტიულ-ადმინისტრაციულ ბერკეტებს დამატებოდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტები. ამის თაობაზე 1950-იანი წლების ბოლოდან წერდა საბჭოთა ეკონომისტების ნაწილი.

ახალი ეკონომიკური კურსი დაისახა 1965 წელს გამართულ ცენტრალური კომიტეტის ორ პლენუმზე – მარტსა (სოფლის მეურნეობაში) და სექტემბერში (მრეწველობის სფეროში). ეს გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის ისტორიაში შევიდა **კოსიგინის რეფორმების** სახელით, თუმცა, დასავლურ ლიტერატურაში მას ზოგჯერ „ლიბერმანის“ რეფორმებსაც უწოდებენ. **ევსეი ლიბერმანი** (1897-1981) იყო ეკონომისტი, რომელმაც რეფორმის მეცნიერული დასაბუთება მოამზადა. ლიბერმანმა სოციალისტური მრეწველობის სამეურნეო მექანიზმის რეფორმის წინადადება ჩამოაყალიბა სკკპ ცკ-ში წარდგენილ მოხსენებით ბარათში და სტატიის სახით გამოაქვეყნა 1962 წელს გაზეთ „პრავდაში“.[1] რეფორმისათვის გარკვეულწილად მისაბაძი ნიმუში იყო ნეპ-ის დროს არსებული სისტემა, იმ განსხვავებით, რომ არ არსებობდა კერძო საწარმოები. რეფორმა წარმოადგენდა ინტენსიურ ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის მცდელობას.[2]

სოფლის მეურნეობაში რეფორმა მიზნად ისახავდა მწარმოებლის დაინტერესებას შრომის შედეგებით. ხორბლის აუცილებელი შესყიდვის გეგმა შემცირდა და უცვლელად გამოცხადდა მომდევნო 10 წლისათვის. შესასყიდი ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე 1,5–2-ჯერ გაიზარდა. ზეგეგმითი შესყიდვის შემთხვევაში შესასყიდი ფასები 50%-ით იზრდებოდა. შემცირდა ფასები სოფლის მეურნეობის ტექნიკასა და სათადარაგო ნაწილებზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩამოანერეს სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი ვალები.

1965 წლის რეფორმა ეჭვქვეშ არ აყენებდა დირექტიულ ეკონომიკას, მაგრამ აფარ-

---

[1] «План, прибыль, премия» - в газете «Правда“, 9 сентября 1962 г.

[2] კოსიგინის რეფორმის შესახებ იხ.: Митрохин Н.А. Очерки советской экономической политики в 1965-1989 годах. М., 2023, т.1.

თოებდა საწარმოების დამოუკიდებლობას. მრეწველობის სფეროში საწარმოები წვრილმანი კონტროლისაგან გათავისუფლდნენ. ხელფასი განისაზღვრებოდა წარმოების რენტაბელურობით, მოგებით, გეგმების გადაჭარბებით შესრულებით. დირექტორებს გარკვეული თავისუფლება მიეცათ პერსონალის შერჩევაში, ხელფასის განსაზღვრაში, საწარმოებს ერთმანეთთან დამოუკიდებლად შეეძლოთ მოლაპარაკება. ახალი პირობებით მუშაობის სისტემაზე მრეწველობა თანდათანობით გადაჰყავდათ. 1967 წლისათვის ახალი წესებით მუშაობდა 7 ათასი საწარმო იქ დასაქმებული 10 მილიონზე მეტი ადამიანით.

მე-8 ხუთწლედს (1966-1970), რომლის დროსაც დაიწყო ეკონომიკური რეფორმა, საბჭოთა პერიოდში „ოქროს ხუთწლედს" უწოდებდნენ ამ პერიოდში მოპოვებული შთამბეჭდავი წარმატებების გამო. სამრეწველო წარმოება 1,5-ჯერ, საქონელბრუნვა – 1,8-ჯერ, საშუალო ხელფასი 2,5-ჯერ გაიზარდა. 1966-1975 წლებში შექმნილი ეკონომიკური პოტენციალი იმდენივე იყო, რაც შეიქმნა წინა ნახევარი საუკუნის განმავლობაში. 1922 წელს საბჭოთა კავშირის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1% იყო, 1975 წელს კი 12,6%-ს შეადგენდა.

ალექსეი კოსიგინი (1904-1980) დაიბადა მუშის ოჯახში, 1919-1921 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში, 1935 წ. დაამთავრა ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტი. 1939 წ. საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობაზე აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1940 წ. დაინიშნა სსრკ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრად. 1941-1945 წლებში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა ფრონტის მომარაგების სფეროში. 1948 წ. აირჩიეს საკ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. 1940-1953 წლებში იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ხრუშჩოვის მმართველობის დროს მთავრობაში ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობა. ბრეჟნევის მმართველობის დროს, 1964-1980 წლებში, 16 წლის განმავლობაში იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მის სახელს უკავშირდება 1965 წ. დაწყებული ეკონომიკური რეფორმები. კოსიგინმა თავისი წვლილი შეიტანა 1966 წ. ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის მოწესრიგებაში, 1968 წ. კოსიგინი ჩეხოსლოვაკიაში ინტერვენციის წინააღმდეგი იყო. 1969 წ. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის დარეგულირების მიზნით პეკინში ის მოულოდნელად ჩაფრინდა, როდესაც ხო ში მინის დაკრძალვიდან ბრუნდებოდა. ამბობენ, რომ ბრეჟნევი ამ ვიზიტის შესახებ ინფორმირებული არ იყო.

1979 წ. კოსიგინი პოლიტბიუროს ერთადერთი წევრი იყო, რომელიც ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანას ეწინააღმდეგებოდა. 1976 წლიდან კოსიგინი ავადმყოფობდა. 1980 წლის ოქტომბერში მიანიშნეს, რომ თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. 1980 წ. 18 დეკემბერს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შესახებ საბჭოურმა მედიამ მოგვიანებით გაავრცელა ცნობა, რადგანაც დაკავებული იყო „ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის" დაბადების 74-ე წლისთავის აღნიშვნით. კოსიგინი დაკრძალულია კრემლის კედელთან.

საინტერესო ფაქტები: 1967 წ. პირადი გადაწყვეტილებით ვიაჩესლავ მოლოტოვს პენსია 125-დან 250 მანეთამდე გაუზარდა. 1969 წ. თავის ახლო მეგობართან ფინეთის პრეზიდენტ ურხო კეკონენთან ერთად ფეხით გადავიდა კავკასიის ქედზე.

40.2. კოსიგინის რეფორმების მოულოდნელი შედეგები

კოსიგინის რეფორმებმა, წარმატებებთან ერთად, აჩვენა გატარებული ზომების შეზღუდულობა და უფრო ღრმა ცვლილებების საჭიროება როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ამ ცვლილებების არსი მბრძანებლურ-გამანაწილებელი სისტემის სრული დემონტაჟი უნდა ყოფილიყო, ეს კი „საბჭოური სოციალიზმისა" და ნომენკლატურის ბატონობის საფუძვლებს არყევდა.

მრეწველობაში რეფორმების შედეგად გაჩნდა უმუშევრობის საფრთხე. მაგალითად, 1967 წელს ტულის ოლქში შჩეკინის ქიმიურ კომბინატში დანყებული რეფორმის შედეგად 1969 ნლის დასაწყისისათვის მომუშავეთა რაოდენობა 800 ადამიანით შემცირდა, ამის ხარჯზე კი გაიზარდა ხელფასი, პროდუქციის წარმოება გაიზარდა 73,3%-ით, შრომისნაყოფიერება – 87%-ით. კომბინატის მოგების საფუძველზე ქალაქში შენდებოდა საცხოვრებელი ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობები. ამ საწარმოს გამოცდილების ფართოდ დანერგვა მასობრივი უმუშევრობის გაჩენის საფრთხეს შეიცავდა.

„სოციალისტურ" წარმოდგენებში ვერ თავსდებოდა აკჩის ექსპერიმენტიც – ყაზახეთის ყამირი მიწების რაიონში. ეკონომისტ ი.ხუდენკოს უფლება მიეცა, თავად მოეხდინა სამუშაოების ორგანიზება მცირე მომუშავე ჯგუფების მეშვეობით, რომელთაც სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა ეძლეოდათ, მათი მუშაობა საბოლოო შედეგის მიხედვით (მარცვლეულის რაოდენობა და ხარისხი) ანაზღაურდებოდა და, ამასთან, არ იზღუდებოდა ხელფასის ოდენობა. რამდენიმე ნლის განმავლობაში მოგება ერთ მომუშავეზე 7-ჯერ გაიზარდა, მარცვლეულის თვითღირებულება 4-ჯერ შემცირდა, ამდენჯერვე გაიზარდა ხელფასი. ეს სისტემა საშუალებას იძლეოდა, მკვეთრად გაზრდილიყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ასევე მკვეთრად შემცირებულიყო დასაქმებულთა რიცხვი. თუმცა ექსპერიმენტი დამთავრდა ხუდენკოს დაპატიმრებით, მას ბრალად დასდეს „მსხვილი მასშტაბით სახელმწიფო ქონების დატაცება", მიესაჯა 6 ნლით პატიმრობა და 1974 ნელს გარდაიცვალა, ორი ნლის პატიმრობის შემდეგ.

ბრეჟნევისა და კოსიგინის ურთიერთობა

ხრუშჩოვის გადაყენების დროს (1964) კოსიგინი და ბრეჟნევი „ერთი ნონითი კატეგორიის" ფიგურები იყვნენ. უფლებამოსილება მათ შორის შემდეგნაირად გაიყო: ყველა პარტიული საკითხი ბრეჟნევს ეხებოდა, ყველა დანარჩენი – კოსიგინს. მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე საგარეო პოლიტიკის საკითხებსაც უძღვებოდა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ავტორიტეტიც მოიპოვა. ბრეჟნევი უფრთხოდა კოსიგინს, ეშინოდა, რომ მასაც შეთქმულებას მოუწყობდნენ და ისევე ჩამოაშორებდნენ ხელისუფლებას, როგორც ეს ხრუშჩოვს გაუკეთეს; ამიტომ ეჭვის თვალით უყურებდა ძლიერ და გავლენიან კოლეგებს, პირველ რიგში კი, კოსიგინს. ბრეჟნევი, საგარეო საქმეთა მინისტრის გრომიკოს მხარდაჭერით, თანდათანობით ცდილობდა საგარეო პოლიტიკისგან კოსიგინის ჩამოშორებას. ბრეჟნევი და მისი გარემოცვა ეჭვის თვალით უყურებდნენ კოსიგინის ეკონომიკურ რეფორმასაც.

1980 ნლის ოქტომბერში, როდესაც კოსიგინი ხელისუფლებას ჩამოაცილეს, მან გადადგომის წინ წერილით მიმართა პოლიტბიუროს, – თქვენც არა ხართ ახალგაზრდები და კადრების განახლებაა საჭიროო.

40.3. დირექტიული ეკონომიკის გამარჯვება

ბრეჟნევის გარემოცვამ ეკონომიკის რეფორმირების კურსზე თანდათან უარი თქვა და საბოლოოდ გაიმარჯვა დირექტიულმა ეკონომიკამ. კოსიგინის რეფორმების „მოხრჩობის" რამდენიმე მიზეზი სახელდება:

- პოლიტბიუროს კონსერვატიული ნაწილის წინააღმდეგობა (განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ რეფორმის მიმართ ნეგატიური პოზიცია ეკავა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნიკოლაი პოდგორნის);

- შიდაპოლიტიკური კურსის გამკაცრება 1968 წლის „პრაღის გაზაფხულის" გავლენით. კოსიგინის რეფორმების მსგავს სისტემას, რომელიც სამეურნეო ანგარიშს ჰგავდა, 1968 წლის გაზაფხულზე ჩეხოსლოვაკიაში დუბჩეკიც ნერგავდა, მაგრამ ეკონომიკურ გარდაქმნებს ჩეხოსლოვაკიაში მთელი პოლიტიკური სისტემის ეროზია მოჰყვა. ამან გვარიანად შეაშინა ბრეჟნევის გარემოცვა, რაც ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო ინტერვენციით დამთავრდა;

- ნეგატიურ როლს ასრულებდა შიდააპარატული მეტოქეობა ალექსეი კოსიგინსა და მის მოადგილეს ნიკოლაი ტიხონოვს შორის (1905-1997);

- რეფორმას ეწინააღმდეგებოდა თავდაცვის მინისტრი მარშალი დ. უსტინოვი, რომელიც მოითხოვდა სამხედრო ხარჯების განუწყვეტელ ზრდას, რასაც კოსიგინი და საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბაიბაკოვი ეწინააღმდეგებოდნენ.

რეფორმის განვითარებაზე ნეგატიურად აისახა შემოსავლების მკვეთრი ზრდა ნავთობის ექსპორტისაგან. ერთი მხრივ, ახალი ნავთობსაბადოების ათვისების შედეგად 1969 წლიდან მკვეთრად გაიზარდა ნავთობის ექსპორტი, მეორე მხრივ, 1973 წლის სანავთობო კრიზისმა რამდენჯერმე გაზარდა ნავთობზე ფასი (ბარელი ნავთობის ფასი 3-იდან 12 დოლარამდე გაიზარდა), 1980 წელს კი ბარელი ნავთობის ფასი 40 დოლარამდე გაიზარდა. 1966-1981 წლებში საბჭოთა კავშირში იმდენი სათბობი მოიპოვეს, რამდენიც 1918-1965 წლებში.[1]

სამეურნეო ანგარიში და დოგმატიკოსი მარქსისტისათვის სარისკო საბაზრო ექსპერიმენტების საჭიროება აღარ არსებობდა. ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები საბჭოთა ხელმძღვანელობის კონსერვატიულ ნაწილს საშუალებას აძლევდა, შეენიღბათ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პრობლემები, სურსათი და მოხმარების საგნები ნავთობდოლარებით შეეძინათ დასავლეთში.

1970-იანი წლების დასაწყისში კოსიგინის მიერ დაწყებული რეფორმები შეჩერდა, საბჭოთა ეკონომიკა დაუბრუნდა მკაცრ დირექტიულ დაგეგმვას. გადმოცემის თანახმად, ა. კოსიგინს 1971 წელს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მეთაურისთვის, ლუბომირ შტროუგალისთვის უთქვამს, რომ „რეფორმები იმ ადამიანების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც მათი განხორციელება საერთოდ არ სურთ".[2]

საბჭოთა ეკონომიკა, მიუხედავად რეფორმებისა და ცვლილებებისა, არსებითად, დარჩა ისეთად, როგორიც იყო სტალინის დროს. საბაზრო ტიპის ეკონომიკისგან განსხვავებით, საბჭოთა ტიპის ეკონომიკას განვითარება შეეძლო მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების საფუძველზე. ასეთი ეკონომიკის გადაყვანის მცდელობები თვითრეგულირებაზე, თვითკონტროლზე, თვითგანვითარებაზე განწირული იყო მარცხისთვის.

საბჭოთა ეკონომიკაში არ არსებობდა სპონტანური დინამიზმის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი – მწარმოებლებს შორის მოგებისა და კონკურენციის მოტივები საომომხმარებლო ბაზრების მოსაპოვებლად. კოსიგინის რეფორმები არ ცვლიდა გეგმის რაოდენობრივ მაჩვენებლებს თვისებრივით.

---

[1] *Бурлацкий Ф.М.* Вожди и советники: о Хрущеве, Андропове и не только о них... М. : Политиздат, 1990. с. 300.

[2] В. И. Андриянов. Косыгин. — М.: Молодая гвардия, 2003.

საწარმოების უდიდესი უმრავლესობა (მათ შორის სამხედრო დანიშნულების) მუშაობდა ინერციით, აწარმოებდნენ პროდუქციას, რომლის დიდი ნაწილი მოძველებული იყო და მასზე მოთხოვნილება არ არსებობდა. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი საწარმოები დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ტრაქტორებსა და კომბაინებს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი იყო მოძველებული და დაბალი ხარისხის, თუმცა მის მწარმოებელ საწარმოებს ეს არაფრად ადარდებდათ და ისინიც გეგმებს წარმატებით ასრულებდნენ.

საბჭოთა ეკონომიკა, გეგმების გარდა, სულ უფრო მეტად ექვემდებარებოდა საბჭოური „სოციალური სახელმწიფოს" ლოგიკას, ანუ სოციალური გარანტიებისა და საყოველთაო დასაქმების პოლიტიკას. შრომის უფლება საბჭოთა კავშირში გარანტირებული იყო კონსტიტუციით, ხოლო პროფკავშირები და კანონმდებლობა იცავდა მომუშავეთა უფლებებს. საბჭოთა ზედაფენას ეშინოდა უმუშევრობის წარმოშობისა, სოციალური და იდეოლოგიური მოსაზრებებით. 1970-იან და 1980-იანი წლების დასაწყისში ეს გახდა საბჭოთა ეკონომიკის დამუხრუჭების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. საბჭოთა კავშირს, უბრალოდ, არ შეეძლო, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებით, წასულიყო კაპიტალისტური ქვეყნების გზით, სადაც ხდებოდა მომუშავეთა რაოდენობის შემცირება წარმოების ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის შედეგად.

სრული დასაქმების საბჭოურ ეკონომიკას მოსდევდა გათანაბრებითი ანაზღაურება მომუშავეთა უდიდესი უმრავლესობის შრომის სულ უფრო ნაკლები ეფექტურობის პირობებში. სტალინური სისტემა, შრომის იძულების გარდა, ითვალისწინებდა მაღალანაზღაურებადი „ელიტის" არსებობასაც. ხრუშჩოვი მიუღებლად მიიჩნევდა უთანასწორობას შრომის ანაზღაურებაში. ხრუშჩოვის დროს იწყება ხელფასის მინიმალური ზღვრის ზრდა და, მეორე მხრივ, სპეციალისტებისა და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების ხელფასის შედარებითი შემცირება. 1970-იან წლებში სხვაობა მაღალკვალიფიციურ მუშაკებსა და გამცდენ, არაკვალიფიციურ მუშაკთა ხელფასებს შორის მინიმუმამდე შემცირდა.

დარონ აჯემოღლუმ და ჯეიმს რობინსონმა წიგნში „რატომ არის ზოგი ქვეყანა მდიდარი, ზოგი კი ღარიბი" გააანალიზეს კოსიგინის რეფორმები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ რეფორმები თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის. პირველი მიზეზი ის იყო, რომ ფასები გეგმურ ეკონომიკაში სუსტად იყო დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების რეალურ ღირებულებასთან. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო შეფასებულიყო ინოვაციების ღირებულება. მეორე მიზეზი ის იყო, რომ საპრემიო ფონდი დაკავშირებული იყო ხელფასის ფონდის საერთო მოცულობასთან, ამიტომ საწარმოებს არ უნდოდათ სახელფასო ფონდის შემცირება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არ გააჩნდათ სტიმული შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, რასაც გარდუვალად მოსდევს პერსონალის შემცირება. ავტორების დასკვნით, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის პირობებში პრინციპულად შეუძლებელი იყო მდგრადი განვითარება.

1970-1980-იან წლებში საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპის შემცირება აიხსნება რიგი ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ეკონომიკური განვითარების ტემპსა და ხარისხზე:

- ამოიწურა ზრდის ექსტენსიური ფაქტორები, პირველ რიგში, მობილური სამუშაო ძალის რეზერვების ამოწურვის გამო;
- ტექნიკური უძრაობა, რაც გამოწვეული იყო თვითღირებულების შემცირების სტიმულის არარსებობით და მომსახურების სფეროს მოუქნელი გეგმური ხასიათით;
- აუცილებელი იყო არაეფექტური საწარმოების პირდაპირი და ირიბი დოტაცია;

1970-იან წლებში განხორციელებული სოციალური პროგრამები (სამუშაო დროის შემცირება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა);

- დიდი დანახარჯები ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სამეურნეო განვითარებაზე, რასაც მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი მოგება არ მოუტანია;
- დიდი სამხედრო ხარჯები;

- მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის (აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და ა. შ.) მიცემული კრედიტები, რომლის აუცილებლობასაც მსოფლიოში გავლენისათვის ბრძოლა განაპირობებდა.

რეფორმების შეჩერების შედეგად ოფიციალური მონაცემებითაც მცირდებოდა ეროვნული შემოსავლის ზრდა: 1976-1980 წლებში ეს იყო 4,3%, 1981-1985 წლებში – 3,2%, ხოლო 1986-1989 წლებში – 2,7%.

უცვლელი დარჩა საბჭოთა დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელსაც ბალანსების შედგენა ედო საფუძვლად. 1980-იანი წლების დასაწყისში „გოსპლანი" (სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი) ადგენდა 2 ათას ბალანსს, რომელთაც 50 ათასი პოზიცია ჰქონდა. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში იწარმოებოდა უკვე 12 მილიონი დასახელების პროდუქცია. შენარჩუნებული იყო დაგეგმვის მაჩვენებლების ძლიერ ცენტრალიზებული სისტემა: მაჩვენებლების რაოდენობა 1980-იანი წლების დასაწყისში მერყეობდა 2,7 მილიარდიდან 3,6 მილიარდამდე, მათგან 2,7 – 3,5 მილიონს „გოსპლანი" ყოველწლიურად ამტკიცებდა. დაგეგმვის ქრონიკულად კონსერვატიული სისტემის ტიპური ნიშანი იყო ტექნიკური პროგრესის შენელება: 1989 წელს გეგმის მიხედვით, მონყობილობათა გამოყენების საშუალო ვადა 13 წელი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ორჯერ მეტს, 26 წელს შეადგენდა. ჰიპერცენტრალიზებული დაგეგმვა სტიმული კი არა, ეკონომიკური განვითარების მუხრუჭი იყო.

1960-1970-იან წლებში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარება სამი შესაძლო სცენარით შეიძლება წარმართულიყო: პირველს შეიძლება პოსტსტალინური კურსი ეწოდოს, როდესაც შენარჩუნდებოდა თვითკმარი, **ჩაკეტილი მბრძანებლური ეკონომიკა**; მეორე იყო კოსიგინის რეფორმების კურსი, რომელიც **შერეული ეკონომიკის** შექმნას ისახავდა მიზნად, – მბრძანებლური ეკონომიკის შეთავსებას საბაზრო ეკონომიკის ელემენტებთან. მისი რეალიზების მცდელობა, საბოლოო ჯამში, მარცხით დამთავრდა. მესამე იყო **ბრეჟნევის რეჟიმის „უძრაობის" კურსი,** როდესაც მბრძანებლური ეკონომიკა კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად" გადაიქცა.[1]



კოსიგინი და უფლისწული ალექსი

ალექსი კოსიგინის სიცოცხლეში მისი „პროლეტარული" წარმომავლობის თაობაზე ეჭვი არავის შეუტანია. გორბაჩოვის „გარდაქმნის" პერიოდში კი გაჩნდა ვერსია, რომ ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინის ნამდვილი გვარი რომანოვია და სინამდვილეში უფლისწული ალექსი იყო, რომ თითქოს ამ ინფორმაციამ კგბ-ს არქივებიდან გამოუონა. არგუმენტი იყო გარეგნული მსგავსება და დაბადების ერთი და იგივე წელი – 1904. „გაიხსენეს" ისიც, რომ სტალინი კოსიგინს „ცარევიჩს" („უფლისწულს") უწოდებდა ხოლმე. იმასაც ამბობდნენ, რომ სხვანაირად კოსიგინი ვერ დარჩებოდა ხელისუფლებაში ამდენი ხნის განმავლობაში. აღნიშნული ვერსია 2000-იან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. მოსკოველი ისტორიკოსი სერგეი ჟელენკოვი ამტკიცებდა, რომ მეფის ოჯახი და უფლისწული ალექსი არათუ არ დაუხვრეტიათ, არამედ უფლისწულმა ალექსეიმ კოსიგინის გვარით და სტალინის მფარველობით კარიერაც კი გაიკეთა. 2020 წელს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა დაადასტურა, რომ უფლისწულ ალექსეის ადრე ნაპოვნი ნეშტი ნამდვილია და იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ოჯახის გადარჩენაზე საუბარი მხოლოდ მითია.

[1] Упущенный шанс или последний клапан? (к 50-летию косыгинских реформ 1965 г.) : монография / коллектив авторов ; под науч. ред. Р.М. Нуреева. — Москва : КНОРУС, 2017, с.13-15.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების ალტერნატიული მოდელები (1960-1970-იანი წლები)

მოდელის დახასიათება	თვითკმარი მბრძანებლური ეკონომიკა	შერეული ეკონომიკა „დემოკრატიული საბაზრო სოციალიზმი“	მბრძანებლური ეკონომიკა როგორც კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი
ეკონომიკური განვითარების რესურსები	სახელმწიფო დაგეგმვა და კონტროლი	მომუშავეთა პირადი მატერიალური ინტერესების გააქტიურება	ბუნებრივი რენტა, მიღებული ენერგორესურსების (ნავთობის და აირის) ექსპორტის ხარჯზე
აქტორები, რომლებიც მოცემულ მოდელს უჭერდნენ მხარს	ნომენკლატურის კონსერვატიული ნაწილი	პოლიტიკური და სამეურნეო ელიტის ლიბერალური ნაწილი	პოლიტიკური და სამეურნეო ელიტის უმეტესობა
განვითარების საშიში ტენდენციები	სოციალური დაძაბულობის ზრდა საზოგადოებაში	პარტიული ხელისუფლების დემონტაჟი	ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულების ზრდა მსოფლიო ბაზარზე. „უძრაობა“

40.4. მზარდი ეკონომიკური პრობლემები 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში

„გვიანი ბრეჟნევიზმის“ პერიოდში – 1970-იანი წლების ბოლოდან – საბჭოთა კავშირში სულ უფრო ძლიერდებოდა კრიზისული ნიშნები როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში. ხელისუფლებაში მყოფ ადამიანთა მცირე ჯგუფს კი, რეალურად, ქვეყნის მართვის თავი აღარ ჰქონდა. ასაკში შესულებსა და მძიმე ავადმყოფებს პრობლემების რეალური აღქმაც აღარ შეეძლოთ, არათუ ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება.

ცვლილებები შრომით ბაზარზე

1970-იანი წლების ბოლოს საბჭოთა შრომით ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა – ბაზარი გადაივსო კვალიფიციური შრომის და, ასევე, არამწარმოებლური პროფესიების წარმომადგენლებით. საბჭოთა ეკონომიკას უკვე აღარ სჭირდებოდა ამდენი ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, „კულტურის მუშაკი“ და მოსამსახურეთა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი. 1980 წლისთვის „მმართველობითი პერსონალი“ 17 მლნ. ადამიანს აღწევდა. ამავე დროს, ამოინურა სოფლად ახალგაზრდობის რეზერვი, რომლითაც შეივსებოდა ფიზიკური შრომისა და „არაპრესტიჟული“ პროფესიები ქარხნებში, მშენებლობაში, მსუბუქ მრეწველობასა და ავტოტრანსპორტში.

ასეთ ვითარებაში ქალაქი მოსკოვი პირველი შეუდგა სამუშაო ძალის იმპორტს არარუსული რესპუბლიკებიდან. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ „ლიმიტჩიკები“ იღებდნენ ბინას და მოსკოვში ეწერებოდნენ. 1982 წლისათვის მარტო რუსეთის ფედერაციაში სამუშაო ძალის ნაკლებობამ 1,8 მლნ. ადამიანი შეადგინა. საბჭოთა სამეურნეო სტრუქტურებმა იაფი სამუშაო ძალის შემოყვანა ვიეტნამიდან და ჩრდილოეთ კორეიდან დაიწყეს.

საქონლისა და სურსათის დეფიციტის გამწვავება

1970-იან წლებში გამწვავდა საქონლისა და სურსათის დეფიციტი. დეფიციტი საბჭოური ტიპის მბრძანებლური ეკონომიკის შედეგი იყო, პირველ რიგში, იმიტომ, რომ არ

არსებობდა მოქნილი კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. საქონლის გაქრობას განაპირობებდა საზოგადოების მსყიდველუნარიანობის გაზრდა. სრული დასაქმების დროს გარანტირებულმა შემოსავალმა და ინდივიდუალურმა საცხოვრებელმა ბინებმა პირობები შექმნეს „მოხმარების რევოლუციისთვის". მილიონობით ოჯახს, რომელთაც თავიანთი ბინები მიიღეს, კომფორტში ცხოვრება სურდა. მრავალჯერ გაიზარდა მოთხოვნილება ავეჯზე, მაცივრებზე, ხალიჩებზე, მოდურ ტანსაცმელზე და ა. შ. მოთხოვნა მინოდებას ბევრად აჭარბებდა.

განსაკუთრებით მწვავე იყო სურსათის დეფიციტი. 1970-იანი წლების ბოლოს მრავალ რეგიონსა და ქალაქში გამეორდა 1960-იანი წლების დასაწყისის ვითარება, როდესაც მაღაზიებიდან გაქრა ხორცი, ძეხვი, კვერცხი, ხილი და ბოსტნეული. ეს ყველაფერი იყო მოსკოვის მაღაზიებში, რადგანაც დედაქალაქი განსაკუთრებით მარაგდებოდა, ამიტომ 150-200 კმ-იან რადიუსში მდებარე ტერიტორიიდან მოსკოვში ჩადიოდნენ სურსათის შესაძენად.

საქონლისა და სურსათის დეფიციტი მნიშვნელოვანწილად ხელოვნურ ხასიათს ატარებდა – გამოწვეული იყო სტრუქტურული დისბალანსით ფინანსებსა და ეკონომიკაში, პირველ რიგში, ფარული ინფლაციით. სახელმწიფო ინარჩუნებდა დაბალ ფასებს და ამისათვის წარმოების სუბსიდირებას ახდენდა. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს კარაქი და ხორცი ნახევარზე მეტად სუბსიდირებული იყო ბიუჯეტიდან. ჩნდებოდა დიდი ცდუნება, სუბსიდირებული საქონელი იაფად კი არ გაეყიდათ სახელმწიფო მაღაზიებში, არამედ ფარულად, საბაზრო ფასით. სახელმწიფო ვაჭრობაში დასაქმებული მრავალი პირი შეთავსებით „ჩრდილოვან" ეკონომიკაში აღმოჩნდა, წარმოიშვა მაფიოზური სტრუქტურები, რომლებიც არალეგალურ შემოსავალს ინაწილებდნენ.

1970-იან წლებში საბჭოთა კავშირში ჩრდილოვანმა ბაზარმა, ფაქტობრივად, გამოდევნა სახელმწიფო-განაწილებითი სისტემა. დეფიციტური პროდუქცია (ბრეჟნევის დროს ასეთი თითქმის ყველაფერი იყო) რჩებოდა საწყობებში და იქიდან ფარულად იყიდებოდა.

გამოსავალი იყო პროდუქტებზე საბაზრო ფასების შემოღება (როგორც ეს გააკეთა სტალინმა 1947 წელს, საბარათო სისტემის გაუქმების წინ), მაგრამ საბჭოთა ლიდერებს ეშინოდათ ხალხის უკმაყოფილების აფეთქებისა. სიტუაციიდან გამოსავლის სახით დეფიციტურ პროდუქტებს რაღაცებს ამატებდნენ, რაოდენობის გასაზრდელად, მაგრამ ამით ხარისხს აუარესებდნენ. 1981 წელს ბრეჟნევმა გამოაცხადა „სასურსათო პროგრამა", რომლის შესრულებაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ნ. ტიხონოვს ჩააბარა. 1982 წლის 14 აპრილს ტიხონოვმა ცენტრალურ კომიტეტს მოახსენა, რომ, კალორიულობის თვალსაზრისით, ხალხი ნორმაზე მეტად იკვებება, ხოლო მოსახლეობის 20% სიმსუქნისაგან იტანჯება. ეს თქვა იმ დროს, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა სასურსათო მაღაზიების რიგებში იტანჯებოდა.

ბიუჯეტი კატასტროფის წინაშე

ხელფასები, მზარდი სოციალური ხარჯები პენსიებზე, დახმარება კოლმეურნეობებისათვის ნთქავდა საბჭოთა ბიუჯეტის მესამედს. 1970-იანი წლების დასაწყისიდან ბიუჯეტისთვის დიდ შავ ხვრელად იქცა სოფლის მეურნეობა, საიდანაც სტალინი თანხებს იღებდა. ახლა გლეხობა საბჭოთა სახელმწიფოსთვის „ძვირი შესანახი" გახდა. სახელმწიფომ 16 მილიარდი რუბლით გაზარდა შესასყიდი ფასები სურსათზე და დახარჯა 40 მილიარდი რუბლი მეცხოველეობაზე. 1983 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოს 100 მილიარდი რუბლი ვალი ჰქონდათ, რომლის გადახდაც არ შეეძლოთ.

ბიუჯეტის 16% მიდიოდა სამხედრო ხარჯებსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე. დიდი თანხა მიდიოდა მოკავშირეების შესანახადაც. ასეთი კი 69 ქვეყანა იყო მთელ მსოფლიოში.

რეზერვი შემოსავლის გასაზრდელად უაღრესად შეზღუდული იყო. საბჭოთა კავშირს იარაღით ექსპორტიდან შეიძლებოდა მიეღო შემოსავალი, მაგრამ ეს მოკავშირეებს მიეწოდებოდათ კრედიტების ხარჯზე.

სახელმწიფომ მკვეთრად გაზარდა ფასები „ფუფუნების საგნებზე", ასეთად მიიჩნიეს ავტომობილები, ოქრო, ბეწვეული, ხალიჩები, ბროლი. მთავარი რეზერვი ალკოჰოლი იყო, რომლის გაყიდვაზეც სახელმწიფო მონოპოლია არსებობდა და ფასები იზრდებოდა. 1985 წელს ალკოჰოლი, პირველ რიგში, არაყი, უზრუნველყოფდა ბიუჯეტის შემოსავლის მესამედს.

საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი შეღავათი მოუტანა 1973 წელს ნავთობზე ფასის გაოთხმაგებამ არაბეთ-ისრაელის ომის შემდეგ. ნავთობის გაყიდვით შემოსავალი 22-ჯერ გაიზარდა და 20 მილიარდი დოლარი შეადგინა წელიწადში. 1979 წელს ნავთობზე ფასები კიდევ ერთხელ გაიზარდა ირანის რევოლუციისა და სპარსეთის ყურეში არასტაბილურობის გამო. საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოში ნავთობის წარმოებით. 1984 წელს საბჭოთა კავშირის სავალუტო შემოსავლებმა 30-40 მილიარდ დოლარს მიაღწია წელიწადში. მაგრამ ამ დროისათვის მაქსიმალურად იყო ათვისებული არსებული ნავთობსაბადოები, პირველ რიგში დასავლეთ ციმბირში. გარდა ამისა, ნავთობის წარმოების თვითღირებულება მკვეთრად გაიზარდა. ნავთობსადენების მშენებლობა (1976-1981 წლებში აშენდა 50 ათასი კმ სიგრძის) ასევე დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა.

სერიოზული პრობლემა გახდა საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება საერთაშორისო ვაჭრობაზე. საბჭოთა ეკონომიკამ დაკარგა სტალინის დროს არსებული ჩაკეტილი ხასიათი და მსოფლიო ბაზარზე მომხდარ რყევებზე დამოკიდებული გახდა. ასეთი დამოკიდებულების ყველაზე ძლიერი ფაქტორი მარცვლეულისა და მოხმარების საგნების შეძენა იყო. ხორბლის იმპორტის წილი საბჭოთა მოხმარებაში 1973 წელს 13,2% იყო, 1981 წელს კი – 41,4%. 1982 წელს საბჭოთა კავშირმა იყიდა თითქმის 30 მლნ. ტონა ხორბალი, 1984 წელს კი – უკვე 46 მლნ. ტონა. ამაზე იხარჯებოდა ნავთობიდან მიღებული შემოსავალი და ესეც არ კმაროდა. 1970-იან წლებში ამაზე კიდევ დაიხარჯა 2 ათას ტონაზე მეტი ოქრო. ქვეყნის ოქროს მარაგი, მიუხედავად მუდმივი მოპოვებისა, სამჯერ შემცირდა და 1981 წელს სულ 452 ტონას შეადგენდა. საბჭოთა კავშირი უკვე აღარ ცხოვრობდა „შემოსავლების მიხედვით".

40.5. ცვლილებები საბჭოთა კავშირის მმართველობაში

ცენტრალიზაცია, ბიუროკრატიზაცია და მმართველი ფენის გაბერვა

მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე უარის თქმის შედეგი იყო ცენტრალიზაცია, ბიუროკრატიზაცია და მმართველობითი აპარატის უზომო გაბერვა. 1985 წლისათვის მმართველი ფენის საერთო რიცხვი 18 მილიონს უახლოვდებოდა: ანუ ყოველ 6-7 მომუშავეზე მოდიოდა ერთი ხელმძღვანელი. ბიუროკრატიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა (11,5 მლნ.) იყო საწარმოებისა და ორგანიზაციების ქვედა აპარატის თანამშრომლები. ბიუროკრატიული სტრუქტურების შესანახავად ყოველწლიურად იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის 10%-ამდე.

ბიუროკრატიის ნამდვილ ბასტიონებად იქცნენ სამინისტროები და უწყებები. 1985 წლისათვის სამინისტროებისა და უწყებების მმართველობითი ორგანოების საკავშირო აპარატი შეადგენდა 107 ათას ადამიანს, რესპუბლიკური აპარატი – 140 ათას ადამიანს, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და საოლქო სამმართველოების აპარატი შეადგენდა 280 ათას ადამიანს.

1965 წლიდან სამინისტროები თავიანთი დარგების აბსოლუტური მონოპოლისტები იყვნენ. ისინი განკარგავდნენ მთელ რესურსებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ საწარ-

მოებსა და ორგანიზაციებს მთელ ქვეყანაში. სანარმოო გიგანტების მშენებლობამ პრაქტიკულად ყველა დარგში გამოინვია მათი ხელმძღვანელების გაელენის ზრდა.

კომუნისტური პარტიის მმართველი აპარატის ზრდა

კომუნისტური პარტიის როლის განუხრელი ზრდის ხაზგასმას თან ახლდა მისი რიცხობრივი ზრდა. 1980-იანი წლების შუახანებში მასში ირიცხებოდა 19 მლნ. ადამიანი. შესაბამისად, ფართოვდებოდა პარტიული აპარატი.

1982 წლის პარტიული სტრუქტურა მოიცავდა მოკავშირე რესპუბლიკების 14 ცენტრალურ კომიტეტს (რუსეთის კომპარტია ცალკე არ არსებობდა), 6 სამხარეო კომიტეტს, 150 საოლქო კომიტეტს, 2 ქალაქკომს, რომლებიც საოლქო კომიტეტს უთანაბრდებოდა (მოსკოვისა და კიევის), 10 ოკრუგის კომიტეტს, 872 საქალაქო კომიტეტს, 631 საქალაქო რაიკომს, 2885 სასოფლო რაიკომს, 419,7 ათას პირველად პარტიულ ორგანიზაციას. ამრიგად, 1980-იანი წლების დასაწყისში პარტიული იერარქიის მხოლოდ პირველი პირები (პირველადი პარტიული ორგანიზაციები რომ არ ჩავთვალოთ) 4570 ადამიანს შეადგენდა.

პარტიული კარიერის გაკეთება, ადრინდელისგან განსხვავებით, უკვე აღარ უკავშირდებოდა პარტიული კიბის საფეხურების აუცილებელ გავლას. 1970-იანი წლებიდან ქვეყნის უმაღლესი ელიტა შევსებას იღებს არა ქვედა საფეხურებიდან, არამედ ელიტური სკოლების მიერ მომზადებული კადრებიდან (ასეთები იყო: სკკპ-ის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი პარტიული სკოლა, პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლა, კომკავშირის უმაღლესი სკოლა, დიპლომატიური აკადემია, საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი). ელიტურ სკოლებში, როგორც წესი, „ელიტარულთა" შვილები სწავლობდნენ.

ბრეჟნევის გენერალური მდივნობის პერიოდში უმაღლესი ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტი და მისი აპარატი იყო. 1960-იანი წლების მეორე ნახევარში ძირითად გადაწყვეტილებებს იღებდნენ პლენუმებზე, შემდეგ კი გადაწყვეტილებების მიღება სულ უფრო მეტად ხდებოდა ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში.

ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელ პირთა საერთო რიცხვი 1500-ს აღნევდა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და პარტიულ ყრილობებს რეგულარულად ინვევდნენ, მაგრამ სულ უფრო მეტად ფორმალურ ხასიათს იღებდა მათი მუშაობა, მხოლოდ „იწონებდნენ" აპარატის მიერ მომზადებულ გადაწყვეტილებებს.

ცენტრალური კომიტეტის აპარატის და თავად ცენტრალური კომიტეტის შევსების მექანიზმი 1970-იანი წლების ბოლოსთვის „სრულყოფილებამდე" იყო მიყვანილი. აპარატში გარკვეულ პროპორციას იცავდნენ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების, მხარეებისა და ოლქების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, მეცნიერებისა და ხელოვნების, სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები. ასეთი სიტუაცია ხელსაყრელი იყო რეგიონებისა და დარგების ლობირებისათვის.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი მმართველი ფენა, ნომენკლატურის პრივილეგიების ზრდა

საბჭოთა კავშირში ხელისუფლების უმაღლეს რგოლს შეადგენდა დაახლოებით 1000 ადამიანი მოსკოვში და დაახლოებით 3 ათასი მთელ საბჭოთა კავშირში. მასში შედიოდნენ სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო, უმსხვილესი სამინისტროების (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო) ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების, საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნები, სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები და კანდიდატები, რომელთაც ამავე დროს სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავათ ქვეყნის მასშტაბით.

„უძრაობის ხანა“ „განვითარებულ სოციალიზმში“ ნომენკლატურის პრივილეგიების აყვავების ხანა იყო. ნომენკლატურას კვლავ ჰქონდა სახელმწიფო აგარაკები, სპეცმომარაგება, სპეცმკურნალობა, სპეცტრანსპორტი და ა.შ., მაგრამ „სახელისუფლო საკუთრების“ ყველა ეს ატრიბუტი არ გადადიოდა პირად საკუთრებაში და არ გადაეცემოდა მემკვიდრეობით.

ბრეჟნევის დროს ნომენკლატურამ მიიღო უსაფრთხოების გარანტიები, ამიტომ ამ ფენამ დაიწყო აქტიური ზრუნვა საკუთარი ნათესავებისა და შთამომავლობის უზრუნველი ცხოვრების მისაღწევად. ამ ფენის უმეტესობა არ ცხოვრობდა „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსით“.

ჩვეულებრივი ამბავი გახდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მისწრაფება, ნათესავები მოეწყოთ „კარგ“ ადგილებზე, ელიტურ უმაღლეს სასწავლებელში და ა.შ. ამაში მაგალითის მიმცემი იყვნენ უმაღლესი თანამდებობის პირები. ბრეჟნევის ვაჟი დაინიშნა საგარეო ვაჭრობის მინისტრის 1-ლ მოადგილედ (1983 წელს გაათავისუფლეს თანამდებობიდან), ბრეჟნევის სიძე გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ანდროპოვის ვაჟს 1979 წლიდან წარმატებული კარიერა ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1984 წელს გახდა ელჩი საბერძნეთში.

გვიანი „განვითარებული სოციალიზმის“ ნლებში ყველაზე კორუმპირებული იყო შუა აზიის რესპუბლიკები, სადაც ჩინოვნიკებისთვის ქრთამის მიცემის მთელი სისტემა იყო. დაიწყო პარტიული და სახელმწიფო აპარატის შეზრდა ჩრდილოვან ეკონომიკასთან. ამ უკანასკნელის მასშტაბები სწრაფად იზრდებოდა. გვიანდელი პერიოდის შეფასებით, 1970-იანი ნლების შუახანებში ჩრდილოვანი ეკონომიკის ხელში იყო მშრომელთა შემოსავლების ერთი მეშვიდედი, 1980-იანი ნლების დასაწყისში – 18%, 1985 წელს – 21%, 1989 წელს – 25%.

ეს ყველაფერი ხდებოდა ფსევდოკომუნისტური პროპაგანდის ფონზე, განუწყვეტლივ ხდებოდა კომუნისტური საზეიმო თარიღების აღნიშვნა და დაჯილდოებები, ლაპარაკობდნენ „განვითარებული სოციალიზმის“ წარმატებებზე და ა.შ.

თავი XLI.

საგარეო პოლიტიკა: ბრეჟნევის დოქტრინა

XX საუკუნის 60-80-იანი წლების საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას მის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ ე.წ. „ბრეჟნევის დოქტრინას", რაც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის უფლებას, ჩარეულიყო სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში, თუკი საფრთხე შეექმნებოდა სოციალისტურ რეჟიმებს ამ ქვეყნებში. ეს იყო „შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინა", ანუ სოციალიზმის, როგორც მსოფლიო სისტემის, ინტერესები უფრო მნიშვნელოვნად ცხადდებოდა, ვიდრე რომელიმე სოციალისტური ქვეყნის სუვერენიტეტი.

ტერმინი „ბრეჟნევის დოქტრინა" პოლიტიკურ ლექსიკონში შემოიტანეს დასავლეთელმა პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, როდესაც ახასიათებდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას 1960–1980-იან წლებში. ტერმინი „ბრეჟნევის დოქტრინა" საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დოკუმენტებში არასოდეს გამოუყენებიათ, თუმცა არც როდესმე გაუპროტესტებიათ, როდესაც დასავლეთელი პოლიტიკოსები და ექსპერტები ამ ტერმინს იყენებდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას.

დოქტრინის არსი ისაა, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია ჩაეროს სოციალისტური ბლოკის შემადგენლობაში მყოფი ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში იმისათვის, რათა უზრუნველყოს სოციალიზმის ინტერესების დაცვა. ამ პრინციპის შესაბამისად საბჭოთა კავშირი ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდშიც მოქმედებდა (მაგალითად, უნგრეთი 1956 წელს), მაგრამ საკითხის „თეორიული გააზრება" და „დასაბუთება" საბჭოთა იდეოლოგებმა საჭიროდ ჩათვალეს 1968 წელს ჩეხური „გაზაფხულის" ჩახშობის შემდეგ.

41.1. პრაღის გაზაფხული და საბჭოთა ინტერვენცია

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას საშიშად მიაჩნდა „პრაღის გაზაფხული", რომელიც გულისხმობდა სოციალიზმის მშენებლობას „ადამიანური სახით". სოციალიზმის ამგვარი ხედვა ანგრევდა მარქსიზმ-ლენინიზმის საბჭოურ მოდელს, უარყოფდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში.

ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაცია უკავშირდება ალექსანდრე დუბჩეკის სახელს, რომელიც 1968 წლის 5 იანვარს აირჩიეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად. მას მრავალი წელი საბჭოთა კავშირში ჰქონდა გატარებული, ბრეჟნევი პირადად იცნობდა და ენდობოდა, თუმცა დუბჩეკი რეფორმების მომხრე აღმოჩნდა. პრესამ და ტელევიზიამ ჩეხოსლოვაკიაში მიიღო შედარებითი თავისუფლება, ძალოვანი სტრუქტურებიდან გაათავისუფლა ის პირები, რომლებიც ადრე რეპრესიებს ახორციელებდნენ. ამ ცვლილებებით დუბჩეკმა მოიპოვა ინტელიგენციისა და სტუდენტების მხარდაჭერა.

მოსალოდნელი იყო, რომ სტალინიზმის კრიტიკას გარდაუვლად მოჰყვებოდა ურთიერთობის გადახედვა საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ასევე ჩეხოსლოვაკიის გასვლა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან. ეს საკითხები უკვე განიხილებოდა ჩეხოსლოვაკიის პრესაში. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას ეშინოდა, რომ „პრაღის გაზაფხული" გადაედებოდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, ასევე ბალტიის რესპუბლიკებს, უკრაინას და ბელორუსიას.

გდრ-ის, პოლონეთისა და უნგრეთის (ულბრიხტი, გომულკა, კადარი) კომუნისტი

ლიდერები გრძნობდნენ საფრთხეს და საჭიროდ მიიჩნევდნენ სამხედრო ინტერვენციას. საბჭოთა კავშირის რიგი მოღვაწეები (პოდგორნი, შელეპინი, ანდროპოვი, გრომიკო) უკვე 1968 წლის მარტ-აპრილში თვლიდნენ, რომ საჭირო იყო სამხედრო შეჭრის მომზადება. ბრეჟნევი და პოლიტბიუროს უმრავლესობა მერყეობდა. ჩეხოსლოვაკიის ამბებს აღიქვამდნენ, სტალინური იდეოლოგიის შესაბამისად, როგორც „ანტისაბჭოთა მემარჯვენე-რევიზიონისტული ძალების" გამარჯვებას, მაგრამ სტალინური მეთოდებით მოქმედებას უფრთხოდნენ და დასავლეთის რეაქცია აფიქრებდათ.

მოსკოვიდან აფრთხილებდნენ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფალთ, რომ რეფორმები შეეწყვიტათ. 29 ივნის – 3 აგვისტოს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე ბრეჟნევი შეხვდა დუბჩეკს და უკანასკნელად მოსთხოვა რეფორმების შეწყვეტა. თითქოს შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ უკვე 15 აგვისტოს ტელეფონით საუბრის დროს ბრეჟნევმა დუბჩეკს ბრალი დასდო, რომ მოატყუა.

უშიშროების (კგბ) უფროსი ანდროპოვი და საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ჩერვონენკო წერილს ნერილზე უგზავნიდნენ ბრეჟნევს, რომ „ჩეხოსლოვაკიას" კარგავდნენ, შედეგად რუმინეთიც გავიდოდა ვარშავის ხელშეკრულებიდან, ორგანიზაცია საერთოდ დაიშლებოდა და ბრეჟნევიც, უმოქმედობის შემთხვევაში, დაკარგავდა პოსტს.

1968 წლის 21 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შევიდა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის 24 დივიზია. ძირითადი სამხედრო კონტინგენტი საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა (500 ათასამდე ჯარისკაცი და 5 ათასამდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა). სამხედრო ინტერვენციის მიზანი იყო საბჭოთა კავშირისთვის არასასურველი ხელისუფლების შეცვლა ჩეხოსლოვაკიაში. 1968 წლის 8 სექტემბრისათვის საბჭოთა დანაკარგმა, დახოცილთა სახით, 61 სამხედრო პირი შეადგინა, აქედან 11 ოფიცერი იყო, დაიჭრა 232 ადამიანი. მწყობრიდან გამოვიდა 1 ტანკი, 1 ვერტმფრენი, 1 თვითმფრინავი, 43 მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი.

საბჭოთა ინტერვენციის შედეგად ჩეხოსლოვაკიაში გაქრა რუსეთის მიმართ არსებული სიმპათია და გაბატონდა ანტირუსული განწყობა. მსოფლიოს თვალში საბჭოთა კავშირი წარმოდგა აგრესორად. გაქრა კომუნიზმისა და დემოკრატიის შეთავსების იმედები. რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიები.

„პრაღის გაზაფხულის" ჩახშობამ და დასავლეთის აშკარა უძლურებამ, თავიდან აეცილებინა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია, ბრეჟნევს არნახული თავდაჯერება შესძინა. მას მოსწონდა, რომ „მოწინააღმდეგე სისხლისღვრის გარეშე შეაშინეს", არაფრად აგდებდა დასავლეთის საპროტესტო რეაქციას და თვლიდა, რომ „ერთი-ორი თვე გავა და კვლავ მოგვისმენენ".

უხეში ძალის დემონსტრირებამ საბჭოთა კავშირში გააძლიერა ე. წ, „კონსერვატორები", რომლებიც სტალინის მეთოდებისკენ იხრებოდნენ. იდეოლოგიურ რეაქციას წარმართავდა მ. სუსლოვი.

41.2. „ბრეჟნევის დოქტრინის" არსი

ტერმინი „ბრეჟნევის დოქტრინა" დასავლეთის პოლიტიკურ ლექსიკონში გაჩნდა ლეონიდ ბრეჟნევის გამოსვლის შემდეგ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეხუთე ყრილობაზე 1968 წლის 12 ნოემბერს.

სწორედ ეს მიდგომა იყო იდეოლოგიური დასაბუთება 1968 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარების ჩარევისა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით. იმდროინდელი საბჭოური იდეოლოგიის თანახმად, ეს იყო „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის" გამოყენება და საბჭოთა

კავშირი, უბრალოდ, ვალდებული იყო, „დახმარებოდა" მოძმე ერს „სოციალიზმის მონაპოვრების დაცვაში".

საბჭოთა ბანაკის ოფიციალური იდეოლოგიის – მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო ინტერვენციის თეორიული დასაბუთების აუცილებლობას მოსკოვის იმდროინდელი მმართველი რეჟიმი საჭიროდ მიიჩნევდა. 1968 წლის 26 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარ ორგანოში, გაზეთ „პრავდაში" დაიბეჭდა ს. კოვალიოვის სტატია „სუვერენიტეტი და სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური ვალდებულებები", რომელსაც დასავლეთის სოვეტოლოგები მიიჩნევდნენ „შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინის" განმარტებად.[1]

აღნიშნული დოქტრინის დასაბუთება კი, რა თქმა უნდა, ყველაზე შთამბეჭდავად კომუნისტური პარტიის ლიდერმა ლეონიდ ბრეჟნევმა განახორციელა. რა თქმა უნდა, მის მიერ პოლონეთის მუშათა პარტიის ყრილობაზე წაკითხული სიტყვა დაწერილი იყო იმდროინდელი საბჭოთა თეორეტიკოსების მიერ, რომელთა შორისაც შეიძლება ს. კოვალიოვიც შედიოდა.

ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ სოციალიზმის მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებებიდან გადახვევა შეიცავს კაპიტალისტური წყობილების რესტავრაციის საფრთხეს და როდესაც სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი შინაგანი და გარეშე ძალები ცდილობენ, რომელიმე სოციალისტური ქვეყნის განვითარება წარმართონ კაპიტალისტური წყობილების რესტავრაციის გზით, ეს უკვე არა მხოლოდ ამ ქვეყნის, არამედ მთელი სოციალისტური სისტემის პრობლემა ხდება. შესაბამისად, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს სამხედრო დახმარებაც სოციალიზმისათვის შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად.

> პოლონეთია გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობაზე სოციალიზმის დასაცავად სამხედრო დახმარების განევის აუცილებლობა შემდეგნაირად არის ახსნილი ლ. ბრეჟნევის გამოსელაში:
>
> „კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირმა ბევრი რამ გააკეთა სოციალისტური ქვეყნების სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის რეალური განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის იყო იმის მომხრე, რომ თითოეული სოციალისტური ქვეყანა განსაზღვრავდეს სოციალიზმის გზით თავისი განვითარების კონკრეტულ ფორმებს თავისი ეროვნული პირობების სპეციფიკის სრული გათვალისწინებით, მაგრამ ცნობილია, ამხანაგებო, რომ არსებობს სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებანიც და ამ კანონზომიერებებისაგან გადახვევას შეიძლება მოჰყვეს თვით სოციალიზმისაგან გადაბოვევა. და როცა სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი შინაგანი და გარეშე ძალები ცდილობენ, რომელიმე სოციალისტური ქვეყნის განვითარება წარმართონ კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაციის გზით, როცა ამ ქვეყანაში საფრთხე ექმნება სოციალიზმის საქმეს, საფრთხე ექმნება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროებას, ეს უკვე ხდება არა მარტო ამ ქვეყნის ხალხის პრობლემა, არამედ ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო პრობლემაც, საერთო საზრუნავი. (ტაში)
>
> რა თემა უნდა, იცეთი აქცია, როგორიც არის მოძმე ქვეყნისადმი სამხედრო დახმარება სოციალისტური წყობილებისათვის შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად, საგანგებო, იძულებითი ღონისძიებაა, იგი შეიძლება გამონვეული იყოს მხოლოდ სოციალიზმის შინაგანი და გარეგანი მტრების პირდაპირი მოქმედებით, მოქმედებით, რომელიც საფრთხეა უქმნის სოციალიზმის ბანაკის საერთო ინტერესებს.
>
> გამოცდილება ცხადყოფს, რომ დღევანდელ პირობებში სოციალისტური წყობილების გამარჯვება ამა თუ იმ ქვეყანაში შეგვიძლია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებად მივიჩნიოთ, ხოლო კაპიტალიზმის რესტავრაცია შეიძლება გამორიცხულად მივიჩნიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პარტია, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა, მტკიცედ ახორციელებს მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებაში; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტია დაუცხრომლად განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვას, მისი რევოლუციური მონაპოვრების დაცვას, თუ თვითონაც ფხიზლად არის და ხალხსაც უნერგავს სიფხიზლეს კლასობრივი მტრის მიმართ, შეურიგებლობას ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნმიდად იცავს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპს, განამტკიცებს ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. (ხანგრძლივი ტაში.)...

[1] იუგოსლავიის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა იოსებ ბროზ ტიტომ ახალ საბჭოთა დოქტრინას უწოდა „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინა", „http://uchebnik-besplatno.com/uchebnik-mejdunarodnie-otnosheniya/doktrina-brejneva.html"&

იცოდეს ყველამ, ვინც ივიწყებს ისტორიის გაკვეთილებს და ვისაც უნდა, კვლავ მოჰკიდოს ხელი ევროპის რუკის გადაკეთებას, რომ პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ისე როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სხვა ქვეყნის საზღვრები ურყევი და ხელშეუხებელია (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში.). ამ საზღვრებს იცავს სოციალისტური თანამეგობრობის მთელი შეიარაღებული ძალა. ვურჩევთ, კარგად დაიხსომოს ეს ყველამ, ვისაც სხვისი საზღვრების ხელყოფა სჩვევია!"

ლ.ი.ბრეჟნევი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, სიტყვები და სტატიები, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1974,144-146.

Брежнев Л. И., Ленинским курсом, т. II, М., 1970, 329-330.

41.3. მშვიდობიანი თანაარსებობა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი

„ბრეჟნევის დოქტრინა", რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს ემყარებოდა, აღიარებდა საბჭოთა კავშირის უფლებას, ჩარეულიყო მოკავშირე სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებითაც.

1977 წლის 7 ნოემბერს ბრეჟნევის მმართველობის დროს მიღებულ საბჭოთა კავშირის ბოლო კონსტიტუციაში სპეციალური თავი შეიტანეს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ნაწილია, ხოლო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი გარდაქმნილი იყო სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპად. ეს კიდევ უფრო აადვილებდა ძალის გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რადგანაც მას უკვე კონსტიტუციური საფუძვლები ჰქონდა. 1979 წელს საბჭოთა კავშირმა ჯარები შეიყვანა ავღანეთში, თუმცა ეს უკანასკნელი არ ყოფილა სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას ბრეჟნევის დროს საფუძვლად ედო კიდევ ერთი პრინციპი – მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც გულისხმობდა დასავლეთის სამყაროსთან სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილებას ატომური იარაღის არსებობის პირობებში. შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი პირველ ადგილზე იდგა, რადგანაც მეტ-ნაკლებად უკვე გაცნობიერებული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ ბირთვული ომის დამღუპველი შედეგები.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი გულისხმობდა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, საერთაშორისო დავების მშვიდობიან მოგვარებას; მეორე მხრივ, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპს, რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას ამართლებდა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში ამ ორი პრინციპის შეთავსებით მკვიდრდებოდა თავისებური წინააღმდეგობა კლასობრივ და სახელმწიფოებრივ მიდგომებს შორის.

გ. ზიუგანოვი აკრიტიკებს ბრეჟნევის დროინდელ საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ დოქტრინას, რაზეც დამღუპველ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს იდეოლოგიზება. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა დახმარებას უწევდა „მესამე სამყაროს" ყველა რეჟიმს, ვინც კი განაცხადებდა „სოციალისტური ორიენტაციის" აღების თაობაზე. ზიუგანოვის თქმით, „ბრეჟნევის დოქტრინა" მოკლებული იყო ჯანსაღ სახელმწიფოებრივ პრაგმატიზმს და ამას გარდაუვლად მოსდევდა კოლოსალური ხარჯები, ამასთან, ხშირად სრულიად უაზრო. რიგი ქვეყნებისა ადვილად გადადიოდნენ „სოციალისტური ორიენტაციიდან" კაპიტალისტურზე, თუკი აშშ უფრო მეტ ფულს შესთავაზებდა.

ბრეჟნევის დოქტრინას უპირისპირდებოდა დასავლური საგარეო-პოლიტიკური დოქტრინები, მაგალითად, ტრუმენის, ეიზენჰაუერის, ნიქსონის დოქტრინები. თეორიულად ეს დოქტრინები ემყარებოდა პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებს, რომელთაც ავითარებდნენ ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსები ჰანს მორგენთაუ და ჯორჯ კენანი.

კენანმა, მაგალითად, შეიმუშავა კომუნიზმის შეკავების დოქტრინა, რომელიც რეალურად იქცა კომუნიზმის უკუგდების დოქტრინად. პოლიტიკური რეალიზმის აქტიური მომხრეები იყვნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივნები – კისინჯერი და კრისტოფერი. ისინი თვლიდნენ, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა გავლენისათვის და სახელმწიფო თავის მიზნებს აღწევს ან შეგუებით, ანდა თავისი ნების სხვებისთვის თავსმოხვევით.

1970-იან წლებში მოხდა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის „დათბობა". ორ ქვეყანას შორის დაიდო მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები შეიარაღების ზრდის შეჩერების მიმართულებით – რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეზღუდვის, სტრატეგიული ბირთვული იარაღის შეზღუდვის ორი ხელშეკრულება. დაძაბულობის შენელების მწვერვალი იყო 1973 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომლის დასკვნით აქტს ხელი მოეწერა 1975 წელს ჰელსინკში.

41.4. საბჭოთა კავშირის აფრიკული ავანტიურები

1970-იანი წლების შუახანებიდან საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტად ეფლობოდა მესამე სამყაროში. იდეოლოგიური პოსტულატები („ინტერნაციონალური მოვალეობა", „ანტიიმპერიალისტური ბრძოლა") ამკვიდრებდა ვარაუდს, რომ საბჭოთა კავშირს შეეძლო აშშ-ის შევიწროება და გლობალურ ძალად გადაქცევა. საბჭოთა კავშირის ამგვარ მისწრაფებებს ხელს უწყობდა ისიც, რომ აშშ-ში ვიეტნამის ომში დამარცხების შემდეგ გაიზარდა იზოლაციონისტური განწყობილება და აშშ-ის კონგრესმა აკრძალა თანხების გამოყოფა მესამე სამყაროს ქვეყნებში საომარი მოქმედებების საწარმოებლად. კრემლში კი ეს შეაფასეს, როგორც ძალთა თანაფარდობის შეცვლა „სოციალიზმის" სასარგებლოდ.

ბრეჟნევისა და მისი თანაშემწეების ყურადღება კვლავ დასავლეთისკენ იყო მიმართული, მაგრამ КГБ, რუსი სამხედროები სულ უფრო მეტად ითხოვდნენ აფრიკაში საბჭოთა „ყოფნის" გაძლიერებას. აფრიკაში იზრდებოდა ანტიდასავლური და მემარცხენე-რადიკალური ძალები. 1970 წლიდან КГБ-მ მიიღო აფრიკის სამხრეთში ოპერაციების ჩატარების უფლება. აქ საბჭოთა კავშირის მთავარ მოკავშირედ გამოდიოდა აფრიკული ნაციონალური კონგრესი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში თეთრკანიანთა ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა.

1974 წელს პორტუგალიაში რევოლუციის შემდეგ მისი აფრიკული კოლონიები – ანგოლა და მოზამბიკი „დამოუკიდებელი განვითარების" გზას დაადგნენ. საბჭოთა კავშირი მანამდეც უჭერდა მხარს მემარცხენე-მარქსისტულ ორგანიზაციას – „სახალხო მოძრაობა ანგოლის განთავისუფლებისათვის", რომელსაც სათავეში ედგა აგუსტინიო ნეტო. აშშ აქეზებდა სამხრეთ აფრიკას, რომ მხარი დაეჭირათ ანგოლაში იმ დაჯგუფებებისათვის, რომლებიც ნეტოს ორგანიზაციას შეებრძოლებოდნენ.

ბრეჟნევი და გრომიკო თავიდან წინააღმდეგი იყვნენ ანგოლის საქმეებში აქტიური ჩარევისა, – ეშინოდათ, რომ ამას მოჰყვებოდა აშშ-თან დაპირისპირება და „დაძაბულობის შენელების" შეჩერება. მაგრამ ჩარევას მხარს უჭერდნენ სამხედროები, უსტინოვით სათავეში, КГБ და ცენტრალურ კომიტეტში აფრიკის ექსპერტები. ანგოლაში აქტიური ჩარევის მომხრე, მოსკოვისგან დამოუკიდებლად, იყო ფიდელ კასტრო, რომელსაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ნეტოსთან.

საბჭოთა ხელმძღვანელობას ორი კურდღლის დაჭერის ცდუნება გაუჩნდა: ერთი კუბასთან ურთიერთობის განმტკიცებისა და, მეორე, სამხრეთ აფრიკაში პოზიციების გაძლიერებისა. 1976 წლის გაზაფხულზე კუბის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებული იარაღით და მხარდაჭერით გამარჯვება მოიპოვეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებზე. პირველად ისტორიაში საბჭოთა სამხედროებმა სხვისი ხელებით შეძლეს აშშ-ის სატელიტების დამარცხება საბჭოთა კავშირიდან ათასობით კილომეტრზე. საბჭოთა და კუბელ-

მა ინსტრუქტორებმა ბანაკები მოაწყვეს ანგოლასა და მოზამბიკში სამხრეთაფრიკელი პარტიზანების მოსამზადებლად და აპარტეიდული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ანგოლაში გამარჯვებამ კრემლს უფრო გაუძლიერა თვალსაზრისი, რომ ვიეტნამში კრახის შემდეგ (1975 წელს კომუნისტურმა ჩრდილოეთ ვიეტნამმა გაანადგურა პროამერიკული სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმი და საიგონიც აიღო) ამერიკელები უკან იხევდნენ მესამე სამყაროში და შესაძლებელი იყო იქ კომუნისტების შეტევაზე გადასვლა. გარდა ამისა, აფრიკაში აშშ-ის მთავრობა სახელგატეხილი იყო სამხრეთ აფრიკის აპარტეიდული რეჟიმის მხარდაჭერის გამო.

აფრიკაში წარმატება გარკვეული კომპენსაცია იყო კრემლისთვის ახლო აღმოსავლეთში განცდილი მარცხის შემდეგ. 1974 წელს ეგვიპტის ლიდერმა ანვარ სადათმა პრომოსკოვური კურსი პროამერიკულით შეცვალა. საბჭოთა კავშირმა უშედეგოდ დაკარგა მრავალი ათეული მილიარდი დოლარის დახმარება, რაც ეგვიპტეს გაეწია 1955 წლიდან. ბრეჟნევი, КГБ და სამხედროები მძიმედ განიცდიდნენ ამ მარცხს, მაგრამ მას დროებით ნარუმატებლობად მიიჩნევდნენ. ერაყში, სირიასა და იემენში კრემლი აგრძელებდა რადიკალურ-ნაციონალისტური არაბული რეჟიმების მხარდაჭერას იმის იმედით, რომ ისინი „სოციალიზმისკენ" მიდიოდნენ და დროთა განმავლობაში იქ მარქსისტულ-ლენინური ძალებიც მოვიდოდნენ ხელისუფლებაში. სომალიში, სადაც დიქტატორი სიად ბარე იყო ხელისუფლების სათავეში, საბჭოთა კავშირს ჰქონდა სამხედრო-საზღვაო ბაზა ქ. ბერბერაში და სამხედრო აეროდრომები.

1977 წელს საბჭოთა სამხედროები, КГБ და კუბელები ჩართულნი აღმოჩნდნენ კიდევ ერთ რეგიონულ კონფლიქტში აფრიკის ტერიტორიაზე. ამჯერად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოსკოვის მოკავშირეები: ეთიოპია და სომალი. ეთიოპიაში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო მაიორმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა, რომელიც ეთიოპიის „მარქსისტულ რევოლუციურ პარტიას" ედგა სათავეში, მან განაცხადა, რომ იხელმძღვანელებდა „მეცნიერული სოციალიზმის" პრინციპებით და გააჩაღა წითელი ტერორი. ეთიოპია ნანილებად იშლებოდა. აშშ-მა ეკონომიკური დახმარება შეუწყვიტა, საბჭოთა კავშირი კი „ეთიოპიის რევოლუციის" მთავარი სპონსორის როლში გამოვიდა.

ეთიოპიას თავს დაესხა მეზობელი სომალი და ცდილობდა ეთიოპიის ტერიტორიის ნანილის დაპყრობას იმ მოტივით, რომ იქ სომალელები ცხოვრობდნენ. ბრეჟნევმა ეთიოპიას დაუჭირა მხარი. საჰაერო ხიდით ეთიოპიას მიაწოდეს, დასავლური გათვლით, 600 ტანკი, 400 საარტილერიო ქვემეხი, 40 გამანადგურებელი მიგ-21, 26 ვერტმფრენი და სხვ. გაიგზავნა 1500 საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორი. ეთიოპიაში საბჭოთა ავიაციის მეშვეობით გადაისროლეს კუბელთა სამხედრო კონტინგენტიც, რომელიც სომალელებთან ბრძოლაში ჩაება. საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა საბჭოთა გენერალი ვ. პეტროვი. საპასუხოდ 1977 წლის ნოემბერში სომალიმ განყვიტა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, გაუუქმა სამხედრო ბაზები და მხარდაჭერის ძიება დასავლეთში დაიწყო.

აფრიკული ავანტიურები საბჭოთა კავშირს ძვირი უჯდებოდა. ანგოლას, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შემოსავალი ჰქონდა, საბჭოთა კავშირის 2 მილიარდი დოლარი ემართა, ეთიოპიის სამხედრო დახმარება საბჭოთა კავშირს 1 მილიარდი დოლარი დაუჯდა, გარდა ამისა, ეთიოპიას მისცა 2,8 მილიარდი დოლარის კრედიტები.

41.5. საბჭოთა ექსპანსია ლათინურ ამერიკაში

საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას კუბასთან მოჰყვა ამ ქვეყნისთვის დახმარების ზრდა, რამაც წელიწადში 5 მილიარდ დოლარს მიაღწია. კარიბის კრიზისის (1962) შემდეგ კრემლის ლიდერებმა უარი თქვეს ლათინურ ამერიკაში მემარცხენე-რადიკალური მოძრაობების მხარდაჭერაზე, რადგანაც აშშ-თან შეტაკების ეშინოდათ, მაგრამ 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან კუბელები შუამავლის როლში გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირსა

და ლათინურამერიკელ რევოლუციონერებს შორის, მათ აძლევდნენ საბჭოთა კავშირიდან მიღებულ იარაღსა და ფულს.

1979 წლის ივლისში ნიკარაგუაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი, რომელსაც სათავეში ედგნენ ქარიზმატული ლიდერები – დანიელ და უმბერტო ორტეგები. თავიდან მოსკოვში ეშინოდათ, რომ აშშ მოაწყობდა „იმპერიალისტურ ინტერვენციას", მაგრამ 1981 წელს ხელისუფლებაში მოსულმა რონალდ რეიგანმა ინტერვენციის ნაცვლად დაიწყო საიდუმლო ომი სანდინისტების წინააღმდეგ, მხარს უჭერდა მათ მონინააღმდეგეებს, რომელთაც ბაზები ჰქონდათ მეზობელ ჰონდურასში. 1981 წლის ნოემბერში ბრეჟნევმა დანიელ ორტეგა კრემლში მიიღო. ნიკარაგუას გაეწია პირდაპირი სამხედრო დახმარება. კრედიტების ოდენობამ კი 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. 1982–1984 წლებში საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტად ეფლობოდა ნიკარაგუაში მიმდინარე ომში. ეს ზრდიდა აშშ-ში ანტისაბჭოთა განწყობას, განსაკუთრებით სამხრეთის შტატებში, სადაც დიდი იყო ლათინური მოსახლეობის რიცხვი.

41.6. ომი ავღანეთში

საბჭოთა ხელმძღვანელობის უდიდესი საგარეო-პოლიტიკური შეცდომა იყო ომი ავღანეთში. მანამდე საბჭოთა კავშირი აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში იბრძოდა „სხვისი ხელებით", მხოლოდ იარაღის მიწოდებით და სპეციალისტთა გაგზავნით კმაყოფილდებოდა. საბჭოთა არმიის შეჭრა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ვარშავის ხელშეკრულების შიდა საქმე იყო. ამიტომ ავღანეთში საბჭოთა არმიის შეჭრა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

1979 წლის 25 დეკემბერს ავღანეთის ტერიტორიაზე შეიყვანეს საბჭოური „შეზღუდული სამხედრო კონტინგენტი". გადაწყვეტილება მიიღეს ბრეჟნევმა და საბჭოთა ხელმძღვანელობაში რამდენიმე პიროვნებამ. პოლიტბიუროს 12 დეკემბრის სხდომაზე, სადაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება, ბრეჟნევი უაღრესად ცუდად გრძნობდა თავს. ავღანეთში შეჭრის გეგმა უსტინოვსა და ანდროპოვს ეკუთვნოდათ. მთავრობის ზოგიერთმა წევრმაც კი ამის შესახებ გაზეთებიდან გაიგო.

ავღანეთში გაიგზავნა 75-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი. თავდაცვის მინისტრი უსტინოვი პირობას დებდა, რომ სამხედროებს ავღანეთში ორ-სამ თვეს მოუხდებოდათ ყოფნა, სინამდვილეში კი ომი 8 წელს გაგრძელდა. კრემლში ფიქრობდნენ, რომ ავღანეთში მოსკოვზე ორიენტირებულ რეჟიმს განამტკიცებდნენ, სინამდვილეში კი 1980 წლის ზაფხულისათვის მთელი ავღანეთი საბჭოთა ინტერვენციისადმი მტრულად იყო განწყობილი და აჯანყებამ მოიცვა.

აშშ და დასავლეთ ევროპა საბჭოთა აგრესიამ გააოგნა. პრეზიდენტი კარტერი და მისი თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების დარგში ზბიგნევ ბჟეზინსკი თვლიდნენ, რომ მოსკოვი ცდილობდა სპარსეთის ყურეზე გასვლას, სადაც ნავთობის მნიშვნელოვანი საბადოები იყო. აშშ-ის მთავრობამ ეკონომიკური სანქციები დაუწესა საბჭოთა კავშირს, დასავლეთმა ბოიკოტი გამოუცხადა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას.

ავღანეთში შეჭრას საბჭოთა კავშირში პროტესტი მხოლოდ ცალკეული პირების მხრიდან მოჰყვა. მათ შორის იყო აკადემიკოსი სახაროვი. 1980 წლის 8 იანვარს პოლიტბიურომ დაადგინა, რომ სახაროვს ჩამორთმეოდა აკადემიკოსის წოდება, ყველა ჯილდო და გადაასახლეს ქალაქ გორკიში (ნიჟნი ნოვგოროდში), რომელიც დახურული იყო უცხოელებისთვის.

ოფიციალური მონაცემებით, ავღანეთში მიმდინარე ომის დროს დაიღუპა დაახლოებით 14 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი, დაიჭრა 35 ათასი, დაიკარგა ან ტყვედ ჩავარდა 300-ზე მეტი ჯარისკაცი. ავღანელთა საერთო დანაკარგებმა შეადგინა დაახლოებით 1 მლნ. ადამიანი.

ავღანეთში ომმა მნიშვნელოვნად შეარყია საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. მას მოჰყვა ასევე გამალებული შეიარაღების ახალი ტალღა, რამაც საბჭოთა კავშირის ეკონომიკა უაღრესად რთულ პირობებში ჩააყენა.

41.7. ბრეჟნევის დოქტრინის კრახი. 1980-1981 წლების რევოლუცია პოლონეთში

1970-იანი წლების ბოლოს მკვეთრად გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა პოლონეთში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი სატელიტი იყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად პოლონეთის მთავრობამ გაზარდა ექსპორტი, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა. ამან თავად პოლონეთში სასურსათო კრიზისი გამოიწვია, ხორცზე ფასების გაზრდას კი 1980 წლის ზაფხულში გაფიცვების ტალღა მოჰყვა. გდანსკში გაფიცულთა ლიდერი გემთმშენებელი ქარხნის მუშა ლეხ ვალენსა გახდა. შეიქმნა „სოლიდარობის" მოძრაობა, რომელმაც მთელი პოლონეთი მოიცვა.

პოლონეთის ამბებმა შეაშფოთა აღმოსავლეთ ევროპის რეჟიმები. სოციალისტური ქვეყნების ლიდერები, მათ შორის რუმინეთის ლიდერი ჩაუშესკუ, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისგან მოითხოვდნენ პოლონეთში შეჭრას და იქ „წესრიგის დამყარებას", მაგრამ მოულოდნელად სუსლოვმა, რომელიც პოლონეთის საქმეს კურირებდა, თავიდანვე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია პოლონეთში სამხედრო შეჭრაზე წავიდეს. მას მხარი დაუჭირა ანდროპოვმა, რომელმაც განაცხადა: „უცხოეთში ინტერვენციის კვოტა ამოწურულია". КГБ-ს ხელმძღვანელმა იცოდა, რომ ბრეჟნევს არ უნდოდა „მეორე ავღანეთის" მიღება. გარდა ამისა, პოლონეთში საბჭოთა ჯარის შეყვანის შემთხვევაში შეიძლება დაწყებულიყო აჯანყება.

საბჭოთა ხელმძღვანელობის პოზიციაზე გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპაში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამაც. 1970-იან წლებში მოსკოვი სულ უფრო მეტ ეკონომიკურ რესურსს ხარჯავდა რეგიონში გავლენის შესანარჩუნებლად, საბჭოთა კავშირს კი თავად შეექმნა სერიოზული ეკონომიკური პრობლემები.

1980 წლის ნოემბერში ბრეჟნევმა გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ბულგარეთის ლიდერებს აცნობა, რომ საბჭოთა კავშირი იძულებულია შეამციროს იაფი ნავთობის მიწოდება ამ ქვეყნებისთვის, რათა ის გაყიდოს „კაპიტალისტურ ბაზრებზე" ვალუტის მისაღებად, რითაც პოლონეთის „სახალხო მთავრობას" დაეხმარებოდა, მაგრამ სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ეს მათ ქვეყნებშიც გამოიწვევდა ცხოვრების გაძვირებას და მღელვარების დაწყებას.

საბჭოთა ხელმძღვანელობას ეშინოდა, რომ პოლონეთში შეჭრის შემთხვევაში დასავლეთი ახალ ეკონომიკურ სანქციებს დაანესებდა, რაც თავად საბჭოთა ეკონომიკისთვის იქნებოდა მძიმე. 1980 წლის ბოლოს რომის პაპმა იოანე პავლე II-მ პირადად მიმართა ბრეჟნევს და გააფრთხილა, რომ თავი შეეკავებინა პოლონეთში სამხედრო შეჭრისაგან და პოლონეთის შესაძლო ოკუპაცია შეადარა 1939 წლის რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტს.

კრემლმა, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უარი თქვა პოლონეთში სამხედრო ინტერვენციაზე, თუმცა იმედოვნებდა, რომ პოლონეთის რევოლუციას თავად პოლონეთის ძალებით ჩაახშობდა. 1981 წლის ბოლოს გენერალმა იარუზელსკიმ პოლონეთში შემოიღო სამხედრო წესები, თუმცა განუწყვეტლივ ითხოვდა საბჭოთა კავშირისგან ეკონომიკურ დახმარებას.

1980-1981 წლების კრიზისმა აჩვენა, რომ კომუნისტური იმპერიის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შენარჩუნების პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები ამოწურული იყო.

თავი XLII.

იური ანდროპოვის ხანმოკლე მმართველობა

42.1. ვინ იყო იური ანდროპოვი

12 ნოემბერს, ბრეჟნევის გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიის გენერალურ მდივნად აირჩია იური ანდროპოვი. ის ამ დროს 68 წლის იყო. გარდაცვლილი ბრეჟნევი შეცვალა ფაქტობრივად უკვე მძიმედ ავადმყოფმა ადამიანმა.

იური ანდროპოვის ბიოგრაფიული ცნობები მწირია. ამბობენ, რომ КГБ-ს ხელმძღვანელად ყოფნის დროს თავად იზრუნა საკუთარ ბიოგრაფიასთან დაკავშირებული გარკვეული მასალების გასანადგურებლად. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ებრაული წარმომავლობის დამალვა იყო, რაც ხელს შეუშლიდა კარიერის გაკეთებაში.

იური ანდროპოვი (1914-1984) დაიბადა სტავროპოლის გუბერნიის სტანიცა ნაგუტსკაიაში, შეძლებული ებრაელი იუველირის ოჯახში. იური მალავდა თავის ეთნიკურ წარმომავლობას. ერთ-ერთ ოფიციალურ ანკეტაში წერდა, რომ მისი მშობლები დონელი კაზაკები იყვნენ. სინამდვილეში დედა – ევგენია ფაინშტეინი და მამა – ველვ ლიბერმანი ებრაელები იყვნენ. მამა 1921 წელს გარდაიცვალა და დედამისი ბერძენ ანდროპულოზე გათხოვდა. იური ამ გვარის რუსულ ვარიანტს ატარებდა.

იური ანდროპოვის პარტიული კარიერა 1930-იან წლებში დაიწყო, „სტალინური წმენდის" პერიოდში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ანდროპოვი არ ყოფილა ომის ვეტერანი. მეორე მსოფლიო ომის დროს ის კარელიაში პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებით იყო დაკავებული. 1951 წელს გადაიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ, 1953 წელს – საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1954 წელს ელჩად დაინიშნა უნგრეთში. ანდროპოვის შეხედულებები პოლიტიკაზე დიდწილად ჩამოყალიბდა 1956 წლის უნგრეთის რევოლუციის გავლენით. მან თავის თვალით ნახა, თუ როგორ უსწორდებოდნენ აჯანყებულები კომუნისტებს და უშიშროების თანამშრომლებს. მაშინდელი შიში მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. ანდროპოვი პირველი იყო, ვინც თქვა, რომ საჭირო იყო ბუდაპეშტში საბჭოთა ჯარების შეყვანა. მანვე შეარჩია უნგრეთის ახალი ლიდერი – იანოშ კადარი.

1957 წელს ანდროპოვი გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც სათავეში ჩაუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილებას, რასაც ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. 1967 წლის ივნისიდან ანდროპოვი დაინიშნა КГБ-ს თავმჯდომარედ. ბრეჟნევს სჭირდებოდა სანდო ადამიანი ამ თანამდებობაზე ვლადიმირ სემიჩასტნის ნაცვლად, რომელიც უმაღლეს ხელისუფლებაზე აცხადებდა პრეტენზიას. ანდროპოვს ამ დროისათვის ბრეჟნევი უკვე დარწმუნებული ჰყავდა თავის ლოიალობაში.

1973 წელს გახდა პოლიტბიუროს წევრი. სუსლოვის გარდაცვალების შემდეგ, 1982 წლის თებერვალში, გახდა პარტიის მთავარი იდეოლოგი.

ანდროპოვი დისიდენტების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მომხრე იყო. КГБ-ს თავმჯდომარეობის დროს მთავარ ამოცანად განსხვავებულად მოაზროვნეთა წინააღმდეგ ბრძოლას მიიჩნევდა. მრავალი დისიდენტი გაგზავნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იმ მოტივით, რომ ნორმალური ადამიანი არ შეიძლება იყოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი. იძულებითი „მკურნალობა" კი ჯანმრთელ ადამიანებს ფიზიკურად და სულიერად აავადმყოფებდა. მისი იდეა იყო „ებრაული ფესვების" მქონე დისიდენტების საბჭოთა კავშირიდან გასახლება, მან გაგზავნა აკადემიკოსი სახაროვი გადასახლებაში – მოსკოვიდან გორკიში. მისი ინიციატივით, ალექსანდრე სოლჟენიცინი გააძევეს საბჭოთა კავშირიდან. ამავე დროს, ცდილობდა ინტელექტუალების „მოთვინიერებასაც" და ზოგს სამუშაოდ იწვევდა ცენტრალური კომიტეტის აპარატში. საგარეო პოლიტიკაში, გრომიკოს მსგავსად, სტალინის იმპერიის შენარჩუნებისა და ყველა კონტინენტზე საბჭოთა ყოფნის მომხრე იყო.

პოლიტბიუროს ყველა წევრზე დადიოდა ხმები მათი ებრაული წარმომავლობის შესახებ, გარდა ანდროპოვისა, ლაპარაკობდნენ პოლიტბიუროს ყველა წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, გარდა ანდროპოვისა (სინამდვილეში ანდროპოვს 1960 წლიდან თირკმლების სერიოზული პრობლემები ჰქონდა). სამაგიეროდ ანდროპოვზე დადიოდა ხმები, რომ ის ძალზე განათლებული, მცოდნე და ჯაზით გატაცებული იყო. სინამდვილეში ეს მორიგი ტყუილი იყო, რადგანაც არანაირი განათლება ანდროპოვს არ ჰქონდა. ისე, ანდროპოვი მთელი ცხოვრება ლექსებს წერდა, მაგრამ არავის აჩვენებდა.

42.2. ანდროპოვის ბრძოლა ხელისუფლებისათვის

12 ნოემბერს, ბრეჟნევის გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიის გენერალურ მდივნად აირჩია 68 წლის იური ანდროპოვი. ანდროპოვმა, თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად, ბრეჟნევის მსგავსად, შეითავსა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტები.

ახალი, 1983 წელი საბჭოთა ადამიანებს პირველად მიულოცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვასილი კუზნეცოვმა.[1] ისე, საახალწლო მილოცვით გამოსვლამ ანდროპოვს აღარ მოუწია, საერთოდ, ანდროპოვი იშვიათად ჩნდებოდა ტელეეკრანზე, ამის მიზეზი კი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო. ხელისუფლებაში მოსვლის დროს ანდროპოვი იყო მძიმე ავადმყოფი, 1983 წლის დამდეგიდან ანდროპოვის თირკმლებმა საერთოდ შეწყვიტეს ფუნქციონირება, 1983 წლის ოქტომბერში კი წარუმატებელი ოპერაციის შედეგად მიჯაჭვული აღმოჩნდა საწოლზე და თირკმლის დიალიზის აპარატზე.

[1] 1980-იანი წლების პირველ ნახევარში ვ. კუზნეცოვმა სამჯერ შეასრულა სახელმწიფის ნომინალური ხელმძღვანელის მოვალეობა: ლ. ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ ამ პოსტზე ანდროპოვის არჩევამდე, ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე ჩერნენკოს არჩევამდე. ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ მიხეილ გორბაჩოვის არჩევამდე.

ანდროპოვის რიგი ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ანდროპოვი ქვეყნის მმართველი ვერ გახდებოდა, რომ არა მისი სავარაუდო კონკურენტების გარდაცვალება, თანაც ეჭვი შეაქვთ მათი დაღუპვის ბუნებრივობაში. მაგალითად, საეჭვოდ მიიჩნევენ 1976 წელს თავდაცვის მინისტრის ა. გრეჩკოს გარდაცვალებას; 1978 წელს მოკლული იპოვეს სახლში პოლიტბიუროს ნევრი ფ. კულიკოვი; 1980 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მაშეროვი, თანაც დაიღუპა 10 დღით ადრე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდე, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მისი დანიშვნის საკითხი.

1982 წლის თებერვალში მიხაილ სუსლოვი გამოკვლევაზე დაწვა კრემლის საავადმყოფოში, სადაც მოულოდნელად გარდაიცვალა. 1982 წლის მაისში ანდროპოვი გადაიყვანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე, რომელიც ადრე სუსლოვს ეკავა. ანდროპოვის ხელში იდეოლოგიის საკითხები მოექცა. არსებული წესის მიხედვით, ეს მეორე ადგილი იყო გენერალური მდივნის შემდეგ.

ანდროპოვი აგროვებდა მაკომპრომეტირებელ მასალებს თავის მოწინააღმდეგეებზე. 1982 წლის იანვარში მან რამდენიმე ადამიანი დააპატიმრა ბრეჟნევის ქალიშვილის გალინას გარემოცვიდან.

1982 წლის ოქტომბრის ბოლოს დაიწყო მზადება სკკპ ცკ ნოემბრის პლენუმისათვის. ბრეჟნევის უახლოესი გარემოცვა შემდეგ ამტკიცებდა, რომ ბრეჟნევი საპატიო თავმჯდომარედ დარჩებოდა და რეალური ხელისუფლება გადავიდოდა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნის ვ. შჩერბიცკის ხელში. ბრეჟნევი მოულოდნელად გარდაიცვალა, სასწრაფოდ მოწვეულ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელმაც ანდროპოვი გენერალურ მდივნად აირჩია, შჩერბიცკი ვერ დაესწრო – ის აშშ-ში ვიზიტით იმყოფებოდა და დროზე ვერ დაბრუნდა.

ხელისუფლებაში მოსვლის დროისათვის ანდროპოვს ფაქტობრივად არ დარჩა პოლიტიკური მეტოქე. მისი მთავარი მტერი სუსტი ჯანმრთელობა აღმოჩნდა.

42.3. ანდროპოვის პირველი ღონისძიებები – „წესრიგის დამყარების“ პოლიტიკა

ანდროპოვით ბრეჟნევის ჩანაცვლებას ხალხი გულგრილად შეხვდა, თუმცა ანდროპოვს კარგად ესმოდა ქვეყანაში არსებული ვითარების სიმძიმე და ერკვეოდა რიგითი ადამიანების მოლოდინებშიც. ანდროპოვის პიროვნული თვისებები – ავტორიტარული მმართველობის სტილი, განათლებული პარტოკრატის რეპუტაცია, პირადი მორიდებულობა – პასუხობდა „უბრალო ხალხის“ მოლოდინს, დაემყარებინა წესრიგი ქვეყანაში, აღმოეფხვრა პრივილეგიები, ბოლო მოეღო მექრთამეობისა და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკისთვის.

1982 წლის დეკემბერში ანდროპოვმა განაცხადა, რომ „ყველაფერი, მართალია, დისციპლინაზე კი არ დაიყვანებოდა“, მაგრამ სწორედ დისციპლინით უნდა დაეწყოთ. 1983 წლის დასაწყისიდან უშიშროებისა და მილიციის თანამშრომლებმა დაიწყეს შრომითი დისციპლინის დამრღვევთა გამოვლენა. ეწყობოდა რეიდები მაღაზიებში, კინოთეატრებში, აბანოებში და ა.შ. ისჯებოდნენ ისინი, ვინც ამ დროს სამსახურში უნდა ყოფილიყო.

იმავდროულად, დაიწყო ხმაურიანი ბრძოლა კორუფციასთან, არაშრომით შემოსავლებთან და სპეკულაციასთან. განსაკუთრებით მასშტაბური დარღვევები გამოვლინდა ვაჭრობის სფეროში, სადაც ბევრი თანამდებობის პირი დააპატიმრეს, მაღაზიების ზოგი დირექტორი დახვრიტეს.

შეავიწროეს „ბამბის მაფია“ უზბეკეთში. უზბეკეთის კომპარტიის პირველმა მდივანმა შარიფ რაშიდოვმა თავი მოიკლა. ამ საკითხზე პოტენციურად აღსაძვრელი საქმეები 100 ათასს აჭარბებდა და შეუძლებელი იყო ყველა ამ საქმის სასამართლომდე მიტანა.

კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს სკკპ-ის კრასნოდარის საოლქო კომიტეტის 1-ლი მდივანი ს. მედუნოვი[1], შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. შჩოლოკოვი, რომელმაც თავი მოიკლა, და მისი მოადგილე ი. ჩურბანოვი, რომელიც ბრეჟნევის სიძე იყო. დააპატიმრეს ბრეჟნევის ქალიშვილი – გალინა.

ანდროპოვის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში მოსკოვში შეცვალეს პარტიული ხელმძღვანელების 30%, უკრაინაში – 34%, ყაზახეთში – 32%. თანამდებობიდან გადააყენეს 18 საკავშირო მინისტრი (მინისტრების 20%), საოლქო კომიტეტების 37 პირველი მდივანი (მათი რიცხვის 22%). ანდროპოვი თავიდან იცილებდა „ბრეჟნევის ხალხს" და 1983 წლის შუახანებში მისი მდგომარეობა უაღრესად მყარი იყო.

ნესრიგის დამყარების პოლიტიკამ გარკვეული ეფექტი მოიტანა. ოფიციალური მონაცემებით, 1983 წელს ეკონომიკის ზრდამ 4,2% შეადგინა (1982 წელს ზრდა 3,1% იყო), გაუმჯობესდა სურსათით მომარაგებაც.

ანდროპოვმა, უსტინოვსა და გრომიკოზე დაყრდნობით, გარკვეულწილად, „გააახალგაზრდავა" პოლიტბიურო და ცენტრალური კომიტეტის სამდივნო. მის მიერ დაწინაურებული ადამიანები არ იყვნენ კორუმპირებულები.

ანდროპოვის გუნდში გამოირჩეოდნენ მიხეილ გორბაჩოვი, ეგორ ლიგაჩოვი და ნიკოლაი რიჟკოვი. გორბაჩოვის დაწინაურება ჯერ კიდევ ბრეჟნევის დროს დაიწყო. 1978 წელს ის დანიშნეს სოფლის მეურნეობის დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1981 წლიდან არყის 0,5-ლიტრიანი ბოთლი 5 მანეთი და 30 კაპიკი ღირდა. ანდროპოვმა გააიაფა არაყი – გამოჩნდა ნახევარლიტრიანი ბოთლი, რომელიც ღირდა 4 მანეთი და 70 კაპიკი, ბოთლის ღირებულების ჩათვლით. მას ხალხმა „ანდროპოვის არაყი" შეარქვა. სამი წლის შემდეგ, გორბაჩოვის ანტიალკოჰოლური კამპანიის დროს ყველაზე იაფი არაყი უკვე 9 მანეთი და 10 კაპიკი ღირდა. სახელი «водка» – „გაშიფრეს" კიდეც: «Вот Она, Доброта Коммуниста Андропова", ანდა «Вот он добрый какой, Андропов".

42.4. როგორ აპირებდა ანდროპოვი ეკონომიკის „შველას"

ანდროპოვი, რომელიც 15 წლის განმავლობაში КГБ-ს თავმჯდომარე იყო, საბჭოთა კავშირში ბრეჟნევის შემდეგ ერთადერთი პირი იყო, რომელიც რეალურ ინფორმაციას ფლობდა ქვეყანასა და მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ. მისთვის ცნობილი იყო ეკონომიკასა და ფინანსებში არსებული მძიმე ვითარება. ის დიდ იმედს ამყარებდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო სტიმულირებაზე. პოლიტბიუროს კომისიას ამ საკითხზე სათავეში ედგა ჯერ ჰეიდარ ალიევი, შემდეგ კი მიხეილ გორბაჩოვი. ანდროპოვმა პირველად საჯაროდ აღიარა საბჭოთა საზოგადოებაში არსებული პრობლემები.

ანდროპოვის სახელით გამოქვეყნდა სტატია „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი" („კომუნისტი" N3, 1983). სტატიის თანახმად, გადაჭარბებული იყო შეხედულება „კომუნიზმის მაღალ ფაზასთან მიახლოების" თაობაზე, აღიარებული იყო „განვითარებული სოციალიზმის" წინაალმდეგობები და სირთულეები, „ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ", – აღნიშნავდა ანდროპოვი.

[1] მედუნოვი ბრეჟნევის ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი იყო. ანდროპოვის მმართველობის დროს ის ერთ-ერთ მთავარ კორუფციონერად გამოცხადდა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ კი მას ყველა ბრალდება მოეხსნა.

ანდროპოვი, თავისივე აღიარებით, ვერ ერკვეოდა ეკონომიკაში. ლენინისა და სტალინის დოგმატებით აღზრდილს, ანდროპოვს არ შეეძლო, გაეაზრებინა რუსეთში კომუნისტური სისტემის კრიზისის ისტორიული, სოციალური და სულიერი სათავეები. ანდროპოვს სჯეროდა, რომ КГБ-ს და პარტიული ნომენკლატურის „ჯანსაღ ელემენტებზე" დაყრდნობით შესაძლებელი იყო სახელმწიფოს გაჯანსაღება და საზოგადოების მობილიზება მოდერნიზაციის ახალი ტალღის გასატარებლად.

ანდროპოვი ეძებდა საბჭოური სოციალიზმის გაუმჯობესების გზას. თუ კოსიგინისთვის სამაგალითო იყო იუგოსლავიის ვარიანტი, ანდროპოვი ყურადღებით ეკიდებოდა უნგრეთის გამოცდილებას. საბოლოო ჯამში, სოციალისტური გეგმური წარმოება უნდა შეთავსებოდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტებს. თუმცა სხვები აღნიშნავენ, რომ ანდროპოვს ეკონომიკის რეფორმირების არანაირი გეგმა არ ჰქონდა და მხოლოდ დისციპლინის გამტკიცებასა და „იდეოლოგიური მუშაობის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე" ლაპარაკობდა.

ანდროპოვის არარეალიზებულ გეგმებს შორის სახელდება საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმაც, თითქოს საბჭოთა კავშირის დაყოფა უნდოდა 41 შტატად თუ ოლქად...

42.5. საერთაშორისო ვითარების გამწვავება

ანდროპოვის ხანმოკლე მმართველობის პერიოდზე მოდის „ცივი ომის" ახალი ტალღა, რომელიც ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანით (1979 წ.) დაიწყო. ანდროპოვი მთავარ ყურადღებას მაინც აშშ-თან დაპირისპირებას აქცევდა. მას ეშინოდა, რომ რეიგანს შეიძლება ომი დაეწყო და საბჭოთა დაზვერვას ავალებდა, თვალი ედევნებინა, ხომ არ გეგმავდნენ აშშ-ში საბჭოთა კავშირზე მოულოდნელ რაკეტულ-ბირთვულ თავდასხმას. ანდროპოვსა და თავდაცვის მინისტრ უსტინოვს სჯეროდათ, რომ რეიგანისთვის მხოლოდ სამხედრო ძალა უნდა დაეპირისპირებინათ.

ჟურნალ „Time"-ს 1982 წლის 22 ნოემბრის ნომერი. ჟურნალის ამ ნომერმა 10 წლის ამერიკელ გოგონას სამანტა სმიტს აფიქრებინა, წერილი მიეწერა ანდროპოვისთვის. 1982 წლის დეკემბერში გაგზავნილ წერილში საბჭოთა ლიდერს მოუწოდა, შეეწყვიტა შეიარაღების ზრდაში შეჯიბრი. სამანტა წერდა, რომ მას ბირთვული ომის ეშინოდა და თუ ანდროპოვს ომი არ უნდოდა, მისთვის ეპასუხა, როგორ აპირებდა ომის თავიდან აცილებას.

ანდროპოვისგან სამანტამ მიიღო საპასუხო წერილი. საბჭოთა ლიდერი სწერდა, რომ საბჭოთა კავშირში ომი არავის უნდოდა და ამაში დასარწმუნებლად სამანტა დაპატიჟა ჩამოსულიყო. 1983 წლის 7 ივლისს სამანტა მშობლებთან ერთად საბჭოთა კავშირში ჩავიდა და მოინახულა მოსკოვი, ლენინგრადი, პიონერთა ბანაკი „არტეკი" ყირიმში. მის მოგზაურობაზე სიუჟეტები გადიოდა საბჭოთა და ამერიკულ ტელევიზიებში. ამერიკელებმა სამანტას „მშვიდობის პატარა ელჩი" შეარქვეს.

აშშ-ში სამანტა ცნობილი გახდა. ტელევიზიით მიმდინარე პოლიტიკას აშუქებდა, სერიალშიც იღებდნენ. 1985 წ. 25 აგვისტოს სამანტა მამასთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

სინამდვილეში, საქმე მშვიდობისკენ სულაც არ მიდიოდა. 1982 წლის 24 ნოემბერს საბჭოთა კავშირი გამოვიდა ევროპაში საშუალო რადიუსის რაკეტების შეზღუდვის თაო-

ბაზე მიმდინარე მოლაპარაკებებიდან, 8 დეკემბერს – სტრატეგიული შეიარაღების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებიდან. გენერალურ მდივნად გახდომის შემდეგ ანდროპოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს სამხედრო პარიტეტი უნდა ჰქონოდა არა მარტო აშშ-სთან, არამედ „პოტენციური მოწინააღმდეგეების ნებისმიერ შესაძლო კოალიციასთან", ანუ არსებითად მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან.

საპასუხოდ აშშ პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა წამოიწყო „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა" – პროექტი ითვალისწინებდა მიწაზე და კოსმოსში ბაზირებული სისტემების გაშლას ბალისტიკური რაკეტებისგან აშშ-ის დასაცავად. დასავლეთში ამ პროექტს „ვარსკვლავური ომები" უწოდეს. თავის გამოსვლებში რეიგანი საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერიას" უწოდებდა.

საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა 1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავის მიერ სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავის „ბოინგ-747" ჩამოგდების შემდეგ, რომელიც ნიუ-იორკი – სეულის რეისს ასრულებდა, კურსს ასცდა, საბჭოთა საჰაერო სივრცეში შემოფრინდა და კურილიის კუნძულების თავზე სახალინისკენ მიფრინავდა. დაიღუპა თვითმფრინავზე მყოფი ეკიპაჟის 23 წევრი და 246 მგზავრი. თავიდან საბჭოთა ხელისუფლება მომხდარს უარყოფდა, შემდეგ პროვოკაციაზე ალაპარაკდნენ და განაცხადეს, რომ საბჭოთა მფრინავს ის ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი ეგონა. ეს ტრაგიკული ინციდენტი საფუძვლად დაედო ორმხრივ სამხედრო ისტერიას. დანაშაულის აღიარებისა და ბოდიშის მოხდის ნაცვლად უსტინოვსა და სამხედროებს უნდოდათ მომხდარის მიჩქმალვა. აშშ პრეზიდენტმა რეიგანმა თვითმფრინავის ჩამოგდებას „აკაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული" უწოდა.

1983 წლის ორი სექტემბერი. დემონსტრანტები ვაშინგტონში, თეთრ სახლთან იური ანდროპოვს ბრალს სდებენ სამხრეთკორეული თვითმფრინავის მგზავრების მკვლელობაში. დაღუპულთა შორის აღმოჩნდა ამერიკელი სენატორი ლარი მაკდონალდი.

ანდროპოვი ამ დროს საავადმყოფოში იწვა და დათანხმდა განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირს თვითმფრინავი არ ჩამოუგდია. რეიგანი წონასწორობიდან გამოვიდა მომხდარით, მის ადმინისტრაციაში კი ამ ამბავში დაინახეს „ბოროტების იმპერიის" მხილების შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირს ადანაშაულებდნენ ცინიზმში, სისასტიკეში, ადამიანის სიცოცხლის არაფრად ჩაგდებაში. საბჭოთა კავშირმა მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ აღიარა კორეული „ბოინგის" ჩამოგდების ფაქტი, მაგრამ ამას „ამერიკულ პროვოკაციად" მიიჩნევდნენ.

1983-1985 წლებში თავის აპოგეას მიაღწია ავღანეთში მიმდინარე ომმა.

საბჭოთა საზოგადოებაში, პირველად მრავალი წლის შემდეგ, გავრცელდა ხმები მოსალოდნელი დიდი ომის შესახებ. 1983 წლის ოქტომბერში აშშ შეიჭრა კუნძულ გრენადაზე (კარიბის ზღვა) და დაამხო მარქსისტული რეჟიმი, რომელსაც მხარს უჭერდნენ კუბა და საბჭოთა კავშირი.

1983 წლის ნოემბერში, მიუხედავად დიდი პროტესტისა, დასავლეთ გერმანიაში დაიწყო ამერიკული რაკეტების განლაგება, რომლებიც დამიზნებული იყო საბჭოთა სამეთაურო პუნქტებზე და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცენტრებზე. ნატოს ქვეყნები თავიანთი სამხედრო მანევრების დროს ამუშავებდნენ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე შეტევას. ანდროპოვმა, უსტინოვმა (თავდაცვის მინისტრი) და გრომიკომ (საგარეო საქმეთა მინისტრი) გადაწყვიტეს „კარის გაჯახუნება". საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა მოლაპარაკებე-

ბი ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. მალე საბჭოთა კავშირმა ასევე შეაჩერა მოლაპარაკებები სტატეგიულ შეტევით იარაღთან დაკავშირებით.

საავადმყოფოში მყოფმა ანდროპოვმა მკვახე პასუხი გასცა კანადის პრემიერ-მინისტრ პიერ ტრიუდოს თხოვნას, – ჰუმანურობის სახელით სასჯელი შეემსუბუქებინა 13 წლის პატიმრობამისჯილ დისიდენტ ანატოლი შარანსკისათვის. ანდროპოვმა საპასუხოდ მიანერინა, – საბჭოთა საზოგადოება თავისი ბუნებით ჰუმანურია და ჰუმანურობის დამტკიცებას არ საჭიროებსო.

42.6. ანდროპოვის გარდაცვალება

1983 წლის 1 სექტემბერს ანდროპოვმა უკანასკნელად ჩაატარა პოლიტბიუროს სხდომა კრემლში და გაემგზავრა ყირიმში დასასვენებლად. რამდენიმე დღის შემდეგ ცუდად გახდა და მოსკოვში, საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოდან ის აღარ გამოსულა. მას მკურნალობდა 20 აკადემიკოსი და პროფესორი მთელი საბჭოთა კავშირიდან. ექიმთა კონსილიუმებს КГБ-ს თანამშრომლები ესწრებოდნენ და გამოთქმული მოსაზრებების სტენოგრაფირებას ახდენდნენ. 1983 წლის 7 ნოემბრის ზეიმის დროს მავზოლეუმის ტრიბუნაზე პირველად არ იდგა პარტიის გენერალური მდივანი.

1984 წლის 9 თებერვალს 16:50 საათზე იური ანდროპოვი, რომელსაც თირკმლების განუკურნებელი ავადმყოფობა სჭირდა, გარდაიცვალა. უკვე ერთი საათის შემდეგ კონსტანტინე ჩერნენკო პოლიტბიუროს სხდომას ატარებდა. მხოლოდ 12 თებერვალს გამოცხადდა, რომ ანდროპოვს დაკრძალავდნენ 14 თებერვალს. ანდროპოვი დაკრძალეს წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან. დაკრძალვის ცერემონიალზე ჩასულ უცხოელ ლიდერებს შორია იყვნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი (რომელიც ბრეჟნევის დაკრძალვას არ დასწრებია) და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უფროსი.

ანდროპოვი გარდაიცვალა სარაევოში ზამთრის ოლიმპიადის დაწყების მეორე დღეს, რამაც სპორტის მოყვარულთა შეშფოთება გამოინვია. საბჭოური ტრადიციის თანახმად, ლიდერზე გლოვის დღეებში გასართობი ღონისძიებები ტელევიზიით აღარ გადაიცემოდა. მაგრამ ოლიმპიადის ჩვენება გაგრძელდა დაგეგმილ რეჟიმში, ოღონდ დიქტორები ემოციების გამოხატვაში თავშეკავებულები იყვნენ.

ანდროპოვის დაკრძალვის დროს თვალშისაცემი იყო ჯილდოების სიმცირე ბრეჟნევთან შედარებით: 1 სოციალისტური შრომის გმირის, 4 ლენინის ორდენი და კიდევ 17 საბჭოთა ორდენი და მედალი, ასევე 14 უცხოური ორდენი და მედალი.

ანდროპოვის დაკრძალვაზე არ დაუშვეს მისი უფროსი ვაჟის ვლადიმირის (1940-1975) მეუღლე მარია. თავის ვაჟთან ანდროპოვს ურთიერთობა არ ჰქონდა და მის დასაფლავებას არ დასწრებია. ანდროპოვის დაკრძალვის დროს უცნაური იყო ისიც, რომ მთავრობის წევრების პანაშვიდზე მისვლის დროს დარბაზიდან გაჰყავდათ ნათესავები და მერე ისევ აბრუნებ-

დნენ, ამასთან ისე, რომ მთავრობის წევრებს ვერ შეემჩნიათ: ნათესავები ერთი კარიდან გაჰყავდათ, ხელისუფლების წარმომადგენლები კი მეორე კარიდან შეჰყავდათ.

ანდროპოვმა ვერ მოასწრო თავისი „კურსის" რეალიზება, – რკინის ხელით დაემყარებინა წესრიგი ქვეყანაში. ანდროპოვმა საბჭოთა კავშირი ცუდ მდგომარეობაში ჩაიბარა და იგივე მდგომარეობაში დატოვა – ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა, საგარეო პოლიტიკაში კი საბჭოთა კავშირი ომის ზღვარზე იმყოფებოდა მძლავრ დასავლურ კოალიციასთან.

იური ანდროპოვის მმართველობა 15 თვეს გაგრძელდა (აქედან ბოლო 5 თვე – საავადმყოფოში). თანამედროვე რუსულ საზოგადოებაში გაჩნდა ორგვარი მითები ანდროპოვის თაობაზე, ერთი მხრივ, ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ ანდროპოვს კიდევ რამდენიმე წელი რომ ეცოცხლა, ის საბჭოთა დენ სიაოპინი გახდებოდა, – განახორციელებდა საბჭოთა კავშირის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას, დაამყარებდა წესრიგს, აღმოფხვრიდა კორუფციას ნომენკლატურაში. ერთი სიტყვით, გადაარჩენდა საბჭოთა კავშირს დაშლისგან. მეორე მხრივ, სწორედ ანდროპოვში ხედავენ საბჭოთა კავშირის დამანგრეველს. ანდროპოვს, რომელიც 15 წლის განმავლობაში სათავეში ედგა КГБ-ს და კარგად იცოდა, თუ როგორ უარესდებოდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, განგაში არ აუტეხია და რეალურად არაფერი უღონია მის შესაცელელად. ანდროპოვი იყო ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის ერთ-ერთი ინიციატორი. მან თავისი უწყებიდან პოლიტბიუროს მიანოდა ინფორმაცია, თითქოს ამერიკელები ავღანეთშიც აპირებდნენ რაკეტების განლაგებას. ანდროპოვს მიიჩნევენ მიხეილ გორბაჩოვის დაწინაურების ხელშემწყობად, რომლის მიერ დაწყებულ „გარდაქმნას" საბჭოთა კავშირის კატასტროფის მიზეზად თვლიან.

კონსტანტინე ჩერნენკოს კიდევ უფრო ხანმოკლე მმართველობა

1984 წლის 13 თებერვალს, იური ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი 73 წლის კონსტანტინე ჩერნენკო გახდა. ასაკთან ერთად, ყველა ხედავდა ახალი გენერალური მდივნის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას, ამიტომ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთაც ჩერნენკოს „გარდამავალ ფიგურად" განიხილავდნენ. მართლაც, მისი მმართველობა ანდროპოვის 15-თვიან მმართველობაზე უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა და 13 თვე გაგრძელდა, უფრო ზუსტად, წელიწადი და 25 დღე.

სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში განსხვავებულია ჩერნენკოს მმართველობის შეფასება. ზოგის აზრით, ჩერნენკოს, თავისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდიდან გამომდინარე, უბრალოდ, არ ჰქონდა ქვეყნის განვითარების საკუთარი კურსის შემუშავების შესაძლებლობა[1], ზოგი ჩერნენკოს მმართველობას მიიჩნევს „გვიანი ბრეჟნევიზმის" ხანმოკლე „რენესანსად", სხვები მას ანდროპოვის დროს აღებული კურსის გამგრძელებლად მიიჩნევენ, ნაწილი კი ჩერნენკოს გორბაჩოვის „გარდაქმნის" კურსის სათავეში მდგომადაც თვლიან და ლაპარაკობენ „ჩერნენკო-გორბაჩოვის კურსზეც".[2]

1984 წელს, როდესაც ჩერნენკო სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს, ის უიმედო ავადმყოფი იყო, გაჭირვებით ლაპარაკობდა და მოძრაობდა.

„ეს რა ქენი, კოსტია, რატომ დათანხმდი?" – წამოიძახა თურმე ჩერნენკოს მეუღლემ ანა ლუბიმოვამ, როდესაც მისი გენერალურ მდივნად არჩევის შესახებ გაიგო. კ. ჩერნენკომ მოკლედ უპასუხა: „სხვა გამოსავალი არ იყო"

ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა ანეგდოტი: „აღმოჩენილია მენდელეევის ცხრილის ახალი ელემენტი – პოლიტბიუროლეუმი, ნახევრად დაშლის ნახევარწლიანი პერიოდით".

43.1. ვინ იყო კონსტანტინე ჩერნენკო

კონსტანტინე ჩერნენკო (1911-1985) კრასნოიარსკის მხარეში, რუსი გლეხის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა სამწლიანი სასოფლო სკოლა. 1931 წელს შევიდა კომუნისტურ პარტიაში და კომუნისტური პროპაგანდის ორგანოებში მუშაობდა. 1941-1943 წლებში ჩერნენკო იყო კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივანი. ფრონტზე არ წასულა. 1943-1945 წლებში ჩერნენკო მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობდა. მომდევნო სამი წელი იყო პენზის ოლქში სამხარეო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში. შემდეგ უპირებდნენ მოსკოვში გადაყვანას, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ხელი შეუშალა არასათანადო „მორალურმა სახემ". მოსკოვში მიიღეს ვინმე ნინა კუშნერის წერილი, რო-

[1] Полынов М. Ф. Константин Устинович Черненко как лидер КПСС и Советского государства (1984-1985 годы) / М. Ф. Полынов // Научный диалог. – 2020. – № 11. – С. 448- 465.

[2] А. В. Шубин. Диссиденты, неформалы и свобода в СССР. – М.: Вече, 2008, с.87.

მელიც აცხადებდა, რომ იყო ჩერნენკოს მიერ მიტოვებული ცოლი და წერდა კიდევ ორ ქალზე, რომელთაც იგივე ბედი ენიათ. მექალთანეობაში მხილებული ჩერნენკო მოსკოვის მაგივრად კიშინიოვში გადაიყვანეს პარტიულ სამუშაოზე.

1950-იანი წლების დასაწყისში სწორედ მოლდოვაში გაიცნო ლეონიდ ბრეჟნევი, რომელიც კომპარტიის პირველი მდივანი იყო. ჩერნენკო 1956 წლამდე ხელმძღვანელობდა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. ბრეჟნევის მეშვეობით ჩერნენკომ გაიკეთა უნიკალური პოლიტიკური კარიერა.

1956 წლიდან ჩერნენკო უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში გადაიყვანეს. 1960 წლის მაისიდან 1965 წლის ივლისამდე ჩერნენკო იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს ხელმძღვანელი.

43.2. ბრეჟნევის „რუხი კარდინალი"

როდესაც ბრეჟნევი კომუნისტურ პარტიას ჩაუდგა სათავეში, ჩერნენკო დანიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე ჩერნენკომ 17 წელი, 1982 წლის ნოემბრამდე იმუშავა. ამ პოსტზე მან შეიძინა „ბრეჟნევის პირადი მდივნის" რეპუტაცია. მას „ბრეჟნევის რუხ კარდინალსაც" უწოდებდნენ. 1978 წლიდან ჩერნენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გახდა.

„საერთო განყოფილების" ხელში მნიშვნელოვანი უფლებამოსილება იყო თავმოყრილი. ის განკარგავდა გენერალური მდივნისთვის განკუთვნილ ფოსტას, ამზადებდა პასუხების თავდაპირველ მონახაზს. ჩერნენკო ყველაფრის საქმის კურსში იყო, რაც პარტიის უმაღლეს ეშელონში ხდებოდა. ჩერნენკო ბრეჟნევის ჩრდილი გახდა, მასთან ყველაზე დაახლოებული მრჩეველი. ბრეჟნევი ჩერნენკოში ხედავდა დავალებათა ერთგულ შემსრულებელს და მისგან რაიმე საფრთხეს არ მოელოდა. ბრეჟნევის მმართველობის უკანასკნელ წლებში ხუმრობა გაჩნდა: „ბრეჟნევი გარდაიცვალა. სინამდვილეში ბრეჟნევი დიდი ხანია გარდაიცვალა, მაგრამ ჩერნენკოს მისთვის არ უთქვამს ამის შესახებ". ბრეჟნევის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მასთან შეხვედრა მხოლოდ ჩერნენკოს მეშვეობით შეიძლებოდა.

1982 წლის ნოემბერში, როდესაც ბრეჟნევი ანდროპოვმა ჩაანაცვლა, მისი ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება საერთო განყოფილების ხელმძღვანელობიდან გენერალური მდივნის პოსტზე თავისი კონკურენტის ჩერნენკოს ჩამოცილება იყო.

43.3. გერონტოკრატიის უკანასკნელი გამარჯვება

ანდროპოვის სიკვდილმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა პოლიტიკური რეჟიმის გახრწნის მთელი სიღრმე. კრემლის ზედაფენაში კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ხელისუფლებისთვის. პოლიტბიუროს უხუცესები, რომლებიც თავის დროზე სტალინის მიერ იყვნენ დანინაურებულები და ასაკით 70-ს გადასცილდნენ, კვლავ ხელისუფლებას ებღაუჭებოდნენ და ხელი შეუშალეს შედარებით ახალგაზრდა ლიდერის დაწინაურებას.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნო მხარს უჭერდა გენერალურ მდივნად ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის, მიხეილ გორბაჩოვის არჩევას, მაგრამ ამის წინააღმდეგი იყო პოლიტბიუროში მყოფი ბრეჟნევის გარემოცვის რამდენიმე გავლენიანი პირი, ნ. ტიხონოვით სათავეში. უსტინოვი და გრომიკოც მიიჩნევდნენ, რომ ჩერნენკოს გენერალური მდივნობის პირობებში ისინი „უფრო მშვიდად" იქნებოდნენ. მიუხედავად გენერალურ მდივნად ჩერნენკოს არჩევისა, სამდივნოს ფაქტობრივ ლიდერად დარჩა გორბაჩოვი, რომელიც ჩერნენკოს არყოფნის შემთხვევაში წარმართავდა პოლიტბიუროს სხდომას. ჩერ-

ნენკო, როდესაც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს, 73 წლის იყო.

43.4. საშინაო პოლიტიკა ჩერნენკოს მმართველობის დროს

უარი თქვა თუ არა ჩერნენკომ ანდროპოვის საშინაო პოლიტიკაზე

ზოგი თვლის, რომ ჩერნენკოს ხელისუფლებაში მოსვლა მაშინვე აღინიშნა ანდროპოვის პოლიტიკაზე უარის თქმით. დისციპლინისთვის მიმდინარე ბრძოლა შეწყდა, კორუფციაში მამხილებელი ძაფები მმართველობის საშუალო რგოლის დონეზე შეჩერდა. პარტიული და სახელმწიფო ელიტის წარმომადგენლები კვლავ „ეჭვმიუტანლები" იყვნენ. თუმცა, სხვების აზრით, ჩერნენკომ გააგრძელა ანდროპოვის კურსი როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ისე შრომითი დისციპლინის განმტკიცების მიმართულებით. ჩერნენკომ არ დაინდო ელისეევის მაღაზიის დირექტორი იური სოკოლოვი, რომელიც დახვრიტეს, გალინა ბრეჟნევას ყოფილი ქმარი იური ჩურბანოვი, რომელიც კორუფციის ბრალდებით გაასამართლეს.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის შემუშავება

კ. ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაზე. ეს ამოცანა სკკპ XXVI ყრილობაზე დაისვა 1981 წლის 26 თებერვალს და მომდევნო ყრილობისათვის უნდა მომზადებულიყო. ამასობაში ჯერ ბრეჟნევი, შემდეგ კი ანდროპოვი გარდაიცვალა. ამ ამოცანის შესრულება კ. ჩერნენკომ გადაიბარა. თეორეტიკოსი ჩერნენკო არ იყო და არც ჰქონდა ამის პრეტენზია, ეყრდნობოდა ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბებულ „თეორეტიკოსთა" გუნდს. მთავარი სადისკუსიო საგანი გახდა სკკპ-ის ახალი პროგრამის შემუშავება და „საზოგადოების განვითარების სტადიების" განსაზღვრა.

1984 წ. 25 აპრილს ჩერნენკო მოკლე მოხსენებით გამოვიდა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო პარტიის პროგრამასთან დაკავშირებით იმ დროს არსებული ძირითადი ხედვები.[1] გრძელდებოდა ანდროპოვის დროს ჩამოყალიბებული ხედვა, რომ საბჭოთა კავშირი „განვითარებული სოციალიზმის" მხოლოდ სანყის პერიოდში იმყოფებოდა და ეს იქნებოდა ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პერიოდი. მთავარ ამოცანად ცხადდებოდა „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა". აქცენტი გადატანილ იქნა „განვითარებად სოციალიზმზე". პროგრამაში ნახსენები იქნებოდა „სრული კომუნიზმის სიკეთეები", მაგრამ აქცენტი უნდა გაკეთებულიყო საზოგადოების წინაშე მდგარ რეალურ პრობლემებზე, გამორიცხული უნდა ყოფილიყო „დაუსაბუთებელი დაპირებები და პროგნოზები". პარტიის პროგრამაში კვლავ საუბარი უნდა ყოფილიყო პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდაზე, ერების დაახლოებაზე, „კაპიტალიზმის ისტორიულ განწირულობაზე" და ა. შ.

სტალინური ნოსტალგია

პოლიტბიუროს „უხუცესები" საშინაო სფეროში არ მალავდნენ ნოსტალგიას სტალინის დროზე და ლანძღავდნენ ხრუშჩოვს სტალინის კრიტიკისთვის. პოლიტბიურომ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ვიაჩესლავ მოლოტოვის პარტიაში აღდგენას. დმიტრი უსტინოვი მოითხოვდა, პარტიაში მალენკოვი და კაგანოვიჩიც აღედგინათ. უსტინოვის თქმით, „არცერთ მტერს არ მოუტანია იმდენი უბედურება, რამდენიც ხრუშჩოვმა მოიტანა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს წარსულის მიმართ თავისი პოლიტიკით და ასევე სტალინის მიმართ". მაგრამ ვ. ჩებრიკოვმა შეახსენა პოლიტბიუროს წევრებს დასახვრეტ-

[1] К. У. Черненко:Выступление на заседании комиссии ЦК КПСС по подготовке новой редакции программы КПСС - https://gensek.ru/publications/speeches/291.html

თა სიებზე არსებული ამ ადამიანების ხელმონერების შესახებ და აღნიშნა, რომ მიიღებდნენ უამრავ საპროტესტო წერილს.

ჩერნენკოს (1984) და მოლოტოვის (1954) პორტრეტები ჟურნალ „Time"-ს ყდაზე

პარტიული ბილეთის დაბრუნების დროს მოლოტოვმა ჩერნენკოს ჰკითხა: „რატომ გამრიცხეს პარტიიდან?". ჩერნენკომ დიპლომატიური პასუხი გასცა: „ვიაჩესლავ მიხეილის ძევ, მე არ გამირიცხიხართ პარტიიდან". 93 წლის ბოლშევიკმა კი მიუგო: „ეს არ არის პარტიის ხელმძღვანელის პასუხი".

დასავლური მედია მომხდარს აქტიურად გამოეხმაურა. ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა კარიკატურა გამოაქვეყნა წარწერით: „ჩერნენკო მემკვიდრეს იმზადებს"

მოლოტოვი ჩერნენკოზე 21 წლით უფროსი იყო, მაგრამ მასზე დიდხანს იცხოვრა და 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჩრდილოეთის მდინარეების შემობრუნების გეგმა

კ. ჩერნენკომ მიზნად დაისახა ჩრდილოეთის მდინარეების სამხრეთისკენ შემობრუნების გეგმის განხორციელება, რომელიც ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში იყო მიღებული. პროექტი მიიღეს სკკპ XXV ყრილობაზე 1976 წელს. ორი წლის შემდეგ გამოვიდა ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება საპროექტო სამუშაოების დაწყების შესახებ.[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 23 ოქტომბრის პლენუმზე კ. ჩერნენკომ საბოლოოდ გადაწყვიტა ამ პროექტის რეალიზება.

დასავლეთ ციმბირის მდინარეების (ობისა და ირტიშის, შესაძლოა ენისეის) აუზიდან წყლის ნაწილი უნდა მიეწოდებინათ ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთისთვის, ნათესების მოსარწყავად და დაშრობის გზაზე მდგარი არალის ზღვის გადასარჩენად. პირველ ეტაპზე 25 კუბური კილომეტრი წელინადში, მეორე ეტაპზე – 60 კუბური კილომეტრი, შორეულ პერსპექტივაში კი – 75-100 კუბური კილომეტრი. პროექტის განხორციელება უნდა დაწყებულიყო 1985 წელს, მაგრამ ქვეყნის სათავეში მყოფი ლიდერის შეცვლამ კორექტივები შეიტანა ამ გეგმებში. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხები არ ჩანდა, გარდა ამისა, ინტელიგენციის წრეებში სულ უფრო ძლიერდებოდა პროტესტი ეკოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.



„ციმბირის მდინარეების შემობრუნების" პროექტი

პროექტის ღირებულება, წინასწარი შეფასებით, შეადგენდა ძალზე დიდ თანხას – 32,8 მილიარდ მანეთს. პროექტის განსახორციელებლად უნდა აშენებულიყო 2500 კმ სიგრძის არხი.

[1] ჩრდილოეთის მდინარეებიდან სამხრეთისაკენ წყლის გადასროლის იდეა 1868 წლიდან არსებობდა და ამ იდეის ავტორი კიეველი ინჟინერი იაკობ დემჩენკო იყო. მაშინ ასეთი რამ განუხორციელებლად მიიჩნიეს. ამ იდეას 1920-იან წლებში დაუბრუნდნენ, ხოლო 1948 წელს აკადემიკოსმა ვლადიმირ ობრუჩევმა სტალინსაც მისწერა, მაგრამ ამ უკანასკნელს დიდი ყურადღება არ გამოუჩენია აღნიშნული იდეისადმი.

1986 წლის 14 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეწყდა მუშაობა ჩრდილოეთის მდინარეების ნაკადის სამხრეთისკენ გადმოსროლის პროექტზე.

სასკოლო რეფორმა

ჩერნენკოს მმართველობის დროს გატარდა სასკოლო განათლების რეფორმა (12.04.1984 წელს მიღებული დადგენილებით). საშუალო სკოლა 11-წლიანი გახდა და გაიყო სამ საფეხურად: დაწყებითი (1-4 კლასები), საშუალო (5-9 კლასები) და საშუალო ზოგადსაგანმანათლებო (10-11 კლასები). 8-11-კლასებს უფლება ეძლეოდათ, თავიანთი სურვილით გაღრმავებით შეესწავლათ გარკვეული საგნები, ასევე შრომითი სწავლება 10 – 11 კლასებში უნდა შეერთებოდა სხვადასხვა საწარმოო პროფესიის სწავლებას. რეფორმის შედეგად ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებას რამდენიმე წელიწადში უნდა დამატებოდა საყოველთაო პროფესიული განათლება, თუმცა ამ უკანასკნელის განხორციელება ვერ მოხერხდა. სკოლის დირექტორებს უჭირდათ ქარხნების მოძიება, სადაც მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკას გაივლიდნენ.

1984 წელს დაწესდა ახალი საზეიმო დღე – „ცოდნის დღე“ (1 სექტემბერი).

ბრძოლა როკ-მუსიკოსების წინააღმდეგ

1983 წლის ივნისში ჩერნენკო გამოვიდა საპროგრამო მოხსენებით „პარტიის იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“. ამ მოხსენებაში ჩერნენკომ გააკრიტიკა და სათავე დაუდო ფართომასშტაბიან ბრძოლას თვითმოქმედი საესტრადო ჯგუფების წინააღმდეგ, განსაკუთრებით როკ-მუსიკის. ჩერნენკოს განცხადებით, ამ სიმღერების ტექსტები „საეჭვო ღირებულების“ იყო და „იდეური ზიანი“ მოჰქონდათ. თვითმოქმედი ჯგუფების მიერ კონცერტების ჩატარება გაუთანაბრეს უკანონო სამენარმეო საქმიანობას, რომელიც კომპანია „გოსკონცერტის“ მონოპოლიას არღვევდა.

ჩერნენკოს „გარდაქმნა“ და „დაჩქარება“

კ. ჩერნენკომ თავის გამოსვლებში პირველად გამოიყენა ტერმინები „გარდაქმნა“ და „დაჩქარება“. რა თქმა უნდა, ამ ტერმინებს არ ჰქონდათ ჯერ ის სპეციფიკური შინაარსი, რაც მათ მიიღეს მ. გორბაჩოვის დროს.

43.5. საგარეო პოლიტიკა ჩერნენკოს მმართველობის დროს

ჩერნენკოს საგარეო პოლიტიკის 6 პუნქტი

1984 წლის 2 მარტს მოსკოვში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს კონსტანტინე ჩერნენკომ ჩამოაყალიბა თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები („ჩერნენკოს ექვსი პუნქტი“): 1. ბირთვული ომის თავიდან აცილება საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად გამოცხადდა. არ იქნეს დაშვებული ბირთვული კონფლიქტის საფრთხის შემცველი სიტუაციის შექმნა; 2. ბირთვული ომის (გლობალურის თუ შეზღუდულის) პროპაგანდაზე უარის თქმა; 3. ვალდებულების აღება, რომ პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს; 4. ბირთვული იარაღი არავითარ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული არაბირთვული ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთა ტერიტორიაზეც ასეთი იარაღი არ არის განლაგებული. ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონების პატივისცემა და ასეთი ახალი ზონების შექმნის წახალისება; 5. ნებისმიერი ფორმით ბირთვული იარაღის გავრცელების დაუშვებლობა; არ გადაეცეს არავის ბირთვულ იარაღზე კონტროლი რაიმე ფორმით; არ განათავსონ ეს იარაღი იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც ის არ არის; ბირთვულ შეიარაღებაში შეჯიბრი არ იქნეს გატანილი ახალ სფეროებში, მათ შორის კოსმოსში; 6. თანაბარი უსაფ-

რთხოების პრინციპის საფუძველზე მიღწეულ იქნეს ბირთვული შეიარაღების შემცირება მის სრულ ლიკვიდაციამდე.[1]

ამ პროგრამაში ბევრი რამ, ცხადია, გადმოტანილი იყო ბრეჟნევისა და ანდროპოვის განცხადებებიდან და, კრემლის წინამორბედი ლიდერების მსგავსად, ერთი მხრივ, არ ჩქარობდა რეალური ნაბიჯების გადადგმას დაძაბულობის შენელების მიმართულებით, მეორე მხრივ, ცდილობდა თავი აერიდებინა დაძაბულობის გამწვავებისთვის.

დაძაბული ურთიერთობა დასავლეთთან

კონსტანტინე ჩერნენკოს ხანმოკლე მმართველობის დროს გრძელდებოდა დაძაბული ურთიერთობები აშშ-თან. ამ პერიოდში არ შემდგარა არცერთი შეხვედრა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ხელმძღვანელებს შორის, ხელი არ მოუწერიათ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის არცერთ სახელმწიფოთშორის შეთანხმებაზე.

გრძელდებოდა ომი ავღანეთში, ამასთან, 1984 წელი აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი, რადგანაც ავღანელმა „დუშმანებმა" მიიღეს რაკეტები „სტინგერი" და „ბლოუპატი".

თავდაცვის მინისტრი დ. უსტინოვი კვლავ ურყევი ავტორიტეტი იყო უსაფრთხოების საკითხებში და კვლავ მიიჩნევდა, რომ აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნების მიმართ „მტკიცე" პოლიტიკა უნდა გატარებულიყო, მაგრამ მანვე გადააყენა გენერალური შტაბის ხელმძღვანელი მარშალი ნიკოლაი ოგარკოვი (1917-1994), მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო. ოგარკოვმა განაცხადა, რომ სამხედრო ხარჯების მკვეთრი ზრდისა და მოდერნიზაციის გარეშე საბჭოთა კავშირი ვერ შეძლებს აშშ-თან სამხედრო პარიტეტის შენარჩუნებას.[2]

აშშ-თან სამხედრო შეჯიბრის პერსპექტივებზე პოლიტბიუროს მოხუცებიც ფიქრობდნენ. აპირებდნენ სპეციალური „თავდაცვის ფონდის" შექმნას და სამუშაო კვირის გახანგრძლივებას, მაგრამ ისიც ესმოდათ, რომ საზოგადოებას 1950-იანი წლების დასაწყისში ვერ დააბრუნებდნენ.

დაძაბულობის შენელებისკენ გადაიდგა ნაბიჯები: 1984 წლის 23 ნოემბერს გამოცხადდა, რომ 1985 წლის იანვარში განახლდებოდა ჟენევის მოლაპარაკებები სტრატეგიული შეიარაღების თაობაზე.

1984 წლის 15 დეკემბერს სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი მიხეილ გორბაჩოვი ლონდონს ეწვია, სადაც განაცხადა საბჭოთა კავშირის სურვილის შესახებ, გაემართა მოლაპარაკებები ბირთვული შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. მაშინ მარგარეტ ტეტჩერმა განაცხადა: „მე მომწონს გორბაჩოვი. ჩვენ შევძლებთ მასთან საქმის დაჭერას".

მთლიანობაში, ჩერნენკოს მმართველობის დროს საერთაშორისო დაძაბულობა არ შემცირებულა, თუმცა არც რაიმე განსაკუთრებული კონფლიქტი ყოფილა.

ურთიერთობის გაუმჯობესება ჩინეთთან

კ. ჩერნენკოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიღწევად მიიჩნევა ურთიერთობის დათბობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. 1984 წ. 28 დეკემბერს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. მხარეები აცხადებდნენ, რომ პატივს სცემდნენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, თანხმდებოდნენ თანამშრომლობის დროს ურთიერთჩაურევლობის, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპებზე. გარდა ამისა, საბჭოთა მხარე ინტერესდებოდა დენ სიაოპინის რეფორმებით.

---

[1] Внешняя политика генерального секретаря ЦК КПСС Константина Устиновича Черненко (1984-1985) - http://www.oboznik.ru/?p=51185

[2] ნ. ოგარკოვმა 1983 ნ. სატელევიზიო გამოსვლით ანგარიში წარმოადგინა სამხრეთკორეული თვითმფრინავის ჩამოგდების გამო. 1984 ნ. სექტემბერში გადააყენეს გენერალური შტაბის ხელმძღვანელის პოსტიდან თანამდებობრივი დაქვეითებით - დანიშნეს დასავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდლად.

1984 წლის ოლიმპიადის ბოიკოტი

ჩერნენკოს მმართველობის პერიოდის ერთ-ერთ საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ XXIII ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი ლოს-ანჟელესში (აშშ, 1984 წლის 28 ივლისი – 12 აგვისტო). შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო „სიმეტრიული პასუხი" 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტზე, რომლის ორგანიზატორად აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი გამოვიდა. ბოიკოტის მიზეზად 1979 წლის ბოლოს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრა გამოცხადდა. მაშინ ამერიკულ ბოიკოტს 36 ქვეყანა შეუერთდა. საბჭოთა ლიდერებს ლ. ბრეჟნევსა და ი. ანდროპოვს არაფერი უთქვამთ აშშ-ში დაგეგმილი ოლიმპიადის ბოიკოტთან დაკავშირებით. ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება კ. ჩერნენკოს მოუხდა.

ლოს-ანჟელესში გამართული ოლიმპიადის საბჭოურ ბოიკოტთან დაკავშირებით რამდენიმე მიზეზი სახელდება: გარდა „სამაგიეროს გადახდისა", ასახელებენ უაღრესად დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობას 1983 წლის სექტემბერში სამხრეთკორეული „ბოინგის" ჩამოგდების შედეგად; ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელებთან შესაძლო დამარცხების შიშს, რომ საბჭოთა გუნდი პირველ ადგილზე ვერ გავიდოდა; რთულ პირობებს, რაც, სავარაუდოდ, ოლიმპიადაზე საბჭოთა დელეგაციას შეექმნებოდა. ასე იყო თუ ისე, 1984 წლის 5 მაისს კ. ჩერნენკომ ხელი მოაწერა პოლიტბიუროს დადგენილებას ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის არმიღების შესახებ. 8 მაისს ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად გააფორმა საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა. ბოიკოტის მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ ამერიკელები არ უზრუნველყოფდნენ საბჭოთა სპორტსმენების უსაფრთხოებას, არ შექმნიდნენ მათთვის ნორმალურ პირობებს, ვერ უზრუნველყოფდნენ მათი ადამიანური უფლებებისა და ღირსების დაცვას.

საბჭოთა კავშირმა აიძულა თავისი მოკავშირეები – სოციალისტური თუ „სოციალისტური აღმშენებლობის" გზაზე მდგარი 14 ქვეყანა – შეერთებოდნენ ოლიმპიადის ბოიკოტს.[1] ბოიკოტით დაზარალებული სპორტსმენებისთვის თავისებური „კომპენსაციის" სახით აგვისტოში 9 სოციალისტურ ქვეყანაში ჩატარდა „მეგობრობა-1984", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 50 ქვეყნის სპორტსმენებმა, მათ შორის იყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს ან მონაწილეობა მიიღეს ლოს-ანჟელესის ოლიმპიადაში.

43.6. ჩერნენკოს მმართველობა და გერონტოკრატიის კრახი

1970-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება გადაგვარდა ნამდვილ გერონტოკრატიად.[2] პოლიტბიუროს (21-22 წევრი და წევრობის კანდიდატი) და ცენტრალური კომიტეტის მდივნების (10-11 ადამიანი) წევრების ასაკი 1971–1981 წლებში 60-იდან 68 წლამდე გაიზარდა. ეს ნიშნავდა, რომ მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰქონდათ დაკავებული თანამდებობა. ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არიან ქვეყნის სათავეში, ობიექტურად ველარ აფასებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს.

---

[1] ბოიკოტს შეუერთდნენ: ავღანეთი, ბულგარეთი, კუბა, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია, გდრ, ჩრდილოეთ კორეა, ლაოსი, მონღოლეთი, პოლონეთი, ზემო ვოლტა, ვიეტნამი, იემენის დემოკრატიული რესპუბლიკა. ბოიკოტს სოციალისტური ქვეყნებიდან არ შეუერთდნენ რუმინეთი, იუგოსლავია და ჩინეთი, რომელმაც 32-წლიანი ინტერვალის შემდეგ პირველად მიიღო მონაწილეობა. კიდევ ორმა ქვეყანამ: ირანმა და ალბანეთმა ბოიკოტი გამოუცხადეს როგორც 1980 წლის, ისე 1984 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. ლოს-ანჟელესის ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს 140 ქვეყნის სპორტსმენებმა.

[2] გერონტოკრატია – ადმინისტრაციული მმართველობა, რომლის დროსაც აპარატი კონსერვირდება, მმართველი კადრები არ იცვლებიან. ასეთი კურსის გაგრძელებას მოსდევს სახელმწიფოს დაცემა და ჩამორჩენა.



გადაბერებული პოლიტბიუროს შემყურე ხალხი აბრევიატურას СССР შემდეგნაირად შიფრავდა: «Страна Самых Старых Руководителей». („ყველაზე ხნიერი ხელმძღვანელების ქვეყანა“)

„კოლექტიური ხელმძღვანელობა“ დიდ ყურადღებას აქცევდა ამ ხელმძღვანელობაში შემავალი ადამიანების ჯანმრთელობას. 1983 წლის 24 მარტს მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელიც ზღუდავდა 65 წელს გადაცილებული პოლიტბიუროს წევრებისა და კანდიდატების სამუშაო დროს. გაიზარდა შვებულების ხანგრძლივობა, კვირაში ერთი დღე კი სახლის პირობებში შეიძლებოდა ემუშავათ. ბრეჟნევს თავისი მმართველობის ბოლო 6 წლის განმავლობაში ჰქონდა კვირაში 3 გამოსასვლელი დღე. ექიმები მისთვის მოითხოვდნენ კვირაში კიდევ ერთ უქმე დღეს(!). ამ მიზეზით პოლიტბიუროს სხდომა, სადაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებდნენ, გრძელდებოდა არა უმეტეს 15–20 წუთს.

„გვიანი ბრეჟნევის“ დროს დაწესებული შეზღუდვები შენარჩუნდა 1985 წლამდე. იური ანდროპოვი 1983 წელს აღნიშნავდა: „შეიძლება სხვადასხვაგვარად შევხედოთ პოლიტბიუროს ასაკობრივ შემადგენლობას. აქაა კონცენტრირებული ჩვენი პარტიის პოლიტიკური გამოცდილება და ამიტომ ადამიანების ნაჩქარევი, მოუფიქრებელი შეცვლა ყოველთვის არ წაადგება საქმეს“. ცვლილებებს მართლაც არ ჩქარობდნენ.

„ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები პოლიტბიუროში ერთმანეთს ხალისით აჯილდოებდნენ პრემიებით, ორდენებითა და მედლებით. 1981 წელს ბრეჟნევი რეკორდსმენი გახდა საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ ფლობაში (ოთხგზის), გენერალური მდივნის მოგონებების სამი ბროშურა („ყამირი“, „მცირე მიწა“, „აღორძინება“), რომლებიც პროფესიონალმა ჟურნალისტებმა მოამზადეს, აღინიშნა ლიტერატურაში ლენინური პრემიის მინიჭებით (1979).

თავისი მემკვიდრის განსაზღვრისას ბრეჟნევი კ. ჩერნენკოსკენ იხრებოდა. სარეზერვო ფიგურად უკრაინის კომპარტიის პირველი მდივანი ვ. შჩერბიცკი განიხილებოდა. არსებობს ინფორმაცია, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ბრეჟნევს უნდოდა, ცენტრალური კომიტეტის უახლოეს პლენუმზე რეკომენდაცია გაეწია შჩერბიცკისათვის, რათა ის აერჩიათ მის ადგილზე, პარტიის გენერალურ მდივნად, თვითონ კი აპირებდა გადასულიყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

გერონტოკრატიის მმართველობა დიდხანს აღარ გაგრძელებულა. 1985 წლის 10 მარტს გარდაიცვალა ჩერნენკო. ამით დამთავრდა ხუთწლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გარდაიცვალა ბრეჟნევის პოლიტბიუროს დიდი ნაწილი. ამით დამთავრდა გერონტოკრატიის მმართველობა საბჭოთა კავშირში. მოხუცი ლიდერები ზედიზედ იხოცებოდნენ და უაღრესად დასცეს საბჭოთა კავშირის პრესტიჟი, ვიდრე ეს იყო ხრუშჩოვის მმართველობის ბოლო პერიოდში.

გერონტოკრატიის მმართველობის ბოლო პერიოდს ზოგჯერ ირონიულად უწოდებენ „დიდებული დაკრძალვების ხუთწლედს", „კატაფალკების შეჯიბრს", „ხუთწლედს სამ კუბოში" და ა. შ. 1980-1985 წლებში გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამი გენერალური მდივანი: ბრეჟნევი (1982), ანდროპოვი (1984), ჩერნენკო (1985); სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ოთხი წევრი: კოსიგინი (1980), სუსლოვი (1982), პელშე (1983) და უსტინოვი (1984); პოლიტბიუროს წევრობის სამი კანდიდატი: მაშეროვი (1980), კისელიოვი (1983) და რაშიდოვი (1983). როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს არ იყო მხოლოდ სკკპ ლიდერების დასაფლავება, ეს იყო საბჭოთა კავშირის დასაფლავების დასაწყისი.

1985 წლის თებერვალში ჩატარდა რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ჩერნენკო ამ დროს საავადმყოფოში იწვა. მის გარემოცვას ესმოდა, რომ ჩერნენკო უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ხალხში კი ხმა გავრცელდა – ჩერნენკო გარდაიცვალაო. ამიტომ სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნის ვიქტორ გრიშინის ინიციატივით და გორბაჩოვის თანხმობით, საავადმყოფოს პალატაში მოაწყეს საარჩევნო უბნის დეკორაცია და ტელევიზიით აჩვენეს ჩერნენკოსთვის დეპუტატის მონმობის გადაცემა. სცენა სავალალო აღმოჩნდა, – ქვეყნის ლიდერი ძლივს სუნთქავდა და სხვის დაუხმარებლად ფეხზე დგომაც არ შეეძლო. ერთი თვის შემდეგ ჩერნენკო გარდაიცვალა.

ჩერნენკოს დასაფლავებამ სწრაფად და ფორმალურად ჩაიარა. ჩერნენკო უკანასკნელი საბჭოთა ლიდერი აღმოჩნდა, რომელიც კრემლის კედელთან დაასაფლავეს.

ნაწილი მეთორმეტე
„გარდაქმნა“ და საბჭოთა კავშირის დაშლა

თავი XLIV.

მიხეილ გორბაჩოვი: გარდაქმნის პოლიტიკა

1985 წლის 11 მარტს მსოფლიომ გაიგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კონსტანტინე ჩერნენკოს გარდაცვალების შესახებ. იმავე დღეს შედგა ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი, რომელმაც გენერალურ მდივნად აირჩია პოლიტბიუროს ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 54 წლის მიხეილ გორბაჩოვი.

მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდი (1985 წ. მარტიდან 1991 წ. დეკემბრის ბოლომდე) ისტორიაში შევიდა „გარდაქმნის“ („პერესტროიკის“) სახელწოდებით. ამ შედარებით ხანმოკლე პერიოდში ოთხი ეტაპი გამოიყოფა, რომლებიც თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს საზოგადოების რეფორმირების გზების შესახებ წარმოდგენები და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ თავიანთი პოზიცია.[1]

ეტაპი	დახასიათება
პირველი ეტაპი 1985 წ. აპრილი – 1986	მიმდინარეობდა ლოზუნგით „საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება“. საბჭოთა საზოგადოების რეფორმირება ხორციელდებოდა ძველი, უპირატესად ადმინისტრაციული მიდგომებით. ამ დროს უწოდებდნენ „ავტორიტარულ გარდაქმნას“.
მეორე ეტაპი 1987 წ. – 1990 წ. გაზაფხული	დაიწყო პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის შეცვლა. მთავარი ბერკეტის სახით, რომლის მეშვეობითაც ივარაუდებოდა საზოგადოების შეცვლა, განიხილებოდა დემოკრატიზაცია და პოლიტიკური სისტემის რეფორმა. მაგრამ ამ ეტაპზე მკვეთრად გაუარესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გამწვავდა ერთაშორისი ურთიერთობები.
მესამე ეტაპი 1990 წ. ზაფხული 1991 წ. აგვისტო	უკავშირდება რესპუბლიკების სუვერენიზაციას და საზოგადოებრივი ცხოვრების ქაოტიზაციას. 1990 წ. შუახანებისთვის შეიქმნა თანმიმდევრული საბაზრო რეფორმების პროგრამები, მაგრამ მათი რეალიზება უკვე შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ დაიწყო ბრძოლა, ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ორგანოებსა და, მეორე მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის (რესპუბლიკები იბრძოდნენ „სუვერენიტეტისთვის“, რაც ესმოდათ როგორც რესპუბლიკების უფრო მეტი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის ფარგლებში). დაპირისპირება „საკავშირო“, ანუ რუსულ და რესპუბლიკურ პოლიტიკურ ელიტებს შორის შეუძლებელს ხდიდა მიმდინარე პროცესების მართვას. 1991 წ. გაზაფხული – ზაფხული იყო ხელისუფლების უმწვავესი კრიზისის პერიოდი, რომელიც დამთავრდა 1991 წ. 19-21 აგვისტოს გადატრიალების მცდელობით.

[1] История России. XX – до начала XXI века. Под ред. Л.В.Милова. М.,2007, стр.760-761.

მეოთხე ეტაპი 1991 წ. აგვისტოს ბოლო – 1991 წ. დეკემბრის ბოლო	მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო-პოლიტიკური სტრუქტურების დემონტაჟი (გარდაქმნა და ლიკვიდაცია).

უნივერსიტეტამდე მამასთან ერთად მუშაობდა კომბაინერად მშობლიურ სოფელში.

გორბაჩოვი 1950-1955 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ფაკულტეტის კომკავშირის მდივანიც იყო.

გორბაჩოვმა კარიერა მშობლიურ სტავროპოლის მხარეში გაიკეთა. ის ჯერ იყო სტავროპოლის მხარის კომკავშირის პირველი მდივანი, ხოლო 1970 წლიდან – სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი. 1977 წ. ნოემბრიდან გორბაჩოვი უკვე მოსკოვშია – ის გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და კურირებდა მისთვის კარგად ნაცნობ სოფლის მეურნეობას.

44.1. რა მემკვიდრეობა ერგო გორბაჩოვს

გორბაჩოვი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი გახდა. ის იყო „სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის“ ლიდერიც, რომელიც მსოფლიოს 30 ქვეყანას აერთიანებდა. მას ეკავა ხმელეთის 31% და იქ ცხოვრობდა დედამიწის მოსახლეობის 34%. მაგრამ ამ ბანაკის შემდგომი გაფართოება ჩაეფლო მრავალრიცხოვან ომებში, რაც მიმდინარეობდა ანგოლაში, მოზამბიკში, ეთიოპიაში, ნიკარაგუასა და სალვადორში და, რაც მთავარია, ავღანეთში. 1983 წ. 18 ოქტომბერს აშშ-მა საზღვაო ქვეითი ჯარი გადასხა გრენადაში და იქ კომუნისტური პლაცდარმი მოსპო. მარქსიზმის დოქტრინის საწინააღმდეგოდ „სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა მსოფლიოში“ შეუქცევადი არ იყო. „მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის“ ლენინური მირაჟი იფანტებოდა.

ახალი გენერალური მდივნის ხელში იყო უდიდესი სამხედრო ძალა – საბჭოთა არმიას გააჩნდა 62 ათასი ტანკი, 2354 სტრატეგიული ბირთვული რაკეტა (აშშ და მის მოკავშირეებს 1803 ასეთი რაკეტა გააჩნდათ), 228 ატომური წყალქვეშა ნავი (უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს ერთად აღებულს). საბჭოთა კავშირის ხელთ არსებული ბირთვული მუხტები 1,5 მილიონჯერ მეტი იყო ხიროსიმაში ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრეზე.[1] თუმცა ამ ძალის საწინააღმდეგოდ აშშ-ში რეიგანმა დაიწყო „ვარსკვლავური ომების“ შესაძლებლობების შესწავლა – ეს იყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა კოსმოსური ბაზირების ელემენტებით. მისი შექმნა მთლიანობაში საეჭვო იყო, მაგრამ ფსიქოლოგიური ეფექტი მოიტანა, – გვარიანად შეაშფოთა საბჭოთა ხელმძღვანელობა.

გორბაჩოვს მემკვიდრეობით ერგო ეკონომიკა, რომელიც აგებული იყო ერთიანი სამხედრო-სამრეწველო საწარმოს სახით, მაგრამ ეკონომიკისადმი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მიდგომა გარკვეულწილად ქმედითი იყო ინდუსტრიალიზაციის ადრინდელ ეტაპებზე, მაგრამ უკვე აღარ გამოადგებოდა რთულ და განვითარებულ ეკონომიკას. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკა არ იძლეოდა სტიმულებს არც ტექნიკური პროგრესისთვის, არც შრომით და მატერიალურ რესურსებს ზოგავდა და არც ადამიანების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. 1970-იანი წლების შუახანებიდან განვითარების ტემპი მცირდებოდა, ხოლო კაპიტალის უდიდეს დაბანდებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, შედეგი არ მოჰქონდა.

[1] История России. XX век. Том Ш (1953-2008). Под ред. А.Б.Зубова. М., 2017, стр.281.

ეკონომიკის ამ სისტემურ პრობლემებს მალე კონიუნქტურული პრობლემებიც დაემატა. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრ ვარდნას მოჰყვა ნავთობის ექსპორტიდან შემოსავლების შემცირება. სწორედ ამ ფულით ხდებოდა მონყობილობების, ხორბლის, მასობრივი მოხმარების საქონლის შეძენა და „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის" უზრუნველყოფა. ხალხის ორგანიზებული და აქტიური უკმაყოფილებისა კი ყველაზე მეტად ეშინოდა კომუნისტურ რეჟიმს, განსაკუთრებით პოლონეთის ამბების შემდეგ.

ახალ გენერალურ მდივანს მემკვიდრეობით ერგო 70-ნლიანი ტოტალიტარული ბატონობის შედეგად დანგრეული და ზნეობრივად დეგრადირებული საზოგადოება. სტალინური ტერორის არარსებობის პირობებში შეუზღუდავი ხელისუფლება მექრთამეობისა და კლანურობის პირობებში აღმოჩნდა. კომუნისტური ფრაზეოლოგია დიდი ხანია გადაქცეული იყო პირობითობად. საზოგადოების ფართო ფენებში გაბატონებული იყო აპათია, უპასუხისმგებლობა და პასიურობა. ყველა ცდილობდა საკუთარი თავისთვის მიეხედა და სოციალისტური სახელმწიფოსთვის მოეპარა ის, რაც „ცუდად იდო". მათზე უკვე აღარ ჭრიდა კომუნისტური ლოზუნგები და მათ სიცრუედ მიიჩნევდა.

44.2. გარდაქმნის დასაწყისი: საკადრო ცვლილებები

გორბაჩოვი სასწრაფოდ შეუდგა საკადრო ცვლილებებს. პოსტებიდან მოხსნეს ცვლილებების ღია მოწინააღმდეგეები და გორბაჩოვის მტრები: ჰეიდარ ალიევი, ვ. გრიშინი, დ. კუნაევი, გ. რომანოვი, ვ.შჩერბიცკი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტიხონოვის ნაცვლად გახდა ნიკოლაი რიჟკოვი.

ანდრეი გრომიკო, რომელმაც წამოაყენა გორბაჩოვის კანდიდატურა გენერალური მდივნის პოსტზე, თავისით გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან და გადავიდა უფრო „მშვიდ" პოსტზე – გახდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა ალექსანდრე იაკოვლევი, რომელსაც გორბაჩოვი კარგად იცნობდა და რომელიც შემდეგ გარდაქმნის მთავარი იდეოლოგი გახდა.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნად დაინიშნა ბორის ელცინი, რომელიც მანამდე სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტს ედგა სათავეში. ელცინმა ერთი წლის განმავლობაში შეცვალა მოსკოვის თითქმის მთელი პარტიული ხელმძღვანელობა. ელცინი შემდეგ გორბაჩოვის მთავარი მოწინააღმდეგე გახდა.

თავად გორბაჩოვმა თავისი მმართველობის პირველი წელიწად-ნახევრის განმავლობაში შეცვალა პოლიტბიუროს წევრების 70%, საოლქო კომიტეტების მდივნების 60%, ცენტრალური კომიტეტის წევრების 40%.[1]

44.3. გარდაქმნის მცდელობა ადმინისტრაციული მეთოდებით

გორბაჩოვსა და მის თანამოაზრეებს ესმოდათ, რომ „განვითარებულმა სოციალიზმმა" ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, მაგრამ როგორ უნდა დაეღწიათ მისთვის თავი, ნათელი არ იყო. გორბაჩოვს, ისევე, როგორც მის თანამოაზრეებს, მხოლოდ კომუნისტური ადმინისტრირების გამოცდილება გააჩნდათ, თავად გორბაჩოვს კი სჯეროდა, რომ კომუნისტური ტიპის სოციალიზმი უკეთესი იყო ყველა სხვა სახის საზოგადოებაზე. ამიტომ გამოსავალიც „სოციალიზმის სრულყოფის" ფარგლებში ესახებოდა.

ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი თვის შემდეგ, 1985 წ. აპრილში გორბაჩოვმა ჩააბარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და ამოცანად დაისახა ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. ამ ამოცანის გადაწყვეტა სცადეს ჩვე-

[1] История России XX век. Том Ш (1953-2008). Под ред. А.Б.Зубова. М., 2017, стр.281.

ული გზით, ისე, რომ არ გამოდიოდნენ სისტემის ფარგლებიდან. დაჩქარებით უნდა განვითარებულიყო მანქანათმშენებლობა, ანუ მძიმე მრეწველობა. ამისათვის გამოიყო უზარმაზარი თანხა – 200 მილიარდი რუბლი და დასავლეთში ყიდულობდნენ მონყობილობებს, ლამის მთელ ქარხნებს, ამასთან არ იცვლებოდა არც წარმოების ორგანიზაცია და არც სტიმულების სისტემა.

ახალი მშენებლობიდან აქცენტი გადაიტანეს დაუსრულებელი მშენებლობების დამთავრებაზე. მანქანათმშენებლობაში 1990-იანი წლების დასაწყისში უნდა მიეღწიათ მსოფლიო დონისათვის. მანამდე არცერთ პარტიულ დოკუმენტსა და განცხადებაში არ ყოფილა დასახელებული, რომ „ამერიკისთვის უნდა გაესწროთ" ხუთი წლის განმავლობაში. საბჭოთა ეკონომიკას ამის გაკეთება არ შეეძლო და არც გამოუღია არსებითი ეფექტი, მიუხედავად უზარმაზარი თანხების დახარჯვისა.

44.4. რეფორმების ტერმინოლოგია: „გარდაქმნა", „დაჩქარება" და „საჯაროობა"

1985 წ. აპრილის პლენუმზე გორბაჩოვმა აღიარა სერიოზული ეკონომიკური პრობლემების არსებობა, რომელიც ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში დამკვიდრდა. მალე ბრეჟნევის მმართველობის პერიოდს გორბაჩოვმა „უძრაობის ხანა" უწოდა, მაგრამ ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ საბჭოური სოციალიზმის საფუძვლები ხალასია და ეჭვის შეტანა არ შეიძლება. გორბაჩოვის თქმით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ „სოციალიზმის პოტენციური შესაძლებლობები არასაკმარისად იყო გამოყენებული"

ამოცანად იქნა დასახული „მეტი სოციალიზმის" შექმნა, მისი განვითარების დაჩქარება. „გარდაქმნა" და „დაჩქარება" – ეს სიტყვები საკვანძო გახდა გორბაჩოვის მიერ არჩეულ რეფორმატორულ სტრატეგიაში.[1]

1986 წლიდან საბჭოთა ლიდერების პოლიტიკურ ლექსიკონში კიდევ ერთი საკვანძო სიტყვა გახდა „საჯაროობა". თავიდან ამ ტერმინის ქვეშ ესმოდათ სახელმწიფო და პარტიული ორგანოების ღიაობა კრიტიკისათვის უბრალო მშრომელთა მხრიდან. მოგვიანებით, 1987-1988 წლებში „საჯაროობის" ცნების შინაარსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. უკვე საქმე ეხებოდა ცენზურის გაუქმებას, სიტყვის თავისუფლების დაშვებას და ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას. XXVII ყრილობის შემდეგ „საჯაროობა" გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი გახდა. საჯაროობა ნიშნავდა იმ ნაკლოვანებების გამოვლენას, რაც ხელს უშლიდა გარდაქმნასა და დაჩქარებას.

საჯაროობა 1987 წელს ყველასთვის თვალსაჩინო გახდა. დაიწყო ისეთი მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნება, რომლებიც ადრე აკრძალული იყო, მოეწყო ადრე გადაღებული და ფაქტობრივად აკრძალული ფილმების ჩვენება (პირველი ასეთი ფილმი იყო თენგიზ აბულაძის „მონანიება"). სპეცსაცავებიდან ბიბლიოთეკების ღია ფონდებში დააბრუნეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს აკრძალული ლიტერატურა, 1987 წელს გაჩნდა პირველი არასახელმწიფოებრივი ტელევიზიები. 1987 წლის 28 სექტემბერს შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა 1930-1940-იანი წლებისა და 1950-იანი წლების დასაწყისის რეპრესიებთან დაკავშირებული მასალები. 1988-1991 წლებში ამ კომისიის მუშაობის შედეგად რეაბილიტირებულ იქნა 1 მილიონზე მეტი უკანონოდ გასამართლებული საბჭოთა მოქალაქე. 1988 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა კავშირმა მთლიანად შეწყვიტა უცხოური რადიოსადგურების ჩახშობა. 1990 წლის 12 ივნისს მიიღეს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ", რომელმაც გამოაცხადა ცენზურის გაუქმება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება.

---

[1] ტერმინი „გარდაქმნა" («перестройка») პარტიულ ლექსიკონში ახალი არ იყო და მას საკმაოდ ხშირად სტალინიც იყენებდა. მაგალითად. პარტიის XVI ყრილობაზე სტალინი ამბობდა, რომ დღის წესრიგში იდგა „სახალხო მეურნეობის მთელი ტექნიკური ბაზის გარდაქმნის ამოცანა".

44.5. გორბაჩოვის ადმინისტრაციული მეთოდების პრაქტიკული უშედეგობა

გორბაჩოვის მიერ თავის მმართველობის პირველ ხანებში განხორციელებული ზომები თავისებური შეხამება იყო ხრუშჩოვის 1960-იანი წლების ვოლუნტარისტული ნაბიჯების და, კიდევ უფრო მეტად, ანდროპოვის „წესრიგის დამყარებისკენ" მიმართული ნაბიჯებისა.

ვოლუნტარისტული იყო, მაგალითად, სასკოლო რეფორმა, რომლის ერთ-ერთ ამოცანად იყო დასახული მოსწავლეთა საყოველთაო კომპიუტერული სწავლება. იგულისხმებოდა, რომ სკოლადამთავრებულები დასავლეთში არსებულ „ცისფერ საყელოებს" – მაღალკვალიფიციურ მუშებს გაუტოლდებოდნენ და მტკიცე საკადრო ბაზას შექმნიდნენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისთვის, მაგრამ მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ საბჭოთა ეკონომიკას არ შეეძლო ამისათვის საჭირო კომპიუტერების მცირე ნაწილის წარმოებაც კი. ილუზიური აღმოჩნდა კომპიუტერების დანერგვის მცდელობა მმართველობით პროცესში.

ანდროპოვის სტილში იყო კანონი სახელმწიფო მიღების შესახებ, რომლის მიხედვითაც სამრეწველო საწარმოებში იქმნებოდა სპეციალური კომისიები პროდუქციის ხარისხის კონტროლისათვის. რეფორმამ გაზარდა ადმინისტრაციული აპარატი, მაგრამ პოზიტიური პრაქტიკული შედეგები არ მოუტანია.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ზომებიდან ყველაზე ცნობილი გახდა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შესახებ.

პრობლემა მართლაც მეტად მწვავე იყო. 1980-იანი წლების დასაწყისში რუსეთში ალკოჰოლიკი იყო ყოველი მე-3 მამაკაცი და ყოველი მე-8 ქალი. ლოთობა ჩვეულებრივი რამ იყო ახალგაზრდობაში, უფროსკლასელების ჩათვლით. თავად გორბაჩოვი ალკოჰოლს არ ღებულობდა. მასთან ბრძოლა კი მხოლოდ პარტიული მეთოდებით შეეძლო – აკრძალვით.

ანტიალკოჰოლური კამპანია ენერგიულად წარიმართა. უკვე 1986 წ. ბოლოს ალკოჰოლის წარმოება განახევრდა. ლოთობდნენ ძირითადად არყით, მაგრამ გაჩეხეს ვენახები ყირიმში, მოლდოვასა და სამხრეთ კავკასიაში. მაგრამ ამ რეფორმამაც მოულოდნელი შედეგები მოიტანა. ალკოჰოლის მოხმარება არ შემცირებულა, მაგრამ სახელმწიფო პროდუქციის ნაცვლად იყენებდნენ თვითნაკეთ სასმელს. მაღაზიებში დაიწყო შაქრის ქრონიკული დეფიციტი – სწორედ შაქრიდან ხდიდნენ ძირითადად არაყს. მძიმე დარტყმა მიადგა სახელმწიფო ხაზინას: ანტიალკოჰოლური კამპანიის დროს საბიუჯეტო შემოსავლები ალკოჰოლის გაყიდვიდან 37 მილიარდი რუბლით შემცირდა სამი წლის განმავლობაში და პირველად საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში მწვავე საბიუჯეტო დეფიციტი მოჰყვა.

44.6. სკკპ XXVII ყრილობის არარეალისტური დაპირებები

მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პირველი ეტაპის „სტრატეგიული გათვლების" მწვერვალი იყო სკკპ XXVII ყრილობა (1986 წლის 25 თებერვალი – 6 მარტი). ყრილობას გახსნისას 4993 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობაზე ჩამოვიდა 113 ქვეყნიდან კომუნისტური და მემარცხენე პარტიების 152 დელეგაცია.

ყრილობაზე ბრეჟნევის მმართველობის ბოლო წლებს გორბაჩოვმა „უძრაობის პერიოდი" უწოდა, აღნიშნული ტერმინი სწორედ ამ დროიდან გაჩნდა.[1] მაგრამ ეს ეხებოდა ეკო-

[1] უფრო ხშირად „უძრაობის ხანა" ეწოდება პერიოდს ბრეჟნევის ხელისუფლებაში მოსვლიდან (1960-იანი წლების შუახანებიდან) „გარდაქმნის" დანყებამდე (1980-იანი წლების შუახანებამდე), რომელსაც ახასიათებდა ეკონომიკური განვითარების ტემპის შემცირების მდგრადი ტენდენცია. ამავე დროს არ ყოფილა რაიმე სერიოზული რყევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო გარკვეული სოციალური სტაბილურობა და წინა პერიოდთან შედარებით მაღალი ცხოვრების დონე.

ნომიკას და არ გაუკრიტიკებიათ თავად ბრეჟნევი და მისი გარემოცვა. გორბაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ბრეჟნევს, ანდროპოვსა და ჩერნენკოს. ყრილობაზე გორბაჩოვმა გაცხადა, რომ სტალინმა გაანადგურა ლენინური გვარდია და დაამახინჯა ლენინის იდეები, ამიტომ საჭიროა კომუნიზმის სათავეებთან დაბრუნება. მან მოუწოდა „ადამიანური ფაქტორის გააქტიურებისაკენ" და საჭიროდ მიიჩნია კვლავ აეთვისებინათ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილება. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის აღორძინებას" – სოციალიზმისა და ბაზრის შეთავსებას გორბაჩოვს ურჩევდა აკადემიკოსი აბალკინი, რომელიც მისი მთავარი ეკონომიკური მრჩეველი იყო.

მიხეილ გორბაჩოვის მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნებოდა „საზოგადოების შემდგომ დემოკრატიზაციას" და „ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავებას". ასეთი დემოკრატიზაციის მთავარი ბერკეტი უნდა გამხდარიყო „საჯაროობის" პოლიტიკა.

XXVII ყრილობამ უტოპიზმისთვის გააკრიტიკა ხრუშჩოვის მიერ მიღებული პარტიის პროგრამა (ამ პროგრამის მიხედვით, 1980 წლისათვის საბჭოთა კავშირში კომუნიზმი უნდა აშენებულიყო), მაგრამ თავად ამ ყრილობის გადაწყვეტილებებიც იმავე სულისკვეთებისა იყო. ყრილობის შედეგებს გაზეთმა „პრავდამ" მიუძღვნა სტატია: „ჩვენი მიზანია კომუნიზმი!"

გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მოხსენებაში პირველად ითქვა, რომ კომუნიზმი შორეულ პერსპექტივას წარმოადგენდა. ეს ხედვა დაფიქსირდა ყრილობის მიერ 1 მარტს ერთსულოვნად მიღებული პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, სადაც აღარ იყო საუბარი „კომუნიზმის მშენებლობის" შესახებ, სამაგიეროდ, გათვალისწინებული იყო „სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სრული გამოყენება", „საწარმოების გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე" და ა. შ. თუმცა პროგრამამ მთლიანობაში შეინარჩუნა უტოპიური ხასიათი. პროგრამის თანახმად, „თანამედროვე ეპოქის შინაარსს" წარმოადგენდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლა, განხილული იყო „სოციალიზმის სრულყოფისა და კომუნიზმზე გადასვლის" ამოცანები, კომუნისტური პარტია კვლავ ცხადდებოდა საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ ძალად. კომუნისტური პარტიის როლის გასაძლიერებლად პარტიის წესდებაში შეიტანეს ცვლილებები – პარტიაში ახალი წევრები მხოლოდ ღია პარტიულ კრებებზე უნდა მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ უპარტიოთა აზრი. პარტიის წევრს ამიერიდან თავის ყველა მოქმედებაზე პასუხი უნდა ეგო პირველადი პარტიული ორგანიზაციის წინაშე.

ყრილობის მთავარი პოლიტიკური გზავნილი „დაჩქარება" იყო[1] და ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლაი რიჟკოვის მოხსენება ახალი ხუთწლედისა (1986-1990) და შემდგომი პერიოდის ხედვების შესახებ. ყრილობაზე გამოაცხადეს, რომ 2000 წლისათვის გაორკეცდებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოტენციალი, იმავე ვადაში 2,5-ჯერ უნდა გაზრდილიყო შრომის ნაყოფიერება და ყოველ საბჭოთა ოჯახს ცალკე ბინა უნდა ჰქონოდა. ყრილობამ მოიწონა ასევე კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ. დირექტორი უნდა აერჩია საწარმოს საბჭოს, თავად საწარმოები კი სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადასულიყვნენ.

საჯაროობის გარდა, თავის მოხსენებაში გორბაჩოვმა დაადასტურა ქვეყნის „სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების" კურსი,[2] ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და „ხალხის კეთილდღეობის" ამაღლებაზე. 1990 წლისათვის მოსახლეობის შემოსავალი 1,6-1,8-ჯერ უნდა გაზრდილიყო. 2000 წელს კი ყოველ საბჭოთა ოჯახს

[1] ყრილობის მსვლელობის დროს სიტყვა „დაჩქარება" 361-ჯერ ახსენეს (მათ შორის გორბაჩოვის მოხსენებაში - 44-ჯერ), სიტყვა „გარდაქმნა" – 159-ჯერ (გორბაჩოვის მოხსენებაში 27-ჯერ), ხოლო სიტყვა „საჯაროობა" მხოლოდ 30-ჯერ (გორბაჩოვის მოხსენებაში 9-ჯერ) - https://theins.ru/history/239883

[2] დაჩქარების შესახებ განცხადება პირველად გაკეთდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 23 აპრილის პლენუმზე.

უნდა ჰქონოდა ცალკე ბინა ან სახლი. შრომის ნაყოფიერება საბჭოთა კავშირში 2000 წლისათვის 2,3-ჯერ-2,5-ჯერ უნდა გაზრდილიყო, ძირითადად წარმოების ინტენსიფიკაციისა და ავტომატიზაციის ხარჯზე.

აქცენტი „დაჩქარებაზე" არ ითვალისწინებდა ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს და კვლავ უახლოვდებოდა ხრუშჩოვისეულ განწყობას – „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას" გორბაჩოვსა და მის მრჩეველებს ამ დროისათვის საკმაოდ სუსტად წარმოედგინათ საბჭოთა კავშირის რეალური ადგილი მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და სათანადო ანგარიშს ვერ უწევდნენ ქვეყნის ტექნოლოგიურ ჩამორჩენას. გორბაჩოვი თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალით საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად მიუახლოვდა აშშ-ს და ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვებით გადაასწრო კიდეც. სინამდვილეში, 1980-იანი წლების შუახანებში საბჭოთა კავშირი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობით აშშ-ს 5-6-ჯერ ჩამორჩებოდა, ამავე დროს ორ ზესახელმწიფოს ერთნაირი სამხედრო ხარჯები ჰქონდათ, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა გაცილებით უფრო სუსტ საბჭოთა ეკონომიკას და განაპირობა საბჭოთა კავშირის „ციე ომში" დამარცხება.

მოხსენების საგარეოპოლიტიკურ ნაწილში გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად იყო ჯარი გაეყვანა ავღანეთიდან, ასევე დაადასტურა ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების კურსი, განაცხადა, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის შეჯიბრი უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ „მშვიდობიანი შეჯიბრებისა და მშვიდობიანი მეტოქეობის ფორმით".

სკკპ XXVII ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტი შედგებოდა გორბაჩოვის მომხრეებისა და ბრეჟნევის დროინდელი „ძველი გვარდიისაგან", აქ იყვნენ წარმოდგენილი ბორის პონომარიოვი, მიხაილ სოლომენცევი, ნიკოლაი ტიხონოვი, ჰეიდარ ალიევი და სხვები. 1985-1988 წლებში გორბაჩოვმა მოახერხა დაემთავრებინა ჯერ კიდევ ანდროპოვის დროს დაწყებული საკადრო წმენდა. სამი წლის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა 85%-ით განახლდა. ამ მხრივ გადააჭარბა 1934-1939 წლების სტალინურ „განახლებას", რაც 77%-ს შეადგენდა. საკადრო გადაადგილებების აპოთეოზი იყო 1988 წელს XIX პარტიული კონფერენცია, როდესაც პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანეს ხელისუფლებაში შემორჩენილი „კრემლის მოხუცები", მათ შორის გრომიკო, სოლომენცევი, დოლგიხი.

44.7. ჩერნობილის კატასტროფა

ცხოვრება რეფორმისტული ჩანაფიქრების საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა და მეტყველებდა იმაზე, რომ ამონურული იყო კომუნისტური სახელმწიფო-მობილიზაციური მოდერნიზაციის შესაძლებლობები. საბჭოთა სოციალიზმის კრიზისი კი არ სუსტდებოდა, არამედ ძლიერდებოდა. მისი თვალსაჩინო და ტრაგიკული გამოვლინება იყო კატასტროფა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე.

1986 წ. 25-26 აპრილის ღამით ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის (ქ. პრიპიატის ახლოს, უკრაინაში) მე-4 ბლოკზე (ყველაზე ახალზე, რომელიც 1984 წელს ჩადგა მწყობრში) მოხდა დიდი ბირთვული ავარია, რომელიც რადიაციის გამოფრქვევით უტოლდებოდა 1945 წ. ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებულ 500 ატომურ ბომბს. ატმოსფეროში გამოიფრქვა დაახლოებით 190 ტონა რადიოაქტიური ნივთიერება და 8 ტონა რადიოაქტიური საწვავი. ხანძარი სადგურზე თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა. ხანძარს ებრძოდნენ სამხედროებისა და მთელ კავშირში მობილიზებული „ლიკვიდატორების" მეშვეობით. რადიაციული დასხივება მიიღო დაახლოებით 7 მილიონმა ადამიანმა, რამდენიმე ათასმა კი – სიცოცხლისთვის საშიში დოზა.

თავიდან სცადეს კატასტროფის დამალვა. მხოლოდ 28 აპრილს გაავრცელეს მოკლე ინფორმაცია მომხდარი ავარიის შესახებ, თუმცა მასშტაბები დამალეს და არც სამაისო საზეიმო ღონისძიებები გაუუქმებიათ (მოგვიანებით აღნიშნავდნენ, რომ ეს პანიკის თავიდან ასაცილებლად გაკეთდა). კიევში 1 მაისის დემონსტრაცია ჩატარდა რადიოაქტიური წვიმის ქვეშ, ისე რომ ადამიანებმა ამის შესახებ არ იცოდნენ.[1] პარტიული ჩინოვნიკები თავიანთ ოჯახებს სასწრაფოდ აგზავნიდნენ შორს, უსაფრთხო ზონებში, ხალხს და მსოფლიოს კი უმტკიცებდნენ, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

თუმცა კატასტროფის დამალვა შეუძლებელი იყო. რადიოაქტიურობის მკვეთრი ზრდის შესახებ პირველად შვედეთმა განაცხადა. ამ ქვეყანაში კატასტროფის ლიკვიდაციაში 84,5 ათასი ადამიანი ჩართეს. მათი ნახევარი დასხივების შედეგად XXI საუკუნის დასაწყისისთვის ან გარდაცვლილი იყო, ანდა ინვალიდი გახდა.

3 ივლისს პოლიტბიუროს სხდომაზე გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საჭირო იყო გაესაჯაროებინათ სრული ინფორმაცია მომხდარის შესახებ. პირველად 70 წლის განმავლობაში მოიხსნა აკრძალვა და აღარ იმალებოდა საბჭოთა კავშირში მომხდარი კატასტროფები და სტიქიური უბედურებები, ასევე მექრთამეობა, ქურდობა, ნარკომანია, შიდსი და ა.შ. საბჭოთა პრესის სახე სწრაფად იცვლებოდა.

ატომური ელექტროსადგურის გარშემო 30-კილომეტრიანი ზონიდან მთელი მოსახლეობა – დაახლოებით 115 ათასი ადამიანი ევაკუირებულ იქნა. ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები ძირითადად 1986-1987 წლებში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 240 ათასმა ადამიანმა.

[1] როგორც აღინიშნება, საპირველმაისო დემონსტრაცია კიევში გორბაჩოვის პირდაპირი მითითებით ჩატარდა.

თავი XLV.

გარდაქმნა: შიდაპოლიტიკური დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის დასაწყისი

45.1. რეფორმების ახალი სტრატეგია – სოციალიზმის დემოკრატიული მოდელის შექმნის ლოზუნგი

გორბაჩოვის 1985-1986 წლების რეფორმები ფაქტობრივად წარუმატებელი აღმოჩნდა. არსებული კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა უარყოფდა როგორც მუშათა თვითმმართველობას, ისე საბაზრო ეკონომიკის ელემენტებს. რეფორმები წაადგა კომუნისტური ხელმძღვანელობის ძლიერ წინააღმდეგობასაც. ისინი გრძნობდნენ, რომ დაწყებულ რეფორმებს არსებული წყობილების ნგრევა მოჰყვებოდა.

გორბაჩოვს, რომელიც მიჰყვებოდა პოლიტიკური პროცესის გააზრების კომუნისტებისთვის ჩვეულ ფორმებს, სჯეროდა სოციალიზმის პროგრესულობა და უპირატესობა. 1986 წლის ბოლოს და 1987 წლის დასაწყისში გორბაჩოვის გუნდი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადმინისტრაციული ზომებით ქვეყანაში სიტუაციის შეცვლა შეუძლებელი იყო. გორბაჩოვს რეფორმებისკენ უბიძგა ასევე 1986 წელს საბჭოთა ეკონომიკაზე მომხდარმა ორმა მძიმე დარტყმამ: ნავთობზე ფასების შემცირებამ და ჩერნობილში მომხდარმა კატასტროფამ.

წამოყენებულ იქნა ლოზუნგები „დეფორმაციებიდან" სოციალიზმის გათავისუფლების, „ლენინურ ნორმებთან", „ოქტომბრის იდეალებთან", „ადამიანური სახის სოციალიზმთან" დაბრუნების შესახებ. მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ გორბაჩოვი მიიჩნევდა პოლიტბიუროს წევრის ეგორ ლიგაჩოვის გარშემო შეკრებილ ძალებს. მათთან შედარებით გორბაჩოვი და მისი მომხრეები უმცირესობაში იყვნენ. ცენტრალურ კომიტეტში „კონსერვატიული უმრავლესობის" დასაძლევად გორბაჩოვმა გადაწყვიტა საზოგადოებისთვის მიემართა და დაეწყო პოლიტიკური დემოკრატიზაცია. ამით 1987 წლიდან სათავე დაედო გარდაქმნის მეორე ეტაპს (1987 წ. იანვარი – 1989 წ. ივნისი).

1987 წლის იანვარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გორბაჩოვმა წარადგინა რეფორმების ახალი სტრატეგია და კონცეფცია. თუკი ადრე ივარაუდებოდა, რომ 70 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სოციალიზმი თავისი არსით ჯანსაღი იყო და საჭირო იყი მისი განვითარების „დაჩქარება", ახლა სოციალიზმის არსებულ მოდელს „მბრძანებლურ-ადმინისტრაციულს" უწოდებდნენ და აკრიტიკებდნენ. გორბაჩოვის განცხადებით, 1980-იანი წლების შუახანებში საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა „დამუხრუჭების მექანიზმი", რომელიც აფერხებდა სოციალიზმის უპირატესობების გამოვლინებას. დამუხრუჭების ფესვებად მიიჩნიეს: სოციალისტური დემოკრატიის ინსტიტუტების ფუნქციონირებაში სერიოზული ნაკლოვანებების არსებობა, მოძველებული პოლიტიკური და თეორიული ორიენტირები, მართვის კონსერვატიული მექანიზმი.

გორბაჩოვის წინადადებით, „დაჩქარების" კონცეფციას დაემატა ახალი სტრატეგიული ხაზი – „გარდაქმნა". მისი არსი უძრაობის პროცესების „დამუხრუჭების მექანიზმის" დამსხვრევა იყო. სოციალიზმის სერიოზული მანკიერი მხარეების დასაძლევად საჭიროდ მიიჩნიეს სოციალიზმის დემოკრატიული მოდელის შექმნა. ახალი პრინციპი გამოცხადდა ლოზუნგით „მეტი დემოკრატია!". მიზნად იქნა დასახული ხალხის თვითმმართველობის განვითარება, საბჭოების რეალური ხელისუფლებით აღჭურვა, არჩევნების ალტერნატიულ საფუძველზე ჩატარება. ამ ამოცანების გადასაწყვეტად 10-12 წელი ივარაუდებოდა.

გორბაჩოვის ჩანაფიქრით, სოციალიზმისა და დემოკრატიის შეერთება კომუნისტურ პარტიაში მყოფი „კონსერვატორების“ დამარცხების საფუძველი გახდებოდა.

1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ:

- საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოცხადდა საჯაროობის პოლიტიკა – შერბილდა ცენზურა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მოიხსნა აკრძალვები ადრე მიჩუმათებულ თემებზე, რომლებიც საჯაროდ არ განიხილებოდა (პირველ რიგში, სტალინური რეპრესიები, ნარკომანია, ყოფითი ძალადობა, სექსი, პროსტიტუცია და ა. შ.);

- ეკონომიკაში დაკანონდა კერძო მეწარმეობა კოოპერატივების ფორმით (თუმცა ჯერ სიტყვებს „მეწარმეობა“ და „კერძო საკუთრება“ ხმამაღლა არავინ ამბობდა), კოოპერატივები განიხილებოდა, როგორც ბაზრის ელემენტები არსებულ სოციალისტურ მოდელში), აქტიურად იწყება ერთობლივი საწარმოების შექმნა უცხოურ კომპანიებთან;

- საერთაშორისო პოლიტიკაში უმთავრესი დოქტრინა ხდება „ახალი აზროვნება“, რაც გულისხმობდა დიპლომატიაში კლასობრივ მიდგომაზე უარის თქმას და ურთიერთობის გაუმჯობესებას დასავლეთთან.

45.2. XIX პარტიული კონფერენცია და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა

1988 წ. ივნისში ჩატარდა სკკპ XIX პარტიული კონფერენცია, რომელიც მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა გარდაქმნის თეორიასა და პრაქტიკაში. სამანდატო კომისიის ინფორმაციით, დელეგატების ნახევარს შეადგენდნენ 40-იდან 50 წლამდე კომუნისტები, რომლებიც პარტიაში 1964 წლის შემდეგ შევიდნენ. აღინიშნა, რომ პირველად 1920-იანი წლების შემდეგ დელეგატებს საშუალება მიეცათ, გამოეთქვათ საკუთარი აზრი, გაეკრიტიკებინათ პარტიული ხელმძღვანელობა, ამასთან კონფერენციის სხდომების ტრანსლირება საკავშირო ტელევიზიით ხდებოდა.

კონფერენციაზე გამოსვლისას მ. გორბაჩოვმა გამოაცხადა პოლიტიკური ხელისუფლების რეფორმის აუცილებლობა, რომლის არსიც პარტიული ორგანოების საბჭოთა ორგანოებისგან გამიჯვნა იყო. კონფერენციაზე პირველად იქნა გაცხადებული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის კურსი, თუმცა ის უნდა ყოფილიყო „სოციალისტური“. ეს იყო ლენინიზმისგან მესამე ძირეული გადახვევა (პირველი იყო „კლასობრივ“ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმა, მეორე – პოლიტიკურ საქმიანობაში ხალხის უშუალოდ ჩართვა). სახელმწიფო ამიერიდან უნდა დამყარებოდა არა მმართველი ფენის, კომუნისტური ნომენკლატურის პოლიტიკურ ნებას, არამედ კანონსა და სამართალს. ეს სავსებით ლოგიკური იყო. სამართლებრივი სახელმწიფოს გარეშე დემოკრატია შეუძლებელია. განაცხადის მიხედვით, სამართალი ამიერიდან უნდა განესაზღვრა თავისუფლად არჩეულ პარლამენტს და არა ხელისუფლების უზურპატორ ბოლშევიკურ პარტიას.

სკკპ XIX პარტიულმა კონფერენციამ პარტიის პროგრამიდან (1961 წელს ნ. ხრუშჩოვმა რომ მიიღო) ამოიღო კომუნიზმის აშენების გეგმა, რომელიც 1980 წლისთვის უკვე რეალიზებული უნდა ყოფილიყო, და კომუნიზმის აშენება ზოგადი განაცხადის სახით დატოვა. სამაგიეროდ, გაჩნდა ლოზუნგები საჯაროობის, დემოკრატიისა და სახალხო მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების შესახებ.

მ. გორბაჩოვის მიერ დემოკრატიზაციის მიმართულებით გადადგმული პირველი რეფორმა „ალტერნატიული არჩევნები“ იყო. XIX პარტიულ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ალტერნატიული არჩევნები საფუძვლად დაედებოდა ყველა დონის საბჭოების არჩევას, ამასთან კანდიდატად წამოყენების შესაძლებლობა ყველა მსურველს უნდა მისცემოდა. თავად საბჭოები უნდა გარდაქმნილიყო პარლამენტარიზმის კანონების შესაბამისად

და მათ სახელმწიფო ფუნქციები უნდა გადასცემოდათ. პირველად 1917-1918 წლების შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლება ბოლშევიკურის ნაცვლად „საბჭოთა“ ხდებოდა.

ერთი შეხედვით, სიტყვათშეთანხმება „ალტერნატიული არჩევნები“ უაზრობა იყო, – არჩევნები თავისთავად გულისხმობს ალტერნატიულობას, მაგრამ საბჭოთა კავშირში ბატონობდა არჩევნები ალტერნატივის გარეშე, კომუნისტური იდეოლოგია კი ამას დემოკრატიის მწვერვალად სახავდა. ალტერნატიული არჩევნების შემოღებისას გორბაჩოვი ვერ წარმოიდგენდა, რომ შედეგად პოლიტიკურ რევოლუციას მიიღებდა, რომელიც დაანგრევდა არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ სისტემას, არამედ მთლიანად კომუნისტურ რეჟიმს, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირს.

თუმცა, ალტერნატიული არჩევნების დაშვების, კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის დეკლარირებასთან ერთად, მიღებულ იქნა ზომები სახელმწიფოში კომუნისტური პარტიის როლის შესანარჩუნებლად. ადრე უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელსაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ირჩევდა ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული ოლქების მიხედვით. XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭო უნდა აერჩია საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომლის დეპუტატების ორი მესამედიც უნდა აერჩია საბჭოთა კავშირის მოსახლეობას, დარჩენილი 750 დეპუტატი კი უნდა აერჩია „საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“, მათი დიდი ნაწილი კი კომუნისტურ პარტიაზე მოდიოდა. ეს რეფორმა საკანონმდებლო წესით 1988 წლის ბოლოს გაფორმდა.

პარტიულმა კონფერენციამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელს უნდა შეეთავსებინა შესაბამისი დონის საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. თუკი საბჭოს არჩევნებში არსებული რაიკომის მდივანი ვერ გაიმარჯვებდა, მაშინ მდივნის პოსტს საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული პირი დაიკავებდა. ამ სიახლით იმედოვნებდნენ, რომ ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობებზე მოიყვანდნენ ენერგიულ და პრაქტიკულ ადამიანებს, რომელთაც ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი ექნებოდათ.

ახალი მიდგომის შესაბამისად დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის არჩევნები. ის გამოცხადდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ, რომელსაც ალტერნატიული არჩევნებით 5 წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ. პარტიულმა კონფერენციამ მხარი დაუჭირა ხელისუფლების დანაწილებას, სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოებას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. კომუნისტური პარტიული კონფერენციის მიერ გაუქმდა ყველა არასამართლებრივი მეთოდი, რომელთა მეშვეობითაც კომუნისტური ზედაფენა მართავდა ქვეყანას.

45.3. პოლიტპატიმართა განთავისუფლება

პოლიტპატიმრების არსებობის უარყოფა ყოველთვის დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის. ეს „ტრადიცია“ თავიდან მიხეილ გორბაჩოვმაც გააგრძელა. 1986 წლის 8 თებერვალს მან ფრანგულ გაზეთ L'Humanité-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში „პოლიტპატიმრები არ არიან“ და „შეხედულებებისთვის არავის ასამართლებენ“, მაგრამ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გორბაჩოვს მოუხდა „არარსებული“ სინდისის პატიმრების გათავისუფლების დაწყება.

1986 წლის 4 აგვისტოს ჩისტოპოლის ციხეში დისიდენტმა მწერალმა ანატოლი მარჩენკომ უვადო შიმშილობა დაიწყო ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლების მოთხოვნით. 117-დღიანი შიმშილობის შემდეგ, 1986 წლის 8 დეკემბერს მარჩენკო გარდაიცვალა. მის სიკვდილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა დისიდენტთა წრეებსა და უცხოურ პრესაში. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამ რეაქციის გამო მოუხდა პოლიტბიუროს პოლიტპატიმრე-

ბის საკითხის აღიარება და შეეცადა მის გადაწყვეტას. ამისათვის სპეციალური კომისია შეიქმნა და მკაფიოდ ითქვა მისი შექმნის მიზეზზეც, – პოლიტიკური საქმეები „წარსულში უხერხულობებს ქმნიდნენ" და „დაძაბულობას იწვევდნენ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში".[1]

1986 წ. შემოდგომისთვის 477 ადამიანი იყო დაპატიმრებული მუხლი 70-ით („ანტისაბჭოთა პროპაგანდა") და მუხლი „190 პრიმ"-ით („ცილისმწამებლური განცხადებები") და კიდევ დაახლოებით 500 დაპატიმრებული იყო სხვადასხვა მუხლით (მათ შორის რელიგიური აქტივისტები). სხვა მონაცემებით, პოლიტპატიმართა საერთო რაოდენობა 2 ათასს აღწევდა. პოლიტპატიმართა 90% მამაკაცი იყო, უპირატესად ახალგაზრდები და განათლებულები. ეროვნების მიხედვით პოლიტპატიმრებში ცოტა იყვნენ შუაზიელები, არაპროპორციულად ბევრი – ბალტიის რესპუბლიკებიდან და ებრაელები.[2]

1986 წ. 16 დეკემბერს გორბაჩოვმა გორკში (ნიჟნი ნოვგოროდში) გადასახლებულ ანდრეი სახაროვს დაურეკა და უთხრა, რომ შეეძლო მოსკოვში დაბრუნება. სახაროვმა მას შეახსენა სხვა „სინდისის პატიმრების" შესახებ. გორბაჩოვმა უპასუხა, რომ ბევრი გაათავისუფლეს, დარჩენილებს კი პირობები გაუუმჯობესეს. 1986 წლის 23 დეკემბერს სახაროვის გადასახლება მართლაც დასრულდა, მაგრამ სხვა სინდისის პატიმრების საკითხი გადასაწყვეტი იყო. პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილება პოლიტბიურომ 1986 წლის 31 დეკემბერს გამართულ სხდომაზე მიიღო. აღინიშნა, რომ სინდისის პატიმართა გათავისუფლება „პოლიტიკურად მომგებიანი" იქნებოდა და ხაზს გაუსვამდა საბჭოთა ხელისუფლების ჰუმანურობას. გათავისუფლების გზად არჩეულ იქნა შეწყალება, ამასთან, პატიმრებს უნდა გაეკეთებინათ განცხადება, რომ შემდგომში მტრულ საქმიანობაზე უარს ამბობდნენ.

1987 წ. თებერვლიდან დაიწყეს სინდისის პატიმრების მცირე ჯგუფებად გათავისუფლება, თუმცა ეს პროცესი გაჭიანურდა. პოლიტპატიმართა არცთუ მცირე ნაწილი უარს ამბობდა ლოიალობის თაობაზე განცხადების გაკეთებაზე, თუმცა, საბოლოოდ, მათ ამის გარეშეც ათავისუფლებდნენ. მთლიანობაში, სინდისის პატიმრების გათავისუფლება ხუთ წელიწადს გაგრძელდა.[3]

1989 წელს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების პირველ ყრილობაზე სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს 70-ე და 190-ე „პრიმ" მუხლები. დასჯადი დარჩა მხოლოდ „საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის ძალადობრივი დამხობა ან შეცვლა".

45.4. სოციალიზმის საბაზრო ეკონომიკასთან შეერთების მცდელობა

1985-1987 წლებში გორბაჩოვის მიერ გატარებულ ზომებს არ მოჰყოლია სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ძირეული გაუმჯობესება. „გარღვევა" არც მრეწველობაში მომხდარა და არც სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა კავშირის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა რამდენიმე ფაქტორი:

- ✓ თავი იჩინა საბჭოთა ეკონომიკის სანედლეულო ხასიათმა. 1986 წელს ამერიკული „სტინგერის" ტიპის რაკეტების მიწოდების სანაცვლოდ საუდის არაბეთმა სამჯერ გაზარდა ნავთობის მოპოვება, რასაც ნავთობის ფასის მკვეთრი ვარდნა მოჰყვა. ბარელი ნავთობის ფასი 30 დოლარიდან 12 დოლარამდე შემცირდა. ამან საბჭოთა

[1] А. Макаров. «За убеждения у нас не судят" – «Мемориал" | №4 (434) 13.02.17 – https://newtimes.ru/articles/detail/116760

[2] საბჭოთა კავშირში ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროპაგანდისთვის (მუხლი 70) გაასამართლეს: 1983 წ. 44 ადამიანი, 1984 – 25, 1985 – 16, 1986 -11; საბჭოთა წყობილების ცილისწამებისთვის (მუხლი 190-1): 1983 წ. 119 ადამიანი, 1984 - 67, 1985 – 57, 1986 – 47 (http://ed-glezin.livejournal.com/838471.html)

[3] Как Михаил Горбачев освободил политзаключенных - http://ed-glezin.livejournal.com/838471.html

კავშირის ყოველწლიური სავალუტო შემოსავლები 13 მილიარდი დოლარით შეამცირა.

- ✓ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვებოდა ავღანეთის ომი (1984-1985 წლებში ეს ომი საბჭოთა კავშირს დაახლოებით 4,202,3 მილიონი რუბლი დაუჯდა);
- ✓ მნიშვნელოვანი თანხები დასჭირდა ჩერნობილის კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციას;
- ✓ ბიუჯეტს მძიმე დარტყმა მიაყენა ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ. 1985 წელს აქედან ბიუჯეტმა ვერ მიიღო 60 მილიარდი რუბლი, 1986 წელს – 38 მილიარდი, 1987 წელს – 35 მილიარდი, 1988 წელს – 40 მილიარდი.

შედეგად საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი დეფიციტური გახდა. 1985 წელს საბიუჯეტო ხარჯებმა შემოსავალს 7,8 მილიარდი დოლარით გადააჭარბა, 1986 წელს – 14,3 მილიარდი დოლარით, ხოლო 1987 წელს – 13,8 მილიარდი დოლარით. საბიუჯეტო „ხვრელების" დასაძლევად საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, გაეყიდა თავისი ოქროს მარაგის ნაწილი და აეღო ევროპული კრედიტები.

იმის გამო, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა ძველი ადმინისტრაციული მეთოდების მეშვეობით, საბჭოთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, შეეცვალა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა. 1987 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიიღეს ეკონომიკური პროგრამა, რომელიც შემუშავებული იყო აკადემიკოსების ლ. აბალკინის, ა. აგანბეგიანის და სხვათა მიერ. პროგრამა მიზნად ისახავდა გეგმური ეკონომიკის რეგულირების ეკონომიკურ ფორმებზე გადასვლას. ეს ნიშნავდა სანარმოებისთვის ფართო უფლებების მიცემას (სრული სამეურნეო ანგარიში), ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის დაშვებასა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მრავალი ფორმის (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, იჯარა, ფერმერული მეურნეობა) წახალისებას.[1]

გორბაჩოვისა და მისი მომხრეების აზრით, მხოლოდ ეკონომიკურად თავისუფალი სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო პოლიტიკურად დამოუკიდებელი, ამიტომ 1987-1988 წლებში ცდილობდნენ სოციალიზმი შეერთებინათ არა მარტო დემოკრატიასთან, არამედ ბაზართან. საბაზრო რეფორმები ეკონომიკის ლიბერალიზაციას ნიშნავდა და საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ვვიდი ათნლეულის მანძილზე შექმნილი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის საფუძვლების შერყევა. ამ ეკონომიკას იძულებითი ნაციონალიზაცია და კოლექტივიზაცია ედო საფუძვლად. ამ ხნის განმავლობაში თავად ადამიანები გადაეჩვივნენ დამოუკიდებელ და საკუთარი პასუხისმგებლობით მუშაობას. ეს ადამიანები შეეჩვივნენ, რომ ყველაფერი სახელმწიფოსი და კოლმეურნეობის იყო, ანუ არავისი არ იყო. ამიტომ კანონები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, იჯარის, კოოპერაციის შესახებ დიდ შედეგებს არ იძლეოდა და ეკონომიკაში კრიზისულ მოვლენებზე გავლენას არ ახდენდა.

საბაზრო რეფორმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელიც 1988 წ. 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. სახელმწიფო საწარმოებს მეტი თავისუფლება ეძლეოდათ. ზეგეგმითი პროდუქცია მათ თავად შეიძლება გაეყიდათ და ფასიც თავად განესაზღვრათ, საწარმოებს შეეძლოთ განესაზღვრათ მომუშავეთა რაოდენობა და მათი ხელფასი, ხოლო კოლექტივს შეეძლო ადმინისტრაციის არჩევა. ვარაუდობდნენ, რომ 1988 წელს ამ კანონის მიხედვით იმუშავებდა საწარმოების 50%, 1989 წ. კი – ყველა საწარმო, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ კანონი ვერ მუშაობდა, უბრალოდ, ქვეყანაში არ იყო პირობები კანონში ჩადებული უფლებების რეალიზებისათვის, თავად ვერ იშოვიდნენ ნედლეულს და არ იყო ნამეტად წარმოებული პროდუქციის

[1] Пихоя Р.Г. Почему распался СССР? // Россия в XX в.: Реформы и революции: в 2-х тт./ Под общ. ред. Г.Н. Севостьянова. Т.1. М., 2002. С. 133-134.

რეალიზების შესაძლებლობა. საწარმოები კვლავ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო შეკვეთა მიეღოთ, რადგანაც ამ შემთხვევაში საწარმო სახელმწიფოსგან ღებულობდა ნედლეულს, და ასევე ცდილობდნენ გამოეშვათ ძვირადღირებული საქონელი. იაფი საქონელი დახლებიდან გაქრა, მოგებას საწარმოები მხოლოდ ხელფასის გასაზრდელად იყენებდნენ.

მრავლად შეიქმნა კოოპერატივები, რომლებიც სახელმწიფო საწარმოში ფართს იჯარით იღებდნენ. კოოპერატივებში დიდი წილი დირექტორებს ჰქონდათ. მათი საქმიანობის საფუძველი კი იაფი სახელმწიფო ნედლეულის გამოყენება და წარმოებული პროდუქციის ძვირად გაყიდვა იყო. იჯარის ეფექტურობა მცირე აღმოჩნდა. 1991 წლისათვის იჯარით გაცემული იყო მიწის მხოლოდ 2% და საქონლის 3%, არსებობდა მხოლოდ 50 ათასი ფერმერული მეურნეობა, რომელთა წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში მხოლოდ 1% იყო.[1]

ვერ მუშაობდა კანონის მუხლი საწარმოს გაკოტრების და თანამშრომელთა ნაწილის განთავისუფლების შესახებ. უმუშევართა ფენის წარმოქმნას ხელს უშლიდნენ პროფკავშირები და არც საზოგადოება უჭერდა მხარს.

1989 წლისათვის გარდაქმნის თავდაპირველი იდეები ფაქტობრივად ამოიწურა. ეკონომიკური რეფორმის წარუმატებლობა აღრმავებდა ქრონიკულ სასურსათო კრიზისს და სასაქონლო შიმშილს. 1989 წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალი 92 მილიარდ რუბლამდე გაიზარდა, ამას ემატებოდა კრედიტების დავალიანება, რამაც 1988 წელს 40,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. 1988 წელს შეწყდა საბჭოთა ეკონომიკის ზრდა და გამოიკვეთა წარმოების შემცირების ტენდენცია: შემცირდა ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვება, ლითონის გამოდნობა, კვების პროდუქტების წარმოება. 1989-1990 წლებში მოსახლეობის ხელში იყო 100 მილიარდი რუბლი, რომლითაც მოქალაქეებს 1101 ყოველდღიური მოხმარების საქონლიდან თავისუფლად შეიძლება შეეძინათ მხოლოდ 56. პირველად ომისშემდგომ პერიოდში შემოღებულ იქნა ტალონები.

მ. გორბაჩოვი ცდილობდა კრიზისის ჩაქრობას და ლიდერობის შენარჩუნებას თავისი მთავარი სიახლით – დემოკრატიზაციით, მაგრამ დემოკრატიზაცია სწრაფად იკრეფდა ძალას და ღებულობდა ისეთ ფორმებს, რაც გორბაჩოვის „გარდაქმნის" ფარგლებს სცილდებოდა. გორბაჩოვი შეეცადა ძალის გამოყენებით შეეჩერებინა მისთვის „არასასურველი" პროცესები. ამის ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა თბილისში და 1991 წლის იანვარში დამოუკიდებლობის მომხრეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება ლიტვაში.

45.5. „საჯაროობის" შედეგები

„საჯაროობა" მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სწრაფად გამოვიდა „კრიტიკისა და თვითკრიტიკის" თავდაპირველი საზღვრებიდან. 1987 წლის იანვარში გორბაჩოვმა განაცხადა: „საბჭოთა საზოგადოებაში არ უნდა იყოს კრიტიკისთვის დახურული ზონები". პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში დაიწყო მნვავე დისკუსიები სხვადასხვა საკითხზე. ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავის მოახლოება კი საბაბი გახდა წარსულის „თეთრი ლაქების" წაშლის, რეპრესიებისა და ტერორის გახსენებისთვის. 1990 წ. 12 ივნისს გაუქმდა პარტიული ცენზურა და სახელმწიფო მონოპოლია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე.

გამოცოცხლდა ლიტერატურა და ხელოვნება. უაღრესად პოპულარული გახდა მიხეილ შატროვის პიესა „ბრესტის ზავი", ანატოლი რიბაკოვის რომანი „არბატის შვილები" და განსაკუთრებით თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება". მასშტაბური ხდება სტალინის პე-

[1] Шубин А.В. От «застоя» к реформам. СССР в 1977-1985 гг. М., 2001. С. 623–624.

რიოდის საშინელებათა მხილება. შედეგად ბევრი მივიდა დასკვნამდე, რომ საჭიროა არა კომუნისტური რეჟიმის „გადაკეთება“ და მისთვის „ადამიანური სახის“ მიცემის მცდელობა, რასაც ქადაგებდა გორბაჩოვი, არამედ მისი სრული ლიკვიდაცია.

საჯაროობას მოჰყვა სხვადასხვა გაერთიანების შექმნა. ყველაზე ცნობილი გახდა „სახალხო ფრონტები“, რომლებიც პირველად ბალტიის რესპუბლიკებში შეიქმნა და შემდეგ სხვა რესპუბლიკებშიც გავრცელდა.

45.6. ნინა ანდრეევას გამოსვლა

საჯაროობასა და დემოკრატიზაციას კომუნისტური პარტიული ბიუროკრატიის კონტრშეტევა მოჰყვა. მისი მწვერვალი 1988 წლის მარტ-აპრილში იყო. მარტში გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ“ გამოაქვეყნა ლენინგრადის ერთ-ერთი ინსტიტუტის მასწავლებლის ნინა ანდრეევას წერილი „არ შემიძლია პრინციპებს ვუღალატო“.[1] ნინა ანდრეევა გმობდა გარდაქმნას კლასობრივი მიდგომის პრინციპზე უარის თქმის გამო, აკრიტიკებდა „სოციალიზმის გაუმჯობესების“ პოლიტიკას და ეს მიაჩნდა უცხო იდეოლოგიის დანერგვის მცდელობად. ანდრეევა ასევე იცავდა სტალინს და მის პოლიტიკას.

ანდრეევას სტატია დაიბეჭდა მაშინ, როდესაც გორბაჩოვი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. „სოვეტსკაია როსია“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მთავარი ორგანო იყო. სტატია მთელ საბჭოთა კავშირში გადაბეჭდა ათობით პარტიულმა გაზეთმა. გავრცელდა ვერსია, რომ ზედა პარტიულ ეშელონში ეგორ ლიგაჩოვის ხელმძღვანელობით მომზადდა შეთქმულება გორბაჩოვის წინააღმდეგ.

გარდაქმნის მომხრეები შოკში იყვნენ, ვერავინ გაბედა ანდრეევას სტატიის წინააღმდეგ ღიად გალაშქრება. „დუმილი“ სამი კვირა გრძელდებოდა. 1988 წლის 23 და 24 მარტს სკკპ ცკ პოლიტბიურომ განიხილა ნინა ანდრეევას წერილი, რომელიც მიხეილ გორბაჩოვმა მკაცრად გააკრიტიკა. 5 აპრილს ყველაზე მთავარმა პარტიულმა გაზეთმა „პრავდამ“ უპასუხა ნინა ანდრეევას სტატიით: „გარდაქმნის პრინციპები: აზროვნებისა და მოქმედების რევოლუციურობა“.[2] სტატია ხელმოუწერელი იყო და, შესაბამისად, გამოხატავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ თვალსაზრისს. მასში ანდრეევას წერილი გამოცხადებული იყო „გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალების მანიფესტად“. „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიის სტილის და პათოსის მიხედვით ყველასთვის ცხადი იყო, რომ მისი ავტორი გარდაქმნის იდეოლოგი ალექსანდრე იაკოვლევი იყო. ამის შემდეგ წელინადნახევრის განმავლობაში კომუნისტური პარტიის ორთოდოქსი წევრები ვერ ბედავდნენ გარდაქმნის წინააღმდეგ ღიად გამოსვლას.

---

[1] *Андреева Н. А.* Не могу поступаться принципами – «Советская Россия», 1988 г. 13 марта, с.3.

[2] Принципы перестройки: революционность мышления и действия – «Правда», 1988 г. 5 апреля.

ნინა ანდრეევა (1938-2020) – სპეციალობით ქიმიკოსი, ასწავლიდა ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1972-1988). მისი 1988 წ. 13 მარტს გამოქვეყნებული წერილი გამოცხადდა „გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალების მანიფესტად". შემდგომში მის გამოსვლას „მინი პუტჩიც" უწოდეს, ნინა ანდრეევას შესახებ კი აღნიშნავდნენ, – „ქალი, რომელმაც გარდაქმნა შეაჩერა", „რეაქციის სიმბოლო"

1991 წ. გახდა „ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის" ლიდერი და გენერალური მდივნის პოსტზე რჩებოდა გარდაცვალებამდე. პარტია მიზნად ისახავს ლენინ-სტალინის მიერ შემნილი „რევოლუციური ბოლშევიზმის" აღორძინებას.

45.7. ბორის ელცინის პოპულარობის ზრდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წ. ოქტომბრის პლენუმზე პარტიის ხელმძღვანელობაში დაიწყო რადიკალური ფრაქციის ჩამოყალიბება – სკკპ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი ბორის ელცინი გამოვიდა ქვეყანაში რეფორმების არათანმიმდევრული და ნელი გატარების კრიტიკით. ელცინი გორბაჩოვის დაწინაურებული იყო – სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მდივნის პოსტიდან გადაიყვანა მოსკოვში და მალევე, 1985 წ. 23 დეკემბერს დანიშნა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ვიქტორ გრიშინის (1914-1992) ნაცვლად.

აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ელცინმა დაიწყო მოსკოვში პარტიული და სახელმწიფო აპარატის წმენდა. საზოგადოების განახლება მას, პირველ რიგში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლად ესახებოდა. მოსკოვის 33 რაიკომის მდივნიდან 23 თანამდებობიდან გაათავისუფლა, სხვადასხვა დანაშაულისთვის დააპატიმრეს სავაჭრო სფეროს 800-ზე მეტი თანამშრომელი, პირადად ამოწმებდა მაღაზიებსა და საწყობებს, დადიოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

ელცინმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია სკკპ XXVII ყრილობაზე თავისი გაბედული გამოსვლით, როდესაც დაგმო პარტიული ორგანოების ჩარევა სამეურნეო საკითხებში, შეეხო ნომენკლატურის პრივილეგიებს და მოითხოვა უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის გაზრდა. 1987 წლის 21 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ელცინმა მკვეთრად გააკრიტიკა პარტიის ხელმძღვანელობა – პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრის, კერძოდ ეგორ ლიგაჩოვის მუშაობის სტილი, გარდაქმნის ნელი ტემპი, მიხეილ გორბაჩოვის „პიროვნების კულტის" ჩამოყალიბებაც ახსენა. საპასუხოდ მკაცრად გააკრიტიკეს, პლენუმმა ელცინის გამოსვლას „პოლიტიკურად მცდარი" უწოდა. ელცინმა ნაწილობრივ უკან დაიხია და ზოგიერთი მის მიერ გაკეთებული შეფასებისთვის ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ არ აპატიეს და 1987 წლის 11 ნოემბერს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან გაათავისუფლეს, მომდევნო წლის 18 თებერვალს კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდანაც გაათავისუფლეს.

1988 წლის ზაფხულში ელცინი კარელიის პარტიული ორგანიზაციიდან აირჩიეს XIX საკავშირო კონფერენციის დელეგატად. 1 ივლისს ელცინმა თავის გამოსვლაში კვლავ მოითხოვა ეგორ ლიგაჩოვის პოლიტბიუროდან გამოყვანა, გააკრიტიკა პარტიული ელიტის პრივილეგიები, ამტკიცებდა, რომ „უძრაობაში" დამნაშავე იყო არა მარტო ბრეჟნევი, არამედ მთელი პოლიტბიურო, როგორც „კოლექტიური ორგანო", ასევე ითხოვა სკკპ ცკ ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილების გაუქმება, რომელმაც მისი გამოსვლა შეცდომად მიიჩნია. თუმცა, ელცინისა და კომუნისტური ნომენკლატურის გზები უკვე გაყოფილი იყო,

ელცინს შეეძლო ხალხთან უბრალო და გასაგები ენით ლაპარაკი და მან სწრაფად მოიპოვა დიდი პოპულარობა. 1990 წ. მოსკოვში ხალხი გამოდიოდა პლაკატებით „ელცინი და ხალხი ერთიანია!"

ელცინმა შეძლო კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მზარდი სახალხო უკმაყოფილების ტალღას სათავეში მოჰქცეოდა და ლიდერობა შეენარჩუნებინა მაშინ, როდესაც ამავე ტალღამ წალეკა მისი მთავარი მეტოქე და გარდაქმნის არქიტექტორი მიხეილ გორბაჩოვი.

ბორის ელცინი (1931-2007) დაიბადა ურალის ოლქში, განკულაკებული გლეხის ოჯახში. 1934-1936 წლებში მამამისი ნიკოლაი დაპატიმრებული იყო ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით. 1949-1955 წლებში სწავლობდა ურალის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით, რამდენიმე წელი მუშაობდა სპეციალობის შესაბამისად. 1961 წელს შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1968 წ. გადაიყვანეს პარტიულ სამუშაოზე სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტში, 1976 წ. აირჩიეს სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1981 წ. სკკპ XXVI ყრილობაზე აირჩიეს სკკპ ცკ წევრად. 1985 წ. დეკემბერში დანიშნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნად. სკკპ XXVII ყრილობაზე აირჩიეს სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და ამ თანამდებობაზე რჩებოდა 1988 წლის 18 თებერვლამდე, როდესაც ის გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან.

ელცინი ნიჭიერი პოპულისტი აღმოჩნდა. 1987 წლისთვის მან დაინახა, რომ პარტიული ნომენკლატურა ხელისუფლებას კარგავდა და ხელისუფლება იმას დარჩებოდა, ვინც რევოლუციური ხალხის სიმპათიას მოიპოვებდა. ხალხს კი, პირველ რიგში, უნდოდა კომუნისტური ტყუილებისა და ქვეყნის სიმდიდრის უსამართლო განაწილებისთვის ბოლოს მოღება. ხალხს უაღრესად აღიზიანებდა ნომენკლატურის ღია და ფარული პრივილეგიები.

1991 წ. 12 ივნისს ელცინი აირჩიეს რსფსრ პირველ პრეზიდენტად, 1996 წ. ზაფხულში ელცინი მეორე ვადით გახდა პრეზიდენტი, თუმცა 1999 წ. 31 დეკემბერს პოსტიდან გადადგა და პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი გახდა მთავრობის თავმჯდომარე ვლადიმირ პუტინი, რომელიც პრეზიდენტი გახდა 2000 წ. მარტის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ელცინი გარდაიცვალა 2007 წლის 23 აპრილს, დაკრძალეს მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

თავი XLVI.

ახალი პოლიტიკური აზროვნება საგარეო პოლიტიკაში

46.1. ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის დასაბუთება

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიხეილ გორბაჩოვი შიდაპოლიტიკური გარდაქმნის ზომების შემუშავებასთან ერთად შეუდგა ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის დასაბუთებას. საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ადრინდელი იდეოლოგიური საფუძვლების რევიზიას. მისი არსი მდგომარეობდა არაკომუნისტურ ქვეყნებთან სრულმასშტაბიანი მშვიდობიანი თანაარსებობის დამყარებაში, „ცივი ომის" გაყინვისა და დამთავრების მიღწევაშიც კი. გორბაჩოვს ესმოდა, რომ მასშტაბური შიდაპოლიტიკური გარდაქმნები განუხორციელებელი იყო უდიდესი სახსრების გამოთავისუფლების გარეშე, რაც სამხედრო სფეროში იხარჯებოდა. საბჭოთა კავშირში „მეტი სოციალიზმის" შექმნა შეუძლებელი იყო გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გარეშე, მით უმეტეს, რომ ნავთობზე ფასების შემცირებამ საბჭოთა კავშირის სავალუტო შემოსავლები 2/3-ით შეამცირა.

საბჭოთა კავშირმა გორბაჩოვამდე 20 წლის განმავლობაში სამხედრო მიზნებისთვის დახარჯა 700 მილიარდი რუბლი, ომი ავღანეთში 60 მილიარდი დაუჯდა, ხოლო სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერას წელიწადში 50 მილიარდი რუბლი სჭირდებოდა.

გორბაჩოვის საგარეო-პოლიტიკური ჩანაფიქრის სერიოზულობაზე მეტყველებდა რადიკალური საკადრო ცვლილებები. საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო, რომლის მეტსახელი დასავლეთში იყო „მისტერ არა", შეიცვალა პრაგმატულად მოაზროვნე ედუარდ შევარდნაძით, ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის იდეოლოგიური დასაბუთება კი დაეევალა ალექსანდრე იაკოვლევს.

გორბაჩოვის საგარეო პოლიტიკა უაღრესად თანმიმდევრული იყო და მას დიდი პოპულარობა მოუტანა მსოფლიოში, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში. ბოლშევიკი ლიდერებიდან გორბაჩოვი პირველი იყო, რომელმაც არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც უარი თქვა მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოს ფუნდამენტურ კომუნისტურ პრინციპზე, საგარეო პოლიტიკაში აგრესიულ ლენინურ-სტალინურ მემკვიდრეობაზე.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გორბაჩოვმა ცალმხრივი მორატორიუმი გამოაცხადა მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებაზე (შენარჩუნდა 1986 წ. ბოლომდე), ხოლო 1986 წ. 15 იანვარს ინიციატივით გამოვიდა, 2000 წლისათვის მთელ მსოფლიოში მოესპოთ ბირთვული შეიარაღება.

1985 წ. ნოემბერში რეიგანთან პირველი შეხვედრის დროს გორბაჩოვმა მზადყოფნა გამოთქვა, წასულიყო შეთანხმებებსა და რადიკალურ დათმობებზე. მას კარგად ესმოდა, რომ გამალებული შეიარაღების გაგრძელება დაანგრევდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკას.

XXVII პარტიული ყრილობის დოკუმენტებში გამოჩნდა ტერმინი „ახალი აზროვნება". ის, პირველ რიგში, გამოიყენებოდა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით და გულისხმობდა სტალინის დროიდან მომდინარე „ცივ ომში" დაპირისპირების იდეოლოგიურ მემკვიდრეობას. ხრუშჩოვის „მშვიდობიანი თანაარსებობის" თეზისის გაღრმავებისას გორბაჩოვი აღნიშნავდა, რომ ბირთვულ ეპოქაში უსაფრთხოება განუყოფელია და მთლიანად უარყოფდა სტალინ-ჟდანოვის თეზისს „ორი ბანაკის" დაპირისპირების შესახებ.

ახალი პოლიტიკური აზროვნების იდეები გორბაჩოვამდეც არსებობდა. კაცობრიობისთვის ბირთვული იარაღის კატასტროფული შედეგების შესახებ 1950-იანი წლების შუახანებში განაცხადეს ალბერტ აინშტაინმა და ბერტრან რასელმა. 1957 წ. საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიეს რასელ-აინშტაინის მანიფესტის განსახილველად. ამით დაიწყო მეცნიერთა პაგუოშის მოძრაობა. მისი ძირითადი მიზანი იყო ბირთვული ომის თავიდან აცილება და გამალებული შეიარაღების შეჩერება. გორბაჩოვმა ეს იდეები ისესხა, განავითარა და დაასაბუთა, ამასთან, საფუძვლად დაუდო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. ამიტომ ბევრისთვის „ახალი პოლიტიკური აზროვნების" ავტორად სწორედ გორბაჩოვი წარმოდგებოდა.

ტერმინმა „ახალი აზროვნება" გააღიზიანა ბევრი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში, მაგრამ გორბაჩოვს ღია ოპოზიციაში არავინ ჩასდგომია. ტერმინს მაინც აღიქვამდნენ „მშვიდობიანი თანაარსებობის" პროპაგანდისტულ რიტორიკად და არავინ ფიქრობდა, რომ „ახალი აზროვნების" დროშით მოხდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის დემონტაჟი საბჭოთა კავშირში.

1987 წ. 17 სექტემბერს გორბაჩოვმა გაზეთ „პრავდაში" მოათავსა თეორიული სტატია, რომელშიც ასაბუთებდა თავის პრაქტიკულ მოქმედებას: საგარეო პოლიტიკაში „კლასობრივ ინტერესებზე" უარის თქმას, „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების" პირველობას, „ახალი აზროვნებისკენ" მოწოდებას. გორბაჩოვი მოუწოდებდა, შეეგნოთ მსოფლიოს ერთიანობა, ყველა ქვეყნისა და ხალხის ურთიერთკავშირი. ასეთი სიტყვები არასოდეს წარმოთქმულა კომუნისტი მმართველების მხრიდან.

1987 წ. გამოვიდა გორბაჩოვის წიგნი „გარდაქმნა და ახალი აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის". გორბაჩოვი ახალ აზროვნებას სთავაზობდა მთელ მსოფლიოს. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ დამკვიდრდა ცნება „ახალი პოლიტიკური აზროვნება".

ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე მოხდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების რევიზია, მას საფუძვლად უკვე ედებოდა ორი დებულება:

1.ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტები კლასობრივზე. კლასობრივ კონფრონტაციას, რაც მთავარი იყო მარქსიზმში, გაუჩნდა ობიექტური საზღვარი – ყველაფრის მოსპობა. საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უნდა დასდებოდა „ზოგადსაკაცობრიო მორალურ-ეთიკური ნორმები".

2.საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზაცია. თუმცა, როგორც დღეს აღნიშნავენ, საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზაცია შეუძლებელია. გორბაჩოვი ახალი პოლიტიკური აზროვნებით საგარეო პოლიტიკისთვის ახალი იდეოლოგიური საფუძვლის შექმნას ცდილობდა.

ზოგადსაკაცობრიო ინტერესების კლასობრივზე პრიორიტეტის დასაბუთებისას გორბაჩოვი ლენინთან აპელირებდა, თუმცა ლენინი რევოლუციონერი იყო და მისთვის კლასობრივი ბრძოლა იყო მთავარი, ფიქრობდა არა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე,

არამედ მსოფლიო რევოლუციაზე. მას უარი არ უთქვამს კლასობრივ მიდგომაზე, გორბაჩოვმა კი კლასობრივი მიდგომა, უბრალოდ, უარყო.

„ახალმა აზროვნებამ" ხელი შეუწყო დასავლეთში ნდობის ზრდას საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობისადმი. საბჭოთა კავშირისთვის ტრადიციული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების აგრესიულ-იდეოლოგიურ განსაზღვრას, რაც ემყარებოდა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის დოგმას, დაუპირისპირდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ინტერესების პრიმატი. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიდან უმთავრესად იქნა მიჩნეული (რაც სრულიად უცხო იყო კომუნისტური იდეოლოგიისათვის და, მით უმეტეს, პრაქტიკისათვის) თავად ადამიანის სიცოცხლე, თითოეული ადამიანისა და მთლიანად კაცობრიობის ბედნიერება. ამის გულისთვის ქვეყნებმა და ხალხებმა უნდა დაძლიონ კლასობრივი, ეროვნული და სახელმწიფო უთანხმოებები, უნდა გაერთიანდნენ ისეთი გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა განიარაღება, გარემოს დაცვა, შიმშილის დაძლევა, სიღარიბესთან, ავადმყოფობასთან და სხვა უბედურებებთან ბრძოლა.

ამერიკელების შეფასებით, მათ გარდაქმნა არ სჭირდებოდათ. საბჭოთა კავშირი გარდაქმნით მიდიოდა ლიბერალური ფასეულობებისაკენ, რაც დასავლეთში ისედაც იყო. საერთაშორისო არენაზე კი დასავლეთი საბჭოთა კავშირის შეკავებას ცდილობდა და სნორედ გორბაჩოვს უნდა გაეტარებინა სამშვიდობო პოლიტიკა. დღეს რუსეთში ხაზგასმით აღნიშნავენ: ახალი პოლიტიკური აზროვნება არ მიიღო დასავლეთმა, გორბაჩოვმა კი 1988-1991 წლებში იდეალისტური და უტოპიური პრინციპები დაუდო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად.

ახალი პოლიტიკური აზროვნება პრაქტიკაში საბჭოთა კავშირის სტრატეგიულ უკანდახევას ნიშნავდა. ამერიკელი პოლიტიკოსებისთვის ეს იყო „კომუნიზმის უკანდახევა".

1988 წ. დეკემბერში გორბაჩოვი გამოვიდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე და განაცხადა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენება არ შეიძლება გამართლებული იქნეს არანაირი ინტერესებით. ამ განცხადებას განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – ზოგს ისევ ეეჭვებოდა, რომ გორბაჩოვი არ გაყვებოდა მის მიერ დეკლარირებულ პრინციპებს, თუკი ვინმე მოინდომებდა კომუნისტური ბლოკიდან გასვლას.

ახალი პოლიტიკური აზროვნება ნიშნავდა:

1. მსოფლიოს ურთიერთკავშირის და ერთიანობის აღიარებას, რაც ნიშნავდა, რომ საერთაშორისო პრობლემების ძალისმიერი გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, კონფლიქტები მშვიდობიანად უნდა გადაწყვეტილიყო;

2. ზოგადსაკაცობრიო ინტერესების უპირატესობას კლასობრივ და ეროვნულ ინტერესებზე გლობალური პრობლემების გადაწყვეტის დროს;

3. საერთაშორისო ურთიერთობების დეიდეოლოგიზაციას. მშვიდობიანი თანაარსებობა აღარ განიხილებოდა კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკურ ფორმად. იდეოლოგიური სხვაობა თანამშრომლობას არ უნდა აფერხებდეს;

4. ყოველ ერს უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. უარი ითქვა პროლეტარულ და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმზე;

5. „საერთო-ევროპული სახლის" დებულებას.

46.2. „ახალი პოლიტიკური აზროვნება“ მოქმედებაში

„ახალი პოლიტიკური აზროვნების“ პრაქტიკულ რეალიზებაში ცენტრალური ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირისა და აშშ ურთიერთობამ. ხელისუფლებაში ყოფნის 6 წლის მანძილზე გორბაჩოვსა და აშშ პრეზიდენტებთან – ჯერ რეიგანთან, შემდეგ ჯორჯ ბუშიუფროსთან შედგა რამდენიმე ოფიციალური მოლაპარაკება და შეხვედრა, რომლის დროსაც მიღწეულ იქნა ადრე წარმოუდგენელი შეთანხმებები.

უკვე 1985 წ. აპრილში გორბაჩოვმა გამოაცხადა ცალმხრივი მორატორიუმი საშუალო რადიუსის საბჭოთა რაკეტების (CC-20) ევროპაში განლაგებაზე. ეს გადაწყვეტილება მომზადებული ჰქონდა წინა ხელისუფლებას, მაგრამ პოლიტიკურ ნებას მოითხოვდა ცხოვრებაში გასატარებლად. გაუქმდა ახალი საშუალო რადიუსის საბჭოთა რაკეტის («Скорость») გამოცდა და შემდგომი დამუშავება.

1985 წ. ნოემბერში გორბაჩოვი რეიგანს შეხვდა ჟენევაში, 1986 წ. ოქტომბერში – რეიკიავიკში და 1987 წ. დეკემბერში – ვაშინგტონში. ისინი შეთანხმდნენ საშუალო რადიუსის რაკეტების ორმხრივ ლიკვიდაციაზე. გადაწყდა საშუალო (1000-დან 5500 კმ) და ნაკლები (500-დან 1000 კმ-მდე) რადიუსის რაკეტების ლიკვიდაცია ამერიკული „ნულოვანი რადიუსის“ საფუძველზე. ამერიკელთა ამ გეგმას გორბაჩოვამდელი საბჭოთა ხელმძღვანელები კატეგორიულად უარყოფდნენ. საბოლოო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ვაშინგტონში 1987 წ. 8 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1988 წ. 1 ივლისს. შედეგად აშშ გაანადგურა 247 „პერშინგ-2“, საბჭოთა კავშირმა კი – „პიონერის“ ტიპის 660 რაკეტა.

1989 წ. იანვარში ბუში გახდა აშშ პრეზიდენტი. თავიდან ის ფრთხილად უყურებდა გორბაჩოვის რეფორმებს, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის სწრაფმა დემოკრატიზაციამ დაარწმუნა, რომ გორბაჩოვი ძალის გამოყენებას არ აპირებდა.

1989 წ. 2-3 დეკემბერს გორბაჩოვი და ბუში მალტაზე შეხვდნენ ერთმანეთს. გორბაჩოვმა დაადასტურა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბედს და „ორი გერმანიის“ მომავალი მონყობის საკითხს გადაწყვეტდა თავად გერმანელი ხალხი. ბუშმა და გორბაჩოვმა მოილაპარაკეს, რომ ბალტიის რესპუბლიკებში, სადაც ძლიერდებოდა მოძრაობა საბჭოთა კავშირიდან გამოსაყოფად, არ დაიღვრებოდა სისხლი. ბუში განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, რომ საბჭოთა კავშირს „რევოლუციის ექსპორტი“ შეეწყვიტა ლათინურ ამერიკაში, კერძოდ, შეეწყვიტა კასტროს რეჟიმის დახმარება კუბაში. თუმცა ამაზე მაშინ გორბაჩოვი არ დათანხმდა. შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა პრესას განუცხადეს, რომ „ცივი ომი“ დამარხეს ხმელთაშუა ზღვის წყალში“.

1991 წ. 31 ივლისს გორბაჩოვმა და აშშ პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი იარაღის 50%-იანი შემცირების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა „ადგილებზე“ ორმხრივ კონტროლს სტრატეგიული იარაღის ლიკვიდაციასა და წარმოებაზე. განადგურდა უმთავრესად მოძველებული რაკეტები, უახლესი საბჭოთა რაკეტები „ტოპოლი“ შენარჩუნდა. საბჭოთა ხელმძღვანელობა დათანხმდა ასევე მხედველობაში არ მიეღოთ აშშ-ის მოკავშირეების – დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვული ძალები. გამალებული ბირთვული შეიარაღება, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე მიმდინარეობდა, გორბაჩოვმა მთლიანად შეწყვიტა.

46.3. ავღანეთში ომის დამთავრება

გორბაჩოვს მძიმე მემკვიდრეობად ავღანეთში ომიც ერგო. 1985 წელს, როდესაც გორბაჩოვი ხელისუფლებაში მოვიდა, ავღანეთში ყოველდღიურად 10 საბჭოთა ჯარისკაცი იღუპებოდა. 1985 წელს საომარი მოქმედებები სულ უფრო მკაცრ ხასიათს იღებდა. ახლადარჩეული გენერალური მდივანი კი თავიდან აცხადებდა, რომ „ძმებს გაჭირვებაში ვერ დატოვებდა“. რიგი მრჩეველები, პირველ რიგში, გ. არბატოვი, ცდილობდნენ, გორბა-

ჩოვი დაერწმუნებინათ ავღანეთის ომის უპერსპექტივობაში და მიზანსაც მიაღწიეს. 1985 წ. 10 ოქტომბერს ავღანეთის ხელმძღვანელი ბაბრაკ კარმალი საიდუმლოდ გამოიძახეს მოსკოვში და გორბაჩოვმა ის გააფრთხილა, რომ 1986 წ. ზაფხულიდან საბჭოთა ჯარები დატოვებდნენ ავღანეთს. გორბაჩოვმა კარმალს ასევე ურჩია, რომ უარი ეთქვა სოციალიზმის მშენებლობაზე, დაყრდნობოდა ისლამს და ტრადიციულ ზნეობრივ ღირებულებებს, გაეფართოებინა რეჟიმის სოციალური ბაზა და საერთო ენა გამოენახა მის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელებთანაც. 1986 წ. მაისში კარმალი ნაჯიბულათი შეცვალეს. ის უფრო ქმედუნარიანი ხელმძღვანელი იყო, მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ავღანეთში არსებული პროსაბჭოთა რეჟიმი საბჭოთა სამხედრო კონტინგენტის გარეშე ვერ გადარჩებოდა.

1988 წ. 14 აპრილს ჟენევაში ავღანეთის, პაკისტანის, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას. 1988 წ. მაისიდან დაწყებული, საბჭოთა ჯარი სამ ეტაპად, 9 თვის განმავლობაში უნდა გასულიყო. ავღანეთის არმიას გადაეცა საბჭოთა სამხედრო კონტინგენტის მთელი ინფრასტრუქტურა.

1989 წ. იანვრისათვის ნაჯიბულას მთავრობა ავღანეთის ტერიტორიის მხოლოდ 18%-ს აკონტროლებდა. მის არმიაში 150 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო, მის ოპოზიციას კი 176 ათასი მებრძოლი ჰყავდა, აქედან 85 ათასი მუდმივად იბრძოდა. 1989 წ. 15 თებერვალს ავღანეთის ტერიტორია მთლიანად დატოვეს საბჭოთა ჯარებმა. უკანასკნელმა ავღანეთის ტერიტორია დატოვა მე-40 არმიის სარდალმა ბორის გრომოვმა.

ავღანეთში ომი ეკონომიკური თვალსაზრისით საბჭოთა კავშირისთვის კატასტროფული შედეგების მომტანი იყო. სამხედრო თვალსაზრისით კი ავღანეთში საბჭოთა კავშირს გამარჯვება არ შეეძლო, მაგრამ ვერც ავღანელი მუჯახედები დაამარცხებდნენ ზესახელმწიფოს. საბჭოთა არმიამ მოკლულთა სახით დაკარგა 14.597 ადამიანი, დაიჭრა 53.700. სულ ავღანეთში საომარ მოქმედებებში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღო 620 ათასმა ადამიანმა.

საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ ნაჯიბულას რეჟიმმა კიდევ სამ წელს იარსება, რადგანაც იარაღს ღებულობდა საბჭოთა კავშირისგან და დაემხო 1992 წ. აპრილში, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 4 თვის შემდეგ, რადგანაც ვეღარ ღებულობდა დახმარებას. 1996 წ. სექტემბერში თალიბანმა ნაჯიბულა ჩამოახრჩო, თუმცა შიდა ომი ავღანეთში არ დამთავრებულა.

„ბრეჟნევის დოქტრინა“	„ახალი პოლიტიკური აზროვნება“
ბიპოლარულ მსოფლიოში ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა.	უარის თქმა მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფის დებულებაზე; მსოფლიოს მთლიანობისა და განუყოფლობის აღიარება.
სამხედრო პარიტეტის მიღწევა. ბირთვული იარაღის საპასუხოდ გამოყენების შესაძლებლობა.	განიარაღება, პოლიტიკური მიზნების მიღწევა შეუძლებელია ბირთვული იარაღის გამოყენებით.
ძალის გამოყენების შესაძლებლობა კონფლიქტების გადაწყვეტის დროს.	უარის თქმა კონფლიქტების ძალადობრივი მეთოდებით გადაწყვეტაზე.
იმ ქვეყნების მხარდაჭერა (ფინანსური და სამხედრო), რომლებიც სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ.	პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის უარყოფა.

თავი XLVII.

საბჭოთა კავშირის კრიზისი და დაშლა

47.1. მრავალპარტიულობის დაშვება და ეკონომიკური რეფორმის დილემა

1989 წლის მეორე ნახევრიდან დემოკრატიული ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა გახდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის გაუქმება, რომელიც კომუნისტური პარტიის ტოტალურ მმართველობას ამკვიდრებდა. 1990 წლის 4 თებერვალს მოსკოვში გაიმართა 150-ათასიანი, 25 თებერვალს კი დაახლოებით 250-ათასკაციანი მიტინგი. ამ მოთხოვნით გამოდიოდა კომუნისტების ნაწილიც ბორის ელცინის ხელმძღვანელობით. მათ შექმნეს „დემოკრატიული პლატფორმა" კომუნისტურ პარტიაში. გორბაჩოვი თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა დათანხმებულიყო, თან იმედოვნებდა, რომ სანაცვლოდ დემოკრატები მხარს დაუჭერდნენ მის არჩევას საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად.

1990 წ. მარტში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების მე-3 ყრილობამ დიდი დებატების შემდეგ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან მე-6 მუხლის ამოღებას. შესაბამის კანონს ხელი მოეწერა 1990 წ. 14 მარტს. ამ მუხლის გაუქმებამ ფაქტობრივად წელში გატეხა კომუნისტური დიქტატურა. ოფიციალურად გზა გაეხსნა მრავალპარტიულობას, გაჩნდა მოთხოვნა ერთმანეთისგან გამიჯნულიყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სახელმწიფო მეთაურის ფუნქციები.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტი კონსტიტუციაში გორბაჩოვის ინიციატივით შეიტანეს, მაგრამ გორბაჩოვს ეშინოდა საყოველთაო სახალხო კენჭისყრისა, ამიტომ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი საბჭოების საკავშირო ყრილობაზე უნდა აერჩიათ. დემოკრატების ნაწილი ელცინით სათავეში, ასევე კონსერვატორები გორბაჩოვის პრეზიდენტად არჩევის წინააღმდეგი იყვნენ. გორბაჩოვი მაინც აირჩიეს, მაგრამ მან დეპუტატების ხმების 60%-ზე ნაკლები მიიღო. პრეზიდენტად არჩევით გორბაჩოვმა კონსტიტუციურად თავისი ხელისუფლება გაიფართოვა, მაგრამ მისი პოპულარობა კვლავ ეცემოდა ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისული პროცესების გამო.

1988-1990 წლებში რუსეთში და სხვა რესპუბლიკებშიც ჩამოყალიბდა მრავალი პოლიტიკური პარტია. ტოტალიტარიზმის წნეხიდან განთავისუფლებულ საზოგადოებაში პარტიები სოკოებივით იზრდებოდნენ, – დაწყებული მონარქისტულიდან, დამთავრებული ანარქო-კომუნისტებით.

რთული ვითარება იყო თავად კომუნისტურ პარტიაში. 1990 წლის ივლისში ჩატარდა სკკპ XXVIII ყრილობა, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა მის ისტორიაში. ყრილობაზე ვერ შეძლეს ახალი პროგრამის მიღება. კომპარტიის კონსერვატიულმა ფრთამ სკკპ ფარგლებში შექმნა რსფსრ კომპარტია, ძირეული რეფორმების მომხრეები კი პარტიიდან მიდიოდნენ. გარდაქმნის დასაწყისში სკკპ რიგები იზრდებოდა და 21 მილიონს მიაღწია, ახლა კი დაახლოებით 6 მილიონმა ადამიანმა დატოვა პარტია.

სკკპ XXVIII ყრილობაზე გამოსვლისას ბორის ელცინმა განაცხადა, რომ პარტიის რიგითი წევრების უმრავლესობა მომავალს პარტიის „დემოკრატიულ ფრთას" უკავშირებდა და წინადადება წამოაყენა, სკკპ-სთვის სახელი გადაერქმიათ და დაერქმიათ დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, დაეშვათ პარტიაში ფრაქციების არსებობა და გაეტარებინათ რიგი რეფორმები, რასაც დემოკრატიული პლატფორმა მოითხოვდა. ყრილობის უმრავლესობამ ეს წინადადებები უარყო, რის შემდეგაც ელცინმა განაცხადა კომუნისტური პარტიიდან გასვლის შესახებ და ყრილობა დატოვა. მის მაგალითს სხვებმაც მი-

ბაძეს, მათ შორის მოსკოვისა და პეტერბურგის მერებმა – პოპოვმა და სობჩაკმა; პარტიიდან გასვლასთან ერთად გადავიდნენ ანტიკომუნისტურ პოზიციაზე.

მიუხედავად განხეთქილებისა, სკკპ XXVIII ყრილობამ გორბაჩოვისა და მისი გავლენიანი მომხრეების – იაკოვლევისა და შევარდნაძის ზეწოლის შედეგად მიიღო კომუნისტებისთვის რადიკალური გადაწყვეტილებები პარტიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამიჯვნის შესახებ, კერძოდ, ნომენკლატურის სისტემის გაუქმების თაობაზე.

უაღრესად მწვავედ იდგა **ეკონომიკური რეფორმის საკითხი.** აუცილებელი იყო გადასვლა არსებული სახელმწიფო-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკასა და კერძო საკუთრებაზე. ასეთი გადასვლის გამოცდილება არ არსებობდა. გორბაჩოვი ემხრობოდა საბაზრო ეკონომიკაზე „ეტაპობრივ" გადასვლას, ეს უნდა მომხდარიყო 6-8 წლის განმავლობაში, მე-13 ხუთწლედის დროს, რომელიც აღარც შემდგარა. საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივ გადასვლას ბევრი ეწინააღმდეგებოდა. 1988-1990 წლების გამოცდილება აჩვენებდა, რომ ფასების ადმინისტრაციული დადგენის თანაარსებობა საბაზრო პრინციპებთან მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა.

„დემოკრატიული რუსეთის" ეკონომისტები და პოლიტიკოსები საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივ გადასვლას რუსეთისთვის საშიშად მიიჩნევდნენ. ამავე დროს, დემოკრატიული ბანაკის პოლიტიკოსები 1989 წლიდან მხარს უჭერდნენ ძირეული რეფორმების სტრატეგიას „ერთ ცალკე აღებულ რესპუბლიკაში", ანუ რუსეთის ფედერაციაში; ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობის არჩევნებს, რუსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის შემოღებასა და ამ პოსტზე ბორის ელცინის კანდიდატურის წამოყენებას.

47.2. „სუვერენიტეტების აღლუმი". ბრძოლა გორბაჩოვსა და ელცინს შორის

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში რიგი მოკავშირე რესპუბლიკები – ბალტიის რესპუბლიკები, საქართველო და მოლდოვა ითხოვდნენ დამოუკიდებლობის აღდგენას. საბჭოთა კავშირის ყველა კონსტიტუციაში ეწერა მოკავშირე რესპუბლიკების უფლება კავშირიდან გასვლის თაობაზე. სანამ კომპარტიის მონოპოლია არსებობდა, ეს უფლება ფიქცია იყო, მაგრამ დემოკრატიზაციისა და მრავალპარტიულობის დაშვების პირობებში მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან გასვლა რეალური გახდა.

გორბაჩოვს არ უნდოდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ის აშინებდა რესპუბლიკებს ეკონომიკური დეზინტეგრაციის შემთხვევაში მწვავე ეკონომიკური პრობლემების წარმოშობით, ეთნოკონფლიქტების გაჩაღებით. მიიღეს სპეციალური კანონი მოკავშირე რესპუბლიკების „საბჭოთა კავშირიდან გასვლის" თაობაზე. ეს კანონი ისეთ ბარიერებს ქმნიდა, რომ მას „არგასვლის" კანონი უწოდეს. რომელიმე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირიდან გასასვლელად რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო მთელ საბჭოთა კავშირში, დაეთვალათ, ვალი ხომ არ ჰქონდა რესპუბლიკას საბჭოთა კავშირისა, გადაეწყვიტათ შესაძლო ტერიტორიული საკითხები და ა. შ.

კრემლმა იმ რესპუბლიკებს, რომლებიც დამოუკიდებლობას ესწრაფოდნენ, იმ რესპუბლიკებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები დაუპირისპირა და სისხლიანი კონფლიქტებიც გააჩაღა (აფხაზები და ოსები საქართველოში, დნესტრისპირეთი და გაგაუზები მოლდოვაში, ინტერფრონტები ბალტიის რესპუბლიკებში, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო).

საბჭოთა კავშირს მთავარი დარტყმა რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ მიაყენა მას შემდეგ, რაც ბორის ელცინი მის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1990 წ. 12 ივნისს მიიღეს დეკლარაცია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. ამას მოჰყვა სხვა რესპუბლიკების „სუვერენიტეტის აღლუმი" – 20 ივნისს სუვერენიტეტი გამოაცხადა უზბეკეთმა, 23 ივნისს – მოლდოვამ, 16 ივლისს – უკრაინამ, 27 ივლისს – ბელო-

რუსმა. თუმცა, სუვერენიტეტის გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას. თუმცა დაიწყო „კანონების ომი“, როდესაც „საკავშირო კანონმდებლობას“ უპირისპირდებოდა რესპუბლიკური კანონები.

47.3. „განახლებული საბჭოთა კავშირის“ შექმნის მცდელობა

1990 წლის ბოლოდან გორბაჩოვი რეფორმატორობას ფაქტობრივად შეეშვა და საბჭოთა წყობილებისა და საბჭოთა კავშირის მთლიანობის შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა. გორბაჩოვი თავის გარშემო ძველი წყობილების შენარჩუნების მომხრეებს იკრებდა. 1990 წ. ნოემბერში მან ფინანსთა მინისტრად რეფორმების მოწინააღმდეგე ვლადიმირ პავლოვი დანიშნა. საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე კი დემონსტრაციულად გადადგა, თან განაცხადა, რომ მოდიოდა „დიქტატურისა“ და „ფაშიზმის საფრთხე“.

1990 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების მე-4 ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ფედერალური სახელმწიფოს და მისი სახელწოდების – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შენარჩუნების თაობაზე.

1991 წლის იანვარში ჯარი გაიგზავნა ბალტიის რესპუბლიკებში, რათა ხელისუფლებიდან ჩამოეცილებინათ სახალხო ფრონტების მთავრობები. 1991 წ 13 იანვრის ღამეს კი ვილნიუსში საბჭოთა არმიის ნაწილის მონაწილეობით სცადეს რესპუბლიკის მთავრობის დამხობა. ეს წარუმეტებელი აღმოჩნდა, გორბაჩოვი კი სასწრაფოდ გაემიჯნა ძალისმიერ აქციას. თუმცა ლიტვას ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა და ნავთობპროდუქტების მიწოდება შეუწყვიტა.

1991 წლის თებერვალში ლიტვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მეორე ქვეყანა, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, საქართველო იყო.



	За	Против
[illegible]	74	26
[illegible]	71	28
[illegible]	82	18
[illegible]	93	6
[illegible]	94	5
[illegible]	93	5
[illegible]	94	6
[illegible]	95	5
[illegible]	97	1

1991 წლის 17 მარტს გორბაჩოვმა ჩაატარა რეფერენდუმი „განახლებული“ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე.
ბალტიის რესპუბლიკებმა, საქართველომ, სომხეთმა და მოლდოვამ უარი თქვეს მასში მონაწილეობაზე.
დანარჩენ რესპუბლიკებში რეფერენდუმი ჩატარდა და უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას.

რუსეთის ფედერაციაში რეფერენდუმს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე დაემატა კითხვა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის შემოღების შესახებ. 1991 წ. მარტის ბოლოს რსფსრ დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობამ ელცინი პრეზიდენტად აირჩია.

საქართველოში 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის თაობაზე და 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა ესტონეთმაც. გორბაჩოვმა რესპუბლიკებში ჩატარებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმები „უკანონოდ“ გამოაცხადა.

1991 წლის აპრილში გორბაჩოვმა „საკავშირო“ რეფერენდუმზე დაყრდნობით მასში მონაწილე 9 რესპუბლიკასთან დაიწყო მოლაპარაკება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესამუშავებლად. ივლისის ბოლოს მოლაპარაკებები დამთავრებულად გამოაცხადა. გორბაჩოვი იძულებული გახდა უარი ეთქვა სოციალისტური არჩევანისა და საბჭოთა წყობის ხსენებაზე. ახალ კავშირს უნდა დარქმეოდა „სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი“, თუმცა ხელშეკრულების ხელმოსაწერად მზად იყვნენ მხოლოდ რუსეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი. მერყეობდნენ ბელორუსი და ტაჯიკეთი. რაც შეეხება უკრაინას, თურქმენეთს, აზერბაიჯანს და ყირგიზეთს, ისინი გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ 1991 წლის

შემოდგომაზე აპირებდნენ. ხელშეკრულების საზეიმო ხელმოწერა იგეგმებოდა 1991 წლის 20 აგვისტოს, ყირიმიდან გორბაჩოვის დაბრუნების შემდეგ, სადაც ის შვებულებაში იმყოფებოდა.

47.4. კომუნისტური რევანშის წარუმატებელი მცდელობა

ყირიმში გამგზავრების წინ გორბაჩოვი საიდუმლოდ შეხვდა ბორის ელცინს და ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს, შეთანხმდნენ, რომ 20 აგვისტოს ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ხელისუფლებას ჩამოაცილებდნენ კომუნისტ-კონსერვატორებს – პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პავლოვს, თავდაცვის მინისტრს დმიტრი იაზოვს, კგბ-ს უფროსს ვლადიმირ კრიუჩკოვს. მ. გორბაჩოვის კაბინეტში მოსასმენი აპარატურა იყო დამონტაჟებული და საუბრის შინაარსი ვ. კრიუჩკოვისთვის ცნობილი გახდა.

5 აგვისტოს გორბაჩოვი ყირიმში გაემგზავრა, ორთოდოქსი კომუნისტები კი გადატრიალების მზადებას შეუდგნენ. ისინი მიზნად ისახავდნენ რეფორმების შეწყვეტას, საბჭოთა კავშირისა და კომპარტიის შენარჩუნებას, ამ ყოველივესთან ერთად კი – ხელისუფლებაში საკუთარი ყოფნის გაგრძელებას. 18 აგვისტოს შეთქმულების ორგანიზატორები ყირიმში გორბაჩოვსაც შეხვდნენ. გორბაჩოვს ეშინოდა ხელისუფლების დაკარგვის, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ხელისუფლების ელცინის ხელში გადასვლის. გორბაჩოვი გადატრიალების მცდელობას პირდაპირ არ დათანხმდა, თუმცა არც უარი უთქვამს. მრავალი ანალიტიკოსი შემდეგ მიიჩნევდა, რომ შეთქმულები მოქმედებდნენ გორბაჩოვის თანხმობით, რომელიც „წესრიგის დამყარების" გზად უკვე მხოლოდ დიქტატურას ხედავდა, მაგრამ არ უნდოდა, გარეული ყოფილიყო შესაძლო სისხლისღვრაში. ყირიმში ჩასულ სამთავრობო დელეგაციას გორბაჩოვმა უთხრა: „მოდი, მივიღოთ საგანგებო გადაწყვეტილებები, სხვა ზომები...". პრემიერ-მინისტრი პავლოვი შემდეგ იგონებდა, რომ „გორბაჩოვმა აირჩია თავისი ქცევის ჩვეული მეთოდი – თქვენ გააკეთეთ, მე კი გვერდით გავდგები და მოვიცდი". ამის შემდეგ გორბაჩოვის უახლოესმა გარემოცვამ – საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ემოქმედა.

გადატრიალება, რომელმაც მაშინვე მიიღო „პუტჩის" სახელი, 19 აგვისტოს დაიწყო და სამი დღე გაგრძელდა. 19 აგვისტოს ღამით კგბ-მ გორბაჩოვის იზოლირება მოახდინა ფოროსში, დილით კი „გკჩპ"-მ მოსკოვის ცენტრში ჯარი შეიყვანა. 19 აგვისტოს ტელევიზია ყველა არხზე გადასცემდა „გედების ტბას", ესეც საბჭოთა პერიოდში გამოცდილი მეთოდი იყო, – ჩვეულებრივ კლასიკურ მუსიკას ტელევიზიით გადასცემდნენ ხოლმე მაშინ, როდესაც ქვეყნის ლიდერი კვდებოდა. 19 აგვისტოს დილით გამოცხადდა, რომ გორბაჩოვს „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო" აღარ შეეძლო პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება და მისი უფლებამოსილება გადადიოდა ვიცე-პრეზიდენტ იანაევის ხელში. „საბჭოთა ხალხისადმი მიმართვაში" „გკჩპ"-ს ლიდერებმა განაცხადეს, რომ გორბაჩოვის მიერ დანყებული რეფორმები „ჩიხში შევიდა". საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ლუკიანოვმა განაცხადა, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულება არსებული სახით მიუღებელი იყო და მოითხოვდა შემდგომ დამუშავებას. აიკრძალა დემოკრატიული გაზეთების გამოცემა, კონტროლი დამყარდა ტელევიზიაზე „ღრმა და ყოველმხრივი კრიზისის, პოლიტიკური, ერთაშორისი და სამოქალაქო კონფრონტაციის, ქაოსისა და ანარქიის თავიდან აცილების მიზნით", გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა ზოგიერთ რეგიონში და, პირველ რიგში, მოსკოვში. შეიქმნა „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი (გკჩპ)", რომელსაც ხალხში მაშინვე „ხუნტა" უწოდეს.

„საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტში" შედიოდნენ ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ვალენტინ პავლოვი, თავდაცვის მინისტრი მარშალი დმიტრი იაზოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის პუგო, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმირ კრიუჩკოვი, ასევე ო. ბაკლანოვი,

რომელიც ადრე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დარგში.

ჯარმა არ იცოდა, თუ რატომ გამოიყვანეს ქუჩაში. სულ მალე ცხადი გახდა, რომ ჯარი ხალხს არ ესროდა.

საგანგებო კომიტეტის წევრები აპირებდნენ მოეწვიათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელსაც უნდა დაედასტურებინა საგანგებო მდგომარეობის შემოღება, მაგრამ ანატოლი ლუკიანოვმა უარი თქვა, სხდომა 26 აგვისტომდე მოეწვია. ამის შემდეგ საგანგებო კომიტეტის წევრები მათთვის მოულოდნელად აღმოჩნდნენ შეთქმულთა მდგომარეობაში.

წინააღმდეგობის ორგანიზატორი გახდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომლის დაპატიმრებაც ვერ გაბედეს გადატრიალების ორგანიზატორებმა. „თეთრ სახლში"[1] არ გამოურთავთ ტელეფონები და საერთაშორისო კომუნიკაციის შესაძლებლობა. 19 აგვისტოს დილით ბორის ელცინი, რომელიც ქალაქგარეთ იმყოფებოდა, თავის თანამშრომლებთან ერთად სასწრაფოდ დაბრუნდა „თეთრ სახლში" და 10:30-ზე გამოაქვეყნა მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებს". ელცინმა „გკჩპ"-ს გამოსვლას უწოდა „ანტიკონსტიტუციური გადატრიალება" და უკანონოდ გამოაცხადა მისი ყველა განკარგულება რსფსრ ტერიტორიაზე, ასევე მოუწოდა სამხედროებს, „არ მიეღოთ მონაწილეობა რეაქციულ გადატრიალებაში".

ელცინმა ზომები მიიღო „თეთრი სახლის" დასაცავად, რომლის გარშემოც იკრიბებოდნენ მოსკოვისა და ახლო მდებარე დასახლებების დემოკრატიულად განწყობილი მაცხოვრებლები. მათ „თეთრი სახლის" გარშემო ბარიკადების მშენებლობა დაიწყეს, რისთვისაც იყენებდნენ გადატრიალებულ ავტობუსებს, ტროლეიბუსებს, სამშენებლო მასალებს და სხვა. სამხედრო თვალსაზრისით ასეთი ბარიკადების დაძლევა პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ ბარიკადებზე ორი დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებოდა და ღამეებს ათენებდა 100 ათასი უიარაღო ადამიანი. ბარიკადებზე აღმართული ჰქონდათ რუსეთის სამფეროვანი დროშები, მაშინ როდესაც „თეთრ სახლზე" ისევ საბჭოთა რუსეთის დროშა იყო აღმართული. მხოლოდ 22 აგვისტოს დაუშვეს რსფსრ წითელი დროშა და მის ნაცვლად აღიმართა რუსეთის ნაციონალური დროშა, რომელიც ელცინმა სახელმწიფო სიმბოლოდ გამოაცხადა.

უიარაღო მოქალაქეების გარდა, ელცინის განკარგულებაში აღმოჩნდა სამხედრო ნაწილიც. საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალმა პაველ გრაჩოვმა ელცინის დასახმარებლად ჯერ კიდევ 17 აგვისტოს ქალაქ ტულიდან გამოიძახა სადესანტო ნაწილი გენერალ ალექსანდრ ლებედის ხელმძღვანელობით. 19 აგვისტოს საღამოს ლებედის ნაწილებმა პოზიციები დაიკავეს „თეთრი სახლის" გარშემო.

19 აგვისტოს საღამოს „გკჩპ"-ს ხელმძღვანელობამ მოაწყო პრესკონფერენცია, რამაც სულაც არ შეუწყო ხელი გადატრიალების ორგანიზატორთა ავტორიტეტის განმტკიცებას. პრესკონფერენციის წევრები აშკარად ნერვიულობდნენ, „გკჩპ"-ს ხელმძღვანელს გენადი იანაევს ხელები უკანკალებდა და ამას ყველა ხედავდა ტელევიზიით. ჟურნალისტებმა დაუსვეს არაერთი მწვავე შეკითხვა. კონფერენციის ორგანიზატორებმა ვერ წარმოადგინეს სამედიცინო ცნობა, რომელიც დაადასტურებდა გორბაჩოვის უუნარობას, შეესრულებინა თავისი მოვალეობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ე. ი. ვერ დაასაბუთეს თავიანთი მოქმედების კანონიერება. პირველივე დღეს ცხადი გახდა, რომ შეთქმულება წარმატებით არ მიმდინარეობდა.

„გკჩპ"-სთვის კატასტროფული აღმოჩნდა მთავარი საინფორმაციო სატელევიზიო გადაცემა „ვრემია". გადატრიალების ორგანიზატორებს უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ „მოსკოვში არაფერი ხდებოდა" და „ყველაფერი მშვიდად იყო". მოულოდნელად ამგვარ

[1] შენობების კომპლექსი „კრასნაია პრესნიას" სანაპიროზე, სადაც განთავსებული იყო რუსეთის უმაღლესი საბჭო და მთავრობა.

სიუჟეტებს მოჰყვა კადრები, სადაც ნაჩვენები იყო „დემოკრატიული რუსეთის“ მსვლელობა „თეთრი სახლისკენ“, სადაც ტანკზე ასული ელცინი თავის მიმართვას კითხულობდა. ეს კადრები ვითომდა შემთხვევით მოხვდა გადაცემაში, მაგრამ საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მიმდინარე მოვლენების შესახებ განუწყვეტლივ გადასცემდა ინფორმაციებს რადიო „ეხო მოსკვი“ და დასავლური რადიოსადგურები. 20 აგვისტოს აკრძალული დემოკრატიული გაზეთები გაერთიანდნენ და დაიწყეს „ობშჩაია გაზეტას“ გამოცემა. გაჩნდა საინფორმაციო ფურცლებიც.

„გკჩპ“-ს ნინააღმდეგ დაიწყო საპროტესტო გამოსვლების ტალღა რუსეთის ფედერაციის მრავალ ქალაქში. მოსკოვის მერი გავრილ პოპოვი და მოსკოვის მერია მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ელცინის მთავრობასთან. სანკტ-პეტერბურგის მერმა ანატოლი სობჩაკმა მხარი დაუჭირა ელცინს, 19 და 20 აგვისტოს მოაწყო ელცინის მხარდამჭერი მიტინგები. სხვა ქალაქებში მოწყობილი მიტინგები და მსვლელობები მრავალრიცხოვანი არ ყოფილა, მაგრამ არსად არ მოუწყვიათ „გკჩპ“-ს მხარდამჭერი რაიმე აქცია.

20 აგვისტოს დილით რსფსრ უმაღლესმა საბჭომ მიმართა მოქალაქეებს. ელცინის მსგავსად, „გკჩპ“-ს მოქმედება შეაფასა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად და მისი ორგანიზატორები კანონგარეშედ გამოაცხადა.

„საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტმა“ სამჯერ მიიღო გადაწყვეტილება „თეთრი სახლის“ შტურმის თაობაზე, უკანასკნელად ეს უნდა გაეკეთებინა „კგბ“-ს სპეცრაზმ „ალფას“, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. არც სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელებს და არც რიგით შემადგენლობას სისხლის ღვრა არ უნდოდათ. 20 აგვისტოს ღამით მოსკოვში შეყვანილი ჯარების ნაწილი ელცინის მხარეზე გადავიდა, ნაწილმა კი მომლოდინე პოზიცია დაიკავა. მოსკოვის მილიცია და უშიშროების ორგანოები ფაქტობრივად „გკჩპ“-ს მითითებების იგნორირებას ახდენდნენ. ასეთ ვითარებაში ცხადი გახდა, რომ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემდგომ მცდელობებს ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა მოჰყვებოდა, რაც გადატრიალების ორგანიზატორებმა ველარ გაბედეს.

20-21 აგვისტოს ღამით მოხდა ინციდენტი, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ერთ-ერთ ჯავშანტრანსპორტიორს, რომელიც ტროლეიბუსებისგან აგებული ბარიკადის გადალახვას ცდილობდა, ე. წ. „მოლოტოვის კოქტეილიანი“ ბოთლით ცეცხლი გაუჩინეს. ჯავშანტრანსპორტიორმა მართვა დაკარგა და ადგილზე ტრიალი დაიწყო, შედეგად დაიღუპა ბარიკადზე მყოფთაგან სამი: დმიტრი კომარი, ვლადიმირ უსოვი და ილია კრიჩევსკი. მათ შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. მომხდარი უბედურ შემთხვევად შეფასდა და ჯარის დემორალიზება მოჰყვა. მათ შეწყვიტეს გადატრიალების ორგანიზატორთა ბრძანებების შესრულება.

21 აგვისტოს დილით გაიმართა რსფსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც ელცინმა განაცხადა, რომ „გკჩპ“-ს ლიდერების ნაწილი ყირიმში მიფრინავდა გორბაჩოვთან „ცოდვების მოსანანიებლად“.

21 აგვისტოს დილით ამბოხების ორგანიზატორები მართლაც გაფრინდნენ ყირიმში, გორბაჩოვმა ისინი არ მიიღო, სამაგიეროდ, მოიწონა ელცინისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს მოქმედება. რუსეთის ხელისუფალთა მიერ გაგზავნილი თვითმფრინავით გორბაჩოვი მოსკოვში დაბრუნდა და საგანგებო კომიტეტის მოქმედება უკანონოდ გამოაცხადა.

გორბაჩოვი აშკარად დათრგუნული დაბრუნდა მოსკოვში, მოვლენათა ასეთ განვითარებას, სავარაუდოდ, არ მოელოდა. 22 აგვისტოს გორბაჩოვმა ჩაატარა პრესკონფერენცია, სადაც ამტკიცებდა, რომ არანაირი კავშირი არ ჰქონდა შეთქმულების მონაწილეებთან, მაგრამ ბევრისთვის უცნაური და დამაფიქრებელი აღმოჩნდა გორბაჩოვის სიტყვები, რომ მას ყველაფერი არ უთქვამს და არც არასოდეს იტყოდა ამას.

23 აგვისტოს ღამით გადატრიალების მონაწილეები ელცინის ბრძანებით დააპატიმ-

რეს, თუმცა გადატრიალებასთან დაკავშირებული რამდენიმე პიროვნება გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. 23 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის პუგო და მისი მეუღლე სახლში მოკლული იპოვეს, თავში ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი, რევოლვერი კი მკვლელმა ტუმბოზე დატოვა. 24 აგვისტოს კრემლში თავის კაბინეტში ჩამომხრჩვალი ნახეს გორბაჩოვის მრჩეველი, მარშალი სერგეი ახრომეევი. 26 აგვისტოს გაურკვეველ ვითარებაში თავისი სახლის აივნიდან გადმოვარდა და დაიღუპა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ნიკოლაი კრუჩინი, რომლის ხელშიც იყო კომუნისტური პარტიის ფინანსები. ორმოცი დღის შემდეგ ასევე ფანჯრიდან გადმოვარდა და დაიღუპა კრუჩინის წინამორბედი აღნიშნულ თანამდებობაზე, 81 წლის გ. პავლოვი. კიდევ ათი დღის შემდეგ ანალოგიურად დაიღუპა დ. ლისოვოლოკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე. ყველა მომხდარი შემთხვევა თვითმკვლელობად გამოცხადდა, თუმცა ბევრს მიაჩნდა, რომ საქმე ეხებოდა „პარტიის ფულისთვის" ბრძოლას, რომელიც მრავალ მილიარდს შეადგენდა და დასავლეთის ქვეყნებში იყო განთავსებული.

რამ განაპირობა გადატრიალების მცდელობის სწრაფი დამარცხება? შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მიზეზი:

პირველი: გადატრიალების ორგანიზატორები არ იყვნენ მზად რადიკალური ზომებისათვის, მასშტაბური სისხლისღვრისთვის და წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, გაუბედავად მოქმედებდნენ;

მეორე: გადატრიალების ორგანიზატორებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს „ელცინის ფაქტორი", რომელმაც სწრაფად და გაბედულად იმოქმედა და გამოვიდა წინააღმდეგობის ორგანიზატორად;

მესამე: გადატრიალების ორგანიზატორებმა რეალურად ვერ შეაფასეს რუსეთის მოსახლეობის შესაძლო რეაქცია მათ მიერ გამოცხადებულ „საგანგებო მდგომარეობაზე", საზოგადოების პოლიტიკურად აქტიურმა ნაწილმა არ მიიღო შეთქმულთა გეგმები და აქტიურად დაუჭირა მხარი ელცინს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ მოსკოვში გამოჩნდა.

მეოთხე: გადატრიალების ორგანიზატორებმა ვერ დაინახეს მომხდარი ცვლილება საბჭოთა „ცენტრსა" და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთობაში. რესპუბლიკების უმრავლესობას „გარდაქმნის" პერიოდში უკვე მიღწეული ჰქონდა სუვერენულობის ისეთი დონისთვის, რომ მოსკოვიდან მიღებულ მითითებებს ულაპარაკოდ აღარ ემორჩილებოდნენ. რესპუბლიკების უმრავლესობამ „პუტჩის" ორგანიზატორები ან პირდაპირ დაგმო, ანდა მომლოდინე პოზიცია დაიკავა.

გადატრიალების მოწყობისას მისმა ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს ხალხის განწყობაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ, და ვერც რესპუბლიკების გაძლიერება, რომლებიც აღარ იყვნენ ცენტრის მორჩილნი.

1991 წლის 23 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრაზე გორბაჩოვს მოსთხოვეს დაუყოვნებლივ ხელი მოეწერა ბრძანებისათვის კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ, როგორც „დანაშაულებრივი ორგანიზაციისა", პარტიის ქონება ნაციონალიზებულად გამოცხადდა. სკკპ ცკ შენობა ელცინის მომხრეებმა დალუქეს. საკავშირო სტრუქტურები ფაქტობრივად ელცინის კონტროლის ქვეშ მოექცა.

პრეზიდენტ ელცინის და რსფსრ უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით, გორბაჩოვმა უარი თქვა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებაზე, რითაც მხარი დაუჭირა ელცინის ბრძანებულებას კომუნისტური პარტიის გაუქმების შესახებ. 19-მილიონიანი პარტიის დაშლას არ მოჰყოლია არც ერთი საპროტესტო

აქცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ქმნიდა საბჭოთა იმპერიის ხერხემალს და ამ პარტიის გაუქმებას გარდუვალად მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ლიკვიდირებულ იქნა საკავშირო მინისტრთა კაბინეტი და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი.

47.5. ბელოვეჟის შეთანხმება და საბჭოთა კავშირის დაშლა

პუტჩმა დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა. მისი მარცხისთანავე დამოუკიდებლობა გამოაცხადა უკრაინამ, რამდენიმე დღის შემდეგ – ბელორუსიამ, მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, უზბეკეთმა, ყირგიზეთმა, თურქმენეთმა. ყველაზე ბოლომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია ყაზახეთმა მიიღო.

26 აგვისტოს გამოქვეყნდა ელცინის პრეს-მდივნის განცხადება, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია უკრაინასა და სხვა რესპუბლიკებში. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკებს შორის საზღვრები საბჭოთა პერიოდში უსამართლოდ იყო დადგენილი და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან რუსეთი არსებული საზღვრების შენარჩუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდებოდა, თუკი ამ სახელმწიფოებთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ექნებოდა დამყარებული.

1991 წლის 6 სექტემბერს გორბაჩოვმა აღიარა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის დამოუკიდებლობა, იგივე გააკეთა რუსეთის ფედერაციამაც.

1991 წლის სექტემბერის დასაწყისში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების V რიგგარეშე ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება მუშაობის შეწყვეტისა და თავისი უფლებამოსილების დროებით გადაცემის შესახებ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოსთვის, მანამდე, სანამ ხელი არ მოეწერებოდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

ამავე დროს შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი თანამდებობის პირები. გაუქმებული საკავშირო სამინისტროების ნაცვლად შეიქმნა რესპუბლიკათშორისი ეკონომიკური კომიტეტი, თუმცა რეალური უფლებამოსილება მას არ ჰქონია.

მიხეილ გორბაჩოვი დასავლეთის ქვეყნებთან აპელირებით ცდილობდა საკავშირო სახელმწიფოს შენარჩუნებას, – დასავლეთს აშინებდა შესაძლო მძიმე პროცესებით, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას შეიძლება მოჰყოლოდა.

1991 წლის 18 ოქტომბერს 8 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა კრემლში ხელი მოაწერეს ეკონომიკურ შეთანხმებას, თუმცა ეს გორბაჩოვის უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელები მიიჩნევდნენ, რომ დამოუკიდებლად უფრო ადვილად გაატარებდნენ საჭირო რეფორმებს. პირველ რიგში, ასეთ თვალსაზრისს იზიარებდა ბ. ელცინი. რუსეთი, ამ თვალსაზრისის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკების „ტვირთის“ გარეშე ეკონომიკურ წარმატებას სწრაფად მიაღწევდა, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები კი რუსეთს „ვერსად გაექცეოდნენ“. უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ კრავჩუკი უარს ამბობდა რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, სანამ 1 დეკემბერს არ ჩატარდებოდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ და საპრეზიდენტო არჩევნები.

ნოემბრის შუა რიცხვებამდე რესპუბლიკების ნაწილი განიხილავდა სამოკავშირეო ხელშეკრულების რამდენიმე ვარიანტს: კონფედერაციის, „სუსტი“ ფედერაციის და სუვერენულ სახელმწიფოთა ასოციაციის. 1991 წლის 5 ნოემბერს შემუშავებულ ვარიანტში სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი (ССГ) განისაზღვრებოდა „კონფედერაციულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ“, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებდა იმ ფარგლებში, რასაც ნებაყოფლობით გადასცემდნენ ხელშეკრულების მონაწილეები. მოლაპარაკების მონაწილეთა უმრავლესობამ მოიწონა ეს ვარიანტი, მაგრამ 25 ნოემბერს ბ. ელცინმა უარყო გორბაჩოვის წინადადება სამოკავშირეო ხელშეკრულების პარაფირების შესახებ, რად-

განაც მასში ლაპარაკი იყო არა კონფედერაციის, არამედ სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ. გარდა ამისა, უკრაინაში რეფერენდუმის წინ დოკუმენტის პარაფირებას აზრი არ ჰქონდა.

1991 წლის 1 დეკემბერს უკრაინაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებმა საბოლოოდ მოუღო ბოლო გორბაჩოვის გეგმებს. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 84%-მა და მათმა 90,3%-მა უკრაინის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. 2 დეკემბერს რუსეთის ფედერაციამ აღიარა უკრაინის რეფერენდუმის შედეგები, კრავჩუკმა კი გამოაცხადა უკრაინის გასვლის შესახებ 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებიდან. ასეთ პირობებში რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, დაბრუნებოდნენ სამმხრივ ან ოთხმხრივ (ყაზახეთის მონაწილეობის შემთხვევაში) ხელშეკრულების გაფორმების საკითხს.

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი და ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე სტანისლავ შუშკევიჩი შეიკრიბნენ ბელოვეჟში („ბელოვეჟის ტევრში") ისე, რომ არც აცნობეს გორბაჩოვს და გამოაცხადეს საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ახალი თანამეგობრობა ღია იყო სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც მასში შესვლას მოინდომებდნენ. 10 დეკემბერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინეს უკრაინისა და ბელორუსის უმაღლესმა საბჭოებმა, 12 დეკემბერს იგივე გააკეთა რსფსრ უმაღლესმა საბჭომ (წინააღმდეგი იყო 6 კაცი). დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის კატეგორიული წინააღმდეგი იყო მიხეილ გორბაჩოვი, მაგრამ მას აღარ უსმენდნენ. ოთხი რესპუბლიკის (ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის და საქართველოს) გარდა, დანარჩენმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა გამოთქვეს სურვილი, შესულიყვნენ დსთ-ში.

21 დეკემბერს ალმა-ატაში 11-მა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ გამოაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ალმა-ატაში მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შემდეგ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. ეს მოხდა საბჭოთა კავშირის შექმნის 69-ე წლისთავის წინ.

1991 წლის 25 დეკემბერს გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ნებაყოფლობით იხსნიდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილებას. საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

როგორც შესავალში აღინიშნა, საბჭოთა კავშირი მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული სახელმწიფო იყო, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელისუფალნი ამ იდეოლოგიის მოდიფიცირებას ახდენდნენ, მიმდინარე პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ამავე დროს, მარქსის მოძღვრება, მთლიანობაში, უტოპიურ ხასიათს ატარებდა. ლენინმა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის და კომუნისტური წყობილების გამარჯვების სახელით. ეს ორივე მიზანი ილუზორული აღმოჩნდა.

არ შედგა მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია, მას არ უშველა არც ბოლშევიკურმა „ნაბიჯების" მცდელობებმა. საბჭოთა ხელისუფლების „ძლევამოსილი მსვლელობა" შემოიფარგლა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიით, თუმცა „არასრულ" საზღვრებში. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთავარ ამოცანად საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა და გაძლიერება გამოცხადდა.

შეიცვალა საბჭოთა კავშირის ხედვაც. საბჭოთა კავშირი, რომელიც, ლენინის აზრით, მსოფლიო სახელმწიფოდ უნდა გადაქცეულიყო, არა „მსოფლიო სახელმწიფო", არამედ ძველი რუსეთის იმპერიის მოდერნიზებული ვარიანტი აღმოჩნდა. აღნიშნულ შედეგს ისიც განაპირობებდა, რომ ბოლშევიკები, მარქსიზმის სახელით, ბევრს ლაპარაკობდნენ „დიდი სახელმწიფოს" უპირატესობაზე, სიტყვიერად აღიარებდნენ „ერთა თვითგამორკვევის უფლებას", მაგრამ არა მის ჭეშმარიტ რეალიზებას. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მოწყობა და ოფიციალური იდეოლოგია ბევრი რამით განსხვავდებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიისგან. საბჭოთა კავშირი ოფიციალურად „სუვერენული სახელმწიფოების" გაერთიანება იყო, რომელთაც საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება ჰქონდათ. ასე ეწერა საბჭოთა კონსტიტუციაში, მაგრამ ყველა ეს „სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკა" ერთიანი ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის მიერ იმართებოდა.

სტალინმა საბჭოთა კავშირი 1939-1940 წლებში, ნაცისტურ გერმანიასთან შეთანხმების საფუძველზე, გააფართოვა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მიერთებით და ახალი საბჭოთა რესპუბლიკების – ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის და მოლდავეთის შექმნით და მათი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში „ნებაყოფლობით" მიღებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა გავლენის ზონა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ სტალინს აღარ უცდია საბჭოთა კავშირის შემდგომი გაფართოვება. საბჭოთა კავშირი დარჩა ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში (ფინეთისა და პოლონეთის გამოკლებით).

შეუძლებელი აღმოჩნდა კომუნისტური საზოგადოების აშენებაც. სტალინმა ორი ათეული წლის განმავლობაში განხორციელებული სოციალური ინჟინერიით (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია) ბოლშევიკების მიერ დაპირებული სოციალიზმი აშენებულად გამოაცხადა. ეს იყო ტოტალიტარული რეჟიმი, რომლის არსის გააზრებაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა.

მარქსისტული დოქტრინის თანახმად, სოციალიზმის აშენების შემდეგ „დღის წესრიგში" დგებოდა კომუნიზმის მშენებლობა. ნიკიტა ხრუშჩოვმა კომუნიზმის ძირითადად ასაშენებლად 20 წელი მიიჩნია საკმარისად და, მისი გათვლებით, 1980 წელს საბჭოთა კავშირში უკვე კომუნიზმი უნდა ყოფილიყო. ხრუშჩოვი უკანასკნელი საბჭოთა ლიდერი იყო, რომელსაც კომუნიზმის აშენების სჯეროდა. ხრუშჩოვის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ დავიწყებას მიეცა „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა". ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის დროს მთავარ მიღწევად „განვითარებული სოციალიზმის" აშენება გამოცხადდა, რომელიც „ხანგრძლივი ეტაპი" იქნებოდა კომუნიზმისკენ მიმავალ გზაზე. იუ-

რი ანდროპოვი კი მოითხოვდა იმ საზოგადოების დანვრილებით შესწავლას, რაც აშენდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე.

1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი, კომუნიზმის ნაცვლად, შევიდა კრიზისის პერიოდში. ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ ამოწურა განვითარების შესაძლებლობები. მიხეილ გორბაჩოვმა გამოსავალი „გარდაქმნაში" დაინახა, მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა სისტემა გარდაქმნას არ ექვემდებარებოდა. სისტემის „დემოკრატიზაცია" და „საჯაროობა" მისი დანგრევის საფუძველი გახდა.

საბჭოთა კავშირი ბევრისთვის მოულოდნელად და სწრაფად დაიშალა. ასევე ბევრს ეგონა, რომ კომუნისტური რეჟიმის დამხობასთან ერთად, დადგებოდა დემოკრატიული განვითარების ხანა, მაგრამ დაიწყო „პოსტსაბჭოთა პერიოდი", რომელშიც ძალზე ბევრი „საბჭოთა" აგრძელებდა არსებობას. კომუნისტური რეჟიმის არსებობის შვიდმა ათეულმა წელმა დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოებას, მოახდინა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების დეფორმაცია, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი თავად ადამიანს მიადგა, ტოტალიტარულმა რეჟიმმა გამოიწვია საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული „პოსტსაბჭოთა პერიოდი" ცალკე შესწავლის საგანია. მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი საზოგადოების ნაწილში არსებული „საბჭოთა ნოსტალგია" და რუსეთიდან მომდინარე საბჭოთა კავშირის „აღდგენის" მცდელობაა. ცხადია, საბჭოთა კავშირს იმ სახით, რა სახითაც არსებობდა, ვერავინ აღადგენს და არც არავინ აპირებს. კრემლში არც მარქსიზმ-ლენინიზმი ახსოვთ და არც ლენინური „ერთად და თანასწორად". საქმე ეხება ტერიტორიას, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების სხვადასხვა ფორმით რუსეთთან ინტეგრაციას.

„პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრაციის" მცდელობები საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო, მაშინვე შეიქმნა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", შემდეგ „ევრაზიული კავშირი", „რუსეთ-ბელორუსის ერთიანი სახელმწიფო", ბოლოს კი ნინა რიგში გამოვიდა „ისტორიული რუსეთის" აღდგენის იდეა, რომლის სახელითაც პუტინმა ომი დაიწყო უკრაინასთან. ამ ომის შედეგებზე კი ბევრად არის დამოკიდებული „პოსტსაბჭოთა სივრცის" შემდგომი ბედი.

მალხაზ მაცაბერიძე

საბჭოთა კავშირი
კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა

თბილისი
2023

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com